ქართული საქართლის ქებანი

VII

«ლიტერატურა»
1981

ПАМЯТНИКИ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

Том VII

СУДЕБНЫЕ ПРОШЕНИЯ С ПРИКАЗАМИ

Тексты издал, предисловием и примечаниями снабдил
проф. И. С. ДОЛИДЗЕ

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1981

ქართული სამართლის ძეგლები

ტომი VII

სასამართლო არზა-ოქმები

ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო
პროფ. ი. დოლიძემ

ჯკც

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1981

34 (C 41) (09)
34 (47.922) (09)
ქ 279

„ქართული სამართლის ძეგლების“ VII ტომი შეიცავს XVIII ს. სასამართლო არზა-ოქმებს, რომელთა დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება. ამ სასამართლო აქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ არა მარტო სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების ისტორიის, არამედ გვიანფეოდალური ქართლ-კახეთის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესასწავლადაც.

ტომს ერთვის წინასიტყვაობა და არქეოგრაფიული შენიშვნები.

11001
ლ ——— 227—80; 142—81 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981
M 607 (06)—80

წინასიტყვაობა

„ქართული სამართლის ძეგლების“ მეშვიდე ტომში იბეჭდება სასამართლო არზა-ოქმები — განსაკუთრებული სახეობის იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც მთელ რიგ ახალ ნორმებს შეიცავენ, სამართლის წიგნებსა და სხვა საკანონმდებლო აქტებში გათვალისწინებული რომ არ არის.

მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა, არქივებსა და ხელნაწერთა საცავებში დაცული ამგვარი საბუთები, გარდა უმნიშვნელო ნაწილისა, დღემდე არათუ გამოუქვეყნებელია, არამედ გამოვლინებული და დადგენილიც არ არის.

აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, „როგორც XI—XV სს. მეფეთა წყალობის წიგნებითგან ჩანს, მეფის წყალობა ხშირად მირთმეული თხოვნის შედეგი ყოფილა. არც ერთი ამგვარი იმდროინდელი თხოვნათაგან ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, მაგრამ წყალობის წიგნებითგანა ჩანს, რომ ამ საბუთებს მაშინ „ჰაჯი და მოჯსენებაი“ რქმევიათ, ანუ ჰაჯისა და მოხსენების წიგნი. ჰაჯა არაბული ტერმინია. ჰააჯატ, ჰააჯა არაბულად გასაჭირს, გაჭირვებას, მოთხოვნილებას ეწოდება.

შემდეგში, XVIII ს-ში, ამგვარს საბუთს „არზა“ ეწოდა... ეს სიტყვაც არაბულად „ვარზაჰ“ წარდგენას, წარდგენილობას, მიმოხილვასა ჰნიშნავს და ქართულში სპარსეთის გზით და საშუალებით არის შემოსული“ (ქართული დიპლომატიკა, 1926, გვ. 41).

როგორც ცნობილია, ჩვენამდე მოღწეული საჩივრის უძველესი წიგნები XIII საუკუნით თარიღდება. რაც შეეხება სასამართლო არზა-ოქმებს, დღემდე დადგენილი არ არის, თუ როდის შემოვიდა ისინი, როგორც სიგელთმცოდნეობითი ტერმინები, ქართულ დიპლომატიკაში. ჩვენი მასალების მიხედვით, „არზა“, როგორც დიპლომატიკური ტერმინი, პირველად იხსენიება 1692 წლის განჩინებაში გერმანოზიშვილების ყმა-მამულზე დავისა გამო. მაგრამ, ჩვენი აზრით, სავარაუდებელია, რომ ეს ტერმინი უფრო ადრეც, როსტომ

მეფის დროიდანაც, იხმარებოდა. იგივე უნდა ითქვას „ოქმაზეც“, როგორც საბუთის სახეობაზე. არაბული „ჰოქმი“ ქართულში შემოსულია სპარსულიდან.

ამ ტომში დაბეჭდილი სასამართლო არზა-ოქმების პირველი ნიმუშები ვახტანგ მეექვსის ხანას მიეკუთვნება. წინა პერიოდის არცერთი საბუთი შემონახული არ არის. საბუთების უდიდესი ნაწილი თეიმურაზისა და ერეკლეს ხანას მოიცავს. დარეჯან დედოფლისა და დავით მემკვიდრე-გამგებლის უკანასკნელი ოქმები 1803 წლით, ხოლო ანტონ II-ისა 1808 წლით თარიღდება. დასავლეთ საქართველოს ამ ტიპის საბუთებიდან ჩვენამდე მოღწეულია სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის რამდენიმე საბუთი, შედგენილი 1844—1853 წლებში. უფრო ადრინდელი საბუთები ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

წინამდებარე კრებულში შესულია არა ყოველი სასამართლო არზა-საჩივარი, არამედ მხოლოდ ის არზები, რომლებსაც დართული აქვთ სათანადო ოქმები. ჩვენ მხოლოდ ოქმიან არზებს ვაქვეყნებთ, უოქმო არზები, ე. ი. ცალკე არზა, ან ცალკე ოქმი, გარდა მერალიბეგ ციციშვილის არზისა, ტომში შეტანილი არ არის. ამასთან, გარდა რამდენიმე საბუთისა, ტომში შეტანილი არ არის მართვა-გამგეობითი (ადმინისტრაციულ-განკარგულებითი), ან ქერძო თხოვნა-მოწყალებითი ხასიათის არზა-ოქმები. ჩვენი ტექსტები სასამართლო არზა-ოქმებს შეიცავენ.

არზა-ოქმი თავისებური შედგენილობის დიპლომატიკური აქტია, რომელიც კერძო და საჯარო-სამართლებრივ საწყისებს შეიცავს. სასამართლო არზა არის რაიმე საქმეზე მოწყალების თხოვნა სამართლის მიცემის შესახებ, იგი კერძო ხასიათის საბუთია, რომლითაც დაზარალებული პირი თავისი დარღვეული უფლების აღდგენას ითხოვს.

არზები სხვადასხვა ფორმისა და შინაარსისა იყო. მათი უდიდესი უმრავლესობა ყმა-მამულზე დავას შეეხება, დანარჩენი კი სასისხლო და სხვა ხასიათის დავებს შეიცავს. ტიპიური არზა გარკვეული ფორმის მიხედვით იწერებოდა და შედგებოდა მიმართვის, დავის საგნისა და თხოვნა-ვედრების ნაწილებისაგან. მიმართვის ნაწილი ჩვეულებრივად ასეთია: „ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ჰირი მათ ფეჯთა მიწა-მტვერს (ამასა და ამას) მოსცეს“. შემდეგ გადმოცემულია დავის საგანი ანუ არზის შინაარსი, რომელიც თხოვნა-ვედრებით

შთავრდება: „გევედრები, თქვენს წინაშე სამართალში გვალაპარაკოთ და სამართალი მოგვცეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს“. ამრიგად, როგორც წესი, არზის თავსა და ბოლოში მოხსენიებულია ღმერთი, ვითარცა, მთხოვნელის აზრით, უზენაესი მსაჯული.

არზას თან ერთვის ოქმი ანუ წერილობითი ბრძანება-განკარგულება იმ უფლებამოსილი პირისა, რომელსაც თხოვნით მიმართავს მომჩივანი. ასეთი პირები იყვნენ: მეფე, დედოფალი, კათალიკოსი, ბატონიშვილები, მთავრები, თავადები, მდივანბეგები, მელიქ-მამასახლისი და სასამართლო ხელისუფლებით აღჭურვილი სხვა პირები. ოქმი, როგორც წესი, წარწერილია არზის თავში და ზოგჯერ არზის მარჯვენა და მარცხენა ველებზეც გადადის. თუ მთხოვნელი არზას იმ მოხელეს მიართმევდა, რომლის კომპეტენციაშიც ეს საქმე არ შედიოდა, ან მის უფლებამოსილებას აღემატებოდა, მაშინ მოხელეს ოქმში უნდა მიეთითებინა, თუ ვის უნდა მიმართოს დაზარალებულმა ამ საკითხზე. ოქმების ერთი ნაწილი არსებითად წყვეტს სადავო საქმეს აკმაყოფილებს ან უარყოფს მომჩივანის თხოვნას; ხოლო მეორე ნაწილი დავას არსებითად არ წყვეტს და საქმეს გამოსაძიებლად ან განსახილველად შესაბამის ხელქვეით მოხელეს ან სასამართლო დაწესებულებას უგზავნის. როცა ოქმის ანუ ბრძანების გამცემი პირი საქმის რაიმე გარემოების გამოსარკვევად და დასადასტურებლად არზას შესაბამის მოხელეს უგზავნის, მაშინ მოწმეთა წერილობითი ჩვენებები, როგორც მტკიცებულება და დავის გადაწყვეტის საფუძველი, თვით არზაზე უნდა იქნეს წარწერილი. ამის შემდეგ არზა კვლავ უბრუნდება იმ პირს, რომელმაც თავისი პირველი ოქმით საქმე გამოსაძიებლად გადასცა. არზაში აღნიშნული ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საქმე გადაწყდება მეორე ოქმით, რომელსაც ასევე არზაზე წააწერენ. არზებზე წარწერილი მდივანბეგთა ოქმები თავისი ფორმით ემსგავსება სასამართლო განჩინებებს, რომელთაც ორი ან მეტი მდივანბეგის ბეჭედი უზის. თუ სადავო საქმის გადაწყვეტისათვის საჭიროა ადგილობრივი დათვალიერება, მაშინ საქმის განხილვა, ოქმის მიხედვით, გადაიდება იმ დროისათვის, როცა საქმის გამრჩევი უფლებამოსილი პირი სადავო ადგილას მივა.

ჩვეულებრივად ოქმიც სამი ნაწილისაგან შედგება: მიმართვა, ოქმის შინაარსი და ოქმის აღსრულების დაკისრება. მიმართვაში აღნიშნულია ის პირი, რომლისადმი გაცემულია ბრძანება სადავო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ; შემდეგ გადმოცემულია ოქმის შინაარსი, რასაც ერთვის აღსრულების განკარგულება. ოქ-

მის ბოლოს დასმულია თარიღი და ბეჭედი. სამეფო ოქმის ტიპიური ნიმუშია, მაგალითად, ერეკლე მეორის 1782 წლის 10 სექტემბრის ბრძანება თავისი ძის ვახტანგ ბატონიშვილისადმი, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენო ღვთის წყალობავ, შვილო ბატონო ვახტანგ! მერე ამაზედ იასაულიც შენა ხარ, გამრიგე და მოსამართლეც შენა ხარ. მდივანბეგების თანდასწრებით ესენი თქვენთან უნდა მიასხმევინოთ, ალაპარაკოთ, სწორედ და ჭეშმარიტი გამოიძიოთ და სამართალი მისცეთ. ენკენისთვის ი, ქორონიკონს უო“.

წინაპარ მეფეთა მიერ გაცემულ ოქმებს, თუ ისინი კანონიერია, როგორც წესი, შემდგომი მეფეები არ აუქმებენ, არამედ იმოწმებენ და ადასტურებენ. რაც შეეხება საკუთარ ოქმს, მეფეს ყოველთვის შეუძლია მის მიერ ადრე გაცემული უმართებულო ოქმი შემდგომი ოქმით შეცვალოს ან სულაც გააუქმოს. ოქმის აღსრულების შეჩერებას „ოქმის დაყენება“ ეწოდება. მეფის ან კათალიკოზის ოქმს, თუ არ თვითონ ისინი, ვერავინ დააყენებს. მათ კი შეუძლიათ ყოველი ხელქვეითის მიერ გაცემული ოქმი დააყენონ ან გააუქმონ.

არზა-ოქმებისათვის სპეციალური სამეფო ბეჭედი იყო განკუთვნილი. ერეკლე მეორეს, როგორც ცნობილია, „ცხრა საბეჭდაი ბეჭედი“ ჰქონდა, მაგრამ არზებზე წარწერილ მის ოქმებს, გარდა ორიოდე შემთხვევისა, მხოლოდ ერთი ბეჭედი უზის, რომლის ლეგენდა ასეთია: „ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე“.

ამრიგად, არზა-ოქმები განსაკუთრებული ჯახის საბუთებია. რომლებზეც დაფუძნებულია სამართალწარმოება. საქმის აღძვრის, გამოძიებისა და განხილვის საფუძველია წერილობითი ბრძანება ანუ ოქმი, ამიტომ პროცესის ამ სახეობას პირობითად შეიძლება საოქმო პროცესი ეწოდოს. სასამართლო წარმოების ამ ფორმის თავისებურებათა შესწავლა სცილდება ტომის წინასიტყვაობის ფარგლებს და სპეციალური კვლევის საგანს შეადგენს.

თუ საპროცესო სამართლის ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მსგავსი სამართალწარმოება არსებობდა ძველ რომში იმპერიის პერიოდში; მოსარჩელის პრეტენზია იმპერატორის განკარგულებას ემყარებოდა, რომლის ძალით იმპერატორი მოდავე მხარეებს სასამართლო საქმის განხილვისათვის საგანგებო მოხელეს განუწესებდა (iudex datus). ანალოგიურ პროცესს იცნობდა შუა საუკუნეების ინგლისიც, სადაც მეფის სახელზე შეტანილ არზა-თხოვნას, „მოწყალების“ წესით, მეფე განსახილველად გადასცემდა კანცლერს, რომელიც საქმის გადაწყვეტისას ბუნებითი სამართლისა და ნაწილობრივ რომის საეკლესიო ნორმებით ხელმძღვანელობდა.

ქართული არზა-ოქმების მსგავსი საბუთები ცნობილია მე-17—მე-18 საუკუნეების სპარსულ და ოსმალურ დიპლომატიკაშიც. ოსმალური არზა-ოქმის ერთ-ერთი ასეთი ნიმუში, რომელიც ქართლში ოსმალობის ბატონობის პირველ წელს — 1724 წლის 25 ოქტომბერსაა შედგენილი, თარგმნილი და გამოქვეყნებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ცისანა აბულაძის მიერ (გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, 1975, გვ. 68—69).

წინამდებარე ტომში შესული არზა-ოქმების ტექსტები საგრძნობლად დაზიანებულია. ეს უმთავრესად შეეხება იმ საბუთებს, რომლებიც შემონახულია დედნების სახით. საბუთის ჯეროვანი დაუცველობის გამო ტექსტები მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავენ. ზოგან ტექსტი გადასულია და აღარ იკითხება. რაც შეეხება იმ საბუთებს, რომლებიც მოღწეულია პირების სახით, მნიშვნელოვანწილად დამახინჯებულია გადამწერთა მიერ. ტექსტის ხარვეზები და დამახინჯებული ადგილები აღდგენილია ჩვენს მიერ. აღდგენილი ტექსტი ჩასმულია კვადრატულ კავებში, ხოლო ტექსტის ის ხარვეზები, რომელთა აღდგენა ვერ შევძელით, ტექსტშივე აღნიშნულია სამწერტილით...

განკვეთილობის ნიშნებად ხელნაწერებში ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი, ან ორწერტილი ხაზით. მაგრამ ზოგიერთ საბუთში ასეთი ნიშნები სულაც არ არის ნახმარი. წინამდებარე ტექსტები გამართულია თანამედროვე პუნქტუაციის მიხედვით და არზის გაგების გაადვილების მიზნით დაყოფილია აბზაცებად.

დაბეჭდილ ტექსტებში, როგორც წესი, დაცულია საბუთის ორთოგრაფია, უო კომპლექსი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი თარიღებისა და ქორონიკონების აღსანიშნავად იხმარება, წარმოდგენილია უე-თი. ქარაგმები ყველგან გახსნილია.

არზა-ოქმების ტექსტები დალაგებულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. საბუთებს ვათარიღებთ არა არზის, არამედ ოქმის თარიღის მიხედვით, რადგან სწორედ ოქმი ანუ ბრძანება გვიჩვენებს, თუ რა შედეგი მოჰყვა არზას, როგორ გადაწყდა იგი. ოქმი ჰქმნის საბუთის მთლიანობას, მის დამთავრებულობას, ამიტომაც საბუთი ოქმის მიხედვით უნდა დათარიღდეს. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ოქმს თარიღი არ უზის, საბუთი არზის მიხედვით თარიღდება.

დაბეჭდილ ტექსტებში წარმოდგენილია მეფეთა, დედოფალთა, კათალიკოსთა, ბატონიშვილთა, მთავართა, თავადთა, მდივანბეგთა,

მელიქ-მამასახლისთა და სხვა უფლებამოსილ პირთა ბეჭდების ლეგენდები.

თითოეულ საბუთს ერთვის მოკლე არქეოგრაფიული აღწერილობა, რომელშიც აღნიშნულია საბუთის ფონდი, შიფრი, აწინდელი მდგომარეობა, ზომა, დამწერლობა და განკვეთილობის ნიშნები. აქვე მოცემულია უთარიღო საბუთების დათარიღება და მითითებულია იმ საბუთების პუბლიკაცია, რომელთა დედნები ან პირები დაკარგულად ითვლება.

მკითხველს მოვაგონებ, რომ ის არზა-ოქმები, რომელთა გამო გამოტანილია სასამართლო გადაწყვეტილებანი, უკვე გამოქვეყნებულია „ქართული სამართლის ძეგლების“ IV—VI ტომებში, რომლებიც სასამართლო განჩინებებს შეიცავენ.

აქ წარმოდგენილი საბუთების მნიშვნელობა განუზომელია არა მარტო ქართული სამართლის ისტორიისათვის, არამედ მე-18 საუკუნის საქართველოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის, კერძოდ, საადგილმამულო და ბატონყმური ურთიერთობების ისტორიის შესწავლისათვის.

წიგნის მოცულობის გაზრდის გამო ამ ტომის საძიებლები დაერთვის VIII ტომს, რომლითაც მთავრდება „ქართული სამართლის ძეგლების“ სერიის პუბლიკაცია.

ი. დოლიძე

ტექსტები

1. არზა კორკოტაშვილებისა მამულის თაობაზე

ვახტანგ VI-ის ოქმით

1717—1719 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 223. დედანი. 21,5×16 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი. 3-მეტი. საბუთი თარიღდება ბაქარიას ზეობის წლებით.

ქ. ღმერთმან ბედნიარის ხემწიფის ჭირი და სატკივარი მოსცეს მაგათ ფეხთა მიწა-მტვერს დაგითს და იმის ძმებს.

მერმე ამას მოვახსენებთ ბედნ[ი]არს ხემწიფესა: ღმერთმან ჴომ იცის, დანაშაული არა გვაქვს რა სამსახურის მეტი. ახლა მანგლელმა თქვენი წყალობა და გასამართლებული მამული წამართო და საყდრის კარიც დამიკლიტა და დეკანოზიც წა[ა]ყუანინა.

თუ დანაშაული გვაქვს რამე, ჩვენი თავიც მაგათი ჭირის სანაცლო იყოს; თუ არადა, რატომ დაგვემართოს, რა დანაშაული გვაქვს?

თაში

ქ. შვილო, მეფევ, ბატონო ბაქარ! მერმე ეს არზა კორკოტაშვილებმა მოგვართვა, მაშინ ჴომ თქვენ გა[ა]რიგეთ, რატომღა შლიან, რა დროს ან საყდრის დაკლეტა არის და ან დეკანოზის დაჭერა. ეს[ე]ც უმართებულო უქნია მანგლელს. დეკანოზიც ააშვებინეთ და ნურც, რომელიც სამართალი გიქნია, იმას მოუშლით.

ხელთვა: ვახტანგ

2. არზა თამაზ გერმანოზიშვილისა სახელოს თაობაზე

ვახტანგ VI-ის ოქმით

1717—1719 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hქ 6602. დედანი. ქაღალდი. 21,2×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი. საბუთი თარიღდება ვახტანგ VI-ის ძის შაჰნავაზის (მაქარის) ზეობის წლებით.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი და სატკივარი მათ ფეჯთ მიწა-მტუერს მილახორბაშს თამაზს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ ბედნიერს კელმწიფესა. თქუენი წყალობა მამაჩემს ახალქალაქი და ტამალია სამოურაოდ ეჭირათ. თქვენც მოგეხსენებათ, თუ რა ხანია რომ ის სოფლები იმათ უჭირავს და ახლა წაურთმევიათ სადმე.

და ახლა ამას გეხვეწებით: თქუენად სამლოცველოდ და გასამარჯვებლად იმდონი მოწყალება უყავით საბრალო იმ ჩემს ძმებსა, რომ თავიანთ ნაქონი სახელო ისევ უბოძოთ.

კიდეზე

ქ. შვილო ბატონო, მეფევ შაჰნავაზ! მერმე ამ გერმანოზისშვილებს რაც ამ არზაში ეწეროს, ისევ უბოძეთ, ნამსახურნი კაცნი არიან.

verso-ზე მინაწერი: „ტამალისა და ახალ ქალაქის წიგნი“.

ბეჭედი: დავითის ტომად მეფედ კზი სპასალარად სახელდებული, ვახტანგ.

3. არზა ნიკოლოზ ურბნელისა მამულის თაობაზე ხანის ოქმით

1738 წ. 4 აპრილი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2598. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხანის ჭირი ურბნელს მოსცეს. მერმე ამას მოვახსენებთ ბატონსა, რომ ჩვენს მონასტერთან ერთი სახასო ხოდაბუნი არის ბაკთ მიწა და ცუდათ უკმარებლად ძეს. და იმ მიწის წყალობა გვიყავით, რომ ის მოვკნათ და კემწიფის სამსახურიც შეეიძლოთ და კელმწიფის წყალობით ჩვენც რამ ვირგოთ.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის ურბნელო ეფისკოპოზო ნიკოლოზ! მერმე შენის საყდრის ახლო რომ სადედოფლო სახასო ხოდაბუნი ყოფილა ბაკთ მიწა და შენთვის მოგვიცემია; სხვას კაცს ხელი არა აქვს. დაიწერა აპრილის დ, ქორონიკონს ჳკვ.

შენ მოხან, დასთესე, მანამ მოხელებიც მოვლენ. სპარს.

სპარს. სპარს.

4. არზა ნიკოლოზ ურბნელისა ღალა-კულუხის თაობაზე საქართველოს ვალის ოქმით

1738 წ. 14 ივლისი

ცსსა. ფონდი 1448, № 1323. დედანი. 22,7×15,5 სმ. ქაღალდი. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიარის საქართველოს ვალის ჭირი მათს მლოცველს ურბნელს ნიკოლოზს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ: რუის[ს] ცოტა რამ ნასყიდი მამული მაქვს და იმისი მახტაც ჩემზე სწერია. და ერთის რაყმის წყალობა მიყავით, რაც რუის[ს] ჩემი ნასყიდი მამული იყოს, იმისი ღალა-კულუხი მე ავიღო.

თუ სიტყვა ქონდეს ვისმე, თქვენ მოგახსენოსთ; თუ სიტყვა არავის ქონდეს, რაც ჩემი ნასყიდი და საღალო იყოს, მე დამანებონ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერმე რაც ხანის შვილის ან ურ[ბნელ]ის კაცის ნასყიდი მამული რუისში იყოს, ან საღალო მამული ქონდეს, მალუჯათს ეს აძლევ[ს], ყველამ ღალა ურბნელს მოეცით.

დაიწერა მკათა[თ]ვის იდ, ქორონიკონს ჳკვ. სპარს.

სათაური: ქ. ხანის შვილის ოქმი რუისის მიწების ღალისა.

5. არზა თევდორე ოსმანაშვილისა ამოგის თაობაზე არჩილ(?) მეფის ოქმით

1738 წ. 8 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1263. დედანი. 21×10,7 სმ. ქაღალდი. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორი წერტილი. ა-მეტი. საბუთს უზის ოთხკუთხა ბეჭედი, რომლის ლეგენდა ვერ ამოვიკითხეთ.

ქ. ღმერთმა ხემწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწა ფეხთა მტვერს ოსმანაშვილს თევდორასა.

ველიმად რომ მობძანდა, მაშინ ათი სული ხიზანი დავტყვევდით. ერთი მე ზაზამ სარდლის შვილმა თათრისაგან მიყიდა. აბდულასთან იჩიელა მანუჩარ ციციშვილმა და წიგნიც მიბოძა და ხელიც აიღო, მანუჩარ და ზაზას დამანება.

ახლა ის მოკ[ვ]და და ისევ მანუჩარ მეჭიდება. თქვენთ გასამარჯვებლ[ა]თ ერთი სამართალი მაღირსეთ. მანუჩარის მოცემული წიგნიცა მაქვს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! მერმე ეს ოსმანაშვილი თევდო[რა] რადგან ზაზა ციციშვილისაგან დახსნილი ყოფილა და მანუჩარის წიგნი კელთ უჭირავს და იმასაც ზაზასათვის დაუნებებია, ისევ ზაზას შვილს ქაიხოსროს და ფარსადანს ეჭიროს.

დაიწერა მარიამობის **ც**, ქორონიკონს **უკვ**.

6. არზა ლილოელ დავითასი და ბექანასი გამოსაღების თაობაზე ვექილ ალიყულიბეგის ოქმით

1785—1788 წწ.

ცსსა. ფ. 1448. № 1478. ლედანი. დაზიანებული. 19,7×15,3 სმ. ქალალდი. მხედრული. ალაგ-ალაგ წერტილი ან ორწერტილი. საბუთი თარიღდება ალიყულიბეგის ვექილობის წლებით.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ვექილის ჭირი მათს ფეჯთა მტვერს თბილელის ლილოელებს დავითასა[1] და ბექანას მოსცეს.

მერმე ეს მოვახსენოთ: ჩვენი მირი თბილელს მოურთმევია და რაც ჩვენი გამოსაღები ყოფილა, თბილელისათვის მიგვიცია.

ახლა ქალაქის მალში და სატარუღოში დაუწერივართ. მოკითხული ქენით, თუ რასაც დროს ჩვენ ქალაქის დავთარზე ვყოფილვიყუნეთ ან მალითა ან სხვის გამოსაღებით. ჩვენ ჩვენის სოფლისა მირიც მიგვიცია და სურსათიცა[2].

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ორსავ ადგილს გაღება არ შეგვიძლია. ჩვენის სოფლის გამოსაღებს დაგვაჯე[რეთ. ჩვე]ნ ქალაქის მოყალნენი არა ვყოფილვართ; თუ არა, ბრძანება თქვენი გათავდეს.

verso

ქ. ბატონი მელიქო და ქეთხუდებო! ეს კაცნი ლილოელნი არიან, ქალა[ქშ]ი [მა]ლი და ხარჯი უძლევიათ თუ არა, ამისი აღიღათი მომწერეთ.

[1] დადავითასა. [2] სუსატიცა.

სხვა ხელით

[მ]კერვ[ა]ლი დავითა და მკ[ე]რ[ვლ]ის შვილი ბექანა ლილოელნი არიან, ლილოს ხარჯ[შ]ი არიან, ქალ[ა]ქში არ გამოგვ[ი]რთომს.

ოქმის ხელით

ქ. ვექილის ალიყული-ბეგის ღმრთის წყალობავ ძმაო ბატონო მელიქო ალავ! რათგან არ უღიათ, ამათ ქალაქზედ ნურც მალს გამუართმევენ, ნურც ხარჯს, ნურც სატარუღოს. ლილოზედ გამოიღონ.

7. არზა დოკუმენტი კათალიკოზისა ტყვეების დახსნის თაობაზე გეგლარბეგის ოქმით

1739—1740 წწ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 2687. დედანი. 19×15 სმ. ქალალდი. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. საბუთი თარიღდება დომენტი კათალიკოზის ზეობის უკანასკნელი წლებით.

ქ. ღმერთმან ჩვენის მოწყალის ბედნიერის ბატონის ბეგლარ-ბეგის ჭირი მათს მლოცველს პატრიაქს დომენტის მოსცეს.

მერმე ამას მოგახსენებთ: სკრელს ძულიაშვილს მამასახლის[ს] ტყვები დაუყიდიათ და თარხანი მილახორი ქაიხოსრო და ჯავახიშვილი რომ ყოფილან, მაშინ დაეყიდათ. ახლა ერთის ოქმის წყალობა მიყავით, რომ ის ტყვეები ისევ მოვაყვახინო და დავახსნეინო.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის ხელჯოხიანო დავით! მერმე ბატონი კათალიკოზი სკრელს მამასახლისს ძულიაშვილს ტყვეებას გაყიდვას უჩივის. ჩვენს სამართალში მოიყვანე. სამართალს უზამთ.

8. არზა უარდაშა თუმანიშვილისა მოსავლის წილის თაობაზე არჩილ მეფის ოქმით

1736—1742 წწ.

ხელნაწერია ინსტიტუტი. Hd 3953. ღედანი. ქაღალდი. 22,3×16,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახვარია ორი წერტილი. ა-მეტ-ნაკლული. უთარიღო. თარიღდება არჩილ ქართლის მეფის (ამდუღა-ბეგის) ზეობის წლებით.

ქ. ღმერთმან მოწყალეს ხემწიფის ჰირი და სატკივარი მოსცეს თქვენს ფეხთა მიწა-მტვერს! თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ყ ა რ დ ა შ ა ს.

მერმე ეს მოვახსენოთ მოწყალეს ხემწიფეს: ქ ვ ე მ ო ბ ო ლ ნ ი ს ნასყიდი მამული მქონდა, მოხელისა მივეც მას და როსა[ც] მივედ, ათი საპალნე და ცალი ტკბილი მერგო ჩემს წილათ, სულ მ ა დ ა თ ა მ წაილო, მე არ მამცა.

ბედნიერმა ხემწიფემ სამართალში გ[ვ]ალაპარაკოს, თავის გასამარჯვებლათ.

თავში

ჩვენი ბძანება არის იას[ა]ულო! თუმანისშვილი ყარდაშა მადათას უჩივის და სამართალში მოიყვანე. მეფე არჩილ

verso: ქ. თავილდარს ბეჟანს მიეცით. თ[ა]ვილდარ ბ ე ჟ ა ნ.

9. არზა ბეჟან თუმანისშვილისა ყმების თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1742 წ. 12 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთ. № 4, საბ. № 14. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან მოწყალება ბედნიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ბ ე ჟ ა ნ ს ა.

ამას მოვ[ა]ხსენებ: ჩემ[ი] გლეხნ[ი] აყრილან და საკახეთოში და ზოგი სხვაგანა დაფ[ა]ნტულან.

ერთის ოქმის წყალობა მიყოთ: ჩემი გლეხი არავინ დამიჭიროს, მომცენ, რომ მეც ჩემი მამული არ გამიოხრდეს, რომ უ[ი]საელოთ მომცენ, რომ გლეხს სა[ი]ასაულო არ გ[ა]უვიდეს. თქვენს გასამარჯვებლათა ამ რიგი ოქმის წყალობა მიყავით.

[1] მაწმტარას.

თავში

ჩვენი ბძანება არის. მერმე ვისაც კახეთში ამისი ყმა ყვანდეს, მოეცით. ვისაც სიტყვა ქონდეს, კარზედ მოდით; თუ არადა, თავისი კაცი მოეცით ურუმობას აქეთ გამოსული. თიბათვის **იბ**, ქორონიკონს **ულ**.

10. არზა უარლაანისა სახლეპის თაობაზე ნადირშაპის ოქმით

1742 წ.

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 13. საბუთი № 99. პირი. ქაღალდი. მხედრული. მაჰმადიანთა **ჩრნზ** (1157) უდრის ქართულს 1744 წელ. საბუთს კი **უზის** 1742 წ.

[XIV] მისს უმაღლესობას ყოველად უმოწყალესს კელმწი[82]ფის წინაშე მოსახსენებელი მათის უმცირესის მონის ტფილისსა შინა მცხოვრებლის ყ ა რ ლ ა ა ნ ი ს ა გ ა ნ.

ერთი კელი სასახლე მიყიდნია ჩემის ცოლ-შვილის განსვენებისათვის, რათამცა იმაში ვიდგე და ვადიდო სახელი უდიდებულესობისა თქვენისა. ახლა ვედრებითა გთხოვ, თქვენდა სადღეგრძელოდ ქვეყნის დამმორჩილებელი რაყამი მიბოძოთ, რათამცა არავინ უძლეველთ ჯარისკაცთაგან ანუ მომსლველთ-მიმსლველთაგან ჩემს სახლებში არ ჩამოხდნენ და არცა დადგნენ და შევიწროება არ მომცენ, რომლითაც ვიყო განსვენებით და ვადიდო ყოველთვის სახელი თქვენის უდიდებულესობისა.

თავში

ბ ე ჭ დ ი ნ ა დ ი რ შ ა ჰ ს ა

იდ „იქმნა უმაღლესი ბრძანება ჩვენი ესრეთ მაღალხარისხოვნის მეფისა და ტფილისის მოხელეთადმი. ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის და მოურსენებია, არავინ არ გაუშუათ, რომ ჩვენის უძლეველის მჭედრობათაგან ანუ მომსლველთ-მიმსლველთაგან[1] ამის სახლეში ჩამოხდენ, ანუ ამ არზის პატრონი შეაწუხონ შილთაღითა. ასე იცოდეთ. დაიწერა თვესა თათრულს შაბანისა, წელსა მაჰმადოვანთა **ჩრნზ**". უკანა ბეჭედი მ ი რ ზ ა მ ე ი თ ი ხ ა ნ ი ს ა.

ამისი ასლი ვიხილე სპარსულად, ვსთარგმნე ქართულს ენაზე. მე პოდპოლკოვნიკი მ ი რ ზ ა ა ბ რ ა ა მ ე ნ ა კ ო ლ ო ფ ო ვ ი.

[1] მომსველთაგან] მოიმსლველთაგან.

11. არზა სამ უზბაშისა გამოსალების თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1744 წ.

ცსსა. ფონდი 1450, დავთარი № 13. საბუთი № 100. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[82 v] ღმერთმან ბედნიერი ჴელმწიფის[1] ჭირი მათ[2] მონა[ს] ს ა [ა] მ უზბაშს მომცეს.

ჩემო ჴელმწიფევ[3], რადგანაც თქვენ ბრძანებისამებრ ოთხას[4] მსახურში ერთი მსახურიც ჩემი სოფელი და ზ უ რ უ ლ ე თ ი ს სოფელი მოეცათ, ახლა ის მსახური სამაგიერო ისევ ამ ორმა სოფელმან მოჭვცეს. ახლა ზურულეთის სოფელი [88] იმ[5] მსახურის მიცემაში უარზედა დგას, მარტო ჩემ სოფელს[6] მიცემა არ შაუძლიანთ.

უმდაბლესად ვითხოვთ ებრძანოს: ზურულეთმან ნახშირგორეულებთან ერთად როგორც ამას წინად ყოფილან, ახლაც მსახურის მიცემაში მოგვეცდეს, რომა დიდათ მოწყალება იქნება. ბარათალების სარქარდებიც ამას მოგახსენებენ, რომა წინ[ათ] მსახურიც ამ ორ სოფელს[7] ერთად მიუცია, ახლაც უნდა ერთად მისცენ. გევედრებით ჩვენი მოხსენებისამებრ ებრძანოს, რომა ერთად მისცნენ ამ ორმა სოფელმა — ნახშირისგორმა და ზურულეთელმან. ნ ა ხ შ ი რ ი ს გ ო რ ს მარტო მიცემა არ შეუძლია.

თავში

ჩვენი ბრძანება არის, რადგანაც ამ არზის პატრონს ასე მოუხსენებია და არზით თავისი სოფლის ვითარება დაუწერია, უნდა როგორც ამას წინად ამ ორ სოფელს[8] ერთად გამოსალები გაუღიათ, ახლაც უნდა ერთად გაიღონ. თუ ვისმეს სიტყვა ქონდეს რამე, ჩვენ წინაშე მოვიდნენ, გამოცხად[დ]ნენ; და ეს ჩვენი ბრძანება ასე აღასრულონ. დაიწერა წელსა თათრულსა თარიღსა **ჩრნთ,** ქორონიკონს

ულბ. მეფე თეიმურაზ

[1] ჴელმწიფის. [2] მათი. [3] ჴელმწიფევ. [4] ოთხასი. [5] ის. [6] ჩემს სოფელს] ჩემი სოფელი. [7] ორ სოფელს] ორმა სოფელმან. [8] ამ ორ სოფელს] ეს ორი სოფელი.

12. არზა ედიშერისა უმის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1744 წ. ახლო(?)

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 13. საბუთი № 101. პირი. ქაღალდი. მხედრული. თათრული **ჩრნზ** (1117) უდრის ქართულს 1705 წელს.

[83 v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ე დ ი შ ე რ ი ს ა გ ა ნ.

ძველადგან მამა-პაპით ჯილოვხანის ობაჩეში (?) ყოფილა, მანამდისინ ოსმალოს დრო იქნებოდა, მაშინაც ორს-სამს წელიწადს ჩემს ჴელში იყო. რადგან ოსმალოებს თათრის მსახურება ქრისტიანის კაცის ცოდვად მიაჩნიათ, ამისთვის [84] მე გამომამართვეს და თითონ დ[ა]ეპყრნენ. ოსმალოს უკან კიდევ იმათი ქეთხუდა ი მ ა ნ ა მ შვილი მოიყვანა ჩემთან და მე მახლდა. და როდესაც ს უ რ გ უ ჩ ი მოვიდა, იმის შიშით დაიფანტნენ.

ახლა სამი კომლი იმ სოფლისა ბ ო რ ჩ ა ლ ო შ ი არიან, როგელ იმათი სახელი შ უ ქ უ რ ლ ი ქ ა ლ ბ ა ლ ი იმ ა ნ ო ღ ლ ი და მ ა ნ ს უ რ ო ღ ლ ი და რ გ ა ჰ ყ უ ლ ი, კიდენ მ ა ნ ს უ რ ო ღ ლ ი მ ა ჰ მ ა დ ა და ბ უ დ ა ღ ა არის, ბორჩალოში იმყოფებიან.

გევედრებით, თქვენდა სადღეგრძელოთ ოქმი გვიბოძოთ, რომელ ზემოხსენებული კაცები ავყაროთ და თავის სამკვიდრებელში დავაყენო, რათა შევიძლო სამსახურის აღსრულება. და მათის მონისათვის ნამეტნავი იმედი იქნება, ჩემს სოფელს ჰ ა ნ დ ა რ ს შენობა ჩამოვაგდე, რომ ესენიც თავის მეზობლებთან მოვიყვანო.

თავში

ჩვენი ბრძანება არის: მერმე როგორათაც ამ არზის პატრონს მოუხსენებია, ჩვენ მოვიკითხეთ და გავსინჯეთ, რომ ეს კაცები ამ არზის პატრონის ყმანი ყოფილან და ძველათგან წერილიც ჴელთ უჭირამს. ამისთვის ეს კომლეური კაცები ამ არზის პატრონ[ს] უბოძეთ, რომელ ისევ ამასვე ემსახურონ. ერთს მინუტს ურიგობა არ მოახდინონ, ამის სიტყვას და ნებას არ გადავიდნენ, ამაზედ ჩვენი ყადაღა მტკიცეთ სცნან. დაიწერა თვესა თათრულსა შაბანსა,

ჩრიზ /ად/ წლისა. მეფე თეიმურაზ

13. არზა გორჯასპი მდივნისა გამოსაღების თაობაზე ხანის ოქმით

1735—1744 წწ.

ცსსა. ფ. 1448. № 3514. დედანი. დაზიანებული. 21,3×17,3 სმ. ქაღალდი. მხედრული. ყოველი სიტყვის შენდეგ ორწერტილი. საბუთი თარიღდება ხანობის პერიოდით.

ქ. ღმერთმან ბედნიარის ხანის ჭირი და სატკივარი მათს ბანდას გ ო რ ჯ ა ს პ ი მ დ ი ვ ა ნ ს მოაცეს.

[მერ]მე ამას მოვახსენებ: ა ტ ე ნ ი ს ბოლოს ერთი ხარა[ბა] სოფელი მაქვს. ამ სოფლისა ორი ტიტელი რ[აია]თი დარჩომილა ამ ტანის პირისა. წ ე დ ი ს რაი[ათ]ი ამ საბრალო გლეხებს წამოსჭიდებიან: ხარჯში ჩვენ უნდა მოგვიდგეთო. აყრილან და დაკარგულან. ჩემი ყმა არის და ხარჯზედაც ჩემზე ყოფილ[ა] ხოლმე. რასაც სახელმწიფოს გამოსაღებს დამაწერენ, ქ[ემ]ის ყმით დამაწერენ ხოლმე.

ჩემი ყმა რომ ხარჯში წ[ედ]ის მიუდგეს, მე რაღა უნდა ვქნა? თუ ყმობიდამ [არ] წამართმევეთ, ხარჯზედაც მე მიდგია. და თუ ყმობიდამ წამართმევეთ, საბიხტიარი ბძანდებით.

ერთის რაყმის წუალობა მიყავიო, ჩემს გლეხებს უბრალოთ ნუ რჯიან. და მე აქ გახლავარ და წედელებს თუ რამ სიტყვა აქვსთ, მოგახსენონ.

თაეში ხანის ოქმი სპარსულად.

ქ. ჩვენ, მ ი შ კ ა რ ბ აშმა გ ი ვ ი, ამისი ანბავი ხანს ეკითხა, ასე ვიცით: ზემო ქართლში სოფლები ქათალიკოზს, ც ი ც ი ს შ ვ ი ლ ს თ ა რ ხ ა ნ ს აქვს. არც ისინი ერევიან ზემო ქართლის საათხოვარში. არც იმათ უნდა გარიონ ეს სოფ[ე]ლი საც[ი]ანოში. იქაურს კაცს სოფელს თუ ესენი გარევენ, ისიცა გარევენ.

ორი ბეჭედი: 1. წ ყ თ ი ს ო ფ ლ ი ს დანგი ვიყავ
2. სპარსული

14. არზა ზაზა თარხნიშვილისა მამულის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1746 წ. 12 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2366. დედანი. 42×24,5 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. იხ. 1746 წ. 10 ივლისის განჩინება ამავე საქმეზე (ქართ. სამართ. ძეგლები IV, № 280).

ქ. ღმერთმან ბედნიერისა და ღმრთივ-გვირგვინოსანის ჯელმწიფის ჭირი მათს ფერჯთა მტვერს ზ ა ზ ა ს თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ს მოსცეს.

ფ ა რ ს ა დ ა ნ ც ი ც ი შ ვ ი ლ ს გლურჯიძეებისაგან ს ა ს ი რ ე თ ს მამულები ეყიდა და ის თავისი ნასყიდი ფარსადან მე მომყიდა. თვითონც მომცა ნასყიდობის სიგელი და იმ გლურჯიძეებისაგან მოცემული სიგელებიც მე მომცა. ერთი სიგელი დარჩა და იმის თვი[ს] კიდევე სხვა წიგნი მომცა, რომ: ის სიგელიც შენ მოგცეო; და თუ ის სიგელი ვერ მოგცეო, სადაც გამოჩნდესო რასაც კაცის ჯელში, ამ წიგნმა ბათილი შექნასო და გაამტყუვნოსო.

წამოდგა ე ლ ი ს ბ ა რ გლურჯიძე და თავისი წილი ბ ე ბ ე შ ი ძ ი ს მამული წამართვა და იმისის განაყოფის ფ რ ი დ ო ნ ი ს ა გ ა ნ და უ დ ა რ ე ს ა გ ა ნ მისყიდული მ ა ჩ ა ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს მამულიც ელისბარ წამართვა.

ამას მოვახსენებ ბედნიერს ჯელმწიფესა, რომე: როგორც ფარსადანის მოცემულს სიგელში მეწეროს და რისაც პირობა მოეცეს, იმგვარად სამართალი მალირსოს ბედნიერმა ჯელმწიფემ.

თაეში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო ე რ ა ს ტ ი! წადი და ციცისშვილს ფარსადა[ნს] და ამის [ძ]მებისათვის თარხნისშვილის ზაზასათვის სასირეთს ელიზბა[რ] გლურჯიძის მამული ბებეშიძის ნ[ა]სახლები და ფრიდონისა და ამისის ძმისწულის უდარეს მამული მიეყიდნა. ელიზბარის წილი ბიძას, მ ა ნ უ ჩ ა რ ს, ელიზბარის შეუკითხავათ გაეყიდნა: და ფრიდონისა და უ დ ა რ ე ს მამულის ნასყიდობის წიგნი ფარსადანს ზაზასათვის არ მიეცა და ფარსადანის მიცემულს სიგელში ეწერა.

რადგან ფრიდონისავან მიცემული სიგელი ზაზას არ ეჭირა, ამის მამულსაც ელიზბარ ზაზას წაედავა: ფარსადანს უპატრონობით მოუყიდნიაო ბებეშიძის მამული.

და ფრიდონისა და უდარეს მამული ელიზბარს დავანებეთ. და ამისი მაგიერი მამული: ვენახისათვის ვენახი, მიწისათვის მიწა, წისქვილისათვის წისქვილი, სახლისათვის სძხლი, სასაფლაოსათვის სა-საფლაო — ესე[ე]ბი ყველა თავისის ზო[მი]თ, ფარსადანის ძმას ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ზაზასათვის მიაცემინე, საცა ზაზას ემხროპოდეს იმ სოფელში. ფარსადანს რომ ზაზასათვის სიგელი მიუცია, ასე ეწერა და ჩვენც ასე გაუსამართლეთ.

და ალექსანდრეს თუ გლურჯიძეს მანუჩართან სიტყვა ქონდეს, სამართალში ელაპარაკოს. იანვრის **იბ**, ქორონიკონს **ულდ**.

ბეჭედი: მე ქრისტეს მონა, ქუეყნად შაჰნშაჰასი, მეფედ ცხებული საქართველოსი, 1744, თ ე ი მ უ რ ა ზ.

15. არზა სულხან უაფლანიშვილისა დუქნების თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1746 წ. 30 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1234. დედანი. 23,5×15 სმ. ქაღალდი. მხედრული. ყოვალი სიტყვის შემდეგ წერტილი ან ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი და სატკივარი მოსცეს მათს ფერხთა მიწა-მტვერს სულხან ყაფლანიშვილს.

მერმე ამას მოვახსენებ ჩემს ხემწიფეს: ჩემის პაპის ნასყიდი დუქნები დივანბეგის ცოლს გაუყიდია. ხემწიფემ ამისი აღიღათი შეიტყოს, თუ სხვას დედაკაცს გ[ა]ეყიდოს, ამასაც უწყალობეთ. და თუ არა, უმჯობესი ხელმწიფემ იცის.

მარცხენა კიდეზე

ქ. თავადებო და დარბაისელნო! ამ არზის აღიღათი მოგვახსენეთ, დედაკაცი მამულს გაყიდის, თუ არა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის როსტომ უზბაშო! მერმე მოკითხული ვქენით, რომ უშვილო ქვრივი მამულს ვერ გაყიდის, ერთს ალაგს რომ მაზლი და მაზლისშვილი იყოს. რაც მიქუაშვილმან პაპამ საბუთი უყოს, რომ თეთრი თუ რამ ფერი მიეცეს, ის სულხანს მიაცემინე და დუქნები სულხანს მ[ო]აბარე. მკათათვის **ლ**, ქორონიკონს **ულდ**.

ბეჭედი: მე ქრისტესა მონა, ქუეყნად შაჰანშაჰასი, მეფედ ცხებული საქართველოსი, 1744, თეიმურაზ.

verso

ქ. ბატონს ამ არზის ა[ღ]იღათი ებძანა. ქართლის სამართალში ქვრივს უშვილოს რძალს მამული არ გაესყიდვინება, რომ მაზლი და მაზლის წული ყვანდეს, იმათ უდასტუროთ. და ახლა ნება ბატონისა არის.

ქ. ბატონს ამ არზის აღიღათი ებძანა. ქართლის სამართალში ქვრივს უშვილოს რძალს მამული არ გაესყიდვინება, რომ მაზლი და მაზლის წული ყვანდეს, იმათ უდასტუროთ.

ბეჭედი: ... ბატონი სალთხუცესი...

---

1 + და.

ქ. ბატონს ამ არ[ზ]ის ა[ღ]იღათი ებძანა. ქართულს სამართალში ქვრივს უშვილოს რძალს მამული არ გაესყიდვინება, რომ მაზლი და მაზლის წული ყვანდეს, იმათ უდასტუროთ. და ახლა ნება ბატონისა არის.

ქ. ბატონს ამ არზის აღიღათი ებძანა. ქართლის სამართალში უშვილო რძალს მამული არ გ[ა]ესყიდვინება, რომ მაზლი და მაზლის წული ყვანდეს, იმის უდასტუროთ. ნება ბატონისა [არის]

16. არზა ერასტისა უმის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1746 წ. 9 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1431:0. დედანი. ქაღალდი. 22,5×16 სმ. მხედრული. განკეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი მოსცეს თქვენს მიწას-მტვერს ერასტის.

მერე ფარცხელი იმანყულ ქოთიშის არის ალგეთის პირზე. საცა მოეწონება, ხნავს. ფარცხელია და ფარცხისის ჭირში არ უდგება. ბედნიერმა ხემწიფემ ჩამოიყვანოს და იმის წყალობა გვიყოს, ჭირში მივიყენოთ. თავის ხლმის გასამარჯვებლათ ამის სამართალი გვაღირსოს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მილახორო ზაზავ! მერმე ერასტის უმა იმამყულას შვილი საცა იყოს, აუყარე და მოეც. თუ სიტყვა რამ ქონდეს, ჩვენს სამართალში მოიყვანე. ენკენისთვის **თ**, ქორონიკონს **ულდ**.

ბეჭედი: მე ქრისტეს ბონა, ქუეყნად შაჰანშაჰასი, მეფედ ცხებული საქართველოსი, 1744, თეიმურაზ.

17. არზა ოთარ გერმანოზიშვილისა მამულის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1747 წ. 9 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Q‡ 719. დედანი. ქაღალდი. 32,2×14, 8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სტრიქონის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს ფერჯთა მტვერს გერმანოზისშვილს ოთარს მოსცეს. მოეხსენება ბედნიერს ჯელმწიფეს, რომ ქვეყანა აიყარა და დაიკარგა. მეც ავიყარე და ურიებში გადავედ. ახლა თქვენს ბედნიერს დოვლათს მოვმართე და აქავ გიახელ.

ამას ვეხვეწები ბედნიერს ჯელმწიფესა: ვისაც ჩემი მამული დაეჭიროსთ, ჩემს სახლის კაცსა თუ სხვას ვისმე, ეროის ოქმის წყალობა მიყავით სარდლის შვილს რევაზზედა, რომ ჩემი მამულები მევე დამანებონ, მოსავალი ავიღო და თქვენი სამსახური შევიძლო თქვენად გასამარჯვებლად.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის სარდლის შვილო რევაზ! მერმე ვისაც ამ გერმანოზისშვილის ოთარის წილი მამული ეჭიროს, ისევ თავის პატრონს ოთარს და[ა]ნებონ. ხემწიფის სამსახურს ეს გა[ა]რიგებს. მაისის 9, ქორონიკონს **ულე**.

ბეჭედი: ქ. დავითის ტომად, მკუიდრ ტახტზედ მჯდომად, ჰყო საქართველოს ღმერთმან ცხებულად, მეფე თეიმურაზ.

18. არზა თამაზა თურქისტანიშვილისა მამულის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1749 წ. 16 თებერვალი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 10. Საბუთი № 100. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[111] ღმერთმან სამართლათ ამაღლებულის ბედნიერის ჯელმწიფოს ჭირი მათს ფერხთა მტვერს თურქისტანიშვილს თამაზას მოსცეს.

ამას წინათ მე კახეთს გიახელ და ჩემის მამულისათვის აბდულა-ბეგს მო[ე]კიდა ჯელი. ისევ კახეთიდამ გიახელი, მოგახსენე და ჩემის მამულის წყალობა მევე მიყავით თქვენად გასამარჯვებლათ და მიჭირავს, მამული ჩემი არის. ზოგი სამკვიდრო და ზოგი ნასყიდი მაქვს, რომ არას კაც ჯელი არა აქვს, არავის[ა]ვი[ს] მიმიყიდია და სიტყვა არავის აქვსთ. ახლა იმათი კაცი ჩამოსულა და კაცებსაც მართმევენ და მალსაც სთხოვენ.

ბედნიერი ჯელმწიფე თავის გასამარჯვებლად ამ ქვეყნიდამ ნუ დამკარგავს, სამართალი მაღირსეთ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერმე ამ თურქისტანიშვილის თამაზის მამული ერატისი არცა ჯელმწიფეს წაურთმევია და [ა]რც ჩვენ წავართვით, ამასთან ხელი არავის აქვს. თებერვლის **ი9** გასულს, ქორონიკონს **ულზ**.

19. არზა ბეჟან თუმანიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1750 წ. 12 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9037. საბუთი № რპგ. კრებული. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან მოწყალემან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს თუმანიშვილს ბეჟანსა.

ამას მოვახსენებ: ჩემი გლეხნი აყრილან და საკახეთოში და ზოგი სხვაგან დაფანტულან. ერთი ოქმის წყალობა მიყოთ, ჩემი გლეხი არავინ დამიჭიროს, მომცენ, რომა მეც ჩემი მამული არ გამიოხრდეს; რომ უიასაულოთ მამცენ, რომ გლეხს საიასაულო არ გაუვიდეს. თქვენს გამარჯვებას, ამ რიგის ოქმის წყალობა მიყავით.

თავში

ჩვენი ბრძანება არის! მერმე ვისაც კახეთში ამისი ყმა ყვანდეს, შოეცით; ვისაც სიტყვა ქონდეს, კარზედ ჩამოდით; თუ არადა, თავისი კაცი მოეცით ურუმობას აქეთ გამოსული. თიბათვის **იბ**, ქორონიკონს **ულთ, ჩლნ** წელს.

20. არზა ივანე ხახანაშვილისა საწისქვილოს თაობაზე იოვანე მდივანბეგის ოქმით

1751 წ. აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hძ 2974. დედანი. 24×16,5 სმ. ჭალალდი. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენის მოწყალის მდივანბეგის ჭირი მათს ფერხთა მიწა-მტვერს ერთაწმინდელს წმიდის ესტატის ყმას ხახანაშვილს ივანეს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ: მამაჩემ[მ]ა ფარეშიშვილის თევდორასაგან ნახევარი საწისქვილო იყიდა. მამაჩემი ლეკებმა მოკლეს, ს[ა]ხლით და ქარით აიკლეს, წიგნებიც იქ დაიკარ[გ]ა. ის ნასყიდობის წიგნი ურბნელი ფილიპესაგან არის დაწერილი. მე პატარა დავრჩი, არას შემეპოვა, ის ჩემი ნასყიდი წისქვილი კბილა გიორგი ქვიან, მეორეთ იმას მიყიდა; იმასაც უთხარი: ჩემი ნასყიდია, ნუ იყიდი-მეთქი და [ნურც] გამიყიდი-მეთქი. მი[ბ]რიყვეს, არ შემეპოვნენ, წამართვეს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი მაღირსეთ.

თავში

მდივანბეგი იოვანეს დიდათ იმ[ედათ] მისაჩენელო ზურაბ! მერმე რას[ა]ც ამ არზის პატრონი არზით ჩივის, თუ სიტყვა არა ჰქონდეს, გამოურთვი; თუ სიტყვა ჰქონდეს, აქ სამართალში ჩამოიყვანე. აპრილის ... ქორონიკონს **ულთ.**

ბეჭედი: სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის ამბჯომი(?) ღმერთგანცაა(?), იოანე, 1748.

ჭ. ამ ოქმის იასაულობა მდივანბეგმა მე, ზურაბ ნახუცვრისშვილს, გვიბრძანა მიველ ერთაწმინდასა და იმ ქვეყნის უფროსი კაცნი დასხდენ. ერასტი ცალქალამნიძე.

ქ. მოვიდა ამისი მოწამე ბერიკაცი ხუციაშვილი იესე, ქ. მესხაშვილი გიორგი † ქ. ამილბარაშვილი ბერუკა † ქ. გოჩიტაშვილისეხნია † ჩვენ, ერასტი ცალქალანიძე, ჯანდიერიშვილი მამუკა, დეკანოზი პეტრე, ბაგრატ ჯორაშვილი, ანანიაშვილი ადამ †.

ესენი ღ[ვ]თის ქვეშე შევაგდევით, დავაფიცეთ. ასე თქვეს: ხახანაშვილმა იყიდაო, წიგნიც დაეკარგაო. სამართალმა ეს მეორე მონასყიდე გაამტყუნა, ხახანაშვილს დარჩა. ††

კიდეზე: ქ. ნახევარი ადგილი დარჩა ხახანაშვილს საწისქვილო.

21. არზა მარდახასი ვალის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1751 წ. 6 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 213. დედანი. ჭალალდი. 26,1×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ღმერთმან მოწყალემან ბედნიერის ქელმწიფის ჭირი მათ ფერჯთა მიწა-მტვერს მუხაურელს მამასახლისის შვილს მარდახას მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ ბედნიერს ქელმწიფეს: ჯანაშვილი იოსებ და ბინიას ოცი მარჩილი იმერული თეთრი მართებსთ; და ოცდაოთხი მარჩილი ოტია ქველაძეს მართებს; და რვა მარჩილი გიორგი კილაძეს და თავისი ძმა აღდგომელას მართებს და რვა კოდი პურიც მართებსთ. ამაებს ვითხოვ და ჩემს ახას არ მაძლევენ და არას მეპუებიან.

ღმერთი გაგიმარჯვებს და მეფე ერეკლეს სადღეგრძელოდ გამიკითხე და ამისი სამართალი მაღირსეთ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო თავილდარო ბეკან! წადი და ვისაც ამ არზის პატრონი არზით უჩივის, თუ სიტყვა არა ქონდეს, რასაც უჩივის, გამოურთვი და მოაბარე. თუ სიტყვა ქონდეს, სამართალში მოიყვანე, ერთათ ალაპარაკე. მკათათვის **ვ,** ქორონიკონს **ულთ.**

ბეჭედი: უფლისაა მიერ მეფედ ცხებული, თეიმურაზის დამტკიცებული.

22. არზა ალელი ბეჟანასი პურის თაოგაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1751 წ. 20 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14368. დეღანი. ქაღალდი. 20×14,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი. ა-მეტხაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჭირი მოსცეს ალელს თქვენს ყმას ბ ე ჟ ა ნ ს.

ახლა ეს მოვახსენოთ ბედნიერს ხემწიფეს: ჩ ხ [ე] ი ძ ი ს ყმა ბ ა ს [ი] ლ ი ს შვილის ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ა ს ოთხმოცი კოდი პური ჩავყარ[ე] და ქირაცა მივეცი. მე ა ს პ ა ნ ა გასაყიდლათ მდევდა. მე ვეღარა მოუდექ. ახლა არაფერს პასუხს მაძლევს.

თქვენს გასამარჯვებლათ, მეფი[ა] ე რ ე კ ლ ე ს[1] სადღეგრძელოთ სამართალი მაღირსეთ.

თავში

ჩვენი ბრძანება არის იასაულო! ამ არზის პატრონი რომ პურს უჩივის, თუ სიტყვა არა ქონდეს, გამოურთვი და თავისი მოეცი. თუ სიტყვა ქონდეს, სამართალში მოიყვანე. გიორგობის **კ**, ქორონიკონს **ულთ**.

ბეჭედი: უფლისაჲ მიერ მეფედ ცხებული. თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს დამტკიცებული.

23. არზა ზურაბ გოსტაშაბაშვილისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1752 წ. 11 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2911. ღედანი. 22,5×14,5 სმ. ქაღალდი. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჭირი მათ ფერხთა მიწა-მტვერს გ ო ს ტ ა შ ა ბ ი შ ვ ი ლ ს ზ უ რ ა ბ ს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ: ერთი ჩემი ყმა წლევანდელი ჩასული ბიჭი ჰყავს ქისიყის მოურავს და უთქვენაწყინოთ არ მაძლევს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, იმის წყალობას ვითხოვ.

[1] ერკლეს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება [ა]რის ს უ ლ ხ ა ნ ეშიგვალასო! მოურავს მოახსენე, ამ კაცზედ თუ სიტყვა არა ქონდეს რა, ეს კაცი ახლავ მოსცეს. თუ სიტყვა აქვს, ის კაცი კარზედ მოიყუანოს. ქრისტიშობისთვის **იგ**, ქორონიკონს **უმ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

24. არზა მოქალაქე ბეჟანასი სესხის თაოგაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1753 წ. 8 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 218. დეღანი. 20,8×16 სმ. ქაღალდი. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი.

ქ. ღმერთმან მოწყალემან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მათ ფერჯთა მიწა-მტვერს, თქვენს ყმას, მ ო ქ ა ლ ა ქ ე ს ბ ე ჟ ა ნ ა ს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებთ ბედნიერს კელმწიფეს: ე რ თ ა წ მ ი ნ დ ა ს ვიყავ შარშან, ათი კოდი პური ვასესხე ნ ი კ ო ლ ო ზ ა ს გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ს, რომ ავჭალას უნდა მოეცა. ჩამოველი და ჩემი პური არ მამცა. ახლაც ვთხოვ ჩემს პურს და კიდევ არ მაძლევს. ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცება, ასე უსამართლო მჭირს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი მაღირსე, რომ ჩემის პატრონი გამხადოს.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის გურამიშვილო ნიკოლოზ! მერმე ამა ბეჟან[ა]სი პური გმართებია. თუ სიტყვა არა გქონდეს, თავისი პური მიეც, ნუღ[ა]რა აჩივლებ. და თუ სიტყვა [გ]ქონდეს, ს[ა]მ[ა]რთ[ა]ლში ჩამოყევ. გიორგობისთვის **ჱ**, ქორონიკონს **უმა**.

ბეჭედი: უფლისაჲ მიერ მეფედ ცხებული, თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს დამტკიცებული.

25. არზა ზიარელი სვიმონისა ცხენის თაოგაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1758 წ. 24 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3512. ღეღანი. ქაღალდი. 33,5×10,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან მოწყალემან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მათ ფერჯთა მიწა-მტვერს ზიარელს ზ უ რ ა ბ ა ს შ ვ ი ლ ი ს ყმას ს ვ ი მ ო ნ ს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებთ ბედნიერს კელმწიფეს: მე ავად ვიყავ, ერთი ზემოური ბიჭი მყვანდა, ლაშქრად ის გაახლე და ჩემს ცხენს ფეხები დასიოდა და დავარდნოდა. ჩემს მეზობელს ჩემი ცხენი შვიდ მინალთუნად ეყიდა, ოთხი მინალთუნი მიეცა და სამი მინალთუნი ზედ დარჩომოდა. რომ შავიტყე, კვირამდინ მისულვარ, ოთხი მინალთუნისათვინ ხუთი მინალთუნი მივეც და გივი ფარეშთხუცესმა იჩემა, ცხენი არ მამცა.

ასე უსამართლო მჭირს. თქვენად გასამარჯვებლად და მეფე ერეკლეს სადღეგრძელოდ ამისი სამართალი მაღირსე[თ], რომ ჩემი ცხენის პატრონი გამხადოს, რომ ლაშქარს მეძახიან თქვენი სამსახური შავიძლო.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ტარიელა სოლოღაშვილო! მერმე გოგილაშვილი ზიარელი მიჩბის[ს] სადმე დგას, აყარე და აქ ჩამაიყვანე, თავის ადგილს უნდა წავიდეს ყმა. ზიარელის სვიმონ[ი]ც ცხენს უჩივის. თუ სიტყვა არ ქონდეს, თავისი მიაცემინე. და თუ სიტყვა ქონდეს, სამართალში მოატანე. გიორგობისთვის კდ, ქორონიკონს **უმა.**

ბეჭედი: უფლისაჲ მიერ მეფედ ცხებული, თეიმურაზის დამტკიცებული.

26. არზა გოგილა თავქალაშვილისა ყმის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1764 წ. 6 მარტი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2354. პირი. ქაღალდი. ძხედრული.

ქ. ღმერთმან მოწყალემან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მათ ფერვთა მიწა-მტვერს თავქალაშვილს გოგილას მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ ბედნიერ კელმწიფეს. ამას წინათაც ჩემ-[მ]ა კაცმა თქვენთან მიჩივლა. და მე სიგელი არა მქონდა. და თქვენ განაჩენი გვიბოძეთ. ჩემს ყმას — ს[ვ]იანაძეს ფიცი უბძანეთ, მაგრამ ვერც დაიფიცა და ვერც მოფიცარი იშოვნა. მერმე კიდევ თქვენთან იჩივლა. და თქუენი იასაული მოვიდა, განაჩენი წამართვეს.

ღმერთმან და თქვენმან დოვლათშა მიშველა, სიგელი ვიპოვნე. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი მაღირსე. მესამე წელიწადია, რომ თქუენი ყმა ვარ და ორი კომლი კაცი მყვანდა, ორივე წამერთო. ოცი წელიწადს ამილახორის ყმა ვიყავ, რატომ მაშინ არა წამერთო, თუ ხატის ყმა იყო. თქუენად სადღეგრძელოდ შებრალება მაღირსე.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერათ მოლარეთხუცეს პა[ა]ტას ასე უამბეთ: ეს თავქალასშვილი რომ სვიანაძეს უჩივის, რადგან შენი შეწირულობის საქმეზე ლაპარაკობენ, ბატონს პატრიაქთან ალაპარაკე. სამართალი პატრიაქმა უყოს. უწინ რომ ლაპარაკობდენ, მაშინ თავქალასშვილს სიგელი დაკარგოდა. ახლა უპოვნია, ამან სამართალი გაშინჯოს. მარტის ე, ქორონიკონს **უმბ.**

ბეჭედი: უფლისაჲ მიერ მეფედ ცხებული, თეიმურაზის დამტკიცებული.

27. არზა ტერ-მელიქისეთაში მოახლის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1756 წ. 6 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14366. დედანი. ქაღალდი. 21,5×17 სმ. მხედრული. კოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭ[ირი] და სატკივარი მოსცეს თქვენს ყმას, მლოცავსა ტერ-მელიქისეთასა.

მერმე ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალესა, რომ კავთისხეველი ჭანასშვილი ბერიასაგან ურუმობას ერთი გოგო ვიყიდე ოთხის წლისა. ა[ქამ]დინ გავზარდე შვილსავითა; ასე რ[ომ] ოცდაათ[ი] [წელ]იწადია, რომ ვინახავ. ახლა გამაპარეს და [წა]იღეს კავთისხევს. არ მანებებენ, ჭანიაშვილი ივანამა*, ჩემი ნასყიდი გოგოა. თქვენგან იმდენი წუალო[ბა] იყოს, რომ ჩემი გოგო მე მამაცე[მ]ინოთ], ღმერთი გაგიმარჯვებს.

ქ. ჩვენი ბძანება [ა]რის იასაულო იასე ყორჩისშვილო! ეს ტერტერა რომ გოგოს მოპარვას უჩივ[ი]ს, ის გოგოს პატრონი სამართალში მოიყვანე. მთიბათვის ე, ქორონიკონს **უმდ.**

ბეჭედი: უფლისაჲ მიერ მეფედ ცხებული, თეიმურაზის დამტკიცებული.

* „ჭანიაშვილი“ სტრიქონს ზემოთ, ხოლო „ივანა“ ქვემოთ სწერია.

28. არზა მზეჭაბუკ ჯავახიშვილისა ვალიც თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1756 წ. 7 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8123. დედანი. 22×15,5 სმ. ქაღალდი. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჭირი მოსცეს ჯავახიშვილს მზეჭაბუკს.

ციხედიდელს იასშვილს თამაზას ორთუმანნახევარი თეთრი მართებს თამასუქით. ჩემს ვთხოვ, არას პასუხს მაძლევს. თქვენად[1] გასამარჯვებლად ერის ოქმის წყალობა გვიყავით, რომ ჩემის პატრონი გამხადონ.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის იასაულო ედიშერ სა[ა]მისშვილო! წადი, რასაც ამ არზით ჯავახიშვილი ჰბაძუა ციხედიდელს კაცს უჩივის, თუ სიტყვა ქონდეს, სამართალში მოიყვანე; თუ არა, თავისი მოაცემინე. ღვინობისთვის **ზ**, ქორონიკონს **უმდ.**

ბეჭედი: უფლისაჲ მიერ მეფედ ცხებული, თეიმურაზის დამტკიცებული.

29. არზა მგელია სოფხიშვილისა ყმოგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1756 წ. 16 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2704. დედანი. ქაღალდი. 33,5×16 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ სამი წერტილი. ა-ბეტნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჭირი და სატკივარი მათ ფეკთ მიწა-მტვერს მ[ა]რტყოფელს სომხიშვილს მგელიას მოსცეს.

მერმე დაკარგული ვიყავ და კელთუბნელმა თუმანიშვილმა პაპუამ დამიხსნა, თორმეტი წელიწადი შინ მიმსახურნია, მერმე უბრალო საქმეზე გამიწყრა და დიაღ გამლაჯა, ბორკილში ჩამაგდო, ავათ გაუკდი, ვკუდებოდი.

მოვიდა იმისი განდობის მამა პატრი, მნახა და უთხრა: თუ ამ ბიჭს არ აუშვებო და აზატს არ უზამო, ჩემთან ნუღარ გაივლიო. იმისის ქართულითა ამიშო და აზატი მიყო. წადი, ღმერთმან გიშველოსო.

წამოველ, მას აქეთ ხუთი წელიწადი ვიცოდვილე და თქვენის დოვლათითა უღელი კანბეჩ[ი] მოვიყოლივე, იმისი ხუთი მინალთუნი ჯერაცა მ[მ]აროებს. და ჩემი ქვეყანა და ჩემი მეზობლები და ჩემი სახლისკაცი გავიცან და იმათ[თ]ან მივდიოდი; და შამიტყო — ეს კაცი თავის ქვეყანას ბიდისო, მოდანა ზედა უღელი კანბეჩი, წამართო და წაასხა.

ჩემთან საქმე არ აქვს რა; თქვენი ყმა ვარ, ნუ დამკარგავთ[1]. თქვენის მღთის გულისთვის, თქვენის შვილის სა[დ]ღეგრძელოდ და თქვენდა გასამარჯვებლად სამართალი მაღირსეთ.

თაში

ქ. ჩვენ მაგიერად თუმანისშვილს პაპუას ასე უანბეთ. წერმე ამ მარტყოფელის სომხისშვილისათვის რომ აზატი გიქნია და გაგიშვია, ახლა ისე დაგიჭერია და ორი კანბეჩი წაგირთმევია. რას ემართლებოდი? აზატნაქნარი კაცი დაგირბევია. თუ სიტყვა არა ქონდეს რა და ეს არზი სწორე იყოს, თავისი კანბეჩები ისევ უკანვე ბრუნდეს. და თუ სიტყვა რამ ქონდეს ამასთან, ჩვენ მოგვახსენე. ქრიატიშობისთვის **ოვ**, ქორონიკონს **უმდ.**

ბეჭედი: კარს მიცემს, დავით მეკობრე ძენ კახეთის ცხებულს, ერეკლეს.

30. არზა ავთანდილ ჯავახიშვილისა მამულის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1757 წ. 31 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8572. დედანი. ქაღალდი. 29,6×14,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენთვის მრავალი მოწყალის ბედნიერის ხემწიფის ჭირი და სატკივარი მათს ფეხთა მიწა-მტვერს ჯავახიშვილს ავთანდილს ვსთხოვ.

მერე ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალესა, რომ ვისცავის ჩვენი და ან ჩვენი ყმის მამული ეჭიროს ვისმე უსამართლოთ, ერთის ოქმის წყალობას ვითხოვ, რომ დამანებონ. და ვისაც ჩვენი ნასყიდობის წიგნი და ბეჭედი არ ქონდეს, ხელი აიღონ, დამანებონ. და ვისაც

[1] თქვენად.

[1] დამკარგავთ.

სიტყვა რამ ქონდეს რამე, თქვენს სამართალში მოგვიყვანე და თქვენ ჩვენი სამართალი გვიყაყით ბატონო.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ვისაც ავთანდილ ჯავახისშვილის ყმისაგან ამისი საბეგრო მამული გიყიდნიათ ავთანდილის შეუკითხაეთ და შეუტყობრათ და ახლა იმ ნასყიდს მამულში მოსავალი გიდგათ, რაც მოსავალი მოგვიდესთ, ავთანდილს დააწერინეთ და ისევ თქვენთან იყოს ღალა. მასუკან ჩვენს სამართალში ავთანდილმა და თქვენ ერთათ ილაპარაკეთ და თუ სამართლით შემოგვიდესთ, ღალა მოეცით, თუ არადა, ვერას შემოგვიდესთ, თქვენი ღალა ისევ თქვენთანა იქნება. მაისის **ლა, ქორონიკონს უმე.**

ბეჭედი: უფლისაჲ მიერ მეფედ ცხებული, თეიმურაზის დამტკიცებული.

31. არზა გეთანიის დეკანოზის დავითისა ღალის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1757 წ. 14 ივნისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2400. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათ . ფერჯო მიწა-მტვერს ბეთანი[ი]ს დეკანოზს დავითს.

ამას მოვახსენებ ქრისტიანს ჯელმწიფეს. დიღომს ერთი ნაზ[ვ]რევი და ერთი მარინდაშვილის შეწირული მიწა არის, ბეთანი[ი]ს შეწირულია. იმის ღალა[1] იქამდინ სულ უძლევია თათრობასაც და ქართველობასაც. შარშან და წე[ლ]ს არ მოუცია თ.

ბედნიერმამ ჯელმწიფემ[2] ერთის ოქმის წყალობა მიყოს, რომ ღალა მომცენ, რომ წმინდას ღმრთისმშობელს ზეთი და სანთელი აუნთოთ. ბატონო, ბეთანი[ი]ს შეწირული ზვარი იყო, ახლა ნაზ[ვ]რევია.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის დიღმის მეღალეც და მამასახლისო! ამ ნაზვრევზედ და ერთს მიწაზე არზით რომ მოუხსენებია, ჩვენს ბატონობაში ღალა თუ[3] ეღოსთ, ახლაც ამათ[თ]ვის მიაცემინეთ. და თუ კულავ არც ეღოსთ, ნურც ახლა მისცემთ. მთიბათვის **იდ, ქორონიკონს უმე.**

ბეჭედი: უფლისაჲ მიერ მეფედ ცხებული, თეიმურაზის დამტკიცებული.

[1] ღალას. [2] ჯელმწიფეს. [3] თუ[ა]რ.

32. არზა დათეგანი სამართლიც ჭიცემაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1757 წ. 10 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 2038. დედანი. ქაღალდი. 19.8×15,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. ა ნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი და სატკივარი მოსცეს მათ ფეხთა მიწა-მტვერს ალელ თქვენს სახასოს ყმას დათებას.

აწ ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ხელმწიფეს: ასე რომე ძაღლიბანაშვილმა ერთი უღელი ხარები მი[ი]ბარა ჩემი, წიგნი მამცა, ასე რომე წელიწადში ოცი კოდი წმინდა პური, ოთხი კოდი ქერი ამენის კოდით მოგცემო. ახლა წელიწადი გამოვიდა პურს და ქერს არ მაძლევს. ამისი სამართალი მაღირსეთ თქვენ გასამართლებლათ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერმე ამ არზის პატრონი ამ არზით ძაღლიბანაშვილს პურს და ქერს უჩივის. თუ სიტყვა არ ქონდეს, თავისი მიაცემინე. და თუ სიტყვა ქონდეს, სამართალში მოატარე. მარიამობისთვის **ი, ქორონიკონს უმე.**

ბეჭედი: უფლისაჲ მიერ მეფედ ცხებული, თეიმურაზის დამტკიცებული.

33. არზა ივანე დაფქვიაშვილისა ღულის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1757 წ. 5 სექტემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 30. საბუთი № 230. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[189 v] ღმერთმან ბედნიერის ცხებულის ჯელმწიფის ჭირი მათ ფეხთა მიწა-მტვერს დაფქვიაშვილს ივანეს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ ჯელმწიფესა: რუის [ს] ცოტა რამ ნასყიდობა მაქვს, წყლითა და გზით მიყიდია, ჯელმწიფესაც მოეხსენე-

ბა რუისის წყლის გაჭირვება. ამთონი ჯელმწიფის წყალობა იყოს, რომ ვისგანაც მიყიდია, იმათი რიგის წყალი ჩემს ნასყიდს მოეცეს, როგორადაც სიგლებში მიწერია, თორემ ის ნასყიდობა ჩემთვინ გამოუყენებელი იქნება. [190] ამაზედ ჯელმწიფემ სამართალი მაღირსოს თავის გასამარჯვებლად და სადღეგრძელოდ.

თაყში

ჩვენი ბძა[ნება] არის რუისის მოურაო მოხელენო და მერუენო! ამ არზის პატრონს დაფქვიაშვილს რომ ნასყიდი მიწა ქონია, მიწა უწყლოთ სარწყავში არ იქნება, თავისის რიგის წყალს მოსცემდეთ, ვისგანაც ეყიდნოს, იმის [რიგით]. თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ [მოგვ]აღსენოს. ენკენისთვის ე, ქორონიკონს უმე.

34. არზა თეიმურაზ ფალავანდიშვილისა მამულის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1757 წ. 27 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 636. დედანი. 33,4×16,5 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ღმერთმან მოწყალემან ბედნიერის ჯელმწიფეს ჰირი მათს ფერჯთა მიწა-მტვერს თ ე ი მ უ რ ა ზ ს ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი ს შ ვ ი ლ ს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებთ ბედნიერს ჯელმწიფეს, ას[ე] რომ მე და ჩემი ძმა ვ ა ხ ტ ა ნ გ გ ო რ ს რომ სასახლეზე გვალაპარაკეთ, ე ლ ი ზ ბ ა რ თ ა ქ თ ა ქ ი ს შ ვ ი ლ ს რომ უბძანეთ: მიდი-თქო, მროველს როგორც გაერიგებინოს, ის გასინჯე-თქო; მაგრამ ელიზბარ თქვენს უოქმოთ[1] არ მოვიდა.

ამდენი თქვენი წყალობა იყოს, ერთი ოქმი უბოძოთ, რომ მოვიდეს, იმისი სამართალი გასინჯოს და თქვენ მოგახსენოს და რაც მიწები მაქვს წართმეული, ისიც მოგახსენოს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ამისი სამართალი მაღირსოთ.

[1] უოქმოთ.

თაყში

ქ. ჩვენი ბძანება არის ჩვენგან პატივცემულო თაქთაქიშვილო ელიზბარ! მერმე ფალ[ა]ვანდიშვილი თეიმურაზ ამ არზით თავის ძმას ვახტანგს უჩივის, მიდი და როგორც მროველს გ[ა]ერიგებინოს, ის გაშინჯე; და მიწებსაც რომ უჩივის, იმისიც მართლად შეიტყევ და სულ სწორედ მოგვახსენე ღმრთის წინაშე. გიორგობისთვის კზ, ქორონიკონს უმე.

ბეჭედი: უღლისაჲ მიერ მეფედ ცხებული, თ ე ი მ უ რ ა ზ ი ა დამტკიცებული.

35. არზა ჯუსეინბეგისა გალის გამოსავლის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1758 წ. მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5719. დედანი. ქაღალდი. 33,4×18.1 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან თქვენი ჰირის სანაცლო ქნას თქვენი ბანდა ჰ უ ს ე ი[ნ]-ბ ე გ. მრავალი, რაცოდენ ჩვენგან იყადრებოდეს სამსახურის ღირსება, ხელის კოცნა მოგვიხსენებია.

წიგნი გებოძათ, ჩვენი ხიზანი გამოგესტუმრებინათ, გიახლნენ, ღმერთმან ჩვენი თავიც სასიამოვნოთ გამსახუროსთ.

ერთს ამას მოგახსენებთ, რაღაც ბაღი გაქვს თქვენი წყალობა, ჩემი და ჩემის ძმის გ ი ო რ გ ი ს შვილის წილი ერთის ბარათით თქვენ გვიბოძეთ, ისევ გაუყრელი გვაქვს. მე ჩემი წილიც მაგისთვის მიმიბარებია. ამას მოველით თქვენის მოწყალებისაგან, თქვენც უბძანოთ მაგას ებაროს.

თუ რომ თქვენი წყალობა იქნება, მე ჩემის წილის ბაღის გამოსავალს ერთს კაცს უჩენ, იმას აძლიონ. იმან ბატონის მამის ჩემის საფლავს მსახუროს და იმაზე დახარჯოს. თქვენი დაუსაკლისი საქმე იქნება. აპრილის კთ. ქორონიკონს უმვ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, გ ა რ ე თ უ ბ ა ნ ს ყ ა ი ბ უ ლ ა ს ნაქონი ბაღი, რაც უსეინბეგს წილში რგებოდეს, გიორგის შვილის ტ ე ტ ი ა ს თ ვ ი ს[1] უსეინბეგს მიუბარებია და ჩვენც აგრევ გვიბძანებია, ამ ტეტიას ებაროს. მაისის, ქორონიკონს უმვ.

ბეჭედი: უფლისაჲ მიერ მეფედ ცხებული, თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს დამტკიცებული.

[1] ტეტიასთვინს.

36. არზა ალა მიშკარბაშისა მამულის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1759 წ. 30 ნოემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 22. საბუთი № 48. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[67] ღმერთმან ცხებულის ხელმწიფის ჭირი მ ი რ ი შ ქ ა რ ა ა ღ ა ს მოსცეს. ო თ ა რ მ დ ი ვ ა ნ ს რ ე ხ ა ს ნასყიდი წისქვილები ქონია. იმ წისქვილის უკან თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი პ ა პ ა ს ცოტა რამ ადგილი გაუყიდნია [V] რეხელს თ ა ნ დ ი ლ ა ზ ე. ის მდივნის ნასყიდი წისქვილის უკან სხვა წისქვილის გაკეთებას აპირებს სადმე. ის ალაგიც მდივნის ნასყიდია, პაპოას ტყვილათ გაუყიდნია. ვედრება მაქვს, რომ ცხებულმა ხელმწიფემ სამართალი გვაღირსოს.

თავში

ჩვენ მაგიერად ჩვენგან დიდათ პატივცემულს ყ ა ფ ლ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ზ ა [ა] ლ ს ასე უანბეთ. მერმე ამ არზის პატრონი მიშკარბაში ამ არზით თუმანიშვილს პაპუას წისქვილის ალაგის გაყიდვას უჩივის. თუ სიტყვა არა ქონდეს, ეგ წისქვილის ალაგი ისევ დაიხსნას და მიშკარბაშს მიაბაროს. თუ სიტყვა რამ ქონდეს, აქ კარზედ სამართალში გამოგზავნე. და მაგ რეხელს კაცს თანდილ[ა]ს რომ მიუყიდნია, მაგასაც თანბა უყავ, სამართლამდინ ნუ გააკეთებს. გიორგობისთვის **ლ**, ქორონიკონს **უმზ**.

37. არზა წინამძღვარ იოანიკიოსისა გუჯრის განახლების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1759 წ. 17 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3122. დედანი. ორადგილიანი ქაღალდი. 33,5×22 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენთვის მოწყალის ბედნიერის და ქრისტეს მოყუარის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მარადღე ჯელაპყრობით მლოცველთ ხარების ღმრთისმშობლის ფიდოეთოს მონასტრის ბერებს წინამძღვარს ი ო ფ ა ნ ი კ ი ო ს და მღდელ-მონაზონს კ ო ზ მ ა ნ ს მთაწმიდელებს.

მერმე ამას ვეხვეწებით ჩვენს მოწყალეს, რომე ქამთა ვითარებისაგან თქვენის პაპა-მამათაგან შეწირული მამულების გუჯრები იყო, დაგვეკარგა. ახლა გიახელით და თავი გაწყინეთ. რადგან ზ ე მ ო ხ ო დ ა შ ე ნ ი ჩვენი მონასტრის შეწირული ყოფილიყო, ახლაც გვიბოძეთ. ხარების საყდარი და რაც იმისი ყმა და მამული იყო, უუელა დაგვნებდა თქვენის მოწყალებითა.

ახლა ამისთვის ამას გკედრებით: ამ ჩვენს მორთმეულს არზაზედ თქვენის ოქმითა და ბეჭდით დამტკიცება მისცეთ, რომე დამტკიცებულ გუჯრად გამოჩნდეს, რომე დასამტკიცებელი და დაჯერებული გუჯარი შეიქნას, რომე ეს ამბავი წმიდათ კრებულთ მოუთხრათ და მათი მარადღე ლოცვა და ვედრება ღმრთისა მიერ თქვენთუის ჟმეტესად შეიწიროს და ჩვენც მარადის თქვენს ჩვენთვის მოწყალებას და მონასტრის მოწყალებას მიუთხრობდეთ. ა ხ მ ე ტ ა ს ა ც გვაქვს ყმა და მამული.

ხელრთვები ბერძნულად და სამი ბეჭედი ბერძნული ლეგენდით.

თავში

ქ. ჩვენ, მეფემან კახეთისამ ი რ ა კ ლ ი მ, დაგიმტკიცეთ გუჯრათ თქვენ, ხარების ღმრთისმშობლის ფილოთეოს წინამძღვარს იოანიკიოს და მონასტრის ბერებს, ასე რომ კ[ა]ხეთში ზემო ხოდაშენს და ახმეტას რაც მამულები გქონდათ, გუჯრები დაგკარგოდათ. ეს თქვენი მორთმეული არზაზედ ეს გუჯრათ მოგვიწერია, რომ რაც მამული გქონდესთ კახეთში, მოუშლელად გქონდესთ. აღიწერა დეკემბერს **იზ**, ქორონიკონს **უმზ**.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე. ე რ ე კ ლ ე.

მკრთე ფურცელზე ხუთსტრიქონიანი ბერძნული ტექსტია.

38. არზა იოსებ გლუურჯიძისა ყმის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1760 წ. 20 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2400. დედანი. ქაღალდი. 15×16,7 სმ. ფრაგმენტი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან მოწყალის ბედნიერის ჭ[ირი და] სატკივარი მ[ო]სცეს მათს ფეხთა მიწას-მტვერს გ ლ უ რ ჯ ი ძ ე ს ი ო ს ე ბ ს. მერე ამას მოვახსენე[ბ] ბედნიერს კე[ლმ]წიფეს. იმ დღეს გ ო რ ს...*

* დანარჩენი აკლია.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ჯავახიშვილო დათუავ. მერმე გლურჯიძე იოსებ ჩივის ამ არზით, თარხანი გიორგი თადინაშვილს ბიძინას ედავება.

ახლა ასე გვიბრძანებია: თარხანმან გიორგი გლურჯიძე იოსებს ერთი თავისი ყმა შეუგდოს; რომელიც თარხანმა შეუგდოს, ის გლეხი კაცი გლურჯიძე იოსებ ასე უნდა შეაფიცოს, რომ: ეს თანდილაშვილი ბიძინა ამ იოსების ყმაც იყოს...* და არც თარხანს ამასთან ხელი ქონდეს. თუ იოსებ ერთი თავისი ყმა, რომელიც თარხანმან შეუგდოს, [ასე შეაფიცო]ს, ეს [ბიძინა] იოსებს დარჩეს. და თუ ასე ფიცოს, თარხანს დარჩეს. საყდრის კარი თარხანმან [გააღ]ოს(?) იანვარს **ბ, ქორონიკონს უმფ.**

ბეჭედი: ფეტისაა მიერ შეფენილ ცხებული, თეიმურაზის დამტკიცებული.

39. არზა იესე ბარათაშვილისა ყმის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით

1760 წ. 21 ივლისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 26. საბუთი № 43. ჰირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე საბუთი № 43.

[40] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მათს მიწას ოსეს შვილს იესეს მომცეს.

ჩემი ნასყიდი კაცნი არიან [V] კახეთს, არას მემსახურებიან, ზოგი მსახურია, ზოგი მსახლობელი გლეხი. ხორხელში — მახარობელი, ველისციხეს — თამაზაშვილი დათუნა, საგარეჯოს — გიორგი, ტურისციხეს — აღვსიაშვილები, გავაზს — შალაბარაშვილი თამაზა, გავაზს — ქიტესა. ჩემი მსახური ესენი არიან. ზოგისა თავდები მყავს, ზოგისა მოწამე. ჩემის ნებით წამოსულან, აღარას მეპოებიან.

ამდენი წყალობა მიყავ[ი]თ, თეთრი დამიხარჯავს, მეც გაჭირების დროისათვის მინდოდნენ; ერთი იასაულის წყალობა მიყავით, ამიყაროთ, მომცენ, მე ვიმსახურო.

თავში

ჩვენ მაგივრად ქაიხოსრო ნაზირის შვილს ასე უამბეთ. ამ არზის მამრთმეისა კაცები საცა იყოს, შენ აუყარე და მოაბარე, საცა უნდოდეს, თვითონ დაასახლოს. ამისი აუყრელობა და მიუბარებლობა არ იქნება. რადგან ნასყიდები არიან, აუყარე და თითონ მიაბარე. საცა თითონ უნდოდეს, იქ დააყენოს და იმსახუროს. მკათათვის კა, ქორონიკონს **უმშ.**



40. არზა ზაალ დავითაშვილისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1761 წ. 19 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qქ 8644. ღედანი. ქაღალდი. 21.3×16.8. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაშვარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი და სატკივარი მოსცეს მათს ბიწა ფეხთა მტკვრს დავითაშვილს ზა[ა]ლს.

მერმე ამას მოვახსენებ ბედნიერს ხემწიფეს: ღმერთმან ასე თქვენს მტერს გაუჭიროს, როგორც მე საქმე მიჭირდეს. ხომ მოგეხსენება, ჩვენს მამულში ცეცხლი აღარ ანთია, აღარც ყმა დაგ[ვ]რჩომია, რაც ლეკს მაურჩა, დაიფანტნენ. ერთი კაცი მყვანდა სურამს, ისიც ხომ დამეკარგა, აღარავინ მყავს. თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, რომ ჩემთვინ სარჩო გაწყდა.

ახლა ამას მოგახსენებ: მაინც თქვენის ხელის შემხედველი ვარ და თქვენგან საფარველს მოველი, ამდენი წყალობა მიყავით, რომ საცა ჩემი კაცი იყოს ამ კახეთში, იმისი წყალობა მიყავით, რომ ავყარო და აქავ ერთს კაც[ს] მივაბარო და თქვენც გემსახურონ და მეც თქვენის წყალობით დავრჩე. დიაღ, ნაილაჯი ვარ, რომ მეტი აღარ იქნება.

ორი კომლი ველისციხეს არის — ერთი კურტანიძეა ზაქრო, ერთი კოჭატაძე, მაგრამ იმათზე თავს ველარ გაწყვენ და ვერცარას მოგახსენებ და სხვის წყალობა მიყავით, თუ არ გამიწყ[რ]ებოდეთ.

ქ. ანამზაშვილი სიხარულო აქ თელავს არის.
ქ. ხოტარიშვილი ღთისია გრემს არის.
ქ. ვარძიელიშვილი გავაზს არის ხიზანა და იმის სახლისკაცია.
ქ. კბილაშვილი ურიათუბანს არის.
ქ. ჯოხაძე თევდორე და იმის ძმა ჩუმლაყს არის.
ქ. ჭავჭავაძე გიორგი ვეჯინს არის.

* აკლია ერთი სიტყვა.

ქ. ბექიტაშვილი სერგოა ქემხასთან არის.
ქ. ხუციშვილი საგარეჯოს არის.
ქ. ელისაშვილი პატარძეულელებთან არის.
ქ. ნანიტაშვილი კიდევ ჩუმლაყს არის.
ქ. რაზმაშვილი რუისელი ველისციხეს.
ქ. ლომიძე ადამა ველისციხეს.
ქ. კობალაძე ველისციხეს.
ქ. ხუციშვილი ბიძა გიორგი აწყურს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ეშიკაღასო რევაზ! ეს კაც[ებ]ი აუყარე და მიაბარე. თუ სიტყვა ქონდეს ვისმე. მოგვახსენოს. თუ არადა, რაც ამ არზით მოხსენებულია, თავისი კაცები ამ არზის პატრონს და[ა]ნებონ ყველამ. თებერვლის **ით, ქორონიკონს უმთ.**

ბეჭედი: ქხარს მიცემს, დავით მიჯნობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

41. არზა შიოშ საყვარელიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1761 წ. 21 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10990. დედანი. ქაღალდი. 26×13,3 სმ. მხედრული. გაკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ხახმარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელწიფის ჭირი მოსცეს შიოშ საყვარელიძეს.

მათს ახალს სახასოს ფალვენისშვილი შიოშ რომ ტბეთს ერთს საკომლო მამულს მედაებოდა, გივი ამილახვარისათვის გირაოდ მიეცა. რა გივი ამილახვარი სურამის ციხიდამ გამოიყუანეს, მას აქეთ წიგნით ის მამული მე მიჭირავს სამამულეთ. შარშან შიოშ ფალვენისშვილი წამომედავა, თქვენი ბძანება და ოქმი მაქვს, რომ თუ გირაო ყოფილა, თეთრი უნდა მოეცა.

ახლა იმ გირაოს წიგნსა მთხოვენ და ასე მეუბნებიან: ან გირაოს წიგნი მოგვიტანეო და ან მამულზედ ქელი აიღეო. ის გირაოს წიგნი თქვუენის ბძანებით გლახა ნათიშვილს აბარია, იმ წიგნის წყალობას გეუედრებით, ოთხნი ძმანი გახლავართ, უმამულოდ ვერ გავძლებთ, ან მამული ვიყიდოთ და ან კიდევ დავიგირაოდ. ღმერთი გაგიმარჯვებს.

ამას გარდა, რაც თქვენი მამული წყალობა მიჭირავს, იმის წიგნები თქვენ გახლავსთ. მამულები მეკარგება, წიგნების წყალობას გეუედრებით. აპრილის **იწ, ქორონიკოს უნთ.**

თავში

ქ. ნათლის ძევ გლახავ! ამას ფანველიშვილის შიოშის მოცემული თამასუქიც მოეც. და რაც ამას მამულები უჭირავს და იმის წიგნები ჩუენ გვაქვს, ისიც უნდა შენ მოუძებნო. უპოვნო და მოსცე. აპრილის **კა, ქორონიკონ უნთ.**

ბეჭედი: ქხარს მიცემს, დავით მიჯნობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

მინაწერი

ქ. შიოშ საყვარელიძეს ოქმი რომ აეღო ჯელმწიფისა მამულის წიგნები მიუცო, ეს ოქმი იგი არის.

42. არზა პაატასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1761 წ. 19 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10389. დედანი. ქაღალდი. 27,7×10,7. მხედრული. გაკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. ა-მეტნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს მათს ბანდას პაატას. ახლა ამას მოვახსენებთ, თავს ვაწყენთ: ჩემი ყმა არის პაპა ქვიან, მეაქლემის შვილია; ამას წინათ ბატონს მამათქვენთან ვიჩივლე, ორი სამართალი მიბძანა: პირველათი სამართალი ასე მიბძანა: თუ ვახტა[ნ]გ მეფის დავთარში წერიაო სახასოშიაო, არ მოგცემო; თუ არ სწერიაო, შენი არისო. არ ეწერა. მასუკან კიდევ მეორე სამართალი მიბძანა დაიფიცეო, რომ ვახტა[ნ]გ ნეფეს არ წაერთმევინოსო, შენ გიბოძებო. პაპამ ათი თუმანი დახარჯა, მამიშალეს სამართალი.

ჩემისთანა უსამართლობა არას კაცს არ დაემართება. შენმა გამარჯვებამ, მამათქვენი უსამართლობას არ მიზამდა, არც წამართმევდა, შეცდომით აქნევინეს. მე ბიჭი გამეპარა, იმას გამოუდეგ; ყაზახში ვინემდინ მივიდოდი, წაერთმევიათ.

ჩვენს ხემწიფეს ამას ვეხვეწებით ქრისტეს გულისათვის ამისი სამართალი მაღირსოს. თქვენს ხემწიფობაში მე უსამართლობა დამემართოს, მასუკან ჩემს შვილს ვინღა უზამს სამართალს. თუ ამას

ტყუილათ მოგახსენებდე, რაც სხვას ტყუანს კაცს გარდახდოდეს, მეც გადამახდევინე.

ქ. ჩვენი ბძანება არის: ამ არზის მამრთმევმა. ჩვენთან უნდა იჩიქოლოს, მდივანბეგებსაც დავისწრავთ და სამართალს უზამთ. მაისის **ით**, ქორონიკონს **უმთ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

43. არზა ბეჟან თუმანიშვილისა დედის ულუფის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1761 წ. 30 ივნისი

ცსაა. ფ. 1448. № 3063. დედანი. ქაღალდი. 27,3×13 სმ. მხედრული. გაუკვეთლობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი. ა-მეტნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი თუმანიშვილს ბეჟანს მოსცეს.

წერე ამას მოვახსენებ: დედას ჩემს, თუ ბძანებთ, წელიწადში თორმეტს კოდს სულადს, ოთხს ლიტრას ცხვრის ხორცს, ოთხს ღორისას, ოთხს ძროხისას, ხუთს ლიტრას ლობიოს, ხახვს, ნიგოზს, სამს ლიტრა ყველს, სამს ლიტრა მარილს, ამას მივცემ.

ქ. ნახევარს ლიტრას ბანბას მივცემ, დავსთეს (?) და ის ჩაიცვას: რომ მოკვდება დავმარხავ, რაც შემიძლია, რომ ყოველთვინ თავი არ გაწყინოს. მოხსენებისთვინ ნუ გამიწყრებით, ღმერთი გაგიმარჯვებს.

ამას გარდა კიდევ ერთი ლიტრა ყველი, ოთხი ლიტრა თხის ხორცი — ესენ[ი] ოთხ-ოთხის თავისას მიეცეს ხოლმე და ყაბზი მაშცეს, რომ თქვენ ყოველთვინ თავი არ გაწყინოს.

თავში

ქ. მდივანო გორჯასპი! რაც ამ არზის სიაში სწერია, შეიგამოურთმევდე და ამ ბეჟანის დედას მისცემდე. ასე გაურიგე, რომ აღარც ერთმა ჩვენთან აღარ იჩიქოლოს. თიბათვის **ლ**, ქორონიკონს **უმთ**.

1+ ყვა თავი არ გაწყინოს.

თუ რომ კიდევ მეტი შეეძლოს, მეტით უნდა არჩინოს და მსახურობის თავის დედას.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

44. არზა ამსარჯისასშვილის ქვრივისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1761 წ. 28 აგვისტო

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 418. დედანი. ქაღალდი. 33,6×18 სმ. მარჯვენა ზემო კიდე მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. აქვე, ს. კარბელაშვილის პირად ფონდში, № 1461, რვეული 10, საბ. № 6 დაცულია საბუთის პირი, რომლის მიხედვითაც აღვადგენთ დეღნის ხარვეზებს.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის [ჭირი მოსცეს] მათ მიწატუერს გორელს [ამ სარქისაშვილის] ქვრივსა და ობოლს, ბრმასა. [ამას მოვახსენებ]თ:

პაპის თქვენის მეფის ერეკლეს დ[როს ჩემს მამა]მთილს ერთი სნეული პატარა ბიჭი [მოსულ]ია, შემოხვეწნია: აქიმი დამაყენე, სნეულობ[ისაგან] დამიხსენო, ჩემს თავს ნასყიდათ მოგცემო. ა[ქიმი] დაუყენებია, მოურჩენია, გაუზდია, გაუკაცებია. [ჩე]მის დედამთილის ნამზითევი მხლებელი მიეცია და ყმობის წიგნი გამოურთმევია.

ამ პაპის თქვენის დროსაც მეფის ვახტანგის დროსაც, ოსმალობასაც და ყიზილბაშობასაც და თქვენს ხელმწიფებაშიაც დღევანდლამდინ ჩვენი მოდავე არავინ ყოფილა. ასე რომ ჩემს მამამთილს თქვენი ჭირი წაუღია, ჩვენმა ქმარმაც თქვენი ჭირი წაიღო. და ის კაციც თეთრწუერა დაჰბერდა, ისე თქვენი ჭირი წაიღო. ორი ვაჟი დარჩა, ერთმაც თქვენი ჭირი წაიღო, მოკუდა; ერთი შვილი კი დარჩა, ჩიქილის ყურით გამიზიდია; დღევანდლამდინ არცავინ მოდავე ყოფილა და არც არავისთან ამ კაცს გაუწევია.

დღეს ჩვენ ქვრივ-ობერნი და ნაილაჯი გავმხდარვართ და ამ ჩემს კაცს ერთი ლუკმა პური აჭუს, მე რომე მოვლა აღარ შემიძლია, წასულა და ანანიას [შვი]ლის ადამისათვის უთქვამს: თქვენი ყმა ვარო. დღეს ჩემს ჩუმ[ა]თ ადამ ანანიასშვილი ჩემს ბატონს სა[ლთ]ხუცეს დიმიტრისთან მისულა, უჩემოთ გაუსინჯვინებია და წიგნი დაუტყუვნია. როცა ჩვენ შევიტყევით, მიველით,

გავსინჯეთ ყველა კარგა. ჩემის სიღარიბითა და უმსახურობით ყური არა მიგდო რა.

დღეს თქვენს ამაღლებულის ჯელმწიფობისათვის მოგვიმართავს, თქვენ ბრძანდებით ღმრთის ნაიბი ჯელმწიფე, ქურივ-ობლის ყურის მიმგდები თქვენის მეტი არავინ არის. თუ ქვრივ-ობოლს თქვენი ბედნიერობა ყურს არ გვიგდებდეს, აქამდისინ დავიყიდებოდით.

თქვენად გასამარჯვებლად ჩვენს არზს ყური მოუგდე. პირველად ღმერთი გვიმედებია, მერმე თქვენი სამართალი. ამისი სამართალი გვაღირსე თქვენად გასამარჯვებლად. ბედნიერს ჯელმწიფესაც მოეხსენება, რადგან გორი სამთავრო არის, მუდამ გორის ანანიაშვილები ყოფილან მამადმთავართა; სიცოცხლის დროს ან სიკვდილის დროს ხო[ლ]მე ამ ჩემის კაცის დედ-მამას საწესოს არას დააკლებდენ. თავიანთი ყმა თუ იყო, დღევანდლამდინ სად იყვნენ, ღმერთი გაგიმარჯვებს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იესაულო ივანე ავალიშვილო! ანანიასშვილი და ამ არზის პატრონი ორნივ ჩვენს სამართალში ამოიყვანე, ერთათ ალაპა[რაკე]. მარია[მობის თვის **კგ, ქოროწიკონს უმთ]**.

ბეჭედი. ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

45. არზა ელიზბარ ხერხეულიძისა მამული თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1761 წ. 7 ხექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 486. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 33×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. ა-მეტნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მათ ფეხთ მიწა-მტვერს ხერხაულიძე ბეჟანის ძმას ელიზბარს მოსცეს.

მერე ჩემი ძმა ხომ ბატონ მამათქვენს გაჰყვა. და მე უთქვენ შ[ე]უტყობრათ [წ]ამახდინეს და მახდენენ. მირზაშვილს ერთი [მამული] ხარაბა საკომლო მივყიდე და ახლა თეთრს უკან მთხოვს. უწინ ნამოსახლ კაცებს ვეხვეწე და არ იყიდეს. ამ ჩემ[მ]ა სახლის კაცებმა თავის მამული ზოგი ამილახვარის ყმას, ზოგი ერისთვის ყმას [მიჰყიდეს]; და მე თქვენს სახასოს მივყიდე. ახლა რომ

ღამული გამამერთო, იმისთვის ბეჟან ვალი აიღო და იმ ვალში მივე. თქვენც მოგეხსენებათ მე არ მაბადია რა.

ახლა თქვენი გასამარჯვებლათ ერთის ოქმის წყალობა მიყავით, რომ თეთრი [ა]ღარ მთხოვონ, თუ ჩემს სიტყვას მოიხსენებთ, მეც საჩივარი მაქვს, განაჩენებიც აქ მაქვს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ხერხეულიძე ელისბარ! შენი მამული მირზაშვილს მიჰყიდე ამისთვის, რომ ვალი გმართებს და ილაჯი ვერსად გიქნია. [ახლა] რადგან ასეა, დასტ[ური] მოგვიცია: მირზაშვილს ან თეთრი მიეც, ან მამული მიჰყიდე. ენკენისთვის **ზ, ქოროწიკონს უმთ.**

სხვა რაც საქმე [გაქვსთ], ჩვენ რომ ჩამოვალთ მაშინ მ[ოგვახ]სენეთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

46. არზა როსტომ საგინაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1761 წ. 21 დეკემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 30. საბუთი № 52. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[41 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი და სატკივარი მათს ფე[ხთა] მიწა-მტვერს საგინაშვილს როსტომს მისცეს.

ჩე[მი] ყმანი არიან ვაქირ[ს] გარდიაშვი[ლი] ერთი; საყდრიონში არის ო[რი?]; საგარეჯოს არის ერთი; თელავს არის ხელაშვილი. ერთის წყალობა მიყავით, თუ სიტყვა მოგახსენონ, თუ არა, ჩემი კაცნი დამ[ა]ნებონ, ერთიც წინანდალს.

თავში

ჩვენი ბძანება [არ]ის. მერმე ამ არზის პატრონს, რაც თავისი ყმა ყვანდეს სადმე, ნურავინ დაუჭერს, და[ა]ნებონ. და თუ სიტყვა ჭონდეს ვისმე, მოგვახსენოს. დეკემბრის **კა, ქოროწიკონს უმთ.**

47. არზა მეფისადმი ციციშვილისა ერეკლე II-ისადმი სამართლის მიცემაზე

1747—1749 წწ.

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 5048 a: ა. დედანი (?). ქალალდი. 196×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სტრიქონის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. იქვე დაცულია საბუთის მეორე ნუსხაც (5048 a : ბ), გადაწერილი უშნო ხელით, ა-მეტნაკლული. არზის ტექსტი ამ ორ ნუსხაში საგრძნობლად განსხვავებულია. საბუთი უთარიღოა. არზიდან ჩანს, რომ მისი ავტორი ქალანთარია. ქართლის ქალანთრობა 1744—1750 წლებში მეფისადმი ციციშვილს ეჭირა, რომელიც შემდეგ გაქრისტიანდება და იწოდება დიმიტრიდ (ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, I, 1940, გვ. 373). საბუთი დაწერილია თეიმურაზისა და ერეკლეს გამეფების, ე. ი. 1744 წლის შემდეგ. არზა დაწერილია ერეკლეს სახელზე, რომელსაც მომჩივანი მეფის ძედ იხსენიებს, ხოლო თეიმურაზს ყველგან მეფეს უწოდებს. საბუთი დაწერილი უნდა იყოს იმ დროს, როცა თეიმურაზი კახეთში არ არის, სპარსეთში იმყოფება, ე. ი. 1747 1749 წლებში. არზა უთარიღოა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია. დაწვრილებით ამ საბუთის შესახებ იხ. ჩვენი წერილი „ერთი ეპიზოდი ციციანოს იატორიდან" („მაცნე", „ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1973 წ. № 4, გვ. 142 -152).

ქ. ყ[ი]ლიჯ[ლ]ი ალიხანს რომ ბატონობა მისცეს, იმ თარიღში პაპუნა[ს] შვილი დავით და პა[ა]ტა იმერეთს კიკნაძეებში იყვნენ. იმ ხანათ მე ჯელმწიფის კარზე დამიბარეს ანგარიშისათვინ. ჩვენი წილი ყმა რაც მყვანდა — ან ქართველი ან სომეხი ან ურია ან აზნაურშვილი და ან იმისი გლეხი — სულ ძამის ციხეში მოვაგროვე. ალექსანდრემ თავისი საყმო მძოვრეთის ციხეში მოაგროვა.

ნე რომ ჯელმწიფის კარზე წაველ, ალექსანდრე და იმისი ძმა დავით აბდულ-ბეგს დაეჭირა ჩვენი აზნაურშვილებიც. ოთარა ვახტანგის შვილმა ლეკი მიიყვანა და მძოვრეთის ციხეს სულ ყათლანი უყო.

მე ამ თარიღში ქვეიდამ მოველ. ალექსანდრემ მითხრა: წავიდეთო, ჩვენს ქვეყანას ერთი გზა მივცეთო. ჩვენ რომ მძოვრეთს მივედით, პაპუნა[ს] შვილი დავით და პაატა იმერეთიდამ გადმოვიდნენ, ერთმანეთი ვნახეთ და შევრიგდით. პირობა დავდევით: მე ჯელმწიფის კარიდან უნდა მამეველო და იმათ მამულისათვის მოევლოთ.

დავითმა გვერდწითელს სალთხუცეს[ს] შვილი მოუნათლა, პაატამ ამირან გვერდწითელს მოუნათლა შვილი. ამ ნათლობითა და ამ შერიგებითა გამატყუილეს, სალთხუცესი ნიკოლოზ ხოსია გულბადიშვილი გაგზავნეს იმერეთს და კიკნაძეები მოიყვანეს. ძამის ციხეს ულალატეს. გვერდწითელი გიორგი სალთხუცესი, თავიანთი ნათლიმამა, მოკლეს, ნათლიდედა, სალთხუცის ჯალაბი, ჯაჯით მოკლეს — საჭონელი ჭოაჩინეო; თავისი ნათლული ციხიდამ გადააგდეს და ნაღირ-ფრინველმა შეჭამა.

იმ ციხეში ახალდაბული სახასო ხუცის შესამოსელი სტეფანაშვილს ებარა. პაატამ სტიხარი ახალუხათ შეაკერვინა და ოლარი სარტყლათ შემოირტყა, საბუხრის ჯაჭვები ახალუხზე ჯაჭვათ დაისხა; თავისი ნათლულის რძალი ხასათ დაისვა.

იმითაც არ იქნა: თავისი ნათლიმამა ამირან გვერდწითელა, თავისი ნათლიდედა, თავისი ნათლული, იმ ხასა სულ ყველას მოუსვა ჯელი და თათრებს მიჰყიდა. ამირან დღეს აქ გახლავსთ და ცოლი ახლაც თათრებსა ჰყავთ.

ამითაც კიდევ არ იქნა: წინამძღვრისშვილი მოკლეს შიო. დასახოცი დახოცეს, გასაყიდი გაყიდეს; ნახევარი ოსმალოს მიჰყიდეს და ნახევარი იმერლებსა. რაც ჩვენი ყმაწვილი იყო, რომ არავინ იყიდა, ციხიდამ გადაყარეს და ნადირ-ფრინველმა შეჭამა; რაც მონაზონი და ბებერი იყო, რომ არ გაიყიდებოდა, სულ ერთს სახლში შეყარეს, ბოძები გამოუყარეს, სახლი ზედ დააქცევს და ისე ეზიარებელი დაიოცეს. ძირს რაც დარჩა, შუა გაიყვეს, დავითმა იმერეთს წაასხა და იქ დაყიდა; და პატამ ოსმალოში წაასხა და იქ დაყიდა.

ქვეყანა ასე გაახარაბეს. იმათს მალუჯათს და ჩემს წილს მალუჯათს ჯელმწიფე მე მართმევდა. ოთხი წელიწადი ქვეყანა ხარაბა იყო*.

ღმერთმან შეგვიწყალა, რომ ქართლის ჯელმწიფობა თქვენ და შამათქვენს მოგეცათ. მეფე თეიმურაზ მიბძანა: წადი თქვენს ქვეყანაში, შენობა ჩამოაგდეო, მეც წყალობას გიზამო. მწყალობელი ბრძანდებოდით მეფეც და თქვენც. წაველ. ხარაბას ქვეყანაში

* 5048 a : ბ ნუსხაში ეს ადგილი ასეთი რედაქციითაა გადმოცემული: „სა[ა]ხ[ა]რ[ა]ბებული იყო, ოთხი წელიწადი არც ხ[ვ]ნა იყო, არც ისვა, არცა ცეცხლი ანთებულა, არც კალო გალეწილა და არც მამალს უყივლია".

შენობა ჩამოვაგდე, მოგეხსენებათ რა ხარჯი ვქენ და ან რა დავხარჯე. ქარელის ციხე ავაშენე თქვენის დოვლათითა.

ამ თარიღში დავით პაპუნა[ს] შვილი იმერეთიდამ გადმოვიდა და პაატა ოსმალოდამ გადმოვიდა. ამ თარიღში მირზა ჰუსეინ ვეზირი და კონსტანტინე მუხრანის ბატონი და მე მეფემ თეიმურაზ ზემო ქართლში მალუჯათზე გაგვგზავნა. საავალიშვილოდამ რომ დავბრუნდით, ვეზირააც დავპატიჟე და მუხრანბატონსაც, მაგრამ არ მეწვიენენ.

მე ერთის დღის დასტური მამცეს და გაველ ქარელში, ჩემი ღმაც და ალექსანდრეს აზნაურიშვილებიც დავპატიჟე, ვსვემდით. და დავით ზემო ქართლში დავიდოდა. სად იყო, სად არა, იმ სმაში თავს წამოგვადგა. ამ სმაში დავით და ჩემი აზნაურშვილები, იმისი მესისხლე[ე]ბი, შელაპარაკდნენ და იმ თავისმა მესისხლეებმა დავითს უღალატეს.

[მერმე] ალექსანდრეს სალთხუცესმა — მეღვინეთხუცესშვილმა მამკრა ჯელი და კოშკში ამიყვანა.

მე ავდექ და თქვენს და მამითქვენის სამართალში კარზე ჩამოველ თავის სამართლებლათა. მეფე არ დამჯერდა, გამიწყრა და დამიჭირეს და ქალაქის ციხეში დამაბეს.

ყაფლანიშვილი ზაალ გაუსივეს და იმისი მკვლელები ქარელში იყვნენ და ჩამოაყვანინეს. მეფემ თეიმურაზ მოძღვრით ხალხში სამჯერ-ოთხჯერ გაიკითხა და ფიცი მოახსენეს ქალანთარი იმის სიკვდილში არ ურევიაო. ახლაც კიდევ განაჩენი გამცეს მეფე თეიმურაზ და ბატონიშვილმა პატრიარქმა[1] ანტონიმ და სულ დარბაისელთა სულ დამიბეჭდეს, რომ მართალი გამოველ.

აქამდინ კი იყაბულეს ის განაჩენი და ახლა აღარ ყაბულობენ. ახლა თქვენ ჰქენით სამართალი, თუ დანაშაული მაქვს, გადამახდევინეთ. ერთი კიდევ არის — იმისი მკვლელი გაიკითხეთ, თუ ურევიარა რაშიმე, თამბა მიყავით.

ეს კაცი მეც მემუქრება, ხან თოფით იწევს ჩემზე, ხან ხლმით მკლაეს, რას მემართლება? ჯელმწიფემ სამართალი მაღირსოს.

ჯამის ციხეში დავითმა და პაატამ რომ აზნაურიშვილი და გლეხი ამოსწყვიტეს და გაყიდეს ეს იმისი დავთარია

ა ქ. გვერდწითელი სალთხუცესი გიორგი კვამლი ერთი ცოლით, შვილით, ძმით, ძმისწულებით, შვილებით, მოახლით და მოსამსახურეებით.

ა ქ. ამისი განაყოფი რამაზა ხიზნითა კვამლი.
ა ქ. ამათი ყმა ტურაშვილი კვამლი.
ა ქ. სვიმონ კვამლი.
ა ქ. ოთარა კვამლი.
ა ქ. ქვრივიშვილი ხიზნითა კვამლი.
ა ქ. ჯანთუაშვილი კვამლი.
ა ქ. ხაბაზი კვამლი.
ა ქ. სადებაშვილი კვამლი.
ა ქ. კიდევ აზნაურშვილი ბუნიათიშვილი ცოლ-შვილით კვამლი.
ა ქ. ამისი ყმა კუპრაძე კვამლი.
ა ქ. კაკნიაშვილი კვამლი.
ა ქ. კიდევ აზნაურიშვილი წინამძღვრისშვილი ზაალ, ცოლითა, შვილითა, ძმითა, რძლითა, მსახურითა კვამლი.
ბ ქ. ამისი ყმა დარჩაშვილი კვამლი [ორი].
ბ ქ. ბანკანაშვილი კვამლი [ორი].
ა ქ. კიდევ აზნაურშვილი წინამძღვრისშვილი შიოშ ცოლით, შვილით, მოახლით, მსახურით კვამლი.
ა ქ. ამისი ყმა ჯულეიმანიშვილი კვამლი.
ა ქ. აზნაურშვილი ჩინჩალაძე კვამლი.
ა ქ. აზნაურშვილი ქურდევანიძე კვამლი.
ა ქ. აზნაურშვილი მანველიშვილი ზურაბ კვამლი.
ა ქ. აზნაურშვილი მუჩაიძე კვამლი.
ა ქ. აზნაურშვილი მანველიშვილი პეტრე კვამლი.
ა ქ. აზნაურშვილი რაზმანაშვილი ცოლით, შვილით კვამლი.
ა ქ. აზნაურშვილი უზნაძე კვამლი.
ა ქ. აზნაურშვილი ტენტერაშვილი კვამლი.

ქ. ამ აზნაურშვილების თავეთი და თავეთის ცოლ-შვილის და ყმისა ოქრო, ვერცხლი, თვალი და მარგალიტი რაც ჭონდათ — ბევრი თუ ცოტა — თეთრი, სპილენძი, ტანთა, ფეხთა, ქვეშაგები. გუთნეული, ცხვარი, ძროხა, კანბეჩი, ღორი — ამათი სარჩო პური, ღვინო, ყველი, ერბო, ხმელი თუ ნედლი; ამ აზნაურშვილებისა და ამათის ყმების თოფი, ხმალი, იარაღი, ტყვია და წამალი კიკნაძეებითა და ორჯონიკიძეებითა აიკლო და ყათლანი უყო.

ქ. წმინდის ნიკოლოზის ყმა ზურაბაშვილი დილენჯი კვამლი.

[1] პატრიექმა.

ა ქ. უთნიაშვილი კვამლი.
ა ქ. ცუციშვილი კვამლი.

ქ. სახასო გლეხი და მსახური

ა ქ. ფხაკაძე იასე, ცოლითა, შვილითა, ძმითა, ძმისწულებითა კვამლი.
ა ქ. სტეფანაშვილი კვამლი.
ა ქ. გლახას ძიაჯ ჭრმითა, შვილებით კვამლი.
ა ქ. სარიძე კვამლი.
ა ქ. ტურასშვილი კვამლი.
ა ქ. თევდიაშვილი ბეჟუა კვამლი.
ა ქ. ამის განაყოფი პაპუა კვამლი.
ა ქ. ხუციშვილი კვამლი.
ა ქ. ლაგურაშვილი კვამლი.
ა ქ. ლომინაშვილი კვამლი.
ა ქ. შაყულაშვილი კვამლი.
ა ქ. კბილაძე კვამლი.
ა ქ. ნოზაძე კვამლი.
ა ქ. ღოღაძე კვამლი.
ა ქ. ლოლაძე კვამლი.
ა ქ. მთიული კვამლი.
ა ქ. ჰულუპაშვილი თათუნა კვამლი.
ა ქ. ამისი ვანაყოფი კვამლი.
ა ქ. მასიტაშვილი კვამლი.
ა ქ. ნონაშვილი კვამლი.
ა ქ. პოღოზაშვილი კვამლი.
ა ქ. ბარჩაკოზასშვილი კვამლი.
ა ქ. ჰულუხაძე კვამლი.
ა ქ. აბრამიშვილი კვამლი.
ა ქ. შალომ კვამლი.
ა ქ. გოგიაშვილი კვამლი.
ა ქ. ჯინჯიხაშვილი კვამლი.
ა ქ. ბეჟუა სომეხი კვამლი.
ა ქ. არუთინა ჭონი კვამლი.

ქ. ამ სახასო გლეხების საქონელი — ცოტა თუ ან ბევრი — თეთრი, ეერცხლი ან სპილენძი ან თოფი ან ხმალი ქვეშაგები ან ცხვარი ან გუთნეული ან ძროხა ან კანბეჩი ან ამათი სარჩო, პური, ღვინო

ან ერბო ან ყველი ან სახლის ავეჯულობა — ესენი სულ აკლებული არის.

ქ. ამ ჩემის ყმის გარდა ჩემი საქონელი, მოფენილობა, სპილენძი, ხარი, ძროხა, გუდნეული, პური, ღვინო, კანბეჩი, ტყვია, წამალი, გოგირდი, გვარჯილა, ქაჟი, ჯაზაირები — რაც ციხის რიგი იყო, ესეც სულ აკლებული მაქვს.

ქ. აზნაურშვილი და გლეხი არის თავეთის საქონლით **ნთ** კვამლი, საქონელსა და სახლის ავეჯულობის გარდა.

მინაწერი verso-ზე:

„ქ. ძამის ციხის ამოწყვეტის დავთარია, დავითისა და პაატასაგან“.

II

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 5048 b : a. პირი. ქაღალდი. 35,6 × 14 სმ. წხედრული. გაჭკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. აქვე დაცულია ამ საბუთის მეორე პირიც — 5048 b : b.

ქ. ჩემი ძმა ქაიხოსრო რომ ცოცხალი იყო, ხანჯანხანის ბატონობაში ციციშვილმა პაატამ ყაზახობა დაიწყო.

ქ. კიკნაძეებს მოუძღვა გვერდწითლის ოჯახზედ, თითონ ტყეში დაიმალა. უზნაძე გიორგი, მაღრაძე ყოყია ბელადათ გამოატანა. მეც იქ ვეგულებოდი. მე გვერდწითლის სახლში აღარ დაუხვდი, გამოვასწარ. იმ ღამეს მოუბდნენ, გვერდწითელი დათუნა მოკლეს, ოჯახი სულ აუკლეს, სოფელი სულ დაატყვევა, საქონელს გარდა ტყვე წაიყვანა **კზ** ოცდაშვიდი.

ივ ქ. კიდევ პაატა მოუხდა გუჯარეთსა სამი კვამლი კაცი აჰყარა, ტყვე წაიყვანა სული თექვსმეტი, საქონელსა და ოთხფეხს გარდა.

ე ქ. ორი მსახური ტბაზე ტბის ყურულისთვინ გავგზავნე — ერთი ი[ე]სე და ერთი მურაძე, სამი გლეხი კაცი თან გავატანე; ეს ხუთნი იქ დაიჭირა და დაყიდა.

დ ქ. კიდევ პაატამ გაყიდა აზნაურშვილი ჩინჩალაძე სული ოთხი.

ი ქ. კიდევ გაყიდა ქიტაშვილი კვამლი ერთი -- სული ხუთი, საქონელს გარდა.

ლე ქ. კიდევ პაატამ გაყიდა თავის საქორწილოთა ალისხეობაზე ესახლა ჩვენი ყმა -- ქართველი, სომეხი და ურია -- ტყვე სული ოცდათხუთმეტი.

ყბ იქნა ამ ტყვიის ჯამი, საქონელსა და ოთხფეხს გარდა. სული ოთხმოცდათორმეტი.

მინაწერი verso-ზე:

„ქ. პაატას საკუთარი გასაყიდული ტყვის დავთარი“.

III

ცსსა. ფონდი 1448, საბუთი № 5048.. ც : ა. პირი. ქაღალდი. 68×15,7 სმ. მბეჭდური. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. აქვე დაცულია ამ საბუთის მეორე პირიც — 5048 ც : ბ.

ქ. ჩემი ძმა ქაიხოსრო რომ ცოცხალი იყო, მაშინ ზაზა ჯავახეთს წავიდა და იქიდამ ყაზახობა დაიწყო, რაც კაცნი დაატყვევა:

ქ. მძოვრეთიდამ წაასხა ხატუნაშვილი ოვანეზა კვამლი ერთი — სული იყო რვა, თავისი საქონლითა.

ქ. გოგლიძე ნინია კვამლი ერთი — სული იყო ხუთი, თავის საქონლით. ეს გუჯარეთის სარბიელს ესახლა.

ქ. ლუკასშვილი კვამლი ერთი — სული იყო შვიდი, თავის საქონლითა; ესეც სარბიელს ესახლა.

ქ. ბერუაშვილი თავის საქონლით კვამლი ერთი თაე[ი], გუჯარეთს ესახლა, სული იყო რვა.

ქ. ვარდიაშვილი თავის საქონლით კვამლი ერთი. გუჯარეთის რუისს ესახლა, სული იყო შვიდი.

ქ. აზნაურიშვილი ქურდეანიძე თავის საქონლით, სული ხუთი.

ქ. აზნაურშვილი ჩინჩალაძე სული ორი.

ქ. ფიტარიძე კვამლი ერთი თავის საქონლით, სული ოთხი.

ქ. კბილაძე კვამლი ერთი თავის საქონლით, სული რვა. იქნა ამ ტყვის ჯამი, საქონელს გარდა, ტყვე ნდ.

ქ. ზაზა რომ ყაზახობდა, თავისი ბიძაშვილი დავით გამოუდგა და კენაღამ ერთმანერთი დახოცეს.

ქ. ავალიშვილის ყმა ფიტარიძე რომ გაეყიდა ცოლ-შვილით, ჩამოსულიყო და იმან-ყული-ხანთან ეჩივლა. იმ თარიღში მე ყვე[ე]ნის კარზე ვიყავ. იასაული გამოესია იმან-ყული-ხანს და ჩემი ძმა თამაზ ჩაეყვანინებინა, გასწყრომოდა და თავს აგდებინებდა: შენი ბიძაშვილი ყაზახობსო, ჯელმწიფის რაიათს პყიდისო.

გივი ამილახვარი დასწრებოდა იქ, მოეხსენებინა: მაგისი სიკვდილით რა გარიგდებაო, არც ზაზა ყაზახობას მოიშლის, არცარას ინაღვლისო; ერთი წიგნი ფაშას მისწერეო — ან დაიჭიროს და აქ გამოგზავნოს, ან ყადაღა უყოს, რომ ყაზახობა აღარა ქნასო. მაშინვე ფაშისთვის იმ წიგნი მიეწერა იმან-ყული-ხანსა.

ფაშას პასუხი მოეწერა: თუ ჩავიგდეო, დაჭერილს გამოგიგზავნიო; თუ ვერ ჩავიგდეო და კიდევ მანდ ყაზახობა დაიწყოს, მანდიდამ კაცი გამოჰყვეს და რომელსაც სოფელში მოვიდეს, მე მაცოდინოს და მე ხელშეკრულს მოგართმევ, ჩემი ქეყანა იმას არავინ უქომაგებსო.

ფაშის წიგნი რომ მოსვლოდა, იმან-ყული-ხანს ერთი ოქმი ავალიშვილისთვინ ჯეობაში მიეწერა, ერთი ოქმიც გუჯარელებისათვინ[1] მიეწერა: ის ზაზა საცა გაჩნდესო ყაზახათაო, თქვენ უკან მიჰყევითო, ან მოკვლითა და ან დაჭერით დამიჭირეთ და მომგვარეთო.

მოხდომოდა წითელ პარასკევს გუჯარეთს კბილაძე აეყარა ცოლითა, შვილითა, საქონლითა. ჯეობელნი და გუჯარელნი გამოსდგომოდენ, მოსწეოდენ ჯავახეთის ალათუბანს. იქ გამავრებულიყო. იმას მდევარი დაეხოცა, ამათაც სროლა დაეწყოთ. ავალიშვილის ყმა ფიტარიძე, ცოლ-შვილი რომ იმისგან დაყიდული ჰყვანდა, იმას თოფი ეკრა და მოეკლა.

ამ თარიღში მე ყვე[ე]ნის კარზე ვიყავ ჩაფრათ. რომლისაც კბილაძის მოხდომაზე მამკვდარა, ის კაციც მზათ აზირში არის. აბაშიძის მამულში სუ[რ]ამის ბოლოს ჭალას სახლობს. მოკითხული ჰქნას ბედნიერმა ჯელმწიფემ და სამართალი მაღირსოს.

მინაწერი verso-ზე.

„ქ. ზაზას საკუთარი გასაყიდულის დავთარი“.

---

[1] გუჯარელებისათვინს.

IV

ცხსა. ფონდი 1448. საბუთი № 5048 d : ა. პირი. ქაღალდი. 73×15,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. აქვე დაცულია ამ საბუთის მეორე პირიც — 5048 d : ბ.

ქ. ჩემი ძმა ქაიხოსრო რომ მოკლეს, მე ბალხეთის-ქენ ოგრანს ჩაფრათ ვიყავ. იმან-ყული-ხან გამამგზავნა, იქიდამ რომ მოველ, ჩემი ძმა მკვდარი დამხვდა. დავით პაპუნა[ს] შვილი მოვიდა ქალაქს, მამატყუა — ერთობა ვქნათო და თავისი მამულის ბატონობა მამცა, თავისი საყმოს მალუჯათი თავს დამადო. პა[ა]ტა და ზაზა ყაზახათ იყვნენ. თითონც ადგა დავით; თავისი ყმითა, აზნაურშვილითა მოუსვა სულ ჯელი და კიკნაძეებში გადავიდა. იქიდამ მოუძღვა კიკნაძეებს და მიწობს მოუხდა, ტყვე წაიყვანა **ლგ** ოცდაცამეტი.

ბ ქ. საროძის ცოლი ორსული შუა გააჭრევინა.

რმზ ქ. საქონელი წაასხა ოთხფეხი სულ, სახლის ავეჯულობას გარდა.

კმ ქ. კიდევ მეორეთ მოუხდა წვიმეთს და ხცისა კიკნაძეებითა და ამაშუკლებით დავით ტყვე წაიყვანა ოცდარვა.

ქ. ორი სოფლის საქონელი სულ წაიღო — ღვინო, პური, სახლის ავეჯულობა, სახლები კი დაწვა.

ქ. ერთი აზნაურშვილი უზნაძე ელიზბარა ოცდაშვიდი თუმნითა გავგზავნე გვერდწითლის ტყვეების დასახსნელათა. ის აზნაურშვილიც დამიჭირა და გაყიდა და თეთრიც შეჭამა დავითმა.

ქ. ბუნიათიშვილმა იასემ, დავითის ყმამ, ორს ჩემს აზნაურშვილებს ყელები დამიჭრა[1] გვეძინეთს კოშკში და თოფი და იარაღი და ჯაზაირები სულ წაიღეს, ჯაზაირი ორი ვერცხლის, ყაწიმები იმათი.

იე ქ. კიდევ დავითმა და პაატამ გამიყიდა კბილაძის ტყვე თხუთმეტი.

თ ქ. ქურდევანიძის ყმები გაყიდეს დავითმა და პაატამ — სული ცხრა.

იზ ქ. კიდევ სკრელი კაკაშვილის ტყვე[ე]ბი დაყიდეს დავითმა და პაატამ — სული ჩვიდმეტი.

[1] დამიჭირა.

ი ქ. წმინდის ნიკოლოზის ყმა აგარელი დაბრუნდა შვილი ხაბაზი გაყიდეს — ტყვე სული რვა, თავისი საქონლითა და სახლის ავეჯულობითა.

ზ ქ. კოჩუაშვილი გაყიდეა სული შვიდი თავისი საქონლითა და სახლის ავეჯულობითა.

იდ ქ. კიდევ მურაძე გაყიდეს კვამლი ერთი სული თოთხმეტი თავისი საქონლით და სახლის ავეჯულობით.

ბ ქ. კიდევ წვიმეთს აიკლეს და გაყიდეს ქვრივისშვილი სული სამი, თავის საქონლით და სახლის ავეჯულობით.

ა ქ. ფრანგიშვილის ყმა გაყიდეს სული ერთი.

ბ ქ. რუისელი ბატიყვლიფაშვილი გაყიდეს სული [ორი].

გ ქ. ხვედურელი ალექსიძის რამაზის ყმა გაყიდეს კვამლი ერთი — სული სამი, თავის საქონლითა და სახლის ავეჯულობით.

რნე იქნა ამ ტყვის ჯამი სული ასორმოცდათხუთმეტი, საქონელსა და სახლის ავეჯულობის გარდა.

მინაწერი verso-ზე.

„ქ. საერთოთ გასყიდული ტყვის დავთარია“.

48. არზა გლახა გერიკაშვილისა სამღივანბეგოს თაოვაზე ერეკლე II-ის ოქმით

1762 წ. 10 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10659. დედანი. ქაღალდი. 33,3×21,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი და სატკივარი მოსცეს შათ მიწა ფეხთა მტვერს თუმანიანთ პაპუას ყმას ახალდაბელს გერიკაშვილს გლახას.

მერე ამას მოვახსენეფთ ჩვენს ბედნიერს მოწყალეს ჯელმწიფეს, რომ: მაშინ ქართლი კახეთს გადმოცვი[ვ]და, თქვენს კალთას შე[ე]ხიზნა, ერთი მღდელი მამა მყვანდა, კონდოლს გიახლათ, ოთარ მდივანმა ხელი და[ა]დვა და მამული არ გვეჩირა იმისა და თავისთვინ [მ]ღრდლობდა, რასაც შოულობდა, სულ ხელიდამ ართ-

მევდა სიცოცხლის დროს. ორი საპა[ლ]ნე ღვინო — ერთი წაგვართვა, საპა[ლ]ნე თორმეტ მინალთუნათ გადიოდა; ერთი საპა[ლ]ნე და რვა ჩაფი მაგისმა ამამ სოლომანმა წაგვართვა; მერმე მამა მამიკ[ვ]და, სახარება და სამოციქულო წამართვა, თოფი და იარაღი, ორმოცდაათი შაური თეთრი; აღარა დამრჩა რა, რომ მამა დამემარხა ერთი ცხენის მეტი. ის ცხენი გავყიდე ორთუმან ექ[ვ]ს მინალთუნათ და მამა დაემარხე. და ერთი თუმანი დამრჩა იმისი და გაბაშვილის ყმას თხინვალელს წიქარაშვილს სარგებლით მივეცი; და თქვენის ჰოქმით თუმანიშვილმა პაპოამ წამამიყვანა ხელთუბანს და თეთრი იქ დამრჩა, შვიდი წელიწადია. ამას წინათ რომ წაბძანდით, თქვენ გიახელით და ჩვენი ხახი ჩვენვე მოვრიგდით და გამოვართვი ცოტა თუ ბევრი, არავისთან მიჩივლია.

ახლა მდივანი ორ მინალთუნს სამდივანბეგოს მთხოვს. მერმე ჩვენს ბედნიერს ჯემწიფისაგან წყალობა იყოს, რომ ამის სამართალი მაღირსოს, რაც ჩემგან წაურთმევია. იანვრის **ჱ**, ქორონიკონს **უნ.**

თავში

ქ. მდივანო ოთარ! ამ კაცმა მოწამე იშოვა, რომ ერთმანეთს თვითანვე შესჯერებიან და შენ სამდივანბეგოს რადმე სთხოვ: დაეხსენ, თორემ თუ სამართალში ილაპარაკეთ და გამტყუვნდი, რასაც რომ შენ სთხოვდი, იმდონი შენ გამოგერთმევა. იანვრის **ი**, ქორონიკონს **უნ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

49. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1762 წ. 11 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Q-ძ 8644. დედანი. ქაღალდი. 21.5×16.8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი და სატკივ[ა]რი მოსცეს მათს მიწა ფეხთა მტვერს დავითიშვილს ზაალს.

მერე ამას მოვახსენებ ბედნიერს ხელმწიფეს: ღმერთმან ასე თქვენს მტერს გაუჭიროს, როგორც მე საქმე მიჭირდეს. ხომ მოგეხსენება, ჩვენს მამულში ცეცხლი აღარ ანთია, აღარც ყმა დაგ[ვ]რჩომია; რაც ლეკს მოურჩა, დაიფანტნენ. ერთი კაცი მყვანდა სურამს, ისიც ხომ დამეკარგა, აღარავინ მყამს, თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, რომ ჩემთვის სარჩო გაწყდა.

ახლა ამას მოგახსენებ: მაინც თქვენის ხელის შემხედველი ვარ და თქვენგ[ა]ნ საფარველს მოველი; ამდენი წყალობა მიყავით, რომ ავყარო და აქ[ა]ვ ერთს კაც[ს] მიკაბარო და თქვენც გემსახუროთ და მეც თქვენის წყალობით დავრჩე. დიღ. ნაილაჯი ვარ, რომა მეტი აღარ იქნება.

ორი კომლი ველისციხეს არის — ერთი კურტანიძე ზაქარია, ერთი კოჭატ[ა]ძე: მაგრამ იმათზე [თა]ვს ველარ გაწყენ და ვერც რას მოგახსენებ. და სხვის წყალობა მიყავით, თუ არ გამიწყრებოდეთ.

ქ. ანამზეშვილი სიხარული აქ თელავს არის.
ქ. ხოტორ[ა]შვილი ხთისია გრემს არის.
ქ. ვიშველიშვილი გავაზს არის ხიზნად, იმის სახლისკაცი.
ქ. კბილ[ა]შვილი ურიათუბანს არის.
ქ. ჯოხაძე თევდორე და იმის ძმა ჩუმლაყს არის.
ქ. ჭავჭავაძე გიორგი ვეჯინს არის.
ქ. ბექიტაშვილი სერგა ქემხ[ა]სთ[ა]ნ არის.
ქ. ხუცისშვილი საგარეჯოს არის.
ქ. ელისაშვილი პატარძეულელებთან არის.
ქ. ნანიტაშვილი კიდე[ვ] ჩუმლაყს არის.
ქ. რაზმაშვილი რუისელი ველისციხეს [არის].
ქ. ლომიძე ადამა ველისციხეს [არის].
ქ. კობალაძე ველისციხეს [არის].
ქ. ხუცის შვილი ბიძა გიორგი აწყურს [არის].

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის ეშიკაღასო რევაზ! ეს კაცი აუყარე და მიაბარე. თუ სიტყვა ჭონდეს ვისმე, მოგვახსენოს. თუ არადა, რაც ამ არზით მოხსენებულია, თავისი კაცები ამ არზის პატრონს დაანებონ ყველამ. თებერვლის **იგ**, ქორონიკონს **უმი.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

50. არზა ზაალ დავითიშვილისა უმის და ქონების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1762 წ. 26 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 779. დედანი. 25×16,5 სმ. დაზიანებული. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ხაზნად ყოველი სიტყვის შეწდეგ ხახვარია სამწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი და სატკივარი მათ მიწა ფერხთა[1] მტკვერს დავითიშვილს ზაალს მისცეს.

მერმე ამას მოვახსენებ ბედნიერს ხემწიფეს: თაქთაქიშვილის თაობაზე თორნეტის თუმნისათვინ ხერხეულიძემ და თეიმურაზ ციციშვილმა ორი კომლი კაცი, ერთი გოგო და ერთი ცხენი, ერთი თოფი, ერთი კ[ა]ნბეჩი — ესენი გამამართვეს. ასეთი ძალი და უსამართლო დამემართა, რომ არას კაცს არ დაემართება ამისთანა საქმე. ღმერთი გაგიმარჯვებს, მიშველე რამე, ნუ დამკარგამ, სულს იქით ილაჯი არა მაქ[ვ]ს. თუ ის კაცები დამეკარგნენ, ჩემი შველა აღარ არის, მიშველე რამე; თქვენს მეტი მოწყალე და შე[მ]ბრალე ხომ არავინ მყავს; თუ თქვენ არას მიპატრონებთ, უნდა თავი ავიღო და დავიკარგო, თორემ მე[ტი] ღონე და ილაჯი არ მაქს; თქვენი ნუგეში რომ დამიძვირდეს, [თა]ვი უნდა დავირჩო.

ღმერთი თქვენს ხმალში გაგიმარჯვებს, [აჸი]სი სამართალი მალირსეთ.

თავში

[ჩვენი ბრძანება] არის იასაულო ციციშვილო თეიმურაზზე და ხერხეულიძეე! ზაალ დავითისშვილი რომ ჩივის, [უსამა]რთლო საქმე გიქნიათ, ეს არას გზით [არ იქნება]. ახლავ ასე ქენით: კვანჭახაძეს რომ კაცი ჰყავს, ის კაცი, გოგო რომ ყოფილა ისი, ერთი კამბეჩი და თოფი — ესენი უნდა თორნეტს თუმანში ელისბარმა დაუჭიროს და ელისბარს ივანემ თორნეტს თუმანში ესენი გამოართვას; [ნუ ალაპარა]კებთ და ამ ზაალს ბერუაშვილი...* და ცხენიც [შიე]ცით და ასე გაარიგეთ. ამ ჩვენის ბძანების გარდასვლა აღარ იქნება, როგორც მოგვეწეროს, ასე ქენით, ზაალს ნუღარ აჩიენებთ. თებერვალს კვ, ქორონიკონს უნ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] ფეხრთა.

* აკლია ერთი-ორი სიტყვა.

51. არზა გიუა მჭედლიშვილისა სამსახურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1762 წ. 30 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1264. დედანი. დაზიანებული. 32×13,3 სმ. ქაღალდი. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ სამწერტილი. ა-ბეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს მათ ფეხთ მიწა-მტკერს ამირეჯიბის ყმას აველს მჭედლისშვილს გიუას.

წერე ამას მოვახსენებთ [ბედ]ნიერს კელმწიფეს, რომა კახეთს გახლდით და რაც შემეძლო იქიდამ ბატონს ჩემს ვემსახურებოდით და მყრიდა. იანვარჩი უღელი კანბეჩი წამართვა. და მასუკან თქვენ მოგახსენეთ და ცალი კა[ნ]ბეჩი თქვენ წაართვით[1] და მიბოძეთ.

ახლა ამას გეხვეწებით ბედნიერს კელმწიფეს, რომა ძალა და უსამართლო არა დამატანონ და რაც შეძლება მჭონდეს, ისე ბატონმან ჩემმან მიმსახუროს თქვენათ გასამარჯვებლათ, ბედნიერო კელმწიფევ. დაიწერა მაისის კთ, ქორონიკონს უნ.

თავში

ქ. ეს ამირეჯიბის ყმა აქველი მჭედლისშვილი გიუა კახეთს ყოფილიყო და ზოგი რამ ფაშების უჯათი ქონებოდა. მაგრამ ახლა ისევ თავისის ბატონის სამსახური რადგანაც მოუნდომებია, ისევ თავის ბატონს ემსახუროს. სხვას ხელი ნურავის აქვს ამასთან. მაისის ლ, ქორონიკონს უნ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

52. არზა ზვიდალასი უმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1762 წ. 5 ივლისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 18. საბუთი № 49. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[56 v] ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მათ ფერხთა მიწა-მტკერს ყაფლანისშვილის მზეჭაბუკის ყმას ზვიდალას მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ ბედნიერს კელმწიფეს, რომ ამას წი-

[1] წამართვით.

ნათ რომ ზაალ ყაფლანიშვილი ბიჭს წამომედავა, ხომ მოგეხსენებათ ქაზაზიდამ აქამდინ რა გზა არის; და იმისთანა არეულობაში კაცის გამოყვანა და აქ შიმშილობაში ოთხ წელ გამოზდა და ხელობის სწავლა, რომ ოთხი წელიწადი მე მყვანდა, რომ მოვიყვანე და შვიდ შაურად პური მიჭმევია და ოსტატისათვის მიმიბარებია და ჯელობა მისწავლებია, რომ ასე აუცილებელი საქმე როგორ სალაპარაკოდ გამიხდა; და ასე ეგონა, რომ ერთის [57] თქმითა და მოხსენებით წაიყვანდა.

ხომ მოგხსენდათ, ჩემო კელმწიფევ, ჩვენი საჩივარი და ან თუ როგორ სწორედ მედავებოდა. და თქვენმა ბედნიერობამ ასე ბძანა: რვა თვეს უკან ვისთანაც უნდა მაგ ბიჭსა, იმათთან მივიდესო; ორი თვეც არ გასულა, რომ ბიჭი ისევ ჩემთან მოვიდა და შვილიც მამინათლა და მეც ძმობის წიგნი მივეც და ჩემთან არის.

ახლა ზაალ კიდევ დამუქრებოდა და იმისთვის მოგახსენებ, რომ მე ვიცი, მე ის არ მომასვენებს და არც დამეხსნება, რომ მზეჭაბუკს ერთის ოქმის წყალობა უყოთ, რომ ამას უბოძოთ. ამას კი ველარას შეეცილება თქვენის ოქმის იმედით; და მეც თქვენის კელმწიფობის მადიდებელი ვიქნები, რომ კიდევ მეორედ სადაო აღარ მქონდეს და არც ჭირნახული გამიფუჭდეს, რომ ეს მირზახანა შვილი ალავერდა დიდის ჯაბით და ჭირით მომიყვანია. აღიწერა იენისის დამდეგს, ქორონიკონს **უნ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. ეს ბიჭი ყაფლანისშვილის მზეჭაბუკს უნდა ყვანდეს, ამისთვის დაგვინებებია; ზაალს ამასთან საქმე არა ქონდა რა. და თუ სხვას ვისმე სიტყვა ქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. მთიბათვის ე. ქორონიკონს **უნ.**

53. არზა ბეჟან თუმანიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 14 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 489. დედანი. ქაღალდი. 32,3×10,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. ა-მეტნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს თუმანიშვილს ბეჟანს. მერე ამას მოვახსენებ: შარშან მდივანბეგებთან ვიჩივლე, გარეჯვარს თუმანიშვილს ჩემი ყმის ორგან მიწა ეჭირა, არ დამანება, ტყვილათ დაიფიცა. ახლა მდივანბეგებთან იმ სოფლის ორი აზნაურიშვილი — [გი]ორგა და ოთარა მოწმათ მოუსხა, მდივანბეგებს მოახსენეს: მამული ბეჟანის ყმისა[ა] და იმას ტყვილათ დაუფიცნია, მურადაშვილმა თედიამ და ფარსადანმაც იცის — ედიშერ მდივნის ყმან[ი] არიან.

ღმერთი გაგიმარჯვებს, მოასხმევინე, თქვენი მზე აფიცე და სამართალი მაღირსეთ, ერთი ოქმი მიბოძეთ, რომ ესენი გიახლენ.

თავში

ქ. დიმიტრი ეშიკაღასო! ეს არზის პატრონი ვისაც უჩივის, ახლავ კარზე მოაყუანინე. აგვისტოს **იდ**, ქორონიკონს **უნ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მოკმობს ძლე კახეთის მეფედ ცხებელს, ერეკლე.

54. არზა გორჯასპი მდივნისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 11 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. 3067. დედანი. ქაღალდი. 22,5×15,7 სმ. მარჯვენა ზემო კუთხე მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მაგათს ფერხთა მიწა-მტვერს მდივანს გორჯასპის მოსცეს.

ამას მოვახსენებ: ერთი ჩემი ყმა გარეჯვრელი სოლთანაშვილი ნასყიდა სამიოდ წელიწადია ამეყარა, ჯიმითს იყო, ჯიმითიდამ ველისციხეს ჩამოვიდა. იქაურმა კაცმა ცხვარი მიაბარა. როგორც კახეთში წესი არის, ისე დაუზიარა. ჩემი კაცი ლეკებმა ცხვარში მოკლეს. იმის მწყემსობაში ცოლი ქვრივი დარჩომილა, ცოლიც გათხოვებულა, არც საქვრივო ბოძებია და თუ რამ იქიდამ გამოყვა ჩემს კაცს, ისიც მეკარგება. და აქ რაც ცხვარი ეგებოდა, არც ისი ჩანს.

წყალობას ვითხოვ, სამართალი გვაღირსოს ბედნიერმა კელმწიფემ, როგორც ამ ქვეყნის რიგი არი[ს], ბეითალმალიცა და საქვრიოც არ დამეკარგოს, იესაულის წყალობა მიყოს*.

* შემდეგ უშნო ხელით მიწერილია მუჩალგის წევნი, რომელსაც არზასთან კავშირი არა აქვს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ჯ ა ნ დ ი ა რ! თუ სიტყვა არა ქონდეს რა, რაც ამისი ყმისა იყოს, გამოურთვი და მოეცი. სიტყვა ქონდეს, მდივანბეგებთან სამართალში მოიყვანეთ, მათ უყონ სამართალი. ენკენისთვის **ია**, ქორონიკონს **[უ]ნ**.

ამისი მოასილი ზ ა ა ლ ჯიმითის მოურა[ვია]*.

55. არზა თემურ თაქაშვილისა ყმის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1762 წ. 1 ნოემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 26. საბუთი № 260. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[194 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათს ფეხთა მიწა-მტვერს თ ა ქ ა შ ვ ი ლ ს თ ე მ ურ ს.

მერმე ამას მოვახსენებთ ბედნიერს ხელმწიფეს, რომ მამა ჩემ-[მ]ა ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა გ ან ერთი კომლი კაცი თაეის მამულით იყიდა. მე ყმაწვილი ვიყავ, არა ვიცოდი რა. მამულის წიგნები ჩ ხ ი ქ ვ თ ი ს კოშკი რომ დაწვეს, იქ დამეწო. ახლა ის კაცი აიყარა და გ რ ე მ ს იყო. ვახტანგმა. ქ ა ი ხ ო ს რ ო ელისელთ მოურავის შვილს მიჰყიდა. ბიძა ჩემ[მ]აც კარგად იცის.

ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართალი მაღირსეთ, არაფერი საქმე არა მაქვს რა.

თავში

[194] ბატონო მდივანბეგო! ამ არზის პატრონს სამართალი თქვენ უყავით; და როგორც გა[ა]სამართლოთ, განაჩენი მიეცით. გიორგობისთვის **ა**, ქორონიკონს **უნ**.

56. არზა სტეფანე ფირადაშვილისა ყმის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1763 წ. 1 იანვარი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 8844. დედანი. ღაზიანებული. ქაღალდი. 26,8×20 სმ. მხედრული. გახკვეთილობის ნაშთად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი. ა მეტი. იქვე, ფ. 1449. საბ. № 751. დაცულია ამ საბუთის პირიც.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კ ე მ წ ი ფ ი ს ჭირი მოგვცეს მათ ფეხთა მიწა-მტვერს ქ ვ ე მ ო თ პ ო ლ ნ ე ლ ს ფ ი რ ა დ ა ს შ ვ ი ლ ს ს ტ ე ფ ა ნ ა ს.

* ჩანს ბეჭდის ნაშთი.

მერმე ამას მოვახსენებ ჩვენს მოწყალეს კ ე მ წ ი ფ ეს, რომ თქვენი ნაწყალობევი სამიოთ კომბლი კაცი მყვანდა, და თქვენი ნაბოძარი წიგნიც მაქვს. და ა[ხ]ლა ქვემო ბოლნელმან ლ უ ა რ ს ა ბ ი ს შვილმან მენაბდემა ბ ე ჯ ა ნ ა მ წამართვა და აგერ ორი წელიწადი არის, რაც იმას წაურთმევია და ის იმსახურებს.

და ამას კ ე ხ ვ ე წ ე ბ ით ჩვენს მოწყალეს კ ე მ წ ი ფ ეს, რომ ერთი ობოლი გახლავართ; იმისი წყალობა გვაღირსოთ, თქვენათ გასამარჯვებლათ, ბედნიერო კ ე მ წ ი ფ ევ. დაიწერა ქრისტისშობის **კა**, ქორონიკონს **უნ**.

თავში

ქ. მდივანბეგებო, სომხითელთ აზნაურთ და გლეხთაგან მოკითხულობით შეიტყევით, და თუ სახასო ყოფილიყოს ასე რომ საბატონო; თუ არადა, ვისიც ყმა ყოფილიყოს, იმას დაანებეთ. იანვრის **ა**, ქორონიკონს **უნა**.

ბეჭდი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

მინაწერი verso-ზე.

ბ ე რ ძ ე ნ ა ს ბ ა ს ი ლ ა ს შვილი ზ უ რ ა ბ ა, თ ა რ ყ უ ლ ა ს შვილი ა რ უ თ ი ნ ა ამათი თუ წიგნი ქონდესთ, მოიტასოს ან საბუთი ქნან, თა[ვე]თი ყმა [იქნება].

57. არზა ადიბეგა ყორღანაშვილისა ყმის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1763 წ. 9 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 16. საბუთი № 168. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[184] ღმერთმან ბედნიერის კ ე მ წ ი ფ ის ჭირი მათ ფეხთ მიწა-მტვერს ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ა დ ი ბ ე გ ს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ ბედნიერს კ ე მ წ ი ფ ეს, რომ ა თ რ ი ა ლ ე თ ზ ე მელი ტამელიელნი კაცნი არიან ჩემი ყმანი; საცა რომ იყვნენ, იმის წყალობას ვითხოვ, რომა დამნებდენ, მემსახურნენ. ამის წყალობას ვთხოვ ბედნიერს ხ ე მ წ ი ფ ეს.

თავში

ჩვენი ბძანება არის: მერე ვისაც ქართლში, ან დიდს კაცს ან მცირეს, ორიალელი მელა ტბალიელი კაცი გყვანდესთ გლეხი, ძვე-

[v]ლადგანაც ამ ყორლანაშვილის ადიბეგის ყმანი ყოფილან; და ვისაც გყავთ, ახლავ მოეცით, ჩვენც იმისთვის წყალობა გვიქნია. თუ რამე სიტყვა ქონდესთ, კარზე მოდით, თუ არა, თავის კაცი მოაბარეთ. აგვისტოს თ, ქორონიკონს **უნა.**

58. არზა ნიკოლოზ აბაშიძისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 18 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 17. საბუთი № 107. პირი. ქაღალდი. მხედრული. ა და ი მეტნაკლული.

[112] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მათ ფეხთა მიწ[ა]-მტვერს მილახვარბაშ აბაშიძე ნიკოლოზს მოსცეს.

მერე მაშინ კარალეთსაცა თავი გაწყინე და თქვენც წყალობა მიყაეით და პირობა მიბძანე, თუ: როცა შენს სომეხს მთხოვ, გიბოძებო. ახლა ღმერთი გაგიმარჯვებს, დრო არის, ჩემი სამკვიდრო ყმა ალხაზის შვილია, წყალობა მიყავი. მარიამობის **იბ,** ქორონიკონს **უნა.**

თავში

ნიკოლოზ აბაშიძე! მერე შენი კაცი ალხაზის შვილები შენთვის გვიბოძებია. თუ ამ კაცს სიტყვა რამ აქვს, ჩვენ მოგვახსენოს. აგვისტოს **იგ,** ქორონიკონს **უნა.**

59. არზა ელიზბარ თაქთაქიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 10 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 65. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[58 v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მათ მიწას ელიზბარ თაქთაქიშვილს მოსცეს.

ამას წინათაც ორჯელ-სამჯერ არზა მივართვი სამართალს. წყალობა არ გამოვიდა. ერთი ქსნის ერისთვის ყმა ბასილიძე ბერი და გიორგი გადმოვიდნენ, ერთხელა მომიხდნენ ერისთვის ჯარით, ჩემს შვილს თოფი და[ა]ცდინეს და ჩემ[ი]ს საქონლით და სოფლის საქო[59]ნლით სულ ამიკლო. მ[ე]ორეთ მომიხდა, ბაღი ამიკაფა, ას სამოცი ხე მომიჭრა. ამას გარდა მამულები მაქვს წართმეული.

ერისთავს შევჩივლე, სამართალი არა მიყო რა. ამ წყალობას ვითხოვ, ამისი მოკითხული ქნას და სამართალი ასე მაღირსოს.

თავში

ჩვენ მაგიერ დარბაზ ბატონს ერისთავს დავითს ასე მოახსენეთ. ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ამის საქმეს კარგა ყური მოუგდოთ, მოიკითხოთ და ისე სამართალი უყოთ. თავადისშვილი არის, ამგვარი საქმე არ უნდა დაემართოს. თუ მართალი არის, ეს რომ არ მოიკითხოთ და ეს რომ ამას უყონ, ამგვარი საქმე ხვალ სხვას დაემართება. ეს რომ მოიკითხოთ და სამართალი უყოთ, ღვთისაგანაც მოსაწონი და კარგა ჩამოსართმევი იქნება. მარიამობისთვის **ივ,** ქორონიკონს **უნა.**

60. არზა ბერი დავითისშვილის ქვრივისა ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 16 აგვისტო

საქართველოს სიძველენი ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909 წ. საბ. № 456, გვ. 488.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მათ მიწა-ფეხთა მტვერს, საბრალო დავითისშვილის ბერის ქვრივსა და ობოლს მისცეს.

მერე ამას მოგახსენებ ბედნიერს ხელმწიფესა. ჩემი ბარათის ავე ცნიაშვილი გან[ა]ყოფისას იდგა, ის ჩემი კაცი ამოსწყდ[ა]. ერთი ჯარი, ერთი ხბოიანი ფური, ცამეტი კოდი ფეტვი, ოთხი დოქის აწყული, რაც სახლის ავეჯი იყო, სულ ამასა დარჩა. შარშან მოგახსენეთ, ოქმი მიბოძეთ, არა მამცა რა.

ქვრივიც იმან გამითხოვა, თავისი პირითა თქვა. ექ[ვ]სი მარჩილი საქვრივო იმას ვთხოვდი. ჩამოსულა, თქვენთვინ მოუხსენებია. თათრები მამისხა. ჩემისთვინ დავითს უჩივლია, ამ კვეცნიაშვილსა ხარი დაადვა. ჩემი კაცი თავდებათ დააყენა, ისიც ჩემს კაცს წაართვა.

ამის თაობაზე ამთენი უსამართლო მჭირს და ეგეცა მიჩივის. ამისი სამართალი მაღირსოს ბედნიერმა ჯემწიფემ, თავის გასამარჯვებლათა.

თავში

ქ. ბატონო ამილახორო! ამას სამართალი მიეც სწორი, რაც ღმერთმან გაგონოს. აგვისტოს **ივ**, ქორონიკონს **უნა**.

61. არზა ნიკოლოზ დეკანოზისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 18 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 637. დედანი. 18,3×12,2 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მოწყალემან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი მათ ფეხთა მტვერს და დღეგრძელობის მლოცველს დეკანოზს ნიკოლოზს მოსცეს. ხერხაულიძემ და ფალავანდიშვილმა დვანს ჩემი კაცი დაიჭირეს და დავით ფალავანდიშვილს მიყიდეს. ღმერთი გაგიმარჯვებს, მოკითხული ქენით და ამისი სამართალი გვაღირსეთ. ერთი პატარა ბიჭი გავზარდე და ახლა იმ ბიჭს მართმევენ. გასინჯე ჩემო ჯემწიფევ და ამაზედ მიშველე რამე, რაში გამიყიდეს, მოკითხული ქენი, ღმერთი გაგიმარჯვებს.

თავში

ბატონო ამილახორო რევაზ. ამის სამართალი თქვენ უყავით, სწორეს სამართლით გა[ა]რიგე. მარიამობისთვის **იზ**, ქორონიკონს **უნა**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

62. არზა როსტომ ფარემუზიშვილისა საქვრივოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 4 დეკემბერი.

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 30. საბუთი № 55. ბირი. ქაღალდი. მხედრული. შდრ. 1784 წ. 12 ივნისის არზა-ოქმს.

[43 V] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს [44] ფარემუზიშვილს როსტომს.

მერე ამას მოვახსენებთ. ზიარში ალხაზის [შვ]ილს ივ[ა]ნეს ჩემი ყმის ქვრივი შეურთავს და ჩემი ყმის შ[ვილი]ც იმასა ყავს, არც საქვრივოს მაძლევს და არც ბიჭს მანებებს. და ერთი ჩემი ნასყიდი კაცი ვაქირას არის ვარდიაშვილთან; სოლომონ მორდალმა კარგათ იცის; და ერთი ბიჭი გოგნიაშვილს გიორგისა ყავს. შარშან დედა მოკდომია. აღარც იმ ბიჭს მანებებს.

ახლა ამას გევედრებით ჩვენს მოწყალეს ხემწიფეს: ერთი ოქმის წყალობა გვიყავით ოტიაზე, რომ ჩემი ყმა სადაც არის[1], საქვრივო გამომირთოს და მამცეს, უწინაც იასაული ის იყო. დ[ა] თქვენად სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად, მოხსენებისათვის ნუ გაგვიწყრებით. ქრისტიშობის **დ**, ქორონიკონს **უნა**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ოტიავ ერასტის შვილო! ამ როსტომს თავის საქვრიო და თავის ყმის შვილი გამოურთვი, მოაბარე. და თუ სიტყვა ქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. დეკემბერს **დ**, ქორონიკონს **უნა**.

63. არზა იესე ბარათაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 1 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6801. დედანი. ქაღალდი. 29,3×16,3 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ჭირი იესეს მომცეს.

ჩემი ყმა შალამბარაშვილი თამაზა გავაზს არის. იმისი მოცემული წიგნიცა მაქვს, გავაზის მოურავისათვის რომ მიმიბარებია, იმის წიგნიც მაქვს, თქვენი ოქმიც მაქვს ქაიხოსრო ნაზირზე: აუყარე და მოეცო.

ქაიხოსრომ ასე მითხრა: უნდა ილაპარაკოთო; სალაპარაკო არა არის რა. ნასყიდობის სიგელი მაქვს, იმისი სოფელი მიყიდია, იმის განაყოფები ბიძაშვილები დღესაც ჩემი ყმანი არიან: ერთი ბიჭად მემსახურება; იბრეიმ ხან სპარსალარი რომ ჭარში შევიდა, მაშინ მიყიდია, მოდავე არავინ არის.

[1] იმ] იმან. 2+ ან.

თუ დიდის ხნის ჩასულობით მართმევს თავსა, სანატრელი ქართველი ბატონი და სანატრელი დედოფალი ბატონი დედათქვენი კახეთს ბძანდებოდენ, მამაჩემი გიახლათ, მაშინ უბოძეს, თქვენ რომ ინდოეთიდამ მობძანდით. მას აქეთ ჩემი იყო და მემსახურებოდა. ახლა რომ დავთარში ჩავარდეს, დამეკარგება და მოგეხსენებათ, რაღაც ყმა და მამული დამრჩება.

ამდენი წყალობა მიყავით: ან ამიყარონ, კარდანეჯს დავასაბლებ, ან თუ სიტყვა აქვს, აქ ჩამოიყვანონ, სიგელიც აქ არის, იმის ბიძაშვილებსაც სამართალში გაახლებ და სამართალი მომეცით. გავაზს ამისთვის ვერ მოგახსენე, ვერ ვამჯობინე.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად მდივანს ოთარს ასე უამბეთ. მერმე იასე ოსეს ძესა გავაზს რომ კაცი ყავს, იმ კაცს დავთარში ნუ დაუწერ, ის კაცი ან სამართალში მოიყვანე, თუ სიტყვა აქვს; თუ სიტყვა არა აქვს რა, ყადაღა უყა[ვ], რომ აიყაროს, საცა იასეს ნება იყოს და იქ დასახლდეს. მარტის **ა,** ქორონიკონს **უნბ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

64. არზა ელიზბარ თაქთაქიშვილისა ყმის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 7 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 55. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[61 v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მათ მიწას ელიზბარ თაქთაქიშვილს მოსცეს.

ჩემი მემკვიდრე რვეველი ბითაძე გიორგი თავისის ძმებით პეტრეს ავალიშვილს ყუანდა, ბატონთან ვილაპარაკეთ, სამართლით მე დამრჩა. ალექსანდრე სარდალი იასაულათ მიბოძა, ამიყარ[ა] ის კაცი და მე მომც[ა]. ახლა ისევ პეტრესთან მივიდნენ. ამ წყალობას ვითხოვ, რომ ისევ ალექსანდრეს ოქმი უბოძონ, რომ ჩემი ყმა გამომირთოს.

თავში

ჩვენ მაგიერად სარდალს ალექსანდრეს ასე მოახსე[ნეთ]. როგორც ბატონის მამის ჩვენის სანატრელის მეფის ბძანება გჭონდეს და ოქმი აცხადებდეს, ისრე გაურიგე, ნუღარ აჩივლებ. მარტს **ზ,** ქორონიკონს **უნბ.**

თუ ბატონის მამის ჩვენის ოქმში ასე ებძანოს, რომ თუ სიტყვა ჰქონდეს, მოგვახსენოსო, სამართალში მოჰყვეს და ილაპარაკოს ჩვენთან. თუ გარდაჭრით ებძანოს, რომ ნუ ალაპარაკებ, ისრე მიეცო და ახლავ გაურიგე, ნუღარ აჩივლებ.

65. არზა იოანე მღვდლისა მამულის საქმეზე
ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 11 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2597. დედანი. ქაღალდი. 33×21 სმ. მხედრული. გახვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი და სატკივარი მათ მარადის მლოცველს თქვენს ყმას იოვანე მღვდელს მოსცეს.

ახლა ამას მოგახსენებ: მარტყოფს თქვენი წყალობა მამული მაქვს; თქვენც მოგეხსენება, იმ მამულზე ვალი დამედო. თქვენი წყალობა ერთი ხელი წირვის იარაღი მჭონდა და წიგნები გირაოთ მიძეს. იმ მამულიდამ შფოთის მეტი ვერა ვნახე რა. ვერც ვალი გარდაგწყვიტე, ვერც ცოლ-შვილი შევინახე, მამა შიგ მამიკვდა და ვერც ის დავმარხე სიღარიბითა.

ამ მოწყალობას ვითხოვ თქვენგან, იმ შფოთს მამარჩინოთ. ჩემი წილი მამული, თუ თქვენი ნება იყოს, ჩემს ბიძასშვილს გვრიტუას მივცემ, ვალსაც ის გადამიწყვეტს. თუ გვრიტუას არ უბოძებთ, ჩემ ბიძაშვილს პეტრეს დავაყენებ და ჩემ წილ მამულზედ. ღმერთი გადღეგრძელებს, ამისი პასუხი მიბრძანეთ, ვალსაც პეტრე გარდასწყვეტს. მარტს **ზ,** ქორონიკონს **უნბ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერმე ამ არზის პატრონს რომ მოუხსენებია თავისის მამულისა, ნება მიგვიცია, როგორც უნდა ისე ქნას. მარტის **ია,** ქორონიკონს **უნბ.**

მარტყოფის მოურაო, როგორც ჩვენ გვიბძანებია, შენც ასე ნება მოეც.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

66. არზა გიორგი კალატოზისშვილისა ძმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 12 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3255. დედანი. ქაღალდი. 17,7×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან მოწყალის კემწიფის ჰირი მოსცეს კალატოზიშვილს გიორგის.

მერმე ამას მოვახსენებთ ყოველად მოწყალეს კემწიფეს. წელან რომ მოგახსენე და კაცების წყალობა მიყავით კუჭიასშვილებისა ხოსიასი და ღთისიასი, ამ წყალობას ვითხოვ, რომ ალექსანდრეზე ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ მამაბაროს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ყოველად მოწყალევ კემწიფევ.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად სარდალს ალექსანდრეს ასე მოახსენეთ: ამ გალატოზისშვილს როგორც ბატონის მამის ჩვენის ნაბოძები ოქმი აქვს, რომ მიბარებით ჰბარებია, ახლაც ისევ მიაბარე ეს კაცები. მერმე როგორც ჩვენი ბძანება იყოს, ისე უნდა იქნას. მარტს **იბ**, ქორონიკონს **უნბ**.

მართალია, ჩვენ ერთი ოქმი მივეცით, მაგრამ როგორც ბატონის მამის ჩვენის ბძანება არის, ისრე უნდა აღსრულდეს; იმათი ბძანება უფრო უწინ ყოფილა ჩვენის ოქმის მიცემისაგან; და ის უნდა დამტკიცდეს. და თუ მამის ჩვენის ოქმი ქონდეს, ისე გაარიგე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

67. არზა იოანე წინამძღვრისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 12 მარტი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1957. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს მათს სამარადისოდ მლოცველს ქვაბთახევის წინამძღვარს იოანეს.

ამას მოვახსენებთ ბედნიერს კელმწიფეს. სველნეთის მამულები ნასყიდი აქვსთ მაგათ მდივნებს და მათ საზლისკაცებს. საზლისკაცნი სულ ღალას აძლევენ საყდარსა, არ დაუშერიათ. და ეგ მდივნები შეხვეწნიან წინამძღვარს: ღალას ნუ გვთხოვთო და ოთხს ლიტრას სანთელს საყდარს მივართმევთო წელიწადშიო; რაც გაგიჭირდესთ ან თქვენ და ან თქვენს ყმასაო, მოხმარებასაც ვეცლებითო, რაც ჩვენის კელიდამ გამოვაო; და წინაძღვარიც დაყოლია.

ახლა ეს ოცი წელიწადი არის წინამძღვარი გახლავართ. ბევრჯელ ვთხოვე, მეტყოდენ: ამის უარი ჩვენგან არ იქნება, უნდა მოგართვათო; ვისაც გვაძევს, ერთათ შევიყრებით, ვიანგარიშებთ და მოგცემთო. ამას ქვიან, დრო მარხვა არის და ეკლესია ღარიბი არის. თავისი ნებით რაც დაუდვიათ ეკლესიისათვის, ოთხი ლიტრა სანთელი მოსცენ წელიწადში. ოცი წელიწადი წინამძღვარი გახლავ[ართ], ოთხმოცს ლიტრას იქს. თუ ეძნელებოდესთ[1], მე ღალას ვჯერვარ.

თქვენად სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად ამისი სამართალი ეკლესიას უყავით. ჩვენგან მოხსენება და ბძანება ბედნიერის კელმწიფისა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის თუმანიშვილებო! როგორც რომ პირველს ჟამში მეფეების დროს ყოფილა გარიგებული და რაც გდებიათ ქოთაკევის წინამძღვრისა, უნდა წლითი-წლად მისცეთ. ან ასეთი ამის წინააღმდეგი წიგნი მოიტანეთ, რომ ამ თქვენის მამა-ბიძიათ წიგნის გამამტყუვნებელი იყოს და ან მისცემდეთ ხოლმე. ნუღარ ალაპარაკებთ. მარტის **იბ**, ქორონიკონს **უნბ**.

68. არზა თამაზა თურქისტანიშვილისა უფების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 17 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 10. საბუთი № 116. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[128] ღმერთმან ბედნიერის მეფის ჰირი მათს ფეხთა მიწაშტვერს თურქისტანიშვილს თამაზას მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ ბედნიერს მეფეს, რომ აქ კახეთში ორიოდ სამი კომლი კაცი მყავს და ერთის ოქმის წყალობა მიყავით,

[1] ენძლებოდესთ.

რომ ავყაროო და ერთს ალაგს დავაყენო, სადაც რომ თქვენი წყალობა იქნება, მეც გამეძლებოდეს, თქვენი ყმა ვარ, გაჭირვებული საქმე მაქვს, ღმერთი გაგიმარჯვებს, ყური მიგდეთო. დაიწერა აპრილის **იე, ქორონიკონს უნბ.**

ქ. ქალაურში ხუციშვილი იოსება; ქ. იქავიმედა; ქ. საქვაბოს გოგოცასშვილთან დგას ნაცვლისშვილი ბეცეცა; ქ. ქოდალას ვაიწაშვილი პაპა; ქ. თვალზედ ხალუასშვილი ივანე; ქ. ნაზირს ქაიხოსროსთან არის ბადურასშვილი ზურაბა; ქ. ველისციხეს ოთარა სალქუასშვილი.

ქ. რევაზ ეშიკაღასბაშო! თუ სიტყვა ქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენონ, თუ არა, თავისი კაცები მიიცემინე, უამისოთ ნურავინ ნურას ალაპარაკებს. აპრილის **იზ, ქორონიკონს უნბ.**

69. არზა ზაალ ნაცვლიშვილისა სითარხნის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 3 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 426. ღედანი. 20,8×17 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მათს ფერხთა მიწაგტევერს ნაცულიშვილს ზა[ა]ლს მოსცეს.

როდესაც სანატრელმა ცხებულმა მეფემ თავისის ქალისათვის ჩემი მზითევში გატანება ბძანა, მაშინ მე მოვახსენე: თქვენი შვილის ხლება ჩემთვის დიდი ღმრთის წყალობა არის, მაგრამ მე კახი კაცი გახლავარ და ყაფლანიანთში გაძლება არ შემიძლიან-მეთქი. ჩემ[მ]ა ხელმწიფემ ასე მიბძანა: შენ ყაფლანისშვილს კი არ გაძლევ, ჩემს ქალს გატან, ცოტას ხანს უნდა ემსახურო.

ახლა მოგეხსენებათ, რ[ა]ერთიც ხანია, რომ თქვენს დას ვემსახურები. მოწყალებას ვითხოვ, თქვენს სადღეგრძელოთ ახლა კი გამანთავისუფლოთ, ღმერთი გაგიმარჯვებსთ. მაისის **ა, ქორონიკონს უნბ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ნაცვლისშვილო ზა[ა]ლ! სანატრელის მამის ჩემისაგან გვაქვს ნაბძანები: ჩვენის ქალისათვის მზითევში არც ზა[ა]ლ მიგვიცია და არც გაურახიო. რადგან ჩვენმა დამ გვთხოვა, მანამ ცოცხალი ვიყო, გაურახს ნუ ჩამომართმევთო, ამისთვის ჩვენს დას ვერ მოგაშორვებთ. მანამ ჩვენი და ცოცხალი ბძანდება, უნდა ემსახურო. გაურახისა და ვაშლოვანის მოურ[ა]ობაც შენთვის გვიბოძებია საშვილისშვილოთ, არ მოგეშალოს. და ჩვენს დას უკან გაურახიც სახასო არის და შენცა, ეს ასე იცოდე. მაისის **გ, ქორონიკონს უნბ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

70. არზა ივანე დავითიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 25 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1263. დედანი. 32,8×10,9 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მიწას დავითისშვილს ივანეს.

ამას მოვახსენებთ: შინდის[ს] ერთი გლეხი მანასაშვილი ჩვენი ყმა ყოფილა. ისევ კაის დროში არაგვიანთ გამორთმევია და სახასოთ დაუდვიათ. ახლა ის კაცი ამოწყვეტილი არის, მისი მამული თქვენთვის ძევს, რომ არავის უჭირავს.

წინაზედ მოგახსენეთ და იმედი მიბძანეთ, ამ ნიშნით რომ ლექსიკონი მოგართვით და ბოდბელს უბოძეთ.

ამ წყალობას ვითხოვთ, რომ იმ მამულის წყალობა მიყოთ, რომ მეც თქვენმა წყალობამ უნდა დამარჩინოს. თუ არა და, ნუ გამიწყრებით ჩემო ხემწიფევ. ღმერთს ამასა ესთხოვ, როგორც ჩემი ძმა თქვენს სამსახურზედ მოკუდა, ისე მეც თქვენს სამსახურზედ მოვკუდე და ჩემი შვილი თქვენის შვილის სამსახურზედ. აღიწერა ივლისს **კგ, ქორონიკონს უნბ.**

თავში

ქ. მირზაშვილო, შინდისის მოურაო, დავით. ეს ივანე დავითისშვილი ჩვენს სამსახურზე, დიად, ბეჯითია, და გვაამებს. კიდეც უმსახურნია. ეს მამული თუ ბეითალმალია, ამისთვის წყალობა გვიქმნია და გვიბოძებია. დაანებე, ჩვენს ერთგულობაში ჰქონდეს და მოიკმაროს. ივლისის **კე, ქორონიკონს უნბ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

71. არზა გრიგოლ მღვდლისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 10 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10998. დედანი. ქაღალდი. 31×11 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენთვის ყოვლად მოწყალის კელმწიფის ჰირი მათის სიმაღლის მლოცველს მ ღ ვ დ ე ლ ს გ რ ი გ ო ლ ს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ ჩემს კელმწიფეს: თქვენ რომ ბ ო დ ო რ ნ ი ს ღვთისმშობლის ყმის წყალობა მიყავით, ორი კომლი კაცი თქვენის ჰირის სანაცვლო შეიქნა, სულ ამოსწყდენ, რაღაც საბრალოები დარჩომილან. თქვენი ბძანება ნოვიდა და სურსათს აღებინებენ.

ამ წყალობას ვითხოვ თქვენგანა, რომ ამათის გამოსაღებისაგან განათავისუფლოთ და თქვენი მლოცველი მამყოფოთ. ვითაც მართებს, ნაბძანებიც ასე მაქვს თქვენგან, რომ გაგაძლებინებო. თითოროლა კოდი პური მერგება; თქვენი წყალობა, თორემ სხვა არაფერი არ გამოვა რა იქიდამ. თუ არადა, ნება კელმწიფისა[ა].

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერმე თუ არაგვზე სხვას სურსათი არ გამოვართვით, ხომ არც ამის ყმებს გამოერთმევა. და თუ არაგვზე სურსათი გამოვართვით, რაც ბოდორნის წმიდის ღმრთისმშობლის ყმას შეხვდეს, ნუ გამოართმევთ, იმას ჩვენ გიანგარიშებთ: რაც იმათი წილი იქნება. გრიგოლ მღვდელმა აიღოს. აღიწერა აგვისტოს **ივ**, ქორონიკონს **უნბ**.

ქ. ეს წრეულობით ასე იქნას.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

72. არზა სანდო ლამაზისახარისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 4 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3071. დედანი. ქაღალდი. 32×10 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი სანდო ლამაზისახარს მოსცეს. იმ დღეს კარდანეხსაც არზა მოგართვი. ეს ჩემი ქმარი თაირიშვილი არის, მოინათლა, თქვენი ყმა [ა]რის, ნუ დაკარგავთ, ბებური უბრალოთ ედა[ვ]ება.

ამ წყალობასა ვითხოვ, რომ ამ კაცს ნუ დამიკარგავთ, წვრილ შვილებს ოხრათ, უპატრონოთ ნუ დამინარჩუნებთ. იმ დღეს გვიბძანეთ: ბატონისშვილი ანნა მობძანდესო. თქვენად სადღეგრძელოთ სამართალი გვაღირსეთ. სიღნაღში დაიწერა შაბათს დღეს, ენკენისთვის **დ**, ქორონიკონს **უნბ**.

თავში

ქ. ბატონო მდივანბეგებო! ამათ ერთმანეთში რაც სადაო ქონდესთ, ის გაუსწორეთ. და ამას რომ უნდა რომ ბებურის ყმობიდამ გამოვიდეს, ამით თავისი ფარდი კაცი იყიდოს, მოსცეს და ამის ყმა ნულარ იქნება. და თუ თავისი [ფ]არდი კაცი ვერ იშოვოს, თავი დაიხსნას. ენკენისთვის **ვ**, ქორონიკონს **უნბ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

73. არზა ომან ბებურიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 15 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3069. დედანი. ქაღალდი. 16,6×8,8 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მათ ფეხთა მიწა-მტვერს ომან ბებურიშვილს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ: ბე და ჩემი ყმა მუსა რომ ვჩიოდით, თქვენ ხომ სამართალი გვიბძანეთ მდივანბეგებთან ილაპარაკეთო.

ამ წყალობას ვითხოვ: ერთ კაცს უბძანოთ ვისმე, ორნივ ან რამაზ მდივანბეგთან გვალაპარაკოს და ან თელავის მდივანბეგებთან მოგვიყვანოს და ჩვენი სამართალი გარდასწყდეს. ის კაცი ახლაც იყრებოდა, არ გაუშვი. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამის სამართალი მაღირსეთ. დაიწერა ენკენისთვის **იე**, ქორონიკონს **უნბ**.

თავში

ბატონო მდივანბეგებო! ერთი იასაული მიეცით, როგორც ჩვენს განაჩენში ეწეროს, ისე გაურიგოს ამ ომანს. სექდემბერს **იე**, ქორონიკონს **უნბ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

74. არზა ნათლისმცემლის წინამძღვარ სვიმონისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 5 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2443. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ჩვენის კემწიფის ჰირი მოსცეს მათს მლოცავს ნათლისმცემლის წინამძღვარს სვიმონს.

მერე ამას მოვახსენებ: ჯავახიშვილის თამასუქი იყო, მონასტრისა ემართა, ორი კომლი კაცი გირაოთ ეწერა. დიამბეგების სამართლით ის გირაო კაცნი თავისის სამულით დაგვანებეს. ახლა ის კაცი გაუყრიათ, ბიძაშვილები ყოფილან. კაცი გავგზავნე, არც ღალა დაუნებებიათ, იმ კაცსაც არ გვანებებენ. ან თეთრი მოსცენ მონასტერსა, ან ის კაცნი და მამული სამართალმა რომ მოგვცა, დაგვანებონ. ამის სამართალი გვაღირსეთ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ჯავახიშვილებო! მერე რაც სამართლით ამათთვის კაცები დაენებებინოსთ, ის კაცები დაანებე. ნურცა რას იმ კაცთ ცოდვილობას დაწყებინებთ, თვარემ თუ სამართალში გაგამტყუნათ, მერე სამართალი მეტს დაგადებსთ. თუ სიტყვა გაქვსთ რამე, მოგვახსენეთ.

აღიწერა ნოემბერს ე, ქორონიკონს **უნბ**.

75. არზა ბერი თარხნიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 18 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3633. დედანი. ქაღალდი. 26,2×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენის ხელმწიფის მეფის ჰირი მოსცეს მათს ფეხთა მტვერს თარხნიშვილს ბერს.

მერე ამას მოვახსენებ ჩვენს მოწყალეს ხემწიფეს. არ თანას ერთი ჩემი კაცი არის, ყველანი იმას ეჰიდებიან, ხან ვინ აცოდვილებს, ხან ვინა.

ამას [ვე]ვედრები ჩემს მოწყალეს ხელმწიფეს, რომ ერთი ოქმი უბოძოთ საგინაშვილს მეითარს, მაინც იმის მამულზე დგას, იმის მეტს კაც[ს] იმასთან საქმე არა ქონდეს. იქიდამ არ მინდა ავყარო, იმას ებარებოდეს. ჩემო ხელმწიფევ, აწის ოქმი მიბოძეთ. გიორგობისთვის **იე**, ქორონიკონს **უნბ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის საგინაშვილო გოგია! ეს კაცი შენ გებარებოდეს, როგორც თარხნისშვილს ბერს მოუხსენებია. სხვას ნურვის გააგლეჯინებ, მაგრამ სადაც სახლობს, იქავ კი უნდა იყოს. იქიდამ მოშლა არ იქნება. გიორგობისთვის **იბ**, ქორონიკონს **უნბ**.

თუ ვისმე სიტყვა ჰქონდეს იმ კაცზედ, ჩვენ მოგვახსენოს.

ბეჭედი: ჯნარს მიცემს, დავით მიჯობს ძლდ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

76. არზა ნიკოლოზ დეკანოზისა გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 24 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3603. დედანი. ქაღალდი. 41,3×15,2 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის კემწიფის ჰირი მათს კელაპყრობით მლოცველს, ცოდვილს დეკანოზს ნიკოლოზს მოსცეს.

მრავალჯერ ვაწყინე კემწიფეს თავი, და კიდევაც ვეხვეწებით ჩვენს საჩივარს ყური უგდოს კემწიფემ. თუ მართლმადიდებელი მღდელი ვარ და წმინდის საიდუმლოს მიმღები, ტყუილს არ მოგახსენებ.

ქრისტეს საფლავისათვის რომ დირბი შეუწირავსთ თქვენს მამა-პაპათა, მეც ნიუბარებივარ ჯვარის მამისთვინ. რადგან აზნაურშვილი ვიყავ და ყმის პატრონი, ჯვარის მამის სახლხუცობა კემწიფეთ უბოძებია და ზედმხედველადაც დაუყენებივარ. სიგელიც კემწიფეთაგან მქონებია. პაპის თქვენის მეფის ერეკლესაგან და პაპის თქვენის მეფის ვახტანგისაგან სიგელიც გაახლებული მქონდა ოსმალობამდი. ოსმალოები დამესხნენ, ამომწყვიტეს, ძმა მომიკლეს და ყმითა და სახლით სულ ამიკლეს. სიგლებიც მაშინ დავკარგე.

დღეს აქამდი, როგორათაც კეშწიფეთაგან გარიგებული იყო და წყალობათ მქონდა, ისე მეჭირა. დღეს დაუნაშაეებლათ და თქვენ დაუკითხავად ნიქოზელმა წამართვა. თუ დავაშავე რამე, თქვენთვის უნდა მოეხსენებინა და ისე წაეხდინე. აზნაურშვილი კეშწიფისა არის.

ამას კეიდრები ბედნიერს კეშწიფესა. როგორც მეფის ერეკლეს დროსა და მეფის ვახტანგის დროსა ვყოფილიყო, იმ გზით განშაწუსო. ჩემის სამკვიდრებელიდამ ხუ გამომაკვება. შვილის პატრონი ვარ, თქვენი ყმა ვარ, ნუდამ კეშწიფეს ეხლებივარო, შენი სამსახური მ[აქ]ეს — ლამქარი, სურსათი თუ სამასპინძლო. [მე ჯვარის მამ]ისა არა მაქ[ს] რა. ჭეშმარიტს მოგახსენებ.

მამის ჩემის პაპა დიდს მ ე ფ ე ს თ ე მ უ რ ა ზ ს ხლებია. მამაჩემი ერეკლე მეფეს ხლებია. [მანა]მდი მეფე ვახტანგ რ უ ს ე თ ს წაბრძანდებოდა, მე იმას ვახლდი. ჯვარის მამას არცერთი ჩემი სახლისკაცი არა ხლებია, არც არა ბდებია.

მოკითხული ქნას ბედნიერმა კეშწიფემ თუ რამე მდებოდეს ან მე და ან ჩემს ყმას, მიმაკეშინოს. და რადგან ჩემი სახლობუცოსა აღარ ინება, მეც დამიდევია, როგორც კეშწიფეს ეხლებივარო, იქე გვიახლოს კეშწიფემ.

თქვენი წყალობა ორი თუ სამი გლეხი მყავს, თქვენს დავთარში ცალკე აწერია. რაც ძალ ნედვას, სამსახური ცალკე მიბძანოს — სურსათი თუ სამასპინძლო, იმათს დავთარში ნუ გამრევს. ერთი ჩემი შვილი კეშწიფ[ემ] იახლოს. თუ მოწყალება კეშწიფისაგან არ დამეშარება, ჩემი დგომა იქ არ იქნება. ნოემბერს **ია**, ქორონიკონს **უნბ**.

თავში

ქ. ამ მოხსენების პასუხი ეს არის: რაგვარადაც ბატონის პაპის ჩვენის მეფის ერეკლეს მეფობაში. აგრეც პაპის ჩვენის მეფის ვახტანგის მეფობის ჟამში და მ ე ფ ი ს ი ე ს ე ს ჟამში თქვენი საქმე ყოფილა და რიგებულა, კიდევ აგრე უნდა იყოს. ჩვენ მათს გარიგებულს და ბძანებულს არაეის მოუშლით და კიდეც დაუმტკიცებთ. თქვენიც როგორც მათს ჟამში ყოფილა, ისე უნდა იყოს. ნოემბერს **კდ**, ქორონიკონს **უნბ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, ფიცით მაქებობს ძენ ვახტანგ მეფეთ ცხებულსა ერეკლეს.

77. არზა დიდებულ ნაზირისა მოურავისა და გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 24 ნოემბერი

ც.სსა. ფ. 1446. ს.ბ. № 3621. დედანი. ქაღალდი. 21,2×16,5 სმ. მხედრული. გახეთილებია. ნიშნად ყოფილი ბეჭდის შემდეგ ნაწერია ერთი ახორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერს კელმწიფეს ჭირი მათ ფეხთა მიწას ნაჭირს დიმიტრის მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ ბედნიერს კელმწიფეს: სატივის ხელი თქვენც მოგეწერნებათ, მე ვაძლევ და კიდევ არა ძლებენ. ... ერისმე საქონელი ეკარგება, ხარსა თუ ფურს სულ ნე ვაძლევ. ახლაც აჯიაშვილი და რვა სხვა გლეხი კაცი ლეკისაგან დაკარგულან. აჯიაშვილსაც ცხენი, კამეჩი და ფური ნე მოვეცი. ტანთ ვაცვდი, ჭამნევდი, უთხევდი, ეგება ამ კაცი ვასძლოს და იმ სოფელს მოეპაროს-მეთქი. ახლა რის დაკარგულა. სამი ჩემი მსახური გავგზავნე: მიდიო, სატივეს დადექით, მახაძდი კელმწიფეს მოვახსენო, რაც დაჩხომილას, ისინიც და ქვრივ ობლები არ დამეფანტნენ მეთქი. ახლა სურსათსა და მოურავს მოხოვენ. როგორ უხდა შეიძლოს.

ღმერთი გაგიმარჯვებს. სატივეელებს ერთი თქმის წყალობა უყვიდით, რომ ეს საოხოვარი ეპატიოს და წყალობა დაემართოსთ. ეგება დადგნენ და არ დაიკარგნონ. აქამდინ თქვენის შიშით ვაძლებინებდი, რომ იმ გზაზე მგზავრმა ვიაროს და ჩაიაროს-მეთქი. ახლაც, რაც შეიძლება, ხელ[ს] ვოუწყობთავ.

ზოკითხული ქენით, თუ ტყეული ვომეხსენებინოს რამე, თამბა ვიყავით. მოგეხსენებათ იქიდამ ზარაფის მეტი ჩემი შესამატი არა არა რა. თუ თქვენი წყალობა არ დაემართათ რა და ერთი იმედიანი ოქმი არ უბოძეთ, იმათი გაძლება არ იქნება. თუ არადა, მოხსენებისთვის ნუ გიგვიწყრებით.

მოგეხსენებათ, იქ მემკვიდრე ბინიანი კაცი არავინ არის. სულ ცარიელ-მიგრეული კაცნი შემიპყრია და ისინი დგანან. გიორგობის **კბ**, ქორონიკონს **უნბ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ვინც სატივეს დგახართ! მერმე იქნები მოურიგე და სურსათი გვიპატივებია. თქვენ მანდაურობაზე

გულს ნუ გამოიცელით. მანდაკ მართებულათ უნდა იდგეთ. ნაზირისათვისაც გვითქვამს, თქვენ ყოველისფრით ხელს მოგიმართავსთ. ჩვენც ყურს მოგიგდებთ. თქვენ ძალასა და უსამართლოს ვერავინ გიზამთ. ღმერთმან ნუ ქნას, თუ დაგჭირდებათ, ჯარს მოგახმარებთ. აღიწერა ნოემბერს **კდ, ქორონიკონს უნბ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით ნიკომობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

78. არზა ჯიმითელებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 23 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1714. ღედანი. ქაღალდი. 32,5×16,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან წმიდისა და ყოელად სანატრელის პატრიარქის ჭირი მათს ყმათა და მიწა-მტკვერს კელიერთპირათ ჯიმითელთ მოსცეს.

ჩვენ ჯემწიფეს ამას მოვახსენებთ, რომ ჩვენი საჩივარი მოიკსენოთ. ღმერთი თქვენს კემწიფეს ძმას ნუ მოგიკლავსთ და მრავალჟამერ გყოფსთ, ერთის გზით გვიპატრონეთ. თქვენს ჯემწიფობას მოველოდით და მობძანებას, თორემ აქამდინაც დავიკარგებოდით; დაკარგვის მეტი გზა არა გვაქვს.

იოსებ კათალიკოზის დროსა არცარა იოსებ კათალიკოზს ჰკითხეს და არცარა იმან მოგვიგდო ყური. ზაალ მოვიდა, მოასილები მოიყუანა, ჩვენ არაფრისთაწა არ გუკითხა რა, ცხენით მი[ი]რბინა-მოირბინა, დაიფიცა და ჩვენი მამული კელთ უჭირავსთ და ჩვენ ამდენი სული გულკელდაკრეფილი გახლავართ.

ამასაც არ დაგვაჯერა. ახლა მთასაც გვეცილება და გვართომს. და თქვენის ძმისათვის მოუკსენებიათ, რომ მთის მიჯნები ამოუყრიათო. სადამდინაც ჯიმეთელებისათვის გული უჯერებ[ი]ათ, თუ იმისთვის ჯიმითელს კაცს კელი უხლიათ. ან ამოუყრია ვისმე, ჩვენი თავი და კელი დაგვიდგია. მთაში არც მიჯნებს ჩავასმევინებთ და არც ჩვენთან კელი აქვს. თუ არა გვიპატრონეთ, თორემ ჩუენი დგომა არ იქნება. ჩვენს მთაში ქისიყურის კაცსა ოთხი ლორი ვიღევით საბალახე და იმისთვისაც თავის დაურქმევინებთ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ჯიმითელნო! ჩვენის ძმის კათალიკოზ-პატრიარქისათვის რომ არზა მოგიცემიათ, ამის პასუხი ეს არის: რო-

ბელიც მიწები მაშინ გაუფიცავსთ და სამნები და მიჯნები ჩაგისჯამსთ, იმ მიჯნების მოშლა არ იქნება, იმათი იმათ დარჩება. თქვენი — თქვენ. და თუ მართლა სამძღვრები შეგიცვლიათ, ეს დიდად მოგეკითხებათ.

მთისა ასე იქმნას: სანამდის ჩვენ კახეთს არ გამოვალთ, მანამდის არ გარიგდება; მაშინ სამართალი მოგეცემათ იმისიცა. ქრისტეშობის **კგ, ქორონიკონს უნბ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიკომობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

79. არზა ლუარსაბ უარაბუდახიშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1765 წ. 10 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 677. დედანი. თავი დაზიანებული. 30,3×15,8 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი. ა-მეტნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი და სატკივარი მოსცეს მათ ფეხთა მიწა-მტკვერს ყ ა რ ა ბ უ დ ა ხ ი შ ვ ი ლ ს ლ ო ა რ ს ა ბ ს.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენ მოწყალე ხემწიფესა: მე რომ დავტყვევდი, მ .... ს* თქვენ შერიგებოდით თერთმეტ თუმნათ, ნახევარი ფარჩა გებძანათ, ნახევარი თეთრი. აქ გამამიყვანა შაქრ[ო]ამ, და რვა თუმანი ნახევარი ნაღდი თეთრი მიმიცია და ერთი ცხენი.

ახლა ქისიყელი ქევხა ს ე რ გ ი ა მოსულა, სამთუმანნახევარს მთხოვს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი გვაღირსეთ, ბედნიერო ხემწიფევ. დაიწერა იანვრის **ი**, ქორონიკონს **უნგ.**

თავში

ქ. ბატო[ნო მდი]კანბეგებო! ამ არზის [სამართალ]ი თქვენ უყაეთ [იანვრის ...] ქორონიკონს **უნგ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიკომობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

ქ. ავიღე, მე, ყარაბუდახიშვილმა ლოარსაბმა შენ სერგია ქევხისაგან ორი თუმანი და რვა მინალთუნი ახალი თეთრი რომ იქს ამი-

* ოთხი ასო არ იკითხება.

სი ნახევარი ჩ წ (ერთი თუმანი და ოთხი მინალთუნი). ამ თარიღიდამ აღდგომამდინ ვადა-ვადაზე შენი თეთრი გაურჯელათ მოგაბარო. თუ ვადას გასცილდეს და შენი თეთრი ვერ მოგცე მ ე ლ ა ა ნ შ ი რომ ჩემი ყმა არის რ ო ი ნ ა შ ვ ი ლ ი პ ა პ უ ნ ა თავის ცოლ-შვილით მამიცია.

არის ამისი მოწამე: თ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ ბეჭედი: მონა ღთისა ვ ა ხ ტ ა ნ გ ... და ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ა ვ თ ა ნ დ ი ლ ბეჭედი: მონა ღთისა, ძე ზალისა ა ვ თ ა ნ დ ი ლ, გარეჯელი ი ო ვ ა ნ ე მღდელი, მოქალაქე მამასახლისი შვილი ა ღ ა. ბეჭედი.

მე, თავილდარს ფ ა რ ს ა დ ა ნ ს, დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი, ლოარსაბის ჯაბულობით დამიწერია. იანვრის **იბ,** ქორონიკონს **უნგ.** ბეჭედი: მონა ღთისა ფ ა რ ს ა დ ა ნ.

ქ. მე ამისი დამსწრე და მოწამე ვარ ი ო ა ნ ე მღდელი.

80. არზა უმეაანთ ოსეფას ცოლშვილისა ვალის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1766 წ. 22 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 181. დედანი. ქაღალდი. 23×19 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი თქვენს ფეხთა მიწა-მტვერს, მოქალაქე უ მ ე კ ა [ა] ნ თ ს ტ ე ფ ა ნ ა ს შვილის ო ს ე ფ ა ს ცოლს და შვილებს მოსცეს.

მერმე ამას ვეხვეწებით ბედნიერს კელმწიფეს: მამის ვალი დარჩა. მოვალე[ე]ბის შიშით აქ ვეღარ დადგა, ათი წელიწადი არის ქარდაკარ იარება, სითაც წავიდა, ხელი არ მოემართა, ცოლ-შვილი აქ მშიაარი ეხოცება, მოვალე[ე]ბი ცალკე გვაღონებენ.

თქვენგან ამ წყალობას ვითხოვთ, რომ მამის სახლკარი დარჩომია, ერთის ოქმის წყალობა უყოთ: მოვიდეს, გაყიდოს, მოვალე-[ე]ბს მისცეს, თითონ აქ. ქალაქში დადგეს, ამ ქვეყანიდამ არ დ[ა]იკარგოს, მოვიდეს, მალიგორაათ მოვალე[ე]ბს მიეცეს, ვის როგორ გახვდეს, თქვენის შვილის სადღეგრძელოდ და თქვენდა გასამარჯვებლად. შვილები მშიაარი ეხოცება. ქრისტიშობის **იზ,** ქორონიკონს **უნბ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! მერმე მარამდინ ამ არზის პატრონს ქმარი მოუვიდოდ[ეს], მარამდინ უნდა დააცალოთ. როცა მოვიდეს, სახლი ჰქონდეს თუ სხვა რამ, გაჰყიდოს და პასუხი გაგცეთ. და თუ ამ დედაკაცს საბუთს უზამთ, რომ ვალის გარდასახადი ჰქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენეთ და სამართლით მოვაცემინებთ. აღიწერა იანვარს **კბ,** ქორონიკონს **უნგ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ ჯახეთის მეფედ ცხებულს, ქრისტე.

ქ. მისკარბაშო, ამისი აღიღათი სწორე მოგვახსენე. ქრისტიშო-ჯის **კვ,** ქორონიკონს **უნბ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ ჯახეთის მეფედ ცხებულს, ქრისტე.

სხვა ხელით

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მამცეს! ამ არზის პატრონსა[1] რომ მოუხსენებია, სწორეთ არის; მოვალე არის ამისი კაცი. მოვალე[ე]ბმაც იციან, რომ არა აქვს რა.

81. არზა სარიდან მდივანბეგისა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1765 წ. 8 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8574. ქაღალდი. 35×21 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან კეთილმორწმუნისა და ქრისტეს მოყვარისა მეფის ჭირის სანაცვლო ამყოფოს მათი ფერჯთა მიწა სარიდან.

ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ხემწიფეს. ჩვენი სახლი თავის მამას თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს რომ მიეცა, რაც ს ა ჯ ა ვ ა ხ ი ა ნ ო შ ი, ხ ო ვ ლ ე ს და ზ ე ნ ა დ ი რ ს და ქ ვ ე ნ ა დ ი რ ს და ყ ა რ ა ღ ა ჯ ს რაც ნასყიდობა ქონოდა, ჩემს სიმამრს ზითევში გაეტანებინა სანამდინ მე წამოვიყვანდი, ხელთა ქონდა და იმსახურებდა. თითვან ი ო რ ა მ აქ გახლია, ამათ ხელთ ქონდათ, თქვენც კითხეთ. ჩვენ რომე წამოვიყვანეთ, ჩვენი საქმე ასე მოხდა, აღარ დაგვცალდა, რომ ხელი მოგვეკიდა. მას აქეთ ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს და იმის შვილებს უჭერიათ, არც ლაპარაკი დამიკლია იმათთვის, არცარა

[1] პატრონმა.

უარი იმათ უთქვამთ. სამი სიგელი[1] მაქვს და თქვენც ნახეთ და ერთი სიგელი ავითანდილის დას, პოლოზანია. დღესაც ცოცხალი გახლავს, თაბა ქვია, რომე იმას აბარია.

ახლა ამას კვეშდრები თქვენს მოწყალებას: ამდენი ხანია, რომ იმათ უჭერია, თუ სიტყვა აქვთ რაჭე, მოგახსენოთ, თუ არადა, ხითვის პატრონი გვეშედრება თავისი ზითვის წყალობა უყოთ. დაიწერა თებერვლის **ჱ**, ქორონიკონს **უნგ**.

თავში

ჩვენ მაგიერად ციციშვილს ფარეშთხუცესს გივს ასე უამბეთ. მერმე ჯავახიშვილს მზეჭაბუკს პარიდან მდივანბეგიც ამ არზით უჩივის და კათალიკოზის სალთხუცესიც უჩივის. ცხენჭაბუკიც და თეიმურაზიც უნდა წამოვიდნენ. შენც წამოდი, თაბაა რომ ნასყიდობის წიგნი აქვს ეგეც თან წამოიღონ და თევდორობის შაბათამდინ აქ უნდა ჩამოხვიდეთ. ამ ვადაზე ჩამოუსვლელობა არ იქნება. აღიწერა თებერვლის **ჱ**, ქორონიკონს **უნგ**.

ბეჭედი: ქნარს ბიცეპს, დაკეთ შიკნობს ედე კახეთის მეფეკე ცხებულს, ერეკლე.

ქ. თუხარელო ნიკოლოზ! როგორც ამ ოქმში გვებრძანებინოს [მ]ზეჭაბუკ და თეიმურაზ ორნივ შენ გამოგზავნე. თებერვალს **იდ**, ქორონიკონს **უნგ**.

ბეჭედი: ქნარს ბიცეპს, დაკეთ შიკნობა ედე კახეთის მეფეკე ცხებულს, ერეკლე.

82. არზა ასლანბეგანთ გიორგის ქვრივისა სახლების თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1765 წ. 15 თებერვალი

ცხსა. ფონდი 1430. დავთარი № 32. საბუთი №342. პირი. ქალაქდი. მხედრული.

[189] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათ ფეხთა მიწა-მტვერს მოქალაქე ასლან ბეგა[ნ]თ გიორგის ქვრივს და ობოლს.

[1] + გლახას.

მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ხელმწიფეს რომა, წინახედაც არზა მოგართვით, რომა დავით ერისთავისაგან სახლის ალაგი წართმეული გვქონდა და გარეთ უბანსაც ჩვენის სახლების წესწვრივ ლომა გავიყავით. და ახლა ამას ვეხვეწებით ჩვენს მოწყალეს ხელმწიფეს, რომ ერთის ოქმის[1] წყალობაც გვაღირსეთ. რომ ლაპარაკი არავინ დაგვიწყოს, თქვენათ გასამარჯვებლათ, ბედნიერო ხელმწიფეკ. დაიწერა თებერვლის **ია**, ქორონიკონს **უნგ**.

თავში

სანატრელს მეფეს პატრონს მამაჩვენს არ მოხსენებოდა, თუ ამ სახლებს პატრონი კიდევ ჰყოლებოდა ვინმე და ერისთვისათვის ებოძათ. ახლა რადგან პატრონი ჰყოლებია, ეს სახლები ისევ ამ ასლანბეგანთ ქვრივისა და ობლისათვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია. და ერისთავს ამის სამუქფოდ[2] ჩვენგან პასუხი მიეცემა. ხელი არავისა აქვს, თავიანთი თვითანვე ეჭიროსთ, ერისთავი ჩვენ გველაპარაკოს და თუ შემოგვცივა, პასუხს მოვსცემთ. თებერვალს **იე**, ქორონიკონს **უნგ**.

83. არზა გოგია თუხარელისა მამულის თაობაზე
თეიმურაზ II-ის ოქმით

1765 წ. 8 მარტი

ცხსა. ფონდი 1450. დავთარი № 35. საბუთი № 199. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[137] ღმერთმან ყოვლთა მოწყალის ხელმწიფის[3] ჭირი მოსცეს თუხარელს გოგიას.

ამას მოვახსენებ ბედნიერს ხელმწიფეს. ეს განჩინება ნახეთ და ჩემი მამული ისე მიბოძონ ბატონმა ჩემმან, როგორც მქონია[4]. თუ ჩემი მამული არ მომეცემა, ჩემთან საქმე არავის აქ[ვ]ს. ახსაურშვილი თავისუფალია, მე მამულით მიკვეშივარ, ნება თქვენია. თუ თქვენს ბეჭედს არ მოშლით, ხომ კარგია, შუა ბძანდ[ე]ბოდეს. მიბოძეთ. მარტის **ვ**, ქორონიკონს **უნგ**.

თავში

ჩვენ მაგიერად ამილახორს რევაზს ასე ეუწყოს. მერმე ეს შენ უნდა მოიკითხო, გასინჯო და სწორეთ შეიტყე, სამართლია-

[1] ოქმის, [2] სამუქფოდ, [3] მოწყალეს ხელმწიფეს, [4] მქონია] მქონდა ჩემმა ბაბა.

ნის გზით სამართალი უსაჯე. თუ უსამართლო მოხდა რამე და მასუკან ჩვენ მოგვხსენდა, ის ბერმე შენ არ გეკადრება. ეს კარგათ უნდა გა[ა]რიგო. მარტის **ც.** ქორონიკონს **უნგ.**

84. არზა ბერი იმნაძისა ყმოვის საქმეზე ერეკლე II-ის ოქმით

1765 წ. 13 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd. 149. დედანი. ქაღალდი. 32×14 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორი ან ათი წერტილი. ა.-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი მოსცეს მათ ფეხთა მიწა-მტვერს იმნაძე ბერს.

მერმე ამას მოვახსენებთ, ჩვენს მოწყალეს ჯემწიფეს, რომ თქვენი აყრილი ხიზანი რომ ჩამოვიდა, ჩემი ხარი და კაცი და გუთანი და გუთნის იარალი იმათ თან ჩამოყვა. და თქვენი ბძანება კი არა ქჭონდა, რომ ხიზანი ჩამაქეყვანა; და როიცა თქვენი წყალობა დამემართება, ხიზანს მაშინ ჩამოვიყვან.

და ახლა ამას ვეეედრებით ჩვენს მოწყალეს ჯემწიფეს, რომ ფარეშთ-ხუცეს გივს მიგვაბაროთ, რომ საცა იმ ხიზანმან მოხნას, ჩვენაც იქა ვხნათ. ჩვენ საერისთაოში ველარ დავდგებით, თქვენათ გასამარჯვებლათ, ბედნიერო ჯემწიფევ. დაიწერა აპრილის **იგ,** ქორონიკონს **უნგ.**

თაეში

ქ. ჩვენი ბძანება არის: მერმე ამ იმნაძეს რადგან როსტომ მეფის წინათ მეფეების და ჩვენის მამა-პაპათი და ჩვენის ჩამომავალთ წიგნები ჰქონდა, რომ ჩვენი სახასო ყოფილიყო, და ეს არც გაცემულა, ის იმნაძე ჩვენს სახასოთვე დაგვიჭერია. და თუ თარხანს ან წიგნი აქვს რამე და ან სიტყვა, ჩვენ მოგვახსენოს და სამართალი მიეცემა. აღიწერა აპრილის **ით,** ქორონიკონს **უნგ.**

თუ არადა, დაეხსნას, ხელი აიღოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

85. არზა ქაიხოსრო ფავნელიშვილისა მამული თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1765 წ. 28 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3628. დედანი. ქაღალდი. 33×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი. ა-მეტნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს მათს ფეხთა მიწა მტვერს ქაიხოსრო ფავნელიშვილს.

ამას მოვახსენებ: ერისთავისგან ერთი საკვამლო მამული მაქვს წართმეული და არ მანებებს. ასე მეუბნება: იმ გლეხმა კაცმა თავისი თავი და მამული თითონ მამყიდაო. მოკითხული ქენით, თუ რამაც თავადისშვილმა თავის ყმის თავი და მამული გააყიდვინოს; ისიც მოიკითხეთ, თუ ან მამაჩემს ან მე და ან ჩემს ძმას გაგვეყიდნოს. ტყუილად გვართმევს. და ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი მაღირსეთ. დაიწერა აპრილის **კბ,** ქორონიკონს **უნგ.**

თაეში

ქ. ბატონო ერისთაო! ამ არზის მომრთმევს რომ მოუხსენებია, თუ მართალია, ის მამული ან როდის გაქვსთ მოსყიდული, ანდა ან ვის დროს, ეს გარჩევით გვაცნობე და ამისი მათლაბი დასწერე და გვაჩვენეთ სწორე. აპრილის **კბ,** ქორონიკონს **უნგ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

86. არზა ოტია ამირეჯიბისა რუს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1765 წ. 9 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1092. დედანი. 32,7×10,3 სმ. ქაღალდი. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი თქვენს მიწა-მტვერს ამირეჯიბს ოტიას და ქაიხოსროს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ: სოღალაშენის რუ ბატონის პაპის თქვენის ნეფე ერეკლესაგან მამაჩემს მოეცა. ახლა სულ

ავალისშვილები თავისის ყმით ბრეთს ჩამოვიდნენ. ახლა ჩვენ სულს გვიხუთავენ[1], ჩვენს წყალს აღარ გვაძლევენ.

ამთენი თქვენი წყალობა იყოს, რომ ერთი ოქმი, იას[ა]ული გვიბოძოთ, რომ ჩვენი ჩვენ დაგვნებდეს[2], იმათაც მერეც დააყენებინოს [და] ჩვენც. რომელმაც ან არ დაიანებოთ, ან წყალი მოვპაროთ, თქვენი ჯარიმაც გარდახდეს; და თქვენის წყალობით, ჩვენც სული ჩავიდგათ. ჩვენმა წილმან წყალ[მა] მუდამ იდინოს. სათავეც წორეთ გეეკეთებინოს.

აგრევე არადეთის რუს ეჭიდებიან, არც იმას ანებებენ, თვარემ ალექსანდრეს კითხეთ, ის მოგახსენებთ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იას[ა]ული დიასამიძევ ივანევ! მერმე ამირეჯიბს ამ არზით რომ მოუხსენებია, მიდი და როგორც ძველადგან ყოფილიყოს, ისე გაურჩიე. რუც როგორც ექეთებინოსთ, ისე გააკეთონ და მერუეც ისე დააყენონ. თავის წყალს ამ ამირეჯიბს ნუ დააკლებენ. და თუ სიტყვა აქვს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს. აღიწერა მაისის **გ**, ქორონიკონს **უნგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯნობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

87. არზა ოტია ამირეჯიბისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1765 წ. 3 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1093. დედანი. 29,3×13 სმ. ქაღალდი. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი თქვენს მიწა-მტერს ამირეჯიბს ოტიას და ქაიხოსროს მოსცეს.

ამას გეხვეწებით, რომ თქვენს ნაწყალობევს სოფელში თქვენი სახასო გლეხი ხომ არ სახლებია. ამთენი თქვენი წყალობა იყოს, რომ ერთი თქვენი ოქმი და იას[ა]ული გვიბოძოთ, თუ იყოს სადმე, იქ[ა]ური კაც[ი] აყაროს და იქ დაეყენოთ; საცა ვისმე ჩვენი კაც[ი] იყოს, ისიც აგვიყაროს, მოგვცეს[3]. ატოცს ერთ[ი] აზნაურიშვილი, ერთ[ი] გლეხი არის; თქვენს უბძანებლათ არც იმას დაგვანებებენ.

[1] კუხუთენ. [2] დაგნებდეს. [3] მოაგცეს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ვინცავინ არადეთელი ჩვენი სახასო გლეხი იყოთ სადმე, თქვენ ამირეჯიბისათვის მიგვიციხართ, ისეე თქვენს ალაგზე მიდით, დადექით. იას[ა]ული ნუღარ გინდათ. ამ ორს-სამს წელიწადს თქვენ სათხოვრისაგან თარხანი იქნებით. და თუ თქვენის ნებით არ მოხვალთ, მერე იას[ა]ულით მიგიყვანენ.

ვინცავინ ამირეჯიბის ყმანი იყოთ სადმე, თქვენც აიყარენით და თქვენის ნებით არადეთს დადექით, თვარემ თუ ახლავ არ მიხვედით, მერე იას[ა]ულით მიგიყვანენ. აღიწერა მაისის **გ**, ქორონიკონს **უნგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯნობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

88. არზა გოგია ფურადაშვილისა ვალიხ თაოვაზე ერეკლე II-ის ოქმით

1765 წ. 5 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 199. დედანი. ქაღალდი. 18,8×15,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქემწიფის ჰირი მოსცეს მათს ფეჯთა მტერს გოგიას მურადაშვილს.

მერმე თუმანისშვილს გოგიას ოთხი მინალთუნი და თოთხმეტი შ[ა]ური მართებს. თამასუქი მაქვს; კიდეე თუმანისშვილს[1] ფარემუზს — თორმეტი აბაზი, შვილი ყავს და სახლი და კარი, თამასუქი მაქვს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, არ მაძლევს. ერთის ოქმის და იასაულის წყალობა მიყავით, რომ ჩემი მამცეს, თქვენის შვილების სადღეგრძელოთ. მაისის **ე**, ქორონიკონს **უნე**.

თავში

ქ. ეშიკალაბაშო დიმიტრი! ამ არზის პატრონს ერთი იასაული მიეცი ამირეჯიბი სეიმონ*. ვისაც ამისი ემართოს

[1] ფუმანისშვილის.

* „ამირეჯიბი სეიმონ" ჩაწერილია სტრიქონს შუა.

რამე, გამოურთვას და მოაბაროს. და თუ სიტყვა აქვს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს. მაისის ე, ქორონიკონს უნე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს. ერეკლე.

89. არზა ლუარსაბ უარაგედახიშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1765 წ. 15 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3064. დედანი. ქაღალდი. 20,5×15,2 სმ. მბეჭდავი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს უარაბუდახიშვილს ლუარსაბს.

მერმე ამას მოვახსენებ ბედნიერს კელმწიფეს, რომ მე დავტყვევდი. ნოგეხსენებათ ლეკმა დამიხსნა. ის ლეკი და სომეხი ამხანაგნი იყვნენ. რვათუმან ნახევარი და ერთი ცხენი მიმიცია, ცხენი აღარ ჩამიგდეს.

ახლა სერგიამ მიჩივლა, სამი თუმანი დამდვეს, იასაული დამაყენეს, ორი მინალთუნი საიასაულოც წამართვეს. ერთი კაცი დაუწერე მოურავს, არც ის დაუნებებია. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, აქედამ ერთი გზით მამარჩინეთ, ხელმეორეთ ნუ დამატყვევებთ.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ქისიყის მოურავს პაპუას ასე მოახსენეთ. ლუარსაბ უარაბუდახისშვილი ამ არზით ჩიოდა, რეგაზ მინაბაში ელაპარაკა, რომ ლუარსაბისა არის, მე საქმე არა ნაქვსო, და თუ გაჰყიდეს მევე მომყიდოსო. ახლა მაგ კაცს თუ თქვენ დაიხსნით, დანებეთ, სერგიასათვის მოუცია. მკათათვის იე, ქორონიკონს უნგ.

ქ. ჩვენი ბძანება არის, თუ ამ გლეხმა კაცმა თავისი თავი ოვითან დაიხსნას, ის უფრო მართებულია და კელი არავის ექნება, ვისაც უნდა იმას ეყმობა. მაგრამ შობამდის ვადა არის, შობამდის უნდა დაიხსნას თავისი თავი, და აპრილიდამ შობამდის სამის თუმნის სარგებელიც უნდა სერგიას მისცეს. თუ არ შეუძლიათ და ან მოურავმა დაიხსნას და ან სერგიას დაანებოს, როგორც პირობა ჰქონებია უარაბუდახისშვილისაგან.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

90. არზა ზაქარიასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1765 წ. 21 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3065. დედანი. ქაღალდი. 20,2×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მათ ფეხთა მიწყა მტვერს ზაქარიას მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს კელმწიფეს, რომ მეთეფშისშვილი გამომერთვა. იმის ფარდი კაცი ერთი მოურავსა ყავს და ერთი ქაიხოსროს. და ახლა ის კაცი თქვენის ბძანებით გამომერთვა. და ნება კელმწიფისა არის. ენკენისთვის კა, ქორონიკონს უნგ.

თავში

ქ. ჩვენი მაგიერად იასე ნაიბ ეშიკაღათბაშს ასე უანბეთ: მერე ამ ზაქარიას მეთეფშისშვილი რომ გამოერთვა, ამისი ფარდი მოურავს და ქაიხოსროს ყავთ. ახლა ამას ეს მეთეფშისშვილი რომ გამოერთვა, ამისი პასუხი მოურა[ვ]მა და ქაიხოსრომ უნდა გასცეს. ენკენისთვის კა, ქორონიკონს უნგ.

უნდა გაარიგებინო.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

91. არზა არღუთაშვილეგისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1765 წ. 22 სექტემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 32. საბუთი № 378. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[207 v] ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს არღუთაშვილებს იარალს და თამაზს.

მერმე ორიოდ კომლი ყმა მყავს, აქ თქვენის დოკლათით რჩებიან, ქალაქს ჩემის განაყოფების შიშით ვერ წავალენ, რომ რომელიც ჩემი განაყოფი შეხვდება, აქადამ რაც ჩატანილი ექნებათ წ[აა]რთმევენ. ერთი ჩემი ყმის შვილიც ჩემს განაყოფს მოსესასაც რომ ჩემი ნება არ არის, ძალითა ჰყავს.

ამდენი თქვენი წყალობა დაგვემართოს, რომ ეს ჩემი კაცები იმათგან ცოდვილობას დახსნათ თქვენად სადღ[ე]გრძელოდ და გასამარჯვებლად. სეკდემბერს იჩ, ქორონიკონს უნგ.

თავში

ჩვენი ბძანება არის. მერმე თუ გლეხები ამის ყმანი არიან და სხვას არღუთაშვილს ხელი არა აქვს. რომელიც არღუთაშვილი ამათ კაცებს შესცოდებს, რომე ჩვენად შეცოდებათ მოვიკითხამთ. თუ სიტყვა აქეს გისმე, ჩვენ მოგვკხსენოს. აღიწერა სექდემბერს **კბ**, ქორონიკონს **უნგ**.

92. არზა ალიხანა არღუთაშვილისა მაჭულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1766 წ. 2 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1449. საბუთი № 331. პირი. ქაღალდი. მაედრული.

ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს თქვენს ფეხთა მიწა-მტვერს არღუთაშვილს ალამდარს ალიხანასა.

შერმე ჩვენს ჯელმწიფეს ამას მოვახსენებთ. ჩემი ბიძაშვილი თქვენის ჭირის სანაცლო შეიქნა. და ერთათ ვიყავით, ვალი დარჩა და იმისი ხიზანი ჩემთან არის, შანახვა უნდა, და ვალსა მიცემა უნდა. მოვალე[ე]ბი, დიახ, მაწუხებენ.

ახლა ბედნიერს ჯელმწიფეს ებძანა, რომა: რამთენიცა კომლი კაცი ყავსო, სახელობითა დაწერინოსო. სულ ცხრაოდ კომლი კაცი არის — ზოგი ოპოლი. ზოგი ქკრიეი და გლახა და ზოგი ქართლსა არის, ზოგი კახეთსა არის; ჯელმწიფესა ტყუილი რომ მოვახსენო, ისი გლეხიცა თქვენია და ჩემი თავიცა. თქვენი წყალობა ჩვენ თავზედა მოეღოს, რომა თქვენი სამსახური შავიძლოთ, შასანახავი შავინახოთ თქვენისა გასამარჯვებლად. მარიამობისთვის **კთ**, ქორონიკონს **უნგ**.

ეს კაცნი სომხ[ის]ა არიან, ამათი სოფლის სახელი ორანაქელი და ბულაქარელნი არიან; და ცხრაოდ კომლი კაცია.

თავში

ჩვენი ბრძანება არის. მერმე ამ არღუთაშვილს ალიხანს ამ არზით რომ მოუხსენებია, ჩვენც წყალობა გვიქნია ამათთვის ბიძის დურმიშხანას გლეხებისა და იმის მამულისა. იმის ქვრივიც ამან უნდა შეინახოს და იმის მოვალესაც პასუხი ამან უნდა გასცეს.

აღიწერა ოქტონბერს **ბ**, ქორონიკონს **უნგ**.

93. არზა ვეძისხეველებისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1765 წ. 10 ოქტომბერი

ცსსა. ფონდი 1450. ღავთარი № 38. საბეთი № 119. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[87 v] ღმერთმან ბედნიერის მაღლის ხელმწიფის ჭირი მათს ფეხთა მიწა-მტვერთ ხელიერთპირ ვეძისხეველთ მოსცეა.

ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ხემწიფეს, ჩვენს მოხსენებას ყური მოუგდოს. ძველთაგან რა ჩვენ ვეძისხევს გახლავართ, მოურავი ყოფილა შილდისა და ჩვენც ამისთვის გვიმსახურია. მოურავისა ხუთი ჩაფი ღვინო გვაძეს, ერთი კოდი ქერი ან ერთი საკლავი უნდა მიგვერთმევინა და ან ექვსი შაური სოფელსა: ესე გასამყრელო გვაძეს: ვინც გავიყრებოდით, ხარს გამოგვარმევდა.

ახლა რაც ჩვენი განწესებული იყო, იმას არა სჯერდება. კოჭლად თორმეტ ჩაფს ღვინოს გვართმევს, ორს კოდს პურსა და ქერსა, საკლავს გვართმევს, დიახ, ძალი გვჭირს და შევწუხდით. ლაშქარწადირობა თქვენი და ჩვენის ბატონის სამსახური გვაძეს, დიდათ გაჭირვებულნი შევიქენით. ორის მოურავის სამსახური არ შეგვიძლია, ერთს მოურავს მიგვაბარეთ, იმას ვემსახურებით შეძლებისამებრ. ასეთს ძალას გვატანენ. რომ არ მოგვივიდეს და დაგვსეტყვოს, თეთრით გვასყიდვინებენ და ისე გამოგვართმევენ.

ან ჩვენს ბატონს ა[ა]ღებინეთ ხელი, მოურავს მოუნდებით, იმას ვემსახურებით, [88] ან არადა, ამდენი მოწყალება გვალირსეთ, იმისგან ცოტა რამ შალავათი დაგვემართოს. სამი რიგი სამსახური ვიცით შევიძელით, დიახ, შეგვაწუხა სიღარიბემა.

ერთი რამ მოწყალება და სამართალი გვალირსეთ თქვენად გასამარჯვებლად, მაღალო ჯელმწიფევ. ოკდომბრის **თ**, [ქორონიკონს] **უნგ**.

თავში

[87] ჩვენი ბძანება არის. ამათი მოურაობა გრიგოლისათვის გვიბოძებია. ამ სამოურაოზე რომ ჩივიან, მოსამართლე[ე]ბი და ნეკრესელი დაუსხდნენ, შილდელნი უფროსნი კაცნი მოასხან. ძველთაგან გამოიკითხონ, რაც დებულება ყოფილიყოს, ისივ გახუ-

წესდეს. სამართლიანის გზით ესენიც არ შეწუხდნენ, გრიგოლ აიღებდეს, ის არი მოურავი; სხვას ამისი სახლისკაცს საქმე ნუ აქვს გამორთმეულშიაც და მიცემაშიაც. ოქტომბერს **ი**, ქორონიკონს **უნგ**.

94. არზა კაკუნა ზაზიაშვილისა უძობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1765 წ. 8 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 403. დედანი. 28,5×20,7 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ჭ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათ ფერჯთა მიწა-მტევრს დიღმელს მათ ყმას ზაზიასშვილს კალატოზას პაპუნასა.

მერე ამას მოვახსენებ: მუსხალისშვილი დათუნა მედავება ჩემი ყმა ჯარო. მე მაგის ყმობისა არა ვიცი რა. ბაბისაგან არ შემიტყვია, რომ ჩვენ მაგისი ყმა ეყოფილვიყოთ. რა თვალი გამიღია, მამას ჯელმწიფისათვის უმსახურნია და დღეს აქამდისინ მეც ჯელმწიფის სამსახურში ვყოფილვარ და ბიძაჩემიც ერეკლე ვახტანგის ხაბაზი ყოფილა.

ახლა თქვენის ჯლმის გასამარჯვებლად და ბატონისშვილების სადღეგრძელოდ ამდენი თქუენი წყალობა იყოს დიღმის მამასახლისმა და სულ დიღმელები აქ გახლიან და მოკითხული ჭნათ და უსამართლო არ დამემართა, ჩემთ მოწყალეე. გიორგობის შვიდსა, ქორონიკონს **უნგ**.

თავში

ჭ. ბატონო მდივანბეგებო! დიღმის მოურავი, დიღმის მამასახლისი, დიღმელები თქვენთან მიაყვანინეთ, ეს საქმე განიკითხეთ, მართლად შეიტყეთ და სწორე სამართალი მიეცით. ნოენბერს **ჱ**, ქორონიკონს **უნგ**.

ბუჩედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულსა, **ერეკლე**.

კეთილმსახურს მეფეს ამ არზის პატრონის სამართალი და მოკითხვა ებძანათ. დიღმის მოურავი და დიღმელი თეთრაძე[ე]ბი და სხვანი მოვიყვანეთ და თავეთს ღმერთს ქვეშ ვკითხეთ: ამათი საქმე როგორ არისო.

თეთრაძემ ზაზამა და თეთრაძემ გიორგიმ, დიღმელმა გიუტასშვილმა ზურაბამ და ჯილავდარმა იოსებ გულიასშვილმა ასე იმოწმეს: მეფის ვახტანგის დროს ეს გიუტასშვილი, დიახ, ახლო მეზობელიც ყოფილა; მუსხელასშვილები მოვიდოდენ, შინ ჩაუდგებოდენ, იმსახურებდენო, ასე გაგვიგონია და ვიცით, მუსხელასშვილის ყმა არისო და ნება ჯელმწიფის არის. ნიკოლოზ მოურავიც აქ დაგვესწრა, ასე იმოწმეს. გიორგობისთვის **ივ**, ქორონიკონს **უნგ**.

და სხვანიც ყმანი არიანო, რომელიც დათუნას მოუხსენებიაო.

ხუთი ბეჭედი:

1. სჯის მსჯელი, ტვიფრაეს ორბელთაცა გულის მმბჭობი(?) ღმერთგანცაა(?), იოანე, 1748.
2. ფარსადან.
3. ნიკოლოზ(?).
4. წინა ღთისა გორჯასპი.
5. სოლომონ.

95. არზა ზაზა მაჩაბლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1765 წ. 8 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8763. დედანი. ქაღალდი. 22,5×13,5 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ **ნახმარია** ერთი, ორი ან სამი წერტილი.

ჭ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს მათს ~~მიწა~~მტევრს მაჩაბელს ზაზას.

მერმე ამას მოვახსენებთ ბედნიერს ხემწიფეს, რომ რადგან თქვენის ბძანებით ეგ ოსი ქართლში ესახლება, ამთენი თქვენი წყალობა იყოს, რომ ჩემს მამულზე ხელი აიღოს, რომ ვინც მინდა, ის დავასახლო. მაგისი თავდები გამოიმირთვათ, რომ არც მაგისი მოსახლის კაცმა არ დაუშალოს იმ მამულზედ სახლობა. ღმერთი გაგიმარჯვებს, ბედნიერო ხემწიფე.

თავში

ჭ. ჩვენი ბძანება არის: რადგანც ეს მამული მაჩაბლისა ყოფილა და ოსი სხვაგან სახლდება, მამული მაჩაბელს დაანებოს. რო-

გორც ოსების წესი იყოს, თავის მამულზე ვინც უნდა დაასახლოს. ქრისტიშობის **ვ.** ქორონიკონს **უნგ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

96. არზა რევაზ ამილახორისა ბაჟის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1766 წ. 31 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13794. დედანი. ქაღალდი. 19×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახვრია ერთი, ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენის კემწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწა-მტვერს ამილახორს რევაზს.

მერმე თქვენი წყალობა გეჭირს გორული ათისთავის ბაჟისა და არ გვაძლევენ და ბეანება თქვენი გათავდეს ბატონო.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, მერმე როგორც ძველადგან გორულის ბაჟის სარგო ამილახორს ჭონდეს, ახლაც უნდა მიეცეს. თუ სიტყვა აქვს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს. აღიწერა დეკემბერს **ლა,** ქორონიკონს **უნგ.**

ამ არზაში ასე გამოცხადებულია, რომ ჰქონოდეს. და თუ სიტყვა აქვს ვისმე მოგვახსენოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

97. არზა სამნა მკერვალიშვილისა ჯოგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1766 წ. 10 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 718. დედანი. 32,5×16 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჭირი მოსცეს მათ ფეხთა პიწა-მტვერს გარეჯელს მკერვალისშვილს სამნას.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს, რომ ჩემი და მაყასშვილის ლუარსაბის დავა არ გარდასწყდა. და ამას წინათაც სამართალი მიყავით, რომ თავად თავი უნდა შემეფიცა და კიდევაც ვფიცევდი, მაგრამ ყაბული არ ქნა.

ახლა გარდამკიდებია და მოწმე[ე]ბს მთხოვს. და თქვენც მოგეხსენებათ, რომ ქვეყანა დაღვრილი არის და მაშინდელ მოწმე[ე]ბს ახლა ვინ მამცემს. ერთი ბიძა ქართლში მყავს მამის ჩემის განაყარი და სხვა კი არავინ მეგულება. და რამტონჯერთაც აქ ჩამოვალ. იასაულებს სულ თან მადევნებს.

და თქვენთ გასამარჯვებლათ, ამისი ხელიდამ ერთხელ დამიხსენით, ბედნიერო კემწიფევ. დაიწერა ქრისტესშობის **ჩჸ,** ქორონიკონს **უნგ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! რადგანც ლუარსაბის ყმობა შენვე სთქვი და ახლა ისევ უკუიფიცე, ამიტომ შენ აღარათ დაგეჯერება რა. და ასეთი მოწმე უნდა იშოვო, რომ უმტერუმოყვარო იყოს და ისინი გაატარო და იმ მოწმით შეჰფიცო. ქრისტიშობის **თ,** ქორონიკონს **უნგ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. ეს სამნას შვილი სამნა ძველთაგან მარიამჯვარელი მაყაშვილის ყმა ყოფილიყო და მერე ჟამთა ვითარებისაგან საბარათაშვილოში გამოსულიყო.

მასუკან იქიდამ ისევ აყრილიყო და კახეთს გასულიყო, მაყაშვილის ლუარსაბისათვის ეთქვა: მე შენი მემკვიდრე ყმა მარიამჯვარელი ვარო.

მას უკან ისევ აშაზე შედგა: მე ბარათაშვილის ყმა ვარო, ამ მაყაშვილის ყმა არ ვყოფილვარო.

რადგან თავის პირით ჯერ ამ მაყაშვილის ლუარსაბის ყმობა ეთქვა და მერე უარს ამბობდა, ამისთვის იმ სამნას ერთის მოფიცრით ფიცი დავადევით, მაყაშვილისათვის უნდა შეეფიცნა, რომ ამის ყმა არ ყოფილიყო.

ახლა იმ სამნამ ველარ დაიფიცა და სამართლით მაყაშვილს ლუარსაბს დარჩა. არც ბარათაშვილს და არც სხვათ ამ სამნასთან ხელი აღარ აქვთ. აღიწერა იანვარს **ი,** ქორონიკონს **უნდ.**

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილითა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

98. არზა რამაზ შაღუბათასშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1766 წ. 6 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 84. დედანი. 29,5×20,3 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობაა ნაწმხად ნახმარია ერთი, ორი და სამი წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათ ფეხთა მიწა-მტვერს სამღვრელს თქვენს ყმას შაღუბათასშვილს რამაზს.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ხელმწიფეს, რომ: მე დავტყვევდი და მადლისათვინ ერთმან ბოქალაქემ სომეხმან დამიხსნა და დამასახლა და აზატი მიყო. და წავედი და კახეთს თქვენს საფარველს ქვეშ თელავს დავდექი. და აბდულაშვილი მოსულიყო მალვით თელავს და მაყასშვილ ლუარსაბზე გაეყიდე. და ერთხელა დავტყვევდი და მადლისათვინ სომეხმან დამიხსნა და თავს შემომიელო და აზატი მიყო. და ახლა კიდევ უბრალოთ ქურდულათ გაუყიდივართ.

და ამას ვეხვეწებით ჩვენს მოწყალეს ხელმწიფეს, რომ ამაზე შებრალება და სამართალი გვაღირსოთ, თქვენათ გასამარჯვებლათ, ბედნიერო ხელმწიფევ. დაიწერა თებერვლის **დ**, ქორონიკონს **უნდ**.

ჩემში ორი თუმანი დაპირებია და ერთი თუმანი ხელში მივეცი და ერთი თუმანი ისევ მისაცემს იყო. ახლა თუ თქვენი ბძანება იქნებოდეს, ის ერთი თუმანი მე მიმაცემინეთ და ისევ თქვენი ყმა გამხადეთ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ეს კაცი ლუარსაბ მაყაშვილს უყიდია. ჩვენი ნებაც არის, ამის მოშლა არ იქნება. თებერვლის **ვ**, ქორონიკონს **უნდ**.

პეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. რადგან ერთმანერთში მისყიდვა და მოსყიდვა არის, ჩვენც ამისთვის ამზანათ ნება დავრთეთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

99. არზა სვიმონ ამირეჯიბისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1766 წ. 30 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1088. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 20,5×15,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი სვიმონ ამირეჯიბს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ ჩემს ხელმწიფეს: ბამის ჩემის წილი ჭაშული ჩემს ძმას უბოძეთ. ასპანის წილი მახვილაძეს უჭირავს; ხუთი წელიწადი არის წართმეული მაქვს და ჯერ ხელმწიფისათვის არ მამიხსენებია, რომ არ ეწყინოს.

აგრე როგორ გავგიჟდი, რომ შენს სახასოს ყმას გომარელს კაცს შემოგეცილე. წაღვლი და გომარეთი დიაღ შორიშორ არის.

ჩემი ყმა ჩაჩანიძე აყრილიყო, ჯავახეთს გარდასულიყო. ჯავახეთი ციყარა წამოვიდა. ორჯონიკიძეს პაპუას მოსლოდა. თათრები ყოფილიყო, პაპუა დაენათლა. ხუთი წელიწადი იმასთან ყოფილიყო, ამისა არაფერი არ ვიცოდი რა.

ამ ბიჭის ბიძა თამაზა მოვიდა, იმან შეგვატყობინა: შენი შემკვიდრე ყმა ვარ და ორჯონიკიძე არ მიშვებსო. მიეედით და არა დაგვანება.

თქვენ რო[მ] აზატხანზედ წაბძანდი ერეკანს, კიჩიყლეთ მეფესთან. ასე უბძანა: ეს კაცი ამის ყმობას ამობს, შემკვიდრე ყმა ვარო და ამას როგორ წავართოვო. ხიდირბეგ იასაულათ მომცა, ავყარე და წამოვიყვანე.

სანამ ალი წახდებოდა, წაღვლს მესახლა. ალი რომ წახდა, ის ბიჭი მსახურად მახლდა. ალის ცხენში რომ დავილუპე, მე ეელარ შევინახე, დავითხოვე; კახეთს წავალ, მოჯამაგირეთ დავდგებიო.

ჩალაუბანს იდგა სხვიშვილათ. ცოლი შეურთავს. ახლა თქვენთვის მოუხსენებია, გომარელი ვარო. თქვენიმც თავი გამიწყრებია, თუ ამის მეტათ გამეგონოს. გუშინს წინ ლავარსაბ ოთხი თუმანი მაძლივა, ეგეც აქ ახლდა და არ მიეცი; თუ ჩემი შემკვიდრე არ იყო, რათ მაძლივა. მარტის **ც**, ქორონიკონს **უნდ**.

ერთი მაგისი ბიძაშვილი...*

* ტექსტი გადასულია და არ იკითხება.

თავში

ქ. ბატონო ქართლისა და კახეთის მდივანბეგებო! ეს საქმე თქვენ გასინჯეთ და რომელიც სამართლიანი საქმე იყოს, ღმრთის წინაშე რიგიანი და მართებული სამართალი მიეცით, განაჩენი დაუწერეთ და მიეცით. ბარტს **ლ**, ქორონიკონს **უნდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯნობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

100. არზა ბეჟანა და ლოტი გვარამაძეებისა მამულია თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1766 წ. 8 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2837. დედანი. ქაღალდი. 25.7×21 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის წვმდეგ თითო წერტილი. 4-მეტი.

ქ. ღმერთმა[1] მოწყალება ბედნიერი კელმწიფის ჭირი და სატკივარი მოსცეს მათ ფეხთა მიწა-მტვერს გვარამაძე ლომს და ბეჟანსა.

ახლა ამასა ვეუედრებით ჩვენსა მოწყალესა: ბა[ა]დურის შვილისა აზნაურშვილი გახლდით, ობლები წვრილნი დავრჩით და გამყიდეს, ყიზილბაშჩი წამიყვანეს; თქვენისა დოვლათითა მოველ და ჩემი სა[ა]ზნაურშვილო ბა[ა]დურის შვილსა გლახასა ქალანთრისთვინა მიეცა; ასე ეთქო თუ: გვარამაძისა მამული მამეცო დ[ა] ყულსა გადაგიხდიო; და სხვა რაც ფასი დამედებაო, ფას[სა]ც მოგცემო. აღარც ყული გადაუხდია, არცა ფასი მაუცია. ასე შევიტ-[ყ]ე, რომე ხუთი მინალთუნი მიუცია.

იმ ნასყიდობისა წიგნი გიორგი ქალატოზიშვილსა დაუწერია, გაიკითხეთ და ის მოგახსენებს სწორეს. არცრა მამული მაქ[ვ]ს, არცრა ალაგი, გორს გახლიარ, იქ ცოდვილობითა ვრჩები.

მ[ო]იკითხეთ, თუ ჩემი მამული უსამართლოთ ეჭიროს, სამართალი მაღირსეთ, თქვენს გასამარჯვებლათ. დაიწერა თებერვლის **კდ**, ქორონიკონს **უნდ**.

ეს ანბავი ფარსადან დივანბეგმაც იცის, [მ]თავარეფისკოპოსმაც იცის, ზაზ[ა] ქვემო ციციშვილმაც. მამულით, ყმით ვაყიდული ვარ, თქვე[ნ]ს მეტი პატრონი არა მყავს.

[1] ღ[მრთი].

თუ უსამარლოთ ეჭიროს, სამართალი მაღირსოთ, თქვენი ყმა გახლავართ, ნუ დამკარგავთ, თქვენს გასამარჯვებლათ.

მარცხენა კიდეზე

ქ. რომელნიც ამ საქმეს დამხდურნი ხართ და ამათი საქმე რაც იცით, ღმრთის წინაშე ამ საქმის როგორყოფლობა სწორედ და ჭეშმარიტებით დასწერეთ და გვაცოდინეთ მართალი. თებერვალს **კზ**, ქორონიკონს **უნდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯნობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

თავში

ქ. ბატონო მოსამართლებო! ამ არზის პატრონს, რასაც მიხვდეთ, ღმრთის წინაშე სწორე სამართალი უსაჯეთ. აღიწერა აპრილის **გ**, ქორონიკონს **უნდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯნობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. მე, გიორგი, ამ საქმის დამსწრე და წიგნიც ჩემის ხელით დაწერილია ნასყიდობისა. და რაც უნდა მისცემოდა, ჩემის ხელით უნდა მიბარებოდა. იმასთან ვიყავ და თავდებიც მე ვიყავ, ჩემის ხელით მიბარებია მართალმა ღმერთმა; ხუთი მილანთული თეთრი და შვიდი კოდი ფეტვი თავისი მამულის ბარა შესთხოვდა.

მეც ვეუბნებოდი — თავდებად დამაყენე-მეთქ[ი], რასაც დაჰპირდი, მიეც-მეთქი; რომ არ მისცა რა, და რასაც დაჰპირდა არ უთავა, იოსებ მროველი მივავზავნინე, ისიც მოწამე იქნება-მეთქ[ი]. რასაც დაჰპირდა იმისმა აზნაურშვილებმა იციან, თვარე[მ] ხემწიფეს უველა მოხსენდება.

გომს დაჰპირდა ციხეს გაგიკეთებთ, ნოქრებს ჩე[მს] კაცებს დავაყენებო; ყული ეწერა, მასაც მე გარდაგიხდიო, შენი მამულის ბარასაც მე აგაღებინებ ხოლმეო. არცერთი არ უთავა, თვარემ ალექსანდრემაც კარგად იცის, ბატონმა რომ უბძანოს, ვეჭო სწორე მოახსენოს[1].

ხელრთა: გიორგი

ქ. ღმრთის წინაშე მე, ზაზა ციციშვილი, ამისი ასე მოწამე ვარ, რომ ასე დაჰპირდა: ამ გვარამაძის მამულში გომს ციხეს გაგიკეთებო და ნოქარს დაგიყენებო, ყულსაც მე გადაგიწყვეტო.

[1] მოასხენოს.

ვერცეთი უყო. ანაში ხუთი მილანთუნი და შვიდი კოდი ფეტვი მისც[ა], რომ რვას მილანთუნად დაუთავა. ღმერთს წინაშე მე ამისი ასე დამხდური ვარ.

მე, ზალს დავითისშვილს, დამაწერინა ზაზამ, ამისის სიტყვით დავსწერე[1]. ამის დაწერაში ბეჟან რატიშვილიც აქ დაგვესწრა და ბეჟან ხერხეულიძეც.†

101. არზა ხოვლელებისა სამსახურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1706 წ. 11 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10390. დედანი. ქაღალდი. 25,3×13,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჭირი მოსცეს მათ ფეხთა მიწა-მტვერს ჯავახისშვილის მზეჭაბუკის ყმათ ხოვლელებსა.

მერე ამას მოვახსენებთ ბედნიერს კემწიფეს, რომ ნეტარკსენებულის კემწიფის ოქმი და განაჩენი გვაქვს ჩვენ და ჩვენის ბატონის ყმის გაყრილობისა, რომ თქვენი სამსახური, ლაშკარი და სათხოვარი რაც შემოგვწეროდა, ორი ჩვენ უნდა მიგვეცა და ერთი იმათა. და ახლა ჩვენს ქვეყანაში, დიაღ, წყლის ძვირობა არის და ჩვენ თქვენი სამსახური იმაზე კიდევ მეტი დაგვედვა და წყალს ისინი ისევ ბესამედს ადენენ.

და ამას ვეხვეწებით ბედნიერს კემწიფეს, რომ როგორც ან დიდის ბატონის და ან თქვენი განაჩენი გვეწეროს და გვქონდეს, ისე ხარჯსა და ლაშკარს მოგვიდგნენ და ან როგორც მეტი ჭირი დაგვედვა, წყალიც ისე დაგვნებდეს. ამაზე სამართალი და შებრალება გვაღირსეთ თქვენს გასამარჯვებლათ, ბედნიერო კემწიფევ. დაიწერა მაისის ი, ქორონიკონს **უნდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. ამ არზის პატრონებს ნეტარხსენებულის ბატონის მამის ჩვენის განაჩენი და ოქმი რომ აქვსთ, იმ ამათ მოდაევეს თუ იმის წინააღმდეგი სიტყვა არა ჰქონდესთ რა, როგორც იმაში სწერია, ისე უნდა მიეუდგნენ. და თუ იმის წინააღმდეგი სიტყვა

[1] დამსწერე.

ჭონდესთ, ჩვენ მოგვახსენონ. აღიწერა მაის[ს] **ია**, ქორონიკონს **უნდ**.

ბეჟედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

102. არზა ვაჩნაძიანთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1706 წ. 17 მაისი

ცსსა, ფ. 1448, საბ. № 217. დედანი. ქაღალდი. 32,5×21. მარჯვენა კიდე დაზიანებულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს [მათ] მიწა-მტვერთ ერთობლივ ვაჩნაძიანთ.

ამას მო[ვა]ხსენებთ ჩვენს კელმწიფეს: თავიდგან კურთხე[უ]ლს ნეტარად ხსენებულს მამათქვენთან კოლაგელთ და ვეჯინელთ ილაპარაკეს მამულზედა და მიჯნაზედ. თითონ ბატონი წაბრძანდა და მიჯნები გასინჯა, ჩვენც იქ ვახლდით და ენდრონიკიანიც. სხვა რიგათ ვერ გაგვაშველა და დავითს ზურაბის შვილს ფიცი დასდევს. განაჩენი გვიბოძა და პაატა ოღიანის შვილს ჰქონდა, დარჩა. მას დღეს აქეთ არც მამული მოგვცეს და არც შემოგვფიცეს.

ახლა კიდევ ალაზანზედ მოგვიჯდნენ, ავათ მოგვებყრნენ და გამოგვყარეს. ჩვენ თქვენი შიშით ჯმა ვერ გავეცით და თქვენს სამართალს მოუცადეთ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ამისი სამართალი გვაღირსეთ, რომ გაგვირჩიოთ და მოგვარჩინოთ, ჩვენო კელმწიფევ. მაის[ის] იე, ქორონიკონს **უნდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, როდისაც ღმრთის მოწყალებით ჩვენ მანდ ჩამოვალთ, მაშინ ჩვენ გავარ[იგ]ებთ. მაისის **იზ**, ქორონიკონს **უნდ**.

ბეჟედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

103. არზა კაატა მეითარის შვილისა უმიჱ თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 5 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11428. დედანი. ქაღალდი. 17,6×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიარის ხემწიფის ჭირი მოსცეს მათ ფეხთა მიწა-მტკვერს მეითარის შვილს პა[ა]ტას.

ახლა ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ხემწიფეს: ერთი ქომლი კაცი არის ჩემი ყმა ბარათის წილი ტერტერას შვილი დავითი ქალაქში. ამის წყალობას ვითხოვთ, თუ სიტყვა ქონდეს ვისმე ან თითონ, დივა[ნ]ბეგებზე ერთი ოქმის წყალობა გვებოძეთ, ღმრთის წინაშენ დივა[ნ]ბეგებმა სამართალი გვიყონ; ღმერთი გაგიმარჯვებს. დაიწერა მაისის ოცდასამს, ქორონიკონს **უნდ**.

თავში

ქ. ბატონო მდივანბეგებო! ამ არზის პატრონს ამ არზით რომ მოეხსენებია, ამის სამართ[ალი] თქვენ უყავით. აღიწერა ივნისის ე, ქორონიკონს **უნდ**.

ავეტიქაც და ქეთხუდებიც დაისწარით და იმათის მოკითხვით სამართალი განაჩინეთ.

ბეჭდი: ქნარს მიცემს, დაფით მიჭმობს ძაღ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

104. არზა ზირაკინაშვილის ჯალაბისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 6 ივლისი

ცსაა. ფ. 1448. საბ. № 854. დედანი. ქაღალდი. 34,9×14,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი მოსცეს მათ ფეხთა მიწა-მტვერს, მოქალაქეს თქვენის ყმისა ზირკინა[ან]თ ზურაბას ჯალაბს.

შერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ჯემწიფეს, რომ: ამას. წინათ არზა მოგართვით ბერიის ნაზირის თაობაზე და, რომ ჩვენი თამასუქით თეთრი ემართა და ღმერთმან გაგიმარჯვოთ, თქვენ

ოქმი მიბოძეთ, რომ თავისი პასუხი მიეც. და ბერმან ნაზირმან ქალანთარის შვილს ედიას შემაპირა და თამასუქი მამცა სამის თვის ვადით; და აგერ ხუთი თვე გასულა და ვთხოვ და არას პასუხს მაძლევს.

და ამას ვეხვეწებით ჩვენს მოწყალეს ჯემწიფეს, რომ მოეცა. მოვალე ცალკე მაღონებს და მოყვარე აძისთანა არა მყავს, რომ მეკითხოს. და მალისათვინ ცალკე მაღონებენ. და ერთი სახლი მაქვს, ისიც წართმეული მაქვს. და სახლიც თუ ჩემს ხელში იყოს, კიდევ დავაგირავებდი, იმით მაინც სულს მოვიბრუნებდი. ცალკე კახეთს თქვენი ყმა არის მოვალე, იმას იქ აწუხებენ მოვალეები და აქ მე მაწუხებენ.

და ამას კეხვეწებით ჩვენს მოწყალეს ჯემწიფეს, რომ ერთის იასაულის მოწყალობა გვაღირსოთ, რომ ედიას თეთრი გამოგვირთვას. თქვენათ გასამარჯვებლათ, ამისი სამართალი გვაღირსეთ, ბედნიერო ჯემწიფევ. დაიწერა მაისის კვ, ქორონიკონს **უნდ**.

მრავალი მოწყალობა სხვისათვინ გიღირსებიათ. ამ მალის მოწყალობაც ჩვენ გვაღირსეთ. დიაღ, ილაჯი და ღონე არა გვაქვს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ბერო ნაზირო. შერმე რაც შენ ამ ზირკინაშვილისა გმართებოდეს, შენ ამას თავისი მიეც და. რაც ედია ნაზირს შენი ემართოს, შენ იმას გამოართვა.

თუ სიტყვა არა გაქვს რა, ნუღარ ალაპარაკებ. თავისი მოეც. და თუ სიტყვა გაქვს რამე, ჩვენ მოგვახსენე. აღიწერა მკათათვის ვ, ქორონიკონს **უნდ**.

ბეჭდი: ქნარს მიცემს, დაფით მიჭმობს ძაღ კახეთის შეფედ ცხებულს, ერეკლე.

მარცხენა კიდეზე

ქ. ეს ერთი თუმანი მე, ნაზირმა ედიშერმა, ზირკინაშვილს მივეც.

105. არზა შიოშ ხაჯარელიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 18 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11043. დედანი. ქაღალდი. 33,5×15,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი და სატკივარი მათ მიწა-მტვერს საყვარელიძე შიოშს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებთ: თამარაშნელს ურიას დავითასშვილს მანუხას მოუხსენებია დემეტრე ამილახვარისშვილმა მიწა წამართვაო. ის მიწა დემეტრე ამილახვარის შვილის მამის ნასყიდი ყოფილიყო, რომ ეყიდნა, მაშინ ვენახი ყოფილა. ის სიგელი ახლა თქვენ გახლავთ. ის სიგელი მიიტანა და იმითი იპოვნა და მე მამცა. ახლა ექ[უ]სი წელიწადია რომ მე მამცა და მიჭირამს. თუ რამ სიტყვა ქონდა, რატომ აქანამდინ არ მოგახსენათ. ის სიგელი კოლოფში ძეს და დენეტრეს ცოცხალია, ის სიგელი გაარჩევს.

ამ წყალობას ვითბოვ, რომ სანამ იმ სიგელს ნახემდეთ, მანამ ის მიწა არ წამერთვას ბატონ[ო]. იმის სიმართლეს და იმისის მოწმე[ე]ბისას ის სიგელი მოგახსენებს ბატონო. ივნისის **კთ**, ქორონიკონს **უნდ**.

თავში

ქ. [ამ] არზის პატრონს რადგანაც ამ მიწის საქმე ასე მოუხსენებია, ეს მიწა ისევ ამასვე ეჭიროს და როდისაც სიგელი გაიპინჯება, ჰეშმარიტს ის გა[ა]რჩევს. მკათათვის **ით**, ქორონიკონს **უნდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

106. არზა ხეძან ამილახორისშვილისა მიწის თაობაზე ერეკლე II-ის ოქვით

1766 წ. 31 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 83. დედანი. ქაღალდი. 25×14,1 ამ. ცხედრული. გაუკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი. **ა-მტკი**.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჰირი მოსცეს მათ ფეხთა მიწა-მტვერს ამილახორისშვილს ბეჟანს.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ჯემწიფეს, რომ: ბამაჩენი[1] რომ თქვენის ჰირის სანაცვლო შეიქნა, ჩვენი ერთი ყმა იყო ბერი ბახილასშვილი და ის ყმაც თქვენი ჰირის სანაცვლო შეიქნა; და ნიკოლოზ მიუხტა და რვა თუმანი თეთრი და თოფი და იარაღი და ხმალი — ესენი სულ ნიკოლოზს წაუღია.

[1] მამან ჩემან.

და კიდევ მამას ჩემს მოუვიდა ბერი, ყარაულა და აღდგომელა და რამაზა; ორმოცი წელიწადი ჩვენ გვემსახურებოდნენ, რომ სულ მთელმან სა[ა]მილახროს იცის. და იმათ წა[ა]რთვა ნიკოლოზმან სამოცდაათი სული ცხვარი და სამი უღელი ხარი და ორი ძროხა და თოფი და იარაღი და ერთი თვე დაჭერილი ყავდა. და მასუკან აიყარნენ და პატრიარქს მიუვიდნენ.

და ერთის დღის მიწაც მე წამართვა; და ბაღის შარა წამართვა და თითონ ბაღათ შეიგდო. და ასე ძალა და უსამართლო მჭირს ბაგისგან; და კიდევ ეგ მიჩივის. და თქვენათ გასამარჯვებელათ ამისი სამართალი გვაღირსეთ, ბედნიერო ჯემწიფევ. დაიწერა [მ]კათათვის **ლ**, ქორონიკონს **უნდ**.

თავში

ქ. ბატონო ამირინდო! როგორც [რომ] გახსოვდეს, ღმრთის წინაშე გზისა და მიწის ისე გაურიგე და დაანებე და მოეც, ნუღარ აჩივლებ. ივლისის **ლა**, ქორონიკონს **უნდ**.

ერთმანეთს კარგად შეარიგე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

107. არზა როვიაშვილის ქვრივ-ოგლისა უმის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით

1766 წ. 28 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 37. საბუთი № 204. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[109] ღმერთმან ყოვლად მოწყალეს ჯემწიფის ჰირი მოსცეს როჰიკაშვილს ქვრივსა და ობოლს.

ახლა ამას გევედრებით ჩვენო ჯემწიფევ, რომ თქვენის მამის ნაწყალობევი[1] დეღრალა სოფელი რომ თქვენც გვიბოძეთ, ერთი ჩემი კაცი ტერტერასთან მისულა, [ჯ] მე ყაზახელი ვარო, ყაზახელებთან დამწერეო. ამ მიზეზით ის კაცი თავისთავს მართმევს.

ჩემო ჯემწიფევ! მეფის ვახტანგის დროს იმ სოფლის ბამასათ თითონ ეს კაცი შვიდი წელიწადი ყოფილა, თორემ მოკითხული ქენ, ჩემო ჯემწიფევ. ტერტერა მოვიდა ჩვენთან, პირობა-

[1] ნაწყალობელი.

მოგვცა, რომ არც დამიწერია და არც დავწერო. ჩვენ გვიმასპინძლა, სამი მინალთუნი დაგვახარჯვინა. ახლა ამასთან მისულა. იმი[ს]თვინ უთქვამს: შენ ბატონს კელი არა აქვს შენთანაო, მე ვიცი და შენმა ბატონმაო. სამნი არიან. სამნივ იმისის მიზეზით იკარგება და ჩვენი რაღამ დაგვარჩინოს. ეს[ე]მც ჩვენი ორგული დარჩება, როგორც ჩვენ დავრჩებით. სულ ამაზედ გაწყინე თავი. ხან იმან წამართო და ხან სხვამ, თქვენის წყალობით ყველგნიდამ გამოვიტანე.

ჩემო კელმწიფევ, თუ მეფის ვახტანგის დროს მისული კაცი[1] სხვას არ წაერთვის, ნუ[რ]ც ჩვენ გაგვიწყრებით და წაგვართმევ, ჩემო კელმწ[110]იფევ. აღიწერა თვესა მარიამობის **ზ**, ქორონიკონს **უნდ.**

[განჩინება]

[108 V] როჭიკასშვილი გლახა და ყაზახელები რომ ლაპარაკობდნენ ტერნაკანას შვილის ყაზარაზე, ამათი ლაპარაკი ყველა შევიტ[ყ]ეცით. მაგრამ თვითონ ყაზახელმა ყ[უ]ლიხანმან თავისის პირითა აღიარა სამართალში, რომ მეფის ვახტანგის ბატონობაში მოსულან და დეღარას სახლებულა. მასუკან ორი წელიწადი და ურ[უ]მობას სახლებულა ჯერე და პირველ ყიზილბაშობასაც იქით სახლებულა. ბასუკან არეულობის [109] მიზეზით აყრილა, ცოტას ხანს ყაზახში ყოფილა, იქიდამ ისევე აყრილა და აქავ მოსულა და დ[ღ]ესაც აქავ არის როჭიკასშვილის ყმათ.


რადგანც მეფის ვახტანგის ბატონობას მოსულა და ახლაც აქაც არის, სამართლით გლახას დარჩა. ყაზახელო[ბ]ით სამართალმა არ წაართვა. რადგანც ამდონის ხნის მოსული იყო, ვერას შეუვიდნენ. დღეღარელ თავის მეზობლებთან უნდა იყოს. მარიამობისთვის **კ**, ქორონიკონს **უნდ.**

ყაზახელები ამასაც ამბობდნენ: ხანჯანხანის დროს. ხანჯანის თალიღა გვქონდაო აყრისაო, მაგრამ ვერც ის თალიხა მოიტანეს და კიდეც რომ ქონოდათ, იმგვარის ოქმის სამართალში ასე შეიწყნარება. ამგვარი საქმე მკვიდრი ბატონის სამართლით უნდა იყოს.



თავში

ამ მდივანბეგებისაგან გარიგებულს სამართალს ჩვენც ვამტკიცებთ. მარიამობისთვის **კთ**, ქორონიკონს **უნდ.**



[1] მისულს კაცს.

108. არზა ედიანი სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1766 წ. 6 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5118. ღედანი. ქაღალდი. 27×17,5. ძხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჭირი მათს მიწას ედიას მოსცეს. მერმე თვით ჩისრაშვილს მოუხსენებია. შვიდის თუმნის თამასუქი მაქვს. საჩივარი მე მაქვს, კიდევ ეგ მიჩივის.

მამის ჩემის სულს აქეთი ერთს მაგას დაორს სხვასა ქონდა. ეგ რომ მამაჩემ[მ]ა იახლა, თუ ქალამანი სცმოდეს, თქვენდა შემცოდეთ მომკითხეთ. ახლა რამდენი წყვილი თუმანი მაგას ქონდეს, ღმერთმა იმდენი თქვენი წყალობა მომცეს. გლახა რომ კეხვს იდგა, მეც გლახასთან გახლდი. ნაზირიც გლახას სანახავათ ამოვიდა. თქვენი წყალობა თუთხმეტი თუმანი ჯამაგირი ქონდა, სხვას წყალობას გარდა; ორის წლისა ოცდაათი თუმანი ერთათ აეღო. ათი თუმანიც სხვა დაეყარა, ორმოც თუმნათ გაეხადა. მაშინ მითხრა: ამ ორმოცის თუმნისას ან ოქროს ყაწიმს გაგიკეთებო, თუ ყაწიმი ვერ გაგიკეთეო, თვითა სთხოვეო, მაგისთვის მიმიციაო, შენთვის ამუშავებსო.

ამაზე რასაც სამართალს მიბძანებთ, გავსწემ. მიბძანებთ, საფლავზე ცოდვას ავიღებ, რომ მამაჩემს ეს სიტყვა ასე დაეგდოს.

ამას გარდა, რა სატივე აშენდა მეღალე შუდამ ეგ გახლდათ. იქაური მოსავალი მაგის ხელით აიღებოდა და მაგის ხელით დაიხარჯებოდა. გუთნეული[1] მაგის ხელთ იყო; მიწა ნასყიდი იყო, გუთნეულით ხნემდა და ჩემს პურს სთესემდა და ჩემი კაცი უმჯდა და ჩემი კაც[ი] უმ[უ]შავებდა. იმიტომ აკეთებდა, რომ თვისათ შეელოდა, რაც დასჭირდებოდა დაეხარჯა. ბართალი[ა], ორი ურემი პური სატიესა მამაჩემ[მ]ა ერისთავს მიართვა, მაგას შვიდ თუმნათ დაუწერია. ბეჭედი ბაგას ქონდა და მწერელი ეგ იყო. რასაკვირველია, ცოცხალი იყო. მაგის ხელში იყო. თქვენი ჭირი წაიღო. მაგის ხელში დალია სული, როგორც უნდა იქმოდა.

ახლაც ერთი ცხენი ჩემი ყამს, თოფი ჩემი უჭირამს. თქვენი ოქმი რომ ავიღე, ვისაც ამის რამ ემართოსო, ამიტომ ავიღე, რომ მაგას ვეგულებოდი. ბედნიერმა კემწიფემ ამის სამართალი მაღირსოს. ენკენისთვის **ვ**, ქორონიკონს **უნდ.**

[1] ქუთნეული.

თავში

ქ. ბატონო მდივანბეგებო და მდივნებო! ესენი თქვენთან სამართალში ალაპარაკეთ და სამართალი თქვენ უყავით. ენკენისთვის **ჱ**, ქორონიკონს **უნდ.**

ბეჭედი: კნარს მიცემს, დავით მიქაბს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

109. მოხსენება რევაზ ამილახორისა უმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1767 წ. 15 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3627. დედანი. ქაღალდი. 23×12,5 სმ. მხედრულ-განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მათ ფერხთა ბიწამტვერს, მათ ყმა რევაზ ამილახვარს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ ბედნიერს კელმწიფეს: ამას წინათ, რომ ოქმი გებოძებინათ აბელისშვილისა ამ წითლიაშვილს რომ ედავებოდა, გორს გიახელ, მოკითხული ვქენ და არაფერი საქმე ჰქონოდა ამასთან. თქვენი სახასო აზნაურშვილია, არაფერი საქმე აქვს აბელიშვილს. სამი ვაჟკაცნი არიან და ნუ დაჰკარგავთ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერმე ამილახორს ამათი საქმე ასე რომ შეუტყვია და მოუხსენებია, ჩვენც სხვათაგანაც ასე შეგვიტყვია, რომ ეს წითლიაშვილი ჩვენი სახასო არის. როგორც ამილახორს მოუწერია, ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია. ეს ჩვენი სახასო აზნაურიშვილია. ამასთან სხვას ხელი არავისა აქვს.

ამის საქმეზე აბელიშვილს ჩვენი ოქმი რომ აქვს, ის ბათილი არის. დღეის იქით ის აბელიშვილი ამას ველარას ედავება. აღიწერა იანვრის **იე**, ქორონიკონს **უნე.**

ბეჭედი: მე ფიქრთგასაბასილთა მიერ უკლესია ვაჟიდე, ერეკლე.

110. არზა იოვანე თაქთაქიშვილისა სისხლის მიცემის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1767 წ. 18 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3012. დედანი. ქაღალდი. 18,8×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი თაქთაქიშვილს იოვანეს მოსცეა.

მერე ამას მოვახსენებ ბედნიერს ხელმწიფეს: თქვენის დო[ვ]ლათით სამართალი დამემართა, იოთამის შვილებზე. სისხლი რამე გამიჩნდა. დათუამ კი მამცა თავის წილი, გოგიამ არ მამც[ა]. ორჯელა-სამჯერ თავი გაწყინეთ, იას[ა]ულიც მიბოძეთ და ცოტით იმასაც ოქმი უბოძეთ. არცარა ოქმს დასდია და არცარა მამც[ა] თქვენს შეცოდებაზე. ეს თამასუქი მამც[ა] და ერთი თვე ვადა დამიდვა. აგერ სამი წელიწადია, არას მაძლევს. რამდე[ნ]ჯერაც ვთხოვე, იმდენჯერ თქვენს თავს იფიცამს, არას მაძლევს. ღმერთი გაიმარჯვებს, ერთის ოქმის და იას[ა]ულის წყალობა მიყავით, რომე ვიმი მამცეს. ამდენი ხანია თავს გაწყენ, ბევრის ს[ა]ჩივრისგან კიდეც მეშინიან. აღიწერა თებერვალს **ი**, ქორონიკონს **უნე.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იას[ა]ულო ერეკლე და შიოშ იასაულო! მერმე ამ არზის პატრონი ვისაც ამ არზით უჩივის, თუ სიტყვა არა აქვს რა, გამოურთვი, მოეც. და თუ სიტყვა აქვს რამე, სამართალში გამოიტანე. აღიწერა თებერვალს **იჱ**, ქორონიკონს **უნე.**

ბეჭედი: კნარს მიცემს, დავით მიქაბს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

111. არზა ედიშერ ნაზირისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1767 წ. 22 თებერვალი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3658. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 19,2×12,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მათს [მ]იწას ნაზირს ედიშერს მოსცეს.

ცერე ამას მოვახსენებ: ხუთი კომლი კაცი მყვანდა, რომ ლაშქრიც და სურსათიც იმისთვის უნდა გამემართებინა. ახლა ხუთიენ პაპუნა[ს] შვილს ყამს.

ამ წყალობას ვითხოვ. დავთრები ხომ მდივანსა აქვს, თუ ხუთ კომლზე მეტი მყოლოდეს დავთარზე დაწერილი, თქვენთვინ ზავთი აქნევინებია. ერთი კაცი კი არის ბაინდურას შვილი, ის კი არა სწერი[ა] დავთარში ამის ბიზუხით ჩვენი მოსამსახურე ის იყო, პური, თუ რაც რანფერი, იმას ვბარა; ამ აწერის ხარჯში კი არ ურევია. და თუ ახლა ბძანებთ და ხარჯს და[ა]დებთ. ნება თქვენი იყოს. დავთრის კაცი ხუთი კაცი მყვანდა, ხუთივ პაპუნას შვილს ყამს. იმის ხარჯიც იმან ჯუნდა მისცეს. იკითხეთ, დავთრის კაცს გარდა თუ სხვა ჰყვანდეს, ამ დავთრის ბიზეზით ხომ არა მეთხოვება რა. რადგან სხვა მეყოლება და შეიტყოფთ, ის ნება თქვენი[ა]. თუ საბართლით დამედება რამე, რომ არ გამსახურო. ღმრთისაც მოყალე ვიქნები და თქვენიცა. ღმერთი გავიმარჯვებს, ამისი სამართალი მაღირსეთ. ფებერვლის **ით,** ქორონიკონს **უნე.**

თავში

ჴ. პატრონო სახლთხუცესო ღ ა ვ ი თ! მდივნებიც თქვენთან დარწმართ, დავთარი გამინჯეთ, რამდენიც კომლი კაცი ე დ ი ა ნაზირს დ ი მ ი ტ რ ი ც ი ც შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს მიეცეს. იმას ხარჯი, ლაშქარი თუ რაცფერი საჭეენო სათხოვარი დიმიტ[რის] მოუნატეთ. თუ მაინდურაშვილი დავთარში ეწეროს, იმის ხარჯს ედიას ნუ სთხოვთ. და თუ სხვა დავთრის კაცი ჰყვანდეს, იმაზე შეწერეთ. თუ არა ჰყვანდეს, დაეხსენით. სურას წეაწერთ. აღიწერა თებერვლის კბ, ქორონიკონს **უნე.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

112. არზა სააბა ნინოწმიდელისა გაჟის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1767 წ. 20 თებერვალი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 404. დედანი. ქაღალდი. 32.5×14 სმ. მხედრული. ვანკვეთილობის ნიშნად სახმარია მძიმე და წერტილი.

ქ. ღმერთმან უმაღლესის მეფის ჭირი მოსცეს მათს მარად მლოცველს ნ ი ნ ო წ მ ი დ ე ლ ს ს ა ბ ა ს.

ამას მოვახსენებთ ჩვენს კეშკეტეს: ს ა ე რ ი ს ე რ ე ს ი ს რასაც

ფ[ე]რის ბაჟისა მესამედი წმიდის ნინოს ტაძრის შეწირული არის, მეფეთაგან გუჯრებიცა მაქვს მათის წყალობისა და ერთი გუჯარი თქვენგანაც ქელმოწერილი არის ბაჟის საქმეზედ და დამტკიცებული ბატონისშვილია კ ა თ ო ლ ი კ ო ზ ი ს ა ნ ტ ო ნ ი ს ა გ ა ნ ა ც. მანამდინ ყ ა ლ უ ა შ ვ ი ლ ს გ ი ო რ გ ი ს და ნ ი ნ დ ი ს ა ს კახეთის ბაჟი ეჭირათ, თქვენის ბძანებით და ოქმით საგარეჯოს ბაჟიდამ ჩემს მესამედს ბაჟს მთლათ მაძლევდენ. მასუკან რომ სხვათ დაიჭირეს, დიაღ, ნაკლებათ მეძლეოდა იმათგან; და თქვენ თავი ვერ შეგაწყინეთ; რადგან ეკლესიის შეწირული არის, ამას ვეიღრებით ოქვენს სიმაღლეს, რომ უბძანოთ ვისაც კახეთის ბაჟი აქვს აღებული, ჩემი მესამედი ბაჟი მომცეს და არც საწუდამოდ დამაკლოს. ეს წყალობა ახლავ უნდა ბიყოთ და აღმისრულოთ. ჩემო კ ე მ წ ი ფ ე ვ. ფებერვალს კ, ქორონიკონს **უნე.**

თავში

ჩვენი ბძანება არის კახეთის მებაჟეებო! მერმე ნინოწმინდელს საბას საგარეჯოს ბაჟის მესამედი როგორც გუჯარში ეწეროს, ისე მოსცემდეთ; როგორც გუჯარში უწერია, თავის წილს ბაჟს ნუ დააკლებთ. აღიწერა თებერვალს კ. ქორონიკონს **უნე.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

113. არზა ჟაიხოსრო მამაცაშვილისა უმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1767 წ. 28 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Q-I 1730. დედანი. ქაღალდი. 32.5×15.3 სმ. მხედრული. ვანკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ წარმართია ორწერტილი. ა-მოჩვენებული.

ქ. ღმერთმა მოწყალემ ყო[გ]ლად მოწყალის ბედნიერის ხემწიფეს ჴირი მოსცეს მათს მიწა-მტკვერს მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ს ჟ ა ი ხ ო სრ ო ს.

მერმე ამას მოვახსენებთ: ჩემს განაყოფებს არზი მოურთმევია და ჩვენი თაყი შემოუბეზღებია. მეფეს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს დროს ხუთიქვსის წლის წინანდელი გაყრილნი გახლავართ. იმათ მოუხსენებია, ეროი საკომბლო გასაყოფი დაგვრჩაო. თქვენ ამილახორზედ ოქმი გეპოვათ.

ამ წყალობას ვითხოვთ: რადგან იმაზედ არის ბძანება, რაც ერთმანერთში სალაპარაკო და საქმე გექონდეს, ყველაყას სამართალი გვეყოს და განაჩენი დასწეროს და თქვენ მოგვერთვას. რომელმაც იმისი სამართალი არ დავიჯეროთ და თქვენს სამართალშიაც რომელიც გავმტყუნდეთ, იმას ჯარიმა წაგვეროვას. ნიადაგ თავს გაწყენთ და ოქმებს იღებს, იმ ოქმებს ისახამს. თუ რომ გამტყუნდეს, თუ რამ ღქვენი ნაბოძები ოქმები ქონდეს, ისიც გამოერთვას და თქვენ მოგერთვას.

ნიადაგ შფოთში ვყავარ. ამ წყალობას ვითხოვთ: ამილახორმა ასე პირობა დაგვადებინოს, რადგან ჩვენი სამართალი იმაზედ მივარდნილა, რომელმაც ბესაბათ ერთმანერთს ჩხუბი უყოთ, თქვენს სარქარში ჯარიმა მივცეთ. დაიწერა თებერვლის **კვ,** ქორონიკონს **უნე.**

თავში

ქ. ბატონო ამილახორო რევაზ. მერმე ამ მამაცაშვილს ქაიხოსროს და ამის განაყოფს ერთმანერთში სადაო ჰქონდესთ, სამართალი თქვენ უსაჯეთ. და როგორც გარდასწყვიტოთ, განაჩენი მიეცით.

თუ არ დასჯერდებიან და ჩვენ სამართალში მოვლენ, რომელიც თქვენ გაგიმტყუნებიათ, თუ ჩვენს სამართალშიაც ის გამტყუნდა, იმას ჯარიმა გარდახდება. რომელზედაც ამის განაყოფი გამტყუნდეს, იმაზე თუ ჩვენი ოქმი ჰქონდეს, გამოართვი და აქ გამოგვიგზავნე.

ორთავ მუჩალგა დაადებინე: რომელიც ერთმანერთზე დააშავებს რასმე და ჩხუბს უზამს, ჩვენის სარქისათვის ჯარიმა წაერთმეცა. აღიწერა მარტის **კზ,** ქორონიკონს **უნე.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

114. არზა ბეჟან მურადაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1767 წ. 18 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 780. დედანი. ქაღალდი. 29×13,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი ცხინვანელს მურადაშვილს ბეჟანს მოსცეს.

არუთინა მამასახლისი რომ გახლავს, ის მურადაშვილობას მოგახსენებს, მაგრამ როგორც არის, თქვენც მოგეხსენება და რაც მამულის მჭონებელი ვყოფილვართ, იმ მამულის ხახეცარი არუთინა მამასახლის[ის] მამისა და ბიძისა ყოფილა და მონახევრე პაპა ჩემი ყოფილა. ახლა თავის მამისა და ბიძისაც იმას უჭირავს მამული და ჩვენიც იმას უჭირავს. იმის ბიძის წილისა ნება ჴელმწიფისა არის; და ჩემის წილისას თავს გაწყენთ, რომ მომცენ.

წინაზე ახალდაბას რომ ბძანდებოდით, ჩემ[მ]ა ძმამ არზა მოგართოთ და მაშინ ერთი ოქმი გვიბოძეთ არუთინა მამასახლისზე, რომ ოცი კოდი პური უნდა მოსცეო; და ასე გვიბძანეთ, ეს ოცი კოდი პური გამოართვით, ჰამეთო და შემოდგომაზე სამართალს მოგცემთო.

ამდენი ხანი არის, ჩემს წილს მამულს ის ჭამს, არც ის ოცი კოდი პური მოგვცა თქვენის ოქმითა. ასე ძალასა და უსამართლოს გვიწერება, გვიღონეთ, სამართალი გვაღირსეთ, ჩვენც თქვენი გახლავართ, არ და[გ]ვკარგნეთ, გემსახუროთ და დავ[რ]ჩეთ თქვენად სადღეგრძელოთ იორზე. დაიწერა ოთხშაბათს დღეს, მარტს **იდ,** ქორონიკონს **უნე.**

სამნი ძმანი გახლავართ და რჩენა და თქვენი სამსახური შეგვაძლებინეთ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ზაალ დავითისშვილო! ეს მურადაშვილი ამ არზით არუთინა მამასახ[ლი]სს უჩივის, როცა ღმრთით ჩვენ ქართლში მოვიდეთ, ეს და ამისი მამა და მამასახლისი მოიყვანე, ჩვენს სამართალში ალაპარაკე. და ამის ძმას თუ რომ შარშანდელი ჩვენი ოქმი ქონდეს და იმაში გადაწყვეტით პური ეწეროს ან სახლი ან სხვა რამ ფერი ეწეროს, რომ სამართლამდის უნდა მასცეს. თუ ამისთანა ოქმი ქონდეს, ის ახლავ გამოურთვი და მოეც. მარტს **იზ,** ქორონიკონს **უნე.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

---

[1]+ ამ არზით.

115. არზა პავლე ნინიაშვილისა ძმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1767 წ. 8 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 35. საბუთი № 6. ჰირი. ქაღალდი. მხედრული.

[1 V] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათს ფარხთა მტკერს ნ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ს პ ა ვ ლ ე ს.

მერე ბიძის ჩემის ი ა ს ე მ ღ ვ დ ლ ი ს ა გ ა ნ ნასყიდი მამული მქონდა, ორჯერ ნასყიდი, ხ ა ნ დ ა კ ს; დ ა თ ი ა შ ვ ი ლ მ ა წამართო. იმისი ბატონის ჯ ა ვ ა ხ ი ს შ ვ ი ლ ი ს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ა გ ა ნ ბარათის კაცი ე დ ი შ ე რ ა შ ვ ი ლ ი მამულითა დათ[ია]შვილმა აღარ დამანება. არას კაცს ნასყიდობა არ მოშლია. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, სამართალი მაღირსეთ. ან თქვენს სამართალ[შ]ი გაახლოს, ჩემის პატრონი გაკადე. მაისის **გ,** ქორონიკონს **უნე.**

თავში

ჩვენი ბძანება არის. ამ კაცს თავისი ნასყიდობა დაანებეთ და ნურავინ ეცილებით. თუ სწორე და მართალი სიტყვა ვისმე გაქვსთ, მოგვახსენეთ. მაგრამ იცოდეთ, თუ სამართალში გამტყუნდით[1] დიდის ჯარიმით გარდავახდევინებთ. მაისს **გ,** ქორონიკონს **უნე.**

ჩვენი ბრძანება არის თ ე იმ ურაზ ჯ ა ვ ა ხ ი ს შ ვ ი ლ ო, ამათ თავიანთ შეძლებასზედ მეტს ნურასა სთხოვ, თორემ დიდათ გიწყენთ და ყმობიდამაც წაგართმევთ, თუ სამართლიანის საქმით. არ მოექეც. აპრილის **კზ,** ქორონიკონს **უნთ.**

116. არზა პაატა მეითრის შვილისა ძმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1767 წ. 11 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4921. ღედანი. ქაღალდი. 36.2×18,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ხახმარია ორი წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიარის ხემწიფის ჰირი მოსცეს მათ ფეხთ. მიწა-მტკერს მეითრის შვილს პ ა [ა] ტ ას.

[1] + იცოდეთ.

ახლა ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ხემწიფეს: ღმერთმან იცის, ამთენს თქვენს თავის წყენას მოვერიდები, მაგრამ რა ვქნა თავი არ შაგაწყინო, ჩემისთანის დაცემულის პატრონი თქვენ ბძანდებით. ღმერთი გაგიმარჯვებს, ჩემს საჩივარს ერთი გზა მიეცით, ერისთავიც აქ გახლავთ, რაც ჩემი იყოს, დამანებოს, რაც სამართალი არ მამცემდეს, ის იმას დარჩეს; თუ სამართალი არ დამემართებოდეს, დიდი კაცი ბძანდება, თქვენის შვილების სადღეგრძელოდ ერთის განაჩენის წყალობა მაინც მიყავით, ჩემ[ს] შვილებს[1] მაინც თქვენთან ან თქვენს შვილებთან სამართალი დაემართოს. მიზეზი არა უთხრან. მოხსენებისათვის ნუ გაგვიწყრებით. აღიწერა თიბათვის **ია,** ქორონიკონს **უნე.**

ქ. პ ა პ უ ა ს შ ვ ი ლ ი ქ ი ტ ე ს ა, იმისა ძმა ბ ე რ უ ა და ძმისწული.

ქ. ქ ი ტ ა ს შ ვ ი ლ ი მ ა ნ უ ჩ ა რ ა და თავისი ძმა ბ ე ჟ ა ნ ა.

ქ. ა ნ ე ზ ა ს შვილისშვილები გ ე ლ ი ა, ხ ი ზ ა ნ ა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერმე დ ა ვ ი თ ე რ ი ს თ ა ვ ს ის წიგნი ჩვენ ბევრჯერ ვთხოვეთ სამართალში მოსატანათ და არ მოიტანა. ახლა ეს კაცები ამ პაატა მეითრიშვილს დარჩა. თუ ერისთავმა ის წიგნი ამ ერთს კვირაზე მოატა[ნ]ინა, იმ წიგნზე სამართალი გაჩნდება. და თუ ამ ერთს კვირას გარდასცილდა, ის წიგნი სამართალში ნუღარ შეიწუნარება, ეს გლეხნი თავის მამულით სამკვიდროთ პაატას დარჩეს. აღიწერა თიბათვის **ია,** ქორონიკონს **უნე.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

117. არზა უაიჟულელებისა ძმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1767 წ. 12 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2716. დედანი. ჭაღალდი. 32×21,5 სმ. მხედრული. ყოველის სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმა ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათ ფეხთა მიწა-მტკერს ერთობლივ ყ ა ი ყ უ რ ლ ე ლ ე ბ ს ს ა რ უ ხ ა ნ ა ს, ა ზ ა რ ი ა ს და ა ბ ა ზ ს და ს ა რ ჭ ი ს ა ს და ა ზ ა ტ ს.

[1] შავაილებამა.

მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს მუდამ მწყალობელს ქელმწიფეს. აქნობამდინ ყაფლანია[წ]თ ჩვენი მოვრავი იყვნენ და ყმურება გვ[ი]მსახურებდნენ. ახლა რათგან სახასოს კაცის მოკითხული იქნა, ჩვენც ჩვენი თაეი გამოვაჩინეთ, რომ მკვიდრი სახასო ყმა ვართ, ახლა ჩვენი ერთმანერთის მოშორება არ უნდა იქნას და ორი კომბლიც დღეს გამოჩნდა და ახლა ამ აზატას მიცემა რომ გაიგონეს, ყველანი ფოშიმანი გამხდარან.

ახლა ყაიყულელი ასეთი ხასი ყოფილა, რომ მესისხლე კაცი რომ შესულიყო, იმისი გამოყვანა არა კაცს არ შე[ე]ძლო. ახლა ეს აზატა, ჩვენ და ჩვენმა ღმერთმა, რომ ყაიყულში დაბადებულა და იქიდამ ერთად ტყვეთ წაგვასხეს ხორასანსა, იქიდამ ცოლ-შვილით მოსულა ქალაქს და ჩვენც თითო ყაფლანიანთ ვემსახურებოდით. მაგრამ ახლა რომ მოკითხული იქნა, ჩვენ ჩვენს თავს ვერ დავმალებდით.

ახლა იმთონი თქვენგან წყალობა იყოს, რომ ეს კაცნი უსამართლობით იმათ ხელში ტყვეთ ნუ მიგვცემ, სამართალში გალაპარაკეთ და რაც სამართალმა გასჯრას, ისე გვისამართლეთ.

შარშან სამართალში გვალაპარაკეს და დივანბეგებმა სამართალი ნახეს და განაჩენიც მისცეს ამ აზატასა, რომ სახასო არისო.

ახლაც კიდევ მოკითხული ქენით და ისე გვისამართლეთ. იმისი მოწამე ისევ თავისი ყმა არის და თავისი მოყვარე; და აზატას მოწმე[ე]ბი ასი წლის კაცი არის და ყველანი მოწამენი არიან სულ უცხო კაცნი, რომ ეს კაცი ყაიყულელია.

თქვენად გასამარჯვებლათ და თქვენის შვილების სადღეგრძელოთ ამისი[1] სამართალი გვაღირსეთ. აღიწერა თიბათვის **თ**, ქრონიკონს **უნე**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! მერმე აზატზე ლაპარაკი აღარ იქნება სამართალში, ზაალ ყაფლანიშვილს მიეცა. იმაზე ნუღარას ილაპარაკებთ. აღიწერა თიბათვის **იბ**, ქრონიკონს **უნე**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] ამისი.

118. არზა ზურაბ მამუჩიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1767 წ. 12 ივლისი

ცსსა. ფონდი 1450. ტაეთარი № 53. საბუთი № 30. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[25 V] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს ზურაბ მამუჩიშვილს.

მემრე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ხემწიფეს. შიმშილობის წელიწადს ერთი დ[ა]ღელი კაცი მამივიდა ცოლ-შვილით და შევიხახე. ის კაციც მოკვდა და ცოლიც მოუკდა და ორივ დაემარხე. დარჩა სამი წვილი იმას. ერთი ბრმა იყო; და უფროსმა მითხრა, რომ ეს ბიჭი ერთს შენს ყმას შვილათ მიეცო. შილდას ერთი უშვილო კაცი იყო და იმას მივეც ცეცხლაშვილს.

აბდულ-ბეგის შვილი მოვიდა დავით და ლაპარაკი დამიწყო, ჩემის ყმის შვილი მამეცო, და ბოლოს კი მამყიდა. და წიგნი ეს არის ნასყიდობისა. სხვა ფასი მივეც და ერთი თუმნისა თამასუქი მივეც.

ახლა ამას გევედრები ჩემო ხემწიფევ, რომ ან ამ წიგნზე ბეჭედი დამისვათ და ან სხვა ოქმი მიბოძოთ. ის ცეცხლაშვილიც ამოსწყდა და იმ ბიჭის მეტი აღარა დარჩა, რომ ის საკომლო არ მიშალოს, ბოლოს ლაპარაკი არავინ დამიწყოს. აღიწერა მკათათვის **იბ**, ქრონიკონს **უნე**.

თავში

ჩვენი ბძანება არის, მერე ამ ზურაბს დაღელ[ი] ბიჭი აბდულბეგის შვილისაგან რომ უყიდნია, ჩვენც ამისთვის დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია. აღიწერა მკათათვის **იბ**, ქრონიკონს **უნე**.

119. არზა ელიზბარ დავითიშვილისა ერეკლე II-ის ოქმით

1767 წ. ივლისი

საქართველოს სიძველენი, ტომი II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909, გვ. 486. საბუთი № 452.

ღმერთმან თქვენი ჰირი მოსცეს საბრალოს ელიზბარ დაეთაშვილს.

ამას გაუახსენებ ბედნიერს ჯელმწიფეს, რომ ერთი ბეითალმანი მამული მაქვს რუისს და სახნიაშვილი აღარ მანებებს; და მის წყალობას ვითხოვ. სამჯერ თქვენი ოქმი ავიღე და მიუტანე, მაგრამ მაინც არა დამანება; ერთი ვენახი დამანება და ისიც ესე მიძაბუნა, ხუთი კოკა ღვინო წამართვა, საწისქვილოც გამიყიდა; ქარზე გავლისათვინ დამიკრა გოჭს, ღორს და როცა გოჭი გამიგდებინა, ასე მიბრიყვა[1]. და რა ვქნა, რას მიწყალობებთ სამართალს, ღმერთი გაგიმარჯვებსთ.

ბატონო, ერთი ესეც მოგახსენო, ჩემო ჯელმწიფევ, სურამს ღილი გავაგზავნე გასასყიდლათ, და ყბია-ყრიას დაეტყუენა, ის ღილი გამომიგზავნეთ; ჩემს მოახლე[ე]ბს რაცლა მართებოდა, იმაში მეხუთის დედის ჩემის ნაძითვი იყო, აღარ მანებებს, ბატონო.

კიდეზე

ქ. ბატონო მდივანბეგო იასე! ამ არზის მომრთმევს სამართალი თქვენ უსაჯეთ ჭეშმარიტი, რასაც მიხვდეთ ივლისის, ქორონიკონს **უნე**.

120. არზა ანახანუმისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1767 წ. 19 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9515. დედანი. ქაღალდი. 20.3×15.7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან თქვენი ჭირი მოსცეს თქვენს ბანდას და მუდამ თქვენს მაწუხებელს საცოდავს ქვრივს ანახანუმს.

მერე ამას მოვახსენებ თქვენს სიმაღლეს. ამთონს ჩემზედ უღირს. მოწყალებასთან და სიბრალულთან ეს წყალობაც მოიღევით თქვენს სადღეგრძელოთ. ორი ბიჭი მყავს — ერთი მოკვერაშვილი მახარობელი და ერთი ახალკაცისშვილი ბეჟია, თქვენს მოწყალებას გარდა რაღაც სიცოცხლე და რჩომ[ა] ჰქვიან, ესენი არიან ჩემის სახლისაც და იმ გალავანშიდა ესენი დგანან. ამას ვევედრები თქვენს სიმაღლეს, რომ ამათი წყალობა მიყოთ, რომ არავინ აწუხებდეს; სანამდის ცოცხალი ვიყო ცეცხლი ამინთონ. და როცა თქვენის ჭირის სანაცვლო შევიქნა და მოვკვდე, მიწაში ჩამაგდონ. თუ რომ არადა, მოხსენებისათვის ნუ გამიწყურები. ენკენისთვის **ით**, ქორონიკონს **უნე**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მდივანო ოთარ ამ არზის მომრთმევს რომ ამ არზით მოუხსენებია, დავთრიდამ ერთი კაცი ამოუწევი ამისი ყმა, რომელიც ამას უნდოდეს, რომ ამას მსახუროს და საჩვენო გამოსაღები არა გამოერთოს რა. და ნურც ლაშქარს გამოიყვანთ, სეკდემბრის **ით**, ქორონიკონს **უნე**, თუ არ დიდ ლაშქრობაში.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

121. არზა მარგველაშვილის ძმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1767 წ. 20 ოქტომბერი

ცსსა. ტონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 38. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[37] ღმერთმან მრავლად მოწყალის ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს ფეხთა მიწა-მტვერს რველელებს მარგველაშვილს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ ბედნიერ ჯელმწიფეს. ამ წინაზე [V] რომ აქ გახლდი, ივანე თაქთაქის უჩიოდი. თქვენ სამართალი მალირსეთ და ოქმი მიბოძეთ. მივიტანე თქვენი ბედნიერი ოქმი, დავით ყოინიძეს ჯელით გაუგზავნე, თქვენი და ბეჭედიც წამართვა და ჩემთვისაც კაცი გამოესია დასაჭერათ. მე ხელში ველარ ჩამიგდეს, ტყეში ჩაუარდი. შემეხივნენ ცოლსა და შვილში — რატომ მიჩიელეო; ერთი ღორის მეტი არა გამაჩნდა რა, დამიკლეს და შემიჭამეს.

ბედნიერო ჯელმწიფევ, ამას გევედრები: თქვენის შვილების სადღეგრძელოდ და თქვენდ გასამარჯვებლად, რომ სამართალი მალირსოთ თქვენი. დავთარი ნახოთ, ვიზედაც ვეწერო, ან იმას დამანებოთ და ან თქვენთვინ დამიჭიროთ. ამათგან თავს ვარ ამოწყვეტილი და დაყიდული. და ახლაც თქვენს ჯემწიფობაშიაც[1] მაიურჯულებს. ოთ-

[1] მაბრიყვა.

[1] საჯემწიფობაშიაც.

ხი თვე არის ჩემს ცოლსა და შვილში არ გამივლია; დასაჭერათ, დასაკუდავ[ა]თ დამდევენ. თუ დანაშაული მაქვს რამე, ჯელმწიფე ბრძანდები, თქვენის სამართლით გარდამჯდეს. თუ არადა, რას მებრძოლება. ღვინობისთვის **ივ**, ქორონიკონს **უ[ნ]ე**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! შენ მუჩალგა მოაწერე, რომ თუ იმის ყმად აღმოჩნდე, ნასაღი დაგემართოს. და თუ შენ გამართლდები და ივანეს ყმობით არ აღმოჩნდები, ჩვენ იმას დიდათ ავად მოვეპყრობით და კიდეც გაგლახავთ. ღვინობისთვის **კ**, ქორონიკონს **უნე**.

122. არზა ზაალ ყაფლანისშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1767 წ. 20 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2648. დედანი. ქაღალდი. 29×12 სმ. მხედრული. ალაგ-ალაგ ერთი ან ორი წვრტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მიწა-მტევრს ყ ა ფ ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ს ზ ა ა ლ ს.

ახლა ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ხელმწიფესა: შარშან თ ე ლ ა ვ ს ა ც მოგახსენეთ, დ ა ვ ი თ თ უ რ ქ ი ს ტ [ა] ნ ი შ ვ ი ლ ს ჩემი ორი კომლი კაცი გაუყიდია. ერთი ნ ა თ ლ ი შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს მიუყიდნია, ერთი მ ი ღ დ ი ს ა ს თ ვ ი ს მიუყიდნია. ახლა ის დავითა[ს]შვილიც აქ გახლავსთ, კითხეთ რის საბუთით გამიყიდა. სამართალს ვითხოვთ, ღმერთი განგაძრიელებს[1], ბედნიერო ხელმწიფევ. აღიწერა გიორგობის **იე**, ქორონიკონს **უნე**.

თავში

ქ. ბატონო მოსამართლენო, ესენი ალაპარაკეთ და ღვთის წინაშე სამართალი მიეცით. ნოემბრის **კ**, ქორონიკონს **უნე**. რასაც ვახვდეთ*.

ბეჭედი: ქნარს მაცემს, დავით მრჭობს ძლ კახეთის მეფეს ცხებულს, ერეკლე.

[1] განგძრიელებს.

* ეს ორი სიტყვა მიწერილია სხვა ხელითა და მელნით.

123. არზა ზედგინ აბაზაძისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1767 წ. 27 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1399. დედანი. ქაღალდი. 21,7×16,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არას.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს სურაბელს სამეფო ა ბ ა ზ ა ძ ე ზ ე დ გ ი ნ ს.

მერეთ იმერეთს ხიზნათ გახლდით. თქვენის ბძანებით და ოქმით ასერ სამი წელიწადია ს უ რ ა მ ს გახლავარ. ერთი ვაჟი მყუანდა, თქვენმა ჭირმა წაიღო. დავრჩი ესე უძეო. ორი ქალი მყავს. თქვენგ მეტი მოწყალე და შემბრალებელი არავინა მყავს. თქვენის ოქმით მეც სურამს გიახელ: და ჩემი კაცნიც წყალობაც მე მიყავით. ერთი ჩემი ნაყიდი ქ ე ი ფ ნ ი ს ხ ე ვ ს გახლავსთ და ორიც სხუაგან გახლავს.

ახლა ამას გევედრები: ერთი ოქმისა და კაცის წყალობა მიყოთ, რომ ჩემს სიცოცხლეში ისინიც იქ მივასხა, სანამ ცოცხალი ვიყო, იმათ არავინ დამიწყოს ჭიდება. და როიცა მე თქვენის ჭირის სანაცვლო გავხდე, მაშინ ღმერთმან მშვიდობაში მოგახმაროს. მეც ერთს კაცს მიმაბარეთ, რომ ჩემზე თვალი დაიჭიროს, უმამულონი გახლავართ, რაც უმამულო კაცს გაეწყობა, ისე მიმსახურეთ. გიორგობის **კვ**, ქორონიკონს **უნე**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ი ა ს ე მ უ რ ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ო! საცა ამისი კაცია, ახლავ აუყარე და საცა ანის ნება იყოს, იქ მოჰგვარე. თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მოგვახსენონ; მარა თუ ჩვენთან გამტყუნდენ, ჯარიმა წაერთმევათ. თუ არა თავისი დაანებონ, მოსცენ. ამის ყმასთან ჯელი არავისა აქვს. ნურცა ვინ ჭიდებას დაუწყებს. სანამდის აბაზაძე ზედგინ ცოცხალია, ამას მსახურონ, ჯელი არავისა აქვს. გიორგობის **კზ**, ქორონიკონს **უნე**.

ბეჭედი: ქნარს მაცემს, დავით მრჭობს ძლ კახეთის მეფეს ცხებულს, ერეკლე.

124. არზა საბა ნინოწმიდელისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 17 იანვარი

ცსსა. ღ. 1449. საბ. № 2390. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს სამარადისოდ მლოცველს ნ ი ნ ო წ მ ი დ ე ლ ს ს ა ბ ა ს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ ჩვენ ჯელმწიფეს. დიაღ, მრავალჯერ თავი გვიწყენია და მოგვიხსენებია და თვით წმიდის მოწამის ქ ე თ ე ვ ა ნ დ ე დ ო ფ ლ ი ს წიგნებიც მოგართვით. წყალობაც მიბძანეთ და მუხლსაც მაკოცნინეთ თქვენცა და თქვენმა ძმამ პატრიაქმაც.

ახლა კიდევ ამასვე გევედრები და გეაჯები ჩემო ჯელმწიფევ, რომ ეს გამირიგოთ და აღარ დამიყოვნოთ. პ ა ტ ა რ ძ ე უ ლ ს არის საკვამლო ოთხი, თ ვ ა ლ ზ ე დ არის ორი. ეკლესიაც თქვენია და იმისი მამულიც და მეც თქვენი მლოცველი გახლავარ. ამ სათხოერის აღსრულების მოქნე ვარ, ჩემო ჯელმწიფევ. აღიწერა იანვრის **იზ,** ქორონიკონს **უნვ.**

თავში

ქ. ბატონო მდივანბეგნო და მდივნებო! ამ არზით რომ ნინოწმიდელს სამართალი უთხოვნია, ეს კარგათ გაშინჯეთ და რაც ღმერთმან გაგონოსთ, თქვენ უსაჯეთ. იანვრის **იზ,** ქორონიკონს **უნვ.** [ ]

125. არზა ზურაბ საგინაშვილისა ძმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 4 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 26. საბუთი № 94. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[85 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მათ ფეხთა მიწამტვერს ს ა გ ი ნ ა [86] შ ვ ი ლ ს ბოქოულთხუცესს ზ უ რ ა ბ ს მოსცეს.

ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალეს ხელმწიფეს. ამას წინათ ყიზილბაშობას მალუჯათობაში ხარჯისთვის, დიაღ, ძალას და უსამართლობას გვ[ი]შვრებოდნენ, ერთის სოფლის ხარკს ერთი კაცი რომ ჩ[ა]ეგდოთ ხელში, იმას გამოართმევდნენ.

ერთი ჩემი წრისელი კაცი ე ბ ა ლ ა შემ[ო]მეხვეწა, რომ: სხვის ხარჯის გულისათვის მე მაღონებენ და ჩემის ხარჯისთვისაც, ერთი თავდახსნილობის წიგნი მამეცო, ქვეყანამ შეიტყოსო --- თავდახსნილი არისო, ჩემს წილს ხარკს კი მოგცემო და სხვის გულისათვის მე აღარავინ გამრჯისო. ცოტა რომ მეც მ[ემ]სახურა[1] თავდახსნილობის სიგელი მივეც.

[1] + და.

მერე ნეტარხსენებულმა [მ]ეფემა ბატონმა მამა თქვენმა მოკითხული ქნა და რადგან თავდახსნილობის სიგელი ქონდა, თავისთვის სახასოთ გახადა.

ახლა ამას ვევედრები თქვენს სიმაღლეს რომ ეს კაცი ჩემი მე[მ]კვიდრე არის და ისევ მე წყალობა მიყავით თქვენის შვილების საღეგრძელოთ. თებერვლის **კდ,** ქორონიკონს **უნვ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის. მერე ეს წრისელი ე ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ამ ბოქოულთხუცის ზურაბ საგინაშვილისათვის გვიბოძებია. თუ სიტყვა აქვს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს. აღიწერა მარტის **დ,** ქორონიკონს **უნვ.** [ ]

126. არზა უძიკანთ ოსეფას ჯალაბისა მდგმურების გავოსახლების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 10 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3681. დედანი. ქაღალდი 27,5×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მოქალაქე სადედოფლო უ მ ი კ ა ნ თ ო ს ე ფ ა ს ჯალაბს.

მემრე ჩემი ქმარ-მაზლი მოვალის ჯელისაგან ასე ათი წელიწადია გაქცეულნი არიან. ორი ვაჟი გაუშვეს ჩემს კისერზედ, ჩემის ჩიქილის წვერით ეს ყმარწვილები დავზარდე.

ასერ შვიდი წელიწადია შ ი ხ მ ა ჰ მ ა დ ა ჩემს სახლში და[ა]ყენეს. შიხმაჰმადმაც თავის სიმამრი თავისთან მოიყვანა. მე ჩემის შვილებით ეზოში გამოგვყარეს. მე უთხარ შიხმაჰმადას: შენ დაგაყენეს, სიმამრი რაღათ მოგყავს-მეთქი. თორმეტი აბაზი იმის სიმამრმა მომცა, ეს სახლის ქირათ აიღეო. თუ დავდგები, კიდევ მოგცემო.

ახლა თქვენის ბრძანებით გადიან; მე სხვასაც ვედავები ქირაზა და ის თავის თორმეტს აბაზსა მთხოვს, არ გადის. ამის სამართალი მაღირსეთ. მარტის **ზ,** ქორონიკონს **უნვ.**

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის ამ არზის პატრონო: თუ იქნებოდეს, ახლა ზამთარი არის, ამ დროს სად გა[ა]გდებ: ცოტა ხანს კიდევ ქირით და[ა]ყენე, მანამდის სახლის ფიქრს იქმოდეს. ამას ბრძანებით

კი არ გიბძანებთ, შუამავლობასავით გეუბნებით, რომ ჩვენის გულისათვის ასე ჰქნა. მარტის **ი**, ქორონიკონს **უნვ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

127. არზა სოლომონ აბაზაძისა ნაპარავისა და საქვრივოს გადახდევინების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 12 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1167. დედანი. 18,3×11 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს ფეჯთა მიწას მტვერს აბაზაძეს სოლომონს.

ამას მოვახსენებთ ჩვენ ჯემწიფეს: ერთმა ჩემის განაყოფის კაცმა ორმოცდაათი კოდი პური მამპარა. ჩემის ქვეყანიდამ სულ ამ პურის დაკარგვამ დამკარგა. ახლა რომ გიახელ, მთხრობელი მამივიდა: ქოჩორიძემ მოგპარაო; ის ასე მეუბნება: მარტო მე არა ვყოფილვარო. მე სხვა ქურდი არ ვიცი, ვის ვთხო[ო]. ერთი ოქმის წყალობა მიყავით მურვანიშვილს ზურაბზედ, რომ პასუხი გა[ა]ცემინოს.

მეორე აბაშიძის აზნაურიშვილმა — ნემსაძემ გიორგიმ ქ[ვ]რივი წამართვა, არც საქ[ვ]რიო მამცა, არც ქვრივი. თქვენს გასამარჯვებლათ, ოქმის წყალობა მიყავით, რომ ჩემის პასუხი გამცენ. მარტის **ი**, ქორონიკონს **უნვ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იას[ა]ულო მურვანიშვილო ზურაბ! მერე ვისაც ამ არზის პატრონი პურის მოპარვას უჩივის, თუ სიტყვა არა ჰქონდეს, უზღვევინე. და თუ სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. საქვრიოზე რომ ჩივის, ისიც გამოურთვი. თუ სიტყვა ჰქონდეს, მოგვახსენოს. მარტის **იბ**, ქორონიკონს **უნვ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

128. არზა ჩალაუბნელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 26 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13879. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელწიფის ჭირი მოსცეს ჯელერთობა ჩალაუბნელთ.

მემრე შარშან თვით თქვენ ბძანდებოდით და ნახეთ, რომ ჩვენ და მაღაროელნი მამულზედ ვლაპარაკობდით. ახლაც გავიტანეთ გუთნები ჩვენს მამულებში, მაღაროელთ არ გაგვიშვეს მოსახნავათ. გუთნები იქ გაუშვით და თქვენს სამართალს მოვმართეთ.

ჩვენი მემიჯნე თავს აბაგა არის, ბოლოს — ნუკრიანი. ესეც კარგად მოგეხსენებათ, თუ მამული ჩვენი არ იყოს, მაღაროელთან ჩვენ დაობა არ შეგვიძლია. შარშან ცემით დავგვხოცეს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი გვაღირსეთ. აპრილის **კვ**, ქორონიკონს **უნვ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: მარამდის ჩვენ ჯახეთ[ს] გამოვიდოდეთ, იმ მიწას ნურც თქვენ მოხნავთ და ნურც მაღაროელნი. და როცა ღმრთით ჩვენ ჯახეთს გამოვალთ, ამის სამართალს მაშინ გავაჩენთ.

აღიწერა აპრილის **კვ**-ს, ქორონიკონს **უნვ**.

129. არზა იოანე მამაცაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 12 მაისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1106. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს ფერჯა მიწა-მტვერს ნამამაცაშვილს ადამ ნაზირის შვილს იოანეს.

წერე ამას მოვახსენებთ ბედნიერს ჯელმწიფეს, რომ თქვენი წყალობა ჯელმწიფების წყალობის წიგნები მაქვს მამულებისა და კაცებისა წყალობათ მოცემული. და მოგეხსენებათ, მამაჩემი კურთხეულს მამიდა თქვენს ელენე დედოფალს ხლებია და ყმისა და მამულისათვინ არა ყური უგდია. და ის რომ თქვენის ჭირის სანაცლო შექნილა, ჩვენ პატარა ობლები დავრჩომილვართ, და იმერეთს ხიზნობაში დავსდილვართ.

და ახლა თქვენის დოვლათით რუისს გახლავართ უმამულოა. და თქვენი ნაწყალობევი მამულები არის და თვალით უყურებ, სხვანი ეპატრონებიან, მე არ მანებებენ.

და ამას ვეხვეწებით ბედნიერს ჯელმწიფეს, რომ ვისაც ჩემი მამული ეჭიროს, იმათაც ან ჯელმწიფების წიგნი მიჩვენონ ან პაპის ჩემისა და მამის ჩემის გასყიდულობისა. და თუ არადა, ჩემი მამული

დამანებონ. ამაზედ ერთის ოქმის წყალობა გვიყავით. ასე ძალა და უსამართლო მჭირს, თქვენს გასამარჯვებლად, ბედნიერო ჯელმწიფევ. დაიწერა მაისის **თ,** ქორონიკონს **უნვ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ვისაც ამის ნაქონი კაცები და ან მამულები გიჭირაესთ, იმ მამულებისა ან ძველათგან საბუთიანი წყალობის წიგნები ვისმე გაქვსთ და თუ ან ჩვენი წიგნი გაქვსთ და თუ ნასყიდობის წიგნი რამ გაქვსთ, ჩვენ გვიჩვენეთ. და თუ სამართლიანის საქმით გიჭირაესთ თქვენი იქნება. თუ არადა, თავის მამულები და კაცები უნდა დაანებოთ. მაისის **იბ,** ქორონიკონს **უნვ.**

ბატონო ამილახვარ-მდივანბეგო იესე! როგორათაც ჩვენი ოქმი აცხადებდეს, ვისაც ამის მამული მიმძლავრებით ეჭიროსთ და ერთი რამ ჭეშმარიტი სიტყუა და საბუთი არა ჰქონდესთ, მოიკითხეთ, კარგათ გამოიძიეთ და თუ საბუთით არავის ეჭიროს. ჯელი აუმართეთ და თავისი მამული მოაბარეთ.

და ჭეშმარიტი სიტყვა და საბუთი ჰქონდეს ვისმე, სამართალი გასინჯეთ და ისრე გაურჩიეთ. ამის საქმეს გაურჩეველსა და გაურიგებელს ნუ გაუშვებთ. [მ]კათათვის **იბ,** ქორონიკონს **უოვ.**

ნასყიდობის წიგნი ვისაცა ჰქონდეს, ის მოიკითხეთ და გასინჯეთ ვისგან არის გასყიდული. თუ ამათის სახლიდამ არის გასყიდული ამათ სიტყუა არ ექნებათ. და თუ სხვისგან არის გასყიდული იმაზედ ჯელი უნდა აუმართოთ და ამას მოაბაროთ.

ამასა და იოსებს ულაპარაკნიათ. თუ ჩვენგან განაჩენი აქვს რამე მიცემული, ხომ ორნივ იმაზედ უნდა დადგნენ. და თუ კიდევ ამათის საქმის გამოძიება და შეტყობა გვებრძანებინოს ვისთვისმე, კიდევ ისრე უნდა იქმნას.

ამილახვარ-მდივანბეგო იესე, ეს ასრე უნდა ვაარიგოთ, ჰალბათ.

130. არზა შიოზ საყვარელიძისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 14 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14650. ღედანი. ქაღალდი. 18×13,6 სმ. მხედრული. განკუეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბატონის მდივანბეგების ჭირი მოსცეს შიოშ საყვარელიძეს.

მემრე დემეტრე ამილახვარის შვილმა ლევანის შვილისა ლევანისაგან ცხენი იყიდა. ერთი თუმანი დარჩა და ერთის თუმნის თამასუქი გამოგვართო ზაზა ბარათაშვილსა, კვანჭახაძეს და მე. ამ თეთრს ლევან ჩვენა გვთხოვს. და დემეტრეს პური ცხრა კოდი ჩემის ჯელით მე მინიბარებია ზაზა ბარათა შვილისათვის. ახლა ამ პურსა ვთხოვ, არ მაძლევს. თუ ისევ დემეტრეს ვალში მივცე, დემეტრეს ვკითხე: ეს პური რომ მიმაცემინე, რათ მიმაცემინე-მეთქი. ჩემ[მ]ა სულმა იმ ცხენის ვალში მივეციო. მაშინ კოდი პური სამ აბაზათ იყო. ამის სამართალი მაღირსეთ. მაისის **იდ,** ქორონიკონს **უნვ.**

თავში

ქ. მდივანბეგების იმედო იას[ა]ულო კატახაშვილო(?) ბეჟან. მერე ამ [ა]რზის პატრონი ვისაც ამ არზით უჩივის, თუ სიტყვა არა აქვს რა, გამოურთი, მოეც. და თუ სიტყვა აქვს რამე, სამართალში მოიყვანე. აღიწერა მაისის **იდ,** ქორონიკონს **უნვ.**

ოთხი ბეჭედი:
1. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმჭვრობი(?) ღმერთგანცაა(?), იოანე, 1748.
2. ქაიხოსრო.
3. ფარსადან.
4. მოხა ღთისა ამილახვარისშვილი მოურავი იესე.

კიდეზე

ქ. თუ უნდოდეს, სამ წელიწადს მოგემსახუროს. თუ არა. რაც სოფლის კაცმა გაუჩინოს, ის მისცეს. ჩვენთან ჩამოიყვანე, ჩვენ გავარიგებთ.

ბეჭედი: მონა ღთისა ამილახვარისშვილი მოურავი იესე.

131. არზა გარბარესი უმა-მამულიც თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 10 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 442. ღედანი. თაეი მოხეულია. 31×12,5 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკუეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღ[მერთმან ბედნიერის ხემწი]ფის ჭირი მათს მი[წა]ს ბარბარეს მოსცეს. მერე ავალიშვილის ყმები სამი კომლი და ბრეთს რაც იმისი წილი მამული არის, რომ გირაოთ ჩვენ

თამასუქში თქვენის ბძანებით გვიწერია, ბ ე ჟ ა ნ ა ბ ი ლ ა ხ ო რ ი შვილზე რომ თქმი გვიბოძეთ, არა მოგვეცალა, ნახუცარი რასაც იღებს.

ახლა ამ წყალობას ველით თქვენია მოწყალებისაგან, რომ თქმი რ ე ვ ა ზ ა მ ი ლ ა ხ ო რ ზ ე გვიბოძეთ, რაც იქიდამ გვერგებოდეს, რევაზ ამილახორი გაგეირივებდეს და მიგვცემდეს. იმას გარდა ყმა და მამული ბევრი აქვთ, ჩვენ ეს წყალობა გვაღირსეთ. ღმერთი უმეტესათ განგაძლიერებთ ჩემო ხელწიფევ.

თაყვა

ე[ქ]იკალასპ..მოკ ბატონო...* და გერ...* და მამუ...* აქვს იმ მამულსა და გლეხებთან სანადდის იოანეს ნება იყოს და ან სანამდის ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი დაიხსნიდეს, როსკა დაიხანის, მისი იქნება და დახსნამდის იოანეა ნებით შენ გებარებოდეს. ივნისს **ი**, ქორონიკონს **უნვ**.

ქ. როგორადაც ბეჟან ამილახორის შვილს ჰქონდა თქმ[ი] მიცემული, იმ გზით ახლა თქვენთვის გვიბძანებია.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჭმობს ძედ კახეთის მეფეც ცხებულს, ერეკლე.

132. არზა პაპალა სანთლიკუდაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმითა და გდივანბეგთა განჩინებით

1768 წ. 16 ივნისი

ცნსა. ფონდი 1448. საბუთი № 446. დედანი. ქაღალდი. 27× 22 სმ. დაზიანებული. ხახდრული. გაწყვეთილობია ნიშანი ხახმარი არ არის. შემოკლებით და ზოგიერთი შაცდომით დაიბეჭდა: ქ ა რ თ. ს ა მ ა რ თ. ძ ე გ ლ ე ბ ი IV, № 442. შდრ. აქვე, საბუთი № 168.

[არზა]

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი ბრეთელს სანთლიკუდაშვილს პაპალას მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს ხემწიფეს. შარშანს წინ გიორგი ლეკმა ანდრიდამ დამიხსნა, თვრამეტი თუმანი მიდის, ზოგი მიმიცია და ზოგის ილაჯი არა მაქვს. რომ მოველ, შინაც არ მივსულვარ, მაშინვე არძი მოგართვი, რომ რაც ნასყიდობა მჭონდა, ის დამნებდეს, რომ თავი დავიხსნა მეთქი. თქვენ დიამბეგებზე ოქმი მიბოძეთ: ამისი ნასყიდობა მოიკითხეთ და იმითი თავი დაიხსნასო, ასე გებძანათ.

დიამბეგებმა ა ბ ე ლ კ ა ლ ა ტ ო ზ ი შ ვ ი ლ ი იასაულად გამატანეს, სწორეთ მოიკითხე და მჯალამაც მოაწერინე პრეთელებს, რომ ნასყიდობა რაერთი აქვსო. იასაულმა მჯალამა ჩამოუტანა. თქვენს ოქმზე განაჩენი გახაწერეს, იასაული თან გამატანეს, ყმასა და მამულზე ელი აძართა და მამაბარა. ცოტა ხანს მეჭირა.

მერმე გიორგი ლეკს ეჩივლა. იასაულათ პ ა პ უ ნ ა ფ ა ლ ა ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი მიგეცათ. მამული ისევ წამართვა. ე დ ი ა მ ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ მ ა მომკიდა ხელი და ხელში პ ა პ უ ნ ა ს მიმცა: ეს ისევ ლეკს შიეც, ამას თავის ნასყიდობას არ გავასყიდვინებო.

ახლა მუდამ იასაული ავად მეპყრობა, თეთრს მალონებს. აქამდი მე ვუყავ ტყვე და ახლა ცოლითა და შვილით ტყვე შევრჩენ. ღ ა ლ ა ტ ხ ი დ ა მ იხსნი, ამთონი შენი წყალობა იყოს, რომ ჩემი ნასყიდობით ნე თავი დავიხსნა. სხვა ილაჯი არა მაქვს, მეორეთ ნუ დამატყვევებთ, თქვენს შვილებს თავს შემამავლებით. ქ რ ც ხ ი ნ ვ ა ლ ა ც მიბოძეთ ოქმი, ახლა მივიტანე და არცარა იმითი გამირიგდა. მეორეთ ხელარ გამაურჯულოვებ, ქრისტიანი ხემწიფე ბძანდებით, თიბათვის ე, ქორონიკონს **უნვ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო ა ბ ე ლ კ ა ლ ა ტ ო ზ ი შ ვ ი ლ ო. მერე ამ არზის პატრონმა თავის ნასყიდი მამული უნდა გაჰყიდოს და თავის სახსარში მისცეს, შენ გაჰყევ და ასე გაარიგე. თიბათვის **ვ**, ქორონიკონს **უნვ**.

თუ ჰეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე. მოგვახსენოს. თუ არადა, თავის მამული დაანებონ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჭმობს ძედ კახეთის მეფეც ცხებულს, ერეკლე.

[განჩინება]

ქ. ჩვენ, დიდებულებმა, ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ე დ ი ა და ეს პ ა პ ა ლ ა ვალაპარაკეთ. ასე გავარიგეთ: თუ ედიას უნდოდეს, ათი თუმანი ამ პაპალას სახსარში მისცეს და თავის მამული, ნასყიდი თუ უსყიდი. ყველა დაანებოს. ეს პაპალა როგორც ბატონყმობის რიგია, ისე ემსახუროს. ათ თუმანზე მეტი თავის სახრის რაც იყოს, პაპალამ მისცეს. მამულს კი ნუ გაჰყიდის[2]. და თუ ედიამ ათი თუმანი ამის

[1] მოგვცეთ.

[2] გალატოზრვილო. [2] გაჰყიდეს.

* აკლია რამდენიმე სიტყვა.

სახსარში არ გაიღოს, თავის ნასყიდი მამული უნდა დაანებოს, როგორც ბატონის ბძანება არის, ისე გაყიდოს და თავი დაიხსნას. ივნისის **ივ**, ქორონიკონს **უნვ**.

ოთხი ბეჭედი:

1. ქ. სჯის მაჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჭომი ღმერთგანცაა(?), ი ო ა ნე, 1748.
2. ქ ა ი ხ ო ს რ ო.
3. ფ ა რ ს ა დ ა ნ.
4. მონა ღთისა ამილახვრისშვილი მოურავი ი ე ს ე.

133. არზა ალექსანდრე სარდლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 17 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 856. დედანი. ქაღალდი. 34,5×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს სარდალს ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს.

ეს მოვახსენოთ, ჩემი ვედრება ეს არის. ჩემს სახლის კაცებს არზი მოურთმევიათ, რომელზედაც რომ ამდენი ხანია მუკლდადგომით ვჩივი და სამართალს გევედრებით, ჩემის სახლისკაცისა და ყმისაგან სულ ამოხუთვილი ვარ. თუ რამ ამ სოფლის ნივთი მქონია, ყოელიფერი წამიგია.

პირველად ეს, რომ ყიზილბაშებისათვის მალუჯათი მიძლევია; მეორეთ ესე, რომე წამკდარი მამული მომბარებია და აქათ-იქით ცდით კაცნი შემოგროვებია და ჭირი მინახავს და ისრე ამიშენებია; მესამეთ ესე, რომე მაგათგან გასყიდული სოფლები მიყიდია და მედავებიან; მეოთხეთ ესე, რომე ციხეზედ დიდი შრომა დამიდევია და ამიშენებია და ახლაც თქვენის დოვლათით ჭირით ვინახავ.

ესეები თუ ყმისა და მამულის გამოსაელიდამ მიქნია და საბუთს ბიზმენ, სიტყვა არა მაქვს. და თუ ჩემი ალალი ჩემის სახლის საქონელი დამხარჯვია, ეგენი კი გზაზე სადაც ჩვენის მამულიდამ შეიძლება სჭამენ. მე ამ ბიზეზებზე საქონლისაგან დავცლილვარ და ვეღარც მოვალე[ე]ბს გაუველ თავსა, ბევრი ვალი მმართებს და კიდევ ეგენი მიჩივიან.

ღმერთი შენს კმალში გა[გი]მარჯვებს და შენს მეფობას უმეტესად აღამაღლებს. ამისი სამართალი მაღირსეთ. ივნისის **ივ**, დაიწერა ქორონიკონს **უნვ**.

ხელთა: ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე

ქ. რომელიც განჩინება დაგვიწერია და მიგვიცია, ის განაჩენი მტკიცეა. ესე შენი სახლის კაცები არიან. მამულის წილი სამართლიანი უნდა მისცე და მიაბარო.

და თქვენ რაც სადაო გაქვს - ან გალავნის შენებისა ან ნასყიდობისა ან რაც ჭირდებულება გიქმნია შენს მამულზედ და ხარჯი მოგსვლია ან სხვა სადაო გაქვს შენს სახლის კაცებთან, სია დასწერე, სამართალს მოჰყევ, ელეპარაკე, რომელიც რიგია და საქართველოში მომჭდარა, არცავინ შენ დაგმართებს უსამართლოსა და არცავინ ამათ. ივნის[ს] **იზ**, ქორონიკონს **უნვ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

134. არზა სვიმონ დეკანოზისა გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 24 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2566. დედანი. ქაღალდი. 23,3×17 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს მათ სამარადისოდ მლოცველს წმინდას ევსტათის დეკანოზს ს ვ ი მ ო ნ ს.

მერმე ამას მოვახსენებთ: წმინდას ევსტათის ერთი კომლი კაცი ყავს ქ ვ ე მ ო ნ ი ქ ო ზ ს ა და რაც მოსაქმე გაჩნდება რისაც ფერისა, მოვლენ ხოლმე და უწინ მას ჩაუდგებიან, უსმენ, უპპატრონ, სათხოვარსაც ართმევენ.

ახლა ბედნიერს ხემწიფეს ამას ვევედრებით: სიგელიც გვიახლებია, გაშინჯეთ და ერთი ოქმის წყალობა გვიყავით, რომ ეს კაცი წმიდას ევსტატეს არ დაეკარგოს, თქვენს სადღეგრძელოთ და თქვენის შვილების განსაძლიერებლათა. ოსმალოს ეჭირა ქვემო ნიქოზი. შუაში უჯდა იმ სოფელსა. შენი რისხვა მქონდეს, თუ სასოფლ[ოს] საქმეში ან იმათ გაერიოსთ, თვარემ [ე]ს სიგელები მოვახსენებსთ. აღიწერა ივნის[ს] **კგ**, ქორონიკონს **უნვ**.

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ხეთის წმიდის ესტატის ყმა რომ არის, ვაი იმ კაცს, ვინც იმას სასოფლოს ხარჯსა და გამოსაღებში გარევს ლაშქრობასა და მდევრობას გარდა. თუ სახელდობლივ ჩვენ იმ კაცს სამსახური არ უბძანოთ, არავინ რა გამოართვას, თვარემ დიდათ უწყენთ. ივნისის **კდ**, ქორონიკონს **უნვ**.

ძველთაგანვე ქრისტიანის მეფეებისა და თათრების მეგატონეების წიგნი აქვთ ს[ითარ]ხნისა და ჩვენ რო[გორ] არ უნდა ვათარჩ-[ნოთ].

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

135. არზა დავით ჯავახაშვილისა სარგოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 24 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 799. დედანი. ქაღალდი. 20,5×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათ მიწას ჯ ა ვ ა ხ ა შ ვ ი ლ ს დ ა ვ ი თ ს მომცეს. ძველი სიგელი მქონდა ც ხ [ი] ლ ვ ა ნ ი ს ნაცვლობისა. ღმერთმან გაგიმარჯოს, თქვენგანაც წყალობა დაგვემართა და ნახევარნაცლობა გვიბოძეთ და იმ ნაკლებისა სხვა რიგათ წყალობით შესრულება გვიბძანეთ.

ცხილვანის ნაცლობის განწესება ეს იყო: თუ რამ თემს ეთხოვებოდა, უნაცლოთ არ უნდა დაწერილიყო და ვითა სახე, ნაცვლის ბეჭედიც უნდა მჯდარიყო, ვისაც მეტი თუნგი ექნებოდა ან ლიტრა, ან ნაკლები ადლი — ჯარიმას წაართმევდენ; ავკაცობისა და **ჩხუბის** ჯარიმას აიღებდენ; რაც მოურავისა ედვათ, აიღებდნენ — გასამყრელო ანუ ულაყი; თემი ნაცვალის რიგით პურს აჭმევდენ. ნაცვალი შშიერი არავის უნახავს.

უნდა თქვენი ბძანება და ოქმი ასე დაიწეროს მამასახლის[ს]ა და თემზე, როგორც დასტური ყოფილიყოს, თვითონაც ისი ქნან. ჩვენც ის გვაქნევინონ.

ოცი წელიწადია იქაური ნაცვალი ვარ, ყველა საქმე მკითხვია და პურიც რიგით უჭმევიათ და ბძანება თქვენი გათავდეს. დაიწერა თიბათვის **იე**, ქრისტეს აქეთ **ჩღჷ**.

ქ. ჩვენი ბძანება არის ქცხილვანის მაჭასახლისო და ქცხილვანელნო! ნაცვლის გარიგება როგორც თქვენში დასტური იყოს და რაგვარათაც განწესებული გქონდესთ, აწ ჯავახაშვილს მდივანს დავითს ნაცვლობა ისე ამოქმედეთ; დამხვედრნი კაცნი იქნებიან და ზოგს თქვენ მოსწრებიხართ, როგორც რიგი იყოს, მეტს ნურც ეგ მოინდომებს და ნურცარას თქვენ და[ა]კლებთ. რაც მაგის საკითხავია: ან ლიტრა, ან ადლი, ან დავთრის ნახვა და დაბეჭდვა, ან ჯარიმისა რაც დებულობა ყოფილიყოს, ისე მოაქციეთ ეგეც და თქვენც ისე მოექეციით. ივლისს **კდ**, ქორონიკონს **უნვ**.

ქ. და თუ მართებული არ ყოფილიყოს და არა გდებოდესთ რა, არცარა საქმე მაგასა აქვს. ჩვენ ასეთს ოქმს გაძლევთ: თუ ყოფილიყოს, ნუ მოუშლით; და თუ არ ყოფილიყოს, ნუ განაწესებთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

136. არზა გლახა გედევანიშვილისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 10 აგვისტო

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 9234. დედანი. ქაღალდი. 31,5×16. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოველად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მათს მიწას გ ე დ ე ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს გ ლ ა ხ ა ს მოსცეს.

ამას მოვახსენებ ჩვენს მოწყალეს: რ ო ს ტ ო მ ჩემს განაყოფს ჩემი სამი კვამლი კაცი ეჭირა თავისის მამულითა. თქვენს ძმას კათალიკოსთან ვიჩივლეთ. გვალაპარაკა და განაჩენი გვიბოძა და ფიცი დაადვა; არც შემომფიცა და არც ჩემი მომცა.

ახლა თქვენ რომ გ ო რ ს ბძანდებოდით, მეორე ოქმი და იასაული მომცა. არცარას იმ ოქმსა და იასაულს მეპუა. მასუკან მიბძანა: ახლა ჩემს ძმასთან იჩივლე და ოქმი და იასაული აიყვანეო.

წყალობას ვითხოვ თქვენის სიმაღლისაგან, რომ ერთის იასაულის და ოქმის წყალობა მიყოთ, რომ როგორც თქვენის ძმის განაჩენი მქონდეს, ისე გამირიგოს, კეშწიფევ. აღიწერა აგვისტოს **ბ**, ქორონიკონს **უნვ**.

ქ. ჩვენი ბძანება არის თ უ ხ ა რ ე ლ ო გ ო გ ი ა ვ. მერე ამ გედევანიანთ სამართალი როგორც მის უწმინდესობას ჩვენს ძმას

ებძანოს და განაჩენი მიეცეს, როგორც იმ განაჩენში ეწეროს, ახლავ ისე გაურიგე. ან შეჰფიცოს, როგორც ფიცი აძეს და ან თავის ყმა და მამული დაანებოს. ამის იასაულობა ჩვენს ძმასაც შენთვის ებძანებინა, ჩვენც შენთვის გვებძანებია. ასე გაურიგე. აღიწერა აგვისტოს **ი**, ქორონიკონს **უნვ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჰმობს ძედ კახეთის მეუფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

137. არზა პაპუნა ფავლენიშვილისა გაჟის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 18 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 177. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[117 V] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს პ ა პ უ ნ ა ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ს ა. ძ ა ღ ო ნ ა ს რომ მიბძანდებოდით, ტ ბ ე თ ს მოგახსენე: მირშქარბაშს რომ ქვის საჭრელათ კაცნი გამოეგზავნა, იმისი ბაჟს დაგეაჯენით, მუხლზედაც მაკოცნინეთ და მიბოძეთ. მიველ და ვთხოვე, მითხრეს — უხელმწიფოთ ვერას მოგცემთო; რაც [118] ბედნიერმა ხელმწიფემ ბძანოს, ის უნდა იქნას, რაც იმან გვიბძანოს იმას მოგცემთო.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენც ჩვენის მამულით თქვენც უნდა გემსახუროთ და ჩვენც დავრჩეთ. იმათ მიცემული წიგნიც მიახლები[ა]. ღმერთი გაგიმარჯვებს, რაც მერგებოდეს, უბძანეთ რომ მამცენ. მარიამობისთვის **იგ**, ქორონიკონს **უნვ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის. მერე პაპუნა ფანველიშვილს[1] აქ არზით რომ მოუხსენებია, თუ იმ მოჭრილს ქვაზე კვლავ აღებულა რამე და დასტური არის, ახლაც პაპუნამ აიღოს. ვინც ამის მეზობელი თავადიშვილები იმ მამულზე ლაპარაკობენ, სამართალში მოვიდნენ, პაპუნას ელაპარაკონ. თუ სამართლით შეუძა ვინმე, პასუხს მივაცემინებთ. აგვისტოს **იშ**, ქორონიკონს **უნვ**.

თუ ან არ აღებულიყოს და ან იმათ სიტყვა არა ჰქონდესთ, ნუ ილაპარაკე[ბე]ნ.

[1] ფანველიშვილი.

138. არზა დათუნა ნასრანიშვილისა ყმობის თაობაზე ფდივანბეგის ოქმით

1768 წ. 26 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. № 2396. დედანი. ქაღალდი. 16,5×14 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი მისცეს ავლაბრელ ნ ა ს რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს მახარეს შვილს დ ა თ უ ნ ა ს.

მერმე ამას მოვახსენებ ბატონს მდივანბეგებს: ქალაქს რომ ყიზილბაში შემოადგა, ურუმებმა კარები დაკლიტეს. მამაჩემიც მაშინ აქ, კახეთში, წამოვიდა. ხელაანთ დაბლა დავდექით. ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი დ ე მ ე ტ რ ე რომ კაი კაცი იყო, ჩვენც შეშით ისრე სამსახურით ვაამებდით; ყურსაც გვიგდებდა, შვილი ი ო ს ე ბ ა ც თვალს გვიგდებდა; არც იასებს მოვშორდით. ახლა შევიტყევით, ყმათ მეჰიდებაო. არვისგან უყიდივარ, არსიდამ არ მოუყვანივარ: თუ მოუცია რამ, მეც მიმსახურია. თუ არადა, მე ჯემწიფის ყმა ვარ. ამაში უსამართლოს ნუ გამხდით, თქვენად გასამარჯვებლად. გიორგობის **კდ**, ქორონიკონს **უნვ**.

ჩვენი რომ აქ გაახელით, რვა წელიწადი გამოვიდა, მასუკან დიმიტრი გავიცანით. კაის კაცობით ვემსახურეთ.

თავში

ქ. ამ არზის პასუხი ასე მიეცა: ეს არზის პატრონი ურუმობას არის მოსული. საქართველოს რივით ი ო ს ე ბ ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ს ვერსად წაუა; სამართლის ძალით არცავინ ამ კახეთში მოვალე ყავს. და თუ ავლაბრელობით სახასოა და ბატონი გამოართმევს, მისი ნება ჯემწიფისა არის. გიორგობის **კვ**, ქორონიკონს **უნვ**.

რამაზ

139. არზა გიორგი გონგლიაშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 9 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3038. დედანი. ქაღალდი. 21×14 სმ. დაზიანებული. მხედრული. გაწკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ქარელს ზ ა ქ ა რ ი ა ც ი ს შ ვ ი ლ ი ს ყმას გ ო ნ გ ლ ი ა შ ვ ი ლ ს გ ი ო რ გ ი ს. ორმოცი დღის მიწა გვაქვს ნასყიდი. ცხრა მამა-ძმანი მტრი-

საგან გამიფუჭდნენ, დავრჩი მარტოა მე. ახლა ჩვენმა სოფლის კაცმა მიბრიყვა და ეს ჩვენი ნასყიდი მიწები თავიანთთვის მოხნეს და ბარას აღარ მაძლევენ. გულბადისშვილი ზაქარია მომეპარა წისქვილში, დამკრეს კეტები: მოვკლათ, მამული ჩვენ დაგვრჩებაო; სიკუდილის პირობაზედ გამიშვეს. აქამდისინ ის ზაქარია დამალული იყო და ახლა გამოჩნდა. ორი წელიწადია თვალთ ვეღარას ეხედავ. ამისი სამართალი გვაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. დეკემბრის გ, ქორონიკონს **უნვ**.

თავში

ქ. ჩვენო დისწულო მ ა მ უ კ ა ვ! ამ არზის პატრონს ერთი კაცი გაუგზ[ავ]ნ[ე]. თუ სიტყვა ჰქონდესთ რა, როგორც იმის მამულს ხნებდეს, ღალა გამოურთვას და მოსცეს. და თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს, სამართალში მოაყოლოს. ერთიც ეს რომ, გულბადისშვილს ზაქარიას გალახვას უჩივის, ის სამართალში მოიყვანოს. იანვრის **ზ**; ქორონიკონს **უნზ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჭმობს ძელ კახეთის შეუდ ცხებულს, ერეკლე.

140. არზა იოანე მუხრანბატონის შვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 21 დეკემბერი

ცსსა. ბ. კარბელაშვილის პირადი ფონდი. № 1451. რვეული № 3. საბუთი № 43. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[29] ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს მათ ფერხთა მიწა-მტვერსა მ უ ხ რ ა ნ ი ს ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ს ი ო ა ნ ე ს.

ამას მოვახსენებთ, რომ თქვენ იასაულად ა მ ი რ ი ნ დ ო გვიბოძეთ, დ ა მ პ ა ლ ა შ ი მიწები გაგვიცვალა. ცამეტი წელიწადია, რომ მე მიჭირავს. ახლა მუხრანის ბატონს წაურთმევია[1] და თქვენი ბძანებაც იყო, მიწები გაეცვა, მაშინაც მე მამცეს. ა მ ი რ ი ნ დ ო ა მ ი ლ ა ხ ო რ ს ერთი ცხენი და ერთი თუმანი საიასაულოდ მივეცით. ჩემი ესენი მიბოძოს, თავისი მიწები მიიროთოს. არც წლევანდელი ღალა, რაც რომ თქვენი ბძანება და ოქმი იყო, არა მამეცა რა.

[1] წაურთხმეია.

ამის ოქმს ვითხოვ რომ მიბოძოთ, რომ ჩემის წვრილის შვილების ცოდვა ნუ უნდა. ოცდაოთხი წელიწადია რომ თქვენი კელმწიფობა საქართველოში ბრწყინავს. მე ასე უსამართლოში ვყოფილვარ. თუკი ესენი ასე მერევიან, რა საკვირველია, ამას წინათ უფრო მამერეოდნენ.

ღმერთსა და თქვენსა კელმწიფობას სამართალსა ვთხოვ: ერთი ოქმი ა თ ა მ ა მ უ ლ ა შ ვ ი ლ ზ ე, კ ვ ა რ ხ ე ლ ზ ე არ უ თ ი ნ ა ზ ე, ს უ ლ მ უ ხ რ ა ნ ა ზ ე, ყ უ ლ პ ა პ ა ზ ე, ს ა რ კ ი ნ ე ლ ს ა ლ ე ქ ს ა ზ ე მიბოძოთ; რაც რომ თქვენგან წყალობა წილი მამცემოდეს ის ამათ მაძლიონ; ან თქვენ თავს აღარ გაწყენდეთ, ან იმ ბატონს.

თუ არადა, ეს დამემართება: თქვენგან ნაბოძებს ჩემს წილს თქვენს ვალამს ქვეშ იყოს და მე თქვენს ამაღლებულს კარზე დამარჩინოთ. ჭეშმარიტად ასეთი მადლი იქნება, რომ დაღესტნიდამ ტყვე დაიხსნათ. გაყრას მიბძანებთ, მე გაყრას არ მოგახსენებთ. თქვენ ყველა იცით და უწყით.

ღმერთმა ასე თქვენს მტერს გაუჭიროს, როგორ[ც] მე ასე საქმე გაჭირებული მაქვს. ღმერთი ბედნიერს შვილებს გიდღეგრძელებს, რომ ერთის მბრით მიშველოთ რამე, ჩემო ხელმწიფევ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მამულაშვილო ათაე, კვარხელო არუთინავ. ერთობით მუხრანელნო და ყულო პაპაე, სარკინელო ალექსავ! რაც წილი ი ო ა ნ ე მუხრანის ბატონისშვილს - - ლ ე ო ნ ი ს შვილს რეგებოდეს, დაუკლებლად თავისას ყოვლის ფერისაგან მოსცემდეთ; იმ თავის ძმისაგანც გამოუყოფდეთ და თავის წილს მოსცემდეთ. ნუ დააკლებთ, თორემ თუ ამას თავისი წილი დააკლდა, თქვენ გარდაგახდევინებთ. ქრისტეშობის **კა**, ქორონიკონს **უნვ**.

141. არზა ნიკოლოზ ციციშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1769 წ. 8 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 203. დედანი. ქაღალდი. 20,5×16,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი ნ ი კ ო ლ ო ზ ც ი ც ი ს შ ვ ი ლ ს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალეს: ბიძის ჩემის ციცის ერთი თუმანი მართებოდა მამაჩემსა. იმ ერთის თუმნის თამასუქი იმასვე დარჩომოდა, ის თეთრი გადაწყვეტილი ყოფილიყო, რომ ბარათი ხელში მიჭირავს მიბარება. ახლა იმისმა შვილმა ერთი ხოდაბუნი გამოყიდა ამ თეთრის [უ]ჯათზე. თუ სიტყვა აქვს, სამართალში მამყვეს; თუ არა, ერთის ოქმის წყალობა მიყავით ჩემოული დამნებდეს. იანვრის **ბ,** ქორონიკონს **უნზ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო ზაზა ამირეჯიბო! ვისაც ამ არზის პატრონი ამ არზით უჩივის, თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, სამართალში მოიყვანე. და თუ სიტყვა არა ჰქონდეს რა, თავისი მამული მიაცემინე. იანვრის **ს,** ქორონიკონს **უნზ.**

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

142. არზა გორჯასპი მდივნისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1769 წ. 28 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 152. დედანი. ქაღალდი. 23,5×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნაბეჭდარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს მის ფერჯთა მიწას მდივანს გორჯასპის.

ამას მოვახსენებთ ღმრთივ განძლიერებულს კელმწიფეს: გიბძანებიათ ღვთისავარა თუმანის შვილს მდივანბეგებთან ელაპარაკნენო. იმას ჩვენთან რა სალაპარაკო აქვს და ან ჩვენ იმასთან? იმისმა განაყარმა სახლისკაცმა თავის ნებით ოსმალობას მამული მომცა, ამიტომ რომ მალუჯათის მიცემა მეტათ გაჭირდა და მიცემა ვეღარ შეიძლო და იმ მამულის საათხოვარს[1] და მალუჯათს მე მართმევდნენ.

ღმერთმან ინდენი შენი წყალობა მამცეს, რამდენჯერ სიკვდილს და ამ ქვეყნიდამ დაკარგვას ვინატრებდი ხოლმე, რომ ორის შაურის გულისათვის ფეხს არ გვაცვლევინებდენ და ჯოხის მაგიერად ნაჯახს იცემებოდნენ. მაგრამ რა ღონე მქონდა, თავს დამედო და უნდა გარდამეხადა.

[1] საათხოვარს.

იმ [მ]ამულის მომცემნი და პატრონები ამოწყდნენ; და ორმოცდა ხუთი წელიწადი მე მიჭირავს. ამის მეტათ არც ეგ და არცავინ სხვა წამომდავებია ვინმე. ახლა არ ვიცი რის გზით მედავება, ამდენი ხანი მიჭირავს ის მამული და ჯაფა და ჭირნახული მაქვს.

იმას წინათ იმ მამულის პატრონის დამ თქვენთან გვიჩივლა და ვალიც ვერ გარდავიხადეთ. ღთისავარაც იმ ჟამად ლაპარაკობდა ღა ჩიოდა, მაგრამ გასინჯეთ და მამული ჩვენ გვ[ი]ბოძეთ; და რევაზ ბარამასშვილის კელით, რაც შეგვეძლო, გმსახურეთ.

ღმერთმა შენი რისხვა მომცეს, თუ ღვთისავარს ან თავისი მამულის მოვლა შეეძლოს, მაგრამ სხვა ჩვენი მტერი აცოდვილებს, თორემ არაფერი სიტყვა აქვს. თქვენს დროში ორმოცდა ხუთის წლის მრავლის ჭირით ნაშოვნი მამული რომ გამოგვერთვას, ვიღას დროს უნდა ვიშოვნოთ, ღმერთი გაგიმარჯვებს: თებერვლის **ს,** ქორონიკონს **უნზ.**

თავში

ქ. ბატონო მოსამართლენო! ეს კარგათ შეიტყევით იმ მამულის პატრონი ან გორჯასპი მდივანს როგორ ეყვის, ან ღვთისავარას, იმათი ჩამომავლობა დასწერეთ. და მეორე ეს შეიტყევით, ღთისავარს მამა და იმ მამულის პატრონი რომ გაყრილან, ისევ შეყრილან, თუ არა? თებერვლის **კს,** ქორონიკონს **უნზ.**

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის შეფედ ცხებულს, ერეკლე.

143. არზა ალექსანდრე სარდლისა ტყის მოჯრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1769 წ. 9 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 52. საბუთი № 17. ბერი. ქაღალდი. მხედრული.

[10] ღმერთმან ჩვენთვის უხვად მოწყალის ხემწიფის ჭირი მოსცეს სარდალს ალექსანდრეს.

მერე ამას მოვახსენებ ჩვენს მოწყალეს ხემწიფეს. თქვენი ოქმი და ბძანება მოგვიეიდა, რომ თუ ერთმანერთთან ან საჩივარი გქონდეთ ან სადაო, ჩვენ მოგვახსენეთო და სამართალს ჩვენ გიზამთო. ამის გულისათვინ ვერავის ვაწყენინე.

ახლა ამას მოგახსენებ. თქვენის თავის მზემა ერთი ტივი მინდოდა, კაცნი გაეგზავნე და ვეღარა ვიშოვნე ხე რომ მამეჭრევინებინა,

ასე გ[ა]უყენებიათ ჩვენი ტყე. ა ტ ე ნ ს ქვეითი კაცი სულ ჩვენს ტყეში ჰრიან, არ გ[ვ]კითხვენ მოჭრასა, არც რაც ტივის სალბაშია[1], იმას გვაძლევენ. ეს არასდროს უქნიათ.

ამას გეუბედებით, ერთის ოქმის წყალობა გვიყოთ თავადა ჩვენს უკითხავად ჩვენს ტყეში ნუ მოჭრიან; თუ რომ მოჭრიან, რაც მართებული იყოს და ვიღებდეთ ან ჩვენა და ან სხვაგან, იმას მოვცემდნენ. [V] ჩვენც ჩვენის მთითა და ბარით უნდა დავრჩეთ. თებერვლის **კჱ**, ქორონიკონს **უნზ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის, ამათს მამულს და ადგილში ამათს შეუკითხავად ნურავინ მოუჭრით ხესა. და თუ გეჭირებათ და მოსჭრით, რაც მართებულია და წესი და კულავ მიგიცათ, მისცემდეთ და ნუღარ აჩივლებთ. მარტის **გ**, ქორონიკონს **უნზ**.

144. არზა მელაძეებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1769 წ. 19 მარტი

ცსსა. ფ. 1449. საბუთი № 895. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ლ ე ვ ან მ ა ჩ ა ბ ლ ი ს ყმას აბოწმინდელს მ ე ლ ა ძ ე მ ა დ ი ნ ა ს და დ ე მ ე ტ რ ე ს.

ამას მოვახსენებთ, ბატონი ჩემი ლ ე ვ ა ნ სამას თუმანს მთხოვდა. ქანის ერისთვის ყმა გ ი ა მოვიდა და სამ თუმნათ რ ხ ვ ი თ ი ხუთის დღის მიწა დაუგირავე კათალიკოზის ყმის ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ო ს ე ფ ა ს პირითა. მე ხიზნათ საერისთოს გახლდი. ის კაცი მოგირავე თურმე რუსეთს მიიპარებოდა, და ის ჩემგან მიცემული გირაო მიწაცა და ოთხის დღისა კიდევ სხვა ჩემი მიწა უჩემოთ მაჩაბლის ყმის კ ვ ა ღ ნ ი ძ ი ს ა თ ვ ი ს დაუგირავებია. ის კაცი რუსეთს გაპარულიყო.

ახლა კვაღნიძეს თავის თეთრს ვაძლევ, არ მიჭერს, ჩემს მამულს არ მაძლევს, დაბალის კაცის ყმობით მბრიყობს. ამდენი თქვენი წყალობა იყოს, ერთის ოქმისა და მაგარის იასაულის წყალობა მაღირსოთ, რომ თავისი თეთრი დააჭერინოს, მე ჩემი მამული დამნებდეს და ან თქვენ კარზედ მავატანო[1] და სამართალში მელაპარაკოს. აღიწერა იანვრის **ივ**, ქორონიკონს **უნზ**.

[1] სალსწშია.

თავში

ჩვენ მაგიერად მ ა ჩ ა ბ ე ლ ს ი ე ს ე ს ასე უამბეთ! მერე ამ არზის პატრონი რომ ამ არზით ჩივის, თუ ეს მართალი არის, ამას თავისი მამული დაანებეთ. რა ერთისაც გირაოდ დაუძს, ის გამოართვით და თავის მამული დაანებეთ. და თუ ეს მოხსენებული მართალი არ არის, ის მოგვახსე[ნე]. მარტის **ით**, ქორონიკონს **უნზ**

145. არზა ედია ავალიშვილისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით

1769 წ. 20 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დაკთარი № 50. საბუთი № 97. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე საბუთები №№ 100 და 105.

[66 V] ღმერთმან ბატონის მდივანბეგების ჭირი მოსცეს ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ს ე დ ი ა ს.

ი ე ფ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს და მ ე ფ ი ს თ ე ი მ ურ ა ზ ი ს განაჩენზედ რომ ეჩიოდი, იმათ წიგნი მე მიჭირავს, რომ ამ მეფეთ განაჩენები ჩვენ მოგვეცა და ამისა ნაცვლათ ჩვენი აღებული საუფროსო და ნასყიდობა გაააყოფათ შუა დაგიდევით. მე ჩემ ფიცით გამიტანია ქ ა ი ხ ო ს რ ო ს და გ ო გ ი ა ს ა გ ან.

იმათ ბ რ ე თ ი ს განაჩენში სამოცის თუმნის თამასუქი მამცეს და ის გლეხები გირაოთ ჩაიწერეს. თუ სამოცს თუმანს მამცემენ, თავ[ი]ანთ გლეხებს დავანებებ. და თუ სამოც თუმანს არ მამცემენ, რაგვარათაც ჯელმწიფის ბძანებით და განაჩენით მომცემია და ფიცით გამიტანია, მევე მეჭიროს.

თქვენ ოქმი გებოძებინათ: სამართლამდინ მაგ გლეხებს ნურც შენ იმსახურებ და ნურც ესენი[2] შენსას გაძლევენ, რასაც ედავებიო. და თავისი საუფროსო მაგათვე უნდა მიეცესო.

ერთი ოქმი მიბოძეთ ან ჩემი სამოცი თუმანი მამცენ და გლეხებს

[1] ჱმატანონო. [2] ესკლ.

დაეანებებ ან თუ არა, გლეხებთან მაგათ ჯელი ნუღარა აქვსთ და მამულთან. მარტის **ივ**, ქორონიკონს **უნზ**.

ხომ ასე მოგახსენათ თითონაც, ამ ბრეთის გირა[67]ოს სამოც თუმანს რომ მიეცემ, მერე მეფის თეიმურაზის განაჩენით რომ ჩვენგან წართმეულს საქონელს გვედავებოდა, ესეც გარდავწყვიტეთ და ამისასაც თეთრს მივცემთო. ამაებს რომ მივცემ, ჩემი საუფროსო მევე მიბოძეთ. ეს პირობა რომ მიბძანეთ, შენს საქონელსაც მოვაცემინებო, საუფროსოზედ იმიტომ ავიღე ჯელი.

თაეში

ბდივანბეგ[ებ]ის სიკეთით სახსენებელო ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ო გ ო გ ი ა ვ! მერმე ბიძაშენი ქაიხოსრო და შენი ბიძაშვილი ედია რომ ჩიოდნენ, ესენი აქ ჩვენთან გარიგდნენ. ბიძაშენმა თამასუქი მისცა. თუ შენ ყაბული გაქვს, ამ თამასუქზედ შენც ბეჭედი დაუსვი. თუ ყაბული არა გქონდეს, ამას რომ განაჩენითა და ბედნიერის მეფის ოქმით გლეხები მისცემია, ის გლეხები ისევ ამას და[ა]ნებე. მარტის **კ**, ქორონიკონს **უნზ**.

146. არზა ოთარ აფხაზიშვილისა ქმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1769 წ. 4 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 15. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[8 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ა ფ ხ ა ზ ი ს შ ვ ი ლ ს ო თ ა რ ს.

ამდონი კაცი აყრილია ჩემის სოფლიდამ და თავი არავისზედ შემიწყენია. ერთი თქვენის დის კაცი დიდ ხნის ჩამოსული გახლდათ, რომ ორჯერ დავთარშიაც ჩაწერილა, მდივანიც მოგახსენებსთ, რომ დიდის ხნის ჩამოსული გახლავს.

ამდონი წყალობა მაინც გვაღირსეთ, თუ იმ კაცს არ გვიბოძებთ, დავთრიდამ მაინც აღმოფხარით, რომ იმის ხარჯი არ გამომერთვას. ერთი ძმა ოცდაათის წლისა არის, იქ დაბადებულა, მოიკითხეთ, თუ ტყუილი მოგვეხსენებინოს. ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართალი გვაღირსეთ. მაისის **დ**, ქორონიკონს **უნზ**.

თაეში

ჩვენი ბრძანება არის. თუ რომ ოცდაათს წელ[ს] შუა[1] გაუვლია და შენ მამულზე გსახლებია, ნურავის აყრევინებ. თუ ვისმე სიტყვა ქონდეს, სამართალში გელაპარაკენ. არბაბობას აქათ აღარ უნდა ვისმე და[ა]ნებოთ. თუ დავთარშიც დაწერი[ლია] ორჯელ. მაისის **დ**, ქორონიკონს **უნზ**.

147. არზა ტერუაზარას შვილის გიორგისა ყმოგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1769 წ. 21 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1351. დედანი. ქაღალდი. 18,5×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერი ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ავჭალელს მათ ყმას ტ ე რ-ყ ა ზ ა რ ა ს შვილს გ ი ო რ გ ი ს.

თ ი ა ნ ე თ ს ხიზნათ გახლდით, თქვენის ბძანებით გიახელით ა ვ ჭ ა ლ ა ს. გ ი ვ ი სუფრაჯის ქვრივი მეუბნება: თუ ჩემ კედლათ არ დასდგები, აქ არა დაგაყენებო. მე იმის კედლათ დგომა არ შემიძლია. და თუ იმ ქვეყანას არ დამაყენებს, ყმა თქვენი გახლავარ და ნება თქვენია. მაისის **იზ**, ქორონიკონს **უნზ**.

თაეში

ქ. ჩვენი ბძანება [ა]რი არზის პატრონო! თუ დიდი ხნის მისული ხარ და ოცდაათს წელსაც შუაში გაუვლია, კერ გამოგართმევთ, იმასთანვე უნდა იყო; როგორც ყოფილხარ და მდგარხარ, ისე იყავ ამ გ უ რ ა მ ი ს შ ვ ი ლ ს ზ ა ა ლ თ ა ნ. მაისი **კა**, ქორონიკონს **უნზ**. თუ არადა; სიტყვა მოგვახსენონ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დაით მიჰბობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

148. არზა დავითაშვილებისა ქმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1769 წ. 8 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14969. დედანი. ქაღალდი. 20,7×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. საბუთის თავსა და ბოლოში ტექსტი გადასულია.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი ლ ს დ ა ვ ი თ ს და ზ ა [ა] ლ ს მოსცეს.

[1] შუამ.

შე[რ]მე ამას მოვახსენებთ ჩვენს ხემწიფეს. დიაღ, მრავალჯერ გვინდა გვეწყინა თავი, მაგრამ მრავალს საქმეში ბძანდებით, ვაითუ ყური ვერ მოგვიგდოსო, ამის მიზეზით ვერ მოგახსენეთ. ახლა ქვეყანა ღვთით და თქვენის დოვლათით შენდება. ჩვენი ყმა და მამული უსამართლოს მძლავრებით წართმეული გვაქვს. ამას ვეედრებით თქვენს სიმაღლეს და მართლსაჯულობას რომ ყური მოუგდოთ ჩვენს საჩივარსა.

ქსნის ერისთავთან ზარდიაშვილია ჩვენი აზნაურიშვილი და ამ მოწყალებას ვითხოვთ, იმაზე სამართალი გვაღირსოთ. თუ რომ ჯერ არ გეცალოსთ. ისინი იყრებიან, იმას წილში ნუ ჩააგდებენ, ნურც ი[მი]ს ანგარიშ[ში] საუფროსოს და საჭირნახულოს აიღებენ. თქვენთან გვალაპარაკეთ და თუ სამართლით [მათ] დარჩება, მ[ათი] ნებაობით როგორც უნდა მოიხმარონ. თიბათვის ..., ქორონიკონს უნზ.

თაღში

ჩვენი ბძანება [არის და]ვითისშვილებო! როცა რომ იმათ ლაპარაკი დაიწყონ, თქვენც მაშინ მოდით [და] ილაპარაკეთ [და სამართალი] მოგეცემათ. თ[იბათვის] გ, ქორონიკონს უნზ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჭმობს ძედ კახეთის. მეფედ ცხებულს. ე რ ე კ ლ ე.

149. არზა გიორგი საყვარელიძის მოახლის თაობაზე მდივანბეგობის ოქმით

1789 წ. 23 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5285. დედანი. ქაღალდი. 22,8×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბატონის მდივანბეგების ჰირი მოსცეს ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე გ ი ო რ გ ი ს.

მერე ამას მოვახსენებთ. როდესაც დაგვსეტყვა და საქმე გაჰირვებული იყო, მაშინ ერთმა კეხველმა კაცმა გოგოები ჩამოასხა და დასასყიდლად დაყვანდა, სომეხსა და ურიას აძლევდა. ერთი მე გამოვართვი მადლისათვის გასაზრდელათ. მანაც ეს პირობა და ღვთის ფიცი მოგვცა, რომ გამეზარდა; სანამ ჩემი ნება არ იქნებოდა, ვერ გათხოვდებოდა. ახლა რო[დ]საც გავზარდე და სამსახური ახლა შეიძლო, დედამ მოიპარა და წაიყვანა; ამ პირობითა ბატონმა ი ე ს ე მ ა ჩ ა ბ ლ ი ს დედამ შემარიგა; იმას კარგა მოეხსენება როგორც იყო. თქვენად გასამარჯვებლად, სამართალი მაღირსეთ. თიბათვის კბ, ქორონიკონს უნზ.

თაღში

მდივანბეგების სიკეთით სახსოვარო ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე ა ვ თ ა ნ დ ი ლ. მერმე ამ არზის პატრონი რომ ამ არზით კეხველს კაცს უჩივის, თუ სიტყვა არა ქონდეს რა, თავისი ნასყიდი გოგო გამოურთვი და მოაბარე. თუ სიტყვა რამ ქონდეს, სამართალში მოიყვანე. თიბათვის კგ, ქორონიკონს უნზ.

ხუთი ბეჭედი:

1. სჯის ბსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჭომი(?) ღმერთგანცაა(?), ი ო ა ნ ე, 1748
2. რ ა მ ა ზ
3. ქ ა ი ხ ო ს რ ო
4. ფ ა რ ს ა დ ა ნ
5. მოსა ღთისა ამილახვრის შვილი მოურავი ი ე ს ე.

150. არზა თარხანა ყორღანაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 11 ივლისი

ცსსა. ფონდი 1450. დაეთარი № 47. საბუთი № 141. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[102 V] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს ყმას ენაგელს თქვენს ხაბაზს ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ს თ ა რ ხ ა ნ ა ს მოსცეს.

ამას მოვახსენებ. მე პატარ[ა] თქვენს სამსახურში გავიზარდე, რუსეთს ნეტარხსენებულს მეფეს ვახლდი; რაც ჩემგან შეიძლებოდა, ერთგულათ ვმსახურე. ახლა თქვენს კარზედ ხაბაზათ გახლავარ და თქვენს სამსახურში ვარ.

ამ მოწყალებას ვითხოვ, მამულზედ ნაკლებათ გახლავარ. ეგებ[ი]ს ღმერთმან ქვეყანას მოხედოს, იმ ჩვენს ხარაბას სოფელში ე ნ ა გ ე თ შ ი ერთის ჩემის მეზობლის თქვენის სახასოს ამოვარდნილის კაცის დ ა ვ რ ე შ ა ს შ ვ ი ლ ი ს ბეითალმანის მამულის წყალობა მიყავით, რომ ღვთითა და თქვენის დოვლათით...*

* ბოლო აკლია.


რაც ამ არზით მოუხსენებია, მართალი არის, ნება ხელმწიფისა არის. მე, ავთანდილ ყორღანაშვილი, მოგახსენებ.



რაც ამ არზაში[1] მოუხსენებია მართალი არის. ნება ხელმწიფისა არის. მე, ყორღანაშვილი[2] როსტომა, [103] მოვახსენებ[3], მაგას [ს]წორეთ მოუხსენებია.

რაც ამ არზაში მოუხსენებია, მართალი არის, ნება ხელმწიფისა არის. მე, ყორღანაშვილი[2] ავთანდილა, მოგახსენებ. †

რაც ამ არზით მოუხსენებია, მართალია და ნება ხელმწიფისა ათავდეს. მე, ყორღანაშვილი ნასყიდა, მოგახსენებ.



რაც ამ არზით მოუხსენებია, ესენი მართალია, ნება ხელმწიფისა[ა]. მე, ყორღანაშვილი თავილდარი ფარსადანა, მოვახსენებ.



თავში

ჩვენი ბძანება არის. მერე ენაგეთის დავრეშაშვილის ბეითალმანი ამ ჩვენის ხაბაზის თარხანასათვის და ამის ბიძაშვილის ზაზასთვის გვიბოძებია, ღმერთმან ჩვენს ერთგულად სამსახურში მოაბმაროსთ. ამ წყალობას ნურავინ მოუშლით. აღიწერა ივლისის **ია**, ქორონიკონს **უნზ**.



151. მოხსენება მელიქ ავეტიქასი გორჯასპი და გოვჰარ მდივნების სახლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1768 წ. 15 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd :37. დედანი. ქაღალდი. 37,5×21,5 სმ. მხედრული. ეთველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მათს ფეხთა მტვერს ავეტიქას მომცეს.

[1] არზაჩი. [2] გორღანაშვილი. [3] მოხსენება.

ქ. გორჯასპი მდივანი და გოვჰარ მდივანი სახლზედ რომ ცილობენ, იმისი ჰაღიღათის მოხსენება გებძანათ.

ქ. ეს სახლები ჴელმწიფის ყმა ასლანასი არის. თითონ უძეოდ ამოვარდნილა და ნიშ, კფ (სამოცდარვა თუმანი, შვიდი მინალთუნი და ათი შაური) ვალი დარჩომია. ეს სახლი უნდა გასყიდულიყო და ამ ვალებში, როგორც ქალაქის რიგი არის, ისე მისცემოდა.

ქ. რათგან გოვჰარ მდივანი იმისი მოყვარე არის, ცხებულის ჴელმწიფისათვის მოუხსენებია და ჴელმწიფეს მელიქმამასახლისზე ოქმი უბოძებია: როგორც ქალაქის განწესება იყოს, ის გა[ა]რიგონ. იმ ხანად ეს საქმე შეუსრულებელი დარჩომილიყო.

ქ. რათგან დარბაზი მელიქ აშხარბეგის თამასუქში გირაოდ სწერია, მირიშქარბაშს გორჯასპი მდივნისათვის ეთხოვებინა; თექვსმეტი წელიწადი უქირაოთ მდივანს ეჭირა.

ქ. მრავალჯერ ეს დარბაზი ეთხოვნათ, რომ დაგვიცალეო, რომ გავყიდოთო; და არ დაეცალა, რომ შავერდი მუშრიბი მოწამე გახლავსთ. სხვა ხელით: მე, შავერდი მუშრიბი, ამისი მოწამე ვარ.

ქ. რათგან თავისის ნებით არ დასცალა, ბატონს მდივანბეგეჴს მოვახსენე, იმათ უბძანეს: ან სახლი შენ იყიდეო და ან დასცალეო. ქევხუდები მივასხით, დააფასეს კზ, ც (ოცდაშვიდი თუმანი, ორი მინალთუნი).

ქ. მრავალჯერ მოვახსენე გორჯასპი მდივანს: ან შენ იყიდე, ან ჩვენი თეთრი მოგვეცი და შენთან გირაოთ იყოს. იმ ხანად არც იყიდა და არც დაიგირავა, ამისი მოწამე თავისი სიძე შაქარა გახლავსთ. სხვა ხელით: ამის მოწამე ვარ მე შაქარმა.

ქ. რათგან ნაზარბეგის შვილთანაც გირაოთ იყო, ის ოცდაათ თუმანს აძლევდა.

ქ. მასუკან გოვჰარ მდივანმა მოინდომა: ჩემი მოყვარის სახლებს მე ვიყიდიო. ბატონიშვილის გიორგისაგან მირიშქარბაშზედ წიგნი მოიტანა, როგორც ქეთხუდებს დაუფასებიათ, ისევ ამას ასყიდვინეო.

ქ. რათგან მდივანმა იმ ხანად იმ ფასად არ ინდომა, თავისი მოყვარისაც იყო ეს სახლი, გოვჰარ მდივანს დანებდა; და გოვჰარ მდივანმა ამისის მიზეზით თავისი სახლი სხვაგან დააგირავა და ამ სახლის ვალებში მისცა და თამასუქები დაიხსნა, ზოგი კიდევ უნდა დაიხსნას.

ქ. ამ ხანად ამ სახლის ვალის თამასუქი რვა თუმნისა რომ პეტრე დეკანოზისა იყო, გორჯასპი მდივანს ან სყიდვით და ან სხვა მიზეზით ის თამასუქი ჯელში ჩაეგდო; რათგან იმ თამასუქში გირაოთ ეწერა და ჯერ არ დახსნილიყო, ამისი მიზეზით სიგელი არ დაიწერა.

სხვა ხელით: რაც ამას ზემოთ მოგახსენე, ბანდა აგეტიქაშ მოგახსენე. ბეჭედი: ავ ც ტი ქ.

ქ. ამ ხანად გორჯასპი მდივანი ერთს ამ მიზეზით ეჭიდება. ჩემს სახლზე ახლოს არისო.

ქ. მეორეს მიზეზიც, რათგან ის გირაოს თამასუქი უშოვნია დეკანოზისაგან, რაოგან ჩემთან გირაოდ არისო, მე ვიყიდიო.

ქ. გოეპარ მდივანი ამ მიზეზით ეჭიდება, ჩემი მოყვრისა არისო.

ქ. მეორე. ცხებულის ჯელმწიფის ოქმი მე მაქვსო, რომ იმისი ვარისი მე ვარო.

ქ. მესამე, მოქალაქე ვარო და მოქალაქის სახლი მე მერგებაო.

ქ. მეოთხე. იმავ თავით მე ვიყიდეო და ჩემი სახლები დავაგირავეო, თუ გორჯასპი მდივანს უნდოდაო, სახლი რათ დასცალა და არ იყიდაო.

ქ. როგორც ან სახლის საქმეს გაუცლია ან რაც ამათი სიტყვა არის, ეს არის, რომ ჯელმწიფეს მოეახსენეთ.

ქ. ქალაქის განწესება ეს არის: ვინც მამულში მეტს ფასს გაიღებს, იმას ერგება; მეტად ამისთანა სახლისა, რომ ვალი ბევრი არის, რომ გირაოს გარდა თუმანზე ექვსი აბაზი ერგება.

ქ. მეორეც, რომ მოქალაქის სახლი მოქალაქემ უნდა იყიდოს და ჯელმწიფის სამსახური იმით გასწიოს.

ქ. ქალაქის რიგი ეს არის, რომ მოგახსენეთ. და სახლის ბოძებისა, ვისაც უბოძეთ, ბძანება ჯელმწიფისა ათავდეს. იანვრის **კდ**, ქორონიკონს **უნჱ**.



თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: რადგან ეს ასე ყოფილა, ეს სახლები გოჰარ მდივანმა იყიდოს. აგვისტოს **იე**, ქორონიკონს **უნჱ**. სხვას ამ სახლებთან ჯელი ნურავის აქვს.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ცრეკლე.

კოლეჯი

ქ. ჩვენ, ბატონისშვილი გიორგი, ამ ბატონის მამის ჩვენის ბძანების თანამოწმე ვართ. აგვისტოს **ით**, ქორონიკონს **უნჱ**.

ბეჭედი: მელიქ ძე გიორგი.

152. არზა აბაშიძის ქვრივისა გაუოფის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1769 წ. 27 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4305. დედანი. ქაღალდი. 30×21,6 სმ. მცდარული. განცვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ჩემს ჯელმწიფეს მოჰსენდეს ბატონიშვილმა მიირთვა:

ქ. ერთი ვეცხლის ლანგარი კათალიკოზს დომენტის შიართვა; ქ. ოცდახუთი ფინდიხის ოქრო; ქ. ორი დარაიბაბთი; ქ. ერთი დორის პირი; ქ. ერთი რახტი, ეს რახტი აქაური იყო, დააგირავეს და მისი თეთრი ბანგუას აჩუქეს.

ქ. ბატონმა ჩემ[მ]ა მამამთილმა მიირთვა:

ქ. ცხრა ვერცხლის ფიალა ჩემი სძალი ანა რომ მოიყვანეს, ერისთავს გრიგოლს აჩუქეს; ქ. ორი დარაიბაბთი: ქ. ერთი პატარა ოქროს ზარბი ფინჯნის დასადგმელი; ქ. ორი ორთული — ერთი გივს ამილახვარს გაუგზავნა, ერთი ფაშას; ქ. ერთი პატარა ორხუა; ქ. ორი ცხენი.

ქალაქიდამ გივს ამილახვარს რომ გაუყევით, რაც რამ მჭონდა, სრულ აქ დამრჩა: საწოლი თავისის მოუფნილობით, ქვეშსაგებლით და გაწყობით ჩემი და ჩემის კერძობისა აღა მელიქისაგან და ყარა მდივნისაგან.

ასე სრულ მიებარა ბატონისშვილს და ჩემს მამამთილს, რომ არა ღალატობია რა. თვითან ასე დახარჯეს, რომ თავით დასადები ბალიშიც აღარ მომცეს.

იმდენი თქვენი წყალობა ჩემს შვილებს მოეცეს, რამდენი ჯაფა მე ჩემის ოჯახისათვის გავწიე. ჩემი მამამთილი რომ დაჭერილი იყო, შვილიან-თავიანათ აქ გახლდათ. რაც ჩემის ოჯახის გამოსაღები იყო, აქ მე მართმევდენ. სხვას გარდა ასრე გამიჭირეს ერთხელ საქმე, რომ რვა კაბა და ტოლომა გამასყიდვინეს ჩემის ოჯახის ავალაში.

ბევრს თავის წყენას მოგერიდები ჩემო ჯელმწიფევ, მაგრამ **ქვრივი დედაკაცი** ვარ. მოკლე ღღე მიეცეს თქვენს ორგულს, როცა ცოტა სარჩო ან მჭონოდეს აბაშიძის სახლობაში, ან დამრჩომოდეს. ერთი ქვრივი დედაკაცი გახლავარ, თუ სამართალი მოეცემოდეს, წყალობას ვითხოვ.

სხვას კიდევ ამაზედ გაწყენ თავს ჩემო ჯელმწიფევ! მზითვის დეკანოზი მომყვა თანა. იმას დასტური უბოძა ჩემ[მ]ა მამამთილმა და იმის სანაცვლოდ ერთი დიაკვანი მომცა; მისი ცალიც მომცა და გამაზდევინა, ჩემის დეკანოზის ნაცვლად მყავდა; ახლა ბარათში სალმე აგდებენ. თუ სამართალი მომეცემოდეს, წყალობას ვითხოვ; თუ არა, თქვენის ჯირის სანაცვლოდ იყოს.

მეორედ. ბატონიშვილმა თათარს ტყვეები წაართვა, ერთი პატარა ბიჭი მიბოძა, ხუცად გავზარდე, ოცდახუთი ოქრო რომ სწერია, იმაში გამიბარა. თუ სამართალი მომეცემოდეს, წყალობას ვითხოვ.

ერთი სომხის ბიჭი ჩემ[მ]ა მამამთილმა დაიხსნა და მე მიბოძა ბიჭიცა და მისის ნასყიდობის წიგნიც. ჩემ[მ]ა მაზლმა რომ აგვიყლო, წიგნი იმან წაიღო; ჩემი წიგნები, რაც ნასყიდობის წიგნი მქონდა, ჩემი თუ მამის ჩემისა, სულ მაშინ წაიღო. ბევრს თავის წყენას ვერდები, მაგრამ გაჭირებული საქმე მაქვს და ისევ ჯელმწიფეს უნდა ვაწუხნო თავი. ასრე წაიღო რაც წიგნი მქონდა, რომ მოკითხვის წიგნიც აღარ დამირჩინა, ერთს პარკში ჩაყარა და ამილახვარის ამირინდოს ბეჭედი მისის კაცებისა და ჩვენის აზნაურშვილების ბეჭდები ზედ და[ა]სხა. თქვენს შეცოდებად მეჩალგა დასდევ, რომ ამას ჩემს ძმასა და სძალთან მივიტან და იმათთან გავხსნიო.

წყალობას ვითხოვ, თქვენს წინ მოატანინეთ ის წიგნები და გა-[ა]ჯსნევინეთ. წიგნების წართმევას სამი ეალი აქვს: ან მეწამებოდა თავისის ოჯახის ორგულობასა, ან ქურდობასა და ან სიავკაცესა. წიგნები თქვენს წინ გაჯსნას. რაც ჩემი დანაშაული რამ იქნება, მე დამადგას და თვითან გამართლდეს. ათი-თორმეტი წელიწადია ვსთხოვ და არ მომცა. თქვენი ბძანებაცა ჰქონდა, მაგრამ არ მომცა. რაც ნასყიდობა[1] მქონდა. ეგების თქვენის წყალობით გამეკეთებინა რამე, თორიც გამიფუჭდა და ვერცარა გავაკეთე.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: როსცა რომ გაიყრებით და რაც გლეხი გყავსთ გაიყოფთ და მორჩებით, მასუკან ესენი ალაპარაკეთ. ღმერთი რასაც დაგვანახვებს, სამართალი მოგეცემათ უწყოდეთ. აგვისტოს კზ, ქორონიკონს **უნზ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] ნასყიდობას.

153. არზა პაატა ციციშვილისა სამღებროს იჯარის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 10 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14574. დღდანი. ქაღალდი. 22×14 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწა-მტევრს ციციშვილს პაა[ა]ტას.

მერე ამას მოვახსენებთ: ბატონის პაპის თქვენისა და ბიძის თქვენის წყალობის წიგნი მამირთმევია; მძო[ვ]რეთის სამღებრო უბოძებიათ მამის ჩემისათვის.

ამას ვეველრებით მათს სიმაღლეს: ქარელში რომ სამღებრო არის, იმის იჯარას წყალობა მიყოთ. როგორც ბატონის პაპის თქვენის წყალობის წიგნი მჭრონდეს, ნურც თქვენ მამიშლით. ღმერთმან ასე მაგათს მტერს გაუჭიროს საქმე, როგორც ჩვენ გვიჭირდეს. სიღარიბემ გაგვაბედვინა თავის წყენა. აღიწერა გიორგობის თვეს **ათს** გასულს, ქორონიკონს **უნზ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ბატონს პაპას ჩვენს და ბიძას ჩვენს მძოვრეთის სამღებრო თქვენთვის უბოძებია. ჩვენ იმათს წყალობას არ მოგიშლით, ჩვენც თქვენთვის გვიბოძებია და დაგვიმტკიცებია. აღიწერა ნოემბერს **კზ,** ქორონიკონს **უნზ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

154. არზა ვაჩნაძიანთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1770 წ. 10 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14379. დღდანი. ქაღალდი. 32×14 სმ. მხედრული. განკვეთილობია ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს სულ ვაჩნაძიანთ თავადსა და გლეხთა.

მერმე ამას მოვახსენებთ ბედნიერს ჯემწიფეს: ჩვენს მთაში ორიოდ-სამი ღორი მოვკალით. მოგეხსენებათ საბალახე მუდამათ აგვიღია: მოვიდნენ ნუკრიანელნი და ჭოტორელნი, მოვიდნენ ჩალუბანს სოფლის პირში, მეღორეც დაიჭირეს ტყვის მგზავსათ, მეღორეც წაიყვანეს და ღორიც წაასხეს. მიასხეს სოფელში და ათი

ღორი გამ[ო]არჩიეს, დახოცეს და სხვა ღორი და მეღორე გამ[ო]-ეშოთ ჩვენს მამულში. ეს დაგვემართა. მთა აღარ შაგვრჩა და ბარი წაურთმეველი ჩვენის მემინებისაგან.

თქვენ[ა]დ სადღეგრძელოთ ამის სამართალს ველით, რომ სა-ჭართალში ერთხელ გადაგვიწყვიტოთ.

თავში

ქ. ჩვენ მაგიარად ხიზიყის მოურავს პაპუას ასე მოეხსენოს. მერმე ეს გეუწყოს: ეს საეჩნაძო ამ არზით ჩივიან ასე, ესენიც შენი სასარდლონი არიან, თუ შენ უზამ მად ამათ სამართალს, ხომ კარგია და გა[ა]რიგებ, თუ არადა ორნივ კარზე ჩვენს სამართალში გამოგ-ზავნე. იანვრია ი, ქორონიკონს უნᲒ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

155. არზა იასე კეტრიაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1770 წ. 17 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1153. დედანი. ქაღალდი. 32×19,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნაშთარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს პეტრიაშვილი აიდემურის შვილს იასეს.

ჩვენ ორი ობოლი დავრჩით. შამაჩემი რომ თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა, იმ ჟამად მე თუშეთს გახლდით, ველარ ვნახე. ახლა რაც თქვენი წყალობა გვჭირებია, არც ერთის ბჭერელი არა ვარ. ალოვნის მოხელეობა და მაღრანში საში საკომლო თავის კაცითა გვქონია, ჯანჯანანი ხალაწნის გორის ძირამდინ ჩემი ყოფილა. აღარც ერთს არავინ მანებებს. ოთხთავალი რომ სულ პეტრიანთ ერთად წყალობა დაგვმართებია. არც იქ მაძლევენ წილს, დარჩომილი[1] ვარ ასე ყელგადაგდებული. შეწუხებული, ღარიბი; ერთის დღის მიწა არა მაქვს, ახვის მამულში გახლავართ, ღალის ყურს ვჭირობ და ისე ვრჩები.

აწ ამას გეუედრებით, რომ თქვენი ნაწყალობევი წიგნები ბძანოთ და შებრალება და სამართალი გვაღირსოდ. მუდამ თქვენი თავის შეწყენა არ შემიძლია. თქვენად გასამარჯვებლად, ერთხელ შეგვიწყნარეთ, თუ ოთხთავალში წილი არ მდებია. თქვენი წყალობის წიგნი გამოიტანოს და ის გამოაჩენს. მრავალს კაცს სწყალობთ და მამულს აძლევთ, მეც თქვენი წყალობა შემისრულეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის ია, ქორონიკონს უნᲒ.

[1] დავრჩომილი.

თავში

ქ. მდივანბეგო რამაზ! თუ მეფის ერეკლეს წიგნში ან ბებიის ჩვენის წიგნში ან იმან-ყული-ხანის წიგნში ან მამად-ყული-ხანის წიგნში ან მამის ჩვენისა და ან დედის ჩვენის წიგნში და ან ჩვენს წიგნში, რომელშიაც ამის მამა ან პაპა ეწეროს, იმაში წილი აქვს. იასაულობაც შენა ჰქენ და თავის წილი გამოურთვი. და რომელსაც წიგნში არა სწერია, ხომ წილი არ ექნება. იანვრის იზ, ქორონიკონს უნᲒ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

156. არზა საამ ხმალაძისა წისქვილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1770 წ. 27 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Q-ჰ 776. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 20×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად მხოლოდ ორ ადგილს ნახმარია წერტილი და სამწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს სამეფო ჯმალაძე საამს.

მეჯვრისხევს ერთი ნასყიდი წისქვილი მაქვს, რომ სიგელიცა მაქვს. ახლა ამ წისქვილს ერისთავი მართმევს. თქვენს სამართალში მოველაპარაკოს. თუ არადა, ჩემს ნასყიდს წისქვილს რათ მართმევს. სამართალი გვაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის კვ, ქორონიკონს უნᲒ.

მეჯვრისხევს საკომლოებიცა მაქვს, [თუ] ის წისქვილი წამერთვა, [იმაებს რა ვუყო].

თავში

ქ. ბატონო დივანბეგებო! წინაშე ღმრთისა ამ საქმეზედ მართალი და ჭეშმარიტი მსჯავრი მიეცით ამ არზის პატრონს. იანვრის კზ, ქორონიკონს უნ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

157. არზა მარაგდას მოსახლეთა რუს გამოტანის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1770 წ. 12 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 14561. ღედანი. ქაღალდი. 21×16 სმ. მხედრული. გახეთქილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შეძლეკ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს ერთობლივ ნარაბდას მოსახლეთა.

შარშან თქვენგან წყალობა დაგვემართა და რუ გამოგვიტანეთ. ზოგი თქვენი წყალობა იყო და თქვენა წყალობას გარდა ზოგი ჩვენც დავხარჯეთ, მაგრამ ხელი ვეღა დაუმთავრეთ, ისიც თარქამის საქონელმა წაგვიხდინა.

ამას გეუწყებით, რომ ჩვენ შეძლება არა გვაქვს, ორმოცითა მუშა თარქამიდამ გვიბოძოთ, რაღაც[1] ნახნავი გვაქვს, მოურწყობით არ წაგვიხდეს, იმათი შესამატიცა ვართ — ყარ[ა]ულნიცა, იმათი საქონელი მუდამ ჩვენშია. თებერვლის 8, ქორონიკონს **უნ8**.

თაგში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ეგ რომელიც მოგიხსენებიათ, ეს ჯარი გაირგდება, მაგრამ თქვენ იმ რუს გამოტანას ეცადენით, გააკეთეთ და რასაც დახარჯავეთ, ნაროზ[ს] უკან ჩვენ გიბოძებთ. თებერვლის **იბ**, ქორონიკონს **უნ8**.

ბეჭედი: ქნარა მიცემს, ღაღით მიჯრომს ძველ კახეთის მეფეც ცხებულს, ერეკლე.

158. არზა ბიორგი გერმანოზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1770 წ. 12 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 2836. ღედანი. ქაღალდი. 21.6×16.5 სმ. მხედრული. გახეთქილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი გერმანოზიშვილს გიორგ[ის] მოსცეს.

ამას მოგახსენებთ: მე რომ დაობლებული ვარ ჩემს განდეგილ ორი საკომლო მამული მარაბდიდამ თუშმალ იბრეიმისათვის მიუყიდია. სანი თუმანი გამოურთმევია, ჩემთვის არა მოუხმარებია რა, კახეთს წასულა. მე ორის-სამის წლისა ვყოფილვარ, უპატრონოთ გაუშვივარ და ის სიგელი იმ ჟამში არავის დაუბეჭდავს. მოახლისაგან მაგულის გაგება როგორ იქნება.

თუშმალ იბრეიმა რომ მოკვდარა, მერმე იმის ნაცოლარი ჩემს განაყოფს პაპუას შეურთავს. ის დაუბეჭდავი სიგელი [ჩემს] განაყოფს პაპუას დაუბეჭდვინებია მოწე[ე]ბისათვის ჩემს შეუტყობლათ. ამ მიზეზით ქვრივი თითონ ჰყვანდა. იმ მამულსაც სათავისოთ გამოელოდა.

ქართლში არ მომხდარა, რომ ნაახლეს მამული გაეყიდოს. აბე უსამართლოთ მეკარგება. ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართლის მოწყალება მაღირსე. პაპუასთვისაც უკითხამთ; ისიც მოგხსენდება. რაც მოუხსენებია. თებერვლის 8, ქორონიკონს **უნ8**.

თაგში

ეშიკაღათბაშო ზაალ! ესენი მდივანბეგებთან მიაყვა[ნ]ინე და საქართალი უსაჯონ. თებერვლის **იბ**, ქორონიკონს **უნ8**.

ბეჭედი: ქნარა მიცემს, ღავით მიჯრომს ძველ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

159. არზა ზაალ ზერაგიშვილისა ქმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1770 წ. 29 აპრილი

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1451. რვეული № 13. საბუთი № 42. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[29] ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს ზაალ ზურაბისშვილს.

ჩემს განაყოფებს და სახლის კაცებს თქვენი წყალობა მიეღოთ და თავიანთ თათრები უბოძეთ და ჩემი თათრები აქა-იქ ელებში ყაენტული არის. ორჯელ-სამჯელ თქვენთვის თავი შემიწყენია.

ახლაც ამას გეუწყებით, რომ ერთი ოქმი და იასაული გვიბოძოთ, საცა ელებში ჩემი კაცი იყოს, მოვაგროვო. ღმერთი გაგიმარჯვებს. და თუ ვისმე სიტყვა აქვს, სამართალში მომყუხენ. თუ არაფრის, ჩემსას რას შემართლებიან. აპრილის **კთ**, ქორონიკონს **უნ8**.

[1] რაღაც.

თავში

ზ ა [ა] ლ! შემოდგომაზედ მოგვახსენე და ღმრთით რიგიანად გავარიგებთ და წყალობას გიზამთ. აპრილის **კთ**, ქორონიკონს **უნᲩ**.



160. არზა გრიგოლ სალთხუცისა გამგულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1770 წ. 18 აგვისტო

ხელნაწერია ინსტიტუტი. Hd 2054. დედანი. ქაღალდი. 21×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენის კემწიფის ჰირი მოსცეს მათს ბანდა გ ი ვ ს ა და ქ ა ი ხ ო ს რ ო ს.

ამას მოვახსენებ ჩვენს კემწიფეს: დღეს აქამდის თქვენის წყალობით გვჭირდა მოურაობაცა და მამულიცა. ახლა სამართლით გამოგვერთო. სხვაგან ხომ მამული აღარსად გვაქვს.

ამ წყალობას ვითხოვთ, რომ: აქ ჩემს მამულში სამი წისქვილი ბრუსავს და მიწას სოფელი ჯნავს, ერთის ოქმის წყალობას ვითხოვ, რომ ჩვენი მამული აქ მაინც უშფოთრად დაგვნებდეს, მანამ აქაველის დოღლათით ქვეყანაზე მშვიდობა ჩამოვარდეს და ცოტაც არის გავიშალნეთ, რომ აქ ერთი ლუკმა პური ვჭამოთ.

თუ არცარა აქ მოგვეცემა და თქვენის ჰირის სანაცლო ვიღვწენთ. აქამდი მოჯელე ვიყაე, არას უკითხევდი; ახლა ჩემ[მ]ა მამულმა უნდა დაგვარჩინოს. თუ აქაც საშფოთრად გამიქდება მამული და ნება თქვენია. მარიამობის **ით**, ქორონიკონს **უნᲩ**.

თავში

ქ. გ ა რ ს ე ვ ა ნ ე შიკალაბაშო! ვისაც თ ი ა ნ ე თ შ ი სალთხუცის გრიგოლის საწისქვილო ეჭიროს და სხვა სახნავი მამული[1], ხვალვე ხელი უნდა აუმართო და სალთხუცეს[ს] გ რ ი გ ო ლ ს უნდა მოაბარო. თუ რამ სიტყვა ვისმე ქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს, მაგრამ თუ სამართალში გამტყუნდა, გარდავახდევინებთ. აგვისტოს კ, ქორონიკონს **უნᲩ**.

[1] + თიანეთში.

სახნავს მიწას გარდა, ჯერ საწისქვილოზედ აუმართე ხელი ვისაც ეჭიროს; და სახნავის მიწისას სწორედ შევიტყოფთ და პასუხს მაშინ მივცემთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

161. არზა ბაღათარ ბაბიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1770 წ. 31 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 519. დედანი. 19,8×13,5 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის და ყოვლად მოწყალის კემწიფის ჰირი მოსცეს მათს მონას ბ ა ღ ა თ ა რ ს ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ს.

მერე ამას მოვახსენებ ყოვლად მოწყალეს კემწიფეს. ერთი ჩემი ყმა ი ა ნ ტ ბ ე ლ ი ძ ე შემამწყრა და იმერეთს გადავიდა. ორი ობლები იქ გაზარდა. არეულობა რომ შეიქნა, იქ გადაველი და გადმოვიქვანე. მეც ერისთვის მამულში გახლავარ დ[ა] ის კაციც ჩემთან გახლავს.

ახლა დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი ლ ი ე ლ ი ს ბ ა რ დასდევს დასაჭერათ. ერთხელ კიდეცდა დაეჭირა და გამოპაროდა; ამბობს, ჩემი არისო. წყალობას ვითხოვ, რომ თქვენს სამართალს წინ გამოცხადნეს, თუ რამ სიტყვა ქონდეს; თუ არადა, რას მემართლება. ღმერთი გადღეგრძელებს. მარიამობის **ლ**, ქორონიკონს **ჩღი**.

თავში

ქ. ელიზბარ დავითისშვილო! თუ ამ გლეხთან სიტყვა გაქვს რაში, ჩვენ მოგვახსენე, ჩვენის ოქმით დაიმორჩილე კაცი, თუ არადა სიტყვა არა გაქვს რა, დაეხსენ ამ კაცს, რად აწუხებ. აგვისტოს **ლა**, ქორონიკონს **უნᲩ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

162. არზა იოსებ მამაცაშვილისა ძმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1770 წ. 2 სექტემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დაცთარი № 46. საბუთი № 41. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[26] ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბედნიერის ხემწიფის ჭირი მერმე მათ მიწა-მტკვრს მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ს ი ო ს ე ბ ს.

მერმე ამას მოვახსენებთ. ერთი ჯავახი ჯ ა ვ ა ხ ე თ ს დაიკარგა და ყ ი რ ი მ შ ი გაეყვანათ, იქ ტყვეთ იყო. იქიდამ მოვიდა საქართველოში. თქვენ საფარველ ქვეშ გახლდათ, ნეტარხსენებულის მამის თქვენის ოქმი ქონდა, ვისაც უნდა ეყმოსო. ჩემთან მოვიდა, თოთხმეტი წელიწადი ჩემთან იყო ის კაცი, ბატონყმობის პირობაზედ ნემსახურებოდა არავინ მომდევებია.

ახლა ის კაცი თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა, ერთი პატარა ბიჭი დარჩა, შვიდი წელიწადი არის მე ვზრდი. ახლა დ ო ლ მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი მომიდა შინა და თავისთავათ ბიჭს[1] მართმევდა, ჩემ[ი] ნამუახლარი ყვასდაო. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ამისი სამართალი მაღირსეთ. ენკენისთვის ა, ქორონიკონს **უნ**.

ბიჭი ნახევარწლის გამიზრდია, ლეკ-მამას ობლად დარჩა.

თავში

ჩვენი ბძანება არის. მერე ამ არზის პატრონს რომ მოუხსენებია, თუ ეს ასე არის, ის ბიჭი ამისი ყმა იქნება, სხვას ხელი არავისა აქვს. თუ სიტყვა აქვს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს. აღიწერა სექდემბრის ბ, ქორონიკონს **უნ**.

163. არზა გოდგელისა ელისკაცთა თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1770 წ. 27 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1449. სა. № 2571. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა მეფის ჭირი მოსცეს მათს მარადის მლოცველ ბოდბელს.

[1] ბიჭი.

მერე რადგან თქვენს მცველს და მფარველს წმიდას ნინოს ის ელი შესწირეთ და მიართვით, ამ წყალობას ვითხოვთ, იმათს საქმეს ნუღარ დააგდებთ. იმათ ერთის ბინის წყალობა ვანუწესეთ; და ერთის ოქმისა და მოსასილის წყალობა გვიყავით, რომ იმათგან გამოურჩიოს და იმათის ჯამისაგან გამოვიდეს. თუ იმათის ადგილისაგან და ჯამისაგან[1] არ გამოვიდნენ, სულ დაიკარგებიან. მოგკსენებენ საგარდანნი ვართო, ვერცარა გ[ვ]იკნა[ვ]სო და ვერცარა გვიღალატესო. ჩემწიფისაგან ჩვენის ბინის დადების წყალობას მოველით. ახლა ნება თქვენის სიმაღლისა[ა].

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასეულო თ ა რ ი მ ა ნ! მერმე ბოდბლის ელი რომ არის ჭ ე ს ა მ ა ნ შ ი, იქიდამ უნდა აყარო და ს ა ლ ა ღ ე ლ შ ი უნდა მოასხა და იქ დაიყენო. ოკდომბერს **კზ**, ქორონიკონს **უნ**.

და სადაც დაფანტული იყოს ამ ელის კაცი, ისინიც მოაგრო-[ვ]ე და ისინიც ამათთან დაასახლე.

164. არზა ჩალაუბნელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1770 წ. 1 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13868. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჭირი მოსცეს ხელიერთპირ ჩ ა ლ ა უ ბ ნ ე ლ თ.

მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს კემწიფეს. თქვენც იქ ბძანდებოდით, რომ ვილაპარაკეთ ჩვენ და მაღაროელთ მამულზედ. და თქვენს ბძანება ასე გვქონდა, რომე სადაო მამული არც ჩვენ უნდა მოგეხსნა და არც იმათ*.

სადაოს მამულის აქედამ ცოტა რამ დაგხანით. შარშან ამოვიდეს, ფეტვიანები დაგვიხნეს, რომ დასამკალ იყო ისევ და ნაფეტვრე-

[1] + გამოვიდეს.

* იხ. 1768 წლის 26 აპრილის არზა-ოქმი ამავე საქმეზე (აქვე, № 128).

ბიც წაგვართვეს. შარშან ხომ ეს გვიყვეს და წელს გავიდნენ და რაც მინდორი გვქონდა, სულ წაგვართვეს, რომ ჩვენ მიწა აღარ დაგვრჩომია რა.

ჩვენთან მ ა ღ ა რ ო ს კელი არა აქვს: თავს ა ნ ა გ ა არის ჩვენი მემიჯნე და ბოლოს ნ უ კ რ ი ა ნ ი. უწინაც ასე მოგვიხსენებია თქვენთვინ.

ღმერთი გაგიმარჯვებთ, ერთის გზით გაგვაშველეთ. მამულის წართმევა ხომ ეს არის და ცემით ცალკე გვცემენ. სამი წელიწადია შემოგჩივით, შენად[1] გასამარჯვებლად სამართალი გვაღირსეთ; დაეიმშიენით, მინდორში აღარ გაგვიშვეს, სასახლეების მეტი აღარა დაგვრჩენია რა, ოქტომბრის **კთ,** ქორონიკონს **უნ**.

თავში

ქ. შვილო ბატონო გ ი ო რ გ ი! ამ არზის პატრონი და ამისი მოდავენი შენთან შეარიგე ასე, რომ ორნივ რაზი გახადო. და თუ თქვენთან ვერ შეარიგოთ, ჩვენთან გამოისტუმრეთ. გიორგობის **ა,** ქორონიკონს **უნ**.

მანდავ შეარიგე, აქ ნუ გამოგზავნი, განაჩენი დაუწერე და მიეცი.

165. არზა უარაგოზიშვილეგისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1770 წ. 10 დეკემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 12. საბუთი № 47. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[62] ღმერთმან ყოვლად მოწყალის კელმწიფის ჰირი მოსცეს შათს მიწას უ ა რ ა გ ო ზ ი შ ვ ი ლ ს მღუდელს გ რ ი გ ო ლ ს [V] და მის შვილს ა დ ა მ ს.

ამას[2] მოვახსენებთ: ჩვენმა მოწყალემ კელმწიფემ[3] მოკითხული ქნას, თუ ტ ა რ შ ე თ ს სოფელი ჩემს მეტს საერისთოში აზნაურ-

[1] შენად] შენ ან. [2]-ამას. [3] კელმწიფე.

შვილს სჭეროდეს ვისმე და თქვენგანც მე მბოძებია. ახლა დ ე მ ე ტ რ ე ყ ო ბ ი ა შ ვ ი ლ ი ს ქურივს მოეხსენებინა, ტყუილად ოქმი გებოძებინათ. თუ თქვენზედ დანაშაული მაქვს რაიე, თქვენის ჰირის სანაცვლო იყოს ჩემი თავი და შვილი. თუ არადა, ღმერთი გაგიმარჯვებს, ჩემი მამული მევე მიბოძეთ. აღიწერა დეკემბრის **ი,** ქორონიკონს **უნ**.

თავში

ჩვენ მაგიერად არაგვის მოურავს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ასე უამბეთ, მერმე თუ მაგ ყობიაშვილის ქვრი[ვ]ს სხვა მამული ჰქონია და უთხოვნია, ჩვენ იმას უბოძებდით, თვარემ ჩვენ გრიგოლს [63] და [ა]დამის შვილებს მამულს არც წავაართმევდით და არც წაგვართმევია; ამას თავის მამული დაანებე, ამის მამულთან სხვას ხელი არავისა აქვს. დეკემბერს **ი,** ქორონიკონს **უნ**.

რომელიც სოფელი ამას მოუხსენებია ხევს ტ ყ ა შ ე თ ი, აქათი ყოფილა და არც ჩვენ გამოგვირთმევია.

166. არზა პაპალა სანთლიკუდაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1770 წ. 20 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 430. დედანი. 20,2×17 სმ. ქაღალდი. მხედრული. გაკვეთილობის ნიშანი ხახმარი არ არის. შდრ. საბუთი № 132.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჰირი ს ა ნ თ ლ ი კ უ დ ა შ ვ ი ლ ს პ ა პ ა ლ ა ს მოსცეს. ამას მოვახსენებ ჩვენს ხემწიფეს: ერთი ნატყვევები კაცი გახლავარ, ვალით სავსე ყარ, სახსარში ამიღია. ამთონი თქვენი წყალობა იყოს, რომ ნასყიდობა მამული მაქვს, იმისი დასტური დამცეთ, გავყიდო და მოვალეების თრევას მოვრჩე. თქვენ სადღეგძელოთ, მეორეთ ნუღარ დამატყვებთ, თქვენი შვილების [ს]ადღეგძელოთ.

თავში

ჩვენი ბძანება არის. მერმე ამ პაპალას თ[ავის] საბსრის ვალი რომ დაზდებია, ამას უწინაც მივეცით ოქმი, თავის ნასყიდი მამული

გაყიდოს და მოვალეს მისცეს. მაგრამ რომელიც ნასყიდი არა ჰქონდეს, სამკვიდროს მამულსა და ...* ის. აღიწერა დეკემბერს კ, ქორონიკონს **უნ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

167. არზა ეფემიანი გირაოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 2 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 476. დედანი. 29×15,6 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან უკეთილმსახურესის და უმაღლესის ყოვლად მოწყალის ყოვლის საქართველოს ჯელმწიფის ჰირი მათს მიწას ე ფ ე მ ი ა ს მოსცეს.

მერმეთ ამას მოვახსენებთ ჩვენს ჯელმწიფეს: თქვენს სიმაღლეს მოეხსენება, როდეს დაჭირვებას მიეცემა, თუ რამ აქვს ნივთი კიდეც გაჰყიდის, არამც თუ და[ა]გირაოს. ჩვენც დაგვეჭირა და გ რ ა კ ა ლ ი დაუგირავეთ გ ე დ ე ვ ა ნ ი ა ნ თ ა.

ახლა თქვენის დოელათით დახსნას ვაპირებთ, რადგან ჩვენ დაგვრჩა რომ გავიყარენით; და გვდეევანისშვილი არ გვახსნევინებს. ჩემს მაზლს აქ მივეცით და ის სოფელი ჩვენ გვერგო. ჩემო ჯემწიფევ, ისიც რომ გავყიდოთ, ჩვენ რაღა დაგვარჩენს. და თუ ჩვენის ცოდვით ასრე გაგვიჭირდება, რომ იმას გავყიდით, თქვენ მოგართვათ, ის არა სჯობს?

ამას ვეედრებით თქვენს სიმაღლეს: რაც მიუცია, გამოგვართვას და ის სოფელი ჩვენი ჩვენ მოგვცეს. ამის ოქმის წყალობას ვითხოვთ, ჩემო ხელმწიფევ. დეკემბერს **ლა,** ქორონიკონს **უნ**Გ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ეს სოფელი უნდა დაახსნევინოთ, რადგანც თქვენს თეთრს გაძლევსთ, გამოართვით, დაახსნევინეთ, ნუღარ აჩივლებთ. იანვარს **ბ,** ქორონიკონს **უნთ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

* ოთხი-ხუთი ასო არ ირჩევა.

168. არზა ზურაბა თაყინაშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 10 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 445. დედანი. ქაღალდი. 19,8×13 სმ. თავი მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ღმერთმან მოწყალის ხემწიფის ჰირი მოსცეს გორელს მათ მიწა ფეხთა მტვერთა თ ა ყ ი ნ ა შ ვ ი ლ ს გიორგის შვილსა ზ უ რ ა ბ ა ს.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ხემწიფეს: ამას წინათ თავი გაწყინეთ და არზი მოგვართვი გორელების საქმეზედა. გორელებმა სახლი ამიკლეს, კიდეც გამამართვეს ფარჩა.

თქვენი წყალობის წიგნები გვაქვს, იმიტომ არ ვაძლევდი, მაგრამ თავიანთი არა დაიშალეს. რადგან თქვენი წყალობის წიგნები გვაქ[ვ]ს, იმდელი თქვენი წყალობა იყოს, ოქმის წყალობა გვიყავ. რომ მამასახლისი და გორელები დამეხსნან, ღმერთი გაგიმარჯვებს.

თავში

ქ. ...* მოს...* ჩვენიც...* აც ეს რომ თარხანი იყოს...** ეს ფარჩა რომ გამოგირთმევიათ, თითონ არა ჰქონია და სხვაგან აგიღებინებიათ, ავათ მომხდარა, მაგრამ აღარა გაეწყობა რა. ამას ჯაბრსა და უსამართლოს ნურას უზამთ. იანვრის **ი,** ქორონიკონს **უნთ.**

ამ ფარჩის ფასი ჩვენ უნდა მივსცეთ, რომ ბარათიც მიგვიცია ამისი.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

* აკლია რამდენიმე სიტყვა.
** აკლია ერთი-ორი სიტყვა.

169. არზა ლაზარე თედიზეშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 18 იანვარი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 681. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმა ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს თ ე დ ი ს ე ს შ ვ ი ლ ს ლ ა ზ ა რ ე ს ა. მერე ამას მოვახსენებთ ბედნიერს ხემწიფეს. მე ხომ ბატონისშვილის მოალაპე ვარ და იმისი აღაპი უნდა გადავწყვიტო. ამისი გადაუწყვეტლობა ხომ არ იქნება. ამ აღაპის მეტი არც თქვენი ხარჯი გვდებია და არც იმ ციცოშვილებისა. რაც რომ ხემწიფისაგან წყალობა დაგვემართება, ის უნდა გაგვიწესო.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი წყალობა უნდა გვიყოთ. რვა აბაზი ეხლაც დაუწერიათ და სუ[ლ] ტყუვილის კაცისთვინ. დაიწერა იანვარს **ივ**, ქორონიკონს **უნთ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის. ამ არზის პატრონი ჩვენი რადგან მეალაპე არის და ხატის შეწირული, საქვეყნო სათხოვარი რომ იყოს — ან ლაშქარი[1] ან ჯარისათვის სურსათი, და ან მაგისთანა უცხოს ქვეყნის ჯარის ხარჯ[ი] რომ იყოს, ამაში უნდა გაერიოს; რაც ერთის კომლის სათხოვარი იყოს, უნდა ეთხოვოს, მეტს ნუ სთხოვენ.

სხვა რაც ან ჩვენი სამასპინძლო რომ ვითხოვოთ, იმაში ნუ გაერევა. ამ გზობით სამასპინძლო რომ აწერია, გვიპატიებია, ნუ გამოართმევენ.

ლ ე თ ე თ ი რადგან ნ ო დ ა რ ი ს შ ვ ი ლ ი ს კ ი კ ო ლ ა ს ი და იმის ძმის ა მ ი ლ ღ ა ბ ა რ ი ს საუფლისწულო არის, რაც იქ ამათი მოსახლობის აზნაურშვილს გარდა საუფლისწულოთ მისცემიათ, რადგან ეს ლაზარე ამ ლეთეთში სახლობს ამ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ხელთ უნდა იყოს; სხვას ამის სახლისკაცებს ხელი არა აქვთ და ნურცარას იმსახურებენ.

მაგრამ რაც ამას არა სდებოდეს, ამაზე მეტს ნიკოლოზ და ამის ძმა ნურას იმსახურებენ და ნურცარას უდებს დაადებენ, თვარემ უწყენთ. აღაპი როგორც ზდებია ამათს საერთოს ბებიასა და პაპასა, უნდა გარდაიხდიდეს. იანვარს **იწ**, ქორონიკონს **უნთ**.

[1] ლაშქარი.

170. არზა იოანე დაფქვიაშვილისა მუშის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 28 თებერვალი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 37. საბუთი № 226. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[187] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს დ ა ფ ქ ვ ი ა ს შ ვ ი ლ ს ი ო ა ნ ე ს.

მერე ამას მოვახსენებ. ერთხელ დავტყვევდი თჩუთმეტის სულის ხიზნით რომ ჩემის სახლისა აღარავინ დარჩომილა. ერთი იმა მყვანდა, ისიც იქ მამიკლეს. მერე თ ე ლ ა ვ ს ნეტარად ხსენებულმა ბატონისშვილმა ბატონმა დედოფალმა დედა თქვენმა დაიხსნა ჩემის მეუღლით ორივე თავის ძის სადღეგძელოთ და გასამარჯვებლად. მას აქეთ თქვენის წყალობით კიდევ ხიზნის პატრონი შევიქენ, მტრისაგან მეწინოდა და რ უ ი ს [ს] გალავანზე შორს ვესახლე.

[v] ახლა ოთხი წელიწადი არის თქვენის დოვლათით ერთი საკირე დავსწვი, კოშკის საძირკველი ჩავდგი და ერთი კაცის სიმაღლეთ მიწას ზევით ავაშენე. სადაც ვინც ქართლში სიმაგრე გააკეთა, სულ თქვენის წყალობითა და თქვენის ნაწყალობევის მუშით გააკეთეს.

მე ერთი კომლი კაცი მყავს, ხან არ ა შ ე ნ დ ა ს წამართმევენ, ხან ამირეჯიბისათვის ს ა ღ ო ლ ა შ ე ნ ს წამართმევენ, ხან ხ ი დ ი ს თ ა ვ ს თქვენის ბძანებითა და ჩემს საქმეს კი ვეღარას მივ-[1]წდომივარ; და ოთხის წლის დამწვარია და მიფუჭდება.

ბედნიერს ხემწიფეს ამას ვცვედრები, თუ რომ სხვა წყალობა არ დაშემართება, ერთი კომლი კაცი ჩემი მყავს და ერთი კომლი კაცი დ ე მ ე ტ რ ე ც ი ც ო შ ვ ი ლ ი ს ა არის, ის მეხმარება, ახლო მეზობელი არის. ამ ორის კაცის წყალობა მაინც დამემართოს, რომ აღარსად გამომართონ მუშათ, კიდევ ხელმეორეთ არ დავტყვევდე და საურჯულოეთ არ გავხდე და ის კოშკი ავაშენო თქვენის წყალობით; დიაღ, ავს ადგილს ვსახლობვარ. თებერვლის **კდ**, ქორონიკონს **უნთ**.

თავში

მდივნებ[ო], დაფქვიაშვილს უნდა ეს მუშა მოუჭრათ, რადგან თვითონაც კოშკს მუშაობს. მაგრამ რაც მუშა ან ქარელისათვის

[1] + ეისაც.

გვიპატიებია და ან ამასთვის საჩიდისთვე მუშა, სხვას ადგილიდამ უნდა შეასრულოთ. თებერვლის კᲒ, ქრონიკონს **უნთ.**

ვინც ამისი მოასილი ხართ, დაეხსენით[1].

171. არზა სოლომონ აბაზაძისა სამართლის მიცემაზე მდივანბეგთა ოქმით

1771 წ. 6 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1405. დედანი. 17,3×10,4 სმ. ქაღალდი. მხედრული. გახვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბატონის დივანბეგების ჭირი მოსცეს მათს მონას აბაზაძეს სოლომონს.

მაჭავარიანს რომ უჩივლე და მაჭავარიანმა ქოჩორაძე დაიტანა, რომ ი[მ]ან მოპარა, მე ორში ურევივარო, ამ ქოჩორაძეზე ოქმი მიბოძეთ, რომ აქ თქვე[ნ]ს სამართალში გა[ა]ხლონ. აღიწერა მარტის ე, [ქორონიკონს **უნთ**].

თავში

ქ. მდივანბეგის სიკეთით სახსენებელო მურვანისშვილო იესე! მერე ამ არზის პატრონი რომ ამ არზით ჩივის, ეგ ქოჩორაძე აქ სამართალში გამოგზავნე და მაგას ვინცაეინ ან მართებული მოწმე[ე]ბი ყვ[ა]ნდეს ან იცოდეს ვინმე, იმათ სისწორის[2] მუჯალა გა[ა]კეთებინოს, ისიც თან წამოიღოს, აქ სამართალში ჩამოვიდეს. მარტის **ვ**, ქორონიკონს **უნთ.**

ორი ბეჭედი: 1. ფარსადან
2. მონა ღთისა აბილახურისშვილი მოურავი იესე.

172. არზა ზედგინ აბაზაძისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 11 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 189. დედანი. ქაღალდი. 26×19,6 სმ. მხედრული. გახვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან უმაღლესის კემწიფის ჭირი მოსცეს მათს ფეჯთა მიწა-მტვერს აბაზაძეს ზედგინს.

[1] + ამისი. [2] სისწვრის.

ამას მოვახსენებ თქვენს უმაღლესობას: აგერ ოთხი წელიწადია მე და ხიდირბეგისშვილის მოყრობის საქმე სამჯერ თქვენთვინ თავი მიწყენია და არზა მამირთმევია; არც გამშვები, არც შემრთველი, შვილი ტყვეთ მიზის. ერთი ბერი კაცი ვარ, ჩემი თავის შენახვაც არ შემიძლია, თუ არადა ქალის შენახვა შემეძლოს.

ამდენი თქვენი წყალობა იყოს თქვენს გასამარჯვებლათ და თქვენის ძისა და ასულის სადღეგრძელოთ, ერთი სამართალი და სანათი თქვენს ძმას პატრიარხზე გვიბოძოთ, რომ სამართალი გვიყოს სჯულიანის საქმით.

თავში

ქ. ბატონო დივანბეგებო! სწორე ეს არის: თუ უნდოდეს ხიდირბეგისშვილს, შეირთოს ის ქალი: თუ არადა, აბა[ზა]ძეს მამულს მზითევში არ მივსცემთ. თუ ხიდირბეგისშვილმა არ შეირთოს. ვისაც უნდა მისცეს. მარტის. **ია**, ქორონიკონს **უნთ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძვდ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

173. არზა პაატა ციციშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 12 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 2491. დედანი. ქაღალდი. 23,8×13,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ხიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალეს კელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწა-მტვერს ციციშვილს პაატას.

მერე ამას მოვახსენებთ: დოესი რომ გაყიდეს ჩემმა სახლისკაცებმა, არ უკითხავთ და არც შეუტყობინებიათ ჩემთვინა. თქვენი წყალობა მოვიდა ჩვენზედა და ჩვენი მამული დოესი ისევ წყალობა გვიყავით და დაგვახსნევინეთ.

ალექსანდრე სარდალმა რომ დაიხსნა დოესი, მე რაც შემამხვდებოდა ჩემი წილი — მეოთხედის ნახევარი დავიხსენ, მაშინვე თეთრი მივეც და ნახევარი ჯერ არ დამიხსნია. ჩემზე მეტი ერთი შაური არ გაულია, რაც შემამხვდებოდა ჩემი წილი, მეტიც გამამართო თეთრი. რაც რამ მოსავალი მოვა დოესში, მერვედს მაძლევს ყოველთვინ. როგორც თეთრი გაგვილია.

ამას ვევედრები მათს სიმაღლეს: ერთი ოქმისა და იასაულის

წყალობა გვიყოს, რაც წილი მქონდეს და დღეს მაძლევდეს, მერეედ-
ციხე და მამული გამიყოს, ჩემი წილი მამცეს.

უსყიდს მამულშიაც მეყოფა რაც უსამართლო და ძალა მჭირს,
ნასყიდი მამული მაინც საშფოთარი არა მქონდეს რა. აღიწერა თე-
ბერვალს **კა**, ქორონიკონს **უნთ**.

თაეში

ქ. ბატონო ციციშვილო სარდალო ალექსანდრე!
ამის ჰალიღათი წერილით გვაცნობე და შეგვატყობინე. მარტის **იბ**,
ქორონიკონს უნთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დაეით მოკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს,
ერეკლე.

174. არზა ჰაიხოსრო საკაძისა უმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 13 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5555. დედანი. ქაღალდი. მხედრული. 24,8×15 სმ. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის კელმწიფის ჰირი მოსცეს მათს ბიწას საკაძეს ჰაიხოსროს.

აშას მოვახსენებთ: დღეს თქვენი წყალობა დაგვემართა — ჯიდისთავი შენდება. თქვენის წყალობის მოიმედენი ვართ, რომ დავსდგეთ. აქამდის არას ენაღ[ვ]ლობდით, სადაც ჩემი ცმა იყო, სად უნდა დამეყენებინა.

ახლა ვევედრებით თქვენს მოწყალებასა, სადაც ჩემი ყმა იყოს. ერთი ოქმი და იასაული მიბოძოთ, აშიყაროს და მამეცეს, რომ ჯიდისთავს დავსდგე და დავასახლო. ფებერვლის **კდ**, ქორონიკონს **უნთ**.

ქ. ბოდორმას არის ორი კომლი ზეიკიძე იორდანე და მისი სახლისკაცი შაბურიშვილის გლახას კელთ არიან. ქ. ერთი ლამისყანას არის ერისთვის მამულშია ბერუა. ქ. ახალუბანს არის მიღრიჯანაშვილისა კომლი ერთი გულია და ივანე.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო ლაზარე! ეს კაცნი აუყარე და მოაბარე. ჯიდისთავს დაასახლოს. თუ სიტყვა ჰქონდესთ რამე, მოგვაკსენონ, თუ არა თავისი ყმა ყველამ მოსცენ. მაგრამ ეს კი არ იქნება, მიეიდეს, გაძარცოს, გამოართოს რამე და ის გლეხები ისევ გაუშოს.

იცოდე, იასაულო, შენცა და ჭაიხოსრო საკაძესაც დიდად ავად მოგეპყრობით, თუ ამ ოქმს იმაზედ იღებ, რომ გამოართო რამე და გაუშო. თუ აყრა გინდა, აჰყარე; თუ არა, გამოს[ა]რთმეველად კი არ მოგვიცია ეს ოქმი. მარტის **იგ**, ქორონიკონს **უნთ**.

ასაყრელად მარჩილი გამოართვი მაგათ პატრონს, ვისიც ყმა არის. გლეხს ნუ გამოართმევ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დაეით მოკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

175. არზა ედია ავალიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 14 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 50. საბუთი № 111. ბინა. ქაღალდი. მხედრული. შდრ. საბუთები №№ 132 და 166.

[77 V] ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს ედია ავალიშვილის ქვრივსა და ობოლს.

ამას მოვახსენებთ. თქვენის შვილების სადღეგრძელოთ დიდი წყალობა დაგვემართა თქვენგან. პაპალა სამთლისკუდა-შვილის სახსარში თითონ ედიამ მისც[ა ოც]დაოთხი თუმანი, პაპალას უნდა მიეცა.

ახლა თქვენი ბძანება და ოქმი იყო: ქვრივისა და ობლის მამული არავის გაეყიდნა. აიღო, რაც კარგი მიწები იყო, პეტრეს წისცა. ამატელი კაცი ვერ ვიშოვნე, რომა თქვენთვინ მამეხსენებინა.

ზა[ა]ლზედ ოქმი მქონდა[1] მეითარზედა[2]: რაც ამ ქვრივს და ობოლს დაჭირება და[ა]დგეს, შეგვატყობინეო. ახლა იმანაც იმათი ხათრი დაიჭირა, აღარა მოგახსენათ რა. თქვენთ გასამარჯვებლათ ერთი ასეთი კაცი [78] გვიბოძე რომა ჩვენი დაჭირება მოგახსენოს. თუ მამული არ გვექნება, ქვრივი, ობოლი რილათი უნდა დარჩეს. მარტის **ია**, ქორონიკონს **უნთ**.

[1] მქონდეს. [2] + იყო.

თავში

ზა[ა]ლ მეითაროს ამ ედია ავალიშვილის ქურივი და ობოლი რომ შენ მოგაბარეთ, მაგის კაცებს ნურცავის მამულს გააყიდვინებ ჩვენს უბძანებლად მაგის ყმას ვისმე; და თავისი ყმებიც ამსახურეთ, თვარემ გიწყენთ. მარტისთვის **იდ**, ქორონიკონს **უნთ**.

მაგრამ ყმებსაც უსამართლო არავინ უყოს, ღმერთი ავათ ჩამო-

გვართმევს თქვენც და ჩვენც.

176. არზა შულავრელებისა სახნავი მიწის თაობაზე მრეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 18 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8670. დედანი. ქაღალდი. 32,8×14,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი **ან** ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის, ბედნიერის ჯემწიფის ჰირი მათს ცხვნთა ტერფს სულ ხელერთპირ შულავრელთ მოსცეს.

თქვენც მოგეხსენებათ ჩვენი შეწუხება, ზეით წყალი დაგვიწყდა, აღარა მოდის; და ქვეითს რუზე გევედრებით, რომ მდინებეგს უბძანოთ სახნავი მოგვცეს, ან ჩალთუკი ან ბანბა ან ფეტვი დავთესოთ და მოვიყვანოთ, თქვენი სამსახურიც შევიძლოთ და ჩვენც დავრჩეთ, თუ ქვეითს რუზე ჩვენ სახნავის წყალობა არ დაგვემართა, ჩვენი დარჩენა ძნელი არის. და წება ყოვლად მოწყალის ჯემწიფისა არის. მარტის **ა**, ქორონიკონს **უნთ**.

თავში

ქ. ჩვენი მაგიერად დარბაზ ბატონს ი ო ვ ა ნ ე მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ს ასე უამბეთ. მერე შულავრელებს სახნავი მიწა მოეცით, რომ ჩალთუკი, ბანბა და ფეტვი დათესონ და იოლას წავიდნენ. აღიწერა მარტის **იბ**, ქორონიკონს **უნთ**.

თქვენს რუზედ ასეთის ალაგიდამ მიეცი სახნავი, რომ წყალი მიხვდებოდეს და ერთი ინთიფაც ჰქონდეს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

177. არზა სოლომონ აბაზაძისა ყმის თაობაზე მრეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 28 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14364. დედანი. ქაღალდი. 21×10 სმ. მხედრული. დაზიანებული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჰირი მოსცეს მათ მიწას ს ო ლ ო მ ა ნ ა ბ ა ზ ა ძ ე ს ა.

მერე ამას მოვახსენებ ბედნიერ ჯემწიფესა: ერთი ჩემი მემკვიდრე კაცი ბ ო ლ ა კ ა ძ ე და ს ვ ი მ ო ნ ა წმინდის გიორგის უთხვის მწათე არის, ი ა ს ე დ ი ა ს ა მ ი ძ ე ს ყავს. ასემც თქვენი ორგულია, როგორც ჩვენი მამული აოხრებული არის; ხატის სამთლის ამთებიც აღარავინ მყავს.

ამას გევედრები, ჩემის კაცის წყალობა მიყოთ, ავყაროთ და ს უ რ ა მ [ს] მივიყვანოთ. თქვენათ გასამარჯვებლათ[1] და თქვენის ძისა და ასულის სადღეგრძელოთა წყალობა დამართეთ. მარტის **იგ**, ქორონიკონს **უნთ**.

კიდეზე

ქ. სურამის აზნაურშვილებო და სურამელებო! ამის ჰაღიღათი სწორე მოაწერეთ, ეს კაცი ვისი ყმა არის; ამ სოლომონის მოხსენებული მართალი არის თუ არა, სწორე მოგვახსენეთ. მარტის **კ**, ქორონიკონს **უნთ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო ი ო ს ე ბ ე ლ ი ო ზ ი ს შ ვ ი ლ ო! მერე ამ არზის პატრონს რომ ამ არზით მოუხსენებია, ეს კაცნი აუყარე და ამ სოლომან აბაზაძეს მოაბარე. თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს, მაგრამ თუ გამტყუნდება, გარდავახდევინებთ. იანვრის **კვ**, ქორონიკონს **უი**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

---

[1] გასამასაჯვებელათ.

verso

ქ. ბედნიერის ხემწიფეს ამ არზისა აღი[ღ]ათი და სწორე ებძანა, ჩვენ მ უ რ ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ა ი ე ს ე [ს] ა და სურამის მამასახლის და ერთობილთა სურამელთა ვკითხეთ, ყოველი მახსოვარი შენსა მზესა ფიცენ, რომ სწორეთ უთხოვია, მოსახლეც არიო და ხატისა [მ]ნათეცა იყო, ნება ხემწიფისა ასრულდეს. დაიწერა მაისსა კ**ჱ**, [ქორონიკონს] **უნთ.**

178. არზა დავით ერისთავისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 29 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14051. დედანი. ქაღალდი. 35×12,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ე რ ი ს თ ა ვ ს დ ა ვ ი თ ს.

მერე ამას მოვახსენებთ ბედნიერს ჯელმწიფეს. ამას წინათაც მოგახსენეთ, ქ ა ი ხ ო ს რ ო ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი რომ მერგო, ორო კომლი კაცი ჰყვანდა. იმის შეფარდებული აზნაურშვილი ყულარაღას ერგო. ამ ჩემს კაცს ერთი კომლი კაცი ჩ ხ ე ი ძ ე მ გამოართვა და ერთსა ახლა თქვენ ართმევთ. მართალია, ყულარაღასს უყიდნია. მაგრამ ამისთვის მიუცია და რომ შევაფარდეთ აზნაურშვილები, ის კაცებიც ჩაუგდევით და ისე შევაფარდეთ.

ახლა ყულარაღასი თეთრს აძლევს ქაიხოსრო ტატიშვილს და კაცს ართმევს, რადგან ის კაცი თქვენი ყმა არის, ნება თქვენია აჰყარეთ, მაგრამ მე ყულარაღასს თეთრს არ გამოვართმევ, კაცისათვინ კაცი უნდა მომცეს.

ამის სამართალს ვითხოვთ: მე ჩემი კაცი როგორიც ბარათში მრგებია, ისე უნდა შემისრულდეს და ისე უნდა მომეცეს. წყალობას ვითხოვთ, სამართალი მომეცეს. აღიწერა მარტის კ**ჱ**, ქორონიკონს **უნთ.**

თავში

ქ. ბატონო მდივანბეგებო! ეს თქვენ გასინჯეთ და სამართლით თუ კაცი ერგებოდეს, კაცი მიეცით. და თუ მიწა ერგებოდეს — მიწა. აღიწერა მარტის კ**ჱ**, ქორონიკონს **უნთ.**

ქ. ამაში ყულარაღასს სიტყვა ჰქონდეს რამე, ილაპარაკოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

179. არზა სოლომონ აბაზაძისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 4 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 190. დედანი. ქაღალდი. 26,7×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან უმაღლესის ჯემწიფის ჰირი მოსცეს მათს ფეჯთა მიწას მტვერს ა ბ ა ზ ა ძ ე ს ს ო ლ ო მ ა ნ ს.

ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას: სამი კვამლი კაცი აქ ქვემო ქართლში გახლამთ თქვენი წყალობა: ერთი ჯავახისშვილი ტ ი რ ძ ნ ი ს არის, ერთი ბ ლ ი ა ძ ე კ ა რ ბ ს არის, მესამე მ ე რ ე თ ს არის — ისიც ჯავახისშვილი, არცარას თქვენ გემსახურებიან[1], არცარას ბე მეპუებიან. თქვენგან წყალობა მჭირს, ჩემთვინ უსარგებლო არიან.

ამდენი თქვენი წყალობა იყოს, ერთის ოქმის წყალობა მიყავით, რომ აყყარო და ს უ რ ა მ ს მოვიყვანო. ერთი ბერიკაცი იქ სურამს არის, რაც თქვენი ბძანება მოვა, ყველას იმას ვაწევინებ[2], იქ ერთმანეთთან დავაყენო და თქვენი სამსახური გავაწევინო. აღიწერა აპრილის **დ**, ქორონიკონს **უნთ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იას[ა]ულო გ ე დ ე ო ნ ი ს შ ვ ი ლ ო ბ ე ქ ი ა ვ! მერმე ამ არზის პატრონის კაცნი სადაც ესახლ[ნ]ენ, აჰყარე და სურამს მიასხი ახლავ. და თუ სიტყვა ჭონდეს ვისმე, ჩვენ მოგეახსენონ. აპრილის **დ**, ქორონიკონს **უნთ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] გემსახურებენ. [2] ვაწევინებ.

180. არზა მარიამ ჯავახიშვილისა მოწყალეგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 7 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2418. დედანი. ქაღალდი. 28,2×11 სმ. მხედრული. გაწკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი. ა-მეტნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერ[ი]ს ჯემწიფის ჰირი სამარადისოდ ჟამ ყოველ ხელაპყრობით მათს და მათის შვილების მლოცველს საცოდავს ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ [ი]ს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ქვრივს მ ა რ ი ა ვ ს მოსცეს.

ამას ვევედრები თქვენს სიმაღლეს. თქვენთა გასამარჯვებლათ, თქვენის მარგალიტ[ი]ს შვილებ[ი]ს სამლოცველოთ, თბილელ[ი]ს თეთრიდამ ერთის ჩოხისა და მაზარის ფასი მიბოძეთ, თქვენი ჯემწიფობა ვილოცო. იმას სასუფეველი მიეცეს.

ამასაც გევედრებით, მამასახლისს უბძანოთ: საყდრ[ი]ს ახლო ერთი სახლი მამცეს, თავი მოვაფარო, თქვენი ძე და ასული ვლოცო. ბ ა რ ა მ ა შ ვ ი ლ ს მამასახლის[ს] უბძანეთ, მთავარეფისკოპოზ[ი]ს საყდრ[ი]ს კარზე მამცეს. ჩემო ჯემწიფევ, უმოწყალოს ნუ გამიშვებ, თქვენათ გასამარჯვებლათ. ერთი ღმერთია და მეორე თქვენა ქერივ[ი]სა და ობლ[ი]ს მოწყალე. თქვენს სიმაღლეს თქვენს ნათლულს ობოლს გ ო გ ი ა ს აც ვევედრებ, შეიწყნაროთ.

თაყვი

ქ. თუმანიშვილო პაპუავ! თბილელის სასულიეროთ, თბილელის საქონლიდამ ოთხი მინალთუნისა მოეც რამე. აპრილის ზ, ქორონიკონს უნთ. ერეკლე

181. არზა დავითიშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 8 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 518. დედანი. ქაღალდი. 41,8×16,5 სმ. მხედრული. გახკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერი ხემწიფის ჰირი დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ს ზ ა ა ლ ს, დ ა ვ ი თ ს და ე ლ ი ზ ბ ა რ ს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ხემწიფეს. მოგეხსენებათ ამ ზემო ქართლში ჩვენი ჯაბიც ყოფილა თქვენის წყალობით, ჯამითა და მამულით. ახლა ასე დასაწყლებული ვართ, რომ სულ იქით ილაჯი აღარ გვაძს, ცარიელი თავები აგვიშვერია და დავდგართ. ღმერთმან ასე თქვენი ორგული შეაწუხოს, შეწუხებულნი უმამულოთ ჩვენ ვიყვნეთ, ერთის სახლი არსადა გვაქვს, რომ თავი შევაფაროთ, ღმერთი გაგიმარჯვებს, თქვენს ხემწიფობას უჯესტაესად ა[ა]მაღლებს, თქვენის შვილების სადღეგრძელოთ გვიშველე რამე, მოწყალების კარი განგვიღე, სამართალი გვაღირსე. ყოველმა საქართველოს კაცმა, დიდმა თუ მცირემ, თქუენი მოწყალება მი[ი]ღო, ჩვენც ვევედრებით თქვენს მოწყალებას რომ სამართლის კარი არ დაგვეხშოს თქვენს ხემწიფობაში, რომ ჩვენ სამართალი არ დაგვემართოს ჩვენს მამულზე, მაშ, ჩვენ უბედურებას როდიღა რა გვეშველება.

ჩვენი არზი და მოხსენება ეს არის თქვენის სიმაღლის კარზე, რომ ფავლენიშვილს პაპუნას ბ რ ო წ ლ ე თ ი უჭირამს ნასყიდობით, სოველიც აქვს, მაგრამ მამაჩემი გ ი ო რ გ ი ხუთის ძმის უნაფროსი გახლდათ, მერე ეს დავით გახლდა, ოთხი უნცროსნი სხვანი იყვნენ, იმათ მისცეს, არც მამაჩემი გახლდათ აქა, არც ბეჭედი დებულა იმისი, ეს ბიძაჩემი დაკარგული იყო, დიდი ბნის ანბავი არ არის, ცხრა თუმნის მეტი არ მოუციათ, ბედავლათობით არის მიცემული, იმისი ნავაჭრი ბატონის სათხოვარში არ გაღებულა, სახლს არ მოხმარებია, ვალი არ გარდუწყვეტია, ასე უბრალოთ გვაქვს დაკარგული.

ამას მოვახსენებთ თქვენს მოწყალებას, რომ ჩვენის ცოდვის პასუხი არა გვკითხოთ და სამართალი გვაღირსოთ, დაგვახსნევინოთ, ჩვენც თქვენის დოვლათით დავრჩეთ, იმას თქვენი წყალობა თავისი საყოფი აქვს; ჩვენც ეგება ღმერთმა და თქვენმა დოვლათმა თქვენი სამსახური შეგვაძლებინოს და საქართველოში არ ამოვარდეთ.

ღმერთმან ხომ უწყის, დაღისტნიდამ დატყვე[ვე]ბული მოგვიყვანოთ და დაგვასახლოთ, ისე მადლი შეგეწევათ თქვენცა და ამ საქართველოსაცა, დავიყიდებით, დავგირავდებით, რითაც გზით არის დავიხსნით, ამდენს ხანს უჭამია, ღმერთმან თქვენს სამსახურში მოახმაროს, ახლა ჩვენი შვილი ჩვენ დაგვახსნევინოს.

მრავალს კაცს დაუხსნია თავისი ტყვე თქვენის დოვლათითა და ჩვენც წყალობა გვიყავით, მომადლეთ ღმერთსა. ღმერთი გაგიმარჯვებს, ნუ [უ]გულებელს ყოფთ ჩვენს მოხსენებასა, შეისმინეთ ჩვენი არზი, ღმერთი განგაძლიერებს ჩვენო მოწყალევ. აპრილის ზ. ქორონიკონს უნთ.

თაეში

ჭ. თქვენ რომ ამ არზით მოგიხსენებიათ, სამსჯავროში წამოდეგით და ჭეშმარიტებით სამართალს გისჯით. აპრილის 8, ქორონიკონს **უნთ.**

ამაც აპრილში თუ არ მოხვედით და არ იჩიელეთ, სრულიად სიცრუე იქნება თქვენი საჩივარი და აღარცარას გარგებთ, ამ ვადას უკან რომ იჩივლოთ.

ციციშვილო გლახავ! ამათი მოასილი შენ ხარ, შენ უნდა მოიყვანო ესენი სამართალში და ალაპარაკო, სადაც უნდა ვიყუნეთ.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

182. არზა ძაიხოსრო საააძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 8 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5554. დედანი. ქაღალდი. 25,7×13,8 სმ. მხედრული. განყეთილობის ნიშნად ალავ-ალაგ ნახმარია ორი წერტილი.

ჭ. ღმერთმან ყოველად მოწყალის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათს მიწას სააკაძეს ქაიხოსროს.

ამას მოვახსენებთ: ბაბალაშვილისათვის ჩემს ყმას სამნიაშვილს მამული მიუყიდნია ჩემის მალვით, არც ჩემი ბეჭედი უზის. კიდისთავს რათ იყიდა ჩემს შეუტყობრათ, მე ატენს გახლდი, არც წიგნი მაჩვენა, არც იმას მეუბნება, რაც შიუცია.

ერთის ოქმის წყალობა მიყავით, თუ მართლა ეყიდოს, თავისი გამამართოს. ჩემი მამული დამნებდეს. ჩემს ყმას მე მამულს არ გავასყიდვინებდი, რათ იყიდა უჩემოთ. აღიწერა მაისს 8, ქორონიკონს **უნთ.**

თაეში

ჭ. ბატონო მილახვარო! ამ არზის პატრონი თუ მანდ შეარიგოთ, ის არის. და თუ ვერ შეარიგოთ, ჩვენს სამართალში გამოისტუმრეთ ორნივ. ივნისის **8,** ქორონიკონს **უნთ.**

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ **ცხებულს,** ერეკლე.

183. არზა გრიგოლ ჩოლოყაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 8 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2618. დედანი. ქაღალდი. 40×15 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ჭ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ჰირი მოსცეს მათს ბანდას ჩოლოყაშვილს გრიგოლს.

მერმე ამას მოვახსენებ. დუშეთს ჩემ [მა]გიერათ ეჩიელა ერთს დედაკაცს — შვილს მართმევს და ყმათ იჭერსო. იმისი საქმე ასეა, ჩემო ჯემწიფევ: გიკი ხანი რომ ქალაქში იჯდა და დურხან-ბეგ რომ მიმბაძად იჯდა, მე რომ დედაკაცმა მიჩიელა, იმისი ქმარი შიო ქალაქს დურხან-ბეგის მეპურე ყოფილიყო და იმისი ვალი დასდებოდა.

მე რომ აბულა მყავს, მაშინ აქ ჰასასად ყოფილა. იმ ხანში ჩემი კაცები ჩამოსულან თულაშვილი და მამაგულაშვილი ქალაქს ქარავანში. თულაშვილის უწინდელი ნაცნობი ყოფილიყო ის მეპურე, თულაშვილს შეხვეწნოდა: მიშველე რამე, წამიყვანე.

ჩემს კაცებს დურხან-ბეგის იასაულებისათვის მ[ო]ეპარათ და აბულა რომ ჰასასი იყო, აბულასაც ქონაგი ექნა, ჩემი კაცებისათვინ მიეცა და წამოეყვანათ ცოლ-ქმარნი და ერთი პატარა ბიჭი მოყვათ, ერთი პატარა გოგო. ოთხი სული ახმეტას ჩემ[მ]ა კაცმა მოიყვანა. რომელმაც ჩემმა კაცმა ესენი მოიყვანა, ჯელმარტო იყო. სახლის კაცად შეიყარა და შესამყრელო მე ამიღია.

იყვნენ ძმათ დიდი ხანი. ამ ერთობაში ეყოლა ორი ბიჭი, ორი უფროსი ბიჭები კი დაეხოცა. ეს სულ უბედოსია, რომ ცოცხალია.

ჩემს კაცს რომ შევყარე, ჩემი კაციც მოკვდა და ის მეპურე შიოც მოკვდა. დარჩა ორი ქვრივი დედაკაცი, ერთი ჩემი ყმისა და ერთი რომ შევყარე ინისი. ვეღარ მოჯდნენ ქვრივები ერთგან, ღვთის წინაშე რაც რომ დარჩომოდა მამულს გარდა, ყველა შუა გაუყავი, გასამყრელოც ავიღე.

მასუკან მეპურის ცოლმა ქმარი შეირთო თქვენი ყმის მოსახლის კაცი. საქვრიო მე ავიღე, ახლა ამ დედაკაცმა რომ მიჩიელა, თქვენი ყმის ცოლი შეიქნა და ბიჭი ჩემია.

ახლა რაც ამ არზაში დამიწერია[1], თუ ერთი ღალატათ მომეხსენებინოს და განვმტყუნდე, რაც ჯარიმა გეპრიანებოდეს, ის გადა-

[1] + ან ერთი.

მაკდევინე. რა ეს თქვენი ოქმი მომიტანა იმ დედაკაცმა და ბიჭმა, გვერთ აღარ გამიელია. მე ხომ ეს მომიხსენებია, როგორც ჩემს კაცს მოუყვანია. თუ გამომერთმევა, შენი ჭირის სანაც[ვ]ლო ვიყო.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ეს ბიჭი როგორც აქამდი გ რ ი გ ო ლ ს ა ლ თ ხ უ ც ე ს ს ჰყოლია, ახლაც ისევ ამას უნდა ჰყვანდეს. თუ სიტყვა აქვს ვისმე, მდივანბეგებთან ელაპარაკოს და სამართალს ისინი გაარჩენენ. აღიწერა მაისის **ცჱ,** ქორონიკონს **უნთ.**

ქალაქის მოურაო და მელიქო, ეს თქვენც გასინჯეთ და ისე მიეცით. თუ თქვენც სიტყვა გქონდეთ რამ, მოგვახსენეთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძეღ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

184. არზა კოზმან გერისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 28 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4597. დედახი. ქაღალდი. 21,5×11,3 სმ. მხედრული. გაბკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს სამარადისოდ მლოცველს ბერს კ ო ზ მ ა ნ ს.

ხ ო დ ა შ ნ ი ს სათხოვარს ნახევარს თქვენი სახასო აძლევს და ნახევარს ყორჩიბაშის ყმები, ალავერდლის ყმები, ბოქ[ო]რმელები და მე ვაძლევთ. მაგრამ მე ეს ჩემი მოყენებული კაცნი არ მიდგებიან და გასაღები და ლაშქარი მარტო მე მედება.

ამდონი თქვენი წყალობა იყოს, რომ რაც მერგება. მე ცალკე შემომეწერებოდეს, რომ იმათთან შფოთი არ მომიხდეს, ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისს **კდ,** ქორონიკონს **უნთ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, როცა სხვის ყმასაც ცალკე შესწერდება, ამათაც ცალკე შეეწერებათ და რ[აც] სოფელს ერთათ შესწერდება, რამდენიც კომლი კაცი გყავს, რაც კომლზე სხვას შეხვდეს, ის შენს ყმას უნდა შეახვედრონ, მეტს ჯაბრს ნურაინ უზამს. აღიწერა მაისის **კჱ,** ქორონიკონს **უნთ.**

ჩვენო მოხელენო და სოფლის კაცნო ასე იცოდეთ, ამას ჯაბრი არა უყოთ რა.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძეღ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

185. არზა ნაზარა ჩითახაშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 28 მაისი

ცსსა. ფონდი 1448. № 1837. დედახი. ქაღალდი. 21,3×12,3 სმ. მხედრული. გაბკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მოქალაქე სამეფო ჩ ი თ ა ხ ა შ ვ ი ლ ს ნ ა ზ ა რ ა ს.

ტფილელისა ოცი თუმანი გვემართა, რომ ბაღი იმასთან გირაოდ იყო. მამა ჩემი საქონლით ზღვაში დაინთქა. ეს ვალი ვეღარ მივეცით. სხუა ვალიც მრავალი გვმართებს. ტფილელმა ათი წელიწადი ჩვენი ბაღი თავის ფულის სარგებელში ჭამა. ეს ორი წელიწადია რომ ბაღი ჩვენს ხელშია. ამით სხუის ვალის სარგებელსა ვწევთ. ოცი თუმანი ვივალეთ, ი[ა]საულს მივეცით და ორის წლის სარგებელსაც გვაწუხებს; რომ ამ ორს წელიწადშიაც საპალნებით ყურძენი, ხილი წაულია, რომ სარგებელზედ მეტიც წაულია; ამის მოწამეც არის.

ახლა ამას გევედრებით: ვალში ჩაფლული ბიჭი გახლავარ, ეს სარგებელი გვაპატიე, ვითომც ერთი ტყვე დაგიხსნიათ. მაისის... ქორონიკონს **უნთ.**

თავში

ქ. ამას ოცის თუმნის მეტს ვერ გამოვართმევთ. სარგებელი ტფილელის სასულიეროთ გვიპატივებია. მაისის **კჱ,** ქორონიკონს **უნთ.** იასაულო, ამაზე მეტს ნუ გამოართმევ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძეღ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

verso

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს მონას მოურავს დ ა ვ ი თ ს და მიწა-მტვერს ა ვ ე ტ ი ქ ა ს მოსცეს. ბედნიერს ჯელმწიფეს ამ არზის პატრონის ჰაღიღათის მოკვსენება ებძანათ. ოცი თუმანი მართებია კურთხეულის ტფილელის. ამაში ოცდაოთხი თუმანი სარგებელი მიუცია. მაია დარჩომილა ოცი თუმანი. დარჩომილა კიდევ ოცის თავის სარგებელი, იქს ოთხს თუმანს. ახლა ოც თუმანს მაიას და ოთხს თუმანს სარგებელს სთხოვენ. ჩ ი თ ა ხ ა ს შ ვ ი ლ ი ს

სიღარიბე ჯემწიფესაც კარგად მოეკსენება, სიღარიბე ცალკე აწუხებს და მოვალეები ცალკე. ბძანება ჯელმწიფისა ათავდეს.

ორი ბეჭედი: 1. მელიჭი ავეტიქ
2. დავით

186. არზა იოანე ბარამისშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 12 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3. დედანი. ქაღალდი. 35,5×20,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ბარამისშვილს იოანეს.

ამას მოვახსენებთ ჩვენს ჯელმწიფეს: თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ი[მ] კაცსში ოცდათორმეტი თუმანი გაღებული მაქუს. ანდრიიდამ გარდმომიყვანია, იმის მეტი კაცი არა მყვანდა, ის იყო თითქმის ჩემი სიცოცხლე. ეს მეხუთე წელიწადი არის, რომ ჩემი კაცი მაკლია.

პირობა ასე იყო: როდესაც ბატონი ქართლში მობძანდეს, ამოდი! და შენი კაცი მოგაბაროო. ახლა რომ ქართლში ბძანდებოდით, ვიჩივლეთ და იასაული მიბოძეთ; იასაულმა მოგახსენათ: ყულარაღასმა გააქცივა და ოსეთში დამალაო. ოთხი წელიწადი არის, რომ ვსჩივი და თავს გაწყენ, სამართალმა მომცა და იმან არ დამანება.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ერთის გზიანის საქმით ერთმანერთს მოგვაშორეთ რომ ალარც ნიად[ა]გ თქვენ გაწყინოთ თავი და არც ჩვენ ვშფოთავდეთ, ბედნიერო ჯელმწიფევ! ივლისის **იბ,** ქორონიკონს **უნთ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ის კაცი ბარამიშვილს ედიშერს რადგან ორჯერ დახსნილი ჰყვანდა[2], ამისათვის თავის კაცი არ უნდა დაეჭირათ. ჩვენ ერისთავსაც და ყულარაღასსაც ამის მიცემა შეუთვალეთ; იმათ ერთმანერთზე მიეგდოთ და არ მოეცათ. [რადგან] ამ ივანე ბარამისშვილს თავის კაცი არ მოსცეს, ქსნის

[1] ამიდი. [2] ჰყვანად.

ერისთავი[ს] ყმა საცა კახეთში ამ ივანემ იპოვოს, ორი კომლი კაცი უნდა მოეცეს.

იასაულო ავალისშვილო გიო! საცა ამ ივანემ ერისთავისა და ყულარაღასის ყმა იპოვნოს, ორი კომლი კაცი აუყარე და მოაბარე. აღიწერა ივლისის **იბ,** ქორონიკონს **უნთ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

187. არზა იოსებ გლურჯიძისა გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 11 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3406. დედანი. ქაღალდი. 27,8×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათს ფეხთა მიწა-მტვერს გლურჯიძეს იოსებს.

მერმე ამას მოვახსენებ ჩვენს ბედნიერს ხელმწიფეს: ჩემი სახლის კაცებს ზოგსა თქვენი წყალობა სჭირს და კიდევ ზოგი თქვენის წყალობით გათარხნდა. დაურჩომილ ვარ მე. რაც თქვენი იასაული მოვა ან ლამჭრისა და ან სურსათისა, ჩამამიდგებიან მე, ან სხვისა რისამე ჩემს წილს გარდა სხვასაც მე მაწუხებენ.

ამთენი თქვენი წყალობა იყოს: რაც ან მამული მჭონდეს, ან რაცა მყავან და დავთარში მეწეროს, იმის დამაჯერონ. ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთის ოქმის წყალობა მიყავით ამაზე, უსამართლო მჭირს. აღიწერა მარიამობის დამდეგს, ქორონიკონს **უნთ**[1].

კიდეზე

ქ. ელისბარ მოლარეთხუცესო ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, ვის რა სიტყვა აქვს, მოგვახსენონ. აგვისტოს **იბ,** ქორონიკონს **უნთ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] უნთ] თნუ.

188. არზა ნიკოლოზ თუმანიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 5 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 48. ღედანი. ქაღალდი. 18,7×14,2 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს ფერჯთა მტვერს თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ნ ი კ ო ლ ო ზ ს მოსცეს.

მერმე თქვენი უხვი წყალო[ბა] ჩვენს თავზედ მოვიდა, მამული გვე[ბო]ძა, ზოგიერთი მძლავრობით და ურდობით სხვათ უჭირავსთ. არცა აქვთ ნასყიდობის წიგნები და მოწმე[ე]ბიც მოგახსენებენ და მამულის პატრონებიც, რომ თქვენი[1] ნაწყალობევი არის.

ერთის იასაულის წყალობა გვიყოთ, ვისაც წიგნი ქონდეს, გვიჩვენოს; ვისაც არა, ჩვენი მამული დაგვანებონ. ღმერთ[ი] გაგიმარჯვებსთ!

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, იასაულო დ ა ვ ი თ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე. მერე ამ არზით რომ მოუხსენებია, ვისაც ამათი მამული ეჭიროს, [თ]უ ვისმე ნასყიდობის წიგნი ქონდეს, ჩვენ სამართალში მოატანინე. და ვი[საც] წიგნ[ი] არა ქონდეს და მოპარვითა და მძლავრობით ეჭიროსთ, უველას გამოურთვი თავისი მამული და მოაბარე. სექდემბრის ე, ქორონიკონს **უნთ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

189. არზა იუსტინე ურბნელისა წყლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 8 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 360. დედანი. ქაღალდი. 14×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ხ:ხმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოველად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს. სამარადისოდ მლოცველს უ რ ბ ნ ე ლ ს ი უ ს ტ ი ნ ე ს.

მერე ამ მოწყალებას ვითხოვთ, რომ უ რ ბ ნ ე ლ ი ხ ი ო ს ე-

[1] თქვენის.

ბ ი ს ა თ ვ ი ნ ა ც ოქმი გიბოძებიათ და ერთი ნაკადელი წყალი გიბოძებიათ რ უ ი ს ი ს რუდამა და ძველადაც მუდამ ჰქონიათ ერთი ნაკადელი წყალი.

ეს წყალობა გვიყავით: ეს ერთი ნაკადელი წყალიც იმათ ადინონ და თვეში ოთხს დღეს დაგვანებონ რუ, როცა რწყვის დრო იყოს სახასომა, სამროველმა და საციციეშვილმა, რომ მეც გავძლო და ვინც იქ გახლავან, ისინიც დარჩნენ თქვენ სადღეგრძელოთა. აღიწერა ენკენისთვის **ზ**, ქორონიკონს **უნთ.**

თავში

ქ. ბატონო ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ო, სანატრელს ურბნელს როგორც ჩვენი ოქმი ჰქონოდეს, ისე გაურიგე. ენკენისთვის **ზ**, ქორონიკონს **უნთ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

190. არზა ალექსანდრე სარდლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 16 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 859. დედანი. ქაღალდი. 29×14,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოველად მოწყალის ჩვენის ხემწიფის ჭირი მოსცეს სარდალს ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს.

მერმე ჩვენს მოწყალეს ხემწიფეს ამას მოვახსენებ: წინაზედ რომ ჩემი სახლის კაცები[1] დ ე ს ზ ე დ მიჰიოდენ — დღესი ჩვენი წილი დაგვახსნევინოსო, თქვენი განაჩენი აქვთ — დაახსენეინეო.

ახლა ამ წყალობას ვითხოვ: ერთის ოქმის წყალობა მიყავით ერთ-ერთს ჯ ა ვ ა ხ ი ს შ ვ ი ლ ზ ე დ ა[2], დღესს რომ თქვენი ნასყიდი სახასო კაცნი არიან თ ა თ ა ნ ა ს შ ვ ი ლ ი და ტ უ რ ა შ ვ ი ლ ე ბ ი, ის მამული გაგვირჩიონ; ან მამის ჩვენისა და პაპის ჩვენის წილი მამული რა არის და ან პაპუნას შვილის წილი მამული რა მიჭირავს და რა გამომყოლია, იმასთან ხომ ხელი არა აქ[ვ]თ; რომელიც ჩვენი სამკვიდრო მამულია, ის უნდა დაიხსნან და ძირს დაიდვას და როგორადაც მამა-პაპათ უჭამია და უმსახურია, ისე უნდ[ა]

[1]+ რომ. [2] დღეს.

ეიმსახუროთ. თქვენი ბძანებაც ასე არის და მდივანბეგებისაც. ენკენისთვის **ბ**, ქორონიკონს **უნთ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ო ვ ა ხ უ შ ტ ი! მერე დოეს[ს] ჩვენი სახასო კაცნიც და სხვა იქაურნიც შეჰყარე, რომელიც სარდალს ალექსანდრეს თავეთს მამა-პაპათ წილზე მეტი მამული გამოეტანოს, ის გაურჩიონ და სარდალს ალექსანდრეს დაანებე; და რომელიც ამათის მამა-პაპათ სამკვიდრო მამული იყოს, ის განჩინებისაებრ სახლისკაცებს უნდა დაახსნევინოს. ენკენისთვის **ივ**, ქორონიკონს **უნთ**.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

191. არზა ჰალავარელი ხალილასი სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 23 სექტემბერი

ცასა. ფ. 1448. საბ. № 9503. დედანი. ქაღალდი. 20,5×18 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთ ადგილას ორი, სოლო ერთ ადგილას სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ჰალავარელს ხ ა ლ ი ლ ა ს ჰ ა ჯ ი ჩ ა ლ ა ბ ი შ ვ ი ლ ს.

ორ-სამ წელიწადს აქეთ ჰ ა ლ ა ვ ა რ ი რომ თავჩრდილათ ჩავარდა, ჩვენ სამნი ძმანი ჩავცვივდით ჰ უ ს ე ი ნ ბ ე გ ლ ო შ ი. რადგან ჯერ ხანათ ჰალავრელებს ერთი პატრონი არა ჰყუანდა და ჯაბრიც ბევრი ჰქონდათ, ვიყავ ჩემთუის ჰუსეინბეგლოში. როდესაც თქვენი მოწყალება ჰალავაბარზედ მოვიდა, ჩვენც დავაპირეთ ჩვენს მკუიდრს მამულში მოსვლა. დაგვიჭირა თ ა მ ა ზ-ყ უ ლ ი-ბ ე გ მ ა, ერთი ხარი წაგვართო, თქვენ არ გაგიშვებ იქაო.

აწ ამას გევედრებით, ერთი ოქმი და იასაული გვიბოძოთ, ჩვენ ჩვენს ალაგს გიახლოთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. ჩვენი ხარიც მოგვცეს. სეკდემბერს **კბ**, ქორონიკონს **უნთ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაული ა ბ ა შ ი შ ვ ი ლ ო დ ა ვ ი თ! მერე ეს ალავრელები უსეინბეგლუში რომ არიან და ერთი კომლი

[1] ჰალავაბარებელებს.

კიდევ ახლა თავის მეზობლებს შემოსწყრომია და ა ჰ შ ა დ ა ლ ა ს თ ა ნ ჩასულა, ესენი აჰყარე და ჰალავარში თავის მეზობლებთან მოიყვანე.

თუ სიტყვა აქვს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს. აღიწერა ენკენისთვის **კგ**, ქორონიკონს **უნთ**.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

192. არზა დავით ერისთავისა ყმათა გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 7 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2567. დედანი. ქაღალდი. 34,5×21. დახიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ძძიძე, წერტილ[ი] და სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ე რ ი ს თ ა ვ ს დ ა ვ ი თ ს.

მერე ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას: ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ იღწუმუხლეთ, რომ ჩემი ქვეყანა თქვენის სამსახურისათვის არც დამიზოგავს და არც დავზოგავ შეძლებისამებრ; მაგრამ ჩემი საეედრებელი ეს არის, რომ შეძლებისაებრ ჩათისა იმსახუროთ. მე ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა თ ასე მინდა ჩემის თავითა და ჩემის ძმითა, რომ ყოველს ჩემს ამხანაგზე მეტათ გმსახურო სიკვდილითა, სისხლის დათხევით, თუ კიდეე სხუა რიგის სამსახურებითა.

მაგრამ ამას კი გევედრები, რომ რომელიც თქვენგან წყალობა გლეხი კაცნი მომცემიან, იმათი რომ მოგახსენოთ რამე სამართლიანის გზითა, იმაზე კი არ გამიწყრეთ და მოხსენება მოისმინოთ.

ჩემი მოხსენება ეს არის, რომ: მე რაც მ ე ჯ ვ რ ი ს ჯ ე ვ ს ზეით კაცი მისახლობს, ვერას თავის მეზობელს ვერც მამულითა სჯობიან და ვერც სარჩოთი. მთელს ქართლში რაც კაცი სახლობს, განწესებული არის რომ კომლზე სამ-სამი კოდი პური და ქერი უნდა მოგართვან.

მაგრამ ჩემს კაცს დაბალი რომელიც არის, ხუთი კოდი შეხვდება ხოლმე და იქიდამ წავა; და რომელიც პირველი კაცია, თვრამეტი კოდი შეხვდება ხოლმე თითოს კომლსა. და არ ვიცი, მიზეზი რა არის.

თუ ამას ბძანებთ ბევრი კაცი ჰყავსო, ახლა ხომ დამალული აღარ არის. მე და ჩემი სახლიკაცი რომ ვიყრებოდით, ჩვენი კაცი ხომ სულ აიწერა და დავთრები თქვენს მდივნებსა აქვთ. მაგრამ იმასაც კიდევ გარჩევა უნდა: ზოგნი აყრილნი კახეთს არიან, ზოგნი არიან რომ არ

შეუძლიანთ და ზოგნი კიდევ სოფლეურათ აყრილნი არიან, როგორც ბარათიანთ კაცნი და ზოგნი ერთნი ქართველნი არიან. და ამ წყალობას ვითხოვ, რომ ესეც გაარჩიოთ.

და თუ მთის კაცსა ბძანებთ, თქვენის მამა-ჰაპათაგან არა სთხოვებიათ რა; და [თქუ]ენც მოგეხსენებათ, რაც მოსავალი მოუათ; რაჰიდამ მოკიდებული დაღისტნამდინ სულ თქვენი ყმანი არიან, რაც მთის კაცი არის; და თუ დაადებთ რასმე იმათ, რაღა სიტყვა ექნებათ, რომ არ მოგართვან.

და ერთიც ეს მოგხსენდესთ: ღმერთმა ისე თქვენს ორგულს გაუჭიროს საქმე, როგორც იმ გ ე ო რ დ ი ს ძ ი რ ი ს კაცს საქმე უჭირდეს მეჯვრისჯვრიდამ მოკიდებული იმას ზეით სულა და ნამეტნავად წლეულობითა; რ ა მ ა ზ ქ მ ა ლ ა ძ ე მოკლეს და საქონელიც ასე დაეკარგა იმასაცა და იმის განაყოფსაცა, რომ აღარა მორჩომიათ რა.

სრესელებმაც ასე დაკარგეს, რომ არაფერი არა შერჩომიათ რა არცეთს განაყოფსა; ა რ ც ე ვ ი აიყარა და საქონელი დაკარგეს; ვინც ი კ ო რ თ ა ს იდგა, საქონელი იმათაც დაკარგეს; ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე ს ა ც დაეკარგა საქონელი; და კულბითელთაც დაეკარგათ საქონელი. და ამას გარდა ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ზ ა რ დ ი ა შ ვ ი ლ ი, ქ ს უ ი ს ი, კ უ ლ ბ ი თ ი და ნახევარი დ ი ც ი ც ასე დასეტყვა, რომ აღარაფერი არა მოსვლიათ რა. და მთის სოფლებში რაც დაიკარგა ან ქალოთებში და ან ოსებში, იმაზე რაღა თავი გაწყინო.

ჩემი მოხსენება და სავედრებელი ეს არის, რომ: ჩემი [მო]ხელეები წამოაყენონ თქვენმა მოხელეებმა, დააფიცონ და ვისაც ხარჯის მიცემა შეეძლო[ს], მოგახსენონ და სამ-სამი კოდი გამოართვათ; როგორც სხვას ზემო ქართლელს კაცს ერთმევა, ისე იმათ გამოერთვათ. ამას გევედრებით, რომ ამისი ბინა ახლავ დასდვათ.

და ერთსაც ამას მოვახსენებ თქვენს უმაღლესობას, რომ მე სხუას თაედებთან არ უნდა გამომართვათ, ამისთვის რომ მე და ჩემს ბიძაშვილს დღეში შვიდი კოდი პური გვინდება, [ყოველ]წლივ პ[ურ]სა ვყიდულობთ; და წელს რა თქვენ გორდამ წამობძანდით არმითა, მასუკან მე ჩემს ბიძაშვილს გარდა ოცდაათის თუმნის პური მიყიდნია. ღმერთმა შენი რისჩვა [მო]გცეს, თუ ეს ტყუილი იყოს; მე სხვა სამსახური უფრო შემიძლიან პურისა და ღვინის მორთმევისაგან. აღიწერა სეკლდმბერს **გ**, ქორონიკონს **უნთ**.

თავში

ქ. ბატონო სახლთუხუცესო დ ა ვ ი თ და მდივნებო! მერე ქსნის ერისთვის მთის კაცთ, რომელთაც კოდის პური წინაპართ ჩვენის პაპების დროს არ ზდებიათ, უდებს არც ახლა ჩვენა ვთხოვთ. და რომელთაც ვაკის კაცთ კოდისპური ზდებიათ, იმათ უნდა მოგვცენ.

მთის კაცს გარდა რაც დღეს ყმა ჰყავთ, რომელსაც ალავს კოლისპური ზდებია, ეს გლეხი კაცი აღრიცხეთ და კომლზე კოდისპური როგორც ქართლში სხვას შეაწეროთ, ისე ამათ ყმას შეაწერეთ. აღიწერა ოქტომბერს **ზ**, ქორონიკონს **უნთ**.

ახლა რომ გაყრის ლაპარაკი ჰქონდათ, ამათი დავთარი ხომ დაიწერა და მდივნებს აქვსთ. ნთას გარდა, იმაზე უნდა შესწერდესთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

verso-ზე მინაწერი სხვა ხელით

მეფის თქმი: რომელთაც მთის კაცთ სურსათი არ სდებია, ნუ გამოართმევთო.

193. არზა ამირაღაანთ თავაზანი ყმის თამაზაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 12 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13673. ღედანი. ქაღალდი. 25,5×14,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერ[ის] კელმწიფის ჭირი მოსცეს გორელს თქვენს ყმას ა მ ი რ ა ღ ა ა ნ თ დავითას შვილს თ ა მ ა ზ ა ს ა.

ამას მოვახსენებთ: წინა ხანში რუისელი ფ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ი ს ყმა დ ე დ ა ბ რ ი ს შ ვ ი ლ ი გ ო გ ი ა ლეკში დაკარგულიყო, ბორჩალუელები დასხმიყვნენ და გაეგდებინებინათ. ოქმი გებძანათ, თუ ჩემ[მ]ა სახასო კაცმა დაიხსნასო თავისთვის ყმათაო. თქვენის ბძანებითა და ოქმითა ბორჩალუელებისაგან დავიხსენი და თავის ბატონი ფანიაშვილისაგანაც დავიხსენ და წიგნი გამოვართვი, საამილახოროში დგას და გ ო რ ს ვერ ჩამომიყვანია.

ერეს იასაულ[ი]ს წყალობა გვიყავით, რომ ამიყაროს და გორს ჩამომგვაროს. ორჯელ დამიხსნია. გიორგობის **იბ**, ქორონიკონს **უნთ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ბ ე ჯ ი ა ნ ს ა ა კ ა ძ ე! თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, მოგვახსენოს. თუ არა აუყარე თავისი ნასყიდი კაცი და სადაც უნდა იქ დაისახლოს. გიორგობის **იბ**, ქორონიკონს **უნთ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

194. არზა გრიგოლ სახლთხუცესისა ძმის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1771 წ. 18 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2694. დედანი. ქაღალდი. 20,5×18,5. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენის კემწიფის შვილის, უფლისწულის, ბატონის-შვილის ჭირი მოსცეს მათს ბანდა ს ა ლ თ ხ უ ც ე ს ს გ რ ი გ ო ლ ს.

მერე ამას მოვახსენებ ჩვენი ხემწიფის შვილს: ა რ ა გ ვ ი რომ დავიჭირეთ, იქიდამ ერთი ბორჩალოელი თათარი ავყარე შ ა მ ა დ ა ორის ვაჟითა და ერთის ქალით. იმისი უფროსი შვილი და თვითან ა ხ მ ე ტ ა ს მესახლა და ლეკმა წაასხა. მერმეს წელიწადს ისევ მოვიდა ის მამადა.

მეფის ბძანება და თქვენიც ასე არის, რომ ტყვეობიდამ მოსული თავისუფალია.

ის ერთი უმცროსი რომ აქ დარჩა, ისიც თქვენის ძალით მე გამიუარშიედა, რომ ბატონისშვილის ყმა ვარ ბორჩალოელიო. აიყარნენ და ა ლ ა ვ ე რ დ ს ქ ა ფ ა ნ ა ქ ჩ ი ს ჩავიდნენ.

ახლა ამ წყალობას ვითხოვ, რომ ყოვლის ფერით მოწყალე რომა ბძანდები ჩემი, თქვენი დაუსაკლისიც არის და ამ ბიჭის წყალობა მიყოთ, ჩემი უმსახურო თავი იმსახუროთ და მეც თქვენის წყალობით გული დამედოს; თუ არა, მოხსენებისათვის ნუ გამიწყრებით. ნოენბერს **იგ,** ქორონიკონს **უნთ.**

თავში

ქ. ბატონო სალთხუცესო! რომელიც ბიჭი თქვენ ამ არზით გითხოვნიათ ჩვენთვის, ის ბიჭი მოგვირთმევია. ნოენბერს **იგ,** ქორონიკონს **უნთ.**

ბეჭედი: მეფის ძე გ ი ო რ გ ი.

ქ. რადგანაც ჩვენს შვილს გიორგის უბოძებია, ჩვენც წყალობა გვიქნია და გვიბოძებია. აპრილის **თ,** ქორონიკონს **უი.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეუფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

195. არზა პაპუა მოურავისა ძმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1771 წ. 11 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 218. დედანი. ქაღალდი. 32,7× 18,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენთვის მრავლად მ[ოწყა]ლის ბედნიერის კემწიფის ჭირი მათ მიწას მოურავს პ ა პ უ ა ს და ქ ა ი ხ ო ს რ ო ს მოსცეს. მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს კემწიფეს: რაც[1] თქვენი წყალობა თათარი გ[ვყავდა], სამასამდინ კომლი კაცი გვ[ე]სახლა ი ო [რ]ზე, ისინი მაშინდელმა უსამართლობამ ისე დაკარგა და ჩვენს მტრებთამ მი[ი]ყვანა, ახლაც[2] იმათგან ვიყიდებით ყმითა და მამულით.

ახლა რა გავიყარენით, თქვენის წყალობით ცოტა რამ თათარი კიდევ მოვაგროვეთ ... ზოგი ლეკიდამ, ზოგი ყ ა რ ა ბ ა ღ ი დ ა მ, ზოგნი თქვენის საბძანებლის ალაგიდამ; ახლა იმისი გაყოფა გვინდა. ამას ზ ა ჭ ა რ ი ა გვედაეება. ჩვენ ამას ვეპასუხებით: შენი წილი თათარი აგერ ლეკში არის, შენ დაკარგე, მაგრამ რასაც სამართალი ბძანებს, სამართლის წინააღმდეგი არა ვართ.

ერთს კიდემ ამას გვიდებს, თათარშიაც საუფროსო უნდა მომცეო. ჩვენ თათარში საუფროსო არ გაგვიგონია და ნება სამართლი-სა[ა].

ქოჩარის კაცისა ჩვენ კიდემ ამას ვევედრებით ჩვენ კემწიფეს: ა ლ თ ი ბ ა ს მ ა ღ. იმისი ძმა და ი ს მ ე ი ლ ა რომ აიკლო, გა[ა]ხეიბრა და იმისი საქონელი თითვან მოიხმარა, იმის ბადალს ვითხოვთ, რომ დღესაც იმათი შვილები ყ ა ს უ მ ა ს ა ყვანან.

თქვენთან ვედავენით, თქვენ, დიაღ, შორს დაიჭირეთ. მამაშენს ოვალები დაუთხარეთო, საქონელი აიკალითო და ახლა შვილებსაც მისდევთო. იმისი წილი ის არის, თუნდა უბოძეთ და თუნდა ნუ, ჩვენ იმათ ბადალს ვითხოვთ სამართლით. აღიწერა ქრ[ისტეშ]ობისთვის **ეი,** ქორონიკონს **უნთ.**

თავში

ქ. შვილო ბატონო გ ი ო რ გ ი! მდივანბეგები [და მდივ]ნები შენთან დაისწარ და ისე სამართალი [უყავით]. აღიწერა დეკემბრის **ეი,** ქორონიკონს **უნთ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეუფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

[1] რააც. [2] ÷იმათის.

196. არზა ზაალ გურამიშვილისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 30 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 682. დედანი. ქაღალდი. 30,5×14,8 სმ. მხედრული. გაბკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს. თქვენის ბძანებით და ოქმით რამაზ მდივანბეგის სამართალში მივედით და ვილაპარაკეთ.

ბიჭმა ასე თქო: ტყვეობიდამ ჩემის ბატონის ყმათ არ მოვსულვარო.

დავით კანდელაკი ღმერთს ქვეშ შევაგდე, სწორეთა თქვი-მეთქი. ეს ამბავი მდივანბეგსაც კარგათ სცოდნოდა, უთხრა დავითს ამ ნიშნითა: მე და შენ რომ ქალაქს ვიყავითო და მახარეო, რომ ჩემი მოსამსახურის ხაზუას შვილი მოვიდაო; ქუდი და წაღა რომ გაგეგზავნა და შინადამ ამბავი მოგსლოდა: ნუღარას გამოუგზავნი, თავისავ ბატონთან წავიდაო. თუ ჩემი ცემკვიდრე ყმა ჩემთანვე ჩემს ყმად არ მოსულიყო, ან დედას რათ მივცემდი, ან თეთრს რაღათ მივცემდი, ან რაღათ დავასაჩუქრევდი, ან რა იმის ცოლის მთხოვნელი ვიყავ და ან რა იმის მონიშნე ვიყავ, რომ დავნიშნევდი.

ფიცით მოგახსენებთ და ჭეშმარიტის გულით ფიციც შემიძლიან, რომ ჩემს ყმად მოსულა; თუ ახლა ის ბიჭი თავის თავს ყმობიდამ გამომართმევს, დედა და აქ რომ ფული დახვდა, ისიც მაშინვე ტყვეობიდამ არ მოუტანია, დედა და ის ფული მომცეს და თითონ ღმერთმან უშველოს, ნება თქვენია. გურამიშვილი ზაალ მოგახსენებთ. იანვრის **იზ**, ქორონიკონს **უი**.

თავში

ქ. ბატონო მსაჯულო! ამ არზის პატრონს რომ მოუხსენებია, ეს გასინჯეთ. ის ამისი კაცი ტყვეობიდამ რომ მოსულა, თუ ამ თავის **ბატონთან** მოსულა და ამასთან ხანი დაუყვია, თუ ამისი ყმობა აღარ უნდოდა, არ უნდა ამასთან მოსულიყო; რადგანც მივიდა და ამასთან ხანი დაყო, ეელარ წაუა. ამან მოწმით საბუთი უნდა უყოს, რომ ამასთან მოსულიყოს. და თუ ასე საბუთი უყოს, ვერსად წაუა. ამისვე ყმა იქნება.

და თუ ასე საბუთი ვერ უყო და ამასთან არ მოსულა, ვისთანაც უნდა მივა, ამას საქმე არ აქვს. იანვარს **ლ**, ქორონიკონს **უი**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიკმობს ძველ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

197. არზა ქიტესა ჯაბიაშვილისა ყმოგის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 30 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4. დედანი. ქაღალდი. 19×17 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ჰავჭალელს ჯაბიასშვილს ქიტესას.

ცამეტი წელიწადი დაღისტანში ტყვეთ გახლდი. თქვენი ბძანება რომ ქვეყანაზედ განეფინა, ტყვისათვის აზადობა გებძანათ, გამოვწიე. და თუშთ მოვრავი თუშეთ გახლდათ, ჭონთიოს ჯარი რომ მოვიდა, იმ ჯარს მოვყევ; ჯარიდამ გამოვეპარე, მთელ თუშთ იციან, მამუკა საგინასშვილმა, გივი ფარეშთხუცესმაც იცის.

თუშთ მოვრავი იმ ზამთარს ქალაქს ჩამოვიდა; აქ თქვენი ჭირის სანაცვლოდ შეიქნა. მე იმ ზაფხულს ვარ მოსული.

ჩემი მოსვლის ორი-სამი წელიწადს უწინ ტყვეობაში გვესმოდა: ბატონმა ტყვეთ მურახასობა უბძანა, იმ თარიღს აქეთ მოსული ტყვენი თავისუფალნი იქნებიანო.

ახლა თქვენის ბძანებით ტყვეთათვის დადებული წიგნი ყირიმელს გიორგი ფეიქარსა აქვს, ის წიგნი აკითხვინეთ, თუ იმ წიგნის უკან არ ვიყო მოსული და ტყვილათ მოგახსენებდე. რა რიგათაც ღირსი ვიყო, გადამახდევინეთ. ცოლი და შვილი იქ გამიშვია, მე ამ ამბავზე მოუსულვარ, ნუ დაგვკარგამ, ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის **ი**, ქორონიკონს **უი**.

თავში

ქ. ბატონო მსაჯულნო! ამ არზის პატრონს რომ მოუხსენებია, ეს გაშინჯეთ. ეს რომ ტყვეობიდამ მოსულა, თუ თავისავ ბატონთან მისულა და იმასთან ხანი დაუყვია, თუ იმავ თავისავ ბატონის ყმობა არ უნდოდა, არ უნდა მისულიყო; რადგანც მივიდა და იმასთან ხანი

დაყო, ველარ წაუა. რომელიც ამისი ბატონი არის, მოწმით საბუთი უნდა უყოს, რომ იმასთან მისულიყოს და იმისი ყმა იქნება, და თუ საბუთი ვერ იყოს და თავის ბატონთან არ მისულა, ვისთანაც უნდა მივა. იანვრის **ლ**, ქორონიკონს **უი**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჴმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

198. არზა ბარათაშვილებისა რუს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 18 თებერვალი

ცისა. ფონდი 1450. დავთარი № 12. საბუთი № 123. პირი. ქაღალდი. ძველდრული.

[162] ქ. ღმერთმან ბედნიერის [V] ქელმწიფის ჭირი მოსცეს სა[ა]მი[ს] შვილებს, ქავთარი[ს] შვილებს, ნამანგლელავის შვილებს და თაყას შვილებს.

მერე ამას მოვახსენებთ ბედნიერს ქელმწიფეს, რომ დღეს შვიდი წელიწადია თქვენ წინ გვიჩოქნია და ვჩივით. ეშიკაღაბაში ამას გვიპასუხებდა, რომ ეს რუ სულ არაგვის ერისთვისა[ა]ო. ჩვენ ამ სიტყვის გასამტყუნებელი სა[ა]მის პაპის თქვენის განაჩენი ხელში გვიჭირავს, მაგრამ კიდევ თქვენს სამართალში ფიცი დაედო და თქვენგან დამტკიცებული განაჩენი ხელში გვიჭირავს. ორი წელიწადია უკან დავდევთ და ვერ შემოგვფიცა. გუშინ თქვენის შვილის გიორგის პირით მოგახსენეთ, რომ ვერ დავიფიცაო, ის ხომ სამართლით გამტყუნდა.

ახლა თქვენ გიბძანებიათ: მე მიჩივლეთო. თქვენ ამას გიჩივით, რომ თქვენ ბევრჯერ გიბრძანებიათ, რომ თქვენი არცარა ვისთვის მიბოძებია, არც წამ[163]ირთმევიაო.

ახლა ამას გვევედრებით ჩვენს მოწყალეს ქელმწიფეს, ის ბატონი ხომ გამტყუნებული შეიქნა სამართლით და ამდენს სულს ის მაშული თქვენს ქელმწიფობაში არ წაგვერთო[ს]. მუდამ ჩვენი სარჩოს ყოფილა და ახლაც თქვენის დავლათით იმით უნდა გამოვიზარდნეთ. [ნება] ქელმწიფისა ასრულდეს[1]. ქრისტისშობის **ჱ**, ქორონიკონს **უნთ**.

იმას კი აღარ უჩივით, ახლა თქვენ გიჩივით, ჩვენო ქელმწიფევ.

[1] არასრულდეს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონებო, ცოტა ხანს დავაცალეთ და სამართალს გიზამთ. ამაზედ სწორეთ ჩვენ უნდა გვედავნეთ. ფებერვალს **იგ**, ქორონიკონს **უი**.

199. არზა უმეკანთ ოსეფაანი ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1772 წ. 28 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hქ 13019. დედანი. ქაღალდი. 27×21,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო ან ორწერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ჭირი და სატკივარი მათ ფეხთ მიწა თქვენს ყმას ოსეფას მოსცეს.

მოვახსენოთ ჩვენს მოწყალესა, რომ: მამეული ურიგო ვალისგან და გაუკითხობისაგან ამ თარეღამდინ დაკარგული ვარ. ღმრთისაგან მოცემული ჩემგნით ნაყოფნი ორი შვილი, თქვენი ყმანი, მეწინიან, რომ ამათაც არ დაიკარგონ. ახლა მინდა, რომ ქალაქს წავიდე. მაგრამ შეფიქრება კიდევ გაუკითხაობისგან.

ვევედრები თქვენს დიდობას წინაშე, რომ ოქმის[1] წყალობა მიბოძოთ, რომ ქალაქს ჩვენზედა უსამართლოთ არვინ მ[ო]იღოს. რაც რომ ჩვენზედ წყალობას მ[ო]იღებთ, თქვენის ქელმწიფის სადღეგრძელოთ იყოს.

თავში

ქ. მეფის ძე ლეონ გიბძანებთ, ვინცავინ ჩვენის სიტყვის მორჩილნი იყვნეთ! მერე ამ ოსეფას თავისავ სამკვიდროს მამულზე მოსვლა უნდა, ამას არავინ რა შესცოდოს, უსამართლო და ჯაბარი არავინ უყოთ, ყველანი სამართლიანათ მოექეცით. აღიწერა ფებერვალს **კგ**, ქორონიკონს **უი**.

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

[1] ჰუქმს.

200. არზა გიორგი სარუხანაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 26 თებერვალი

ცსსა. ფონდი. 1450. დაცთარი № 54. საბუთი № 180. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[43 V] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს სომხითის ბესთიველს ზურაბ სუფრაჯის ყმას სარუხანა[144]შვილს გიორგის.

ტყვეთ გახლდი. ამ გიორგობის თვეში რუსეთიდამ გიახელ, ქოდალაში ხიზნათ გახლავარ, ბატონს ჩემს არ მიესულვარ. ამდონი თქვენი წყალობა იყოს, რომ ერთი ოქმი გვიბოძოთ – ზურაბს ჩემთან ჯელი აღარა ჰქონდეს, თქვენს ყმად გახლდე. თებერვლის **კვ**, ქორონიკოს **უი**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! შენთვის ახლავ გვითქომს: თუ პირველად მოსყლაში ბატონ შენთან მოსულხარ და ერთი ორი კვირა დაგიყვია, ჩვენ შენს თავს ვეღარ გამოვაროშევთ. და თუ ბატონ შენთან არ მოსულხარ და შენს ძმასა და ნათესავთან მოსულხარ და სტუმარსავით ჰყოფილხარ, მაშინ მარტო შენა და შენი მეუღლე უნდა წამოხვიდეთ. შენთან საქმე არავის ექნება, თავის უფალი იქნები, ვისთანაც გინდა მიხვალ. თებერელის **კვ**, ქორონიკონს **უი**.

201. არზა დემეტრე აბდარისა ხამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 2 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1408. დედანი. ქაღალდი. 17,2×16,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი ან მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს დემეტრე აბდარსა.

თადია უზბაში რომ ცულის დაკვრას გვედავება, ცული კი არ მოხვედრია, ტარი მოხვდა. მაგათ იმ ოთხი ჩალიკი გამოატანინეთ და ნახეთ. ჩემი ძმა ჩასულიყო წყალზედ, მისცივნოდნენ ორივ ძმანი – ერთი ხლმითა და ერთი ხანჯლითა; დედაკაცები მიშველებოდნენ, თორემ ძმას მომიკლევდნენ.

ორი ობოლი ძმისწული დამრჩა, მაგათგან თავპირი დამტვრეულიაქვსთ. ორჯელ დოვთალაბი გააკეთა — ერთხელ ორი ცხვარი დაგვიკლა და ერთხელ ერთი ძროხა. გოჭებიანმა ღორმა ჩაიარა თოფი დაგვიცა, ღორი მოკლა და გოჭები დაიხოცნენ. ბაენაშვილს დათუნას ჰკითხეთ, რომ ხეები იმის დათლილი არის და ფასიც იმან იცის. თადიამ დაგვიჭირა და გაგვიფუჭა. სამართალი გვაღირსეთ. მარტის **ბ**, ქორონიკონს **უი**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ლუარსამ ონანაშვილო! მერე ამ არზის პატრონი და ამისი მოდავე ორნივ ჩვენს სამართალში მოაყვანინე. მარტის **ბ**, ქორონიკონს **უი**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დაკით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულსა. ერეკლე.

202. არზა ომან გეგაურიშვილისა ხასიხლო საჭვეზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 8 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 236. დედანი. 30×15,7 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს ფეხთა მიწა-მტვერს ბეგბურიშვილს ომანს.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ჯელმწიფეს: ნეტავ თქვენი ჭირის სანაცლო შევქნილიყავ და ქვეყანაში ეს უნამუსობა არ დამ[მ]ართებოდა. ჩემი ძმისწული ღობეს ღობევდა, იქ მიველ და ლაპარაკი გამოგვივიდა. ერთმანეთს ავი სიტყვა უთხარით: მოვიდა, ხელი მკრა და ღობეზედ გარდავაწყდი, დამაჯდა თავზედ, ხელითა, ჯოხითა და ქვითა თავსა და პირში მცა; მანამდის აიდემურ თაეისის სახლიდამ მამეშველებოდა, მანამდის მცა.

და აიდემურ რომ მოვიდა და ამას სტუმრები ყვანდა, თან მოყვნენ და ამათ გამაშველებინეს – აიდემურ, ასათ ედიშაშვილი, ზა[ა]ლ აგათოშვილი, ქიზიყის ასისთავი პატარკაცი და ზაზა კოზაკიშვილი. – ესენი გახლდნენ. ამათ რომ იქიდამ წამომიყვანეს, გულს მეყრებოდა, ორისავ საფეთქლებიდამ,

ცალის ყურიდამ, ცხვირიდამ და პირიდამ — ამაებიდამ სულ სისხლი მდიოდა.

ამ სიკვდილსაც აღარ დამაჯერა, შინ წავიდა, ტიტეელა ჯმალი მოიტანა, ეცადა ჩემს სიკვდილსა, რომ ჯმალიც ამათ წა[ა]რთვეს. საღამოზედ ჩემ სანახავათ გავაზის მოურავი დავით და პაპა მოვიდნენ. თქვენი მზე და[ა]ფიცეთ, რამთენი[1] იმათ მდუღარე ცრემლით ჩემზედ იტირეს. გეველრებით ჯემწიფეც, ამის [ს]ამართალი მიყოთ. ფებერელის **კზ**, ქორონიკონს **უჲ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ვისაც ეს ომან გმოწმობსთ, წმინდის ნინოს მადლისა თქვენს ღმერთ ქვეშ როგორც იცოდეთ ამისი მოწმობა, სწორეთ მოაწერეთ ამ არზაზე. მარტ[ი]ს **გ**, ქორონიკონს **უჲ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. ჩვენი აიდემურ და ასისთავმა პაკაცომ ღმრთის წინაშე ასე ენახეთ: შორიდამ ერთგან ლაპარაკობდენ, მარგილთან უწინ ომანმა მი[ი]წივა, მერმე შეიჭიდნენ, ომან გადა[ა]ქცია ნინიამ ღობეზედა, მიეცდით, ქვეშჩადებული[2] გავაშვებინეთ, ცხვირიდამაც სისხლი გასდიოდა ომანსა და ნინიას კისერზედა ქონდა დაფხაჭული; და ჯმალი მოღებული აგათოშვილმა წა[ა]რთო ნინიასა. კარზე ჩხუბს უკანა რომ დავაშველეთ, მერმე გაიქცა შინა და ჯმალი გამოიტანა. და ბატონს ვფიცავთ, ამის მეტი არა გვინახავს რა. მარტის **ია**, ქორონიკონს **უჲ**.

მე, ასათ, ამ სიტყვის მოწამე ვარ.

ქ. მე, აგათოშვილმა ზა[ა]ლმა, ასე ვნახე ღმრთის წინაშე: აიდემურთან სადილათ ვ[ი]ყავი. ომან და ნინია ორნივ იქ იყვნენ, ადგნენ და ორნივ წამოვიდნენ. ნინია თავის ღობეს მუშაობდა, ომან იქ მიეიდა, აბაში ლაპარაკი შეექნათ, ნინიამ ომან ღობეზე გადა[ა]ქცია, ქვეიდამ ომანს ქოჩორი ეჭირა, ზეიდამ ნინია; მიველ და გავაშვებინე. ომანს ცხვირში სისხლი გადიოდა, ლოყაში და ყურშიაც. ერთი ესე ნინიამ ხმალი გამოიტანა, ხმალი მე წავართვი, შინ წამოვიღე. ამისი მნახავი[3] ვარ.

[1] რამთვენი. [2] +და. [3] ვმნახავი.

203. არზა ზურაბ გოსტაშაბაისშვილისა ყმის თაოხაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 22 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14215. დედანი. ქაღალდი. 21,5×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ჭირი მოსცეს მათს ყმას და ფერხთ მიწა-მტვერს გოსტაშაბისშვილს ზურაბს.

მერმე ამას მოვახსენებ ჩვენს მოწყალეს: ერთი დიდათ ხელმოკლე და უილაჯო გახლავარ. რამთვენის ხნის მამულიდამე გარმოვარდნილი აქამდინ ქიზიყს გახლდი, ხმელსა და უწყლოს ალაგს; და ჩემი მოყვარე ასისთავი მეც ძლივ მაძლებინებდა, თუ არამც მე ჩემი ყმა იქ მიმეყვანა.

ახლა ისევე თქვენის ტახტის საფარლის სიახლოვეს მოვატანე და კისისხევს გიახელ ხიზნით; და [ა]მთვენი თქვენი საფარველი და მოწყალება დამემართოს: რაღაცა თვითო-ოროლი კაცი სადმე მყვანდეს, იმის წყალობა მიყავით და ოქმი მიბოძოთ, რომ საცა მე ვიდგე, ისინიც ჩემთან დავაყენო და ერთი მეორეს უღონობას შევეწიენეთ; და ისე, თქვენის წყალობით, ვიცოცხლოთ ჟამამდი.

ღმერთს ვფიცავთ და თქვენს თავსა, რომ თქვენს ახ[ა]ლს აშენებულ სოფლებშიაც არა მყავს რა, თორემ იმათზე თავს არ შეგაწყენდით. წყალობას ვითხოვ, ეს ჩემი უღონოება ამ თქვენის წყალობით და ჩემის კაცის შემოკრებით განაძლიეროთ. მარტის **კბ**, ქორონიკონს **უჲ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ვისაც ამისი კაცი გყვანდესთ, მოეცით. და თუ სიტყვა გქონდესთ ვისმე, ჩვენ მოგვახსენეთ, მარამ თუ სამართალში გამტყუნდით რომელიმე, გარდაგხდებათ სამართლით.

გარსევან ეშიკაღაბაშო, ეს შენ უნდა გაურიგო. მარტის **კბ**, ქორონიკონს **უჲ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

204. არზა ზურაბ მამუჩიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 26 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 53. საბუთი № 25. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[22] ღმერთმან ყოვლად მოწყალის კემწიფის ჭირი მათს მონას ზურაბს მამუჩისშვილს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას. მე და რევაზ რომ გავიყარენით ხოდაშენს ბატიაშვილების მამული, გიორგი ღვდელს უთხრა რევაზმა: ჩემი ვექილი შენ იყავ და შენ გაყავ, რომ შენ გეჭირა და შენ იცი. ბევრჯერ მოვახსენე გარსევანსა: ჩემი მამული მომეც და არ მომცა; გიორგი ღვდელსა ჰკითხეთ.

მეორე ეს მოგახსენდესთ. დათუა ქიზიყ[ი]ს მოურავის შვილმა ახთალაში თორმეტი თუმანი მაძლივა ჩემს წილში; მე უთხარ: არ მოგცემ. რევაზს უთხარ: სამი [V] თუმანი მომეც, ზვრის გვერდზედ რომ ორის დღის მიწა არის, იმისი ნახევარი მომეც. რევაზმა მომცა და მითხრა: წადი და იოანე მოძღუარს სიგელი და[ა]წერინეო. ნასყიდობის სიგელი დაუწერე და მივეც. წინამძღვარი მოვიდა და რამაზ მდივანბეგი მიეყვანა. სასახლე რომ გავიყავით, ავდექ, დავიჩოქე წინა: წინამძღვარო, შენმა ძმამ ეს მიწა მომცა და შენც მომეც. წინამძღვარმა უთხრა მდივანბეგს რამაზს: მე და შენ ვიყვნეთ მდივანბეგი და გარსევანსა და ზურაბს სამართალი უყოთ. წინამძღვარმა მითხრა: მიწას კი ვერ მოგცემ და შენი ახტალა შენი იყოს და სამი თუმანი ისევ გარსევანს მოეც.

მესამე ეს მოგხსენდესთ. შარშან რომ ავად გახლდი, ჩემს ნარგებს სასახლეზედ სახლი ავიგე. ერთი კოზმანის ხიზანი ჩემთან იდგა, იმ კაცის აყრის თაობაზედ მიჯნა მომპარავს და ქვევით სხვას ალაგში ჩასხეს. ეს კაცი აიყარა და გარსევანის მამულში დადგა. ოთხიოდ იმისი გაზდილი ატამი იდგა ჩემს კარზედა; მოვიდა ის კაცი და მალვით მპარავდა, დათხარა. იოანემ ნახა, მოვიდა, მითხრა: მამავ, ატმები დათხარესო. ავდექ ავადმყოფმა, ორი ჯოხი დავიჭირე და კარზედ გამოველ, წყნარ-წყნარა უთხარ. რად დამითხარე ეს ატმები. დიაღ, მაღალი სიტყვა მითხრა. ავდექ, კაცი კი არა მყვანდა და რაც ატამი დარჩა სხვა, იოანეს დავაჭრევინე. მომიხდენ, ყურბან ალია გამამისივა გლახამ. მოვიდა ყურბან ალია და მითხრა: შე ბერო ძაღლო, რათ და[ა]ჭრევინე ეს ატმებიო. დიაღ, უშვერის

სიტყვებით გამლანძღა. ჩემმა სახლმა უთხრა: არ ვიცოდი თუ თქვენგან აყრილი იყო, თორემ არას ვეტყოდიო. მოჰყო პირი, დიაღ, მრავალი მოწამე მყავს, [23] რის უშვერის სიტყვით გალანძღვა ჩემთანვე, რომ კაცის ენისაგან არ ითქმის. მე ჯმის ამოღების ილაჯი არა მქონდა და რა უნდა მექნა მკვდარს კაცს.

მეოთხე ეს მოგხსენდესთ. ენკენისთვეში გლახას ჯარი შე[ე]გდო ზვარში, ჩემს ვენახში გარდასულიყო. პატარას ჩემს იოანეს კუდზედ დანით პატარა დაეჭრა. მეზვერეს უთხარ: თუ ძალიან დაჭრილია, სხვის ჯარს მოგცემ. მეეგონა გლახასა, ჩავიდა და ორი ბიჭი დამიხოცა ცემით. და ჩემის ცხენისათვის ჩემსავ ვენახში, დიაღ, მრავალი ეცემა. ჩაველ და უთხარ, რატომ მიზამ, რას ბემართლებიმეთქი. დიაღ, ძალა მოინდომა. ავდექ, ზურგი შევწოვაქცივე და წამოველ. ამოიარა სოფელში და ზედ ჩემს კარზედ დედა და მამა, დიაღ, ავად მილანძღა.

მეხუთეს ეს მოგხსენდესთ. მკათათვეში ჩემს ყანაში ბიჭს ღორი მოეკლა, ღორი შინ ჩემსა მოეტანათ, მოპხდომოდა იმ ღორის პატრონი, შეჰხდომოდა ჩემსა, მოახლე გეელახა და ღორიც წ[ა]ეღო, გლახა თავს სდგომოდა.

ოთარ მდივანთან ეჩივლათ. მე ხომ აქ არ გახლდი. ამ ჩემს ავადმყოფობაში რაც გლახამ ჩემზედ საქმე მოიღო, ან თქვენ უნდა გადაახდევინოთ და ან ღმერთმა.

ბალსადგომს ორი საკომლოა, ერთი მე მერგო და ერთი რევაზსა. ჩემს მამულში ერთი ქვევრი იდგა, გარსევანმა ამოიღო გუშინ, ორი ურემი ჩავა. ბიველ და უთხარ: თუ ჩემია, რად იღებ, თუ მთხოვ მოგართმევ, თუ წილი გიძევს, მაგიერი მამეც, თუ არადა, რას მემართლები, თბუთმეტი წელიწადია გაგყრივარ. ასე მითხრა: ძალი მაქვს და გართმევ. შენი პასუხი არ ვიცი, [V] ბატონს მოახსენეო.

ჩემი ძალი და სამართალი თქვენ ბძანდებით. ამ მოწყალებას ვითხოვ, სიბერის დროს ნუ წამწყმენდთ. ამ ჩემს შვილს ჩვენს სიცოცხლეში ასე უზმენ, მე რომ თქვენის ჭირის სანაცვლო შეკიქნა, რაღას უზმენ. ჩვენო ჯვეწიფევ, თუ დამიხსნით ხომ ის არის; თუ არა ერთი პატარა შვილი მყავს, მოვჰკიდებ ჯელსა და წყალში ჩავარდები, მაშულიც მაგისი იყოს და ღმაცა. მარტის კბ, ქორონიკონს **უჲ.**

მეექვსე ეს მო[გ]ხსენდესთ. გლახამ რომ ზვარის ღობე ჩაავლო, ოცი ძირი თავი საკაფი ფურცელი დამიწვა, ორი ძირი კომში, ექვსი ყაზი.

თავში

ბატონო მდივანბეგო რამაზ, მდივანო ოთარ! ამ არზით რომ ჩივის, ღვთის წინაშე რასაც მიხვდეთ, სამართალი თქვენ უსაჯეთ და განაჩენი მიეცით და ერთმანერთს შეარიგეთ, რომ ერთმანერთთან სადაო და სალაპარაკო აღარა ჭონდეს რა. მარტის **კვ,** ქორონიკონს **უი.**

205. არზა ბერი გოდერძაშვილისა ყმოგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 27 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9523. დედანი. ქაღალდი. 14×8.5 სმ. მბეჭდრული. განკვეთილობის ხაზნად ალაგ-ალაგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ახმეტელსა გოდერძაშვილს ბერს.

ჩოლაყაშვილი გარსევან მოურავის წყალობის ყმანი გახლდით. გარსევანმა თავს შემომიველო და აზატი მიყო, რომ სულ თიანელნი ამის მოწამენი არიან. და ახლა ახმეტაში თქვენს ყმად გახლავარ. და ახლა გრიგოლ სალთხუცესი არას თავის ჰირსა და ბეგარაში არ მიკლებს და ყმათ მიჭერს. მოწმეებისაგან მოიკითხეთ და თქვენი მზე შეაფიცეთ და თუ ვტყუოდე, გარდამახდევინეთ. თუ ჩემი მოხსენებული ჭეშმარიტი იყოს, გრიგოლისაგან დაგვიხსენით. მარტის **კე,** ქორონიკონს **უი.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ამ არზით რომ მოუხსენებია, ვინც ამას მოწამენი ყვანდეს, ჩვენ სამართალში მოასხას და პასუხს მაშინ მივცემთ. მარტის **კზ,** ქორონიკონს **უი.**

თუ ამ [მ]ოწმე[ე]ბს ვერ მოიყვანს, ამ არზით სახელდობრივ გამოგვიცხადოს და ჩვენ ვკითხავთ.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიქმოჩს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. ამის მოწამე: ქ. ახმეტელი მღდელი ხარიტონ; ქ. ტუშურა ჩელხია;

ქ. ნოდარ ჩოკაშვილი; ქ. გლახაშვილი გიორგი; ქ. გუგუტაშვილი ბეჟანა...*

206. არზა დიმიტრისა წისქვილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 27 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9577. დედანი. ქაღალდი. 20,5×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ჩვენთვის მოწყალის ძლიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს თქვენს ფეხთა მიწა-მტვერს დიმიტრის.

ჩვენს ხემწიფეს[1] კიდევ თავს ვაწყენ. ჩემო ხემწიფევ, ამას მოგახსენებ[2]: თიანეთს ხომ განაჩენის წყალობა მიყავით და წისქვილი მიბოძეთ. თქვენი ბძანება ეს იყო, რომ ჯვარის ამაღლებას უკან უნდა დამექცია. სამშაფათს ჯვარის ამაღლება იყო; მეორეს კვირას საბრალო დედაჩემი მოვიდა და მეც იქ გახლდით. დიახ, დიდი ჯანღი გვიყვეს, არც მსახური მიმატანეს; მე და დედაჩემმა თქვენი ბძანება ვათავეთ, ქვები გადმოვყარეთ. სალთხუცესი ქისიყს გახლდათ, როდესაც გიახლათ, დიახ, ავათ მოგვებყრა სიტყვით, ისევ დააბრუნა.

იმთვენი გამარჯვება გაქ[ვ]ს ჩემო ხემწიფევ, რამთვენი უარესი საქმე მე დამემართა: ერთის წიაბეთის პატრონიც მე გახ[ლ]დი. ისიც წამართვა; შარშან ვაბალახე, იმან...** შუაც(?) აღარ გამიყო, იორემ სხვა რა მოგახსენოთ, მე ხომ ძალა არ შემიძლიან ჩემო ხემწიფევ. ერთხელ ან დაგვარიგეთ ან მომარჩინეთ; თქვენს გასამარჯვებლათ ამის სამართალი მაღირსეთ.

თავში

ქ. ბატონო ენისელთ მოურა[ვ]ო იესე! ამისი მოასილი თქვენ უოფილხართ წისქვილზედ და ხელისასამართავიც შენ აგიღია. ისევ შენ უნდა წახვიდე და ამას ეს წისქვილი უნდა მიაბარო. ისევ შენვე აბრუნებინე და ისე წამოდი. მარტის **კზ,** ქორონიკონს **უი.**

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] + ხემწიფეს. [2] მოვახსენებ.

* დანარჩენი არ იორჩევა. ** ერთი სიტყვა არ იორჩევა.

207. არზა რუსიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 1 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 831. დედანი. ქაღალდი 24×9,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. არზის თარიღი მცდარი უნდა იყოს, რადგან იგი ოქმზე გვიან ვერ დაიწერებოდა.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი სულ ერთობრივ რუსიანთ მოსცეს.

ამას მოვახსენებთ ბედნიერს ჯემწიფეს: ახა შენს აქათ რომ ჩვენი მამულები ხოდაშნელთ უბძანეთ უფროს კაცთა, თქვენს სახასოთ რაც ჩვენი მამული მოგვაბარონ, და მდივანმა გავვირჩიოს და სამართალი გვიყოს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. აპრილის ა, ქორონიკონს **უი.**

თავში

ქ. მდივანო ოთარ და ხოდაშნელებო! წერმე ყორჩიბაშიანთ რუსიან რომე ამბობენ, რომე არა შენდას რომ ვენახები არის, ჩვენი არისო, თუ საბუთიანი სიტყვა არავის ქონდეს, თავიაი მამული და[ა]ნებონ. და თუ სიტყვა ქონდეს ვისმე, მოგვახსენონ.

მდივანო ოთარ და ხოდაშნელებო! ღმროის გულისათვის მოიკითხეთ და გა[ა]რჩიეთ ეს მამული. მარტის **ლა,** ქორონიკონს **უი.**

ახ[ა]შნელებიც თქვენთან უნდა იყვნენ.

ბეჭედი: ქნარს ჰიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

208. არზა ქაიხოსრო მაჰაბარიანისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 8 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8888. დედანი. ქაღალდი. 22,3×14,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ჭირი მოსცეს მათ ფეჯთა მიწა-მტვერს მაჰაბარიანს ქაიხოსროს.

მერე იმ კაცს იქიდამ არც აყრა შე[ე]ძლო, არც წასვლა, თუ შემწე არ ყოლებოდა. იმ კვირას აყრილი ამ შაბათს თიანეთს უნახავთ, რომ გამოუვლიათ.

მერე ამას გვეძრებით, რომ ერთი ოქმი არაგვის მოურავს უბოძოთ, რომ არაგვზედ არ დაგვემალოს და ერთი ამილახვარს, რომ ქართლში არ დაგვემალოს. თუ ქართლში ყადაღა არ უყო, საცა ნახონ, დაიჭირონ და არ დამეკარგოს, თქვენ სადღეგრძელოთ. მაისს **ც,** ქორონიკონს **უი.**

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად არაგვის მოურავს ქაიხოსროს ასე უანბეთ. წერმე ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენები[ა], ქართლში იყოს, თუ არაგვზედ ამისი კაცი, მოუნახე და მოაბარე. იცოდე თუ არ მოაბარე, დიდად დაგემძურებით და გიწყენთ. ღმერთმან გაშოროს, ერთი რამ მუხანათობა რომ გვიყო, ისე ჩაგიგდებთ ამასაც, თუ ეს კაცი არ მობარდა. მაისის ც, ქორონიკონს **უი.**

ვისაც უნდა ყვანდეს, სადაც უნდა იყოს, უნდა აყარო და მოაბარო. არას გზით არ იქნება, უნდა მოაბარო.

ბეჭედი: ქნარს ჰიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

შვილო, ეს კაცი სადაც იყოს, შენ აუყარე და მოაბარე.

დავით დეკანოზისშვილო, შენც უნდა ქომაგი იყო ამ საქმეზედ. მაისს **კვ,** ქორონიკონს **უი.**

ბეჭედი: ქნარს ჰიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

209. არზა ნოდარიშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 21 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 479. დედანი. ქაღალდი. 21×15,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. არზის თარიღი მცდარი უნდა იყოს, რადგან იგი ოქმზე გვიან ვერ დაიწერებოდა.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი მოსცეს მათს ბანდას ნოდარისშვილებს გიორგის და გრიგოლს.

მერმე ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას: არზა მოგართვით და პასუხი არა მოგვეცა რა. ახლა კიდემ თავს გაწყენთ, რომ თუ მამაგულიშვილი ბატონს თეიმურაზს აქეთ ჩვენ არა გვეყოლოდეს, მუჩალგ[ა]ს მოგართმევთ, ისიცა და რაც სხვა კაცი გვყავს, თქვენის ჭირის სანაცვლო იყოს. და თუ ჩვენა გვეყოლია და

არც მოხელეს უდავნია და არც ამ კაცს უჩივლია ამის მეტ[ა]თ, წყალობა გვიყავით, სამართალში გვალაპარაკეთ. ამ კაცის წიგნიც ხომ გინახამთ და ჩვენი წიგნებიც და ღმრთის წინაშე სამართალი გვაღირსეთ, მტრის გულისთ[sic] ნუ გაგვხდით. ერთის ოჯახის შვილები ჩვენც გახლავართ. მაისის **კე,** ქორონიკონს **უჲ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ნოდარისშვილებო!. მერმე ეს მამაგულისშვილი თაობითაც ჩვენი ყმაყოფილი და [ა]ხლაც ამაზედ დაჯერებული ვართ, რომ თქვენი ყმა არის, მაგრამე თ ა თ ა რ ა ს შ ვ ი ლ მ ა რომ ამას წინათ წიგნი გამოაჩინა ჩვენის ყმობისა და ო მ ა ნ კი არა, ახლა ამის ჯარიმათ ეს მამაგულისშვილი თქვენთვის გვიბოძებია. მაისის **კა,** ქორონიკონს **უჲ.**

აქამდი რომ თა[ვი]სი თავ[ი] დამალა და თქვენი [ყ]მობა უნდოდა, აქამდის თქვენი ყმა იყო და თქვენი ყმობა უნდოდა დღეს აქამდი, აღარც ახლა გაბოგართვით. წყალობა გვიქნია. თუკი ჩვენი ყმობა უნდოდა, როდესაც თათარასშვილმა თავისი თავი ჩვენს ყმათ გამოაჩინა, ამასაც მაშინ უნდა ელაპარაკნა.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

210. არზა ოდან გებურიშვილისა სასისხლო საქმეზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 8 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 242. ღედანი. ქაღალდი. 19,3×17,8. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კ[ელმწიფი]ს ჭირი მოსცეს ბ ე ბ უ რ ი შ ვ ი ლ ს ო [მ ა]ნ ს.

ქრისტიშობის თვეში მე აქ გახლდი. ჩემს სახლში ჩემი ძმა ბებურ სამჯერ ცტრულეფ შახდომია. დიდათ გევედრებით, რომ ეს ჩემი ყათლანი მოიკითხოთ; დანაშაული თუ მე მაქვს რამე, მეცე გარდამახდევინეთ, თუ არადა, მეც გაკ[ი]თხვა მაღირსედ. იმას ორი თავისი გაზდილი ბიჭი ჰყავს — ერთი კ ო რ კ ო ტ ა შ ვ ი ლ ი და ერთი გ უ ლ ა შ ვ ი ლ ი. იმათ თქვენ მუჩალგა მოგართვან — არ შემამხდომოდეს. და თუ მასუკან ვერ გავამტყუნო, მე ვიქნები მტყუანი. მაშამ ეს [მ]იყო. შვილისაც ხომ მოგეხსენებათ, ის სხუა არის.

თქვენის შვილების სადღეგრძელოდ ჩემზედაც სამართალი მოიღეთ. თიბათვის **ა,** ქორონიკონს **უჲ.**

ქ. ბატონო მდივანბეგებო! ამათი სამართალი ღმრთის წინაშე სწორე გ[ას]ინჯეთ და სამართალი უსაჯეთ. რაც სალაპარაკო ქონდესთ, ყველა გაუსწორეთ. თიბ[ათ]ვის გ, ქორონიკონს **უჲ.**

რასაც მიბვდეთ; რას[ა]ც ვე[რ მიხვდ]ებით, თქვენი ბრალი არ იქნება.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

211. არზა შერმაზან ოქრომჭედლიშვილისა უმა-მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1772 წ. 17 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 197. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[140] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის და ყოვლად მოწყალის ჭირი მოსცეს მათ მიწა ფეხთა მტვერს დვანელს ო ქ რ ო მ ჭ ე დ ლ ი ს შ ვ ი ლ ს შ ე რ მ ა ზ ა ნ ს.

მერე ამას მოვახსენებთ, რომ: გამწყრომოდით და ჩვენი თავი ჩვენის მამულით პ ა პ უ ნ ა ფ ა ვ ლ ე ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ნ გებოძებინათ. გ ო რ ს გიახელით შარშან, გვალაპარაკეთ, ღმერთმა და თქვენმა სამართალმა გაგვამართლა და ჩვენი თავი ისევ წა[ა]რ ს ვით, მაგრამ ჩვენი მამულები ისევ იმათ უჭირამთ ხუთი საკომლო — პ ე ლ ა შ ვ ი ლ ე ბ ი, გ ა ბ რ ი ე ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი, ნ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი.

ჩვენი ზვარი და ხოდაბუნი შობას ღეს დაგვიჭრეს და ამ მამულის წიგნებიც წაგვართვეს. სულ მთელს ცხინვალელთ იციან ნეტარხსენებულის ხემწიფების ნაბოძები იყო, ი ე ს ე ს ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი ს შ ვ ი ლ ი ს ხელით მიმ[ი]ბარებია. შარშან რაც პური მოვიდა, ისიც იმან წამართვა.

თქვენათ გასამარჯვებლათ და თქვენის შვილების სადღ[ე]გრძელოთ მოწყალება მოიღევით და სამართალი მაღირსეთ, რომ ჩვენი მამული დამნებდეს და იმას ჩვენთან ხელი აღარა ქონდეს. აღიწერა მაისის **კთ,** ქორონიკონს **უჲ.**

ამ ოქრომჭედლისშვილისა რაც ყოფილა **ა.** ქ. დღეს მსახლობელი ბელაშვილი შაქარა **გ;** ქ. ამოწყ[ვე]ტილის კაცისა საკომლო **ა;** ქ. ზვარი; ქ. ხოდაბუნი პური კოდი **ლ.**

თავში

[139 V] ბატონო ამილახვარო! მერმე ეს ოქრომჭედლისშვილები ფავლენიშვილებისათვის ძალათ ხომ არ წაგვირთმევია; სამართლის ძალით, წივნების გასინჯვით ძველათაც სადედოფლო სახასო იყო და ისევ სახასოთ დავდევით. რაც ამისი ყმა და მამული იქნება, ამათ ხომ ვერ წავართმევთ; რაც ამათი ყმა და მამული იყოს, რო[მ] ფავლენიშვილებს ეჭიროთ, ახლავ ხელი აუშართე და ამ ოქრომჭედლიშვილებს მოაბარე. თუ ფავლენიშვილებს ერთი ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენონ. თიბათვის **იზ**, ქორონიკონს **უჲ**.

ეს ამისთვის სამთავის[ს] თაეიათ რათ წა[ა]რთვეს, თუ წასართმევი იყო, რატომ ჩვენ არ მოგვახსენეს.

212. არზა გლახა შალულაძისა მამულის თაობაზე მდივანბეგის ოქმით

1772 წ. 20 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 9238. დედანი. ქაღალდი. 19,7×11,8 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის, ჩვენის ხემწიფის ძის ჰირა მოსცეს მათს მიწა-მტევრს პატრიაქის ყმას შ ა ლ უ ლ ა ძ ე გ ლ ა ხ ა ს ა.

მერე ამას მოვახსენებთ: მამა-პაპის ნასყიდი მამული ვენახი, სახლკარი, ყანა, მოსამკალი გ ე დ ე ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ მ ან რ ო ს ტ ო მ[მ] ა წამართვა და პ ე ტ რ ე გ ე დ ე ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს მისცა. ოთხი წელიწადი არის ეს მამული წართმეული მაქვს. რამდენჯერაც პატრიაქთან ვიჩივლე და ოქმი მოუტანე, არც იოქმა და არც მამული მამცა. არაგვიანთ ყმისაგან მიყიდია. ჩემი მამული სხვას მისცეს და სხვისა თითონ დაიჭირეს.

ამას გევედრებით, ოქმი და იასაული გვიბოძეთ, ჩემი მამული მევე დამანებოს, რა დანაშაული მქონდა, რომ ასე უწყალოთ ჩემი მამა-პაპის ნასყიდი მამული წამართვეს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ამაზედ სამართალი გვაღირსეთ. ასემც თქვენი ორგული შეწუხდება, რაგვარათაც ჩვენ უმანკოლობით შეწუხებული ვიყოთ. ასე უსამართლობა მჭირს, რომ თქვენს სამართალ-

შიაც ამათის შიშით ვერ მოვსულვარ. ასე მეუბნებიან: თუ იჩივლე, აყათ მოგეპყრობითო. თიბათვის კ, ქორონიკონს **უჲ**.

თავში

ქ. მდივანბეგის იმედო მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ო რ ო ს ე ბ ა! მერე რაც ამ შალულაძეს წართმეული მამული ქონდეს, პეტრეს ეჭიროს, ხელი აუმართე და პატრონს დაანებე.

verso

ქ. ბეციამ რომ შალულაძის ვენახი და ნაფუზვარი პეტრეს მისცა, ახლა ბატონისშვილთან იჩივლეს. თავისი მამული სამართლით შა[ლუ]ლაძეს დარჩა. ახლა მე, როსეფ მაჭავარიანი, იასაულიც ვარ და მოწამეც ვარ ამაში.

213. არზა ფარსადანა მიღილაშვილის ქვრივ-ობლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 30 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hძ 14947. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 21,5×17 სმ. მხედრული. აქა-იქ ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ჰირი მოსცეს მოქალაქე სამეფო მ ი ღ ი ლ ა შ ვ ი ლ ი (?) მემაშიე ფ ა რ ს ა დ ა ნ ა ს ქვრივ-სა დ ა ობლებს.

ჩემს მამამთილს პ ო ღ ო ზ ა ს სურამს წისქვილი, ვენახი და სახნავი მიწები უყიდნია და იქ ყოფილა და იმ მამულებით რჩომილა; სურამს მომკუდარა და იქავ დამარხულა. ჩემი პატრონი პატარა დარჩომილა, ქალაქში გაზდილა, ხელობა უსწაველია და სოფლათ აღარ წასულა; მე შემირთო, აქ თავის ქელობას დასჯერდა და სოფლად თავის მამულებზედ აღარ წავიდა.

ეს ოცდა[ა]თი წელიწადია ჩვენი წისქვილი, ვენახი თუ მიწები ჩვენს მეზობელს კ ა კ ო ნ ა შ ვ ი ლ ს ფ ა რ ს ა დ ა ნ ა ს უჭირავს და ისი სჭამს, არაფერის მიზეზითა სჭამს. მიზეზი ეს არის, რომ თქვენი ყმა ქელოსანი იყო, აქ თქვენს სამსახურშიაც იყო და თავის ხიზანსაც ინახევდა; სოფლად წასვლა, დიახ, ეზარებოდა და ამიტომ თავის მამულების გამოსაეალს არ კითხულობდა.

ახლა თქვენი ყმა თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქმნა; ორი ვაჟი და ერთი ქალი ობოლი დანჩჩა, მეტად ღარიბნი და გლახის უმეტესნი გლახანი ვართ.

წყალობას ვითხოვთ ერთი ოქმი გვიბოძოთ მოხელე[ე]ბზედ: რაერთიც სი[ი]თ ჩვენი მამულები ეჭამოს, იანგარიშონ და ჩვენ ქვრივ-ობოლს მოგვცენ, რომ ჩვენს სიგლახაკებს მოვახმაროთ, რომ თქვენი ყმის ობლები სიგლახაკობით არ დამეკარგნენ და ჩემი მამული მე დამნებდეს, რომ იმ მამულებით ჩვენ ქვრივ-ობოლნი დავრჩნენთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. ივნისის **კთ**, ქორონიკონს **უჲ**.

თავში

ქ. ჩვენ მ[აგიერათ სურა]მის მოურავს [მ უ რ ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ს] ასე უამბეთ: მერე ამ არზის პატ[რონი] რომ ამ არზით ასე ჩივის, ან მანდ ერთმანერთს გაარიგეთ, ან არადა კარზედ სამართალში გამოგზავნე. თუ არას ემართლებოდეს, ამ ქვრივ-ობლებს ნუ გარჯის, თორემ სამართალში რომ გამტყუნდეს, თამბა დაემართება. მთიბათვის **ლ**, ქორონიკონს **უჲ**.

ქ. [მ უ რ ვ ა] ნ ი ს შ ვ ი ლ ო, ესენი სამართალში ალაპარაკე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფად ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

214. არზა არაშენდელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 15 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8736. ღედანი. ქაღალდი. 16,5×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად მხოლოდ ერთ ადგილას ნახმარია ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბატონის მდივანბეგების ჭირი მოსცეს ერთობ არაშენდელთ.

ჩვენ და ხვედიანელნი მამულის მესამზღვრენი ვართ. სამნებს აქეთ ისინი გარდმოსულან და ჩვენს მამულსა ხვნენ. წყალობას ვითხოვთ, რომ მოიკითხოთ და რაც ჩვენი მკვი[დ]რი მამული იყო, ჩვენ დაგვნებდეს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. აგვისტოს **იდ**, ქორონიკონს **უჲ**.

თავში

ქ. მდივანბეგების სახსოვარო გ ა რ ს ე ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ო გ ა რ ს ე ვ ა ნ! მიდი სამძღვრები ნახე. თუ შენ შეარიგო და გაარიგო, ის არის; თუ არადა, აქ მოიყვანე, სამართალში ილაპარაკონ. აგვისტოს **იე**, ქორონიკონს **უჲ**.

სამი ბეჭედი:

1. სჯის მსჯელი, ტ უ ი ფ რ ა ვ ს ორბელთაცა გულის მჭბჭობი(?) ღ მ ე რ თ გ ა ნ ც ა ა(?), ი ო ა ნ ე 1748
2. ჭ ო ნ ა ღ თ ი ს ა ამილახორისშვილი მ ო უ რ ა ვ ი ი ე ს ე
3. ჰ ო ნ ა ღ თ ი ს ა მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი თ ე ი მ უ რ ა ზ

215. არზა ელიზბარ დავითიშვილისა მამულის თაობაზე მდივანბეგთა ოქმითა და განჩინებით

1772 წ. 17 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 33. საბუთი № 272. ჰირი. ქაღალდი. მხედრული.

[არზა]

[122 V] ღმერთმან ბატონის მდივანბეგების ჭირი მოსცეს ე ლ ი ზ ბ ა რ ს დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ს.

მერე ამას მოვახსენებთ ბატონს მდივანბეგებს: რ უ ი ს [ს] ჯ ი გ რ ა ნ ა შ ვ ი ლ ს დ ა თ უ ნ ა ს ჩემი ყმის კ უ პ რ ი ა შ ვ ი ლ ი ს ნ ა ვ ე ნ ა ხ ა რ ი უჭირამს, ვთხოვ, არ მანებებს. ღმერთი გაგიმარჯვებს. ერთის იასაულის წყალობა მიყავით, რომ ჩემი მამული დამანებოს. თუ სიტყვა აქვს რამე, მოგახსენოს. აგვისტოს **იე**, ქორონიკონს **უჲ**.

[ოქმი]

მდივანბეგები მოგახსენებთ ყორიასაულბაშო ზ ა ზ ა ვ! არზის პატრონს ერთი იასაული მ ა მ ა დ ა გა[ა]ტანეთ, თუ სიტყვა არა ჰქონდეს, თავისი მააბაროს[1]. თუ სიტყვა ჰქონდეს, სამართალში მოიყვანოს. მარიამობის **იდ**, [ქორონიკონს **უჲ**].

[1] მაბარეოს.

[განჩინება]

დავითისშვილი და ბეჟუასშვილი სამართალში ვალაპარაკეთ. ნაველნახობი დავითისშვილის ყმის ნასყიდი ყოფილიყო და სამართლით დავითისშვილს ელიზბარს დარჩა. ბეჟუაშვილს ხელი არ აქვს. თუმცა ძველად [128] იმისი ყოფილა, მაგრამ მამას იმისას გაუყიდნია.

იასაულო ზაზავ! ხელი აუმართე, დავითისშვილს ელიზბარს მოაბარე. აგვისტოს **იზ**, ქორონიკონს **უი.**

216. არზა გიორგი მეუნაგრიშვილისა ყმოგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 22 აგვისტო

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3626. დედანი. ქაღალდი. 20,2×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი, ორი ან სამი წკრტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს გომარელს სადედოფლოს მეუნაგრისშვილს გიორგის.

ცამეტი წელიწადი ყირიმში ტყვეთ გახლდი, ღვთის მოწყალებით, ამაღლებულის ჯელმწიფის წყალობით და თქვენის დოვლათით მოვრჩი და გიახელ. ერთ ალავს ბინა არა მაქვს და ადგილი. ჩემი ძმა არადეთს გახლავსთ ხიზნათ. მეტად ღარიბი ხიზანი დამხვდა. მოწყალება რამ გვაღირსედ, ღმერთი გაგიმარჯვებსთ. აგვისტოს **ვ**, ქორონიკონს **უი.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, რადგანაც ეს გომარელი არის მეუნაგრიშვილი გიორგი და ტყვეობიდამაც მოსული არის, ჩვენი სახასონი არიან. ამასთანა და [ა]მის ძმასთან საქმე არაცის აქვს. თუ კინმე ამათ შესცოდა რამე, ჩვენად შეცოდებად მოვკი[თხ]ავთ. აგვისტოს **კბ**, ქორონიკონს **უი.**

ქ. თუ ჭეშმარიტი სიტყვა ამასთან გქონდესთ ვისმე სასამართლო, მოგვახსენეთ; თუ [არა]და, თავს ნუ გვაწყენთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

217. არზა გალათარ ტატიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 28 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8513. დედანი. ქაღალდი. 21,5×17,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. არზის თარიღი მცდარი უნდა იყოს, რადგან იგი ოქმზე გვიან ვერ დაიწერებოდა.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ტატისშვილს ალამდარს ბაღათარს.

აბაშიძემ რომ არზი მოგართვა და კაცს მედავება დავითის შვილს და იმის ყმასა ფალავანდიშვილსა და იმათ ყმასა თიღველებსა და ატოცელებსა, ვეველდრები თქვენს ბედნიერობასა, რომ ამათთან მოკითხული ბძანოთ, თუ ათადამ-მამადამ ჩემი [მ]კვიდრი ყმა არა ყოფილიყოს სუნელი იანტბელიძე, რომ არას კაცის საცილობელი თავის დღეში არა ყოფილიყოს, ის ბერიკაციც თქვენ სამართალში ალაპარაკეთ და სამართალი მალირსეთ, რაც ძალითა და უსამართლობით არ მამეჭიდა, სხვა საქმე არა აქვს. თუ ამაში გა[ვ]მტყუნდე, ერთი იმისთანა კიდევ მიმაცემინეთ. აგვისტოს **კბ**, ქორონიკონს **უი.**

თავში

ქ. ფალავანდიშვილებო და დავითიშვილებო თქვენის ყმით, ატოცელნო და თიღველნო, გაფიცებთ ამისი აღილათი სწორე გვაცნობეთ წერილით. აგვისტოს **კბ**, ქორონიკონს **უი.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

218. არზა დათუნა გეციაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 27 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1520, ე. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს რუსთველს მროვლის ყმას ბეციაშვილს დათუნას.

ოსმალობის დროს დავას ახლა მედავება დავითისშვილი ელიზბარ მამულს, ცოტა რამ მამული ათი მ[ა]ნა ძლივს გამოვა.

წყალობას ვითხოვ: სანამ ორნივე თქვენს სამართალში ვილაპარაკებდეთ, დამეხსნას. თქვენის სამართლით ვისაც დანებდება, [ნება] სამართლისა არის. აგვისტოს ვ, ქორონიკონს **უჲ**.

თავში

რადგანაც მდივანბეგების სამართალს არ დასჯერებიხარ, თუ მეორედ ილაპარაკებ, თუ გამართლდი, სამართალს მოგცემთ. და თუ გამტყუნდი, იცოდე ეგ მიწაც გამოგერთმევა და ჯარიმაც წაგერთმევა, კარგათ იფიქრე. მარიამობის თვეს **კზ**, ქორონიკონს. **უჲ**.

219. არზა რევაზ ამილახვარისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 28 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8994. დედანი. ქაღალდი. 22,3×17,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან მაღლის ჯელმწიფის ჭირი მათს მიწას ამილახვარს რევაზს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ მათს უმაღლესობას: თქვენის ბრძანებით ცხრამუხა გვებოძა სამართლით. შარშან კაცი გავგზავნე, ღალა ავიღე, ასოცი კოდი პური მერგო და იქავე ჩავყარე. აბაშიძე ქაიხოსრო მივიდა, ამომიყარა და წაიღო. სამიოდ კაცი ჩემი კერძი დგას; ასე აწუხებს, რომ იმათი საცოდაობით მწუხარე ვარ მეცა და ამას გარდა ის კაცნი კიდეც დაუფიცებია: ამილახვარი აღარ გაატაროთო და აღარც იმის კაცით. წრეულ ჩემი კაცი აღარ გაატარა. შარშან იმ პურისათვის არზი მოგართვი, ოქმი მიბოძეთ სურამის მოურავზედ და არცარა იმას შეპუება. მე თქვენს ბრძანებასა და სამართალს ვერსად წაუვალ და კიდეც თქვენის რისხვისაგანაც მეშინიან, თორე ეგ ძალით ვერას წამართმევს. ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართალი მაღირსეთ, კიდევ ერთი შფოთი აღარ ჩამომივარდეს რა. აგვისტოს **კე, ჩლობ** წელსა.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ამილახვარს ბატონს რევაზს ესრეთ ეუწყოს. მერმე, ქაიხოსროს ცხრამუხიდამ თქვენი ასოცი კოდი პური რომ დაუხარჯავს, ისიც უნდა მოგეცესთ და ცხრამუხაც, როგორც გაწაჩენი დაიდვა და არის, ისე თქვენ უნდა გქონდესთ. ამაში ჩვენი ბრალი არა არის რა. სამართალმა ასრე განაჩინა. და თქვენ, ქაიხოსრო აბაშიძეც, ამაში ჩხუბსაც დაეხსენ და შფოთსაც. აგვისტოს **კჱ**, ქორონიკონს **უჲ**.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძენ კახეთის მეფენ ცხებულს, ერეკლე.

220. არზა ბანგუასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 7 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13990. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 19×11,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი საცოდავს ბანგუას მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ. ერთი ამილახვარიანთ ნაყმე[ვი] კაცი ჩამოსულა ოსმალობას უწინ, ჩვენის ძამუკაშვილის ქალი შეურთავს, იმას თქვენი ჭირი წაუღია, ერთი შვილი დარჩომია. ისიც ლეკებში დაკარგულა, თხუთმეტი წელიწადი ტყვეთ ყოფილა, მოსულა ისევ ჩვენთან. იესე ამილახვრისშვილს რომ მოურაობა ქონდა, მოსულიყო, ეთქო: ჩემის ყმის შვილი ხარო. იმას უარი ეთქო, ოსმალობას უწინდელი მოსული ვარო; დაეჭირა, ამდენი ეცა, რომ უზიარებელი მოკვდა, იმას...* ცოლი ორსულად...* დარჩა და მე გავზარდე. ახლა რომ ამილახვარიანთ კაცებს ყრიდნენ, ზა[ა]ლ ჯიმითის მოურავი იყო, თქვენი ბძანება ქონდა ფიცისა და თუ ლასშვილმა შეფიცა: ამ ბიჭის პაპა ოსმალობას უწინ ჩამოსულაო; ველი აიღეს. ახლა ის ბიჭი ოთარს სხვისთვის მიუციაო.

ამის სამართალი მაღირსეთ, ღაზნელი იასაულად მადგას. მოიკითხეთ და თუ ტყუვილი მომეხსენებინოს, უბოძეთ.

თავში.

ქ. ჩვენი ბძანება არის: მერმე ამ კაცის აყრა არას გზით არ იქნება. ვერავინ აყრის. როდესაც თავიანთ კაცები მიეცით ამილახვრიანთ, მაშინ სხვა დრო იყო, ახლა სხვა დრო გადასწყდა მყრელობა, ამასთან საქმე არავის აქვს. ენკენისთვის **ზ**, ქორონიკონს **უჲ**.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძენ კახეთის მეფენ ცხებულს, ერეკლე.

* აკლია ერთი სიტყვა.

221. არზა პატარა ყობიას ქალისა ჩილის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 9 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1135. დედანი. ქაღალდი. 16×13,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ყოვლათ მოწყალის კემწიფის ჭირი მათს ფეხთ მიწა-მტვერს პატარა ყობიას ქალს ქვრივსა, ოხერს მოსცეს.

მერმე მამაჩემ[მ]ა პირობა დამიდო და შამიყვანა: მოპკვდე-დაგმარხო, დარჩე-შაგინახო. სამი თუმანი ნაღდი შამიტანია, ერთი ძროხა, ორი თავი ფუთკარი. ქმრ[ი]ს შერთვას ვაპირებდი, კიდეც მირთევდნენ, მამაჩემ[მ]ა და ჩემ[მ]ა ძმამ არ გამათხოვეს. ისინი რომ დაიხოცნენ, სულ ასე გაიტანეს, რომ ერთის შაურის დანაფასევი არა მომცეს რა ჩემის ძმისა და მამიჩემისა.

ოცდაათი წელიწადია რომ ჯანი გამიგდებინებია. ის არზა რომ მოგართვი ყმარწვილის თავობაზე, ღმერთი გაგიმარჯვებს, ყმარწვილის წყალობა გვიყავით. ის არის ჩემი შამნახავი და დამ[მ]არხავი. ღვინობისთვის **დ**, ქორონიკონს **უჲ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის სურამის მოურაო მ უ რ ე ა ნ ი შ ვ ი ლ ო ი ე ს ე მამასახლისო და სურამში ვინცა ვინ უფროსნი კაცნი ხართ. მერმე ამ არზით რომ [მო]უხსენებია, თუ უ რ ი ე ბ ი ს რ ი გ ი თ და ს ა მ ა რ თ ლ ი თ ამას წილი მიეცემოდეს რამე, თავისი ძმის წილიდამ მოეცით. და თუ არა მიეცემოდეს რა იმათის რიგით, ნუ მოსცემთ. მარამ ეს ყმაწვილი ისევ თავის დედასთან უნდა იყოს. ოქდომბრის **თ**, ქორონიკონს **უჲ**.

ბეჭედი: ქხარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

222. არზა დარჩიას ქვრივისა მამულის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 9 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 467. დედანი. ქაღალდი. 16,2×10,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს შილდურს საყათალიკოზოს ჩეკურის დ ა რ ჩ ი ა ს ქვრივსა. შარშან პატრონი მომიკვდა და მაზლიც ა წ ყ ვ ე რ ს დამეკარგა. ორს მაზლის ცოლს

ხუთი ობოლი ქალი გვყავს გაუთხოვარი შინა. და რაც მამული გვქონდა, რ უ ს ი ს შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ ნასყიდი გვაქვს. და ახლა მორდალი გვაღებინებს მამულებზედ ჯელს, სახნავზედაც და სასხლევზედაც. ნასყიდობა არავის წართმევია, სამართალი გვაღირსედ, ღმერთი გაგიმარჯვებს. ოკდომბერს **ი**, ქორონიკონს **უჲ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: თუ ამ არზის პატრონისათვის რუსის-შვილს სოლომან მორდლის მამული მიუყიდნია, ისევ რუსისშვილმა გამოიხსნას ამ არზის პატრონისაგან და ს ო ლ ო მ ა ნ მ ო რ დ ა ლ ს მისცეს. და თუ რუსისშვილს თავისი მამული მიუყიდნია, იმას ველარ დაიხსნის, ამ არზის პატრონსავე უნდა ეჭიროს. ოკდომბერს **თ**, ქორონიკონს **უჲ**.

ბეჭედი: ქხარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

223. არზა ლუარსაბ ოღანაშვილისა მამულის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 20 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 224. დედანი. 28,3×17,5 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჭირი მოსცეს ლ უ ა რ ს ა ბ ო ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ს. მერმე ო ღ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ს რომ მამული ეჭირა, [ი]მ მამულის მოწყალება ხომ ჩვენ დაგვემართა. მერმე ამას მოვახსენებ ბედნიერს კ[ე]მწიფეს: ოღიანისშვილისაგან მამული გასყიდულიც არის და გაცემულიც არის. [ა]მ წყალობას ვითხოვთ: რაც ოღიანასშვილისათვინ მიეცესთ, ერთიორად მიმაცემინეთ, ჩემი მამული მე დამახსნევინეთ, იმ მამულის პატრონები დღეს ცოცხლები გახლავან, ჩ ი კ რ ი კ ა შ ვ ი ლ ს მ ო ს ე ს და პა[ა]ტას წა[ა]რთვა და რ ა ზ ი ა ს მიყიდა.

ქ. კიდევ ჩირიკაშვილი წა[ა]რთო ტ უ რ ს ა და მ ა ხ ა რ ე ს სასახლე შუა გაუჭრა. რაზიას გზათ მისცა.

ამ წყალობას ვითხოვ: რაც ოღიენ[ი]სშვილისათვინ მიეცესთ, ერთიორად მიმაცემინეთ, ჩემი მამული მევე დამახსნევინეთ. თუ არად[ა], ნება თქვენია. ეს კაცნი მამულზედ მცირეთ არიან. ოკდონბრის **ით**, ქორონიკონს **უჲ**.

ქ. ჩვენი ბძანება არის, მერმე ამ არზით რომ მოუხსენებია ა[მ] მამულის პატრონებისათვის რომ მამული წაურთმევია ოღიანიშვილს და სხვისათვის მიუყიდნია, ა[მ] მამულის პატრონები თუ იქნენ, თავისი მამული უნდა დაახსნევინონ სამართლით ლუარსაბს.

ჯანდიერ ველისციხის მოურაო, ეს შენ უნდა გაურიგო. თუ ვისმე ამაში სიტყვა ქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. ოკდომბრის კ, ქორონიკონს უი.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ვრეკლე.

224. არზა ასლან გებურისშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 20 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13841. დედანი. ქაღალდი. 34,7×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ჭერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჰირი მოსცეს ასლან გებურისშვილს.

მერე ამას მოგახსენებ[1]: აფხაზისშვილს განაყოფს მამულის წყალობა ჩვენა გვჭირს — მე და ლუარსაბს. დავით აფხაზს თავისთვის ეჭირა სასახლე, ჩვენ ჩვენთვინ გვეჭირა სასახლე. ლუარსაბისათვინ ელაპარაკნა დავითს, მე იქ არ გახლდი, დავითსა და ჩემს ძმას პაპას პირობა შე[ე]კრათო, ლუარსაბ გაკამტყუნოთო. მე შენს წილს მოგცემო, დავითს ეთქვა; ხრაპია წემე-[ე]ყენებინათ ტურიაშვილი, დავითსა და პაპას ლუარსაბ გ[ა]ემტყუნებინათ. სასახლე დავითს უჭირავს, მე აღარაფერი არა მიჭირავს რა, დავითს თავისთვინ აქვს სასახლე, ჩვენ ცალკე [გვ]ქონდა სასახლე. მე ამ ყალათად მოხსენებულისა ყაბული არა მაქვს, გარჩეული ვიყავით ჩვენ ამაში; სასახლე მე და ლუარსაბისა არის, რასაც სამართალს გვიბძანებ, გაგწევთ. ამის სამართლის წყალობას ვითხოვთ. თუ არადა, ნება თქვენია. ოკდონბერს კ, ქორონიკონს უი.

[1] მოგვახსენებ.

ქ. ჩვენი ბძანება არის დავით აფხაზისშვილო! მერმე ამ არზით ასლაჰან და ლუარსაბ გიჩივისთ სასახლეს. სიტყვა გქონდეს ან ასეთი უჯათი, სამართალში მოდი ახლავ; თუ არადა, თავისი სასახლის ადგილი მოეცა მათ. ოკდომბერს კ, ქორონიკონს უი.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

verso

ქ. ამ ჩემის ძმის მოხსენებული მართალია, მოვტყუვდი და ახლა ეერც ძმასთან გავმტყუნდები, ეერც ლუარსაბთანა. მე ხომ მინდოდა, რომ შერჩომოდა. ახლა რადგან ამ რიგათ გამოამკარავდა, ახლა ძმისა მირჩევნია. მე პაპა ბებურისშვილს, ეს მამიხსენებია. დაიწერა ქრისტიშობის ია, ქორონიკონს უი.

225. არზა კალაურის მოურავის დედისა მსახურისა და სარგოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 20 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 2136. დედანი. ქაღალდი. 22,5×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ღმერთმან მრავლად მოწყალეს ბედნიერის ჩვენის ხემწიფის ჰირი მოსცეს საცოდავს კალაურის მოურავს ქვრივსა და ობერს ომანისა და ტეტიას დედას.

მერე ჩემო ხემწიფევ მარადის თავს გაწყენ, მაგრამ რა ვქნა. ყოვლის ქვრივისა და ობრის მოწყალებისათვის იღვწით დ[ა] მე ოქვენს იქით ილაჯი არსაით მაქვს. ამაზე კიდევ გეეედრებით: მსახურს პართმევენ, ისე გვიბოძოთ, ბასო შვილია, შენი ჯარიმე, რომ ის სოფელს უდრის და არ მაძლევს ულუფას, არც ის და ა[რც] იმისი ბანაყარი ძმა. თქვენი ოქმი მაქვ[ს] და არ მაძლევენ; ამას გეეედრებით, იმისი ულუფაც გვიბოძოთ და ოქმი გაგვიახლოთ, დიაღ, ცოტა მეულუფე გვყავს.

ჯარიმისას გეეედრებოდით და გებძანათ: როგორც სარგოს არი[ს], ისე ძივსცემთო. მოგეხსენებათ, საგარეჯოს თავისი მეშკვიდრე და გამბეგრავი მოურავი არა ყოლია და ჩვენი ამ სახელოს ხოცემის მახსოვარი არავინ კია, დიდი ხნის ნაწყალობევია, მაშინ არც წიგნი ნდომიათ და არც სხვა. ახლა ამას გეეედრებით საცოდავი ქვრივები მრავლის ობლების პატრონი, თუ ის ჯარიმაც მოგვეშალა,

აღარა სარგო და სარჩო გვექნება. ღმერთი ბრწყინვალეს შვილებს გიცოცხლებს, რაც დღეს აქამდი წყალობა გვჭირვებია. ნუ მოგვიშლით თქვენს სადღეგრძელოთ, მოწყალეე ხემწიფე.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის კალაურელნო. მერე კალაურის მოურავს როგორც სამი მსახური ყოლია აგრევე სამი მსახური უნდა მოსცეთ.

და ჯარიმისა ასე დაგვიწერია: თუ წიგნი აქვთ თავისი წილი ჯარიმისა, უნდა რაც ჯარიმა უწერიათ, თავისი წილი მიეცეს. და თუ წიგნი არა [ა]ქვეთ, აგრევე წინსაგარეჯოს მოურავს რაც განწესება ქონდეს ჯარიმიდამ, აგრევე უკანა საგარეჯო ეს არის, აქედამ უნდა მიეცეს ამ [მ]ოურავს ჯარიმის წილი როგორც იმ წინა საგარეჯოს მოურავის განწესება აქვს.

და ბასოშვილებმაც, რაც სამოურაო ედოსთ, ესეც უკლებლად მოსცენ. ამაზედ ჩვენთან ნუღარ ალაპარაკებენ, თორემ დიდათ უწყენთ. ოკდომბრის კ, ქორონიკონს უჲ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფად ცხებულს, ერეკლე.

226. არზა ამილახვარიანთა ყმეგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 16 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1055. დედანი. ქაღალდი. 32,2×23,7. მხედრული. გაკვეთილობის ხაზნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ქელმწიფის ჭირი ამილახრს რევაზს, მდივანბეგს იასეს და ქელიერთპირ ამილახვრიანთ[1] მოგვცეს.

მერე ამას მოვახსენებ თქვენს სიმაღლეს: ყოველი თქვენით, თქვენის წყალობით რჩება და ჩვენც კიდევ[2] თქვენის წყალობით უნდა დავრჩეთ.

მერმე ამას მოგახსენებთ, თქვენც მოგეხსენებათ ჯმაზედ, დიაღ, მცირეთ შევიქენით. ამ წყალობას ვითხოვთ: რაც ჩვენი ყმა არის აქა, იმისი წყალობა დაგვემართოს. და ერთი ხარაბა ადგილი გვიბოძოთ,

[1] ამილახლიანთ. [2] დაკიდევ.

რომ ჩვენი ყმა იქ დავაყენოთ. როგორც თქვენი სახასო გემსაჩურეჯათ ლაშქრით, სურსათით ან კოდის პურითა, ისინიც ისე იმსახურეთ. მანამ [მ]შვიდობა შეიქნებოდეს, ჩვენი ყმა აქ იყოს. როდესაც ღვთითა და თქვენის დოვლათით, მშვიდობა შეიქნეს, რომელიც თქვენი ნება იყოს, ის აღსრულდეს. ნოემბერს იგ, ქორონიკონს უჲ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო ზა[ა]ლ ჯიმითის მოურაო და ბეჟან ყორჩიბაშის შვილო! მერმე რაც კახეთში თუ ხიზიყში ამ ამილახვრიანთ ყმა იყოს, ოსმალობას ჩამოსულს გარდა, სულ უნდა აუყაროთ და ელის კაცი რომ იდგა, იქ უნდა და[ა]ყენო; რომელიც კახეთის განწესება არის საქონლისა, რადგან თავეთს ქვეყანაში არ მიჰყავთ და აქაც კახეთში აყენებენ, ნურა კაცი ამაზედ ხმას ნუ ამოიღებს. თავეთის საქონლით უნდა აჰყაროთ.

და თუ ხიზნობით სიტყვა ჰქონდეს ყისმე ამათთან, აქაც იქნებიან, მასუკან ილაპარაკონ და სამართალი მიეცემათ.

ამაზედ ბეჯითად უნდა გაისარჯნეთ; ხათრის შენახვა და თაღაფული არ იქნება, თორემ იცოდე გარდაგახდევინებთ. გიორგობისთვის იე, ქორონიკონს უჲ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

227. არზა ბერი პაპუნაშვილისა გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 16 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 352. დედანი. ქაღალდი. 16,5×11,7 სმ. მხედრული. გაკვეთილობის ხაზნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ქემწიფის ჭირი მოსცეს ურბნისელ პაპუნაშვილს ბერს.

მერე ამას მოვახსენებთ: ჩვენს მამულს კულუხი და ღალა არ სდებია. ჩემს დროში ოთხი ურბნელი გამოცელილა, არც გამიგონია, არც მიგვიცია. ახლა ურბნელი კულუხსა მთხოვდა. კრცხინვალს რომ ბძანდებოდით, არზა მოგართვი და ოქმი მიბოძეთ ნიქოლოზ მამაცაშვილზე, ოქმი მამაცაშვილმა ურბნელს უჩვენა. არა არ ვიცი, კულუხი და ღალა შარშანაც გამომართო და წლე-

ულაცა. ნასყიდი მამულები მაქვს, არასდროს არ გამომრთმევია. დ[ა] ამისი სამართალი მაღირსეთ თქვენად გასამარჯვებლად. გიორგობის **ია, ქორონიკონს უკ.**

თავში

ქ. ყოვლად სამღუდელო ურბნელო! ამ არზის პატრონი ასე ჩივის და ამილახორთან გარიგდით და თავის ყმას რაც არა ზდებოდეს, კაცმა არ უნდა დაადოს და არც გამოართოს. ნოემბერს **ივ,** ქორონიკონს **უკ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

228. არზა ზურაბ ციმაკურიძისა გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1772 წ. 17 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. ჩძ 4505. დედანი. ქაღალდი. 20×13,3 სმ. დაზიანებული. განკვეთილობია ნიშნად ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს ზურაბ ციმაკურიძეს.

ჩვენი არზი და მოხსენება სხუა იყო და თქვენი ბძანება სხუა იყო. მოგეხსენებათ დირბს არას გლეხს კაცს პურის ღალა არა სძევს. ჩემი მოხსენება ეს არის: ჩემის ვენახიდამ ათისთავს მივართმევ. თქვენი წყალობა ორი კომლი კაცი მყავს და რაც იმ ჩემის კაცებისაგან ღვინო მერგება, ნახევარს მივართმევ. ნოენბერს **თ,** ქორონიკონს **უკ.**

ჩემი ამხანაგი ორი აზნაურშვილი სხუა გახლავსთ. რაც სამსახური აძევს, იმასაც ისე ვემსახურები.

თავში

ჩვენი ბძანება არის ზურაბ ციმაკურიძევ! მერმე რაც შენის ყმიდამ რთველზედ ტკბილი გერგებოდეს სამართლით შენა, იქიდამ იმის ნახევარსა და შენს ვენახს რაც ტკბილი გამოგივიდოდეს, იმის ათისთავს წმინდას ქრისტეს [ს]აფლავს მიართმევდე ყოველს წელიწადს. ნოემბრის **იზ,** ქორონიკონს **უკ.**

ქ. ამას წინათ ერთი სხვა ოქმი დავწერეთ ამას გარდა და ახლა ეს უმჯობესად ვრაცხეთ და ასე უნდა გარიგდეს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

verso

ქ. ჩვენ, ბატონიშვილი გიორ[გი მისის სიმაღლის] ბატონის მამიჩვენის ბძანების თ[ანა მოწამე] ვართ. დეკენბერს **ფ,** ქორონიკონს **უძე.**

ბეჭედი: მეფის ძე გიორგი.

229. არზა გიორგი თუმანიშვილის ქვრივ-ობლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმითა და რევაზ ამილახვრის განჩინებით

1772 წ. 30 ნოემბერი

ცისა. ფონდი 1450. დაცთარი № 37. საბუთი № 89. ჰირი. ქაღალდი. მხედრული. საბუთს ვათარიღებთ განჩინების მიხედვით.

[55] ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს თუმანიშვილი გიორგის ქვრივსა და ობოლს.

ჩვენი ორის დღის მიწა ედიშერ მდივნის ყმამ ირემაშვილმა გიორგიმ წამართო. მოიკითხით, თუ თავის პატონის წყალობა სჭირს, წყალობის წივნი გამოიღოს; თუ ნასყიდი აქვს, სიგელი გამოიღოს. თუ არადა, თავის ძალით სამართალს ვითხოვ. რაც წელიწადია სჭამს და ქვრივ-ობოლს ღალას არ გვანებებს. ამასაც არ დაგვაჯერა. ახლა სხვა მამულიც მოგვიჭრა და თავის მიწებს შეუმატა.

ქვრივისა და ობლის მოწყალე ბრძანებით, სამართალი გვაღირსეთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. აგვისტოს **კვ,** ქორონიკონს **უკ.**

თავში

ამილახვარო რევაზ! ამ არზის პატრონი ვისაც უჩიოდეს, თქვენთან ალაპარაკეთ და ჭეშმარიტი სამართალი მიეცით. მარიამობის **კვ,** ქორონიკონს **უკ.**

[განჩინება]

გიორგის ჯალაბი ირემასშვილს ორის დღის მიწას ედა[ვ]ებოდა. მერე ორი მოხთაბარი მოწამე მი[ი]ყვანოს იმ სოფლისა ირემას-

[1] ავმართვე.

შვილმა, რომ სიტყვა დ[ა]ეჯერებოდეს, ირემაშვილს დარჩეს. თუ ვერ მიიყვანოს, გიორგის ჯალაბს დარჩეს. ჩვენ, ამილახვარს რევა[ზ]ს, ასე გაგვირიგებია. გიორგობის კი, ქორონიკონს უჲ.

მე, საგინაშვილი ბეჟან, ამისი იესაული ვიყავ. აველ გარეჯვარს, ირემაშვილმა მოწმე[ე]ბი ვერ იშოვნა, როგორც ბატონს ამილახვარს ზემო განაჩენში ებძანა; და მიწას ხელი ავმართე[1] და თუმანიანთ გიორგი[ს] შვილს ზუჯაბს და ქვრივს დედას დარჩა. თებერვლის კ. ქორონიკონს უჲა. † ბეჟან.

230. არზა გრიგოლ სახლთხუცისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1773 წ. 21 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 419. დედანი. ქაღალდი. 34,5×20,5 სმ. მხედრულა. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენის ჯემწიფის ჰირი მოსცეს მათს ბანდა სალთხუცეს[ს] გრიგოლს.

ჩემო ჯემწიფევ, თქვენც მოგეხსენება თქვენს ჯემწიფობაში ბევრი დაჭერილი ციხე მაქვს დაქცეული, რომ ასი თუმანი თუ ასოცი თუმანი აგებაზედ დამხარჯვია. იმ ჟამად როგო[რ]იც სიღარიბე იყო მოგეხსენება. ნეტარად ხსენებულმა ბატონმა რომ ლაშარს მამული შესწირა, მეც იმისი და თქვენი წყალობა მაქვს. ორი თვე ფშავს ვიყავ დაჭერილი. სამოცი კომ[ლ]ი კაცი ისე აიკლეს, რომ პერანგი და პერანგის ამხანაგიც არ შერჩენიათ; სამასი პირუტყვი წაუყვანიათ — ჯარი და ძროხა, ათას ორასამდი ცხვარი; ცხვრიდამ უკანვე მომცემია სამასამდი.

მეორეთ მკვდარი ვარ, ჩემო ჯემწიფევ. თქვენს ჯემწიფობას ქვეშ არის გასამართლებული ფშაველთან, თუშთანა და განაჩენი ჯელთა მაქვს. წელს გაუთიბავთ ყანა, რომ რვაას-ცხრაასი კოდი მომივიდოდა ანეული.

თქვენ რომ ჯიზიყს ბძანდებოდი მუცალის სანახავად, მე რომ საერისთოს წაველ, ციხეში მიმჯდომოდენ ექვს[ს] თავი გასტეხოდა და ერთი ისევ ავათ არის, რომ კვდება. ეგენი ორმოცდათორმეტი ყოფილიყო. მე და გივი საერისთოს გახლდით და ქაიხოსრო თქვენ გახლდათ ჯიზიყსა, შინ არც ერთი დავესწარით, რომ ეს ჩხუბი მოსლოდათ.

ღმერთი თქვენს მეფობას განაძლიერებს პატიოსანს და გამოჩენილს შვილებს ნუ დაგიხოცს, რისაც ღირსი თქვენს სამართალში

[1] ავმართვე.

ვიყო, ის სამართალი მაღირსე, სამივ მამა-შვილნი აქ გახლავართ. თუ თქვენს დოვლათს უჯობს, ჩემი თავი და ოჯახი თქვენის ჰირის სანაცლონი ეყვნეთ, ნება თქვენია. მოგეხსენება იმის მეტი რაღაც მამული დამრჩომია. იანვრის კ, ქორონიკონს უჲა.

ქ. გაშველებას გევედრებით. ამ მამულის მიჯნა: ზემოთი შვინდიანის გზა რომ გავა მატნის ჯევამდი, მახატლის მიწის ბოლოს ძველი ნაშარობი მატნის ციხე[მ]დი. ამის გაყოფას გევედრები ფშაველებთან.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ამ არზით რომ მოუხსენებია, ამისი ასე გვიბძანებია: გასულ ფებერვლამდის ვადა დაგვიდვია ფშაველთათვის, რომ რაც ნეტარხსენებულთ ჩვენს მამა-ბიძათაგან მიცემული წიგნი ჭონდესთ მარილისზედ[1], ჩვენ ჭალაჭს ვიყვნეთ, ქართლში ვიყვნეთ თუ კახეთში, ის წიგნები იქ უნდა მოგვიტანონ და გვაჩვენონ. მანამდის ნახევარი მარილისი სალთხუცეს გრიგოლსა და იმის შვილებს უნდა ეჭიროსთ. და ღმრთით რომ ამ ვადაზედ იმ წიგნებს მოგვიტანენ, როგორც იმ წიგნებში აცხადებს, იმრიგად განურჩევთ. იანერის კა, ქორონიკონს უჲა.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

231. არზა იოსებ გლურჯიძისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1773 წ. 5 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2891. დედანი. ქაღალდი. 19,8×11,6 სმ. მხედრული. ალაგ-ალაგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს გლურჯიძე იოსებს.

შარშან თქვენ რომ გორს ბძანდებოდით, იმ ჟამად ელიზბარ მოლარეთუხუცესს ხიზანი თავის მოყვრისას ერედვსა ჰყუანდა. მიბძანა: თან მიახელ, ერედვიდამ ხიზანი გორს მინდა მოვასხაო. ვიახელ თანა, მე იქ ვახლდი. მოლარეთხუცის ყმისას ერთი ჯავახი კაცი იყო, ვალსა სთხოვდა. ერთი წელიწადი იქ იყო ეს ჯავახი კაცი თურმე. ამ ჯავახმა ჩემი ბიჭები შეაგულიანა და ორი

[1] + მიცემული.

მოლარეთხუცის ცხენი და ერთი ჩემი ცხენი მოიტაცეს და წა[ა]სხეს. მეორე დღეს ჩემს ბიძაშვილს შეეტყო, გამოსდგომიყო, ის ბიჭებიც მოესხა და ცხენებიცა. სხუა რომ არ მქონდა რა, ჩვენს ბიძაშვილს თავის გასამრჯელოში ორი დღის დათესილი ყანა მიეცი.

მოლარეთ-ხუცესს ჩემგან რაღაც შესწყინდა, მოსულიყო, დივანბეგთან მიჩივლა: იმის კაცმა ცხენები დამტაცაო. იას[ა]ული მომგვარა, ორი თუმანი სამდივანბეგო, საიას[ა]ულო გამომართვეს და მოლარეთხუცესი თავის ორ ცხენს შვიდეულად თოთხმეტს ცხენსა მთხოვს.

მოგეხსენებათ ჩემი გლახაკობა, ერთი ცხენის მოცემაც არ შემიძლია. ის ჯავახიც, რომელმაც ჩემი ბიჭი შეაგულიანა და ცხენებიც დაიტაცა, მაგას ახლავს და აქ არის, და ის ჩემი ბიჭიც რომ გაიქცა, აქ არის. სამართალი გვაღირსედ, ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის **დ,** ქორონიკონს **უძა.**

ი ვ ა ნ ე ა ბ ა შ ი ძ ი ს ჯელით არზა მოგართვით, პასუხი არ მეღირსა.

კიდეზე

ქ. ზაზა ყორიასაულბაშო! ესენი მდივანბეგებთან სამართალში ალაპარაკე. მარტის **ე,** ქორონიკონს **უძა.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

verso-ზე დატოვებულია ცარიელი ადგილი 7—8 სტრიქონისათვის.

ორი ბეჭედი:

1. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჭომი(?) ღმერთგანცაა(?), ი ო ა ნ ე, 1748
2. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ.

232. არზა ბერა თოთაშვილისა ყმოგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1773 წ. 2 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9511. დედანი. ქაღალდი. 16,8×10,5 სმ. მხედრული. **განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია** ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ჭირი მოსცეს თიანელს თ ო თ ა შ ვ ი ლ ს ბ ე რ ა ს.

მერე ამას მოვახსენებთ: მამაჩემი თქვენს სახასოში იდგა; მამაჩემი რომ თქვენი ჭირის სანაცლო შეიქნა, პატარა გახლდი; გ რ ი გ ო ლ სალთხუცესმა მამკიდა ჯელი. შარშან თქვენ არზა მოგართვი და სალთხუცეს[ს] ჯელი ააღებინეთ, განაჩენიც მიბოძეთ, ეს განაჩენი დ ი მ ი ტ რ ი ს დედამ გამომართო, აღარ მამცა და ყმათაც დამიჭირა.

მამის ჩემის წიგნები გამოჩნდა, სახასო ვყოფილვართ; ლაშქარს მივიდოდი და მოლარეთხუცესმა წიგნები ნახა, რომ თქვენი სახასო ვყოფილვართ; დამაბრუნა, წადი ზვარი იმუშავეო, მაშულს მოგცემ, დიმიტრის დედას შენთან რა საქმე აქ[ვ]სო.

ეს დიმიტრის დედამ შეიტყო, უღელი ჯარი მყვანდა, წამართო. მე თქვენი ყმა გახლავარ, თავადიშვილის ყმობა არ შემიძლია, ნუ მიბძცემთ, თქვენად გასამარჯვებლად. მარტის **კგ,** ქორონიკონს **უძა.**

წიგნები აქაც გაქვსთ, რომ თქვენი ყმა გახლავართ.

თავში

ქ. ამ არზის პატრონი დ ი მ ი ტ რ ი ჩ ო ლ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ს ყმა არის, როგორც ბატონყმობის რიგი არის, ისე უნდა ემსახუროს. აპრილის **ბ,** ქორონიკონს **უძა.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

233. არზა ჩრდილელისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1773 წ. 25 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5616. დედანი. ქაღალდი. 20,5×13,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბედნიარის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს ფერჯთ მიწა-მტვერთა ჩ რ დ ი ლ ე ლ ს ა.

ახლა ამას გევედრები თქვენს ყოვლად მოწყალებასა, რომ უსარჩოო გახლავარ და თქვენის მოწყალებისაგან ვითხოვ, რომ ა რ ა გ ვ ზ ე დ წ ი კ ლ ა უ რ ი ს მამული არის ბეითალმნათა[1]; და გევედრები, ჩვენო ჯელმწიფევ, რომ თქვენის წყალობით ჩვენც ბინა მოვიკიდოთ და თქვენის წყალობით ვიცხოვროთ.

და თქვენს უმაღლესობასაც მოეხსენება, რომ ჩვენის მამულისაგან მოშორებული გახლავართ და არაგვზედ საზრდო არა გვაქვს რა. აგების თქვენის წყალობითა ჩვენც ერთ[ი] ლუკმა პური შავჭამოთ[2] და ყოველთვის თქვენის შვილების სადღეგრძელოდ[3] ვცხო[ვ]რებდეთ. ღმერთი განაძლიერებს[4] თქვენ ჯელმწიფობასა, ამ მამულის წყალობა მიყავით. აპრილს **კდ,** ქორონიკონს **უძა.**

[1] ბეითანმლათა. [2] შავჭამოთ. [3] სარდღეგზელოთ. [4] განაძრიალებს.

თავში

ქ. ბატონო არაგვის მოურაო! ამ არზის პატრონს. რომ ასე მოუხსენებია, თუ ერთი წინა[ა]მღდეგი და მოდავე არავინა ყვანდეს, ეს ბეითალმანი ამას მოაბარეთ, ამისთვის გვიბოძებ[ი]ა. აპრილის **კე,** ქორონიკონს **უჲა.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ' ცხებულს, ვრეკლე.

234. არზა შიოშ საყვარელიძისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1773 წ. 1 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11058. დედანი. ქაღალდი. 20.5×6,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად სახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბატონის დედოფლის ჰირი მოსცეს მათს მიწას საყვარელიძეს შიოშს.

ამას მოვახსენებთ: მოგეხსენებათ ამ ავის დროს საქმე ქრცხინვალის გალავანს გარეთ ვყრივარ და ხიზნის დაყარგვისა გვეშინიან მუდამ. ამ წყალობას ვითხოვთ მათის უმაღლესობისაგან: ბეითალმანი სახლები უჭირამ[ს] ჩიტიაშვილსა და ცერაძესა სამ-სამისა და მამასახლის[ს] უბრძანეთ, ერთი სახლის აღგილი მე მომეცეს თქვენი წყალობა, რომ თქვენის მოწყალებით ხიზანი არ დაგვეკარგოს. და თქვენს სამსახურს არ დავაკლდეთ და თქვენი ჯელმწიფობა ვადიდოთ. მაისს **ა,** ქორონიკონს **უჲა.**

თავში

ქ. დედოფალი დარეჯან გიბძანებ ქცხილვანის მამასახლისო ბეჟან! ამას ერთი სახლის აღაგი მიეცით, რომელიც ბეითალმანი იყოს ამ ორში ერთისაგან. მაისს **ა,** ქორონიკონს **უჲა.**

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

235. არზა ზაალ გურამიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1773 წ. 6 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5023. დედანი. ქაღალდი. 17,2×16,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად სახმარია წერტილი. ოქმი ერეკლეს ხელით უნდა იყოს დაწერილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ზაალ გურამისშვილსა.

ეს კაცი რომ გორელობას და თქვენს ყმობას მოგახსენებსთ, გეედრებით იესე დივანბეგს და აქ მყოფ გორელებს თქვენი ზე აფიცეთ. თუ ეს კაცი გორელი იყოს და ან თქვენი ყმა იყოს, ეტყუეს; თუ არადა, უბრალოთ მაცოდვილებს. სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის **ვ,** ქორონიკონს **უჲა.**

გორელს ბაბალაშვილს აფიცეთ და ეს მოგახსენებსთ.

თავში

ქ. ბაბალაშვილო გიორგი და გორელებო! ღმერთს გაფიცებთ და მუჩალგასაცა გთხოვთ, რომ სწორეთ ეს კაცი გორელია, რომელსაც ეს ზაალ გურამისშვილი დაობს, თუ არა. მაისის **ვ,** ქორონიკონს **უჲა.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ვრეკლე.

verso

ქ. გიორგი ბაბალაშვილი მოგახსენებ: რაც მე გორს შამასახლისათ გხლებივარ, სიდამონიძე გორელობით არ გამოგონია. ტყვილ[ს] ვერ მოვახსენებ ჯელმწიფესა. †

ქ. თქვენ მოგეხსენებათ, ჩემი ღლენი გორთ გავზდილვარ, ამ სიდამონიძის გორელობა მე არ ვიცი.

ქ. მე, ამსარქისასშვილს, არ გამიგონია სიდამონიძე გორში, არც ვიცი. †

ქ. მე, გორელს ... შვილს ... ოვანეზს.

ქ. ამ სიდამონიძის გორელობა არც გამიგონია და არც მე ვიცი. †

236. არზა რუსთველისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1773 წ. 17 მაისი

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461. რვეული № 13. საბუთი №14. პირი. ქაღალდი. მხედრული.

მერმე ამას მოვახსენებთ თქვენს უმაღლესობას. ჩუმლაყაში, დიახ, ბევრი ბეითალმანი არის მოპარული და ქვევრებიც ბევრი არის მოპარული და დაყიდული. ქვევრი და მარანი გაწყობილი მისცემია რომ დასახლებულან ეკლესიის მამულზე. ეს კაცნი ზოგიოსეთიდამ არიან ჩამოსული და ზოგი ჯავახეთიდამ. ასე;

გაწყობილი მამულები მისცემია. ახლა უთქვენ-ბძანებოთ და ურუსთ-[3]ლოდ ქვევრები ველისციხელთათვის მიუყიდნიათ და ბეითალმნებები უთქვენ-წიგნოთ და ურუსთველის-წიგნოთ თითონ უჭირავს. თქვენ ლაშქარი და ბეგარი გაკლიათ და ეკლესიას თავისი მამული და ქვევრები აკლია, დაყიდულია.

ახლა ამას გარდა მდივანბეგებმა სამართლით ბეითალმნები ეკლესისათვის დაადებინეს ახლა ისევ თითონვე მიმძლავრეს, არც მდივანბეგის სამართალს დასდიეს და არც ეკლესიას ნაქურდალსა და ბეითალმანს აძლევენ. ახლა ჩვენ მოგახსენეთ და ნება თქვენია. აპრილის **კბ**, ქორონიკონს **უძა**.

თავში

ქ. ზაალ ზურაბისშვილო! ამათის ყმის მოურავი შენა ხარ. რასაც დროს ეს ოქმი მოგივიდეს, მაშინვე მიდი და ჩუმლაყს ვისაც უჩვენ-წიგნოთ ბეითალმანი მიემძლავრებინოს თავისის ძალით, ავათ მოეპყარ იმ კაცს და მამულიც გამოართვი.

ყამთა ვითარებისაგან შემოუღიათ ბერებსა და მოურავებს უჩვენოთ მამულის გაცემა, თორემ არასგზით არ იქნება. უჩვენოთ ვერც ეფისკოპოზი გასცემს მამულს, ვერც მოურავი. ეს ასე იცოდეთ.

და თუ ვისმე სიტყვა ქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. მაისის **იზ**, ქორონიკონს **უძა**.

237. არზა ოთარ აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1773 წ. 20 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 33. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[19] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი აფხაზისშვილს ოთარს მოსცეს.

ზაქარია მოურავის შვილი ბაგას მეცილებოდა. თქვენის მდივანბეგების განაჩენი იყო: თუ აფხაზისშვილმა შეჰფიცოს, ზაქარიას ხელი აღარა აქვსო. მოვიდა ზაქარია, მამის ჩემის ფიცს არ დასჯერდა, მე თავისის ხელით ხატი ხელთ მომცა, დამაფიცა. იქ იყო გავაზის მოურავი და იმისი მოწერილი მაქვს — დაიფიცაო. პეტრე მღვდელი იყო, გულაშვილი დემეტრე, ბებურის ყმა ბეროზაშვილი დღეს რომ ონანაშვილს უჭირავს, ამათთან შემიფიცავს, ესენი თვითან ზაქარიამ მოიყვანა, სხვანიც მრავალნი იყვნენ. ჩემი საქმე სულ განაჩენის აუღებლობით წამიხდა.

წყალობას ვითხოვ, ერთი განაჩენი მიბოძეთ, ზაქარიას იმ ბაგასთან, რომელიც გამოვიფიცე, ხელი არა ქონდეს. დაიწერა მაისის **იგ**, ქორონიკონს **უძა**.

თავში

გავაზის მოურავი დავით! ამისი ა[ღ]იღათი მოგვახსენე, დაიფიცა თუ არა. მაისის **ივ**, ქორონიკონს **უძა**.

ბატონს ამ არზის მოხსენებულის მოწმობა ებძანა ჩემთვის. მე ამას მოგახსენებთ, რომ ჯერ შვილმა შეფიცა და მასუკან მამა[მ], ორთავ ხატი ხელშიგ ეჭირათ და ისე შეფიცეს. მე, გავაზის მოურავი, ამისი მნახავი ვარ, ტყვილს ვერას მოგახსენებთ.

თავში

ჩვენი ბძანება არის! მერმე რადგან დაეფიცნათ, ამ არზის პატრონებს დარჩათ ეს ბაგა, ამათი არის სამართლით. მაისის **კ**, ქორონიკონს **უძა**.

238. არზა ადამ ყარაგოზისშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1773 წ. 22 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2552. დედანი. 17×10 სმ. ქაღალდი. მხედრული. ალაგ-ალაგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ადამ ყარაგოზისშვილსა.

იმ დღეს არზა მოგართვით დიდებაშვილისა და ოქმი გვიბოძეთ და იმ კაცის წყალობა გვიყავით. თქვენგ მეტს საქმე არაცისა ჰქონდა. ამ წყალობას გევედრებით, რომ ერთი ოქმი გვიბოძეთ ქაიხოსრო მოურავზედ, რომ ის კაცი მომაბაროს, ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის **ი**, ქორონიკონს **უძა**.

თავში

ქ. არაგვის მოურაო, თუ სიტყვა არა გაქვსთ რა, ეს კაცი დაანე-

ბეთ, დაანებეთ, დაანებეთ. მაისის **კბ**, ქორონიკონს **უჲა**, ქ. დიდებაშვილი.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

239. არზა კალაურის მოურავის დიმიტრისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 28 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1043. დედანი. ქაღალდი. 26,3×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს კალაურის მოურავს დიმიტრის.

სკრის ბეგარი რომ გებძანათ, თქვენი წყალობა სამი მსახური მყუანდა, ორი გავგზავნე და ერთი ჩემს საქმეზედ დავიჭირე. მოასილმაც მაპატია. ის ერთი მსახური ველისციხეს ჩემს საქმეზედ გავგზავნე, დაეჭირათ კალაურელთ და ცემით მოეკლათ. ახლა მე აქ გიახელ და თან წამოვიყუანე ის მსახური: მისულან და დაურბეულიათ. ჩემო კელმწიფევ! რის მოურავი ვარ, თუ ერთს კაცს ვერ დავითხოვ. აქამდინ ვინც მოურავი ყოფილა, სოფლის საქმეც იმას ჰკითხვია და დარბევაცა. ახლა სოფლის საქმე მე აღარა მეკითხება რა, მოურავიც ქევხა[1] არის და დამრბევიცა.

ამის სამართალს ვითხოვთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. ველისციხეს რომ მობძანდით, ბატონს დედოფალსაც[2] ეპატიებინა, მაგრამ არც დედოფლის[3] სიტყუა გავიდა. მაისს **იგ**, ქორონიკონს **უჲა**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის კალაურის ქევხავ! მერე ეს რა ნაკლები ს[აქ]მე და ლაყაფი მოგსვლია; ამაზე დაჯერებული იყავ, როგორც შენს ნაქევხობას ფეროდეა, ჩვენს სამსახურსაც ისე ეცადე. მოურაების რიგსასა და განწესების მოუშლელობასაც ისე ეცადე და სოფლის მოვლასაც, თორემ იცოდე, თუ ამ ბძანების წინა[ა]ღმდეგი შეიქნები და ერთი კიდევ ამისთანა ნაკლები საქმე მოგვხსენდება, გარდაგახდევინებთ და სახელოდამაც გარდაგაყენებთ. მაისის **კგ**, ქორონიკონს **უჲა**.

[1] ქევსა. [2] დიდუფალსაც. [3] დიდუფლის.

თუ ეს კაცი შენ დაგირბევინებია და ან ეს მოხსენებული მმა(?) ალია (?) ყალათი მოგსვლია, თუ ეს არზის პატრონი ტყუის და ის მოგვახსენე*.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

240. არზა შიოშ საყვარელიძისა ხარის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 29 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2562. დედანი. ქაღალდი. 20,3×10,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს შიოშ საყვარელიძეს.

ჩემი ძმა მიქელიძეს დაჭრასა და გალახვას უჩიოდა დივანბეგებთან. დივანბეგებმა ზაზა ციციშვილს უბძანეს: იესე დივანბეგთან ალაპარაკე ეს კაცნიო. ზაზამ იმას ხარი გამოართო და არცერთი სამართალში არ მიასპა.

მასუკან მიქელიძეს თქვენთვის არზა მოერთმევინა: იესე დივანბეგმა უსამართლო მიყო და ხარი წამართო. თქვენ ამილახორზედ ოქმი გებოძებინათ — ამას თავის ხარი გამოურთვიო. ამილახვარმა ღვინობის თვეში ხარი გამომართო და მისცა. და მე მითხრა: გორს ჩამოდი ზაზას ხარს გამოგირთმევ და მოგცემო. ოთხჯერ ჩაველ გორს და აღარ მომცა რა. ხარი ხარათ მაკლია და ალო ალოთ მაკლია.

ამდონი თქვენი წყალობა იყოს, რომ ერთი ოქმი და იასაული გვიბოძოთ, ზაზას ხარი გამომირთოს. მაისს **კშ**, ქორონიკონს **უჲა**.

თავში

ქ. ბატონო ამილახვარო რევაზ! ამ არზის პატრონს რომ მოუხსენებია, ეს მეტად დაგრეხილი საქმე არის. ეს თქვენ უნდა გა[ა]რიგოთ. მაისს **კთ**, ქორონიკონს **უჲა**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

* ეს წინადადება ერეკლე II-ის ხელით უნდა იყოს მიწერილი.

241. არზა ბერძანე წინამძღვრისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1773 წ. 2 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 2054. პირი. ქაღალდი. მხედრული. იხ. განჩინება ამ საქმეზე (ქართ. სამართ. ძეგლები, IV, №№ 506 და 507).

ქ. ღმერთმან უკეთილმსახურესის და უმაღლესის მეფის ჰირი მოსცეს მათს მლოცველს წინამძღუარს გერმანეს.

მერე ჩობახურის საქმე რომ დარჩა, თუ თქვენი სიმაღლე ინებებს, ამ წყალობას ვითხოვთ: სამს თავადისშვილს უბძანოთ, რომელსაც თქუენ ინებებთ, რომ მათ გამოიძიონ და ღმრთის წინაშე სამართალი გვიყონ, თუ ამ ხელად ინებებდეთ. და თუ არადა, ნებისაებრ თქუენისა იყავნ. ივლისის ბ, ქორონიკონს უკა.

თავში

ჩვენი ბძანება არის ბეჟან ყორჩიბაშიშვილო და როსებაშვილო[1]. მერე დავით-გარეჯის წინამძღუარი ვისაც ამ არზით უჩიოდეს, ზედმიწევნით გამოიკულიეთ, მდივანბეგს რამაზთან მიიყუანეთ და ღმრთის წინაშე სამართალი მისცეს.

242. არზა ზაალ დავითიშვილისა ამის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1773 წ. 7 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 521. დედანი. ქაღალდი. 20×16.3 სმ. მხედრული. გახკვეთილობის ნაშნად ყოველი აიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი დავითიშვილს ზაალს მოსცეს. მერე ამას მოვახსენებ ბედნიერს ხემწიფეს. ჟამი არ იყო მოხსენებისა და საჩივრისა, მაგრამ ერთი ძირი აზნაურშვილი მეკარგება. ერისთვიენი იყრებიან, ზარდიაშვილი ჩემი არის; უწინ მოვახსენე თქვენს სიმაღლესა და ასე მებძანა: როდესაც სწორეს გაყრაზე დადგენო, მაშინ მოგვახსენე და სამართალს გიბოძებთო; ამ ბძანების ოქმიცა მაქვს უჯათითა.

ახლა იყრებიან. ამას ვეველრები თქვენს მოწყალებას, რომ იმას ნუ ჩა[ა]გდებენ თქვენს სამართლამდინ, არას კაცს საქმე არა აქვს რა. ან თქვენ უნდა მედაოთ და გამამართვათ ან ამილახვარიენთ, თორამ სხვას კაცს საქმე არაეის აქვს.

ერთი ოქმი მიბოძეთ მდივანბეგებზე, ნუ ჩააგდებენ; თუ ჩაეგდოსთ, მოშალონ თავისის კაციანად, რაც კაც[ი] ჩემის მამულიდამ მოყოლოდა; ეს თქვენ წინ გვალაპარაკეთ და რაც სამართალმა მამცეს, ისე მისაჯეთ, ღმერთი გაგიმარჯვებსთ. აგვისტოს ზ, ქორონიკონს უკა.

თავში

ქ. უფალო მსაჯულნო! ზაალ ასე ჩივის და ნუ გაუყოფთ ზარდიაშვილსა; ილაპარაკონ და რომელიც სამართლით დარჩებათ, მერმეც მოესწრებიან; თუ არ ჩაეგდოსთ. ჯერ ნუ ჩააგდებენ; თუ ჩაეგდოსთ და კიდევ სამართალს მოუცადონ. ჩივის, თუ სამართალს არ მივცემთ. სომ არ იქნება. აგვისტოს ზ, ქორონიკონს უკა.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ბრეკლე.

243. არზა ლუარსაბ ონანიშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 19 აგვისტო

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1145. დედანი. ქაღალდი. 30,8×14,1 სმ. მხედრული. გახკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ჰირი მოსცეს მათს ბანდას ლუარსაბ ონანაშვილს.

მერმე ამას მოგახსენებთ: ჩემი ყმები ამისულაშვილები ვიყვნით საჩივრად წამოვიდნენ. ეს კაცნი სამოყალნეოს საქმეში აღარას დამდევენ და [ა]ღარც არას მაძლევენ—არც მიხვნენ, არც მილეწენ, არც კოდისპურს მაძლევენ, არც კულუხს. თუ ვსთხოვ რასმე, ასე მეტყვიან: არა მაძევს რაო, ონიანიშვილმა გამააზატაო. ამის სახლის კაცებ[ი] ისევ სამოყალნეოს საქმეში მემსახურებიან მამით, პაპით მოყალნე არის.

[1] როსებაშვილო.

თუ რომ თქვენი ნებაც არის, მე ოღიანიშვილისაგან გა[ა]ზატებულს კაცს ვეღარ გავა[ა]ზატებ; რომელიც თქვენი ნება იყოს, მიბძანეთ და ისე ვიმსახურებ. მე ვმუშაობდე, ეგ თავს მადგეს.

ახლა ნება თქვენი[ა]. ამ ხუთს წელიწადში რა მამცემია მაგისგან, მოკითხული ქენით. მარიამობისთვის **ივ,** ქორონიკონს **უძა.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! მერმე ოღიანისშვილები შენი სახლის კაცები არ იყვნენ და ნათესავები. იმათგან შენი ყმა არ გა[ა]ზატდება; და ჩვენზედ არა ქონიათ რა ერთი რამ ნამსახური და ქვეყანაზედ, რომ ჩვენ გაგვეზატებინა. და როგორც ამათი სხვა სახლის კაცები გემსახურებოდნენ, ესენიც ისე იმსახურე. მაგრამ ჯაბრი და უსამართლო კი არა იყო რა. კარგათ, სამართლიანათ იმსახურე. აგვისტოს **ით,** ქორონიკონს **უძა.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

244. არზა ზურაბა ხუდადაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1773 წ. 2 ოქტომბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 46. საბუთი № 51. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[31 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს გორელს, პატრიარქის ყმას, ხ უ დ ა დ ა შ ვ ი ლ ს ზ უ რ ა ბ ა ს.

მერე ამას მოვახსენებთ. ბ ე ბ ნ ი ს [ს] ნასყიდი მამულები მაქვს. აგერ ათი წელიწადი არის თქვენთან ვჩივი და ორი ოქმი[1] ამიღია; თქვენს ოქმში[2] ს ვ ი მ ო ნ ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი იყო იასაული და პატრიარქისაში — გ ი ო რ გ ი ქ ა რ ს ი ძ ე. ოქმში[2] ასრე იყო: ან როგორც ოთხმა სულიანმა კაცმა დააფასოს, ისე მროველმა დაიხსნასო და ან თავისი მამულები დაანებოსო. ვისგანაც მამულები მიყიდია, იმათაც იასაულთან წიგნი მამცეს: ჩვენ დახსნა არ შეგვიძლიაო, თავისი ნასყიდი მამული დაგვინებებიაო. მროველი და მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი არ მანებებენ. აგერ ათი წელიწადია ჩემს ნასყიდს მამულს ისინი სჭამენ. იმდენი თქვენი წყალობა იყოს ერთი ოქმის წყალობა მიყოთ, რომ ჩემი მამული მე დამნებდეს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. სეკდემბერს **კზ,** ქორონიკონს **უძა.**

[1] ჰუქმი. [2] ჰუქმში.

თავში

ყოვლად სამღუდელოვ უფალო მ რ ო ვ ე ლ ო და ქ ა ი ხ ო სრო ს ა ლ თ ხ უ ც ე ს ო! ამ არზით რომ ჩივის, ან თავისი მამული და[ა]ნებეთ, რაც ნასყიდი ქონდესთ; ან არადა, თავისი ფასი მოეცით. ამაზედ ჩვენთან ნუღარ ალაპარაკებთ. ეს ახლავ უნდა გაურიგოთ. ოკდომბრის **ბ,** ქორონიკონს **უძა.**

თუ ამაში სიტყვა ვისმე ქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს.

245. არზა იასე ფალვენისშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1773 წ. 4 ნოემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 205. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[135 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათი წყალობით აღ[ზრ]დილს ფ ა ლ ვ ე ნ ი ს შ ვ ი ლ ს ი ა ს ე ს და თ ე ი მ უ რ ა ზ ს.

მერე ამას მოვახსენებ თქვენს სიმაღლეს. ჩვენ და ჯ უ ლ ა ბ ა ს შ ვ ი ლ ი შ ე რ თ უ ლ ზ ე რომ ვდავობდით[1], მაშინვე თქვენთან ორთავ პირობა ასე დავდევით: რომელიც გამტყუნებულიყო, შერთული წიგნები უნდა გამორთმეოდა.

ახლა თქვენის დოვლათით ჯულაბაშვილი გამტყუნდა და ამ მოწყალებას ვითხოვ, იმ წიგნების წართმევის წყალობა დამემართოს შენათ გასამარჯვებლათ. გიორგობისთვის **ბ,** ქორონიკონს **უძა.**

თავში

ყორიასაულბაშო ზ ა ზ ა ვ! ერთი იასაული დააყენე, ეს წიგნი გამოურთვას და მოსცეს. გიორგობისთვის **დ,** ქორონიკონს **უძა.**

[1] დეეობდით.

246. არზა ზიო ბუაჩიძისა და დუჩიძისა ამოგბის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1773 წ. 22 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 406. დედანი. ქაღალდი. 26,3×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს ბუაჩიძეს შიოსა და დუჩიძეს.

ამას მოგახსენებთ. ამას წინათ ჩემს ძმას პეტრეს არზა მოერთმია და ოქმი გებოძათ. თქვენის ოქმით მოვსულვართ რუსეთიდამა თქვენს საფარველს ქვეშ. თქვენგან მოწყალებას ვითხოვთ, რომ თაქთაქისშვილს ჩვენთან კელი არა ჰქონდეს, არც სხვასა თქვენს მეტსა.

უფლისციხეს ჩემი ძმა დაკარგულა; თქვენის დოვლათით ვცდილობთ, რომ ისიც დავიხსნა, თქვენს საფარველს ქვეშ ვიმყოფოთ. სხვას ტყვესაც თქვენგან წყალობა აქვს, რომ თავის მებატონეს საქმე აღარა აქვს. ჩვენც მოწყალებას ვითხოვთ, რომ თქვენს სახაზო ყმად ვიყ[ვ]ნეთ, თქვენი ძის ლევანის გასამარჯვებლად. აღიწერა ნოენბერს **იბ**, ქორონიკონს **უეა**.

თაუში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ამ არზის პატრონი ტყვეობიდამ გოსულა არის. ამასთან სხვას კაცს საქმე არავისა აქვს. ჩვენი ყმა არის. თავის მებატონეს ამასთან საქმე არა აქვს.

ხურო-ფეიქარო გიორგი! ამ არზის პატრონი შენთვია მოგვიბარებია, შენ გებარებოდეს. თუ თავის მამულზე კელი აიღო, ჩვენს მეტს კაცს კელი არავისა აქვს. და თუ თავის მამულზე კელი არ აიღო, თავის ბატონს ვერ წაუა. გიორგობისთვის **კბ**, ქორონიკონს **უეა**.

თავის ბატონს თუ სიტყვა ჰქონდეს, მოვიდეს და მოგვახსენოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

247. არზა გოგია თუმანიშვილისა გამოსაღების თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1773 წ. 7 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 182. დედანი. ქაღალდი. 20,5×11,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს თუმანიშვილის ბეჟანის ობოლს გოგიას.

ერთი წლისა გახლდი, რომ მამა მომიკუდა. ახლა ათის წლისა ვარ. აქამდისინ ჩემი ყმები მინახევდნენ, ჩემის მამულის ღალა და კულუხი მოჰქონდათ, იმითი ვრჩებოდი. ახლა ეს მესამე მოსავალია, რომ ჩემი ყმები ყურს აღარ მიგდებენ და ჩემთვის აღარა მაქვს რა, სხვის სამადლო ლუკმაზედ ვგდივარ.

ამ მოწყალებას გევედრებით: ერთი ასეთი ოქმი გვიბოძეთ, როგორც აქამდისინ უმსახურნიათ ჩემს ყმებს, კიდეც ისე მემსახურნენ, რომ ყოველი ობოლი თქვენის წყალობით იზრდება, მეც თქვენის წყალობით გავიზარდო. ღმერთი გაგიმარჯვებს. იენისს **კ**, ქორონიკონს **უეა**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ვინცავინ ამ არზის პატრონის ყმანი ხართ, როგორც აქამდისინ ღალა და კულუხი გეძლიოსთ და გემსახურნოსთ, ახლაც ისე მსახურეთ და ღალა და კულუხი აძლიეთ, მარტებულს საწსახურს ხურას დააკლებთ, თორემ ეს იცოდეთ, თუ ობლობით ამას თავისი მართებული დააკელით, ჩვენად შეცოდებათ გაითხვათ. დეკემბერს **ზ**, ქორონიკონს **უეა**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ირეკლე.

248. არზა ბარალეთელი გლეხებისა გამოსაღების თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 28 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 414. დედანი. ქაღალდი. 22,7×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი თქვენს ყმას ბარალეთიდამ მოსხმულს ღვინიას, გოგიასა, გლახასა, ბეროას, ნასყიდას, ივანეს და მამასახლისი[ს]შვილა გიორგის მოსცეს.

მერმე აბას მოვახსენებთ: თქვენ რომ ასპინძას გაიმარჯვეთ, ჩვენ ბარალეთიდამ ექვსი კომლი ავიყარენით და აქ გიახელით. თქვენი ბძანება იყო, რომ ხიდისთავს უნდა [ვ]ყოფილიყავით. ხიდისთავი ხომ მტრისაგან წახდა, ახლა სამი კომლი სასირეთს გახლავართ, ორი კომლი მეტეხს, ერთი კომლი ხანდაგს გახლავართ. ჩვენის უბედურობითა ასე დავიფანტენით. და საცა ვდგავართ, ყველგან ძალას და უსამართლოს გვიშვრებიან, თა-

ციანთ ნემკვიდრესთანა ჭირს გვაწვევინებენ. თქვენი ყმანი გახლავართ, ურჯულოს ქვეყნიდამ გამოგვიხსენით, ამ ქვეყანაში მოგვასხით, ლამის მიორეთ საურჯულოთ გაგვხადონ.

თქვენად გასამარჯვებლად და თქვენის შვილების სადღეგრძელოდ ერთს ადგილში. ქართლში იყოს თუ კახეთში, დაგვაყენეთ, რომ ან თქვენი სამსახური შევიძლოთ ან ჩვენი თავი შევინახოთ. ჩვენ ჩვენის ნებით ზემო ხოდაშენს გვინდა დგომა და რომელიც თქვენი ნება არის, ის უნდა აღსრულდეს.

ახლაც სურსათსა გვთხოვენ თეთრსაცა და ლაშქარსაც, იასაულა გვადგა და გვთხოვენ და ნება თქვენია, ჩვენო მოწყალევ. იანვრის კგ, ქორონიკონს უიბ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ამათ ნურავინ სოფლის მეპატრონე და მოკელე ნურავინ აწუხებთ და ხურც იასაული ამ სამს წლამდინ მორიგობის ერთის თვის მეტის ლაშქრობ[ი]ს გარდა სხვას საქმეში ნურაში გარეკათ, თაარე გიწყენთ იცოდეთ, იანვრის კგ. ქორონიკონს უიბ.

ბეჭედი: ქხარს მიცემს, დავით მოკმობს ძენ კახეთის მეფეთ ცხებულს, ერეკლე.

249. არზა ლუარსაბ ოღიანაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 28 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 213. დეფანი. ქაღალდი. 16×11.8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს ოღიანაშვილს ლუარსამს.

მერმე ამას მოუახსენებ მათს უმაღლესობას. ერთი გლეხიკაცის სასახლე შუა გაჭრილია ჩემის ეზისა და ფრიდონაშვილს რაზიას უჭირავს და არ მანებებს, ოღიანიშვილმა მომცალ. ჩემი მოხსენება ეს არის, რომ საცა ოღიანიშვილს ლოთობით ჩემი მამული გაუცია, მე იმას არავის დავანებებ. თუ თქვენი ნება არის, გვევედრებით, ჩენი მამული მომეცეს. და თუ რამ სიტყვა აქვს, მოგახსენოს. იანვრის კმ, ქორონიკონს უიბ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ონანაშვილო ლუარსამ! მერმე ჩვენ ოღიანაშვილს მამულს არ გავაცემინებთ. შენი მამული შენვე გამოარკვიე. ფრიდონაშვილს თუ ერთი სხვა რამ სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს და პასუხს მივსცემთ. იანვრის კმ, ქორონიკონს უიბ.

ბეჭედი: ქხარს მიცემს, დავით მოკმობს ძენ კახეთის მეფეთ ცხებულს, ერეკლე.

250. არზა სვიმონ დეკანოზისა გიორგი გატონიშვილის ოქმით

1774 წ. 1 თებერვალი

საქართველოს ეროვნული არქივი. Hd 10737. დეფანი. ქაღალდი. 24×17.2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩ[ვე]ნთვის ყოვლად მოწყალის კელმწიფის ბატონიშვილის გიორგის ჭირი მოსცეს მათს ჟამ ყოველ კელმწყრობით მლოცველს წმიდის ევსტათის დეკანოზს სვიმონს.

მერე ამას მოგახსენებთ: ქვემო ნიქოზს წმიდას ევსტათის ერთი კომლი კაცი ყვანდა და ამოუწყდა. ეს ერთო ობოლი ბიჭი ცოცხა, თქვენის წყალობით თარხანი ყოფილა. ახლაც გევედრებით, ერთი ოქმი უბოძოთ ამილახვარზედ, თვალი და ყური ეჭიროს, რომ არავინ რა თხოვნა დაუწყოს, ეს ბიჭი არ დაეკარგოს წმიდას ევსტათისა; ღმერთი თქვენს შვილებს ვან[ა]ძლიერებს, თვარემ ის მამული სულ დამეკარგება.

ბატონი აქ მეტეხს ბძანდებოდა, ამ ბიჭმა ველარ ჩამოუწყრა და ახლა თქვენ საფარველს მოატანა. გევედრებით, ამილახვარზედ ერთი ოქმი უბოძოთ, რომ თვალი ეჭიროს. აღწერა იანვარს გაასულს, ქორონიკონს უიბ.

თავში

ქ. ბატონო ამილახვარო! მერე ამ წმინდის ესტატის დეკანოზს რომ მოუხსენებ[ია], ქვემო ნიქოზს წმიდის ევსტატის ყმა არის, იმაზედ თვალყური უნდა დაიჭიროთ და საათხოვრით არ შეაწუხოთ, რომ ეს კაცი არ დაეკარგოს. ფებერვლის ა, ქორონიკონს უიბ.

251. არზა ჯაჰაჩიშვილების ძიებისა სამსახურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 22 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14789. ღედანი. ქაღალდი. 28×12.5 სმ. მხედრული. გახვეთილობის ნიშანი სახვარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ჭირი მოსცეს ერთობ საჯავახიანოს კაცთ ჯაჯახისშვილების ყმებმა.

რაც საჯავახიანოს კაცნი ვართ, სულ აქა ვხლებივართ, თუ ქელმწიფე ბრას გვიშველის, ეს არის დაკარგვის გზაზედა ვდგევართ. ღმერთმან განგაძლიეროსთ, ქელმწიფე ბძანდებით, რაც თქვენ ყმას თქვენი სამსახური აქვსთ, მეტობით არ იმსახურებთ; ისრე კიდევ რაც თავადისშვილს და აზნაურშვილს ყმა ჰყავს, რაც ძველთაგან არ აძევს სამსახური, მეტობით ვერ იმსახურებენ.

მაგრამ ჩვენ ჩვენის ბატონებისაგან შეწუხება რომელი ერთი ბოგახსენოთ. წლის წლამდინ მუდამდღე ისინი გვიმსახურებენ ჯარით და კაცით, რომ თვე გაივლის, რომ ერთს დღეს ჩქენთვის ვერ ვიმუშავებთ.

ახლა თითო ძმანი აქ მორიგეთ გახლავართ და ჩვენს ძმას იქ ისინი იმსახურებენ. ამ გზით ან თქვენი სამსახური რითი შევიძლოთ და ან ჩვენი საბრალო ხიზანი რამ დაარჩინოს.

სულ აქ გხლებივართ. ერთი თქვენს წინ გვალაპარაკეთ და ჩვენი შეწუხება მოიხსენეთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის **კბ**, ქორონიკონს **უჟბ**.

თაეში

ქ. ჩვენ მაგიერად ჯაჯახიშვილებს ასე ეამბეთ. ამ არზით ეს კაცნი რომ ასე ჩივიან, თქვენი ყმანი არიან, ღმერთმა მოგახმაროსთ, მაგრამ[1] რომელიც ამათი დებეულობა არ არის და ძრა სდებიხთ, იმას გარდა თუ მეტი რამ მოიხდომეთ, ჩვენგან ეოსაკითხავი იქნება. ამათ სამართლიანის საქმით მოექეცით, თორემ თუ კიდევ ამათ ჩვენთან ეიჩივლესთ, იცოდეთ რომ გიწყენთ. მარტის **კთ**, ქორონიკონს **უჟბ**.

თუ ეიენი თქვენს ბატონყმობაზე იმტყუნებენ, მოგვახსენეთ და გარდავახდევინებთ.

ბეჭედი: ქსარს მიცემს, დაეით მოკმობს ძენ ქახეთის მეფეს ცხებულს, ერეკლე.

[1] მაგრამ.

252. არზა დიმიტრი ჯაფლანიშვილისა ძმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 30 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11531. ბრძ. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ქელმწიფის ჭირი მათს მიწას დიმიტრი ყაფლანიშვილს მოსცეს.

მერე ამას მოეახსენებს: ერთი ჩენი ყმა გერიძე სეთას ერისთვის და იასეს ერისთვის შვილის მამულის გახლავსთ. იმ ჩემს ყმას ჩემ[მ]ა ბიძაშვილმა[1] ზა[ა]ლ ცა არაფერი არა მოუსვენარა – ხან დაეჭირა, ხან აეკლო. ამას წინადაც ასედ მოეყრობოდა. ქედა შუა შემოსულიყვნენ და აღარ გამოერევა.

ახლა ამას ვევედრები თქვენს მოწყალებას, რომ ერთი ოქმის წყალობა ნიყოთ, რომ ერისთაეშა[2] და იასე ერისთვის შვილმა ამ ჩენის კაცის სახლკარი და საბძელი დამახებონ[3], რომ დავაქციო და იქაც ჩიოვარეფისკოპოზის მამულზედ...* იქ დავაყენო. ეგება თქვენია ძიწყალებით არ ი[დამეკარგოს]. ხომ მოგეხსენებათ ავი დრო არის, სე-ტყეს ვერსად იშოვნის, ღმერთი გაგიმარჯვებს, ამის მოწყალება ჯაეიროსეთ. მარტს **კთ**, ქორონიკონს **უჟბ**.

თაეში

ჩვენ მაგიერად ერისთავს გიორგის და ერისთვის ძმას იასეს ასე უამბეთ. მერმე ამ არზით ყაფლანიშვილს დიმიტრის რომ ასე მოუხსენებია, ამ კაცს თავისი სახლკარი და საბძელი დაახვებეთ. სადაც უნდოდეს, იქ წაიღოს, არა იქნება რა. მარტის **ლ**, ქორონიკონს **უჟბ**.

253. არზა აივაზალუს მსახლოგელთა რუს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 2 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14298. ღედანი. ქაღალდი. 19×15 სმ. მხედრული. ყოველ სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს აივაზალუშ ი მსახლობელებსა.

[1] მიიაშვილმა. [2] ერისთომა. [3] ღაგანებონ.

* ერთი სიტყვა არ იკითხება.

მერმე ამას მოვახსენებთ: მოგეხსენებათ, იქიურს რუზე რა ჭირნახული გავწიეთ. შულავრელთ წყალ[ი] მოიტანეს და [ჩ]ენს რუში ჩაუშვეს, ღვარისა ქვიშითა და მიწით ა[ა]ვსეს. ორი ხიდი იდვა, რომ იმით საქონელი ზედა გადიოდა, ისიც და[ა]ქციეს. ასე აოხრებული გვაქვს ჩვენი რუ. მოსავალი მოურწყავი დაგვრჩა.

ამ წყალობას ვითხოვთ: რაც თავიანთ სისწორს წამხდარი რუ არის და ხიდები წამხდარი, ის იმათვე გა[ა]კეთონ. ღმერთი გაგიმარჯვებთ, ამაზე წყალობა გვაღირსეთ. აღიწერა მარტის **ლ.** ქორონიკონს **უჟბ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო გოგიავ. ამას წინ[ა]თ აივაზალუს არზზედ თავეთის სანგრის წინ შულავრელთ როგორც ბოგირი გადებული ჰქონებოდესთ, ახლაც ორი ბოგირი გაა[დ]ებინე, რომ საქონელი იმაზედ ატარონ. და რაც თავეთის სანგრის გატანებამდის რუს გაკეთება და გაწმენდა უნდეს, ისიც შულავრელთ გააკეთებინე და გა[ა]წმენდინე და ყადაღაც უყავი. ამას იქით აღარ წაახდინონ, თორემ ჩვენად შეცოდებათ ვიკითხავთ. აპრილის **ბ,** ქორონიკონს **უჟბ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

verso

ქ. აღაჯანასი ქერი თაღასი ბ.

254. არზა პაატა მეითარის შვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 4 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14557. დედანი. ქაღალდი. 16×8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიარის ხემწიფის ჰირი მოსცეს პა[ა]ტა მეითარის შვილს.

ახლა ამას მოვახსენებთ: ერისთიანი იყრებიან, ჩემი ნასყიდი კაცი ყავთ გელია ხიზანა.

თქვენს სიმაღლეს ვეუბედრები: ჩემს კაცს ნუ გაიყოფენ, ერთი ოქმის წყალობა მიყავით დივანბეგებზე, სამართალს მაღირსონ, ღმერთი გაგიმარჯვებს. აღიწერა აპრილის სამს ქორონიკონს **უჟბ.**

თავში

უფალო მსაჯულნო! ამ არზის პატრონს და ამის მოდავეს სამართალი თქვენ უსაჯეთ. აპრილის **დ,** ქორონიკონს **უჟბ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

255. არზა აბრამაში შვილის დახსნის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 7 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9758. დედანი. ქაღალდი. 16,5×10 სმ. მხედრული. ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს იარალი ეშიქათბაშის ყმას ირაკლის ციხის იობ მღვდლის ძმას აბრამას.

ამ ჯორაციელში წავკისს შვილი დამეკარგა. ფ[ა]რე[შ]თხუცის პირით მოგახსენეთ და იმედი მიბძანეთ, გამიჩინე და ღ[მერ]თი მოწყალე არისო. ახლა ფეხის ქირა მიეცი, გავგზავნე; და ბელაქანში განჯელს სომეხს დაუხსნია ათ თუმნათ, და არ ვიცი, თუ ჰხლა როგორ მამცემს.

მრავლის მოწყალე ბძანდებით. გეუბედრებით და მუხლთ გეხვევით, კაცი დავბერებულვარ და იმის მაყურებელი ვარ. ბატონის ჩემისაგანაც ბძანება მაქვს, ვინც დაიხსნას, იმისი იყოს, მე ჯელი აღარა მაქვსო. მოწყალება მაღირსეთ, რომ თქვენის წყალობით შვილი დავიხსნა და თქვენი ყმა შეიქნება, თქვენის შვილების სადღეგრძელოთ. მარტის **იდ,** ქორონიკონს **უჟბ.**

თავში

ქ. გლახავ ნათლისშვილო, ამ არზის პატრონს რადგანტყვე სახსრად გამოსჩენია, თბილელის თეთრიდამ იმის სასულიეროთ ოხუთმეტი მინალთუნი მიეც. აპრილის **ზ,** ქორონიკონს **უჟბ.**

მართალი კი შეიტყვე, მართლა ტყვე ყავს დასახსნელი, თუ არა.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

verso

ამ ყაბზის სრულათ[1] მაძებარა ოქროთ მე, იობ მღდელს.[2] †

ქ. იობ მღუდლის ყაბზი ჯამი ჳჯ (ერთი თუმანი და ხუთი მინალთუნი).

256. არზა ზაზა მაჩაბლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 18 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8699. დედანი. ქაღალდი. 16,4×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია მძიმე, ერთი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ბაადურის შვილს ზაზა მაჩაბელს.

ვარიანს ურჯომელასშვილის მამული რომ ჩემს ბარათში ნარგებია, ალა ბაბას უჭირავს უსამართლობით, მკვიდრი ჩემია და ბარათიც შინა მაქვს. ვარიანში თქვენი ყმაც ბევრია და სხვისაცა; მოიკითხეთ, ღმერთი და თქვენი მზე აფიცეთ და სამართალი მაღირსეთ, რომ ჩემი მამული სამართლით მე მომეცეს. ღმერთი გაგიმარჯვებს. აპრილის **იბ**, ქორონიკონს **უიბ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: თუ სიტყვა გაქვს რამ, სამართალში ალაპარაკე; თუ არა, თავისი მამული და და[ა]ნებე. აპრილის **იგ**, ქორონიკონს **უიბ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] სურულათ. [2] მღდელს.

257. არზა იოანე ხერხეულიძისა ფულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 18 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 187. დედანი. ქაღალდი. 17×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ხერხეულიძე იოანეს.

მერმე ამას მოვახსენებ მათს უმაღლესობას: ერგნეთს წყალი ქორდულის რუდამ ჰქონია. ახლა იმ წყალს დიცელები აღარ მანებებენ.

ამას გევედრებით: იესე ერისთვის ძმაზე ერთი ოქმის წყალობა მიყოთ, თუ სიტყვა არა ჰქონდესთ რა, რაც წყალი მქონდეს, ჩემი წილი მომცენ. და თუ სიტყუა რამ ჰქონდესთ, თქვენს სამართალში მომყუნენ. ღმერთი გაგიმარჯვებს. აპრილის **იბ**, ქორონიკონს **უიბ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად გიორგი ერისთავს და ერისთვის ძმას იასეს ასე უამბეთ: მერე იოანე ხერხეულიძე ამ არზით რომ ასე გიჩივისთ, როგორც ძველადგან წყალი ჰქონებოდესთ, ახლაც ისე თავთი წილი წყალი დაანებეთ, ჩვენთან ნუღარ აჩიველებთ, თორემ მწყვე გვეწყინება. აპრილის **იგ**. ქორონიკონს **უიბ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

მინაწერი: ჯელმწიფის გას[აშ]ინჯავი.

258. არზა ავთანდილ ლომინაშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 14 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1333. დედანი. ქაღალდი. 22,3×15,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი. ა მეტ-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ჭირი მოსცეს გორელს თქვენს ყმას ლომინასშვილს ავთანდილს.

ამას მოვახსენებთ: სამთოშან ნახევრის ბანბა ავიღევი ამირაღასშვილის თამაზისაგან სარგებლით. დამაწერა

თუმანი სამ შაურათ. გა[ი]არ[ა] სამიოდ წელიწადმა, ორი თუმანი სარგებელი გამამართვა. თამასუქი გამამაცვლევინა. კიდევ გაიარა ხანმა, თხუთმეტი ძველი მანეთი სარგებლათ გამამართვა. კიდევ თამასუქი გამამაცვლევინ[ა]. ამ ხანში ცოტა ხანმა გაიარ[ა], ხუთი მინალთუნი კიდევ გამამართვა. მერე ის ჩემი თამასუქი თავის მამას მისცა. მოვიდა მამ[ა], მელაპარაკა: სამთუმან ნახევარი თავნი და ხუთი მინალთუნიც სარგებელიც მამეცით. მე ნაილაჯი გავხდი, აღარ შემეძლო მიცემა. წავედით ძელიქის სამართალში. რაც მელიქმა სამართალი გვიყო, არ დაიჯერა. წავიდა, ამილახვართან მიჩივლა, დამაჭერინა, თეთრ[ი]ს ღონება დამაწყებინა.

მოკითხული ბძანოს ბედნიერმა ხემწიფემან თუ რვილის (?) პატრონი ვარ, ნაილაჯი ვარ, ერთი სახლი მაქვს. იასაულს ეუბნებოდა: სახლი გააყიდვინე, ჩემი თეთრი მამეცი.

ბედნიერს ხემწიფეს ამას ვეველრები, რომ ამდონი თეთრი ხელთ უჭირავთ, ერთი ოქმის წყალობა მიყოთ მელიქზედ, რაც ჩემი შეძლება იყოს, ის სამართალი მიყოს.

ეს არზი რომ დავწერე, მე იასაულს გავეპარე, ოსებში წაველ. თქვენი ყმა გახლავარ. ერთი სახლი მაქვს, ესეც რომ გავყიდო, თქვენ რიღათი გემსახურო; მეც უნდა დავიკარგო. თქვენი შვილების სადღეგრძელოთ ამისი სამართალი მაღირსეთ. აპრილის **ვ**, ქორონიკონს **უჲბ**.

თავში

ქ. ბატონო ამილახორო რევაზ! ამ არზის პატრონი და ამის მოადი—ორნივ სამართლიანის საქმით თქვენ გაარიგეთ. სამართალი უყავით და რაც გაუჩინოთ განაჩენი დაუწერეთ. და თუ თქვენს სამართალს არ დასჯერდნენ, ორნივ ჩვენთან გამოგზავნე; მაგ[რა]მ ჩვენი სამართალი თუ თქვენ [ს]ამართალს მიემოწმა, რომელ[საც] დაუჯერებია, იმას დიდათ გა[და]ვახდევინებთ. აპრილის **იდ**, ქორონიკონს **უჲბ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

259. არზა ათანა ბიძინაშვილისა გამოსალების თაობაზე ოქმით

1774 წ. 29 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3006. დედანი. ქაღალდი. 17×10 სმ. მხედრული. განკეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მელა[ა]ნელს პაატა მოურავის შვილის ყმას ბიძინაშვილს ათანას.

ერთი შვილი მყუანდა. შარშან უფლისციხის ომში დამეკარგა. დაეურჩით ბერი ცოლ-ქმარნი დაუმარხავნი. ოთხს ჩაფს ღვინოს სურსათსა მთხოვენ. ღმერთმან უწყის, ასე დავისეტყვენით, რომ ხეზედ მობმული ნაყოფი არ ძინახავს. ერთი ორად ვალად ამილია, სურსათი მომირთმევია და ამჯელათ ეს ღვინო მაპატიეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. აპრილის **კე**, ქორონიკონს **უჲბ**.

verso

ქ. ქაიხოსრო გიგი[მ]ურელო! ამ არზის პატრონს ბატონმა აპატია. აპრილის **კთ**, ქორონიკონს **უჲბ**[1]. ლვ

შინაწერი: ჯელმწიფის გასაშინჯავი.

260. არზა შარსაღან ნაბიჭვრისშვილის ჭვრივისა უმის თაობაზე . ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 7 მაისი

ცსსა. ჰ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461, რეული № 13. საბუთი № 51. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[38] ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ჭირი მოსცეს მათ ფეხთა მტვერსა ნაბიჭვრისშვილის შარსაღანის ქვრივსა და ობოლსა.

მერმე ამას მოვახსენებთ: ორი ობოლი დამრჩა. აქამდინ ჩემს ძმას ბერუკა ქემხასთან ვიყავით; ეს წელიწადი არის აღარც იმასთან ვარ. მწარეს სიღარიბით მირზაანში სხვათა კარე[ბ]ს გახლავართ. ერთი ჩემის დედამთილის ნასყიდი ყმა გვყვანდა. ის კაცი ჯემწიფის ჭირის სანაცვლო შეიქნა. იმ კაცს ოთხი ვაჟი დარჩა. რაც ჩემი პატრონი თქვენის ჭირის სანაცლო შაქნილა, ის ბიჭები აღარა გვეპუებიან, აღარც თავს გვიდებენ. ქოდალის ციხეში გაალავან, ზა[ა]ლ ზურაბიშვილის კედლად არიან.

ამ წყალობას ვითხოვთ რომე, ის ჩვენის კაცის შვილები სამართლით ჩემს ობლებს წყალობა დაემართოს. ეგების უპატრონობით ობლები არ დამეკარგნენ. ერთი მამამთილი მყავს, დაუძლურდა, იმასაც სხვა ინახავს სამადლოთა. აღარც თავისის თავისთვის არის,

[1] უჲბ] ღიზ.

ალარც ჩვენთვის, ბედნიერო კემწიფევ. აღიწერა მაისის **ვ**, ქორონიკონს **უჲბ**.

თაყში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო ალდემურ! ამ არზის პატრონი რომელსაც უჩივის, ის ბიჭები ახლავ ამას მოაბარე. და თუ ეს ტყუის და იმ ბიჭებთან საქმე არა აქვს რა, გადავახდევინებთ.

და თუ ბიჭებს სიტყვა ქონდეს, მოგვახსენოს. და თუ გამტყუნდნენ, დიდათ ავათ მოვეპყრობით და გადავახდევინებთ. მაისს **ზ**, ქორონიკონს **უჲბ**.

261. არზა ქრისტესია ქერაჯიტაშვილისა ყმოგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 26 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hქ 10663. დედანი. ქაღალდი. 33,7×13,5 სმ. მხედრული. აქა-იქ მძიმე და წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელეწიფის ჭირი მოსცეს ხიზიყის სიღნაღელს ჰერაპიტაშვილს ქრისტესიას.

მე მკუიდრათ კუმელი გახლავარ და სოლაღაშვილის ყმანი ყოფილვართ. პაპაჩემი კუმისიდამ აყრილა და შიბლიანში გასულა. თექვსმეტი წელიწადი შიბლიანში ყოფილა, ოქვენს მამულში გაკეთებულა. მერე პაპაჩემს მანუჩარ მეითარისათვის უთქომს: მე ხომ ბატონს ჩემს სოლაღაშვილს წამოუველო, ეც[ა]და, რომ ჩემის ფულით დამიხსნაო; და მანუჩარს პაპის ჩემის ფულით პაპაჩემი დაუხსნია და მანუჩარს სოლაღაშვილისათვის ნასყიდობის წიგნი გამოურთმევია და მაბუჩარის ჯელდებულათ ვყოფილვართ.

მერე ჟამ-ვითარებით ჩემი მამა-ბიძანი გაყრილან და მანუჩარს მართლა ყმათ მოუნდომებივართ. ეს ჩემს მამა-ბიცათ არ უყაბულიათ. ჯელახლა მანუჩარისაგან თავი დაუხსნიათ და ცალ-ცალკე ნასყიდობის წიგნი გამოურთმევიათ. ეს ჩემი ბიძა მოვიდა, ერისთვის ჯელდებული შეიქნა. და მე ხიზიყს გაველ, ორმოცი წელიწადია ხიზიყს გახლავარ, თქვენი ყმა ვარ, თქვენ გემსახურები.

რადგან ჩემი ბიძა ერისთვის ჯელდებული იყო, იმის გამო ერისთავი მეც წამომეჭიდა ამას წინათ. ეს ექვსი წელიწადია, მოგეხსენებათ, ერისთავი რა კაცი იყო, ძალითაც შეეძლო ჩემი მორევნა და სებითაც. ჩემათ ღონეთ ეს მოვიღებნე: ის ჩემი თავდახსნილობის წიგნი პაატა მეითრის შვილს მივეცი და უთხარ: მე ერისთავი მეჭიდება და შენ ეს წიგნი გამოაჩინე და თქვი მეთქი, თუ: ჩემი ნასყიდა ყმა არის. პაატამ ეს წიგნი ერისთავს უჩვენა, და აბა თუ ერისთავმა ჩემზედ ჯელი აიღო.

ახლა პაატა ჩემის მიბარებულის ჯრმლით მევე თავს მჭრის და ჩემის მიბარებულის წიგნით მეჭიდება — ჩემი ყმა ხარო. ვფიცავ დაუსაბამოს ღმერთს, რაც ამ არზით მომიხსენებია, ჩემი საქმე ასეა. გევედრებით ღმრთის სიყუარულისათვის, ჩვენი სამართალი თქვენს წინა ბძანეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისს **კგ**, ქორონიკონს **უჲბ**.

თაყში

ქ. ბატონო ქართლისა და კახეთის მსაჯულნო! ამ არზის პატრონი და ამისი მოდავე სამართალში მიაყვანინეთ, ალაპარაკეთ და საქმე გაურჩიეთ. მასუკან ის გარჩეული საქმე ჩუენ მოგვიტანეთ და სამართალს ჩუენ უზამთ. მაისის **კვ**, ქორონიკონს **უჲბ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეუმობს ძვდ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

262. არზა შალაურელებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 11 ივლისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 353. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ერთობლივ ხალხთ შალაურლებს — ქართველსა და იმერელს.

ამას წინაო თქვენი ბრძანებით მდივანი ოთარ და მოლარეთხუცესი შიოშ მოვიდნენ და როგორც თქვენი ბრძანება და მართებული იყო, ისე გაგვიყვეს მამულები. ოდიშას ბაღს ზევით ტყეცა, ველაც და მინდორიც ცოტა რამ ჩვენ მოგვცეს.

და ქაიხოსრო მაჭავარიანი ესე გვეუბნება, რომ: ოცს წელიწადს უკან რომ შევიტყოვო თაყასიაო, მოსაკრებს წაგართმევო. იმაზედაც ხელი აგვაღებინა.

გატეხილს ტყეზედ რომ ველარ ვიმუშავეთ, ახლა მარვაანში წავიდნენ, სვიმონის შვილის მამულზედ მივიდნენ; და

სასახლე, ზვარიცა და გარეშემო სახნავი სულ გველესიანს მისცეს, რომ ისიც დასჯერდა[1]; და იმას ზემოთ ჩვენ მოგვცეს: ამას ზევით შენ საქმე ნუ გაქვსო გველესიანო და ამას ქვევით გლეხო შენ, ამას ქვევიდ საქმე ნუ გაქვსთ — ასრე გვითხრეს.

ახლა გველესიანი მოვიდა, გვეცილება, რომ მესამედი აღარ გვრჩება. მოხელეებისაგან მოგვ[ე]ცა, თუ რომ მოხელეებისაგან მოცემული წაგვერთვა, ჩვენი რჩობა იქ აღარ იქნება — ზოგი მოჯამაგირეთ დავდგებით და ზოგი ისე დავდგებით.

კახეთი თქვენია და თქვენი მლოცავი ვიქნებით. და ნიადაგ ჩვენ ჩხუბი არ შეგვიძლიან. თქვენს სადღეგრძელოდ და თქვენის შვილების სადღეგრძელოდ ეს ესე გა[ა]რჩივე, რომ იმაზედ მიჯნები ჩა[ა]სხან, როგორც მოგვეცეს. მკათათვის Კ, ქორონიკონს **უჲბ**.

თავში

ჩვენი ბრძანება არის ამ არზის პატრონებო! მერმე მარვაანი სვიმონლის მამული საკათალიკოსო არის. ამ სვიმონელის წილი მამული — ზვარი, ხოდაბუნი, და რისაც სხვა სახნავი მიწა სვიმონელს ჰქონია, სრულად ამისი მამული გველესიანისთვის მიგვიცია და დაგვისახლებია. ამის მამული რამდენიმე წელიწადს უკან გამოჩნდეს, სამართალმან თავისა მამული უნდა მისცეს[2].

და აგრეთვე თაყას წილი მამული — ზვარი ხვადაბუნი და რაც სახნავი მიწა ჰქონია, სრულად ამისი მამული მაჭავარიანებისათვის მიგვიცია და დაგვისახლებია.

ამას გარდა, სხვა მამულები, როგორც მდივანს ოთარს და მოლარეთხუცეს[ს] შიოშს გაუყვია თქვენთვის და თავ-თავისი წილი მიუციათ, ისე უნდა დაიჭიროთ, ამისი მოშლა არ იქნება.

რაც იქ სვიმონლიშვილს ყმა ყოლია და მამულზედ სახლებია, ეს მამულიც საკათალიკოსო იქნება და ვერცავინ ამ მამულს ვინმე დაუჭერს.

გველესიანს ჩვენ უზამთ კაცის წყალობას, თუ თვითონ გველესიანი მოუყვანს კაცსა, ამ მამულზედ უნდა დაასახლოს, სხვა ვერავინ შეეცილება.

და აგრეთვე თაყას წილს მამულს გვიბძანებია, რომ მაჭავარიანებს მისცემია. მკათათვის **ია**, ქორონიკონს **უჲბ**.

[1] დასჭერდა. [2] მიეცეს.

რაც თაყას წილი მამული არის — ზვარი და ხოდაბუნი მაჭავარიანებისათვის მიგვიცია. და სხვა რაც საგლეხო მამული არის, ამისმან ყმამან და ვინც იქ კაცი სახლობს, იმათ უნდა გაიყონ.

სულ ყველაყანი ხომ იმ სანგალთან ვერ გაიკეთებენ მამულს, მთა დიდი აქვსთ და ბოლო გარეშემოები; და გატეხონ და ზოგმან შორს გაიკეთოს მამული.

ქაიხოსრო მაჭავარიანს რამდენიც ვაჟიშვილი ჰყვანდეს, თითო საკომლო მათაც უნდა მიეცესთ. და რაც თავისი ყმა ამას იქით მიიყვანა, იმათაც უნდა მიეცეს მამული. და რაც აქ ყმა ჰყავს, იმათაც ხომ მიეცემა მამული. ახლა როგორც გვიბრძანებია.

263. არზა დუდაურის ქვრივისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 10 აგვისტო

ცსსა. ფ. 1448. საბ, № 861. დედანი. ქაღალდი. 22,8×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს თქვენს მლოცველს დუდაურის ოხერს ქვრივს და ობლებს.

ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ხემწიფეს. რა თქვენი ყმა მოგვიკვდა, ჩვენს მამულს სხვა ხნევდა და ღალას მე ვიღებდი და ოთხს წვრილს ვაჟიშვილებს ი[მი]თი ვარჩენდი. ახლა მათს მოახვნევინებს და ღალა აღარ დამანებეს. დავრჩი. ასე...*

ახლა ამას გევედრები: სამი კომლი ყმანი გ[ვ]ყვან[ან], ერთის წყალობა მიყოთ და ობლებს მოუაროს და თავისი მამულიც აჭამოს. ამის ოქმის წყალობა გვიყოთ და თქვენი მლოცველი გამხადოთ, დღე ყოველ თქვენად გასამარჯვებლათ და შვილების სადღეგრძელოთ. დაიწერა მარიამობას **ი**, ქორონიკონს **უ[ჲბ]**

თავში

ქ. არაგვის მოურაო ქაიხოსრო! ერთი კაცი მიუჩინე, ამის მამულიდამ ღალა ერგებოდეს თუ რაც მოსავალი, წლითი-წლად აიღებდეს და ამ ქვრივსა და ობოლს მისცემდეს. [თუ] ყმა ჰყვანდეს, იმასაც ამსახურებდეს. აგვისტოს **ი**, ქორონიკონს **უჲბ**.

* ერთი სიტყვა არ ირჩევა.

ქ. თავის ყმიდამ მიუჩინე ერთი კაცი. ქორქაზისშვილო, შენთვის გვიბძანებია, შენს თავსაც ამსახურებდე და ტევრისშვილო ზაალ შენ აართმევდე ღალას ვინც მოჯნევდეს, და ამ ქვრივსა და ობოლს მისცემდე. რაც ყმა ჰყვანდეს, იმათაც რიგიანათ ამსახურებდე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

მარცხენა კიდეზე

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბატონისშვილი გიორგი, მის სიმაღლის ბძანების თანამოწამე ვართ. მარტის **კზ,** ქორონიკონს **უჲგ.**

მეფის ძე გიორგი

ბოლოში

ქ. ბატონისშვილი ლეონ გიბძანებ თულაშვილო გოგიავ! მერე ამ შენს სიდედრს და შენის სიმამრი[ს] შვილს სამართლიანის ოქმით თავის ყმისას და მამულის სარგოს და სამსახურ[ს] ნურას დაუკარგავ. თიბათვის **კბ,** ქორონიკონს **უჲზ.**

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

264. არზა თომა ჯოგბაძისა ყმის თაოგბაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 14 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1188. დედანი. ქაღალდი. 17,2×10,8 სმ. მხედრული. აქა-იქ ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს სურამელს სახასოს ჯობაძე თომას.

ამ მაისში ლეკებს დავხვდით. ერთი ლეკი მე დავიჭირე და ორი ლეკი სოფელმა დაიჭირეს. ერთი მაჩაბელმა აიყვანა და მეორე კიდევ მაჩაბელმა და სურამის მოურავმა აიყუანეს და მესამე ლეკი ჩვენ გვერგო.

თქვენ ჩხეიძისათვის ოქმი გებოძებინათ, მოიტანა ოქმი, ჩვენ ლეკი გამოგვართო, გაყიდა ათ თუმნათ და არდაზიანი დაიხსნა.

ჩემო ჯელმწიფევ, იმ ლეკის დამჭერიც მე ვიყავი და ბელადიცა. ნუ გვიზამთ, წყალობა გვიყავით, რომ ღმერთი გაგიმარჯვებს. აგვისტოს **გ,** ქორონიკონს **უჲბ.**

ლეკმა ათ თუმნათ თავი დაიხსნა და ეს ათი თუმანი არდაზიანში მისცა.

თავში

ქ. რადგანც ეს ლეკი ათ თუმნად გასყიდულა და არდაზიანი დახსნილა, თუ უნდა არდაზიანი სახასოდ ჩვენთვის ყმად დასახლდეს და ამათ ჩვენ მივცემთ თეთრსა; თუ უნდა და შვიდი თუმანი თეთრი ამ ლეკის დამჭერებს მისცეს და სამს თუმანს ჩვენ მივცემთ პასუხსა.

იასე მურვანისშვილო სურამის მოურაო, ეს საქმე შენ გაარიგე. თუ სახასოდ დაიდვას, ჩვენთვის დაასახლე; და თუ არა, შვიდი თუმანი შენი გაარიგე, სამის თუმნისა ჩვენ მივცემთ პასუხს. აგვისტოს **იდ,** ქორონიკონს **უჲბ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

265. არზა კბილაძის, მზეკალაშვილის და ხუციშვილისა ვალის თაოგბაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 18 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 50. საბუთი № 170. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[95 V] ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ჰირი მოსცეს ავალიშილის ედიას ობლის ყმასა სამს კაცს კბილაძეს, მზეკალიშვილს და ხუცისშვილსა.

მერე ამას მოვახსენებთ ბედნიერს ჯელმწიფეს, რომ ქვრივმა და ობოლმა არძა მოგართვეს გორსა თავისის მოვალეობის ბაროზედა და თქვენ მოწყალება უყავით, ოქმი უბოძეთ: ამას თავისმა მოვალე[ე]ბმაო შვიდს წლამდი და[ა]ცალეთო და მასუკან კიდევ ჩვენ მოგვახსენეთო, თქვენი ვალი ისე სთხოვეთო. ის თქვენი ოქმი კახეთს ქვრივს გაყვა.

ახლა ყანდინაშვილმა იესე დივანბეგის იასაული დაგვაყენა და ორს თუმანს გვთხოვს, იასაული შინ გაუშვით, და გამოვიპარენით; თქვენს მოწყალებას მოვმართეთ.

ამას გევედრებით, რომ უმამულო კაცნი გახლავართ, ჩვენ იმის ვალის გადახდა არ შეგვიძლია, სანამ ობოლი არას შეიძლებს. ამ მოწ-

ყალებას ვითხოვთ: რაც თქვენი ბძანება არის, ობლის გაზრდა მოიცადონ, ან ნასყიდობით იმის მოვალეს [96] მიგვეცით. თუ ორში ერთი არ დაგვემართება, ჩვენ მიცემა არ შეგვიძლია, სხვა ღონე არა გვაქვს, უნდა დავიკარგნეთ. თქვენათ გასამარჯვებლად ამაზე შებრალება გვალირსეთ. ბედნიერო ხემწიფევ. დაიწერა მარიამობის **იზ,** ქორონიკონს **უჲბ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის. ამ არზის პატრონები რომ ასე ჩივიან, თავიანთ ბატონის ვალი ამათ არ გამოერთმევათ. ეს კი იქნება, რომ ბატონის ვალში ყმა თავისის მამულით მიეცეს. მაგრამ ეს კი არ იქნება, რომ ამგვარად გამოერთვას. ვინც ამის მოვალე ხართ, უნდა და[ა]ცალოთ, როდესაც მოცემა შეიძლოს ინ ობოლნა, მაშინ გამოართვით. იასაულო ჯელი აიღევ. აგვისტოს **იΘ,** ქორონიკონს **უჲბ.**

266. არზა ალექსანდრე სარდლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 22 აგვისტო

ს. ცანწ.ცენტრი ინსტიტუტი. II ც. 857. დედანი. 29×14,5 ან. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის სიწმინდე საშუალოა. ერთი ან ორი ნერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირ[ი] მოსცეს სარდალს ალექსანდრეს. ამას მოვახსენებთ თქვენს სიმაღლეს: ამდენი ხანია ჩემ[მ]ა სახლის კაცებმა იჩიველეს: დოეს[ს] არ გვახნევინებსო. მუდამ ველაპ[ა]რ[ა]კებ[ი] დახსნას. ახლა თქვე[ნ]ც გვეედრები: რაც გამსლოდეს, მამცენ; მამულში რაც წილი სდებოდესთ, დაიჭირონ. ერთი ოქმის წყალობა გვიყავით, ახლ[ა] გარდასწყვიტონ: ან თეთრი მამცენ ან ხელი აიღონ, ამისთვინ რომ მუდამ თავს გაწყენთ ხოლმე ამ საქმეზედ. დაიხსნან და როგორც ჩვენს შამა-პაპას სჩეროდეს, ისე გვეჭიროს ის ჩვენი წილი მამული, ისე საძნოთ ვიხმარებდეთ. აგვისტოს **კ,** ქორონიკონს **უჲბ.**

თავში

ქ. ნოდარისშვილებო, რომელნიც დღესის მამულებზე ლაპარაკობთ და სარდალს ალექსანდრეს უჩივით, ეს არზა მოურთმევია, მიეცით თეთრი და დაიხსენით თქვენი შამა-პაპის მამული. და თუ ვერ მოარიგდეთ და კიდევ სიტყვა გქონდესთ, ჩვენთან ილაპარაკეთ და გასწორდით. აგვისტოს **კბ,** ქორონიკონს **უჲბ.**

ქ. ერთმანეთთან უბრალოს ლაპარაკს დაეხსენით, ერთმანეთს არ შემდურდეთ, თუ სალაპარაკო გქონდესთ, ჩვენთან ილაპარაკეთ.

ბეჭედი: ქვარს ჰიცემს, დავით მიქმობს ძლ[ე] კახეთის მეფედ ცხებულს პირველსა

verso

„კახეთის ოქმი შახის უმაღლესობის მეფის ნაბოძები".

267. არზა თამაზა თურქისტანიშვილის ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 8 ოქტომბერი

ცსაა. ფონდი 1450. დეფთარი № 10. აბუთი № 113. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[120 V] ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მათს ნაწყასა და მონას ყაფიჩაშს თურქისტანიშვილს თამაზს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ [121] ჩვენს მოწყალეს ჯელმწიფეს, როშე ორნივ ძმანი ზაზიაშვილები ჩემი მემკვიდრე ყმანი იყუნენ: ის ორნივ ძმანი თავეთ საქმეზე დაიკარგნენ. ახლა ღვთითა თქვენის დოვლათით ორნივ მოვიდნენ, ასრე შეტყოდნენ მე ისინი, რომ ღმერთსა და თქვენს მზეს ვფიცავ, რომ იმათს უნებურად ერთის ფულისა არა გამომირთმევია რა ჩემს დღეში. ახლა მოგეხსენებით გლეხის კაცისა, სხვის ყნობას აპირობენ.

გევედრებით, ღმერთი გაგიმარჯვებსთ, რადგან იმათზე დაუნაშვებელი ვარ, ისინი არ წამერთვას, მევე წყალობა დამემართოს. ღვინობისთვის **ბ,** [წელსა] **ჩღოდ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ზაზიაშვილებო! მერე თქვენ ორნი ძმანი ტყვეობიდამ რომ მოსულხართ, ეს ასე შეიტყევით: თქვენ ჩვენზე შეცოდება გაქვსთ და რაც დაგიშავებიათ, ის აღარ გამოგაცხადებთ: და რადგან დანაშაული გქონდათ, თქვენ ამ თამაზა თურქისტანიშვილის ყმანი ყოფილიყავით და მისთვისეე გვიბოძებიხართ, ამისი ყმა უნდა იყვნეთ. რადგან თქვენ დანაშაული გქონდათ, იმის-

[1] გასდა.

თვის მიგეცით. თვარემ სხვა მოსულის ტყვის როგორც განწესებულია, ისე უნდა აღსრულდეს. ღვინობისთვის გ, ქორონიკონს **უიბ**.



268. არზა დიმიტრი თანიაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 2 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5586. დედანი. ქაღალდი. 18×10,6 სმ. მხედრული. გასწორებების ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს საყდრიონელს თანიაშვილს დიმიტრის.

ჩემის სახლისკაცის ვარჯანისაგან შეწუხება რომელი ერთი მოგახსენოთ. მამული წართმეული მაქვს, სახელო წართმეული მაქვს; ესღა დაჰკლებიყო, რძალი მითრია.

თუ თქვენს წინაშე იქნებოდეს ჩვენი სამართალი, დიდი წყალობა იქნება. თუ არადა საქმეში ბძანდებოდეთ, ჩვენი სამართალი ალავერდელს, დივანბეგს და მდივანს უბძანეთ, რომ ჩვენი სამართალი ღმრთის წინაშენ გვისაჯონ, ღმერთი გაგიმარჯვებს. გიორგობის ა, ქორონიკონს **უიბ**.

თავში

ქ. უფალო, ყოვლად სამღვდელო არქიეფისკოპოზო, ამბა ალავერდელო ზენონ, მდივანბეგო რამაზ და მდივანო ოთარ! ამ არზის პატრონს სამართალი თქვენ უსაჯეთ. გიორგობის ბ, ქორონიკონს **უიბ**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰჭობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

269. არზა შოშია საუვარელიძისა ჟმის თაობაზე რევაზ ამილახვარის ოქმით

1774 წ. 8 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 5322. დედანი. ქაღალდი. 26×11 სმ. მხედრული. გასწორებების ნიშნად ნახმარია ორი წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ბატონის ამილახვრის ჭირი მოსცეს მათს მიწას საყუარელიძე შოშიასა.

მერე ამას მოვახსენებთ: დედანაშვილმა შოშიამ ჩემს ამას იასეს თავის მუახლე შემოსწამა, შენგან არის ორსულიო და ეს ბიჭი შენგან ყავსო, არ გამიკითხა და არც მამეშვა, სისხლის თხოვნა დამიწყო, იმ თარიღში დედანაშვილი და ხიმშიაშვილი ეხლა ის კაცები იყვნენ, ორთავ თორმეტი თუმნის სისხლის თხოვნა დამიწყეს. ამაში შუაკაცნი ჩამოვიყენე და სამთუმან ნახევრათ გადაწყვიტეს და ერთი თუმანი სხვა ხარჯი დამემართა. ამდონი გამიეიდა.

დედანაშვილი შოშია რომ ავათ გახდა თავის მეზობლები და ტუცესი მი[ი]ყვანა და არდერძ[ი]თ დააგდო და ასე თქვა: ჩემო ბიძაშვილებო, ოთხი წელიწადია მე ცოლი არ მყვანდა, ამ მუახლეს ეგ ბიჭი ჩემგან ყავს, ამას მამულში წილი აქვს.

მერე იმათ წილი არ მიეცათ, ბატონთან ეჩივლა შოშიას ჯალაბსა. ოქმი თქვენზე ებოძებინათ: ამათ სამართალი უყავითო; თქვენის სამართლითა იმ კაცის ანდერძით იმ ბიჭს მამული დანებდა, რადგან იმის შვილი იყო; მე თეთრი რაში წამერთვა.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ან ჩემი თეთრი მამეცეს ან ბიჭი დამნებდეს. თქვენც იმათ სარწმუნო გაგხადეს დედანაშვილებმან. ის ბიჭი იმის შექმნილი შვილი იყო. ხიმშიაშვილს ხელი ააღებინეთ და ქვრივს უბოძეთ. მე ამის სამართალი უნდა მაღირსოთ.

თავში

ქ. ბატონო არქიმანდრიტო ბარნაბე! ამილახვარი რევაზ მარჯვენა ხელს ამბორის ყოფას მოვახსენებ. მერმე ამ არზის პატრონი ვისაც ამ არზით უჩივის, რადგან ანდერძი უქნია, რომ ის ბიჭი იმის ანდერძით შვილი ყოფილა, ამ საყუარელიძეს რაც გამორთმევია, ისევ უნდა მიეცეს. ღმერთ წინაშენ თქვენ მოიკითხეთ და სწორე სამართალი უყავით. გიორგობისთვის ტ, ქორონიკონს **უიბ**.

ბეჭედი: მეფისა მტერთა ლახვარი ვამტკიცებ ამილახვარი რევაზ.

270. არზა ელიზბარისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 10 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 7108. დედანი. ქაღალდი. 35×21,2 სმ. მხედრული. გასწორებების ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს ბანდას ელიზბარს.

ჩემო ჯელმწიფევ, ამას მოგახსენებთ ვედრებით: ტყუილა რომ მოუხსენებიათ გირაოდ უნდა გვეჭიროსო, სანამ თეთრს მოგვცემენო, მაგიერს ამას მოგახსენებთ: მიზეზიც ეს იყო მსაჯულთათვის, როგორც უნდოდათ, ისე გაეშინჯებინათ უჩვენოთ და ასეც დაერწმუნებინათ, რომ განაჩენი მიეცათ და სანამ ჩვენ ამ მიზეზებს მოვახსენებდით, რომელსაც ახლა თქვენ მოგახსენებთ, მანამდინ განაჩენი აეღოთ და ამისთვის ითხოვენ თეთრსა.

მაგრამ საბუთი ჩვენ ეს გვაქვს ამაში, რომ რაც იმაში დავით ერისთავს თეთრი გაუღია, სრულ საერისთოდამ მისცა და თქვენი წყალობა განაჩენიც ასე გვბოძებია და გვაქვს, რომ საერისთოდამ რაც გამოსავალი იქნებოდა, მესამედი უნდა მოგვცემოდა. და რადგან ბრძანებული ასრე არის, მაშ ხომ განაჩენის ძალით ამისი მესამედი ჩვენი იქნება, რომ თეთრი სულ საერისთოდამ არის მიცემული.

და თუ თითვეულად და ვრცელად რიგზედ მომეხსენებინა, თავი შეგწყინდებათ, თორემ რა გავიყარენით, რაც დავით ერისთავმა ჩვენს ბარათში ნარგებს ან ქართველს ანუ სომეხს თეთრი გამოართვა, რაც ამ მამულებში გაუღია, მეტი არის იმაზედ. და თუ მოწყალებას მოიღებთ და სამართალი დაგვემართება, იმდონი თქვენი წყალობა მომეცეს, რამდონი თეთრი ჩვენი მაგათ დაედვასთ თქვენის ბძანების ძალით, რომელი ჩვენა გვაქვს.

მეორე ესე, ჯელმწიფევ, რომ შოშიას მამულისას მოგახსენებენ თურმე ჩვენიაო. ჩვენ ეს მიზეზი გვაქვს, რომ ჩვენი არის: ერთი ესე, რომ მსაჯულთ ბარათი გვაქვს მოცმული; და მეორე, რომ ამისი საჩივარი თქვენ მოგახსენესთ აღა ბაბამ და შალვაშ და თქვენი განაჩენი ასე ებოძათ, რომ ჩერქეზისშვილი იმათთვის გებოძებინათ და იმისი ფარდი ჩვენთვის; აგრევე ქარელი მათთვის და მაგიერი ფარდი ჩვენთვის.

ჩვენ ამისთვის მოგახსენებთ, რომ იმ შოშიას მამულიც ჩვენი ნარგები არის და ქარელის ფარდათ გვრგებია, რომელიც რომ ასე ბარათში ნარგებნი არიან, იმასაც ეგენი ეჭიდებიან და გვართმევენ და თქვენთანაც ტყუილად თავს მართლობენ.

და კიდევ რომ რომელიც გაუყოფელი ბეითალმნებია, გაუყოფელშიაც წილს არ გვიდებენ და სულ მაგათ ბარათში ნარგებს კაცებს უჭირავსთ ის მამულები. როდესაც წილი გვითხოვნია, საჩივრად გაუკეთებიათ და თქვენთვის გაუშინჯებიათ, რომ ასე და ასე გვარბევენ და ჩვენს კაცებს ართმევენო. ჩვენ თუ ვთხოვთ რასმე, ამ მიზეზებითა ვთხოვთ, რომელიც მოგახსენეთ.

მაგრამ ისინი ასე რიგათ მოგახსენებენ თურმე, რომ იმაებში ჩვენ აღარც სიტყუა გვქონდეს და არცარა ჩვენი იყოს; და რა ვქნათ, თქვენის თავის მზემ, ამდენის თავის წყენისა დიდათაც გვეშინიან და გვრცხვენიან, რომ ყოველთვის ამგვარად გაწუხებთ, მაგრამ ეგენი ამდენს თავს გაწყენენ და ასე რიგათ მოგახსენებენ, რომ თქვენც ბძანებთ, ამდენში სულ მართალი როგორ იქნებიანო.

ჩვენს ბარათში ნარგებს მამულებზედ კიდევ თავი გვიწყენიათ და ჩვენს ყმებს ორი და სამი ოქმი აქვსთ თქვენი ნაბოძები; და არაფერი არა მისცეს რა. წელს იმისი გამოსავალი მაგათ მიიმძლავრეს, მაგრამ მისთვისაც ეგენი ჩივიან, სწორე ეს არის.

თქვენმა გამარჯვებამ, თუნდა ყველაზე ჯელი აგვაღებინონ, ჩვენ მაგათ ვერ მოვრჩებით, მაინც თავს იმართლებენ. ნება თქვენია. ნოენბერს 6, ქორონიკონს **უიბ**.

თავში

ქ. თქვენი მოდავე[ე]ბი აქ არიან. გიორგი ერისთავიც უნდა დავიბაროთ და რაც ერთმანერთში სალაპარაკო გაქვსთ, ჩვენ გაგისწორეთ. და თუ გინდათ, ორმავ მჯარემ კაცნი გამოირჩიეთ და რომელსაც თქვენ მოგვახსენებთ, იმათ გამოვგზავნით სასამართლოთ. ამაზედ ხათრიჯამი იყავით, სამართალში არც მოყვრობით შენ მოგიდგებით და არც ნათესაობით იმათ მიუდგებით. გიორგობის **ი**, ქორონიკონს **უიბ**.

ბეჭედი: **ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.**

271. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 17 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 522. დედანი. ქაღალდი. 21,7×15,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი ზა[ა]ლ დავითიშვილს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ ბედნიერს ხემწიფეს. მოგეხსენებათ შანფურაშვილის მამა და ბიძა გორელს შიხინაშვილს ყვანდა ნასყიდათ, ოსმალობაში უსამართლოთ და მძლავრობით ეჭირა, თქვენის ბედნიერის სამართლით მე დამრჩა ჩემი მკვიდრი ყმა.

რაც გასლოდა თათრებზედ, სამართალმა მიმაცემინა. თქვენის თავის მზემა, ცხრა თუმანი გამოვიდა, ისე დავიხსენ, ახლაც სამთუმანნახევარი [მ]ართებს, ერთი კაცი გირა[ო]თ არის, თვეში აბაზს ვაძლევ. აგერ შვიდი-რვა წელიწადია დამიხსნია, მაგას ჩემთვის ცხრა შაურისა არა უმსახურებია რა. გორი წახდა, ძმა დაეკარგა, იმის დასახსნელათ წავიდა ახალციხეს, იმ არეულობასა და იმ ანბებში იქ იყო. მერე ხიდირბეგიშვილის გოგო გამოიტანა, ახლა იქა-აქა დავა, მე თავს აღარ მიდებს, არ დაკარგულა, რომ ტყვე იყოს და თავისუფალი, მე თქვენის მორიდებით ხმა ვერ გამიცია. ახლა ჩამოსული ცოტას ხანს თქვენთან იყო. ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთის ოქმის წყალობა მიყავით ამილახვარზე, ჩემი ყმა მეც დამნებდეს და რაც შეძლება ქონდეს, მემსახუროს. გიორგობის Ø, ქორონიკონს **უიბ**.

თავში

ბატონო ამილახორო რევაზ, შამფურაშვილი ზაალ დავითისშვილის ყმა არის, ამას დაანებე. და თუ შამფურაშვილს სიტყვა ქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენოს. ნოენბერს **იზ**, ქორონიკონს **უიბ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

272. არზა ივანე ოდიშელისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 18 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1259. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მომცეს არაგვის აშელს ოდიშელს ივანეს.

დედ-მამა რომ დამხოცია, სამი კვირისა დავრჩომილვარ. ოდიშელიძე დათუნა უშვილო კაცი ყოფილა და იმას შვილათ აუყვანივარ და გაუზდივარ, რომ მთელი საერისთო მოწამეა. ის მამა იყო და მე შვილი. მამა მომიკუდა, მართებულად დავმარხე. საბოც მარჩილათ მამულები გირაოთა ჰქონდათ. მე დავიხსენ ჩემის გარჯილობით. ბებერ[ი] დედა ისიც ცოცხალი მყავს, და რაც იმ მამულს ყალანი აძევს, მე გემსახურები.

ქაიხოსრო მოურავმა დათვიაშვილს მღუდელს ხუთი თუმანი ქრთამი გამოართო და ჩემი მამული იმას მისცა. ბატონისშვილს ლეონს რომ მიეგებენით, იქ დედაჩემმა ბებერმა არზა მოგართვათ; ოქმი უბოძეთ ქაიხოსროზედ: ამას თავის მამული უკლებლად მოეციო. მოუტანეთ ოქმი და მამული არ გამოგვართო.

სამართალი გვაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებთ. ნოებრის Ø, ქორონიკონს **უიბ**.

თავში

ჩვენი ბრიანება არის არაგვის მოურაო და ვინც ამ არზის პატრონის მოხელე ხართ. ამ არზის პატრონს თავისი მამული ახლავე მოეცით. ჩვენთან ნუღარ აჩივლებთ, თორემ მასუკან არა სჭობს რომ გაგამტყუნონ. ნოებრის **იწ**, ქორონიკონს **უიბ**.

273. არზა ნიკოლოზ ამილახორიზვილისა სმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 28 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1416. დედანი. ქაღალდი. 18×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს ნიკოლოზ ამილახორისშვილსა.

ჩვენი ერთი საუფლისწულო კაცი ავეტიქა ამილახორს უჭირავს. ამას წინათაც არზა მოგართვით და მოსამართლე[ე]ბზედ ოქმი გვიბოძეთ. ის ოქმი დამეკარგა.

წყალობას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი კიდევ გვებოძოს. ჩემი კაცი დამანებოს და თუ სიტყვა ჰქონდეს, სამართალში მელაპარაკოს. ნოენბერს **კზ**, ქორონიკონს **უიბ**.

თავში

ბატონო ამილახორო რევაზ! თუ სიტყვა არა გაქვსთ რა, ამას თავის კაცი დაანებეთ. და თუ სიტყვა გაქვსთ რამე, მოსამართლეებთან ილაპარაკეთ და სამართლით გარდასწყვიტეთ. გიორგობისთვის **კ**, ქორონიკონს **უიბ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

274. არზა იოსებ სიმანგულაშვილისა ქმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 29 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5593. დედანი. ქაღალდი. 27×16,7 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი ან მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს სომხითის ჩარგამაშნელს სიმანგულაშვილს იოსებს.

ჩვენ დავით სარდლის ყმანი ვართ და შინდიშს ხიზნათ გახლდით. გეკედრებით, რომ ჩვენს საჩივარს ყური მოუგდოთ. ეს სამი ოთხი წელიწადია გავოხრდი; ოთხი-ხუთი არზა მოგართვი, ოქმი მიბოძეთ: ვინემ ამისი სამართალი გარდასწყდებოდეს, ვინემდისინ ამასთან ბერძნიანთ საქმე ნუ აქვსთო. არ გამიკითხა, რამდენჯერ მიველ; შინ არ მომასვენა: ექვსი თვე შარშანწინ ვდიეთ უკან; გვაბოძეთ ოქმი, მივედით, არა გვეშველა რა; შარშან შვიდი თვე, წელს ეს არის, შინ არ გამივლია. ახლა კიდევ დედაჩემს ავათ მოჰპყრობიან. ესეც ჩამოიჭრა, სახლკარი ოხრათ მიგდია. გუშინ აბანოშიაც მოგახსენეთ.

თქვენად გასამარჯვებლად და თქვენის შვილების სადღეგრძელოთ სამართალი მაღირსეთ, რომლითაც გეპრიანებათ, ფიცით თუ მოწმით გარწმუნოთ, რომ მამაჩემი და პაპაჩემი ჩარგამაშნელი ყაფლანიანთ ყმანი ყოფილან, ჩემთან ბერძნიანთ საქმე არა აქვსთ. ნება ჯელმწიფისა არის. ნოენბრის **კვ**, ქორონიკონს **უიბ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ბერძნიშვილებო! მერე თუ ეს კაცი თქვენი ყმა არ არის, დაეხსენით, ხელი აიღეთო. თქვენ ჩვენი სახასო აზნაურშვილები ხართ. თუ ეს კაცი მართლა თქვენი ყმა არის და სამართალში არ ილაპარაკებთ, იცოდეთ ავათ მოგეპყრობით. და თუ თქვენი ყმა არ არის და ტყუილათ სამართალში ელაპარაკებით, ესეც იცოდეთ ტყუილათ საჩივრისათვისაც ავათ მოგეპყრობით. გიორგობის **კთ**, ქორონიკონს **უიბ**.

ქ. თუ თქვენი ყმა არ იყოს, ტყუილად ნუ მოეჭიდებით. და თუ თქვენი ყმა იყოს და ხათრით ხელს ნუ აიღებთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მოქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

275. არზა ბერძენა ზოჭიაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ისა და მდივანბეგების ოქმით

1774 წ 30 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2539. დედანი. ქაღალდი. 34×13,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს ბერთუბნელს თქვენს ყმ[ა]ს ჰოჭყიაშვილს ბერძენასა.

მერმე ამ[ა]ს მოვახსენებთ ჩვენს ხემწიფესა: მამ[ა]ჩემი სასირეთს გახლდათ და თქვენი ჰირის სანაცვლო შეიქნა. მე ობოლი დავრჩი, იოსებ გლურჯიძის ყმასთან დავრჩი. შენი ყმა ვიყავ, თავისი მემკვიდრეთ[1] დამწერა თქვენს დაეთ[ა]რშია. ჩემი დანაშაული ეს არის: ჩემის ბიძაშვილებისაგან წიგნი მამივიღა, მეცა ვთქვი, რომ სახემწიფო ვარ-მეთქი. ბევრი ეს[ა]მართლობა მოიღო და ცოლიც გამილახა.

მიველ იმის სახლშია და შევჩივლე, რას დან[ა]შ[ა]ულზე გამილახე ცოლიო; და ამის მიზეზით, რომ სახლშიო შემამიხელო, სულ ამიკლო, თოფი და იარაღი, ხარი და კანბეჩი, პური და ღვინო და ბზე კარში გამამ[ი]გდო, სულ წამ[ა]რთვა, ჩემის აშენებულის სახლიდაც კარში გ[ა]მამიყარა ცოლი და შვილი; სანამ მივეპატრონებოდე, ან სიცივე დამიხოცს, ან ლეკები წამისხმევენ.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი მაღირსეთ. ღმერთმა შენი რისხვა მამცეს, თუ ერთი კოდი პური მე იმან დამანება, ან ცოლშვილისათვინ დამეგდო და ან საგძალი წამამელო, მშიერი გახლავარ. გიორგობის **კდ**, ქორონიკონს **უიბ**.

ქ. უფალნო მსაჯულნო, ამ არზის პატრონს ღმერთ წინაშე სამართალი თქვენ უსაჯეთ, რასაც მიხვდეთ. გიორგობის **ლ**, ქორონიკონს **უიბ**.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მოჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. მდივანბეგების კეთილად სახსენებელო თარხნიშვილო ბეციავ. მერმე ამ არზის პატრონს რომ საჭონელი წარომეცია იოსებ გლურჯი[ძი]საგან, ეგენი სულ ახლავ გამოართვი, ამ ბერძენას მოაბარე და ორნივე სამართალში გამოგზავნე. ქრისტშობის **გ**. ქორონიკონს **უიბ**.

[1] მემემკვიდრეთ.

რაც წართმეოდეს უკლებლივ გამოურთეი ახლავ.

ოთხი ბეჭედი:

1. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჭომი(?) ღმერთგანცაა(?), ი ო ა ნ ე, 1748
2. ნონა ღთისა ამილახვრისშვილი მოურავი ი ე ს ე
3. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
4. ფ ა რ ს ა დ ა ნ.

276. არზა ძაიხოსრო ხერხეულიძისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1774 წ. 2 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13811. დედანი. ქაღალდი. 18,3×10,6 სმ. მხედრული. გახეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახვრეტია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ქ ა ი ხ ო ს რ ო ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე ს.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ჯ ა ვ ა ხ ი ს შ ვ ი ლ ი დედის ჩემის ძმა იყო. თავის გასამყრელოთ აღებული ერთი ქვრივი და ობოლი მე მამცა წიგნით, რომ წიგნი ჯელში მიჭიროვს. ამ ობლის საძიძაო შვიდი მინალოუნი გამიღია და ქალაქში გამიზდვინებია. როცა გაიზარდა და დავაქაცდა, გამომექცა, თ ე ი მ უ რ ა ზ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ თ ა ნ მოეიდა. ახლა ამასთან არის და აღარ მაძლევს. ამის სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. ნოენბრის **კე**, ქორონიკონს **უიბ**.

თავში

ქ. თ ე ი მ უ რ ა ზ ჯ ა ვ ა ხ ი ს შ ვ ი ლ ო! თუ სიტყვა გაქვს რამე, სამართალში ელაპარაკე; თუ არა, თავისი ბიჭი მიეც, უბრალოდ ნუ აჩივლებ. ქრისტესშობის **ბ**, ქორონიკონს **უიბ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

277. არზა იესე მდივნისა სამდივნო შემოსავლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 7 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5271. დედანი. ქაღალდი. 24,5×13,4 სმ. მხედრული. განკეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი ი ე ს ე მ დ ი ვ ა ნ ს მოსცეს.

ბ ე გ თ ა ბ ე გ ი ს შ ვ ი ლ მ ა სულხან ქართლი აწერა. და ე დ ი შ ე რ მ დ ი ვ ა ნ ს, მე და გ ო რ ჯ ა ს პ ი ს გაგვიყო. ახლა კიდევ იმანვე ყ ა ზ ა ხ ი აწერა და ჩვენც გაგვიყო.

ამას გევედრები, რაც რომ მდივნებს აეწეროსთ, მეც წილი მომცენ. ოქმი მიბოძეთ; და თუ ან სხვა რამ ანგარიში გვქონდეს, წილი მომცენ.

ქ. ი ო ს ე ბ ჯიდს ზეით აწერა.

ქ. ქალაქი აწერა.

კ (ოცი თუმანი) ქ. მუფასისა ნ ა ზ ა რ შ ე გ ი ს შ ვ ი ლ ი ს ერთ კალმად.

ქ. სხვა კიდევ მუფასებისა არის გაუყოფარი.

ქ. ს უ ლ ხ ა ნ ქ ს ა ნ ი აწერა,

ქ. ა რ ა გ ვ ი აწერა.

ქ. ე რ ი ს თ ვ ი ა ნ გასამყრელო უჭირავს.

ქ. მუფასისა უჭირავს ჴ (შვიდი თუმანი)

ქ. ნაზარბეგისშვილს შართლამისა ჩემი წილი ჳ ი (ერთი თუმანი და ორი მინალთუნი) იათაღისა რაც მერგებოდეს.

ქ. კიდევ გ ო რ ი დ ა მ ხუთი ხალვარი პური ჩამოიტანა. მე არა მიჭირავს რა.

მარცხენა კიდეზე

ქ. რომ ისტუმრებდით, თქვენის პირით ბძანეთ, იოსებც იქ იყო: ახლანდელი ასაწერი ყველამ უნდა გაიყოთ. ახლა ნება თქვენია.

თავში

ქ. მდივანო სულხან და მდივანო იოსებ! მერე სამდივნო შემოსავლის გაყოფა როგორც განწესებული არის, ამ არზით იესე მდივანს თავის წილის მიუცემლობა რომ მოუხსენებია, თავისი წილი რატომ დაგიკლიათ და არ მოგიციათ. რაც ამისი წილი იყოს, ნურას დაიკლებთ; რაც მეტი გეჭიროსთ, თავისი წილი უკლებლად მოეცით, თვარემ ჩვენი საწყენი იქნება. აღიწერა იანვრის **ზ**, ქორონიკონს **უიგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

278. არზა ნინია ზაალიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 8 იანვარი

ცსსა. პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს პირადი ფონდი 1461. რკეული № 13. საბუთი № 50. პირი. ქაღალდი. მხედრული. შდრ. 1775 წლის 17 მაისის არზა-ოქმს (აქვე, საბუთი № 296).

[32] ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მათს მიწასა და მონას ზ ა ა ლ ი ს შ ვ ი ლ ს ნ ი ნ ი ა ს მოსცეს.

ამას ვეუბრები მათს სიმაღლეს. ამას წინათ ანაგას რამაზასშვილმა ივანემ რომ იჩივლა, მაშინ იმისი თქვენგან წყალობა დაგვემართა და არ აიყარა, იასაულათ ბებურისშვილი ალდემურ ადგა. ქოდალოდამ ასე გაიპარა ცხვრით, ღორით და ძროხით, რომ ერთის ურმის პურისა და ერთის ურმის თივის მეტი არა დარჩა რაჲ.

იმის თაობაზე იმის დედას არზა მოერთმევინა. თქვენ იმ არზაზე ასე გებძანებინათ: თუ იმ კაცმა ზაალს კიდევ უჩივლა, უნასაღოს არ გაუშვებთო. მაშინაც კაცი გავგზავნეთ და არც მაშინ აყრილიყო. სიტყვით მოგახსენეთ და თქვენ ასე მიბრძანეთ: არზა მოგვართვიო.

თუ თქვენი საწყინო არა იქნებოდეს რა, ერთი ოქმის წყალობა მიყავით, რომ ის კაცი ავყაროთ. თუ თქვენის ბრძანებით წამერთმევა, მეც დავთმობ. და თუ არა, თავისით რათ უნდა წამივიდეს. იანვრის **ზ**, [წელსა] **ჩღოე**.

თავში

გარსევან ეშიკაღათბაშო! ამ არზის პატრონს რომ მოუხსენებია, ერთი იასაული მოეც, ის კაცი აჰყაროს და ზა[ა]ლს მოაბაროს. თუ იმ კაცს ერთი ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამ, მოვიდეს სამართალში ელაპარაკოს. თუ სიტყვა არა ჰქონდეს რა, ნუღარ ილაპარაკებს. თორემ თუ კიდევ ილაპარაკა და გამტყუნდა, იცოდეს მძიმედ გარდავახდევინებთ. იანვარს **ი**, ქორონიკონს **უიგ**.

ქ. თუ ამაზედ უწინვე სამართალი გარდაგვეწყვიტოს და ჩვენი განაჩენი იყოს, როგორც განგვეჩინოს, ისე აღასრულეთ.

279. არზა ავთანდილ ამილახვრისშვილისა სასისხლო საქმეზე
ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 11 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 245. დედანი. ქაღალდი. 23,8×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი ამილახვარისშვილი ერასტის შვილს ავთანდილს მოსცეს.

ორი კვირა[ა] ბიძაჩემი თქვენის ჰირის ნაცვალი შეიჭნა.

[1]+ ისე გაიპარა.

ქასპს გადაველ, წირვისათვინ ცხვარი მინდა გადამეყვანა, ქაიხოსრო ამილახვრისშვილი და ბეჟანის შვილი იქ გახლდათ, სადილათ დავსხედით, ბეჟანის შვილი ამეშალა; მერმე ქაიხოსრომ მე ამაყენა, კარზე გამამიყვანა და წამიყვანა. ბეჟანის შვილს ორი აზნაურიშვილი და ერთი თავის მსახური დ[ა]ეჭრა, მერე უკან მამეწია, თავში ხანჯალი დამკრა და დამჭრა, გამიშვია, მინდა მოვკლაო.

ამას წინათ კიდევ შინ მოგვიხდა, სახლი თავს დაგვიქცია, ხატები ჯერაც მიწაში არის; შარშან კიდევ შინ მოგვიხდა, ჩემს ძმას ორი ხმალი სცა; თუ შინდის ჯოხი არ ეფარებინა, თავსაც გააგდებინებდა, რომ ის დაკარგული ჯოხი რომ თქვენს სიმაღლესაც უნახავთ.

თუ ვტყუი, გადამახდევინე; თუ არა, სამართალი გვაღირსე. ერთი ოქმი და იასაული გვიბოძეთ, აქ ჩამოიყვანოს და სამართალში გველაპარაკოს. მუდამ რათ უნდა ასე ვიყოს. იანვრის **ია**, ქორონიკონს **უპგ**.

თავში

ეშიკაღასბაშო ორბელიანო თამაზ! მერმე ამ არზით ამილახორისშვილი ერასტის შვილი რომ ასე ჩივის, ახლავ ერთი კაცი გაგზავნე და ამილახვარისშვილი ბეჟანის შვილი აქ ჩვენს სამართალში ჩამოაყვანინე. იანვრის **ია**, ქორონიკონს **უპგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

280. არზა ზაალ დავითიშვილისა მამულის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 12 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 523. დედანი. ქაღალდი. 34×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ზაალ დავითისშვილს. ჩემი სიღარიბე და სიმწუხარე მრავალჯერ მომიხსენებია და თავი მიწყენია; თქვენის თავის მზემა რასაც დროს თქვენგან ჯელდაჯელ მოწყალება არ დამემართება და სამსახური არ მებძანება, არც ერთის შაურის შოვნა და არც ერთი ლიტრა პურის მოგვრა შემიძლია. ჩემო ჯემწიფევ, ეს ჩემის გაურჯელობით არა მჭირს და არც უღონობით, უმამულობითა მჭირს. თქვენი წყალობა ოთხიოთ კაცი მყავს, ერთი ილაჯი ვერსით მიქნია, რომ დავაყენო

და მეც იმათთან ვიყო და ერთმანერთს შევეწივნეთ. უმამულობით ასე დაფანტული ვართ. და ჩემი მამული ფალავნისშვილს იესეს და თეიმურაზს უჭირავს, ნასყიდი მაქვსო. მამაჩემი ექვსი ძმის უფროსი იყო, არ გაუსყიდნია, ნასყიდობის სიგელი არ მინახავს და ნასყიდს ეძახის.

ეს ჩემი საჩივარი გორს თქვენს სიმაღლეს მოვახსენე; თქვენი ბრძანება გლახა ციციშვილზედ გამოვიდა: დავითიშვილი და პაპუნა ჩვენთან ალაპარაკეო; მოგვიყვანა, გვალაპარაკა. პაპუნას თქვენმა ბედნიერმა პირმა უბრძანა სიგლის მოტანა, მორთმეას დაგპირდათ. მცხეთას ჩამობძანდით, იმ ღამეს სამთავროში ბძანდებოდით. ჩვენი ლაპარაკი ბძანეთ, ამაში რუსეთი[და]მ ამბავი მოგხსენდათ, იმაზე მოიშალა და ასე ბძანეთ: ჩვენ ისევ ზევით გამობრუნება მოვვინდებაო და მაშინ გარდავსწყვიტოთო.

მერმე ირანალი რომ გახლდათ და მჭადისჯვარს მიბძანდით, მაშინ მოვახსენე თქვენს სიმაღლეს და ასე მიბძანეთ: ქართლში აგბძანდებიო და ქართველნიც სულ იქ იქნებიან და ევ მაშინ უნდა გარდავსწყვიტოთო. აბძანდით, თქვენ რუსების საქმეში ბძანდებოდით, რომ თქვენთვინაც ვეღარ მოიცალეთ თორემ ჩემთვინ. მერმე პაპუნა მიიცვალა და ვეღარ მოგახსენე, ნიშნის მომგები ხომ არ ვიქნებოდი, მაშინვე მეჩივლა.

ახლა ამას ვეუდრები, თქვენს სიმაღლესთან მალაპარაკოთ. ნასყიდობის სიგელიც გაშინჯოთ. ერთისა და ორის დღის მიწა ხომ არ არის, სოფელია და თავი როგორ არ გაწყინო. ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართალი მაღირსეთ, თქვენად სადღეგრძელოდ. დეკემბერს **იბ**, ქორონიკონს **უჟბ**.

თავში

ქ. ბატონო ეშიკაღაბაშო დიმიტრი! ამ არზით დავითიშვილი ზაალ ფალავნიშვილებს რომ[1] ასე უჩივის, ვინც უწინ ამათი მოასილი იყო, ისივ დააყენე, რომ ესენი ჩვენს სამართალში მოიყვანოს და ალაპარაკოს. ამ საქმეზე ბეჯითად და სამართლით მოექცეს. იანვრის **იბ**, ქორონიკონს **უჟგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულსა. ერეკლე.

[1] + ამ არზით.

281. არზა გიორგი ბრჭელაშვილისა ფიქრიშვილის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1775 წ. 16 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1233. დედანი. ქაღალდი. 27×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახვრეტია წერტილი. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს, რადგან იგი არზაზე აღრეა დაწერილი.

ქ. ღმერთმან ყოველად მოწყალის ჴელმწიფის ძის ლეონის ჰირი მათს ფერხთა მტვერს თქვენს ყმას სურამელს გზირს გრძელაშვილს გიორგის მოსცეს.

წერმე ამას ვევედრები თქვენს მოწყალებას. მე სამკვიდრო მამა-პაპათგან სამი ქსანი წისქვილი მქონდა. მერმე ამ ავის დროს გაღამკიდე საწისქვილო გახარაბდა სულ ყველასათვის — ჩემთვინაცა და ჩემის მეზობლებისათვინაცა.

წავიდნენ ჩემი მეზობლები, გათხარეს, წისქვილები გააკეთეს და მე ჩემის საწისქვილოსი წილი აღარ დამიდვეს. ასე ვითხრეს: შენ არ გიმუშავნია რაო.

მივედ გაბრიელ მოურავთანა და უჩივლე ჩემს მეზობლებსა. იმან სამართალში ნახეყარჩარეჭ[ი] წისქვილი წაძირთვა ჩემს მეზობლებსა და მომცა.

ახლა მოზიარეებმა სამუშაოში ქსანი გამაყიდვინეს მოტყუებით, რომ შენ წისქვილში არა გიმუშავნია რაო. ახლა ის გაყიდულიც წაჭართვეს და ის ქსანიც ისევა. ის წისქვილი რომ გამაყიდვინეს, იმისი თეთრი საერთოთ წისქვილს მოახმარეს.

ახლა ვისაც ის წისქვილი მივჰყიდე, ისევ თეთრსა მთხოვს. ახლა იმ ჩემ[მ]ა მეზობლებმა აღარც თეთრი მომცეს და აღარც წისქვილი. ჩემი უწინდელი სამკვიდრო წისქვილი ვიპოვნე, იმას ისევ მართმევენ და იმ ჩემს მოვალეს აძლევენ იმ წისქვილის ბადლათა.

ახლა ამას გევედრებით, რომ სურამის მოურავზედ ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ სამართლიანის საქმითა ჩემი წისქვილი მევე დამნებდეს და უსამართლოდ არ წამერთვას. ღმერთი გადღეგრძელებს. იანვარს ივ, ქორონიკონს **უჟგ**.

თავში

ქ. ბატონიშვილის ლეონის კეთილად სახსენებელო სურამის მოურაო მურვანიშვილო იასევ! მერმე ამ არზის მომრთმევს ჩვენს ყმას და შენს სახელო კაცს ამ არზით ასე რომ უჩიკლია, ამისი მოხსენებულის საჩივრის სამართალი შენთვის

მოგვიწერია. ღმრთის წინაშე როგორც რიგი იყოს, ამას ისე ჭეშმარიტი სამართალი უყავ, რომ უსაბართლო არა დაემართოს რა. იანვრის იე, ქორონიკონს **უჲგ**.

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ეესა ღ ე ო ნ სახელად მძსა.

282. არზა მამუკა ხაჩიურისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 6 თებერვალი

ცსსა, ფ. 1448, საბ. № 1417. დედანი. ქაღალდი. 20,2×16,5 სმ. მხედრული. განკუთვილობას ნიშნად ყოველი სტუკვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს დგვრიელს, თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი ს ი ვ ა ნ ე ს ყმას ხ ა ჩ ი უ რ ს მ ა მ უ კ ა ს.

მე და ურიაყოფილის კაცს იმერელს ნ ა ს ყ ი დ ა ს ჩხუბი გამოგვერია. სატევარი დამცა დ[ა] მარჯვენას ბელში დამჭრა. შარშანს წინ ი ე ს ე მდივანბეგთან ვიჩივლეთ. ერთი თუმანი სისხლი გამოართო, მომცა. ახლა მოსულა ის ჩემი დამჭრელი ნასყიდა და ერთს თუმანს სარგებლითა მთხოვს.

დივანბეგის გარიგებული სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. ფებერვლის **ბ**, ქორონიკონს **უჲგ**.

თაყში

ქ. ბატონო ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ო რ ე ვ ა ზ! თუ მაგ კაცს ან სანათი არა [ჰქონია] თეთრისა და ან სეახათ არ უსესხებია, და ეს თეთრი იესე მდივანბეგის სამართლით რომ გამორთმევია, იმაზე დაობდეს და ჩვენი ოქმიც იმაზედ აელოს, ერთი თუმანი კიდევ სხვა წაართვი — ნახევარი სარქარში მოაბარე და ნახევარი შენთვის გვიბოძებია.

და თუ სხვა საქმე და სადაო ჰქონდეს რამე, და ეგ კაციც სამართლით ლაპარაკობდეს, ორნივ ჩვენს სამართალში წარმოგზავნე. ფებერვალს **ვ**, ქორონიკონს **უჲგ**.

ბეჭედი: ვნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

283. არზა სვიმონ ამირეჯიბისა ძმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 10 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1400. დედანი. ქაღალდი. 22×14,5 სმ. მხედრული. განკუთვილობას ნიშნად აჭა-იქ ნახმარია ერთი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს ს ვ ი მ ო ნ ა მ ი რ ე ჯ ი ბ ს, ბ ი ძ ი ნ ა ფ ა ლ ვ ე ნ ი ს შ ვ ი ლ ს წადღელი ჩემი კაცი ნ ა ვ ა ძ ე გ ი ო რ გ ი მივჰყიდე. ერთი ცხენი მომცა, ერთი თუმანი თეთრი მომცა, ორი მინალთუნი და ოცდახუთი კოდი პურიც უნდა მაეცა.

ამ კაცის გასყიდვის მიზეზი ეს იყო; საერისთოში იყო, დიდათ ვეცადე და იქიდამ ვერ ავჰყარე. არ ვიცოდი თუ ამ კაცს ყოვლად წყიდის ბეგარა ედო.

ეს კაცი ჩამოვიდა, თქვეს არზა მოგართოთ, ოქმი გებოძებინათ სიქოზელზედ, ეს კაცი სვიმონმა ისევე უნდა დაიხსნასო. იმის მოცემული ცხენიც გამიგზავნია და ერთი თუმანიცა, მაგრამ ბიძინა სიქოზელს არ შეჰპოებია და კაცი არ დაუნებებია.

ერთის იასაულის წყალობა გვიყავით, მეც იქ წავალ, ის კაცი ღამანებოს და თუ კიდევ სიტყუა ჰქონდეს ბიძინას, სამართალში მელაპარაკოს. [იანვრის] **კზ**, ქორონიკონს **უჲგ**.

თაყში

დემეტრე ეშიკაღასბაშო! ამას ერთი იასაული მოეც: თუ სიტყვა არა ჰქონდეს რა, ბიძინას გამოართოს და მოაბაროს ამ არზის პატრონს. და თუ სიტყვა ქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენოს. თებერვლის **ი**, ქორონიკონს **უჲგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

284. არზა ხულხან თუმანიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 16 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9037 რაოდ. კრებული. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს მათს ფერხთა მიწას თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ს მდივანს ს უ ლ ხ ა ნ ს.

მათს სიმაღლეს ამას მოვახსენებ: რუი[ს]ში ოსმალობისა და ყიზილბაშობის დროს რომელთაც თქვენი სახასო მამულნი ეყიდნათ, იმისი ჩამორთმევა და ისევ სახასოთ დადება ბძანეთ. და ვისაც სახასო მამული ეჭირა, ჩამოერთვა.

რუისს მეც საკომლო მამული მქონდა ნასყიდი და ისიც გამომერთვა. რომელთაც ოსმალობას და ყიზილბაშობას ნასყიდი მამული ქონდათ, იმათ თავეთი ნასყიდობა აღარ მოუშალეთ და ისევ იმათვე უბოძეთ. და ჩემი ერთი საკომლო მამული, რომელიც ვახტანგ მეფის დროს ბაბათაშვილისაგან ნასყიდი გვაქვს, მე აღარ მებოძა და მაღრაძეს უჭირავს.

ახლა ჩემს ნასყიდს მამულზედ ბაბათაშვილი და მაღრაძე დაობენ და თქვენთან ჩივიან. თუ თქვენი სიმაღლე არ გამიწყრება, იმათ ჩემს ნასყიდ მამულთან რა ხელი აქვთ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ამაზედ სამართალი მაღირსეთ, უსამართლოდ მამული არ დამეკარგოს.

თუ ვახტანგ მეფის დროს ნასყიდობა სამართლით სხვათ გამოერთმევა, მე რაღა სიტყვა მექნება. თებერვლის **ია** დღეს, ქორონიკონს **უჲგ, ჩღოე** წელს.

თავში

ჩვენი ბრძანება არის. მერე მაღრაძე იმ მამულზედ რომ იდგა, ის იქიდამ აგვიყენებია, იმას იმ მამულთან საქმე არა აქვს რა. ეს მამული თუმანიშვილის ნასყიდი ყოფილა, ამასვე დარჩა. თუ სხვას სიტყვა აქვს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს. თებერვლის **კვ** დღეს, ქორონიკონს **უჲგ, ჩღოე** წელს.

ბაბათაშვილს თუ სიტყვა აქვს რამე, ჩვენთან ილაპარაკოს.

285. არზა გოგია გერმანოზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 4 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 788. დედანი. ქაღალდი. 21×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს გერმანოზიშვილს გოგიას.

მე პატარა ობოლი გხლებივარ და ჩემს გამდელს თუშმლის ირემასათვის ორი საკომლო მამული მიუყიდნია. მამის ჩემისაგან არ არის გასყიდული და ჩემის ძმისა და სახლისკაცისაგან არ არის გაყიდული.

ამდონი თქვენი წყალობა იყოს, რომ ის ნასყიდობის წიგნი გამოატანინოთ, და რომ იმ წიგნის გასამტყუნებელი წიგნი და ჰუჯათი მეცა მაქვს და სამართალი გვაღირსეთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტს **ბ**, ქორონიკონს **უჲგ**.

თავში

ეშიკაღათბაშო დიმიტრი, ეს რომ ასე ჩივის, იმ მამულის ნასყიდობის წიგნიც ჩვენთან მოატაინე და ესენიც ჩვენს წინ მოიყვანე. მარტის **დ**, ქორონიკონს **უჲგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

286. არზა გიორგი მინგაშისა სამღებროს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 6 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 235. დედანი. ქაღალდი. 22×16 სმ. თავი დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მიმბაშს გიორგის.

მოგახსენებთ: სამთავისის სამღებროს იჯარა ჩემი და დიმიტრი ამილახორის შვილისა იყო. სანამ დიმიტრის თქვენი რისხვა მიეღებოდა, ის მძლავრობდა, ისი და რევაზ ამილახორი იმსახურებდნენ. ახლა დემეტრეს უკან კაცი ამილახორისა დგას და იჯარასაც ის იღებს. მოიკითხეთ, თუ ის იჯარა ჩემი და დიმიტრისა იყოს, რაც ამილახორს აეღოს, იმის პასუხი გამცეს და სამღებროც დამანებოს. თუ არადა, ჯარიმა გამაწევინეთ.

ჩემო ჯელმწიფევ, მუდამ ჩემის სახლისკაცისაგან ამდონს გაწყენთ. ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართალი მაღირსეთ. ფებერვლის **ზ**, ქორონიკონს **უჲგ**.

თავში

ქ. ბატონო ამილახორო რევაზ! მერე ეგ სამღებრო ამ მინბაშს გიორგის დაანებეთ. მაგრამე ვინც ქართლში ამგვარათ სამღებროებს იჭერენ, თუ ისინი ან წიგნით და ან სამართლით საბუთს არ იქმო-

ნენ, რომ ძვე[ლ]თა ბატონებისაგ[ა]ნ წყალობა სჭირვებოდეთ, თუ ასე საბუთი არა ჰქნეს, ჩვენ სამღებროს [ვერ] მივცემთ. აღიწერა მარტის **3**, ქორონიკონს **უიგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეუბობს ძენ ქებეთის მეფენ ცხებულს, ერეკლე.

287. არზა სოლოგოზ და დავით აბაზაძეებისა მამული თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 6 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3752. დეფთარი. 27×14 სმ. ქალაღდი. მხედრული. გაუკეთილობის ნიშნები ნაჭრარი აქ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს მათს ფერჩთა მიწას აბაზაძეს სოლომონსა და დავითს.

ამას მოგახსენებთ ჩვენს კელმწიფეს: აქ ჩვენი ბიძასშვილი ზედგინ გახლდათ და თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა. იმისი და მოსულიყო, თქვენთვის თავი ეწყინ[ა], ერთის დღის მიწას გავყიდ[ი]ო და ჩემს ძმას და[ვ]მარხ[ა]ო. თქვენც გებძანებინათ, გაყიდოსო ერთის დღის მიწაო.

წამამიარა და ერთი საკომლო მამული სულ გაუყიდნია თორმეტ ბინალთუნათ, ჩემი სამკვიდრო მამული რომ იმას კელი არა აქვს. ის დედაკაც[ი] ადგა და იმერეთს შვილი ჰყვანდა და იქ წავიდა. თხუთმეტი მინ[ა]ლთუნი თქვენგან დაყმართ[ა] წყალო[ბა]. თხუთმეტ მინალთუნათ ცხენი და იარაღი გაყიდა. ესენიც თითონ წაიღო და ჩემი მამულიც იკარგება.

ორჯელ არზა მოგართვით და პასუხი არ მაღირსე[თ] რა. ჩემს მამულს უსამა[რ]თლოთ ნუ წამართმევთ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, სამარ[თა]ლი მაღირსეთ. მარტის **გ**, ქორონიკონს **უიგ**.

თავში

ქ. ამ არზის პატრონებო, თქვენი მამული ვისაც ეყიდნო[ს], რაც მიეცეს, ისიც მიეცით და ცოტა რამ სარგებელიც. და თქვენი მამული დაიხსენით. მარტის **3**, ქორონიკონს **უიგ**.

ქ. რაც რომ მდივანბეგებმა გაგიჩინოსთ, ის მიეცით. და თქვენი მამული თქვენ დაიხსენით.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეუბობს ძენ ქახეთის მეფენ ცხებულს, ერეკლე.

288. არზა იოთამ შაბურიშვილისა სახელოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 12 მარტი

ცისა. ტომი 1450. ღვთარი № 13. საბუთი № 74. ბირი. ქალაღდი. მხედრული.

[60 v] ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს იოთამ შაბურიშვილს.

ბანაჩემმა ჩემი თავი ათის წლისა მოგართვათ და თქვენ ჯიბაშკარ ნაზირს მიმაბარეთ. თქვენის მოწყალებით იმასთან გავიზარდე. ღმერთსა და თქვენს მზესა ვფიცავ, რა თავს მოვსწრებივარ. ერთგული თქვენს სამსახურში ვყოფილვარ.

ახლა ეს არის ჩემი ვედრება, რომ ბატონისშვილებს უბძანოთ ჩემთვის შემაბრალოთ, რომ ჩემი სახელო ბოქოულთხუცობა მტკიცეთ მიქნეროს, რომ ჩემის თავით და შვილებით თქვენსა და თქვენის შვილების სამსახურში აღსრულდეთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის **ი**, ქორონიკონს **უიგ**.

თავში

ჩვენო ღვთის წყალობავ შვილო ბატონო გიორგი და ლევანო! ეს ბოქოულთხუცესი იოთამ ჩვენი ერთგული არის. და ამისი შვილი და პაპა ჩვენი ერთგულათ მოსაძსახურენი ყოფილან. ეს თქვენის მოგვიბარებია, ამაზედ თვალყური დაიჭირეთ. მარტის **იბ**, ქორონიკონს **უიგ**.

ჩვენ, მეფის [61] ძე ლეონ, ბატონის ბძანების თანამოწამე და აღმასრულებელნი ვიმყოფებით.

289. არზა დარჩიაშვილის ჭვრივისა გამოხალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 21 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 573. ბირი. ქალაღდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს დედოფლისაგან დახსნილს თაქთაქისშვილისაგან დარჩიაშვილის გიორგის ქვრივსა.

ეს ორი წელიწადია რაც დაგვიხსნა და ველისციხეს დავასახლა, მამულიც გვიბოძა. პატრონი თქვენის ჭირის სანაცვლოდ გამოხადა. ერთი მაზლი და სამი ობოლი დამრჩა, ჯერ მამული არ გაგვიკეთებია, არ დასცალდა თუ გაეკეთებინა.

ერთი ოქმის წყალობა გვიყაოთ, რომ სანამ მამული გავაკეთოთ და ცოტათ გავემართნეთ, გასაღებია და ბეგარაში არ გაეგრიოთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის კ, ქორონიკონა უჲგ.

თავში

ქ. ველისციხის მოურაო სიმონ: ამ არზის პატრონისათვის ორს წელიწადს ჩვენი გასაღებიც გვიპატიებია და ნურც ბეგარაში გაუგრევთ. მარტის კა, ქორონიკონს უჲგ.

290. არზა გლახა თარხნიშვილისა ყმის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 21 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 33. საბუთი № 215. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე. საბუთი № 216.

[85] ღმერთმან ბედნიერის ჯელწიფის ჭირი მოსცეა მათს მიწას გლახა თარხნისშვილსა.

ამას ვეუდრები მის სიმაღლესა, რომ მე ჩემი კაცი მიჩიოდა თქვენს სიმაღლესთანა ნაბახტეველი აკოფა შვილი აკოფა. სამართალში გამტყუნდა, ღვთითა და თქვენის წყალობითა მე დამრჩა და განაჩენიც მებოძა.

და ამ წყალობას ვითხოვ: ერთის ოქმის წყალობა მიყავით სოლომან მოვრაევის შვილზედა. სიძიმას მინდა მივაბარო და რაც ვითხოვო, იმანვე მამაბაროს, იქიდამ ავყაროო და წავიყვანო. ღმერთი გაგიმარჯვებს, ოქმის წყალობას ვითხოვ. მარტის კა, ქორონიკონს უჲგ.

თავში

ჩვენი ბძანება არის მოურავიშვილო სოლომან! ეს გლახა თარხნიშვილის კაცი - აკოფაშვილი აკოფა შენ გებარებოდეს, რადგანც ამისი ნება არის აჰყარე და შენთან მიიყვანე. და როდესაც ვთხოვოს, თავისი კაცი მოაბარე. მარტის კა, ქორონიკონს უჲგ.

თუ ვინმე[ს] სიტყვა ქონდეს, მოგვახსენოს.

291. არზა რევაზ ამილახვარისა ნამულის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით

1775 წ. 3 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 13. საბუთი № 142. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[112] მათს ბრწყინვალებას ბატონს მდივანბეგებს ამილახვარი რევაზ მოვახსენებ.

ჩემი საქმის გაჭირება გასინჯეთ. ჩემ[მ]ა ცოდვამ რა განსაცდელი მომივლინა. ახლა არზსა გწერ თქვენა, მაგრამ ჩემ[მ]ა ბიძაშვილმა, ბიხბაშმა ასე საქმე გამიჭირა. როდესაც ეს განსაცდელი მამიკიდა, იმავ დღეს კაცი შემეისია. ცხინვალს ჩემს ციმას აკეტიქას რომ ჩემგან ნასყიდი მამული უჭირავს, იმ მამულიდამ გამოაგდოს. თავისი მუშა შეუშვა და თითონ მუშაობს. თქვენგან გასამართლებულია, თქვენი განაჩენიც უჭირავს და რაც სამართალი გქონდა, არ დაიჯერა. ასე სწერია ამ განაჩენში: როგორც დაფასებულიყო, თეთრი უნდა მოეცა, გიორგობის თვეში უნდა დაეხსნა; და თუ ვერ დაეხსნა გიორგობის თვეში, მამული მე უნდა დამნებებოდა.

ახლა ამდენი [V] ხანი გაცდა და ჯერ ერთი ფული არ მოუცია. მამულიც წამართვა. ღმრთის გულისათვის და ბედნიერის ჯეფის ჭირსა ამ შფოთიდამ გამომიყვანეთ და ჭეშმარიტი სამართალი მიყოთ. ახლა თავისთავად მამული რათ წამართვა. ბატონს ხომ არზა ვერ მოვართმევდი. ახლა თქვენ გეუდრებით, ამის პასუხი ვალე მიბარონთ. გიორგობის თვიდამ მოკიდებული ამ თარიღამდინ სულ ვეხოვე თეთრსა და არ მომცა და უთეთროდ წამართვა. ახლა კიდეც რომ მომცეს თეთრი, რადგან თქვენი განაჩენი გასამართლებულია, აღარ დაუჭერ. თორემ იასული ხერხეულიძე დავით არის და იმისაგანაც მოგხსენებათ, რომ თეთრი მითხოვნია და არ მოუცია. მარტს კვ, ქორონიკონს უჲგ.

თავში

მდივანბეგების კეთილად მოსახსენებელო ხერხეულიძე დავით! მერე ამილახვარი რევაზ და გოგია მინბაში ცხინვალს ვენახზედ რომ ჩიოდნენ და განაჩენი მოგეცით: გიორგობის თვემდის თუ გიორგი მინბაში დაიხსნიდა, ხომ უნდა დაეხსნა; და თუ გიორგობის თვეში ვერ დაიხსნიდა, ამილახვარს საბეჭდავი უნდა მიეცა და კენახი დაენებებინა. ახლა რადგან გიორგობის თვეში არ დაუხსნია და თავისთავად წაურთმევია და არც როგორც დაფასე-

ბულა ის მიუცია, ეგ ვენახი ისევ ამილახვარს რევაზს მიაბარე, [113] რაც ავეტიქას სიგელში უწერია თამამათ; და გოგია მინბაშმა საბეჭდავი უნდა გამოართვას. სხვა საქმე არა ექნება რა. აპრილის გ, ქორონიკონს უძგ.



ჩვენ, პატრონი მეფე ირაკლი ვამტკიცებთ. აპრილის ივ, ქორონიკონს უძგ.



292. არზა გაბაშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 20 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 779. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს გაბაშვილის ქაიხოსროვის შვილს გოგიას და რევაზის შვილს ანდრიას.

ზემოთ კარზედ მამად შარიფისაგან ნაყიდი მამული გვაქვს; ნახევარი ჩვენია, ნახევარი იედიგარას შვილის სადუხასი, იედიგარას შვილს მთლად ზავთი უქნია, წილს აღარ გვიდებს.

ამას წინათაც ელაპარაკნათ რევაზთან. ნეტარხსენებულს ჯელმწიფე მამათქვენს ოქმი უბოძებია და ჩვენ გვეჭირა. ჰირიანობას რევაზ თქვენის ჰირის სანაცვლოდ შეიქმნა; ჩვენ ობლები დავრჩით. და იედიგარაშვილმა გვიბრიყვა, თითონ ზავთი ქნა. ხუთის წლის ქირას ვედა[ვ]ებით და ის მამულსაც არ გვანებებს. ამის მეტი აღარ-სად ყმა გვყავს და აღარსად მამული.

გვევედრებით ცხებულის ჯელმწიფის ნაბოძები ოქმი და ნასყიდობის სიგელიც და სამართალი გვიბოძოთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. აპრილის ივ, ქორონიკონს უძგ.

ჩვენს სამართალს სხვას ნუ უბძანებთ, ჩვენო ჯელმწიფევ.

თავში

ქ. ეშიკაღასბაშო დიმიტრი! ესენი მოსამართლე[ე]ბთან მიაყვანინე და ამათ სამართალი უსაჯონ. აპრილის კ, ქორონიკონს უძგ.

ესენი ასეთი მწარეთ ობლები არიან ამათზედ სისწორით ძალიან გაისარჯეთ.



293. არზა ერასტი ამილახორისშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 29 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 232. დეღანი. ქაღალდი. 16×13,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ამილახორისშვილს ერასტის, ქაიხოსროს. ჩვენ და რევაზ ამილახორმა საუფლისწულო რომ გავიყევით, ერთი ძმა მე მერგო და ერთი იმასა. იმ ჩემის ნარგების კაცის ნაფუზარი ამილახორის ყმამ! ყამაზაშვილმა ტეტიამ წამართო. წავედავენით; და დავით ხერხეულიძესთან პირობა დაგვიდო: ღვინობის თვეში ნასყიდობის წიგნს მოგიტან, რომ ნასყიდი მაქვსო; მაგრამ აპრილმა გაიარა, რომ წიგნი არ მოიტანა.

ერთის ოქმის წყალობა გვიყავით დავით ხერხეულიძეზ[ე], ან წიგნი მოიტანოს და ან მამულზედ ჯელი აუმართოს, ღმერთი გაგიმარჯვებს; იმდონი გამარჯვება გაქვსთ, რამდონი უსამართლობა ჩვენ ამილახორისაგანა გვჭირდეს, მაგრამ მუდამ თავს ვერ გაწყენთ. აპრილის კე, ქორონიკონს უძგ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის დავით ხარხეულიძევ! ეს წიგნი ამილახორთან უნდა მიიტანო. თუ ამილახორის კაცს ნასყიდობის წიგნი ჭონდეს, გამოაცხადოს და თუ ნასყიდობის წიგნი არა ქონდეს ამილახორის კაცს, ეს მიწა ამ თავის ბიძასშვილებს დაანებოს. აღიწერა აპრილის კთ, ქორონიკონს უძგ.

თუ სხვა რიგი სიტყვა ჰქონდეს რამ ამილახვარს, სამართალში მოგვახსენოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფეთ ცხებულს, ერეკლე.

294. მოწმეთა მოწოდება იმანე რამაზაშვილის ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 30 აპრილი

ცსსა. ბ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461. რვეული № 13. საბუთი № 53. პირი. ქაღალდი. მხედრული. შდრ. 1775 წლის 25 მაისის არზას (აქვე, № 298).

[34] ქ. ჩვენ, ფხოველთ, რამაზასშვილის მოწმობა გვკითხეს. სულ სოფელი ასე [ვ]მოწმობთ: თამასხანმა რომ ჩაწოიარა კახეთზე, ავთანდილ ნაბიჭვარმა დარჩიაშვილის და მაშინ მაიყვანა, ის რამაზა პატარა ბიჭი თან მოიყვანეს; ავთანდილ ნაბიჭვარიცა და ეს ბიჭიცა — ორნივ ამ ზაალის ყმები იყვნენ. როცა რომ ავთანდილზედ ზაალმა ხელი აიღო, ეს რამაზა იქავ ზა[ა]ლთან დარჩა. მამულსაც ამისაში იდგა უკანა მხარში. არას თავადიშვილსა და არც გლეხსა ხელი არავის ქონდა ამის მეტსა. ღმერთსა ვფიცავთ და მეფეს ერეკლესა, რომ ეს ასე იყო. ნება ბატონისა[ა].

ქ. ჩვენ, ჯიმითელნი სამღდელო და საერო კაცი, ასე მოწმობით ჯერ ღმერთსა ვფიცავ და მერმე მეფეს ერეკლეს, როგორც ფხოველთ მოუხსენებიათ, ჩვენც ასე ვიცით და ასე იყო. მამულსაც ამისაში იყო და არცავის ხელი ქონდა ამის მეტსა. ნება ბატონისა[ა].

ქ. ჩვენ, ზიარელთ, რამაზიშვილის მოწმობა გვკითხეს: ჯერ ღმერთსა ვფიცავთ და მერმე მეფეს ერეკლეს, რაც ამ სოფლებს მოუხსენებია, ჩვენც ასე ვიცით, რომ ზა[ა]ლის მეტს ხელი არავისა ქონდა. ახლა ნება ბატონისა[ა].

ქ. მე, მუსალიბიშვილი, ჯემწიფეს ასე მოვახსენებთ. ამ რამაზაშვილს რომ მოუხსენებია, რომ ნოდარიშვილის ყმის მამულით ერჩებოდიო და ზა[ა]ლს ჩემთან რა ხელი აქვსო, ჯელმწიფეს მზემ, რომ გუთანზე მოდგმობის მეტი ხელი არა გვქონია. ბატონი ჩემი ვერც კი იცნობდა. რაც ამ ქვეყანაში გაჩნდა, მამულსაც ზა[ა]ლისაში იდგა და ყმაც ამისი იყო. ის დარჩეთს მსახლობელი იყო და მე ზიარს, ჩემთან ხელი არა ქონდა. ახლა ნება ბატონისა[ა].

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის რამაზაშვილო! მერე ამდენს კაცს უმოწმებია და ჩვენ ამ მოწმე[ე]ბის მოწმობას ვჯერვართ. შენ ამისი ყმა ხარ. რომელიც მართებული არის, შენც ისე დაემორჩილე. და ეს ბატონი შენი ზაალც მწყალობელი იქნება შენი.

რომელსაც სოფელში ეს რამაზიშვილი ივანე იდგეს იმ სოფლის მოურაო და მოხელეც! თავისი კაცი ამ ზაალ ენდრონიკაშვილს მოაბარე. აღიწერა აპრილის **ლ**, ქორონიკონს **უიგ**.

ბატონიცა და ყმაც ერთმანერთთან რიგიანათ გზას წადით და ქარგათ მოიქეცით.

295. არზა ადამ უარანგოზიშვილისა გამოსული თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 8 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10997. დედანი. ქაღალდი. 21,5×10,3 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ალავ-ალაგ ნახნარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ადამ უარაგოზიშვილსა.

მთიულეთში ერთი კომლი კაცი თქვენი მტერი ამოგვიწყდა და იმისი მამული ივანე ბურდულს მივაბარე ამ პირობით: იმ მამულის გამოსავალი წელიწადში ნახევარი ჩემთვის უნდა მოეცა: არც ნახევარი მოსავალი მომცა და არც მამულს მანებებს. ამას მიეუბნება: ბატონმა მე მიბოძაო. აზნაურშვილები გახლანან აქა, ღმერთი და თქვენი მზე აფიცეთ: თუ ჩემი იყოს, წყალობა მიყავით. თიოონ თიანეთის მოურავიც აქ გახლავსთ; და თუ ან სახახო იყოს და ან ბეითალმალი იყოს, ნება თქვენია, ვისაც გინდა იმას უბოძეთ. ბატონისშვილის გიორგის ოქმი მივიტანე, მაგრამ ავათ მომეპყრა და ცემაც მიქადა და შიგ არ გამატარა. სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის ჱ, ქორონიკონს **უიგ**.

კიდეზე

ქ. ვინცავინ ამის მეცნიერნი იყვნეთ არაგ[ვ]ელნი გლეხნი თუ აზნაურნი აქ მყოფნი, ღმერთს გაფიცებთ, რომ ჭეშმარიტი მოგვახსენოთ. მაისის ჱ, ქორონიკონს **უიგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. ბედნიერს ჯემწიფის ამის ჰაღიღათი ეკითხა. მე, მთიულეთის მოურავის ძმა ნ ი კ ო ლ ა ო ზ, ჰეშმარიტს მოვაჯსენებ: ის მამული ადამისაა მამა-პაპით და ამისმა მამამ მიაბარა იმ კაცს.

ქ. გუდამაყრის მოურავი სალთხუცის ბიძაშვილი ნ ი კ ო ლ ა ო ზ მოვახსენებთ: რაც ადამს მოუჯსენებია, ჰეშმარიტია, რომ ღმერთსაცა ვფიცავ და შენს მზესაცა.

296. არზა ზაალისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 17 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1412. დედანი. ქაღალდი. 18×11,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონას ზ ა [ა] ლ ს. მერმე ამას მოგახსენებთ: ეს რ ა მ ა ზ ა ს შ ვ ი ლ ი რომ მელაპარაკება — შენი ყმა არა ვარო, ეს ოცდაცხრა წელიწადი არის, რომ თავისის ბატონისაგან განთავისუფლებულა. ამ ოცდაცხრას წელიწადში ჩემს ყმათ არის. ახლა ნება ხემწიფისა არის. მაისის **იზ**, ქორონიკონს **უჟგ**.

თავში

ქ. ბატონო სახლთხუცესო გ რ ი გ ო ლ და მდივნებო! ამ არზის პატრონს სამართალი მოეცით. მაისის **იზ**, ქორონიკონს **უჟბ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ **ცხებულს**, ერეკლე.

297. არზა ვაჩნაძიანთა მამულის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 22 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 215. დედანი. ქაღალდი. 33×20 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ორწერტილი ხაზით : —

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ვ ა ჩ ნ ა ძ ი ა ნ თ. მერმე ამას მოვახსენებთ: ნეტარჯსენებულს ჯელმწიფე მამა თქვენთან ილაპარაკეს კოლაგელთ; დავით ზურაბის შვილს ფიცი და[ე]დვა, რომ კოლაგელთათვის შეეფიცნა, არც შემოგვფიცეს; ის სალაპარაკო მამული იქით დააგდეს; ბ ა კ უ რ ც ი ხ ი ს ბოლოს სამი გუთანი გვქონდა, იმ გუთნებთან მ ე ბ უ რ, ა ი დ ე მ უ რ, დ ა ვ ი თ ა ფ ხ ა ზ ი და ო თ ა რ ა ფ ხ ა ზ ი იქ გახლდით. ო ტ ი ა ს და დ ა ვ ი თ ს სამი სოფელი შე[ე]ყარა, ჩვენ არაფერი გვცოდნია, ლეკის მსგავსადა დაგვესხნენ, დაგვლახეს და მას დღეს აქეთ მამულებსაც ისინი სჭამენ.

არზა მოგართვით და ჩვენი საჩივარი მოგახსენეთ, გვიბძანეთ: კახეთს გამოვალთ და ამის სამართალს იქ გიზამთო. ჯანანის საყდართან რომ მშრალი ოლე ჩავარდება, ის არის ჩვენი მიჯნა.

ამას გარდა ეს არის ჩვენი საჩივარი: ჩვენს მთაში ღორები ჰყუანდათ ვეჯინელთ, საბალახე ვთხოეთ და არ მოგვცეს. ბაკურციხელთ უთხარით: თუღა შემოუშვესო, ღორი მოუკალითო. ორი ღორი მოუკლეს; ამ ღორების ბადალი ღორები იმათაც დახოცეს, ამასაც არ დასჯერდნენ, ბაკურციხული ცხვარი ლ უ ა რ ს ა ბ ი ს ცხვარში ერივა, დიდს ხუთშაბათს დღეს შაყრილიყო სოფელი, ამ ცხვარს დაესხა. ერთი ლუარსაბის კაცი ჯელში დასჭრეს და თორმეტი ცხვარი წაიყუანეს; ოთხი ლუარსაბის ცხვარი ისევ მიეცათ იმ დაჭრილის კაცისათვის, რვა ბაკურციხული კი წაიყუანეს, ერთი ოტიას მიართვეს ის ცხვარი, ერთი დავითს, ერთი რ ე ვ ა ზ მოურავს გაუგზავნეს, მოურავს კი არ დაეჭირა, ისევ გამოეგდო, კაცებსაც ავათ მოჰპყრობოდა.

მე, ლ უ ა რ ს ა ბ, ამას მოგახსენებთ, ჩემო ჯელმწიფევ: ჩემის კაცის ვენახში გახლდი. იმათ მამულს ვაშველებდი. იმ ვენახს ახლო ვეჯინური ცხვარი მოვიდა ერთი პატარა ბიჭი ახლდა, ისიც გავალახვინე და ერთი ცხვარი მოვაყვანინე. ამ ბიჭმა რომ ძახილი შექნა, ის ცხვარი ისევე მივეც. ვ ე ჯ ი ნ ი შეყრილი ყოფილიყო. ჩვენს ცხვარს სადმე იყოფდნენ, დაიძახეს და მომიხდნენ სოფელში აღდგომის ღამეს, დიაღ, ძალიან ჩხუბი გაიმართა. შვიდს-რვას დღეს უკან ზ ა ქ ა რ ი ა ს კაცი მოკუდა, თოფი არა ჰქონდა ნაკრაი და ხმალი იმ კაცს, დავითმა და ოტიამ სულ გზირი აძახეს სოფელში და ისე შამამიხდუნეს. თავისის ჯელის ძალით კი ნუ გვლახავენ. თქვენის სიმაღლით რაც გარდაგვხდეს, მიგვაცემინეთ და მამულზედაც სამართალი გვაღირსეთ. აპრილის **კ**, ქორონიკონს **უჟგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ღმრთით ჩვენ რომ კახეთს გამოვიდეთ, მაშინ მოგვახსენეთ და ამის სამართალს განვაწესებთ. მაისის **კბ**, ქორონიკონს **უჟგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ **ცხებულს**, ერეკლე.

298. არზა ივანე რამაზაშვილისა ყმოგის თაოვაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 26 მაისი

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461. რვეული № 13. საბუთი № 52. პირი. ქაღალდი. მხედრული. შდრ. 1775 წლის 30 აპრილის მოწმობას ამ საქმეზე (აქვე, № 294).

[33] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ანაგურს შიოშვილი თამაზას ნასყიდს ივანეს.

ზაალ ენდრონიკაშვილი ცალკე მედავება — ჩემი ყმა ხარო, ბილან ცალკე მედავება — ჩემი ყმა ხარო და ავთანდილ ნაბიჭვარი ცალკე მეჭიდება — ჩემი ყმა ხარო.

ამდონი თქვენი წყალობა იყოს, რომ ერთი ოქმი გვიბოძოთ, თქვენს ქიზიყს მობძანებამდინ სამნივ დამეხსნან. ნურც ერთი ნუ ამყრიან ანაგიდამ.

მერე ყველანი თქვენს სამართალში გვალაპარაკეთ. თუ თქვენი ყმა ვიყო, თქვენს ყმათ დამდევით; და თუ არა, ვისაც დავრჩე, იმას უბოძეთ ჩემი თავი. ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისს კე, ქორონიკონს უძგ.

თავში

ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! შენ ჯერ ზაალ ზურაბი[ს]შვილის ყმა ხარ. და ღვთით ჩვენ რომ კახეთს გამოვალთ, გალაპარაკებთ. თუ იმათ დარჩით, იმათ მიგცემ. და თუ გამტყუნდნენ, გარდავახდევინებთ. მაისის კვ, ქორონიკონს უძგ.

ქ. თუ არადა, რაც ჩვენ გვინახავს, შენ სწორეთ ზაალ ზურაბი[ს]შვილის ყმა ხარ, ტყუილად ლაპარაკს დაეხსენ. [ ]

299. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა მამულის თაოვაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 29 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14020. დედანი. ქაღალდი. 31×17,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი მოსცეს ლუარსაბ ონანაშვილს.

მერმე ამას მოვახსენებთ ბედნიერს ჯემწიფეს. მე და დავით

აფხაზი რომ სასახლეზე ვლაპარაკობთ, ის სასახლე ჩემი არის. თუ რომ თქვნგან წყალობა დამართები[ა], თქვენის წყალობის წიგნი ექნება; თუ მე მიმიყიდნია, ჩემი ნასყიდობის წიგნი ექნება; თუ გამიცვლია, მოწამე ეყოლება. მისი მოხსენება ეს არის, რომ ორის დღის მიწა ჩემთვის მოეცეს; ის ორი დღის მიწა გულიაშვილის მიწაში მოუცია თქვენის ბძანებით, რომ თქვენ ბებურისათვის გებძანებინათ. თუ არ გამიწყრებით, ვერც იმას გაუცელი, თავის მიწას ისევ მივცემ და ჩემს გამოვართმევ. ესეები სულ ძალის მოინაბრობით წამრთმევია. თავს გაწყენ და ნება თქვენია. ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთხელ გადამიწყვიტე. მაისის კვ, ქორონიკონს უძგ.

თავში

ქ. ეშიკაღათბაშო გარსევან! ესენი მოსამართლეებთან ალაპარაკე და ამის სამართალი იმათ უსაჯონ. აღიწერა მაისის კთ, ქორონიკონს უძგ. ესენი ორნივ ჩვენს სამართალში მოიყვანე, ჩვენთან ვალაპარაკებთ და სამართალს ჩვენ მივსცემთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

300. არზა იოსებ თუმანიშვილისა მამულის თაოვაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 31 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 46. საბუთი № 166. პირი. ქაღალდი. მხედრული. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს, რადგან იგი არზაზე ადრე ვერ დაიწერებოდა.

[118 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათ ფეხთა მიწას თუმანიშვილს მდივანს იოსებს.

მათს სიმაღლეს ამას მოვახსენებ. რუისში[1] ოსმალობისა და ყიზილბაშობის დროს რომელთაც თქვენი სახასო მამული ეყიდნათ, იმისი ჩამორთმევა და ისევ სახასოთ დადება ბძანეთ. და ვისაც სახასო მამული ეჭირათ — ჩამორთმევა.

რუისსა ჩვენც ზვარი და მამულები გვჭონდა ნასყიდი. ჩვენც გამოგვერთვა. რომელთაც ოსმალობის და ყიზილბაშობის ნასყიდი

[1] რეისში.

მამულები ჰქონდათ, იმათ თავიანთ ნასყიდობა აღარ მოუშალეთ, ისევ იმათვე უბოძეთ. და ჩვენი მამული, რომელიც ვახტანგ მეფის დროს ბაბათასშვილისგან ნასყიდი გვაქვს, მე აღარ მებოძა და მაღრაძეს უჭირავს.

ახლა ჩემს ნასყიდს მამულზედ ბაბათასშვილი და მაღრაძე დაობენ და თქვენთან ჩივიან. თუ თქვენი სიმაღლე არ გამიწყრება, იმათ ჩემს ნასყიდს მამულთან რა საქმე აქვსთ. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამაზედ სამართალი მაღირსეთ, უსამართლოთ მამული არ დამეკარგოს. **[119]** თუ ბატონების დროს ნასყიდი მამული სხვათ გამოერთმევა, მე რაღა სიტყვა მექნება. მაისის **ლა,** ქორონიკონს **უძგ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის. მერე მაღრაძე იმ მამულზე რომ იდგა, ის იქიდამ აგვიყენებია; იმას იმ მამულთან საქმე არა აქვს რა. ეს ბამული თუმანიშვილის ნასყიდი ყოფილა, ამასვე დარჩა. თუ სხვას სიტყვა აქვს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს. თებერვლის **კვ,** ქორონიკონს **უძგ.**

ბაბათაშვილს თუ სიტყვა აქვს რამე, ჩვენთან ილაპარაკოს.

301. არზა ტეტია გაბაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 31 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 810. დედანი. ქაღალდი. 13,8×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ტეტიას გაბაშვილს.

მერე ამას მოვახსენებ: ერთი ჩემი კაცი ჯისიყის მოურავის მამულში გახლდათ ხიზნათა. ახლა რომ გაიყარნენ, სოლომონის წილს მამულში გახლავს.

ამ წყალობას ვითხოვ, რომ ერთის ოქმის წყალობა მიყოთ სოლომონზედ, რომ რადგან სახლი იქა აქვს, თვალ[ი] და ყური დაიჭიროს და ყური მიუგდოს მანამ. მაისის **ლა,** ქორონიკონს **უძგ.**

თავში

ქ. ჭიზიყის მოურავიშვილო სოლომან! ტეტია გაბაშვილის კაცი რადგან შენს მამულში დგას, ეგ კაცი შენ გებარებოდეს, თვალყური გეჭიროს, უბრალოდ ნურავის გააგლეჯინებ. თუ მაგ კაცთან სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენონ. მაისის **ლა,** ქორონიკონს **უძგ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

302. არზა ოსიაურელი მახარასი დახსნის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 31 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 36. საბუთი № 255. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[166 V] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ოსიაურელს ეულს მახარას.

მერე ამას მოვახსენებ, რომ სამჯერ[1] დაკარგული ვარ. პირველათ რომ დავიკარგე თავი დავიხსენ თხუთმეტ თუმნათ[2]. ათი თუმანი კი მოვეც, ხუთი თუმანი ისევ მმართებს. ერთხელ ახალციხიდამ გამოვიპარე. ოსიაური რომ აიღეს, შვილით და თავის დავტყვევდი. ახლაც დავიხსენ თავი თორმეტ თუმნ[ათ]. ერთი ვაჟი მყავს ცხრა წლისა. ასე შეწუხებული ვარ მოვალე[ე]ბისაგან, რომ გაქცევის მეტი გზა არა მაქვს.

ყოვლად მოწყალეს ჯელმწიფეს ამას მოვახსენებ: ან თქვენ დამიხსნათ და ან ერთის ოქმის წყალობა მიყოთ, რომ დამიხსნას ვინმე. უთქვენსოქმოთ **[167]** არავინ მიხსნის. თუ ამ ორში ერთის წყალობა არ დამემართება, აქ დგომის ილაჯი არა მაქვს. აღიწერა მაისის **კთ,** ქორონიკონს **უძგ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონებო! მერე ოსიაურებს ახლაც ათი თუმანი უბოძეთ და სხვანიც ბევრნი არიან ტყვის პატრონები. თქვენ თუ თქვენი ბატონი დაგიხსნის და შეუძლიან, ხომ ის არის. თუ არადა, ვინც დაგიხსნისთ, იმისი ყმა შეიქნები. მაისის **ლა,** ქორონიკონს **უძგ.**

[1] სამჯერ] ამით სამჯვარ. [2] თუმანა.

303. არზა რევაზ ფავლენიშვილისა უმის თაობაზე ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ოქმებით

1775 წ. 12 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 409. დედანი. ქაღალდი. 32,5×11 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან სრულიად საქართველოს დედოფლის ჭირი მათს მიწას ფავლენიშვილს რევაზს მომცეს.

ჩემი სიძე ცოცხალი გახლდათ რევაზ ნაზირი, რომ თავის სახლობას ერთი კომლი კაცი მისცა. ის რომ თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა, ჩემს დას ჰყვანდა. ჩემი დაც თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა. სამარხი რომ არ ჰქონდა, თქვენის ოქმით მაიორს დაუგირავეთ, იმითი დავმარხეთ.

ახლა ორბელიშვილები მაიორს იმ კაცს აღარ ანებებენ, არც თეთრს აძლევენ და მე მაწუხებს მაიორი. მოგეხსენებათ, ორი ძმა ჩემი თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნენ. ყმა და მამული გაეყიდე, იმითი დავმარხე, ვალიც დამედო.

ამ მოწყალებას ვითხოვ: როგორც ერთის თავადისშვილის ცოლს სამარხი მისცემოდეს, იმასაც ებოძოს, რომ მკვდარი არის და საცოდავი; ან ისიც კაცი უბოძოთ ან თეთრათ მიეცე[ს] იმ მკვდარს. ახლაც კიდეე მისმა უმაღლესობამ ბძანა, რომ სამართალი თქვენ გვიბოძეთ. თიბათვის **ზ**, ქორონიკონს **უპგ**.

თავში

ქ. ფავლენიშვილო რევაზ! შენის დის სამარხის გამო ამ არზით სამართალს რომ ითხოვ, იმჟამად ჩვენ ეს შევძელით, რომ ის ერთი კვამლი ათ თუმნათ ჩვენის შეტყობითა და სიტყვით დაგირავდა, რომ სამარხისა სხვა ილაჯი არა ჰქონდათ. და რადგან ეს საქმე მისის უმაღლესობისაგან გამოსაძიებელი არის, მისს უმაღლესობასაც მოახსენე და რომელიც სამართლით პასუხის ბოძება იქნება მისის უმაღლესობისაგან გარდაწყვეტით გებძანება შენის დის სამარხის მოცემისა. ივნისის **ი**, ქორონიკონს **უპგ**.

დ-დოფალი დარეჯან

ქ. ჩვენი ბძანება არის ორბელიშვილებო! მერმე ამ კაცის გასყიდვა თუ არ გინდათ, თავისი თეთრი მოეცით და კაცი თქვენი იქნება. და თუ თეთრს არ მოსცემთ, ეს თავისი გირაო კაცი მაიორს დარჩება. თუნდა გაჰყიდოს და თუნდა თითონ იყოლიებს. ივნისის **იბ**, ქორონიკონს **უპგ**. ალბათ, ალბაათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძენ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

304. არზა იოანე მუხრანბატონიშვილისა ნისქვილის ქვის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 18 ივნისი

ცსსა. ბ. კარბელაშვილის პირადი ფონდი № 1461. რველი № 3. საბუთი № 44. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[20] ქ. ღმერთმან ბედნიერის ყელმწიფის ჭირი მოსცეს მუხრანის ბატონიშვილს იოვანეს.

წერმე ამას მოვახსენებთ: წისქვილის ქვები მქონდა ყელთუბანს. ირემაშვილმა წაიღო ერთი ქვა და ერთი ისევ ყელთუბანს არის. არა მემართა რა იმისი და არც ფასი მამცა. ოთხი წელიწადია ისი ამუშავებს. ვისაც ებარა, ბევრი უშალა--ნუ მიგაქო. მაგრამ არ დაიშალა, წაიღო.

ამილახვარზედ ოქმი მიბოძეთ — ჩემი წისქვილის ქვა გამომპირთოს. თუ მემართოს რამე, ერთიორად მიმაცემინეთ. თიბათვის **ე**, ქორონიკონს **უპგ**.

თავში

ქ. ჩვენი მაგიერად ბატონს აბილახვარს რევაზს ასე უამბეთ. მერმე ამ არზის მომრთმევს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, თუ იმ ირემასშვილს სიტყვა არა ჰქონდეს რა, ამას თავისი წისქვილის ქვა გამოურთმევინეთ და მოეცით. და თუ სალაპარაკო სიტყვა ჰქონდეს, ან თქვენ გა[ა]რიგეთ და ან ჩვენ სამართალში გამოგვგზავნეთ. თიბათვის **იგ**. ქორონიკონს **უპგ**.

305. არზა ფარსადან თავილდარისა დუქნის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 20 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 1. საბუთი № 38. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[62] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მათ ფეხთა მიწა-მტვერს თავილდარს ფარსადანას მოსცეს.

ჩემო ხემწიფევ, თქვენის ბძანებით ქვემო მეიდანის პირზე ერთი დუქანი ავაშენე და ხარჯი ბევრი მამივიდა [V] ხეზედა და კედლების მასალაზედა, ადგილის ქირაც მიძლევია სარქაროში, მაგრამ ამთენი არ დამცალდა, რომ ჩემთვინ გამ[ო]მეყენებინა რამე. ახლა მესმის ბძანება არის სადმე მეიდნის ქოხებსა და იმ ჩემს დუქანს დაქცევას უპირობენ.

ამ წყალობას ვითხოვ, თუ დააქციონ, ამაზე ერთი ოქმის წყალობა მიყოთ, ვინც იმისი ზედამდეგი იყოს, ჩემი დუქნის მასალა დამანებონ და საცა დუქნებს აშენებენ, ეროი დუქნის ალაგი მამცენ, რომ მეც ავაშენო. ამთენი ჭირნახული და ხარჯი არ გამიფუჭდეს.

ღმერთი თქვენს ხემწიფობას განაძლიერებს და შვილებს გიდღეგრძელებსთ, ამისი წყალობა მაღირსეთ. თიბათვის **იგ**, ქორონიკონს **უიგ**.

თავში

ბატონო სარდალ სახლთუხუცესო დავით! მერმე თავის დუქნის მასალა რაც იყოს, მოაცემინე. და ახლა რომ დუქნებს აშენებენ, იქ ერთის დუქნის ალაგი მოეცით, დუქანი ააშენოს. და რაც იმ დუქნის ალაგის ქირა იყოს, ის ჩვენს სარქაროში უნდა აძლიოს ხოლმე. თიბათვის **კ**, ქორონიკონს **უიგ**.

ამაზე თუ სიტყვა გისმე აქვს, ჩვენ მოგვახსენოს, ჰალბათ.

306. არზა ალიხანასი ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 9 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3020. ტყიანი. ქაღალდი. 20,8×13,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაბმარია ერთი ან ორი წერტილი. ა-ნაკლული. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი პოსცეს მათს მიწას, მღვნის სულხანის ყმას ალიხანსა.

მერე ამას მოვახსენებთ: ქრცხინვალს გახლდი მედუქნეთა. თქვენის ბძანებით ყველა მედუქნეზე ფარჩა მოიკრიფა. მეც გამომართვეს ტანი ორმოცდაათი. ზოგი ხამი მივე, ზოგი ჩითა მ[ი]ვე. ამისთვის არ მომცემია.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი ოქმი მიბოძეთ ხოსინაშვილს გივზედა, ფარჩის თეთრი იმან მოიტანა, მეც ჩემის პასუხი მამცეს, იმანაც თავის გასამ[რ]ჯელო აიღოს. მეც რაც მერგებოდეს, მამცეს. ამაზე მოწყალება გვაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. თიბათვის **იბ**, ქორონიკონს **უიგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ხოსინაშვილო გივო! მერე ამ არზის პატრონი რომ არ არზით ასე გიჩივის, ჩვენ რაც ქრცხილვანელთ ფარჩის ფასი გვემართა უკლებლათ მივეცით. ამისთვის თავისი ჰახი რატომ დაგიკლია; ახლავ რაც ამას ფარჩა გამორთმეოდეს, იმისი ფასი მოეცით გიყო, ერთისათვის ორს მიგაცემინებთ. მკათათვის **თ**, ქორონიკონს **უიგ**.

რაც აიღევით, რატომ ყველას სწორეთ არ გააეყრეთ; და თუ დაჰკლებოდესთ თავანთ ჰაყი, ისიც სწორედ შეგვატყობინეთ*.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძველ ჯახეთის მეფედ ცხებულს, ირეკლე.

307. არზა ჯავახიშვილებისა მამულის გასყიდვის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 13 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. ОЧ 9108. ტყიანი. ქაღალდი. 29.5×10,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნაბმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მათს ფერხთა მტვერს ჯავახიშვილის ზაალის შვილებს დიმიტრისა და როინს მოსცეს.

მერმე ამას ვევედრებით თქვენს მოწყალებას, რომ მამაჩვენი გაღარიბდა და ჴელმოკლეთ შეიქნა და მეტის სიღარიბისაგან მამულსა, ყმებსა ჰყიდის და აგირავებს და საბოლოოდ ჩვენთვის აღარას ნაღალობს და ჩვენ საცოდავათა და საწყლადა ვრჩებით. ეხლაც ერთი ვენახი და ბიჭი დაუგირავებია.

ამ მოწყალებას ვითხოვთ: ერთი ბეჭითი ოქმი გვიბოძოთ, რომ ჩვენი მამული იმის სიტყვით არავინ იყიდოს და არცავინ დაიგირაოს, რომ ბოლოს თქვენის მოწყალებით, ჩვენც გამოვიზარდნეთ და

* უცახასკნელი აბზაცი ერეკლეს ხელით უნდა იყოს მიწერილი.

არ დაგვეკარგოს მამულ-დედული სამკიდრო; და მოწყალეო ჯელმწიფევე, ერთი ბეჯითი ოქმი გვიბოძეთ. მკათათვის **ი**, ქორონიკონს **უიგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ვინც ამ ზაალისაგან მამულს იყიდის, იცოდეს წავართმევთ. ამ ზაალისაგან მამულს ნურავინ იყიდით, გაგვიფრთხილებიხართ. [მ]კათათვის **იგ**, ქორონიკონს **უიგ**. ჰალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფეც ცხებულს, ერეკლე.

308. არზა რევაზ რატიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 18 ივლისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 34. საბუთი № 77. პირი. ქაღალდი. მხედრული. ოქვე, საბუთი № 63.

[62 V] ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს რატიშკილს რევაზს.

მერე ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას. ამას წინათაც არზი მოგვართვით, ერისთვიანთ ჩემი ბარათში ნარგები მამული უჭირავთ, ამირინდო ამილახვარმა და ალექსიშვილმა ომა[63]ნმაც კარგათ იციან, რომ ჩემი მამული არის.

ერთი ოქმის წყალობა გვიყავით, თქვენი მზე აფიცეთ და თავეთის სული, ისინი მოგახსენებენ. მუდამ თქვენი თავის წყენა და ამისთანა დროს სიარული არ შეგვიძლიან. ღმერთი გაგიმარჯვებს, თქვენი შვილების სადღეგრძელოთ ჩვენ სამართალს ყური მოუგდევით, ის მოწმე[ე]ბიც მოხუცებულნი გახლავნან, იმათ ახლავ ჰკითხეთ, მუდამ სიკვდილს მოელიან. ამილახვარიანიც წამოგვდავებიან და ფიცით გამოგვიტანია. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, სამართალი გვაღირსეთ. თიბათვის **ბ**, ქორონიკონს **უიგ**.

თავში

ჩვენ მაგიერად ამილახორს ამირინდოს ასე უანბძთ, ამ არზის პატრონს რომ ამ არზით ასე მოუხსენებია და ამ მამულზე თქვენ გმოწმობთ, ღმერთს გაფიცებთ და თქვენს სულსა, რაც იცოდე ან შენა და ან ალექსიშვილმა ომანმა ამ მამულისა, ორ-

თავ ღვთის წინაშე ჭეშმარიტებით მოაწერეთ. ივნისის **ით**, ქორონიკონს **უიგ**.

[მოწმეთა მოწმობა]

ბატონს ჩვენთვის რატიშვილის მამულის საქმე და ეკალაძისა ებძანა. ნე, ამილახორის შვილი ამირინდო, ამას მოვახსენებ. ამისი გამგონე ვარ, რომ ის მამული რატიშვილის ბარათის ნარგები იყოს და ერისთავს ძალადობით ეჭიროს. თქვენი თავის მზეზე მე ასე ვიცი, თორემ ჩემგან ამგვარი მოხსენება ალარ იქნებოდა. ახლა თქვენი ბძანება ძირსა ვერ დავეც. სხვა არა ვიცი რა.

[63 V] ალექსიშვილს ომანს ასე მომიხსენებია. რაც ბატონ ჩემს მოუხსენებია, მეც ის გამიგონია. ჭიშმარიტათ მართალიც არის, რომ რატიშვილისა ყოფილა. †

ჩვენი ბძანება არის ეშიკაღაბაშო დიმიტრი! ამ არზის პატრონს ერთი იასაული მიეც და ამ მამულზედ ხელი აამართვინე და მოაბარე. ეს მოწმე[ე]ბი, დიახ, სარწმუნო მოწმე[ე]ბი არიან და ამათვე ვერწმუნენით. და თუ ამის მოდაკეს ამისგან უძლიერესი მოწამე ჰყავს, რომ სამართალში შეიწყნარებოდეს, მასუკან სამართალში ილაპარაკოს. ივლისის **იგ**, ქორონიკონს **უიგ**.

309. არზა შოშია საყვარელიძისა მამულის თაობაზე გიორგი და ლევან გატონიშვილების ოქმით

1775 წ. 22 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3118. ღედანი. ქაღალდი. 24,2×10,6 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი. ა-ნაკლული. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ქ. ღმერთმან ბატონიშვილის გიორგის და ლევანის ჰირი მოსცეს მათს მიწას თქვენს ყმას საყვარელიძე შოშიას.

ამას მოვახსენებთ: ზემო ნიქოზს რომ მამული მიჰკრავს იმ მამულის პატრონის ორის დღის მიწა ამირინდო ამი-

ლახვარს ეჭირა. მე მოვახსენე: ჩემი მიწა გიჭირაგს. ამირინდო წამოვიდა და ის მიწა ნახა და მოიკითხა. ჩემის მამულის მჭირვის სამკვიდრო გამოდგა და ხელი აიღო, დამილოცა და მამცა. მას აქეთ ცხრა წელიწადია მე მიჭირავს. ახლა მუჩაიძე ფირან წამამე- დავა და წამართვა.

ღმერთი გაგიმარჯვებს ამაზე სამართალი მაღ[ი]რსეთ, მე და ჩემი მოდავე თქვენს სამართალში გვალაპარაკეთ. თუ რამ წიგნები ქონდეს მუჩაიძესა, თქვენ მოგართვას. თქვენს უბძანებლივ მიწის მეოთხედი გამამართვა, ასე ძალა დამატანა. [მ]კათათვის კბ, ქორონიკონს **უიგ**.

ათისთაეიც ნიქოზელმა გამამართვა.

თავში

ქ. ბატონისშვილი გიორგი და ლეონ გიბძანებ მუჩაიძე ფირან! მერე რაც ამ არზის პატრონისათვის ყანა და მიწა წაგირთმევია უსამართლოთ, ის ისევე უნდა დაანებო. და თ[უ] რამ სიტყვა გაქვს სამართალში [ელაპარაკე] და შენის ნასყიდობი[ს წი]გნიც მოიტანე.

მკათათვის **ვ**, ქორონიკონს **უიგ**.

მეფის ლე გიორგი

310. არზა ზაზა ამირეჯიბისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 28 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1460. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 25,3×14,5სმ. მხედრული. გაჩვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მოწყალის კემწიფის ჰირი მოსცეს ზაზა ამირეჯიბს.

ჩემ ყმას ბაქრაძეს არზა მოურთმევია და მიჩივის. რაზედაც დავარბიე, სოფელი აქ გაბლავთ მღუდელი და ერი. მოკითხული ბძანეთ, ღმერთი აფიცეთ და თქვენი თავი, რასაც მე იმას ვეწამები, თუ ან ტყუილად დამ[ერბიოს] და წამეხდინოს ან თქვენთვის ტყუილი მომეჯსენებინოს. რასაც ჩემს ძმას ჩემზე შფოთი აქვს, მიზეზი ეს ბაქრაძე გახლავთ. ყმას მირბევინებს და მუდამ [შფოთის ა]ღძძურელია, ჩემო კემწი[ფევ]... ამისთანა კაცი ყმათ არ მინდა. ბძანება კემწიფისა აღსრულდეს. ივლისის კჱ, [ქორონიკონს **უიგ**].

თავში

ჩვენი ბძანება არის არადეთელებო, თიღველებო, ულუმბელებო და სხვანო ვინცა ვინ ამათი ყმანი იყვნეთ სამღვდელო თუ საერონი! ჩვენ იმ კაცისთვის განაჩენი მიგვიცია; ის განაჩენი გაში[ნ]ჯეთ, ამაზედ ღმერთს გაფიცებთ და ცხოველსმყოფელს ჯვარს და წმინდას სამებას, რომ რაც ამათი მოწმობა იცოდეთ იმ განაჩენის ძალით სისწორით მოგვახსენოთ. მკათათვის კჱ ქორონიკონს **უიგ**.

რაც ამ ზაზაზედ დანაშაული ჰქონდეს, სწორეთ მოგვახსენეთ.

ბიქედი: ქმარს მიცემს, დავით მიქმობს ძე კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[მოწმობა]

... მე და ბაქრაძე ვიდექით და ასე თქვა: ერთი კარგი მუწუკი მოვიგლიჯეთო.

ქ. კურტანიძე გოგია და ჩაჩანიძე გოგა და ეარკოზ ღმერთ წინაშე ეს ვიცით; მე, დეკანოზი სიმონამც, ეს ვიცით, რომა ასე ქაიხოსროს უთხრა ბაქრაძემ: მემეფერეო, თორემ შენი ძმაც მე გავაგზავნეო იმერეთსო და კაცებიც მე ავყარეო და რაცა აქა სახლობა, ამასაც გაგაცალოო. ღმერთსა ვფიცავ, რომ ეს სიტყვები იმისგან გავივგონია და სოფელიც მოწმე ვართ.

ქ. მე, სვიმონა დეკანოზი, ამისი მოწმე ვარ: რაც წრევანდელი ჩვენი ბატონის მოსავალი იყო, მოხელე სხვა იყო, ორმო ბაქრაძემ მოხადა და ვისაც უნდოდა, იმას მისცა. ჩვენ ამისი მოწამენი ვართ ღმრთის წინაშე.

ქ. ღმერთს ვიფიცავთ და თქვენს თავს მთელი სოფელი სამხთო და საერო — ულუნბელებიცა და თიღველებიცა, რომა რაც გვემართება, უსამართლობა რაცა გვჭირს ან უწინდელი და ან ახლანდელი. სულ ყველა მაგის ენისგან მამხდარა. ამაში რაცა გიბძანებიათ, სულ ყველა ფიცი შეგვიძლიათ, რომა ამაში ერთი ტყუილი არ იყოს.

311. არზა პაატა მეითრიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 28 ივლისი

ცსსა. ფონდი 1450. დაცთარი № 53. საბუთი № 85. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[38] ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს პაატა მეითრის შვილსა.

ავლაბრელი ჩემი ბარათში ნარგები ყმა ხარაზი გიორგი ქრცხინვალში არის. ერთის ოქმის წყალობა გვიყავით, რომ იმასთან ჯელი არავისა ჰქონდეს. და თუ ვისმე სიტყვა ჰქონდეს, სამართალში მელაპარაკოს. ივლისს კ, ქორონიკონს უიგ.

თავში

ჩვენი ბძანება არის. პაატა მეითრი შვილს რომ ამ არზით ხარაზი გიორგის ყმობა მოუხსენებია, ამ კაცთან პაატა მეითრი შვილის მეტს კაცს ჯელი ნურავისა გაქვსთ. და თუ ამაზედ ერთი საბუთიანი და ჭეშმარიტი სიტყვა გქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენეთ. მკათათვის კ, ქორონიკონს უიგ.

რაც მოუხსენებია, იმისი პასუხი მიგვიცია, სხვა ამის მეტი არა ვიცი რა.

312. არზა გიორგი გუზიაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 28 ივლისი

საქართველოს სიძველენი ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909, საბუთი № 459.

ქ. ღმერთმან ბერნიერის ჯელმწიფის ჭირი მისცეს რუისელს ღ~თეების ყმას ბუზიაშვილს გიორგის.

მამული არა მაქვს და დედული, ცხრა სული ხიზანი მყავს და მენახირობით ვინახამ. ერთი ოთხფეხი საქონელი არა მყავს. რუისისათვის რომ მადანის შაგირდი გებძანათ, ათის წლის შვილი მყუანდა, სოფელმა მითხრა, შენი შვილი მიეც მადანის შაგირდათაო, მამულსაც მოგცემთ და კიდეც გათარხნებთო. შვილი შაგირდათ მოგართვით, მაგრამ აღარც მამული მოშცეს და არც მათარხნეს. გასაღებს ყველას მართმევენ. რვა სულს ხიზანს მენახირობით ვინახამ. სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. ივნისს კზ, ქორონიკონს უიგ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ამ არზის პატრონო! მერმე რაც ღთების სამსახურში გაძევს, მანამდის მადნიდამ იმას არა მიერთმევა რა, რაც გაძევს, უნდა მსახურო; და ამას გარდა სხვას ვერაში გაგრეხენ. მკათათვის კ, ქორონიკონს უიგ.

თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენონ.

313. არზა დავით მირზაშვილისა წულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1775 წ. 30 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1444. დედანი. ქაღალდი. 21,4×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენის მოწყალის ჯელმწიფის ძის გიორგისა და ლეონის ჭირი მათს მიწასა და მონათ მირზაშვილებს დაგითს და ნიკოლაოზს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ: მოგეხსენებათ ჩვენს მამულს ყულჭაულზედ რა ჯაფა გარდაგვხედია და ვალს ქვეშაც ჩაცვივნული გახლავართ. იმ სოფლის წყალს არ გვანებებენ ზემო მსახლობელნი.

ამ მოწყალებას ვითხოვთ: ერთი ოქმი გვებოძოს ბეჟან ამილახვარიშვილზედ, ხერხეულიძეები მიიყუანოს და იმ სოფლის კაცნი და ღმერთ წინაშე იკითხოს; და როგორც იმ სოფელს ძველადგან წყალი ჰქონდეს, ჩვენც იმ რიგად მოგვცეს.

ამ წყალობასაც ვითხოვთ: ვინც თქვენის ბრძანების წინააღმდეგნი შეიქნენ, კიდეც გარდახდეს, თვარა არ გვანებებენ, დიაღ, ძალა გვჭირს. მკათათვის კჱ, ქორონიკონს უიგ.

თავში

ქ. ბატონიშვილის გიორგის და ლეონის კეთილად სახსოვარო ამილახვრისშვილო ბეჟან! მერე ხერხეულიძეები მი[ი]ყვანე, დაკითხე ღმრთის წინაშე; თუ ყულჭაულას წყალი ჭონდეს, ისე იმ რიგით ის წყალი უნდა გაურიგოთ და მისცეთ. ამისი მოჭრა არ იქნება. მკათათვის ლ, ქორონიკონს უიგ.

ბეჭედი: მეფის ძე გიორგი

314. არზა მანუჩარ თაყინაშვილისა ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 30 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3048. დედანი. ქაღალდი. 17×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს თ ა ყ ი ნ ა შ ვ ი ლ ს მ ა ნ უ ჩ ა რ ს.

ჩემო ჯელმწიფევ! მართალია, მამა კი მყავს, მაგრამ არყოლასთან არის, დედ-მამით ობოლი გახლავარ და თქვენის წყალობით ვიზრდები. ერთი პატარა ძმა მიგდია გორს და ერთი ბიჭი გვყავს. ასე გარდაჰკიდებია გორის მელიქი ზ უ რ ა ბ ა იმ ობოლს და ბიჭს, რომ რაღა მოგახსენოთ, გუშინ შემომტირა ობოლმა[1]: დედა-მამა ხომ აღარა მყავს, შენა ხარ ჩემი დედ-მამა, მიშველე რამე და შენთან წამიყუანეო.

ჩემო ჯელმწიფევ! ამ ობლის გარდაკიდება რა არის და ან რას უშავებს, არკი ჩვენი ამოფხრა უნდა გორიდამ. ერთი ბიჭი გვყავს, მუდამ სცემს და ავათ ეპყრობა, იმისგან დაგვიხსენით, ღმერთი გაგიმარჯვებს. თუ არა სხუა ილაჯი აღარ არის, ობოლსაც გამოვაცლი, ჩემთან შევინახავ. ივლის[ის] **ლ**, ჭორონიკონს **უჲგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის გორის მელიქო ზურაბ! მერე ამათ ნურაზე შეაწუხებ, დაეხსენ, თვარემ თუ ამათ შესცოდე რამე, იცოდე დიდათ გიწყენთ. აღიწერა მკათათვის **ლ**, ჭორონიკონს **უჲგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

315. არზა კაცია სხიტლაძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 2 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1251. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმა ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ს ხ ი ტ ლ ა ძ ე კ ა ც ი ა ს. ღმერთმა ასე თქვენს ორგულს გაუჭიროს საქმე, რაგვარათაც მე მიჭირს, თოფი აღარ შემრჩა, იარაღი აღარ შემრჩა და ცხენი აღარ შემრჩა გაუსყიდველი. ერთს დაქცეულს ქოხში მიყრია ცოლ-შვილი მშიარ-მწყურვალი. ძეგამში[1] ყ ვ ა ვ ი ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა და ორი გამორჩეული საკომლო მამული რომ გვიბოძეთ, რვა მინალთუნი ვალათ ამიღია და იმის შოვნაზედ დამახარჯვია. ის ვალი თავს მაძევს და მამული კი ისევ გამომერთვა.

ჩემო ხემწიფევ, თუ იქმნებოდეს, ორი საუკეთესო მამული რომ გიბრძანებიათ, იმაზედ ხელი ამიღია. ყვავიანის მამული და ვ ე ლ ი ც ი ხ ე ს წისქვილის წყალობა გვიყავით; თუ არ იქმნებოდეს ამ მამულების ბოძება, ერთს სხვაგანაც არის გვიბოძეთ მამული და ამდონის ხიზნის ცოდვისაგან დამიხსენით და მაკმარეთ ამდონი თქვენი თავის წყენა, ღმერთი გაგიმარჯვებს. ენკენისთვის **ა**, ჭორონიკონს **უჲგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის ზ ა ა ლ ზ უ რ ა ბ ი ს შ ვ ი ლ ო! მერმე ამ ს ხ ი ტ ლ ა ძ ე ს ორი საკომლო მამული ძ ე გ ა მ ში უნდა უშოვნო და მოსცე, აზნაურშვილი არის; არც სულ ნაბოლვარი უნდა იყოს და არც პირველი უნდა იყოს. ასე რომ შუათანა მამულები უნდა მოსცე ორი საკომლო. ამაზედ ჩვენთან ნუღარ აჩივლებ.

ენკენისთვის **ბ**, ჭორონიკონს **უჲგ**.

316. არზა მეჩითე თამაზაში ჯარიმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 3 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 237. დედანი. ქაღალდი. 20,8×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია მძიმე და სამწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს გორელს ამილახვრის მიკედლებულს მეჩითე თ ა მ ა ზ ა ს.

მე მკუიდრად იმერელი ვარ. მამაჩემს ათი წლისა გაუსყიდნიეარ ა ხ ა ლ ც ი ხ ე ს თათარზედ, თათრისაგანც ერთმა ფრანგმა დამიხსნა და თავის სარწმუნოებაზედ ფრანგათ გამზარდა.

მერე აზატი მიყო, ქართლში ჩამოველ და ქრცხინვალს ფრანგი ქალი შევირთე. მაგრამ იმ ჟამად პატრები ექსორიანნი იყუნენ და

[1] +ხომ.

[1] ზეგანში.

სომხის ტერტერამ დამწერა ჯვარი. მას აქეთ გორსა ვდგევარ დ[ა] ფრანგის სარწმუნოებაზედ ვიმყოფები.

ახლა თ ე ი მ უ რ ა ზ დივანბეგმა და ს უ ლ ხ ა ნ მდივანბეგ[მა] ორჯელ ძალიან გამლახეს და ჯარიმასა მთხოვენ - შენთვის სომეხს ჯვარი დაუწერიაო.

წვრილშვილი, ღარიბი კაცი გახლავარ, არ შემიძლია, შებრალება მაღირსეთ. ენკენისთვის **ა**, ქორონიკონს **უიგ**.

ქრცხინვალის ტ ე რ-მ ო ს ე ს ა მ დამწერა ჯვარი. ორი ზომა ჯვარ[ი] და საწერი გამომართო და მითხრა: ვინ არის შენი მკითხველიო.

თავში

მდივანბეგო თეიმურაზ! წერე ეს კაცი რადგან ამილახორის ყმა არის, ამას ჯარიმას მუ სთხოვ. ერთი საბრალო კაცი თურმე არის. თუ სხვას მასთან სიტყვა და სალაპარაკო ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს. ენკენისთვის **გ** გასულს, ქორონიკონს **უიგ**.

ამათი საქმე ასე რიგათ იყო, რომ გარდაწყვეტილი იყო, მაგ[ა] ჯარიმა არ გამორთმეოდა.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

317. არზა სტეფანე ალაპაპაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 22 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1315. დედანი. ქაღალდი. 29,6×11,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი, ძირში ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს გორელს სამეფოს ა ლ ა პ ა პ ა შ ვ ი ლ ს ფრანგს ს ტ ე ფ ა ნ ა ს.

ჩემი ძმა გაიქცა, იმის გულისათვის მე დამიჭირა თ ე ი მ უ რ ა ზ დივანბეგმა ბაზარში, დამკიდა, ფეხები დამამტვრია, ორი კვირა, ავათ ვიყავი, სისხლი გამოუშვი და ბაყლი გამომივიდა, მკლავიც დამიშავდა.

ერთს თვეს უკან სოფელში გახლდი, კაცი გამოეგზავნა, დამიჭირა, თუმანნახევარი წამართო, იარაღიც ამყარა, იმასა აქვს.

თუ მე თქვენის ბძანების წინააღმდეგი ვიყო, გარდამახდევინეთ, თუ არა, მე ჩემის ძმის ვალი არა მძევს.

ჩემის ძმისათვის ოქმი გებოძებინათ დივანბეგზედ: ამას უსამართლობას ნუ უზამთო. ოქმი ვაჩვენე და არც სამართალი გვიყო; ოქმიც ხომ თქვენ მოგართვით სიღნაღს. ჩემის ძმის მოხსენებული სიტყუაც მოიხსენეთ და მეც სამართალი მაღირსედ. სეკდემბერს **იი**, ქორონიკონს **უიგ**.

თუ საჯარიმო ვიყო, თავს გავიყიდი, მოგართმევ; თუ არადა, საიასაულო რაში წამართო. ღმერთი გაგიმარჯვებს, რაც უსამართლო გამამრთმევია მომცეს, ვალ[ი] ამიღია, შენ[ი] ყმ[ა] ვარ, ნ[უ] დამკარგავ.

თავში

ქ. ბატონო მდივანბეგო თეიმურაზ! მერე ამ არზის პატრონს რომ მოუხსენებია, თუ ეს ასე არის, თქვენც გაშინჯეთ. და თუ უსამართლოთ გამორთმეოდეს, ისევ მოეცით.

თქვენ მოსამართლე ხართ, თქვენგან უსამართლოთ გამორთმეული უფრო მძიმე არის, ვირამ სხვა უბრალოს კაცისაგან. თუ ასე იყოს, ამას ნუღარ აჩივლებთ, რაც გამორთმეოდეს, მოეცით. ენკენისთვის **კბ**, ქორონიკონს **უიგ**.

ამას გაურიგებელს ნუ დააგდებთ და უსამართლოთ ჩვენთან ნუღარ აჩივლებთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

318. არზა აღამ უარანგოზიშვილისა ყმა-მამულის თაობაზე გიორგი ბაგრატიონისა ოქმით

1775 წ. 22 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10994. დედანი. ქაღალდი. 19,2×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის მეფის ძის ჭირი მოსცეს ა დ ა მ ს.

ამას მოვახსენებთ ჩვენს კელმწიფეს: თქვენის მოწყალებით სული მიდგას, ოთხი კომლი კაცი მიჭირავს, ეკლესიის ყმანი არიან და იმას ემსახურებიან. და იმას გარდა რაც შევარდება, თქვენგან წყალობა მჭირს და ჩემია, სხვას კაცს ხელი არა აქვს, იასაული დაუყენებია სალთხუცესსა.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ჩემის ამომწყუეტის პირით ნუ შე-

მიბეზღებთ, მკუდარიც იმათით უნდა დავმარხო და ცოცხალიც იმათით უნდა შევინახო. იმათ მეტი სარჩო არა მაქუს, ჩემო ჯელმწიფევ. სეკდენბერს კა, ქორონიკონს უიგ.

თავში

ქ. ბატონისშვილი გიორგი გიბძანებ ამ არზის პატრონო! როგორც ბატონის მამის ჩვენისაგან წყალობა გქონდეს, ჩვენც ისრე გვიბოძებია. ნურას კაცს შენთან საქმე ნუ ექნება. ენკენისთვის კბ, ქორონიკონს უიგ.

ბეჭედი: მეფის ძე გიორგი.

319. არზა იასე თაჭთაქიშვილისა მამულის თაობაზე ამილახვრისა და მდივანბეგობის ოქმით

1775 წ. 25 სექტემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 65. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[64] ღმერთმან ბატონის ამილახვარისა და მდივანბეგების ჭირი მოსცეს იასე თაქთაქიშვილსა.

ბასილიძე[ე]ბს დღენახევრის მიწა უჭირამსთ, ამ მიწაში ორი თუმანი უნდა მივსცე და ის მიწა უნდა დამანებონ, მაგრამ არ მაძლევენ. ამ წყალობას ვითხოვ, ერთის იასაულის წყალობა მიყოთ. ბატონის განაჩენები მაქვს, როგორც იმ განაჩენებში ეწეროს, ისე აღმისრულოს. ენკენისთვის კე, ქორონიკონს უიგ.

თავში

ამილახვრის და მდივანბეგების კეთილათ სახსოვარო დემურაშვილო გოგია! მერე ამ არზით რომ მოუხსენებია, ვისაც ამისი მიწა ეჭიროს, ახლავ გაურიგე, როგორც ბატონის განაჩენში სწერია, ამისი გაურიგებლობა არ იქნება. თუ სიტყვა აქვს, სამართალში ალაპარაკე. სეკდემბრის კე, ქორონიკონს უიგ.

320. არზა შიოშ საყვარელიძისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1775 წ. 27 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10407. დედანი. ქაღალდი. 20,4×13,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენის ხემწიფის შვილის ჭირი მოსცეს მათ მიწას საყვარელიძე შიოშსა.

მერმე ამას მოვახსენებ: ღმერთმან იმთვენი თქვენი წყალობა მამცეს, რამთვენი წელიწადი იყოს, რომ მე იმ მამულზედ ვესახლო. მამაჩემი იქ დაბერდა, მე ეს არის რომ იქ გახლავარ. დღეს აქამდინ ჩემთვის მამული არავის წაურთმევია. ახლა იესე მდივანბეგმა ქვემო ნიქოზს სამი დღის მიწა გამომართვა და ღალაც გამომართვა; და თქვენ მოგახსენე და ოქმი მიბოძეთ, მაგრამე არაფერი პასუხი გამეცა. რატომ უნდა დამემართოს, რომ უთქვენოთ მამული გამომართვას ვინმე.

წყალობას ვითხოვ, რომ ჩემი მამული ისევ დამნებდეს. და თუ სიტყვა აქვს რამე, თქვენ მოგახსენოს. ენკენისთვის კე, ქორონიკონს უიგ.

თავში

ქ. ბატონო მდივანბეგო იასე! მერმე მე მგონია, რომე ჩვენს წიგნს პასუხს მისცემდი. და არც ეს მგონია, რომე უსამართლოთ მოეჭიდო ამის მამულსა და არც უსამართლო მოინდომო. ამგვარი საქმე თქვენვე უნდა გა[ა]სწოროთ. ეს კაცი მუდამ ასე ჩივის. ამისი საქმე რიგიანის საქმით გა[ა]სწორე უსამართლო არა დაემართოს რა. სეკტენბერს კზ, ქორონიკონს უიგ.

ბეჭედი: მეფის ძე გიორგი.

321. არზა ფილიპე მღვდლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 6 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 636. დედანი. ქაღალდი. 27×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს სამარადისოდ თქვენს მლოცველს ქაშოეთის მღვდელს ფილიპეს.

ახლა ამას მოვახსენებთ ყოვლად მოწყალეს ჯელმწიფეს: ციხეში თქვენი ნაბოძები ბუთის დუქნის და ერთი ოთახის ადგილი მორთმეული იყო ეკლესი[ი]სათვის. ჩვენ ავაშენეთ ჩვენის ხარჯითა; ახლა მოქალაქეთ დააქციეს ორი, რომელიც ღიდი იყო, სასახლეს შეუმატეს: სამი ვზათ მოხდა; ორის ოთახის ადგილი, რომელიც კარგი ადგილი იყო, ის ნალბანდს ააშენებინეს, რაც მასალა — ხე. თუ აგური. ქვა — სრულ იმათ დახარჯეს. ახლა იქითკენ აძლევენ ეკლესიას, რომელიც მცირე არის. ამის მეტი ამ ეკლესიას სხვა არაფერი: მამული არა აქუს რა, ამით ვინახევდი ეკლესიას. ოთხი თვე არის, რომ დააქციეს დ[ა] თქვენმა მზემა ცისკრად სამთელი არ მქონდა, რომ ამენთო თქვენთან სადღეგრძელოთ.

წყალობას ვითხოვთ, ეკლესიას თავისი მამული დანებდეს. ნალბანდმა რომ ააშენა², წიგნშიაც ის ადგილი სწერია.

თქვენის ბრძანებით თქვენს დროში ეკლესიას რომ წაერთვას, ვის დროში უნდა მიეცეს. ეკლესიაც თქვენია, მამულიც. ნება ჯელმწიფისა[ა]. ამას ახლა ეს რომ წაერთოს, მერმე სულ წაერთმევა. ღმერთი გადღეგრძელებსთ, ნუ დაუკარგავთ ეკლესიას; თავის დანახარჯს მიეცემ ნალბანდს, ეკლესიას არ დაეკარგოს. კიდეც დაუშალე აშენება, ავათაც მამეკიდა.

თავში

ქ. მელიქო ა ვ ე ტ ი ქ და ქევხუდებო, რომელიც ამ ეკლესი[ი]ს მამული, აშენებული თუ აუშენებელი, გამოგერთმევინოსთ, ამ მამულის ზომაზედ აშენებული დუქნები, რაც ქაშოეთის მამული იყოს, იმაზედ მეტი მიეცით, თვარემ ნაკლებს ნუ მისცემთ. აღიწერა ღვინობისთვის **ვ**, ქორონიკონს **უჰგ**.

ამის მამულში რაც შენობა იყოს დუქნისა, ის არ გამოეწირება. უნდა მიეცეს. თუ არ იყოს შენობა აშენებული, დუქნები მიეცით: და მეტი იმაზედ ჩვენ ბრალი აგვიყრია, მეტი მიეცით, კარგა მეტი მიეცით, ერთი სადუქნე ალაგი კიდემ მეტი მიეცით.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

---

¹+ამის მეტი. ² ააშენა.

322. არზა ციხისთავის შვილის იოსებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 18 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3952. დედანი. ქ.ღალღი. 20×10,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. შდრ. საბუთი № 323.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი ციხისთვის შვილის ო მ ა ნ ი ს ობოლს ი ო ს ე ბ ს მოსცეს.

ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს: თქვენგან რომ მამულის წყალობა დამემართა, თორმეტ-ცამეტი წელიწადი იქნება ციხისთვის შვილები შჯამენ. მე ერთის ფულისა არა მემადლება რა.

ამ წყალობას ვითხოვ: თუ რომ მოწეცემოდეს, ხომ წყალობა მიყავით და თუ არა, იმ მამულს თქვენთვის მაშინც ნუ გააფუჭებთ, ამოვარდა, აღაფერი არა გამოდის რა; წელსაც გაუთიბავი ეგდო. რასაც მოასწრობენ გაგლეჯენ და სხვას კი არას აკეთებენ სამამულეთ რომ არას გამოვლიან. დღესა აქამდინ მიზდია ეს ობოლი, ახლა გაიზარდა და თავისის მამულისა არა ემადლება რა. თქვენთვის მაინც ნუ წაახდენინებთ. გიორგობისთვის **ვ**, ქორონიკონს **უჰგ**.

თავში

ქ. ბატონო სახლთხუცესო გ რ ი გ ო ლ და მოურავო ჯ ა რ დ ა ნ! ამისი აღიღათი თქვენთვის გვიკითხავს, როგორც იცოდეთ, სწორე მოგვახსენეთ. გიორგობის **ზ**, ქორონიკონს **უჰგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. ამის აღიღათი ეკითხა საქართველოს მეფეს ჩვენთვის. ჩვენ ეს ვიცით: ძველთაგან ვენახები გაყოფილი აქვსთ და მამულები გასაყოფი აქვსთ. მე ეს მამიხსენებია და ნება გაქვსთ. ჯარდან კი აქ არ გახლდათ. ეს ასე არის; და ნება გაქვსთ. ნოემბერს **იჱ**, ქორონიკონს **უჰგ**.

ქ. ამის აღიღათი გებძანათ. ეს არზის პატრონი მოხელის შვილი იყო და არის და თქვენ გებოძებინათ ამოწყვეტილის ციხისთვის შვილის ომანის მამული. ეს ასე ვიცი. ვინ მიგაცემინათ, არ ვიცი.

323. არზა მიქელის დედისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 24 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 468. დედანი. ქაღალდი. 21×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლ[ის] მოწყალის ჯემწიფის ჭირი მოსცეს ქვეყნის საცოდავთ დარჩომილს ცოდვილს მონაზონს მიქელის დედას.

მერე მოგეხსენებათ ჩემი ამ გვარს საქმეზე თქვენი თავის წყენა მართებული არ არის. მაგრამ რადგან საცოდავის ჩემის შვილის ქვრივსა და ოთხს ობოლს ღმრთისა და თქვენს მეტი მოწყალე არავინ ყავს, და ამათ მოხსენების შეძლება არა აქვს, ამისთვის მოგახსენებთ: ჩემს შვილს თქვენი წყალობა კარისა ღმრთისმშობლის ჯამული ებოძა; ამ ობლებს არავინ რას უჩენს, ეკლესიასაც ეკარგება. ეკლესიაში თხუთმეტის დღის ხოდაბუნი ოთარ მდივანს უჭირავს, მოსავალი მოსდის და არას მაძლევს.

ამას გევედრებით, რომ ჩემის ოჯრობით ეკლესიას მამული არ დაეკარგოს; ეკლესიაც თქვენია და ობლებიც თქვენი საცოდავნი არიან. ჩვენი მოხსენება ეს არის და ნება თქვენია. ყველა მე მამტყუვნებს, საყდარს მამულს რატომ უკარგავო. ამას გევედრებით, წინამძღვარს უბძანოთ, იმან კარის საყდრის ყმაში მოიკითხოს, ღმერთი და თქვენი მზე აფიცოს, ისე კითხოს და რაც მოგხსენდეს, იმაზე სამართალი გვალირსეთ. თქვენ სადღეგრძელოთ, ბედნიერო ჯემწიფევ. დაიწერა ნოენბრის **კგ**, ქორონიკონს **უძგ**.

თავში

ქ. უფალო წინამძღვარო ამბაკომ! ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, ეს თქვენი მოსაკითხავი არის, კარგად გამოიძიეთ, რაც იმოწმონ, ის მოწმობაც წერილით გვაცოდინე და ის მოწმებიც ჩვენთან გამოგზავნე. ნოენბერს **კდ**, ქორონიკონს **უძგ**.

ქ. შენ უნდა მოუნახო წინამძღვარო ეს მამული და კიდეც გაურიგო. და თუ შენ ვერ გაურიგო, ჩვენთან, ალბათ.

ბეჭედი: ქნარს შიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

324. არზა თამარისა უმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 1 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14176. დედანი. ქაღალდი. 31,8×10,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ქვეყნის საცოდავთ სულდგმულს თქვენს მონა მიწას საბრალოს თამარს.

ქვეყნის მოწყალეს და მრავალს ქვრივის და ობლის შემწყნარებელს მეც ვევედრები არაღირსი წყალობისა შემიწყალოს და ჩემს შესაწყალებელს საჩივარს ყური მოუგდოს და შემიწყალოს; ჩემის შამა-ბიძათ მოცემულს სა[ცი]ანოში გატანებულის კაცების შვილიშვილებს ახლა ჩემი ბიძაშვილები მთხოვენ. ამათი პაპა საციანოს მამყოლიან, ღ[თნი მოწამე არა მყავს, შვილები აქ მომყოლიან აქ დახოცილან, შვილიშვილები აქ მყვანან. ახლა მედავებიან და მთხოვენ. ისინი ხომ აქ არ გიახლენ, რომ პირისპირ სამართალში გა[ა]ხლებდით. ერთს გლახას ამ ზამთარში იქ ჩამოწევა არ შემიძლიან.

ამ წყალობას ვითხოვ: ერთის ოქმის წყალობა მიყოთ, ეს ბიჭები აყყარო, ჩუმლაყს წავასხა და თუ ვიცოცხლე, მარტში იქ გიახლები და იმედი მაქვს თქვენი სამართალმადიდებლობისა და ქვრივ-ობოლთ მოწყალებისა. თქვენის სამართლით სხვაც მებოძოს, იორემ ესენი არ წამერთოს. თუ ჩემი შვილები თქვენი გამოსაყენებელი არ არიან, ჩემი ბეითალმანი ყმა და სამყოფი ღმერთმან თქვენს შვილებს გარდა ნურავის მოახმაროს. ალიხანას შვილები და დონდარასი (?) და ამირანასი.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, ამას ამ კაცს ნურავინ აუყრით, თორემ მწვეთ გიწყენთ იცოდეთ, დეკემბერს **ა**, ქორონიკონს **უძგ**.

ქ. ჩვენ ვიცით, რომ ეს კაცები ოცდათექვსმეტი წელიწადია რომ ამასა ჰყავს და ზოგიერთი ზითევიც არიან ეს კაცნი ამისნი; და ამასთან საქმე არავისა აქვს; და ამას ამ კაცებს ვერავინ აუყრით. თუ სიტყვა გქონდესთ ვისმე, ილაპარაკეთ.

ბეჭედი: ქნარს შიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

325. არზა ციხისთვისშვილის იოსებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 1 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6641. დედანი. ქაღალდი. 22,5×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. შდრ. საბუთი № 322.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი ციხისთვის შვილს ომანის ობოლს იოსებს მოსცეს.

ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს: ამას წინათ არზა მოგართვით და თქვენ სალთხუცისათვის გებძანათ ამისი აღიღათი მოგვახსენეო, ხომ მოგახსენებდათ. ახლა ჩვენი მოხსენება კიდევ ეს არის. ჩემი გაჩნაყოფნი მოგახსენებენ, არ არის იმისი შვილიო. ჩვენი სიტყვა დედის ჩემის მოძღვარმა იასე მღვდელმაც მოგახსენათ. ეს ობოლი რომ მოგართვით, თქვენგან მამულის წყალობა დაემართა და ბეითალმნისა, სამსაოდეს წელიწადს ვსჭამე ის მამული. ის მამული ნათლიკრისათვის გებოძათ, მოველ და მოგახსენე, ისევ მევე მიბოძეთ. მაგრამ ამ ჩვენმა სახლისკაცებმა აღარაფერი არა გვარგინეს რა. მოგახსენებენ: ჩვენ გვიბოძა, წიგნი გვაქვს, თუ იმათთვის გებოძათ. ეს თქვენის ყმის შვილი გამიზდია და ქმარიც შევრთე. ერთის გზით დაარჩინეთ, ორნივ თქვენი ყმანი გახლავან. არცარა მამული მიჭირავს და არც ბეითალმანი.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად სახლთხუცეს გრიგოლს, მდივანს ოთარს, ფშავლის მოურავს ჯაზდანს და ფშაველთ ასე უამბეთ. ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, თუ უნდა იმათი შვილი იყო და თუ უნდა არა, ეს მამული თუ ამ არზის პატრონისათვის გვიბოძებია, ამასვე უნდა ჰქონდეს.

და თუ ვინც ამას ამ მამულზე ედავება და იმისთვინ მიგვიცია, იმას უნდა ეჩიროს. ჩვენ უფლება გვაქვს გაყრილის სახლისკაცის მამულს ვისაც გვენებება, იმას მივცემთ. ეს თქვენ მოიკითხეთ და როგორც გვიბძანებია, ასე გაარიგეთ. დეკემბერს **ა**, ქორონიკონს **უჲგ**.

ქ. რადგანც გაყრილის სახლისკაცის მამული არის, ჩვენი ბეითალმანია და ჩვენ ამისთვის გვიბოძებია, ვის რა საქმე აქვს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

326. არზა ზაალ ეშიკაღასბაშისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 2 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 405. დედანი. ქაღალდი. 21×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს ბანდას ეშიკაღასბაშს ზაალს.

რა ბატონიშვილი ხვარეშან მიიცვალა, უტოს ორი ძმის გილდაშვილების მამული თქვენგან წყალობა დამემართა მზითევში გატანებული. იმ მამულს სხუანი სჭამენ და სხუანი ხმარობდნენ. თქვენს ბედნიერს თვალს უნახავს, რომ ძველს დავთარში ექვსი საკომლოა თავის სასახლით, ხოდაბუნით, მთით და ბარით.

გილდაშვილები ოთხი ძმანი ყოფილან, ორი ბატონისშვილს გაჰყოლია მზითევში და ორი ქაიხოსროს მისცემია. ორი კაცი მესახლა ზედა, არცერთი დამიყენეს და სხუანი სჭამენ.

ახლა რომ ბახტრიონს ბძანდებოდით, დავიარე და ყველას ყადაღა უყავი, ნურავინ მომიხნავთ-მეთქი, მაგრამ არავის დაუშლია, სულ გარდუხნავთ. ამისი სამართალი მაღირსედ, ღმერთი გაგიმარჯვებს. დეკემბერს **ბ**, ქორონიკონს **უჲგ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ეშიკაღაბაშო გარსევან! მერე ამ არზით ზაალ ეშიკაღაბაშს რომ ასე მოუხსენებია, ვისაც ამისი მიწები მოეჯნას, შენ მიდი[1] და ყველა ჩვენთვინ ზავთი ჰქენ და დასაყე. დეკემბერს **ბ**, ქორონიკონს **უჲგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

327. არზა ჩოლაყაშვილებისა მიწა-წყლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 3 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6202. დედანი. ქაღალდი. 38,5×17,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი ჩოლაყაშვილს ომანს და ქაიხოსროს მოსცეს.

[1] მიდა.

მერე თუ თქვენი მოწყალება მოგვეღება და თქვენს წყალობას ჩვენის მამულისას მოიხსენებთ, ჩვენი მამულებისა თავ ჰ ა რ თ ა ლ ა და ჰართალას[1] აქეთ ი ლ ტ ა კ ა ნ ი და კ ვ ე ტ ე რ ა ს ა ბ უ ი ს სასახლე, — ესენი რაც მოგვიხსენებია, თავიანთ სამძღვრით, მთით და ბარით, თვინიერ ჩვენს გარდა, ამ ზემოხსენებულში სხვა ჩოლაყაშვილებს საქმე არა აქვსთ.

ამას გარდა, ი ლ ტ ო ს გაღმა, ქ ო რ დ ს აქეთ ა ხ მ ე ჯ ო ღვისის საყდრითა, სახლითა, ზვრითა, ხოდაბუნით, რომ თქვენის წყალობით ესეც ჩვენია, რომ ამაშიაც ხელი არა აქვსთ.

თქვენს ბედხ[ე]რობას წყლის საქმეზე რომ მუდამ თავს ვაწყენთ. ჰართალიდამ მოკ[ი]დებული ახმეჯომდინ წყალი ჩვენს მამულში მოდის, რომ სხვას სამართლით საქმე არა აქვსთ. თუ იმ ჩვენს მამულებში გამოვლილი წყალი დამლევნებოდეს და ან მამეხმარებოდეს, ის მიბძანეთ. და თუ არც დამლევნებოდეს და არც მამეხმარებოდეს, იმის ნება თქვენის სიმაღლისა არის.

ახმეჯოს იქით ქორდია და ქორდში თქვენი წყალობა ყმა და მამული მაგათაცა აქვსთ და ჩვენცა გვაქვს. ილტოში თუ მაგათი კაცნი იმოქმედებენ, იმათში ჩვენი კაცნიც იმოქმედებენ.

იმას იქით მატანია. მაგათთან სასაფლაო გვაქვს, ნახევარი ზვარი გვაქვს თქვენი წყალობა, რომ მაგათ არც ერთს არა აქვსთ; ხოდაბუნი გვაქვ[ს] მატანში სამი, რომ მაგათ არც ერთს არა აქვსთ: ორი ხოდაბუნი, რომ მაგათ იციან, წისქვილი რომ ბრუნევდა, იქი გვაქვს და ერთი ხოდაბუნი შ ე ნ დ ი ა ნ ს რომ ეძახიან იქ. ორი საყდარიც არის სომხისა, რომ იქ ღმრთითა და თქვენის დოვლათით სომხებიცა მდგარან და საყდრებიც. და შენდიანიცა თქვენგან წყალობა გ[ვ]ჰირებია და ჩვენი ყოფილა.

ახმეტიდამ ზემოთა გზაზე რომ კაცი გამოივლის და დაქცეულს გრიგოლის გალავანზე რომ გაივლის და ილტოში გავა, ის ალაგიც, ათი-თუთხმეტი დღისა, ჩვენის კაცისა არის, რომ ის მიწაც შენდიანისა არის.

ეს რომელიც მოგვიხსენებია, ესენი ჩვენია, რომ მაგათ საქმე არა აქვსთ.

და მატანში ოთხსავ კუთხეს თავსა და ბოლოს მაგათ ყმათაცა აქვსთ და ჩვენს ყმათაც. და მაგათ კი არა აქვსთ რა.

ჩვენო ხელმწიფევ, ჩვენ წყალზე გაწყენთ თავს. თუ დაგვევლევნებოდეს, ის გვიბძანეთ. ჩვენი მოხსენება ეს არის. ამაზე მეტი

[1] ჰალთალას.

არცა ვიცით და ვე[რ]ც ამაზე მეტად თქვენის თავის წყენას შევიძლებთ. ქრისტ[ე]შობის **ბ**, ქორონიკონს **უჲგ**.

მატნის ბოლოს რომ კითხულობთ, შინდიანია და სულ მატნისა არის.

თავში

ჩვენ მაგიერათ ჭიაურთ მოურავს ო მ ა ნ ს და თიანეთის მოურავს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ასე უამბეთ. მერე, რომელიც თქვენი მამულები არის, იმისი ხომ გარჩევით წიგნები გაქვსთ. და წყალზე რომ სჩივით, იმისი ოქმი სხვა დაგვიწერია და რომელიც იმაში სწერია, ისე უნდა გარიგდეს. აღიწერა დეკემბერს **გ**, ქორონიკონს **უჲგ**.

წყლის გარიგების გამოცხადება ამაშივე ვამჯობინეთ. ყოველს ქვეყანას ჩვეულება ასე არის, ვისაც მამულში მდინარე წყალი მიდის, იმ მამულის პატრონი როგორც უნდა იმ წყალს მოიხმარებს, რუს გატანით, წისქვილის დაბრუნებით თუ ნადირობით თავის მამულში — ესენი არ დაეშლება. და თუ რომლისამე მებატონისაგან ფაცრისა და კონის ჩადგმა საკუთრივ მისცემია, იმისი საბუთი უნდა ქნას და სამართლით გაიტანოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

328. არზა მამაჯანა სულხანაშვილისა ყმობის თაობაზე ლეონ გაბონიშვილის ოქმით

1775 წ. 3 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2122. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მელიქის შვილის ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა ს ყმას ს უ ლ ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს მ ა მ ა ჯ ა ნ ა ს.

ჯერ ოსმალობა არ ყოფილა რომ მამაჩემი კახეთს ჩამოსულა, აქ-იქ სოფლებში ყოფილა. მეც აქა ვარ დაბადებული. და ეს ოცი წელიწადია რაც გ უ ლ გ უ ლ ა შ ი ვდგევარ. და ახლა მელიქის შვილები აყრას მიპირობენ.

ჩემო ჯელმწიფევ, ოსმალობის უწინ ჩამოსული კაცი თუ აიყრება, ნება თქვენია. დეკენბერს **ბ**, ქორონიკონს **უჲგ**.

დ ა ვ ი თ კანდელაკისაგან მოიხსენეთ, თუ რა ხნის მოსულნი ვართ, პირველად იმის სახლში მოსულვართ.

სხვა ხელით

ქ. მე, ღმრთის წინაშე, დავით კანდელაკმა ეს ასე ვიცი: მე რომ თქვენს საფარველს ქვეშ გიახელ, ოცდამეთერთმეტე წელიწადი არის; ამ არზის პატრონი ჩემს მამულში დაგიგდია. იმას წინათ კი არ ვიცი რამდენი წელიწადი იყო მოსული; ბ ე რ თ უ ბ ა ნ ი რომ წახდა, აიყარა და კახეთს წამოვიდა. და ნება ახლა თქვენი არის.

თავში

ქ. ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ლ ე ო ნ გიბრძანებ, რომელიც ამ არზის მომრთმევის ამყრელი იყო, ამას ნუ აჰყრი, მანდ მოძღვართმოძღვარი არ მოვა, ამისი აყრა არა საქმით არ იქნება. ქრისტეშობის **გ**, ქორონიკონს **უჲგ**.

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლ ე ო ნ სახელად მძესა.

329. არზა მანუჩარ მდივნისშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 3 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1418. დედანი. ქაღალდი. 16,8×10,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათის სიმაღლის უმდაბლეს მონას მ ა ნ უ ჩ ა რ მ დ ი ვ ნ ი ს შ ვ ი ლ ს მოსცეს.

ამას მოვახსენებ: ჩვენ ორნი ძმანი თქვენს სამსახურში ვიმყოფებით; და რაც თქვენი წყალობა გვყავს, იმათში ძმიანი და სახლისკაციანი კომლი გლეხი არავინ გახლავთ, რომ მსახურათ გამოვართვათ და ჩვენ, დიაღ, მსახურზედ ნაკლებათ გახლავართ. აქ, თ ე რ ლ ა ვ ს, ერთის ჩვენის ყმის სამი ობოლნი გახლავან.

წყალობას ვითხოვ, თუ თქვენი ნება იქნება, ერთი ოქმი მებოძოს, რომ ერთ-ერთი ძმა მსახურათ გამოვიყვანო. და თუ ვისმე ამ ჩემს კაცზე ან ბატონყმობით და ან სხვა რიგათ საქმე ქონდეს ვისმე, სამართ[ალ]ში გიახლოს. გიორგობის **კ**, ქორონიკონს **უჲგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! ამ არზით მანუჩარს რომ ასე მოუხსენებია, თავის ყმა იახლოს და თუ ვისმე სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. დეკემბერს **გ**, ქორონიკონს **უჲგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულსა. ე რ ე კ ლ ე.

ქ. მ ო რ დ ა ლ ო ს ო ლ ო მ ო ნ! ეს ბიჭი შენ აახელ ერთ-ერთი ძმა, თუ სიტყვა არავისა ქონდეს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

verso

ქ. ჩემს ჯელმწიფეს რომ ამ კაცის სამსახურთ ხლება ებძანა, თუ სიტყვა არავის ქონოდა, ეს მენაღარის ამალის შვილები არიან და ა[მა]თი ერთი ძმა მადანჩის შაგირდათ გახლავთ და ამას ეპასუხებოდენ: ოსმალობას ვართ მოსული ამ ქვეყანაშიაო; და თქვენი ოქმიც ქონდა. თუ ამას სამართლით დარჩებოდა, თქვენ ფასი უნდა გებოძებინათ, ამისთვის ვერ მივეცით მსახურათ. და ახლა ნება თქვენი სიმაღლისა არის. მაისის **კე**, ქორონიკონს **უჲე**.

თქვენი ბანდა გ ო გ ი ა მ ო რ დ ა ლ ი მოგახსენებთ.

330. არზა ხოდაშნელთა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 8 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 204. დედანი. ქაღალდი. 15,2×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ერთობ ქვემო ხოდაშნელთ.

ამას წინათაც მოგვიხსენებია და ახლაც მოგახსენებთ: ჩვენის მთისა და ბარის განაჩენიცა გვაქვს და გუჯრის პირიცა გვაქვს.

წყალობას ვითხოვთ ეს წიგნები მიირთოთ, ნახოთ და სამართალი გვაღირსოდ. ღმერთი გაგიმარჯვებს. დეკემბრის **ე**, ქორონიკონს **უჲგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ჩვენ ახლა თქვენის სამართლისათვის ვერ მოვიცლით. როცა ჩვენ ღმრთით კ ა ხ ე თ ს მოვიდეთ, მაშინ მოგვახსენეთ და სამართალს მაშინ გიზამთ. აღიწერა დეკემბრის **ი**, ქორონიკონს **უჲგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

331. არზა ტურა ფორაქაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 28 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5293. დედანი. ქაღალდი. 15,8×10,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს შილდელს რუსიანთ ყმას ფორაქაშვილს ტურას.

მკვიდრად ჩვენ რუსისშვილების ყმანი ვართ და ნეკრესელს ვეჭირენით. რომ ნეკრესელს ჯიბრში ვყუანდით, ვთქვით ჩვენ: რუსიანთ ყმანი ვართო. რადგან რუსიანთ ყმობა სთქვითო, ნეკრესელს მადან[ჩ]ის შაგირდი ეწერა და მე გამომგზავნა. ორნი ძმანი ვართ. ცოლ-შვილით სავსენი ვართ და ნება თქვენია. დეკემბერს **კა**, ჭორონიკონს **უჲგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! თუ შენ მართალი კაცი ხარ, რაც პირველვე გითქომს, ისივ უნდა სთქვა და იმაზე დასდგე. და თუ მართალი არა ხარ, შენთვის იყავ, ნუღარ იტყვი, თორემ იცოდე ჩვენგან გარდაგხდება. მარამ შენ ისევ ამავ მადანჩის სახელოში უნდა იყო. დეკემბრის **კჱ**, ჭორონიკონს **უჲგ**.

თუ ნეკრესლის ყმა არა ხარ, სწორე თქვი და მადანჩად აღარ დაგწერთ. და თუ ნეკრესლის ყმა ხარ, დ[ა] ისი თქვი სწორედ. და თუ ნეკრესლის ყმა ხარ და მადანჩად დაწერილი იქნები.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

332. არზა ბერ ნინიაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1775 წ. 29 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4241 ა. პირი. ქაღალდი მხედრული. საბუთის verso-ზე მიწერილია განწილვის ბარათი, რომელიც ადრე შეუდგენიათ.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ხოვლელს ჯავახისშვილს ვახუშტის ყმას ნინიასშვილს ბერს.

ოთხი კომლი კაცი ციცისშვილისაგან მიყიდნია და ეს ჩემი ნასყიდნი კაცები ბატონმა ჩემმა ვახუშტიმ და თეიმურაზმა წამართვეს.

ამდონი თქვენი წყალობა იყოს, რომ მე და ის ბატონი ჩემები თქვენს სამართალში მალაპარაკოთ და სამართალი მაღირსოთ, თუ ჩემი ნასყიდი ყმები რაში წამართვეს, ღმერთი გაგიმარჯვებს. დეკემბერს **ით**, ჭორონიკონს **უჲგ**.

თავში

ქ. ეშიკაღათბაშო დიმიტრი! ამ არზის პატრონი და ამის მოადი მოსამართლეებთან ალაპარაკეთ და რასაც მიხვდნენ, ღვთის წინაშე ჰეშმარიტი სამართალი უსაჯონ. დეკენბერს **კთ**, ჭორონიკონს **უჲგ**.

[განწილვის ბარათი]

ქ. ერთ წილათ ნინიაშვილი ოტია ღვდელი და იმის ძმა ბერი თავისი მამულითა და ყმითა ნასყიდითა და უსყიდითა. მთითა და ბარითა, და ზაქარაშვილის დემეტრესით[1] და ხიზანათი ესენიც თავისით მამულითა ერთ წილათ, ამაზე აძევს ვარდიას ბიჭი ჯონგა—ერგო ვახუშტის. აღიწერა იანვრის დამდეგს, ჭორონიკონს **უნზ**. მზეჭაბუკ | თემურაზ

333. არზა დავით დიაკვნისა სარგოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 7 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5685. დედანი. ქაღალდი. 13,2×8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს დავით დიაკვანს. თქვენი წყალობა სამი ღორი მჭონდა პირველს ოქმში. ერთხელ კი მამეცა და წელს კი დაიხივა.

ვეველრები თქვენს ბედნიერობასა, რომ იმისი წყალობა მიყოთ.

[1] დემეტრისით.

ბედნიერს დღეებში ხიზანს იმედად ექმნას და თქვენი შვილები ლოცონ. იანვრის **ბ**, ქორონიკონს **უჲდ**.

თავში

ქ. სალთხუცესო გრიგოლ და მდივანო ოთარ! ამ არზის პატრონს რასაც ღორებს იყავით მისაცემს საბალახიდამ, უკლებრათ მოეცით. მიუცემლობა არასგზით არ იქნება. იანვრის **ზ**, ქორონიკონს **უჲდ**.

ერეკლე

334. არზა დავით აფხაზისა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 9 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14024. დედანი. ქაღალდი. 29,2×14,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მათს მიწას აფხაზის შვილს დავითს მომცეს:

ჩემი და ონანას შვილის საქმე ბევრჯელ მოჴსენებია ჩემს ჴელმწიფესა. მე მოგაჴსენებ: თქვენის ბძანებით სამუქფო მაშული მომიცია; ის აშას არის — არ მოგიციაო.

ამას ვეუედრები თქვენს სიმაღლესა: იმან შემამფიცოს, რომ ამ ადგილის სამუქფო თქვენის ბძანებით ჩემგან მიცემული არ ეჭიროს. და ის კაცი რასაც მეცილება, იმასაც აშენებულს მივსცემ ციხით და ყოვლის ფერით; და რასაც არ მეცილება, იმასაც აშენებულს მივსცემ ციხით და ყოვლის ფერით. და რასაც არ მეცილება და ჩემი მამულია, იმასაც აშენებულს დავანებებ ბაღით და სახლით გაწყობილსა და ხუთი ქვევრი დგას იმით. და რაც სამუქფო მომიცია, აღარც იმას ვედავები, იმისი იყოს. მე ავდგები და წამოგალ. მაშინ ჩემი გულიც დაამდება, ფიცით გაიტანს და სიტყვა აღარ მექნება.

დაიწერა ქრისტეშობის თვის **იდ**, ქორონიკონს **უჲგ**. ეს მოჴსენება იმან გამაბედვინა, რომ იმას ფიცით უბძანეთ, თორემ მე ვერ გავბედევდი.

თავში

ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! მერმე ამ საქმეზედ თუ ჩვენ სამართლით განაჩენი დაგვიწერია და მოგვიცია, როგორც

იმ განაჩენში სწერია, ისე უნდა გარიგდეს. და თუ განაჩენი არ მოგვიცია, შენ და ლუარსაბ — ორნივ ჩვენ სამართალში უნდა ჩამოხვიდეთ ახლა და ილაპარაკოთ. იანვრის **თ**, ქორონიკონს **უჲდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

335. არზა აიდემურ და იოვანე ბებურიშვილისა ყმის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 11 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13685. დედანი. ქაღალდი. 41×14,5. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ბებურიშვილს აიდემურს და იოვანეს.

მერმე ამას მოვახსენებთ მათს სიმაღლეს: ორი სომეხი კაცი გვყვანდა ყაზახელი არაბობას უწინ ჩამოსული. ჩვენ რომ სახლის კაცები გაგვეყარნენ, ის კაცნი ჩვენ დაგვრჩნენ. ლომის ციხე რომ ა[ა]შენეთ, ერთი ძმა აჰყარეთ და იქ და[ა]სახლეთ და მეორეს ძმისა ჩვენ წყალობა დაგვემართება. ახლა კუჭატანს რომ აშენებდით, იქ აპირობდენ დასახლებას. ყვარელს ბძანდებოდით. ჩვენ იქ გახლდით, მოგახსენეთ. ლუარსაბ ონანაშვილი ჩასაულად გვიბოძეთ. დაჭერილი მოგვაბარა ის კაცნი.

ახლა ეს მორიგობა და სიღნაღის მუშაობა და ხარჯი რომ გაჩნდა, საქონელი სულ დაეყიდნათ და[1] ღმით გამოპარულიყვნენ. ის ერთი ძმა ყაზახში ჩასულიყო, ერთი აქ ქალაქს დამდგარიყო, იქაც რომ ხარჯი ენახათ, გამოპარულიყვნენ და აქ ქალაქს გაბლავან დამალულები. ჩემი ძმა მოხსენებას აპირობდა, არ დასცალდა და ჩვენ მოგვიხსენებია და ნება თქვენია. იანვრის **ვ**, ქორონიკონს **უჲდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის დიმიტრი ეშიკაღასბაშო. მერე ამ არზით რომ ორი კომლი კაცის აყრა მოუხსენებიათ, ეს ორი კომლი კაცი მელიქის ნაიბს თაყუაშვილს მიკირტუმას აპოვნინეთ, აუყარეთ და ამათ მოაბარეთ. იანვრის **ია**, ქორონიკონს **უჲდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] +და.

336. არზა სოლომონ აბაზაძისა ყმის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1776 წ. 12 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2855. დედანი. ქაღალდი. 21×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან უმაღლესის მეფის ძის გიორგის ჰირი მოსცეს მათს ფერჯთა მიწას აბაზაძეს სოლომანსა და ზურაბს.

მერმე ამას მოვახსენებთ მათს სიმაღლეს. რადგან წყალობა დაგვემართა, ძველი მამა-პაპათ სიგელი დაგვემტკიც[ა] და გვიბოძეთ ჩვენის სამკვიდრო მამულისა, იმ მამულის გლეხნი სამი კომლი ქართლს გახლავან: ერთი ბლიაძე, ერთი ივანე კავახიაშვილი, ერთი აღაბეგაშვილი, — ესენი დაფანტულნი არიან. და ერთი ოქმის წყალობა გვიყავით, რომ სადაც ჩვენ ვიმყოფებით, იქ მივიყვანოთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის **ი**, ქორონიკონს **უჲდ**.

თავში

ქ. ბატონიშვილი გიორგი გიბრძანებ ბეციავ გედევანიშვილო! მერმე ამ არზით ამ აბაზაძე[ე]ბისა ამათი ყმა სადაც იყოს, სადაც ამათ უნდოდეს, თავისი კაცები მოაბარე ამ აბაზაძეებს. და თუ ვისმე სიტყვა ქონდეს, ჩვენ სამართალში მოვიდეს და სამართალს მივცემთ. იანვრის **იბ**, ქორონიკონს **უჲდ**.

რომელსაც კაცთან სადაო ვისმე ქონდეს, მანამდის სამართალში არ გაივლიან და სამართლით ამათ არ დარჩება, ამისთანასა კაცს სამართალში მოყვნენ და ისე სამართლით გაიტანონ. და რომელსაც ამათს ყმას, მოდავე არავინ გამოუჩნდეს ჭეშმარიტი, ამათ დაანებე თავისი ყმა.

რომელსაც კაცთან სიტყვა ვისმე ქონდეს და დავა, ჩვენ მოგვახსენონ, ან ჩვენს სამართალში იჩივლოს, ან მდივანბეგებთან ვალაპარაკებთ და სამართლით მოვაშორვებთ ერთმანეთსა და ჭეშმარიტს სამართალს მივსცემთ. რომელიც სადაო იყოს, ნუ აუყრით მანამდის სამართლით არ გადასწყდეს და მაგათ არ დარჩეს.

ბეჭედი: მეფის ძე გიორგი.

337. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 16 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 246. დედანი. ქაღალდი. 29,8×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჰირი მოსცეს მათს ფეხთა მიწა-მტვერს ლუარსაბს ონანაშვილს.

მერე ამას მოვახსენებთ ბედნიერს ხემწიფეს: ამდენი ხანია თავს გაწყენთ, დავითს აფხაზს რომ სასახლე უჭირავს ჩემი, რამდონჯერაც თქვენს წინაშე გვილაპარაკნია, ყოველთვინ თქვენგან წყალობა დაგვმართებია. ეხლა რომ ქიზიყს ბძანდებოდით, მაშინ ვილაპარაკეთ და კიდენ წყალობა დაგვემართ[ა]; არ დამანება, ისევ სახლებს აკეთებს. თუ ბედნიერის ჯემწიფის ნება იყოს, წყალობას ვითხოვთ, რომ დამანებოს; ობლობაში ძალის მოინაბრობით წამართო, ვერც ახლა გამამირთმევია თქვენის ბძანებით ხემწიფისა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ბებურიშვილო ბებურ! მერე დავით აფხაზი იმ ალაგში ნუღარას აკეთებს. ამ ცოტას ხანში ღმრთით ჩვენ კახეთს გამოვალთ და ამათს საქმეს გარდავსწყვეტთ. თუ ააშენა რამე, ტყუილათ ჩაუვლის. იანვარს **ივ**, ქორონიკონს **უჲდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

338. არზა მელიქ ავეტიქასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 6 თებერვალი


ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 22. საბუთი № 84. პირი. ქაღალდი. მხედრული. საბუთის პირი დაცულია აგრეთვე ამავე ფონდში — დავთარი № 25. საბუთი № 120.

[112] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მათს მიწა-მტვერს მელიქს ავეტიქას მოსცეს.

ნადირ ყენი რომ ყარსის ციხეს ადგა, იმ ხანად აღვნის ჯარი გა[ა]სივა და ჩილდირი დაურბე[V]ვინებინა, აღვნებს იქაური ტყვე[ე]ბი მე[ე]სხათ, იმათგან ერთი ტყვე მამაჩემს დაებ-

სნა, ეივაზა ქვიან, ამ ხანათ ზემო ქართლს სახლობს და ზოგი ვინმე აცოდვილებენ, ჯავახეთიდამ მოსული ხარო, ჩვენი ყმა ხარო.

წყალობას ვითხოვ ოქმი მიბოძოთ, თუ ვისმე სიტყვა აქვს, კარზედ გიახლოსთ, სამართალში მელაპარაკოს. თუ სამართალში გაიყვანოს, რა სიტყვა მექნება; თუ არადა, თავთავის თავად ამ გლეხს ნუ

აცოდვილებენ. თებერვლის ე, ქორონიკონს **უჲდ**. 

თავში

ჩვენი ბძანება არის. მერე მელიქს ავეტიქას ამ არზით რომ თავისი კაცის მო[უ]ხსენებია, იმ კაცთან ხელი ნურავის გაქვსთ. თქვენს თავათ ნურავინ რას შესცოდავთ. თუ ვისმე ერთი ჰეშმარიტი სიტყვა ქონდესთ, ჩვენ მოგვახსენეთ და სამართალში გაიტანეთ.

თებერვლის **ვ**, ქორონიკონს **უჲდ**. 

მე, გივი მოლარე, ამისი ასლი ვნახე, ეს დავბეჭდე.



მე, ტულოანთ გურგენამ, ამისი ასლი ვნახე, ჩემი ხელია და ეს სავათის ხელი ჩავრთავ, გურგენ.

ამისი ასლი ვნახე, ეს სავადი დავბეჭდე ბანდა აღალო.



339. არზა შულავრელებისა წყლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 23 თებერვალი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 24. საბუთი № 81. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[94] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ერთობლივ შულავრელებს.

მოგეხსენებათ რაც წყალი გვაქვს, რომ ჩვენ ძლივ იოლას მივალთ. ეს შამშადილელები ჩვენში დგანან, რომ ეს ჩვენი წყალი იმათ დასალევათაც არ ეყოფათ. არას მამულის პატრონს უსამართლო არ დამართებია. ჩვენც წყალობა გვიყავით, რომ იმ ქვეყანაში გაგვეძლებოდეს.

[V] ღმერთი გაგიმარჯვებს, თუ ეს წყალობა არ დაგვემართება. რომ წყალი არ დაგვნებდება, რაც გარეშე კაცნი არიან, ისინიც დაიკარგებიან და ვეღარც ჩვენ დავდგებით იქა.

თავში

ჩვენი ბძანება არის, თქვენ ეს ხათრიჯამათ იცოდეთ: თქვენს მამულს ვენახს, საწისქვილოს, თქვენს წილს წყალს ერთის იოტის ოდენას ვერავინ წაგართმევსთ. და რომელიც ამოწყვეტილის კაცის მამული არის, იმაზედ რომ ჩვენ ქრისტიანე კაცნი დავაყენოთ, რა

სიტყვა გექნებათ. თებერვლის **კგ**, ქორონიკონს **უჲდ**.

340. არზა გოჯარ მდივნისა სახლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 27 თებერვალი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1344. დედანი. ქაღალდი. 34,4×15,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს მიწას გოჯარ მდივანს მოსცეს.

მერმე ერთი დაჲა მყავდა. თქვენი მტერი უძეოდ ამოსწყდნენ. ერთი სახლი დარჩათ, სამოცდაათი თუმანი ვალი. ამ ვალების მიზეზით მე ახლოს არ უდგებოდი. ნეტარხსენებულმა ჯელმწიფე მამათქვენმა ოქმი მიბოძა, ვარისად გამხადა, რომ სახლები უნდა გამეყიდა და ვალებში მიმეცა.

თექვსმეტი წელიწადი გორჯასპი მდივანს უგირაოდ და უჭიროდ ეჭირა. მერმე მოვალეებმა არზა მოგართვესთ, თქვენი სიმაღლის ბძანებაც ისრე გამოვიდა, რომ სახლები უნდა გასყიდულიყო და ვალებში მიცემულიყო. გორჯასპი მდივანს უთხრეს: ან იყიდე და ან დაცალე, რომ გავყიდოთო; არ იყიდა და დაცალა.

ჯერ სხვანი ყიდულობდენ. ბოლოს მე შემაგულიანეს, რომ შენი უფრო მართებულია, შენ იყიდეო. მეც ჩემი სახლები ზოგი გავყიდე, ზოგი დავაგირავე[1] და მოვალე[ე]ბს დაურიგე მელიქის ჯელით. და თამასუქები დავიხსენ.

მერმე გორჯასპი მდივანმა ჩემი მონასყიდობა იწყინა, წავიდა

[1] დავაგიროე.

და მიჭელ მღვდელს რვის თუმნის თამასუქი გამოსტყუა და იმით დამიწყო ლაპარაკი.

თქვენს წინაშე დავიჩოქეთ და ჩვენი საჩივარი ყველა მოგახსენეთ. თქვენ მდივანბეგებს უბრძანეთ, მელიქს და ქეთხუდებს. მდივანბეგებმაც გაამტყუნეს, მელიქმა და ქეთხუდებმაც მუჯალამა დაწერეს და მოგართვესთ. თქვენც დამიმტკიცეთ და მიწყალობეთ.

რვა წელიწადია მიჭირავს თქვენი წყალობა. მამამ ჯელი აიღო და შვილები ახლა მედავებიან, რომლის თამასუქითაც მელაპარაკებიან, იმის პატრონისათვისაც თეთრი მე მიმიცია და გადასაწყვეტის წიგნი გამომირთმევია ბატონის მოძღვრის ბეჭდით; ჩემთან სალაპარაკო სულ არა აქვსთ რა.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ერთი ოქმი მიწყალობეთ, რომ ღამეხსნან, თითონ თავიანთ პატიოსანს სასახლეს დასჯერდენ და მე ჩემს ქოხს დამაჯერონ.

მელიქის პირით მითვლიან, რომ: ან შენ ჩვენი იყიდეო და ან შენი მოგვყიდეო. მე იმათი აინახანის სყიდვა არ შემიძლია. და ჩემი ქოხი ასე მინდა, რომ მე თქვენის ჭირის სანაცვლო შევიქმნა. ჩემს შვილებს ერთი ქოხი ქონდესთ, რომ თავი შეაფარონ; თქვენს სამსახურში გახლდენ და უსახლკაროთ არსად დაიკარგნენ.

თქვენად გასამარჯვებლად ერთი ოქმი მიწყალობეთ, რომ დამეხსნან. უბრალოდ ნუღარ მაწუხებენ. ფებერვალს **იგ**, ქორონიკონს **უჲდ**.

თავში

ქ. თუ სამართალში თეთრი დაგედება რამე, ისკი უნდა მისცე და სახლები შენი არის. ფებერვალს **კზ**, ქორონიკონს **უჲდ**.

ქ. ეშიკაღაბაშო დიმიტრი, ესენი მსაჯულთ სამართალში ასე უნდა მოარჩინო. ამ კვირაში ნუღარ დააგდებ ამათს საქმეს; ამ ოთხს დღეზე უნდა მოარჩინო, თორემ არა საქმით არ იქნება.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

341. არზა გოგია ელიოზიშვილისა მამულის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით

1776 წ. 2 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13798. დედანი. ქაღალდი. 21×16,5 სმ, მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბატონო დივანბეგის ჭირი მოსცეს ელიოზიშვილს გოგიასა.

ქვემო ნიქოზელებმა ხატის მიწა მამცეს, სოფლელებმა ერთათ პირობა დამიდვეს: ეს ვენახი გა[ა]შენეო, ხუთი წელიწადი შენ ჭამეო და მასუკან ორი წილი შენაო და მესამედი ხატს მიართვიო. ბაგა ჩავყარე, ოთხი თუმანი დავხარჯე, ცოტას ხანს მე შინ არ გახლდი, ამდგარა პაპუნა ფანველიშვილი და ის ჩემი ნაჭირნახულევი თავისის ყმისათვის მიუცია.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ამისი სამართალი მაღირსეთ, ამთენი თეთრი დამიხარჯამს. ამ წყალობას ვითხოვ: ავთანდილ ხერხეულიძეზე ერთი ოქმი მიბოძოთ, ან ვენახი დამანებონ ან სოფლის კაცმა ჩემი დანახარჯი ოთხი თუმანი მამცენ. მარტის **ა**. ქორონიკონს **უჲდ**.

თავში

ქ. მდივანბეგ[ების კეთილად] სახსენებელო ავთანდილ ხერხეულიძევ! მერე ამ [არზის] პატრონი ამ არზით ასე რომ ჩივის, ან ვენახის წილი მოსცენ, როგორც პირობა მიუციათ და ან თავის დანახარჯი მოაცემინე. თუ სიტყვა აქვსთ რამე, სამართალში გამოგზავნე. მარტის **ბ**, ქორონიკონს **უჲდ**.

სამი ბეჭედი:

1. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჯომი ღმერთგანცაა(?), იოანე, 1748.
2. ქაიხოსრო.
3. მონა ღთისა მდივანბეგი თეიმურაზ.

342. არზა შიოშ საყუარელიძისა მამულის თაობაზე გიორგი გატონიშვილის ოქმით

1776 წ. 11 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10989. დედანი. ქაღალდი. 21×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირი მათს მიწას შიოშ საყუარელიძეს მოსცეს.

ამას გევედრებით და მოგახსენებთ, რომ ქცხილვანს გახლავარ, ორიოთ დღის მიწა დემეტრემ მომცა და ბატონის დედოფლის სიგელი მაქვს და მეფისაგან დამტკიცებული დაბეჭდილი და მოცემული მაქვს, ვენახათ გამიკეთებია და სახლკარი ამიშენებია და შიგ გახლავარ. და [დ]ემეტრეს ბარათში გატანილია და დავთრისა ცოტა რამ დამრჩა, ისიც მინდა ვენახათ გავაკეთო. გოგია

მინბაში მედავება, ჩემი კაცი ბდგარაო, საქმე არა აქვს რა; იმის კაცი სხვაგან იდგა და სახლის ქირას აძლევდა. თუ იმისი იყო, რატომ აქამდი არ წამომედავა. დიანბეგთან ვიჩივლეთ. დიანბეგებმა ასე უთხრეს: სიგელი აქვს, ჩვენ ამ სიგლის მოშლა არ შეგვიძლიაო. დემეტრეს ჰკითხეთ და სწორეს მოგახსენებსთ, რომ საქმე არა აქვს რა. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამის სამართალი მიყავ, რომ უსამართლოთ მამული არ წამერთოს. თუ სიტყვა აქვს, მოგახსენოსთ. მარტის **კ**, ქრონიკონს **უიდ.**

თაეში

ქ. ბატონო მინბაშო გოგიავ! მერე [ამ] არზის პატრონი შოშია ასე რომ ჩიეი[ს], აქ დემეტრემ ბიძაშენმა ასე უმოწმა. თუ ასე იყოს და ამისთვის მიეცეს, ამას ნუღარ აწუხებ, დაეხსენ. მარტის **ია**, ქრონიკონს **უიდ.**

ბეჭედი: მეფის ძე გიორგი.

verso

ქ. ბატონისშვილს ებძანა მამულის ა[მ]ბავი ცხინვალისა მიწისა. ის მიწა ამილბარ მაჩაბლისაგან მოყიდული[ა], იმასთან საქმე არავის აქვს, ჩემი არის, მამის ჩემის ნასყიდი, მე, ამ საყვარელიძეს მო[მ]ეცა გოგიას, მიბოძეს; ამ მამულსთანა საქმე არა აქვს, ჩემია, ჩემი მოცემული არის.

მწაწერი: ქ. ბატონიშვილის გიორგის ოქმი

343. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაოგაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1778 წ. 15 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 528. დედანი. ქაღალდი. 20,6×11,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ძის ლევანის ჭირი ზა[ა]ლ დავითისშვილს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებთ. თქვენს საბძანებელში შინდის[ს] ჩემი კაცი გახლამსთ — ქურციძე თამაზა და იმისი სახლისკაცის ქვრიეი და ობოლი. ამას ვეევედრებით თქვენს სიმაღლეს: ერთის ოქმის და იასაულის წყალობა მიყავით, რომ ავყარო და სადაც მე გახლავარ, ჩემთან დავაყენო, ჩემი ყმა ჩემთან იყოს, უბრალო კაცი არ მიგლეჯდეს, თუ რამ შეძლება აქვს, მემსახუროს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი წყალობა მიყავით. მარტის **ვ**, ქრონიკონს **უიდ.**

თაეში

ქ. ბატონისშვილი ლეონ გიბძანებ ავთანდილ ხერხეულიძევ! მერმე ამ არზით ზაალ დავითისშვილს რომ შოუხსენებია, თუ[1] იმ კაცთან სიტყვა არავის ჰქონდეს, აუყარე და ზაალს მოაბარე თავისი ყმა; თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, სამართალში მოაყოლიე. მარტის **იე**, ქრონიკონს **უიდ.**

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

344. არზა ლაზარე ფოცხვერაშვილისა გამოსალებიც თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 18 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 241. დედანი. ქაღალდი. 29,8×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან უკეთილმსახურესის და უმაღლესის მეფის ჭირი მოსცეს მათს მლოცველს ფოცხვერაშვილს ლაზარე მღდელს.

მერე ეს მოხსენდეს მათს სიმაღლეს: მე თქვენის წყალობით წმინდას ნინას გავიზარდე და დიდათ მადლობელი ვარ თქვენის სიმაღლისა. მასუკან[2] მებძანა თქვენგან იქ განწესება და თქვენის დიაკუნების სწავლა და იქ გახლავარ. და რაც ჩემი ჯელით გამოვა, ვასწავლი.

და რა[3] ეს შეიტყვეს გივმა და ნინიამ, მეტათ ამიმტერდნენ; შემოდგომაზე შემომიკდა ცოლშვილში ნინია, მე მათრაკის ცემით მომკლა და ცოლსა და შვილს შიშით გული დაუხეთქა. ერთი პატარა ბიჭი მყვანდა, იმისმა ელდამ მომიკლა. მამაჩემი ამ ზამთარ აიყარა თავისის შვილებით მანავს წავიდა და მე კი ვერ გავყე, რომ თქვენი ბძანება მქონდა.

და ახლა გუშინას წინ შემომიკდა შინ, ნინია ბატონის ბძანება მაქვსო, ხუთი მინალთუნი უნდა მამცეო. მე თეთრი არა მქონდა რომ მიმეცა, რაც რომ მქონდა, აიკლო და წავიდა.

[1] + ვისმ̃ს. [2] მასკუან. [3] რაა.

ჩემო ჯელმწიფევ, ეს რომ გიბძანებია ხუთი მინალთუნი საიდამ უნდა მივცე, მე თქვენს სამსახურში დღე და ღამე იქ გახლავარ, თქვენგან მოველი წყალობას და დარჩომასა; და ის მე მთხოვს, საიდამ მიეცე.

ღმერთი გაგიმარჯვებს და თქვენის შვილების სადღეგძელოთ ამისი სამართალი მაღირსე ან წყალობა მიყავით, რომ მეც მამაჩემთან წავიდე და [ა]ნ ის კაცი დამხსენით, რომ აღარას მაწუხებდეს თქვენს სადღეგძელოთ, ჩემო ჯემწიფევ. მარტის **იზ**, ქორონიკონს **უჲდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ავალიშვილო გიო და ნინიავ! ამ არზის პატრონს ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ამას თქვენ ყმობით ხომ არავინ გედავებათ და სხვა რიგად ამას ვერც! მსახურად გამოიყვანთ და ვერც მეჯინიბედ. ერთი დიაკონი წმინდანინოში გაზრდილა, იმის შესამკობლად გვყავს; რა იქნება რომ ამას არ აწუხებდე. თუ რამ წაგერთმიოს, ახლავ მოეცით, თორემ დიდად გიწყენთ. თუ რამ წელიწადში ამათი დებულობა განგვეწესებინოს, ამის მამას უნდა გამოართმევდე. მარტის **იზ**, ქორონიკონს **უჲდ**.

ქ. მანამდის ეს დიაკონი წმინდასინოს იმყოფება, ეს ხუთი მინალთუნი მადამდის უნდა მოგცეს. და როდესაც იქიდამ წამოვა, მაშინ რაც არა სდებია, ჩვენ ამის მეტს ვერას დავადებთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჭნობს ძედ ქახეთის მეუღე ცხებულს, ერეკლე.

345. არზა ჩიკორიძეებისა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 18 მარტი

ცსსა. ბ. ქარბელაშვილის პირადი ფონდი 1461. რვეული № 13. საბუთი № 54. პირი. ქაღალდი. მხეღრული.

[84] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ჩხეროელს ჩიკორიძეებს. ექვსნი ძმანი გახლავართ, ჩვენის ხიზნით ავიყარენით იმერეთიდამ და თქვენს საფარველს მოვატანეთ. ხიზანი ზოგი ნინოწმიდაში გვყავს და ზოგი ჯელისციხეში მოვასხით. თუ თქვენი ნება იქნებოდეს, პატარძეულში დაგვაყენეთ. მარტის **იზ**, ქორონიკონს **უჲდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ზაალ ზეგნის მოურაო. მერმე ამ იმერლებმა მანდ ზეგნელებთან დგომა მოინდომეს და ამათ მანდ მაშული უნდა მოსცე. და თუ მაშული არ იყოს, ტყე ხომ ბევრი არის და ტყე მოეც. მარტის **იზ**, ქორონიკონს **უჲდ**.

346. არზა ზაალ ჭარუმიძისა სითარხნის თაობაზე

გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1776 წ. 22 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10351. პირი. ქაღალდი. მხეღრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჰირი მათს მიწას ქარუმიძებს ზა[ა]ლსა და მის ძმებს მოგ[ვ]ცეს.

მერმე ჩვენ დიდის ჯელმწიფის პაპის თქვენის წყალობა გვაქვს სითარხნისა, რომე ჩვენს პაპ[ა]ს და იმის ძმებს უმსახურია და იმა. საც სითარხნე ჩვენსა უბოძებია. ახლა ჩვენს მოწყალე ჯელმწიფეს მივართვით ის წიგნი, გარჩ[ე]ვით სხვა წიგნი გვიბოძა მაგან; ახლა სოფელში ვინც ოქმს მოიტანს, ვლეხებს გვიწუხებს.

ამთენი თქვენი წყალობა იყოს, რაც სახელდობ ბატონის ნაბოძები წიგნშიგან გვეწეროს, ოქმი გვიბოძოთ, ნურც იასაული დაურჩება იმ ბრძანებასა და გაგვიკითხონ. მარტის **კბ**, ქორონიკონს **უჲდ**.

თავში

ქ. ბატონიშვილი გიორგი გიბძანებთ ვინც ვინ მეასილხი იყვნეთ! მერმე ამ ქარუმიძეებს, რადგანაც ბატონს პაპის ჩვენისაგან და იმის სიმაღლის მამის ჩვენისაგან წყალობის წიგნი აქვსთ თავათის ყმის სითარხნისა, თქვენც ისე უნდა აღასრულოთ და ნურაფერზედ შეაწუხოთ და ნურცა რა სთხო[ო]თ. მარტის **კბ**, ქორონიკონს **უჲდ**.

347. არზა ეფთვიმი წინამძღვრისა მამულის თაობაზე გიორგი გატონიშვილის ოქმით

1776 წ. 4 აპრილი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2444. პირი, ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან მრავალმოწყალისა და ქრისტეს მოყვარის მათის სიმაღლის მეფის ძის ჭირი მოსცეს მათის სიმაღლის სამარადისოდ მლოცველს მონასა მათსა ცოდვილს ბერს წინამძღვარს ევთიმის.

მერე ესე მოიხსენეთ მრავალმოწყალეო. რადგან ამ საქმეში იძულებით დამაყენეთ, შენი ჭირ[ი]მე, ვალი მაქუს, რომ ამ მონასტრისათვის თქუენის წყალობით უნდა ვიზრუნო. მანამს თქვენი წყალობა ზვარი რომ აქუს ამ მონასტერსა, იქა ზვარს გარდა რამთვენიმე კომლი კაციც ჰბოძებია ამ მონასტერსა.

ხაჩიურის მიწა არის, რომ მონასტრის ყმა ყოფილა. და იმისი მიწა არის, ჩვენ გვიჭირავს; და იმაზე ერთის დღის მიწას გვიჭრიან მოურავი და თანგუაშვილი; ერთხელაც წაელოთ და მდივანს ოთარს და სალთხუცი[ს]შვილს გივის ისიც მონასტრისათვის დაენებებინათ. და იმ უკეთურს თანგულაშვილს გასჯავრებიყვნენ — მონასტრის მამულს რათ ეცილებიო და მიჯნაც ჩაესხათ, აღარ შეეცილოვო. იმ მიჯნის ჩასხმაში თვით ის თანგუაშვილი, ჩვენი გაბრიელ ბერი, მოსე ბერი და ჩიხაშვილი მღვდელი დამსწრე არიან. ბატონის იასაულს ჩაეყრევინებია.

ახლა იმ უკეთურმა ნათლისმცემლის მტერმა თანგუაშვილმან, ბარათაშვილის ნაყმევი არის, შენი ჭირიმე, ამოყარა ის მიჯნა და თვითონ მოჯნა და თვითონ დათესა და ჩვენ სხვა[ს] ვთხოვებთ მიწასა.

რადგან თქვენის სიმაღლისა არის ეს მონასტერი, შენი ჭირიმე, წყალობას ვითხოვთ, რომ მონასტერს უბოძოთ, როგორც ჰქონებია: თუ გინდ არც კი ყოფილიყოს, მისთვისაც იოანე ნათლისმცემელს უნდა უძღვნათ, ქრისტეს მოცვარიო და ჩვენო მოწყალეო. ზვარი რომ გამოგვერთვას, კინალამ ის გვირჩევნია, შენი ჭირიმე, იმ მიწის გამორთმევასა და არ ბოძებასა.

თანგუაშვილს უჭირავს და იმან მოჯნა და დასთესა. გევედრებით უბძანოთ, რომ ახლავ მოგვცეს ის მიწა. იმისი ნახევარი კი გვიჭირავს; და ის კი წაართვეს მონასტერსა. ამ მონასტერსა სხვასაც მრავალს საქმეს ეცილება ის თანგუაშვილი. ბძანება იყოს თქვენი, რომ

ამ მონასტრისას ნურას ეცილება, დაეჯსნას. თუ წინად შენი ჭირიმე...* თქვენის მოწყალებით ვეღარ დაუთმობთ იმასა. მარტს **ლა**, ქორონიკონს **უიდ**.

თავში

ქ. ბატონიშვილი გიორგი გიბძანებს იოანე ციშვილო! მერე ნათლისმცემლის მამული მიწა თანგუაშვილს რომ აქუს, როგორც რომ ოთარ მდივანს და გივს სალთხუცს შვილს გაერიგებინოს და მიჯნა ჩაესხას, ახლა რომ ამოუყრია, მიდი და მიჯნებიც ისევ ჩაასხმევინე; და დათესილიც ისე გამოართვი და მონასტრისათვის და ნათლისმცემლის წინამძღვრისათვის მოაბარეთ. თუ გინდა ჩვენიც იყოს ეგ მიწა, მისთვისაც წათლისმცემელს მიართვით, იმისთვის მიგვირთმევია და იოანე ნათლისმცემლისათვის შეგვიწირავს.

ამაზედ წინაალმდგომი სიტყუა აღარ იქნება. რამ წამს მიხვიდე, მაშინვე ჯელი აუმართე და მოაბარე დათესილი ნათლისმცემლის წინამძღვარს. აპრილს **დ**, ქორონიკონს **უიდ**.

ოთარ მდივანმა და გივმა სალთხუცესის შვილმან რომ გააჩიგა, რა იყო, რომ მაგან თავის ძალით წაართო; გამოურთვი და ეხლავ მოაბარე.

ნეფის ძე გიორგი

348. არზა ვაჭირელთა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 11 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 581. ღედანი. ქაღალდი. 19,5×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ხახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ვაჭირელთ ქევხას და მამაიაშვილს და ადოს ნანობაშვილს, ჭარელს მეკოდეს და დავითაშვილს პაპუას და სულ ვაჭირელთ.

მერე ეს მოხსენდეს მათს სიმაღლეს: ერთი კაცი გახლავთ გრემს ხელაშვილი. თქვენი ყმა — ენისელთ მოურავი ეჭიდება. მერე თქვენს მზეს ვფიცავთ, რომ სწორეთ აქ ვაჭირული იყოს და აქ ქონდეს მამული და აქაური იყოს, უბრალოთ ეჭიდება. ენი-

* აკლია ერთი სიტყვა.

სელთ მოურავს ჯელი არა აქვს. და ნება თქვენი სიმაღლისა აღსრულდეს. მარტის **ლ**, ქორონიკონს **უიდ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ენისელთ მოურავის შვილს გრიგოლს ასე უამბეთ. მერე ამაზედ ხათრიჯამი იყავ. არ ვიცით, ვის უსწავლებიათ და ან ეს არზა ვის დაუწერინებიათ, მაგრამ რადგანც ჩივიან, ჩვენ მოსამართლენი ვართ, სამართალი უნდა მივსცეთ. თუ სიტყვა არა გქონდესთ რა, კაცი დაანებეთ; თუ არადა, სამართალში მოჰყევით და ელაპარაკენით. აღიწერა აპრილის **ია**, ქორონიკონს **უიდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

349. არზა ოთარ ამირახორიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 15 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 13. საბუთი № 141. ჰირი. ქაღალდი. მხედრული.

[111 V] ღმერთმან უმაღლესის ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მათს მიწას ამირახორისშვილს ოთარს მოსცეს.

ჩემი მოხსენება ეს არის: ზაქარია ციციშვილს უჩივლია ავეტიქაზე. ის ავეტიქა მკვიდრი ჯავახი არის. სურამს გახლდათ, მომივიდა. ცოტა ხანს მურვანიშვილს[1] მივაბარებინე[2], იქიდამ წამოსულიყო, ცხილვანს მოსულ[ი]ყო, იქ კურთხეული დავით ერისთავი დახდომოდა, თავისთვის დაესახლებინა. ოთხი-ხუთი წელიწადი ერისთავს ესახლა ყმათა. მერმე მამაჩემი ედავა. თქვენ სამ[ა]რთ[ა]ლი ბძანეთ. სამართლით ჩვენ დაგვრჩა. იმ დ[რ]ოს ქალანთარმაც ბევრი ილაპარაკა, მაგრამ არც ყმა იყო იმისი, არც მოწამე გაუტეხია[3]. ამდენი ხანია სახლით, ვენახით, მამულით მე ვარჩენ. ახლა დამარცხებული კაცი ვარ, არც მამას მუნასიბია მაწუხებდეს, ნება ჯელმწიფისა აღსრულდეს. აპრილის **იე**, ქორონიკონს **უიდ**.

[1] მურვანი შვილის. [2] მივაბარებნა. [3] გაუტრეხია.

თავში

ჩვენი ბძანება არის. თუ კურთხეულს ამილახვარს რევაზს მოსელია და ან ჯავახეთიდამ იმას მოუყვანია და ჭირნახული აქვს, ვისიც უნდა ყმა იყოს, მაშინც ამილახვრისა იქნება. და თუ რაც ამას მოსელია და არც ამას მოუყვანია და არცარა ჭირნახული აქვს, ვისაც მისელია, იმისი ყმა იქნება. აპრილის **იე**, ქორონიკონს **უიდ**.

350. არზა გიორგი პანჯალასშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 23 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2645. დედანი. ქაღალდი. 35×14,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხემწიფის ჰირი მოსცეს რეხელს პანჯალასშვილს გიორგისა და ღთისიას — გიორგი ერისთვის ყმას.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენ მოწყალეს ხემწიფეს, რომე ამის[თ]ნა უსამართლობა არას კაცს დამართებია, რომე ჩვენ დაგვემართა. ამით სამჯერ აკლებული[1] ვართ: ერთხელ დავით ერისთავმა ამიკლო და ახლა როსტომ[მა] ამიკლო.

თუ ეული ვართ, თქვენი ყმა უნდა ვიყოთ და თუ ბატონი გვყავს, რომელს კაცს დამართებია ეს უსამართლობა! ცხრამეტი სული ხიზანი გახლავართ და უღელი ხარი და ერთი ძროხა გვყვანდა; უღელი ხარიც, ის ძროხაც — ჭორწილი მქონდა და იასაულები შემომიცვივდნენ, ნეფე დედოფალი ძირს ჩამოყარეს — ერთი თოფი, ორი სასაწრფო, ორი ხანჯალი, ერთი სახნისი, რაც სახლის ავეჯეულობა იყო, სულ წმიდათ წამოიღეს.

სამნი ძმანი გახლავართ, ერთი თოფი [გვ]ქონდა, ხან ერთი წამოვიღებდით, ხან მეორე, ხან მესამე — თიბათვეს, კათათვეს და მარიამობის თვეს სამნივე ერთმანერთზე ვაწერივართ.

შარშან რომე ფაჩუასშვილის თაობაზე ექვსი თუმანი წამართვეს, იმის სარგებელს ვერა ავსცილივართ; თუმნის თავს ექვს

[1] აკაკალებულა.

შაურს სარგებელს გვართმევენ. მარტის დ, ქორონიკონს უიდ. ჩემ[ო] ხემწიფეგ, სამართალი გვალირსეთ.

თავში

ქ. ზაზა ყორიასაულბაშო! ესენი მსაჯულთ წინაშე სამართალში ალაპარაკე. უფალმან მდივახბეგმა იოანემ, მდივანბეგმა თეიმურაზ და მდივნებმა სამართალი მისცენ ღმერთ[ი]წინაშე. აპრილის კგ, ქორონიკონს უიდ. რასაც მიხვდენ*.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

351. არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა ქმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 29 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 25. პირი. ქართლდი. ხელნაწერული.

[9 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწას ფალავანდიშვილს ერეკლეს.

ამას მოვახსენებთ მათს სიმაღლეს. ერთი ჩემი მემკვიდრე კაცი მყვანდა ვარიანს. წელს თებერვალში აყრილა და ფხვენის [ს] დამდგარა სხვის მამულზედ. მე სხვის მამულზედ კაცი რას მარგებს.

ამდენი თქვენი მოწყალება იყოს, რომ ერთის იასაულის წყალობა მიყოთ, რომ იქიდამ აყაროს და ქცხინვალს [10] თქვენს სახასოში მამას[ა]ხლის[ს] მიაბაროს. ღმერთი გაგიმარჯვებთ. აპრილის 10, ქორონიკონს უიდ.

თაგში

დიმიტრი ეშიკაღასბაშო! ერთი იასაული მიეც, სადაც ამ არზის პატრონის კაცი იდგეს, აუყაროს და ქცხინვალს დაუსახლოს, და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს. აპრილის კგ, ქორონიკონს უიდ.

ეშიკაღასბაში დიმიტრი მოგახსენებ ძმაო ბატონო სიამარა-

* „რასაც მიხვდენ", ბიწერილია სავა ხელით.

ღისშვილო ავთანდილ. მერმე ამ ბატონის ოქმშია როგორათაც ბატონის ბძანება ეწეროს. შენ უნდა მიხვიდე, ის კაცი იქიდამ აჰყარონ და ქრცხინვანს მი[ი]ყვანოს. და თუ იმ კაცს სიტყვა რამ ჰქონდეს ჴეშმარიტი, აქ ბატონის სამართალში უნდა ჩამოიყვანოთ. აღიწერა მაისის დაბდეგს ა, ქორონიკონს უიდ.

352. არზა გიორგი ავაქაშვილისა ქმოგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 29 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 10. საბუთი № 181. პირი. ქართლდი. ხელნაწერული.

[204 V] ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ჭირი მოსცეს დაბლუტელს ყაფლანიშვილს მზეჭაბუკის ყმას იაქასშვილს გიორგის.

მერე ამას მოვახსენებთ მათს სიმაღლეს. მე კახეთში ხიზნათ ვიყავარ, ბატონი ჩემი კი არა მყრის, რომ მახდიდამ შემსახურეო. ვილა მელიქია შვილი ავთანდილ გყრის. რომ ჩემი ყმა ხარო. ვასთხოვეთ, ჩემო ხელმწიფევ, მოხსენებული პასუხი. მართალია, რომ პირველად ჩვენი გვარი მელიქიანთ ყმა ყოფილა, მაგრამ ბიძა ნაგისი ერთი გათათრებული ყოფილა ახალციხეს მყოფი, მოსულა და სამაჩაჩი, დედაჩემი, ჩემი ძმა და დაი და მე კი ძუძუთა ვყოფილვარ, მოუპარავთ და ახალციხეს წაუყვანიეართ.

მერე დედაჩემი შესულა ფაშასთან, შეხვ[205]ეწნია: ჩვენ ყაფლანიანთ ყმანი ვართო და მან მოპარვით წამოსხმული დაგვყიდაო; ის კი გარდახვეწილა ჩვენი გამსყიდავი, ფაშა გასწყრომია და ჩვენ დაუხსნიეართ და გამოუშვიეართ, მე იმათს ყმას აქ არავის გაკასყიდვინებო. არ ვიცი მოყვარე რომ ყოფილა ის ფაშა ამათი თუ მეგობარი, ამიტომ გაგ[ო]უშვიეართ.

გარდცვლილა მამაჩემი ავაქა და პაპუნა ყაფლანიშვილთან მოსულა ყმათა. მას დღეს აქეთ იმისნი ვყოფილვართ და იმათ ხასყიდს სოფელში ვმდგარვართ დამბლუტსა. დღეს აქამდინ არც მამაჩემს და არც მე არავინ წამომდავებია და ბატონის

[1] + არ ვიცი.

ჩემის მზეჭაბუკის მეტი და სულ ამისთვის მიმსახურნია კახეთიდამა. და ახლა ავთანდილ მეედავება და მყრის.

სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებსთ. ბატონი ჩემი კი იმედს მეუბნება, რომ მე კახეთიდამ არ აგყრიო, როგორც აქამდის არ აგყარეო. და ეს კი არ მაღონებს, სამართალი მაღირსეთ. აპრილის კგ, ქორონიკონს **უიდ**.

თავში

ზაზა ყორიასაულბაშო! მერე ამ არზის მომრთმევზე ავთანდილ მელიქის შვილი და მზეჭაბუკ ყაფლანისშვილი ერთმანერთს რომ ელაპარაკებიან, ორნივე ისინი მოსამართლების სამართალში დააყენე და ამ კაცზე სამართალი იმათ მოსცენ. აპრილის [V] კთ, ქორონიკონს **უით**.

353. არზა ეგზარხოს არსენიოსი მამულის განკარგვის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 3 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 51. საბუთი № 219. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[193 V] ღმერთმან ჩვენის ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ე კ ს ა რ ხ ო ს ს ა რ ს ე ნ ი ო ს.

მერე ამას ვეედრები მათს სიმაღლეს. ვინათგან ისმენთ ჩემსა მარადის, ესეც ისმინოთ და ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ ნიქოზელს რაც რამ ეკლესი[ი]ს მამული ან მიწა ან ვენახი ან სხვა რამ ბეითალშანი მიეცეს ვისთვისმე, ის როგორც მე მინდოდეს, ისე განვაწესო — ნახევარი ეკლესიისათვის დავსდვა და ნახევარი იმაზედ მსახლობელს მივსცე. და თუ ინ კაცმა არ ინებოს როგორც მე მივსცე, სხვა დავასახლო.

ამას გეევედრები სიმდაბლით, რომ ესეც აღმისრულოთ. მაისის **ა**, ქორონიკონს **უიდ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის. მერე როგორც ამ ეკზარხოს არსენიოს უთხოვნია, ჩვენც ამისთვის ნება მიგვიცია. რომელიც ნიქოზელს გაეცეს, როგორც ამას უნდოდეს, ის გა[ა]რიგოს, მაისის **გ**, ქორონიკონს **უიდ**.

თუ ვისმე სიტყვა ჰქონდეს, მოგვახსენოს.

354. არზა ცხაოტელთა მამულის თაობაზე ლეონ გაბონიშვილის ოქმით

1776 წ. 5 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qქ 9172. დედანი. ქაღალდი. 19×10 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ ღმერთმან ბედნიერის ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ძ ი ს ლ ე ო ნ ი ს ჭირი მოსცეს მთიულს ცხაოტელთ.

ფ ა ს ა ნ ა უ რ ი ჩვენი სამკვიდრო მამული არის და ქ ა ვ თ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს გიბოძებიათ. ამ ფასანაურზედ ასი კომლი კაცნი ვლაპარაკობთ, ჩვენი არის. ქავთარაშვილებს ჩვენზე მეტი არა აქვსთ, ნახევარი იმათი, ნახევარი ჩვენი[ა].

ამ წყალობას გეევედრებით, რომ ჩვენი სამკუიდრო მამული არ წაგვერთვას. ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის **დ**, ქორონიკონს **უიდ**.

თქვენის ძმის გ ი ო რ გ ი ს წიგნიცა გვაქვს ერთობლივ მოცემული.

თავში

ქ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ლ ე ო ნ გიბძანებ ამ არზის მომრთმევო! მერე ღმრთით ამ ცოტას ხანში ჩვენ არაგვზედ ამოვალთ და ამ შენს საჩივრის სამართალს მაშინ მოგცემთ. მაისის **ე**, ქორონიკონს **უიდ**.

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლ ე ო ნ სახელად მძღსა.

355. არზა იოანე აბაშიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 18 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 489. დედანი. ქაღალდი. 17,5×14 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ჩემის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათს ბანდას ი ო ა ნ ე ს ა ბ ა შ ი ძ ე ს.

ჩემო ხემწიფევ! თქვენს დიდს მოწყალება[ს] ჩემზე კიდევ ესეც მოუმატეთ: ერთის სამწვრის და საბახჩის წყალობით მიყოთ ქვაყრილში, საცა გლეხს კაცებს ებოძა იმ [მ]ხარეზე, რეთიც თქვენი ნება იყოს, ადლობი[თ] მებოძოს. ეგება თქვენის დოვლათით ამ გზობით შამოველობო. შენი ჭირიმე, თუ ეს ვედრება ამისრულდა, ამის მადლობა არ შამიძლიან. გევედრები, აღმისრულოთ ჩემო ხემწიფევ.

თაყში

ქ. ყოვლად სამღედელოვ უფალო ნეკრესელო დოსითეოზ! ქვაყრილელთ სავენახეები რომ მივეცით, იმის თავს ცხრა [ა]დლის მიწა სავენახეთ და საბახჩეთ იყანე აბაშიძეს ქეშიკჩიბაშს მოუზომინეთ და მოეცით. მაისის **იბ**, ქორონიკონს **უიდ**.

ბეჭედი: ჭხარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

356. არზა სამების ეკლესიის უმეფისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 23 მაისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2759. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჰირი ერთობით წმიდის სამების ეკლესიის ყმათ მოსცეს.

ამას მოვახსენებ ჩვენს მოწყალეს ჯელმწიფეს: რაც წმიდის სამების ეკლესიის შეწირული ჯელმწიფეთაგან მამული არის, უფროსიერთა პატარძეულელნი ჯვნენ, სამამულეთაც გვეცილებიან, და არც ღალას იძლევიან, როგორც განსაზღვრული არის. გუჯრები აქ გახლავსთ და იმით სცანით.

თუ ნასყიდი ვისგანმე არის, წიგნი ექნებათ და იმასაც შევიტყობთ, ვისაც მიუყიდნია. თუ არა იმათ ჩვენთან საქმე არა აქვსთ რა. ჯელმწიფეთაგან არის განსაზღვრული წმიდის სამების ეკლესიის მამულები. მაგათგანა და სამებლისაგან გასამართლებული და გარდაწყვეტილი წიგნიცა გვაქვს, თვითან მაგათის მოურავისაგან გასამართლებული არის, რომ ჩვენც დავჯერებივართ და ეგენიცა.

ამას ვევედრებით ჩვენს ჯელმწიფეს, მეორეთ შფოთს დაგვკსნან; თქვენად გასამარჯვებლად, წმიდას ეკლესიას თავის მკვიდრი მამული დანებდეს. მაისს **კბ**, ქორონიკონს **უიდ**.

თაყში

ქ. ჩვენი ბძანება არის პატარძეულელნო! მერე ამ არზის პატრონებს თავეთ მამული დაანებეთ. და თუ ჰეშმარიტი სიტყვა გქონდესთ რამე, ჩვენ მოგვახსენეთ. მაისის **კბ**, ქორონიკონს **უიდ**. ჰ[ა]ლბათ.

ბეჭედი: ჭხარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

357. არზა ფალავანდიშვილებისა მაჟულის თაობაზე მდივანბეგ იესე ამილახვარის ოქმით

1776 წ. 28 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 638. დედანი. ქაღალდი. 23,3×9,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ამილახვარ-მდივანბეგ[ი]ს ჰირი მოსც[ე]ს მათ ბანდას ფალავანდ[ი]ს შვილს უზბაშს გოგ[ი]ას და ზურაბას.

ვემრ[ე] ამას მოვახსენებო: ჩემ[მა] განაყოფმ[ა] იასემ უზბაშმა[1] ხვითს სამის დღის მიწა გამიყიდა, მამპარა, ფალავანისშვილს იასეს, თეიმურაზს მიყიდა. ჩვენ[ი] ობლობა ხომ მოგეხსენებათ, მამულისა არა ვიცოდით რა, ის ფალავანდისშვილი ჩემ[ი] შორს არა[ა] განაყოფ[ი], ხომ თქვენს სიმაღლესაც მოეხსენება, ჩემთან არაფერი წილ[ი] არა აქვს რა, რათ გამიყიდა; ჩემო მოწყალევ, ჩემი მიწა მე დამანებეთ, ამან იც[ი]ს, იმან. ღმერთი გაგიმარჯვებთ, ამის სამართალი მაღირსეთ. მაისის **კბ**, ქორონიკონს **უიდ**.

თაყში

ქ. ძმაო ფალავანიშვილო იასე! ამ არზის პატრონი რომ ასე გიჩივის, თუ სიტყვა არა გქონდეს რა, თავისი მიწა დაანებე. და თუ სიტყვა გქონდეს რამე, აქ ჩვენს სამართალში მოყევ, ჩვენ გაგასწორებთ. თუ უბრალო სიტყვა გაქუს და სამართალში გამტყუნდი, მერე ჯარიმაც გამოგერთმევათ. დაიწერა მაისის **კბ**, ქორონიკონს **უიდ**.

ბეჭედი: მონა ღთისა ამილახვრისშვილი მოურავი იესე.

[1] უზბაშა.

ქ. რ ე ვ ა ზ, ამ არზის პატრონს თავის ძმისწულის რ ო ს ტ ო მ ი ს მოსვლამდინ და ფალავანდისშვილის გოგიას მოსვლამდი და[ა]ცალე. რომ ამოვიდნენ და ილაპარაკონ, თ ვ ა ნ ს დაანებონ, რომელსაც მიწაზე დაობენ. მაისის კვ, ჭორონიკონს **უიდ.**

ბეჭედი: მოსა ღთისა ამილახვრისშვილი მოურავი ი ე ს ე.

358. არზა ზურაბა მამუჩიშვილისა გზის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 28 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 53. საბუთი № 3. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[1 V] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მ ა მ უ ჩ ი შ ვ ი ლ ს ზ უ რ ა ბ ა ს.

ი ვ ა ნ ე მღვდელს თქვენთვის მოეხსენებინა — ზურაბმა გზა წამართოო. ჩემთვის ოქმი გებოძებინათ: თუ მთელი სიტყვა გქონდეს, მოგვახსენე; თუ არადა, თავის გზა დ ა[ა]ნებეო. ჩემი მთელი სიტყვა ეს არის: პ ა ა ტ ა იასონის შვილს ერთი კაცი დაესახლებინა, იმ კაცს გ ა ბ რ ი ე ლ ერქვა: ის გაბრიელი, თქვენი მტერი ამოწყდა, დიდი მყრელობა რომ იყო, თქვენმა გამდელმა ერთი კაცი იყიდა, საჭელად ი ე ს ე ერქო და ის დაასახლა იმ მამულზედ და გზა ჰქონდა.

ჩვენ რომ გავ[ჴ]იყარენით, ის მამული მე მერგო და გზა მქონდა. როდეს იოანე მღუდელს მამული მიეცა, მე იმ ჟამად ქალაქში სამსახურში გახლდი. იმას თავის მამული შემოეღობა და რაც გზა ჰქონდა, დაეგდო. და ახლა მოუხსენებია გზა წამართოო. თუ მე იმისთვის გზა წამირთმევია, დიდთა ეტყუე, იმის შფოთისაგან დამიხსენით, მე ხმა ვერ გამიცია, მღუდელია. ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისს კდ, ჭორონიკონს **უიდ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის ეშიგალასბაშო გ ა რ ს ე ვ ა ნ. მერმე ეს შენი სახლისკაცი ზურაბ, რომ იოანე ღუდელს უჩივის, შენ ეცადე რომ სამართლიანის საქმით მანდ შენ შეარიგე. და თუ შენ ვერ შეარიგო, ორნივ ჩვენს სამაროალში მოიყვანე. მაისს კᲒ, ჭორონიკონს **უიდ.**

359. არზა გიორგი ხმიადაშვილისა სითარხნის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1776 წ. 8 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ№ 2621. დედანი. ქაღალდი. 29×11,4 სმ. შედგენილი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენის მოწყალის ჯ ე ლ მ წ ი ფ ი ს ბ ი ს ლ ე ო ნ ი ს ჰირი მათს მიწასა და მონას ხ მ ი ა დ ა შ ვ ი ლ ს გ ი ო რ გ ი ს მოსცეს.

ამას მოვახსენებ: თუ მოიხსენებთ ჩვენს ამბავს, ძველთაგან მოხელენი და თარხანი ვყოფილვართ და ბატონის მამის თქვენისაგანაც სითარხნის წიგნი გვაქვს.

ახლა თქვენგანაც ამ მოწყალებას მოველით, რომ თქვენც ამ ყიგნით ის სითარხნე დაგვიმტკიცოთ და განგვიახლოთ, რომ რომელიც ჩვენი ბატონი არის, ჯაბრითა და უსამართლოთი არ მოგვეკიდოს; თქვენის მოწყალებით ამ ქვეყანაში ერთი ლუკმა პური ვჭამოთ და ჩვენც გვსახუროთ. ივნისის ა, ჭორონიკონს **უიდ.**

თავში

ქ. ბატონო ი ბ რ ე მ ბ ე გ! მერე ამ არზის პატრონი ხ მ ი ა დ ა შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი ძველადგანაც თარხანი ყოფილა; და იმ ძველის სითარხნის მიზეზით ხელახლა ბატონს მამაჩვენსაც სითარხნის ოქმი უბოძებია, რომ ახლა ხელში უჭირავს. ამისი საჩივარი ეს არის რომ, როგორც თარხანია, შენგან იმ გზით არ იმყოფება. ჩვენ ამ საქმეს მოსაწონათ არა ვხედავთ, ამისთვის რომ ბძანების წინააღმდეგობა[ა]: ამას ნუღარაზედ შეაწუხებთ; როგორც სითარხნის ოქმი აქვს, ისე ამყოფეთ. თიბათვის გ, ჭორონიკონს **უიდ.**

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლ ე ო ნ სახელად მესა.

360. არზა ოთარ ამირახორისშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 14 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 13. საბუთი № 138. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[109 V] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათს მონას მ ი მ ბ ა შ ს ო თ ა რ ს.

ზ ა ქ ა რ ი ა ს ა ლ თ ხ უ ც ე ს ი [110] რომ ამ ჩემს კაცს ა ვ ე ტ ი ქ ა ს მედავება და თქვენთანაც გვილაპარაკნია, მე რომ იმ რივს სამსახურში ვარ განწესებული, რომ აქ დაყოვნება არ შემიძლია, ზევით მივალ. დიდათ გევედრებით, რომ მანამ აქ გახლავარ, ჩვენი საქმე გარდასწყვიტოთ, რომ ჩემს აქ არყოფნაში თავი აღარ გაწყინოსთ. ღმერთი გაგიმარჯვებს ივნისის **ივ**, ქორონიკონს **უიდ**. ეს კაციც ამ თვის მორიგეა.

თავში

ჩვენი ბძანება არის. ეს კაცი თუ კურთხეულს რ ე ვ ა ზ ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ს მოუყვანია და ამდენს ხანს იმასთან ყოფილა და ჰირნახული დაუცს, ზ ა ქ ა რ ი ა ს საქმე არ ექნება ამასთან. და თუ ამას არ მოუყვანია, თავისთავად მოსულა და ამილახვარს ნაპარეკად ჰყოლია, ამისი საბუთი ზაქარიამ მოიტანოს და ამისი სამართალი მიეცემა. მთიბათვის **ივ**, ქორონიკონს **უიდ**.

რიგი და მართებულიც ასე არის და ბუნებითი რჯულიც ასე გ[ვ]ამცნებს, რომ აყრილი კაცი და დაკარგული დ ა ღ ი ს ტ ნ ი დ ა მ, შ უ შ ი დ ა მ, ე რ ე ვ ნ ი დ ა მ, ა ხ ა ლ ც ი ხ ი ხ ი დ ა მ, ჯ ა ვ ა ხ ე თ ი დ ა მ თუ ი მ ე რ ე თ ი დ ა მ ვინც მოიყვანს, იმისი იქნება და ჩვენი სამართალი ასეც მოქმედობს და ამაშიც ვართ.

361. არზა იოანე თაქთაქისშვილისა ყმის თაობაზე
ეკატერინე II-ის ოქმით

1770 წ. 18 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14373. დედანი. ქაღალდი. 21×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ი ო ა ნ ე თ ა ქ თ ა ქ ი ს შ ვ ი ლ ს ა.

იმდონი ღმერთმან გამარჯვება მოგცესთ, რამდონიც უცხო ქვეყნის კაცი საქართველოს თავად-აზნაურშვილს მოსვლოდეს, მაგრამ არავის წაერთმევინოს.

ერთი კაცი მომივიდა იმერეთიდამ, ჭეშმარიტად ვითარცა შვილი შევიტკბე და მყუანდა. და რაც იმან მე ყოფები მიყო, ღმრთისა და კაცის შემაწუხებელის ცოდვით ოჯახი ამივსო და ქვეყანაში მომაყივნა. რომელი ერთი მოგახსენო, დაუთმე, წამომივიდა და ზ ა ქ ა რ ი ა სალთხუცესს ყმათ მოუვიდა.

დიდად გევედრებით ჯელმწიფის შვილების სადღეგრძელოდ, რაც ამ ბიჭის თაობაზედ წიგნები მაქვს, მდივანს უბძანოთ, წაგიკითხოსთ და სამართალი მაღირსოდ.

ამაზედ ვწუხვარ დიდათ, რომ ეს ამდონი ჰირნახული მაქვს და შერთმევა. კუალად ამას გევედრები, რომ ეს წიგნები წააკითხვინოთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. ივნის[ს] **იშ**, ქორონიკონს **უიდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ამილახორ-[მ]დივანბეგის განაჩენი, მილახვარბაშის ა ბ ა შ ი ძ ი ს ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს მოწმობის წიგნი, ა ბ ა შ ი ძ ი ს მაშუკა შვილის ლ ე ვ ა ნ ი ს მოწმობის წიგნი, ე ვ ე რ დ წ ი თ ლ ი ს გ ი ვ ი ს მოწმობის წიგნი და კიდევ სხვა მოწმობაების წიგნი გაგვასინჯ[ა] იოანე თაქთაქისშვილმა. ამ განაჩენ[ის]ა და მოწმობაების ძალით ბ ა ბ ლ ი ძ ე მ ა მ უ კ ე ლ ა ამისი ჰიძაშვილი ი ვ ა ნ ე და მ ა შ უ კ ა თაქთაქისშვილის იოანეს ყმანი არიან. ამის მეტს [სხ]ვას ჯელი არავისა აქვს.

და თუ ვინმე ამ განაჩენისა და მოწმე[ე]ბის გამტყუნებას შეიძლებს, ჩვენთან ილაპარაკოს და გაამტყუნოს. ბარაქალა იმ კაცს, რომელიც ამ განაჩენსა და მოწმობაებს დაარღვევს. და თუ ილაპარაკებს ვინმე და ვერ გა[ა]მტყუნებს, დიდი ნაკლებობა იქნება.

ა მ ი ლ ა ხ ო რ-მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ო ი ე ს ე! ეს ბაბლიძეები იოანე თაქთაქისშვილს მოაბარე, იოანესია. მთიბათვის **ით**, ქორონიკონს **უიდ**.

ქ. ზ ა ქ ა რ ი ა სალთხუცესო! შენ ხომ ყმაწვილი ბძანდები*, არა იცი რა. თუ შენი აზნაურშვილები წამოდგებიან და თავეთს მოადობ[ა]ს გაამართლებენ, მოსამართლე გაუგონებს და სამართალს მისცემს. ამ ბაბლიძეების საქმეზედ მსაჯულ[თ] განაჩენი დაეწერათ და აღარ დაებეჭდათ, კი.

ბეჭედი: ჭრის მიცემს, დავით მიქობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ირეკლე.

362. არზა ზურაბ ქვარიანისა გამოსაღების თაობაზე
გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1770 წ. 20 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3015. დედანი. ქაღალდი. 21×9,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ძის ჰირი მოსცეს მათს მიწას ქ ვ ა რ ი ა ნ ს ზ ურ ა ბ ს ა.


* „ყმაწვილი ბძანდები“, ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ.

ამას მოვახსენებთ: წვიმეტიძე ფარსადან ურუმობას მამული მამცა; და ტინიხიდს რომ ბძანდებოდით შარშან, მოგახსენეთ და ოქმი მიბოძეთ საყვარელიძე შოშიაზე; ორმოცი კოდი პური უნდა მოეცა, ერთის თუმნის ძროხა უნდა მოეცა; ხუთი მინალთუნი კი მამცა, სხვა ისევ ზედავე დარჩა. თქვენგან გასამართლებულს ჩემს ახსა ვთხოვდი; თხოვნა რომ დაუწყე, მაძდგა, თავპირი დამამტვრია და გამიშვა. გუშინ, წუხელის [თ]ხოვნა დაუწყე და ასე უწყალოთ გამლახა.

ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართალი მაღირსეთ. ივნისის **კე**, ქორონიკონს **უიდ**.

თავში

ქ. ბატონისშვილი გიორგი გიბძანებთ შოშია საყვარელიძევ! მერმე ამ არზის პატრონისათვის ოქმი მიგვიცია და იასაულად შენა ხარ. ამ კაცს [ეს] გაურიგე ამ ჩვენს აქ ყოფნაში, თორემ ეს იცოდე, შენ წაგართმევთ. მთიბათვის **კვ**, ქორონიკონს **უიდ**.



363. არზა დიდებაანთა უმოგის თაოგაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1776 წ. 17 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2720. დედანი. 26×15 სმ. ქაღალდი. მხედრული. ალაგ-ალაგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ძის ლეონის ჭირი მათს ფერხთა მტვერთ სულ ხელიერთპირ დიდებაანთ მოსცეს.

მერმე ამას გევედრებით ჩვენო მოწყალევ: მთა და ბარი, მოხელენი და აზნაურნი სულ აქ გახლავან. მოკითხული ჰქენით, თუ ჩვენნი მამა-პაპანი მაგათი ყმანი ყოფილიყვნენ. მკვიდრნი თქვენი სახასონი გახლავართ, თორემ ყველამ იციან, შენნი ყმანი ვართ, ვისაც გეპრიანებოდეს, იმათ მიგვეც. თოთხმეტნი გახლავართ. ოუნდა სხვას სჯულს მიგვეც, მაგრამ ჩვენ დასაკარგავი კაცნი არ გახლავართ.

თუ ჩვენი თავი ბატონმა უბოძა, ბატონის წიგნი ექნება; თუ ნასყიდნი ვართ, ნასყიდობის წიგნი ექნება და ორნივ მოგვართოსთ. თუ

არა ჩვენ მაგისი ყმანი არა ვყოფილვართ, თქვენი ყმანი ვართ ძველადვე, თორემ ყოველნი აქაურნი ძველნი კაცნი მოგახსენებენ. თუ არ დაგვკარგავ[თ] ხომ კარგი; თუ არადა, მაგისი ყმობა არ შეგვიძლიანთ და არც ვეყმობით. და ნება თქვენის მოწყალებისა აღსრულდეს. თიბათვის **კვ**, ქორონიკონს **უიდ**.

თავში

ქ. ბატონისშვილი ლეონ გიბძანებთ ამ არზის მომრთმევნო! მერე ამ თქვენი საჩივრის საქმეზე ადამ ყარაგოზისშვილისათვის ენკენისთვის გასვლამდის ვადა მიგვიცია. თუ მანამდის ბატონის მამის ჩვენის წიგნი მოიტანა, რომ თქვენ ადამისათვის უბოძებიხართ, ჩვენ იმ წიგნის წინააღმდეგობა არ შეგვიძლია და იმისნი უნდა იყვნეთ.

და თუ წიგნი ვერ მოიტანა, თქვენთან იმას საქმე არ ექნება რა და ჩვენი სახასონი იქმნებით წიგნის მოტანით. მანამ თქვენს საქმეს ადამ გაარჩევდეს, მანამ ისევ ადამის ხელთ უნდა იყვნეთ. თიბათვის **კზ**, ქორონიკონს **უიდ**.

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

verso

ქ. ჩვენო ღვთის წყალობავ შვილო ბატონო ლეონ! მერე თუ სამართალი ამათ ყარაგოზიშვილს მისცემდეს და შენი ნებაც იყოს, ხომ მიეც. და თუ არც სამართალი მისცემდეს და არც შენი ნება იყოს, ნუ მისცემ. შენი სამართლის ჩვენც ყაბული გვაქვს. დაიწერა ივლისის **ა**, ქორონიკონს **უიდ**.

თ[უ] ჩვენი წიგნი ქონდეს თუ [რი]გიანად და სა[მა]რთლიანად მიგვეცეს, იმაზე [დ]ააყენე, და თუ ჩვენთვის ღალატად გაეშინჯ[ე]ბინოს და მოტყუებით აეღოს ჩვენგან წიგნი, იმის [და]ხსნის ნება მოგვიცია. ის წ[ი]გნი მოშალე [და] სამართლიანათ შენ გაარიგე.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

364. არზა ბინია ურიასი მამულის თაოგაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

1776 წ. 21 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1993. დედანი. ქაღალდი. 20×9,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის იულონის და ვახტანგის ჭირი მოსცეს სურამელს მათს ყმას ჰურია ბინიას.

სურამელს შუღარაშვილს გოდერძის თქვენთვის მოუხსენებია, რომ ბინიას ჩემი მამული უჭირავსო. ტყუილად მოუხსენებია. აწ მეც გხლებივარ. მოიკითხეთ თუ მაგის სასახლე მიჭირავს და ან მაგას ჩემთან ჯელი ჰქონდეს, დიდათა ვტყუი. ნასყიდობის სიგელი მქონდა, დამეკარგა, მაგრამ მოწამე ბევრი მყავს, რომ ნასყიდი მაქვს მამული.

ტყვილად მაცოდვილებს, სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებსთ. ივნისის **ლ,** ქორონიკონს **უჲდ.**

კიდეზე

ქ. სურამის მოურაო იესე მურვანიშვილო, სურამის მამასახლისო და სურამელნო! ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივა, ამის აღიღათი ღმრთის წინაშე რაც, იცოდეთ წერილით მოგვახსენეთ. ივლისის **ბ,** ქორონიკონს **უჲდ.**

ბეჭედი: ქ. ღთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

365. არზა პაატა ქარუმიძისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 25 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 2183. პირი. ქაღალდი. მხედრული. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს, რადგან იგი არზაზე ადრეა დაწერილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონას ქარუმიძე პა[ა]ტას.

ამას მოვახსენებ ჩვენს ჯელმწიფეს, რომ თქვენის დოვლათით და ბრძანებით შევეჭიდე და მთავარანგელოზს ცეცხლი ავანთე. ზოგი ჩემი ყმა, ზოგი სა[ა]მილახვარო, ზოგი კათალიკოზის აზნაურშვილების ყმა მივასხი მოტყუებით და დავასახლე, შენობა გამეჩინა და კიდეცა გავაჩინე. თქვენც ოქმი მიბოძეთ, რომ ხუთსა და ექვს წელიწადს ამათ არა ეთხოებოდესთ რა. თქვენს მზეს ვფიცამ, რომ არც ერთს ჩვენს სახლისკაცს შიგ არ გაუ[ვ]ლია. რაც ჩვენ გვებადა, რუს გამოღებაში და ყარაულში გაგვივიდა. და ახლაც კიდევ ჩვენს ყოფაცხოვრებას ყარაულში ვაძლევთ. ჩემი განაყოფები ჩემის ინადით და მტერობით მოსულან და რაც წილში აქვთ, ამის ღალას სთხოვენ და [ა]შფოთებენ.

ღმერთი გაგიმარჯვებს, მოწყალება იყოს, რომ როგორათაც სხვას ახალს მოშენეს სოფელს დამართოდეს, ჩვენც ის დაგვემართოს, რომ ეს სოფელი აღარ დაიცალოს და აღარც ეს კაცები არ დაიფანტნენ.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ერთი ოქმის წყალობა მიყავით, რომ იმათ არა შეგვაწუხონ რა და ღალის თხოვნიდამ ხელი აიღონ. მკათათვის **კე,** ქორონიკონს **უჲდ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის ქარუმიძებო! მერე ეს კაცნი ახალი დასახლებულნი არიან. წელს მათ ღალას ნუ სთხოვთ და სამემრისოთ ღვთით მშვიდობა იყოს, მაშინ რაც გერგოთ, სამართლიანათ გამა-

[ა]რთვით. აღიწერა ივლისის **კდ,** ქორონიკონს **უჲდ.**

366. არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 10 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 10148. დედანი. ქაღალდი. 20×10,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ფალავანდიშვილს ერეკლეს.

ამას წინათ ჩემი აზნაურშვილი შაბელიქისშვილი შემოგხვეწნიყოთ — ბატონისშვილს ელისაბედს მზითევში გამატანეო. თქვენ ჩემთვის დავით მორდალი და გლახა ნათისშვილი გებოძებინათ: თუ შენი ნებაც არის, შაბელიქისშვილს მზითევში გავატანთო. მე მოგახსენეთ: ჩემი თავიც თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს და ჩემი აზნაურშვილისაცა მეთქი.

შაბელიქისშვილი ხომ მზითევში გაატანეთ. ასე გარდმოვიდა და აწყუერს ჭირის სანაცვლოთ გაგიხდათ და იმის შვილი კარბს საბატონისშვილოს მამულზედ დადგა.

ჩემო ჯელმწიფევ! რადგან ის ჩემი აზნაურშვილი საბატონისშვილოთ დაიდვა, რაც იმას კაცები ჰყავს, ისიც არის მებოძოს, ღმერთი გაგიმარჯვებს. აგვისტოს **კბ,** ქორონიკონს **უჲდ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ირაკლი! მერმე თუ რომ შენ აზნაურისშვილს და შენ ერთმანერთის თავი გინდათ, ისიც შენი იქნება და

იმის ყმა და მამული; სხვა მოცილე არავინა გყავს. და თუ იმ შ[ა]ბელიქისშვილთან ვერ მორიგდით, იმის ყმა და მამული შენია, როგორც ყადიმათ ყოფილა. სეკდემბერს **ი,** ქორონიკონს **უჲდ.**

თითვან ის შენი აზნაურისშვილი შაბელიქისშვილი, რათ უნდა გავიდეს შენის ყმობიდამ, შენი არის და შენთვის გვიბოძებია. თუ ვისმე სიტყვა ქონდეს, მოგვახსენოს. შაბელიქისშვილებო, თუ სიტყვა გქონ[დე]ს, მოგვახსენეთ.

ბეჭედი: ქნარს მისცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

367. არზა ადამ ყარაგოზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 17 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10396. დედანი. ქაღალდი. 21,6×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ყარაგოზისშვილს ადამს.

სანატრელის ბატონისშვილის ვახტანგისაგან სამი საკომლო მამული გვაქვს ნაბოძები. მანამ მამაჩემი ცოცხალი გახლდათ, იმ მამულის მცილე და მოდავე არავინა გვყუანდა.

მამა ჩემი რომ ჭირის სანაცვლო გაგიხდათ, არაგვის აზნაურშვილებმა ჩემზედ შური იძიეს. ჯერ ბატონისშვილს გიორგისთან დამაბეზღეს, ამას ამდონი მამული უჭირავსო, ბატონისშვილმა ნახა, რომ თავის ძმის ნაბოძები იყო, ამანაც მევე მიბოძა.

ახლა ბატონისშვილ ლეონთან მაბეზღებენ, უნდათ, რომ ბატონისშვილის ვახტანგის წყალობა მომიშალონ. საბრალო მამაჩემი იყო თქვენი მლოცველი და მე ვარ; და ერთი რამ დანაშაული არა მაქვს რა; რაც ჩემგან შეიძლება სამსახურსა ვცდილობ.

დიდათ გევედრებით: ან თქვენ და ან ბატონისშვილმა მტრის ენით არ შემიბეზღოთ და კურთხეულის ბატონისშვილის ვახტანგის მოწყალება არ მომიშალოთ. თქვენი რძალია მოწამე და ელიზბარ მოლარეთუხუცესი რომ ბატონისშვილის ნაბოძებია და ნება თქვენია. სეკდემბერს **თ,** ქორონიკონს **უჲდ.**

თქვენს რძალს და მოლარეთუხუცესს ღმერთი და თქვენი მზე აფიცეთ, თუ ტყუილი მომეხსენებინოს, დიდათა ვტყუი და გარდამახდევინეთ.

კიდეზე

ქ. მოლარეთხუცესო ელისბარ! ღმერთს გაფიცებთ, თუ ჩვენი შვილი ვახტანგ გიყვარდეს, ღმრთის წინაშე ჭეშმარიტებით მოგვახსენე, ეს მამული ჩვენმა შვილმა ვახტანგ უბოძა თუ არა. სეკდემბერს **იზ,** ქორონიკონს **უჲდ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

368. არზა აღასია მამასახლისისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 12 ოქტომბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 20. საბუთი № 86. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[**107 V**] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს შულავრის მამასახლის[ს] აღასიას.

ამას წინათ შულავრი რომ ხარაბათ იყო, მაგრამ მე ჩემს მამულს მუდამ გხლებივარ და იქაურობა არ დამიგდია, ახლა რომ შამშადილელნი იქ დგანან, თქვენი ბძანება არის: რომელსაც მამულს პატრონი ჰყავს, იმასთან ჯელი არა აქვსთ; [**108**] და რომელიც მამული უპატრონო ბეითალმალი არის, შამშადილელთ ის უნდა გაიყონ.

მე იქ არ გახლდი. ჩემს ქვითკირის წისქვილზე[1] შამშადილელს მჭედელს პაპას ქვები დაუწყვია, დაუბრუნებია, რომ ის წისქვილიც ჩემია, ბორბალი და ღარიცა, იმისი ქვების მეტი არა არი[ს] რა.

კიდევ ხუთი-ექვსი სხვა წისქვილები დაუბრუნებიათ. მე იმათთან რა ხელი მაქვს. ჩემ[ი]ს წის[ქვილის] წყალობა გვიყავით. თუ რამ აუშენებიათ, თავის ნაშენობა და ქვის ფასი გამომართოს და ჩემი წისქვილი დამანებოს. ჩემი სარჩო ის არის. ღვინობისთვის **დ,** [ქორონიკონს] **უჲდ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის მელიქო მხითარ! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ამას თავის საწისქვილო დაანებეთ. თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს, მოგვახსენოს. ღვინობისთვის **იბ,** ქორონიკონს **უჲდ.**

[1] წისქვილი.

369. არზა შიოშ საყვარელიძისა ყმოგის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 13 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5284. დედანი. ქაღალდი. 21,3×12,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს შ ი ო შ ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე ს. პაპა ჩემი მკუიდრი იმერელი ყოფილა; იმერეთიდამ გარდმოსულა, დიდ ც ი ც ი ს მისვლია, ყმა და მამული იმას უბოძებია. პაპაჩემი რომ თქუენის ჭირის სანაცვლო შექმნილა, მამაჩემს ციცის ყმა და მამული გაუშვია, ე ლ ი ზ ბ ა რ დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი ლ ს მისვლია, ყმა და მამული მიუცია. მერე ელიზბარს რომ თავის ძმა გაჰყრია მამაჩემიც წილში უგდიათ. მამაჩემს არ უყაბულნია, თავიანთ მოცემული ყმა და მამული იმათთუისვე დაუგდია, მარტო ცარიელი თავი გამოუტანია იმათგან.

ისევ იმერეთს გარდავედით, თხუთმეტი წელიწადი იმერეთში დაგვეყოვნა, იქიდამ გარდმოვედით და დ ი მ ი ტ რ ი ა მ ი ლ ა ხ ო რ ი ს შ ვ ი ლ ს მიუვედით; ვალები გვქონდა, დიმიტრიმ გარდაგვიხადა და ყმა და მამული მოგვცა და ვიყავით იმასთან.

როდეს დიმიტრი სამაროლად დაისაჯა და წახდა, მეც თქუენს ნეკის სისხლად დამდვეს. და ახლა ზ ა ა ლ დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი ლ ი და ელიზბარ მედა[ვ]ებიან: პაპის ჩვენის ნაახლები ხარ, ჩვენი ყმა ხარო.

ეს როგორც მომიხსენებია ჩვენი საქმე ასეა. დავითისშვილის მემკუიდრე ყმაც რომ ვიყო, აზნაურშვილი ვარ, იმის ყმა და მამული გამიშვია, ჩემთან რაღა ჯელი აქუს. ტყუილად მაცოდვილებს; ოცდათხუთმეტი წელიწადი დიმიტრი ამილახორისშვილს ვახლდი, სად იყო აქამდინ, ტყუის, თქუენი ყმა გახლავარ, სამართალი მაღირსედ, ღმერთი გაგიმარჯვებს. ოკდომბერს **იგ,** ქორონიკონს **უჲდ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე შენ ჩვენი ყმა ხარ და ჩვენს ყმათ უნდა იყო. შენთან თავადიშვილს ჯელი არავისა აქვს, არც დავითიშვილს და არც სხვას და არცავის მიგცემთ. ვისაც სიტყვა ჰქონდეს ჩვენ გველაპარაკოს. დაიწერა ოკდომბერს ... ქორონიკონს **უჲდ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

370. არზა გივი ყანდუაშვილისა წისქვილის თაოვაზე მდივანბეგთა წერილთა და ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 14 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 789. დედანი. ქაღალდი. 30,9×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი ყ ა ნ დ უ ა ს შ ვ ი ლ ს ქცხინვალელს გ ი გ ს მოსცეს.

მერმე ამას გევედრებით და მოგახსენებთ, რომ ჩემი ნასყიდი წისქვილი ქცხილვანს თქვენის განაჩენის ბძანებით და ბატონის დედოფლის ბძანებით და უწმიდესის პატრიარხის დამტკიცებით და ბატონისშვილების დამტკიცებით და დიანბეგების სამართლით და განსჯით ჩემი ნასყიდი წისქვილი მე დამნებდა ჩემის ნასყიდის წიგნით და მოწმე[ე]ბით*.

ახლა მ ა ჩ ა ბ ე ლ ს ნუსხაში დაეწერა ქ ც ხ ი ლ ვ ა ნ ს ნახევარ წისქვილიო, ჩემი სახელი არ გამოეცხადებინა. მოვიდა, იასაული მოიყვანა და ჯელი ამიმართა. ნახევარი ისევ ამილახვარის კაცს უჭირავს და მეც ამილახვარის კაცისაგან მიყიდია. იმას ჩემთან საქმო არა აქვს რა.

ღმერთმან განაძლიეროს თქვენი ძე ლეონ, ახლაც იმას ჩამოვყევ. ნიადაგ სად ვიშოვო ამისთანა მგზავრი, რომ არ დავიკარგო. ღმერთი განგაძლიერებს ამ თქვენს წყალობა წიგნებს ნუ მომიშლით და ნუ წამართმევთ და ჩემი წიგნები მიმ[ი]რთმევია და ნახეთ. წყალობა მიყავ ჩემის მამულისა. ნება და ბძანება თქვენი აღსრულდეს. ოკდონბრის **ა,** ქორონიკონს **უჲდ.**

კიდეზე

ქ. უფალნო მსაჯულნო! ამ არზის პატრონს ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, როგორც იცოდეთ, ღმრთის წინაშე ამისი აღიღათი თქვენ გვაუწყეთ წერილით. ღვინობისთვის **იბ,** ქორონიკონს **უჲდ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

[მდივანბეგთა წერილი]

ქ. მათ სიმაღლეს ბედნიერს ხემწიფეს ამ არზის პატრონის აღიღათი ჩვენ მდივანბეგებისათვინ ებძანა.

---

* იხ. 1775 წ. 5 ივნისის განჩინება („ქართული სამართ. ძეგ. ტ. IV, № 524).

ამისი საქმე ასე იყო: მონოზანი და ეს ყანდუაშვილი გივი ნახევარ წისქვილზე ლაპარაკობდნენ. ყანდუაშვილმა სიგელი, მოწმე[ე]ბი სამართალში გა[ა]ტარა. იმ სიგლისა და მოწმე[ე]ბის ძალით ის წისქვილი გივს დარჩა, არავის საქმე არა ჰქონდა. ორი განაჩენიც უჭირავს — თქვენგან და ბატონი პატრიაქისაგან[1]; და ბატონი დედოფლისაგან და ბატონი შვილებისაგან დამტკიცებული.

თუ თქვენი ნება იქნება, განაჩენები მი[ი]რთვით და გასინჯეთ, ეს გადაწყვეტილი არის და ნება მათი სიმაღლისა [ა]რის. ღვინობისთვის **იდ,** ქორონიკონს **უჲდ.**

ამაზე იასე მაჩაბელმაც ილაპარაკა, მაგრამ ვერას შეუვიდა ამ გივს.

ოთხი ბეჭედი:

1. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა გულის მმბჭომი(?) ღმერთგანცაა(?), ი ო ა ნ ე, 1748
2. მონა ღთისა ამილახვრისშვილი მოურავი ი ე ს ე
3. ქ ა ი ხ ო ს რ ო
4. მონა ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, იას[ა]ულო დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ო ზ ა ა ლ! მერე ეს ასე არის, როგორც მდივანბეგებს მოუწერიათ, ამაზე დავა აღარ უნდა, ეს გარდაწყვეტილი არის. ეს ნახევარ საწისქვილო ამ ყანდუასშვილისა ყოფილა, ამას მოაბარე. ღვინობისთვის **იდ,** ქორონიკონს **უჲდ.**

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე.

371. არზა აბაზაძეებისა ყმის თაობაზე იულონ და ვახტანგ ბატონიშვილების ოქმებით

1776 წ. 2 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2867. დედანი. ქაღალდი. 20,5×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯ ე ლ მ წ ი ფ ი ს ძ ე თ ი უ ლ ო ნ ი ს და ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ჭირი მოსცეს მათ მონას ა ბ ა ზ ა ძ ე ს ო ლ ო მ ო ნ ს და დ ა ვ ი თ ს.

[1] პატრიექისაგან.

ორი კომლი ჩვენი სამკვიდრო კაცები ბ ო ლ ო ქ ა ძ ე ე ბ ი მორდალს დ ი ა ს ა მ ი ძ ე ს ი ე ს ე ს ა ჰყავს. ჯელმწიფე მამის თქვენის ოქმიცა გვაქუს და იასაულიცა. მაგრამ იასაულმა თავს არ შეიდო. გეევდრებით, ერთის ოქმისა და იასაულის წყალობა გეუყოთ, როგორც ჯელმწიფის ოქმში იყოს ბრძანებული, ისე აგვიყაროს და მოგვაბაროს. გიორგობის **ბ,** ქორონიკონს **უჲდ.**

თავში

ბატონიშვილის იულონისა და ვახტანგის კეთილად სახსენებელო მ ა ჩ ა ბ ე ლ ო გ ო გ ი ა ვ, მერმე არზით აბაზაძეებს რომ ასე მოუხსენებიათ, ამათ როგორც ბატონის მამის ჩვენის ოქმი ჰქონდესთ, ამათის კაცების საქმე იმ გვარად უნდა გაურიგო. ამაზე ბეჭითად უნდა მოიქცე, თუ ჩვენი ხათრი გაქვს. ნოენბერს **ბ,** ქორონიკონს **უჲდ.**

ორი ბეჭედი:

1. ღმრთისმშობლის სასოიანი ი უ ლ ო ნ დავითიანი.
2. ლომად იუდას ბაკეთად ვ ა ხ ტ ა ნ გ ირაკლის ნაკვეთად.

372. არზა ეფთვიმი ბერისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1776 წ. 30 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2425. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ჭირი მოსცეს მათი უმაღლესობის მონას ცოდვილს ბერს ე ვ თ ი მ ი ს.

მერე ამას მოვახსენებთ მრავალ მოწყალეს ჯემწიფეს. თქვენი მოწყალება მამული ებოძა მონასტერსა, პ ა პ ა მ უ შ რ ი ბ ი ს ა გ ა ნ მონასყიდი მამული. მაგრამ მოწყალეო, რომელიც ვინმე დავაყენეთ, ქ ვ ლ ი ვ ი ძ ე მ არ მოასვენა და არცავინ დააყენა, არც იმის მახლობელს ტყეში ვისმე უშვებს, რომ ან წნელი მოსჭრან ან ჭიგო მოსჭრან; და არცა საურმეს გზას ანებებს.

და მერმე, შენი ჭირიმე, თქვენი წყალობა მარანი რომ ებოძა მონასტერსა, არც იმის გზას ანებებს, რომ ვინც დავაყენეთ შევიდეს და გამოვიდეს. აქამდინ ვითმევთ, რომ მშვიდობით მომკდარიყვნენ ქვლივიძე და ჩვენი კაცი, რადგან შფოთი აქვთ ნიადაგა, და ჩვენს კაცს არ აყენებს, ამისთვის მოგახსენეთ, მრავალ მოწყალეო.

ამას ვევედრებით თქვენს მრავალ მოწყალეს ჯემწიფობასა, როგორც მამული ებოძა თქვენი მოწყალება მონასტერსა, ეგრევე მა-

მულის გზაცა და სხვა იმისი გარემოებიც ებოძოს სამართლიანის გზითა. გიორგობისთვეს **კთ,** ქორონიკონს **უიდ.**

თაეში

ქ. ჩვენი ბძანება არის საგარეჯოს მოურაო ჯ ა მ ა ს პ! მერე ჩვენგან შეწირულს ეკლესიის მამულზე, რომელიც კაცი მამა წინამძღვარა დაუყენებია, ქვლივიძე არ ასვენებს თურმე. თუ მაგ ქვლივიძეს სიტყვა აქვს რამე, რატომ ჩვენთან არ მოვა და არ მოგვახსენებს. თუ არა, თავისთავად რათ აწუხებს. ახლა მაგ ქვლივიძეს [თამბა] უყავ, მაგ კაცს და[ე]ხსნას, ნურაზე გარჯის, თვარე ეგ კაცის სიკვდილია მსგავსათ მოვიკითხავ იცოდეს. აღიწერა ნოემბერს **ლ,** ქორონიკონს **უიდ.** ჰალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

თუ სულ ქვლივიძისა არის, ის შეგვატყობინოს; თუ არადა, ტყეში წინამძღვრის კაციც უნდა შეუშოს და გზა მისცეს ამასაც. თუ ჭეშმარიტი სიტყვა არა ქონდეს რა ქვლივიძეს, ეს კიდემ აჩივლა, იცოდეს დიდად ავად მოვეპყრობით და ჯარიმასაც წავართმევთ. ეცადე გზა გაურიგო სამართლიანის საქმით.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

373. არზა ადამ ყარაგოზიშვილისა მამულის თაობაზე ლეონ გატონიშვილის ოქმით

1776 წ. 1 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5264. დედანი. ქაღალდი. 28,3×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის მ ე ფ ი ს ძის ლ ე ო ნ ი ს ჭირი მოსცეს მათს მონას ა დ ა მ ყ ა რ ა გ ო ზ ი შ ვ ი ლ ს.

ჩვენს მოწყალეს ქელმწიფეს ამას მოვახსენებთ: რაც თქვენი მოწყალება არა მჭირს, იმას გარდა ჩემი სარჩო არა არის რა. მამასა და პაპასაც თქვენი სახასო სჭერიათ და მეც თქვენი წყალობა ისი მაქუს. თქვენი სახასო ბეითალმანი ორი საკომლო უ უ ა ვ ი ლ შ ი მიჭირავს — ერთ[ი] ს ა რ ე მ ა უ ლ ს ა და მეორე გ ო ჭ ი შ ვ ი ლ ს, ერთი დ უ შ ე თ ს ა ს უ ლ ი კ ა შ ვ ი ლ ს ა და ერთი ბ ა ზ ა ლ ე თ ს ა და ამითა ვრჩები.

მამის თქვენის წყალობაც მჭირდა და კურთხეულის თქვენის ძმისაცა. ახლა ბეითალმად დაწერეს და მოგახსენეს. თუ ესენი გამომერთვა, მოგეხსენებათ, რომ ჩემი რჩომა სხვით არათი იქნება.

ამას გევედრებით ჩემო მოწყალევ ქელმწიფევ, რომ ეს არ მოეშალოს, რომ მეც დავრჩე და თქვენც გმსახურო. ნოენბერს **ბ,** ქორონიკონს **უიდ.**

თაეში

ქ. ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ლ ე ო ნ გიბრძანებ ამ არზის პატრონო! ვერმე თუ ბატონისა და ან კურთხეულის ჩვენის ძმას წიგნი გაქვს, ის წიგნი ჩვენ უნდა გვაჩვენო, არც ჩვენგან მოგეშლება, ჩვენ, ვისაც ან ბატონის და ან ჩვენის ძმის წყალობა სჭირვებია, იმისი ბეითალმნად დაწერა არ გვიბძანებია და არც შენ მოგეშლება. მაგრამ ვისიც წიგნი გაქვს, ჩვენ უნდა ვნახოთ. ქრისტეშობისთვის **ა,** ქორონიკონს **უიდ.**

და ან უწინდელის ერისთავების ვისგანმე წიგნი გქონდეს, გვაჩვენე, არც ის მოგეშლება.

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლ ე ო ნ სახელად მძესა.

374. არზა თეიმურაზ ჩხეიძისა საბართლის მიცემაზე იულონ და ვახტანგ ბატონიშვილების ოქმით

1776 წ. 20 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1210. დედანი. ქაღალდი. 16,6×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ძის ი უ ლ ო ნ ი ს და ვ ა ხ ტ ა [ნ] გ ი ს ჭირი მოსცეს თ ე ი მ უ რ ა ს ჩ ხ ე ი ძ ე ს.

მერ[ე] ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე მ ძ ღ ლ უ ა მ კაცი გამილახა, იარაღიც აუყრია, თოფიც წაურთმევია.

ამის სამართა[ლ]ს ვითხო[ვ]. ღმერთი[1] გაგიმარჯვებსთ, ჩემი გალახვა თქვენ მოიკითხეთ, იმისთანა[2] კაცისაგან არ გავილახები. ნება თქვენია.

აღიწერა ქრისტეშობის **იწ,** ქორონიკონს **უიდ.**

---

[1] ღთნ. [2] იმისთანამ.

თავში

ქ. ბატონიშვილი იულონ დავახტანგ გიბძანებთ მურავანიშვილო ლუარსამ. ამ არზით ჩხეიძე რომ ასე ჩივის, ვაღლუა ორჯონიკიძეს თუ სიტყვა არა ჰქონდეს რა, ახლავ გამოურთვი და მოეც. და თუ სიტყვა რამ ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენონ. დეკემბერს კ, ქორონიკონს უიდ.

ორი ბეჭედი:

1. ქ. ლთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.
2. ლომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

375. არზა შოშია საყვარელიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 20 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1057. დედანი. ქაღალდი. 20,5×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს შოშია საყვარელიძეს.

დიმიტრი ამილახორისშვილისაგან ტბეთს ორი საკომლო მამული მაქვს მოცემული. დღეს აქამდინ იმ მამულების მცილე არავინა მყოლია. ასე არა მაქვს ის მამულები ნაშოვნი რომ დანახარჯიც არა მქონდეს.

ახლა ზაალ ქარუმიძემ წამართო ჩემი ნასყიდი არისო. ამ წყალობას ვითხოვთ დიმიტრი ამილახორისშვილს ღმერთი და თავის სული აფიცოთ, იმ მამულის ამბავს ჭეშმარიტებით ის მოგახსენებსთ და მერე ნება თქვენია.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ზაალ ქარუმიძე[1] მერე ამ არზით შოშია საყვარელიძე ასე რომ გიჩივის, თუ სიტყვა არა გაქვს რა, ეგ მამული დაანებე. და თუ სიტყვა გაქვს რამე, ჩვენს სამართალში მოჰყ[ე]ვ. აღიწერა დეკემბერს კ, ქორონიკონს უიდ.

საყვარელიძევ შოშიავ, თუ ეს ტყუილი მოგიხსენებია, სხვასაც წაგართმევთ, ჰალბათ, ჰალბათ. დეკემბერს კ, ქორონიკონს უიდ.

ბეჭედი: ჯნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე*.

1 ის] იმ.

* ბეჭედი დასმულია ორჯერ.

376. არზა გრიგოლ სალთხუცესისა უმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 30 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1257. დედანი. ქაღალდი. 42,5×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია მძიმე.

ქ. ღმერთმან საქართველოს მეფის ჭირი მათს ბაწდას სალთხუცესს გრიგოლს.

ამას მოვახსენებ ბედნიერს კელმწიფეს: კორკოტი რომ ბიჭს მედა[ვ]ებოდა ჩემის ბიძაშვილის წიგნი წამოეყენებინა და იმით მიეცათ დივანბეგებს, მე აქ არ გახლდი. მოგეხსენებათ, ის წიგნი ორმოცდაოთხის წლის დაწერილი იყო.

ბოჭორმიდამ რომ მემკვიდრეობით გამოვიყუანე, სხუას რომელს ქართველს კაცს მიეცემა რომ კორკოტს მისცემოდა. საგარეჯოელის ცხრას მუხტაბარის კაცის მოწმობაც ხომ მოგაროუით, რომ იმათ წერილით მოგახსენესთ, ურუმობას ჩემი ყმა ყოფილა და ჩემთუის უმსახურნია.

ამას წინათ ვილაბარაკეთ მე და კორკოტმა თქვენთან. მე თქვენის ბძანებით და ოქმით მაშინვე ეშიკაღასბაშს მივაბარე და წელიწადნახევარი ჰყუანდა. და გუშინდამ რომ კიდევ ვილაპარაკეთ მე და კორკოტმა თქვენ იმას უბძანეთ: ამან რომ მუხტაბარი მოწმე[ე]ბი წამოაყენა, შენც იმისთანა მუხტაბარი მოწმე[ე]ბი უნდა წამოაყენო.

ჩემო ჯემწიფევ, მე თქვენი ბძანების მორჩილი კაცი გახლავარ. მე იმისთვის არც კაცი მიმიგზავნია და არც მითხოვნია; ღმერთსა და თქვენს ჭეშმარიტს სამართალს ველოდი. კორკოტმა ის ბიჭი ძალიან გალახა, მკუდარი ბიჭი კაცს აჰკიდა და შინ მომიგდო.

თუ თავის სვინდისი ამხილებდა, რომ ჩემი იყო და უსამართლობით ეჭირა, რატომ ისე არ მიბოძა, მოკლა და მკუდარი კაცი აკიდებული შინ შემომიგდო. და თუ ჩემი არ იყო, იმისი იყო, მკუდარი კაცი მე რათ შემომიგდო, ყმა არ ვიყავ იმისი და სახელო.

ამას წინათ რომ მაგას უბოძეთ, მე ხომ ვიცოდი ჩემი იყო, მაგრამ რადგან ბძანეთ მიეცო, მაშინვე მივეცი და ამდონი ხანი იმსახურა: ჯერ ეს ბიჭი ჩემთუის ხომ არ გებოძებინათ, მოწმე[ე]ბი სთხოეთ, მოწმე[ე]ბის თხოვნა ითაკილა, კაცი მომიკლა და მკუდარი შინ მომიგდო, აქ გაშინჯეთ სა[მა]რთლის წინააღმდეგობა.

ჰეშმარიტად ეს საწყალობელი ბიჭი მეტად მეწყალვის, რომ ამ რიგად გალახული და მოკლულია. თუ მცოდნიყო ასე მომიკლევდა, აღარა ვთხოვდი; და ნება თქვენია. დეკენბერს **იზ,** ქორონიკონს **უჲდ.**

თავში

ბატონო სახლთხუცესო გრიგოლ! ამ არზით რომ ასე გიჩივლია, დიაღ, სამართალში ილაპარაკე და საწართალიც მოგეცემა. დეკემბერს **ლ,** ქორონიკონს **უჲდ.**

მაგრამ თუ არ გაულახავს და ან ერთი-ორი კელი შემოუკრავს, ის კი არა იქნება.

ბეჭედი: ქნარს მისცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

377. არზა გრიგოლ სახლთხუცესისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 24 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3283. დედანი. ქაღალდი. 20,5×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან საქართველოს მეფის ჰირი მოსცეს სალთხუცესს გრიგოლს.

ერთი წელიწადი და სამი თვე არის რომ ქვეიდამ გიახელ თქვენს კარზედ. ჯერ კორკოტმა მსახური დამიჭირა, ვჩივი და თავს გაწყენ. თქვენს შვილებზედ ოქმი მებოძა, რომ იმათ სამართალი ებძანათ; გიორგიმ კი არ ინება; ლევანს ვაწყინე თავი და ასე მიბძანა: კორკოტს შეუთვალე, თუ სიტყვა გაქვს, ელაპარაკეო, და არ მოვიდა ჩემს სამართალში; და თუ კიდევ მიბძანებს, ძალათ მოვიყვან და გალაპარაკებთო. განჯას მივა და ამისთვის გაწყენ თავსა.

არას კახ კაცს ასე უსამართლო არ დამართვია და ნება თქვენია. თუ მე ვტყუი, ჩემს მოწმე[ე]ბს გადა[ა]ხდევინეთ. და თუ ეს მოწმობა შეიწყნარებოდეს, წყალობას ვითხოვ, ჩემი ბიჭი მებოძოს. ქრისტეშობის **ბ,** ქორონიკონს **უჲდ.**

თავში

ქ. ბატონო სახლთხუცესო გრიგოლ! ეს ბიჭი ხომ თქვენა გყავსთ,

თუ ამაზე აღარ ილაპარაკებთ, ხომ ის არის. და თუ ილაპარაკებთ, თქვენ იცით. აღიწერა იანვრის **კდ,** ქორონიკონს **უჲდ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

378. არზა ხუციშვილებისა ყმობის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 30 იანვარი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 52. საბუთი № 18. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[11] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მოსცეს წრომელს ქალაქის მოურავის ყმას ხუციშვილს გაბრიელს და ლეკვიას.

მამაჩემს თამაზა ერქვა, პეტრე ჩილინდრის მამას ბერი ერქვა, მესამე ძმა მღვდელი იყო და პავლე ერქო, რომ ეს სამნივე ძმანი ღვიძლი ძმანი იყვნენ. ის ჩემი მამა-ბიძანი წრომიდამ აიყარნენ და ჯავახეთს გარდავიდნენ, რამდენიმე ხანი დაჰყუეს.

და მერე ეს ჩემი მამა-ბიძანი სამათ გაიყარნენ. ჩემი ბიძაშვილი პეტრე ჩილინდარი აიყარა, წამოვიდა და ჩვენ იქავ დავრჩით. მერე ჩვენც ავიყარენით და ხეობაში ჩამოვედით, ამის იმედით, რომ ღვთის მადლით ჩვენს ქვეყანას მივალთო. ოთხი წელიწადი ხეობაში ვიყავით, რომ ჩვენის ქვეყნის მიდგომა აღარ გვეღირსა, ისევ ავიყარენით და ჯავახეთს გარდავედით.

მერე ღვთის ძალით რუსისაგან რომ ოსმალოთ ძლევა შევიტყევით და ბატონის ჩვენის სიკეთის ამბავი რომ გვესმოდა, მარადის ამის საგონებელში ვიყავით. ღმერთია მოწამე, რომ დრო დაგვეცა და ბატონს ჩვენს ვხლებოდით. ღმერთმან ჩამოგვხედა. აქიდამ ჯარი მოვიდა, ავიყარენით და ჯარს[1] გამოვყევით.

ჩემო ხელმწიფევ, ფიცით მოგახსენებთ, ღვთისაგანაც დასასჯელ ვიქმნებით და თქვენის რისხვითამც წამხდარვართ, თუ ჩვენ პეტრე ავალიშვილისათვის პირობა მიგვეცეს, მოდი, აგვყარეო.

ჩვენო მოწყალევ, გევედრებით ეს თქვენის წრფელის გულით [V] გაშინჯეთ პეტრე ავალიშვილს რომ ხეობა და სოფლები შენთა

[1] ჯარი.

ჰქონდა და ოთხი წელიწადი ვერ გავძელით იმის მამულში, ახლა ხომ აღარც სოფელი აქვს და აღარც ში[გ] ადგილი, რას დავხარბდებოდით რომ მაგას მოუვიდოდით.

ღმერთს ეფიცავთ და თქვენს თავსა, რომ ჩვე[ნ] მკვიდრი წრომელი და წრომის დეკანოზის მაცხოვრის ეკლესიის დეკანოზის შვილები ვართ. ჩვენი მამა-პაპანი დეკანოზები, მღვდელები და ბერებ ყოფილან და შიგ ეკლესიაში მარხიან. იანვრის **კზ,** ქორონიკონს **უჲე.**

თავში

[10 v] ჩვენი ბძანება არის დიმიტრი ეშიკაღაბაშო! მერეს ეს წრომის დეკანოზის შვილები ასე ჩივიან, ახლა ჩვენ ამის სამართალი ასე გაგვიჩენია: ესენი დღეს პეტრე ავალიშვილს რომ ჰყვანან, ოთხი კომბლნი არიან; ამათ ორი თავის განაყოფები — ჩილინგდრის შვილები თან მი[ი]ყოლიონ, ამ ექვსთ პეტრე ავალიშვილს შეჰფიცონ, რომ ესენი წრომის ეკლესიის ყმანიც ი[ყ]ვნენ და ახლაც ამათ პეტრე ავალიშვილთან აყრის პირობა ჰქონდესთ. თვითონ აყრილიყვნენ და ჯარს გამოჰყოლოდნენ.

თუ ასე დაიფიცონ, ამათთან პეტრე ავალიშვილს ხელი აღარ ექნება. და თუ ასე ვერ დაიფიცეს, პეტრე ავალიშვილს დარჩება.

ამაზე [11] იასაული განაწესე. ამ თებერვლის გასვლამდინ ეს უნდა გარდასწყდეს. აღიწერა იანვრის **ლ,** ქორონიკონს **უჲე.**



პეტრემ აღარ დააფიცა. და ეს წრომის დეკანოზის შვილები სარდალ ქალაქის მოურავს დავითს დარჩნენ. თებერვლის **ბ,** ქორონიკონს **უჲე.**



379. არზა პაატა ჭარუმიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 30 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 2206. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს ქ ა რ უ მ ი ძ ე პა[ა]ტას და ნ ი ნ ი ა ს.

ჩვენ და ჩვენი სახლისკაცნი რომ[1] მამულზედ ვლაპარაკობდით, ჩვენი ლაპარაკი და უმეტესად თქვენი თავის წყენა ეს იყო, რომ ჩვენი სიმართლე და სიმტყუნე უმაღლესობის წინ გამოცხადებულიყო. მამულიც თქვენის ჭირის სანაცლო იყოს და ჩვენი თავიცა.

ამ წყალობას ვითხოვთ, რომ ჩვენი სიმართლე და სიმტყუნე გამოვაცხადოთ. მოგეხსენებათ ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი ა მ ი რ ი ნ დ ო როგორი მიდღეენებული კაცია, რომ მართლის თქმისათვისაც იშიშვის, არამც თუ იმან ტყუილი თქვას.

იმას ერთი ოქმი უბოძეთ, ღმერთი და თქვენი შზე აფიცეთ. როგორც ჩვენი და ჩვენის სახლის კაცის[1] ანბავი იცოდეს, ჭეშმარიტებით უკლებლად მოგახსენოს. იანვრის **ლ,** ქორონიკონს **უჲე.**

კიღაზე

ბატონო ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ო ა მ ი რ ი ნ დ ო! ამ არზით ქარუმიძეები რომ ასე ჩივიან, ამათის მამულებისა რაც იცოდე, ამ ჩვენ მთავარანგელოზის მამულზედ რომ დაობდნენ, რაც იცოდე, ღვთის წინაშე წერილით მოგვახსენე. იანვრის **ლ,** ქორონიკონს **უჲე.**

თქვენ რომ ამ საქმეზედ გარიგებული იყავით, ახლა რაზე იმალებით; თქვენის აშლის მიზეზი რა იყო მოგვახსენეთ და პასუხს მაშინ მოგცემთ ქარუმიძებო.



ქ. ჩვენს ხემწიფეს ჩვენ, ამილახვრის შვილის ამირინდოსათვის, ქარუმიძე[ე]ბის ამბავი ებძანა. შენი ჭირიმე, ეგენი დიდის ხნის გაყრილი არიან. რა მე გამ[ო]ვ[ზ]რდილვარ, მე ამ ყ ა ზ ა მ ა შ ვ ი ლ ი ს დავა არავისგან გამიგონია — ქარუმიანთია; არა საუფროსოთ აელოს, ის გამიგონია რომ აელოთ. იმათ უკან მოგეხსენებათ რამდენი ამილახვარი გამოცვლილა. მათ სახლშიაც ბევრი უკეთესი ყოფილან. ერთმანეთში დაობა არ გამიგონია.

ამისი მახსოვარი მე ამირინდოს სი[ტ]ყვას ვამტკიცებ ბ ე ც ი ა ს ძმა ჩ ი კ ო ი ძ ე.



380. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა და ჭაიხოსრო გებურიშვილისა მამულის გაუოფის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 31 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4089. დედანი. ქაღალდი. 32×12 სმ. მხედრული. განცვეთილობის ნიშნად ალავ-ალავ ნახმარია წუპტილი ან მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს ლ უ ა რ ს ა ბ ო ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ს და ბ ე ბ ე რ ი ს შ ვ ი ლ ს ჭ ა ი ხ ო ს რ ო ს.

[1] ჭოჭ.

[1] +კაცის.

ამდონი ხანია დავით აფხაზის შვილი აქ გახლავსთ და თავს გაწყენსთ. ეგების ასე მოგხსენებოდესთ, ჩვენგან ძალა სჭირდესრა. მამულები მაგას უჭირავს და ეგეცე გვიჩივის. რაც მაგას მამულების სია მოურთმევია, მაგისი ყაბული გვაქვს, ორი მიწა დაუწერია, რომ იმ მიწებში სიტყვა მაქვს.

და რაც მაგას სიაში დავიწყებია და არ დაუწერია, ჩვენ მოგვიხსენებია: ქვემოთ რომ ვენახი აქვს და გვერდ მიწა უძევს; ქ. კიდევ ერთი ბაგა; ქ. ზაქარიას რომ ვენახი აქვს მაგისგან მისყიდული; ქ. გოშფარ მოურავის ნასახლარი; ქ. ქეევრი არც მარნიდამ გვიჭირავს და არც ბეითალმნიდამ.

რომელიც დაგვრჩა და არ ვიცოდით, თქვენგან ბრძანებულნი დარბაისელნი რომ მობძანდებიან, იქ მოვახსენებთ. ესენი სულ გასაყოფი გვაქვს ჩემო ქელმწიფევ. იანვრის **კგ,** ქორონიკონს **უიე.**

თავში

ქ. ბატონო იოვანე აბაშიძე ქეშიკჩიბაშო, ოტიავ მდივანბეგო და დავით გავაზის მოურაო! მერე ამათის მამულების გაყოფის ერთი სხვა სიაც არის, რომელიც გასაყოფი დარჩენოდესთ, გაუყავით; და რომელზედაც სალაპარაკო ჰქონდესთ, იმაზე სამართალი უყავით და გაასწორეთ. იანვრის **ლა,** ქორონიკონს **უიე.**

რომელიც რომ მანდ თქვენ ვერ გა[ა]რიგოთ, იმაზე აქ ჩვენს სამართალში ილაპარაკონ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

381. არზა ოთარ ელბაქიძისა კუდიანთა დასჯის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 13 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5283. დედანი. ქაღალდი. 33,2×10 სმ. ნახევრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ჭირი მოსცეს ბეღელაშვილის ყმას ელბაქიძე ოთარს.

ამას მოვახსენებთ: ჩემ[მ]ა მეზობლის ცოლმა კუდიანობით ხუთი ვაჟი დამიხოცა და მეც კელი შემახო ჩემ[მ]ა რძალმა და მეზობლის ცოლმა; და რომ გატყდა, რაც ილაპარაკა, თითოდ დავაწერინეთ. და ესეც გაშინჯეთ ხუთი წელიწადია იმადგან მკუდარი გახლივარ. და სანართალი მაღირსეთ ამაზედ კელმწიფევ. ფებერვლის **იბ,** ქორონიკონს **უიე.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის შოშიავ საყვარელიძევ! მერე ამის რძალიც, იმის გამტეხი გოგოც და მეზობლის ცოლს, რომელსაც კუდიანობას სწამობენ, ესენი ყველა აქ კარზე სამართალში ჩამოიყვანე. თებერვლის **იგ,** ქორონიკონს **უიე.**

ამათი ჩამოუყვანლობა არას გზით არ იქნება, უნდა რომ ახლავ ჩამოიყვანო.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

382. არზა ციციშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 14 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 191. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 24,5×15,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ქემწიფის ჭირი მოსცეს ციციშვილებს ნიკოლოზს და ამილღაბარს.

მერე ამას მოვახსენებთ: მოგეხსენებათ, რომ საბრალო მამაჩვენი ავის დროს მიზეზითა და სახლის კაცების შფოთით თავის ქვეყანაში ვერ შემოიცადა, კახეთს გიახლათ, თქვენს საფარველს შემოევედრა და თქვენის მოწყალებით ჩვენც იქ დაგვზარდა. და მამის ჩემის წილი ყმა და მამული ჩვენს სახლის კაცებს ეჭირა მძლავროპით. და ახლა თქვენის მოწყალებით ჩვენის წილის მამულის პატრონი გახლავართ და სწორ[ე] წილს არ გვიდებენ. ახლა პაატას სამღებროს უჭირავს, ყველას საერთო არის, ჩვენ წილს არ გვიდებს.

ამას გევედრებით, რომ ერთი ოქმი გვიბოძოთ: ან იქ გამირიგდეს და ან თქვენს სამართალში გვალაპარაკოთ, რომ ჩემის სამკვიდრებელისაგან არ გამოვიჴვნეთ. თქვენს მზესა ვფიცავთ, რომ ჩვენს ოჯახს ეს არ წართმეოდეს, თუ არ მძლავრებითა და ერთმანეთის შფოთითა რა მიეღოსთ. და ამაზე სამართალი გვაღირსეთ თქვენათ გასამა[რჯვებლათ], ბედნიერო ქემწიფევ.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ციცისშვილს პა[ა]ტას ასე უამბეთ. მერე ამ არზით შენი სახლისკაცი ნიკოლოზ და ამილღაბარ სამღებროს საქმეზე რომ გიჩივის, თუ ამაზე ერთი სამართალში შესაწყნარებელი სიტყვა არა გქონდეს რა, მანდავ ძმურებ სიყვარულით გაურიგდი, ნუღარ აჩივლებ. და თუ სიტყვა გქონდეს, ჩვენს სამართალში მოჰყევ. თებერვლის **იდ,** ქორონიკონს **უჲე.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

383. არზა ზაზა დეკანოზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 16 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2060. დედანი. ქაღალდი. 17,5×10,2 სმ მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ანაგურს დეკანოზის შვილს ზაზას. ანაგის მთაში წისქვილის ალაგები დაიჭირეს, ვარამაშვილმა ბეჟანმა ორი საწისქვილო დაიჭირა და ჩვენ ოთხმა კომლმა ერთი საწისქვილო დავიჭირეთ და ვარამაშვილი ჩვენც გვართმევს.

ამ წყალობას ვითხოვთ, რომ ვარამაშვილი ორ წისქვილს დასჯერდეს და ეს ერთი საწისქვილო ჩვენ დაგვანებოს ოთხს კომლს კაცსა. ღმერთი გაგიმარჯვებს. ფებერვლის **ივ,** ქორონიკონს **უჲე.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ვარამაშვილო ბეჟან. ეს ერთი საწისქვილო ამათ დაანებე. და თუ ერთი ჭეშმარიტი სიტყვა რამ გქონდეს, ჩვენ მოგვახსენე. ფებერვლის **ივ,** ქორონიკონს **უჲე.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

384. არზა იოანე პენტელაშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 10 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 23. საბუთი № 112. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[112 v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს იოანე პენტელაშვილსა. ვერაზედ ყველაზედ თავში ერთი

გაპარტახებული ბაღი იყო. ჭირიანობის წელიწადს ეს გაპარტახებული ბაღი თორმეტ თუმნად ვიყიდე და ნათლისმცემლის უდაბნოს შევსწირე და შეწირულობის სიგელიც მივართვი. ამ ბაღს მევე ვაკეთებ. რასაც თქვენს წყალობას თითო-ოროლს შაურსა ვშოობ, იმ ბაღზედ ვაგებ, ეგების მანამ ცოცხალი ვარ გავაკეთო; ამის მოსავალი უდაბნოში მიდის.

ახლა მოსულან, სამოც-ოთხმოც ვაზსა მთხოვენ იასაულები, დათხარე **[113]** და მოგვეცო. ღმერთია მოწამე, ქვემო ბაღებში ვაზს ზოგს ფასით ვყიდულობ, ზოგსა ვშოობ და იქ ვჰყრი. ერთის ოქმის წყალობა გვიყავით, რომ ამ ბაღს ვაზი არ ეთხოებოდეს ან სხვა რამ ბაღების ხარჯი. ღმერთი გაგიმარჯვებს მარტის **ი,** ქორონიკონს **უჲე.**

მონა თქვენი და ჩემი მაქსიმეც, ბეროას ბაღიც იმის მზითევია.

თავში

ჩვენი ბძანება არის. ვინცავინ ბაღების მოასილნი იყუნეთ, რადგან პენტელაშვილს თავისი ბაღი წმინდის უდაბნოსათვის შეუწირავს, ნურც მუშას და ვაზსა სთხოვთ და ნურც ღვინოსა და ვარდს.

მარტის **ი,** ქორონიკონს **უჲე.**

385. არზა შერმაზან ბასილიშვილისა ყმეგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 19 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3034. დედანი. ქაღალდი. 20,7×10,6. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ამილახორის ნაზირს ბასილისშვილს შერმაზანს.

ორი კვამლი კაცი მყავს ნადირაძე [და] ხატიასშვილი, კარბს იდგნენ. ახლა თებერვალში მე აქ მორიგეთ გახლდი, ბეჟან ამილახორის შვილი მისულა და იმ ჩემის კაცებისათვის სახლები თავს დაექცია და ავათაც მოპყრობოდა; და ჩემი ცოლშვილიც გამოეყარა.

ჩემი ერთი კაცი ნადირაძე აყრილა, კახეთს ჩასულა; და ერთი საერისთოს გასულა.

ერთის ოქმისა და იასაულის წყალობა გვიყავით, რომ ის ჩემი კაცნი საცა იყოს, ამიყაროს და მევე მომეცეს. რადგან იმ ქვეყანაში არ მაყენებენ ჩემის კაცით, თქუენს საბრძანებელში, საცა მერჩომილება, იქ დავდგები. აპრილის **ია**, ქორონიკონს **უჲე**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! მერე თუ ბეჟან ამილახორიშვილს უჩივი, სამართალში მოდი და ელაპარაკე; და რასაც შეუხვალ, სამართალი მოგეცემა. და კაცების აყრისა რომ მოგიხსენებია, ამისი სხვა ოქმი მოგეცემა, რომ შენი კაცები მოგცენ. აღიწერა აპრილის **ით**, ქორონიკონს **უჲე**.

ბეჟედი: ქნარს მისცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

386. არზა პაატა ციციშვილისა სამღებროს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 8 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13660. დედანი. ქაღალდი. 35×14,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწა-მტვერს ციციშვილს პაატას.

ბატონის პაპის თქვენისა და ბიძის თქვენის წყალობის წიგნი მჭონდა, მამის ჩემისათვის მძორეთის სამღებრო ებოძებინათ. მოგართვით წყალობის წიგნი, თქვენც წყალობა გვიყავით. ორი თქვენი წყალობის წიგნი მაქვს და ერთი წყალობის წიგნი ბატონმა დედოფალმან გვიბოძა.

ახლა რომ კახეთს ბძანდებოდით, კიკოლა ნოდარისშვილი იქ ჩამოსულიყო, არზა მოერთმია: საერთო არისო სამღებრო და წილს არ მიდებსო; ოქმი გებოძათ.

ქარელში რომ გა[ა]კეთეს, ორი წელიწადი ბატონს დედოფალს ეჭირა სამღებრო, თუ სიტყვა ქონდა ვისმე, რატომ არ მოგახსენესთ?

რაც ციციშვილი არის ყველაზე უკანასკნელი და უმცროსი კაცის შვილი არის, შფოთისაგან არ მოგვასვენა არც შინ და არც კარში. როცა სხვანი მელაპარაკნენ და სიტყვა ქონდეს ვისმე, ჩვენი უფროსი სახლისკაცი სალთხუცესი ზაქარია, დემეტრე, პაუნას შვილი გოგია და კიდევ სხვანი. ისიც მაშინ მელაპარაკოს ღვთის წინ და თქვენს წინ სამართალში.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთის ოქმის წყალობას ვითხოვთ: ამდენის შფოთისაგან მოგვასვენოს და დაგვეხსნას. ღმერთმან თქვენი რისხვა მამცეს და ღვთისა, თუ ის თქვენი წყალობა არა მჭონოდა, ჩვენი გაძლება და ცხოვრება ან ერთი წელიწადი იქნებოდა იმ ქვეყანაში.

აღიწერა აპრილის თხუთმეტს, ქორონიკონს **უჲე**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! მერე ეს სამღებრო ამ პაატას მამას ბატონის პაპის ჩვენისა და ბიძის ჩვენისაგან ნაბოძები ჰქონდა და ჩვენც ამ პაატასათვის გვიბოძებია. ჩვენი ოქმებიცა აქვს. ამაში არც ნიკოლოზ ნოდარიშვილს და არცა ვის სხვას ჯელი არა აქვს. ამ პაატასი არის. აღიწერა მაისის **ც**, ქორონიკონს **უიე**.

ბეჟედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

387. არზა აღამ ყარანგოზიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 12 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2559. დედანი. ქაღალდი. 20,2×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ადამს ყარანგოზიშვილსა. ბეჟან ერისთვის მკლელი დიდებაშვილის თქვენგან წყალობა დაგვემართა. ჯიმშერც თვლებს თხრიდა; იმისგანც მამაჩემმა იპატივა და იმანც დაუთმო; და ჩვენ გვახლდა და ჩვენი ერქვა; მამას ჩემსაც თქვენ გებოძა ყმათა და წყალობა დაგვემართა.

ქაიხოსრომ ლაპარაკი დაგვიწყო: თუ ბატონის წიგნი არ აიღე, არ დაგანებებთო, ბატონი მე მიწყენსო. და თქვენ ოქმი გვიბოძეთ და წყალობა დაგვემართა. იმ ოქმს არ დასჯერდა. მეორეთ კიდევ გვიბოძე და [ა]სე ბეჯითი იყო: და[ა]ნებთო, სამჯერ ეწერა და დამნებდა.

რადგან თქვენი წყალობა გვებოძა, ბეჯითი წიგნის მოწყალებას გვევედრები, სალაპარაკოთ არ გამიხდეს და დამიმტკიცოთ თქვენი

წყალობა. თუ თქვენი საწყენი არ იქნებოდეს, ერთი ობოლი გახლავარ და თქვენი წყალობით დავრჩე, ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის **დ**, ქორონიკონს **უჲე**.

თაყვა

ქ. ჩვენი ბძანება არის ადამ ყარანგოზისშვილო! შენ რომ ამ არზით მოგიხსენებია — თქვენგან მოცემული ოქმი გვაქვს, ჩვენც ასე გვახსომს. მაგრამ ის ჩვენი მოცემული ოქმი [მო]გვიტანე, გვიჩვენე და იმ ოქმს[1] გავშინჯავ, თუ იმ ოქმით ეს კაცი თქვენთვის გვიბოძებია, წყალობის წიგნსაც დაგიწერთ და გიბოძებთ. მაისის **იბ**, ქორონიკონს **უჲე**.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძელ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

388. არზა გიორგი ჯილავდარისა სარგოს თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1777 წ. 14 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2543. დედანი. ქაღალდი. 21,3×11 სმ. მარჯვენა კიდე მოხეულია. მხეღრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ხახვარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ძის ლეონის ჭირი მოსცეს ჯილავდარს გიორგის.

რა თქუენ რუსეთიდამ მობძანებულხართ, ჩემთუის ორის თუმნის მეტი არა გიბოძებიათ რა. მოგეხსენებათ, რაც თქ[ვენგან] არ მებოძება, სხუა რიგათ ერ[თის რისამე] საშოვარი არა მაქვს რა.

ორი თუმანი ვალი ამიღი[ა]...* მეტად მაწუხებენ და...* ამას წინათაც ხომ თა...* ბოძება მიბძანეთ.

დიდათ გეუედრებით, კარები...* [სხ]უა რიგის მოწყალებით ჭელი აღმი[პყროთ]. ღმერთი გაგიმარჯვებს. აპრილის **კ**, ქორონიკონს **უჲე**.

თაყვა

ქ. ამ არზის მონრთმევო! ამ რამთენსამე დღეს კიდეც მოიცადე და გიბოძებთ. მაისის **ე**, ქორონიკონს **უჲე**.

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

[1] ოქმის.

* აკლია ორი-სამი სიტყვა.

ქ. ანანურის იჯარადარო! ამ არზის მომრთმევს შვიდი მინალოუნი მოეც წლევანდელის ჩვენის იჯარის ანგარიშიდამ და რომ მოსცა, იმაზი მოაწერინე. მაისის **იდ**, ქორონიკონს **უჲე**. ლეონ

389. არზა დიმიტრი ბაზიერთხუცესისა მამულის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1777 წ. 2 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4059. დედანი. ქაღალდი. 21,9×10,5 სმ. მხეღრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაბმარია წერტილი. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს, რადგან იგი არზაზე აღრე ვერ დაიწერებოდა. შდრ. საბუთი № 394.

ქ. ღმერთმან ყოველად მოწყალის მეფის ძის ჭირი ბაზიართხუცესს დიმიტრის მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ ჩემის კელმწიფის შვილს: ახმეტას ციქსი საკომ[ლ]ოს მამულის წყალობა დავითისა და საჩისოსი* გვქონია თქვენგან გილდაშვილის ნაქონი ბეითალ-ისანი. ახლა, ის საკომ[ლ]ოები მეკარგება. სულ ამ გილდაშვილს უჭირავს.

ამ წყალობას ვითხოვ: თუ ამას უჭირავს დამანებოს; თუ არადა, დამირჩიოს ჩემი მამული. ჩემო კელმწიფევ! ორის თქვენის მოთაბარის კაცის წყალობა ბიყოფით, რომ ამ გილდაშვილს ჰკითხოს ამ მამულის საქმე, რას მოგახსენებს. ივნისს **ბ**, ქორონიკონს **უჲე**.

თაყვა

ქ. ბატონისშვილის ლეონის კეთილად სახსენებელო მდივანო დავით და მანუჩარ! მერე თქვენ ორნივ გილდაშვილს გიორგისთან უნდა მიხვიდეთ და ჰკითხეთ: ამ არზით დიმიტრი ბაზიერთუხ[უ]ცესი ასე რომ ჩივის მამულზე, ამისი პასუხი რაც ჰქონდეს, წერილით გვაცნობოს. მაისის **ლა**, ქორონიკონს **უჲე**.

ბეჭედი: ნრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

* „დავითისა და საჩინოსი“ ჩაწერილია სტრიქონთ შუა.

390. არზა დავით ნიქოზელისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 3 ივნისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2406. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს სამარადისოდ მლოცველს ნიქოზელ ეპისკოპოზს დავითს.

ამას მოვახსენებთ. ნიქოზს ეკლესიის მამულები აქა და სხვაგან ვახტანგ გორგასალს შეუწირავს, როგორათაც დიდის მეფისთეიმურაზის ბოძებული გუჯარი აცხადებს და სხვათ მეფეთა და დედოფალთაგან ბძანებული და დამტკიცებული არის, და წმიდათ პატრიარხთაგან უცილებლობისათვის წყევა-შეჩვენების წიგნი ძევს; მაგრამ ჟამთა ვითარებით სხვათა დაუპყრია ეკლესიის მამულები და გარდაიცვალა.

მერე ნეტარად ჯსენებულს მეფე ვახტანგს ამ მამულების მოკითხვა უბძანებია: და ვისაც ეულად ეჭიროს, გამოერთვასო; და თუ ვისმე ეყიდოს და სარწმუნო იყოს, მამული ეკლესიასვე დარჩეს და ფასი ვისაც აუღია, იმანვე მისცესო — ამ წესით ოქმი უბოძებია. მაგრამ მოურნე რომ არავინ ყოფილა, დარჩომილა; ეკლესიაც, დიაღ, უპატრონოდ იყო და მამულებიც დაკარგული.

რა თქვენის უმაღლესობის მოწყალება საქართველოში განეფინა და ჩემდაცა მოიწია და ამ ეკლესიაში გიახელ, რაც ჩემგან შეიძლებოდა, მოვლას ვეცადე და მამულების საქმე ნეტარად ჯსენებულს ჯელმწიფე მამა თქვენს მოვახსენე და ძველი წიგნებიც მიეართვი. ოქმი გვიბოძა მეფის ვახტანგის ოქმის მზგავსი; თქვენ მოგახსენეთ და ოქმი გვიბოძეთ იმავ წესით. იასაული ზა[ზა] ხერხეულიძე გახლდათ, ზოგი რომელიმე გამოვიტანეთ და ზოგი დარჩა. პაპუნა ფალვენისშვილისათვისაც გებძანათ დახსნა მამულებისა. ის იასაულიც და პაპუნაც თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქმნენ და ისევ დარჩა. მე მოხუცებული გახლავარ და ვაჲ თუ არავინ ინაღვლოს იმ ეკლესიისათვის.

ამ მოწყალებას ვითხოვ ჩემის ჯელმწიფისაგან: ვისაც ამ ეკლესიის მამულები უჭირავს, თუ ნასყიდი არ იყოს, ეკლესიასვე დანებდეს. და თუ ნასყიდი იყოს, ზოგი ეკლესიას თქვენ შეეწიენით და ზოგი მე შემაძლებინეთ. და ზოგი მამული ვისაც უჭირავს ეკლესიისა, იმან დაიკლოს, რადგან ამდენს ხანს მამული უჭამია.

ეს ეკლესია თქვენგან აღეგება და მეორედ თქვენგან შეწირული იქნება, თქვენი სადღეგრძელო და ძეთა თქვენთა მოსახსენებელი საუკუნოდ. თუ თქვენი მოწყალება იქნას ამ ეკლესიისათვის ზრუნვისა, ამილახორს იესეს უბძანეთ იასაულობა და დიასამიძე იოანეც იახლოს. და რომელიც თქვენი ბძანება იყოს, აღსრულდეს. ჩემგან მოხსენების ვალი იყო და ნება ჯელმწიფისა არს. ტყვილად ბევრს უჭირავს. თქვენს უბძანებლივ ვერ გამოვიტანე. მაისს გ, ქორონიკონს ϡჲე.

თავში

ქ. ბატონო ამილახვარ-მდივანბეგო იესე და დიასამიძევ მინბაშო ივანე! მერე ყოვლად სამღვდელო ნიქოზელი ამ არზით ასე რომ ჩივის, ეს თქვენ კარგათ გამოიძიეთ. მაგ ეკლესიის მამული ვისაც უბრალოთ ეჭიროს, გამოურთვით და ნიქოზელ ეფისკოპოზს მიაბარეთ. და ვისაც ნასყიდი აქვს, უნდა დაახსნევინოს, ესენი სამართლიანის საქმით თქვენც ურჩიეთ. თუ ერთი ჭეშმარიტი სიტყვა აქვს ვისმე, მოგვახსენოს. აღიწერა ივნისის გ, ქორონიკონს ϡჲე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

391. არზა ზაზა ამირეჯიბისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 3 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 10537. დედანი. ქაღალდი. 23×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის[1] ჭირი მოსცეს მათს მონას ამირეჯიბს ზაზას.

პაპის ჩემის განაყარს თავისი მამული თაქთაქისშვილისათვის მიეყიდნა. ახლა ეს ოთხი-ხუთი წელიწადია თქვენმა ნათლისდედამ საუბეური ჩამოხსნა და ხელახლა მამული მიყიდნია.

ამ წყალობას[2] ვითხომ, რომ ჩემი ნასყიდი მამული დამნებდეს თქვენი რისხვა მჭონდეს, თუ ან სახლისა ან ყმისა იმაში მამელოს რამე. ერთი ოქმი მებოძოს იქ[ა]ურს მომ[ს]წრებს კაცებზედ ჩემი ნასყიდი მამული ხომ არ არის, თქვენის ნათლისდედის ნასყიდია.

---

1 ხელმწიფის. 2 წყალობას.

ერთი წ[ვ]რილშვილია, იმ[ი]ტომ იყიდა. ამ წყალობას ვითხოვ: ასეთი ოქმი მებოძოს, უშფოთრათ თ[ა]ვისი ნასყიდობა და[მ]ნებდეს, თუ რამ გამოსავალი იქნებოდეს, არავინ ეცილებოდეს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართალი მოიღევით. თიბათვის **გ,** ქორონიკონს **უჲე.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ივანე დიასამიძევ! მერე ამ ზაზა ამირეჯიბის სახლობას რაც მამული უყიდნია, იმასთან ვის რა საქმე ექნება. რომელიც ნასყიდობის წიგნში უწერია, ის მამულები გაურჩიე[თ] და ზაზა ამირეჯიბს მოაბარე. იმ მამულიდამ რაც სამართლიანათ ერგება, ამისი არის.

თუ ერთი ჭეშმარიტი სიტყვა არავისა აძეს, უბრალოთ დავას ნურავინ დაუწყებს. და თუ ჭეშმარიტი სიტყვა აქვს ვისმე, მოგვახსენოს. თიბათვის **გ,** ქორონიკონს **უჲე.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ქოქაღე.

392. არზა დავით აურდღელაშვილისა ბაჟის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 18 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 532. დედანი. ქაღალდი. 16×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს კახეთის იჯარადარს კურდღელაშვილს დავითას.

ბოდბეში სამღებრო ხომ შეწირულია და იმასთან ჯელი არა მაქვს. და რომელიც სომეხი საბოდბლოში ვაჭრობენ, ბოდბელი იმათ ბაჟს არ მაძლევს.

ჩემო ჯელმწიფევ, შფოთის მორიდალი კაცი გახლავარ, ბოდბელიც აქ გახლავსთ და მთელი ჭიზიყიცა მოიკითხეთ და ეს ჩვენი საქმე გააჩიგეთ. ღმერთი გაგიმარჯვებს, რომ ეპისკოპოზის[1] წყევლის, დიაღ, მეშინიან. ივნისს **იბ,** ქორონიკონს **უჲე.**

თავში

ქ. ყოვლად სამღვდელოვ უფალო ბოდბელო დავით! მისი უწმიდესობა ჩვენი ძმა პატრიარხიც აჭა ბძანდება, გადმობძანდით და

[1] ეპიზოკოპოზის.

ეს საქმე სასამართლოებიდამ უნდა გარიგდეს ჩვენთან. ივნისის **იგ,** ქორონიკონს **უჲე.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

393. არზა კალაურის მოურავის დიმიტრისა და ომანისა ამის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 30 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1310. დედანი. ქაღალდი. 21×11,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალავ-ალავ ნახმარია ერთი ან ორი მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს კალაურის მოურავს დიმიტრის და ომანს.

მოგეხსენებათ ბიძის ჩემის ზაზას მოურაობაში ჩუენს შეუტყობრათ ზაზას ბასოშვილი გაეზადებინა სამოურაო ულუფაზედ და წიგნი მიეცა.

ამას წინათ ოთხი წელიწადი თქუენ თელავს ბძანდებოდით, თქუენ მოგახსენეთ და ოქმი გუიბოძეთ: რაც თქვენი ულუფა ძველად სდებოდესთ, ისევ უნდა გაძლიოსთო.

შარშანს წინ ბატონი დედოფალი რომ თელავს ბძანდებოდა, ეშ ბასოშვილს დედოფლისათუის ტყუილად მოეხსენებინა: ბატონმაც დამიმტკიცა და კათოლიკოსმაც გამა[ა]ზადესო, თქუენც დამიმტკიცეთო, დედოფალსაც დაემტკიცებინა.

ჩვენო ჯელმწიფევ, ის თქუენგან ნაბოძები ოქმი დამეკარგა და ეს ბასოშვილი ჩვენს განწესებას ულუფას არ მაძლევს. წყალობას ვითხოვთ, რომ ერთი ოქმი გუიბოძოთ, რომ ჩუენი ულუფა გვაძლიოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. ივნისს **იე,** ქორონიკონს **უჲე.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ქალაურის მოურაო დიმიტრი და ომან. ამ არზით რომ ასე მოგეხსენებიათ თუ ან ჩვენი წიგნი აქვს რომ ულუფა ამოგვეკვეთოს და ან ჩვენის ჩამომავლობისა, ხომ ვერ გამოვართმევთ. და თუ არა აქვს და როგორც სხვას გამოართვათ, ისე ამას გამოართვით. ივნისის **ლ,** ქორონიკონს **უჲე.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

394. არზა ქაიხოსროსი და დიმიტრისა მამულის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1777 წ. 1 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3508. დედანი. ქაღალდი. 18,5×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. შდრ. საბუთი № 389.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის მეფის ძის ჭირი ქაიხოსრო მოურავს და ბაზიერთხუცესს დიმიტრის მოსცეს.

მერმე ბატონის ბამითქვენის წყალობა და თქვენი წყალობა მამული გვქონია ახმეტას: გილდაშვილის დავით საჩინო შვილის ნაქონი ბეითალმანი მამული დიმიტრის ბოძებია და მოურავს დაკარგულის გილდაშვილის ნაქონი ბეითალმანი ბოძებია. ახლა ეს თქვენი წყალობა მამული გვეკარგება, ამ გილდაშვილს უჭირავს. სულ ამას გვევდრებით, რომ ორის მუთაბარის კაცის წყალობა გვიყოთ, რომ გილდაშვილს გიორგის ეკითხოს, რას პასუხს გვაძლევს; ან იმან უნდა მოგვცეს და ან გაგვირჩიოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. ივნისის **ბ**, ქორონიკონს **უიე**.

თავში

ბატონიშვილის ლეონის კეთილად სახსენებელო შდივანო დავით და მანუჩარ! მერე თქვენ ორნივ გილდაშვილს გიორგისთან უნდა მიხვიდეთ და ამ არზით ქაიხოსრო მოურავი და ბაზიერთხუცესი დიმიტრი მამულზე რომ ჩივის, ამისი პასუხი წერილით უნდა გვაცნობოთ, მთიბათვის **ა**.

verso

ქ. გიორგი გილდაშვილმა თავისი სახლისკაცების ბეითალმანის მამულის საქმე ასე გა[ა]რჩია: როდესაც ისინი გაუყრელნი ყოფილან, რომელიც ამაში სახელდობრივ სწერია, იმ ჩემის სახლის კაცების წილათ ესენი გამიგონია და მინახავს: გოგოლაშვილი გიტა, ყაფანდარისშვილი შიო, მამუკასშვილი პატარა, მამუკასშვილი თე'ვდორე, პაპნი, გაბიტასშვილი ბერი, გაბიტასშვილი მამუკა, ყაფანდარი ივანე.

ეს რვა საკომლო მინახავს და გამიგონია გილდასშვილის საჩინოსი და პაპუნასი. და როდესაც გაყრილან, მასუკან რომელი რომელს რგებია სახელსახელდობრივ მე არც ვიცი და არც მახსომსო. ის დავთრიდამ უნდა გაირჩეს. და ამ რვა კომლს ნაქონი მიწა თუ ნასახლები და ნავენახეები, რომელიც მე ვიცოდი, ყველა ზაალ ეშიკალაბაშისათვის მიჩვენებია და დამიწერინებია. და საღალღოში იმათს ნაქონს ხოდაბუნსაც გაჩვენებ და საღალღოც გასაყოფია.

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

395. არზა ზაალ საყვარელიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 18 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3016. დედანი. ქაღალდი. 16,3×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს საბატონისშვილოს საყვარელიძე ზაალს.

უნაძე მამუკა სასახლეს მედა[ვ]ე[ბ]ა, ჩემი არისო. ჩემ[ო] ჯელმწიფევ! თუ ნასყიდი აქვს, ნასყიდობის სიგელი გამოიღოს; თუ თქუენგან ჰბოძებია, წყალობის წიგნ[ი] ექნება, რაღა სიტყუა მექნება. და თუ წიგნი არა აქვს, გული მაჯეროს და რაერთსაც ფიცი გაიტანს, გაიტანოს. მე უჯეროთ იმას მამულს არ დავანებებ. და ნება თქუენია. ივლისს **იბ**, ქორონიკონს **უიე**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო მამუკა უნაძევ! ასე რომ გიჩივის, ამას გაუსწორდი, ერთმანეთს გარიგდით, თორემ თუ სამართალში რომელიმე გამტყუნდით, გარდაგხდებათ. ივლისის **იჱ**, ქორონიკონს **უიე**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

396. არზა იასე თაქთაქიშვილისა ღალის თაობაზე იესე მდივანბეგის ოქმით

1777 წ. 4 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3014. დედანი. ქაღალდი. 16×12,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბატონის ამილახვარ-მდივანბეგის ჭირი მოსცეს მათს მიწას თაქთაქიშვილს იასეს.

მერე ამას მოვახსენებთ: დაგვრიელებს კუსირეთიდამა ჩემი მამულის ბრა წამოუღიათ. ამ წყალობას ვითხოვთ: ერთის იასაულის წყალობა დამემართოს, ჩემის მამულის ბრები მევე მამბარდეს. და თუ სიტყვა ქონდეს ვისმე, თქვენს სამართალში მელაპარაკნენ. აგვისტოს **დ**, ქორონიკონს **უჲე**.

თავში

ამილახორ-მდივანბეგის იესეს დიდო იმედო საყვარელიძე შიოშ! მერე ეს იასე თაქთაქისშვილის შვილი ამ რიგათ რომ ჩივის, ეს ღალა სულ აუკრიფე და მოეც. თუ სიტყვა ქონდეთ, მერმე მოვიდეს, სამართალში ელაპარაკნენ. აგვისტოს **დ**, ქორონიკონს **უჲე**.

ბეჭედი: მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად, იესე.

397. არზა მზეჭაბუკ უაფლანიშვილის ძმებისა ბეგრის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 14 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. ღვთარი № 18. საბუთი № 1. ბირი. ქაღალდი. მხედრული.

[1] ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის ჭირი მზეჭაბუკ უაფლანისშვილის ყმას კურწიკამელს იმედას, საბას და დათუნა[ს] შვილს პაპას მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს კელმწიფეს. ჩვენ ხიზანი კაცნი გახლავართ და ჩვენი შეწუხება ბევრი ყოფილა, მაგრამ აქამდის არავისთვინ შეგვიტყობინებია, ამისთვის რომ გულშემატკივარი მეპატრონე არავინ ყოფილა ამ ქვეყანაში.

ახლა რადგან მართლმადიდებელი მემკვიდრე კელმწიფის შვილი მობძანდით თქვენს ქვეყანაში, ამ ვედრებას მოგახსენებთ, რომ აქაურის ბეგრის და ჯაფისაგან დღეს აქამდის ბატონის ჩვენისათვინ არა გვიმსახურია და ახლა ესეც სამსახურს გვაღონებს.

ღმრთის გულისათვის ერთის ოქმის წყალობა გვიყავით, ორგან სამსახური არ შეგვიძლიან, რომ მარტო ბატონს ჩვენს ემსახუროთ. გვესმის, რომ ჩვენს ბატონს წყალობთ. და ეს წყალობა გვიყავით, ორგან არ შეგვიძლიან სამსახური. მარიამობის **ი**, ქორონიკონს **უჲე**.

თავში

ბაბანავ ამილახვარო! მერმე ეს მზეჭაბუკ ყაფლანისშვილის ყმები კურწიკამელი შაბაანი რომ ასე ჩივიან, ამათზე თვალ-ყური შენ დაიჭირე და ნურავის შეაწუხებინებ, უბრალოს ბეგარაში ნუ გარევ. ესენი მარტო თავის ბატონს მზეჭაბუკს უნდა ემსახურნენ. აგვისტოს **ოდ**, ქორონიკონს **უჲე**.

398. არზა ციხისთვის შვილის იოსებისა მამულის თაოგაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1777 წ. 29 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6640. დედანი. ქაღალდი. 18,2×11,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალე დედოფლის ჭირი მოსცეს ციხისთვის შვილს იოსებს.

მერე ამას მოვახსენებთ, რომე მის სიმაღლე მეფემ მამულის წყალობა მიყო, სიგელიც მიბოძა და ოქმიც გრიგოლ სალთხუცეზედა, მდივანზედა ჯარდანზედა. ამათაც როგორც ბძანება ქონდათ, ისე მამული გამიყვეს და მამაბარეს. იმანვე აღარ[ც] მამულში შემიშო და აღარ[ც] წისქვილში, ჩემს გამოჯნულს მიწაში სახლი გა[ა]კეთა. მდივანი ხუმე თქვენი ჭირის სანაცლო შეიქნა.

ამთენს მოწყალებას ვითხოვთ, რომე სალთხუცესზედ ერთი ოქმი მიბოძოთ, რომე ერთი ძირი ნიგოზი მაი[ნ]ც დავბერტყო თქვენათ სადღეგრძელოთ. მარიამობისთვის **კთ**, ქორონიკონს **უჲე**.

თავში

ქ. ბატონო სახლთუხუცესო! ამ არზის პატრონს ბატონის ბძანება, ოქმი და სიგელი აქვს და როგორც სიგელში ეწეროს ამას, ეს თქვენ გაურიგეთ აგვისტოს **კთ**, ქორონიკონს **უჲე**.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

399. არზა ციხისთვის შვილის ოგლის იოსებისა მამულის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 10 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6639. დედანი. ქაღალდი. თავი აკლია. 16×11,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის კელმწიფის ჭირი ციხისთვის შვილის ობოლს იოსებს მოსცეს.

ჩემო ხელმწიფევ, ფშაველში თქვენგან მამულის წყალობა დამემართა და როგორც თქვენი ბძანება იყო, ისე მამბარდა. მავრამ ციხისთვის შვილმა შარმაზანმა ჩემს გამიჯნულს მამულში ისევ სახლი ააგო და მიჯნები კი მოშალა. თუ ვეტყვი რასმე, სადაც ვერანა რამ არის, იმისას მეტყვის — ის არის შენი მამული, იქ ჰამეო. თუ იმას ვერ უჭამია შორი მამული, მე როგორ შევიძლო იმ მამულის ჭამა.

ჩემო ჴელმწიფევ, თქვენი ბიანება არავინ გაიგონა, გვიმწარებენ თქვენს წყალობას და გვიჴდენენ, ისევ თქ[ვენვე მა]ინც მიირთვით თქვენი მამული. ენკენისთვის **თ,** ქორონიკონს **უჲე.**

თავში

...* ჯარდანს... [ციხისთ]ვის შვილს [ასე ეუწყოს:] ამისთვის რა[ც] მამული გვი[ბოძებია, დაანებ]ოს, ნუ ეცილება და ნუ აწუხებს, თვ[არ]ემ თუ კიდევ ცილობა დაუწყო და შეაწუხა, [უ]ნაყოთ (?) ვეღარ მოგვ... [მამულ]ში სახლი [რომ] აუშენებია, ახლავ მოუშალე. და შენც ამას ყური მიუგდე, ძალა არა უყოს რა, თვარემ ჩვენი საწყენი იქნება. ენკენისთვის **ი,** ქორონიკონს **უჲე.**

თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეღად ცხებულს, ერეკლე.

400. არზა ქესანაშვილებისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1777 წ. 20 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11056. დედანი. ქაღალდი. 19,8×10,4 სმ. ხელდრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს. დგურიელს ბერს ფალვენისშვილის ყმას ქესანაშვილს შიოს და მის ძმას გლახას.

იესე თაქთაქისშვილმა ოცის დღის მიწა წამართო უსამართლოთა და უბატონის ოქმოთ. ერთის ოქმის წყალობა გვიყავი, რომ სამართალში მომყუეს. თუ იმისი იყოს. ღმერთმან მშვიდობაში მოახმაროს. თუ ჩემი იყოს, მომცეს ჩემი მამულები. ღმერთი გაგიმარჯვებს. ოქტომბრის **იბ,** ქორონიკონს **უჲე.**

* თავი მოხეულია.

თავში

ქ. ბატონო მილახვარო მდივანბეგო იესე! მერმე ამ არზის პატრონი[1] რომ თაქთაქისშვილს უჩიევის, მანამდისინ სამართალში არ ილაპარაკონ, ამას ბარა არ უნდა წაართოს. როდისაც სამართალში ილაპარაკონ და გაიმტყუნონ, მაშინ გამეერთმევა. ღვინობისთვის **კ,** ქორონიკონს **უჲე.**

ესენი თქვენთან ალაპარაკეთ, რომელსაც სამართალმა მისცეს, განაჩენი უბოძეთ.

ბეჭედი: მეფის ძე გიორგი.

401. არზა ნინია გებურიშვილისა უმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 14 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3011. დედანი. ქაღალდი. 22,3×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჴემწიფის ჭირი მათს მიწას ბებურიშვილს ნინიას მოსცეს. მამიდა თქვენს დედის ჩემისათვის ერთი დედაკაცი ორის პატარას შვილით ებოძებინა, თავისის ფარეშის ალიას ცოლი და შვილი ჩემს სახლში გაიზარდნენ. ამ წყალობას ვითხოვ, რომ თქვენგან დამტკიცებით მებოძოს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ამ არზის პატრონს ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, მამიდაჩვენს ეს დედაკაცი და ამისი შვილები თუ ამისთვის მიუცია, ჩვენც ამისთვის გვიბოძებია. და თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. ნოენბერს **იდ,** ქორონიკონს **უჲე.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

1 პატრონს.

402. არზა იოანე მუხრანბატონიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1777 წ. 21 ნოემბერი

ცსსა. ბ. კარბელაშვილის პირადი ფონდი. 1461. რეესტრი № 3. საბუთი № 45. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[29 V] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მუხრანბატონის შვილს იოანეს მოსცეს.

მერე ოცდაორი წელიწადი არის რომ სომხითი და ბოლნისი დაიცალა. მაშინ ერთის დედით და ორის დითეს ოსეფა მოვიდა მუხრანს და ჩემთან დადგნენ. დღეს აქამდინ შემინახავს და ყოფილან. მას უკან დაიკარგა. შვიდი წელიწადი ტყვედ იყო. მოვიდა და ჩემთანვე დადგა. ხუთი წელიწადია რომ ტყვეობიდამ მოვიდა და ჩემს სახლკარში მიდგს.

და თქვენი ბძანება ასე არის, რომ: ტყვეობიდამ ვისთანაც მოვა, იმისი უნდა იყოსო. და მრავალნი არიან თავის ბატონებთან აღარ დგანან. ზოგნი თქვენს საბრძანებელში მოვიდნენ და ზოგნი ბატონიშვილებთან დადგნენ, ზოგნი პატრიაქს და სხვას თავადებს ეყმნენ.

მეც ამათზე ჭირნახული ვარ; შიმშილობა ორჯელ იყო და ოთხი სული შემინახავს. რადგან ჭირნახული მაქვს და ტყეობიდამც ჩემთან მოვიდა, უნდა თქვენის ბძანებით მე დამრჩეს. თუ რომ თავისი სამკვიდრო ბოლნისი გაკეთდება, იქ მისვლას კი არ უშლი, მაგრამ სხვას კი არავის მივსცემ, ამიტომ რომ ზემო მოხსენებული სიტყვა მოიხსენეთ.

და ერთი ოქმი მიბოძეთ, რომ იმასთან მუხრანის მოხელეებს საქმე არა ქონდეს. თქვენი სახასო არის და მეც თქვენი ყმა ვარ, არათუ საბოლო[ო]თ მე ვეჯიდები; ამიტომ მოგახსენე საბოლო[ო]თ მცილე არავინ იყოს იმ ბიჭისა. თქვენ მზეს ვფიცამ, რომ არათუ საბოლო[ო]თ მე მინდოდეს. მაგრამ ეს, დიაღ, ძნელი არის, ჩემი გაზდილი, ჭირნახული, ტყეობიდამ ჩემთან მოსული, რომ ახლა სხვას ჰყვანდეს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, თქვენის ამაღლებულის შვილების მზეს, ამისი სამართალი განმიწესეთ. და ამისი მოწმე[ე]ბი მთლათ მუხრაწელნი არიან. მაინც უნდა მიბოძოთ, ამიტომ მუხრანელი რომ არავინა მყავს. და ეს ხომ თქვენი ყმა არის და არ მიბოძოთ, მაშ რა ვქნა? ყველა ჩემი ამბავი იცით და უწყით, გრძლად რაღა თავი გაწყინო. ნოენბრის **ზ,** ქორონიკონს **უჲე.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე რადგანაც ეს ბოძნელი ოსეფა ოცდაორი წელიწადია ამ იოანე მუხრანის ბატონისშვილთან ყოფილა და ტყეობიდამაც ამას მოსვლია, ეს კაცი ამ იოანესთან უნდა იყოს; მუხრანის მოხელე[ე]ბს ამასთან საქმე არა აქვსთ. და ღმრთის მოწყალებით ბოლნისი რომ აშენდეს, თავის სამკვიდროზე მისვლას ვერ დაუშლის, როგორც თითონ უთხოვნია. ნოენბრის **კა,** ქორონიკონს

უჲე.

403. არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 4 იანვარი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი №31. საბუთი № 34. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[14 V] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ერეკლე ფალავანდიშვილსა.

ჩვენი განაყოფები ჩემს სახლისკაცს რომ ედავებოდნენ, ოთხი კომლი კაცი ლაპარაკებამდისინ ხომ ჩემს განაყოფებს უბოძეთ და იმათ მამული მე მიბოძეთ.

ამ წყალობას ვითხოვთ, რომ ის კაცნიც მე მიბოძოთ. და რასაც ჩემს სახლისკაცს ედავებოდნენ, იმის პასუხი მე გამაცემინოთ. ერთი ეს არის **[15]** ჩემი ვედრება, რომ უსისხლო ოჯახში უბრალოდ სისხლი არ დაიდვას და ნება თქვენია. ივლისის **იბ,** ქორონიკონს **უჲე.**

თავში

ჩვენი ბძანება არის ფალავანდისშვილო ბერო და იაკობ! მერე ერეკლე ფალავანდისშვილი ამ არზით ასე რომ ჩივის, ამ საქმეზე თქვენთვის ჩვენ რაც განაჩენი და ოქმი გვებოძებინოს, ჩვენს წინ უნდა მოიტანოთ და სამართალში გავსინჯოთ. აგვისტოს **იგ,** ქორონიკონს **უჲე.**

აღარ გვახსოვდა როგორ სწერია, ამისთვის გვინდა იმ ოქმის

გასინჯვა.

ჩვენი ბძანება არის ზაზავ ყორიასაულბაშო! მერე ეს ოთხი კომლი კაცი ამ ერეკლე ფალავანდიშვილს მოაბარე. და თუ ამის განაყოფებს — ბერსა და იაკოფს — მის ბიძაშვილთან სალაპარაკო რამ ჰქონდესთ, სამართალში ამ ერეკლეს ელაპარაკნენ. და რაც სამართალმა გაუჩინოს, ამ ერეკლემ პასუხი უნდა გასცეს. ეს ასე გაარიგე. აღიწერა იანვრის დ, ქორონიკონს უძვ.

404. არზა იოსებ გლურჯიძისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 8 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6329. დედანი. ქაღალდი. 20,3×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ხახმარია მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს გლურჯიძე იოსებს.

წელს ენკენისთვის ოცდარვას მეტეხს წაველ, ცოტა რამ საქმე მქონდა. ელიზბარ მოლარეთხუცის შვილი ნინია შინ მიმხდომიყო, ჩემი ცოლ-შვილი და მოახლე ცემით დაეხოცა; შინ რომ გიახელ, ამრიგად ნაცემნი და ავადმოპყრობილნი დამხვდნენ ცოლ-შვილნი.

მიველ, მოლარეთხუცის შვილს კიკოლას შევჩივლე, რას მემართლებოდა, რომ შენმა ძმამ ცოლ-შვილი დამიხოცა-მეთქი; მომდგა კიკოლა, თაეის მამაზედ შავი მეცო, ისიც ზედ დამახია და დიაღ მრავალიცა მცემა.

მოიკითხეთ, თუ რამ დანაშაული მაქვს, გარდამახდევინეთ; თუ არა და, სამართალი მაღირსედ, ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის ე, ქორონიკონს უძვ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ზაზავ ყორიასაულბაშო! მერე ამაზე იას[ა]ული გაგზავნე. ამის ჰაღილათი იმ სოფელში სამღვდელოსა და საეროსაგან ფიცით მოიკითხოს. სწორე მუჯალმა გააკეთებინოს. ეს მოჩივარი, ამის მოდავე და ის მუჩალმა ჩვენს სამართალში უნდა ჩამოაყვაინო და ჩვენს სამართალში გამოაცხადო. იანვრის თ, ქორონიკონს უძვ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

405. არზა ნიკოლოზ ამილახვრიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 28 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1409. დედანი. ქაღალდი. 21×15,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ხახმარია წერტილი ან მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მათს მიწასა და მონას ამილახვარიშვილს ნიკოლაოზს და სამს ჩემს შვილებს მოსცეს.

ამას მოვახსენებ ბედნიერს მეფეს: ვხედავ, რომ სიმაღლეს მოცლა არა აქვს, რომ ჩემს სამართალს და საჩივარს ყური მოუპყრას. რადგანც სიმაღლე ვერ მოიცლის, წყალობას ვითხოვ: ნიკოლაოზ აბაშიძეს ებძანოს, რადგანც ზევით წასასვლელათ გეთხოვებათ, ჩვენი საქმე იმას ებძანოს. ერთი დღე ჭალას შეიცადოს. მღდელი, ბერი და ეპისკოპოზი და ერნიც იქ გახლავან. იმან მოიკითხოს და თქვენის ბძანებით ღმრთის წინაშე სწორეს სამართლით [გამოიძიოს და] ღმრთის ფიცით [და თქვენი] მზით იქ მყო[ფნი] აფიცოს, გამოიკითხოს, სწორედ შეიტყოს და თქვენ ისე მოგხსენდეს წერილით.

ამთონი ხანია უსახლკარონი ქალაქს ვყრივართ და სამართალს ვითხოვთ. ღმერთი მეფობის სიმაღლეს უმეტესად აღამაღლებს და შვილებს განუძლიერებს ამაზედ მოგვხედოს და უბრალოთ და უსამართლოთ სახლისკაცს ნუ დაგვაჩაგვრინებს. იანვრის კგ, ქორონიკონს უძვ.

თავში

ქ. მილახვარბაშო აბაშიძე ნიკოლაოზ! ამ არზით ამილახვარიშვილს ნიკოლაოზს რომ ასე მოუხსენებია, შენ რომ ჭალას მიხვიდე, ღმერთს გაფიცებთ, რომ ეს ამბავი ბეჯითად მოიკითხო და სისწორით გამოძიებას ეცადო. და ვინ როგორ იმოწმოს, ის მოწმობები წერილით მოგვიტანო. იანვრის...

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

406. არზა ცხინვალელი ავეტიქაში გამოსაღების თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1778 წ. 7 თებერვალი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 13. საბუთი № 123. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[113 V] ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირი ბათს ახალს ყმას ქცხინვალელს ავეტიქას მოსცეს.

მერმე ამას ვეუდრები თქვენს მოწყალებასა, რომ მანამდინ ამილახვარიანთ ყმა გახლდი, ქცხინვალის მამასახლისი გვერთ ვერ გამოვლიდა ხოლმე და ახლა რა თქვენი ყმა შევიქენ, ილაჯი აღარა მაქვს მამასახლისისაგან.

ღმერთი გადღეგრძელებსთ, ამ მოწყალებას გეუდრები, რომ ერთის ბეჯითის ოქმის მოწყალება მაღირსოთ, რომ მამასახლისი დამეხსნას და თქვენი სამსახური შევიძლო, მრაელად მოწყალეო ჯელმწიფის ძეო. თებერვლის **ზ**, ქორონიკონს **უიგ**.

თავში

[118] ბატონიშვილი გიორგი გიბძანებ ქცხინვალის მამასახლისო არუთინ! მერე ამ არზის პატრონი უცხო კაცი არის და ჩვენი ყმობა მოუნდომია და ჩვენა გვყმობია. ამას სადმე აწუხებ, ამას დაეხსენ, ნურასფერზედ ნუ შეაწუხებ. შენ ამასთან საქმე **[V]** არა გაქვს, რადგან ჩვენი ყმა არის. თებერვალს **ზ**, ქორონიკონს **უიგ**.

და თუ მასუკან სიტყვა ექნება ვისმე, ის ჩვენთან მოვიდეს[1].

407. არზა ფალავანდიშვილებისა ყმა-მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1778 წ. 9 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hძ 641. დედანი. ქაღალდი. 19,7×11 სმ. მხედრული, განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს უზბაშს ფალავანდიშვილს გოგიას და მის ძმას ზურაბს.

[1] მოვიდნენ.

ჩვენი ყმა ბეჟანაშვილი გოგია და ნინია ლეკში დაიკარგა; და ნინია კი მოკუდა. იმათ ქვრივი და ობ[ო]ლნი დარჩნენ. მოგეხსენებათ, ყმასა და მამულზედ შეიწროებულნი გახლავართ. დიდის ვედრებით გევედრებით, რომ ჩვენის ყმის ქვრივ-ობლები გვებოძოს. ღმერთი გაგიმარჯვებს.

ამ წყალობასაც გევედრებით, რომ თიანეთის მოწილე-[ე]ბმა ქვრივ-ობოლთ არა წაართონ რა. ღმერთი გაგიმარჯვებს. ფებერვლის **ზ**, ქორონიკონს **უიგ**.

თავში

ქ. ბატონო თიანეთის მოურაო ჭაიხოსრო! მერმე ამ ფალავანდიშვილებს ასე რომ მოუხსენებიათ, თუ ერთი საბუთიანი და ჭეშმარიტი სიტყვა გაქვს რამე, უნდა ილაპარაკოთ. თუ სიტყვა არა გაქვს რა, თავისი ყმის ქვრივი დ ობლები და[ა]ნებე, წამოიყვანოს. ამისი მოასილი ეგნატ[ე] არის, ამან უნდა აჰყაროს. ფებერვალს **ო**, ქორონიკონს **უიგ**.

ბეჭედი: მეფის ძე. გიორგი.

408. არზა ზურაბა ტერტერაშვილისა სახლის თაობაზე ანტონ I-ის ოქმით

1778 წ. 16 თებერვალი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 47. საბუთი № 88. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[80 V] ღმერთმან ბატონის ჩვენის საქართველოს პატრიაქის მეფის ძის ჭირი მოსცეს გორელს ტერმოსესას შვილს ზურაბას.

მერმე ამას მოვახსენებ. პირველთაგანც რომ გავიყარენით, მაგდენი მამული არა გვქონდა რა და არცარა წილი და კერძი მქონდა და მუდამ ამას ვჩიოდი, უწილო გამამატარეს. ახლა ჩემი ძმები ხომ წავიდნენ და იქ დასახლდნენ. იმათ ცოტა რამ სახლები დარჩათ აქა და გახარაბდა უპატრონობით.

მე სხვის სახლში ვიდექი ჭირითა. მოვიდნენ ჩვენი შეზობლები, მითხრეს: ამ სახლს ნუ აოხრებო, შედი და დადეგიო; შეველ და ოთხთუმანნახევარი დამხარჯვია, ცამეტი მინალთუნი ჩემი დისთვინა მიმაცემინეს თქვენის ბძანებით ნაზირმა და ხითარას შვილმა ზურაბამ. ეს ცამეტი მინალთუნიც იმ ოთხთუმანნახევარში არის. დაჭცეული იყო და ავაშენე.

ამ წყალობას ვითხოვ, როდესაც ამ სახლის პატრონი მოვიდეს, ესა და ჩემი დანახარჯი მამცეს და თავისი სახლები დაიჭიროს, ან ამას იქით დამეხარჯოს, დანახარჯი მამცენ.

ერთი შვილი [61] დამრჩენია აქ და ამასაც გული დ[ა]ედ-ვ[ა]ს და აქა ედგომინებოდეს. ბეგარისა და ხარჯისა გამწევი გახლავართ, რომ ესეც არ დამეკარგოს.

თავში

ზურაბა ტერტერაშვილო! ამ არზით რომ შენი ძმის სახლი[1] მოგიხსენებია, ჩვენ შენის ძმის სახლი შენთვინ წყალობა გეიქნია, თუ შემი ძმა ისაია აღარ მოვიდა. და თუ ისაია მოვიდა, რა[ც] რომ იმა სახლზედ ნუსხით დაგიხარჯამს და ან ამას იქით დახარჯამ[2], უნდა ისაიამ მოგცეს და თავის სახლი და[ა]ნებო. თუ აღარ მოვიდა, ხომ შენთვინ წყალობა მიქნია. და არც ტერყაზარას აქ[ვ]ს ამ სახლთან ხელი. თებერვალს **ივ,** ქორონიკონს **უჲვ.** ხელრთვა.

ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი, ამ ოქმს ჩვენც ვამტკიცებთ. იულისის **ზ,** ქორონიკონს **უპა.** ხელრთვა.

409. არზა აბაზაძეებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 16 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1194. დედანი. ქაღალდი. 20,5×12,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

ქ. ღმერთმან ჩემის კელმწიფის ჰირი მოსცეს მათს მონას აბაზაძეს სოლომონს და დავითს.

მერე ჩვენის კელმწიფის მამის თქვენისაგან ჩვენის მამულის წყალობა დამემართა და თქვენის ძმებისა და თქვენგანაც დამტკიცდა აღაბეგაშვილებისა და კვახიაშვილებისა ახლა ამ კაცთ სხვა სჭამს და ჩვენ კი არას გვმსახურებენ.

წყალობას ვითხოვთ, ოქმი გვიბოძოთ იმ მამულისა, რომ კელი ამართონ და ჩვენ მოგვბარდეს[3] და რაც ან ვენახიდამ გამოსულიყოს და ან მიწიდამ, იმისიც მოგვცეს რამე. სამართალი გვაღირსე. ღმერთი გაგიმარჯვებს. ფებერვლის **იგ,** ქორონიკონს **უჲვ.**

[1] სხალს. [2] დახარამა. [3] მოვვბარდენ.

თავში

ქ. ბატონიშვილი იულონ და ვახტანგ გიბძანებ სურამის მოურაო მურვანიშვილო იესე! მერე აბაზაძეებს ელენე დედოფლის წყალობის წიგნი აქვსთ და ბატონის დედოფლის დედის ჩვენისაგანაც დამტკიცებული არის აღაბეგაშვილი და კვახიაშვილი იმ სიგელში შიგ უწერიათ. და ახლა ვისაც ამ აღაბეგაშვილისა და კვახიაშვილის მამული ეჭიროს, ყველას გამოურთვი და მოაბარე. და რაც იმ მამულის გამოსავალი ყოფილიყოს, ისიც გამოურთვი და ამ აბაზაძეს მოაბარე. ამისთვის, რომ ეს მამულები მოპარვითა სჭერიათ. ფებერვლის **ი,** ქორონიკონს **უჲვ.**

ორი ბეჭედი:

1. ღმრთის მშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.
2. ლონად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკეთად.

410. არზა ზაალ დავითიშვილისა ძმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 18 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 532. დედანი. ქაღალდი. 19,3×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი ზა[ა]ლ დავითიშვილს მოსცეს. მერმე ამას მოვახსენებ: ერთი ჩემი კაცი ჭავჭავაძე გლახა მეჯვრიხევს ახალუბანს გახლდა, ის დაიკარგა, ქვრივი და ობლები გახლავან. რამდე[ნ]ჯერ მიველ, ხან დამემალნენ, ხან ს[ა]ერისთოულის მძლავრობით ვერ ჩავიგდე.

ურთი ოქმის წყალობა მიყავით, ღმერთი გაგიმარჯვებს, ამიყარონ და მამცენ. და თუ სიტყვა აქვს ვისმე, თქვენს სიმაღლეს წინ სამართალში მელაპარაკოს. ფებერვლის **ი,** ქორონიკონს **უჲვ.**

თავში

ქ. ჩვენო ღვთის წყალობავ შვილო ბატონო გიორგი და იულონ! მერმე ამ არზით ზაალ დავითისშვილს ასე [რომ] მოუხსენებია, თუ ერთი საბუთიანი სიტყვა არავის ჰქონდეს, თქვენ ერთს უბძანეთ ვისმე, ამ ზაალს თავისი გლეხი აუყაროს და მოსცეს. თუ

ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, თქვენს სამართალში ალაპარაკეთ. ფებერვალს **იშ**, ქრონიკონს **უივ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

411. არზა გიორგი ციციშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 27 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2843. დედანი. ქაღალდი. 23,5×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჰირი მოსცეს გიორგი ციციშვილსა.

ეს კემხუტაშვილი ჩუენი მემკვიდრე ყმა არის. ეს კაცი ფარსადან ციციშვილს ახლდა, მსახური იყო, ფარსადან რომ მოკუდა, მერე მამაჩემს იახლა. ეს კემხუტაშვილი მამაჩემს უკან მოსდევდა, ციხის კართან რომ მოვიდა, უკანიდამ თოფი ჰკრა და მოკლა მამაჩემი. მასუკან გავარდა, ხან ოსებში იყო, ხან გალმა ქართლში, ჩუენს მამულში ვერ გაივლიდა.

ჩემო კელმწიფევ, არც დატყვევებულა და არც ტყვე ყოფილა. ახლა რომ თქუენის ბძანებით შვილი გარდმოიყუანა, არც ესა ჰყოლია ტყვეთა. მე ეს სარწმუნო კაცების მოწმობით საბუთიცა მაქვს, რომ ბანიდამ მომეპარა, მეცა მკლევდა, შეუტყვე და გამექცა.

დიდად გევედრებით, თქუენს სამართლამდინ თქუენს იასაულს ებაროს, არ გაიპაროს. ახლა აქ მოვიდა, თქუენს ტახტზე დაჭერა არ შემეძლო, ხმა არ გავეცი. ამისგან ამოწყვეტილი ვარ. არსად წავიდეს, სამართალი გვისაჯეთ, ღმერთი გაგიმარჯვებ[სთ]. ფებერვლის **კვ**, ქორონიკონს **უივ**.

თავში

ქ. ბატონო სარდალ-ქალაქის მოურაო დავით! ამ არზით გიორგი ცი[ცი]შვილი რომ ასე ჩივის, ის კემხუტაშვილი სამართლამდინ არსად გაუშვათ, თორემ თქვენ დაგედებათ თავსა. ფებერვლის **კზ**, ქორონიკონს **უივ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

412. არზა ხახანაშვილის ქვრივისა ყმოგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 28 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2975. დედანი. ქაღალდი. 21×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს ერთაწმიდელს წმიდის ესტატის ყმას ხახანაშვილის ივანეს ქვრივსა და ობოლს.

ჩუენ წმიდის ესტატის შეწირულნი ვართ, მაგრამ აქამდინ შეწირულობის წიგნი დაკარგული გვქონდა და წმიდის ესტატეს დეკანოზი გვიმსახურებდა.

ჩუენი შეწირულობის წიგნი ვიპოვნეთ წელს შემოდგომას. ეს წიგნი და არზი მოგართვით, მამუკა თარხნიშვილზედ ოქმი გვიბოძეთ: ეს ხახანაშვილი წმინდის ესტატის შეწირული ყოფილა, ამას დაეხსენო. ეს ოქმი მივიტანე, მამუკამ გამომართო და მითხრა, მე ხომ შენ არას გიმსახურებო, დეკანოზი გიმსახურებსო.

ერთის ოქმის წყალობა გვიყავით, თარხნიანთ და დეკანოზს ჩვენთან კელი არა ჰქონდეს: რაც ძველად გვდებია, ხატს ვემსახურნეთ.

ფებერვლის **იზ**, ქორონიკონს **უივ**.

თავში

ქ. პატიოსანო მღვდელო წმინდის ესტატის დეკანოზო სვიმონ! ამ არზის პატრონი[1] ამ არზით ასე ჩივის და თავისი შეწირულობის წიგნიც გვაჩვენა, ციციშვილს როგორც შეუწირავს; შენ ამასთან საბატონყმოთ კელი არა გაქვს; რაც იმ შეწირულობის წიგნში ეკლესიის სამსახური უწერია, იმას ეკლესიას უნდა მსახურებდეს და სხვა რიგათ შენ ამასთან საბატონყმოთ კელი არა გაქვს. და თუ ერთი ჭეშმარიტი სიტყვა რამ გქონდეს, ჩვენ მოგვახსენე. ფებერვლის **კზ**, ქორონიკონს **უივ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით ნიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

---

[1] პატრონო.

413. არზა ჯავახიშვილებისა მამულის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 16 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14562 დედანი. ქაღალდი. 21×9,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს ჯავახიშვილს მზეჭაბუკს, თეიმურაზს და ვახუშტის.

ზა[ა]ლ ჯავახიშვილს თქუენთვის არზა მოურთმევია: ჩუენის საერთო მთიდამ ჩემმა ყმამ ხე ჩამოიტანაო და ჩემმა სახლის კაცებმა სალბაში გამომართვესო.

რომლისაც მთიდამ ახლა ტივის ხვები ჩამოგვაქვს, ეს მთა საკუთარი ჩუენია, მამა-პაპისაც არ არის, ჩუენი ნასყიდია და თქუენგან ოქმიცა გვაქვს ნაბოძები — თქუენის მთის სალბაში უნდა აიღოთო.

ჩემო კელმწიფევ, ამ ნასყიდს მთას გარდა რაც მამა-პაპის მთა გვაქვს, ისიც გაყოფილი გვაქვს. მაგას თავისი წილი მთა გაუყიდნია და ახლა ჩუენს ნასყიდს მთასაც გვედავება. და ნება თქუენია. მარტის **იბ**, ქორონიკონს **უიგ**.

თაეში

ქ. ჩვენი ბძანება არის ზაალ ჯავახიშვილო, მერე ამ შენს ნათესავებს ასე რომ მოუხსენებიათ, ამაში სისწორით უნდა მოიქცე. თუ მთა გაყოფილი გაქვსთ, თავ-თავის წილს უნდა დასჯერდეთ. და თუ სიტყუა გაქვს, მოგვახსენე. მარტის **ივ**, ქორონიკონს **უიგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

414. არზა ნიკოლოზ ამილახორისშვილისა სამართლის მიცემაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 17 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3023. დედანი. ქაღალდი. 18,6×16,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს ამილახორის შვილს ნიკოლოზს.

მე და ჩემი სახლიკაცი ბექან რომ ცლაპარაკობდით, იასაულად ნიკოლოზ აბაშიძე რომ გვიბოძეთ, მოვიდა სოფელში, მუჯალამა დააწერინა სამღთოსა და ერისკაცისაგან. ის მუჯალამა აბაშიძეს ქართლს თან გაჰყუა და ჩუენი საქმე ისევ დარჩა გაურიგებელი.

ჩემო კელმწიფევ, სამართალი გვალირსეთ. და თუ თქვენ საქმეში ბძანდებით, ჩუენი სამართალი ან ბატონისშვილს უბძანეთ და ან მსაჯულთ, რომ სამართალი გვისაჯონ. ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის **იე**, ქორონიკონს **უიგ**.

სამართალი გვალირსე, შვილები არ დამეკარგნენ.

თაეში

ქ. ჩვენი ბძანება არის, მერმე აღდგომას უკან მოდით და სამართალი მოგეცემათ. მარტის **იზ**, ქორონიკონს **უიგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

415. არზა აღათანგ ხერხეულიძისა ვალის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 20 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8866. დედანი. ქაღალდი. 24,3×15,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს თქვენის შვილის ვახტანგის ყულუხჩს ჯერჯეულიძეს აღათანგის.

მერმე ამას ვე[ვე]დრები მათს სიმაღლ[ე]ს. ორიოდ-სამი კომლი თქვენი წყალობა კაცი მყავს. მისულა ხერხ[ე]ულიძე გიოგა, ჩადგომ[ი]ა და ქაიხოსრ[ო] ხერხეულიძის ვალს ჩემ კაცებს თხოვს. ქაიხოსროსათვის ბერძენს უჩივლია და თქვენ ოქმი გიბოძებიათ — ქაიხოსროს გამოართიო. ქაიხოსრომ მამულები და კაცები სულ დაყიდა, თითონ აიყარა და საჯავახიანოში გამოვიდა. რომელიც იასაული ქაიხოსროსა და იმისს შვილის ვალის ოქმს ჩაიგდებს ხელში, ჩემს კაცებს ჩაუდგებიან მაშინვე.

მე ერთი ობოლი თქვენს საფარველს ქვეშ გამოვიზარდე. ვე თქვენს მეტი მოწყალე არ[ა]ვინა მყავს და ობლობით განაყოფი მბრიყოფს, თორემ ბძანება ხომ ჩემზედ არა ქონ[ი]ა და არცავის

ჩემთვის უჩივლია; და თქვენის დოვლათით, არც ეს ვალი მ[მ]ართებს. ამას წინათაც კიდევ სხვანი ჩადგომოდნენ და იმის ვალს თხოვდნენ. არზი მოგართვით და წყ[ა]ლობა დამართეთ, რომ იმის ვალი ამას არ გამოერთმევაო და ოქმებიცა აქ[ვ]თ ჩემს კაცებს. ის ოქმი უჩვენეთ, მაგრამ არ შეუწყნარებიათ.

ღმერთი გაგიმარჯვებთ, ჯაბრით სხვის ვალს მე რათ მაღებინებს[1], ვიზედაც თქვენი ბძანება აქ[ვ]ს, ამის უფრო მართებული არ არის, რომ გამოართვას.

ახლა ჩემი კაცები აქა გხლებიათ[2] და ამათ ცოლსა და შვილს შიგ უდგას და აწუხებს. ღმერთი გაგიმარჯვებთ, სამართალი მაღირსეთ. მარტის **კ,** ქორონიკონს **უძვ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, რომელიც ბარნაბე არქიმანდრიტის თეთრის აღების მოასილი ხარ! მერე ქაიხოსრო ხერხეულიძეს და იმის შვილს არქიმანდრიტისავან ვალი აუღიათ და იმის მაგიერათ შენ ამ აღათანგის კაცებს თურმე სთხოვ. ამათ რას ემართლები? ვისაც ვალათ აუღია, იმას გამოართვი. ქაიხოსროსსა და იმის შვილის აღებულს ვალზე ამ აღათანგის კაცებს ნურავინ შეაწუხებთ და ნურც არაზე შეაწუხებთ. თუ სიტყვა ვისმე აქვს, ჩვენ მოგვახსენოს. მარტის **კ,** ქორონიკონს **უძვ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

416. არზა კააუნა როინაშვილისა უმოგის თაოსაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 23 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1421. დედანი. ქაღალდი. 15×9,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს როინაშვილს პაპუნას.

ყარაბუდახისშვილის ლუარსაბისა და ბეციას ყმა ვიყავი. ორთავე ძმათაგან თავი დავიხსენი და თავდახსნილობის წიგნი გამოვართვი, კელში მიჭირავს. ოთხი ვაჟისშვილი მყავს და მელაანში მოურავისშვილის პაატას ადგილში ვდგევარ. იმისი მამული არ მიჭირავს. ჩემთან სიტყვა არავისა აქვს.

წყალობას ვითხოვთ, თქუენს ყმად საცა თქუენი ნება იყოს, იქ დამაყენოთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის **ით,** ქორონიკონს **უძვ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ამ არზის პატრონო! ჩვენ შენ ასე გირჩევთ, რომ იქავ იდეგ პაატას ყმათა. პაატა ისეთი კაცი არის, რომ ყველასთან ვინც უნდა იყოს, ამისი ყმობა გირჩევნია და ამას ეყმევ. მარტის **კგ,** ქორონიკონს **უძვ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

417. არზა თევდორე ვარძელაშვილისა უმოგის თაოსაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 27 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 34. საბუთი № 222. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[168 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს პატრონს დავითისშვილის [ჩელტია იასეს ხიზანს] ვარძელაშვილს[1] თევდორეს.

კარბს ჩელტიას კედლად ხიზნათ გახლავარ. ჩელტიას ძმისწულს გოგიას ხომ ოსების ტყვის დასყიდვა შა[ა]ჩნდა. იმ ოსების პატრონები მომიხდნენ, ამიკლეს, ორი კოკა ღვინო მჭონდა, ისიც ჩელტიას ძმისწულმა წამართო. ამ ჩელტიას ძმისწულს ცოლ-შვილი იმერეთში ჰყავს, თითონაც იმერეთს იბარება და მეც მეუბნება — თან მომყევო. არა ვარ იმისი ყმა. იმისგან დამიხსენით, ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის **კე,** ქორონიკონს **უძვ.**

თავში

ბატონო ამილახორო მდივანბეგო იესე! მერე ამ არზის პატრონი ასე რომ ჩივის, ჩელტიას ძმისწული ამათ დაუხსნას, ნუ აწუხებს. თუ სიტყვა რამ ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. მაგ ჩელტიას

[1] მაღებინებს, [2] ქხლებიათ.

[1] ვარმელაშვილს.

ძმისწულს თავდები გამოართვი, რომ იმერეთს არ წავიდეს. თუ მანდ დგომისა ეფიქრება, ჩვენ მოგვახსენოს, ბინას ჩვენ გაუჩენთ. უთენელიშვილმა სალთხუცესმა გიორგიმ ისე შეიტყოს, ამ კაცებს ოსებმა არ შესცოდონ რა, თორემ ჩვენი საწყენი იქნება.

მარტის **კზ**, ქორონიკონს **უჲვ**.

418. არზა ადამ უარაგოზიშვილისა ძმის და სახელოს თაობაზე ლევან გატონიშვილის ოქმით

1778 წ. 4 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5265. დედანი. ქაღალდი. 17,7×10,3 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხემწიფის ძის ლევანის ჭირი მიცეს თქვენის სამსახურის მოწადინეს ადამსა.

ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალე ბატონსა, ღმერთი გაგიმარჯვებს ყოვლად მოწყალე ხემწიფის შვილო; ღმერთმან ასე თქვენი მტერი კიდევ უფრო შეაწუხოს, როგორც მე გახლდე შეწუხებული. ღმერთი გაგიმარჯვებს, თუ რამ დანაშაული მაქვს ჩემი უცოდინაროზითა, გარდამახდევინეთ.

ჩემო ხემწიფევ! ვერ შევიტყე კია ან მამითქვენის წყალობა დიდებაშვილი რათ ჩამომერთვა, ან თქვენი უხვი სახელოს ბოძება. ჩემო ხემწიფევ, ყოველთვის თქვენის წყალობის მოიმედე გახლავარ. ვისაც თავადებისაგან აქვს მოცემული, იმათ კი არ ერთმევა. მე თქვენი წყალობა ყმა და სახელო რათ წამერთო. დანაშაული კი არა ვიცი რა ჩემს გუენებაში. ღმერთი გაგიმარჯვებს, ობოლს კაცს მტრის გულისათ ნუ გამხდი, ჩემო ხემწიფევ.

თავში

ქ. ამ არზის პატრონო! ჩვენ მუდამ ვფიქრობთ, რომ შენს სნეულებას ასეთი წამალი უპოვოთ, რომ შენი სნეულობა იმით გავამთელოთ. ან ღმრთის მოწყალებით, ან აქ რომ მოვიდეთ და ან ქალაქს მოგვახსენე, რომ ასე გავარიგებთ, რომ შენც დასჯერდე. აპრილის **დ**, ქორონიკონს **უჲვ**.

ბეჭედი: მრჩობლთა მეღეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

419. არზა ტეტია ტატიშვილისა ყმოზის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 4 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IIძ 9988. დედანი. ქაღალდი. 20×13,6 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ყულარაღასის საკერძოს ტატიშვილს ტეტიას.

აქ ყულარაღასის შვილს რევაზს ვახლავარ. ახლა რომ ერისთავი როსტომ ქართლს წავიდა, გაესია ჩემს სახლში იასაული, თხუთმეტი კოკა ღვინო წაერთმევინა; თორმეტი ცხვარი და ერთი ძროხა გვყუანდა ერთს ალაგს მიბარებული, ისიც წაერთმევინა. კიდევ მამის ჩემისათვის იასაული დაეყენებინა, ერთი თუმანი ვალად აეღებინებინა და წაერთმევინა და მამის ჩემისათვის თავდები გამოერთმევინა: თუ შენს შვილს არ მოიყუან და მე არ მაახლებ, ქართლში არ დაგაყენებო. ამ რიგს შეწუხებაში ვართ. სამართალი გვაღირსედ, ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის **იე**, ქორონიკონს **უჲვ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! შენ როსტომ ერისთვის ყმა ხარ, კიდეც უნდა გაჰყვე და კიდეც უნდა გამოჰყვე და კიდეც უნდა მსახურო, როგორც ბატონყმობის რიგი არის. აპრილის **დ**, ქორონიკონს **უჲვ**.

ქ. რაც როსტომს წაურთმევია, ისიები კი ისევ წყალობა უნდა გიყოს; და იმისი ყმა ხარ და იმას უნდა იახლო.

ბეჭედი: ქვარს მიცემს, დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

420. არზა გლახა ფალავანდიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 4 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2628. დედანი. ქაღალდი. 32,4×16 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად აბზაცების ბოლოს ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ფალავანდიშვილს გლახას.

წინაზედ გიორგი ფალავანდიშვილის მამულისა რომ მოგახსენეთ ბატონისშვილის ლეონის პირით, და თქუენ წყალობა მიყავით, ისინიც ხომ გიახლენ და ჩემი თავი თქუენთვის შემოებეზღებინათ, რომ ტყვილად მოუხსენებიაო.

რაც მაშინ იმ არზით მოგახსენე, თუ ან ერთი ტყვილი მომეხსენებინოს და ან ბატონისშვილი ტყვილად შემომეყენებინოს, ღმერთმან თქუენი რისხვა მომცეს. რისხვასაც ნუ დამაჯერებთ, ნასაღი მიყავით და ნურც თქუენს კარზედ დამაყენებთ.

მთელს ქართლის თავადისშვილებს ვიმოწმებ, რომ ამ ორმოცს წელიწადში ეგენი შეყრილი ერთად არავის ენახოს. ახლა მე რომ კაცი შეუყენე იმ ჩემგან შეყენებულის კაცისათვის ეთქვა მაგ გიორგის, რომ: დიაღ, კარგი იქნება მე და გლახა გავრიგდეთო. მერე იმ კაცს ჩემთვის წიგნი მოეწერა, გიორგიმ ასე თქვაო.

ბეითალმნათა რჩებოდა მაგის მამული. თქუენ მოგახსენე და წყალობა მიყავით. სანამდინ მე კაცს შეუყენებდი, გოგია ფალავანდისშვილი რომ გახლავსთ უზბაში, იმისთვისაც პირობა მიეცა, რომ დღეს მე მეჩხუბებიან, შენ დაგვკარგეო. თუ კი[1] მაგისი შეყრილა იყო, გოგიას რაღათ აძლევდა პირობასა.

აქამდინ ხომ არ იყუნენ შეყრილნი. და თუ ახლა შეიყრებიან ჩემის ჯაბრით, იმისი არ ვიცი. მართლა იმათ მოგახსენესთ ტყვილად, რომ არც ძმისწული არის მაგ გიორგის[1] და არც ბიძაშვილი.

ბეითალმალი იყო, თავი იმიტომ გაწყინე, თორემ არ მოგახსენებდი. და მე კი თქუენის წყრომიდამ თავისუფალი მქენით, დანაშაული არა მაქვს რა. სულ მართალი მოგახსენე, რაც მოგახსენე ან მაშინ და ან ახლა. ნება თქუენი აღსრულდეს. მარტის **კჩ**, ქორონიკონს **უიგ**.

თაში

ქ. ეშიკაღათბაშო დიმიტრი და ამილახორ მდივანბეგო იესე. მერე ის მამული ჩვენ რომ ამ ფალავანდიშვილს გლახას უბოძეთ, თუ იმას უწინ გიორგი ფალავანდიშვილი და როსტომ შეყრილი ყოფილან, ის შეყრილობა აღარ მოიშლება; ის მამული იმათი იქნება და ჩვენ ამას სხვა წყალობა რამ უნდა უყოთ. და თუ მაშინ გაყრილნი ყოფილან, რადგან ტყუილათ მოგვახსენეს, ახლა იმათი შეყრა აღარ იქნება.

მარამდინ გიორგი ცოცხალი იყოს, ის მამული იმას ეჭიროს;

[1] + რატომ.

და იმის შემდგომათ იმის მამული ამ გლახასა და ამის ძმებს დარჩეს. ამათ[თ]ვის გვიბოძებია. ეს სწორე შეიტყევით და წერილით გვაცოდინეთ. აღიწერა აპრილის **დ**, ქორონიკონს **უიგ**.

სწორე ეს არის, თუ გაყრილნი ყოფილან, როგორც დაგვიწერია, ისე უნდა მოხდეს. და თუ შეყრილნი ყოფილან. კიდევ ისე უნდა მოხდეს, როგორც ამ ოქმში დაგვიწერია.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

verso

ქ. ბედნიერის ხელმწიფის ჩვენ, ამილახორ-მდივანბეგის იესესთვის ამ ფალავანდისშვილებისა ჩვენთვის აღიღათი ებძანა. იესე უზბაში ფალავანდისშვილი და გიორგი გაყრილნი იყვნენ. შეყრა არ გამიგონია, მაგრამ ეს იესე უზბაში და გიორგი უფრო ახლო არიან, ვინემ მზეჭაბუკის შვილები; მზეჭაბუკის შვილები შორს არიან. მე ასე ვიცი და ასე გამიგონია შენი ჭირიმე, და სხვისა არ ვიცი. და ნება თქვენის უმაღლესობისა არის. აპრილის **კა**, ქორონიკონს **უიგ**.

ბეჭედი: მე ამილახორ მსაჯულად სპასპეტ ვარ მეფის მარჯულად, იესე.

ქ. ჩვენი ბძანება არის ზაზავ ყორიასაულბაშო! მერე ფალავანდისშვილის გიორგის შვილმა რადგან გვიორგულა და გაგვექცა, ამგვარის კაცის მამული მებატონისა არის. ჩვენ გიორგი ფალავანდიშვილს ეს წყალობა უყავით, მარამდინ თითონ ცოცხალი იყოს, მამულიცა და ყმაც იმას ეჭიროს, მაგრამ ვერც გაჰყიდის და ვერც გასცემს. და ამ გიორგის შემდგომად ეს მამული და ყმა ამ ფალავანდიშვილის გლახასათვის. ამის ძმების გოგისა და თეიმურაზისათვის და ამის ბიძის ბერისათვის გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილებლად. მაისის **ივ**, ქორონიკონს **უიგ**.

ამ მამულის ოქმი თუ სხვას ჰქონდეს ვისმე, ბათილი არის, როგორც ამათ უწინდელს ჩვენგან ნაბოძებს სიგელში უწერიათ, ისე უნდა აღსრულდესთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

421. არზა დავით ენდრონიკაშვილისა გაურიის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 12 აპრილი

ცსსა. ჰ. ჯარბელაშვილის პირადი ფონდი 1461. რვეული № 13. საბუთი № 56. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[35] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს დავით ენდრონიკაშვი'ლ[1]ს. ოტია რომ გამეყარა, ჩემს ბარათში გამოყოლილი ორი კომლი კაცი — ერთი დავით სალთხუცესმა ამიყარა და ერთი მუხრანბატონმა. თქვენგან სამი განაჩენი მაქვს ნაბოძები, რომ ოტიას ამის მაგიერი უნდა მაეცა, მაგრამ არ მაძლევს.

მეორე ეს, სასახლის მაგიერი არც სასახლე მომცემია და სასაფლაოც იმას უჭირავს. წყალობას ვითხოვ, როგორც კახეთის რიგი იყოს, სასახლის მაგიერი და სასაფლაო მომცეს.

და თათარიც უფროს-უმცროსობით არ გამყოფია. ამას გვევდრებით, როგორც მოურავის შვილებმა გაიყვეს, მეც ისრე გამიყოს.

ორი-სამის ბეითალმლის ბარათები დარჩება; როცა ღმრთის მადლით კახეთში გამობძანდებით, იმ ბარათებს იქ მოგართმევ.

ღმერთი გაგიმარჯვებს, რაც მომიხსენებია[1], ჭეშმარიტების სიმართლით გაგვაშველეთ. აპრილის **ია**, ქორონიკონს **უჲვ**.

თავში

ქ. გარსევან ეშიკაღაბაშო! მდივანბეგები და მდივნები შეპყარე. ამ არზით დავით ენდრონიკაშვილი თავის სახლისკაცს რომ უჩივის, მდივანბეგებთან ილაპარაკონ და ამის სამართალი უსაჯონ. როგორც კახეთში სხვა ამათი ამხანაგი თავადიშვილები გაყრილან და განწესება არის, ესენიც სამართლიანის საქმით ისე გაასწორეთ.

აპრილის **იბ**, ქორონიკონს **უჲვ**.

422. არზა იოანე მდივნისა დუქნების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 17 აპრილი

ცსსა. ღ. 1448. საბ. № 216. დედანი. ქაღალდი. 41,6×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათ მიწას იოანე მდივანს მოსცეს.

[1] მომიხსენებიათ.

მერმე ეს ათი წელიწადია ჩემის დის ნაჭონი სახლი ვიყიდე ქალაქის მუჯალამის ძალით და თქვენის დამტკიცებით, მაგრამ შფოთისაგან ვერ მოვისვენე, დღეში ერთს ოინს მომიგონებენ გორჯასაი მდივნის შვილები. შარშანაც ერთი ოქმი მიწყალობეთ, იმაზე დაჩუმდნენ, რომ სიტყვა აღარ ქონდათ. ახლაც ასეთი რამ მოუგონიათ, რომ მე იმ სახლში ველარ დავდგები. ჩემის ნებით უნდა დავაგდო და გამოვეცალო.

ჩემს ეზოში ორი დუქანი არის, პირი ბაზრისკენ აქვს, ექიმი ოსეფას ჯალაბისა არის, სალთხუცესი შუა შემოუყვანიათ, რომ გინდა თუ არა, ეგ დუქნები ამათ მოჰყიდეო და დღეს იმ დედაკაცს ჩემთან ჩემი დისწული გამოეგზავნა, რომ ასე ამბავი არის, არა ვყიდი, მაგრამ ძალით მართმევენო, ვიცი, რომ შენის სახლის ნაშერი არისო, შენი მართებული არის, ახლავ შემიტყობინებიაო.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ქალაქში მელიქი გახლავსთ, ქეთხუდები გახლავან, ვიცი, რომ ყველას იმისი ხათრი და რიდი აქვსთ, მაგრამ თქვენი მზე აფიცეთ და ისრე გასინჯონ და მოგახსენონ. თუ ის იმათი მუნასიბი იყოს, ეს ჩემი არზა მუჩალგა იყოს, ჩემს სახლებზედ ჯელი ამაღებინეთ. და მტერობით მიზემდენ, რომ მე აღარ მედგომლებოდეს, იმისი თქვენ იცით. თუ ჩემს ეზოში არ იყოს, მე მტყუანი ვიყო და გადამხდეს.

თუ ამ წყალობას დამმართებთ, რომ ერთი ოქმი მბძანოთ, ჯერხანათ დააყენოთ, ნურც გაყიდიან და ნურც იყიდიან. ღმერთმან მშვიდობა ქნას, ეგების ხარება დღეს თქვენ ნახოთ. თუ ტყვილი რამ მამეხსენებინოს, თავი დამიდვია. ფებერვლის **კვ**, ქორონიკონს **უჲვ**.

თავში

ქ. ქალაქის მელიქო ავეტიქ და ქეთხუდებო. მერე ღმერთს გაფიცებთ და ჩვენს ბატონყმობას, ამის ჰაღიღათი სწორე მოგვახსენეთ, ქალაქის განწესება როგორც იყოს. მარამდინ სამართლით ამის საქმე არ გარდასწყდეს, ამის სყიდვა უნდა დადგეს. აპრილის **იზ**, ქორონიკონს **უჲვ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

verso

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს მიწა-მტვერს ავეტიქას და ქევხუდებს მისცეს.

ქ. ბედნიერს ჯელმწიფეს ამ არზის ჰაღიღათ[ი]ს მოკსენება გებძანათ. მათ მონათ გავშინჯეთ. ეს დუქნები სწორეთ იოანე მდივნის სახლებში არის მიტანილი, სასყიდლათაც ამისი არის მუნასიბი და უფროც ამას ეჰკრება. და ბძანება ჯელმწიფის აღსრულდეს.

მელიქი ავეტ[ე] | ქართ. | სომხ. | სომხ. | სომხ. | სომხ. | ქართ. სომხ.

423. არზა იოთამაშვილებისა და ქავთარიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 17 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 38. საბუთი № 35. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[15 V] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი იოთამისშვილებს და ქავთარიშვილებს მოსცესთ.

ჩვენო ჯელმწიფეე! ბოქოულის შვილს ნიკოლოოსს თქვენთვის არზა მოერთმივა და თავი ეწყინა, რომ რატევანში წილ[ი] მაქვსო და ოქმი მოგვიტანა: წილი მიეცითო. ჩვენ ფიცით მოგახსენებთ, რომ არც მამებისა და არც პაპებისაგან არა გაგვეგონოს, რომ გურჯირევაზის შვილს იქ წილ[ი] ჰქონდეს.

ჩვენს ქვეყანაში მოხუცებულნი კაცნი იოანე დიანბეგი და დემეტრე ეშიკაღასბაში და ზურაბ სუფრაჯი, ესენი გახლავან და სომხით-საბარათოშვილო გახლავან. ჰკითხეთ, თუ ამათ ან ამბავთ[ა] გაეგონოსთ, რომ გურჯი რევაზის შვილს რატევანში საქმე ჰქონოდეს რამე.

ახლა თქუენი ოქმი იმას აქვს და ჩვენ დიდათ ვწუხვართ, რომ საქმე არა აქვს რა, ოქმი რათ უნდა ჰქონდეს. თუ სიტყვა აქვს რამე, ან თქვენთან გვალაპარაკე და ან დიანბეგებთან. და ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართალი გვიყავ. აპრილის **იგ,** ქორონიკონს **უჲვ.**

თავში

ბატონო მდივანბეგო იოანე, დიმიტრი ეშიგაღასბაშ[ო] და ზურაბ სუფრაჯო! მერმე გურჯი რევაზის შვილებს რატევანში წილი ქონიათ თუ არა, ამის აღიღათი[2] გვაცოდინეთ ჭეშმარიტობით. აპრილის **იზ,** ქორონიკონს **უჲვ.**

[1] ანბათ. [2] აღითი.

ბედნიერ ხელმწიფეს ჩვენ — მდივანბეგების [16] იოვანესათვინ, დემეტრე ეშიკაღაბაშისათვინ და ზურაბ სუფრაჯისათვინ ამ არზის ვითარება ეკითხათ. ჩვენ არც ნახვით გვინახამს არც გაგონებით გაგვიგონია, რომ გურჯი რევაზი[ს] შვილს რატევანში წილი ჰქონდეს. აღიწერა აპრილის **კა,** ქორონიკონს **უჲვ.**

424. არზა გეჟან რატიშვილისა უმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 18 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 149. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე საბუთი № 178.

[92] ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მოსცეს რატიშვილი ბეჟანს.

მერმე ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას. თქვენი შვილი იულონ რომ ზემოდამ ჩამობძანდა და იმას ვიახელ, მაშინ გავიგონე, რომ ფანიაშვილს თქვენთვის არზა მოერთმივა; სხვის ხელით მოგახსენეთ და თქვენ შორს დამიჭირეთ: ის რაღას იჩივლებდაო, იმისი საქმე ხომ გადაწყვეტილი არისო.

ახლა ორნივ მამა-შვილნი აქ გხლებიან, თქვენი ოქმი ჰქონიათ მოწმობა მოუწერეთო; ოთხსაოდ კაცს მოუწერიათ. ის მოწმობაც თქვენთან მიატანინეთ და მდივანბეგებიც თქვენთან მიაყვანინეთ და სამართალიც გვისაჯეთ. და როგორც ახლა თქვენ გვანაწესეთ, ვინც გამტყუნდეს, [V] ისე გარდა[ა]ხდევინეთ, თქვენს გასამარჯვებლად.

ოროლს წელიწადს გაუშვებს და თითოს არზას მოგართმევს ხოლმე, თქვენ ის გარდაწყვეტა აღარ გეხსომებათ და ოქმს აიღებს და ინახავს.

შარშან წინაც კიდევ არზი მოერთმივა, თქვენ მდივანბეგებზე ოქმი ბძანეთ: თუ ფანიაშვილი გამტყუნდეს, ასი ჯოხი დაჰკარითო. მდივანბეგებს თქვენი მზე აფიცეთ, თუ როგორ გამტყუნდა; და ჯოხი მე თითონ აღარ დავაკვრევინე, შუა მევე შემოველ. და ახლაც კიდევ უჩივლია და ნება თქვენია. თებერვლის **კგ,** ქორონიკონს **უჲვ.**

თავში

უფალნო მსაჯულნო! ეს რატისშვილი ბეჭან და ფანიასშვილი თქვენს სამართალში მიაყვანინეთ და ალაპარაკეთ. თუ ფანიასშვილი გამტყუნდეს, ავათ მოეპყარით; თუ არადა, ჩვენ გვაცოდინეთ.

აპრილის **იზ,** ქორონიკონს **უჲვ.**

425. არზა მელიქი შაქროასი ყმის გამოსალებლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 20 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 1. საბუთი № 23. ჰირი. ქაღალდი. მხედრული.

[47] ღმერთმან ბედნიარ ხემწიფის ძის ჭირი მოსცეს თქვენს ყმას მ ე ლ ი ქ ა ს შ ა ქ რ ო ა ს.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს, რომე ერთი კომლი [V] კაცი მახლავს ჩემი სოღალუხს ორნი ძმანი — გ ა ს ჰ ა რ ა და თ უ ნ ი ა. ამას გევედრებით ჩემს მოწყალეს, რომე ასერ ექვსი წელიწადია იქი — სოღალუხს გახლავან. მე ესენი იქაურს[1] ბეგარას ვეღარ მოვარჩინე, რომე ერთი ფულიც მეც ხერი მენახა [ა]მ კაცისაგან. ამას გევედრებით ჩემს მოწყალეს, რომე ერთი ოქმის წყალობა მიყოთ და ი ა დ ი გ ა რ ა ს სახლზედა, რომე უბრალოთ არავინ არ გასარჯოს ან ბეგარაზედა ან სხვაფრივ ჩემო მოწყალევ. აღიწერა აპრილის კ, ქორონიკონს **უჲვ.**

თავში

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი გიბრძანებთ ი ე დ ი გ ა რ! მერმე ამ ჩვენის მელიქის შაქროას კაცი გასპარა და თუნია მანდა სოღანლუხში[2] რომ სახლობს[3], ეს კაცი შენთვის მოგეპარებია, უბრალოთ არავინ რა გასარჯოს და არცავინ რა შეაწუხოს და ნურცავინ ხარჯსა და ბეგარაში გარევთ. თუ ხიზანი კაცს გამოერთმევა რამე, [ე]სეც თავისის შეძლებით მი[ი]ყენონ. თუ არადა, უბრალოთ არავინ რა გასარჯოს, იცოდეთ. აპრილის კ, ქორონიკონს **უჲვ.**

[1] იქურას. [2] სონღალუხში. [3] ღსახლობს.

426. არზა რიქა მოჰმადასი მორიგობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 6 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3766. დედანი. ქაღალდი. 15,8×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს, რადგან იგი არზაზე ადრე ვერ დაიწერებოდა.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს მათს რ ი ქ ა ს მ ო ჰ მ ა დ ა ს.

პირველად მორიგობა რომ გაჩნდა, მაშინვე მე მურახასი მიბძანეთ, მორიგობიდამ ამომიშვით და ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა ლ ე ო ნ მ ა ც ამომიშო.

მე მორიგეთ სულ არ გხლებივარ. და ახლა ს ა ა მ ი ს შ ვ ი ლ მ ა ზ ა ა ლ მ ა დამარბია, რატომ მორიგეთ არ წასულხარო, ხუთი მინალთუნი სარბეცი უნდა მისცეო. ხმალი გირაოდ წამართო. დროული თქუენი მოსამსახურე კაცი გახლავარ და ნება თქუენია. მაისის ე, ქორონიკონს **უჲვ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ლაშქარნივისებო! მერე ამ არზის პატრონი მორიგობის შეუძლებელი კაცი არის. ეს მორიგეთ ვერ გამოვა.

ვინც ამისი იასაულნი იყვნეთ, ამისთვის რომ ხუთი მინალთუნის გირაო გამოგირთმევია, ისევ მოეც, ნუღარ ალაპარაკებ. მაისის **დ,** ქორონიკონს **უჲვ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

მინაწერი

რიქა მოჰმადას მოუხსენებია, თქუენ მორიგობიდან ამომიშვით, მაგრამ საამისშვილმა ზაალმა დამარბია, მორიგეთ რატომ არ მიხვალო.

427. არზა მაია თარხნიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 22 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9286. დედანი. ქაღალდი. 21,3×10,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს მათ ფერჯთა მიწა-მტვერს თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ს ი ო რ ამას ქალს მ ა ი ა ს.

ამას მოვახსენებთ, რომ თქვენგანაც ნაბძანები მაქვს, რომ კიკოლა ჩამოვაო, ჩამოვიდნენ და თქვენი ყმაც აქ გახლავსთ. ამას ვეედრები თქვენს ხემწიფობას, რომ გვალაპარაკოთ და სამართალი გვაღირსოთ. ჩვენი არზაც მანდ გახლავსთ, თქვენის შვილების სადღეგძელოთ. აღიწერა მაის[ის] ოცსა, ქორონიკონს **უძვ**.

თქვენს ხემწიფობას ამას ვეედრები[1], უსამართლობაზე ხელი ააღებინოთ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ნიკოლოზ მოლარეთხუცესო! მერე ამ არზის პატრონს ჩამოეხსენ, ნუ აწუხებ, თორემ თუ კიდევ გიჩივლა, ცოდე დიდად გიწყუენთ. მაისის **კბ**, ქორონიკონს **უძვ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

428. არზა იოსებ გლუურჯიძისა სამართლის მიცემის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 28 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hქ 2680. დედანი. ქაღალდი. 19,7×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს გლურჯიძეს[2] იოსებს. მერე ამას მოვახსენებთ, რომ ამას წინათ ოქში მიბოძეთ ზაზა ყორიასაულბაშზედა. ვისაც რამ ათქმევინეს[3], მუჯალმაც აქ გახლიათ, ცოლ-შვილი ამამიწყვიტა, მეც გამლახა, მოახლეც გამილახა, კიდევაც მემუქრებიან კიკოლამ მოლ[არ]თხუცესმა და იმისმა ძმამა.

მერე ამას გევედრები, სამართალში მალაპარაკოთ. აქ მემუქრება, სიკვდილს მიქადებს და იმ სოფელში უფრო არ მიმესვლება[4]. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი მალირსეთ[5]. მაისის **კე**, ქორონიკონს **უძვ**.

---

[1] + თქვენს. [2] გლულძიძეს. [3] + რამე. [4] მიმეშვლება. [5] + ღმერთი გაგიმარჯვებს.

თავში

ქ. ზაალ ეშიკაღაბაშო! ესენი მსაჯულთ სამართალში ალაპარაკე და ღმრთის წინაშე რასაც მიხვდნენ, ჰეშმარიტი სამართალი საჯრნ. აღიწერა მაისის **კზ**, ქორონიკონს **უძე**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

429. არზა ნინოწმიდელისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 1 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1195. დედანი. ქაღალდი. 33,6×15,9 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან უმაღლესის მეფისა და უწმიდესის პატრიაქის ჰირი მოსცეს მათს მონას ნინოწმიდელს.

ამას მოვაჯსენებ და თავს ვაწყენ, რომ კარგათ მოგეკსენებათ და ძველი გუჯრები და ახალიც ბევრჯელ გინახავსთ, რომ წმიდის ნინოს ეკლესიას საგარეჯოს მესამედი ბაჟი შეწირული აქუს, და თქვენგან გუჯრებიც დამტკიცებული არის, და ოქმიც ბევრჯელ მებოძა თქვენგან მებაჟეებზედა, რომე უნდოდათ ჩემი მესამედი ბაჟი მოეცათ, და არ იქნა მათგან ვერა გამოვიტანე რა.

მიღდისაშვილი სტეფანე და ოჰანეზა თქვენის უმაღლესობის მებაჟენი იყუნენ და ტულაშვილი ბაღდასარა და მიღდისაშვილი შაქარა თქვენის უწმიდესობის მებაჟენი გახლდენ. თქვენის ბძანებით და ოქმით ბევრჯელ ვთხოე ჩემი წილი ბაჟი და მოტყუების მეტი ვერა გამოვიტანე რა.

და მასუკან მე და მაღალაშვილმა დათუამ თქვენის იასაულით ოთხნივ მებაჟეები ჩვენთან მოვაყვანინეთ და ჩვენს წილს ბაჟს თხოვნა დაუწყევით. მებაჟეებმა ერთმანერთს ლაპარაკი დაუწყეს: ანგარი ვნახოთო, და რომელსაც მეტი გვეჭიროსო, მაშინ ერთმანერთთან გავსწორდეთო, მის სიმაღლეს მეფეს და პატრიაქს და ნინოწმიდელს ისე პასუხი გავცეთო.

პირველი ანგარიში მეფეს და მებაჟეებს გამოართვეს პატრიაქის მებაჟეთა და თხუთმეტი თუმანი დადგა. ამ თხუთმეტის თუმნიდამ ხუთი თუმანი მათის სიმაღლის მეფისათვის აიღეს, ხუთი თუმანი მისის უწმიდესობის პატრიაქისათვის და ხუთი თუმანი მე მომცეს.

აქამდისინ მიღდისასშვილმა შაქარამ გვატყუა, მეც ანგარიშს მოგცემთო და ძლივ ახლა გამოვართვით; და შაქარაზედ დაედო ოცდაოთხი მინალთუნი[1], ვთხოვთ და აღარას გვაძლევს.

ამ ვედრებას ვყოფ წინაშედ თქვენსა, ოთხივე მებაღეები თქვენს სამართალში მოაყუანინოთ და სამართალი მაღირსოთ. მაისის კთ, ქორონიკონს **უჲვ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მიღდისასშვილო შაქარაე! მერე შენ რომ ბაჟი გჭერია, იქიდამ რაც ჩვენი წილი იყოს, ჩვენ უნდა მოგვართვა. რაც მათის უწმინდესობის ჩვენის ძმის კათალიკოზის წილი იყოს, იმათ მიართვი. და რომელიც ყოვლად სამღვდელოს ნინოწმიდლის წილი იყოს, ამას მოეც.

თუ სიტყვა არა გქონდესთ რა, ამაზე ნულარ ილაპარაკებ; თავთავისი წილი ასე მიეც, როგორც გვიბძანებია, თვარემ თუ ამაზე ტყუილათ ილაპარაკე, დიდათ გიწყენთ იცოდე. და თუ ერთი ჭეშმარიტი სიტყვა გაქვს რამე, მოგვახსენე. ივნისის ა, ქორონიკონს **უჲვ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მაკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

430. არზა ფირან შაბურიშვილისა მამულის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1778 წ. 10 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 30. საბუთი № 173. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[189] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის ლეონის ჭირა მოსცეს შაბურიშვილს ფირანს.

მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს ხელმწიფეს: ერთი საკომლო მამული თქვენი სახასო ბუჩუკურას არის. მე საქმე არა მაქვს, რომ წყალობას[2] გევედრებით, რომ წყალობა დამ[მ]ართოთ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. თიბათვის თ, ქორონიკონს **უჲვ**.

თავში

ბატონიშვილი ლეონ გიბრძანებ ბოქოულთხუცესთ ავთანდილ! მერე ამას წინათ რომ ამ მამულის ხელის ამართვა გიბრძ[ა]ნეთ, ის მამული ისევ ფირანსვე მიაბარე. ივნისის ი, ქორონიკონს **უჲვ**.

[1] მილანთუნი. [2] წყალობას.

431. არზა მთიულთ მოხელეებისა ოქმის ბოძებაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1778 წ. 14 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9178. დედანი. ქაღალდი. 16,5×8,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ძის ლეონის ჭირა მოსცეს ერთობ მთიულთ მოხელე[ე]ბს.

მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს: ვალი გვაძევს ღმრთის ბრძანებით, რომ ყოველის საქმით თქვენს სამსახურს უნდა გარდვიხდიდეთ. მაგრამ უბრალოთ წამსვლელ-მომსვლელი ყველა ჩვენ გვაწუხებს თქვენი ოქმისა და ბრძანების მჭონელიცა და სხვა თავის საქმეზე წამსვლელი კაციცა. ჩვენ კი წიგნი არ ვიცით, რომ წავიკითხოთ რაც სწერია, იმ რიგათ მოვექცნეთ. თუ არადა, ვინც ერთს უბრალოს წიგნს გამოაჩენს, ყველა თქვენი ოქმი და ბრძანება გვგონია. ქვეყანა მეტად შესწუხდა ამგვარის საქმე[ე]ბით.

ამ მოწყალებას გევედრებით, რომ ამისთანას ძალისა და ზაბუთისაგან ცოტა შაღავათი[1] დაგვეძართოს, რომ არცარავინ თქვენ გაწუხებდესთ და არც ხალხი შესწუხდებოდეს. ერთი ასეთი გზა და ბინა მოგვეცით, რომ თქვენი სამსახურიც აღსრულდებოდეს და ჩვენც გაგვეძლებოდეს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. ივნისის იბ, ქორონიკონს **უჲვ**.

თავში

ქ. ბატონიშვილი ლეონ გიბრძანებ ამ არზის პატრონო! დღეის იქით როგორც ჩვენი ოქმი და ბრძანება მოგიყიდესთ. ისე მოიქეცი. ნურცარას მოუმატებთ ჩვენს ბრძანებასა და ნურც დააკლებთ. ივნისის იდ, ქორონიკონს **უჲვ**.

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

[1] შავაღათი.

432. არზა დავით აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე. ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 18 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 9. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[6] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს აფხაზისშვილს დავითს. ჩემი საცოდაობა და დამდაბლება ან სიკვდილისაგან და მეზობლებისაგან რომ მოხსენებული გქონდესთ, შემიბრალებთ თქვენის მოწყალებისაგან ასე შორს დარჩომილსა.

ახლა ამაზედაც მაწუხებენ — სამოცდაათი წელიწადი ხელთ მიჭირავს, წიგნი მაგათა აქვსთ, თუ მაგათი იყო, რატომ ვერ იპოვნეს, დღეში ერთხელ ხომ ნახვენ ხოლმე. მაგრამ თქვენს თავსა ვფიცავ, მამის ჩემის წილია და ეგენი რომ დაობენ, ის არ არის.

იქ იყვნენ, [7] ზაქარიამ დამაფიცა, ეს რატომ არ მითხრეს ჩვენს მამულს რად იფიცაო. თქვენი ნება[ა], თუ შემომფიცვენ, ხელს ავიღებ; თუ არადა, წყალობა მიყავით ერთის ოქმისა, რომ ან შემომფიცონ და ან შევფიცავ, ხელი აიღონ ჩემზედ. ივნისის **ბ**, ქორონიკონს **უჲვ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ბებურიანო! მერე დავით აფხაზს რომ ამ არზით მოუხსენებია, ეს, დია, რიგიანი მოხსენება არის. თუ გინდოდესთ, როგორც სამართალმა განგირჩიოსთ, იმ წესითა თქვენ შეჰფიცეთ და ფიცით გაიტანეთ; და თუ არადა, დავით აფხაზი დააფიცეთ და ხელი აიღევით დავაზედ. დიდის ხნის საქმე არის და თუ არ ფიცით სხვით არათი გარდაწყდება. თიბათვის **იᲪ**, ქორონიკონს **უჲვ**.

რომელმე მხარე თუ ასეთს საბუთს და მოწმობას იშოვნით, რომ საქმე იმით გარდასწყდეს და გაირჩეს, ხომ ის სჯობს: თუ არადა, ფიცით უნდა გაირჩიოს და გარდაწყდეს. [ ]

მოწამე ვინ ჰყავსთ ასეთი რომ იმათგან გაირჩიოს. სამოცდაათი წელიწადია მე მიჭირავს. მოწამე ოთხმოცდაათი წლის უნდა იყოს და ვინ არის ასეთი კაცი. დავით აფხაზიშვილს მოუხსენებია: სამოცდაათი წელიწადია მამული მე მიჭირავს და ტყვილათ მედავებიანო. [ ]

433. არზა პაატა იმერელისა ყმოგის თაობაზე გიორგი გატონიშვილის ოქმით

1778 წ. 2 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1266. დედანი. ქაღალდი. 17,2×10,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ძის გიორგის ჭირი მათს მიწა მტევრს პა[ა]ტა იმერელს მოსცეს.

მერმე თავად იმერეთს აზნაურისშვილის ყმა ვიყავ, ახალციხეს გამყიდა, თავი დავიხსენ, ისევ ჩემს მამულს მივ[ე]ტანე. მასუკან შვილის თხოვნა დამიწყო. ავდექ, აქათ თქვენს მიწა მტევრს მოვ[ე]ტანე სურამს. მურვანიშვილმა მითხრა: ჩემთან იყავ, არავის მიქცემო.

არჩილ გამოიარა დამაბეზღეს, დამიჭირა. მეორეთ არჩილიდამ დავიხსენ თავი. იქიდამ არბოს ჩამოველ. მირზაშვილმა მითხრა: ბატონის ოქმი მაქვსო, ამყარა, გამატიტვლა და ისევ ჩემს უწინდელს ბატონს მიმცა.

სამჯერ გაყიდულ ვარ, მეოთხეთ ეს არის თქვენს საფარველს მამიტანებია. ღმერთი გაგიმარჯვებს საქრისტიანოს ხემწიფევ, ერთის ოქმის წყალობას ვითხოვთ, რომე თქვენი ყმა ვიყო, ერთი ალაგი მიბოძოთ სადმე ვიდგე და გემსახურო თქვენის შვილების სადღეგრძელოთ. მარიამობის **ბ**, ქორონიკონს **უჲვ**.

თავში

ქ. ბატონიშვილი გიორგი გიბძანებს ამ არზის პატრონო. მერე რადგან შენის მემკვიდრე ბატონისაგან გაყიდული ყოფილხარ და თავდახსნილი და აქ ჩვენს ქვეყანაში დგომა მოგინდომებია, ჩვენ კაის ბინას მოგცემთ. შენთან საქმე აღარავისა აქვს და ვერცავინ შეგაწუხებს. მარიამობისთვის **ბ**, ქორონიკონს **უჲვ**.

ბეჭედი მეფის ძე გიორგი.

434. არზა დავით ამირეჯიბისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 12 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1456. დედანი. ქაღალდი. 17,3×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს დავით ამირეჯიბს. ულუმბელი ჩუენი ყმა კაპანაძე ბერიალი

რომ წახდა, მაშინ იმერეთს გარდ[ა]ვარ[დ]ა. და თქუენგან ოქმი მაქუს ნაბოძები; იმერეთიდამ რასაც კაცს მოიყუან შენს ყმას თუ სხვის ყმას, შენ ვეღარავინ გამოგართმევსო. თქვენის ოქმის ძალით ჩემის ხარჯით კაპანაძე ბერი იმერეთიდამ გარდმოვიყუანე.

ერთის ოქმის წყალობა გვიყავით: ან ჩემს ძმას და ან სხუა კაცს. ამ კაცთან ჯელი არა ჰქონდეს. ღმერთი გაგიმარჯვებს. აგვისტოს თ, ქორონიკონს **უჲვ.**

ახლა გარდმოვიყუანე ფერისცვალებას.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. ეს კაცი რადგანც ამას მოუყვანია, ამისი არის. ამაში სხვას საქმე არავისა აქვს. აგვისტოს **იბ,** ქორონიკონს. **უჲვ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

დავით ამირეჯიბს მოუხსენებია: ჩემი ყმა კაპანაძე ბერი იმერეთიდამ გარდმოვიყუანე; ერთი ოქმი მიბოძეთ, ამასთან ჩემს ძმას ჯელი არა ჰქონდესო.

435. არზა თარხანა ყორღანაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 22 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 47. საბუთი № 135. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[100] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათის უმაღლესობის მეგობრე ყორღანაშვილს თარხანს მოსცეს.

ჩემო ჯელმწიფევ, ახლა ამას მოგახსენებ. ქართლში ორი ურემი მარილი გაეგზავნე, ათი ქვამარილი და ერთის ჩემი მეურმის თოფი ფარსადან მაჩაბელს წაურთმევია და იმას აქვს დღესაც. თოფი იმერლისათვის მიუყიდნია და მარილები კი ისევ შინ უწყვია. და ერთი ცხენიც ჩემის კაცისა ფალავანდიშვილს გლახას წაერთმევია.

ამის წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ ეს ჩემი წანართმევი საქონელი უკანვე მე დამიბრუნონ. ღმერთი გაგიმარჯვებს, შეც თქვენი [V] ნამსახური და ოჯახიშვილი გახლავარ. თქვენის წყალობით ასე უბრალოთ არ უნდა დავეჩაგვრინო სხვასა. აგვისტოს ქ. ქორონიკონს **უჲვ.**

თავში

ჩვენო ღვთის წყალობავ შვილო ბატონო ალმასხან! ხომ კარგათ იცი ეს თარხანა ყორღანაშვილი მამა-პაპით ჩვენი მკვიდრი აზნაურშვილი არის და ნეტარად ხსენებულის პაპის შენის გაზრდილი და ჩვენი ეთგულად ნამსახური კაცია და ჩვენს კარზედ მოხელედ დგას. შენი გასარიგებელი საქმე არის. ამაზედ ახლავ ბეჯითად კაცი დააყენე და ეს საქმე გაურიგებინე. და ეს მარილი, თოფი და ცხენი თუ ახლავ არ გამოურთმევინე და არ მოაცემინე, თითქმის ჩვენს მამაშვილობაზედ ხელი უნდა აიღო. ამ საქმეში შენ ურევიხარ. თუ ახლავ არ გაურიგე, არას გზით არ იქნება. აღიწერა აგვისტოს **კბ,** ქორონიკონს **უჲვ.**

436. არზა ოქრომჭედლიშვილის ჯალაბისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 23 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 229. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 246.

[160 V] ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწა ფეხთა მტვერს საწყალ ქვრივსა და ობერს ოქრომჭედლიშვილის ჯალაბს.

ჩემს ხემწიფეს ამას მოვახსენებ: ერთი ცოდვი[ს] შვილი ყვანდა თქვენს ყმას დავითიშვილს ყმის ცოლთან. თქვენის ბძანებით სამართლით გამოვიტანე, იმისგან ველი ცეცხლის ანთებას, ობლების მოვლ[ა]ს. კიდევ არ ეხსნება ფავლენიშვილი. ამდენი თქვენი მოწყალება იყოს, არც იმას ქონდეს ხელი, არც დავითიშვილს. ოცი კოდი **[161]** პური ქონდა თავისის ღამით მეხრეობით. ისიც წაართვა. ამას გარდა ბიჭი გამიყიდეს[1] მაჩაბლებმა, ერთმანეთზე აგდებენ, არ მამცეს რა, თქვენი ოქმი და განჩენი მაქვს, არას მაძლევენ. ფავლენიშვილმა წიგნები წამართვა, სამართალში რით ველაპარაკო.

[1] გამამყიდეს.

ღმერთი გადღეგძელებს, ამის სამართალი მაღირსეთ. ღმერთმ[ა] ისე თქვენს ორგულს გაუჭიროს საქმე როგორც მე მიჭირდეს. თქვენი რისხვა მჭონდეს[1], თუ ერთი დღის სარჩო მჭონდეს. ჩემო ხემწიფევ, ღმერთი შვილებს გიდღეგძელებს, ერთი გზა მიბოძეთ, თქვენს სახელმწიფოში ობლები დავზარდო თქვენის წყალობით. აგვისტოს **კბ**, ქორონიკონს **უჲვ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის. შერე ბღ̃ში თავისუფალი ვისთანაც უნდა მივა და ეყმობა.

ზ ა ზ ა ვ ყორიასაულბაშო, აწას ერთი ბეჯითი იასაული მიეც, რაც მაჩაბელზე იყოს, ახლავ გამოურთვას და მოსცეს. ფ ა ნ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ს იესესა და თ ე ი მ ურ ა ზ ს წიგნების წართმევას რომ უჩივის, იმაზე კაცი შეაფიცონ, რომ ამათს ცმას პ ა პ უ ნ ა ს რაც წიგნები წაერთმიოს, ისევ მიეცეს და ამის წიგნი იმასთან აღარ დარჩონილიყოს რა.

და თუ ცერ დაიფიცოს, თავის წიგნები გამოურთვას, მოსცეს. ამაზე ბეჯითი იასაული და[ა]ყენე, რომ ამაებს გაურიგებელს ნუ გაუშვებ. აგვისტოს **კგ**, ქორონიკონს **უჲვ**.

437. არზა იოსებ მამაცაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 24 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Q-I 1741. დედანი. ქაღალდი. 29,3×20 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ასოს ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ყელმწიფის ჭირი იოსებ მამაცაშვილს მოსცეს. ოთხი წელიწადი არის საქიდან მამაცაშვილის მამული თქვენგანაც მებოძა და ბატონის დედოფლისაგან და ბატონიშვილებისაგანაც დამმტკიცდა; თქვენის ძმის პატრიარქის ნებაღართვით და მ რ ო ვ ლ ი ს გ ე რ ბ ა ნ ე ს აგანაც ცალკე სიგელი მამეცა. მაგრამ მაშინვე ჩემ[მ]ა განაყოფებმა თავი გაწყინეს: ჩვენი უფრო ახლო ნათესავი იყოო.

[1] გჰხვდეს.

თქვენგან კიდევ ეს ოქმი მებოძა: თუ რაც ამ მამულისათვის ღაცვარჯვია, მოგიდგნენ. და ის მამული რომ თორმეტ თუმნათ დაგირავებული არის, ორთავემდინ დახსნა შეიძლონ, სამათ გაიყავითო: თუ არადა, ორთავეს ერთან შენთან საქმე არა ექნებათ რაო.

მე ჩემი წილი ნებაამედი მაშინვე დავიხსენ და სხვას აღარ ვეცილე: ამისთვის, რომ თქვენთვის თავი აღარ ეწყინათ და წიგნიც მამცეს: შენს წილს ნესამედთან ჩვენ ხელი აღარა გვქონდესო; მაგრამ ოთვეთი წილი კი მეორეთ დააგირავეს.

ახლა თქვენის ოქმის ძალით დანახარჯ[ი]ს თხოვნა რომ დაუწყე, ამ მიზეზით არზი მოურთმევიათ: ის შესამედიც წაართვით და ჩვენ მოგვეცითო. ამ ჩვენმა ბატონმა მროველმაც დაუშალა; რადგანც ბატონებისაგან და მროველისაგან გარიგებული არიაო, ეს წიგნები აღარ მოიშლება, ტყვილათ ბატონს თავს ნუღარ აწყენო; მაგრამ არ დაიშალა. ნდივანბეგებზე ოქმი გიბოძებიათ.

ჩემი ვედრება ეს არის: თუ დანაშაული მაქვს რამე, რაც თქვენი წყალობა მჭირს, სხვაც სულ თქვენის ჭირის სანაცვლო იყოს. თუ არადა, თქვენი წყალობა აღარ მამეშალოს, ასე გარდაწყვეტილი და დამტკიცებული არის.

მე მდივანბეგებთან სალაპარაკო აღარა მაქვს რა, თქვენგან მბოძებია და მროველისაგან. ეს თქვენი წყალობის წიგნებიც აქ გაბლავსთ და მროველისაცა. და ნება თქვენია, ჩემო ჯელმწიფევ. მარიამობისთვის **კა**, ქორონიკონს **უჲვ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე როგორც ეს გაგვიყვია და გვიბძანებია, ისე უნდა აღსრულდეს. ამისი მოშლა არ იქნება. როგორც ამ იოსებს ჩვენი ნაბოძები წიგნი აქვს, ისევ დაგვიმტკიცებია. აღიწერა აგვისტოს **კდ**, ქორონიკონს **უჲვ**.

ბიქედი: ქნარს მიცემს, დაჲით მიქმობს ძედ კახეთის მყუდედ ცხებულს, ერეკლე.

438. არზა ვიორგი ჯილავდრისა ჯამაგირის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1778 წ. 17 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1854. დედანი. ქაღალდი. 16,2×11,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ყელმწიფის ძის ლ ე ო ნ ი ს ჭირი მოსცეს ჯ ი ლ ა ვ დ ა რ ს გ ი ო რ გ ი ს.

სამი წელიწადია არაფერი მბოძებია. მეტს სიღარიბეში გახლავარ. ჰეშმარიტად თუ არა მრცხვენოდეს, გლახათ დავალ. ყმარწვილიც შეწუხებით ავათა მყავს. მცირეს მოწყალებით ჯელი აღმიპყარით, ღმერთი გაგიმარჯვებს. სეკდემბერს **ვ**, ქორონიკონს **უიგ**.

თაეში

ქ. ხუთი მინალთუნი ხომ მოგვიცია შენს ჯამაგირში და სხვა რაც გაკლია, ღვთით ჩამოვალთ და გიბოძებთ. ენკენისთვის **იზ**, ქორონიკონს **უიგ**.

ხუთი მინალთუნი ბ ე ც ი ა მ უნდა მოგაბაროს.

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ღ ე ო ნ სახელად მძესა.

მარცხენა კიდეზე

ქ. ანანურის სამღებროს იჯარადარო! ამ ჩემს ნათლულს გიორგის ერთი თუმანი მოეც, რომ იქნება ამისი ნახევარი **ჰ** (ხუთი მინალთუნი) — ამდენი. აპრილის **კდ**, ქორონიკონს **უიზ**. ღეონ

439. არზა ბაბაში სულთნისშვილისა ძმეების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 3 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. №: 9690. დედანი. ქაღალდი. 20,3×15 სმ. მხედრული. დაზიანებული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ბაიდრის სულთნისშვილს ბაბაშის.

მერმე ამას მოგახსენებთ: ჩემი ძმები მოგეხსენებათ, რომ ოსმალოშიგ იყვნენ[1]. იმ ჟამზედა მოველ და თავი გაწყინე. თქვენ მეტი მოწყალე არსაითა მყვანდა. თქვენგან ოთხი კომლი კაცი დამემართა წყალობათ. თქვენიც ორგული იყვნენ ის ჩემი ძმები და ჩემიც. თავი გაწყინეთ. თქვე[ნი] ბძანებით წაველ და მოვასხი ის ჩემი ძმები. თქვენს უბძანებლად ის ჩემი ძმები მოვინდომე, ავიღე და ერთი კომლი კაცი მიეცა, ემსახურებოდა. ამ შემოდგომაზედ ის კაცნი თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა. ახლა ის ჩემი ძმები სასიკვდილოთ მდევენ. სამი კომლი კაცი დაგრჩომია, ისიც მოგვეცო. ეს მე იმათ მივსცე, ჩემი რჩომა, მოგეხსენებათ, რაღა იქნება.

[1] იყონენ.

ჩემო ხემწიფევ, გევედრებით, რომ ერთის ოქმის წყალობა მიყოთ, რომ ჩემს ძმებს ჩემთან ხელი არა ქონდესთ. თქვენის წყალობის წიგნში[1] არცა სწერია და არც ხელი აქვსთ. გიორგობის **ბ**, ქორონიკონს **უიგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ბაიდრის სულთანო და ბაიდრის სულთნისშვილებო! ეს ოთხი კომლი კაცი ამ სულთნისშვილის ბაბაშისათვის გვიბოძებია. ამასთან საქმე ნურავისრა გაქვსთ, თორემ ჩვენად შეცოდებად მოგკითხავთ. გიორგობის **გ**, ქორონიკონს **უიგ**.

თუ ვისმე სიტყვა გქონდესთ, მოგვახსენეთ.

ბეჭედი: ქნარს ჰიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გ ი ო რ გ ი, კურთხეულის მეფის, ბატონის მამის ჩვენის ბძანებასა ამას ვამტკიცებთ. ნოენბრის **ა**, ქორონიკონს **უპვ**. გიორგი

[1] წიგნშიგ.

440. არზა გოგია ლალაშვილისა გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1778 წ. 9 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 10287. დედანი. ქაღალდი. 25,7×10,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი. ა-ნაკლები.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის დედოფლის ჭირი მოსცეს მათს ფერხთა მტვერს ლ ა ლ ა შ ვ ი ლ ს გ ო გ ი ა ს.

მერე ამას მოვახსენებთ თქვენს სიმაღლეს, რომ ამას წინათ სურსათი მოგერთოთ, რაც შემამხვდა, მეც ჩემის ხარით მოვიტანე, ამბარდანს მივაბარე — ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ს; არცვის სხვას მისცა ბარათი, არც მე; ბარათში დაგწერო. ის აქ არ გახლავთ. ახლა კიდევ მთხოვეს. თქვენი მუხანათი ვიყო, თუ არ მამეტანოს.

ამდენი წყალობა გვიბოძეთ, რომ ის კაცი მამაცდევინონ. თუ არ მიმიბარებია, ჩემი თავი თქვენის ჭირის სანაც[ვ]ლო იყოს.

თაგში

ქ. მოანგარიშე[ე]ბო! ამ არზის პატრონს რომ ეს პური მოუტანია, ავთანდილ მეგობრესთვის მიუბარებია, ასე უმოწმეს; ჩვენ ეს ყაბზათ ანგარ[იშ]ში გავატარეთ; როდესაც ეს ყაბზი მოგვიდესთ, ავთანდილს თავილათ უნდა და[ა]წეროთ. გიორგობის თ, ქორონიკონს **უიგ**.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

ქ. მე ამბარდანი ქიტესა უნდილაშვილი ასე ვწერ: გამიწყრეს ანანურთ ღმრთისმშობელი, თუ არა მიეცეს ოცდაოთხი ლიტრა პური ავთანდილისთვის.

441. არზა შოშია საყვარელიძისა ღალის თაობაზე იესე მდივანბეგის ოქმით

1778 წ. 28 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3013. დედანი. ქაღალდი. 19,8×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ბატონის ამილახვარ-მდივანბეგის ჭირი მოსცეს მათს მიწას საყვარელიძე შოშიას.

ამას მოვახსენებთ: მე თქვენის ბძანებით თორმეტი დღე აბის [ს] გახლდი. მისულა გოგია ნამორაძე ტბეთსა და ჩემის მიწების ღალა აუღია. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამაზედა სამართალი მაღირსეთ. თავისთავათ მივიდა და ჩემის მიწების ღალა აიღო. არც თქვენ მოგახსენათ და არც ვინც ბატონისაგან მოხელე გვყავს განწესებული არც იმას შიატყობინა; თავისთავათ ღალა აიღო. წყალობას ვითხოვთ, სამართალში გვალაპარაკოთ. გიორგობისთვის **კდ**, ქორონიკონს **უიგ**.

თაგში

ქ. ამილახორ-მდივანბეგის იესეს დიდ[ო] იმედო პეტრე ქვანჭახაძე! ვისაც ეს საყვარელიძე ღალას უჩიოდეს, გამოურთვი. და თუ სიტყვა ვისმე აქვს, სამართალში მოიყვანე. გიორგობისთვის **კწ**, ქორონიკონს **უიგ**.

ბეჭედი: მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად, იესე.

442. არზა ამილბარ სახლთხუცესისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 5 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1635. დედანი. ქაღალდი. 21,2×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან უმაღლესის მეფის ჭირი მოსცეს ამილბარ სალთხუცეს [ს].

მერე ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს: გორს ერთი უბატონო გლახა კაცი იყო კუტი და ბრმა; ერთი შვილი ყოლოდა, იმას ჭურდობა ეჭნა, საძღაური დასდებოდა, თავი დაეგირაოებინა. იმის მამა მოვიდა და შამომეხვეწა, თეთრი მიმაცემინა და ნასყიდობის სიგელით იმისმა მამამ ქეთხუდების მოწმობით მამყიდა.

ახლა პაპა მწერალს თავისთვინ მოუმდომებია და მართმევს. ერთი ოქმის წყალობა მიყავ, რომ ჩემი ნასყიდი კაცი მებოძოს. დეკემბერს დ, ქორონიკონს **ჩლოზ**.

თაგში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო თუხარელო გოგიავ! მერე რომელიც კაცი ამას უყიდნია, ის კაცი ახლავ მდივანბეგების სამართალში მოიყვანე. თუ იმ კაცს სიტყვა აქვს რამე, მოსამართლეებმა გაშინჯონ და სამართალი უსაჯონ. და თუ სიტყვა არა აქვს რა, თავისი ნასყიდი კაცი დაანებონ. დეკენბერს ე, ქორონიკონს **უიგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

443. არზა გეცია გედევანიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 9 დეკემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 17. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[19 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს გეცია გედევანიშვილსა.

მამა ჩემსა დ, გაბრიელს სარდალსა გასაყოფი[1] გვყვანდა ორი კომლი კაცი, გავიყავით — ერთი სარდალს შიოშს ერგო,

[1] გასაყობი.

მეორე მე მერგო. რომელიც მე მერგო, ის კაცი ახალქალაქს ბერს თარხნისშვილთან არის. მამით, პაპით მემკვიდრე ჩვენი ყმა არის გოროვნელი. მოგახსენეთ, ბეცია თარხნისშვილზედ ოქმი მიბოძეთ, არ ამიყა[რა].

ამ მოწყალებას ვითხოვთ, ერთის ასეთის იასაულის წყალობა მიყოთ, ჩემი ყმა ამიყაროს და მომაბაროს. ღმერთი გაგიმარჯვებს. ქრისტეშობის **დ,** ქორონიკონს **უივ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის იასაულო ბეციავ საამიშვილო! მერე ამ არზით ბეცია გედევანიშვილი ასე რომ ჩივის, ეს კაცი აუყარე, მოეც. და თუ სიტყვა აქვს რამე, სამართალში ალაპარაკე. დეკემბერს **თ,** ქორონიკონს **უივ.**

თუ ტყუილათ ილაპარაკებენ, რომელიც გამტყუნდება, გარდახდება.

444. არზა გორელი სარჭიასი სახლის ადგილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 7 იანვარი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 961. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს გორელს თქვენს სახასოს სარჭიასა.

ამას მოვახსენებ: ხუთი ვაჟიშვილი მყავს, ერთი სახლი არა მაქვს, რომ თავი მოვაფარო. ამტელი თქვენი წყალობა იყოს, მოხელეს უბძანოთ: ერთი თქვენი ბეითალმანი[2] სახლის ალაგი მომცეს, რამე ავაშენო, დავდგე, რომე ეს შვილები გორიდგან არ დამეფანტნონ. იანვრის **გ,** ქორონიკონს **უიზ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის გორის მამასახლისო ზურაბ. მერე ამ არზის პატრონს ერთი ბეითალმანი სახლის ადგილი უშოვნე და მოეც. იანვრის **ზ,** ქორონიკონს **უიზ.**

[1] გასაყობი. [2] ბეითალუანი.

445. არზა შიო ხახანაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 8 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2968. დედანი. ქაღალდი. 22×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ერთაწმინდელს წმიდის ესტატეს ყმას ხახანაშვილს შიოს.

წელს ენკენისთვეში თარხნიშვილმა ზურაბმა ღ[ო]რი მომიკლა და შეჭამა. მიველ, ჩუენს დეკანოზს სვიმონს მოვახსენე: როგორ ბატონი ხარ, რომ არაფერს მიშველი-მეთქი; თარხნიშვილმა ზურაბმა ღორი მომიკლა და შეჭამა-მეთქი; დეკანოზმა მიწყინა, გამომიდგა უკან და დიდი ალაგი მდივა; და ახლა დეკანოზი ცილს მიგონებს, ჩემზედ სატევარი ამოიღეო; ან სისხლი მომეციო და ან თავი ნასყიდობით მომეციო.

ჩემო ჯელმწიფევ, მოწმები მყავს, რომ დეკანოზი სატევრის ამოღებას ტყვილად მიგონებს. სამართალი მაღირსედ, ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის **ზ,** ქორონიკონს **უიზ.**

თავში

ქ. დეკანოზო სვიმო[ნ], ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ას[ე] ჩივის, სამღვდელოს კაცისაგან ამგვარი შიხთლები, დიაღ, უმონასიბო არის. ამას დაეხსენ, ნუ აწუხე[ბ. იან]ვრის **ი,** ქორონიკონს **უიზ.**

ქ. თუ სიტყვა გქონდეს, ჩვენ მოგ[ვახსენე].

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

446. არზა თამაზ ბეგურიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 9 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2587. დედანი. ქაღალდი. 21,6×16 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩემის მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს. თამაზას ბეგბურიშვილს.

ახლა ამას მოვახსენებ ჩემს ხელმწიფესა: ნიკოლოზ ფურ-

ცელაძეს ერევანიდამ ერთი სომეხი მოეყვანა და ჩემს მამულში იყო. იმის ქალი ჩემს კაცს შეერთო. ყარაღაჯს რომ ჩვენი ჯარი დაამარცხეს და ჩემი ძმა თქვენის ჰირის სანაცვლო შეიქნა, იმ დროს ფურცელაძეს ეჩივლა. იასაული გებოძათ, აეყარა ის სომეხი. და ის ჩემი კაცი, რომ იმ სომხის ქალი შეერთო, ისიც თან გაყოლოდა და იქიდამ გავაზს წასულიყო ის ჩემი კაცი.

ახლა ვევედრები თქვენს კელმწიფებას, ერთი უყმო კაცი გახლავარ, იმისი მოწყალება მაღირსოთ. უწინაც თქვენი ოქმი მქონდა, მაგრამ დღეხვალობით დამრჩა. ამ წყალობას ვითხოვ, რევაზზედ ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ ჩემი კაცი მომცეს. იანვრის თ, ქორონიკონს უიზ.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის რევაზ! მერე ამ თამაზას თავის კაცი ახლავ აუყა[რ]ე [და] მოაბარე. თუ სიტყვა ვისმე აქვს, ჩვენ მოგვახსენოს. იანვრის თ, ქორონიკონს უიზ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

447. არზა გლახა ფავლენიშვილისა მამულის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 14 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3281. დედანი. ქაღალდი. 11,8×9 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი გლახა ფავლენიშვილს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას: ბიძაჩემმა ჩვენი ერთობის ზვრის ნახევარი გაყიდა და სხვას კაცს მიჰყიდა. თქვენგან განწესებაც ასე არის, რომ თავის სახლისკაცმა უნდა იყიდოს.

ახლა ამ წყალობას ვითხოვთ, რომ ისევ მე დავიხსნა ჩემი მამული. ერთის ოქმის წყალობა მიყავით, რომ დამახსნევინონ; ეგეთის თქვენის წყალობით ვენახი ავაშენო. იანვარს ია, ქორონიკონს უიზ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ამ არზით გლახა ფავლენიშვილს რომ ასე მოუხსენებია, ამისი მოხსენებული ჭეშმარიტი არის. ბიძა ამის რომ მამული გაუყიდნია, ამისთვის უნდა მოეყიდნა. ვისაც უყიდნია, ამას უნდა დაახსნევინოს და რაც მიუცია, ამას გამოართვას. იანვრის იდ, ქორონიკონს უიზ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

448. არზა თამაზა ფურცაძისა სამართლის მიცემაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 15 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2155. დედანი. ქაღალდი. 19×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს ფრცველს დავითისშვილის ზაალის ყმას ქურციძე თამაზას.

შიწდიშს თავყელისშვილის კედლად ხიზნად გახლავარ, რაც შეძლება მაქვს ბატონ ჩემსაც ვემსახურები და თავყელისშვილსაც. ახლა თავყელიშვილი სახლში შემომესია, გამლახა, ერთი ჯარი და ერთი ჯბოიანი ფური წამართო, არ ვიცი რა დანაშაული მაქვს. ვგონებ ეს განიზრახა: ეს ხომ თავის ალაგს ფრცას წავაო და მე აღარას მემსახურებაო და იმისთვის ამიკლო. სხვა დანაშაული არ გამაჩნია[1] რა.

სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის იბ, ქორონიკონს უიზ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იას[ა]ულო ხერხეულიძე ავთანდილ. მერე რაც თავყელიშვილს ამ კაცისათვის წაურთმევია, ახლავ გამოურთვი, მოეც. თუ სიტყვა აქვს რამე, სამართალში ალაპარაკე. იანვრის იე, ქორონიკონს უიზ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] ჩამაჩნია.

449. არზა ბეჭან დოლაბაშვილისა ძმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 21 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3055. დედანი. ქაღალდი. 18,3×10,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს დ ო რ ა თ ა შ ვ ი ლ ს სალთხუცესს ბ ე ჟ ა ნ ს.

ამას წინად თქუენს სიმაღლეს არზა მოვართვი და მსაჯულზედ ოქმი გუიბოძეთ, წინაშე ღმრთისა სამართალი მოეციოთო. ზ ა ა ლ ყ აფლანისშვილი და მე სამართალში მალაპარაკეს, ჩემი მოწამეც მოახსენეს და ზაალისაც. მე მიბძანეს მსაჯულთ: დაიფიცეთ და კაცი შენ დაგრჩებაო, რომ სწორეთ ეს იქაური იყოს, რომელსაც ბ ე რ ი თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი მოწმობსო. ზურაბ ყაფლანისშვილმა მითხრა, შენ მოლა უნდა იყო, შენ რა იცი ფიცისაო, შენს დღეში წმიდას ზიარებას არ შემთხვევიხარო.

ჩემო ჯელმწიფევ! ოთხმოცის წლის მართლმადიდებელს კაცს მოლობა რომ მითხრა, დიდად შევწუხდი[1] და მეც უთხარ: მაშ შენ ჩინჩავატი იქნები მეთქი. ღმრთის მადლით და სამართლის ძალით კაცი მე მრჩებოდა, მაგრამ ზაალ წამოხლტა სამართლიდამ აი რა მითხრაო და რა მომიგონაო.

ჩემო ჯელმწიფევ! თუკი ოთხმოცის წლის კაცს ასე მითხრა, მეც ჯავრით ეს უთხარი. სამართალი მაღირსედ, ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის **კგ, ქორონიკონს უიზ.**

თავში

ქ. უფალნო მსაჯულნო! ამ გლეხზედ რომ ჩიეის, ღმრთის წინაშე ამისი სამართალი მიეცით. და ერთმანეთისათვის რომ წაუძახნიათ ეს, თუ ნებავსთ, ამაზე სამართალში ილაპარაკონ. იანვრის **კდ, ქორონიკონს უიზ.**

ახლავ ამ გლეხის სამართალი გადაუჭერით.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დაცით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] შევსუხდი.

450. არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა ხარეგის თაობაზე იასე ამილახვარ-მდივანბეგის ოქმით

1779 წ. 4 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 73. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[40] ღმერთმან ბატონის ამილახვარ-მდივანბეგის ჭირი მოსცეს ე რ ე კ ლ ე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ს.

მერე ორს ჩემს კაცს — ტ ა ბ უ ც ა ძ ე ს და კ ო ბ ე რ ი ძ ე ს ფ ე შ ა ნ გ ი ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი ს შ ვ ი ლ მ ა ერთს უღელი ხარი წა[ა]რთვა და ერთსა [V] ცალი ხარი წა[ა]რთვა. ახლა წამოვიდნენ ის კაცები საჩივლელად ბატონთან; და დახვდნენ ლეკები, ერთი კი დაიკარგა და ერთი მორჩა; და ის ერთი კვამლი კაცი გამიფუჭდა. ახლა ეს ხარებიც დაკარგული მყავს და ეს კაციც. და ერთი იმ კაცის ძმა იმის თაობაზედ შემამწყრა და იმერეთს გადავიდა და ლ ე ვ ა ნ ლ ა შ ხ მ ა კრა თოფი და მოკლა ის, იმისი ძმაც ამ თ ო მ ა ზ ე დ მოკდა. ფეშანგი აქ იყო, ველაპარაკე და ფიცი მომცა და წიგნი, რომ: მივიდეთ შინაო და გაგირიგდე და შენი მოგცეო. და რ ე ვ ა ზ და ბ ე რ ი დაიბარეთ; და თუ რამ სიტყვა აქვსთ, მოვახსენონ; თუ არადა, ჩემი მამცენ და პასუხი გამცენ. მარტის **დ, ქორონიკონს უიზ.**

ის ხარები თავის კაცს ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე ს მისცა.

თავში

ამილახვარ-მდივანბეგის ი ა ს ე ს სახსოვარო ბ ე ჟ ა ნ ზ ე დ გ ი ნ ი ძ ე და წ რ ი ა ლ ა ს შ ვ ი ლ ო! მერე ამ არზით ვისაც უჩიოდეს, სამართალში მი[ი]ყვანეთ. იხსე

451. არზა იოანე მუხრანბატონიშვილისა წისქვილის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1779 წ. 6 მარტი

ცსსა. პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს პირადი ფონდი 1461. რეესტრი № 3. საბუთი № 46. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[29 V]. ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ძის ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს გ ი ო რ გ ი ს ჭირი მოსცეს მათს ფეხთა მიწა-მტვერს მ უ ხ რ ა ნ ი ს ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ს ი ო ვ ა ნ ე ს.

მერმე ამას მოვახსენებთ, რომ ახალგორელს კიკოლაშვილს წისქვილი მიეცით. და ის წისქვილი ანანურას უბრუნავს და ის წისქვილი ჩემი მიცემული არის. მანამ თქვენ სამართალს ბძანებდეთ, მანამ ის წისქვილი ჩემი იყოს. და როცა თქვენთან სამართალში ვილაპარაკოთ, მაშინ ვისაც თქვენი ბძანებით დარჩეს, მაშინ გამოჩნდება. ახლა ხომ მოგეხსენებათ, რომ ამთონი არის აქ გახლავარ, არ ვიცი, თუ რას მიბძანებთ.

ღმერთი გაგიმარჯვებს, რომ ამ წისქვილების ოქმი მიბოძოთ ანანურის დეკანოზ[ს]ედ, რომ ჩემი იყოს თქვენად ბძანებამდის. მარტის **დ**, ქორონიკონს **უიზ**.

თავში

ქ. ბატონიშვილის გიორგის კეთილად სახსოვარო ეშიკაღათბაშო სვიმონ. მერე მუხრანბატონის შვილი იოვანე კიკოლაშვილს რომ წისქვილს უჩივის, ან წისქვილის ფასი მიაცემინე და ან ისევ თავის წისქვილი. და თუ ჰეშმარიტი სიტყვა ქონდეს რამე, სამართალში ელაპარაკოს. თუ არადა, თავის ან ფასი ან წისქვილი მიაცემინე. მარტის **ვ**, ქორონიკონს **უიზ**.

ამათი საქმე მანდავ გადასწყვიტე. მეფის ძე გიორგი

452. არზა ერასტი გოშტაშაბიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 12 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9334. დედანი. ქაღალდი. 19×15 სმ. მხედრული. გაწკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ყელმწიფის ჰირი მოსცეს გოშტაშაბიშვილს ერასტი უზბაშს.

ზაალ ყაფლანიშვილი ჩემს წილს ღოლოვნას მედა[ე]ება; არა აქვს ნასყიდი და ძალით მართმევს. წყალობას ვითხოვთ, თუ სიტყვა აქვს, თქვენს სამართალში მელაპარაკოს. თუ არადა, ჩემი მამული დამანებოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის **ზ**, ქორონიკონს **უიზ**.

თავში

ქ. უფალნო მსაჯულნო! ამისი სამართალი თქვენ უნდა უსაჯოთ და გა[ა]რიგოთ. მარტის **იბ**, ქორონიკონს **უიზ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

453. არზა გაბაშვილებისა წყლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 11 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 30. საბუთი № 221. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[183 V] ღმერთმან ბედნიერის ყელმწიფის ჰირი მოსცეს გაბაშვილებს. წინწყაროელმა ტერ-არაქელამ ზირკინანთ ქალი შეირთო. ზირკინანთ გარეთუბანში ერთი სომხის საყდარი აქვსთ აშენებული; და იმ საყდრის წინ პატარა ბაღჩა ჰქონდა ზირკინანთ. აშენებულს საყდარს ეს ტერტერა ჩემულობს — ჩემი არისო. მონასტრის გვერდზედ ჩვენს მამულში წყალი გამოდის და იმ წყალს[1] ეს ზემოხსენებული ტერტერა გვედავება: ეგ წყალი აქ საყდრის ბაღჩაში მოვალებულიაო — აქ საყდარსა და წყალს შუა, სიველი ექნება, თუ ყელმწიფეთაგან ნაბოძები აქვს, [184] წყალობის წიგნი ექნება. და თუ სიღარიბეში გვნახა და გვართმევს, ნება სამართლისა აღსრულდეს. მარტის **კთ**, ქორონიკონს **უიზ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ეშიკაღაბაშო დიმიტრი! მერე ზირკინაშვილის საყდარში რომ წყალი დის, იმ წყალზე ყელი ამართე, ჩვენის სარჭრისათვის ზავთი ქმენ. თუ ვისმე სიტყვა ქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს, პასუხს ჩვენ გავსცემთ. აპრილის **ია**, ქორონიკონს **უიზ**.

თუ დავით სარდარს ამაზე დაეხარჯოს რამე, ვიზედაც დაეხარჯოს, იმანვე უნდა მოსცეს თავის აღებული, ჰ[ა]ლბათ.

[1] წყალს.

454. არზა ზაალ გურამიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 17 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 174. დედანი. ქაღალდი. 21×13 სმ. მხედრული. ალაგ-ალაგ წერტილი და ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს გურამიშვილს ზაალს.

ყიზილბაშობას თრიალეთიდამ ტერ-ყაზარა ჰავჭალას მამაჩემს მოსვლია, ყოფილა ჰავჭალას; არბაბობას ჰავჭალელები რომ აყრილან, ის ტერტერაც ჰავჭალელთ თან მიჰყოლია; მასუკან არბაბობა რომ გარდ[ა]ვარდა და ჰავჭალელები თავიანთ ალაგს მოსულან, ის ტერტერაც თან მოჰყოლია.

ბოკიწინის გალავანს რომ აკეთებდნენ, იმ ხანათ ჰავჭალელნი საგურამოს მივიდნენ. ის ტერტერაც ჰავჭალელებთან საგურამოს მისულა, იქიდან რომ ჩამოსულან ჰავჭალას, ისევ თან ჩამოჰყოლია. რომ კიდევ წახდა ავჭალა, ის ტერტერაც ავჭალელებთან თიანეთს მივიდა, რომ იმ ტერტერას შვილი მამაჩემს მსახურათ ხლებია. ტერტერა თიანეთს მოკვდა.

ამას წინათ ავჭალა რომ კიდევ აშენდა, იმ ტერტერა[ს] შვილმა თქუენ არზა მოგართოთ: გურამისშვილი ყმად მეჯიდებაო, ოქმი გებოძებინათ, რადგან ყიზილბაშობას ჩასული ხარ, გურამისშვილს ველარ გამოვართმევთო. ახლა ეს ტერტერაშვილი კიდევ მიჩივის: არ ვეყმობიო. თქუენგან ნაბოძები წყალობის ოქმი კელში მიჭირავს. ამ კაცს მიბოძებთ, თუ გამომართმევთ, ნება თქუენია. მარტის ბ, ქორონიკონს **უიზ**.

კიდეზე

ქ. მისის სიმაღლისაგან განწესებულნი მსაჯულთშეკრებულება მოგახსენებთ ბატონო გარსევან ეშიკაღასბაშო! ამაზედ ერთი იას[ა]ული აჩინეთ, ამ არზის პატრონი და ამისი მოადი სამართალში მოიყვანოს და ალაპარაკოს. აპრილის **იზ**, ქორონიკონს **უიზ**.

იქსი ბეჭედი:

1. სჯის მსჯელი, ტეიფურავს ორბელთაცა გულის მმბჭობი(?) ღმერთგანცაა(?), იოანე 1748
2. ქაიხოსრო
3. მზეჭაბუკ
4. მონა ღთისა მდივანბეგი თეიმურაზ
5. ჟამი ესეცა წარველის
6. სულხან.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: როგორც მსაჯულთ განუჩენიათ, ეს ასე უნდა აღსრულდეს, აპრილის **იზ**, ქორონიკონს **უიზ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

455. არზა მელიქ შაქროაანი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 18 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 427. დედანი. ქაღალდი. 22,7×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. ა-მეტნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიარ კემწიფის ჭირი მოსცეს თქვენს ყმას მელიქას შაქროას.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს, რომე ჩემის ყმის ქვრივი ერთმა შამშადილელი ქალათრის კაცმან შეირთვა და ერთი ჩემს ყმას გერი გაჰყვა. ის[1] ახლა თავის მამას გაჰყრია და ქალათარს ვთხოვ, უოქმოთ არ მანებებს.

ამ წყალობას ვთხოვთ[2] ჩვენს მოწყალეს, რომე ერთი ჰოქმის ან იასაულის წყალობა მიყოთ, რომე ჩემი კაცი მე მამეცეს, რომე ერთი მარტოკა ბიჭი გახლავართ, ჩემთან შევინახე, ჩემო მოწყალევ[3].

თქვენმა გამარჯვებამ ოთხიოთ კაცი მყავს: ზოგი კახეთს დგას, ზოგი ქართლს, არც ერთი ყმა აღარ მყავს, ჩემო მოწყალევ. აღიწერა აპრილის **იზ**, ქორონიკონს **უიზ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის დიმიტრი ეშიკაღასბაშო! მერმე ამაზედ ერთი იასაული აჩინეთ. მელიქ-ქალანთართან რომ ამის კაცი არის, ახლავ აუყაროს და ამ მელიქ შაქარას მოაბაროს. მასუკან თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მოგვახსენოს. აპრილის **ით**, ქორონიკონს **უიზ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

---

[1] იმას. [2] ვითხოვთ. [3] მოწყალეე.

456. არზა ჯავახიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 25 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 10385. დედანი. ქაღალდი. 15,7×11,4 სმ. მბეჭდრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია მძიმე და ორწერტილი ხაზით :—

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ჯავახიშვილებს.

ამ ზამთარს ჩუენი და მეტეხელების ლაპარაკი ხომ მოგხსენდათ, რომ ჩვენს მთაზედ ლაპარაკი ჰქონდათ, იმათ მოგახსენებთ — კარკაცობით ჯავახიანთ მთაში გვივლიაო და მამულად არ ვედაებითო. და თქუენ ასე ჰბძანეთ სამართალი: ჯავახისშვილებმა შეჰფიცეთ, თუ კარკაცობით არ შეგეშოსთ, სხუა რიგად თქუენს მთასთან ჯელი არა ჰქონდესთო. კიდევ გუიბძანეთ, ქალაქს ჩამოდით და იქ განაჩენს გიბოძებთო.

ჩუენ ეს ჯერი შეგვიძლია, რომ მთაც ჩუენი იყოს და გზაცა და ის მამული თქუენია და ჩვენი თავიცა. ღმერთი გაგიმარჯვებს, სამკვიდროს მამულს ნურავის მიგვიცემთ. ფებერვლის **კბ,** ქორონიკონს **უიზ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: მერმე რაც ჯავახისშვილები ხართ, ყველამ შეჰფიცეთ, რომ მეტეხელებს თქვენს მთაში ჯელი არა ქონოდესთ, თუ არ კარკაცობით არც შეშა მოეჭრასთ და არც წნელი მოეჭრასთ. თუ ასე შეჰფიცავთ მთა თქვენი იქნება და განაჩენსაც გიბოძებთ. აპრილის **კე,** ქორონიკონს **უიზ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

457. არზა იესე მსაჯულისა სახლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 13 მაისი

ცხსა. ფ. 1448. საბ. № 4562. დედანი. ქაღალდი. 35,6×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი იესეს მოსცეს. ჩემი საჩივარი მოკსენებული გაქვსთ. მსაჯულნი გახლდენ და მდივნები. იმათაც მოგაკსენეს და თქვენც წყალობა მიქმენით.

აბაშიძეების მოსყიდული ნასახლარი ნიკოლოზის წილზე მუკლს მაკოცნინეთ, და ქაიხოსროს ან თეთრი უნდა მოეცა ან რაც მომყიდა. საამისშვილი გაიქცა. ნიკოლოზის წიგნი მოუტანია, არ ვიცი, რა მოუკსენებია. ისინი მოგაკსენებენ ქრთამში გამოგვართვაო. მე მოგაკსენებ, ჩემი თორმეტი თუმანი იმათზედ არის, რომ ამას ვერც ისინი მოგაკსენებენ, იმაში ებოძებინოთ რამე, იმაში მომყიდეს-მეთქი.

მოიკითხეთ, იმის გვერდით იმტოლი სახლები ყაფლანისშვილისაგან ბაგრატის შ[ვილმ]ა იყიდა ხუთ თუმნად, ნიკოლაოზ დეკანოზმა — შვიდათ თუ რვად, მე — თორმეტ თუმნად. მოწყალებით გასინჯეთ თეთრში ამიღია თუ ქრთამში. და თუ ბძანებენ კელმწიფეების განწესებას არა ვჯერვართ, შენს სამუშაოს არ მოგცემთო, არც მე უმუშავებდი; როსცა ვმუშაობდი ცხრა თვე მაგათთვის, მაშინ მომცეს და მეორეს წელიწადს მომცემდნენ თეთრს და ნასახლარს გამომართმევდენ, თუ არ ემეტებოდათ მესამეს, მეოთხეს; ათი-თორმეტი წელიწადია კელში მიჭირავს, როგორც ნიკოლაოზისა მაქვს ნასყიდი, ისე ქაიხოსროსი.

დამწერთ ჰკითხეთ, მე დავაწერინე თუ მაგათ. საამისშვილი რომ სყიდ[უ]ლობდა, ჯერ თეიმურაზ მდივანბეგი მიუგზავნე, მერმე რევაზ ნაზირი, ნუ სყიდ[უ]ლობ-მეთქი. კიდეც ველანძღე და არ დაიშალა.

მე ჩემს ნასყიდს ვითხოვ, იმან თავისი თეთრი ვისაც მისცა, იმას გამოართოს. ამასაც გევედრებით, გასინჯოთ, მძლავრების მეტი რა არის. ვისაც სახლები აეშენებინა, შვიდი თუმანი მიმიცია, იმათგანც მიყიდია. მეორე ესე: თუ ქრთამია, თუ ერთს ნაკლები სამართალი მიეცა, მეორეს ხომ შეეშატებოდა. ან ის რატომ მართმევს ან ისი. მაგრამ თქვენი რისხვა არა მაქვს, მერევიან და თუ თქვენი შეწევნა და წყალობა...* კაცს არ ექნება, რა შეეძლება. ნება სამართლისა. მარტის **იგ,** ქორონიკონს **უიზ.**

ქ. თუ ინებებთ, თქვენს საბრძანებელში მრავალი რიგი სარწმუნოების კაცია, ვისაც გენებებათ, ჩვენი სამართალი უბძანეთ. თუ თქვენ მიზამთ წყალობას. ჩემი მოხსენება ეს არის.

ჩემი იმათზე რაც არის და ან რაც თეთრი ამშენებლისათვის მიმიცია ით (ცხრამეტი თუმანი), იმათ გაუყიდიათ კ (ოცი თუმანი) მოიხსენეთ. თუ მოცემა უნდოდესთ თეთრისა, ერთს თუმანზე ამას როდის იქმონენ. მაგრამ თავს გაწყენ და არ წავირთმევ თქვენის წყა-

* ამოხეულია ერთი სიტყვის ადგილი.

ლობით. საამისშვილმა ჩემი ნასყიდი მამული მომცეს. აბაშიძეებმა მერე, თუ სამართალი მისცემდესთ, ჩემი თეთრი მიბოძონ და გამომართონ სანამდის მე მეჭიროს ჩემი ნასყიდი. თუ სამართალი მისცემდეს, ჩემგან დაიხსნან, თუ არ მისცემდესთ, თქვენი ნება არის.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის დიმიტრი ეშიკაღასბაშო, მერე აბაშიიებისაგან რომ ბეცია საამისშვილს სახლი უყიდია, ის სახლი უწინ იესე მსაჯულისათვის მიუციათ ნასყიდობით და ნასყიდობის წიგნებიც ჯელთ უჭირავს. ახლავ ის სახლი იესე მსაჯულს მიაბარეთ და ბეცია საამისშვილი აბაშიძეებს ელაპარაკოს. მაისის **იგ,** ქორონიკონს **უიზ.**

ქ. იესე მსაჯულისათვის რომ წიგნები მიეცათ ჩვენს დედიდაშვილებს, ის ასეთი წიგნები იყო, რადგანც გატეხეს ერთი ორად და სამად უნდა წართმეოდათ, მარა ნათესაობამ დააყენა, თორემ არ დაეთმობოდათ ამგვარი საქმე.

ბეჭედი: ქწარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

458. არზა დავით კალატოზიშვილისა ფილის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1779 წ. 20 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3258. დედანი. ქაღალდი. 17,6×9,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტნაკლული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის მეფის ძის ლევონის ჭირი კალატოზიშვილს დავითს მოსცეს.

მამაჩემი თქვენი ჭირის სანაცლო შეიქმ[ნ]ა. სამნი ძმანი დავრჩით და ბატონიშვილს გიორგის ბძანებით ერთი ცხენი მიეცა მამაჩემს სამარხად. ის ცხენიც ამ ჩემმა ძმებმა მოიკმარეს. და მამა მე დავმარხე ვალით.

ახლა ერთი ბიჭი დაგვრჩა სამთავ საძმო. მე აქ გახლდი აპრილის მორიგედ; და ის ბიჭი ამ ჩემს ძმებს ერთმანეთში გაუყვიათ ჩემს უკითხავად და არც საუფროსო მოუციათ. ჩემო ჯემწიფევ, რადგან უფროსი ვიყავ, უნდა მეც შემეტყო, წილი გვეგდო, ვისაც ერგებოდა, იმას დაეხსნა.

ახლა ამას გევედრები ერთი ოქმის წყალობა მიბოძოთ ნინია ბერძნიშვილზედ, რომ წილი გვიგდოს. და ვისაც დახსნა ერგოს, იმას დაგვახსნევინოს და არც საუფროსო დამეკარგოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. ავალიშვილები ჩვენი მეზობლები გა[ხ]ლავან, ისინი დაგვესწრენ და იმათ გაგვარიგონ სამართლით.

თავში

ქ. ბატონიშვილი ლეონ გიბძანებ ნინია ბერძნიშვილო! მერე ესე და ამისი ძმები პეტრე ავალიშვილთან დაივანე დიასამიძესთან მიასხი და იმათ გაარიგონ. ესენი ერთმანერთს. მაისის **კ,** ქორონიკონს **უიზ.**

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

459. არზა დავით მაღალაშვილისა უმის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1779 წ. 21 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1887. დედანი. ქაღალდი. 16,3×12,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ჩვენის მოწყალის ჯელმწიფის ბატონიშვილის ჭირი მოსცეს მაღალაშვილს დავითს.

ამას მოვახსენებთ: ჩემი ყმა თრიალეთს ახალშნელი კაცი ზანდუკელს გიორგის ჰყავს. ერთის ოქმისა და იასაულის წყალობა მიყოთ, თუ სიტყვა რამ აქუს, თქვენ მოგახსენოსთ. თუ არა, ჩემი კაცი მომცეს. მაისის **იზ,** ქორონიკონს **უიზ.**

თავში

ქ. ბატონიშვილი ლეონ გიბძანებ ავთანდილ ჩოქოულთხუცესო! ამ არზით დავით მაღალაშვილი რომელსაც კაცს უჩივის, ჩვენს სამართალში მოიყვანე. მაისის **კა,** ქორონიკონს **უიზ.**

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

460. არზა საკასი გეგრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 27 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 18. საბუთი № 46. ჰირი. ქაღალდი. მხედრული.

[54 V] ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჰირი მათ ფერჯთ მიწა-მტვერს მდივანბეგის მზეჭაბუკის ყმას საკას მოსცეს.

სოღალუხში ვდგავარ, ბაიდარში ბანბის სახნავად ჩაველდით, ბანბის ალო რომ გავათავეთ, ხათრისათვის თითოს დღის ალო ოსმანჯანას და ბაბაშის მოუხანით და ჩვენ მოვიდოდით. ოსმანჯანამ არ გამოგეიშვა, [55] ახლა ფეტვი ხანით სანახევროთაო.

ჩვენ უთხარით: თითო დღისა ხომ გიხანით, ჩვენ აღარა ვხნამთ, წავალთ, სხვა საქმე გვაქვს-მეთქი. ბაბაშიმაც უშალა, რას ემართლები, თავეთი ვალი გარდაუხდიათ, დაეხსენ, წავიდნენო. იმ ბრძამ — ჰაი თქვენი რჯული და თქვენი ხაჩიო და თქვენი ქლისაო — ასე გვაგინა; არ გაგიშვებო, ძალათ შეგვაბმევინა[1], იმ დღეს იმისთვის ვხანით. და საღმოს კი უღელა ჯარი ჩემი მოიპარეს, მე აქეთ გამოვიქე, თქვენს სამართალს მოვატანე; და ჩემი ამხანაგები იქავ ჰყავს და [ა]ხენევინებს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, მიშველეთ რამე, რითაც წამალი დამედებოდეს, მიწამლეთ. თუ ახლავ არა ბრძანეთ ჩემი სამართალი, რახან მთაზე წავლენ, სულ ჩამივლის დამეკარგება. ბედნიერო კელმწიფევ, მიშველეთ, მაისის **კზ,** ქორონიკონს **უიზ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის დიმიტრი ეშიკაღასბაშო! მერე ახლავ ერთი იასაული გაგზავნე და ოსმანჯან კარზედ მოაყვანინე სამართალში. მაისი **კზ,** [ქორონიკონს] **უიზ**.

461. არზა ზაალ გურამიშვილისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 4 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 177. დედანი. ქაღალდი. 20×9,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს გურამიშვილს ზაალს.

ჩემს ყმას მიქელიშვილს თქვენთვის არზა მოურთმევია: ბატონმა ჩემმა ერთი ჯარი წამართოო.

ჯარის წართმევის მიზეზი ეს არის: შემძლებელი კაცი არის, დავიკარგე დ[ა] არაფრით დამადგა. დედა მომიკუდა, რიგი იყო რომ უნდა შემოეწია რამ და არაფერი შემომაწია. თუ აზნაურშვილობს, მსახური უნდა მახლდეს ამისი; და თუ მოყალნეა, რაც სხუა მოყალნე კაცი მემსახურება, რატომ ესეც არ მემსახურება? ბატონათ არ მაგდებს და არაფერს მემსახურება; ჯარის წართმევის მიზეზი ეს არის.

მე და ეს მიქელისშვილი ან თქვენს სამართალში ან მსაჯულთ სამართალში გვალაპარაკეთ. თუ [ა]ზნაურშვილ[ია] და ან აზადო კაცია, იმ რიგი სამსახური დაიდოს ჩემი. და თუ მოყალნეა, მოყალნის სამსახური დაიდოს. და თუ ჩემი ყმა არ არის, ჯელი ამაღებინეთ. მაისს **კდ,** ქორონიკონს **უიზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მიქელიშვილო! ამ არზის ბატონი შენი რომ ასე გიჩივის, ამისი მოხსენებული თუ მართალი არის, ამას კაის გზით შეურიგდი, თორემ თუ სამართალში ლაპარაკი მოგიხდათ და სამართალში გაგიმტყუნა, ავათ მოგივა. თიბათვის **დ,** ქორონიკონს **უი[ზ]**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. უფალო მსაჯულნო! [ე]სენი თქვენთან ალაპარაკეთ და სამართლიანის გზით ბატონყმობის სამსახურზე თქვენ გაარიგეთ. თებერვლის **ია,** ქორონიკონს **უიფ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

462. არზა ბერო გვილიკაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 6 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 26. ჰირი. ქაღალდი. მხედრული. ოქმს უზის ქორონიკონი **უიდ,** მაგრამ შეცდომაა, რადგან ოქმი არზაზე სამი წლით ადრე ვერ დაიწერებოდა.

[10] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ოქონელს ფალავანდიშვილს ერეკლეს ყმას გვილიკაშვილს ბეროს.

[1] შეგაბმევინა.

შარშან მთიბათვეში ძაღინას მიედიოდით გიორგი ფალავანდიშვილი, ერთი იმისი კაცი, ერთი როსტომის კაცი და ერთი მე. ეს ოთხნი მაჩაბლის ოსებმა დაგვიჭირეს, გიორგი და თავის კაცი გამოუშვეს და არცარა წაართვეს რა. და მე და როსტომის კაცი კი შეგვინახეს. მერე ფარსადან მაჩაბელს თავის კაცის გიუნაშვილის ტატიას ხელით წიგნი გამოეგზავნა თავის ოსებთან და მაშინ გაგვყიდეს. მე ყარაჯა ოსმა დამიხსნა ცხრა თუმნათ [V] რუსის თეთრზედ და ჩამომიყვანა. და ის ოსი შინ მიდგას, თავის თეთრსა მთხოვს. მოიკითხეთ, მაჩაბლისაგან გასყიდული გახლავარ, სამართალი გვაღირსედ, ღმერთი გაგიმარჯვებს. ივნისის დ, ქორონიკონს უეზ.

თაში

ჩვენი ბძანება არის დიმიტრი ეშიკაღასბაშო! ამ არზის პატრონი[1] და ამისი მოადი ორნივ ჩვენს სამართალში ალაპარაკე. მთიბათვის ვ, ქორონიკონს უეზ[2].

დიმიტრი ეშიკაღასბაშის ღვთის წყალობა და საგულვებელო ზურაბ ყაფლანიშვილო. მერე როგორც ამ ოქმში ბატონის ბძანება არის, ისრე ა[ა]სრულე, ამისი იეს[ა]ული შენა ხარ, ბეჯითათ მოიქეც და სამართალში მოიყვანე ორნივე. თიბათვის ზ, ქორონიკონს უეზ.

ფარსადან მაჩაბელი ახლავ ჩამოიყვანე.

463. არზა რევაზ გედევანიშვილის ძვრივის თინათინისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 7 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 212. დედანი. ქაღალდი. 36,2×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს რევაზ გედევანიშვილ[ი]ს ქ[ვ]რივსა და ოხერს თინათინს.

მერე ამას მოვახსენებთ ქ[ვ]რივისა და ობლის კელმწიფეს. ჩემი მეუღლე და ზა[ა]ლ მახვილაძე ძმაფიცნი იყ[უ]ნენ. სურამს რომ გივი ამილახვარი იყო, გივის ამილახვარის სიტყვით ძმათ შეიყარნენ. მას აქეთ, დიაღ, კი ძმები იყ[უ]ნენ. გივი ამილახვარი რომ ყიზილბაშში წაიყვანეს[1], ამილახვარს იქ დაებარებინა ჩემი მეუღლეცა და ზა[ა]ლ მახვილაძეცა და იქ წაყიდნენ ორნივ, იქაც ძმანი იყ[უ]ნენ, როგორათაც სხვა ძმანი ყოფილან.

მასუკან გივი ამილახვარი რომ მოვიდა, ორნივ თან მოყ[უ]ნენ. მასუკან ორთავ ძმებს ერჩივათ, ქართლში ერთი მამული საცა მოგვეწონოს, იქ ვიყიდოთო და ავაშენოთო. ადგნენ მასუკან ამილახვარსაც მოახსენეს, ამილახვარმაც, დიაღ, მოუწონათ, მივიდნენ, აბისი, დიაღ, მოეწონათ, რამინ ამირეჯიბისაგან იყიდეს. ნასყიდობის წიგნიც ერთათ დაწერეს და დადვეს. ის ნასყიდობის წიგნი ზა[ა]ლ მახვილაძის შვილსა აქ[ვ]ს. ის წიგნი მოატანინეთ და თქვენ იმ[ა]ზე აფიცეთ და სწორე და ჭეშმარიტი მაშინ მოგხსენლებათ.

მასუკან გივი ამილახვარი რომ მიიცვალა, ათი წელიწადი კიდევ ერთათ გახლდით და ერთად ვჭამდით მამულსა. ამ ათს წელიწადს უკან ძმობაში სიტყვა მოუხდათ. მასუკან დემეტრე ამილახვარის შვილმა აგ[ვ]ყარა და ცხინვალს მოგვიყვანა, ასე უთხრა ჩემს მეუღლეს და ზა[ა]ლსა: მე კარგათ გაგარიგებთ.

მასუკან დემეტრეს ხომ ეს საქმე მოუვიდა და დარჩა ჩვენი საქმე ასე ნყიშითა. სანამ ზა[ა]ლ მახვილაძე ცოცხალი იყო, ჩვენი სარჩო და საზრდო აბისიდამ მოგ[ვ]ქონდა და ისე ვცხოვრობდით. ღმერთს ვფიცავ და თქვენს მზესა ზა[ა]ლისაგან არც გაგვეგონოს ამ მამულში საქმე არა გაქ[ვ]სთ და არც იქიდამ საზრდო დაგჭეროდეს.

როდესაც ჩემი მეუღლე თქვენი ჭირის სანაცლო შეიქნა, მე და ჩემს ობოლს ეს უსამართლო დაგვემართა. ჩემის მეუღლის სიყრმით მონაგარი და ჩვენი სამკდრო-ს[ა]სიცოცხლო იმ ქვეყანაში განიბანა, ორნივ ცოლ-ქმ[ა]რნი დაუმარხავი ვრჩებით.

ღმერთი გაგიმარჯვებს და ბედნიერს შვილებს გიცოცხლებს. სამართლის მოწყალება გვაღირსეთ. აღიწერა ივნისის ვ, ქორონიკონს უეზ.

თავში

ქ. უფალნო მსაჯულნო! ამ არზის პატრონის სამართალი თუ გადაგიწყვეტიათ, ჩვენც გვაცოდინეთ. და თუ ჯერ არ გადაგეწყვიტოსთ, ახლა გადაწყვიტეთ, მორჩით. თიბათვის ზ, ქორონიკონს უეზ.

1 პატრონს. 2. უეზ] უდდ.

1+ და.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. მისს სიმაღლეს ჩვენს კელმწიფეს საქართველოს მსაჯულთა-შეკრებილებისათვის ამათი როგორყოფილობა ებძანათ. ჩვენ ამას მოვახსენებთ, ამათი სამართალი გარდასწყდა, განაჩენი დაიწერა, დაიბეჭდა და მიეცა. და თუ მათი სიმაღლე ინებებს და კელახლად ბძანებს სამართალსა, მათი ნება არის. ივნისის **ი**, ქორონიკონს **უ**ჲ**ზ**.

ოთხი ბეჭედი:

1. ქაიხოსრო
2. მზეჭაბუკ
3. მონა ღთისა მდიანბეგი თემურაზ
4. ჟამი ესეცა წარვლის.

464. არზა ბარძიმ მაჩაბლისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 8 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qძ 8697. დედანი. ქაღალდი. 34,5×13,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი აიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს მათ მიწა[ს] ბარძიმ მაჩაბელს.

ამას მოვახსენებთ: გორსა რომ ბძანდებოდით, მაშინაც მოგახსენეთ კოშაკელებისა, რადგან ჩემი კაცნი არიან, გარდამხდეს; მაგრამ ჩიფრანელის ოსებისა მე საიდამ უნდა გარდავიხადო. შვიდნი იყოლიონ, ბატონისშვილის კაცნი არიან და სამნი ჩემნი არიან.

აბაშიძე დაგიყენებიათ იასაულათ. იმათს დანაშაულსაც მე მახდევინებს. წყალობას ვითხოვთ, რომა ჩემის კაცის დანაშაულის გარდახდაც არ შემიძლიან, თორემ არათუ ბატონისშვილის კაცის დანაშაულიც მე გარდამახდევინოთ.

ღმერთმან თქვენი რისხვა მამცეს, თუ ასერა სამი წელიწადია მე იმათი ბეგარა მენახოს, უკუმდგარნი გახლანან. არავის არ ზოგავენ, სერი იმათ და[ა]ცლევინეს.

ამ მოწყალებას ვითხოვ, აბაშიძე შინ მიდგია, მამეხმარენით რასმე. აპრილის **იგ**, ქორონიკონს **უ**ჲ**ზ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად მილახვარბაშს ჩვენს დეიდაშვილს აბაშიძეს ნიკოლოზს ასე უამბეთ: მერე ბარძიმ მაჩაბელს რომ ამ არზით ასე მოუხსენებია, ეს რიგიანი მოხსენება არის. რომელიც ამის ყმა ოსებისა მოუხსენებიათ დანაშაული, ის ამან უნდა გაწმინდოს და გარდაიხადოს. და რომელიც ჩვენის ოსებისა და ჩვენის შვილის იულონის ოსების დანაშაულია, ის ჩვენგან და ჩვენის შვილისაგან უნდა გაიწმინდოს და გარიგდეს. მთიბათვის **ი**, ქორონიკონს **უ**ჲ**ზ**.

ასე გაარიგე სიმართლით.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

465. არზა იორამ თარხნიშვილისა ყმის თაოზაზე ერეკლე II-ის ოქმით

1778 წ. 12 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3638. დედანი. ქაღალდი. 20×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი თარხნიშვილ იორამს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ მათ სიმაღლეს: ამას წინათ რომ ჩემი კაცისა მოგახსენეთ, თქვენ მიბძანეთ: სოლომან მდივანი გედავებაო. ჩემო კელმწიფევ, რომელსაც სოლომან მდივანი დაობს, იმასთან კელი არა მაქვს. იმისი ძმები და ძმისწულები რომ არიან, ისინი ჩემს ბარათში ნარგები არიან და იმათს მოწყალებას გევედრებით, რომ სამართლის ძალით მომეცეს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ამათი წყალობა მიყავით. ერთი ბერი კაცი გახლავარ და ნიადაგ იმათზე თავს გაწყენ. მთიბათვის **ია**, ქორონიკონს **უ**ჲ**ზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო, რადგან ამ კაცების წილში ნარგები ბარათი გაქვს, რომელსაც სოლომონ გედავებოდა, იმაზედ ხომ სამართლის მიხედვით ხელი აგიღია და სოლომონს დარჩა; და ესენი, რომელიც შენ გითხოვნია, იმის ძმები და ძმისწულები შენთ[ვი]ს გვიბოძებია. ივნისის **იბ**, ქორონიკონს **უ**ჲ**ზ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

466. არზა პაატა თოფჩიბაშისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1778 წ. 20 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1404. დედანი. ქაღალდი. 37×15,8 სმ. მხედრული. დაზიანებული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახვრეტია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბატონის დედოფლის ჭირი მოსცეს მათს მონას თ ო ფ ჩ ი ბ ა შ ს პ ა ა ტ ა ს.

ამას მოვახსენებ მათს მოწყალებას: ამ პ ა ა პ უ ნ ა ს თქვენთვის არზი მოურთმევია და მოუხსენებია თქვენთვისა, რომ პაატას ყმა არა ვარო და თავდახსნილი ვარო. ჩემო ჯელმწიფევ! ჩემის მოგებულის მამულით დაუხსნია თავი, იმას ხომ არა ჩამოჰყოლია რა თავის ქვეყნიდამ, პატარა ბიჭი მოსულა ჩემს კაცთან და ამ ჩემს კაცს გაუზდია. ჩემი მოყანლის ქალი შეურთავს და ჩემს კაცთან ჩემს მამულში მდგარა. დღეს აქნობამდის ჩემი ყმა ყოფილა და არავინ მცილებია, არც თავისი დახსნილობის წიგნი ჩემთვის უჩვენებია. ჯერ ყ ა რ ა ბ უ დ ა ღ ი ს შვილს სამართლით უნდა გაეტანა და მერე მაგას თავი უნდა დაეხსნა იმისგან. მაშინვე უნდა აყრილიყო ჩემის მამულიდამა და სახასო შექნილიყო, მე სიტყვა აღარა მექნებოდა რა.

ახლა ჩემო ჯელმწიფევ, თავდაუხსნელიც ჩემი ყმა გახლდათ და თავდახსნილიც ჩემთან იდგა და ნოცილე არავინ მყოლია მაგისი. და ნება თქვენის სიმაღლისა იყოს. ერთი ესეც მოუხსენებია, სამჯერ თავი დამიხსნიაო. თუ მართალი კაცი იყო რად ეჭირებოდა სამჯერ თავის დახსნა. არა სიმართლით სდებს თავის თავსა.

ჩემო ჯელმწიფევ, თუ თქვენი ნება იქნება, მათ დიდებულებასთან სამართალში მალაპარაკეთ და თუ სიმაღლის სამართალი არ მომცემს, მაშინ ნება თქვენი აღსრულდეს. ესეც მოიხსენეთ, ბატონს ორჯელ არზი მიართო მაგან და ბატონმა ოქმით უბძანა ორჯელვე, რომ მაგ პაატასი ხარ, მაგას უნდა ეყმოვო; და ახლა თქვენთვის უწყენია თავი. ჩემი მოხსენება ეს გახლავსთ და როგორც ინებებთ, ისრე აღსრულდეს. თიბათვის კ, ქორონიკონს უიზ.

თავში

უფალნო, მსაჯულნო, [მერე] ამ არზის პატრონი ვისაც [ამ არზ]ით უჩიოდეს, ამათ თქვენ უნდა, რასაც მიხუდეთ, სამართალი უსაჯოთ. თიბათვის კ, ქორონიკონს უიზ.

ბეჭედი: დედოფალი დ ა რ ე ჯ ა ნ.

467. არზა აბრამ ჭღვდლისა გამოსალების თაობაზე ანტონ I-ის ოქმით

1778 წ. 26 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3364. დედანი. ქაღალდი ორ ნაჭრად. დაზიანებული. 29,5×17,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნაჩვარია ერთი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლისა საქართველოს პატრიაქის ჭირი მათ მიწა-მტვერს დიღმელს ა ბ რ ა მ [მ]ღვდელს მომცეს.

მერე ჩემო მოწყალევ, მე ჩემს თავს რომ ვატყობდი ერისკაცობით გარჯილობის გზა და სიცოცხლე არ შემეძლო, გამოვარდი, ჩემს თავათ აქა-იქ ვემსახურე და წიგნი ისე ვისწავლე. მერე ხუცათ ვეკურთხე და ღმრთისა და თქვენის მადლით თ ე ლ ა ვ ს ღმრთაების საყდარში გახლდი და ჩემთვის კარგათ ვცხოვრებდი.

თქვენ სოფელმან თავი გაწყინათ ჩემის მოყვანისთვის; და მე თქვენს ბრძანებას ურჩ ვერ ვექმენ, ავდეგ და გიახელ, ვწირავ და ვლოცავ. მარამ ართუ დიდათ არავის გაუჭირდა, ზედ არვინ შემომხედავს და არცვ[ინ] მომიგონებს; და ამ გზით როგორ გავძლო? მე [ე]ს შეძლება არა მაქვს, რომ ერისკაცულათ კიდეც ვხნა და ვთესო და კიდეც ვიხუცო და სოფელს მოუარო, მე ორი არ შემიძლიან.

თქვენგან ამ მოწყალებას ვითხოვ: როგორც სხვას თემს არის რომ [ხუ]ცეს ერთს დღეს უხვნენ, უმკიან და სთველსა და [კ]ალოზედ პურსა მოუკრეფენ და მისცემენ და გა[ა]ძლებინებენ, მეც თუ ასე განმიწესებთ, ეგევის გავძლო, თორემ ჩემი იქ ყოფნა და გაძლება ძნელია. წყალობას ვითხოვ, რომ განმაძლებინოთ, [ს]ოფლის მოვლა ძნელია. ივნის[ს] კვ, ქორონიკონს უიზ.

თავში

ქ. დიღმის მამასახლისო გ ა ბ რ ი ე ლ და ერთობით დიღმელებო! მერე ეს აბრამ მღუდელი, დია, სამართლიანის საქმით ჩივის; და თქვენ ამ ორისაგან ერთი უნდა აღასრულოთ: რადგანც პ ა ვ ლ ე მღუდელი არ ინდომეთ და ეს აბრამ გამოითხოეთ, ჩვენც მოგეცით, რომ სულიერად მოგიაროსთ და გიხუცოსთ. თუ მაგ სოფელში ეს ერისკაცულად რჩომას და გარჯას მოინდომებს, თქვენ სულიერი მოვლა დაგაკლდებათ.

თქვენ ერთი დღე უნდა უხნათ და ერთი დღე უმკოთ. თუ ამას არა იქთ, რომელნიც მკვიდრნი იყუნეთ, ერთი კოდი პური ახალში

მიეცით და ეულთ ნახევარი კოდი; და აგრევე პატივი შეძლებისაებრ. ამიტომ, რომ ეს საქმე სხვა სოფელშიაც იციან; და თითონ თქვენმა მახლობელმა სოფელმა ა ვ ჭ ა ლ ა მ ა ც. და თქვენც ამ საქმით უნდა გააძლებინოთ მღუდელი აბრამ.

თუ ამას არა იქთ, და ორისაგან არც ერთი ნუგეში არ მიეცემა თქვენგან, ამ მღუდელს მანდ ვერ დავაყენებთ და უხუცოდ ბძანდებოდეთ. იუნისს **კვ**, წელსა **ჩღოთ.**

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი.

468. არზა იესე მსაჯულისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 1 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4559. დედანი. ქაღალდი. 20,8×14,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი ი ე ს ე ს მოსცეს. თქვენი სამართლიანი წყალობა დამემართა, სახლები მებოძა, არ დამანება. ორს ქოხს ჩემი სახელი დაარქვეს და ათიოდ დღე დააცალეო, იმასაც მოჭირავნეს დავაცლევინებთო. ერთი თვე გავიდა, არ მომაბარეს. საბრალოს მეითრის შვილებისა ოცი თუმანი მმართებს სარგებლით. შემოეთვალათ: სახლი არა გვაქვსო, ან სახლი მოგვეც ან თეთრიო. პატარა ყმაწვილი იმის მუახლეს გაჰყოლიყო, ეჩვენებინა. ამის მეტი არა დაგვიშავებია რა. თქვენთვის მოუხსენებია: ცოლშვილი მიდგსო, ბარგს მიყრიანო. თუ ეს მართალი იყოს, გარდამაჯდევინეთ; თუ არა, ამდენი იმისი სიცრუე გასინჯეთ. მოჭირავნეები უდგანან. არ მანებებს თქვენს სამართალს და წყალობას.

წყალობა მიყავით, ღმერთი გაგიმარჯვებსთ. ის სახლი მეითრის შვილებს უბოძეთ, დადგნენ. მერმე თუ თქვენი ნება იქნება და სამართალი ბძანებს, თეთრი მეითრის შვილებს მისცენ და დააცლევინონ; თუ არადა, სამართლით მბოძებია, დამანებოს.

კარიდამ ერთი იასაული უბძანეთ, იმათ მიაბაროონ. იმათ სახლი ეჭირებათ, მე თეთრი არა მაქვს ჰეშმარიტად. იმ ქოხებზე რომ თეთრი დავხარჯე, ისარგებლა იმ თეთრმა ზოგი რამ სხვას სახლზედაც და ამდენი შეიყარა, იმავ სახლმა გარდიჯადოს, მე იმ თეთრის სარგებელსა ვწევ და ეგ ქირას იღებს. ზეით ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს იმედი აქვს.

თქვენი სამართალი და წყალობა გამისრულეთ, მერმე მელაპარაკოს. ივნისს **ლ**, [ქორონიკონს] **უიზ.**

თავში

ქ. ე შ ი კ ა ლ ა თ ბ ა შ ო დ ი მ ი ტ რ ი, მერე როგორც ამ არზით იესე მსაჯულს მოუხსენებია, ეს ასე შეუსრულე. მკათათვის **ა**. ქორონიკონს **უიზ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

469. არზა სართიჭალელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 1 ივლისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1264. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს სა[რ]თისჭალელთ. ჩვენ სხვარიგად გვაშინებენ და გვეუბნებიან: ეგ ადგილიც თავადისშვილისაა და თქვენც თავადისშვილს მიგცემენო.

ეს რომ გაიგონეს, რომელთაც ჩვენთან მოსვლა უნდოდათ და მანულიც შემოფარგლეს, ისინიც აღარ მოდიან, რომ თავადისშვილის ყმობა არ შეგვიძლიაო. თუ ეს მამული სათავადიშვილო იქნება, არც ჩვენ შეგვიძლია მანდ მოსვლა, დადგომა.

თერთმეტი კომლი კაცი გხლებივართ მანდ, კალო-საბძელს ვაკეთებთ, თქვენის ბრძანებით ხის კოშკები დაიდგა. და რადგან ისინი აღარ მოგვიდგნენ, მესერის მოვლება კი ვეღარ შევიძელით.

ღმერთი გაგიმარჯვებს, საიდუმლოდ ჩვენი ანბავი მოიხსენეთ, რომ ის ადგილი მოსაშლელი არ არის, ნუ მოგვაშლევინებთ, ნება თქვენია. ივნისის **კთ**, ქორონიკონს **უიზ.**

თავში

ქ. ჩვენ მაგიერათ საგარეჯოს მოურავს ჯ ა მ ა ს პ ი ს ასე უამბეთ. მერმე ამათი მოხელე შენა ხარ, მართებულათ ყური მოუგდე, სანგარიც გაუკეთებინე, რაც ჩისასვლელი კაცი იყოს, იმაზედაც ბეჯითი იყავ. ამ კაცთ ამაზე ასე გული დააჯერონ. მამაჩვენსა და დედაჩვენსა ვფიცამთ, რომ მათ ჩვენ არ გავცემთ; რაც მამული არის, იმაზე მართებულს ღალას განვაწესებთ, იმ ღალისას ნახევარს მიწის **მეზატონეს მივცემთ და ნახევარს ჩვენ დავიჭერთ.** რასაც ჩვენს სახასოში მოხვნენ, ის ხომ ჩვენი იქნება. თუ რომ იქ დგომას არ მოინ-

დომებენ, უკეთეს ალაგს ჩვენს სახასოში დავაყენებთ. აღიწერა [მ]კათათვის **ა, ქორონიკონს უიზ.**

ამ მამულის პატრონები თუ ამ გზით ამის ყაბულს არ გახდებიან, ამათ იქიდამ ავყრით და სხვას ალაგს დავაყენებთ.

470. არზა თალალასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 9 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2760. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 16,5×11 სმ. მხედრული. ალაგ-ალაგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩემის ხემწიფის ჭირი მოსცეს საცოდავათ ცოცხალს თალალას.

ჩემს ხემწიფეს ამას მოვახსენებ: ჩემმა ძმამა და ბიძაშვილმა ერთი ბიჭი მომცეს ხუთი წლისა, გავზარდე, ახლა ცოლშვილიანია. უწინაც მოგახსენე, ქაიხოსრომ სხვა ბატონი გამოუჩინა. იმ ბიჭს ჩემს მეტი ბატონი არავინა ჰყავს. არ დამანებებ.

ამდენი მოწყალება მოიღეთ, ჩემი კაცი ამიყრევინოთ. და თუ იქიდამ არ აყრით, ის თქვენ მი[ი]რთვით და ერთი ბიჭი მიბოძეთ, სანამ ცოცხალი ვიყო, წყალი დამალევინოს. თქვენმა მზემ, ჩ[ე]ნი ძმა და ბიძაშვილი ორნივე ჩემთან გახლდნენ ის ბიჭი რომ მომცეს, სხვის ბიჭს რათ მომცემდნენ? ჩემო ხემწიფევ, ამის წყალობა მოიღეთ. მთიბათვის **კვ, ქორონიკონს უიზ.**

თავში

[ქ. ჩვენი] ბრძანება არის ქაიხოსრო ენისელთ მოურავიშვილო! ამ არზით შენი რძალი რომ ასე გიჩივის, ამაზე ორი სამი ოქმი მოგვიწერია და პასუხი არ მოგვიცია. ამას თავისი კაცი ახლავ დაანებე. და თუ ერთი ჭეშმარიტი სიტყვა გქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენე; მაგრამ თუ სამართალში გამტყუნდი, ერთიორად გამოგართმევთ.

გა[რსე]ვან ეშიკაღაბაშო, ამაზე ერთი იასაული აჩინე და [გაარ]იგებინე. ივლისის **თ, ქორონიკონს უიზ.**

ქ. თუ ის კაცი შენი არ არის და შენ გინდა, იყიდე და კახეთიდამ კი ნუ დაჰკარგავ.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულსა, ერეკლე.

471. არზა ფალავანდიშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 12 ივლისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 14. საბუთი № 137. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[170 V] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ფალავანდიშვილს გიორგის, ბერს და მზეჭაბუკის შვილს გლახას.

ამას წინათ ჩვენს აზნაურშვილს ლუა ნაგლაძეს თქვენთვის არზა მოერთმევინა — განთავისუფლებული ვარ და უპატრონოო. და თქვენც ოქმი გებოძებინათ: თუ შენი მოხსენებული მართალი[1] არის, ჩვენც გაგვითავისუფლებიხარ, ვისაც გინდა იახელიო.

მთელმა ქართლმა იცის, რომ ჩვენი აზნაურშვილია და ყმა და მამული ჩვენ მიგვიცია. ახლა რადგან ამას ჩვენი ყმობა არ უნდომნია, თითონ ვისაც უნდა მიუვიდეს და ჩვენი მამული დაგვიგდოს. ღმერთი გაგიმარ[171]ჯვებს. ივლისის **იბ, ქორონიკონს უიზ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონებო. ნაგლაძე თქვენი აზნაურშვილი არის, ჩვენ ის ყმათ არ გვინდა, თქვენი ყმა არის და იმისი მამულიც თქვენი არის. საქმე არავისა აქვს. ნაგლაძე თავისის მამულიდამ ადგება და თქვენც ინებებთ, ვისაც უნდა ეყმოს. და თუ მამულიდამ არ ადგება, მამულითვე თქვენი ყმა და თქვენი აზნაურშვილი არის. და თუ მამულიდამ ადგება, მამული თქვენი არის, თქვენთან საქმე არავისა აქვს. ივლისის **იბ, ქორონიკონს უიზ.**

472. არზა ზაალ საყვარელიძისა მამულის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1779 წ. 18 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5321. დედანი. ქაღალდი. 22,5×14,3 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ძის ჭირი მოსცეს მათ მონას საყვარელიძე ზაალს.

[1] სამართალი.

მერმე ამას მოვახსენებ: მერვედის ამილახვრისშვილის ყმა გახლდი და ჩემთვის მამული არავის წაურთმევია; მერმე ხემწიფე მამათქვენმა თავისის ნეკის სისხლათ დაგვიჭირა და რითაც მამულით ჩვენი თავი ყმათ მიირთვა, ჩვენთვის მამული არავის წაურთმევია.

ახლა თქვენს ყმო[ბა]შიდ მამულებს მედავებიან. თქვენგ[ან] ამ წყალობას ვითხოვთ, რომ რითაც მამულით ხემწიფის მამის თქვენისავან ჩემ[ი თა]ვი გბოძებიათ, ეს მამულები უთქვენოთ ვერავინ წამართვას. ერთის ოქმის წყალობა მიყავით, რომ ვისაც ჩემთან სიტყვა ქონდეს, თქვენ მოგახსენონ და თქვენს სამართალშიდ მელაპარაკონ და მერმე ნება თქვენი აღსრულდეს. ივლისის **ც**, ქორონიკონს **უიზ**.

თავში

ქ. ბატონისშვილი ლეონ გიბძანებთ: ვინც ამ არზის პატრონს მამულს ედა[ვ]ები, ამასთან საქმე ნუ გაქვთ. თუ სადაო და სალაპარაკო გქონდესთ ვისმე, ჩვენ მოგვიტანეთ. მკათათვის **იგ**, ქორონიკონს **უიზ**.

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

473. არზა ქაიხოსრო გიჟიმჟრელისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 19 ივლისი

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461. რეესტრი № 13. საფუთი № 108. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[68 v] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ქაიხოსრო გიჟიმყრელს.

ჩემი ძმა რევაზ რომ თქვენთან მიჩივის — გამეყაროსო, მოგეხსენებათ უშვილო ბერიკაცია. ჩემთან გაყრას ამისთვის დომულობს, რომ როგორც მოხდეს, ყმები დაყიდოს. ჩემო ჯელმწიფევ! ეს პირობა მომირთმევია: ან როგორც თქვენი ნებაა, ისე შემარიგეთ, მე ყაბული მაქვს. თუ არა, მანამ ცოცხალია, რაც ჩემი და მაგის ყმა არის, მთლად მაგას უბოძეთ, იმსახუროს. და როცა მოკვდეს, ჩემს შვილებს ყმა და მამული არ დაეკარგოსთ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ჩემგან მაგის გაყრა არ იქნება, თუნდა კიდეც მომკლათ და ნება თქვენია. ივლისის **იზ**, ქორონიკონს **უიზ**.

თავში

ქ. მისის უწმიდესობის ბოქოულთხუცესს ასე უამბეთ. მე[რე] ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, თუ მისის უწმიდესობის ნება იყოს, ამას თითვან უბოძოს სამართალი. თუ არადა, ჩვენის ძმის ნებით ჩვენთან მოიყვანე და ჩვენ უსჯით. **ით**, ივლისს, ქორონიკონს **უიზ**.



474. არზა ერასტი გოსტაშაბიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 19 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IIძ 9335. დედანი. ქაღალდი. 19×17,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მათ ბანდას გოსტაშაბიშვილს ერასტი უზბაშს მოსცეს.

ახლა ამას მოგახსენებ, ჩემო ხემწიფევ: ამთენი ხანია, რომ თავს გაწყენ ჩემს წილს ლოლოვნაზედ და, არ იქნა, სამართალი არ დამემართა; გევედრები, ჩემო ხემწიფევ, რომ სამართალი მებოძოს. ჩემს სამართალს თქვენგან ვითხოვ, თორემ მე სამართალი არ დამემართება, და ნება თქვენია. ერთი ყაფლანისშვილი ბოდავეთ მყავს და მეორე მდივანბეგათ გიზის, და აბა, რა გავაწყო. ერთი მოწამე მთხოვა მზეჭაბუკმა და მე ორი გ[ა]ხალ და ვერ შავიჯერიე.

გევედრები, რომ ერთის გზით მამარჩინოთ და სამართალი მამცეთ; ღმერთი გაგიმარჯვებსთ, მამარჩინეთ; ბატონო ჩემო, მერწმუნე, რომ ტყვილათ მაცოდვილებს, საქმე არ აქ რა, ჩემია. ივლისის **იც**, ქორონიკონს **უიზ**.

თავში

ქ. ზაზავ ყორიასაულბაშო! მერე ზაალ ყაფლანიშვილი და ეს ერასტი უზბაში ჩვენს სამართალში ალაპარაკე, მდივანბეგებსაც ჩვენთან დავისწრებთ და მის სამართალს ჩვენ განვსჯით. ივლისის **ით**, ქორონიკონს **უიზ**.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დაჲით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

475. არზა რევაზ გიქიმყრელისა გაურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 3 აგვისტო

ცსსა. ფ. 1449. საბუთი № 2294. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს გიქიმყრელ რევაზსა.

მერე მე და ქაიხოსროს გვარს გარდა, დიაღ, შორს ნათესავნი ვართ. მე და ეგ ორნივა ჩერქეზთან ვიყავით. როდესაც ჩერქეზებიდან გამოვიდა, მე თან გამომიყვანა და სახლისკაცათ შემიყარა. მას აქეთ მაგ კაცისათვის მუდამ მიმსახურია. ჩემი სისხლი მაგის მამულში და სამსახურში დამიშვრია და მაგიერი ძმობა არა მჭირვებია რა. ბოლოს რომ დავსნეულდი, უფრო წუხილში ჩავარდი; ხორცით ვიტანჯე და სულითაც ვიკარგებოდი, რომ დამარხვას არ მიპირებდა.

ავდეგ და თქვენს ღთისმოყვარებას მოვატანე, არზი მოვართვი და შემოგჩივლეთ, მიბრძანეთ: თუ გაყრა გინდა, გ[ა]ეყარე, სიტყვა არავისა აქვსო. ეს რომ თქვენი ბრძანება გაგონილი მქონდა, თქვენ რომ ზევით ბრძანდებოდით, ვკედებოდი და ჩემი ანდერძი დავაწერინე და ჩემს უკან ჩემი კაცები სვეტისცხოველს შევსწირე და ქუდმოხდილმა მეტანიით მივართვი.

ახლა ჩემო ხელმწიფევ, ამთენის ხნის ჩემი ნამსახური და ან ჩემის კაცებისა, რაც მაგისის სახლისკაცობის ვალი მაძევს და რასაც ეგ ჩემზე გარჯილა, თუ იმტოლი გამოვიდეს და მეტიცა ხომ ის არის. თუ არა, მიანგარიშოს და რაც დამედვას, მიმაცემინეთ და ჩემი და მაგისი სახლისკაცობა აღარ იქნება. თუ ჩემს კაცებს მიბოძებთ, კარგია. თუ წამერთმევა, ნება თქვენია. მე ხომ ხორციელად გაცოდვილებული ვარ. სულსაც ხომ მთლად ვერ წავიწყმედ და იმ წიგნს ჩემის ხელით ვეღარ დავხევ. აგვისტოს ა, ქორონიკონს **უჲზ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! თქვენ ჩემგან ამის მეტს პასუხს ვერ გაიტანთ. ძველთ მეფეთაგან დადებული არის, რომ სვეტისცხოველის ყმას მოჩივარში ჩვენი იასაული ვერ შევა. მე თქვენს სამართალში არ გაველევი. მისის უწმიდესობის ჩემის ძმის ნება იყოს. იმასთან იჩივლეთ. აგვისტოს გ, ქორონიკონს **უჲზ.**

როგორც ენებებოდეს მის უწმიდესობას ჩვენს ძმას, ისე გაარიგოს; ჩვენ საქმე არა გვაქვს. რაც შენ დაგიწერია ამ არზის პატრონო, ამ ხმისაგან მე დიდად მეშინიან. ამ საქმეს მე გუერთ ველარ გაუვლი.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მჯმობს ძლ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

476. არზა ზაალ ჯავახიშვილისა ღალის თაობაზე ლეონ გაბონიშვილის ოქმით

1779 წ. 14 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14085. დედანი. ქაღალდი. 17×9,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ძის ლეონის ჭირი მოსცეს ჯავახისშვილს ზა[ა]ლს.

მერე სიონის რუზედ კოშკი ა[ა]შენეს, ჩემი კაცებიც იქ იყვნენ და თავიანთ ურმებით ეხმარებოდნენ, იქ ვხანით. მეც იქ ბარათში ნარგები მამული მაქვს. ჩემი მამულის ღალა მე უნდა ამელო, მაგრამ ჯავახიანთ აიღეს, ჩემი წილი ღალა მე აღარ დამანებეს.

ამ მოწყალებას გევედრები, რომ ერთი ოქმისა და იასაულის წყალობა მოიღოთ, რომ ჩემი ღალა მე მამეცეს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. აგვისტოს **იდ,** ქორონიკონს **უჲზ.**

თავში

ქ. ბატონისშვილი ლეონ გიბძანებ თუხარელო გოგიავ! მერე ამ არზის პატრონი ზაალ თავის განაყოფებს ამ არზით ასრე რომ უჩივის, რაც ამის კაცებისათვის მაგათ გამოერთმევინოსთ, ეს შენ უნდა გაურიგო, სამართლით გამოართო და ამათ მოსცე. და თუ შენ ვერ გაურიგო, ამილახვართან მიიყვანე ორნივა და ამილახვარმა გაურიგოს სამართლიანის გზითა. მარიამობისთვის **იდ,** ქორონიკონს **უჲზ.**

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

477. არზა პავლე მარკოზაშვილისა ჯამაგირის განწესებაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 25 აგვისტო

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1136. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს მათს მარადის ზლოცველს მ ა რ კ ო ზ ი ს შ ვ ი ლ ს პ ა ვ ლ ე მღვდელს.

თქვენს ძმას პატრიახს დიკასტირიაში არზა მივართვი და სოფელში წასვლის შენდობა ვთხოვე და ასე მიბრძანა: რადგანც კარის საყდარში მღვდლათ[1] ხარ განწესებული და იქაურიცა ხარო, ჩვენ არ შეგვიძლიან კარის მღვდლის შენდობის მიცემაო, მის სიმაღლეს მეფეს დასტური სთხოვეო და იმის ბრძანება მოგვიტანე და ჩვენც შენდობას მოგცემთო.

კარის საყდარში[2] რომელნიც მღვდელნი ყოფილან, თქვენი წყალობა ჯამაგირი ჰქონიათ და იმით რჩომილან. ვეუედრები თქვენს სიმაღლეს: ან მეც მცირე რამ ჯამაგირი განმიწესოთ, რომ გავძლო და მარადის თქვენი მომხსენებელი გახლდები. აგვისტოს **იზ**, ქორონიკონს **უიზ**.

თაყვი

ქ. ი ო ს ე ბ ([მ]დივანო! ამ მ ა რ კ ო ზ ა ს შ ვ ი ლ ი ს მღვდლის პ ა ვ ლ ე ს ა თ ვ ი ს წელიწადში ვ თუმანი გაგვიჩენია. ყოველ წელიწადს უკლებლად გაურიგებდე და მისცემდე ხოლმე. აგვისტოს **კე**, ქორონიკონს **უიზ**.

რაც ა ბ რ ა მ მღვდელს ჯამაგირი ჰქონდეს გაჩენილი, ამასაც იმდენს ჯამაგირს მისცემდე. აბრამ მღვდელს ჯამაგირი და ულუფა რაც ჰქონდეს, ამასაც ამდონი ჯამაგირი და ულუფა მიეც ხოლმე.

478. არზა შიოზ საყვარელიძისა ღალის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

1779 წ. 4 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10991. დედანი. ქაღალდი. 21,5×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის ი უ ლ ო ნ ი ს[3] ჰირი მოსცეს მათ მონას ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე შ ი ო ს.

[1] ხარა. [2] საღდარში. [3] იულუნის.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩემს ხელმწიფის შვილს: მე შინ არ გახლდი, ვ ა ხ ა ნ ი ს ციხეში გახლდი, ჩემი ძმისათვის ჩემი მამულის მიწის ღალა წაერთმიათ ტ ბ ე თ ი დ ა მ — ურემნახევარი ძნა დ ა თ უ ა ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ს წაეღო, ექვსი დღის ღალა ა ვ თ ა ნ დ ი ლ ბ ე ღ ე ლ ა შ ვ ი ლ ს წაეღო, ხუთი-ექვსი დღის ღალა ნ ა მ ო რ ა ძ ე ბ ე ქ ი ა ს და გ ო გ ი ა ს წაეღო. ამას გარდა ვისაც ცოტა-ცოტა სდგმია, იმის წყალობასაც ვითხოვ.

ამას გევედრებით ჩემო მოწყალევ, ერთი ოქმისა და იასაულის წყალობა მიყავით, მე ჩემი მამბარდეს. და თუ საბუთი ქონდესთ, სამართალში მელაპარაკონ, ჩემო მოწყალევ, გევედრებით.

თაყვი

ქ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ი უ ლ ო ნ გიბძანებთ ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ო ბ ე რ ო! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, როგორც ჩვენის ძმის ლ ე ვ ა ნ ი ს ოქმი ქონდეს, ისე გაურიგე. ჩვენის ძმის ლევანის სამართლამდინ ამას მისცენ ღალა; ვისაც მაგ მამულის ღალა არ მიეცეს, ახლავ გამოურთვი და ამ არზის პატრონს მოაბარე სამარ[თ]ლამდინ. და თუ სიტყვა ქონდეს ვისმე რამ, სამართალში ელაპარაკონ. სეკდემბრის დ, ქორონიკონს **უიზ**.

ბეჭედი: ღმრთის მშობლის სასოიანი ი უ ლ ო ნ დავითიანი.

479. არზა თევდორე შაჟულაშვილისა ჯოგის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1779 წ. 26 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3043. დედანი. ქაღალდი. დაზიანებული. 19,6×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფე დედუფლის ჰირი მოსცეს კავთისხეველს შ ა ყ უ ლ ა შ ვ ი ლ ს თ ე ვ დ ო რ ე ს.

ჩვენ ცალქალამნიძეებისაგან ნასყიდნი ვყოფილვართ და ჩვენს ნასყიდს მამულზედ ვმდგარვართ და ცალქალამნიძეებს ჩვენის მამულით ჩვენთვის ისევ თავი დაუხსნეიენებია, რომ იმათ მოცემული თავდახსნილობის წიგნი კელში მიჰირავს, რომ ცალქალამნიძეებს აღარც ჩემთან და აღარც ჩემს მამულებთან კელი აღარა აქვსთ.

ახლა ცალქალამნიძე კ ი კ ო ლ ა და ს ა ბ ა კიდევ შეჰიდებიან და თავიანთ გასაღებში მრევენ. თავდახსნილობის წიგნი

ჴელთ მიჰირავს, ნახეთ და ერთი ოქმი მიბოძეთ, ჩემთან ჯელი არა ჰქონდესთ. თქვენს ყმად გახლდე ა ხ ა ლ დ ა ბ ა ს. ღმერთი გადღეგრძელებს. სექდემბერს **კვ**, ქორონიკონს **უიზ**.

თაში

ქ. დ ე დ ო [ფ ა] ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ გიბძანებთ ცალქალაშნიძე კოკოლავ და საბავ! მერმე ამ არ[ზის პატ]რონისათვის თქვენს მამას და პაპას თავი დაუ[ხს]ნევინებია, რომ წიგნი ჯელთ უჭირამს, რომ ჩვენთან გამოაცხადა და ცნახეთ.

ახლა ეს ასე ჩივის, რომ კიდევ ბატონყმობით ეჭიდებით სადმე. ეს, დიაღ, ავად გიქნია. რადგან თავდახსნილია, ეს კაცი თავისუფალია, ნუღარას აცოდვილებთ, ვისიც ამის ნება[ა], მას ეყმობა. ამ წიგნის წინა[ა]ღმდეგი ერთი რამ წიგნი გქონდეს, ჩვენთან გამოაცხადე და პასუხს მოგცემთ. თუ არა გქონდეს რა — არც წიგნი და არც სიტყვა, ამაზე ხელი აიღევით. თუ ამ კაცმა კიდევ თქვენ მაგიერ შემოგვჩივლა სამართალში, დიდათ საწყენი იქნება. ენკენისთვის **კვ**, ქორონიკონს **უიზ**.

ბეჭდი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

480. არზა იესე ბარათაშვილისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 8 დეკემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 26. საბუთი № 44. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 45.

[41] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი იესეს მოსცეს. მამის ჩემის ბიჭი გამექცა, გავაზელი დედაკაცი შეირთო. თქვენს სამართალში ვიჩივლე, ბანძუას მოწმობით და წერილით მე და[მ]რჩა, ოქმი და განჩენი მაქვს. ქ ა რ დ ა ნ ე ხ ს მესახლა, ის ბიჭი მოკვდა. იმისი ობლები მომყვანდა; დედაკაცს მოეხსენებინა — გავაზელი ვარ, იქ ვსახლობვარო, ოქმი გებოძათ. მოიკითხეთ, თუ ათი და თორმეტი წელიწადია ან გავაზს ესახლოს, ან იმ ჩემს ბიჭებს მამული ეჭიროს. ქ ო ლ ა გ ს არიან. ლ უ ა რ ს ა ბ მოგახსენებს — მე მოდავე არა ვარო. თქვენი ოქმი თქვენ მიირთვით და სხვა კაცი მოდავე არა მყავს. ქრისტეშობის **ჱ**, ქორონიკონს **უიზ**.

თაში

ჩვენი ბრძანება არის: ს ა ა მ ი ს შ ვ ი ლ ო ე შიკაღასბაშო ზ ა ა ლ! შერე იესე მდივანბეგს ამ არზით რომე ასე მოეხსენებია, ახლავ ეს ბიჭები აქ ქალაქს იესეს მოჰგვარე. თუ ვინმე ჩვენის ოქმით ედავება, თუ სხვა სამართლიანი სიტყვა არა აქვს რა, ჩვენგან ბოძებული ოქმი ჩვენვე აგვიღია. და თუ სამართლიანი სიტყვა ვისმე აქვს, ჩვენ მოგვახსენონ. დეკემბრის **ჱ**, ქორონიკონს **უიზ**.

481. არზა ბჟინვალელთა ძმობის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 12 დეკემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 24. საბუთი № 153. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[162 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს სუფინის ხევის ბჟ[ი]ნვალელთ.

ჩვენ მამა-პაპით თქვენი ყმანი ვართ და ბ ჟ [ი] ნ ვ ა ლ [ი] ც თქვენ[ი] სამკუიდრო მამულია. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე მ ძალ[ა] დაგვატანა: ან მეყმევითო და ან ამ ქვეყანას არ დაგაყენებთო, ცოლშვილით ავიყარენით და ს უ რ ა მ ს გარმოვედით. ამ ზაფხულსა გიახელით ქალაქს, თქვენ ე რ ე ვ ა ნ ს ბძანდებოდით. ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ს ი უ ლ ო ნ ს მოვახსენეთ, სურამის მოურავზედ ოქმი გვიბოძა: ამ ზამთრობით ეს ბჟინველები მანდ სურამს იყუნენო და როიცა ბატონი მამაჩვენი მობძანდება, ამათ საქმეს ის გაარიგებსო.

ახლა, ქრისტეშობის რვას, პ ა პ უ ნ ა ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე მოგვიხდა სურამს ოცდაათის კაცით. მოგეხს[163]ნებათ, ისევ მოურავის ბიძა პაპუნა გვყრის და ისევ პაპუნას გვაძლევს.

ჩვენო ხელმწიფევ! თქუენს სამკუიდროს მამულსა და ყმათ ორჯონიკიძეს ნუ მიგვცემთ, თვრამეტი ხლმის მომქნევი ვაჟკაცნი ვართ, ნურავის მიგვცემთ, უთქვენოს კაცს ჩვენ არავის ვეყმობით. თუ ჩვენ ორჯონიკიძეს მიგვცემთ, თავებს დავიხოცთ და ჩვენ ბჟინვალს მიმსვლელი კი აღარ ვართ. თუ თქვენიც ნება იქნებოდეს, მანამ ჩვენს საქმეს გასინჯვდეთ, თქვენი ყმანი ვართ თუ იმისი, სამართლამდინ ჩვენ ისევ სურამს გახლდეთ და ჩვენი მამული ორ-

ჟონიკიძეს ეჭიროს; მერე, სამართლით თუ თქვენი ყმანი ვიყუნენთ, თქვენთვის დაგვდევით; და თუ ორეონიკიძისა ვიყუნენთ იმას მიგვეცით. დეკემბერს **იბ**, ქორონიკონს **უაზ**.

თავში

[162] ჩვენი ბრძანება. არის ამ არზის პატრონო ბეინეველებო! თქ[უ]ენ მოგვახსენებთ, თქვენი სახასონი ვართო. ჩვენ თქუენთან საქმე არა გვაქუს და ვერც იმერეთის მეფეს თქვენს თავს წავართმევთ. თუმც [V] უსამართლოთ გაწუხებსთ ეინმე, მათს უმაღლესობას მოახსენეთ და ისივ გან[ა]გებს, ისევ თქუენს ადგილზედ მიდით, დაესახლეთ. ჩუენ თქუენზედ დავა არა გვაქვს. იმერეთის მეფეს ჩვენ ტყუვილს ვერას წავეჭიდებით; მათი უმაღლესობა ვისაც მისცემს, ჩუენ რა საქმე გვაქვს. ქორონიკონს **უაზ**.

482. არზა იესე ჲფურიშვილის ქვრივისა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 18 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 185. დედანი. ქაღალდი. 34,8×21 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის დედოფლის ჭირი მოსცეს მათის მსახურის მ ე ფ უ რ ი ს შ ვ ი ლ ი ს ი ე ს ე ს ქვრივსა და ოჯერს.

ღმერთი ჩემს ცოდვას გაუწყრა, ქმარი და შვილი ამომიწყდა. მათს სიმაღლეს ჩემი ამოწყვეტა მოხსენებოდა და სადედოფლოც გგონებოდი, ბეითალმანი მოგეკითხათ; ბატონი მ დ ი ვ ა ნ ი ს ო ლ ო მ ო ნ და ზ ა [ა] ლ სალთხუცის მაგიერ გებოძებინათ; თუ რამ ფანც-ფუცი იყო, ანუსხეს—წ ყ ნ ე თ ი ს ბოლოს ნაოჯარი ნაწილქვილარის ერთი ჩარექი და კიდევ ა ვ ლ ა ბ რ ი ს ბაღების ბოლოს ნაბაღვარის წყლისაგან წამქდარი ერთი ჩარექი რიყე და ეჭვს კაცთან საფიჩხულის ნამუშავრის წილი.

ამაების ნუსხა მოვართვით ფიცითა და რადგან სათქმელი არა იყო რა და სამეფოც გახლდით, ნუსხა ისევ გადმოგეგდოთ. ამ ხარაბას ორის ჩარექის მიწის სამარს სამი სული ქვრივ-ოჯერი ვყრივართ მწარედ შეწუხებულნი. ოცდახუთი თუმანი ვალი დარჩა. ვალი ცალკე გვაწუხებს, რძლის ზითევს ცალკე მთხოვენ. მკუდრები დაუმარხავი მყავს.

თქვენის ჯელმწიფის შვილისა და იმის ბრწყინვალეს შვილების გასამარჯვებლათ და სადღეგრძელოთ ერთის სიტყვით ჯელმწიფეს შეგვაბრალეთ, რომ ამ ნაოკრების წყალობა მიყოს, გავყიდო, ვისაც რა გახვდეს, მოვალე[ე]ბი მოვიშორო, ჩვენ თქვენის ჭირის სანაცვლო შევიქნათ. თქვენის მეტი მოწყალე, მისამართი და პატრონი არავინა მყავს, ვერც არავის ვიცნობთ. ქრისტიშობის **ია**, [ქორონიკონს] **უაზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! მერე რომელიც ამ არზით მამულების გასყიდვა მოგიხსენებია, ჩვენც დასტური მოგვიცია გასყიდვისა, მარა სხვის ყმას ვერავის მიჰყიდი, ჩვენის სახასოსკაცს უნდა მიჰყიდო. დეკემბერს **იზ**, ქორონიკონს **უაზ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

483. არზა მოძღვართმოძღვარ ნიკოლოზისა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1779 წ. 20 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2053. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის საქართველოს ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს სამარადისოდ მლოცველს მოძღვართ-მოძღვარს ნ ი კ ო ლ ო ზ ს და ერთობით გულგულელთა.

მერე ბატონი ჩვენი მოძღვართ-მოძღვარი იმერეთს რომ გახლდათ, იმ წელიწადს მგალობლის შვილებს ჩვენს მამულში ფაცერი ჩაედგათ თქუენი, გვითხრეს: მეფის ბრძანება გვაქვსო. იმ წელიწადს ისე გაიარა.

მეორე წელიწადს უფრო ჩვენს მამულში დაინაცვლეს, ჩაუჭერით და აიღეს ჯელი. შარშან დაუძახეს საყდრიონსა და კიდევ უფრო ქვევით დასწევეს და ჩადგეს და საჩხუბრათ გამოგვითხოვეს. მოგეხსენებათ ჩვენი და იმათი სიმრავლე. იქ რომ არ ჩავედით, სოფელში მოგვიხდნენ, მაგრამ შინ არავინ დაესწრა.

წავედით, მდივანბეგებთან ვიჩივლეთ. ალავერდელს გუჯარი და აზნაურშვილები სთხოვეს — ამათი გუჯარი და თქვენი შეეყაროთო.

და ისრე გავარჩიოთო. ალავერდელს მოკელე[ე]ბისათვის ებძანა და არ მოვიდნენ. სამი კეირა სამართლის კარზედ ვეყარენით. სამჯერ კიდევ მდივანბეგებმა დაიბარეს და სამართალში არ მოგვყვნენ. რადგან უჩიოდით, ველარ ჩაუჭერით.

წელს მოვიდნენ და თითქმის გულგულის ბოლო გასაშუალეს და ჩადგეს. ჩვენ თქვენის რისხვისაგან გვეშინიან და უღთოთა და უბატონოთ ვხდებით. ფაცერი თქვენის ჭირის სანაცლო იყოს, ფაცრის შემოსწვრივ მამულსაც გვართმევენ.

ჩვენ მუჩალგა მოგვირთმევია ამ არზაზედა: თუ რომ გუჯრის შიგნას გარეთ ან ადლი და ან მეტნაკლები ვიდა[ვ]ოთ და გავმტყუნდეთ, რაც ერთს ავს ბერს გარდახდომოდეს, ის გარდამხდეს; და როცელიც კელმწიფის ნება იყოს, სულ სოფელს გარდაგვბდეს; ამიტომ რომ ჩვენს მაკურთხეველს ეკლესიას ტყვილად ვდავებივართ.

მდივანბეგები გახლავს და გუჯრები. სამართალი გვაღირსეთ. ჩვენც თქვენი ყმანი გახლავართ. დეკენბრის **ბ**, ქორონიკონს **უიზ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად კახეთის მდივანბეგებს ასე ეუწყოსთ! მერე ნიკოლოზ მოძღვართ-მოძღვარს და ერთობით გულგულელთ ამ არზით რომ ასე მოუხსენებიათ, ამათი სამართალი თქვენთვის მოგვიწერია.

საყდრიონის აზნაურშვილები უნდა მანდ სამართალში შემოჰკრიბოთ და წმინდის გიორგის გუჯარი მიატანინოთ. ნიკოლოზ მოძღვართ-მოძღვარმაც ხახულისა ღმრთისმშობლის გუჯარი მოიტანოს და სადამდისინაც სამძღვარს ან ხახულის ღმრთისმშობლის გუჯარმა და [ა]ნ წმიდის გიორგის გუჯარმა გარჩევით და სამძღვრის დანიშვნით აღმოაჩინონ თავ-თავიანთ მამულები, სამართალი მაგ სახით მიეცემათ და მაგათი დავა მაგ გუჯრების[1] ძალით გარდასწყდება. დეკენბერს **კ**, ქორონიკონს **უიზ**.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

484. არზა გაბაშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 4 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 847. დედანი. ქაღალდი. 20,4×10,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აბზაცების ბოლოს ნახმარია ორი წერტილი ხაზით :—

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს გაბაშვილს ვახუსტის და გაბას.

[1] გუჯრებით.

გაბაშვილებში ჩვენისთანა უყმო და უმამულო არავინ არის. თიანეთს ერთი კომლი კაცი გვყავს ხუციასშვილი, ახლა გვესმის, რომ ის ჩვენი კაცი ტეტია გაბაშვილისათვის გიბოძებიათ.

თუ რამ დანაშაული გვაქვს და გაგვწყრომიხართ ნება თქვენია, ჩვენი თავიც თქვენის ჭირის სანაცლო იყოს; თუ არადა, ჩვენის კაცის წყალობა გვიყავით, ღმერთი გაგიმარჯვებს. ნოენბერს **იბ**, ქორონიკონს **უიზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის გაბაშვილებო. ჩვენ თქვენი ყმა არ მიგვიცია. თქვენ თუ სადაო გაქვსთ რამ, მოსამართლეებთან მიდით და სამართალი ითხოეთ და სამართალს მოგცემენ. იანვარს **დ**, ქორონიკონს **უიზ**.

თუ მაშინ გაუ[ყ]რელნი ყოფილხართ, მოსამართლეებთან ილაპარაკეთ და სამართალი მოგეცემათ. თუ გაყრილი ყოფილხართ, საქმე არა გექნებათ რა. ასე იცოდეთ.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

485. არზა გრიგოლ ხუციშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 4 იანვარი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 29. საბუთი № 66. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[85 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის ლეონის ჭირი ხუციშვილს [მ]ღ[ვ]დელს გრიგოლს მოსცეს.

ჭილაშვილ[ი]ს **[86]** გივის ქვრივს უჩივლია და ნასყიდობას შემომცილებია და გიბოძებიათ. მონასყიდე გახლავარ და წიგნიც მაქვს. ღმერთი გაგიმარჯვებს. თუ ერთს სხვას მონასყიდეს მოშლია, მე რაღა სიტყვა მაქვს. სამართალს ვითხოვ. იანვრის **დ**, ქორონიკონს **უიზ**.

თავში

ავთანდილ ბოქოულთხუცესო! ამ არზით ასე რომ ჩივის, თუ რომ ჩვენ მოვედით მალე დროზედ მანდ, ჩვენთან სამართალში მოიყვანე. და თუ ჩვენ დაგვიგვიანდეს მანდ მოსვლა, ჩვენს სამართალში გამოგზავნე. იანვრის **დ**, ქორონიკონს **უიზ**.

486. არზა იესე მსაჯულისა უმის თაოგაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1780 წ. 9 იანვარი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 26. საბუთი 39. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[38] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფე დედოფლის[1] ჰირი იესე მსაჯულს მოსცეს.

თამაზა ჩემის ყმის ოქმი მოგართვი, რომ მისი სიმაღლე ბძანებს ასეთი წიგნები ჰქონდაო სანატრელის დედოფლის თამარისა, რომ თამაზა ახლავ მიეცითო. კონსტანტინეს თავდებობის წიგნი მოგართვი გავაზის მოურავისა და თვითან თამაზას მოცემული ეს წიგნები თქვენც იხილეთ და თვით ჩემმა ხელმწიფე[მ]ც; და ბძანა-- ეს კაცი იესესიაო, უნდა მასცეთო.

წყალობას ვითხოვ, ერთი იასაული მებოძოს, ჩემი ყმა მომცენ და წამოვიყვანო. ჰირვების წელიწადს აქ გახლდათ. ხვათესა შვილიც აქ ჰყვანდა, სამართლით მე ის აღარ გამომერთმევა; დანება თქვენია. იანვრის ვ, [ქორონიკონს] უიჱ.

თავში

დედოფალი დარეჯან გიბძანებს იასაულო საამისშვილო ედიშერ! მერე ეს კაცი გავაზს რომ არის თამაზა, მრავლის წიგნებით გავსინჯეთ, რომ იესე მდივანს მისცემია და ამის ყმაც არის. ახლავ აჰყარე და იასე მდივანს მოაბარე. ამზე ნურავ კაცი მიზეზს ნუ იტყვით. იანვრის თ, ქორონიკონს უიჱ.

487. არზა ალექსანდრე ექიმისა უმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 10 იანვარი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 4. საბუთი № 216. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[112 v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მათს მონას, ექიმ ალექსანდრეს მოსცეს.

[1] დედობლის.

ჩემო მოწყალევ, მოგეხსენება, მე ამ ქვეყანაში ყარიბი გახლავარ და შემწე არავინა მყავს, რომ ამ ჩემს ხელობაში მამეხმაროს. ერთი ბიჭი არის, სოფლებიდამ მოსულა აქა, სამი წელიწადია და ვალი დაზღებია აქა, თავს სხვაზე გასყიდვას აპირობს. ჩემო მოწყალევ, თქვენის წყალობით სხვანი უთეთროთაც ყმას შოულობენ. მე ჩემის ოფლის ფასით მინდა ის ბიჭი ვიყიდო, რომ მარტოხელობა[მ], დიაღ, შემაწუხა.

წყალობას ვითხოვ, რომ ქალაქის მოხელე[ე]ბს უბძანოთ — სიგელი დამიწერონ; მეც თქვენი ყმა გახლავარ და ეს ჩემი ნასყიდი ბიჭიც თქვენი ყმა იქნება. ვიცით, ჩვენზე მოწყალე ბძანდებით, წყალობა მოიღვაწეთ. ღმერთი[1] გაგიმარჯვებს. იანვრის ჱ, ქორონიკონს უიჱ.

თავში

მელიქის ნაიბო მიკირტუმ, მამასახლისო ზაქარავ, ნაცვალო აღალო! ამ აქიმს ალექსანდრეს რომ უთხოვნია, ამას ასყიდვინეთ ის კაცი. და რომელიც რიგი არის, სიგელიც დაუწერეთ და მიეცით. იანვრის თ, ქორონიკონს უიჱ.

488. არზა ზაალ გურამიშვილისა უმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 27 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1295. დედანი. ქაღალდი. 21,8×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს გურამიშვილს ზაალს. ერთი ჩემი კაცი პეტრე გულგულას გახლდათ, იქიდამ ავჰყარე, აქ აჳჭალას მოვიყუანე ცოლ-შვილით ამ ზაფხულს. იმ ჩემ კაცს მოსავალი გულგულასვე ჰქონდა. თქვენის მზის შემოფიცებით მუჩაღლა მომცა: მოსავალს ჩავიკლებო და ათ მარიამობის თვეში ისევ ჩამოვალო.

თურმე იმ ჩემმა კაცმა თავის მოყუარე გააძრახა, გამოგზავნა ავჭალას, იმ ჩემი კაცის ცოლ-შვილი ავჭალიდამ დაიპარა და ჯახეთს წაასხა. შევიტყე, გამოუდექ, მანამ გულგულას მივიდოდი,

[1] ღ~თ.

აყრილიყო და ნაფარაულში გასულიყო. თუშ მოურავი ხატიანი გაეძრახებინა, გურამისშვილი რომ მოვიდეს, წურც კაცს დაანებებთ და ავათაც მოეპყარითო. იმათ მუქარა შემოეთვალათ და კელარ გაველ, რომ ჩემის დაკარგვის მიზეზი უწინაც ეს კაცი იყო[1].

უწინაც ნათლისშვილი გივ[ი] იყო იასაული და გივსვე ებძანოს, რომ ის კაცი ამიყაროს თავის ძმისწულებით. ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის **კდ**, ქორონიკონს **უჲჩ**.

თავში

ქ. გარსევან ეშიკაღაბაშო, ამას იასაული მიეც, ნაფარეულიდამ თავის კაცი აუყაროს და მოაშოროს. ამას თავის კაცს ვერავინ დაუჭერს. აღიწერა იანვრის **კზ**, ქორონიკონს **უჲჩ**.

თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, ჩვენს სამართალში ალაპარაკე.

ბეჭედი: ჯნარს მიცენს, დავით მიქმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ტექსტის ხელით

ზაალ გურამისშვილს ნაფარაულში ერთი კაცი ჰყავს, იმის აყრას გევედრებათ.

489. არზა უაჭარდლის ქვრივისა უმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 13 თებერვალი

ცსსა. ფონდი 1450. დივთარი № 45. საბუთი № 210. პირი ქაღალდი. მხედრული.

[139] ღმერთმან მოწყალის ხელმწიფის ჰირი მოსცეს უავარდლის ქვრივს.

მერე ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს. ამას წინათ შარშან გორს რომ ბრძანდებოდით, ჩემის სიგლახაკისა და უსარჩოობის გზის მიცემას გევედრე ჩემის საქმროს მამულიდამ და ყმიდამ. თქვენ რომელიც შეწყალების გზა იყო, ისე მოიღევით მოწყალება და ოქმით კაცი მიბოძეთ, რომ იმას უნდა შევენახე, რადგან თქვენი განწესებული სარჩო[ს] მოცემა კი ვერ შეიძლო ფავლენისშვილმა.

[1] + ეს კაცი.

ახლა ჩემო ხელმწიფევ, არც იმ კაცისაგან იქმნა ჩემი შენახვა; ამიტომ რო იქავ გახლავსთ და იმის სამსახურს ვერ გადარჩომია და არ შეიძლება იმისგან, რომ ორთავ გვმსახუროს.

ვევედრები თქვენს ღვთისგან ამაღლებულს მეფობას, რომ ჩემი სისაწყლე და ქვრიობა შეიბრალოთ — ან თქვენ მიირთოთ ის ყმა და მამული და მე რჩომისა და გაძლების გზა მიბოძოთ და ან იმასვე უბოძოთ და ჩემი სარჩო წლითი-წლა[მ]დი გამომართმევინოთ ჩემ შეუწუხებლად.

ამ შეიწროებულს დროსა და ჟამს ამისთვის მოვმართე თქვენს ბედნიერს კალთას, რომ ამ ორის ვედრებისაგან ცალიერი არ დავრჩე და მალოცვინეთ თქვენის მეფობი[ს] ამაღლება მოწყალევ ხელმწიფევ. აღიწერა თებერვალს **იბ**, ქორონიკონს **უჲჩ**.

თავში

[138 V] ბატონო ამილახორ-მდივანბეგო იასე! მერმე ამ ყავარდლის ცოლისათვის მარამდინ ცოცხალია, ეს კაცი როგორც ბატონს დედოფალს უბოძებია, ფავლენისშვილებს საქმე ნურა აქუსთ, ამას უნდა ემსახურნენ.

როცა რომ ღვთის ნებით ყავარდლის ცოლი აღსრულდება, ეს კაცი ისევ ფავლენისშვილების იასეს და თემურაზის ყმა იქნება. ეს კაცი ახლავ აუყრევინე და ამ ყავარდლის ცოლს მოაბარე, დირბს დააყენოს და იქიდამ ამას ემსახუროს; ოვინიერ ერთის მორიგობის მეტი ამ კაცს ნურა ეთხოვება რა, ამ ყავარდლის ქვრივს უნდა შეძლებით მსახუროს. თებერვლის **იგ**, ქორონიკონს **უჲჩ**.

თუ რამ ამისი ან საქვეყნო და ან სალეკო იქნება, ჩვენ მივსცემთ და ჩავაგდებთ ანგარიშ[შ]ი, ჰალბათ.

490. არზა გლახა თარხნიშვილის ხარის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით

1780 წ. 4 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2376. დედანი. ქაღალდი. 15,3×16,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბატონის მდივანბეგების ჰირი მოსცეს გლახა თარხნისშვილსა. ხარზე რომ ვიჩიელე, ჩემი ხარი ვიპოვ-

ნე; სამი მინალთუნი სამთხრობლო მივე. ვის[ა]ც გამოვატანე, იმას გ[ა]უყიდია.

ოქმი მიბოძეთ: ვისაც ჩემი ხარი[1] ყავს, გამოვართო. ის, ვინც იმას მიყიდა, იმას ედაოს. ამის სამართალსაც ვითხომ, რატომ მა[მ]აპარა; რომელიც სამართლის რიგი იყოს, იმ სამართალს ვითხომ. მარტის **დ**, ქორონიკონს **უიჱ**.

თავში

ქ. საქართველოს მსაჯულთშეკრებილება გწერთ გლურჯიძე იოსებ! გლახას მთხრობელი ჰყავს, რომ ვისაც გამოვატანე ჩემი ჯარი, გამიყიდაო. ეს ჯარი გამოურთვი, გლახას მოაბარე. ორნივ მოიყვანეთ; ვისგანც უყიდია, პირს დაუყენე, თუ მართლა მაგას მიუყიდია, სამართალში წამოიყვანე გლახაცა და ეგ გამსყიდველიცა. და თუ გლახა გამტყუნდა, ამას გარდაჰდება. თუ ეგ კაცი გამტყუვნდა და პასუხი უნდა გასცეს სამართალსა. მარტს **დ**, ქორონიკონს **უიჱ**.

სამი ბეჭედი:

1. მზეჭაბუკ
2. მთნა ღთისა მდიკანბეგი თემურაზ
3. ჯამი ესღცა წარვლის.

491. არზა ზოზია საყვარელიძისა მამულის თაობაზე ლეონ გაბონიშვილის ოქმით

1780 წ. 5 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 14390. დედანი. ქაღალდი. 20,6×9,6 სმ. ნახეწრული. გამკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ძის ლევანის ჭირი მოსცეს თქვენს ყმას საყვარელიძე შოშიასა.

ამას მოვახსენებთ: აგერ ოცდაცხრამეტი წელიწადია დემეტრეს ქელთ გახლდი და რომელიც მამულები იმისგან მომცემია, არა კაცი არა მდავებია. და ახლა ღმერთმან რა თქვენი ყმობა გვაღირსა, უფრო არავისგან დაჩაგურასა და წართმევას ვისგანმე მოველოდით. ახლა მამდგენ, მამული მჭონდა სადმე ყმა, სულ წამართვეს და გამგლიჯეს და ცარიელზე დამაგდეს.

[1] ხარარი.

ამ მოწყალებას ვითხოვ: ამილახუარს ებრძანოს, ვისაც მამული წაერთმევინოს და ან ბარა, ყველას გამამირთვას და მამცეს. და თუ სამართლიანის სიტყვა ვისმე ქონდეს, თქვენს სამართალში გამამატანოს, ქელმწიფეჳ. მარტის **ე**, ქორონიკონს **უიჱ**.

და ამილახვარს მიმაბაროთ, რომ თქვენის ძლიერების მოწყალებით ამთენს უბრალოს კაცს არავის გააგლეჯინოს ჩვენი თავი და ამიზგან დავიფარო, თქვენს სადღეგრძელოთ, რომ თქვენს სამსახურზე ბეჯითი გახლდე.

თავში

ქ. ბატონო ამილახვარ-მდივანბეგო! ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასრე ჩივის, ვისაც ამისთვის მამული წაერთმევინოს და ან მამულის ბარა, ეს სამართლიანის საქმით თქვენ მოიკითხეთ. და თუ ამასთან საბუთიანი სიტყვა არავის რა ჰქონდეს, თქვენ გაურიგეთ მამულიცა და ბარაცა. და თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე რამე, ჩვენს წინ ილაპარაკონ. და ამას იქით ეს შოშიაც თქვენთვის მოვლიბარებია, რომ თქვენ თვალ-ყური გეჭიროსთ ამაზედა, რომ უბრალოთ არავინ რა შესცოდოს და არ გასარჯონ. მარტის **ე**, ქორონიკონს **უიჱ**.

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

492. არზა მახარებელ ელისაბედაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 9ჱ მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2994. დედანი. ქაღალდი. 20,3×12,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს წმინდის ესტატის კანდელაკს ელისაბედაშვილს მახარებელსა. ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ხემწიფესა, რომ ჩემის შეწირულობის სიგელი თქვენც გინახავსთ და თქვენი ნაბოძები ოქმიცა მაქვს. და თარხნისშვილი მამუკა კიდევ თავისად მეჭიდება.

ამ წყალობას ვითხოვთ, რომ ერთის ოქმის წყალობა გვიყოთ,

რომ იმას ჩემთან ხელი არა ჰქონდეს რა. ეკლესიის ყმა ვარ და ეკლესიას უნდა ვემსახურო. მარტის **იდ,** ქორონიკონს **უიწ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე თუ ამასთან სიტყვა აქვს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს; თუ არა ამას უბრალოთ ნურავინ გარჯის და ნურცა რაზე შეაწუხებენ.

ზაზავ ყორიასაულბაშო! ეს შენ გებარებოდეს, მართებულათ ყური მიუგდე. მარტის **კგ,** ქორონიკონს **უიწ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

493. არზა საყვარელიძეებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 28 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. H‡ 5288. დედანი. ქაღალდი. 20,5×14,5 სმ. ზხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ოთხ ძმათ თქვენის ნეკის ნასი'ხლათ საყვარელიძეთ.

ამას მოვახსენებთ: მერვედი ამილახვარი შვილისაგან თავიანთ მამა-პაპის ნასყიდობა მცირე რამ მამული გუბოძებია თამარაშენს. თქვენის სახასოს კაცისაგან უყიდიათ ერთი ნაველენახარი ურიისაგან, რომ ამის სიგელიც ჯელთ გვიჭირავს, ოთხმოცი წლის ნასყიდობა გახლავთ და მას აქეთ არც მონასყიდეს სცილებია ვინმე და არც ჩვენ.

ახლა თქვენთვის მაჩაბელს ფარსადანს თავი უწყენია: ერთი ბეითალმანი გახლამსთო თამარაშენსაო და წყალობა გვიყავითო. თქვენგან ბოძებია თუ არა, ვერც ეს შევიტყევით, წამოგვიცრა და წაგვართვა. ასე ნაცილად მოხსენება როგორ იქნება; იმ მამულზედ გახლავართ და იმითი ვცხოვრობთ და თქვენს მეფობასაც იმითი ვემსახურებით.

ამას გარდა ორი ნავენახობი კიდევ სხვა და ერთი სასახლის ადგილი სხვა გახლიათ, ესეც წაგვართვა და არც ამასღა გუანებებს და ამას მეუბნება: ამის სანაცულოს სხვაგან მოქცემო. თუ არ გამიწყრებით და არ მიმიღებთ, ერთისათეის ათი მომცეს, ვერ მივსცემ და ჩემი სარჩოც ეს გახლამსთ. ამ მოწყალებასაც გევედრებით: ერთი ოქმი მებოძოს, რომ თქვენი ნასისხლი მამული ჩემი ისევ მევე მებოძოს. მარტის **კ,** ქორონიკონს **უიწ.**

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ფარსადან მაჩაბელს ასე უამბეთ: მერე ამ ძრზით რომ საყვარელიძეები ასე გიჩივიან, ჩვენგან რომ ოქმი გბოძებია, ისიც უნდა გაისინჯოს და საქმე სამართლით მოხდეს. უსამართლოს ვერ უზამთ. მარტის **კს,** ქორონიკონს **უიწ.**

ან ჩვენთან ელაპარაკე და ან მოსამართლეებთან და ისე გასწორდით ერთმანერთთან სამართლით.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

494. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმა-მამულის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

1780 წ. 29 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. H‡ 538. დედანი. ქაღალდი. 20×14,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩემის მოწყალის ხვინწიფის ძის ივლონის ჭირი მოსცეს დავითიშვილს ზაალს.

მერე ამას მოვახსენებ, რომ ახლა მისის უმაღლესობის ბატონის მამის თქვენისაგან და თქვენგან წყალობა დამემართა ჩემის გასამყრელოს აღებულია აზნაურშვილის ტატიშვილის ბაღათარის შვილებისა და იმისის იმისწულების ყმისა და მამულისა. იმათი კაცნი თქვენს საბძანებელს მამულში მერეთს და ერტელში გახლავან და ერთის ოქმის წყალობა მიყავით, რომ თქვენს მამულში, საცა ამათი კაცი იყოს, ამიყაროს და მომცეს, რომ საცა სხვა ჩემი კაცნი გახლავან, ისინიც იქ მივიყვანო. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. მარტის **კწ,** ქორონიკონს **უიწ.**

თავში

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებ ჩერქეზიშვილო ფირან! მერმე ამ არზით ზაალ დავითიშვილი რომ ასე ჩივის, ვინც ამისი კაცები ჩვენს საბატონიშვილოს სოფლებში იდგეს, აუყარე და მოაბარე. და თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. მარტის **კთ,** ქორონიკონს **უიწ.**

ბეჭედი: ქ. ღთის მშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

495. არზა დავით გოგიბედაშვილისა გამოსაღების თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1780 წ. 2 აპრილი

ცსსა. ფ. 1443 საბ. № 827. დედანი. ქაღალდი. 22×12,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ძის გიორგის პირი გოგიბედაშვილს დავით მოსცეს.

მერმე ამას მოგახსენებთ: ხანდაკს ბზე სწერებოდა და ოთხი მიხალთუნიც თეთრი ერთობით ხანდაკელთ. ჩემის შვილისათვის გლახა თარხნიშვილს თოფი წაურთმევია და ბზის იასაულს სალტები წაუყრია. მე ხანდაკს ჯავახიშვილის ყმებთან არასდროს ხარჯი არ გამიწევია. იმათთან მამას არ გაუღია და პაპას გამოსაღები. მე თქვენი მსახურობა არას მეტყობა. თუ აზნაურშვილი ვარ, რაში მეტყობა; ან მსახურობით რატომ არ მეპატიება და ან აზნაურშვილობით.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, თქვენის ბძანებით მიმსახურეთ, იმათში ნუ გამრევთ. მარტის **ლა**, ქორონიკონს **უიზ**.

თავში

ქ. ბატონიშვილის გიორგის სიკეთით სახსოვარო თარხნისშვილო გლახავ და ვინცავინ ბზის მოასილები იმყოფებით, მერე ეს როგორ არ იცით, გოგიბედაშვილი აზნაურშვილი არის; სხვას რომელს აზნაურშვილს გამორთმევ[ი]ა ამგვარი გამოსაღები, რომე ამასა სთხოვთ და ან გამოგირთმევიათ.

თოფი რომ წაგირთმევია და ან სალტები წაგიყრიათ, ახლავ მიეცით, თორემ დიდათ გვეწყინება. ამას ვერაფერს ვერ გამოართმევთ. აპრილის **ბ**, ქორონიკონს **უიზ**.

ბეჭედი: მეფის ძე გიორგი.

ქ. ჩვენი ბძანება არის ჯავახისშვილებო და ჯავახიანთ ყმანო! მერე ეს აზნაურშვილი არის დ, ამისი ხარჯში გარევა არ იქნება. თუ ყმა პყავს, ჩვენთან საბუთი უყაიით და მაშინ რა სიტყვა ექნება. ამისი ყმა უნდა რომ ხარჯში გარიოთ. თუ არადა, ამას ნურაზედ შეაწუხებთ და ღღეის იქით ხარჯში ნურაში გარევთ, თორემ იცოდეთ დიდათ გიწყენთ. იანვრის **ა**, ქორონიკონს **უო**.

ქ. თუ ამას ყმა პყავს და სოფლეულათ შემოგეწერებათ რამე, მაშინ უნდა გარიოთ ხარჯში. თუ არადა, ხარჯ[შ]ი ნუ გარევთ, თორემ იცოდეთ, პასუხს ვეღარ მოგვცემთ.

ბეჭედი: ენარს მიცემს, დავით მიჯმობს ბედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

496. არზა ფარსადან ესიტაშვილისა სისხლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 2 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9874. დედანი. ქაღალდი. 20,5×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან მათის სიმაღლის ჰირი მოსცეს ფარსადან ესიტაშვილს.

ჩემო ხემწიფე, მაჩაბლისაგან რომ ასე უსამართლოთ შკუდარი ვარ, როდესაც სამართალში გავიარეთ, დაინახა, რომ სამართლით უდაბნოს საუპატიოც ედებოდა, ბატონიშვილისაცა და ჩემიც მთელი სისხლი.

სხვანიც ბევრი შემომიყენეს და გივი ხომ რა საკურველია. უთქვენოდ ჩემი ნება როგორ იქნებოდა; მაგრამ გივს რომ ბევრი უარი უთხარ და აღარ მოშეშვა, შემარიგეს და ღვთის ფიცით და თქვენის მესისხლობის საფიცარი დამიწერეს ვადით და მომცეს, რადგან აღარ გვიჩივლეო. ორი კომლი კაცი უნდა მოეცათ და ზოვიც თეთრი. ამდენი ხანია ვეხვეწები და იმათი პასუხი ეს არის: კიდევაცა გცემთ ხმალსაო.

ამ წყალობას ვითხოვ: ერთი ოქმი და იასაული გვიბოძო. ან სამართალში გვალაპარაკონ და ან რაც ფიცით წიგნი მოუციათ და დამპირებიან, ეს აღმისრულონ. მეორედ შფოთი რომ არა მოგვიხდეს რა: თქვენი სადღეგრძელო იქნება, თუარა ჩემი თავი თქვენის ჰირის სანაცვლო იყოს. მარტის **კთ**, ქორონიკონს **უიზ**.

თავში

ქ. ეშიკაღაბაშო დემეტრე. ამ არზით ესიტაშვილი მაჩაბლებს რომ ასე უჩივის, ან რასაც დაპპირებოდნენ და თავიანთ ქელწერილით ფიცი მიეცესთ, ის გამოურთვით, და [ა]ნ მოსამართლებ-

თან ალაპარაკეთ. რომელიც უნდოდესთ ამ ორში, ისე გარიგდნენ. აპრილის **ბ**, ქორონიკონს **უიჩ**.

ბეჭედი: ნჭარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

497. არზა ზაალ დავითიშვილისა ამის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 6 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 536. დედანი. ქაღალდი. 16,3×9,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი ზაალ დავითიშვილს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ: ამას წინათ არზა მოგართვით, რომ ეკლესიის ყმა ჰყავს მაჩაბელს და დამახსნევინოს-მეთქი. ოქმი მიბოძეთ მაჩაბელებზედ, რომ ეკლესიის ყმა როგორც ეყიდნათ, ისე დაეხსნევინებინათ. ოქმიც უჩვენეთ და თეთრიც ვაძლიე და პასუხს არას მეუბნებიან. გოგია მაჩაბელი ხომ შინ გახლავს, ამილახორს ებძანოს, როგორც თქვენს ნაბოძარს ოქმში იყოს, ისე აგვისრულოს, ღმერთი გაგიმარჯვებს. აპრილის **ბ**, ქორონიკონს **უიჩ**.

თავში

ქ. ბატონო ამილახორ-მდივანბეგო [ი]ესე! მერე ამ დავითიშვილს ჩვენი ოქმი აქვს იმ კაცის დახსნისა; რაც მაჩაბელს მიეცეს, ის უნდა გამოართვას და თავის კაცი დაანებოს, რადგან ეკლესიის ყმა არის. ამას გაურიგებელს ნუ დაიგდებ, როგორც ჩვენს ოქმში ეწეროს, ისე აღასრულე. აპრილის **ვ**, ქორონიკონს **უიჩ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

498. არზა პაისიოს სამთავნელისა გამოსალეგის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1780 წ. 6 აპრილი

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი. № 1451. რგეული. № 14. საბ. № 69. პრი. ქაღალდი. მხედრული.

[31] ქ. ღმერთმან უმაღლესის მეფის ძის ლეონის ჭირი მოსცეს მათს მლოცველს სამთავნელს პაისიოსს.

სამთავისის ეკლესიისა და წმიდის შიოს ყმანი სამი კაცი გახლავსთ — ორი სამთავისს და ერთი ბიჭი ჭალას. თქვენის ბძანებით ზაალ სურსათსა სთხოვს. ამ ეკლესიის ყმანი სულ რომ თქვენს ხარჯს იღებდნენ, ჩემთვის სასიხარულო არის, მაგრამ დღეს რომ ამ ორს კაცს თქვენს წილს მოხელეც თქვენი ჰყვანდეს და ხარჯშიაც თქვენი გახლდესთ, ამილახორის შვილები რომ გაიყრებიან ბიზეზად ამას დასდებენ, თავის მოხელეს დაუყენებენ და თავის საუფლისწულოსთან ხარჯს გამოართმევენ და ეკლესიას ყმა სულ წაერთმევა, რაღას არგებს. მე ვალი მქონდა მომიხსენებია და ნება თქვენი იყოს.

და ესეც მოიხსენეთ: წინაზედ ამილახორმა შეაწერა სურსათი ვერ გამოერთოთ. ახლა კიდევ ზაალ სთხოვს. ამის გაღება როგორ შეუძლიათ, გლახაკნი გახლავან, ჩემო ხელმწიფევ. აპრილის **ე**-ს ქორონიკონს **უიჩ**=1780-ს წელსა.

პაისიოს.

კიდეზე

ქ. ბატონიშვილი ლეონ გიბრძანებ ქარუმიძე ზაალ! მერე ამ არზით სამთავნელი რომ ასე ჩივის, ჩვენ რა საქმე გვაქვს, რომ ეკლესიის ყმას ვსთხოვოთ რამე, რაზე აწუხებ მაგ კაცთა, ხელი აიღევ, დაეხსენ, თორემ ჩვენი საწყენი იქნება. აპრილის **ვ**-ს, ქორონიკონს **უიჩ**-სა.

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

499. არზა სესიკაში ჯიის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1780 წ. 6 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2905. დედანი. ქაღალდი. 27×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის ლეონის ჭირი მოსცეს საცოდავს გლახა დათიკას ძმას სესიკ[ა]ს.

მერე ამას მოვახსენებ ჯელმწიფეს: ღმერთმან თქვენი რისხვა მომცეს, თუ რაც უსამართლობით არ მეჭიდება, იმ ფალავანდიშვილს იმ ჩემს კაცთან საქმე ქონდეს, რომე კიდევ ამ უსამართლობით უწინაც წამომეჭიდა, ვირივლეთ ბატონს მამა თქვენთან, ორი-სამი ოქმი მიბოძა, არაფერი საქმე არ აქვსო რაო ფალავანდიშვილსაო. ჯელმწიფე უსამართლოდ როგორ მიბოძებდა, თუ

ჩემი მემკვიდრე და ორჯელ-სამჯერ ნასყიდი არ მყოლოდა. ღმერთი უმეტესად აღგამაღლებს, თქვენგან ებძანოს ოქმით, რომ დამეხსნას. აღიწერა აპრილის **ვ**, ქორონიკონს **უიჩ**.

თავში

ქ. ბატონისშვილი ლევან გიბძანებ ამ არზის პატრონო, შენ ბატონის მამის ჩვენის ოქმები გქონდა ამ კაცისა, ჩვენც ვნახეთ ის ოქმები, ჩვენც ის ოქმები დაგვიმტკიცებია და ის ბრძანება. იმ კაცთან საქმე არავისა აქვს. თუ ვისმე სიტყვა ქონდეს, ისევ ხელმწიფე მამაჩვენს მოახსენოს. აღიწერა აპრილის **ვ**, ქორონიკონს **უიჩ**.

ბეჭედი: მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

500. არზა ზაზა მაღალაშვილისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 7 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 23. საბუთი № 62. ჰირი. ქაღალდი. მხედრული.

[63] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მოსცეს მაღალაშვილს იორამის ობოლს ზაზას.

მამაჩემი თქვენს წინ ჰირის სანაცვლოდ გაგიხდათ, მე მაშინ პატარა ობოლი დავრჩი, ჩემი სახლები და ყმა გედეონისშვილებმა წამართვეს. თქვენ არზა მოგართუით და ოქმი გვიბოძეთ: მანამ ეს ობოლი გაიზდებოდეს და მოვლას შეიძლებდეს, ან გედეონიანთ შეურიგდესო და ან თავის განაყოფებს მიაბაროსო; და როიცა მოვლა შეიძლონ, თითონ მოუვლი[ა]ნო.

ჩემო ხელმწიფევ, გედეონისშვილებმა არც ამ ბრძანებულს მიხედეს და არც ობლები შეგვიბრალეს. სახელოებიც წაგვართვეს და ყმაც. თქვენი ოქმიც ხელთ მიჭირავს, სამართალი მაღირსედ. ახლა ჩემის სახლების და ყმის მოვლა შეგვიძლია, წყალობა გვიყავით, ღმერთი გაგიმარჯვებს, მარტის **ი**, ქორონიკონს **უიჩ**.

თავში

საქართველოს მსაჯულთ ასე ეუწყოს: მერე ამ არზის პატრონი ასე რომ ჩივის, ჩვენს ძმას მათს უწმინდესობას იახელით, ამის წიგნები მიიტანეთ და ამის სამართალი განსაჯეთ. აპრილის **ზ**, ქორონიკონს **უიჩ**.

თუ მისი ნება იყოს, მისმა უწმინდესობამ გაშინჯოს, თუ არა ისევ ჩვენთან მოვიდნენ.

501. არზა მანგლელისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 18 აპრილი

ცსსა. ფ. 1449. საბუთი № 1939. ჰირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან მათის უმაღლესობის ჰირი მოსცეს მათს მლოცველს მდაბალს მანგლელს.

მერე ღმრთის მოწყალებითა და თქვენის შრომითა საქართველოში მრავალს ადგილსა ცეცხლი აენთო. ბოლნისებშიაც შენობა შეიჭნა. ბოლნის[ს] რაც ბოლნისისა ღმრთისმშობლის მამულები არის, ვენახებს სადმე ხუნენ, ეკლესიის მამულებსაც სადმე იტაცებენ და თავისთვის იჭერენ.

ჩემო ბატონო, ჩემი თანმდები იყო, რომ თქვენის სიმაღლისათვის მომეკსენებინა. ამაზ მოგაკსენებ, იმ ეკლესიის ყმა გახლავსთ ერთი ბერი კაცი, თურაზა ჰრქვიან, იმას ერთი ოქმი უბოძოთ, რომ რაც ეკლესიის მამულები იყოს, იმან არავის დაანებოს.

ჩემო კეთილშობილო, რადგან მამულების ძებნა არის და სხუანი ეჭიდებიან, ახლა ვინც მოიმძლავრებს, იმას დარჩება და ეკლესიას დაეკარგება. და ნება თქვენის სიმაღლისა არის. აპრილის **იბ**, ქორონიკონს **უიჩ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ეშიკაღასბაშს დიმიტრის ასე უამბეთ. მერე ყოველად სამღუდელოს მანგლელს ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ამაზედ ერთი ბეჯითი კაცი შენი უნდა გაგზავნო, და ის კაცი ჩვენც გვაჩვენე; და იმ შენს კაცს ორი ყოველად სამღუდელოს მანგლელის კაცი — ერთი თურაზა და ერთი სხვა გაატანე ბოლნისს. ეკლესიის მამულები დასწერონ და ჩვენ მოგვართვან. აპრილის **იგ**, ქორონიკონს **უიჩ**.

თუ იქაური აზნაურშვილი იყოს ვინმე, ორიოდ ისინიც დაესწრან, ის წერილი იმათაც დაბეჭდონ და ისე მოგვიტანონ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

502. არზა შუამთის მოძღვართ-მოძღვრის ნიკოლოზისა შეყრილობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 26 აპრილი

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 2054. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხემწიფის ჭირი მოსცეს მათს სამარადისოდ მლოცველს, სახელისაც ულირს ნ ი კ ო ლ ა ო ზ ს მოძღვართ-მოძღვარს.

ჩემო უხვად მოწყალეო, ეს არზა მოისმინეთ. მ[ს]წრაფლადცა გაუშინჯავთ ნუ გამიწყრებით; ღმერთს ვფიცავ, ჩემს ცოდვილს სულს და თქვენს ჭირნახულს, თუ არ თქვენის ერთგულობისა და თქვენის სამსახურის მეტი, ამ საქმეს არსით ჩემი სარგო და გამოსარჩომი არც არის, არცარას მოველი.

ეგ თქვენი მონა დ ა ვ ი თ დიაკონი გახლავთ და გიახლათ, ხომ სრულად თქვენის წყალობით ცოცხალია. მარამ ამისი კერძობის საცოდაობა და აქა-იქ ვისიმე მამულის ნაყოფიერების შესრსინვით და შეფოფინებით მეტათ იწერტება ამათი გონება, რომ არ იმართება სხვას ხიზანსავით ამათი ხიზნობა, არა აქვსთ იმტოლი ალაგი ან ქინძი და ან ხახვი მითესონ.

შვილები სიყმილსავით ხეხილისა და უბოსტნობის მიზეზით დაწიოკებული ყავს. თუ არ გამიწყრებით, აქ ა რ ტ ო ზ ა ნ ს ერთი უშვილო ხმელი კაცია ამონაშვილი — დიდი ძველი ოჯახი ძველად აზატი და ეკლესიის ბეგარა და ხარჯუძლეველი.

ახლა ის კაცი შვილობილს და სახლისკაცს დაეძებს, ხან სომეხი, ხან ქართველი მოინდომა შესაყრელად. მე არ უყაბულე, ამ დავით დიაკვნისა ურჩივე და ნება დამრთო.

თუ თქვენი ნება იქნება და ინებებთ, ჟამამდინ ეს დავით დიაკონი იმ კაცს თქვენის ბრძანებით შევყრი, ამის კერძობა სოფლურის და გლეხურის რაჩომით განისვენებენ, ვინემდინ გნებავთ. და თქვენც ამისგან მუდამ თავის წყენა შეგიმსუბუქდებათ და მას თავისი კერძობით გაძლებითს იმედით უმწუხაროდ თქვენს კარზე მტკიცედ გმსახურებთ.

მე ეს საქმე ჭეშმარიტად მარტო ჩემის გონებით არ მომიღია, თქვენის ყარის კაცისა და მოხელე[ე]ბისაგან ბევრჯელ[1] მთქმია: თუ შენ გინდაო, ამას ერთს სანუგეშოს ალაგს უპოვნიო, ამით ბატონს

[1] ბერჯველ.

[ა]ამებო; ის კაცი და ის მამული კი, დიახ, უმსახურო ეკლესი[ი]სა[ა]. ნება თქვენის უმაღლესობისა იყოს. ასე კადნიერის რჩევა-მოხსენებისათვის კი ნუ გამიწყრებით. მარტის **ლ**, ქორონიკონს **უიწ**.

თავში

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს მ ე ფ ე ი რ ა კ ლ ი, თანამოწამე ვართ ამ დავით დიაკუნისა და ი ვ ა ნ ე ა მ ო ნ ა შ ვ ი ლ ი ს შეყრილობისა და რომელიც სხვა წიგნი არის სოფლისაგან გარიგებული, ღმრთის მოწყალებით, როდესაც კახეთს გამოვალთ და უფრო ზედმიწევნით შევიტყობთ ამათს შეყრილობას, იმას მაშინ დავბეჭდავთ. აპრილის **კვ**, ქორონიკონს **უიწ**.

ბეჭედი: ქნარს მიცენს, დავით მიჰმობს ბედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

503. არზა პაატა ციციშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 14 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. 11d 14209. დედანი. ქაღალდი. 34,5×10 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწა-მტვერს ც ი ც ი ს შ ვ ი ლ ს პ ა ა ტ ა ს.

ორი ობოლი პატარა ბიჭები ნასყიდი კაცის შვილები დავზარდე, ერთი ხაბაზია, ერთი მეჯინიბე არის. ჩემ[მ]ა სახლის კაცებმა ინადობით შურით დამიწერინეს მორიგეში; უმამულო, უსახლკარო გამექცა ჯავახეთს. ღვთის ფიცი მივეც, გარდმოვიყვანე. რაც მორიგე გაჩნდა, არც ერთხელ არ დაგკლებიათ თავის მ[ო]რიგობაში და არც დაგაკლებთ. თქვენს თავს ვფიცავ, მორიგობაში ჩემსა ვასმევ და ვაჭმევ; იმათ ხარჯისა და სათხოვრის შეძლება არ აქვთ.

დიდი ხანია არზა მოგართვით. ოქმიც გებოძათ. გ ო გ ი ა მორდალმა მაჩვენა ოქმი, დასაბეჭდავი იყო; მორდალს დაკარგვია. ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთის ოქმის წყალობა მიყავით, თავის მორიგობას გარდა იმათ სხვა სათხოვარი არა ეთხოვებოდეს რა. აღიწერა **მაისის ია, ქორონიკონს უიწ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, თუ ამისი მოხსენებული მართალი იყოს, მორიგეს გარდა ნურასფერს სათხოვარში ნუ გარევთ. მაისის **იდ**, ქორონიკონს **უიწ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. ჩვენ, ქალაქის მოურავი დავით, ამ პა[ა]ტას მოხსენებას ვმოწმობთ, რაც მოუხსენები[ა], ჰეშმარიტი და სწორ[ი] მოუხსენებია. [მ]კათათვის **იგ**, ქორონიკონს **უიᲪ**. დავით

ქ. ჩვენ, ფანააკის მოურავი ციციშვილი ევსტათი, ამ წიგნის მოწამე ვართ. როგორც ბატონს მამაჩვენს უბძანებია, ჰეშ[მ]არიტი არის. აპრილის **ი**, ქორონიკონს **უჟბ**.

ხელრთვა: ევსტათი.

504. არზა ნოდარიშვილებისა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 26 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 205. დედანი. ქაღალდი. 47,7×21 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ხახმარია წერტილი და ორწერტილი ხაზით :—

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ელისედ მოურავიანთ და ნოდარიშვილებს.

ამას მოვახსენებთ ჯელმწიფეს: თქვენი და სამცხეთო კაცნი კახისუბნელები ჩვენს სამკვიდროს მამულს შემოგუცილებოდენ გურჯაანში; არზით მოეხსენებინათ თქვენთვის ამათ, რომ: რაც კაცნი იქა[1] დგანან, ჩვენი არიანო. თქვენც ამაზე ოქმი გებოძებინათ: ამათ ასე რომ მოუხსენებიათო ან პასუხი და ჯუღაბი უნდა მისცეთო და ან თავიანთი უნდა რომ დაანებოთო.

ახლა ჩვენ თქვენს ჯელმწიფობას ვეახელით და ჩვენი სიგლები გაახელით, და ლევან მეფეს აქეთისა მეფეთაგან ბოძებული სიგლები გაახელით, და იმათგან მოწყალება მთითა და ბარითა ამ მამულისა ამათით მოგხსენდათ; დღეს აქნობამდინ ამ ჩვენს მამულებს არა კაცი არც გუცილებია და არც არავინ შემოგუცილებიაო; ამასაც არ მოგახსენებთ: თქვენ იქ მამული არა გქონებოდესთ და არ გქონდეს, მაგრამ თქვენი მამული და ჩვენი ძველადვე გარჩეული გახლიათ: თქვენ თავს ვიფიცებთ, რასაც უბრალოთ არ გვეჭიდებიან, ამ ჩვენს წილს მამულში იმათ საქმე არა ქონდესთ რა.

1 მიჭა. 2 + არ.

და თუ თქვენი მამა-პაპათ ბრძანებული სიგლები მაგათის უბრალოს დავისაგან ვერ მოგვარჩენს ამ ჩვენს მამულზე, თუ თქვენი სამართალი გვიბრძანებს, ფიცით შემოუვლით ჩვენს მამულს და ისე ვაჯერებთ თქვენს ჯ[ელმწიფობას] ჩვენს სიმართლეს. და ჰანდრიხევიც ჩვენი გახლიათ თავიანთის მთი[თა] და ბარითა და გურჯაანში სასაფლავოცა, რომ არა კაცს საქმე არა აქუს. ჩვენი მოხსენება ეს არის და ნება თქვენი აღსრულდეს. მაისის **კე**, ქორონიკონს **უიᲪ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ამ არზით რომ ასე მოგიხსენებიათ, რომელიც იმათი სადაო წიგნი იყო, გავსინჯეთ და არაფერი მტკიცე საბუთი არა იყო რა; და იმ წიგნით კაცებზედ სამართლით ველარ გელაპარაკებიან. და თუ მიჯნებზე ილაპარაკებენ, მიჯნებს კარგად გაგირჩევთ. და თუ იმ წიგნს გარდა სხვას გუჯარს მოიტანენ, რომ მტკიცე საბუთი იყოს, სამართალს მივსცემთ. და თუ ამისთანას წიგნს და საბუთს[1] ვერას იშოვნიან, იმათ თქვენთან ჯელი არა აქვსთ. მაისის **კვ**, ქორონიკონს **უიᲪ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობა ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

505. არზა თევდორე ხახანაშვილისა ქმოგბის თაობაზე

მდივანბეგთა ოქმით

1780 წ. 26 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1746. დედანი. ქაღალდი. 21×17,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბატონის მდი[ვ]ანბეგების ჰირი წმინდის ევსტატის ყმას ხახანაშვილს თევდორეს მოსცეს.

მერე ამას მოგახსენებთ: თქვენ სამართალში გიახელით მე და მამუკა თარხნიშვილი: ერთის კაცით ფიცი მიბძანეთ, რომ უნდა დამეფიცა. ორი წვერთვერი კაცი გა[ა]ხელით აქა — ერთი ერთაწმინდელი, ერთი ცუცუბნელი. მამუკა თარხნიშვილი მიზეზათ ამას მიდებს, რომ ნოძღვარი არა ჰყავთო. მოძღვარიც აქ გახლავსთ; გაიკითხეთ, თუ მოძღვარი არა ჰყავს.

1 „და საბუთს“ ჩაწერილია სტრიქონთ შუა სხვა ხელით.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, სამართალი მაღირსეთ. მამუკა აქ გახლდათ და წავიდა. ასე მაცოდვილებს, ორი კვირა არის ეს ბერიკაცები აქა ჰყრია და სამართალი არ გველირსა. მაისს კვ, ქორონიკონს **უიᲒ**.

თაეში

საქართველოს მსაჯულთმეკრებულება მოგიწერთ ი ო ა ნ ე ბ უ ჭ ყ ი ა შ ვ ი ლ ო!

მერე ხახანაშვილი თე[ო]დორე უჩიოდა მამუკა თარხნიშვილს და ფიცი დაედვა. თვითონ თავის ძმით უნდა შეეფიცა[1] და ერთის ერთაწმინდულის კაცით. ამას ორი მოფიცარი ეშოვა და მამუკას არ დაეფიცებინა, უმოძღრონი არიანო. ჩვენ ის კაცნიც დავიბარეთ და იმათი მოძღვარიც. იმათმა მოძღვარმა ასე თქვა ფიცით: ამ კაცთ ჩეშთანა აქვსთ აღსარებაო. ახლაც ასე უნდა აღესრულო: იმ ორ კაცში რომელიც მამუკას ნება იყოს, ის და[ა]ფიცოს; და თუ ისიც არ და[ა]ფიცა, ეს თეოდორე თავის ძმით წმინდას ევსტატეს დარჩება, როგორც ჩვენი განაჩენი აცხადებს, ამასთან საქმე არა ექნება რა. და თუ ვერც იმათ შეჰფიცეს, მამუკას დარჩება.

სამი ბეჭედი: 1. ნ ზ ე ჯ ა ბ უ კ
2. მონ ღთისა მდივანბეგი თ ე მ უ რ ა ზ
3. ყამი ესეცა წარვლის.

სხვა ხელით

ქ. დ[ივან]ბეგებს ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს ერთი მოფიცარი შე[ე]გდოთ. ის მოფიცარი მე, მ ა მ უ კ ა მ, აღარ დავაფიცე. ხახანაშვილი წმინდა ესტატეს დარჩა. მე, მამუკას, ხელი არ მაქ[ვ]ს.

ქ. მე, ზ უ რ ა ბ მ ა მამუკას ძმამაც, ხელი ავიღე.

ქ. მე, ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს შ ვ ი ლ ი მ ა რ ი ა მ ბატონის შვილის ბოქოულთხუცესი, ამისი მოწამე რომ ეს ხახანასშვილი წმინდას ესტატეს დარჩა.

ქ. მე, კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი ოტია, ამისი მოწამე რომ წმინდას ესტატეს დარჩა[2].

ქ. წმინდის ევსტატის დეკანოზის შვილი დ ა ვ ი თ ამისი მოწამე რომ ეს ხახანასშვილი წმინდას ესტატეს დარჩა.

[1] შეჰფიცა. [2] რარჩა.

ქ. მე, კ ა ც უ რ ა ა ტ ი კ ა ს შ ვ ი ლ ი, ამისი მოწამე.

ქ. მე, ი ვ ა ნ ე ჭ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ამისი მოწამე რომ წმინდას ესტატეს დარჩა.

ქ. მე, ი ვ ა ნ ე ბ უ ჭ ყ ი ა შ ვ ი ლ ი, ამ მოწმე[ე]ბის ხელნაწერის მოწამე ვარ, რომ ეს ხახანაშვილი წმინდას ესტატეს დარჩომია და დარჩა.

506. არზა საყვარელიძეებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 30 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2563. დედანი. ქაღალდი. 20,5×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღ[ვ]ერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე ს ოთხ ძმათ თქვენის ნეკის ნასისხლთ.

ამას მოვახსენებთ: მოგეხსენებათ, რაღაც მამული მეჭირა, დიდის გ ი ვ ი ს ა და გ ი ო რ გ ი ა მ ი ლ ა ხ უ რ ი ს ა გ ა ნ ნასყიდი გახლავსთ. და მას აქეთ იმ ნასყიდობას არა კაცი არა სცილებიათ ამილახვარიანთ. რა ღმერთმან მამხედა და თქვენი მიწა შევიქენით, ნ ი ქ ო ზ ს ა, ტ ბ ე თ ს ა, თ ა მ ა რ ა შ ე ნ ს როცა გუქონდა, სულ წაგვართვეს, ვინც წამოგვიარა.

თქვენ შვილს ლ ე ვ ა ნ ს არზი ვაახელ და ამილახუარს მიგვაბარა, ვისაც ამათი მამული მიემძლავრებინოს, რადგანაც ამ სამს ოთხს თავს გარდუვლია რომ არავინ ზდავებიათ, ახლა ვიღას აქუს ამასთან სადავოო.

თქვენც ამას გეუედრებით, რომ ამილახუარს სარდალს ებრძანოს; რაც მძლავრებით მიღებული მამული ვინმე წამართვა, ისეე დამნებდეს, ჯელმწიფეე. მაისის **იე**, ქორონიკონს **უიᲒ**.

ფ ა ლ ვ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ თავს გაწყენთ. დ ი დ ი ს გ ი ვ ი ს ა მ ი ლ ა ხ უ ა რ ი ს ა თ ვ ი ს მაგის პაპის პაპას მიუყიდია. მას აქეთ არას ფალვენიშვილს ამის ჩამომავალს ამილახუარიანთვის აღარ უდავნია და სიგელი ზ ა ა ლ ქ ა რ უ მ ი ძ ე ს ა აქუს; და ეს ასე უბრალოთ იდავება.

თუ სიტყვა ქონდა, ამთენს ჟამში რატომ არ იდავა, მაგრამ დაბალი კაცობით მბრიყობს. მამული თქვენი ნასისხლია და ნება თქვენი სიმაღლისაა, ხელმწიფეე. მაისის **ივ**, ქორონიკონს **უიᲒ**.

მოწყალებას ვითხოვთ: ამილახვარს ებრძანოს, რომ ჩვენი სამართლით გაგვისინჯოს და ესე დაგუანებოს, ხელმწიფეე.

თავში

ქ. ბატონო ამილახორ-მდივანბეგო იესე! მერე ეს საყვარელიეები ასე რომ ჩივიან, რაც ამათ აქამდინ წამული სჭერიათ, უბრალოთა და უსამართლოთ ნურავინ ედავება და უბრალოთ ნურავინ აცოდვილებს, ამას ყური მიუგდეევით. თუ სიტყვა ვისმე აქვს, ჩვენ მოგვახსენოს. მაისის **ლ** გასულს, ქორონიკონს **უიᲪ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძლდ კახეთის მეფედ ცხებულს, გრეკლე.

507. არზა გოგია მკერავალის მეულლისა მორიგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 31 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14395. დედანი. ქაღალდი. 17×9,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს მოქალაქის ავეტიქანთ ყმას მკერავალს გოგიას სახლობას. ჩემი ქმარი მთიბათვეში სწერია მორიგეთ; და ეს ხუთი თვეა სავაჭროდ ნაჩ[ი]ვანს წავიდა. და ახლა იმის მორიგესა მთხო[ვ]ენ. ამისას რასა ბძანებთ. ნება თქვენია. მაისის **ლა**, ქორონიკონს **უიᲪ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ლამჭარნივისებო, ამ არზის პატრონს დაეხსენით, ქმარი ნახჩივანს ჰყოლია. მაისის **ლა**, ქორონიკონს **უიᲪ**.

ქ. ექვსი თვე არი[ს] გზას წასულა, დ[ა]ეხსენით, ნურას გამოართმევთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძლდ კახეთის მეფედ ცხებულა, ერეკლე.

508. არზა ზაზა თარხნიშვილისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით

1780 წ. 4 ივნისი

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი №№ 3243. დედანი. ქაღალდი. 18×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შეწდეგ ნახმარია ორწერტილი.

[არზა]

ქ. ღმერთმან ბატონიშვილის გიორგის ჭირი მო[ს]ცეს ზაზას თარხნიშვილს.

მერე ამას მოვახსენებ: მერმე ერთი კაცი ჯავახეთიდამ მამიეიდა გუდალეთს. ეს გოგია ბიჭი იქ დაიბადა, შაიქნა. ახლა ამ წყალობას ვითხოვ: მოსამართლე[ე]ბს უბძანეთ[1], სამართალი უყონ: ამ წყალობას ვითხოვ, რომ მოსამართლე[ე]ბიც აქ გახლავან. სამართალი მაღირსეთ. ღმერთი გაგიმარჯვებთ. თიბათვის **გ**, ქორონიკონს **უიᲪ**.

თავში

ქ. ჩვენ, ბატონიშვილი გიორგი, ამ მოაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ. მთიბათვის **დ**, ქორონიკონს **უიᲪ**.

ბეჭედი: მეფის ძე გიორგი.

[განჩინება]

ქ. მისის სიმაღლის მეფის ძის გიორგის ბძანებით გვერდს ვახლდით.

ამ ბიჭმა იჩივლა: მამაჩემი ჯავახეთიდამ გუდალეთს გარდმოვიდა. ათი წელიწადი იქ დაყო, მაგრამ მასუკან აქა-იქ დავიარებოდით, ზაზას ყმა არა ვარო.

ზაზა ასე ჩიოდა: ეს ბიჭი ჩემს სოფელში დაიბადა, იქ იდგა: ჯავახეთიდამ გარდმოსულს კაცს ვინ მეღიეებაო, ჯავახეთიდაღმეც ჩვენ გარდმოვიყვანეთო მაშა ამისიო.

რადგანც მოდავე არავინ ჰყვანდა ზაზას ამ ბიჭისა და ჯავახეთიდამც მამა ამისი გარდმოეყვანათ და თვითან ამ ბიჭმა თქვა — ათი წელიწედი გუდალეთს ვიდექითო, ეს ბიჭი თავს ვერ წაართმევს. ეს გოგია ბიჭი დარჩა სამართლით ზაზა ყორიასაულბაშს. თიბათვის **დ**, ქორონიკონს **უიᲪ**.

ორი ბეჭედი: 1. ბზეაბეკ
2. ვამი უსცა წარვლის

509. არზა შიოშ საყვარელიძისა ძმის მაურნალობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 6 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3151. დედანი. ქაღალდი. 17×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათს ფეხთა მიწა-მტვერს შიოშ საყვარელიძეს.

[1] უბძანეთ.

მერე ამას მოვახსენებთ: რადგან თქვენი მოწყალება მოვიდა ჩემს თავსა და ჩემის ძმის მორჩენა ბძანეთ, გუშინ მოგახსენდათ, რომ ამ ქაქალას დედისაგან და მეტრევლის ცოლისაგან გახლავსთ ჩემი ძმა სნეული და მიბძანეთ, რომ შენს ძმას დააყენე ესენი და მა[ა]რჩინეო; და ამათაც თავს დაიდვეს — მოვარჩენთო.

და ამ [მ]ოწყალებას ვითხოვთ, რომ ერთის ოქმის წყალობა მიყოთ, რომ ამათ ამ ჩემს ძმას უბეჯითონ და ეგების თქვენის წყალობით ეშველოს რამე. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, მოხსენებისათვის ნუ გამიწყრებით.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ვინც ამაზე მოასილი ხართ! მაგ კუდიანებს ეს მტკიცეთ უთხარით და შეატყობინეთ, რომ თუ ეს საყვარელიძე არ მოარჩინეს, არასფერს მაგათ არ დავარიდებთ, თითქმის სასიკვდილოთაც არ დავზოგავთ. თიბათვის **ვ**, ქორონიკონს **უაᲩ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძველ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

510. არზა ლუარსაბ ქარუმიძისა სახელოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 13 ივნისი

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 984. პირი. ქალაღდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი ქარუმიძე ლუარსაბს და მის ძმებს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ. ჩვენ ერთის დიდის ოჯახის მოხელენი გახლდით. თქვენის ერთგულობის გულისათვის თქვენს საფარველს მოვეტანეთ, ამისთვის რომ ბედნიერის ბატონის წყალობის წიგნი გვქონდა, ჩვენს მამისა და პაპის სამსახურს აცხადებდა. ამისთვის გამოვიწიეთ თქვენს საფარველს ქვეშა. ჩვენი სახელო და პატივი გ[ა]უშვით, მერვედი დემეტრეს წილის მოხელობა გვიბოძეთ; ამას გვიბრძანებდით: რაც დაგაკლდათ, ჩვენგან შეგისრულდებათო.

ახლა ჩვენი ძმა ზა[ა]ლ თქვენის ჭირის სანაცლო შეიქნა. ასე გვესმის, ამასაც სხვანი გვეცილებიან.

ამ წყალობას ვითხოვთ: ბატონიშვილ ლევანთან შუამავლობა ბძანოთ, ჩვენი სახელო არ გამოგვერთვას. თუ დანაშაული გვქონდეს ან ერთს ძმასა, ჩვენი თავი თქვენი ჭირის სანაცლო იყოს. სხვისგან ბეგრჯელ წამხდარა ჩვენი სახლი, და თქვენის გულისათვინ და თქვენგან ისევ წყალობით შევსრულებულვართ[1]. თქვენგან და თქვენის შვილებისაგან ჩვენ წავხდეთ, როგორც ს[ა]უკუნოს წაწყმედილთ არ აქვს ნუგეში, ჩვენც ისე უნუგეშო შევრჩებით. ქორონიკონს **უაᲩ**.

თავში

ქ. ჩვენო ღთის წყალობავ შვილო ბატონო ლეონ. მერე ამ არზის მომრთმევნი ჩვენი ნამსახურის და ერთგულის კაცის შვილები არიან და თითონამთაც ერთგულობით უმსახურნიათ. ამათგან თავიანთი სამკვიდრო სახელოს ჩამორთმევა არა იქნება. ამათ თავიანთი სახელო ამათვე უნდა მოსცე და როგორც მდგარან და ყოფილან თავიანთი სახელოთი, ისე უნდა ამყოფო და სახელოს წიგნიცა უნდა მისცე, რომ იმ შენგან მიცემულს წიგნსა ჩვენცა დ[ა]უმტკიცებთ.

თიბათვის **იგ**, ქორონიკონს **უაᲫ**. ერეკლე

511. არზა ერეკლე უალავანდიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 25 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 35. პირი. ქალაღდი. მხედრული.

[15] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი ერეკლე ფალავანდიშვილს მოსცეს.

ჩვენს სახლისკაცს ბეჟანს შვილი არა ჰყვანდა, ბუში ჰყვანდა ერთი, ივანე ერქვა. რომ გაყრილიყვნენ, ბეჟანს უკან იმ ივანე ბუშისათვის ცოტა რამ ქამულის წილი დაედგათ. იმ ივანემ ჩემი ძმა იშვილა, ის ჩემი ძმა თქვენი ჭირის სანაცვლო შეიქნა. მასუკან მე მიშვილა. ის ივანეც თქვენის ჭირის სანაცვლო გახდა. მე პატარა ვიყავ. ჩემი მამულიც და იმ ივანეს მამულიც — ორნივ შოშიას მამას ზა[ა]ლს ეჭირა. ხომ მოგეხსენებათ, ამ მამულზედაცა და სხვაზედაც თქვენთან გვილაპარაკნია. ის ზა[ა]ლ იმერეთიდამ არ გადმოვიდა და ჩემის მამულების საქმე გადაუწყვეტელი დარჩა.

წყალობას ვითხოვ, რომ ეს მამული არ დამეკარგოს, იმერ-

[1] შეესრულებურვათ.

ლებს არ მიეცეს. თუ ეს მამული ზა[ა]ლის სახელზე იმერლებს მიეცა, ააუკუნოდ დაიკ[Ვ]არგება ჩემთვის. ღმერთი გაგიმარჯვებს, ნუ დამიკარგავთ ამ ბუშის მამულს თიბათვეს **ით, ქორონიკონს უიᲩ.**

თაეში

ჩვენი ბძანება არის ფალავანდიშვილო ერეკლე: მერე როგორც მოგიხსენებია, თუ ეს ასე არის, ეს მამული შენ არ გამოგერთმევა. აღიწერა ივნისის კე, **ქორონიკონა უიᲩ.**

ამაზე ილაპარაკეთ და მაშინ მოგეცემათ პასუხი.

512. არზა იოანესი და ნიკოლაოზისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 30 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 455: დედანი. ქაღალდი, 29×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ჯვარტილი.

ქ. ღმერთმან ყოველად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოგვცეს მათს მლოცველთ სიონის დეკანოზს ნიკოლაოსს და იოანეს.

სიონის ეკლესიას ნასყიდი მამულები აქვს ერტისს თურქისტანიშვილებისაგან მოსყიდული — გიორგისაგან, დავითისაგან და ზაზასაგან. ბეცია თურქისტანიშვილი ამ ნასყიდობას ეკლესიას ეცილება და იმ მიწების ღალას არ გვანებებს. ნასყიდობის სიგლები მიუტანეთ და არ იწყიგნა.

ეს ნასყიდობის წიგნები განიხილეთ, თუ სარწმუნო იყოს, ერთი ოქმი გვიბოძეთ, რომ ჩვენს დაობაზედ ჯელი აიღოს. თუ სარწმუნო არ იყოს ეს სიგლები და თავეთის პატრონებისაგან მამულის გასყიდვა უმართებულო ყოფილიყოს, იმისი ნება გაქვსთ. ამ ეკლესიის პატრონი და ჯელმწიფეც თქვენ ბძანდებით და ამის მოდავისაც. თქვენი ნება აღსრულდეს. იუნისს **ლ,** წელსა **ჩღპ.**

თაეში

ქ. ჩვენი ბძანება არის ბეცია თურჩისტანიშვილო! მერე თუ ერთი სამართლის შესაწყნარებელი სიტყვა არა გქონდეს რა, ნუღარ აჩივლებ. ეკლესიის ნასყიდს მამულზედ ღალა და[ა]ნებე, რომ აიღონ. და თუ ერთი ჭეშმარიტი სიტყვა გაქვს რამე, ჩვენ მოგვახსენებიბათვის **ლ,** ქორონიკონს **უიᲩ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დაეთ მიეშობს ძელ ჯახეთის მეფედ ცხებულსა ერეკლე.

513. არზა აჭიმ მუჯახი მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 21 ივლისი

ცსსა. ფონდი 1452. დავთარი № 23. სიბუთი № 147. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[144 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს აქიმს მუქას. მერე ამას მოვახსენებ: ამ ანდერძის წიგნში რომ მამული სწერია, ის მამული დემეტრეს ნაქონი არის. ის ბიძაჩემიც იმისი ყმა იყო და ის მამული ეჭირა. და ახლა რაც დემეტრეს მამული იყო, თქვენი სახასო შეიქნა. რადგან ბიძაჩემ[მა]ც ანდერძი მიყო, მამულის წყალობას ვითხოვ, რომ არ შემეშალოს. მე ისევ აქ ქალაქში გახლდებით და ჩემი შვილები იმ მამულზედ გახლები[ან]. მკათა]თვის **კა,** ქორონიკონს **უიᲩ.**

თაეში

ჩვენი ბძანება არის. მერმე ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, რადგანც თავის ბიძას ამისთვის მიუცია ეს მამული და ანდერძის წიგნიც აქვს, ჩვენც ამისთვის გვიბოძებია, როგორადაც ანდერძის წიგნი აცხადებს. თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. მკათათვის **კა,** ქორონიკონს **უიᲩ.**

ის მამული ხომ ჩვენს შვილს ლეონს აქვს მიცემული. და თუ ერთი ნაკლებობა იყოს რამე, იმან გა[ა]სწოროს.

514. არზა კაატაში და ზაჭარიაში უმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 31 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3075. დედანი. ქაღალდი. 30,5×19.3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ჭიზიყის მოურავის შვილებს პა[ა]ტასა და ზაქარიას.

მერე ამას ჩოვახსენებთ ჩვენს ქელმწიფეს, ჩვენი მოხსენება ეს არის ჯოხაძე[ე]ბის თაობაზედ. როდესაც ჯოხაძე[ე]ბი ჩამოსულან კახეთს, უწინ თელავს გხლებიან, ცოტას ხანს მასუკან იქიდამ რუისპირს გადასაულან, კარგა ხანს იქ რუისპირს გხლებიან, იქიდამ აყრილან. მასუკან ერასტის შვილის მამულში გხლებიან, იქიდამ აბელ მოურავსა და თამაზ მოურავს ხლებიან. აბელ მოურავი რომ თქვენის ჰირის სანაცვლო შექმნილა, იმათ მამული არა ჰქონია რა. მამაჩემმა და ბიძაჩემმა იმათს საჯელზედ ამთვენი მამული შემისყიდეს, რომ დღეს გურჯაანში იმას ერთი მამული არა სჯობს. როდესაც რომ ჩემი და გამოესტუმრებინათ და მსახურია. რომ დღესაც თვალითა ჩანს, ის მსახური ქაიხოსრო მდივანბეგა მიყიდა, სახელად აკი მორჩი ჰქვიან, ცხრა კაცნი გახლავან იმ სახლში. ჩვენი მამულები რომ სხვას ებოძა თქვენგან, იმ ჟამად ის ჯოხაძე[ე]ბი იმისთვის გებოძებინათ. [თქვენი მოწყალ]ება რომ [ჩვენ]ედ მოვიდა და ჩვენი მამულები ისევ გვებოძა ჯოხაძე[ე]ბისა, იმიტომა აღარ გაწყინეთ თავი, რომ სალთხუცესიც გეპირდებოდა და გიეიც, რომ გივმა ცხენიც გამომართო, ჯოხაძე[ე]ბს მოგცემთო.

ახლა ამაზედ გაწყენთ თავსა, რომ გასყიდვა რომ დაუპირეს, ჩვენს სამართალს ვითხოვთ, რომ ჩვენი სამკვიდრო გვებოძოს. თუ რომ ჯოხაძე[ე]ბი ზითვათ გაგონილიყოს ან ქართლიდამ და ან კახეთიდამ, ჩვენც ქელს ავიღებთ. ჩვენ ოთხნი ძმანი გახლავართ. რასაც სამართალს გვიბძანებთ, გავსწევთ და გულსაც ვაჯერებთ, რომ ეს ჯოხაძე[ე]ბი არც მაჩაბლიდამ მოჰყოლოდეს ზითვათ ჩემს რძალსა და არც აბელ მოურავსა და ჩემს რძალს ზითვათ გეხსენებინოს. თუ რომ მზითევი ყოფილიყო, გრიგოლ სალთხუცესი განაჩენს რათ და[ა]მტკიცებდა. ჩვენ ამის სამართალს ამისთვის გავსწევთ. ივლისის კზ, ქორონიკონს **უიჱ.**

თავში

ქ. უფალნო ქართლისა და კახეთის მსაჯულნო! ამ არზით ქისიყის მოურავიშვილი პაატა და ზაქარია რომ ასე ჩივიან, ღმრთის წინაშე ამისი სამართალი თქვენ უსაჯეთ.

ეს ჯოხაძეები მაჩაბლებს თავისის დისათვის თუ თან გამოუტანებია, დარჩებათ სალთხუცეს[ს]. და თუ თან არ გამოუტანებია, დიდი ხნის ჩამოსულნი არიან და კახეთში აქა-იქ უვლიათ და სანამდინ ეს ჯოხაძეები ერთს ვისთანმე მივიდოდნ[ენ] და დადგებოდნენ, მაშინვე იმავ პირველს ჩამოსვლაში მაჩაბლებს თავისის დისათვის მიუციათ, ზითევში დარჩება კიდევ სალთხუცეს[ს].

და თუ არც თან გამოუტანებიათ და არც იმავ პირველს ჩამოსვლაში მიუციათ ზითევშია და ხიზნობით მისულან და ქისიყის მოურავიანთან დამდგარან და მასუკან ნადირშაის რაყამი რომ გამოვიდა, რომ ოსმალობას ჩასული კაცი კახთ აღარ გამოერთმეოდა, მასუკან თუ უნდა კიდეც მიეცესთ მაჩაბლებს თავისის დისათვინ ზითვათა, ქელი აღარ შეუვიდოდათ ამ ჯოხაძეების გაცემაზე, ამიტომ რომ ორბატონობაში ყოფილა ჩასული და დარჩება ჯოხაძეები პაატას და ზაქარიას. ამისი სამართალი ახლავ გადასწყვიტეთ. [მ]კათათვის **ლა,** ქორონიკონს **უიჱ.**

ქ. და თუ კიდევ ის ჯოხაძეები ელენესათვის თავის ქმარსა და მაზლს დაუნებებიათ და საკუთრათ იმისი ყოფილა და ელენეს ქმარსა და მაზლს საქმე აღარა ჰქონიათ რა კიდევ, ელენეს შვილს დარჩება.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

515. არზა პაატა თოფჩიბაშისა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 22 აგვისტო

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3008. დედანი. ქაღალდი. 14,6×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახწარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ქელმწიფის ჰირი მოსცეს თოფჩიბაში პაატას.

მერმე ამას მოგახსენებ. მე და ჩემი სახლისკაცი სოლომან ცოტას რასმე წისქვილებზე ვლაპარაკობთ. და ამას გევედრები: იქავ მდივანბეგებზედ ერთი ოქმის წყალობა გვიყავით, რომ სამართლიანის საქმით გვისაჯონ, თავ-თავისი გაგვირჩიონ და მოგვცენ; და ჩვენც შფოთს მოგვარჩინონ. მარიამობისთვის იდ, ქორონიკონს **უიჱ.**

თაეში

ქ. ბატონო კახეთის მოსამართლენო და მდივნებო! თოფჩიბაში რომ ამ არზით სოლომონ თავის [ს]ახლისკაცს წისქვილს უჩივის, სამართლით თქვენ უნდა გა[ა]შველოთ. აგვისტოს კბ, ქორონიკონს **უიჱ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

516. არზა ზურაბ ნასუცრიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 21 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4622. ბირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი ნახუცრიშვილს ზურაბს მოსცეს.

კავთისხევს ამოწყვეტილი მიქელაძის მამული ძველათგანაც ჩვენი იყო. მასუკან ნეტარხსენებულმა მეფე ბაქარ ბიძა თქვენმა მე მიბოძა. ურუმობასაც მე მეჭირა და ყიზილბაშობაშიაცა, სანამ ხარაბა გახდებოდა, და თქვენს დროშიაც მე მეჭირა. მასუკან ბიძის თქვენის წყალობის წიგნი მოგართვი დასამტკიცებლად. თქვენც წყალობა მიყავით და თქვენმა შვილმაც ხელმეორედ მიბოძეთ. სამი საკომლო არის — ორზედ კაცი დგას და ერთი ხარაბა არის.

ერთი წელიწადი არის ხელმეორეთ წყალობა დამემართა და ბეციათარხნისშვილმა არ დამანება. სამი ოქმი მიმიტანია თქვენი; იასაულიც დიმიტრი ეშიკაღაბაშმა დააყენა. არც მამულს მანებებს და არც სამართალში მომდევს. შარშანდელი ღალა იმან აიღო, წლეულს კაცი გავგზავნე და არც შიგ გაატარა; წრეულაც იმან აიღო.

წინაზედაც არზი მოგართვი და პასუხი აქ მებრძანა. ორი კაცი მივიყვანე და ერთი დღის მიწა არ დაანება. სითარხნის წიგნი მიპოძეთ, მინდოდა კაცნი მიმესხა, მაგრამ შიგ არ გამაროინა და საქმისაგანაც მომშალა.

ერთის ოქმისა და იასაულის წყალობას ვითხოვ: რაც შარშან და ან წლეულ ღალა აეღოს, ისიც გამომირთოს, როგორც თქვენგან წყალობა დამმართებია. ერთი წელიწადი არის მაცოდ[ვ]ილებს და მაცდენს. წყალობის წიგნს გარდა სამ-სამი ოქმიც ეს არის თქვენი, რომ მომირთმევია. თუ სიტყვა აქვს რამე, რატომ არ მოგახსენათ. წყალობას ვითხოვ სამართალი მაღირსოთ. აგვისტოს **ლ**, ქორონიკონს **უაᲩ**.

თქვენს ხემწიფობაში მამული არავის წართმევია და მე რათ უნდა წამერთვას. სხვა მამულიც უპირამს ჩემი და კიდეც მომიხსენებია.

თავში

ქ. ეშიკაღაბაშო დიმიტრი! ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, ამის მოდაევეს ამ მოხსენებულს მამულზედ ხელი აუმართე და ამას მოაბარე. აგვისტოს **ლა**, ქორონიკონს **უაᲩ**.

სამჯერ მივსწერეთ ოქმი და არ დამორჩილებოდა და არც პასუხი მოგვცა, რატომ უნდა მოხდეს? [ ]

517. არზა ენიკელთ მოურავისშვილებისა და ნოდარიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 8 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13846. დედანი. მარცხენა კიდე მოხეულია. ქაღალდი, 28,3×12,2 სმ. მხედრული. განკვეთილობს ნიშანი ნახმარი არ არის. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის კელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონას ენისელთ მოურავისშვილებს ერთობლივ და ნოდარისშვილებს და მათს ყმებს გურჯანელებს.

მერმე ეს მოხსენდეს თქვენს სიმაღლეს: თქვენი ყმა გხლებოდენ და არზა მოვართმევინათ, რომ ჩვენს ყმათ იმათ[თ]ვის მამულები წაერთმევინოს და გზებით შე[ე]კრასთ.

რაც დღეს ჩვენ თქვენი წყალობა მამული გვიჭირავს, თუ მამასაც ეს არა სჭეროდეს და პაპასაც და პაპის მამასაც, იმას გარდა თუ ერთის დღის მიწა მოგვემატებინოს სხვა, თქვენად შეცოდებათ მოგვკითხეთ. ერთი კიდემ ეს მოუხსენებიათ, რომ ჩვენ იმათთვინ გზა შეგვეკრას.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთის მოსთაბარის [კაცის წყალობა გ]ვიყავით, თუ გზა შეგვკ[რავს ... ან მამულები წაგვირთ]მევია, გადაგვახდევინეთ. ძველათგ[ან] ხუთი კომლი კაცი გხლებიან და დღეს ოცი კომლი გახლავან; და თუ ამ მიზეზით მამული წაგვერთმევ[ა] და იმათ კი მიეცემა, ნება თქვენი აღსრულდეს.

რა აქადამ გიახლენ, აღარც მიწაში შეგვიშვეს და აღარც გუთანი გაგვატარებინეს. მოგეხსენებათ ჯვნის დრო ეს არის, დაგვკრეფია გულხელი და აქა გხლებივართ. ამისი სამართალი გვაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. აგვისტოს **კე**, ქორონიკონს **უაᲩ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, როგორც აქამდინ გეწერიათ და გიხნავსთ, ახლაც ისე გეჭიროსთ და ხანით. და ღმრთით როცა ჩვენ გამოვალთ, გავშინჯავთ, მოვიკითხავთ და ამის სამართალს განვსჯით. ენკენისთვის **გ**, ქორონიკონს **უაᲩ**. რაც იმათ სჭერიათ, იმათ ეჭიროსთ.

ჩვენ ახლა ენდრონიკაანთ და თქვენს მეზობლებს გლეხ-კაც[თ] ოქმი [მი]ვსწერეთ, იმათ გაშინჯონ...* [ასე ქ]ნან, ერთმანერთს ნუ შეეცილებიან. ასე გვ[იბძანებია და ასე აღს]რულდეს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

518. არზა ელიზბარ დავითიშვილისა მამულის თაობაზე ლევან ბატონიშვილის ოქმით

1780 წ. 26 სექტემბერი

საქართველოს სიძველენი. ტომი II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909 წ. საბ. № 462.

ქ. ღმერთმან ბატონიშვილის ლევანის ჭირი მოსცეს დავითიშვილს ელიზბარს.

მერე ამას მოგახსენებთ: ფცას[1] გახლავართ და მე და ჩემი ბიძაშვილი მამულზე ვლაპარაკობთ; და არას მანებებს. ერთი ოქმის წყალობა გვიყავით ამილახორზე, რომ მამული გაგვირჩიოს, იმას თავისი დანებდეს და მე ჩემი. ენკენისთვის **კე**, ქორონიკონს **უიჱ**.

თავში

ქ. ბატონო ამილახვარ-მდივანბეგო! ამ ელისბარ დავითისშვილს და ამის ბიძაშვილს, რაც გასარჩევი მამული ჰქონდეს, ეს თქვენ გაურჩიეთ რიგიანად, და თავ-თავის მამულს დააჯერეთ სამართალით. ენკენისთვის **კვ**, ქორონიკონს **უიჱ**.

519. არზა გიორგი ხუზაურისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 12 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2858. დედანი. ქაღალდი. 16,8×10,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი ვეფხისციხელს ხუზაურს გიორგის მოსცეს. ამას წინათ ბატონიშვილი ლეონ რომ იქ კახეთს ბძანდებოდა, ჩვენი უმამულობა მოვახსენეთ. სამნი ძმანი გახლავართ, მეტათ ნაკლებათ ვართ მამულზე. ერთი ცოტა რამ ბეითალმანი იყო ჯავახი შიოსი ათის დღის მიწა და ერთის სასახლის ალაგა. ბატონისშვილს ლეონს მოვახსენეთ. იმის წყალობა გვიყო. იმ მამულზე ერთი ბერი დედაკაცი არის, იმისი შენახვაც ჩვენ გვიბძანა. იმ დედაკაცსაც ჩვენთან ყოფნა უნდა. ახლა დათუნი მადანჩის არზი მოურთმევია და იმისი წყალობა უთხოვნია და გიბოძებიათ. ჩვენი უმამულობა ბატონისშვილს ლეონს კარგათ მოეხსენება და წყალობაც გვიყო. ახლა თუ ის გამოგვერთვა, ჩვენ ველარანი ვიცხოვრებთ, მეტათ ნაკლებათ ვართ მამულზე. ღმერთი გაგიმარჯვებთ, იმისი მოწყალება დაგვმართეთ, ნულარც მაგ [მამულს] ჩვენ გამოგვართმევთ. ოკდომბერს **იბ**, [ქორონიკონს] **უიჱ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: მერე ეს მამული რადგანც ჩვენს შვილს ლეონს უწირავე ამისთვის უბოძებია, ჩვენც ისევ ამისთვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია. დათუნა მადანჩს სხვა მამულს უბოძებთ. ჩვენ არ ვიცოდით ჩვენის შვილის ლეონისაგან ამ მამულის გაცემა, თორემ[1] დათუნა მადანჩს არ უბოძებდით. თუ უსამართლო საქმე არა ურევია რა, ეს მამული ამისთვის წყალობა გვიქნია. სხვა ვერავინ ეცილება. ღვინობისთვის **იბ**, ქორონიკონს **უიჱ**.

ქ. დათუნა მადანჩმა სხვა მამული მონახოს და იმას უბოძებთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

520. არზა ეივაზალუელებისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1780 წ. 15 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 903. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან[2] ბედნიერი ხელმწიფის ძის ჭირი მოსცეს მათ ფეხთა მტვერსა ყაითმაზსა და ერთობლივ იოვანე მდივანბეგის ყმათ ეივაზალუელებთ.

---

* აკლია 20-25 სიტყვა.

[1] ფაცს.

[1]+ თორემ. [2] ღ~თის.

ახლა ამას მოვახსენებთ. პედნიერმა მეფემ ბორჩალოსა და ეივაზლუსა სნორი გაჭრა, ჩახმახ ორ სნურათ დადვა. ეივაზალო და ბორჩალოც თქვენია. ასე ბძანა: აქეთ ეივაზლომ მოხნას, იქით — ბორჩალომა.

ახლა ბორჩალულელები გადმოსულან და აქეთ ხვნენ. მოგეხსენებ[ათ] მდივანბეგი მოხუცებული გახლავს, და მამითქვენისა და თქვენი მლოცავი თქვენის წყალობით უნდა დარჩეს. თქვენი ერთგული კაცის შვილია და ნამსახურია.

ამ წყალობას ვითხოვთ: ერთი ოქმი[1] გვიბოძოთ: ვინც აქეთ მოხნას, რაც რიგი იყოს, მოსცენ, იმით იცხოვროს. თუ ის ჩვენი ადგილი იმითვინ გიბოძებიათ, ჩვენცა გვიბძანეთ, რომე იქ აღარ დაგვედგომებ[ა], ვერცა გავძლებთ. დღეს ჩვენც თქვენი გახლავართ და ისინიც ახლა.

თავში

ქ. ბატონისშვილი გიორგი გიბძანებთ ბორჩალოელნო! მერე რომელიც ბორჩალოს მიწისა და მდივანბეგის მიწის სამძღვარს აქეთ მოხნავთ მდივანბეგის მიწაშია, რაც მართებული ღალა არის თქვენში განწესებულ[ი], უნდა უკლებრივ მისცემდეთ ყაითმაზასა, იცოდეთ. ღვინობისთვის **იე**, ქორონიკონს **უიᲪ**.

521. არზა ქაიხოსრო გიჟიყრელისა სამართლის მიცემაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 17 ოქტომბერი

ცსსა. ბ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461. რვეული № 1ბ. საბუთი № 109. ჰირი. ქაღალდი. მხედრული.

[63 V] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს. ქაიხოსრო გიჟიყრელს.

მერმე ამას მოვახსენებ. ორი კომლი ხუნჯუკაშვილები მომცეს და ერთი ბეითალმანი. მერმე პაპის თქვენის სიგელი კათალიკოზმაც დაამტკიცა და თქვენც დამიმტკიცეთ. ის სიგელიც გამომართვეს და მამულაშვილები მომცეს. ამაში, ჩემო ჯელმწიფევ, ორშიც ოცი თუმანი გამომართვეს. არც [64] ხუნჯუკაშვილებიღა და არც მამულაშვილები ჩემს ხელში, ორივე გამომართვეს.

[1] ოქმის.

ერთის მოწყალების თვალით გადმოიხედე, ჩემო ჯელმწიფევ, ამ საშში ერთი წყალობა დამემართოს. თუ არა დამემართება, ერთი ბერიკაცი გახლავარ, დასტური მიბოძე, შინ მაინც წავალ. თუ თქვენი წება არა არის, ორი შვილი მყავს, ღმერთმა ისიც ნუ მომცეს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ქაიხოსრო გიჟიყრელო! მერე შენი და ძენი სახლისკაცის სამართალი თავიდამ რომ სწორეთ არ მოხდა და არ გაირჩა, ჩვენ ამ მიზეზით შენს საქმეში არ გაგერიენით და ახლაც ასე იცოდე: თუ სულიერისა და ხორციელის სასამართლოდამ შენი და შენის სახლისკაცის სამართალი არ გაირჩევა, ჩვენ შენს საქმეში არ გავერევით იცოდე. ღვინობისთვის **იზ**, ქორონიკონს **უიᲪ**.

ქ. ჩვენი ბძანება არის ქაიხოსრო გიჟიყრელო! მერე შენი და ლი გარდაწყვეტილიყოს. და თუ სამართლიანის საქმით თქვენი საქმე გარდაწყვეტილა, მაშინ კი გაგერევით შენს საქმეში.

522. არზა თევდორე ხახანაშვილისა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 6 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2938. დედანი. ქაღალდი. 20×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიარის ხემწიფის ჰირი მოსცეს ხახანაშვილს თევდორეს.

ახლა ამას მოვახსენებ თქვენს სიმაღლეს: ვენახის საქმე ხომ ასე დარჩა. ახლა ამას გევედრები ჩემო ხემწიფევ: მანდ რომ მოწმე[ე]ბისაგან ნასყიდობის სია მოგერთოთ, წყალობას ვითხოვ, რომ გოგია თუხარელზე ერთი ოქმი მიბოძოთ, ის ნასყიდობა მამბარდეს. ღმერთი გაგიმარჯვებს. აღიწერა დეკენბერს **ბ**, ქორონიკონს **უიᲪ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის გოგია თუხარელო! ამ არზის პატრონს რომელიც ნასყიდობა მამული აქვს, რომ საცილებელი არ არის, იმას მოაბარე. დეკემბრის **ვ**, ქორონიკონს **უიᲪ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

523. არზა ქალაქის მოურავის დავითის ძმის თაობაზე მრეკალე II-ის ოქმით

1780 წ. 16 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 14163. დედანი. ქაღალდი. 30×14,7 სმ. მხედრული. აქა-იქ ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათ მონას ქალაქის მოურავს დ ა ვ ი თ ს.

მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს ჯემწიფეს: ჩვენი ადგილები რომ ლეკისაგან დაიცალა, მოგეხსენებათ, აქა-იქ სოფლებში მივიდნენ გლეხი-კაცნი და ორი კომლი კაცი, ორი ხუცესი დ ა ვ ი თ ნ ი ქ ო ზ ე ლ თ ა ნ მივიდნენ და მამაჩემმაც ნიქოზელს მიაბარა: ამ ავს დროში თქვენთან იყვნენო, არსად დაგეკარგნენო. დღეს აქანდინ გახლდნენ ნიქოზელთან. ღმრთის მოწყალებით და თქვენის დოვლათით ლეკისაგან მშვიდობა არის. ჩემი ყმები ვსთხოვე, ერთი კი მომცა და ერთი კი ალარ მომცა.

წყალობას ვითხოვ, ოქმი მებოძოს: ან ჩემი ყმა მომცეს და ან ამ არზაზე მოაწეროს და მომახსენოს რაც მიზეზი ქონდეს ღმე[რ]თ წინაშენ. დეკენბერს **იე**, ქორონიკონს **უიჩ**.

თავში

ქ. ყოველად სამღუდელოს ნ ი ქ ო ზ ე ლ ს დ ა ვ ი თ ს ასე უამბეთ: მერე ქალაქის მოურავს დ ა ვ ი თ ს, როგორც ამ არზით მოუხსენებია, ან თავისი კაცი დაანებე და ან თუ მიზეზი რამ გაქვს და საბუთიანი სიტყვა, ამ არზაზე მოაწერე. დეკემბრის **ივ**, ქორონიკონს **უიჩ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძვდ კახეთის ბეფედ ცხებულს, ერეკლე.

524. არზა გოგია გიგოლაშვილისა მაჩაულის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით

1780 წ. 20 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1277. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ლ ე ო ნ ი ს ჰირი გ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ს გ ო გ ი ა ს მოსცეს.

მერე ჩემი საჩივრის საქმე ბატონს რომ მოხსენდა, ოქმი მიბოძა და საერისთოს მოწმობა ჰკითხა. ახლა ჩემი შეძლება თუ სიტყვით, თუ საქმით მოგეხსენებათ; ორი საწყალობლები ობლები დავრჩომილვართ, არც ენა გვერჩის მართლა ლაპარაკისა და არცარა გვახსოვს; და ნასყიდობით გვიჭირავს. უსამართლო შემართება და **მერთმევა.**

ერთის იასაულის წყალობა მიყავით, რომ საერისთოს სამღრთო და საერო აზნაური და გლეხი და მოხელე ერთათ შემოჰყაროს და მოწმობა ღვთის წინაშე მოაწერინოს. და ნება თქვენი და სამართლისა იყოს. მეც რომ ყმათ მიმცეთ, რა სიტყუა მაქუს. ქრისტეშობის **ივ**, [ქორონიკონს] **უიჩ**.

თავში

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ლ ე ო ნ გიბძანებთ ი ო თ ა მ ბოქოულთ ხუცესო! მერე არაგვის აზნაურშვილნი სამღუდელონი და საერო კაცნი ამ საქმეზედ შეჰყარე, ღმერთი აფიცე და მეორეთ მოსვლა ბატონის ძმას ჩვენისა და ჩვენი მზე. ვინც რომ მოწმობა იცოდენ და თქვან, ყველას მოწმობა ერთს ქაღალდზედ დააწერინეთ და ჩვენთან გამოგზავნე. დეკემბრის კ, ქორონიკონს **უიჩ**.

[მოწმობა]

ქ. ღვთის წინაშე მე, მ ი შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ასე ვმოწმობ გიგოლაშვილის საქმეზედ. ესე ახლა მე იმის სახლში ვიყავ, იქიდამ ხომ იმ მანულზედ[1] ჩავიდა, დასახლდა, მაშინაც იმისას ვიყავ - ბ ე ჟ ა ნ ე რ ი ს თ ვ ი ს დროსა. მას აქეთ აქნობამდისინ ამის მოდავე არავინ მინახავს და არც გამიგონია. მე, შ ი ო დიაკვანი, ამ ბერუას სიტყვით ვწერ ამას, რომ თითონ წერა არ იცოდა.

ქ. ღვთის წინაშე მე, ო მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ხ ი ზ ა ნ ა, გრიგოლაშვილის მხრით მისი მოსამზღურე ვარ. სამოცდაათის წლის კაცი ვარ, გრიგოლაშვილის მამულზედ ნასამზღვრები მინახავს, ამის მეტათ ყ ა რ ა ნ გ ო ზ ი ს შ ვ ი ლ ი მოდავეთ არ მინახავს. ბ ე ს ა რ ი ო ნ მღვდელი ამ ომარაშვილის სიტყვასა ვსწერ ამას, რომ თვითონ წერა არ იცოდა.

ღვთის წინაშე, მე, ჭ ი ჭ ი კ ა შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი, ამაბ ვმოწმობ, რომ მე მამულით გრიგოლაშვილის მესამზღვრე ვარ და ორმოცდაათის წლისა მეტი ვიქმნები, ჩემს მოსწრებაში გრიგოლა-

[1] + რომ.

შვილი იმ მამულზედ ნასახლები მინახაეს და იმის მოდავე კაცი არ გამიგონია. გრიგოლაშვილი რომ ჯიმშერმა აჰყარა, ის მამული ტიალად იდვა. იზადუხის მამული ჩვენ მოგვცა და ვერძაულის პატარკაციანიც; ამის ღალას გვართმევდა ყარაწგოზასშვილი; და ახალდუხისა კი არც უთხოვნია და არც გამოსდავებია.

525. არზა ადამ უარაგოზისშვილისა განაჩენის აღსრულების თაობაზე მდივანბეგთა ოქმით

1781 წ. 13 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5249. დედანი. ქაღალდი. 29,7×20,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან საქართველოს მსაჯულთშეკრებულების ჭირი ადამს მოსცეს.

მერმე რომელიც განჩინება სამართლიდამ მოგვეცა მე და გრიგოლისშვილს და გრიგოლისშვილს ფიცი დაედვა შეგდებულის მოწმე[ე]ბით; და რომელიც მე შეუგდე მოფიცრები, ვერ იშოვა; და რომელიც თქვენს განჩინებაში სახელდობით მოწამენი იყვნენ, ვერც ისინი იშოვა. და მერე ეს, რომ ორმოცი დღე იყო ვადა, რომ უნდა დაეფიცა; ახლა სამოცდაათი დღე არის გამოსული.

ამას ვეუდრები თქვენს კეთილ მსაჯულობას, რომ რომელიც სამართლის განჩინება იყოს, ისე აღმისრულოთ. იანვარს **იგ,** ქორონიკონს **უჲთ.**

კიდეზე

ქ. საქართველოს მსაჯულთმეკრებილება გწერთ ბოქაულთხუცესო ავთანდილ! შენ რომ ამ საქმის იასაული იყავ, ღმერთს გაფიცებთ და მეფის ერეკლეს თავსა, ბატონიშვილის! ლეონის მზესა, სწორედ მოიქეც. თუ გრიგოლაშვილი ფიცავს და ან მოფიცარი იშოვა, ის განაჩენი უნდა აღსრულდეს; როგორც სწერია, ისე დააფიცე და გარდასწყვიტე. თუ ვერ ფიცავს[1], ის მოაწერე ქარგის მოწმით. მრავალნი მოწამენი დაისწარ, როდისაც ჰკითხო იფიცავს, ის აღასრულე. თუ ვერ ფიცავს, ის მოაწერე

[1] +და.

მოწმით, ბეჭდით და ის გამოგვიგზავნე. იანვარს **იგ,** ქორონიკონს **უჲთ.**

სამი ბეჭედი:

1. მზეჭაბუკ
2. მთა ღთისა მდივანბეგი თეიმურაზ
3. ყაში ესეა წარვლის

ქ. საქართველოს მსაჯულთ მოვახსენებ ბოქოულთხუცესი ავთანდილა: არც დაუფიცავთ და ვერცა ფიცავენ, ახლა მანდ გახლავან და ნება თქვენია. ავთანდილ.

ჩვენ, წილკნელს, ეს ასე დამაწერინა ავთანდილ ბოქოულთხუცესმა.

526. არზა ოჯანა ბეგიჯანაშვილისა ყმობის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1781 წ. 30 იანვარი

ცხსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი. 1461. რვეული № 14. გვ. 85. პირი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფე დედოფლის ჭირი მოსცეს ყაზახის კოლბელს მათს ყმას ბეგიჯანაშვილს ოჯანას.

ჩვენ კახეთში აქა-იქ სოფლებში გახლდით. მამაჩემი ხორხელში ჭირის სანაცვლოთ გაგიხდათ. და მე ქისტაურში მიველ და ბოჭორმელებთან გავიზარდე და შარშან ხოდაშენს თქვენს მამულში მიველ.

ბეჟან-ბეგმა ამყარა. ქისტაურში მიმიყვანა, ბოჭორმელა ხარ, აქ უნდა იდგეო. ჯელმწიფემაც მიბოძა ოქმი, თქვენც მიბოძეთ ოქმი ბეჟან ბეგზედ, მაგრამ არ მომეშვა.

დიდათ გევედრებით: ან იქიდან ამყარეთ, აქ — ჩემს ალაგს და მეზობლებთან მომიყვანეთ და ან ხოდაშენს თქვენს ყმად დამაყენეთ. ღმერთი გადღეგრძელებს. იანვრის **ლ,** ქორონიკონს **უჲთ.**

თავში

ქ. დედოფლის დარეჯანის კეთილათ სახსოვარო ყორჩიბაშის შვილო ბეჟან! მერმე ამ არზის პატრონი კოხტელი კაცია, სადედოფლოა, სხვაა ჯელი არა აქ[ვ]ს. შარშანაც ოქმი ჰიქეცით, რომ ხოდაშენს ჩვენს სახასოთ უნდა მდგარიყო. ახლა ჩვენს შეუტყობრათ აუყრიათ. შენ უნდა წახვიდე, აყარო და ისევ

ხოდაშენს ჩვენს სახასოში უნდა დააყენო; ნაცვალს ჩურხაულს უნდა მიაბარო და ყაბზი გამოართო. იანვრის **ლ**, ქორონიკონს **უჲთ**:

დედოფალი დარეჯან

527. არზა იოანე ბერძენისა ოთახის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 26 თებერვალი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 510. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონას ბერძენს იოანეს.

მერე ამას მოვაკსენებ. რაც გაბრიელ ბერძენი კახეთს წასულა, მას აქეთ იმის[1] ოთახში გახლავართ მეცა და მამაჩემიცა; და ორი-სამი დღეა, არ მოგვასვენებს — გადითო, მე უნდა დავდგე ოთახშია.

ჩემო კელმწიფევ, ან ხარების ეკლესი[ი]ს დეკანოზს უბძანეთ თავეთს გალავანში[3] ერთი ოთახი დამანებოს და ან ძველ[4] ზარაფხანაში რომ ოთახი არის შიგნით, ის დავვანებონ. ღმერთი გაგიმარჯვებს. ფებერვლის **კვ**, ქორონიკონს **უჲთ**.

თავში

ქ. ღირსო და პატიოსანო ხარების დეკანოზო გიორგი! ამ იოანე ბერძენს და ამის მამას მანდ ერთი ოთახი ათხოე, რომ დადგნენ. თქვენმა მადლმა, რაც მართებული არის, ქირას ჩვენ მოგცემთ.

ფებერვლის **კვ**, ქორონიკონს **უჲთ**. ერეკლე

528. არზა თეიმურაზ ფავლენიშვილისა მაჯულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1781 წ. 3 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 196. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[129 V] ღმერთმან ჩემის ხელმწიფე დედოფალთ-დედოფლის ჭირი მოსცეს ფალავენიშვილს თეიმურაზსა და იორამსა.

[1] იმისი. [2] მამა ჩემმაც. [3] კალავანში. [4] ძველი.

მერე ამას მოვახსენებთ მათ უმაღლესობასა. ურიათყოფილის შვილს აბიათარს თქვენთვინ თავი უწყენია — დვანს დულურის საკვამლო უთხოვნია ბეითალმობითა.

თქვენს სიმაღლეს ამას ვეედრებით: დულური ჩვენი მკვიდრი ყმა არის. ვახტანგ მეფე კუდაროს რომ აეთებდა, თავადებზე კვამლობით კაცნი მოეკრიფათ, ჩვენი მამა-პაპათ ის დულური მისცეს, მამული ისავ ჩვენვე გვეჭირა, როდესაც კუდაროს შენობა მოიშალა, ის დულური [130] ისავ ჩვენს ყმათ დადგა.

აბიათარს რომ მოუხსენებია ბეითალმანი არისო, დვანში ვისაც მამული და ყმა ყოლია, მეპატრონები დღესაც ისავ ცოცხალნი არიან. თუ ბეითალმანია, ვისი ნაჭერია, ისიც ეცოდინება. თუ აბიათარის მამა და პაპა თავეთს სამკვიდროს ჯერდებოდა, ეგ რატომ აღარ დასჯერდება. მაგრამ ჩემზედ ვითამ დრო დაიცა და ჩემს მაშულს იმიტომ თხოულობს.

თქვენი მოწყალება ასე არ აგვიხდეს[1], რომ ჩვენი მამული იმას ვიეცეს. ამ წყალობას ვითხომთ, ერთი ოქმის მოწყალება დამ[მ]ართეთ, ის ჩემი მამული მევე დამანებოს. თუ სიტყვა აქვს, თქვენს სამართალში მელაპარაკოს მუჩალგითა, რომ მტყუანს კაცს ჯარიმა გადახდეს. ნება თქვენის უმაღლესობისა აღსრულდეს. მარტის **გ**, ქორონიკონს **უჲთ**.

თავში

დედოფალი დარეჯან გიბძანებს ურიაყოფილო აბიათარ! მერმე ფავლენიშვილები ამ არზით ასე რომ ლაპარაკობენ, თუ ასე არის, არაფერი საქმე არა გაქვს რა, ნუღარ აჩივლებ, თავისი მამული ისევ ამასვე და[ა]წებ[ე]. თუ ჭეშმარიტი სიტყვა გქონდეს რამე, ჩამოდი და სამართალ[შ]ი ელაპარაკე. მაგრამ თუ იცოდე, რომ გულში სიმტყუნე შეგაჩნდებოდეს, ხმას ნუ ამოიღებ, შენ ის გიჯობს.

მარტის **გ**, ქორონიკონს **უჲთ**.

529. არზა იოანე მდივნისა ვალის თაობაზე მოწმეთა მოწმობით

1781 წ. 4 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4030. დედანი. ქაღალდი. 32,5×20,1 სმ. მხედრული. განკვეთილობას ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან საქართველოს მსაჯულთ ჭირი იოანე მდივანს მოსცეს.

[1] აგვიხდი.

მერმე მე რომ მის უმაღლესობის ბძანებით და ქალაქის მუჯალანამით ჩემის დის სახლები ვიყიდე, ჩემის დისწულისა ვალები ბევრი დარჩა — ზოგი სახლების გირავოსი და ზოგი უგირავოდ, რომ ის სახლის ფასი იმ ვალებში უნდა მიმეცა. გირავოების ვალები მივეც და ექვსი თუმანი და ნახევარი უგირავო ვალებში უნდა მიმეცა, რომ ქალაქის მუჯალნამაში მიწერია: უგირავო ვალებში თუმანზე ექვსი აბაზი უნდა მიეცესო.

ეს თეთრი მივიტანე მელიქ ავეტიქასთან და შევეხვეწე, რომ ამ სახლის საქმეს დროზე მამარჩინე მეთქი. თეთრი არ დამიბირა და იმედი მამცა, რომ გავარიგებო. კიდევ მრავალჯერ მიველ და შევეხვეწე, რომ შენის ღვთის გულისათვის მოვალე[ე]ბი შეჰყარე და ვისიც რა იყოს, მიმაცემინე-მეთქი. მრავალჯერ იმედი მამცა, რომ გავარიგებო.

მრავალჯერ მირ[ი]შქარბაშს იოანეს შევეხვეწე და მივგზავნე, მრავალჯერ გრიქორა ყორღანაშვილი მივგზავნე, მრავალჯერ თავლიდარი ოპანეზა მივგზავნე შესახვეწრათ და მუდამ იმედი შემოეთვალა, რომ გავარიგებო.

ახლა ჯანაღანთ ანტონას შვილს თამასუქი გამოუტანია ცამეტის თუმნის თავილის გირავოსი. მაშინ მაგის ბებიას ხუთი თუმანი უთქომს და მე ხუთი თუმანი და ნახევარი მიმიცია. ყაბზები ჯელში მიჭირავს. მაგას მაშინ თამასუქი არც ჩემთვის უჩვენებია, არც მელიქისათვინ და არც ქეთხუდებისათვინ.

ახლა გიბძანებიათ, რომ ის დანარჩომი თეთრი ამას მოეცო ერთიორად, და უგირავო ვალებში ნურას მისცემო.

ამას გეხვეწები, რომ ქეთხუდებიც დაისწრათ და კაცნი უბოძოთ. მოწმე[ე]ბისათვის აკითხვინოთ, თუ ხვეწნით არ მეძლიოს ის დანარჩომი. ახლა როგორც თქვენი ნება იყოს, ისე მიმაცემინეთ და თუ მრავალჯერ მე შეგეხვეწნოდე, მრავალჯერ მოხვეწრები მიმეგზავნოს, ღვთის წინაშე სამართალი მიბოძეთ. მარტის **დ,** ქორონიკონს **უჲთ.**

ქ. საქართველოს მსაჯულთშეკრებულებამ გაგვ[გ]ზავნეს ამათ საკითხავათ და მე, თავლიდარი ფარსადან და თურქისტანიშვილი იოანე მივედით და ვკითხეთ მიშკაბარს იოანეს: მდივანმა იოანემ რომ სახლი იყიდა, იმავ ჟამად თეთრს სრულობით აძლევდა მოვალე[ე]ბს, თუ არა. მიშკარბაშმა[1] იოანემ ასე თქვა, რომ ეს ვიცი, რომ მე მითხრა: მელიქს უთხარ, თეთრი გამომირთოს, ვისიც არის, მივცეთო.

[1] მირშკარბარშმა.

ქ. ეგრე[თ]ვე თავლიდარმა[1] ოპანეზამ ასე თქვა: მე ბევრჯერ დავესწარ, რომ იოანე მდივანი ეუბნებოდა მელიქს — ეს თეთრი გამომართვი, ვისიც არის, მივცეთო.

ქ. კაცი რომ კაცს თეთრი ემართოს, აძლევდეს და არ გამოართოს, იმას სარგებელი არ ერგება. ტატოათ ქინას შვილი ოსეფა. [redacted]

ქ. გრიქულა ყორღანაშვილმა ასე თქვა: მე დავესწარ მელიქთან, რომ იოანე მდივანმა თეთრი მოიტანა და ასე უთხრა — ეს თეთრი გამომართვი, ვისიც არის მივცეთო და მეც ბევ[რ]ჯერ მიმგზავნა მოციქულად მელიქთან, ის თეთრი გამომირთვი, მოვალე[ე]ბს მივცეთო.

ქ. ნარიმაშვილმა სტეფანემ ასე თქვა: მეც ამისი მოწამე ვარ, რომ ბევჯერ მოუტანა თეთრი მელიქს მდივანმა, რომ ეს თეთრი გამომართვი, ამ მოვალეებს მომარჩინე.

ჩვენ ამას ჭეშმარიტებით ვწერთ, რომ ამათ ასე თქვეს და ჩვენც ასე მოვახსენებთ სამართალს. მარტის **ივ,** ქორონიკონს **უჲთ.**

ქ. ამ მოწამების მოწმობით, ამას სარგებელი არ ერგება. მე, ზაქარას შვილი ბანდა სატიო (?) [redacted]

ქ. მე, მონათ ხატიამ, ბევრჯერ დავსწრებივარ, რომ მდივანმა[2] თეთრი მოიტანა მელიქთან, რომ ეს გამომართვი და მოვალეებს მიეცით. [redacted]

მარცხენა კიდეზე

ქ. ამ მოწმე[ე]ბის მოწმობით სარგებელი არ ერგება. მე, აბესალამანთ ჰასრათა, მოვახსენებ სამრათალს. [redacted]

ქ. ამ მოწმეების მოწმობით სარგებელი არ ერგება. მე მიდისი ავეტიქას შვილი ხატია სამართალს [მოვახსენებ].

ქ. ამ მოწმე[ე]ბის მოწმობით სარგებელი არ ერგება ჩემის სვინდისჩი. ნიკირტუმას შვილი ოსეფ.

[1] თავლინდარმა. [2] დივნამ.

530. არზა არჯევან ფიცხელაურისა სამართლის მიცემაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1781 წ. 10 მარტი

საქართველოს სიძველენი ტ. II. ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, 1909 წ. საბუთი № 414.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის გ ი ო რ გ ი ს [ჭირი] მათს ფეხთა მიწას არჯევან ს მოსცეს.

მერე მათს უგანათლებულესობას ამას მოვახსენებ. მისმა სიმაღლემ ბატონმა მამა თქვენმა ჩემი ძმები რომ დაიჭირა და ერისთავს [უბ]ოძა, მაშინ ერთი ცხენი და ერთი ხმალი ნინო[წმ]ინდელს მიაბარა: შენი დისწულები როცა [მოვიდ]ნენ, იმათ მიეცო. მასუკან ნინოწმინდელი და დ ა ვ ი თ ე რ ი ს თ ა ვ ი ერთათ რომ შეიყარნენ, ის ჩემი ცხენი [და] ხმალიცა დავით ერისთავს მიართო. ნინოწმინდელმა მოახსენა: როდესაც რომ შეირ... და გიახლნენ, მასუკან უბოძეთ. მერე რომ შევრიგდით, ცხენი პავლე შვილ...ელოს ებარა, გამოართო და მიბოძა. [ხმალ]ი გ ვ რ ი ტ ი ს შ ვ ი ლ ს ებარა. იასაული მომცა, ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ი ვ ა ნ ე, გამოურთვი და მოეცო. ჩემი მეზობელი იყო, პირობა დამიდო, იმასთან მოგცემო. მერე რეუ ლობა (sic) შეიქნა. დარჩა. ვთხოვ მასუკან. ახლა თქვენ ოქმი გიბოძებიათ. დააცალეო. მე მომიხსენებია, ნება თქვენია. მარტის **ი,** ქორონიკონს **უჲთ.**

თავში

ქ. ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს გ ი ო რ გ ი ს სიკეთით სახსოვარო ნ ა ზ ი რ ო დ ა ვ ი თ! მერე ეს შენ უნდა გაურიგო არჯევანს. ამისი გაურიგებლობა არა იქნება. მარტის ... ქორონიკონს **უჲთ.**

სამართლიანის [საქმით] გაურიგე. მეფის ე გიორგი

531. არზა რევაზ თაქაიშვილისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 20 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 2. საბუთი № 137. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[135] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს თ ა ყ ა შ ვ ი ლ ს რ ე ვ ა ზ ს.

პაპის თქვენის ნ ა ზ ა რ ა ლ ი ხ ა ნ ი ს ა გ ა ნ სამი საკომლო გვაქვს ნაბოძები; და ამის წყალობის წიგნი დაკარგული იყო, მრავალს ალაგს ვეძებეთ, ვერ ვიპოვნეთ.

ჩემო ხელმწიფევ, ახლა ეს წყალობის წიგნი ერთს კაცსა ჰქონდა, გამომიჩინა, მიირთვით, ნახეთ და წყალობა მიყავით, თქვენგან ნაბოძები ყმა და მამული მიბოძეთ. და ვისაც სიტყვა ჰქონდეს. სამართალში მელაპარაკოს. მარტის **ივ,** ქორონიკონს **უჲთ.**

მათს სიმაღლეს ამას მოვახსენებ: ერთი კი ვიცი, რომ დავით ბუშრიბს უჭირავს, სხვანი კი არ ვიცი, იმისიც უ ო რ ღ ა ნ ა თ ი ციან. [ვ] ა კ ო ფ ა შ ა რ ა ო შ ვ ი ლ ი მ ა ზ ი ა, შეცა (sic) დავითა შვილი, ბაინდურა შვილები — ესენი გახლავან.

თავში

ჩვენი ბძანება არის: რომელსაც ამისი ყმა და მამული გეჭიროსთ, მოეცით. და თუ სიტყუა გქონდესთ, სამართალში ელაპარაკეთ. მარტის **კ,** ქორონიკონს **უჲთ.**

532. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით

1781 წ. 19 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 453. დედანი. ქაღალდი. 21,2×15,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბატონის მსაჯულთ[1] ჭირი ზ ა ა ლ დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ. ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ს რომ კაცს ვედავე და თქვენის სამართლით გამოვიტანე, თქვენ მოგხსენდათ, ან რა ხნის ანბავი იყო და ან რას ჯაფაში ვიყავ. ის კაცი მართალია. ჩემის ბიძაშვილის ბარათისა იყო, მაგრამ დიდი ხნის წასული იყო. იმ კაცთაც ჩემი თავი მოინდომეს, იმიტომ გამოვიდნენ იქიდამ და მეც საქმე გავიჭირვე და თქვენც შეგაწუხე.

ახლა იმ კაცს ჩემი ბიძაშვილი ეჭიდება. თუ სამართალი შეიწყნარებდეს და ის კაცი მე დამ[ნ]ებდებოდეს, სამართალი მებოძოს.

1 მასარჯულთ.

თუ არა, რაც იმ კაცის ამოყვანაზე დამხარჯოდეს წინაშე ღმრთისა. ის მამეცეს და კაცი იმისი იყოს. ამის გამოყვანაზე დამხარჯვია ფ (ოთხი თუმანი) ამდენი შაურ ნაკლებ. ამასდა გარდა ორი თვე იმის საქმეზე ვიყავი ორის ცხენით, ორის კაცით. ამ ორში ერთი თითონ ის კაცი იყო. რაც ხარჯი მოუნდება აქ კაცსა, თქვენ მოგეხსენებათ; სხვა საქმე არა მქონია რა. სამართლით ამ ხარჯსაც ვითხოვ. მას აქეთ ამ თეთრის სარგებელს ვწვემ თვეში სამ შაურს, ღმერთია მოწამე. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი მაღირსეთ. აპრილის **იდ,** ქორონიკონს **უჲთ.**

ეს მუჩალგა მოვართვი მე, ზა[ა]ლ, თქვენ ბატონს მსაჯულთ[1] ამ ზემო ნაწერის და ნახარჯში რამდენიც მილანთუნი საბუთი მიყოს, რომ არ დამხარჯოდეს, იმდენი ერთი-ორათ თქვენს სამართალს ჯარიმათ მოვართვა.

თავში

ქ. ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ, ესენი ვალაპარაკეთ. სამი თუმანი მისცეს ელიზბარმა და ეს გლეხი დარჩეს ელიზბარს. და სანამდის ამ თეთრს მისცემდეს, გლეხი ზაალს ჰყვანდეს გირაოდ და ნურას იმსახურებს. და თვეში ექვსი შაური სარგებელი აძლიოს. როსცა ეს თეთრი მისცეს, კაციც დაანებოს და განაჩენიც მისცეს. აპრილის **ით,** ქორონიკონს **უჲთ.**

ზაალ ფიცით თქვა: ამ თეთრში ორი თუმანი სარგებლით ამიღია, დღესაც ვაძლე[ვ]ო და სხვა ჩემი იყო, ჩემის თეთრისა არ მინდაო. ოთხის წლისა ორის თუმნის სარგებელი იქს შვიდ მინალთუნს და ერთს აბაზს. თუ გლეხს უმსახურებია რამე, ის უანგარიშონ და სხვა მისცეს. აპრილის **ით,** ქორონიკონს **უჲთ.**

სამი ბეჭედი: 1. მზეპაბუკ

2. მეფემან ბრძანმან ესრეთ განაგო, მე ერის თვისა მსაჯულად მაგო ბეჯან.
3. ქაში ესეცა წარვლის.

verso-ს მარცხენა კიდეზე:

ცუ (ორი მინალთუნი, ორი აბაზი) ქ. სვიმონ მდივანს განაჩენისათვის.

ჭ (ხუთი მინალთუნი) ქ. ოტია მდივანბეგს.

ხს (ექვსი მინალთუნი, ერთი აბაზი) ქ. ხუთს მდივანბეგს საბეჭდავი.

[1] მასარჯულთ.

ც (ორი მინალთუნი) ქ. ზაქარა მდივანბეგის კაცს.

ცუ (ორი მინალთუნი, ორი აბაზი) ქ. იასაულს გოგია ჩერქეზისშვილს.

ხ (ექვსი მინალთუნი) ქ. ბატონების მორდლებს.

ა ჳხ (ერთი თუმანი, ხუთი მინალთუნი, ერთი აბაზი) ქ. ოთხს ალაგს სანთელი მოვართვი ოთხი ლიტრა, ფასი.

ღნ (თოთხმეტი შაური, ერთი შაური) ქ. ფარსადან თა[ვილდ]არს მივეცი.

ჯამი **გ ჳ [ჩ]** (სამი თუმანი, ცხრა მინალთუნი, ერთი მინალთუნი) ქ. სანთელი ამდენი ყოფილაო, მოვჭერი **ა** (ერთი თუმანი), დარჩა **გ** (სამი თუმანი).

533. არზა მარტყოფელი მღვდლის ცოფიკაშვილისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1781 წ. 26 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qძ 9109. დედანი. ქაღალდი. 21,2×18 სმ. მხედრული. გაბზვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის მეფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს მათს მლოცველს ცოფიკაშვილს მღვდელს*.

ამას მოვახსენებ მათს უმაღლესობას: თორმეტი წელიწადი არის მე და ჩემი რძალი გავიყარენით. რაც თქვენი წყალობა მამული გვქონდა, გავიყავით. მასუკან შილთახი გვიყო, სამჯერ კიდევ მასუკან გაგვიყო. ღმერთსა ვფიცავ და თქვენს თავსა, ამთონი არ მოვდის, რომ საუფლო დღეს ან თქვენი თავი დავიფიცოთ და ან ღმერთი ვახსენოთ. თუ გასაყოფი რამ დაგვრჩომოდეს, გაგვიყოს; თუ არა დაგვეხსნას. ნიადაგ ამას იქადის, აქედამ დაგკარგავსუეო; ლამის ასრე საქმე დაგვმართოს, სამღთოობაც დაგვაკარგვინოს და ეს ქვეყანაცა; აღარც მკვდარს გვარჩენს და აღარც ცოცხალსა.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ან სულ ხელი აგვალებინეთ, ან არა ასრე მოგვაშორეთ, აღარას გველაპარაკებოდეს; თუ არა ჩემის მაკურთხევლისათვინაც მომიხსენებია, სოფლისათვინაც გვითქომს და თქვენც გაგტეხიავართ, დაკარგვის შეტი ილაჯი არა გვაქვს. აპრილის **კდ,** ქორონიკონს **უჲთ.**

* ბოლო ორი სიტყვა წაშლილია მელნით.

ქ. ბატონო მარტყოფის მოურავო! მერე ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ნაცვალი და უფროსი კაცები თქვენთან მიაყვანინეთ, ამ მღვდლისა და თავის რძლის საქმე კარგათ გაშინჯეთ და ისე შეარიგეთ, რომ ერთმანეთში სადაოსა და სალაპარაკოს ნუღარ გაუშაცებთ; ერთმანეთს მოარჩინეთ, რომ აღარას ლაპარაკობდენ და აღარც დაობდენ. სამართლიანის გზითა ისე გა[ა]რიგეთ. აპრილის კვ, ქორონიკონს **უჲთ.**

მეფის ძე გიორგი

534. არზა იოანე ჯავახიშვილისა ყმის თაობაზე მსაჯულის ოქმით და ერეკლე II-ის დამტკიცებით

1781 წ. 30 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8574. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 21×8,8 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია მძიმე ან წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს ი ო ა ნ ე ს.

ჩემი მამა და ბიძები რომ გაიყარნენ, საუფროსოდ ქ ვ რ ი შ ვ ი ლ ი მამცეს. ის ქვრივისშვილები სამად გაიყარნენ: ორნი ძმანი მე მემსახურებიან და მესამე უფროსი ძმა ზ უ რ ა ბ ა კი არ მემსახურება. აქ გაშინჯეთ იმის უმორჩილობა, რომ აღდგომას დღესაც არა ბნახა. ამას მეუბნება: ბატონმა ოქმი მიბოძა, შენ ჩემთან ჯელი აღარა გაქვსო. და ეს ვერ შემიტყვია, რის დანაშაულის მიზეზით წამერთვა ის კაცი.

ჩემო ჯელმწიფევ, რადგან ჩემთან ყოფნა არ უნდა და თქვენც ოქმი გიბოძებიათ, თქვენის ოქმის წინამდეგობა არ შემიძლია, ჩემი მამული დამიგდოს, თითონ საცა უნდა წავიდეს და ვისაც უნდა ეყმოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. აპრილის **ლ,** ქორონიკონს **უჲთ.**

თავში

საქართველოს მსაჯულთშეკრებულება მოგახსენებთ ყორიასაულბაშო ზ ა ზ ა ვ, ამ არზით ჯავახიშვილი რომ თავის კაცს ასე უჩივის, ამაზე ერთი იასაული აჩინე; როგორც მართებული არის, ის თავისი ყმა ისე ამსახუროს და კიდეც დაუტუქსოს*. თუ სიტყვა

* აქ სხვა ხელით ჩამატებულია: „უმსახუროზისათვინ გადახდევინ".

რამ ჰქონდეს, ჩვენს სამართალში მოიყვანოს. მაისის **ლ,** ქორონიკონს **უჲთ.**

ბეჭედი: ღანი ესეცა წარვლის.

[ქ. ჩვენ, მ ე ფ ე] ი რ ა კ ლ ი, [ამ ოქმს ვამტკი]ცებთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

535. არზა ზაალ დავითიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1781 წ. 15 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 434. დედანი. ქაღალდი. 21×15 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ოქმის თარიღი მცდარი ჩანდა იყოს.

ქ. ღმერთმან ჩემის ხემწიფის დედოფლის ჭირი ზ ა [ა] ლ დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ს მოსცეს. მერე ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს: თქვენი წყალობა ერთი პატარა სოფელი მაქვს გ ო გ [ა] ს ა სომხითში, ო ფ რ ე თ ზ ე ახლო არის. და ამ წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი მიბოძოთ ს ო ლ ო მ ო ნ მდივანბეგზედ, რომ ოფრეთელებისაგან იმ სოფლის სამზღვარი გამირჩიოს რომელთაც იცოდენ, იმ სოფელს გარეშემო სხვა სოფლებიც გახლამსთ და ყველა თავ-თავის სოფლებს არჩევენ და მეც თქვენის წყალობით ჩემი მამული გავარჩიო და იმ გზით მოუარო. მაისის **იე,** ქორონიკონს **უჲთ.**

თავში

ქ. დედოფლის დარეჯანის კეთილად სახსენებელო მდივანო ს ო ლ ო მ ო ნ, ამ ზა[ა]ლს რომ მოუხსენებია, ოფრეთელთ გაურჩევინე, რომელიც ამისი სოფელი იყოს, უჩვენონ. მაისის **იდ,** ქორონიკონს **უჲთ.**

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

536. არზა ივანესი ყმობის თაობაზე ანტონ კათალიკოსის ოქმით

1781 წ. 11 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5126. დედანი. ქაღალდი. 33×11 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლისა საქართველოს პატრიაქის მეფის ძის ჭირი ტყვეობიდამ მოსულს კაცს ი ვ ა ნ ე ს მომცეს.

მერე ჩემო ხემწიფევ, პატარა დავიკარგე. შვიდს ალაგს გამყიდეს. მრავალს ალაგს თათრობა დამპატიჟეს. მრავალი ტანჯვა გამოვიარე და არც რჯული ვგმე და არც სარწმუნოება.

მოველ და თავისუფალი ვიყავ. თქვენს სიწმინდეს არზი მოვართვი. და ამ პირობით ეკლესიას ვეყმე, რომ ქალაქს იქით არსად წავსულიყავ და ჩემის შეძლებით მემსახურა.

ახლა კოლიაშვილი მოსულა და მეუბნება, რომ უნდა აიყარო და მოხისს უნდა წახვიდეო. მე ჩემის ძმებისაგან გამოსული ვარ. მართალია, ძმები მყავს, მაგრამ გაყრილნი არიან ჩემგან. ჩემი აქედან გასვლა არსად იქნება. თუ ინებებთ და თქვენს კარზედ შიახლებთ და გამაძლებინებთ, გიახლებ; და თუ არა, ჩემის შეძლების გვარათ გმსახურებ და აქ ვიქნები და თუ მოწყალებას ღოიღებ, ხომ ასე კარგი; და თუ არა, მრავალი ბოროტიც მომაგოთ და თქვენის რისხვით დამსაჯოთ, მე იქ ვერ წავალ.

თავში

ქ. ყოლისა საქართველოს პატრიარხი, მეფის ძე ანტონი გიბძანებს, რომელნიც ჩვენნი მოსაქმენი ხართ! მერმე ეს მოხისელი ივანე, რადგან ტყვეობიდამ მოსული არის, ამასთან უბრალოდ საქმე არავი[ს] აქვს და არც ამისი მოხისს მისულა არ იქნება, რადგან ამისი ნება არ არის. და ამისი ძმები კი უნდა მივიდნენ და მოხისს დასახლდენ. და ეს ივანე აქ, ქალაქში, უნდა იყოს. და რომე-[ლი]ც ამისგან შეიძლება, ჩვენ გვმსახუროს, სხვას კაცს არავისა აქვს საქმე. რომელიც ამას უბრალოდ შეაწუხებს ვინმე, დიდად უწყენთ. აღიწერა მაისს ვ, წელსა ჩლპა.

ხელრთვა: კათალიკოზი.

537. არზა ზაალ გურამიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1781 წ. 7 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hქ 176. დედანი. ქაღალდი. 20,5×15 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ქ. ღმერთმანე ბედნიერის ჯელმწიფე-დედოფლის ჰირი მათ მონას გურამიშვილს ზაალს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ: ასემც თქვენს ორგულს გაუჭირდება, როგორათაც ობლობით მე საქმე მიჭირდეს, ჩემო ხელმწიფევ. მრა-

ვალჯერ მათს სიმაღლეს მეფეს თავი ვაწყინე და არა მეშველა რა; ლამის ჩემ[მ]ა სახლის კაცებმა სულიან-ხორციანათ დამკარგონ. მე მომიხსენებია, რომ ეგენი მე არ მაცოცხლებენ.

მე თქვენის მოწყალებით, თქვენს საფარველს ქვეშე გაზრდილი[1] ვარ; აქაც თქვენს კარზედ გდებით სულს ამოვირთმევ და მე ჩემი მამული, როცა იქნება, მოუკლავს არ გამიშვებს. ის მამული თქვენთვის სახასოთ დადევით, ჩემი წილი მამული ღმერთმან თქვენ მოგახმაროთ. და იმათ უსამართლოს ნურას აქნევინებთ ჩემთვისა.

და ან ერთი კაცი უჩინეთ თქვენი, რომ ჩემის ყმიდამ და მამულიდამ სწორეთ წილს აიღებდეს; და როგორც სამოურაოს რიგია, ისე აიღებდეს; მოურავი დაუყენეთ და ისე იმსახურეთ; ან ერთი გზა მომეცით რამე. ღმერთი შვილებს გიცოცხლებს, მიშველეთ რამე.

მაისის ზ, ქორონიკონს უჲთ.

თავში

ქ. ჩვენო ღვთის წყალობავ, შვილო გიორგი, ამ ზა[ა]ლს და მის სახლის კაცებს სამართალი უსაჯეთ; ბატონი წამლის დალევას აპირებს და საჩივარი არ იქნება. თქვენგან, დიაღ, იმედი მაქვს, რომ კარგად გასინჯავთ და სამართალს უსჯით. დიაღ, მადლობელი ვიქნები, რომ ესენი გა[ა]შველოთ. მაისის ვ, ქორონიკონს უჲთ.

მეტად წუხს და შფოთიც რად გაქვსთ, და მადლიც არი ამათი გაშველება.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

538. არზა დიმიტრი ბუიკალაბაშისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 8 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დაფთარი № 20. საბუთი № 13. ბირი. ქაღალდი. მხედრული.

[15 v] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ეშიკაღათბაშს დიმიტრისა. ბედნიერს კალთას კოცნას მოვახსენებთ.

მერმე თქვენის ბძანებითა ჭაპალას რომ წაველ, კოშკები. სახლები სულ დაქცეული იყო, თქვენის დოვლათითა კოშკებიც გა-

[1] გასდილი.

ვაკეთე და ციხეში სახლებიცა. ახლა აქ გაყრაზედ გიახელით და აქედამ კაცნი ავყარე და ჭაპალას დავაყენე.

ჭაპალიდამ რომ გიახელით აქა მაისის ექვს[ს]ა და შამშადილოშე რომ ჩვენი კაცნი გახლავან ამირლუ, იმათგან ხუთი კომლი კაცი აყრილიყვნენ და აქ თავეთს მკვიდრს მამულზედ მოვიდნენ. სულთნის კაცნიც გიახლნენ აქ და სულთნის წიგნიც მომიტანეს. მე ამათ ას კომლს კაცა ვედავებოდი და ვთხოვდი და იქიდამ ხუთი კომლი კაცი ჩემი მკვიდრი ყმა მომივიდა თავისის ნებითა და იმათაც ისევ უკანვე მთხოვს.

თქვენგან ამ წყალობას მოველით, რომ მანამდისინ მანდ გიახლებოდეთ, მანამდის ან ოქმი არ უბოძოთ და ან იესაული, ჩვენც მანდ გიახლებით, თქვენს წინ გვალაპარაკეთ. თუ ჩემი მკვიდრი ყმა იყოს, ხომ თავეთს მკვიდრს მამულზედ მოსულან; თუ არადა, იმისი ყმა იყოს, ისევ იმათვე უბოძეთ. მაისის **ზ**, ქორონიკონს **უჲთ.**



ჩემო ხელმწიფევ! ეს კაცნი რომ მოსულან, ხომ მოგეხსენებათ, რომ ჩემნი იყვნენ და თქვენც ისე ბძანებდით, რომ ჯერ ჯველა ერთათ [16] მოსრულიყვნენ. ახლა ამათაც ერთი გაკითხვა გვაღირაეთ.

თავში

ჩვენი ბძანება არის ქაიხოსრო ნახუცრისშვილო: მერე შამშადილიდამ რომ ელის კაცნი აყრილიყვნენ და ეშიკაღასობაშს დიმიტრის მოსელოდნენ, იმათი აყრა და შამშადილში მისხმა რომ გიბძანეთ, ჩვენ ასე არ ვიცოდით, ეგენი თურმე ჩვენის დის მზითევნი ყოფილან.

როდესაც ნადირშამ ქართლი სანატრელს ბატონს მამა ჩვენს უბოძა, ეგ ახლა მოსული თათრები თუ მაშინ აქ საბლებულან და ბატონს მამა ჩვენს მზითვად უბოძებია, მზითევი არას რჯულში არ წაერთმევა. მაგათ ჯერ ნუ აჰყრი, მანდავ იყვნენ. თავეთის ნებით აყრილან და მოსულან, ძალათ ხომ არავის მოუყვანია. მასუკან გავსინჯავთ სამართლიანის გზით და ერთს მხარეზედ დავაყენებთ. მაისის **ჱ**, ქორონიკონს **უჲთ.**

სულთნის კაცნიც აქ წამოასხი და ეგ მოსული თათრებიც და აქ სამართალში კალაპარაკებთ და მაგათს საქმეს გარდავსწყვეტთ, ჰ[ა]ლბათ, ჰ[ა]ლბათ. მაგათი აქ მოუსვლელობა არ იქნება, უნდა მოვიდნენ და ჩვენს სამართალში დადგნენ. ალი სულთანის კაცი მირზა იბრეიმა და იმისი ამხანაგი ორნივ აქ უნდა მოვიდნენ.



539. არზა იაკობ და ბერი ფალავანდიშვილებისა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 25 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3634. დედანი. ქაღალდი. 22,5×10 სმ. მხედრული. ვანკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი ფალავანდიშვილს იაკობსა და ბერს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებთ მათ სიმაღლეს და ამას გევედრებით, რომ ჩვენს მამებს ჩვენის მამულის გარჩევა აღარ დასცალდათ და თქვენი ჰირის სანაცვლო შეიქნენ. და ახლა ჩემი სახლის კაცები მძლავრობითა და უსამართლოთ სასახლესა და საყდარს მედავებიან.

ამას გევედრებით, რომ ზაალ დავითიშვილზედ ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ: საცა ჩვენი მამული იყოს, სამართლიანის რიგით გამოგვირჩიოს, ან ერთმანერთში მოგვარიგოს სახლისკაცები; და თუ არადა, ამილახვართან სამართალში გვალაპარაკოს ჩვენ და ჩვენი სახლის კაცები. ის სასახლეცა და ის საყდარიც ნასყიდია. იმაში ჩვენ სახლის კაცს ხელი არა აქვს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. მაისის **კე**, ქორონიკონს **უჲთ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის დავითიშვილო ზაალ! ამ არზით ფალავანდიშვილს იაკობს და ბერს რომ ასე მოუხსენებია, სამართლიანის საქმით შენ გაურიგე. ამაზე ბეჭითი იყავ. მაისის **კზ**, ქორონიკონს **უჲთ.**

ქ. თუ გაჭირდეს, ამილახვართან მიიყვანე და იმან უსაჯოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯნობს ძენ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

540. არზა ოქრომჭედლიშვილის ქვრივისა ღალის თაობაზე

ამილახვარ-მდივანბეგის იესეს ოქმით

1781 წ. 10 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 182. ბირი. ქაღალდი. მხედრული. ავრეთვე საბუთი № 247.

[131] ღმერთმან ბატონის ამილახვარ-მდივანბეგის ჰირი დვანელის ოქრომჭედლიშვილის ქვრივსა და ობლებს მოსცეს:

ჩემო ხელმწიფევ, ჩვენი თავი და ყმა და მამული ხომ თქვენ მოგაბარათ და მაინც ვალი გაქვსთ. ქართლის სარდალი ბძანდებით, ჩვენის ყმისა და მამულის ამბავი სიყრმიდგან თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რისაც მჭონებელი ვყოფილვართ. შარშან მერგებოდა ორმოცი კოდი ბარა და თათუზამ წამართვა, არა დამანება რა ჩემის მამულიდამ და წრეულაც სულ იმას წაუღია ჩემის მიწებიდამ. მოგეხსენებათ, იმას იმ ქვეყანას ერთი კვამლი ორათ გაყრილი ნოზაძე ყვანდა, ერთ წეკია ყვანდა. ახლა შალიკაშვილის მამული უშო[ვ]ია, როდის ვედაებით, ნახევარი დვანი ჩემია; და თავისი მძლავრობით შიგ აღარ მაროვინებს.

ღმერთი მეფეს გიცოცხლებს და გიდღეგრძელებს და გაგიმარჯვებს, ერთი ოქმის წყალობა ცხილვანის მამასახლის[ს]ა და ერთს თქვენს აზნაურშვილზე გვიბოძეთ, რო[მ] შარშანდელი და წრევანდელი ბარაც გამომირთვან და ჩემი მამულიც მოსწრებულს კაცს გაარჩევინონ. იმისის ხათრით ნებით არავინ რას ამბობს, თქვენათ სადღეგრძელოთ. ივნისის **ი**, ქორონიკონს **უჲთ**.

თავში

ამილახვარ-მდივანბეგის სიკეთით სახსოვარო გლახა ზედგინი'ძე, მერე ქცხინვალის მამასახლისო! ხვითებიდამ ვინცავინ დვანელი კაცნი არიან, წაასხი დვანს, რაც ამ ოქრომჭედლისშვილის მამულები იყოს, ღვთის წინაშე სწორეთ ათქმევინე. და რაც ამისი ღალა იყოს და ან ამისის ყმის მამულისა, სულ მთლათ გამოურთვი და მოაბარე. გაურიგებლობა არ იქნება, თუ რომ თეიმურაზ ფავლენის'შვილს შარშანდელი ღალა წაუღია ან წლევანდელი, ისიც გამოურთვი და მოაბარე.

ვისაც სიტყვა ქონდეს, აქ ჩვენთან სამართალში მოვიდეს.

541. არზა ავთანდილ გაბალაშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 29 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 440. დედანი. ქაღალდი. 21×17,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-ბეტ-ნაკლული.

ქ. ღმერთმა ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწას ბაბალასშვილს ავთანდილას.

ღმრთითა და თქვენის სამართლით ჩემი ახისა პატრონი შევიქნი ამირღასშვილისაგა'ნ და თამასუქის ზურგზედა ხელი მამაწერინეს, თავნი და სარგებელი მამებარა, თამასუქი ბათილი გამიხდევინეს. ახლა ამირაღას შვილი სამართალს არ დასჯერებია, არზი მოურთმევია და ოქმი გიბოძებიათ, თეთრი უკანვე გამოართვიო. მამაჩემს იას[ა]ული ჩასდგომია ბიაბარუბასა უშვრება.

წყალობას ვითხოვთ: ეს თეთრი სამართლამდისინ ჩემთან იყოს; თუ მე გავმტყუნდე, ეს თეთრიც და ერთი ამდენი თეთრიცა სხვა მეტი ამირაღას შვილსა მივცე და თქვენ ორკეცი ჯარიმა მოგართვა.

და თუ ის გამტყუნდეს, ეს თეთრი ხომე ჩემი იქნება და ამტოლიც კიდევა სხვა მამცეს, რომე რვ[ა] თვე არის! ასე მტანჯავს და მაცოდ[ვ]ილებს. და თქვენ ორკეცი ჯარიმა მოგართვას, რომა უბრალოთ თავს გაწყენს. უსამართლოთ თეთრს ნუ გამოართმევინებ.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ამირაღას შვილის გულისას ნუ გამხდი.

თიბათვის **კთ**, ქორონიკონს **უჲთ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ზაალ დავითისშვილო! მერე შენ რომ ბაბალაშვილზედ მოასილობა გიბძანეთ, რომ ორმოცი თუმანი რომელიც ამირაღაშვილისაგან მიჰბარებოდა, ის უკანვე გამოგერთმივა, თუ ის ორმოცი თუმანი გამოგერთმიოს ბაბალაშვილისათვის, ახლავ უკანვე მიუბრუნე და ბაბალაშვილს მიაბარე. და თუ არ გამოგერთმევინოს, ნულარ გამოართმევ. ეს ორმოცი თუმანი სამართლამდის ამ ბაბალაშვილთან უნდა იყოს. და თუ ამირაღაშვილს სამართალში ლაპარაკი უნდა, როგორც ამ არზით ბაბალაშვილს მუჩაღა დაუდვია, მაგანაც ამისთანა წუჩაღა დადვას და სამართალში ისე შემოვიდეს. მთიბათვის **ლ**, ქორონიკონს **უჲთ**.

ქ. ბაბალაშვილი უბრალოა, ამას საიასაულო არ ეთხოება; ასე იცოდე, ვისაც ბრალი ექნება, საიასაულო იმას გამოერთმევა. ჩვენი ოცი თუმანი ჯარიმა კი ამირაღაშვილს გამოართვი.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

542. არზა გორელებისა საძოვრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 4 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 492. დედანი. ქაღალდი. 33,5×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აბა-იქ ნახმარია მძიმე, წერტილი და ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მისცეს ერთობ გორელებს.


---

[1] + რომე.

ამას წინათ ამ საქმეზედ კიდევ არზა მოგართუით, რომ ჩვენის საქონლის საძოვარი კარალეთის ბოლოდამ დაშერილი, რომ ჩვენ და ერისთავიანთ საქვეყნო სამანიც გვიზის, იქიდამ გორის წისქვილებამდინ ალა პაპაშვილს პაპას უჭირავს; ზოგს თითონა ხნავს და ზოგს სხუათ ახუნევინებს. და ღალას თითონ იღებს.

ღმერთმან გაბაძლიეროს თქვენი მეფობა. ემინობა შეიქნა, თქვენის დოვლათით ოთხ-კუთხი სოფელი აშენდა, და ზოგიც შენდება. და რაც ოთხფეხი საქონელი გვყავს, აღარა კაცმა თავიანთ მამულში აღარ გვაძოებინა. და ჩვენის საქონლის საძოვარი ეს არის.

მოგახსენებთ, ყოველი კაცი ოთხ-ფეხის საქონლითა ვცხოვრობთ. ამდონი თქვენი წყალობა იყოს, მთელი გორი, დიდი თუ მცირე, ერთობლივ გევედრებით, რომ ჩვენი საძოვარი ჩვენვე დაგვნებდეს. ამისი შოვნა არას გორელის კაცისაგან არ იქნება, თორემ იმდენი ღმერთმან გამარჯვება მოგცესთ, რამდონს გორელს კაცს თვალი ეჭიროს, თუ გაიცემოდეს. და წლევანდელის ღალის[ა]ც ნება თქვენი აღსრულდეს. მაისს **იგ**, ქორონიკონს **უჲთ**.



მე, ხითარაშვილი ზურაბა; მე, ანდრიაშვილი თომა ✝; მე, გობრიანთ იოსება.

მე, იოანე პენტელაშვილმა, ამ არზის პირი ვნახე და გარ[დ]მოვსწერე. მაისის **კჱ**, ქორონიკონს **უჲთ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, პაპა მწერალო! მერმე ამ არზით გორელები რომ ასე ჩივიან, ეგ მამული თუ ძველთაგან საკნავი ყოფილა და ან ბეითალმანი ყოფილა ვისიმე, ამას წინათ რომ შენ მოგეცით, შენივე იქნება.

და, თუ ძველთაგან საკნავი არა ყოფილა და საქვეყნოთ საძოვრათა ჰქონოდესთ და შენ ყალათათ გაგიშინჯებია და ისე გამოგირთმევია, ჩვენ იმ მამულს ვერ გავცემთ და[1] გორელებს ვერ გამოვართმევთ. ის მამული ისევ უნდა დასდვა და ღალაც ჩვენთვინ უნდა აიღონ.

დიასამიძე მინბაშო იოანე, ეს ასე გაარიგე. კათათვის **დ**, ქორონიკონს **უჲთ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] + და.

543. არზა იესე ბარათაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 4 ივლისი

ცსსა, ფონდი 1450. დავთარი № 26. საბუთი № 22. პირი. ქაღალდი. ხელდრული.

[17 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი იესეს მოემცეს. იორამ გიახლათ, წყალობას ვითხოვ — რაც ჩემი წილი პური აქვს მოაცემიონოთ და ეს სამართალი მიბოძოთ, რომელიც საქართველოში დადებულა; და მეც განაჩენი ხელთ მიჭირავს. თემთუარაზ მდივანბეგს და ერთს მდივანს უბძანოთ თანხმა ვილი ზაზაც გაისარჯოს, მეზობლის სოფლებიდამ ერთს დღეს ოროლი კაცი გამოიყვანონ, გლეხმა კაცებმა მიწები შეაფარდონ, ოცის დღის მიწაში ერთს მე გამოვარჩევ, როგორიც [18] უნდოდეს; მერმე შუა გაგვიყონ, ერთის მხრით მე მომცენ, ერთის მხრით — მაგას.

აგრევე სახლები რაც სამართალმა მისცეს, ღმერთმან მოახმაროს; ერთმანერთთან არეული მიწები აღარ გვქონდეს, შფოთი არა მოუხდესთ რა ჩვენ შემდგომად. რაც ღვთისა და თქვენი სამართალი მეღირსება, ყველაზე გმადლობ. თუ ეს ჩემი მოხსენებული, მოსამართლენი ვერ მოიცვლიან, რომლისაც თქვენი ნება იყოს, იმათ უბძანეთ. ივნისის **იბ**, ქორონიკონს **უჲთ**.

თავში

ჩვენ მაგიერად მდივანბეგს თეიმურაზს, ნაიბ ეშიკაღაბაშყორიასაულბაშს ზაზას და მდივანს სულხანს ასე უამბეთ. მერმე ამ არზით იესე მდივანს რომ ასე მოუხსენებია, იესე და იორამ თქვენ გაარიგეთ. და როგორც ამათი სამართალი გადაწყვეტილიყო, ორნივ იმაზე დაყენეთ. კათათვის **დ**, ქორონიკონს **უჲთ**.

544. არზა ელიზბარ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 11 ივლისი

საქართველოს სიძველენი ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909 წ. საბუთი № 463.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის [ჭირი მოსცეს] დავითიშვილს ელიზბარს.

მერე ეს მოხსენდეს მის უმაღლესობას: ჩემი ბიძები და მამაჩემი უბატონოდ გაყრილან. ტატიშვილი ბაღათარ ნულში მამაჩემს რგებია. ნეტარად ხსენებულს დიდს ბატონს სწყენია, რომ უჩენოდ რად გაიყარენითო. ის ტატიშვილი გასამყრელოში აუყვანია. ერთი იმ ტატიშვილის განაყოფი ბიძა ჩემებს, დავითს და ედიშერს, ნახევარს წილში მამიჩემისათვის მიუციათ.

მამაჩემი თქუენს წინა რომ თქუენის ჭირის სანაცვლო შეიქნა, მე ობოლი გახლდი. ბიძაჩემმა გიორგიმ მესამედში მე მამცა. ერთს ჩვენს გლეხს კაცს მესაფლავობის მეტი არა ედვა რა. ჩემი და ბიძის ჩემის გიორგის სანახევრო იყო, ის ნახევარი აზნაურშვილი მომცა, სხვაც უბრალო კაცნი და ბეითალმანი მომცა.

ჩვენ ერთმანეთში წიგნი გვაქვს დადებული, ამი ლახვარისაგან გარიგებული ამირიდოსაგან, რომ რაიცა თქუენგან ბაღათარის წყალობა დაგვმართოდა, მასუკან იმათ ისევ თავიანთი მაძულები უნდა იმათვე დანებებოდათ. ახლა დავითი შვილს ზაალს თქუენთვის მოუხსენებია და იმისთვის გიბოძებიათ ნახევარში. რაც მე გირავოსავით მეჭირა, არც იმას მაწებებს და არც ჩემსას მანებებს.

წყალობას ვითხოვ, რომ რაც ჩვენ ერთმანეთში წიგნი და პირობა გვაქვს, თქუენის ბძანებით, ისრე აღსრულდეს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. ივლისის **ი,** ქორონიკონს **უჲთ.**

თავში

ქ. საქართველოს მსაჯულთმოწყალებულება მოგახსენებთ, ბატონო ამილახორ-მდივანბეგო იესე, მერე ამ არზის პატრონი ასე რომ ჩივის, ესენი თქვენთან ალაპარაკეთ და სამართალი მიეცით. და თუ რომელმანმე თქვენის სამართლის უარშიობა დაიწყოს, თქვენ განაჩენი მიეცით; და რომელსაც თქვენი სამართალში არ დაუჯერებია და აქაც ის გამტყუვნდება, განწესებისაებრ გარდახდეს. აღიწერა ივნისის **იგ,** ქორონიკონს **უჲთ.** ერეკლე | დავანბეგი | ქამარ ეს ეცა წარვლის

ქ. ჩვენ, მეფე ირაკლი, ვამტკიცებთ. ერეკლე

545. არზა კოზმან გერძნიზა ეკლესიის შემოსავლის შესახებ ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 7 აგვისტო

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4596. დედანი. ქაღალდი. 20,5×10,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ხახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჴელმწიფის ჭირი მათს მლოცველს კოზმან ბერძენს მოსცეს.

თქვენმა უმაღლესობამ მიბრძანა, რაც ეკლესიას თავისის ყმიდამ და მამულიდამ შესავალი აქვს, ჩვენ უნდა მოგვახსენდებოდესო. ეს ბძანება ჩემთვის, დიაღ, კარგი წყალობა არის; რომელიც თქვენს უმაღლესობას ენებოს, ის ეკლესია თავისის ყმითა და მამულითა და ჩემი თავიც იმას მიაბარეთ; თვალი და ყური დაიჭიროს, რომელი ყმა როგორ ემსახურება ან ეკლესიას და ან მე, იქაური შემოსავალიც და ხარჯიც მოგხსენდესთ. აგვისტოს **ზ,** ქორონიკონს **უჲთ.**

თავში

ქ. წმინდის გიორგის ეკლესი[ი]ს მოურნე, ეს კოზმან და ამისი მამული შენთვის მოგვიბარებია. თუ ალავერდელი იყოს, იმას მივაბარებდით; მაგრამ რადგან ალავერდელი არ არის, შენთვის მოგვიბარებია, თვალი და ყური გეჭიროს. რაც ამისი მოსახსენებელი საქმე იყოს, შენ მოგვახსენებდე; რომელიც ამისი ეკლესი[ი]ს ყმანი უარშიობდენ, მამულებზედ ხელი უნდა აიღონ. თუ ეკლესიას კი არას არგებენ, ეკლესი[ი]ს მამული რათ უნდა ეჭიროსთ. მარიამობისთვის **ზ,** ქორონიკონს **უჲთ.**

ამას დავით მდივანი ამბობდა, რომ ესენი ხოდაშნის მოურავს ბარებიანო, მაგრამ ჩვენ ასე გაგვიგონია, რომ ალავერდელს ბარებოდეს. ეგების წიგნი იყოს მანდ ან მახსოვარი იყოს ვინმე, შეგვატყობინეთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

546. არზა ბოდბელიცა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 20 აგვისტო

ცსსა. ფ. 1449. საბუთი № 2560. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა მეფის ჭირი მოსცეს მათს სამარადისოდ მლოცველს ბოდბელს.

ჩვენს მოწყალეს მოხსენდეს: ოთხიოდე ფეიქარი სომეხი ეკლესიის ყმაში არის, ზოგი თქვენი სიმაღლის ყმა, ზოგი სხუათა მობარებული. დღეს ყრიან სიღნაღზედ მისაყვანად.

თუ თქვენგან საწყენი არ არის, წყალობას ვითხოვთ, რომ არ აგვიყაროონ; წელიწადში ამათგან ერთი-ორი შაური სანთლის ფასი ეკლესიას ერგოს, თქვენად სადღეგრძელოდ. თუ არადა, ნება თქუენის სიმაღლისა აღსრულდეს. ამ თავის წყენაზედ ნუ გაგვიწყრებით. აგვისტოს **იზ**, ქორონიკონს **უჲთ.**

რომელიც თქვენის სიმაღლის სამსახურია აქა და მეც გმსახურებენ და უმსახურიათ.

თავში

ქ. ბატონო ქიზიყის მოურაო! ღმრთის გულისათვის ამ ფეიქრებს ნუ აჰყრი, რომელიც ყოვლად სამღუდელოს ბოდბელს მოუხსენებია. ყოველს სოფელში თითო-ოროლი ფეიქარი არის შესამატი ამის სოფლისა. ამათი აყრა არას გზით არ იქნება. აგვისტოს **კ**, ქორონიკონს **უჲთ.**

ქ. თუ ფეიქრები არ არიან, იმისი კი არ ვიცით.

ბეგელი: ქნარს მიცემს, დავით მაყნობს ძედ ჯახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

547. არზა მურსაყული აღასი გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 31 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 52. საბუთი № 82. პირი. ქაღალდი, მხედრული.

[72 V] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათ მონა მუღალნოს მურსაყულ-აღას[1].

ჩემო მოწყალევ ჯელმწიფევ, ჩემი მოხსენება ეს არის. კიდევ მოგეხსენებათ, რა ამაგი გამიწევია, თორმეტი ნოვით ხრამის სახნავი ამიყვანია ალგეთის გამოღმამდისინ, იქ დაგვითესავთ ჩალთუქი, პური, ქერი და ბამბა.

ახლა თქვენის ბედნიერის ჯელმწიფის სიძე დიმიტრი ეშიკაღაბაშს[2] კაცი გამოუგზავნია ჩემთან, ასე რომ ის მიწა ჩვენია, იმისი ღალა ჩვენ უნდა მოგვბარდესო.

[1] მურსაყული აღასაგან. [2] ეშიკაღაბაში.

ახლა ჩემო ხელმწიფევ, ჩემი ვედრება ეს არის. შიში მაქუს თქვენი ბედნიერის ჯელმწიფის დისაგან — თუ ღალა მივსცე, ხვალ და ზეგ ჩემზედ გამიწყრებით. ამისთვის უმდაბლესად ვაცხადებ: ერთი ოქმი გებოძათ, რომ საქმე არავის ქონოდეს ჩემს გარდა იმ მამულში. [73] დავთესოთ, რაც ღმერთმან მოგვცეს მოსავალი[1], ავკრიფო, თქვენის ბედნიერის ჯელმწიფის სარქარს ჩავაბარო. ამ მოხსენებისათვის ნუ გამიწყრებით. მარიამობის **კდ**, ქორონიკონს **უჲთ.**

თავში

[72] ჩვენი ბძანება არის დიმიტრი ეშიკაღაბაშო! რას წამს ეს ბრძანება მიიღოთ, მაშინ ასე გეუწყოსთ. ამ მუღანლოს მურსაყული აღა[2] ამ არძით რომ ჩივის, შენ იმ მამულში საქმე არა გქონდეს, რომელიც ჩემგნით არის ნაბოძევი — ხრამის სახნავიდამ მოკიდებული ნოვებით გაყვანილი ალგეთის გამოღმამდისინა და ფალუტტულიდამ ქვემოთამდინ — ამ მურსაყული აღამ, საიდამაც მ[ო]უნდეს კაცების წამოყვანა, წამოასხას იმ მამულში, დაათესვინოს პური ქერი, ბრინჯი. ბამბა და იმისი გამოსავალი ღალა ჩვენს სარქარს მობარდეს. და თქვენც ამ ბრძანებას ნუ მოუშლით. აგვისტოს **ლა**, დღეს, ჭორონიკონს **უჲთ.** ერეკლე

548. არზა. ივანე მაღალაშვილისა გამოსაღების თაობაზე ანტონ კათალიკოსის ოქმით

1781 წ. 5 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8840. ღედანი. ქაღალდი. 20,2×10,5 სმ. მხედრული. გახკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბატონის კათალიკოზის ჰირი მოსცეს მაღალაშვილს ივანეს.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს: ახმეტაში გახლივარ მეც და ჩემი სახლის კაცებიცა. მოგეხსენებ[ა]თ, რომ არც მამული გვაქვს და არც ერთი სახლის ალაგი. ასეთი ყალაყო ვარ. მემკვიდრე[ე]ბთან გამი აიღეთო, ამას მეუბნებიან: დაკარგვის მეტი ილაჯი აღარა გაქვსთო.

ღმერთი მეფეს ერეკლეს გიდღეგრძელებთ, დავით მდივანს მიმაბარეთ, რომ ეგების არ დავიკარგოთ. თუ ხიზნები გაიღე-

[1] მოსავალსა. [2] აღამ.

ბენ, მეც გამაღებინოს; და არადა, მემკვიდრე[ე]ბთ[ა]ნ არ შაგვიძლიან გაღება. ამისი სამართალი გვაღირსეთ.

აღიწერა მარიამობის **ით,** ქორონიკონს **უჲთ.**

თავში

ქ. მდივანო დავით! ამ არზის პატრონი მაღალაშვილი ივანე ... ჩვენი ყმა, რადგან უმამული არის და ახმეტას სახლობს, თქვენთვის მოგვიბარებია. თვალყური გეჭიროს, რომ უბრალოთ არავინ შეაწუხოს და გამოსაღებში თუ ხარჯში ძალა არავინ დაატანოს. სეკდემბერს **ე,** წელსა **ჩლპა.**

ხელრთვა: კათალიკოზი.

549. არზა ადამ უარაგოზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 6 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5250. დედანი. ქაღალდი. 27,8×11 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. შდრ. 1781 წლის 13 იანვრის არზას.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ყარაგოზიშვილს ადამს.

ქ. მოგეხსენებათ ავის დროს მიზეზით კახეთსა გხლებივართ და რაც არაევზედ ჩვენი მამული იყო, თქვენ გვიბოძეთ და ოთხი საკომლო ჩვენი მამული მიბარებით გრიგოლაშვილს ეჯირა და აღარ გვანებებდა. სანატრელს ბატონისშვილთან ვიჩივლეთ შარშანს წინ, მსაჯულებიც იახლო და სამართალი გვიყო. და სამართლით ჩვენგან მიბარებული მამული ჩვენვე დაგვრჩა, რომ განაჩენი ჯელთ გვიჰირავს.

ქ. კიდევ ბატონისშვილის ოქმი გვაქვს შარშანდელის ღალისა, მაგრამ არ დამანება და წელსაც სამნი ძმები მომიხდნენ, თოფის იარაღით მოსაკლავათ იწიეს ჩემზედ, რაც იმათ მიყვეს, სირცხვილით რომელი ერთი მოგახსენო.

ქ. ჩემო ჯელმწიფევ, ერთის იასაულის წყალობა გვიყავით, ჩემი მამული და ღალა გამომირთოს. თუ სიტყუა აქვს კიდევ. სამართალში მელაპარაკოს. სეკდემბერს **ვ,** ქორონიკონს **უჲთ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მოურავის შვილო გოგია! მერე როგორც ამ არზით უთხოვნია, თავისი მამულის ღალა გამოურთვი და მოაბარე. და თუ ჰეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს. ენკენისთვის **ვ,** ქორონიკონს **უჲთ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯნობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

550. არზა დავითგარეჯის წინამძღვრისა კურის შესახებ კეშიკჩიბაშ იოანე აბაშიძის ოქმით

1781 წ. 26 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 461. დედანი. ქაღალდი. 17×11,5 სმ. მხედრული. აქა-იქ წერტილი და ორწერტილი.

მათს ბრწყინვალებას აბაშიძეს ბატონს იოანეს* მათი სამარადისოდ მლოცველი დავითგარეჯის წინამძღვარი უფლისა მიერსა მშვიდობასა, ლოცვასა და კურთხევას მოვახსენებ.

მერე რომელიც თქვენი წყალობა პური გვაქვს გაჩენილი, თქვენ გებძანათ, წაიღევითო. ბერი გავგზავნე და უბარათოთ არ მიეცა.

ამ წყალობას ვითხოვ, ერთი ბარათი მიბოძოთ, როსცა კაცი გამოვგზავნო, მოსცენ და ტყუილად არ გამოაბრუნონ ცარიელი. სეკდენბერს **კა,** [ქორონიკონს] **უჲთ.**

ქ. იასე სეფაშვილო! დავით-გარეჯის პური რომ არის ქოდალს ათი კოდი, ის მოართვი. ენკენისთვის **კვ,** ქორონიკონს **უჲთ.**

ბეჭედი: ზონა ღთისა ქუშიკჩიბაში აბაშიძე იოანე.

551. არზა შიოშ საყვარელიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 28 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3018. დედანი. ქაღალდი. 21,3×18,7 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი, ხოლო აბზაცის ბოლოს – ორი წერტილი ხაზით (:—).

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი თქვენს სახასოს საყვარელიძე შიოშს მოსცეს.

* „იოანეს“ საბეთის თავში სწერია.

მერე ამას მოვახსენებ ჩემს ყოვლად მოწყალეს კემწიფეს: ტბეთს გირაო მამული მქონდა; შიოშს ფალვენისშვილის მამისაგან გივს ამილახვარს ჰქონდა გირაოთ. მე დემეტრე ამილახვრისშვილისაგან მქონდა მამულათ მოცემული. გივი ამილახვარი რომ სურამის ციხიდამ გამოიყვანეთ, მას აქეთ მე მეჭირა ის მამული. და არ ვიცოდი, გირაო იყო თუ ნასყიდი. წიგნები თქვენ გახლდათ. თქვენგან წყალობა დამემართა, გირაობის წიგნიც მებოძა და ოქმიცა, რომ თეთრი უნდა მოეცა და ან იმ თეთრით სხვა მამული დამეგირავებინა და ან მეყიდა.

ახლა ნინია ფალვენისშვილმაიოანე ხერხეულიძე იასაულათ დამაყენა, მამულზე ხელი ამიმართა და ღალებიც წამართვა და ხელის ასამართავიცა. თქვენი ოქმი ვაჩვენე და არ იოქმეს.

მეორეც ესა, რომ: ქცხინვალში სასახლის ალაგი მომეცა დემეტრესაგან და თქვენი ოქმი და სიგელიცა მაქვს. ის სასახლის ადგილი გიორგი ამილახვარს თქვენის სახასოს ნონიაშვილისაგან უყიდნია. ნასყიდობას აქეთ კიდევ დემეტრეს დროშია უწინ მგლოველი გიორგი მდგარიყო და იმან შეჰფიცა ნონიაშვილს, რომ ეს გიორგი ამილახვარის ნასყიდიაო და ნონიაშვილმა კელი აიღო. ახლა იმაზედაც კელი ამიმართა; ნონიაშვილი მეუბნება: მე საქმე არა მაქვს, ბატონი ჩემი გედავებაო. მდგმური მიდგა, ცირეკენ; ჩემი სისხლი შიგ ჩამიქცევია და მართმევს, საქმე არა აქვსრა. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, სამართალი მაღირსეთ.

თუ სალაპარაკო აქვს რამე, ნონიაშვილი გაბრიელ მელაპარაკოს, მამული თქვენი ნეკის ნასისხლია, არც თეთრი მომეცა და წამართვა, გირაობის წიგნიც აქ გახლა[ვთ] და სიგელიცა. სექდემბრის **ჱ**, ქორონიკონს **უით**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო ზურაბ ფალავანდიშვილო! მერე ეს მამული ამილახორიშვილს გირაოთ რომ ქონია და ამ საყვარელიძისათვის მიუცია, ჩვენც ის თამასუქი ამას უბოძეთ და ჩვენი ოქმიც აქვს. ამ მამულის ღალა წელს რაც წაეროშიოსთ, გამოურთვი, ისევ მოეც. თუ იმ მამულს დაიხსნიან, რაც თამასუქში უწერია, პასუხი მისცენ და თავის მამული დაინებიონ. და თუ არ მისცემენ, მამულს ვერ გამოართმევენ. და თუ სიტყვა აქვს, სამართალში მოიყვანე. მაგრამ რომელიც გამტყუვნდება, განწესებისაებრ გარდახდება.

სასახლის ალაგზე რომ ჩიევის, ვისგანაც მისყიდულია, ისიც და ეს საყვარელიძეც სამართალში მოიყვანე. აღიწერა ენკენისთვის **კჱ** გასულს, ქორონიკონს **უით**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯნობს ძეც კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

552. არზა ზაალ ყაფლანიშვილისა განაჩენის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 15 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hქ 2452. დედანი. ქაღალდი. 21,3×17,7 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი ყაფლანიშვილს ზა[ა]ლს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ ბედნიერს კემწიფეს. ამას წინათ ზაზა გოშტაშაბიშვილს რომ სიცრუით განაჩენი აეღო მდივანბეგებისაგან, იმ მოპარულის ბეჭდის [დასმი]თ, ის განაჩენი თქვენმა ბედნიერმა პირმა უბძანა გოგია იასაულსა, რომ იმისთვის განაჩენი უნდა გამოერთმია და ჩემთვ[ი]ს უნდა მოეცა.

რამდენსამე დღეს უკან თქვენ კიდეცა მკითხეთ, რომ განაჩენი ჩემ მოგვიდაო. იასაულიც გვერთს მიდგა ამ ბძანებაში. რამდენჯერ ვთხოვე, ბატონის ბძანება არის, ეგ განაჩენი მე უნდა მქონდეს-მეთქი და თუ იმას სიტყვა აქვს რამე, მოვიდეს და ბატონთან მელაპარაკოს-მეთქი; მატყუა და არ მამცა. ხუთი მინალთუნი საიასაულოც გამამართო და განაჩენი მაინც არ მამც[ა].

ახლა მესმის, რომ ის განაჩენი იასაულს იმ[ის]თვის მიუცია; ვგავს, რომ იმისგან უფრო მეტი აუღია. ვიცი, თქვენი ბძანება არ ექნებოდა იასაულსა, რომ განაჩენი ისევ ზაზას მიეცოო და იმ იასაულს მიუცია და თ[ქვენი ბძანებ]ა [არა ჰქონია].

რაც ამ არზაში ზეით მომიხსენებია, გუშინაც გზაზედ მოგახსენე და ოქმის წყალობა მიბძანეთ. ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ერთი ოქმის მოწყალება მიყოთ გლახა ციციშვილზედა, რომ ის განაჩენიც მოატანინოს და თითონაც სამართალში მოიყვანოს. და თუ სიტყვა აქვს რამე, სამართალში თქვენ მოგახსენოს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. თავის თავათ ავათ მოპყრობასა და ჩხუბს დამეხსნას, ჩემო კემწიფევ. ღვინობისთვის **იე**, ქორონიკონს **უით**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის გლახავ ციციშვილო! მერე ზაზა გოსტა-შაბიშვილს ის განაჩენი გამოაროვი, ჩვენთან მოიტანე და ესენიც ჩვენს სამართალში ალაპარაკე. ღვინობისთვის **იე**, ქორონიკონს **უჲთ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

553. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 17 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 7437. დედანი. ქაღალდი. 34,5×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ლუარსაბ ონანიაშვილს.

მერმე ამას მოვახსენებთ მათს სიმაღლეს. რომ აქ შვილს ქაიხოსროს უჩივლია ჩემთვის: ჩემს ყმას ჯადუგისშვილს მამული წა[ა]რთო[ო]. ჯადუგისშვილს ნასომხარში მამული რათ ექნება, ჯადუგისშვილი მკვიდრი ბაკურციხელია და ნასომხარი სხვა სოფელია. ჩემი მოხსენება ეს არის. რადგან მოუხსენებია და თავი უწყენია და უჩივლია, გევედრებით რომ ორნივ თქვენს სამართალში გვალაპარაკოთ. ან ამ მამულს რის საბუთით მედავება და ან ეს ჯადუგისშვილები რას მიზეზით უჭირავს. დიდად გევედრებით, რომ ღმერთი უმეტესად აღამაღლებს თქვენს ჯელმწიფობას ორნივ თქვენს სამართალში გვალაპარაკეთ და ჩემი და იმისი სიმტყუენე მოიხსენოთ. ჯიმშერმა ასე რიგად გაგაშინჯათ, რომ ჩემი მამული დაიჭირა დღეს. თქვენს სიმაღლეს ვთხოვ რომ სამართალი დამემართოს. ღვინობისთვის **თ**, ქორონიკონს **უჲთ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ხალვათხანის ეშიკაღაბაშო აიდემურ! ჯადუგიშვილები და ლუარსაბ ონანაშვილი ჩვენს სამართალში უნდა მოიყვანო და ალაპარაკო. ღვინობისთვის **იზ**, ქორონიკონს **უჲთ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

554. არზა ზაალ გურამიშვილისა უმეცრისა შევიწროების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 27 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1253. დედანი. ქაღალდი. 17,8×15,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ავჭალელთ ზა[ა]ლ გურამიშვილის ყმათ.

ღმერთმან ასე თქვენი ორგული შეაწუხოს, როგორც ჩვენ ბატონი და ყმა გურამიანთ უსამართლობით შეწუხებულნი ჩვენ ვიყვნეთ. თუ არას გვიპატრონებთ, იმათის მიზეზით დავიკარგებით. თქვენი იასაული იქ გახლდათ, რაც გოგია უზბაშმა ჩვენ ძვირი შეგვამთხვია, თავზე სახლებს გვაქცევდა, წისქვილს გვიქცევდა, ბატონს გვიკლევდა და თქვენმა იასაულმა იპატივა და დაიხსნა.

ამისთანა უსამართლო გვჭირს, რომ ჩვენს მამულში სახლებს თავს გვაქცევენ. მეტად შეუძლებელი ვართ და შაღავათის წყალობას ვითხოვ, თქვენის შვილების სადღეგრძელოდ. ღვინობისთვის **კდ**, ქორონიკონს **უჲთ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის გურამისშვილო გოგია უზბაშო! მერე ამ არზის პატრონი რომ ამ არზით ასე უსამართლობას გიჩივიან, ამათ ჩამოეხსენ. ნურაზედ აწუხებ, თორემ იცოდე, თე დღეის იქით კიდევ მიზეზი მიეც რამე და აჩივლე[1], დიდათ ავ[ათ] მოგეპყრობით. ღვინობისთვის **კზ**, ქორონიკონს **უჲთ.**

თუ სიტყვა გქონდეს, მოგვახსენე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

555. არზა ზაალ ტერიშვილისა გრემისხევის აშენებაზე ვახტანგ გატონიშვილის ოქმით

1781 წ. 27 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 5. დედანი. ქაღალდი. 13,7×9,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან მძიმე.

ქ. ღმერთმან მეფის ძის ვახტანგის ჭირი ტერიშვილს ზაალს მოსცეს. მერე თქვენის დოვლათით გრემისხევს კაკეთებ. ერ-

[1] აჩივლე.

თი ოქმისა და იასაულის წყალობა მიყოთ, რომ რაც გრემისჯველი კაცნი არიან, იქ დავასახლო.

ბატო[ნ]ის დედოფლის ოქმიცა მაქვს და ამას გევედრები, რომ ერთი ოქმი თქვენც მიბოძოთ და თქვენის დოვლათით გაეკეთო. გიორგობის კვ, [ქორონიკონს **უჲთ**].

თავში

ქ. ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებთ არაგვის აზნაურისშვილნო და მოხელენო. მერე სადაც სოფელში გრემისხველი კაცი იყოს, უნდა აიყაროს და თავის მამულზე დასახლდეს. ზაალ ტერისშვილს ბატონის დედოფლის ოქმი აქუს, რომ გრემისხევი უნდა გააკეთოს და როგორც იმ ოქმში ეწეროს, ყველამ ისე აღუსრულეთ და ნურავინ მოუშლით. გიორგობისთვის კზ, ქორონიკონს **უჲთ.**

იმისი აშენება ხომ ქვეყნის შესამატი — მაგ სოფლების აშენება[ა] და გამოსადეგია.

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად, ვახტანგ ირაკლის ნაკეთად.

556. არზა თუმანიშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 1 დეკემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 46. საბუთი № 177. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[125 V] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონათ თუმანიშვილს მდივანს იოსებს, ქაციას და ოთარს.

ჩვენს ჯელმწიფეს ამას მოვახსენებთ, ვიყრებით, მოგეხსენებათ ჩვენის მამულისა და ყმის სიცოტავე; ერთ სოფელში სამი კომლი კაცი გვყავს, ერთი გასამყრელოთ სახელმწიფოთ აიყვანეს. წყალობას ვითხოვთ — სამთავ გვიბოძოთ და იმ მამულიდამ ერთ-ერთი უნაწილოთ არ გამოვარდეთ; ჯერ ვერ შეგვიფარდებია. ამ მოწყალებას ვითხოვთ და პასუხი გვებძანოს. დეკემბრის ა, ქორონიკონს **უჲთ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის: რომელიც ამ არზით მოგიხსენებიათ ჩვენი გასამყრელო — ერთი კომლი ქებაძე, ისევ თქვენთვის გვიბოძებია, ბარათში ჩააგდევით. დეკემბრის ა, ქორონიკონს **უჲთ.**

557. არზა ელიზბარ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1781 წ. 20 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1441. დედანი. ქაღალდი. 30×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი მოსცეს დავითისშვილს ელიზბარს.

მერმე ბიძაჩემები და მამაჩემი უბატონოთ გაყრილან. ტატიშვილი ბაღათარ მამაჩემს რგებია. ნეტარადხსენებულს ბატონს უწყენია, ტატიშვილი ბაღათარ ბატონს აუყვანია გასამყრელოთ. ამირიდო ამილახვარს გაურიგებია ბატონის ბძანებით, თავეთი კაცები ჩვენთვის მოუცია გირავოთ.

ახლა მამაჩემი თქვენ წინ მოკდა, მე პატარა ობოლი გახლდი. ეს პირობა და წიგნი მომცეს: როცა თქვენგან წყალობა დაგვემართებოდა, ბაღათარ ტატიშვილი მე მომეცემოდა, იმას თავისი გირაოები უნდა მისცემოდა.

ჩემი ბიძაშვილი ზა[ა]ლ არც ჩემსას მაძლევს და არც ნაბევარში გირავო მეჭირა, არც იმას მაძლევს.

წყალობას ვითხო[ვ], ან ჩემი მომეცეს ან სამართალშიდ გვალაპარაკოთ. ქრისტეშობისთვის იზ, ქორონიკონს **უჲთ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! ჩვენ ღმრთით ზემო ქართლში მივალთ, იქ ილაპარაკეთ და სამართალს გისაჯამთ. დეკემბერს კ, ქორონიკონს **უჲთ.**

ბეჭედი: ვნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

558. არზა დათუა ოქრომჯდლისშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1781 წ. 21 დეკემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 250. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[173 V] ღმერთმან ბედნიერის დედოფლის ჭირი მოსცეს. ოქრომჯდლისშვილს დათუას.

მერმე ამას მოვახსენებთ: მე და ფავლენისშვილი ბიძინა დოესს[1] მიწებზედა ვდაობდით და მოსამართლე[ე]ბი დავსხით და მუჩალგა დაგვადებინეს. რომელიც გამტყუნდეთო, ერთი იმდენი მიწა უნდა მისცეთო. განაჩენი დაგვიწერეს, მამცეს. სამი [174] მოწამე რომ გმოწმობსო, ის მოწმე[ე]ბი ცხინვალს უნდა მივიდნენო. იქ ღვთის წინაშე სწორე უნდა თქვანო.

ერთის ოქმის წყალობას ვითხოვთ ავთანდილ სამარადისშვილზე, ის მოწმე[ე]ბი ცხინვალს მოასხას. და თუ ჩემად გამოაცხადონ, რაც ამ განაჩენში სწერია, ხელი ამიმართოს და მამცეს. დეკემბრის კ, ქორონიკონს **უჲთ.**

თავში

ავთანდილ სამარადისშვილო! ამ არზის პატრონისათვის სამართალი რომ უქნიათ, ფალავანდისშვილები მსხდარან, განაჩენი დაუწერიათ და მიუციათ. მანდ ქრცხინვალში სამი კაცი მოწმად რომ დაუწერიათ განაჩენში, ეგენი ალაპარაკე. როგორც მაგათ იმოწმონ და განაჩენში ეწეროს, ისე აღასრულე.

გუთნების საქმეზე რომ ლაპარაკობს, ისიც სამართლიანის გზით გაურჩიე. ღმერთს გაფიცებ, ამის საქმე[ე]ბი რაც მოგვიწერია, კარგათ და რიგიან სისწორით გაურიგო. უსამართლო ნურც ამას დაეშართება, ნურც ამის მოდავეს, ჭეშმარიტებთი გა[ა]რიგე ორსავე მხარეს. აღიწერა დეკემბერს კა, ქორონიკონს **უჲთ.**

559. არზა იოვანე მამუჩიშვილისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1782 წ. 29 იანვარი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 53. საბუთი № 26. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[24] ღმერთმან ყოველად მოწყალის ქელმწიფის დედოფლის ჭირი მოსცეს მათ ყულუხჩს იოვანეს მამუჩიშვილს.

ვერმე ამას მოვახსენებ მათ სიმაღლეს. სპარსიაშვილს, ცოცხალი რომ გახლდათ, მაშინ მამაჩემ[მ]ა უჩივლა, მამული მიმძლავრებული ქონდა. ჩვენ მდივანბეგმა ოტიამ. განაჩენი გვიბოძა. და ახლა ის კაცი დიამბეგის განაჩენით არ დაგვანება.

[1] დაოზ.

ამ მოწყალებას ვითხოვ, ერთი ოქმი მებოძოს თქვენგან რომ ის მამული დამრჩეს სამართლიანის გზით, როგორც ეს მდივანბეგის განაჩენი აცხადებდეს. ღმერთი გადღეგრძელებსთ. იანვრის კთ, ქორონიკონს **უო.**

თავში

[23 V] უფალო მსაჯულო, მერმე თუ ეს თქვენი განაჩენი ასე ქონია და მისი წინააღმდეგი სხვა სიტყვა სპარსიაშვილს არა ქონია რა, რატომ არ დანებებია ამ მამუჩიშვილს. თუ ამისი წინააღმდეგი სიტყვა არა ქონდეს რა, ახლავ გამოუ[რ]თვით და ამას და[ა]ნებეთ. იანვრის კთ, ქორონიკონს **უო.** დედოფალი დარეჯან

560. არზა ქვისმჭრელებისა ხელფასის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 11 თებერვალი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1383. დედანი. ქაღალდი. 18,9×11,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აბზაცების ბოლოს ნახმარია ორი წერტილი ხაზით.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ჭირი მოსცეს ალავერდის წმიდის გიორგის ეკლესიაზედ მმუშაობელს ხუთ ქვისმჭრელებს.

ქ. ამას წინათაც არზა მოგართუით და ჩვენს სამუშაოს დაგეჯენით. იოსებ მდივანს უბძანეთ: გაურიგე, მოეც; მაგრამ არ მოგვეცა.

ჭ. საბრალო კაცნი გახლავართ. ექვსი თუმანი და ცხრა მინალთუნი უნდა გვებოძოს, წყალობა გვიყავით, ღმერთი გაგიმარჯვებს. ფებერვლის ია, ქორონიკონს **უო.**

თავში

ქ. ეშიკაღათბაშო გარსევან! ამ არზის პატრონთ თავიანთ სამუშაო ექვსი თუმანი და ცხრა მინალთუნი შენ მოეც და ჩვენ რომ ალავერდის წმინდის გიორგის ეკ[კ]ლესი[ი]ს თეთრი გვმართებს, ეს თეთრი იმაში უნდა უანგარიშოთ. თებერვლის იზ, ქორონიკონს **უო.**

რომ იქნება ამისი ნახევარი ͣგ წ ფ (სამი თუმანი, ოთხი მინალთუნი, ათი შაური) ამდენი. რომ მისცე ყაბზი მოაწერინე და ანგარიში მუჯრა იქნება.

ქ. ამათ ბევრი ჯელფასი მისცემიათ, ცხრა მინალთუნი უკან დაიჭირე და ექვსი თუმანი კი მოეც. ცხრა მინალთუნზედ გველაპარაკნენ. თუ რა საბუთს იქმნენ, იმასაც მივსცემთ. ყაბზების ბევრი უძლევიათ, ჩვენ ამას ვამბობთ.

ორი ბეჭედი: 1. ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე
2. ერეკლე.

561. არზა პაატა ციციშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 21 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7597. დედანი. ქაღალდი. 19,5×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ციციშვილს პაატას.

ქ. ჩემის ბიძაშვილის ივანესაგან შფოთი და შეწუხება რომელი ერთი მოგახსენოთ. სანი წელიწადია მწუხარებასა და განსაცდელში ვჰყავართ. ჩვენ რომ იმისგან მშვიდობიანათ[1] დაღისტნიდამ რომ დაგვიხსნათ, ისე მადლია.

ქ. ჩვენი სამართალი მოურავისა და მდივანბეგებისათვის გიბძანებიათ. ჩემო ჯელმწიფევ, თუ თქვენი ნებაც იქნებოდეს, რადგან ჩემი ბიძასშვილი ბატონისშვილს გიორგის აბლავს, ბატონისშვილს უბძანოთ მოურავი და მდივანბეგები იახლოს და ჩვენი სამართალი [ბ]ძანოს და იმის შფოთისაგან დაგვიხსნას. ღმერთი გაგიმარჯვებს. ფებერვლის კა, ქორონიკონს უო.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო გიორგი, მერმე ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, ქალაქის მოურავი და მდივანბეგები იახელ და სამართალი უსაჯე. ფებერვლის კა, ქორონიკონს უო.

ბეჭედი: მე ფეხგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.

[1] + დაგვიხსნათ.

562. არზა იაგულაანთ ისაიასი ქმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 6 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 850. დედანი. ქაღალდი. 33,3×15,2. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აბზაცების ბოლოს ნახმარია ორი წერტილი ხაზით.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მათს მონას იაგულაანთ თამაზასშვილს ისაიას მოსცეს.

მერმე ჩვენ ორნი ძმანი გახლდით. ავის დროსაგან უცხოს ქვეყანაში გადაცვივნული ვიყავით. ჩემმა ძმამ ჰაშტარხანს ცოლი ითხოვა და იქ დასახლდა. და მე აქ თქვენს ღმრთის მოყვარეობის და მოწყალების ჩვეულს სახელს მოვმართე და თქვენის ოქმით გიახელ.

მის სიმაღლისაგან მოწყალებიანი და გასაძლებელნი ნუგეშები მებძანა და მეც ამაების იმედით აქ დავსახლდი და გახლავარ. და თუ ღმერთმან მაცოცხლა, ამ ქვეყანაში ერთი მცირე მონა და მოსამსახურე მეც გახლდები.

ახლა ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ერთი ოქმ[ი] მებოძოს: სადაც ერთი-ორი თქვენი წყალობა ჩემი გლეხები იყოს და ან ჩემი ახლო სახლის კაცებისა, ისინი ავყაროთ და ჩვენს მამულში მივიყვანოთ და დავაყენოთ, რომ ეგებაა ღვთის მოწყალებით და თქვენის ბედნიერობით ერთი ლუკმა პური გვქონდეს და ჩვენის სარჩოს გამოის თქვენ თავი აღარ გაწყინოთ.

მოწყალებას ვითხოვ, რომ ოთხი ხუთი წელიწადი ჩვენი გლეხები ლაშქრობიდამ და სხვა ყოვლისფრის სათხოვრიდამ თარხანნი გახლდნენ, რომ დგომა და ყოფა შეიძლონ. და მერმე როგორც სხვა გლეხნი გემსახურებიან თუ თქვენ და თუ ქვეყანას, ისე ჩვენი გლეხნიც გემსახურნენ. ნება უმაღლესობისა ათავდეს. მარტის დ, ქორონიკონს უო.

ქ. ა კვამლი გუპარასშვილები ქალაქში ორნი. ძმანი
ქ. ა კვამლი ოჰანეზა დარეჯანას შვილი.
ქ. ა კვამლი ქვემო თელეთს კოჭლი სარქისა ბერიკაცი
ქ. ა კვამლი კოდას ვართანას შვილები.
ქ. ბ ობოლი ვაჟი კატავეთს.
ქ. ა ობოლი ვაჟი ჯელთუბანს.

ქ. ა კვამლი მამხუტს მუსინას შვილები ორნი ძმანი.
ქ. ა ბერიკაცი მამხუტს ამირხანა.
ქ. ა კვამლი ყაზახში სრის სოფელში ათაბეგა.
ქ. ა კვამლი ქვეშს აზარაანთ საყა მურადას შვილი.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ეშიკაღასბაშო დიმიტრი. მერე ამ არზის პატრონს ერთი კარგი ყოჩაღი იასაული მიეც, საცა ამის კაცნი იყუნენ, ბერიკაცი თუ ყმარწვილი, აუყაროს და ამას მოსცეს, რომ თავის ალაგს უნდა დააყენოს. და თუ სიტყუა ჰქონდეს ვისმე, ჩვენს სამართალში ილაპარაკოს. მაგრამ თუ ამის მოდავე სამართალში გამტყუნდება, ჯარიმად სხუა კაციც წაერთმევა, იცოდეს. მარტის ვ, ქორონიკონს უო.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

563. არზა ღთისია თათრიშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 7 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 220. დედანი. ქაღალდი. 20,3×11,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს დავით ამილახვარისშვილის ყმას თათრიშვილს ღთისია.

მერმე ამას მოვახსენებთ მ[ა]თს უმაღლესობას: თორმეტი წელიწადი ტყვეთ გახლდი, ექ[ვ]სი თვე არის რომ გიახელ. ახლავ მორიგეს და ხარჯს მთხოვენ, მამული არსად მაქ[ვ]ს და ალ[ა]გი, ვალით და ვახჩით მ[ა]დლისთვის სხვათ მომიყვანეს; ჯერ არც არავის შეუტყვია ჩემი მოს[ვ]ლა.

ახლა, ღმერთი გაგიმარჯვებს, რით უნდა შევიძლო ან მორიგე ან სოფლის ხ[ა]რჯი. ურჯულოს ქვეყანაში გახლდი და თქვენს საფარველს და კალთას ამიტომ მოვმართე, ქრისტიანი კელმწიფე ბძანდება და ქრისტიანობა არის მეთქი, ეგებ ქეთილი რამ დამემართოს-მეთქი.

ახლა ასე ძალს მიშ[ვ]რებიან, ს[ა]ურჯულოეთ მიხდიან ს[ა]ქმეს. ღმერთი გაგიმარჯვებს, თქვენის შვილების ს[ა]დღეგრძელოთ ამის ს[ა]მართალი მ[ა]ღირსეთ. თებერ[ვ]ლის კზ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ჩვენის კარის მოხელენო! ამის მოხსენებული თუ ჭეშმარიტი არის, ამ ერთს [წელს] ამას მორიგობაში ნუ გამოიყვანთ და ნურც ჩვენს გამოსაღებში გარეცთ. ლაშქარნივისებმაც ასე იცოდნენ. მარტის ზ, ქორონიკონს უო.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

564. არზა ღვთისია თათრიშვილისა ყმობის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1782 წ. 10 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 749. დედანი. ქაღალდი. 19,5×14,7 სმ. მხედრული, განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მისის სიმაღლის მეფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს თათრისშვ[ი]ლს ხვთისიას.

მერე ამას მოვახსენებ: დავით ამილახვრისშვილმა ჭალაჭს გამაგზავნა ფარჩისათვის. ღართის კარში ლეკები დამხვდნენ, დამიჭირეს, თორმეტი წელიწადი ტყვეთ გახლდი. ვალით, ვახშით თავი დავიხსენ, ხუთი თვე არის გიახელ, ერთი მარტოხელი, უსახლკარო, უმამულო გახლავარ, ახლაც და უწინაც.

ახლა დავით ამილახვრისშვილი არ მეშვება, ჩემი ყმა ხარო. შენს მზესა ვფიცავ, თაობითაც წყალობის ყმა ვიყავი, თორემ ახლა ბატონის მამითქვენის ბძანებაც არის: ტყვესთან საქმე არავის აქვს, ყველგან თავისუფლად არის.

მეც [ე]რთის ოქმის წყალობა მიყავით თქვენის შვილების სადღეგრძელოთ, ვინც მამული მამცეს, იმას ვემსახურო. ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის ც, ქორონიკონს უო.

თუ სიტყვა ქონდეს რამე, თქვენს სამართალში მელაპარაკოს.

თავში

ქ. ბატონიშვილი გიორგი გიბძანებთ ამ არზის პატრონო თათრისშვილო ღთისია! მერე შენ რომ ტყვეო-

ბიდამ მოსულბარ, თუ შენს ტყვეობიდამ მოსვლას უწინ აქ შვილი გყვანდა რამე, შენი მებატონე ვინც ყოფილა, იმისი იქნება.

და შენ რადგანც ტყვეობიდამ მოსულხარ, მის სიმაღლის ბატონის მაძისჩვენის განწესება ასე არის, შენ თავისუფალი ხარ, შენთან არავის საქმე არა აქვს, ვისაც გინდა, შენის ნებით იმას ეყმობი. მარტის **ი,** ქორონიკონს **უო.**

თუ მაშინვე ამას არ მოსულიხარ და იმას არ ჰყმობიხარ.

მეფის ძე გიორგი

565. არზა პაპა უძილაურისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1782 წ. 12 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბუთი № 10353. დედანი. ქაღალდი. 19×10 სმ. მხედრული. დაზიანებული. ტექსტი ალაგ-ალაგ გადასულია. განკუთვნილობის ნიშნად აქა-იქ სავსარია წერტილი, ხოლო წინადადების ბოლოს ორწერტილი ხაზით (:-).

ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს თიანურს მათს ყმას უძილაურს პაპას.

მამაჩემი ჯელმარტო კაცი იყო და ჯელმწიფე მამათქვენს ახლდა ჯილავდრად თელავს და ჩვენი მამული სა[მ]ხელიოდ სხვას ეჭირა.

დედ-მამა თელავს თქვენის ჭირის სანაცვლოდ გა[ხდნენ]. პატარა დავრჩი, თელავს ვიყავ და თელავიდამ არტოზანს მიველ მოძღვართ-მოძღვრის მამულზედ და იქა ვდგევარ.

ახლა მოურავი მყრის და ჩემს მამულზედ მიჭყავ.

ერთის ოქმის წყალობა გვიყავით, ვისაც ახმეტაში ჩემი მამული ეჭიროს, მოურავმა გამომირთოს. ღმერთი გაგ[იმარჯვებს. მარტის] **იგ,** ქორონიკონს **უო.**

თავში

ქ. ბატონო თიანეთის მოურაო ქაიხოსრო და ნაცვალო დათუნა! მერე ამ არზის პატრონის მამული ვისაც ეჭიროს, უნდა ამ თავის პატრონს დაანებოს; და თქვენ უნდა გამოურთვათ და ამას მოსცეთ. და ეს კაცი ვისაც კელდათ მდგარ იყოს, ამას არა გამოართვან რა. და შენ არაფერი არ გამოართმევინო რა. მარტის **იგ,** ქორონიკონს **უო.**

თუ გასყიდული არ იყოს ამისი მამული, ვისაც მძლავრობით ეჭიროს, გამოურთვი და მოეც. კარგა გარჩევით უნდა შეიტყო და გაარჩიო და ისე მისცე ამისი მამული.

ბეჭედი: მეფის ძე გიორგი.

566. არზა პაატა ციციშვილისა სამღებროს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 18 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. 11ძ 7607. დედანი. ქაღალდი. 27,5×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ხახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ციციშვილს პაატას.

ხომ მოგეხსენებათ პაპის თქვენისა და ბიძის თქვენის წყალობის წიგნი მაქვს, მძორეთის სამღებრო ებოძათ მამის ჩემისათვის. სხვა ძმა არც ერთი არა სწერია. იმ ძმებსაც ქონიათ ბატონების წყალობის წიგნი, რომ მამაჩემი არა სწერია. ნასყიდობის წიგნები გახლავთ, არც იმათ ნასყიდობაში მამაჩემი სწერია, არც მამის ჩემის ნასყიდობაში ძმები სწერია. თავ-თავისთვინ ქონიათ ბატონის წყალობა და ნასყიდობაცა. თქვენი და ბატონის დედოფლის წყალობის წიგნები ოთხი-ხუთი მაქვს ძველიცა და ახალიც, წიგნები ნახეთ. ღმერთსა ვფიცავ და თქვენს თავს, თუ ეს თქვენი წყალობა არა მქონდეს სულის მოსაბრუნებლად ჩემი, იმ ქვეყანაში ნახევარ წელიწადს ვერ ვიცხოვრებთ.

ახლა ჩემი ბიძაშვილი ივანე მედავება. რამდენჯელ წამედავნენ ჩვენი განაყოფები და სახლის კაცები, ყოველთვინ წყალობის წიგნები მიბოძეთ. ახლაც ერთის ოქმის წყალობას ვითხოვ, რომ ამ ჩემს ბიძაშვილს ივანეს და არც არავის სხვას ჯელი არა ქონდეს. აღიწერა მარტის **იგ,** ქორონიკონს **უო.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე რადგან ამ პაატას მამას თავის ძმა წყალობის წიგნში არ დაუწერ[ი]ნებ[ი]ა, სამართლით ამის ბიძაშვილი ივანე ამას ვერას შეუვა. საკუთრათ ამ[ის] არის. მარტის **ით,** ქორონიკონს **უო.**

ბევრი წიგნები აქვს, რომ საკუთრათ ამას მისცემია და რატომ არ დაეხსნება.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

567. არზა ეფთვიძე მღვდლისა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 20 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 402. დედანი. ქაღალდი. 33×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ხახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჴელმწიფის ჰირი მოსცეს კაკაბურს მღდელს ეფთვიმეს.

ახლა ამას მოვახსენებ მოწყალეს ჴელმწიფეს. თქვენ რომ კაკაბეთს ბძანდებოდით, მაშინაც მოგახსენეთ რისაც მამულის პატრონი გახლავარ და თქვენმა დიდებულმა თვალმაც იხილა რაც სავენაკე არის. წინა კაცთანაც ხარჯის მძლეველი გახლავარ და ჩემს ბადალს კაცებს ოთხი იმდენი ალაგები უჭირავთ სავენაკე და მე იმათში დაჩაგრული გახლავარ. ამდენი თქვენი მოწყალება დამემართოს, ჩემის სავენაკეს გვერდით მიწა ძეს ბეითალმანი, ის მებოძოს თქვენის ბძანებით და წიგნით. უმოწყალეოს ნუ გამიშვებთ, ღმერთი თქვენს მოწყალებას განაძლიერებს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის კაკაბეთის მოურაო ჯანასლან და ნაცვალო! მერე ამ არზის პატრონს რომ ამ არზით თავის ვენახის გვერდზედ მიწა უთხოვნია, ჩვენ ვჰკითხეთ და ასე თქვა: ის მიწა სამის დღისა არისო. ჩვენც ის სამის დღის მიწა ამის ვენახის გვერდზედ რომ არის, ამისთვის გვიბოძებია სასახლით, დაანებეთ. მარტის კ, ქორონიკონს **უო.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. ჩვენ, კაკაბეთ[ის] მოურავი ჩერქეზიშვილი ჯან-[ა]სლ[ა]ნ, ბატონის ბძანების თანმდები ვართ. აპრილის ე, ქორონიკონს **უო.** ჯანასლან

ქ. მათის უმაღლესობის ბრძანებას ვამტკიცებ და მეც მიმიცია, საუკუნოდ შვილითი შვილამდე არ მოგეშალოს.

ხელრთვა: ალავერდელი ნიკოლოზ
ბეჭედი: ალავერდელი ნიკოლოზ.

568. არზა თეიმურაზ ფავლენიშვილისა ყმის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 21 მარტი

ცსსა. ფ. 1450. დავთარი № 45. საბუთი № 173. ჰირი. ქაღალდი. მხედრული.

[115 V] ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჰირი მოსცეს ფავლენიშვილს თეიმურაზს.

თქვენგან შალიკაშვილის მამულის წყალობა დამემართა. იმ მამულის ერთი კომლი კაცი ლომაურიძე მძლავრობით როსტომ ერისთავისშვილს უჭირავს. ჩემო ჴელმწიფევ, ის ჩემი კაცი ლომაურიძე მებოძოს და თუ მერე როსტომმა იმ კაცზედ სამართალში გამიმტყუნოს, ის კაცი ხომ იმასვე დარჩება. და ერთი კომლი კაცი სხუა ჯარიმათ მიირთუით. თებერვლის კ, ქორონიკონს **უო.**

თავში

ბატონო ერისთავისშვილო როსტომ, ამ არზით ფავლენიშვილი თეიმურაზ რომ ასე ჩივის, თუ სიტყვა არა გქონდეს რა, თავისი კაცი დაანებე. და თუ სიტყვა გქონდეს რამე, სამართალში ელაპარაკე. მაგრამ თუ ჩვენს სამართალში გამტყუნდი, ნაკლებობა იქნება. და თუ ეს გამტყუნდა, როგორც ამ არზით მუჩალგით მოუხსენებია, ერთს კომლს კაცს წავართმევთ კიდევ სხვასა და შენ მოგცემთ. მარტის კა, ქორონიკონს **უო.**

569. არზა ნიკოლოზ მირზაშვილისა სახელოს თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 24 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 445. დედანი. ქაღალდი. 20,5×15,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ხახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჰირი მათის სიმაღლის მოახას და მარად მლოცველს მღვდელს მირზაშვილს ნიკოლოზს მოსცეს.

ჩემო ჯელმწიფეე, ჩემი მოხსენება და თავის წყენა სულ ეს იყო, იმ უსამართლოს ჩემის ბიძისა და იმის შვილების მძლავრებისაგან თავისუფალი ვყოფილიყავ, მაინც არ იქნა. სანატრელის თქვენის შვილის ოქმი და განაჩენი ასრე გვებოძა: იმის საბელოში მე ვეღარ გავიელიდი და ჩემსაში ისინი. წელიწადი არის რა ღმერთი გაგვწყრომია, ჩემს საბელოში აგერ სამი სალიანი უქნია, ვინც იასაული მოვა არაგვიდამ ან სალეკოსი და ან სხვისა რისამე, აჰყვებიან თანა, ამას მოუმატებს, იმას დააკლებს, ამას დაჰკარითო, იმას დაეხსენითო. ეს ძალა იმათგან ან ჩემგან როგორ შეიძლება ან იმ კაცებისაგან.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, თუ გიბოძებიათ, დამანებოს საწყლები და იმათგან დატყავებულნი; და თუ არა, თქვენი ნებაა, თუნდა იმას უბოძეთ, თუნდა სხვასა. მე იქიდამ გამომაცალეთ, რაც იმათგან ძალა მადგას და საქმე მიჭირს, სულ რომ მომეხსენებინა, დიაღ, წერილის სიმრავლე შემოვიდოდა, თორემ დიდათ მიჭირს. ღმერთი გადღეგრძელებსთ, მიპატრონეთ რამე და ერთი გზა მიბოძეთ, თორემ ამის მეტი ილაჯი აღარა მაქვს იმათგან. მარტის **იბ**, ქორონიკონს **უო.**

თაეში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო ალმასხან და მირიან! ამ არზით მირზაშვილი ნიკოლაოზ მღვდელი თავის ბიძას და ბიძაშვილებს რომ ასე უჩივის, რომელიც ამას ჩვენგან საჭელო მისცემია, ყადაღა უყავით, დაეხსნას, შიგ ნუ გაივლის, თორემ ავათ მოუა, დაიჯერეთ, რომ თუ კიდევ უჩივლა და სამართალში გაიმტყუნა, არასგზით არ შევარჩენთ. მარტის **კდ**, ქორონიკონს **უო.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

570. არზა ნიკოლოზ ასათურაშვილისა უმოგის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 16 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5305. დედანი. ქაღალდი. 35,3×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი და ამზადების ბოლოს ორი წერტილი ხაზით (:—).

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ნახჩივანელი ასათურას შვილს ნიკოლოზას.

ღვთის მოყვარულო, ბეჰმან ხანი ნახჩივანზედ რომ იყო, იმ არეულობაში შვიდი ან ექვსი წლისა ვიქნებოდი. მოქალაქე შაჰვარუნ სახელობით ვინმე, იქიდამ აქ — ქალაქს მამიყვანა, მამტაცა და აქ, არ ვიცი მიზეზი მიცემისა, ჩემი თავი შადინა-ანთ სტეფანას მოსცა. ცხრა და ან ათი წელიწადი იმას ვემსახურე. და დარბანდის გზაზე ლეკი შემოგვეყარა, ქარავანიც წაახდინეს და მეც და ჩემი აღაც დაგვატყვევეს.

ხანი გაიარა. ღვთით და თქვენის ბედნიერის დოვლათით, რარიგათაც იქნებოდა, ჩემი თავი ტყვეობიდამ მოვარჩინე და მიველ ჰაშტარხანს. ჩემი აღაც მოვიდა და ისევ იმასთან მივედი. ორს-სამ წელიწადს უკან მეორედ ურჯულო ლეკის ჯელთ ტყვეთ ჩავარდი.

კიდევ ღვთის შემწეობით თავი გამოვიხსენ. მივედი შუშის და იქ ცოლი შავირთე. თექვსმეტი წელიწადი უფრო იქ დავჰყევ და ვინატრე და მოვინდომე, რომ აქ თქვენს საფარველ ქვეშ ქრისტიანობაში მოვიდე ცოლ-შვილით. და ასე შავიტყე, რომ თქვენს უმაღლესობის და იბრეიმხან[ს] შუა ფიცი არის, რომ ერთმანერთის ქვეყნის კაცს მისულს არ შეიწყნარებთ და უკანვე მისცემთ.

ორს წელიწადს უწინ მარტოკა ავდექ და გიახელ და იმ შადინა[ა]ნთ სტეფანეს ჯალაბობასაც და იმათი სიძე მოლარე გოგიასაც შევეხვეწე, რომ ეგების ჩემი ცოლ-შვილის აქ წამოსხმა შაიძლონ; და თავს არ იდვეს. ავდექ, ისევ წაველ შუშის. და ამ წელს ისევ მოველ აქა და მირზა გურგინას ჩემის ნებით ყმობისა მოჰტაბარი წიგნი მივე, რომ ჩემი ცოლშვილი ურჯულოს ქვეყნიდამ აქ მოასხას. და ღმერთმან დაუმადლოს, წავიდა, დიდის ჭირნახულობით ჩემი ხიზანი აქ მოასხა.

და ახლა შადინა[ა]ნთ სტეფანეს ცოლი ყმათ მედავება. ჩემო მოწყალევ, თურამეტი წელიწადი უფროა შუშის გახლავარ და რვა ათასამდინ თქვენი ყმა სომეხი და თათარი გახლავარ ყარაბაღს, ფიცის უწინ ნისულნი. ვინცავინ იქიდამ იპარებიან და მოდიან, თქვენ ისევ უკან აძლევთ.

თქვენ რომ თქვენს მკუიდრს ყმას არ ედავებით. მე ამისი რა ჩიგი ყმა ვარ, რომ მედავება.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ოქმის წყალობა გვაღირსეთ, ჩემზე ჯელი აიღონ. ვინც ჩემი ცოლ-შვილი მოასხა, იმას ვეყმო. აპრილის **იბ**, ქორონიკონს **უო.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! მერე როდესაც ჩვენ და იბრეიმ ხან გავრიგდით და ერთმანეთს ფიცი მივეცით, მაშინ ჩვენს შუა ეს პირობა დაიდო, რომ რომელიც ჩვენი ქვეყნის კაცი უწინვე იმის ქვეყანაში მისული და დამდგარი იყო, ისინი ჩვენ აღარ უნდა გვეთხოვნა და, რომელიც იმის ქვეყნის კაცი ჩვენს ქვეყანაში მოსული და დამდგარი იყო, ისინი იმათ აღარ უნდა ეთხოვნათ.

ამ არზის პატრონი ასატურაშვილი ნიკოლოსა ჩვენსა და იბრეიმ ხანის ფიცსა და პირობას უწინ რამდენსამე წელიწადს წინათ ყარაბაღში მისულიყო, იქ ცოლი ეთხოვნა და დასახლებულიყო. ეს ნიკოლოსა მირზა გურგინს იბრეიმ ხანისათვის ეთხოვნა და იმათაც წყალობა ექნათ და ებოძებინათ. იქიდამ აეყარა და ცოლშვილით ქალაქს მოასხა.

რადგანც ჩვენსა და იბრეიმ ხანის ფიცსა და პირობას უწინ იყო აქედამ წასული და იბრეიმ ხანმა მირზა გურგინს უბოძა, ამ ნიკოლოზასთან მირზა გურგინის მეტს სხვას კაცს საბატონყმოთ ჯელი არავის რა აქვს და ვერცავინ მოედავება. აპრილის **ი**ე, ქორონიკონს **უო**.

ქ. თუ ჰეშმარიტი სხვა სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მოგვახსენოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

571. არზა თამაზა ოთანაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 23 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11450. საბ. № 1. პირი. ქალაქი.

ქ. ღმერთმან უმაღლესის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს თქვენის შვილის მირიანის ყულუღჩს ოთანაშვილს თამაზას.

მამაჩემს მე, დიაღ, პატარა ობლად დავრჩი. მე ერთი უშვილო ბიძა მყვანდა. მართალი არის, გაყრილი იყო, მაგრამ სრულიად მოშორვებულნი არ ვიყავით, ზოგი მამულები ისევ გასაყოფი გვქონდა. და მამა რომ მომიკვდა, ის ბიძაჩემი მე შვილად მზრდიდა[1]. ის ბიძაჩემიც თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა. დავრჩი ობოლი და პატრონი არავინა მყვანდა.

იმ ხანად ერთი კაცი გხლებოდათ თქვენა და იმ ბიძის ჩემის მამულის წყალობას დაგვედრებოდათ და თქვენც გებოძებინათ. რადგან იმ ხანათ მე არა შემეძლო რა, მოდავე ვინღა ეყოლებოდა. ახლა ის ბიძის ჩემის მამულიც იმ კაცს უჭირავს და თავისი მამულიც ბევრი აქვს. დღევანდლამდინ მე არა შემეძლო რა, რომ მოშეკითხა.

პირველად სანატრელმა თქვენმა შვილმა გამომზარდა და მერმე თავის ძმას მაახლო; მეც თქვენს შვილებს თავი ვაწყინე და წყალობა მაყვეს — ჩემი აზნაურშვილობაც გამოაცხადეს და ჩემი ყმებიც მიბოძეს. მამულზედ კი, დიაღ, ნაკლებათ გახლავარ. რადგან ჩემის ბიძის მამული არის, ჩემზედ უფრო მართებულია.

მოწყალებას ვითხოვ, ერთის ოქმისა და იასაულის წყალობა მიყოთ, რომ იმ ბი[ძი]ს ჩემის მამული მეკე მებოძოს. მე თქვენის ბძანებით თქვენს შვილს მირიანს რუსეთს მივდევ და აქ ერთი დედა და ერთი კომლი კაცი მრჩება, მათთვის გაწყენ თავსა, რომ ესენი შინშილით არ დამეხოცნენ, უმაღლესო ჯელმწიფეო. ფებერვლის **კთ**, ქორონიკონს **უო**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის შანშე მილახვარო დავითიშვილო! მერე ამ ოთანაშვილს თამაზას ბიძის მამული რომლისაც ჯობინაშვილისათვის მიგვიცია, ის ჩვენი ნაბოძები წიგნიც ჩვენს წინ მოატა[ნ]ინე და ჯობინაშვილიც ჩვენთან გამოაცხადე. აღიწერა აპრილის **კგ**, ქორონიკონს **უობ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

572. არზა იესე მსაჯულისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 3 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4557. დედანი. ქაღალდი. 21×15,9 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი იესეს მომცეს. ფარემუზამ და ჩემმა ბიჭმა ოსმა სამი ცხენი მომპარეს, იარალი, თოფი, ნაბადი. ის ჩემი ბიჭი ჯაჭისშვილმა ელისბა-

[1] შსწიდა.

რამ დაიჭირა თქვენის ერთგულობით და ცხენიც წაართო. მოუკდა ორომასშვილი, ჩემი სტუმარი რად დაგიჭერიაო, ბიჭიც წაართო, ცხენიცა და გაუშვა.

თქვენის ოქმით და ბძანებით ორნივ აქ ჩამოვაყვანინე. თუ თქვენ წყალობას გვიზამთ და იმათს სამართალს მოიხსენებთ, კარგი წყალობა იქნება. თუ არა, ვისაც უბძანებ — ამილახვარს, ზაზა ნაიბ-ეშიკაღასბაშს თუ ვისაც, მე იმათს სამართალსაც ვჯერვარ. რომელსაც დაედვას, ჩემი მოაცემინონ. თუ თქვენი ბძანება იქნება, რომელსაც დაედება, ნუღარ გაუშვებენ. თუ არა სჯობს და თქვენი ნება არის. მაისს **ბ,** ქორონიკონს **უო.**

თავში

ქ. ბატონო ამილახორ-მდივანბეგო იესე, ზაზავ ნაიბ-ეშიკაღასბაშ-ყორიასაულბაშო, მზეჭაბუკ მდივანბეგო და თეიმურაზ მდივანბეგო! იასე მსაჯულსა და ამის მოდავეს [ს]ამართალი თქვენ უსაჯეთ. მაისის **გ,** ქორონიკონს **უო.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დაეთ მიჭრობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

573. არზა გიორგი დათუნაშვილისა დუქნისა და სახლის ალაგის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1782 წ. 11 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 438. დედანი. ქაღალდი. 21×13 სმ. მხედრული. განცვეთილობის ნიშნად ხახმარია წერტილი და მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფე დედუფლის ჭირი გორელს დათუნაშვილს გიორგის მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ: თორმეტი წელიწადი ტყვე გახლდი და ტყვეობაშივე თქვენი გაბძლიერება შევიტყევ. როცა გიახელ, თქვენს საფარველისათვის მოგვიტანებია. ორნი ძმანი გახლავართ და ორნივ თქვენნი ყმანი გახლდებით. და ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ჩვენც ამ თქვენს საფარველში გაგვეძლებოდეს, რომ უბრალოთ არავინ შეგვაწუხოს.

ერთსაც ამას გევედრებით: რადგან თქვენნი ყმანი გახლავართ, ავლაბარში ერთი სადუქნე და ერთი სახლის ადგილი გვებოძოს, რომ ჩვენც იქ ბინა მოვიკიდოთ. შვიდი თვე არის რა გხლებივართ და მოვსულვარ და უბინაოთ გახლავართ. და თუ სახლის მოწყალება დაგვემართება, ორიოდ წელიწადი შაღავათი უნდა გვაღირსოთ მანამ დავბინავდებოდეთ; და ნება თქვენია. მარტს **იზ,** ქორონიკონს **უო.**

თავში

ქ. დედოფალი დარეჯან გიბძანებ ამ არზის პატრონო. მერმე რადგან ტყვეობიდამ მოსული ხარ, ჩვენი ყმობა მოინდომე, ჩვენც ავლაბარში[1] ჩვენს ყმათ დაგადგინეთ, დუქნისა და სახლის ალაგიც გიბოძეთ. რადგან ახალშენი კაცი ხარ, ორს წელიწადს ყოვლისფერის საარხოვრისაგან გვითარხნებიხარ, რომ არ გეთხოვებოდეს რა. და ორს წელიწადს უკან რაც შეძლება გექნება, შენს მეზობლებს უნდა მიუდგე. აღიწერა მაისის **ია,** ქორონიკონს **უო.**

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

574. არზა ოქროშვედლიშვილის ქვრივისა ფაშულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1782 წ. 18 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 209. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[148 V] ღმერთმან სრულიად საქართველოს დედოფლის ჭირი ოქრომშვედლიშვილის ქვრივსა და ობლებს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ჯელმწიფეს. დავით ურიათყოფილი რომ გახლდა, ფავლენისშვილის საქმეზე გამოგვართვა ქრთამათ ოცამდის დღის ნაფუზარი და ნასყიდობით დაგვაწერინა და ნასყიდობის წიგნიც ჯელთ უჭირამს. და რომ ვეტყვი: ამიათარ, რაში გიჭირამს-მეთქი, არ გვემართლებოდა? მამაშენი მამაჩემ[მ]ა ვეშაპის პირიდამ გამოიყვანაო და ოცის დღის მიწა რომ მიეცესო, რა იქნებოდაო.

ღმერთი თქვენს ჯელმწიფობას უმეტესათ აღამაღლებს. ორი ქვამლი ახალკაცისშვილები მეკარგება და თქვენს სადღეგრძელოთ ნუ დამიკარგამთ. და გვეყო ამდენი იმისგან უსამართლობით დატანჯვა.

ერთის ოქმისა და იასაულის წყალობას ვითხოვთ, რომ რაც ქრთამში მამული ეჭიროს, ნასყიდობით წიგნი ქონდეს დაწერილი.

[1] აბლაბარში.

გამომირთვას და მამცეს ნასყიდობის წიგნი. ღმერთი გადღეგრძელებთ. მაისის **იდ,** ქორონიკონს **უო.**

თაეში

[148] ჯარდან ეშიკაღადბაშო! მერმე ამ არზის პატრონი ასე რომ აბიათარს უჩივის, ამაზედ ახლავ ერთი ბეჯითი იასაული გაგზავნე; ქრთამათ მიწები რომ გამოურთმევია და ნასყიდობით დაუჭერია, ის ნასყიდობის წიგნიც ახლავ აბიათარს უნდა წა[ა]რთვას და მიწებიც ამ ოქრომჭედლისშვილს და[ა]ნებოს. და ნასყიდობის წიგნის წაურთმეველობა კი არას გზით არ იქნება. მასუკან თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, მოვიდეს და მოგვახსენოს. და ეს საქმე კი აუსრულებელი არ და[ა]გდო. მაისის **იშ,** ქორონიკონს **უო.**

დედოფალი დარეჯან

575. არზა ერასტი გოსტაშაბისშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 25 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9273. დედანი. ქაღალდი. 33,3×16,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მათ ბანდა გოსტაშაბისშვილს ერასტი უსბაშს მოსცეს.

ახლა ამას მოგახსენებ, არზი მოგართვი და ასრე მოგეწერათ: დივანბეგობა, ზაალსა და ამას სამართალი უყავითო. არკი სამართალი მიყვეს და განაჩენი მომცეს, თქვენც დაბეჭდეთ; ვერ დაიფიცა და მე დამრჩა.

თქვენ გოგია თუხარელი შემომისიეთ, განაჩენი წამართვით და თქვენ გახლავს. ჯერაც ვერ შემიტყვია, რას მიზეზით დამემართა ეს უსამართლობა. თუ საბუთი რამ შემოიტანა სამართალში, მე რატომ არ შევიტყე და ან ხალხმა, და ისრე არ წამერთო განაჩენი.

ახლა დიამბეგებზე მაძლევთ ოქმსა, რომ სამართალი უყავით; აკი მიყვეს სამართალი და განაჩენიც მომცეს, მაგრამ თქვენ გახლავსთ განაჩენი. იმათ ჩემი სამართალი აღარ შეუძლიანთ, თუ რომ ჩემთვის სამართალი გენებებათ, თქვენთან უნდა გარდასწყდეს ჩემი სამართალი.

სამი წელიწადი არის, რომ ამაზედ თავს გაწყენ. ნახევარ საათი ჩემთვის მოიცალოთ და ან გამამართლოთ და ან გამამტყუვნოთ. მამულს ისი შჭამს და მე კი დამიკრეფია გულ-ხელი და შევყურებ. თუ თქვენგან სამართალი მომეცემა, ხომ კარგია. თუ არა ჩემი თავი თქვენის ჰირის სანაცლო იყოს. აღიწერა მაის **იზ,** ქორონიკონს **უო.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ზაზავ. ყორაიასაულბაშ-ნაიბ-ეშიკაღასო. მერე რადგან ამათ მოუნდომებიათ ჩვენს სამართალში ლაპარაკი, ალაპარაკე, მაგრამ რომელიც გამტყუვნდება, გარდავახდევინებ. მაისის **კე,** ქორონიკონს **უო.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ა რ ე ა კ ლ ე-
მინაწერი: ღოლოვნაზე რომ ვიჩივლეთ იმის ოქმი.

576. არზა შოშია საქვარელიძისა მამულის თაობაზე ვახტანგ გაბონიშვილის ოქმით

1782 წ. 27 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10987. დედანი. ქაღალდი. 19×14,2 სმ. მხედრული. განკვეთილობია ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ბატონისშვილის ვახტანგის ჭირი მოსცეს თქვენს ყმას საყვარელიძე შოშიას.

ამას მოვახსენებ: თამარაშენს ამილახვრის გივისგანა ერთი ნავენახარი მიწა არის, მოხტაბარი სიგელი ხელთ მაქვს; მაჩაბლის ურიამ იოსებაშვილმან ხახმა წამართვეს, სამი წელიწადი იმ მიწის მოსავალი რაც მერგებოდა, მაძლია. ახლა სულ ხელი ამაღებინა და შიგ აღარა გამატარა, თავის მძლავრობით მამულზედ ხელი ამაღებინა. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამის სამართალი მაღირსეთ.

კიდევ იქავ თამარაშენს სასახლის ალაგი მაქვს, ისიც ურიებს უჭირამს. ზოგმა საბოსტნეთ გაიკეთა და ზოგმა სასახლეთ გაიკეთა. ამ წყალობას ვითხოვთ: მირზაშვილს მოურავს დავითზედა ოქმი მიბოძეთ, ვისაც ჩემი მამული ეჭიროს, სამართლიანის საქმით მოიკითხოს და მამცეს. მაისის **კდ,** ქორონიკონს **უო.**

თავში

ქ. ბატონისშვილის ვახტანგის სიკეთით სახსოვარო მირზაშვილო მოურაო დავით! მერე ეს საყვარელიძე რომ ასე ჩივის, სადაც ამისი მამული იყოს, გამოიკითხე, ხელი აუმართე, და ამ საყვარელიძეს მოაბარე. და თუ ვისმე სიტყვა აქუს, ჩვენს სამართალში ელაპარაკოს. მაისის **კზ**, ქორონიკონს **უო**.

და რაც ამისი მამულის სარგო ღალა იყოს, ისიც უნდა გამოურთო და ამ საყვარელიძეს მოაბარო.

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკეთად.

577. არზა შერმაზანას დედისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმითა და მსაჯულთა მოწმობით

1782 წ. 31 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 37. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[22] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფე დედოფლის ჰირი მოსცეს საბრალოს შერმაზანას დედას.

ჩვენის [V] მწუხარების რაღა მოგახსენოთ, ჯერ რა ღვთის რისხვა მოგვევლინა, ჩემმა მტერმა შვილი მომიკლა, შვილის სიკუდილიც არ დამაჯერა. ეს საზარელი ჯმა დაგვივდო, ხელმწიფის და ქვეყნის მუხანათათ დაგვდო. ჩემო ხელმწიფევ. რაღას გრძლათ თავი გაწყინოთ, ჩვენი უბრალობა კელმწიფემაც შეიტყო, თქვენც შეიტყევით და მსაჯულთაც შეიტყეს. სამართალში თავის პირით აღიარა ასათამ: ის ბიჭები მე დავკარგე და ის საზარელი ხმა მე დავაგდებინეო და ხირსის მღუდელს მე დავაწერინე ის წიგნიო. გამტყუნდა, შეუპოვრად ადგა და წავიდა.

შვილი თვეა ქალაქში გახლავართ, ვალს ვიღებთ და ისე ვცხოვრებთ და ეს საბრალო კაციც მდებიაროთ ძევს, ვალიც ველარ გვიშოვნია, რომ აქ მოკუდეს დავმარხო.

დიდათ გევედრებით, ხელმწიფესთან მეოხ გვექმენით, რომელიც ღმერთმან აგონოს და სულმან წმიდამ ამცნოს, იმ სამართლით გაგვიკითხოს და სასჯელი სამართლად დაისაჯოს და მართლის სამართლის ნიშანი მიეცეს, რომ შვილთა და შვილისშვილთა ქართლსა და კახეთისაგან ხელმწიფის მუხანათობა არ ეთქმებოდეს.

თქვენის შვილების სადღეგრძელოთ ერთის გზით ხელმწიფემ სამართალი გვიყოს. თუ სამართლით არ დავისჯებოდეთ და კიდევ

სიცოცხლის ღირსნი ვიყუნეთ, დასტური დაგვცეთ, წავიდეთ, ორი ობოლი დაგვრჩომია, იმასაც ყელები არ დაგვიჭრან. ღმერთი გადღეგრძელებს. მაისის **ლ**, ქორონიკონს **უო**.

თავში

უფალნო საქართველოს მსაჯულნო! ღმერთს გაფიცებთ, რომ ამისი უდიდესი ფიცი არა არის რა, აქაც თქვენ იყვნეთ პასუხის გამცემნი და მეორედ მოსვლის დღესაც, თუ ჭეშმარიტებით არ მოგვახსენოთ. ამ არზის პატრონს რომ მოუხსენებია, ასათმა სამართალში აღიარაო, რა აღიარა, ჭეშმარიტებით მოგვახსენეთ წერილით. მაისის **ლა**, ქორონიკონს **უო**.

როგორც ამ არზის პატრონს მოუხსენებია, ასე აღიარა თუ სხვა რიგათ აღიარა, ჭეშმარიტებით მოგვახსენეთ. ერეკლე

მე, ბეგთაბეგის ეს სულხანს, ასე მახსოვს, ასათამ ასე თქვა: შერმაზანის მკვლელები რომ ვნახეო, დათუნას უთხარი [23] შენ ხომ იცი, ბატონიშვილი შერმაზანმა მოკლაო, რათ გეშინიანო, ის თქვენ რომ არ მოგეკლათ, ჩვენგან იყო სასიკვდილო, ჩვენ მოვკლევდითო, ეს სიტყვა მონდობისათვის უთხარო. სულხან

მის სიმაღლეს ამ ბრძანებით კითხულის პასუხი მე, ორბელიანი დიამბეგი მზეჭაბუკ, ამას მოვახსენებ. ასათამ ასე აღიარა და თქვა: სამართალში მე ასე უთხარო მკვლელთაო, რომ თქვენ ხომ იცით, რომ ლეონ ბატონიშვილი შერმაზანამ მოკლაო და რად გეშინიათო, ბატონი თქვენ არას გერჩისთო ეს რომ ვსთქვათო და ეს სიტყვა მონდობისათვის უთხარო მე იმათაო.

მე, მდივანბეგი ბეჟან, ამ მდივანბეგის მზეჭაბუკის წერილის თაწამოწამე ვარ და გამგონე, მეც ასე ვიცი.

მე, ოტია მდივანბეგი, ამ ზემო ნაწერისა თანახმა ვარ.

მე, თუმანიშვილს მდივანს სულხანს, მდივანბეგის მზეჭაბუკის წერილისაებრ მახსოვს ასათის ნათქვამად. სულხან.

მე, ივანე ნაზირი, იქ დავესწარ; ამ [მ]დ[ი]ვანბეგის ნაწერის გამგონი მეც ვარ, ასათმა ასე თქვა. 

მე, მდივანს დავითსაც, ასე მახსოვს, რომელიც მწეპაბუკს მდივანბეგს დაუწერია. დავით.

578. არზა რჩეულაშვილის ქვრივისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 7 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2762. დედანი. ქაღალდი. 26,3×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი რჩეულაშვილის ქვრივს და ობოლს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ მათს მაღალ მეფობას და მართლმსაჯულებას: როდესაც მაჩაბელს ყმათ უშოვნივართ ბოძებით ვისგანმე თუ როგორ, ჩვენის ყმითა და მამულით მივცემივართ. თქვენის წყალობით ძველათაც აზნაურშვილი გხლებივართ და ახლაც გახლავართ. ყმა და მამულიც გვაქვს და გვქონია.

ახლა მაჩაბლის შვილები რომ იყრებიან ჩვენს ყმებს ცალ-ცალკედ იყოფენ და წილში იგდებენ, ჩვენ ქვრივ-ობლობით აღარას დაგვდევენ.

ამას ვევედრებით თქვენს ღმრთისმოყვარებას: ჩვენი ყმა რომელიც ძველთაგან გვჭერია, ის ნუ გამოგვერთმევა და გაყოფაში რომელსაც წილში ეხვდეთ, ჩვენის ყმითა და მამულით გვირგონ და ისრე გვიმსახურონ. თიბათვის **ბ**, ქორონიკონს **უო**.

თავში

ქ. უფალნო მსაჯულნო, ამ არზის პატრონს ასრე რომ მოუხსენებია, ღმრთის მადლს ამათი საქმე კარგათ სიფრთხილით და სიმკაცრით გამოიკითხეთ და გამოიძიეთ, რომ ერთი საცოდაობა არა მოხდეს რა. ეს რადგან აზნაურშვილი არის, ამას თავისი ყმა და მამული არ წაერთმევა. რაც თავისი ყმა და ან მამული რამ სჭეროდეს, ისევ ამასვე უნდა მოსცენ, რომ ამისის ყმისა და მამულისა ცალ-ცალკე ბარათში ჩაგდება არ იქნება. და ვისაც ეს ერგება, თავისის ყმითა და მამულით უნდა ირგონ. თიბათვის **ზ**, ქორონიკონს **უო**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

579. არზა შოშია საყვარელიძისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

1782 წ. 7 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5323. დედანი. ქაღალდი. 19,8×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად კოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ბატონიშვილის ვახტანგის ჰირი მოსცეს საყვარელიძე შოშიას.

ქ. ამას მოვახსენებ: რაც ტბეთს თქვენი სახასო მამულები მეჭირა, სულ ჩამამერთვა. ოთხნი ძმანი გახლავართ, უმამულონი ვართ, ხომ მოგეხსენებათ, ჩვენხელი კაცი უმამულოთ ვერ დავრჩებით. იქავ ტბეთს დემეტრესაგან მამულები არის ნასყიდი, სიგლები ბატონს ახლამს, მამულს ფალვენისშვილი იასე ჰამს. კიდევ თორმანეულს არის ნასყიდი მამული. ამ წყალობას ვითხოვთ, ეს მამულები მიბოძოთ. თიბათვის **ა**, ქორონიკონს **უო**.

რაც მამული ტბეთს არის, ნუხსით მამიხსენებია:

ქ. ტბეთს შალიკაშვილისაგან მოსყიდული მამული არუჭამიასშვილისა, ფალვენისშვილს იასეს უჭ[ი]რამს.

ქ. თორმანეულს დავითისშვილი დავითისაგან მოსყიდული მამული.

ქ. აქავ თორმ[ა]ნეულს ტატისშვილის შიოშისაგან მოსყიდული მამული. ეს მამულები დემეტრესაგან არის ნასყიდი, სიგლები ბატონს ახლამს. ის სიგლები მოიკითხეთ, თქვენს მამულს თქვენთვის მაინც ნუ დაკარგამთ.

თავში

ქ. ეშიკალაბაშო იოანე! მერე ამ არზის პატრონს რომ ამ არზით ასე მოუხსენებია, ამ მამულებზე ახლავ ხელი ამართე და ამ შოშია საყვარელიძეს მოაბარე. და თუ სიტყვა ჰქონდეს, სამართალში ელაპარაკოს. ივნისის **ზ**, ქორონიკონს **უო**.

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკეთად.

580. არზა ბიჭიკაშვილებისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 11 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5398. დედანი. ქაღალდი. 41×22,4 სმ. მხედრული. განკუთვილობის ხიშხად ყოველი სატყვის შემდეგ ხაჩმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს ხოვლელს ჯავახიშვილის ზა[ა]ლის ყმას ბიჭიკაშვილებს.

ქ. ზა[ა]ლს რაც ყმა და მამული ჰქონდა, უფროსი ერთი გაყიდა და ჩვენ ეს ერთი კომლი დავრჩომილვართ; და აქამდის იმ გასაყიდულისა და გაფუჭებულის ხარჯსა და ბეგარს ჩვენ გვაწევინებდა.

და ამას გარდა ესეც ჯავახიშვილებისაგან მოიკითხეთ, რომ რაც შეგვძლებია, იმისთვის როგორ გვიმსახურნია ყოველისფრიდამე, რაერთს ხანსაც ნდომია ჩვენსა ყოფნა და ისე გვიმსახურია, ისე შემოუკვეთია და უმეტესად გვიმსახურნია. აქა-იქ თუმნობით, ორთუმნობით ვალი აუღია და ისიც ჩვენთვის შემოუპირებია და ჩვენ მიგვეცია. ამისთანა გამოსაყენებელი ყმა ვყოფილვართ. ახლაც ბეცია თარხნიშვილისათვის ბარათი მიუცია: ამისი ხუთი თუმანი მმართებს და თქვენ მიეცითო.

ამას გარდა მოგვიხდა, მარნის კარი დაგვიმტვრივა, ღვინო ამოგვისხა. ორმოც მოგვიხდა და პური ამოგვიყარა და მოციქულის პირით ამასაც გვიკვეთინებს, რომ: თქვენი აქ ყოფნა და დგომა არ იქნება. გამეცალენითო, სამკვიდრო და თქვენი ნასყიდობა მამული, რაც გიჭირავთ, სულ დამიგდევითო.

ამისთანა უსამართლო ქართლსა და კახეთში გლეხს კაცს არ დამართვია, რომ ჩვენ გვემართება. სად შეიძლება ერთის გლეხის კაცისაგან, რომ ერთს თავადიშვილს თავისი კერძობით რაც ხარჯი უნდოდეს და ან ვალი ჰქონდეს და ან ვალს აიღებდეს, იმან გარდაუხადოს და იმან შეინახოს და ქვეყანასაცა და მებატონესაც ემსახუროს.

მართალია, შემძლებელი გლეხი ქართლსა და კახეთში ბევრი ჯხლებიათ, მაგრამ ისიც შეძლებით უმსახურებიათ, ჩვენც ჩვენის შეძლებით გვიმსახუროს. ეს ზემოხსენებაები კაის თავადისშვილისაგან არ შეიძლება და ჩვენ როგორ შევიძლებთ.

ოთხნივ ძმანი აქა გხლებივართ. თუ ერთი გზა არ მოგვეცა, ჩვენ იქ მისვლა არ შეგვიძლია; ასე რიგათ ატეხილა, რომ ერთს ღვთისა და თქვენს საწყენს განსაცდელს მოგვაყენებს.

ჩვენ, რომ აყრას გვიკვეთინებს და იქ უყოფნელობას, რა დანაშაული გვაქვს და რა სამსახურის სამაგიერო წყალობა არის. სისხლი დაგვიღვრია, შიგ დავხოცილვართ, რის შეწუხებით თვითო ოროლა შაური ჩვენის ცხოვრებისათვის მოგვიკლია და მამული გვიყიდნია, იმასაც გვიკვეცინებს, რომ ნასყიდიც მე დამიგდევითო, ეს არავის დამართია.

ამ წყალობას ვითხოვთ: თუ არ გაგვიჭირვებს, როგორც ბატონყმობის რიგია და შეგვიძლია, ვემსახურებით. თუ არა ჩვენი თავი აღარ უნდა, მამულის ყმა გახლავართ, იმან თავის სამკვიდროს მამულზე ხელი აგვაღებინოს და ჩვენ ნასყიდს მამულზე გახლდებით, ქვეყანასა და თქვენს სიმაღლეს ვემსახურებით და საქრისტიანოდამ არ დავიკარგებით.

ან არა, რასაც თქვენი სიმაღლე ინებებს და შეგვაძლებინებს, წელიწადში გარდაკვეთით ჩვენს ბატონს იმას ვემსახურებით. სხვა რიგად უსამართლოდ გაფუჭებას დაგვეხსნას. ქვეყნის მეპატრონე ბძანდებით და მოგვიხსენებია ჩვენი საჩივარი.

წყალობას ვითხოვთ, რომ სამართლის საქმით ამ კაცისაგან გამოგვიხსნათ, რომ არ გაგვაფუჭოს. ოთხი ძმანი გახლავართ, ოთხივ აქ გახლავართ. ამისთანას დროს მამული და სახლკარი უპატრონო გაგვიშვია. ივნის[ის] ვ, ქორონიკონს **უო***.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ყორიასაულბაშ-ნაიბ-ეშიკაღასო ზაზაე! მერე ესენი მსაჯულთ სამართალში ალაპარაკე. იმათ სამართლიანის საქმით ამათ ერთი განწესება დაუდვან, რომ იმ წესით თავის ბატონს ემსახურებოდეს. ამანაც იცოდეს თავის სამსახურის განწესება და ამის ბატონმაც და უსამართლოთ და ჯაბრით ნულარ მოექცევა. აღწერა ივნისის **ია**, ქორონიკონს **უო**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰკრობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. ნაიბ-ეშიკაღაბაშ-ყორიასაულბაშის ზაზას ძმაო, ბატონო თარხნისშვილო! მერე რასამ წამს ეს ბატონის ოქმი მოგივიდეს, იმამ წამს ამის მოდავენი უნდა გამოგზავნო. ამის დაგვიანება არ იქნება. ზაზა

* შემდეგ მიწერილია: „რამაზ".

581. არზა ელიზბარ დავითიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 11 ივნისი

საქართველოს სიძველენი ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909 წ. საბუთი № 454.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს დავითისშვილს ელიზბარს.

ქ. მე და ჩემი ბიძაშვილი ზაალ მამულებზედ ვლაპარაკობთ, არას მანებებს. ერთის ოქმისა და იასაულის წყალობა გვ[ი]ყავით, მამულები გაგვირჩიოს. ჩემი მე მამცეს და იმას თავისი მისცეს, უშფოთრად დაგვაშველოს, ღმერთი გაგიმარჯვებს. ოვნისის **ი,** ქორონიკონს **უო.**

თავში

ქ. ზაზავ ყორიასაულბაშ-ნაიბ-ეშიკაღასო! ამას, იასაული მივა, თავ-თავის მამული გაურჩიოს. ამას თავისი დაანებოს და ამის სახლიკაცს თავისი მისცეს. და რომელზედაც სიტყვა ქონდესთ, მსაჯულთან ალაპარაკონ და სამართლით ინათ გააშველონ. აღიწერა ივნისის **ია,** ქორონიკონს **უო.** ერეკლე

ქ. ძმას, ბატონს ფალავანდისშვილს ნაიბ-ეშიკაღაბაშ-ყორიასაულბაში ზაზა მრავალ სამსახურის წადილს მოგახსენებ. მერე როგორც ამ ბატონის ოქმში ეწეროს, ისე აღუსრულე. ივნისის **იზ,** ქორონიკონს **უო.** ზაზა

582. არზა დათუა გადრიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 13 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 207. პირი. ქალაღდი. მხედრული.

[136 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ბექაშელს ბადრიშვილს დათუას საბატონიშვილოს.

ქართველ ბატონს ჩვენი თავი ხიდირბეგიშვილისათვის მიუცია მამულითა. ხიდირბეგსა და მამაჩემს ტყვის გაყიდვა შემოსწამებია და ამ ტყვის საზღაურში ჩვენი მამული ხიდირბეგს ისაკ ბეგისათვის დაუგირავებია. ისაკბეგ ნაიბს ზაალ ავალიშვილისათვის მიუცემია. ავალიშვილი ქაიხოსრო და ედია რომ იყრებოდა, გლახა ნათიშვილი შეუყენე, ჩემი დედიდაშვილი იყო, ჩემის თეთრით ის ჩემი მამული დავახსნევინე და საბატონიშვილოდ დავსდევ ის ჩემი მამულიცა და ჩემი თავიცა.

მე დავიკარგე და ათი წელიწადი ყმად ვიყავ. აუღია ჩემი მამული ქაიხოსრო ავალიშვილს და ქაიხოსრო აბაშიძისათვის მიუყიდნია. მე ტყვე ვარ და თქვენს მეტს ჩემთან ხელი არავისა აქვს. და ჩემი მამული ჩემგან არის დახსნილი; ჩემის მამულების წიგნები ნა[137]თიშვილს ებარა და რომ გასწყრომიხართ, ახლა სულ მამუკას ჩავარდნია ხელთ. ჩემი საქმე ასეა და ნება თქვენი სიმაღლისა[ა]. თიბათვის **გ,** ქორონიკონს **უო.**

თავში

ჩვენი ბძანება არის მამაცაშვილო იოსებ! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, შენ ბეკამს მიდი, ამის მამულზე ხელი ამართე და ამას მოაბარე. და ქაიხოსრო აბაშიძემ და ბეცია ავალიშვილმა ჩვენს სამართალში ილაპარაკონ. ივნისის **იგ,** ქორონიკონს **უო.**

583. არზა ნათლულ იოსებისა მორიგედან განთავისუფლების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 14 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 10062. პირი. ქალაღდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მის მიწამტვერს თქვენს ნათლულს იოსებს.

ღმრთის მოყვარულს მოგეხსენებად ჩემი და ჩემი ცოლ-შვილის სიცოცხლე თქვენის წყალობით არის. მორიგის უზბაშებმა[1] დამიჭირეს და დაჭერილი გახლავარ, მორიგობაში არ მოსულხართ. თქვენის შებრალებით და მოწყალებით არ წავსულვარ. ღმერთი შვილებს გიდღეგრძელებს, ცოლ-შვილი ნაღვლით დ შიშით მიხოცე-

[1] უზბაშები.

ბიან ...[წყალობა მოი]ღვით; და... [რასაც] გვიბძანებთ, ნება და ბძანება თქვენი აღსრულდეს. ივნისის **იდ**, ქორონიკონს **უო**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ეს იოსებ [რომ] აქამდის მორიგეში არ გამოსულა, ახლა დაეხსენით, ნუ გამოიყვანთ. ლამქარნიცისებმაც ასე იცოდეთ და უზბაშმაც. თიბათვის **იდ**, ქორონიკონს **უო**.

ამას არც მორიგის დაჭერა შეუძლია და არც თითონ მორიგეთ გამოსვლა, მას ასეთი ტანი აქვს. ერეკლე

584. არზა არჯევან ფიცხელაურისა გიორგი გატონიშვილის ოქმით

1782 წ. 21 ივნისი

საქართველოს სიძველენი ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909 წ. საბუთი № 415, გვ. 459–460.

ქ. ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჰირი მოსცეს მათს მონას არჯევან ფიცხელაურსა!

თქვენი მოწყალება მჭირს, ახალგორის მოურავი გახლავარ. რაც ახალგორი დაარსებულა, რაც თქვენგან ახალგორელთ შეეწერება, ხალხიდამ ათისთავი ჩენია და მამასახლისისა. ახლა თქვენი წყალობა დაემართათ: მახთა გ[ა]უჭერით, გებძანებინათ, ათისთავი მოურავს ჩვენგან მიეცემაო. ჩემო მოწყალევ, ათისთავი არც თქვენ გიბოძებიათ, არც იმათგან მამცემია. ჩემო მოწყალევ, თუ ჩემი სარგო არ მებოძა, მე რიღით (sic) უნდა დავრჩე, ან რაღა მოხელე ვიქნები? ნება თქვენი არის. თიბათვის **იც**, ქორონიკონს **უო**.

თავში

ბატონიშვილის გიორგის სიყვითი სახსოვარო ეშიკაღათბაშო სვიმონ! მერე ახალგორელთ მახთა, როდესაც რომ აიღებოდეს ხოლმე, არჯევან მოურავს თავის ათისთავს უნდა მისცემდეთ, რომ იმ მახთიდამ სამი თუმანი ერგება, და სამს თუმანს ყოველთვის უნდა მისცემდეთ მახთა[ს], რომ აიღებოდეს, იქიდამ. ივნისის **კა**, ქორონიკონს **უო**. მეფის ძე გიორგი

585. არზა დავით მეფურიშვილისა სახლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 24 ივნისი

ცხსა. ფონდი 1450. დავთარი № 11. საბუთი № 142. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[142 V] ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მეფურისშვილს დავით.

მათმა სიმაღლემ ციხე[ე]ბი რომ უსჯულო წარმართთაგან დაიხსნა, იმ ჟამათ ნეტარად ხსენებულმა მეფემ თეიმურაზმა რაც ავლაბრელი კაცნი გახლდით, მოგვიკითხა და მეტეხის ციხეში დგომა გვიბძანა — მაღლა თუ დაბლა. მე დაბლა ციხეში ციხის კართან დავიჭირე ადგილი, ცარიელი სანახვე იყო, რომ მიწაც არ მომხმარებია, ის ადგილი გაკჭერ; ქალაქს სახლები მქონდა, გავყიდე: ის ცარიელი ადგილი ავაშენე. ახლა გოჰარ მდივანი გამოვიდა, ჯელი ამიმართა.

მეც თქვენი ყმა გახლიარ. ჩემი სახლი და კარიც თქვენია. თუ თქვენს ადგილში ვერ ვიცხოვრებ, სხვაგან უფრო არავინ მიმიშვებს. სხვაზედ რომ ვყიდდე, თქვენი [143] საწყენი ის უნდა იყოს. მეც თქვენი ვარ და ჩემი სახლიც და ნება თქვენია. დიაღ, დიდი ამაგი და ხარჯი დამიც, რადგან ნეტარად ხსენებულის მამითქვენისაგან მბოძებია, თქვენგანაც წყალობას ვითხოვ, თქვენი გასამარჯვებლათ. თქვენის შვილების სადღეგრძელოთ. ამ სახლების საბაბით ქალაქის სახლებიც დავკარგე, ნება თქვენია. მაისის **კე**, ქორონიკონს **უო**.

მასუკან რომ ციხის სახლები გეკითხათ, ციხის აღებაში ჩემი ძმა თქვენი ჰირის სანაცლო შეიქნა. სახლები ერთი დიდი სახლი არის და ორი წვრილი სახლი არის, ერთი ბოსელი.

თავში

ჩვენი ბძანება არის. მერმე ეს მეფურისშვილი რადგან ჩვენი ყმა არის და ეს ჭირნახულობაცა აქვს, ამას იმ სახლის ალაგის ქირას ნუ სთხოვთ, ამ ალაგას ამას ჩვენ აღარ გამოვართმევთ. ამისთვის გვიბოძებია. აღიწერა ივნისის **კდ**, ქორონიკონს **უო**.

586. არზა გოდერძი ციგრუაშვილისა ბამულის თაობაზე ვახტანგ გატონიშვილის ოქმით

1782 წ. 28 ივნისი

საჭ. ლიტერატურული წყაროები. საბ. № 16560. დედანი. ქაღალდი. 20×11 სმ. მხედრული. ტექსტი ალაგ-ალაგ გადასულია და ძნელად იკითხება. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის ვახტანგის ჰირი გრემისჯეველს ციგურაშვილს გოდერძის მოსცეს.

ჯიმშერ ერისთავმა გრემისჯვრის აშენება მოინდომა. როდესაც იქაური კაცი ერთად შეჰყარა, ცალ-ცალკე კი ვერ დააყენა, რომ მტრისა ეშინოდა, მიიყვანა და იმთენი კაცნი სულ ჩემს მამულზე დააყენა. და მე სითარხნე მომცა, რადგან შენს მამულზედ ეს სოფელი დავაყენე, შენ აღარა გეთხოებოდეს რაო. იმ ხანებში ის გრემის ჯვარი ისევ დაიცალა. ახლა კიდევ თქვენის დოვლათით ისევ აშენდა. მოვიდნენ და ისევ იმ ჩემს მამულზედ დადგნენ. მე აღარც სითარხნე მაქვს და მამულიც მერთმევა. ვინცავინ იქ მდგომნი არიან, სულ აზნაურშვილების ყმანი გახლავან, ჩემის მეტი და ჩემის მამულის მეტი იქ მიწა(?) აღარა არის რა. რადგან მქ მერთმევა ის მამული, თქვენთვის მაინც ნუ დაჰკარგამთ. ივნისის **კვ,** ქორონიკონს **უო.**

თავში

ქ. ბატონისშვილი ვახტანგ გიბრძანებთ ტერისშვილო ზაალ! მერე ამ არზის პატრონის მამულში ვინცა სდგეესთ და ან კაცი გიდგასთ, ამას იმ თავისის მამულის ბადალი მამული რაც თქვენ გიჰირავსთ. იმოდენი თქვენის მამულიდამ და თქვენის ყმების მამულებიდამ მოუჭერით და მოეცით, მანამდის თავ-თავის მამულსა და ალაგზე მიხვიდოდეთ, რომ ესეც დარჩეს. და როდესაც თქვენ ამას თავის მამულს დაუგდებთ, ესეც თქვენს მამულზედ ხელს აიღებს. ივნისის **კწ,** ქორონიკონს **უო.**

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ შეფის ძეობით.

587. არზა ონოფრე მღვდლისა ჯმოგის თარგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 20 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2850. დედანი. ქაღალდი. 20,5×16 სმ. მხედრული. გაჯვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათ მარადღე მლოცველს ხატის ყმას ონოფრე მღდელს.

ღმერთმან თქვენი სიცოცხლე და დღეგრძელობა ნუ მომიშალოს, ჩვენი თავი თქვენის ჰირის სანაც[ვ]ლო ამყოფოს.

რადგან თქვენი უღირსი მოწყალება დამემართა, ამ მოწყალებასაც ვითხოვ: ერთი ოქმი მებოძოს ზა[ა]ლ დავითისშვილზედა, თვალ-ყური დაიჭიროს ჩემზედა, უბრალოთ არავინ რა გამაცოდილოს, ხატისათვინ და თქვენთვის ჯელი ამ[ი]მართოს, რომ თქვენს მეტს ჯელი აღარავის ქ[ო]ნდეს ჩვენთანა, თქვენი და თქვენი ბედნიერის დედოფლის სადღეგრძელოთ. ივნის[ის] **კთ,** ქორონიკონს **უო.**

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის. მერმე ეს ო[ნ]ოფრე მღვდელი გასამყრელოთ ჩვენ აგვიყვანია თავისის მამულით. და ხატის ყმათ როგორც ყოფილა, ჩვენც ისევ ხატის ყმათ დაგვიდგია. ამასთან სხვას ვისმე საბატონყმოთ ჯელი არავისა აქვს.

დავითისშვილო ზაალ, ამ ოქმით როგორც გეებძანებინოს, ასრე უნდა ამართო ჯელი ჩვენთვის და ხატის ყმათ უნდა იყოს, ეს უბრალოთ არავინ რაზე შეაწუხოს. თავისი არა მოაკლდეს რა. შენ უნდა გებარებოდეს და თვალი და ყური გეჭიროს, რომ არავინ რა შეაწუხოს. მთიბათვის **კთ,** ქორონიკონს **უო.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით ბრჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

588. არზა ნიკოლოზ მანგლელისა ღალის თარგაზე ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ოქმებით

1782 წ. 18 ივლისი

ცსსა. ფ. 1449. საბუთი № 1937. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან უკეთილმსახურესის და უმაღლესის მეფის ჰირი მათ მლოცველს ნიკოლაოს მანგლელს მომცეს.

მერმე ამას მოვახსენებ მათს უმაღლესობას. ბოლნისის ღმრთისმშობლის მამული ზოგი აზნაურშვილს უყიდია და ზოგი გლეხსა და ღალას არ აძლევენ.

ამ მოწყალებას ვითხოვ: ერთის ოქმის წყალობა მიყოთ, რომ რაც გასყიდული მამულები არის ეკლესი[ი]სა, იმისი ღალა მოგვცენ. ჩომ მოგეხსენებათ, რომ ღარიბი ეკლესია არის, რომ იმას მოხმარდეს და საზოგადოთ არ დაეკარგოს.

თუ თქვენგან ოქმის წყალობა დაგვემართოს, დავითაშვილს ბიძინაზედ მიბოძეთ, რომ იმან გაარიგოს. ამ მოწყალებასაც ვითხოვ, რომ მელიქსაც ოქმი უბოძოთ, ეკლესიის მამული აღარ მოხნას. ივლისის **იწ,** ქორონიკონს **უო.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის დორათაშვილო ბიძინავ! მერმე შენ უნდა მიხვიდე ბოლნისს და ვისაც ბოლნისის ღმრთისმშობლის ეკლესიის მამული ვისმე უყიდნია -— თავადს, აზნაურშვილს თუ გლეხს, -— ამათ იმ ეკლესიის ნასყიდის მამულის ღალა სრულებით აიღო და მანგლელს ნიკოლოზს მოაბარო. რადგანც ეკლესიის მამული არის, ვინც უნდა იყიდოს, ღალა ისევ ეკლესიისა არის. მელიქ მისაელსაც ყადაღა უნდა უყო, რომ იმ ეკლესიის მამულს ნურას მოხნავს. ვისიც ამ მანგლელის ნება არ არის, ვერავინ მოხნავს. ივლისის **იზ,** ქორონიკონს **უო.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ ჯახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. დედოფალი დარეჯან გიბძანებთ. ვინც ბოლნის[ს] მეღალე წახვიდოდეთ, როგორც ამ ოქმით მის სიმაღლეს ბატონს უბრძანებია, ბოლნისის მღვთიმშობლის მამულის ღალისა ისე უნდა; რომელიც ეკლესიის მამულის ღალა იყოს, უკლებლათ მანგლელს ნიკოლოზს უნდა მოებაროს, ჯელის შეხება არ იქნება.

დედოფალი დარეჯან

589. არზა ფალავანდიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 20 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 646. დედანი. ქაღალდი. 32,3×13,8 სმ. მხედრული. გახელვითლობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს ფალავანდიშვილს უზბაშს გოგიასა და ზურაბსა.

ქ. ჩვენი მოხსენება ეს არის: ჩემო ხემწიფევ, თქვენს უმაღლესობას მოეხსენება, ჩვენ ობლები გახლდით, თქვენის მოწყალებით თქვენს საფარველქვეშ დავიზ[ა]რდენით, არც მამაჩვენს მოვსწრებივართ და არც ჩვენს მამულსა. ახლა მღთითა და თქვენის დოვლათით ჩვენს მამულზედა დავდექით, რ[ა]ც ნეტარხსენებულის მეფის დროს მამაჩვენს თავის სახლისკაცისაგანა ბარათით მამული ერგო. ის მამული ჩვენ აღარა გვიჭირამს.

ამ მოწყალებას ვითხოვთ[1]: დავითიშვილს ზაალზე და ხერხეულიძე ავთანდილზედ ერთი ოქმი გვიბოძოთ; რაც მამაჩემს ბარათით მამული რგებოდეს, ის მამული სამართლიანის საქმით დაგვანებონ. თუ ვისმე ჭეშმარიტი სიტყვა ქონდეს, სამართალში მელაპარაკენ. მკათათვის **იზ,** ქორონიკონს **უო.**

თავში

ჩვენი ბძანება არის დავითიშვილო ზაალ და ხერხეულიძე ავთანდილ! მერმე ამ არზით ფალავანდიშვილი გოგია უზბაში და ზურაბ რომ ასე ჩივიან, თქვენ უნდა მიხვიდეთ, ფალავანდიშვილები უნდა შეჰყაროთ და რაც იმათ ბარათით ყმა და მამული რგებიათ, უნდა უპოვნოთ, გაურჩიოთ და მოსცეთ. [მ]კათათვის კ, ქორონიკონს **უო.**

ქ. თვითონაც უნდა მონახონ თავის პატრო[ნ]ებმა.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ ჯახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

590. არზა დათუა მაჩაბლისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 29 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5133. დედანი. ქაღალდი. 24,4×15,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი. მარჯვენა ზემო კუთხე მოხეულია.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელშეწიფის ჭირი მაჩაბელს დათუას მოსცეს. მე და ჩემი განაყოფები მამულზე რომ ვდაობდით, თქვენგან ოქმი მებოძა – სანამ სამართალში არ დარჩომოდათ ჩემი სადაო მამული და ყმა, მანამ ჯელი არ უნდა შე[ე]ხოთ გასაყოფად.

მსაჯულთ ორჯერ-სამჯერ კაცი მიუგზავნეს იმ ჩემს მოდავე[ე]ბს: სამართალში მოდითო, თვარემ სამართლის გაუკეთებლათ იმ ამის სადაოს მამულს და კაცს ვერ გაიყოფთო. ისინი არც სამართალში მოვიდნენ, რომ ვადაეწყვიტათ და არც არა მიპასუხეს რა და გასაყოფათ წავიდნენ ამ ადგილას ვართან.

გეკედრები: სანამ სამართლით გადაწყდებოდეს, ის მამული სადაოთ იდგას. როცა სამართლით დარჩესთ, მაშინ გაიყონ. ობოლი ვარ და სამართალს ვითხოვ. როგორც მძლავრებით უჭირავსთ, ჩვე-

[1] ვითვითხოვთ.

ულებისამებრ ახლაც არ წამართონ უსამართლოთ, ჩემო ჯელმწიფევ. ივლისი კზ, ქორონიკონს უო.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მაჩაბელო ფარსადან და მაჩაბელო ლუარ! მერე ამ არზით ეს თქვენი სახლისკაცი ასე რომ გელაპარაკებათ, ამას წინათაც გვ[ი]ბძანებია, რომ მანამ სამართლით ამას პასუ[ხს არ მი]სცემთ და არ მოიშორებთ, მანამ არ უნდა გ[აი]ყოთ ამისი სადაო და სალაპარაკო ყმა და მამული. თუ უნდა რომ გაიყარნეთ და გაიყოთ, თუ სამართლით ეს თქვენი სახლიკაცი შემოგვათ რასმე [გა]წილულისა და გაბარათებულის მოკრეფას და მოცემას, ისი სჯობს, რომ ამისი სადაო და სალაპარაკო ყმა და მამული თუნდა გაიყარნეთ და თუნდა არა, გაუყოფელი გაუშვათ, რომ სამართალში ელაპარაკნეთ და ამას სამართლით პასუხი მოსცეთ; და მერე თუ გინდოდესთ გაიყოთ და თუ გინდოდესთ, ერთათ მოიხმაროთ. ეს როგორც გვიბძანებია ასე უნდა აღასრულოთ, რომ ჩვენი მოსაწონი და სამართლით შესაწყნარებელი საქმე ეს იქნება. მკათათვის კთ, ქორონიკონს უო.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დაეით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

591. არზა ზურაბ ფეშანგიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1762 წ. 4 აგვისტო

ცსსა. ფ. 1448, საბ. № 347. დედანი. ქაღალდი. 21,4×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან სრულიად საქართველოს დედოფლის ჰირი მოსცეს თქვენს ყმას სახასო აზნაურშვილს ბოლნელს ფერშანგაშვილს ზურაბს.

ქ. სანატრელმა ბატონიშვილმა ლევან ერთი ბეითალმანი მიწა გვიბოძა წიგნით.

ქ. ახლა მელიქ მისაელა არ გვანებებს თქვენ უოქმოთ. ღმერთი პატიოსანს შვილებს გიცოცხლებს, იმის წყალობას ნუღარ მოგვიშლით, თქვენც გვიბოძეთ და დაგვიმტკიცეთ. თქვენი ყმანი ვართ. აგვისტოს დ, ქორონიკონს უო.

თავში

ქ. დედოფლის დარეჯანის კეთილად სახსენებელო მელიქ მისელ! მერმე სანატრელს ჩვენს შვილს რომ ამ ფეშანგის შვილისათვის საბოსტნე გამოურთმევია და თქვენთვის მოუცია და ამისაც ვენახის გვერდზე რომ მიწა ყოფილა და წიგნით უბოძებია, რადგან ჩვენს შვილს უბოძებია, აღარც ჩვენ მოუშლით. როგორც ის წიგნი აცხადებს, მაგ მიწაზე ხელი აიღეთ და ამას დაანებეთ, ჩვენც გვიბოძებია. აგვისტოს დ, ქორონიკონს უო.

ქ. ჩემის შვილის წიგნი ნახე. იმ რიგათ მიეც.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

592. არზა გოგია ზუმბულიძისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1762 წ. 20 აგვისტო


ცსსა. ფონდი 1450. დავთარი №: 31. საბუთი № 113. პირი. ქაღალდი. მხედრული. არზის ქორონიკონი მცდარია.

[69 V] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს საკათალიკოზოს აზნაურშვილს ზუმბულიძეს გოგიას.

მცხეთას და ქოდმანს მამულები მაქვს და აქამდინ ჩვენ მამულებს გარეშე კაცნი ხნეცდნენ, თქვენი ბძანება არა გვქონდა და ღალას ვერავის ვართმევდით. და ეს ორი წელიწადია თქვენგან წყალობა დაგვემართა — ჩვენის მამულების ღალას ვიღებთ. კორსნელი კაცი გახლავსთ გუტაშვილი მამუკა, ჩვენს მამულსა ხნავს და ღალას არ მაძლევს. მცხეთაში კიდევ[1] თუ ჩემის მამულის ღალა არ მამცენ, რით დავრჩე, ნაილაჯი კაცი გახლავარ. უბძანეთ: ვინც ჩემს მამულსა ხნევდეს, ღალა მამცენ. ღმერთი გაგიმარჯვებს. აგვისტოს იდ, ქორონიკონს უო[2].

თავში

თუხარელო უზბაშო გოგია! ამ არზის პატრონს რომ მოუხსენებია, თუ სიტყვა არა ჰქონდესთ რა, სამართლიანი ღალა მიაცემინე. და თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს. აგვისტოს კ. ქორონიკონს უო. ამას გაურიგებელს ნუ დააგდებ, ალბათ.



---

1 + არ. 2 უო] უოვ.

593. არზა გიორგი ციციშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 29 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5200. დედანი. ქაღალდი. 19,7×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს გიორგი ციციშვილს. მერე ამას მოვახსენებ თქვენს ბედნიერობასა. რუისს ოთხი ვენაჯი გვქონდა ბეითალმანი. მე შარშან თქვენს სამსახურზედ გახლდი და ჩემს სახლისკაცებს უჩემოდ გაეყოთ: რომელიც კარგი ყოფილიყო, თავეთთვის დაეჭირათ და პარტახტი ჩემთვის დაეგდოთ. შარშანდელი მოსავალიც თითონ დახარჯეს და წლევანდელსაც თითონ აპირებენ მოქმარებას.

ამას გევედრები თქვენს უმაღლესობასა, რომ ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ სამართლიანის საქმით შევაფარდოთ, წილი ვიყაროთ და რომელიც ღმერთმან და სამართალმა მოგვცეს, ყველანი დავჯერდეთ. აგვისტოს **კვ**, ქორონიკონს **უო**.

თავში

ქ. ეშიკაღასბაშო გარსევან! ამ არზით გოგია ციცისშვილო და პაატა მოურავთან შემოჰყარე და ის თავეთი აზნაურშვილების ბეითალმანი მამული რომ გაუყვიათ, ეს გოგია რადგან მაშინ აქ არა ყოფილა, ახლა შეაფარდებინე, წილი იყაროს და ვის რომელი ვენახი ერგოს, იმას დასჯერდნენ. აგვისტოს **კთ**, ქორონიკონს **უო**.

თუ სიტყვა ჰქონდესთ რამე, ჩვენ მოგვახსენონ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

594. არზა დათუა ოქროშვედლიშვილისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1782 წ. 5 სექტემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 187. პირი. ქაღალდი. მხედრული. არზის ქორონიკონი მცდარია.

[134] ღმერთმან სრულიად საქართველოს დედოფლის ჭირი ოქრომჭედლისშვილს დათუას მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ: აბიათარისაგან სამართლის [V] ძალით რომ კაცისათვინ კაცი უნდა მოეცა, ერთი გლახა კაცი მამცა და თითონვე იმსახურებს და ხარჯს აწერს და თავის კაცებთან აღებინებს.

ერთის ოქმის წყალობას ვითხოვთ თქვენს სადღ[ე]გრძელოდა, რომ ხელი აიღოს, დაეხსნას. ენკენისთვის **ე**, ქორონიკონს **უო**[1].

თავში

ავთანდილ ხერხეულიძე! სამართლის ძალით რომელიც კაცი აბიათარისაგან ამ ოქრომჭედლისშვილს მისცემია, ეს ასე ჩივის, რომ ხარჯს ისევ აბიათარ აწერს და იმსახურებსო. რადგან ამას მისცემია, მაგას რაღა საქმე აქუს, ამას მოაბარე. ენკენისთვის **ე**, ქორონიკონს **უო**.

595. არზა გოგია ალადაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 5 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 849. დედანი. ქაღალდი. 20×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს ციციშვილის მანუჩარის აზნაურშვილს ალადაშვილს გოგიას.

ქ. ჩემი მოხსენებაა ეს არის: დაუნ[ა]შ[ა]ვებლივ ციციშვილის ბაზიერთხუცის შვილის დავითი'ს კაცმან თავში კეტი დამკრა და თ[ა]ვი გ[ა]მიტეხა.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ამის სამართალი მაღირსეთ. ენკენისთვის **ე**, ქორონიკონს **უო**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ციციშვილო გლახავ! მერმე ამ არზის პატრონი ასე რომ ჩივის, ესე და ამისი მოდავე ორნივ მოსამართლეებთან მიასხი და სამართალი მიაცემინე. ენკენისთვის **ე**, ქორონიკონს **უო**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

---

1 უო] უათ.

596. არზა ელიზბარ დავითიშვილის დედისა ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 9 სექტემბერი

საქართველოს სიძველენი ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909 წ. საბუთი № 464.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მათ მიწა-ფეხთა მტვერს დავითაშვილს ელიზბარის დედას მისცეს!

მერე ჩემს მაზლისწულის ზაალის[1] ვალში ოქროს ღილი მაქს დაგირავებული. აქამდი მატყუა დაგიხსნიო, ახლა აღარ დამიხსნა. ერთი ძროხა, ოცდაათი კოდი პური შემიჭამა, აღარ მაძლევს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი მაღირსეთ.

თავში

ქ. ჩვენო ღთის წყალობავ შვილო, ბატონო ალმასხან! ეს და ამისი მოადი სამართალში ალაპარაკე და სამართალი უსაჯეთ.

სეკდენბრის თ, ქორონიკონს უო. ერეკლე

მეორე გვერდზე:

ქ. ბატონო ამილახორო-მდივანბეგო იესე! მერე ჩვენ ქალაქს წასვლას ვაპირებთ და ამ არზის პატრონს სამართალი თქვენ უსაჯეთ. ენკენისთვის იშ, ქორონიკონს უო. ვახტანგ

597. არზა ასლამაზ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 10 სექტემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 34. საბუთი № 101. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე საბუთები №№ 111, 112, 113.

[81] ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხემწიფის ჭირი მოსცეს დავითიშვილს ასლამაზს.

ერთი ჯავახი ოცი წელიწადია მამაჩემს მოსვლოდა. პირობაც ასე ჰქონიათ, რომ საქართველოში შენს მეტ კაცთან საბატონყმოო საქმე არავისთანა მქონდესო. მამულიცა როგორც მემკვიდრე კაცის წესია, იმგვარად სჭერი[ა], არც არავინ აქამდინ მდევებია[2] საბატონყმოთ, არც არავინ ახლა მედავება. თავის მდომით თავს მართმევს.

ღმერთი თქვენს ხემწიფობას აღამაღლებს. თუ სხვა მოდავე არავინა მყვანდეს, თავისის მდომით ამ კაცს ნუ წამართმევთ, რომ თქვენი წყალობა სხვანიცა მყვანან, ისინიც თავის რთმევას დამიწყებენ. თუ ვინმე მოდავე არის, ის კი მელაპარაკოს. ენკენისთვის ი, ქორონიკონს უო.

თავში

[80 V] ჩვენი ბძანება არის. მერმე რადგან ამდენი ხნის მოსულია, თავის თავად ამის წასვლა არსად იქნება. და სხვა თუ მოდავე არის ვინმე და ჭეშმარიტი სიტყვა აქვს ვისმე, სამართალში ილაპარაკოს. ამდონის ხნის მოსულს კაცს ვერავინ წაართმევს და არც არავის საქმე ვისმე აქვს, შენ უნდა გესახლოს. ენკენისთვის ი, ქორონიკონს უო.

598. არზა დათუა მაჩაბლისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 10 სექტემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 26. საბუთი № 205. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[161] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს დათუა მაჩაბელსა. მერე ამას მოვახსენებ ჩემს ჯელმწიფესა, ფარსადან მაჩაბელიც აქ გახლავს და მდივანბეგიცა. გევედრებით, თუ ინებებთ, ჩვენ სამართალი დაგვემართოს. ერთი იასაულის წყალობა გვიყოთ, რომ სამართალში მოიყვანონ და სამართალში ვილაპარაკოთ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. მარიამობის ლ, ქორონიკონს უო.

თავში

ჩვენო ღვთის წყალობავ შვილო ბატონო ვახტანგ! მერე ამაზედ იასაულიც შენა ხარ, გამრიგე და მოსამართლეც შენა ხარ. მდივანბეგების თანდასწრებით ესენი თქვენთან უნდა მიასხმევინოთ,

1 ზაარის. 2+ ვინმე.

ალაპარაკოთ, სწორე და ჭეშმარიტი გამოიძიოთ და სამართალი მისცეთ. ენკენისთვის **ი**, ქორონიკონს **უო**.



599. არზა შიოშ საჯვარელიძისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1782 წ. 11 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5320. დედანი. ქაღალდი. 21,3×11,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის დედოფლის ჭირი მოსცეს თქვენის ძის ვახტანგის ყმას შიოშ საყვარელიძეს.

ახლა ამას მოვახსენებთ თქვენს სიმაღლეს: ამ ფავლენიშვილის ბიძინას და ზაზასაგან — ამათგან სულის დგმა აღარა მაქ, აღარც ილაჯი. მამულს მედავებოდენ. თქვენს ძეს გიორგისთან და მირიანთან ვილაპარაკეთ, ამილახვართანაც ვილაპარაკეთ, ფიცი დაადვა, ბატონისშვილებმაც ფიცი დაადვეს, მეტეხის ღმრთისშობელზედ დაიფიცეს, ზედგინიძის ნასყიდობაზედ იფიცეს და დავანებე.

ამას გარდა იორდანისშვილის მამულთან საქმე არ ქონდა, ისიც წამართვა; გავლილის წლის ღალა და კულუხი არ უნდა გამამრთმეოდა. თქვენის ძის გიორგის ოქმი მქონდა. რაც იფიცა, იმას აქეთ იმას უნდა აეღო, ბ[ა]რ[ა] და კულუხი გავლილის წლის არ უნდა[1] გამამრთმეოდა, არც ხელის ასამართავი.

ამას გარდა თუმანწნახევარი თეთრი წამართვა. ამასაც არ დამაჯე[რე]ს; ძმა გამოლახა, მაშინდა კიდევ ზაზა ცხინვალს, დუქანში ვიჯექი, დამიშინა, თავი და პირი სისხლით შემისვარა, თვალიც კინაღამ გამაფთხარა, ხლმით იწია, სომხებმა არ მოუშვეს: რომ ჩემ[მ]ა ძმამ[2] დაიფიცა, ძმაც მიკვდება, ძმისწულიცო. ამაზედ მკლემდა. დღესაც კიდევ სიკვდილს მიპირობს. თქვენდა სადღეგრძელოდ სამართალი მაღირსე[თ]. ენკენისთვის **ი**, ქორონიკონს **უო**.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ, შვილო ბატონო ალმასხან! ამ არზის პატრონი და ამის მოდავე, ორნივ თქვენთან ალაპარაკე, ორისავე მხარეს რაც წიგნები იყოს, მიატანინეთ, კარგათ გასინჯეთ, რასაც მიხვდეთ, ჭეშმარიტი სამართალი მიეცით და ერთმანერთს შოარჩინეთ. ენკენისთვის **იბ**, ქორონიკონს **უო**.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

[1] უნდოდა. [2] + რომ.

600. არზა შიოშ საჯვარელიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 12 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5279. დედანი. ქაღალდი. 21,5×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს მათ მონა საჯვარელიძეს შიოშსა.

ამას მოვახსენებთ: ფალავენიშვილსა ბიძინას და ზაზასა ჩემთვის უჩივლიათ ზედგინიძის ნასყიდს მამულებზე ნიქოზსა და ტბეთსა. ამას წინათ ამილახვართან სამართალში გავიარეთ და ფიცი და[ა]დვეს. კიდევ გიორგის ბატონისშვილის და მირიან ბატონისშვილის სამართალშიც გავიარეთ; იქაც ფიცი განაწესეს და მეტეხის ღმრთისმშობელზე აფიცეს. და მეც მამულები დავანებე.

ამ მამულებს გარდა იორდანიშვილის[1] მამულს მოგახსენებენ. ისიც ძალით წამართვეს და სამართალს უწინ გავლილის წლის ღალებიცა წამართვეს.

ასე უსამართლო მჭირს ამათგანა, რომ ცხინვანს ხმლით იწივა, სიკვდილს მიპირობდა, ძმა მიკვდებაო ფიცისაგანაო, მე შენ მოგკლავო. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, სამართალი მაღირსეთ. ენკენისთვის **ვ**, ქორონიკონს **უო**.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო ვახტანგ! ამ არზის პატრონი ასრე რომ ჩავის, ისე და ამის მოდავე ორნივ თქვენს სამართალში და[ა]უყენებინე და სამართალი მიეცით. ენკენისთვის **იბ**, ქორონიკონს **უო**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძღდ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] იორდანეშვილის.

601. არზა ჯანდიერიანთა მამულის თაობაზე
ეკატერინე II-ის ოქმით

1782 წ. 18 სექტემბერი

ცსსა, ფ. 1449. საბუთი № 2472. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ჯ ა ნ დ ი ე რ ი ა ნ თ.

მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს. მოგეხსენებათ ჩვენ და აკურელნი მამულზე ვდაობდით და სამართლით იმათ დარჩათ და ჩვენ იმ მამულისა არ მოდავენი ვართ და აღარც ვედავებით.

ამ წყალობას ვითხოვთ, რომ ჩვენი ნაფეტვრები გახლავსთ, იმას მოვხნავთ და ღალას მონასტერს მივართმევთ; და მამულათ კი არ ვედავებით. ამისი მოწყალება კი უნდა დაგვემართოს. იმ მონასტრის მადლმა, არც მამულთ ვედავებით და თავის ღალასაც მოვართმევთ. სეკდემბრის **იზ**, ქორონიკონს **უო**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონებო! რადგან თქვენ ჩვენიც უარშიობა იხმარეთ და მონასტრისაც, ჩვენ ნებას არ მოგცემთ, რომ ის ნაფეტვრები თქვენ მოხნათ. და წინამძღვარს კი მიგიწერთ; წინამძღვარმა ინებოს, მოხანით; თუ არადა, დაეხსენით.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

602. არზა მელვინეთხუცეშვილებისა უმა-მამულის თაობაზე
ეკატერინე II-ის ოქმით

1788 წ. 23 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 418. დედანი. ქაღალდი. 33,3×20 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს თ ო მ ა ნ ა ც ვ ა ლ ს ა და პ ა ა ტ ა ს.

მერე ამას მოვახსენებ: მოურავსა[1] რომ სამართალში ველაპარაკებოდით, ორი კომლი კაცი სამართლით დაგვრჩა და ორს კომლზედაც სალაპარაკო გვაქვს და მოურავი გვიჯანჯლებს.

[1] მოურავსა.

გვევედრებით: თუ თქვენი სიმაღლე ინებებს და თქვენს წინ სამართალში გვალაპარაკებთ, უღირსი წყალობა იქნება. და თუ საქმისაგან ვერ მოიცლიდეთ, მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი თ ე ი მ უ რ ა ზ გახლავსთ და მდივნები; ერთს ბეჯითს კაცს უბძანოთ ვისმე და მოსამართლე[ე]ბთან გვალაპარაკოს და გადაგვიწყვიტონ.

მოგეხსენებათ გლეხი კაცის ანბავი, თუ დროიან ფიქრი არა ენახებათ რა, საქმე გაუჭირდებათ.

ამას გარდა კიდევ ჩვენის ცოდნით რაც ვიცით, ჩვენის მამის ნასყიდი, ამას ქვეით წერილით მოგვიხსენებია.

ქ. ს ა ნ ე ბ ე ლ ში მ შ ვ ი დ ო ბ ა უ რ ი ს ბოლოს პ ა პ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ს ურია ყმისაგან ნასყიდი ვენახი, ჭალა და ნიგვზნარი ჩვენი საკუთარია, რომ ჩვენს სახლის კაცებს საქმე არა აქვსთ რა.

ქ. კიდევ ს ა ნ ე ბ ე ლ ში ჩვენის დედის მზითვის მსახურისაგან ნასყიდი ნაფუზარი გორელი შ ა ვ ტ რ ა კ ა ს შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ მოსყიდული, რომ ჩვენს სახლის კაცებს ხელი არა აქვსთ.

ქ. კიდევ ს ა ნ ე ბ ე ლ ში მამის ჩვენისაგან ნასყიდი ნაზვრეი საძმოა.

ქ. ხ ვ ე დ უ რ ე თ ს მამის ჩვენისაგან ნასყიდი ზვარი, მარანი, საწისქვილო, ნიგვზნარი და ბაღი — ესე[ე]ბიც საძმო არის.

ქ. კიდევ ხ ვ ე დ უ რ ე თ ს მამის ჩვენისაგან ნასყიდი კ ო ზ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ მოსყიდული რ ო ი ნ კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი ს სახლის მიდგმამდის ნაფუზარი, ისიც საძმოა.

ქ. კიდევ ხ ვ ე დ უ რ ე თ ს მამის ჩვენისაგან ნასყიდი აკლდამას ქვეით ხუთის დღისა მიწა, რომ ისიც საძმოა.

ქ. რაც ამ წერილით მოგვიხსენებია ნასყიდობა, ჩვენის ნაბატონევის განაყოფებისაგან და უცხოს კაცებისაგან არის მოსყიდული. ამ მოხსენებული ნასყიდობას გარდა ს ა ნ ე ბ ე ლ ს ა და ხ ვ ე დ უ რ ე თ ს ნასყიდობა კიდევ გვეგულება, რომ არ ვიცით.

ქ. და თუ საჩვენო მამულისა ან უფლისწულებისაგან და ან იმათივე ყმისაგან გვიყიდია რამე, იმაში არც ხელი გვაქვს და არც მოგვიხსენებია. ენკენისთვის კ, ქორონიკონს **უო**.

თავში

ქ. უფალო მსაჯულნო! რომელიც ამ არზით თომასა და პაატას მოუხსენებია, ეს რიგიანი მოხსენება არის. ესენი სამართალში ალაპარაკეთ და სამართლიან[ა]თ გარდასწყვიტეთ.

დიმიტრი ეშიკალათბაშო, ესენი სამართალში მიიყვანეთ და ალა-პარაკეთ. ენკენისთვის კგ, ქორონიკონს **უო.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

603. არზა თეიმურაზ ჯავახიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 3 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5162. დედანი. ქაღალდი. 20,7×12,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი თეიმურაზ ჯავახიშვილს მოსცეს.

ჩვენს სოფელში ხოვლეს ოთხის დღის მიწა ციხესთან ახლო არის თქვენი. ამ მიწიდამ ორის დღისა ანახანუმ დედოფალმა ზაალ ჯავახიშვილს მიჰყიდა, ამ მიწისა დარჩა თქვენი ორის დღისა. ორის დღისაზედ თუ ნაკლები არ იყოს და ტყუილად მომეხსენებინოს, ოცის თუმნის ჯარიმის მომრთმევი ვიყო.

ამ მოწყალებას ვითხოვ: ამ ორის დღის მიწის წყალობა დაგვმართოთ და გვიმსახუროთ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. აგვისტოს ა, ქორონიკონს **უო.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის თეიმურაზ ჯავახისშვილო! მერე ამ არზით ორის დღის მიწა რომ ჩვენთვის გითხოვნია, თუ ჩვენ იმ მიწაზედ გასაცემად ჯელი შეგვივა, ის მიწა შენთვის გვიბოძებია ღვინობისთვის **ვ,** ქორონიკონს **უო.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

604. არზა აბაზაძეებისა ყმის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

1782 წ. 31 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9509. დედანი. ქაღალდი. 15,3×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის კელმწიფის ძისი იულონის ჭირი მოსცეს მათს მონას აბაზაძეს სოლომანს და დავითს.

ამას მოვახსენებთ: ერთი ჩვენი ყმა ლომიძე დამეთხოვა, რომ ერეთს მოყვარესთან ხეფინის ხევს გადავიდა და დაიკარგა, ყიზლარს გავიდა და იქ თქვენის ჭირის სანაცლო შეიქნა. ამისი ცოლშვილი იქ ნადაბურას გელასშვილს ხელოსანს მამუკელას ყავს.

ერთის ოქმის წყალობა გვიყავით, რომ ჩვენი ქრივი და ობოლი მოგვცენ.

თავში

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებ ნადაბურის მაშახსახლისო! ამ არზით აბაზაძეებს რომ ასე მოუხსენებია, თავისის კაცის ცოლშვილი დაანებე, წამოიყვანოს. ღვინობისთვის **ლა,** ქორონიკონს **უო.**

ქ. თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, მოგვახსენოს.

ბეჭედი: ქ. ღმრთის მშობლის სასოებანი იულონ დავითიანი.

605. არზა ზაალ ჯაფლანიშვილისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 11 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9311. დედანი. ქაღალდი. 35×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს მათ ფეხთა მტვერს ყაფლანიშვილს ზა[ა]ლს.

ამას მოვახსენებ ყოველად მოწყალეს კელმწიფეს: შარშან რომ კისიყში გახლდით, იქ არზა მოგართვი და რაც საჩივარი მქონდა, სიტყვითაც მოგახსენე. ზაზა გოსტაშაბისშვილისაგან თალიღა მიბოძეთ გლახა ციცისშვილზედ, ის სიცრუით აღებული განაჩენი რომ ჰქონდა, გლახას უნდა გამოერთმევინა და თქვენის სიმაღლისათვის მე[ე]რთმევინა; და თუ იმას სიტყვა ჰქონდა რამე, თქვ[ე]ნის სიმაღლისათვის მე[ე]ხსენებინა. ამ თქვენს ოქმს არ დამორჩილდა, არც განაჩენი მოსცა იასეულსა და არც სამართალში გიახლათ. მერმე ხერხეულიძე ქაიხოსრო გაუგზავნა ზაზა ყორიასაულბაშმა და [ა]რც იმას მოსცა განაჩენი და [ა]რც სამართალში გიახლათ.

ახლა მე რომ ახალციხეს დასტური მიბოძეთ და გამისტუმრეთ, ზაზას თქვენთვის არზა მოურთმევია და თალიღა აუღია — მე-

სამედი ღალა იმას მიეცეს. ჩემო ჯელმწიფევ, ჯერ ეს სიცრუით მედავება; მეორე ეს რომ, ორმოცდაათ თუმნამდი დანახარჯი მაქვს იმ სოფლის რუზე. თუ სიმართლით სიტყვა ჰქონდა რამე, როდესაც აქ გახლდი, რატომ მაშინ არ მოგახსენათ.

ამ წყალობას ვითხოვ: ერთი ოქმი მიბოძეთ გლახაზედ; იმ ღალის აღებაზედაც კელი ა[ა]ღებინოს, როგორც თქვენს შარშანდელს ოქმში სწერია, ის განაჩენი თქვენ მოგართოს; და თუ სიტყვა აქვს რამე, თქვენს სიმაღლეს მოახსენოს. უსამართლოთ ნურავის წამახდენინებს, ღმერთი განგაძლიერებსთ, ჩემო ყოვლად მოწყალევ ხელმწიფევ. აღიწერა ნოენბერს **ე**, ქორონიკონს **უო.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის გლახავ ციციშვილო! მერე ამისი ოქმი უწინაც შენზე იყო, ის განაჩენიც გამოართვი, ჩვენთან მოიტანე და ესენიც ჩვენს სამართალში ალაპარაკე. ამას გაურიგებელს ნუღარ გაუშვებ. როგორც გვიბძანებია, ასე აღასრულე. გიორგობისთვის **იგ**, ქორონიკონს **უო.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

მინაწერი: „ქ. ოქში რომ გოშტაშაბიშვილს ერასტის განაჩენი აუღია სიცრუით, იმისი დამაყენებელი[1].

606. არზა შალავანდიშვილებისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 20 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 655. დედანი. ქაღალდი. 20,5×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ფალავანდიშვილს გოგიას და ზურაბს. მერე ხუთი კვაშლი კაცი მყავს, ერთი კაცი ნათათრალი არის და ტყვეობიდამ მოსულ[ი] არის და გლახ არის, რომ არაფერი არა აქვს რა; და იმის მაგიერ ოთხი წელიწადია მე ვაძლევ ხარჯს, იმას რომ შეძლება არა [ა]ქვს; და ოთხი კომლი კაცი სხვა არის. თუმც ისინიც ღარიბები არიან, მაგრამ თქვენს სამსახურზედ ხმას არ ამოვაღებინებთ[1] ხოლმე. ახლა ექვსის კომლის კაცის სალეკოს მთხოვენ და მაწუხებენ. თუ ამ ხუთ კვამლს კაცს გარდა მე კაცი მყვანდეს, ღმერთმან თქვენი რისხვა მომცეს.

წყალობას ვ[ი]თხოვ, რაც მყავს, იმაზედ მეტი არ გამამერთვას. ნოენბრის **კმ**, ქორონიკონს **უო.**

[1] ამოვალებინებთ.

თავში

იოსებ მდივანო, მელიქო ავეტიქ და ყალუაშვილო ბაღდასარ! ესენი ასრე რომ ჩივიან, თუ ამათი მოხსენებული მართალია, და ამაზე მეტი კაცი არა ჰყავს, რას ემართლებით. მეტს ნუღარ აწერთ, რაც ჰყვანდესთ, იმათ შეაწერეთ. დეკემბერს **კ**, ქორონიკონს **უო.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

607. არზა იოსებ ვედევანიშვილის დედისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 20 დეკემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 23. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[23 V] ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჰირი მოსცეს მათ ფეხთა მიწა-მტვერს მწარედ შეწუხებულს სვეტიცხოვლის დეკანოზის ქალს გედევანისშვილის იოსების დედას.

მერე ამას მოვახსენებთ: ჩემი სახლისკაცი გედევანიშვილი ბეცია ამისთანას უსამართლობას მიშვრება, რომ მამა და პაპა გაყრილნი ყოფილან და ამ კაცებზედ არ გვდავებიან, გარდაწყვეტილობის წიგნებიც მაქვს და ორს კომლს კაცს მედავება ირეკაშვილებსა.

თქვენს ძმასთან ვილაპარაკეთ, იასე მსაჯულიც იქ გახლდათ, გასინჯეს, გა[24]რდაწყვეტილობის წიგნები და სამართალი გვისაჯეს, ათი დღის პირობა ბძანეს, რომ ბეციას ამ გარდაწყვეტილობის წიგნების წინააღმდეგი წიგნი უნდა მოეტანა.

ახლა ორი თვეც გავიდა, რომ აქ გახლავარ შეწუხებული და შეღონებული და არა მოიტანა რა. თუ ჰქონდა წინააღმდეგი წიგნი, აქამდინ ხომ მოიტანდა.

ახლა პირობა რომ გავიდა, მის უწმინდესობას თქვენს ძმას მოვახსენე და თქვენმა ძმამ დასტური დამცა, რომ ჩემი სამართალი და

მსაჯულის სამართალი არ და[ი]ჯერაო და მის სიმაღლეს ჩემს ძმასთან იჩივლეთო. ამიტომ გაგებედე თქვენთან მოხსენება, რომ თქვენმა ძმამ დასტური თქვენთან დამცა.

ახლა ყოვლის შეწუხებულის მოწყალე თქვენ ბძანდებით და სამართალი მაღირსეთ. ღმერთი გაგაძლიერებს, მშიერ-მწყურვალი გახლავართ ამ ქალაქში და მწარედ შეღონებული; ეს ორი თვე არის, რომ აქ გახლავარ. დეკენბერს **იგ**, ქორონიკონს **უო**.

თავში

ეშიკაღასბაშო დიმიტრი! ამ არზის პატრონი ასე რომ ჩივის, ამათ საქმეზედ ამაღამვე მსაჯულნი სულ ერთად უნდა შემოჰყარო. ესე და ამისი მოდავე ალაბარაკო და წინაშე ღვთისა სამართალი მიაცემინო. ამისი დაგვიანება არ იქნება, ახლავ უნდა გარდააწყვეტინო. დეკემბრის **კ**, ქორონიკონს **უო**.

608. არზა ბეცია გედეონისშვილისა ყმის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 29 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5710. დედანი. ქაღალდი. 19×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ჰირი მოსცეს პეტრე გედეონისშვილის შვილს, თქვენის მ[ა]მის მეჯინიბეთხუცესს ბეციას.

მერე ამას მოვახსენებ ჩვენს ქელმწიფეს: მამაჩემს და გაბრიელს სარდარს ორი კვამლი კაცი ჰყვანდათ გასაყოფი, გავიყავით — ერთი იმას ერგო და ერთი ჩვენა. ახლა ახალქალაქს გახლავსთ ჩვენი ნარგები, გოროვნელი გახლავსთ, ივანე ექვშაურას ეძახიან, ბერი თარხნიშვილის კედლად, პაპით და მამით ჩემი მემკვიდრე.

თქვენი წყალობა ოქმიცა მქონდა ბეცია საამისშვილზე, მაგრამ არ ამიყარა. ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ერთის ოქმის წყალობა მიყოთ და იასაულისა, რომ ჩემი კაცი ამიყაროს და მომაბაროს, ჩემო ქელმწიფევ. დეკემბერს **კბ**, ქორონიკონს **უო**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება თუხარელო გოგიავ! მერმე ვისაც ამისი ყმა ყვანდეს, ახლავ უნდა აუყაროთ და მოაბაროთ. და თუ ამაში სიტყვა ვისმე ქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. დეკემბრის **კთ**, ქორონიკონს **უო**.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

609. არზა ბეჟან მჭედლისა თეთრის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1782 წ. 31 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14068. დედანი. ქაღალდი. 33×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხემწიფის ჰირი მოსცეს თარხნისშვილის ბერის ობოლის ბესარიონის ყმას მჭედელს ბეჟანას.

მერმე ამას მოვახსენებ ჩემს ხემწიფეს: ამას წინათ თქვენმა დიდებულობამ რომ თეთრი ისესხა ქართლში და კახეთში, მოწყალება ყველას მიეცა, ისევ მეცა, თქვენი წყალობა მეც მებოძა ზაზა ყორიასაულბაშზე.

იმ ხანში არა მომცა რა, ასე მითხრა: ზევიდამ ჩამოვალ და შენს თეთრს მოგაბარებო. ის ზევით თქვენის ჰირის სანაცლო შეიქნა, მე თეთრს ვიღა მომცემდა. ახლა მისი შვილი სოლომან აღარც თეთრს მაძლევს, არც თქვენის წყალობის ბარათსა.

ღმერთმან ასე თქვენს ორგულსა და მუხანათს გაუჭიროს, როგორც ამ გზობით მე საქმე მამივიდა. ერთის შვილის მეტი არა მყვანდა ამდროულს ბერკაცსა და ერთი ჩემი ბიძაშვილიცა ამ გაყრის მიზეზ[ზ]ე ორნივ წყალში დამ[ე]რჩვეს, მკვდრებიც დაუმარხავი მრჩებიან, და არც თეთრი მეძლევა. ნება ხემწიფისა აღსრულდეს.

თავში

ქ. უფალნო მსაჯულნო! ამ არზის პატრონს ასრე რომ მოუხსენებია, ეს თქვენ გასინჯეთ და ღმრთის წინაშე სწორე სამართალი საჯეთ. თუ ჩვენ ვიცვნეთ მისაცემს, მიგვაცემინეთ; თუ არადა, ვინც იყოს, იმან მისცეს. დეკემბერს **ლა**, ქორონიკონს **უო**.

ქ. ან ჩვენ ვიქნებით მისაცემს და ან სოლომონ.

დავით სალთხუცესო, მდივნებო! თქვენ ახლავ გასინჯეთ და

შეიტყევით, თუ ამისი ბარათი ანგარიშ[შ]ი გავლილა, სოლომან იქნება მისაცემს. და თუ ანგარიშ[შ]ი არ გაუვლია, ჩვენ ვიქნებით მისაცემს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დაცით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. დავთარი ვნახეთ რომ ანგარიშ[შ]ი არ გაუვლია, სარქრიდამ უნდა მიეცეს. იანვრის **თ, ქორონიკონს უოა.**

ხუთი ბეჭედი: 1. სალთხუცესი დავით
2. მონა ღთისა იოსებ
3. მელიქი ავეტიქ
4. მონა ღთისა აშხარბეგ
5. ავეტიქ.

ხელრთვა: ბაღდასარ

მარცხენა კიდეზე

ქ. იოსებ მდივანო, მელიქო ავეტიქ და ყალუაშვილო ბაღდასარ! ეს ჩვენზედ ვალი რომ არის ხუთთუმანნახევარი, თქვენ უნდა გაურიგოთ მომავლის წლიდამ. იანვრის კ, ქორონიკონს **უოა.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დაცით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. ამ წლის საქვეყნოს თეთრის იასაულო, ხუთთუმანნახევარი შენ მიეც. მთიბათვის **იზ,** ქორონიკონს **უოა.**
ქ. თემურაზ ჯავახიშვილო, შენ მიეც.

ორი ბეჭედი: 1. მონა ღთისა იოსებ
2. მელიქი ავეტიქ.

ხელრთვა: ბაღდასარ

ქ. მე, ზაზა უზბაში, ღმერთს წინაშე ამ აღათანგის შვილს ხუთთუმანნახევარი გამ[ო]ერთო. [ ]

ქ. ღმერთ წინაშე მე, მამუკი უზბაში, ვწერ, ამ აღათანგიშვილს ხუთთუმანნახევარი გამ[ო]ერთო.
ქ. თარხნიშვილი იოვანე ღმერთს წინაშე ამასა ვსწე[რ], ამ აღათანგის შვილს ხუთთუმანნახევარი გამ[ო]ერთო.

ბეჭედი: მონა ღთისა ძე თარხნისა იოანე.

610. არზა ნიკოლოზ მოლარეთხუცესისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 18 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3791. დედანი. ქაღალდი. 31,5×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს ნიკოლოზ მოლარეთხუცესს.

მერე ამას მოვახსენებ. თქვენგან ჯავახიშვილის მამული რომ უბოძეთ მამაჩემს, ცოტა რამ მამული ნათლიცემლისათვის დ[ა]ეგირავებინა სვიმონ ჯავახიშვილს. მერე ნათლისცემლის წინამძღვრისაგან მამაჩემს დაეხსნა. ახლა ის მამული რომ ჩამამართვეს, დახსნილიც წამართვეს. მოგეხსენებათ ჩემო კელმწიფევ, რა განსაცდელი მომადგა, დიახ, გამიჭირდა.

ამ მოწყალებას ვითხოვ: რასაც დროს ის მამული გამომართვეს, იმ დღიდამ ამ დღემდის ჩემი თეთრი სარგებლით მომცენ. ერთის იასაულის წყალობას ვითხოვ, ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის **იზ, ქორონიკონს უოა.**

თავში

ქ. უფალნო მსაჯულნო, ამისი სამართალი თქვენ უსაჯეთ. იანვრის **იშ, ქორონიკონს უოა.**

თუხარელო გოგიავ, შენ ალაპარაკე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

611. არზა მურვანიშვილებისა ამის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 20 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1419. დედანი. ქაღალდი. 32×16,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჰირი მურვანიშვილებს მოსცეს.

ახლა ეს მოხსენდეს მათს სიმაღლესა: სანდაძე, პაპლიკაშვილი და მატიაშვილი — ეს სამი კომლი კაცი თუ ჩემს

სახლისკაცს არა სჭეროდეს, ისინიც დღევანდლამდინ ჩვენ არა გვჭეროდეს, არ ემსახუროთ, ამისთვის სამ[მ]ა კაცმა შემოგვფიცოს: ნებიერიძე პავლე მღდელმა, ჯობაძე ადამამ და ფასუაშვილმა როსტომამ[1], რომ ესენი ჩვენის სახლისკაცის ყმანი არ ყოფილიყვნენ, მასუკან ჩვენ არა გვჭეროდეს, ამათი და ამ ნადირშასათვისაც ტყვე არ მიგვეცეს.

თუ ამაზედ გაგვიმტყუნეს, ჩვენ მტყუანი ვიქნებით. მერე თუ ისინი გამტყუნდნენ, ნება თქვენი აღსრულდეს. იანვარს **იზ,** ქორონიკონს **უოა.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის დიმიტრი ეშიკაღასბაშო! მერმე ჩვენ ფიცი მურვანიშვილებისათვის დაგვიდვია; ამისთვის, რომ სამართლით ფიცი იმათ ერგებოდათ. იესესა და ლუარსაბში რომელსაც უნდოდეს, იმან დაიფიცოს ამ წესით: ამ არზით რომ სამი კომლი გლეხი მოუხსენებიათ, ეს გლეხები ამათს განაყოფს ყმად სჭეროდეს და მასუკან ამათ[თ]ვის მოეცეს და ამათ ჰყოლოდესთ და ამათ[თ]ვის ემსახუროსთ.

თუ ორში ერთმა ძმამ ასე დაიფიცეს, იმ სამს კომლს კაცზედ ჯელი ამართე და ამათ მოაბარე. და თუ ვერ იფიცეს, იმ გლეხებთან საქმე არ ექნებათ, სახასონი იქნებიან. იანვრის კ, ქორონიკონს **უოა.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. როგორც ბატონის ბრძანება არის, მურვანიშვილები ასე ფიცავდნენ. ჩვენ, ბატონიშვილმა იულონ აღარ დავაფიცეთ და წყალობა უყავით. იანვრის **კე,** ქორონიკონს **უოა.**

ბ ჭედ: ქ. ლთისშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

612. არზა თადია ნაცვალისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 8 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 2063. დედანი. ქაღალდი. 21,5×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაბმარია მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ქისიყის ნაცვალს თადიას.

[1] როსტუჹამ.

მერმე ამას მოვახსენებ: ჩემის ყმის გულოშვილისა თქვენგან წყალობა დამემართა, უფროსი ძმა კი დამმორჩილდა და უმცროსი ძმები კი უარშიობენ.

ამ წყალობას ვითხოვ და გევედრები: რადგან თქვენის ბძანების წინამდეგობას ჩადიან და მეც თავს არ მიდებენ, თქვენის ოქმით იმათზე წელიწადში ერთი რამ ცოტა ძვირი სამსახური განმიწესეთ, რომ იმისი შიშით იმათ უარი აღარა თქვან, და თავიანთ უფროს ძმასავით დამმორჩილდენ; თორემ თუ მე იმათ არას მივცემ, უსაბართლოთ კი არას გამოვართმევ.

თქვენის წყენის უღონო გახლავარ, თორემ მე ჩემს ყმას როგორ ვერ დავიმორჩილებ. იანვარს **ლ,** ქორონიკონს **უოა.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ქიზიყის ნაცვალო თადიავ! მერმე ამ არზით რომ შენის ყმის უმორჩილობა რომ მოგიხსენებია, როგორადაც მჭედელმა რკინა მოიხმაროს, აგრევე შენ მოიხმარე შენი კაცი და იმსახურე. ფებერვლის **ჱ,** ქორონიკონს **უოა.**

რატომ არ გემორჩილება, შენი ყმა არის, არ ეკადრება შენი სამსახური, თუ რამ მიზეზი აქვს?

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

613. არზა ფარემუზა გუშის შვილისა ყმობის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 12 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1502. კრებული. საბ. № 35. ბირი. ქაღალდი. მხედრული.

[20 V] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი ბუშის შვილს ფარემუზას მ[ო]სცეს.

მამაჩვენი გერმანე მროვლის დედის ნამზითვის მუახლის შვილი გახლდათ. იმას რომ მროვლობა უბოძეთ, ჩვენ სამნი ძმანი იმასთან გახლდით. მერე ლეკში დავიკარგე, ოცი წელიწადი თურქმანის ქვეყანაში ტყვეთ გახლდი, მარჯვენა ხელიც იქ დამიშავდა, ხანჯალი შემამკრა თათარმა. მერე რომ დავბერდი, სამსახური აღარ შემეძლო, თათარმა ეს აზატულობის წიგნი მ[ო]მცა, რომელიც თქვენს სიმაღლეს მ[ო]ერთმევათ.

მოვატანე ისევ თქვენს სახელსა და თქვენს ქრისტიანობას. ისევ რუის [ს] გიახელ. ერთი შვილი დამხვდა, ისიც მომიკვდა. რადგან რომ ტყვე განთავისუფლებული იყო თქვენის ბრძანებით და დამტკიცებით, ქვეყანაზედ ხმა გაისმა; ჩემს ძმისწულებთან აღარ დავდეგ, რუის [ს] მღთეების კარზე გახლავარ თქვენი მუდამ მლოცველი, სამადლოთ მარჩენენ. ჩემი ბერკაცობა და სიგლახაკე რომ ნახეს, თქვენმა მოწყალებამ აღარაფერი დამაწერეს; მაგრამ ციციანი კიდევ მართმევენ და მაწუხებენ.

გევედრებით, რომ როგორც სხვას ტყვეებს თქვენი წყალობის წიგნი აქვსთ, ჩვენც ერთი იმისთანა წიგნი გვიბოძოთ, იმ საყდრის კარზე მუდამ თქვენი და თქვენის შვილები[ს] მლოცველი ვიყ[ვ]ნეთ, რომ აღარავინ შეშაწუხოს* ერთს, კაცს ვისმე მიმაბარეთ იმ ქვეყანაში და ოქმი მიბოძეთ. თებერვლის **თ**, ქორონიკონს **უოა.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იოსებ მამაცაშვილო! მერე ეს საბრალო ბერიკაცი ტყვეობიდამ რომ მოსულა, ამასთან საქმე ნურავისა აქვს. როგორც ამას უთხოვნია, ისე რუისის ეკლესიის კარზე იდგეს, ნურავინ რაზე შეაწუხებს. აღიწერა თებერვლის **იბ**, ქორონიკონს **უოა.**

თუ ამასთან სიტყვა ჰქონდეთ ვისმე, ჩვენ მოგვახსენეთ. ერეკლე

ქ. როგორც ბატონს მამაჩვენს მეფეს ირაკლის უბრძანებია, ჩვენ ბატონიშვილს ი'ულონსაც ასე დაგვიმტკიცებია. ამასთან საქმე არავისა აქვს. დეკენბრის **ბ**, ქორონიკონს **უოა.**

იულონ

614. არზა იმერე მსაჯულისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1783 წ. 18 თებერვალი

ცსსა, ფონდი 1450. დავთარი № 17. საბუთი № 62. ჰირი. ქალაღდი. მხედრული.

[66] ღმერთმან ჩემის მოწყალის საქართველოს დედოფლის ჰირი იესე მსაჯულს მომცეს.

მოგეხსენებათ, ჩემი ჟამი ამაზედ დავიღალე: ერთი ორი საკომლო ოჯერი ხარაბა ვიყიდე, ზოგი გიჟს მეძახდა, ზოგი სულელს, ოჯერს მამულში თეთრს რად აძლევსო. ჩემი ნაღვაწი თეთრი მივეც, ჩემის ჯელმწიფების დასტურით ვიყიდე, ინება ღმერთმან და მშვიდობა მოეცა ქვეყანას. ახლა ჰკვიანს შეძახიან, ჩემის ჰკვისაგან არ არის, ჩემის ჯელმწიფის მრავლის შრომისა და გარჯისაგან არის.

სოლოღაშვილი იასე [V] და ელისბარ ერთის ძმისა იყო და ნახევარი ტაგნაგეთი საუფროსოთი იმათ ჰქონდათ; და ზაზა ერთის ძმის იყო, ნახევარი იმ მარტოს ჰქონდა. იასემ თავისი წილი აბდულბეგს მიჰყიდა, დაუგირავა, და ზაზას თავთავის ეჭირა. აბდულაბეგის შვილები რომ გაღარიბდნენ და თავისის გულის სიტყვისაგან ცალიერნი დარჩნენ და სანატრელს მეფეს მოახსენეს: ტაგნაგეთი და სხვა რაც ან ნასყიდი გვაქვს ან გირაო, ან თქვენ დაიხსენითო ან განაყოფებს დაახსნევინეთო, ჩვენ ყიზილბაშში მივალთო, ხარაბა არის და ოჯერი, სხვა ვინ იყიდისო.

სანატრელმა მეფემ მანუჩარს და იორამს და ზაზას ყარან მდივანი მიუგზავნათ: დაიხსენით გასყიდულიცა და დაგირაოებულიცაო და თქვენი არის და დაიჭირეთო. უარიც მოახსენეს, რადგან ხარაბი იყო, მაგრამ სხვა მსყიდველი რომ არავინ იყო, დაახსნევინეს და მანუჩარს და იორამს ჰქონდათ; მაგრამ მგზავრობაც ვერ გაიკლიდნენ ლეკის შიშით. მერმე მანუჩარს რომ საქმე გაუჭირდა, ძმა კახეთს გავიდა, იქ რჩებოდა, ეს თავისი წილი შე მომყიდა თავისის ძმის კითხვით და ნებადართვით.

ამ წყალობას ვითხოვ: რადგანც მეფე[მ] იას[ა]ულით დაახსნევინა ოჯერი ხარაბა მამული გასყიდულიცა და დაგირაოებულიცა, თუ იმ დამგირაოებელიც შვილისა გამოჩნდეს ვინმე, თავისი წილი ორთავ მივცეთ. და თუ არ გამოჩნდეს, ისიცა და ნასყიდიცა ძმურად გავიყოთ უფროს-უმცროსულად, როგორც გვაქვს, [67] კაცი ხომ არ არის და მიწა არის მეოთხედი იმისი წილი; და სანატრელის მეფის ბძანებაც ასე არის.

ახლა გაყრა მინდა, ამისთვის რომ თქვენს ნათლულებს საშფოთავი არა ჰქონდესთ რა. ჩემის ხემწიფის ბძანება და ოქმიც მაქვს, რომ უნდა გავყარო და გაყრაში თქვენ გასამყრელო მიწა გერგებათ. ის თქვენი გასამყრელო თქვენს ნათლულებს უბოძეთ. წესი ასეა: გასამყრელო ხემწიფისა არისო, იქნება თვითან დაიჭიროსო, იქნება ორთავ აქრთამებინოსო*, იქნება ერთს ბევრი რომ გერგოსთ, ორმოცის დღისა ძლივ გერგებათ — ოცი ჩემი წილი და ოცი გა-

* შდრ. ვახტანგის სამართალი, მუხ. 101.

ნაყოფისა, ეს თქვენს ნათლულებს აღუთქით და გვიმსახურეთ, თქვენი სადიდებელი იქნება.

თქვენს სახელზედ რომ ორის დღის მიწა ჰქონდესთ, საკუთარი სოფელი რომ გვაქვს, იმას ახლა გავიყოფთ და დღეს შენობაც არის და ხარაბა სოფელი ნახევარი ასურეთი გვაქვს, ნახევარი შირდისი, ნახევარი საღორისი, მეოთხედი დაბახნელა — ესენი როდისაც გავიყოთ, იმ ხარაბა სოფლებისა რომ ჩვენი არავინ სახლობს, როსცა გავიყოთ, იქ[ა]ების გასამყრელო თქვენი წილი მე მებოძოს და სამსახურიც მიირთვით, დღეს რასაც ვიყოფთ იმისიცა და ან რაც გასაყოფი გვაქვს იმისიცა.

ერთის ოქმის წყალობა მიქმენით, გირაო რომ დაუხსნიათ, ისიც მამულად გეებოძოს. თუ პატრონი არ მოუვიდეს, რადგანც ძმის მამული დაგირავებული, [V] ოხერი და ხარაბა დაგვიხსნია, არავინ გვეცილებოდეს და გასამყრელოც საკუთრად ჩემი იყოს.

ჩემო ქელმწიფევ, ასეთი წყალობა მოიღვაწით, რომ ბეითალმალად არავინ გვეცილოს ელიზბარისაგან დაგირაოებულს და მეფის თეიმურაზის ბძანებით და იასაულით დახსნილს ზაზასაგან მანუჩარისაგან და იორამისაგან.

თავში

[65 V] რადგან სანატრელს დიდს მეფეს ნასყიდიც ამათთვის დაუხსნევინებია და დაგირაოებულიცა თუ ამათთვის არ ებოძებინა, თვითვან დაიჭერდა და ვალსაც თვითონ უბოძებდა. ამდენი ხანია რომ ამათ ქელთ არის და ის დამგირავებელი **[66]** დაკარგულია. ეს საქართველოს რიგით გაუყავით უფროს-უმცროსობით.

თუ იმ დამგირაოებელის შვილი გამოჩნდეს ვინმე, რაც ამათ თყთრი გაულიათ, ის მოსცეს და რაც წილი ჰქონებია, ნახევარი იესემ მისცეს და ნახევარი იორამმა. თუ არავინ იყოს, რადგანც დიდს ბატონს ოჯერ ხარაბა ამათთვის დაუხსნევინებია, ვერავინ ეცილება, გაუყავით საქართველოს რიგზედ.

და სადაც იესე მსაჯულს და იორამს გასაყოფი მამულები აქვსთ, იმისი გასამყრელო რომ ჩვენია, ის ჩვენი გასამყრელო ყოველს სოფელში იესე მსაჯულისა და ჩვენის ნათლულების იმის შვილებისათვის გვიბოძებია საკუთრად და ამას ჰქონდეს ჩვენად წყალობად. ახლა გაიყოფენ თუ ამას უკან, ჩვენი გასამყრელო ყოველს ამათს მამულში იესესა და ამის შვილებისათვის გვიბოძებია. თებერვალს **იწ**, ქორონიკონს **უოა**. [□]

615. არზა ფალავანდიშვილებისა გაურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1783 წ. 28 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 432. დედანი. ქაღალდი. 22×15 სმ. მხედრული. განკვეთილობია ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ჴირი მოსცეს ერთობლივ ფალავანდიშვილებს. მერე ზოგიერთის სოფლების კაცნი აღარა გვყავს და ჩვენის მამულებისა ჩვენ ვეღარა გაგვიგია რა, რომელი რომლისაა; და თქვენის ბედნიერობით მინდღეში ჩვენს ოჯახში შფოთი არ ყოფილა და ახლაც ერთმანეთში შფოთს ვერიდებით. და ვინც ამ არზაში თავადიშვილები მოგვიხსენებია, ესენი გვიბოძეთ, რომ დაგვისხდნენ და მამულები გაგვიყონ და გაგვაშველონ: დიასამიძე იოანე, მაჩაბელი ბარძიმ, დავითიშვილი ზა[ა]ლ — ესენი გვიბოძეთ. და ამათ ჩვენ მუჩალგა გამოგვართვან, რომელიც ამ სამის კაცის სიტყვას გარდავიდეთ და არ დავიჯეროთ ამათ[ი] სამართალი, თქვენად წინააღმდეგად მოგვკითხონ და ჯარიმაც გამოგვართვან და თქვენს სარჭაში მოაბარონ. მარტის **კგ**, ქორონიკონს **უოა**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მინბაშო დიასამიძევ იოანე, მაჩაბელო ბარძიმ და ზა[ა]ლ დავითისშვილო! მერმე ამ არზის პატრონებს რომ მოუხსენებიათ, როგორც მოეხსენებინოსთ, თქვენ დაუსხედით, თავთავისი მამული გაურჩიეთ და გა[ა]შველეთ. მარტის **კგ**, ქორონიკონს **უოა**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

616. არზა შოშია საყვარელიძისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

1783 წ. 27 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 3017. დედანი. ქაღალდი. 20×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფისძის ვახტანგის ჴირი შოშია საყვარელიძეს მომცეს.

მერე ამას მოვახსენებთ, რომ ფავლენისშვილის ზაზასა და ბიძინასაგან დიაღ, შეწუხებული გახლავარ. თქვენის ძმის გიორგის ოქმი მქონდა და ყური არა მიგდეს რა.

მეორედ კიდევ ჯამასპი ხერხეულიძეზე მიბოძა ოქმი, რომ ან რაც ჯინში და ან ნაღდი იყო გავლილის წლისა და მამული, სულ უნდა მოეცათ. ჯამასპი ხერხეულიძეს კაცი გაულახეს და ოქმი არ იოქმეს. რაც მამული იფიცა, იმას გარდა ერთი საკომლო[1] სხვა წამართვა.

ქართლში რომ ბძანდებოდით, ბედნიერის მეფის და დედოფლის ოქმი მოგართვი და გვალაპარაკეთ მე და ფავლენისშვილები. ცხინვალსა რაც იმას ჩემთვის ძალით წაერთმია, უნდა ისევ მოეცა. ბერძნისშვილი იოანე ბძანეთ იასაულათა. მივედით და იმის კაცის სახლში დავდეგით. ბინდისას მოგვიხდა, თქვენი ოქმი და ბძანება არ გაიგონა, იმდენი გამარჯვება გაქვსთ, რამდენი უწყალო კეტი მე მომახვედრა.

ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართალს ვითხოვ. არას უპატრონოს კაცს ეს საქმე არ დამართებია, რომ ეგ მიშვრება. თქვენს ბძანებას და ბეჭედს არ ეკადრება, თორემ ჩემი თავი თქვენის ჭირის სანაცვლო იყოს.

ორი თვე ავად გახლდი გალახვის მიზეზით, რომ ჩემი სიცოცხლე არავის ეგონა. იოანე ბერძნისშვილი მოგახსენებსთ ჩემს ავად მოპყრობას. მარტის **ია,** ქორონიკონს **უოა.**

თავში

ქ. ეშიკაღაბაშო ამილახვარისშვილო იოანე! ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, როგორც ან ბატონის დედოფლის ოქმი ჰქონდეს და ან ჩვენის ძმის ბატონისშვილის ოქმით სამართალი მისცემოდეს და [ა]ნ ჩვენის ოქმით, ახლავ დადეგ, რაც ამ ოქმებით სამართალი მისცემოდეს, გაურიგე და [მოა]ბარე. ჩვენთან ნულარ აჩიელებ, ბეჯითად მოიქეც. მარტის **კზ,** ქორონიკონს **უოა.**

გალახვაზედ რომ ჩივის, სამართალში ალაპარაკე.

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკეთად.

[1] საკომლო.

617. არზა აბატა ციციშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 27 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2815. დედანი. ქაღალდი. 32,5×13,5 სმ. ცხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს მონას ციცისშვილს პაატას მოსცეს.

ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალეს: ერთი ჩვენი ყმა საძმო და საერთო კაცი ლეკში დაიკარგა. ის კაცი ლეკებისაგან მე დავიხსენ. იმას აქეთ ორმოცდაოთხი წელიწადი არის. იმ კაცმა ცოლი შეირთო, ერთი შვილი ეყოლა, მამაც მოუკვდა და დედაც; დარჩა ერთი პატარა ობოლი, მე გავზარდე, ჩემი ხაბაზი გახლავსთ; რაც სახლის კაცები მყვანან, სუყველასაგან წიგნები მაქვს მოცემული და იმ კაცისაგანაც ნასყიდობის წიგნი მაქვს მოცემული.

ახლა ჩემი ბიძაშვილი ივანე მედავება. შვიდი წილი სხუა ჩემის სახლის კაცებისა არის და მერვედი წილი ამასა აქვს. ღმერთსა და თქვენს მზესა ვფიცამ, რომ იმ ბიჭში ამას საჭმე არა აქვს რა, და ამას გარდა არც ერთის სახლისკაცის საძმოთ და საწილოთ არ დამეხსნას, ჩემის სახსრით დამიხსნია.

სხვა ჩემი სახლის კაცები ვერავინ მედავებიან, არც უფროსნი და არც უმცროსნი; და ამ ჩემის ბიძაშვილის ივანესაგან მუდამ შეწუხებაში გახლავარ: ამ წმიდას მარხვაში შეურცხვენლათ მაგინებს და შეურაცხვლად მხდის. დავით მოურავს და სვიმონ მაყაშვილს თქვენი მზე აფიცეთ და ისინი სწორს მოგახსენებენ და მე კი ვერ მოგახსენებ.

გევედრებით: თქვენ წინაშე სამართალში გვალაპარაკოთ, რომ ჩემი სიმართლე და სიმტყუვნე გამოცხადდეს და ამგვარის შფოთისაგან დაგიხსნათ, ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის **კვ,** ქორონიკონს **უოა.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის პა[ა]ტა ციციშვილო და ივანე ციციშვილო, თქვენ ჩვენს სამართალში უნდა დადგეთ და ილაპარაკოთ. წინათვე გვიხარებია, რომელიც გამტყუნდებით, გარდაგახდევინებთ, იცოდეთ, მარტის **კზ,** ქორონიკონს **უოა.**

ქ. თუ ჩვენს სამართლამდინ ერთმანერთს მოურიგდებით, ხომ ის არის; თუ არადა ილაპარაკებთ, რომელიც გამტყუნდებით გარდაუხდევინებელს არ გაგიშვებთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

618. არზა გიორგი თუმანიშვილისა მამულის თაობაზე პახტანგ გატონიშვილის ოქმით

1783 წ. 7 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 135. დედანი. ქაღალდი. 31×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის ვახტანგის ჩირი მათ მსახურს თუმანიშვილს გიორგის მოსცეს.

მერმე ამას მოგახსენებთ: ახალდაბას ერთი კომლი[1] გლეხი კაცი ჩემი ყმა ამოვარდა და აღარავინ არ დარჩა და იმის მკვიდრი ფირბებაული ნაქონი მიწა, ხუთის დღისა მიწა, ჩემმა განაყოფმა კაცუამ წამართვა და სჭამს.

ამას გეკედრებით, რომ ერთის ოქმის წყალობა დაგვმართოთ: ახალდაბელს ვინცავინ გლეხნი კაცებნი იყუნენ, რომ ღვთი[ს] წინაშენ ის ჩემი გლეხის კაცისა გაუგონიათ თუ არა, და ან იმისგან მოხნული და ნაჭამი უნახამთ თუ არა, მოიკითხეთ და ღმერთი აფიცეთ და მამის თქვენისა და თქვენი მზე და თავანთი სარწმუნება, ის მამული ჩემი არის, თუ ჩემის განაყოფის კაცისა.

ჩემი განაყოფი ამას მეუბნება, რომ ჩემი გლეხის კაცისა არისო. ღმერთი გადღეგრძელებთ. ახალდაბელს უფროს კაცებს აფიცეთ და ვისიც ყოფილა და ან სჭერია, ისინი მოგახსენებენ. აპრილის გ, ქორონიკონს **უოა.**

თაში

ქ. ბატონიშვილი ვახტანგ გიბრძანებ ერთობით ახალდაბელებო, ვინცა ვინა ხართ — ბერნი თუ მოხუცებულნი! ღმერთს გაფიცებთ, რომ როგორც ღვთის წინაშე ამ არზის პატრონის ასე მოხსენებული ჭეშმარიტათ იცოდეთ, ისე წერილითა [და წე]სით, მარხვა არის და სწორე[2] მოგვახსენეთ, როგორც თქვენ იცოდეთ. აპრილის **ზ,** ქორონიკონს **უოა.**

სწორეთ როგორც იცოდეთ ამისი აღიღათი[3], ჩვენ მოგვახსენეთ.

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად, ვახტანგ ირაკლის ბაკეთად.

[1] კომბლი. [2] სწორე] სწე. [3] თაღიღათ.

619. არზა ასლამაზ დავითაშვილისა ძმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1783 წ. 8 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 34. საბუთი № 91. ბირი. ქაღალდი. მხედრული.

[74] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჩირი მოსცეს მათს მონას დავითაშვილს ასლამაზს.

მერე ამას მოვახსენებ ჩემს ჯელმწიფეს. გორს რომ ბძანდებოდით, ერთი ჩემი ყმა მიჩიოდა და თქვენის ბძანებით სამართალი დამემართა და ოქმი მებოძა და კაცი დამრჩა, იმ სამართალს არც კი ღირს ვიყავ[1], მაგრამ იასაული კი არ არის განწესებული.

ამ მოწყალებას ვითხოვ, ერთი ოქმი მიბოძეთ, რომ ის ჩემი კაცი მამებაროს. როგორც თქვენს ნაბოძებს ოქმში სწერია, ისე მოიქცეს, რომელსაც იასაულს უბძანოთ და ის კაცი აპყაროს და მომაბაროს.

თუ ოქმის წყალობა დამემართება, ნიკოლაოზ მირზაშვილს უბძანეთ, იმ გლეხს ის უფრო არ შეაწუხებს, ჩემო ჯელმწიფევ. აპრილის გ, ქორონიკონს **უოა.**

თაში

პატიოსანო მღუდელო მირზაშვილო ნიკოლაოზ! ამ არზის პატრონს ასრე რომ მოუხსენებია, ამისი მოასილობა შენ უნდა ჰქნა. როგორც პირველს ოქმში გვებძანებინოს, ისრე უნდა აღასრულო და ის კაცი საცა იყოს, იქიდამ აუყარო და ამას მოაბარო. აპრილის **ზ,** ქორონიკონს **უოა.**

თუ ჭეშმარიტი სიტყვა არა ჰქონდესთ, ამაზე ნუ ილაპარაკებენ.

620. არზა პაატა ციციშვილისა სამღებროს თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1783 წ. 19 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8052. დედანი. ქაღალდი. 26,6×13,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მოწყალის დარეჯან დედოფლის ჩირი მოსცეს მათს მონას ციციშვილს პაატას.

[1] ღირს ვიყავ] ვღირს იყავ.

მერმე ამას მოვახსენებთ თქვენს უგანათლებულესობას. მუდამ ამ მწუხარებაში და უსამართლობაში ვჰყევარ ჩემს სახლის კაცებსა და განაყოფებსა. ახლა კიდევ თქვენთვის არზი მოურთმევია ჩემს ბიძაშვილს ი ვ ა ნ ე ს. თქვენი წყალობა სამღებრო რომ მაქვს ქ[არ]ე ლ შ ი ა, დიაღ, ბევრჯელ მიჩივლა ბატონთანა, მაგრამ გამტყუნდა ისიცა და სხვანიცა.

ახლა თქვენ ოქმი გიბოძებიათ: თუ საბუთიანი სიტყვა ჭქონდესთ რამე, სამართალში ელაპარაკეო. ჩემო მოწყალევ კელმწიფევ, ამისგან უფრო საბუთიანი სიტყვა რაღა იქნება. ბატონის წყალობა ოქმი მომირთმევია, ეს ოქმი ნახეთ და ამას გარდა ხუთი-ექვსი ოქმი სხვა მაქვს ბატონისა და თქვენის წყალობის წიგნები. ღმეროი გადღეგრძელებსთ და ბრწყინვალეს თქვენს შვილებს გიცოცხლებსთ; ერთი ასეთი ოქმი და წყალობის წიგნი გვიბოძეთ, რომ მუდამ ამ შფოთისაგან განვთავისუფლდე, ისინი დამეხსნან, რომ მუდამ თავს აღარ გაწწყენდეთ. აღიწერა აპრილის **ზ**, ქორონიკონს **უოა.**

თაეში

ქ. დედოფალი დარეჯან გიბძანებთ. მერე ამ სამღებროს საქმე მათის უმაღლესობისაგან გარდაწყვეტილი ყოფილა. ის სამღებრო [საკ]უთრათ ამ პაატას მამას ბ ა გ რ ა ტ ს უშოვნია და წიგნში მარტო ბაგრ[ატ] წერია. როგორც ბატონის ბძანებ[ი]თ საკუთრათ ამ პაატას მისცემია და ბატონი[ს ოქ]მიც ასე აცხადებს. ჩვენც ამ პაატასათვის დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია. აპრილის **ით**, ქორონიკონს **უოა.**

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

621. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა ყმის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 26 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4803. დედანი. ქაღალდი. 23,8×13,2 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს ლ უ ა რ ს ა ბ ო ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ს.

მერე ამას მოგახსენებთ: ერთი ნასყიდი კაცი მყვანდა; ორნი ძმანი გახლავან, რომ ნასყიდობის წიგნიც ხელთ მიჭირავს და მოსთაბარი მოწმე[ე]ბიც მიწერია. ახლა ის ერთი ძმა აყრილა და ნ ი ა ხ ურ ა ზ ე დ ჩამოსულა.

მოწყალეობას ვითხოვთ, რომ ერთი ოქმი გვებოძოს, რომ ის კაცი არ დამეკარგოს. მოგეხსენებათ, ჩ ა ლ ა უ ბ ა ნ ი ასე სავსე ქვეყანა არ არის, რომ კაცი არ და[ა]კლდეს. აპრილის **კე**, ქორონიკონს **უოა.**

თაქმი

ქ. ჩვენი ბძანება არის გ ა რ ს ე ვ ა ნ ეშიკაღაბაშო! მერმე ლუარსაბს რომ თავისი ნასყიდი კაცი აყრია და ნიახურაზედ მოსულა, ეს უნდა აუყრევინო და მიაბარო და თუ საბუთიანი სიტყვა ქონდეს რამე, მასუკან ჩვენ მოგვახსენოს. აპრილის **კვ**, ქორონიკონს **უოა.**

ქ. ნიახურას აშენება მინდა, მაგრამ უსამართლობა ვერ აშენებს, ისევ სამართალი უფრო ა[ა]შენებს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

622. არზა მურვანიშვილებისა მამულის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

1788 წ. 16 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6748. დედანი. ქაღალდი. 22,5×14,5 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მ ე ფ ი ს ძ ი ს ი უ ლ ო ნ ი ს ჭირი მოსცეს მ უ რ ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ს.

ქ. მამათქვენი რომ გაგვიწყრა იმ ჟამათ ჩვენს ყმას ჩვენგან შიცემული სამი დღის მიწა ჰქონდა, სიმინდი იდგა, სანახევროთ ეჭირა. ახლა ის ნასიმინდვარი მოურავმა მოხნა თავისთვის.

ახლა წყალობას ვითხოვთ, რომ რაც იმაში დახარჯოდეს, ჩვენ შივართმევთ და ის უანა ჩვენ დაგვანებოს. მოუსავალი კაცი ვართ, მოსავალი არა მოგვდის რა, არაფერი მოსავალი არა გვაქვს რა. **შაის[ის] ივ**, ქორონიკონს **უოა.**

თაეში

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებ სურამის მოურავო ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ო ბ ე რ ო!

მერმე ამ არზით მურვანიშვილებს ასე რომ მოუხსენებიათ, ამ სამის დღის ნახნავზე რაც დაგეხარჯოს, უნდა მურვანიშვილს გა-

მოართვა და ყანა ამათ უნდა დაანებო. მამაცაშვილო დათუა, ეს ასე უნდა გაარიგო. მაისის **ივ**, ქრონიკონს **უოა**.

ბჭედი: ქ. ღთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

623. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით

1783 წ. 15 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hქ 445. დედანი. ქაღალდი. 18×15,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. არზის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ქ. ღმერთმან ბატონის მსაჯულთ[1] ჰირი დავითიშვილს ზაალს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ: შარშან რომ მე და ჩემი ბიძაშვილი ბაღათარის საქმეზე გავისამართლეთ[2] და ჩემს მოსაცემს ორს ბიჭს არის რომ უნდა მოეყვანა და რაც თეთრი განიჩინეთ რომ უნდა მამცეს, ესენი არცერთი მამცემია.

და წყალობას ვითხოვ, რომ თუ სამართლით მოსაცემს იყოს, მოაცემინოთ. ეს წელიწადია ბიჭების სამსახურიც მაკლია და თეთრიცა. თიბათვის **ივ**, ქრონიკონს **უოა**.

თავში

ქ. საქართველოს მსაჯულთშეკრებულება მოგიწერთ ხერხეულიძე ავთანდილ! მერმე შარშან რომ ზაალ და ელისბარ ჩიოდნენ და ამათი განჩინებას ვარჩევდით, ელისბარმა თქვა: საერისთოს და კახეთში ორი კაცი არისო, იმათ მე მოვგვრი ზაალსაო და მივაბარებო.

ახლა შენ ამას გწერთ: ან ის კაცნი საერისთოდამ მოუხმევინე ზაალს და იმ კაცების მზგავსი კაცნი მოაცემინე. და ზაალს რომ თეთრი გასვლია მამულის გამოტანაზე, იმ თეთრის მეოთხედი ახლავ ელისბარს გამოართვი და ზაალს მოეც. მთიბათვის **იე**, ქრონიკონს **უოა**.

სამი ბეჭედი: 1. მზეჭაბუკ
2. მოხა ღთისა მდივანბეგი თემურაზ
3. ჟამი ესეცა წარვლის.

[1] მსარჯულთ. [2] გავიასამართლეთ.

624. არზა იულიოს ნიჭოზელისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1783 წ. 17 მაისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2404. პირი, ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს მათს მარადის მლოცველს უღირს ნიქოზელს იულიოსს.

რადგან თქუენის უმაღლესობისაგან და თქუენის ძმის მისის უწმიდესობისაგან ჩემზე უღირსი მოწყალება მოვიდა და ჩემი ნიქოზლად დადგინება ინებეთ, ყოველივე ჩვენი საქმე თქუენს უმაღლესობას უნდა მოკსენდეს და თქუენის მოწყალებით ჩვენი საქმე უნდა წარიმართოს.

ასე გაკრებული სადმე არის ის ეკლესია, არაფერი არღარა შეურჩენიათ რა. რაღაც მამულის წიგნები ჰქონია, ისიც სულ ფავლენიანთ წაუღიათ; მეც აქავ წინააღმდგომს სიტყუას მელაპარაკებიან: იმ ეკლესიის ყმა და მამულიო და ვინც იქ ეპისკოპოსი დაჯდება, ჩუენი არისო, ჩუენ უნდა ვამსახუროთ ყმა და მამულიო; ესეც, დიაღ, ნაკლებობა მოგვივიდა ჩვენ, რომ კრებაში ჩუენც არ დაგვისწრესო, ჩუენ შეუტყობრივ ეპისკოპოსი დაგვისუესო.

ჩემო კელმწიფევ, როგორც ერთი უბრალო ხუცესი ჰყოლიათ მონებას ქუეშ, მე ისე მამყოფებენ. ღმერთი უმეტესად აღამაღლებს თქუენს უმაღლესობას და იმათს მონებას ქუეშ ნუ მამყოფებთ. თქუენის შვილების სადღეგრძელოდ.

თუ ეს წყალობა დამემართება, რომ იმათ თავისუფლდე, ღმერთმან ჩემი თავი თქუენის ჰირის სანაცლოდ ამყოფოს. თუ იმათს მონებას ქუეშ ვიქნები, ჩემგან, დიაღ, შეუძლებელი საქმე იქმნება. მე თქუენს მეტი იმ ეკლესიის პატრონი არავინ მგონია და ღმერთმან ნურც არავინ ამყოფოს.

მე თუ თქუენი წყალობა არ დამემართება და ან თქუენი საფარუელი ჩემზედ შემწედ არ იქნება, მე იმ ჭვეყანაში მისულა და გაძლება არ შემიძლიან. ამისთვის, რომ ჯერ არ მივსრულვარ, აქავ მაწუხებენ. რომელიც თქუენმა უმაღლესობამ და ან თქუენის ძმის მისმა უწმიდესობამ ინებოს, ჩემი საქმე ისე განაგეთ.

თქუენს უმაღლესობას და თქუენის ძმის მისის უწმიდესობას ვევედრები: ერთი ოქმისა და ერთი იასაულის წყალობა მიყოთ, რომ რაც რამ იმ ეკლესიისა იყოს, ნუსხით მომბარდეს, ჩემო კელმწიფევ. მაისის **ვ**, ქრონიკონს **უოა**.

თავში

ქ. ყოველად სამღუდელო უფალო ნიქოზელო იულიოს! ამ არზით ასრე როგორც მოგიხსენებია, ღმრთის მოწყალებით ჩუენ ყველამ ასრე უნდა ვიცოდეთ, რომ ქრისტეს მოსვლისა და ამაღლებას უკან, ყოველნი თავისუფალნი ვართ, იმისი ნასყიდნი ვართ და ყოველის მონებისაგან თავისუფალნი ვართ ყოველნი. და უმეტესად შენ რომ ეპისკოპოსი ხარ და რათ იქნები სხვის მონებას ქვეშ? შენთან საქმე არა აქვსთ რა. და ვერცა რაზედ შეგაწუხებენ.

და თუ რამ იმათ სიტყუა აქუსთ და ან წიგნები და განწესება აქუსთ რამე, ჩუენთან მოვიდნენ, ჩუენ გვაჩვენონ და რომელიც რიგი და სამართალი იქნება, ჩუენ განუწესებთ. უბრალოთ და უსამართლოთ ნურაზედ შეგაწუხებენ, თორემ იცოდენ დიდათ მოვკითხავთ. მაისს **იზ**, ქორონიკონს **უოა**.

ფავლენისშვილებო! თუ სიტყვა გაქვსთ რამე, ჩვენთან ელაპარაკენით. და თუ სიტყვა არა გაქვსთ რა, დაეხსენით და ნუ გააშფოთებთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჰმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

625. არზა გოსტაშაბისშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 19 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6028. დედანი, ქაღალდი. 22,5×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ჰირი მოსცესთ ერთობით გოსტაშაბისშვილებს.

მერმე ამას წინათ არზი მოგართვით და ზემო წერაქვის თაობაზედ მდივანბეგს ვუჩივლეთ. იმ ხანად ერასტი ქვევით გაგზავნეთ, და ჩუენ გვიბძანეთ: ახლა ჯარიანობა არისო და თქვენც მოიცადეთო.

ახლა სულ ყველანი აქ გახლავართ და მოწყალებას ვითხოვთ, ერთი იასაული გვიბოძოთ და თქვენს სამართალში თქვენს სადღეგრძელოთ გვალაპარაკოთ. თუ რაც არზით მოგვიხსენებია, ან იმაში ერთი რამ ტყუილი მოხსენება იყოს და ან გავმტყუნდეთ, იმის გარდა ერთი იმოდენი სოფელი კიდევ სხვა გამოგვერთოს; თუ არადა, სამართალი გვაღირსეთ. გევედრებით, რომ თქვენის სამართლისაგან

უსამართლოს ნუ დაგვაგდებთ, რომ ჩვენი საძკვიდრო მამული უსამართლოდ არ წაგვერთოს. ივნისს **თ**, ქორონიკონს **უოა**.

თაეში

ქ. ჩვენი ბძანება არის ყორიასაულბაშო ზაალ! მერე ამ არზის პატრონები და ამათი ძოდავე ჩვენს სამართალში უნდა ალაპარაკო. მთიბათვის **ით**, ქორონიკონს **უოა**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჰმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

626. არზა იასე ფავლენიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1783 წ. 2 ივლისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 203. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[134 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მოსცეს იასე ფალავენიშვილის ყმას გილასშვილს თამაზასა.

მე იმერეთს გახლდი ავის დროს მიზეზით. ჩემი ბატონები წვრილები გახლდნენ. ამისთანას უპატრონობით მაჩაბლის ყმამ გიუნაშვილმა შედანამ მძლავრობით[1] ჩემი ვენახი დაიჭირა.

მოწყალებას ვითხოვთ: ერთი ოქმი და იასაულის [წყალობა მოგვცეთ], რომ ჩემი სამკვიდრო მამული მე დამანებოს. და თუ სიტყვა ქონდეს, სამართალში მამყვეს. მაისის **კ**, ქორონიკონს **უოა**.

თაეში

[134] ჩვენი ბრძანება არის ხერხეულიძე ივანეს: მერე ამ არზის პატრონი მაჩაბლის კაცს რომ ვენახზე უჩივის, თუ სამართლიანი სიტყვა არა ჰქონდეს რა, ამას თავის ვენახი და[ა]ნებოს; და თუ სიტყვა ჰქონდეს, ორნივ სამართალში მოიყვანე. მკათათვის **ბ**, ქორონიკონს **უოა**.

[1] მძლავრობით.

627. არზა თამაზა ლოგაურიძისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1793 წ. 2 ივლისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 154. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[103 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს იასე ფალავანისშვილის ყმას ლომაურიძეს თამაზასა.

კვანჭახაძემ პეტრემ თორმეტი დღის მიწის ნასყიდობის წიგნი დამტყუა, არც ფასი მამცა და არც მიწა.

მოწყალებას ვითხომთ: ერთი იასაული და ოქმი მებოძოს, ან როგორც ღირდეს ჩემი მიწა, ის ფასი გამომირთვას და მამცეს, ან ისავ ჩემი მიწა მოაცემინოს. ამისი სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებთ. მაისი **იზ,** ქორონიკონს **უოა.**

თავში

ჩვენი ბძანება არის ხერხეულიძე ივანე! მერე ამ არზის პატრონი კვანჭახაძე პეტრეს რომ უჩივის, თუ სამართლიანი სიტყვა არა ჰქონდეს, ამისთვის ან თავისი მამული მოაბარებინე და ან ღირებული ფასი მოაცემინე. და თუ სიტყვა ჰქონდეს, ორნივე სამართალში მოიყვანე. მკათათვის **ბ,** ქორონიკონს **უოა.**

628. არზა იოანე გედეონიშვილისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 29 ივლისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 20. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[21 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონას გედეონიშვილს სარდარს იოანეს.

მათს უმაღლესობას ამას მოვახსენებთ, რომ ჩვენს მამულში გოროვნის მამულში რუსხმულს აქეთ ზერაბ ზედგინიძეს უხნავს და იმის ღალას გევედრებით, რომ ან ეკლესიას არ დაეკარგოს და ან ჩვენ. ჩვენო ხელმწიფევ! ეს მამული ძველადგანვე გამიჯნული და განრჩეული არის გუჯრით, ძველადგანვე მუხრანის[1] ბატონს კონსტანტინეს იმდენი კაცი ესახლა და ერთსაც ჩვენი მამული ერთის დღის მიწა არ მოუხნავს. მართალია, ბიძაჩემ[მ]ა გაბრიელ სარდალმა ზედგინიძე[ი]ობს ერთი ჴოდაბუნი ათხოვა, მაგრამ მამაჩემმა პეტრემ ღალის გამოურთმევლობა მაშინც არა ქნა, რომ ბოლოს არა თქვანო, რომ გეიხნავს და ღალა არ გვიძლევიაო. ეს საქმე მუხრანის[1] ბატონს იოანეს [22] მოვახსენე და ასე მიბრძანა: ეკლესიის მამული არის და ვერ გაგერევიო, შენ იცი და ამ შენმა ნათესავმა — ჩემმა სალთხუცესმა როგორც მორიგდებითო.

ჩვენო ხელმწიფევ! თავს ამისთვის გაწყენთ, რომ ამგვარი საქმე რომ ხან გამოვლით დარჩეს ღალააუღებელი ბოლოს ამ გვარის კაცისაგან ეკლესიის მამულზედ ლაპარაკი და დავა იქნება, თორემ ამაში სიხარბე არ ურევია, ჩვენია.

და სამართლიანის საქმით ერთის ოქმის და იასაულის წყალობა გვეყავით, რომ რაც ჩვენის მამულის მიწა მოუხნავს შერაბ ზედგინძეს, იმისი ღალა უკლებლად მოგვცეს. და თუ სიტყვა ჰქონდეს რაშე და ილაპარაკებდეს, თქვენ მოგვახსენოსთ. მკათათვის **კე,** ქორონიკონს **უოა.**

თავში

ეშიკაღათბაშო დიმიტრი! ამაზე ერთი იასაული განაწესე, რაც სამკხეთოს მამულში მუხრანელთ და ან სხვათ ყანა ან ფეტვი ედგასთ, სამართლიანი ღალა უკლებლად გამოურთვას და მოაბაროს. ეს მისის უწმინდესობის სარდალი იოანე ამ არზით ასე რომ ჩივის, თუ ეს ასე არის, თავეთის მიწების ღალას რას ემართლებიან, რომ არ მოსცენ. აღიწერა ივლისის **კთ,** ქორონიკონს **უოა.**

თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს, მოგვახსენოს ალბათ.

ეშიკაღასბა[ში] დიმიტრი მოგახსენებს, ძმაო ბატონო, თურე* გიორგი, მერმე ამ ბატონის ოქმში როგორათაც ბატონის ბძანება ეწეროს, შენ ისე უნდა აღუსრულო. მარიამობის **გ,** ქორონიკონს **უოა.**

629. არზა ლავრენტი ბერძნისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 5 აგვისტო

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3019. დედანი. ქაღალდი. 21,8×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მარად მლოცველს საცოდავს ბერს ბერძენ ლავრენტის.

[1] მუხნარის.

[1] მუხნარის.

* ტექსტი დამახინჯებული ჩანს.

ჩემო კელმწიფევ, ბერძენი აჯი იოანე რომ იყო ექიმი და თქვენი ჭირის სანაცვლო შეიქნა, ერთხელ-ორჯელ მოვიდა შემომეხვეწა, რომ ვისაც წამალს ვუშვრები, ამ თავით არას მაძლევენო და არც ფული მაქვს, რომ წამალი გავაკეთოო.

ერთხელ თერთმეტი აბაზი მივეც, ერთხელ თვრამეტი აბაზი მივეც. ასე მითხრა: ამით წამლებს გავაკეთებო, ეუწამლებო და საეჭიმოს რომ მომცემენ, შენსაც ისევ მოგცემო. ამაობით დამტყუა. ის ხომ ჭირის სანაცვლო გაგიხდათ და, რადგან ტერგაფრიელას შვილობილი იყო, მიველ, იმასა ვთხოვე და არა მომცა რა.

ღმერთი გადღეგრძელებსთ, ჩემი მთხოვრობით ნაღვაწი ის იყო და გეევედრები, რადგან ტერ გაფრიელა არის იმისი ვარისი, იმას ებძანოს, რომ ჩემი ოცდაცხრა აბაზი მამეცეს, თქვენს სადღეგრძელოდ. აგვისტოს ე, ქორონიკონს **უოა.**

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის ტერ გაბრიელ! ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, რადგან ბერძენი აჯი იოანეს ვარისი შენ ხარ, ეს ოცდაცხრა აბაზი ახლავ შენ მოეც ამ არზის პატრონს. აგვისტოს ე, ქორონიკონს **უოა.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძველ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

630. არზა იგრიაშვილის ქვრივისა გზის თაობაზე
ანტონ I-ის ოქმით

1788 წ. 18 აგვისტო

ცსაა. ფ. 1448. საბ. № 4956. დედანი. ქაღალდი. 33,5×10,7 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად აღგილ-აღგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან უწმინდესის პატრიარხის, მეფის ძის ჭირი მოსცეს იგრიაშვილის ქვრივსა და ობოლს.

მერე ამას მოვახსენებ, მოურავის მამისაგან მამული აქვსთ ნასყიდი ბატონ ჩემებსა; და ის ერთი პატარა ვენახი ჩვენთვის მოუციათ. ახლა საითაც იმ მამულის პატრონს საბძელი და კალო ჰქონია, იქით გზა შეუკრა პატარქალაშვილმა. რა ჭარიდამ გამოაქციეს, მას აქეთ იმ მამულს ვმუშაობ და გზაც იმაზე მაქვს. რასაც დღეს ჩემი პატრონი თქვენის ჭირის სანაცლო შეიქნა, მაშინვე ნარგილები ჩა[ა]ხსნა და გზა შემიკრა. იმ მამულის პატრონი ოთხმოცის წლის კაცი იყო, გამოვიდა და სოფელს შეფიცა, რომე ამაზე

მქონდა კალო-საბძელი და გზაო. მივიდა ნინია მოურავიშვილმა, შეუტივა და მაშინვე უკუათქმევინა. ღმერთი გადღეგრძელებს, მამული მიხდება და სამართალი მაღირსეთ.

თავში

ქ. იასაული ზურაბაე! მერმე პატარქალასშვილს იგრიასშვილისათვის ვენახის გზა რომ შეუღობავს, თუ პატარქალასშვილებმა დაიფიცონ, რომ ამაზედ იგრიასშვილს გზა არა ჰქონიათო და ჩვენი არისო, ხომ პატარქალასშვილებს დარჩება. და თუ ვერ შეჰფიცეს, ისევ ამ იგრიასშვილს, რაც გზა ჰქონიათ, იმაზედვე უნდა იაროს, ველარ დაუშლიან. აგვისტოს **იდ,** წელსა **ჩლპგ.**

ხელთაა: კათალიკოზი

verso

ქ. მე, იასაული ზურაბა, ბატონის ბძანებით ამისი გამრიგე და მოწამე ვარ, რომ პატარქალასშვილებს რომ ფიცი დაადვა ბატონმა, ვერ დაიფიცა და სამართლით გზა იგრიაშვილს დარჩა. აგვისტოს **იწ,** ქორონიკონს **უოა.** †

631. არზა თუმანიანთა ეკლესიის აზენაგის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1783 წ. 29 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 154. დედანი. ქაღალდი. 33×15 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია თითო ან ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს ეროობ თუმანიანთ.

ამას წინათ გორს ჩუენის სამკუიდრო პატარა ყოელად წმიდის ეკლესიის საქმეზედ ზაალ თაყინაშვილისაგან საჩივარი მოგახსენეთ; ოქმი გვიბოძეთ და ზაალ დაიბარეთ, ზაალც აქ გიახლათ.

ჩვენ ასე გვეწადა, რომ სამართლიანის საქმით ერთმანერთთან მოვრიგებულვიყავით და თქვენთვის თავი აღარ გვეწყინა; მაგრამ აღარ მოხდა და აღარც იმ ჟამად ზაალმა მოიცადა, რომ სამართალში გაგვეცილო.

გორს წავიდა და იქ პატარა ტერ-საჰკამ გორელები შეკრიბა და ასე გამოუცხადა: რადგანც თუმანიანი ამ თავიანთ საყდარზე გველაპარაკებიანო, ჩვენ იმათის შურით სხვა ეკლესია ავ-

შენოთო, სამღთო და საერო ხალხი ჩვენს აშენებულს საყდარში შევიდეთო და ის თავიანთ ეკლესია გაუქმდესო[1].

აქ გასინჯეთ იმათ უსვინდისობა, რა განუზრახავთ! აშენებულის ეკლესიის გაუქმება და გახარაბება მიკვირს ღთისაგან ვითარ არ შეიკდიმეს, და ყველამ თავ-თავის ნებსით, ვის რა ემეტებოდა, თეთრის დადება აღთქვეს, რომ ეკლესია ააშენონ; და ეკლესიის აშენებასაც იქავ ჩვენის ეკლესიის ახლო აპირებენ.

ქ. როდესაც იქ ეკლესია აშენდება, ჩვენის შურით ჩვენს ეკლესიაში გორელები ხომ აღარავინ შემოვა და სოფლებიდამ მლოცავიც აღარავინ მოვა და ის ეკლესია გაუქმებული და გახარაბებული შეიქნება. ამათი ქცევა და ყოფა მოგეხსენებათ, თუ ღვთის სათნოთ შვრებიან და შურით არ ჩადიან.

ქ. გორს ორი-სამი ეკლესია არის, რომ საძირკვლები ჩაყრილია და ისე ბარაბათ არის; იმაში რომელიც უნდოდესთ, ის გააკეთონ, რომ ღვთის სათნოც იქნება და უშფოთვარიც იქნება.

ამაზედ ბევრი რიგი საჩივარი გვაქვს და თქვენც მოხსენებული გაქვსთ. მაგრამ მშვიდობისათვის არ ვა[ა]ხლებთ, მაგრამ ესენი კიდევ არ ისვენებენ.

ქ. ამ მოწყალებას ვითხოვთ: ერთი ოქმი გვიბოძეთ აქა მყოფს წინამძღუარზე, რომ დეკანოზები შემოჰყაროს და ეს ჩვენი საჩივარი გაშინჯონ: თუ ან სჯულიერის კანონით, ან ქვეყნიერის სამართლით ეკლესია ერთი მეორეზედ შურით აშენდება, ან ისე ახლო აშენების რიგია და ან სამრევლო მოეშლება და გამოეწირება, ესენი გასინჯონ და წერილით მოგახსენონ. აგვისტოს თ, ქორონიკონს უოა.

თაეში

ქ. ჩვენ მაგიერად არაჯნუართს კარაპეტს ასე უამბეთ: მერე ამ არზის პატრონებს რომ ასე მოუხსენებიათ, ქალაქის დეკანოზები შენთან დაისწარ, ამათი სამართალი ჰეშმარიტებით გამოიძიეთ და განაჩენით გარდუწყვიტეთ, რომ სადაო აღარ ჰქონდესთ რა. აგვისტოს კთ, ქორონიკონს უოა.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] გაუქმნდესო.

632. არზა გიორგისა და ოქრაშვილებისა ყმობის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1783 წ. 8 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბუთი № 2559. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქემწიფის ჰირი მოსცეს ჯავახეთიდამ გადმოსულს გიორგისა და ოქრაშვილებს ბოდბისჴევში მსახლობელთ.

იოვანე ბოდბელმა იქ დაგვასახლა და წმინდა ნინოსაც ვეყმევით, საწირავიც მივართვით ბოდბელს. ამისი მოწმენი: ბაღაშვილი მღდელი ათანასი, ლოლაშვილი მეულუფე ჯევის ქემხა და ნაცვალი მოწმე[ე]ბი არიან, რომ წმინდის ნინოს ტაზარს ქვეშ დამიდია და გვიმსახურნია იოვანე ბოდბელს აქეთ. თქუენს სადღეგრძელოთ თქვენც შეგვწირეთ, ყმანიც ვართ საყდრისა.

ენკენისთვის ჱ, ქორონიკონს უოა.

თაეში

ქ.ჩვენი ბძანება არის თარიმან ქემხავ. მერე ამ არზის პატრონს ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ეს რადგანც პირველად ბოდბეს მოსულა და თავისი თავი წმინდის ნინოს ეკლესიისათვის შეუწირავს, ამ კაცს ჩვენ ვერ გამოვართმევთ, წმინდის ნინოს ყმა არის. ჯელი აიღეც, დაეხსენ. ენკენისთვის ჱ, ქორონიკონს უოა.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

633. არზა ფრიდონაშვილის ჟვრივიჩა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1783 წ. 8 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2730. დედანი. ქაღალდი. 29,3×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. » დაიწყალა.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ბებურის ყმას ფრიდონაშვილ[ი]ს ქვრივსა და ობოლს.

მერე ჩემს განაყოფს მამული მ[ი]ვეც და სახლის ალაგი გამ[ო]ვიცვალე, შიგ რომ შეველი[1], ავაგე და სამჯერ თავზე დამაქცი-

[1] შეხელი.

ვა. დერეფანში ორმო მჭონდა და პური არ ჩამაყრევინა და ჩემი ქმარი ცემით მოკლა. ბანზე ურემს ატარებდა და ის რომ ურემს მაყენებდა ბანზედ, ჩვენ კარში გამოვცივდებოდით; ჩვენ რომ ხვეწნას დაუწყებდით, ის გვეტყოდა, ჩემი მამული დამიგდევითო. ავდეკით და გამოვედით და ჩვენი მამული კი აღარ დაგვანება.

მივედით და ოტია მდივანბეგთ[ან] ვიჩივლეთ. და მდივანბეგმა სოფლის კაცი შეყარა; და სამი კაცი კი და[ა]ფიცა და ამათ მოწმობას ერწმუნა; და განაჩენი მოგვცა. ეს განაჩენი რომ ავიღეთ, ბატონი ჩვენ[ი] ბებურ წვილით მოვიდა, ჩე გავ[ა]რჩევო. მოუხდა თავის ძმისწულები და ვენახი სისხლით ა[ა]ვსეს.

ამის სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. ენკენისთვის **ჱ,** ქორონიკონს **უოა.**

თავში

ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! ომანის შვილები ჩვენს სამართალში დავიბარეთ, მოვლენ და სამართალში ელაპარაკე, შენს განაჩენსაც მაშინ გავშინჯავთ და სამართალიც დაგემართება. ენკენისთვის **თ,** ქორონიკონს **უოა.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

634. არზა კალაურის მოურავის დედის მაიასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1783 წ. 14 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1361. დედანი. პოლონაკლული. ქაღალდი. 21×15,1 სმ. მხედრული. განკეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს კალაურის მოურავის ომანის დედას მაიას.

მერე ჩემო კელმწიფევ, ყოველი ქვრივი და ობოლი თქვენის მოწყალებით იზრდება. ამას [წინ]ათ არზი მოგართვით, რომ ჩემის სიძის იოვანეს კაცები იყვნენ თელავს გუგუნაშვილები და ის კაცები ჩემს ქალს უბოძეთ. ის კაცები ბატონისშვილს იულონს სვიმონ მდივანისათვის მიებარებინა და ამ მდივანმ[ა] არ დაგვანება.

ის ოქმი გრიგოლის ხელით გა[ა]ხელით და გრიგოლს დაეკარგა.

ამ მოწყალებას ვევედრები თქვენ ხემწიფობას, ის კაცები ამ ქვრივს უბოძოთ თქვენის შვილების სადღეგრძელოთ. მე ამ[ათ]თ შანახვის ილაჯი არა მაქს და ეს ასეთი ქ[ვ]რივი არ არი, რომ სხვა ბინა გაიჩინოს და ...*შევინახო. ის კაცები გაიყარნენ, ერთ[ი] ...* ვახლავსთ [და] ერთი ისევ...** [ამ]ის მოწყალება დაემართოს ამ ქ[ვ]რივს, რომ ეგება თქვენის მოწყალებით აღიზარდოს. ენკენისთვის **იდ,** ქორონიკონს **უოა.**

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად მდივანს სვიმონს ასე ეუწყოს: მერე ამ არზით კალაურის მოურავის ომანის დედას ციცისშვილი ნინიას ყმა გუგუნაშვილებისა რომ იმისივე ქვრივისათვის მიეცემა მოუხსენებ[ია], ეს გუგუნაშვილები ისევ თავისი მებატონის ნინიას ქ[ვ]რივისათვის გვიბოძებია, ამას მ[ოეც], სხვას არავის საქმე არა აქვს. ენკენისთვის .... ქორონიკონს **უოა.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულსი ერეკლე.

635. არზა დავით აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1783 წ. 14 სექტემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 5. ბირი. ქაღალდი. მხედრული.

[4] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს დავით აფხაზიშვილსა. მართალია, ძალა დამატანა თამაზ მოურავმა, ერთ თუმნათ ბედანაშვილის ბაგა გამომართვა გზას ქვევითა; გზას ზევით არც მიმიცია და ქვეყნის შარას რათ გავყიდდი. იმ ბაგაში ერთი თუმანი მამცა.

მოწყალებას ვითხოვ, რომ უსამართლოთ არ წამერთოს და არც წიგნში უწერია. ენკენისთვის **იე,** ქორონიკონს **უოა.**

წყალობას ვითხოვ--ერთი ოქმი მებოძოს.

---

* აკლია ერთი-ორი სიტყვა.

** ბოლო აკლია.

თაში

ჩვენ მაგიერათ ზაქარია მინბაშსაც ასე უამბეთ. მერე ის ნასყიდობის წიგნი უნდა გვიჩვენო, თუ რომ გზამდინ გიწერია, გზას აქეთ ვეღარ ეცილები, თუ იმ გლეხის მამული სრულათ გიწერია, იმ გზის იქითაც იმ კაცისა არის, მაშინ სიტყვა გექნება და არც გამოგერთმევა. თუ სიტყვა არა გქონდეს, დაგხსენ, ნუღარ ალაპარაკებ. და თუ სიტყვა გაქვს, მოგვახსენე. ენკენისთვის **იდ,** ქორონიკონს **უოა.**

636. არზა სულხან ბედნიერიძისა მამულის თაოვაზე მდივანბეგთა განჩინებით

1788 წ. 14 ოქტომბერი

ცსსა. ფონდი 1450. დაეთარი № 18. საბუთი № 29. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[არზა]

[83 V] ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ჭირი მათს მონას სულხან მეგთაბეგის ძეს მოსცეს.

ამას მოვახსენებ: ერთი ჩემი განაყოფი გახლავსთ გიორგის შვილი, იმან თავის ნებით მამული მომყიდა, ფასი გადამიწყვიტა. სიგელი თქვენის მოძღვრის ძმისწულს გაბრიელ მღვდელს დაეწერინა, თითონც დამიბეჭდა, თავის შვილსაც და[ა]ბეჭდინა და სარწმუნო მოწმე[ე]ბსაც თითონ და[ა]ბეჭდინა, მეც თეთრის თადარიგში შეველ, ვალი ავიღე, თეთრი მოუმზ[ა]დე.

ახლა ჩემი ბიძაშვილი სოლომონ მდივანი შესდგომია და [ა]მ გარდაწყუეტილს საქმეს ცდილობს რომ მამიშალოს. ამ წყალობას ვითხოვ, მდივანბეგებს ებძანოს, თუ საქართველოს სამართალის ბაღით ამგვარი გარდაწყვეტილი გარი[84]გებული საქმე მოსაშლელი არ იყოს, ნურც მე მომეშლება. აღიწერა აგვისტოს კე, ქორონიკონს **უოა.**

თაში

ქ. უფალნო მსაჯულნო! მერმე ეს მდივანი სულხან ასრე რომ ჩივის, როგორც საქართველოს განწესება იყოს ამ გვარის საქმისა, ამასაც ის სამართალი მოეცით. აგვისტოს **კე,** ქორონიკონს **უოა.**

[განჩინება]

ქ. ჩვენ, მსაჯულთ, ესენი ვალაპარაკეთ. სამართალში გამოჩნდა: სულხან მდივანს რომ ფარსადანის მამული უყიდია, ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს და სოლომანს მოციქული მიუგზავნიათ. სულხანს ეს პასუხი მიუცია: პატარკაცი ჰყიდის, თუ გინდათ, თქვენ იყიდეთ იმისი მამულიო* და თუ არ იყიდეთ, იმასაც მე ვიყიდიო. ოთხი თვე გამოსულა და ამ პატარკაცის მამულიც უყიდია. პატარკაცის მამულზე სახლისკაცებმა ლაპარაკი დაუწყეს. პასუხი ეს მისცა: ოთხი თვეა რომ შემოგი[ვ]თვალე, რატომ არ იყიდეთო; როდესაც მე ვიყიდე, წიგნი დავაწერინე, დავაბეჭდინე, ახლა რათ მეცილებითო.

ჩვენ, მსაჯულთ, სამართლის წიგნი გავშინჯეთ. სანატრელი მეფე ვახტანგ ბძანებს: მამულის გამსყიდველი იქნების დაჭირებული იყოს, იაფათ მიჰყიდოს, იქნება მსყიდველმა ძვირათ იყიდოს, მაგრამ რა დაიწერება და ხელი ჩაირთვის, რაგინდა ფასი მოუმატონ და [ა]ნ მსყიდველს აღარ უნდოდეს, ვერ მოშლიან**.

სომხური სამართალი ასე ამბობს: ფასი რომ გარდასწყვიტონ და ვერ მისცენ, ფასი თუ გარდაწყვეტილია, არ შეუძლიან გასყიდვა სხვაზე, სანამდინ ვისაც უწინ აძლევდა, იმისგან დასტური და წიგნი სახელდობით არ აიღოს***.

ამის გაშინჯულობით რადგან სულხანს ფასი გარდაწყვეტილი აქვს, პატარკაცისაგან წიგნი დაბეჭდილი, მიცემული სულხანს ხელში უჭირავს, ეს აღარ მოიშლებოდა. თუმცა ნათესაობა აქვსთ ამათ, მაგრამ ხუთი და ექვსი თაობა არის გაყრილნი არიან პატარკაცი და ესენი. მამულის პატრონს ვისიც ნება აქვს, იმას მიჰყიდეს, სამართალი ვერ დაუშლის. დარჩა სულხანს ეს ნასყიდობა. თუ უნდოდ[85]ათ, სულხანმა რომ შეუთვალა, ოთხი თვე გამოვიდა, მაშინ რომ ეყიდათ, სულხან ვერას შეუვიდოდა. ეს ნასყიდობა არ მოიშლება. დარჩა ეს ნასყიდობა სულხან მდივანს. ოქტომბერს **იდ,** ქორონიკონს **უოა.**

ქ. ჩვენ, მეფე საქართველოსი ირაკლი მე[ორე], ვამტკიცებთ. ღვინობის[თვის... ქორონიკონს] **უოა.**

* აქ სამი ბეჭედი უზის.

** შდრ. ვახტანგის სამართალი მუხ. 150.

*** შდრ. სამართალი სომხური მუხ. 14 (ქართ. სამართ. ძეგლები, I. გვ. 231).

[34] ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა — ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი, ვამტკიცებთ. კურთხეულის ბატონის მამის ჩვენისაგან გარდაწყვეტილი ყოფილა, ამაში არც ბეგთაბეგსა და არც იოანე მდივანს საქმე აღარა აქვსთ რა. და ვინიცობა არის აღარ გვახსომდეს და ოქმი მიეცეთ იმათა, ის ოქმი დაყენებული იქნება, ველარას ედავებიან, გადაწყვეტილი არის.

მაისის **იბ**, ქორონიკონს **უპზ**.

637. არზა ბეჭან ზანდუკელისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

1788 წ. 24 ნოემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 13. საბუთი № 77. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[69] ღმერთმან ყოვლად მოწყალის ვახტანგ ბატონიშვილი[ს] ჭირი მოსცეს თქვენ აზნაურშვილს ზანდუკელს ბეჭანს.

მერე ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს. ღმერთსა ვფიცავ, რომე გაყრილი არის შავი ბიჭი გიორგისა. მეც ამას გეუედრები, ნუ მიზამ, მეც დამარჩინეთ იმ ადგილიდამ. თუ ამ მიზეზს მიდებთ, რომე შენმა ძმებმა ჩემი სიტყვა არ ისმინესო, მე გეუედრები იმ მამულის წყალობას, ვითამ გაყრილი ვყოფილვარ ჩემის ძმებისა.

მერე ბაბანამ მოგახსენათ და სა[ა]მმა, რომ გაყრილი ყოფილა. ანანურის დეკანოზმაც მოგახსენათ, რომე გაყრილი ყ[ო]ფილა. თუ ახლა ამას არ მოიხსენეფთ, ავთანდილ ბოქოულთხუცესი გახლავსთ და იმასა ჰკითხეთ. თუნდა შავი ბიჭის ყმები დაიბარეთ ორიოდ-სამნი და იმათა ჰკითხეთ — გაყრილი ყოფილა თუ არა. ბეითალმნათ დადეგით, ნურც მე მაჭმევთ და ნურც იმასა, ის მამულიც თქვენთვის და ჩემი თავიცა. მე მან[ამ]დისე პირში სული მიდგა, თქვენი მომშორებელი არა ვარ. თუ მაქვს რამე, თქვენიც შესამატია; და თუ არ მაქვს რა, თქვენ უნდა გაწუხებდე. და ნება თქვენი არის. მოხსენე[V]ბისათვის ნუ გამიწყრებით. გიორგობისთვის **კბ**, ქორონიკონს **უოა**.

თავში

[62 V] ბატონიშვილის ვახტანგის კეთილად სახსოვარნო სამოურავო და ფირან შაბურიშვილო და პატიოსანო მღვდელო ზოდიკე და ანანურის დეკანოზო! ღმერთს გაფიცებთ და თქვენს სარწმუნოებას, ღმრთის წინაშე სწორეთ როგორც იცოდეთ, ისე ჭეშმარიტი მოწმობა მოგვა[63]ხსენეთ — შავი ბიჭი გაყრილი ყოფილა გიორგისა, თუ არა. ეს ასე თუ იცოდეთ, თქვენ იცით და თქვენმა ღმერთმან; როგორც იცოდეთ, ისე მოგვწერეთ. ნოემბერს **კდ**, ქორონიკონს **უოა**. ის რომ მოკვდა, იმათ მამული გაყრილი ჰქონდა და თუ შეყრილი.

კიკოლავ სიღირიშვილო! მერე შენ უნდა წახვიდე არაგვს და ღვთის წინაშე როგორც მოწმობა იმათ იცოდნენ, ისე უნდა მოაწერინო და ჩვენ მოგვართვა. და ჩვენ მაგათ მოწმობაზედ უზამთ სამართალს. მაგათ იციან და მაგათმა ღმერთმან.

ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი მოსცეს თიულეთის მოვრავს სა[ა]მსა. ეგ კაცი ცალკე მოვიდა გაყრილი იყო და მასუკან ცოლ-შვილი მაგან შაიყვანა და შაინახა; და გაყრილი კი იყო; ცოლ-შვილიც მოკ[ე]და და მაგან დამარხა. სხვისა არა ვიცი, შენი ჭირიმე.

ღმერთმან მეფის ძის ვახტანგის[1] ჭირი მოსცეს დავით დეკანოზს და ზოდიკესა. ღმერთს [ვ]ფიცავ[თ] და თქვენ თავს, რომ გაყრილი იყო, დამა[რ]ხვით[ა]ც მაგან დამარხა. სხვა ამის [არა] ვიცით.

638. არზა ოსეფა ნაზარბეგის შვილისა სახლის მიცემის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 4 იანვარი

ცსსა. ფონდი. 1450. დავთარი № 5. საბუთი № 180. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[187 V] ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი ნაზარბეგის შვილს ოსეფას მოსცეს.

გებძანებიათ: გურგენას ერთი ამოწყვეტილი ანუ გაქცეული კაცის სახლი მოეცითო. ჩემო კელმწიფევ მოგეხსენებათ ქალაქში ავრე ამოწყვეტილი და გაქცეული კაცი არ იქნება, რომ ან განაყოფი ანუ მოყვარე არა ჰყვანდეს. მაგრამ ერთი თქვენი ყმა დადაშანთ გასპარა ყოფილა, ქალაქიდამე გაქცეულა და იქ ამოწყვეტილა. იმას ერთი სახლი აქვს სხვასთან გირაოდ, რომ

[1] ვაღტგის.

გირაოს თეთრ[ს] გარდა სახლზედ სხვა დანახარჯიცა აქვსთ. თუ თქვენი ნება იყოს, ეს გასპარას სახლი უბოძეთ, რაც საბუთიანი ვალი იყოს, გურგენამ გარდაიხადოს და ის სახლში დადგეს. თუ არა, სხვა სახლი არა ჩანს ამ თარიღში, ნება თქვენი[1] აღსრულდეს. ერთი მცირე სახლი გახლამთ და თქვენის განაჩენის ძალით გაქცეულის კაცის სახლი თქვენი არის, არც განაყოფსა აქვს საქმე და აღარც მოყვრებსა. ახლა შეეიტყევით, რომ მალვით თავის განაყოფს ჰქონია გირაოთ და გამოვართვით. ამას მივეცით თქვენის ბძანებით და ნება თქვენის უმაღლესობისა აღსრულდეს. დეკემბრის **კვ**, ქორონიკონს **უოა.**

თავში

ჩვენი ბძანება არის მელიქო ა ვ ე ტ ი ქ და მებეითალმნევ ნაზარბეგის შვილო ო ს ე ფ! ნერმე ეს დადაშანთ გასპარას სახლი ამ გურგენასათვინ გვიბოძებია და ამას მოაბარეთ. იანვრის **დ**, ქორონიკონს **უობ.**

ჩვენ, სრულიად საქართველოს დედოფალი ბატონის დადიანის ასული პატრონი[2] დარეჯან, ამ წყალობის წიგნს ვამტკიცებთ.

ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი [188] გ ი ო რ გ ი, მისის უმაღლესობის ბატონის მამის ჩვენის ბძანების ამის თანამოწამენი ვართ. იანვრის **ჱ**, ქორონიკონს **უობ.**

ჩვენ, საქართველოს მ ე ფ ი ს ძე ი უ ლ ო ნ, თანამოწამე ვექმნებით ბატონის ბძანებასა. იანვრის **ია**, ქორონიკონს **უობ.**

ჩვენ, სრულიად არაგვის საერისთაოს მპყრობელი ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ, ამ ბატონის მამის ჩვენისაგან ნაბოძების ოქმის თანამოწამენი ვართ. იანვრის **ია**, ქორონიკონს **უობ.**

ჩვენ, სრულიად არაგვის საერისთაოს მპყრობელი ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი მ ი რ ი ა ნ, ამ ბატონის მამის ჩვენისაგან ნაბოძების ოქმის თანამოწამენი ვართ. იანვრის **ია**, ქორონიკონს **უობ.**

[1] თქვენია. [2] ასული პატრონი] ასულმან პატრონმან.

639. არზა შიო გუნაძისა მამულის თაობაზე ვახტანგ გაბონიშვილის ოქმით

1784 წ. 18 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 9239. დედანი. ქაღალდი. 20×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ძ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ჭირი მოსცეს მისის უწმინდესის ბიძითქვენის ყმას ბ უ ნ ა ძ ე შ ი ო ს.

მერე ქ ვ ა ფ თ ა ს სვეტისცხოვლის მამულში ორის დღის მიწას გვედავებოდა ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, ნასყიდი მაქვსო. მოვედით და მამათქვენს მოვახსენეთ. მისმა სიმაღლემ ოქმი გვიბოძა: თუ ნასყიდობის წიგნი აქვსო და ან მუთაბარი მოწამე მოიყვანაო, მაგისი იქნებაო; თუ არადა, ხელი არა აქვსო.

წამოვედით და ვერც წიგნი მოიტანა და ვერც მოწმე იშოვნა. და რამთენსამე ხანს ჩვენ გველჭირა. წამოვიდა კიდევ და ბატონს ღ ა ლ ა ტ ი **მოახსენა** და ისევ გამოგვერთო.

ახლა შარშან ოცი ძნა ღალა გამოვართვი და იმისი იასაული მაყენია და უკანვე მართმევენ. ამას გარდა, მისის სიმაღლის მამითქვენისაგან განაჩენი არის, რომ რადგან სვეტისცხოვლის მამული არის, თუნდა ალალი მონასყიდე იყოს, ღალა-კულუხი მაინც უნდა მოგვეცეს. ახლა ოცის ძნისთვის იასაული მიყენია.

ღმერთი გადღეგრძელებს, სამართალი მაღირსე. ქრისთიშობისთვის **კა**, ქორონიკონს **უოა.**

თავში

ქ. ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ გიბძანებ ამ არზის პატრონო! მერე როგორც მისის სიმაღლის, ბატონის მამის ჩვენის ოქმი აცხადებდეს, იმ მამულის ღალა-ეკლესიას ისე უნდა მიართო. იანვრის **იგ**, ქორონიკონს **უობ.**

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად ვ ა ხ ტ ა ნ გ ირაკლის ნაკვეთად.

640. არზა ზაალ ყაფლანიშვილისა ამა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 10 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2033. დედანი. ქაღალდი. 33,2×12,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩემის მოწყალის ჯელმწიფის შვილის ჭირი მოსცეს ყ ა ფ ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ს ზ ა ა ლ ს.

ახლა ამას მოვახსენებ, ჩემი საჩივარი პირველი ეს არის: დავით სარდლისაგან ჩემის სამკვიდროს ყმისა და მამულისაგან გამოძებული ვარ. რაც თითო-ოროლი ან მსახური მყუანდა და ან გლეხი ჩემი დაზდილი, ამ ექვს წელიწადს უწინ წამართვა. ან მე რაც მყუანდა და ან ჩემს აზნაურშვილებს, სულ იმას ყავს. ხუთი არზა ბატონსაც მივართვი და იმ კაცების ნუსხა მიბძანა — გაგირიგეფო, ჯერ არ გამრიგებია. ღმერთმან იმის მეფობა უმეტესად აღამაღლოს, სამი წელიწადია ვჩივი.

ისევ სარდალი ჩემს ღოლოვნის ნახევარსაც მართმევს. მისის სიმაღლის ბრძანება იყო, რომ ღოლოვნის ნახევარს ნუ იყიდისო. ნახევარიც იყიდა; ჩემი ნახევარშიც გავლა აღარ შემიძლია. ბრძანება ასე იყო: თავათ გოსტაშაბიშვილი ნუ გახყიდისო, თუ გახყიდისო, ვინც მონახევრე არისო, იმან უნდა იყიდოსო. არა ბეშველა რა; თუ იმან იქ ფეხი ჩადგა, მე კი უნდა გამოვეცალო.

გოსტაშაბიშვილის ერასტისაგან ღოლოვანს წისქვილი და ზვარი წართმეული მაქვს. მისს სიმაღლეს არზი მივართვი, ყორიასაულბაშს[1] ზაზაზე ოქმი მიბოძა: ან წისქვილი გამოურთვიო და ან თუ სიტყვა ქონდესო, ალაპარაკეო. არც წისქვილი დამანება და არც სამართალში მამყუა.

გარეთუბანს ბატონის ყაფლანის სასახლეს მართმევს ერთი მოქალაქის დედაკაცი; მისს სიმაღლესაც მოეხსენება, სამი წელიწადია ვჩივი და [ა]რა მეშველა რა. ჩემს ძმასთანა მაქვს ბევრი სალაპარაკო.

ამაების სამართალს ვითხოვ. ღმერთი ბედნიერს ჯელმწიფეს მამას უმეტეს აღგიმაღლებსთ, ჩემო მოწყალევ, ჯელმწიფის შვილო. აღიწერა ფებერვლის **ა**, ქორონიკონს **უობ**.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო ალმასხან, მერე დავით სარდალს ღოლოვნა რომ უყიდნია, ის იმას ვერ იყიდის; ჩვენ იმისთვის უწრინვე გვითქვამს და დაგვიშლია, რომ იმისი სყიდვა იმისგან არ იქნება და არც ვაყიდვინებთ. ჩვენის თავადიშვილისა და აზნაურშვილის მამულს სხვას არავის ვასყიდვინებთ; თუ გაჰყიდის, ჩვენ ვიყიდით.

ამას გარდა ვისაც სხვებს ამ არზით ზაალ ყაფლანიშვილი უჩივის, იმის სამართალი შენზე და მოსამართლეებზე დაგვიცს. მდივანბეგები და მდივნები შენთან დაისწარ და ამის სამართალი ისე უსაჯეთ. როგორც სამართალი საჯოთ, დასწერეთ და ჩვენც გვიჩვენეთ. აღიწერა თებერვლის **ი**, ქორონიკონს **უობ**.

[1] ყორეასაულბაშს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

მინაწერი: „№ 6 25—ოქმი ღოლოვნისათვის რომ მეფე ერეკლე ბრძანებს, არ უნდა იყიდოს დავით სარდარმა ნახევარიო.

ღოლოვნის თავობაზე ოქმი მეფისა. ქ[ა]კს. **უობ**.

641. არზა იოსებ მამაცაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 20 თებერვალი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 46. საბუთი № 70. პირი. ქაღალდი. მხედრული ხელი, საბუთები №№ 95 და 97).

[48 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს იოსებ მამაცაშვილს.

მერე ეს მეათე წელიწადია, რომ სარიდან მამაცაშვილის მამული თქვენგან გვებოძა ჩვენი ხელმწიფე დედოფლისა და ბატონისშვილების დამტკიცებით და გერმანე მროველის სიგელით.

მერმე ნაზირის შვილმა არძი მოგართვათ. თქვენ ეს წყალობა გვიყავით: ის მამული რომ თორმეტ თუმნათ გირაოთ არის, თუ იოსებს დახსნაში ორ თვემდინ მოუდგებით და ან რაც ამ მამულის გულისათვინ ჩვენს კარზედ დახარჯვია, იმას მოსცემთ, მამულიც სამათ უნდა გაიყოთ.

მე მესამედი მაშინვე დავიხსენ. ნაზირის შვილმა არც მე დამახსნეკინა, არც თითონ დაიხსნა; და ან რაც დანახარჯი მქონდა, არც ის მომცა. თავის სამკვიდრო რაცა ჰქონდა, ისიც სულ სხვის ყმებზედ დაყიდა.

ახლა თქვენი წყალობის წიგნებიც აქა მაქვს. წყალობას ვითხოვ, რომ თუ თქვენ ჩვენთვის ვერ მოიცლიდეთ, თქვენი წყალობის წიგნები ამილახვარმა გაგვიშინჯოს და თქვენი წყალობის წიგნები აღგვისრულოს. როგორც თქვენი წყალობის წიგნებში [49] ეწეროს, იმაზედ დაგვაყენოს. თუ თქვენს ბძანებას მე გადავსულიყო, ჩემი სამკვიდროც იმას ებოძოს; თუ ის გადასულიყოს და ნება თქვენია. თებერვლის **ბ**, ქორონიკონს **უობ**.

თავში

ბატონო ამილახორ-მდივანბეგო იესე, მერე ამ მამაცასშვილის იოსებისათვის თავის განაყოფის დაგირავებულის მამული[ს] დახსნა რომ გვიბოძებია, ის ჩვენი ოქმი გაშინჯე და როგორც იმაში ეწეროს, სამართლიანის საქმით ის აღუსრულე და გაურიგებელს ნუღარ დააგდებ. თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, თქვენთან ალაპარაკე და სამართლიანის საქმით გაასწორე. თებერვლის კ, ქორონიკონს **უობ.**

ეს საქმე ბოლოს როგორც წერილით ჩვენგან გარდაწყვეტი-

[ლი] იყოს, ისე უნდა გარიგდეს ორისავ მხრიდამ.

642. არზა ერასტი გოსტაშაბიშვილისა მამულის თაობაზე. ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

1784 წ. 28 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2036. დედანი. ქაღალდი. 34×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბატონიშვილის ალმასხანის ჭირიმათს ბანდა გოსტაშაბიშვილს ერა[ს]ტი უზბაშს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ: ბატონს ოქმი უბოძებია ზაალ ყაფლანიშვილისათვის, ჩვენ და იმისი სამართალი თქვენ უნდა გენახათ. მე კი არა მებძანა რა თქვენგან და არცარა მკითხეთ. ოთხის წლის ოქმზედ თქვენ კიდევ ზედ მოგიწერიათ, ყელი აუმართეთ და მოაბარეთო; მგონია, სამართალი არ იყოს, და ნება თქვენის სიმაღლისა არის.

წისქვილი ქოთიშს მიწაში არის და ის ღოლოვნას მედავება. იმ ოქმს უკან აღებული ოქმები მეცა მაქვს, რომ სამართალში უნდა ვილაპარაკოთ. ამ ახ[ა]ლს ოქმში თქვენზედ უბრძანებია სამართალი და მადლობელი ვარ ქემწიფისა. თქვენს სამართალში მალაპარაკეთ. თუ გაემტყუნდე, რაც ერთს აეს კაცს გადახდომოდეს, მე ის გადამახდევინეთ, და იმისი თქვენი ნება არის. ფებერვალს კბ, ქორონიკონს **უობ.**

თავში

ქ. უფალნო მსაჯულნო! ამ არზის პატრონს ერასტი უზბაშს და-

ამის მოდავე ზაალ ყაფლანიშვილს, თქვენს ღმრთის წინაშე უსაჯეთ სამართალი, მე არა მცალიან. ფებერვლის კგ, ქორონიკონს **უობ.**

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.
მიხაწერი verso-ზე: „ქ. ალმასხანის მოცემული ოქმია 62“.

643. არზა ერასტი ნამორაძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 1 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5272. დედანი. ქაღალდი. 23×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ყელმწიფის ჭირი მოსცეს ერასტი ნამორაძეს.

ბატონმა ჩემ[მ]ა პაპუნამ ერთი ამოვარდნილის ქებაძის ნაქონი ბეითალმანი მამული მიბოძა. იმ ქებაძის მამულის წიგნები, ქორიანი ერთი კაცია, იმას ბარებია; ბატონი ჩემებიც რომ წვრილები გჰლებიან, იმ მამულისა ერთი მიწა ნაიონჯევი იმ ქორიანს ყამაზაშვილისათვინ მიუყიდნია.

მოწყალებას ვითხომთ: ერთი იასაულის წყალობა დამემართოს; ის ჩემი ალალი მამული მე მამეცეს. თუ ქორიანს სიტყვა აქვს რამე, სამართალში მელაპარაკოს. იმ ერთის დღის მიწაზედ თავს არ გაწყენდით, მაგრამ ასეთს ალაგს არის, ჩემს ქარზედა ვერ გამოვალ და მერე ჩემი მამულია. ამისი მოწყალება დამ[მ]ართეთ, ღმერთი გაგიმარჯვებთ, რომ ერთი იასაული მებოძოს და ჩემი მამული მე დამანებოს. კიდევაც თავს არ გაწყენდი, მაგრამ ვენახათ აშენებენ და ახლა რომ არ მამეხსენებინა, ჩემი შვილი ხმას ვერ ამოიღებდა. ამისი სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებთ. თებერვლის კზ, ქორონიკონს **უობ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ხერხეულიძე ავთანდილ! მერმე ამ არზით ერასტი ნამორაძე ასე რომ ჩივის ამ მიწაზე, ყელი აუმართე და ნამორაძეს მოაბარე. და ყამაზაშვილი ქორიანს ელაპარაკოს. მარტის ა, ქორონიკონს **უობ.**

ქ. თუ სიტყვა ჰქონდესთ რამე, სამართალში ელაპარაკნენ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

644. არზა იულიოზ ნიკოზელისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 3 მარტი

ცსსა. ფონდი. 1449. საბუთი № 2402. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მოსცეს მათს სამარადისოდ მლოცველს უღირს ნიკოზელს იულიოზს.

ამას მოვახსენებ ჩემთვის ყოვლად უხვად მოწყალების მომცემელს ხელმწიფეს. ამთენი ხანია აქ გახლავარ, არ იქნა ჩემის უბედურებითა და სიგლახაკით იმ ეკლესი[ი]ს საქმე არ წარიმართა; და არც თქვენა გაქვსთ მოცლა.

ამ მოწყალებას ვითხოვთ თქვენის სიმაღლისაგან: ღმერთი უმეტესად ორისავე ცხოვრების სიხარულით აღგავსებს და განგაძლიერებს, ეს წყალობა მაინც დაგვემართოს თქვენ სადღეგრძელოთ და თქვენის შვილების სადღეგრძელოთ და გასამარჯვებლათ. დღეს რაც მჭედლიძე[ე]ბს იმ ეკლესი[ი]ს მამული ეჭიროთ, სამართლამდინ ღალა-კულუხი ეკლესიას მიეცეს. მერე როცა თქვენი სიმაღლის ნება იყოს, გაზაფხულზედ თუ შემოდგომაზედ, მაშინ ინებეთ იმ ეკლესი[ი]ს სამართალი.

მეორე ეს, რომ ეკლესიასაც ეჭირება ჩემი იქ მისვლა, ამისთვის, რომ მაგისთანა სამღვდელო კაცი მართებული არავინ მეგულება ამ მარხვაში, იქ **ნამეტნავათ** ამ გლეხკაცებმა სულ ძირს გაიარეს, რომ მუშაობის დრო არის და აქა ჰყრიან წმიარა-მწყურვალი. მე ამის მეტი თქვენი თავის წყენა აღარ შემიძლიან და ნება თქვენის სიმაღლისა[ა]. ფებერვალს **კდ,** ქრისტეს [აქეთ] **ჩლბდ.**

თავში

ქ. ბატონო ამილახორო მდივანბეგო იესე! მარამდინ ამ მჭედლიძის საქმე სამართლით გარდასწყდებოდეს, რაც ნიკოზის ეკლესიის მამული მჭედლიძეს ეჭიროს, იმის ღალა-კულუხი უკლებლათ ნიკოზლისათვის მიაცემინე. და როცა სამართალში ილაპარაკებენ, როგორც სამართლით გარდასწყდეს, ისე მოიქცნენ. მარტის **გ,** ქორონიკონს **უობ.**

თუ რომ ამ მჭედლიძის სიტყვა გამართლდება, მაშინ ნიკოზელმა ისევ უნდა დაუბრუნოს, რაც ღალა ან კულუხი გამოერთმიოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

645. არზა იულიოს ნიკოზელისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 4 მარტი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2412. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჰირი მოსცეს მათს სამარადისოდ მლოცველს უღირსს ნიკოზელს იულიოსს.

ამას მოვახსენებთ, რომ ნიკოზის ეკლესიისათვის მამულის წყალობა გიქნიათ სამართლიანის საქმით და ამაზედ ოქმიც გიბოძებიათ და იასაულად და მომკითხველად ამილახვარი იესე და დიასამიძე მინბაში იოანე გიჩენიათ, რომელთაც რომ ამათ მოუბარებიათ თქვენის ბრძანებით და ოქმით მამული იმ ეკლესიისათვის, რომ ამისი განაჩენი დღეს ჴელში მიჰპირავს.

გლეხკაცებს ოსმალობას უპატრონობით[1] სჭერიათ, ეკლესიას პატრონი არვინ ჰყოლია. როდესაც თქვენ მოგიკითხავსთ ეს საქმე, ამილახვარს და დიასამიძეს ჴელი აუმართავთ და ეკლესიისათვის დაუნებებიათ. სამი-ოთხი განაჩენი მაქვს. ნიკოზლის სიკვდილს შემდგომად გლეხკაცთ ეს მამულები ისევ დაუჭერიათ.

წყალობას ვითხოვ: ოქმი და იასაული მებოძოს, როგორადაც უწინ თქვენი ბრძანებული არის და როგორადაც ამილახორისა და დიასამიძისაგან ჴელი ამართვიათ და ეკლესიას მობარებია, იმ წესითვე ჴელი აემართოსთ და თავისი მამული ეკლესიას მობარდეს. მარტის **გ,** ქორონიკონს **უობ.**

თავში

ქ. ბატონო მდივანბეგო იესე, მერე ნიკოზის ეკლესიის მამული, როგორც ამას უწინ ჩვენის ოქმით თქვენ და დიასამიძე იოანე მინბაშს გაგირჩევიათ და თავის მამულები დაგინებებიათ, ნიკოზლის დავითის სიკვდილის უკან ის მამულები ისევ მიუმძლავრებიათ. როგორც თქვენს განაჩენში ეწეროს, ეკლესიას თავის მამულები ისევ დაანებეთ. მარტის **დ,** ქორონიკონს **უობ.**

ქ. თუ თქვენ რომ განაჩენი მიგიციათ იმის შემდგომათ სხვა განაჩენი იმის წინააღმდეგათ სხვისა არ დაწერილა, ეს ასე აღასრულეთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] უპატრონობით.

646. არზა ნიკოლოზ ალავერდელისა სამწყსოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 9 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 303. დეფანი. ქაღალდი. 34,2×21,4 სმ. მხედრული. აქა-იქ წყრტილი ან ორწყრტილი.

ქ. ორსავე საქართველოს მეფეს მათ უმაღლესობას ყოვლად უმდაბლესი მოხსენება.

ნაფარეულში რომ სოფელი აშენებულა თქვენის უმაღლესობისაგან, იმ სოფელს ნეკრესელი მოსჩიდებია სამწყსოდ. თქვენ გიბოძებიათ, თუ სხვას მიზეზით მოსჩიდებია, არ ვიცით. ის ალაგი სამწყსოდ ჩვენსა უფრო ნიშნავს და თქვენის სიმაღლის ოქმიცა გვაქვს, ღდელიც ჩვენგან მისცემიათ და ხალხიც ჩვენის მამულიდამ გასულან.

ჟამთა ვითარებისაგან სხვის სამწყსონი მოსულან და ჩვენს სამწყსოში სახლობენ: ბოდავიდამ ბოდაველნი, თიანეთსა და ერწოდამ ერწოელნი, ახმეტას და სხვანიც იმყოფებიან აქავე; იქიდამვე მოსდევენ და დღესაც უჭირავსთ.

ამ წყალობას ვითხოვთ, რადგან სხვათ ასე უჭირავსთ, ჩვენც ერთი სამართალი მოგვებოძოს.

ენისელი და ჰიაური ჩვენი სამწყსო არის და ნეკრესლის სამწყსოში რომ დგანან, მისთვის ნეკრესელს უჭირავს. ამ ორს აზრში, რომელიც სჯულიერი წესი იყოს, იმ სამართალს ვითხოვთ.

ამ ზემოთ ხსენებულს ნაფარეულთან ნეკრესელს ხელი არა აქვს, ამისთვის რომ სამწყსოს ალაგობითაც ჩვენია და ხალხიც ჩვენიდამ არის გასული. ახლა ნება უმაღლესობისა თქვენისა აღსრულდეს. მარტისა ა, ქორონიკონს **უოზ**.

ალავერდელი ხელთვა: ნიკოლოზ

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ყოვლად სამღუდელოს უფალს ნეკრესელს დოსითეოსს ასე უამბეთ: მერე ამ არზით უფალი ყოველად სამღუდელო ამბა ალავერდელი ნიკოლოზ სამწყსოზედ გიჩივისთ. თუ ჭეშმარიტი სიტყვა არა გქონდესთ რა, თავისი სამწყსო დაანებეთ. და თუ ჭეშმარიტი სიტყვა გქონდესთ რამე, ჩვენს საჭართალში ელაპარაკენით და გასწორდით. მარტის თ, ქორონიკონს **უოზ**.

ბუჯდი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

647. არზა გერი აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 20 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 6. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[4 V] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს აფხაზისშვილს გერსა.

მერე ამას მოვახსენებთ, რადგან ღვთითა და თქვენის სამართლითა მოწყალება და სამართალი დაგვემართა მცირე რამ სისხლი გვებოძა ას ათიდამ; აღარც ვენახში შეგვიშვეს, რომა ნუღარ იმუშავებთო, კაცი გამოგვიგდეს — ბატონმა ჩვენვე გვიბოძაო. მე ასე მგონია, ღვთითა და თქვენის მოწყალებით უსამართლოთ არ წამერთვას. აქედამ თავისი მღვდელი გაგზავნა და შიგ ვენახში ჩვენი კაცი აღარ შეუშვია.

ერთი ოქმი გვებოძოს, რომ ის ვენახი გაუკეთებელი არ დაგვრჩეს, მუშაობის დროც ეს არის. მარტის **ით**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის, მერმე ვის ულაყბია, ვის დაუშავებია, რომ არ შეუშვია იმ ვენახში, ვის რა საქმე აქვს. კიდეც უნდა შევიდენ და კიდეც იმუშაონ. მარტის კ, ქორონიკონს **უოზ**.

თუ მართალია, ხომ იმა[თ] ულაყბიათ; და თუ ტყვილია, ესენი ლაყბობენ.

648. არზა დათუა ოქროცხედლიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1784 წ. 28 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 189. პირი. ქაღალდი. მხედრული. ოქმის თარიღში დაშვებულია შეცდომა.

[135] ღმერთმან სრულიად საქართველოს დედოფლის ჰირი მოსცეს ოქრომჭედლისშვილს დათუას.

ამას წინათ ჩემი მამულის ნუსხა რომ მოგვერთვათ, ასე აინუს-

ხა, რომ მე არ დამასწრეს, [V] ხატის კაცმა მღვდელმა და იასაულმა[1] ანუსხეს.

ამ წყალობას ვითხოვ რომ ერთი ოქმი ებოძოს ღვდელსა და ერთს იასაულს, რომ საც[ა] ჩემი მამული გამ[ო]ჩნდეს, ღვდელმა კი ანუსხოს და იასაულმა კი მამაბაროს და ხელი ამართოს. მარტის **კგ,** ქორონიკონს **უობ.**

თავში

ჯ ა რ დ ა ნ ეშიკაღადბაშო! მერმე ამ ოქრომჭედლიშვილის მამულების გასარჩევათ იასაული რომ გავგზავნეთ, ასე აღუნუსხავთ ხატის კაცს მღვდელს და იმ იასაულს, რომ ეს არც. დაუსწრიათ და არცარა შეუტყობინებიათ.

ახლავ ერთი იასაული გა[ა]ტანე, რომ ის მღვდელიც დაისწრას, რაც ამის მამულები იყოს დ ვ ა ნ ს, ყველა გარჩევით და[ა]ტაროს და უჩვენოს. მარტის **კ,** ქორონიკონს **უობ.**

რაც ამას იქით კიდევ მიწა გამოჩნდეს, კიდევ იმ მღვდელმა აუნუსხოს, მაგრამ მღვდელიც და იასაულიც სისწორით მოიქცეს რიგიან.

649. არზა რუისის ღმრთაების კრებულისა სახლის ჭირის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 24 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 351. ღედანი. ქაღალდი. 34,2×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს სამარადისოდ მლოცველთ რუისის ღმრთაების[2] კრებულთ.

ეს მეექვსე წელიწადია, რომ თქვენი ოქმები გვებოძა, რომ თქვენის ეკლესიის შეწირულს ქალაქის სასახლეში რაჭის ერისთვის ხიზანი რომ დაგვიყენებია, ამის ქირას ეკლესიას მივართმევთო. ორი წელიწადი ხომ ერისთვის ხიზანი გახლდათ. ახლა ოთხი წელიწადია, რომ მ ე თ ო დ ი გახლავსთ და ოთხი სახლი ამას უჭირავს.

ახლა წყალობას ვითხოვთ, რომ რადგან თქვენი ნაბრძანები არის, დია, დიდად გვეჭირს, რომ არა გვაქვს, ერთი ფილონი და ერთი წირვის ხალიჩა ამ ეკლესიას უბოძოთ ჩვენის სახლების ქირაშია და თქვენი და თქვენის შვილების მარადის მლოცველი გვამყოფოთ. და თუ რამ მეტი დადგებოდეს ქირა იმისი, ნება თქვენი აღსრულდეს.

ამასაც მოგახსენებთ, რომ ჩვენცა და ჩვენს მღუდელმთავარსაცა, დია, დიდად გვეჭირს ქალაქში ჩამოსვლა, რომ სახლი ვეღარ გვიშოვნია.

წყალობას ვითხოვთ, რომ ან სულ მიირთვათ ეგ სასახლე და ეკლესიას სხვა რამ მამული უბოძოთ მაგიერი და ან თავისი სასახლე დანებდეს. მარტის **იზ,** ქორონიკონს **უობ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მდივანო ი ო ს ე ბ და მელიქო ა ვ ე ტ ი ქ! მერე ამ არზის პატრონებს ამ არზით რომ მოუხსენებიათ ეს, დია, ჰეშმარიტი მოხსენება არის. თუ ჩვენი სიყვარული და ერთგულობა გაქვსთ, თქვენ უნდა მიხვიდეთ, ეს სახლები გაშინჯოთ და რამდენს ხასა[ც] ან რაჭის ერისთვის ხიზანი მდგარიყოს ამ სახლში, და ან რამდენს ხანს რაჭის ერისთვის შვილი მ ე თ ო დ ი მდგარიყოს, სწორეთ შეიტყევით და რაც ქირა ერგებოდესთ, სწორეთ იანგარიშეთ და მოგვახსენეთ.

და ამასაც ნუ ჰგონებ, რომ თქვენზედ მივცეთ ბარათი. ჩვენ სხუაგან თეთრი გვეგულება. სხვა ადგილიდამ გაურიგებთ. თქვენ კი როგორც გვიბძანებია, ასე აღასრულეთ. მარტის **კდ,** ქორონიკონს **უობ.**

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე-

ქ. მე, მ ე თ ო დ ი, ამას მოვახსენებ მის სიმაღლეს, რომ ამდონის წელიწადს გარდა შვიდი წელიწადია, რომ მე მროვლის სახლებში ვდგევარ და ორს წელიწადს ცოტა რამ ნაკლები დედაჩემი იდგა ამაე სახლებში. მარტის **ე,** ქორონიკონს **უობ.**

650. არზა იოვანე ჯავახიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 30 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13797. დედანი. ქაღალდი. 20×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს ი ო ვ ა ნ ე ს.

[1] +და. [2] მ̃ღუთეების.

მე და ბიძაჩემები რომ გავიყარენით, თოთ[ხ]მეტი წელიწადი მეტი არის, რომ საუფროსოს ხარჯს მაღებინებენ ჩემი ბიძები; წყალს კი არ მაძლევენ. თუ საუფროსო კაცი და მამული მამცეს, ამ საუფროსოს მამულს წყალი არ უნდა?

ღმერთი გაგიმარჯვებს, ამის სამართალს ვითხოვთ ჩვენო ხემწიფევ, ცოტაოდენი მამულიც სალაპარაკო გახლამთ. თუ რომ თქვენი ნება იქნება, თქვენთან გვალაპარაკოთ, თუ არა ბატონიშვილმა გვიყოს სამართალი. ოქმის წყალობას გევედრები. მარტის, ქორონიკონს **უობ.**

თაეში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო გიორგი, მერე ამ ჯავახიშვილს რომ მოუხსენებია, ის ამისი სახლის კაცებიც თქვენთან მოასხმევინეთ. და თუ სალაპარაკო საქმე აქვსთ რამე, სამართლით გაუსწორეთ. მარტის **ლ,** ქორონიკონს **უობ.**

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

651. არზა პეტრე თაყინაშვილისა ყმობის თაობაზე მახტანგ გატონიშვილის ოქმით

1784 წ. 2 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 695. დედანი. ქაღალდი. 30×16 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ორწერტილი. არზის ქორონიკონი მცდარი უნდა იყოს.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი მოსცეს პეტრეა ნალეკარს.

დღეს აქამდინ პატრონი არავინ მყვანდა და არც ჩემის ეკლესიის ყმის მძებნელი იყო ვინმე; შევიტყე, შენი ჭირიმე, ქვათახევის ყმასაც ეძებენ და მამულსაც. თქვენის მოწყალებით ავდეგ და გიახელ და განვაცხადე ჩემი თავ[ი] ეკლესი[ი]ს ყმად და ხელითწერილიც მოგართვი. ამილახვართან ეჩივლა სულთანს და იასაული ამილახვარისა გამოესია აღდგომა დღეს, ცოლითა და შვილითა მყრიდა და კიდეც ამიკლო, მე აქ თქვენს საფარველს მოვატანე და სამართალს, არ ვიცი ჩემი ცოლშვილი აჰყარეს და წაიყვანეს თუ არა.

ამ წყალობას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი მებოძოს თუმანისშვილს ქიქოლასზე, მინამ ჩვენი სამართალი გადასწყდებოდეს ან რაც წაერთმევინოს, გამომირთოს და ნურც ჩემთან საქმე აქვს. და რომელსაც სამართალი მისცემს ჩემს თავს[1], მაშინ ვჯერვარ, ალაგშიაც იმისაშივე ვარ და იმას მიმაბარეთ. მინა[მ] ჩვენი სამართალი გადასწყდეს. აპრილის **ბ,** ქორონიკონს **უობ.**

თაეში

ქ. ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებს თუმანისშვილო ნიკოლაოზ! მერმე ამ არზის პატრონი ასრე რომ ჩივის, ეს რადგან ეკლესიის ყმა არის და სულთანს ამისთვის რაღაებიც წაურთმევია, ეგენი რაც გამოერთმევინოს, შენ ისევ გამოურთვი და ამ არზის პატრონს მოეც; ამისთვის, რომ ამ ეკლესიის სამართალი იმისმა სიმაღლემ ბატონმა მამაჩვენმა ჩვენ გვიბძანა. და რადგან ეს კაცი ეკლესიისა არის, მაგას ჩვენს სამართლამდინ არა უნდა რა გამოერთმევინა. ეგ რაც გამოურთმევია, ისევ გამოურთვი, ამ კაცს მოეც და საცა ეს კაცი დგას, დგომითაც იქავ უნდა იდგეს[2] ჩვენს სამართლამდინ მაგ სულთანს ამ კაცთან საქმე არა აქვს რა.

და როცა ჩვენს წინ წინამძღვარი და ეგ თაყინაშვილები და სულთანი სამართალში ილაპარაკებენ, მასუკან როგორც სამართალი გადაუწყვეტსთ, ის სამართლის ნება უნდა აღსრულდეს. აპრილის **ბ,** ქორონიკონს **უობ.**

სამართლამდინ კაციც შენთვის მოგვიბარებია, თვალყური გეჭიროს და უბრალოდ ნურავის შეაწუხებინებ. აპრილის **ბ,** ქორონიკონს **უობ.**

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

652. არზა ოსიაურელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 8 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 36. საბუთი № 246. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[161] ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ოსიაურელთა. მერე ამას მოვახსენებთ: ოსიაურის ერთი მხარე მახ[ნ]ული ნიკოლოზ აბაშიძე[მ] წაგვართო მძლავრობით. თუ წელსაც იმ მამულიდამ არა გვერგო რა, სულ სამუდამოთ დავას დაგვიწყებენ. ჩვენო მოწყალევ ხელმწიფევ, ჩვენ უმამულოდ

[1] ჩემს თავს] ჩემი თავი. [2] იქდგეს.

ვის რას ვარგებთ და ან[1] ჩვენ რით ვიცხოვროთ. იანვრის **ი**, ქორონიკონს **უობ**.

თავში

ქ. ჩვენო ღვთის წყალობავ შვილო ბატონო ი უ ლ ო ნ, ამ არზით ოსიაურელნი საზღვარზე რომ ჩივიან, იმის სამართალი შენ უსაჯე ან გა[ა]რიგე. აღიწერა აპრილის **გ**, ქორონიკონს **უობ**.

653. არზა ერასტი გოსტაშაბისშვილისა სამართლის მიცემაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1784 წ. 16 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1211. დედანი. ქაღალდი. 21,2×15,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან საქართველოს დედოფლის ჭირი მათს ბანდას გოსტაშაბისშვილს ერასტი უზბაშს მოსცეს.

გებძანათ: შენ და ფარემუზ ბუშს ჩემთან გალაპარაკებთო. თუ თქვენ ინებებთ, კარგი წყალობა იქნება. თუ არ ინებებთ და მდივანბეგებზე ოქმი გვიბოძეთ, იმათ გვისაჯონ სამართალი. არც მაგის მამა-პაპას გაუყიდია მამული და ვერც მაგას გავასყიდვინებ. და ნება თქვენი აღსრულდეს. აპრილის **ივ**, ქორონიკონს **უობ**.

თავში

ქ. ბატონო მდივანბეგებო! ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ესეც და ამის მოდავეც თქვენს სამართალში ალაპარაკეთ. ორისავ მხრიდამ რაც წიგნები ჰქონდესთ, მოატანინეთ, გასინჯეთ. ღმრთის წინაშე ჭეშმარიტი სამართალი უსაჯეთ. ბოქოულთხუცესო, ესენი შენ მი[ი]ყვანე და ალაპარაკე. აპრილის **ივ**, ქორონიკონს **უობ**.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

მინაწერი: „ასლანის შვილის მოცემული წიგნებია“.

[1] ან] ამ.

654. არზა ლუარსაბ მაყაშვილისა გზის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 18 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 645. დედანი. ქაღალდი. დაზიანებული. მარჯვენა კიდე ჩამოხეული აქვს. 21×12,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი [მოსცეს] მათს მონას ლ უ ა რ ს ა ბ მ ა ყ ა შ ვ ი ლ ს...*

მერმე ამას მოვახსენებთ: ჩემ[მ]ა გ[ანა]ყოფმა გ ო შ ფ ა რ მ ა გზა შაკრა ქვეყნისა, ქვევით ერთს საკომლოს მიჰდენს და ზევით ერთს ხოდაბუნს.

წყალობას ვითხოვთ, რომ მდივანბეგებზედ ერთი ოქმი გვიბოძოთ, რომ იმათ გაშინჯონ და სამა[რთალი] გვიყონ.

ვეუბნებით: ეგ ქვეყნის გზ[აა, ნ]უ კრაო. ის უშფოთრათ არა ხსნი[ს] იმ გზას და ნე შფოთი მეჯავრება. ჯერ ღთისაგან მეშინიან და მერმე თქვენგან. აპრილის **ია**, ქორონიკონს **უობ**.

თავში

უფალნო კახეთის მოსამართლენო და მდივნებო! ვისაც ამ არზით უჩიოდეს, თქვენ ალაპარაკეთ და სამართალი უსაჯეთ და გა[ა]შველეთ სამართლით. აპრილის **იწ**, ქორონიკონს **უობ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

მინაწერი: „წმინდა ნინოს ხოდაბუნის გოშპარის [არის]“.

655. არზა გეჟანისშვილის ჯალაბისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 18 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 1436. დედანი. ქაღალდი. 31,7×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ჭირი მოსცეს მარტყოფელ ბ ე ჟ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ჯ ა ლ ა ბ ს.

ახლა ამას მოვახსენებ მრავლის მოწყალის ჯემწიფეს: ამას წი-

* აკლია ერთი სიტყვა.

ნათ არზი მოგართუი მამულის თაობაზედ, რომ სინჯიკაშვილი ბასილა მამულს მართმეუს, ჩემის განაყოფისაგან ნასყიდს, უსამართლოდ. თქვენი წყალობა ოქმი მებოძა მოწმე[ე]ბზედ და მოწმე-[ე]ბი უჩინე და არას შემეპუა.

მოგეხსენება, თქვენი უმა მისირს გახლავს და მე დედაკაცობით მბრიყობს და მუდამ თრევას მექადის. და თქვენის მეტი პატრონი არავინა მყავს, დამკარგა იმ ქვეყნიდამ და დამაქცია; თქვენი ნაბოძებ[ი] ლაზარე ნაცვლის მამული რა დასაქცევი იყო, რომ ქვევრები ამოყარა და გელიას ციხესთან ჩამოიტანა; როჳ იმ ჩემის ძმის მამულიდამ გამოველოდი რჩენასაც და მამულობას.

ახლა ერთი ბახჩა მაქუს, იმასაც მართმევს და მიზეზს ამას მოგახსენებს, რაც მიგიცია, ისე მოგცემო. რომელს ღოშლია ნასყიდობა ნამეტნავად თავისის ძმისა, რომ მე მართმევს თუ არ დაბრიყვებით.

თქვენ გასამარჯვებლად და თქვენის შვილების სად[ღ]ეგძელოთ, ამისი სამართალი მაღირსეთ. აპრილს **ივ,** ქორონიკონს **უობ.**

თავში

ქ. ეშიკალასბაშო ჯარდან! ამ არზის პატრონი რომ ასე ჩიავის, ამაზედ ერთი ბეჯითი იასაული აჩინე, ბასილა შინჯიკაშვილი და ამ არზის პატრონის მოწმე[ე]ბი ვინც იქმნებოდნენ, აქ ჩვენს სამართალში ჩამოაყვანინე. აპრილის **ით,** ქორონიკონს **უობ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძღდ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

656. არზა უორღანაშვილებისა ღალის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 30 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 20. საბუთი № 42. ბირი. ქაღალდი. მხედრული.

[50] ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი ერთობლივ ყორღანაშვილებს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებთ მათს სიმაღლეს: ენა გეთს ორიოდ ნასოფლარი გვაქვს სათიეთ და ცხენებს ჩაბმევენ ხოლმე, გვიხდენენ; ნიგვზები და ხეხილი გვიდგას სოფლებში და ალგეთზე, გარეშე კაცნი ჰკრეფენ, გვიბერტყენ; მიწებსა და ნავენახობებს გვიხნევენ, არც გვეკითხებიან და არც ღალას გვაძლევენ.

ღმერთი თქვენს კელმწიფობას უმეტესად აღამაღლებს. ერთი-ოქმი გვიბოძეთ, ესენი რაც მოგვიხსენებია, არავინ რა წაგვიხდინოს. აპრილის **კბ,** ქორონიკონს **უობ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის ყორღანაშვილო ფრიდონ და დავით! ნერმე ამ არზით ყორღანანთ ასე რომ მოუხსენებიათ, ჩვენ ასრე გვიბძანებია, რომ თქვენს ნასო[V]ფლარში ნურავის ცხენს ჩაბმევინებით, ნურც არავის ნიგვზებს და[ა]ბერტყვ[ი]ნებთ. და რომელსაც თქვენი მამულები დაეხნასთ, ღალაც აიღევით, როგორც სხვა სოფლებში განწესება იყოს. რომელმაც ამისი წინააღმდეგობა მოინდომოს, ჩვენ მოგვახსენეთ და ჩვენ მოვკითხამთ. აპრილის **კთ,** ქორონიკონს **უობ.**

657. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმების თაობაზე მსაჯულთა ოქმით

1784 წ. 8 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 452. დედანი. ქაღალდი. 27,6×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან საქართველოს შეკრებულთ მსაჯულთ[1] ჭირი დავითიშვილს ზაალს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ: ჩემმა[2] ბიძაშვილმა ელიზბარ ბაღათარიის საქმეზე რომ მიჩივლა და თქვენ სამართალი გვისაჯეთ. რაც მე ვიყავ მისაცემს, ხომ მიმაცემინეთ თქვენის ია[ა]ულითა და განაჩენით; და რაც ჩემს მოსაცემს შეიქნა, არა მომცა რა. ია[ა]ულს ოქმი მასწერეთ, არა მამცა რა. ახლა კიდევ მ[ე]ორე მასწერეთ და არას შეპო[ე]ბია; თქვენი ოქმები და ბძანება აქაც გამოეგზავნა ია[ა]ულსა.

ეს რა [ა]რის, ჩემზედ კი გაიყვანეთ ბძანება და ია[ა]ული და იმაზედ კი ვერა; თუ ტყუილათ მამეცით რაც ახი იყო, რათ შამატყუეთ; თუ მართალი და ჭეშმარიტი არის, რას მემართლებით, რომ არ გამომირთმევთ[3]. თუ თქვენ ვერ შეიძელით გამორთმევა. ამაზე მამიწერეთ: შენ კი გამოგართვით და იმას მივეცით და იმას

[1] მსარჯულთ. [2] ჩემი. [3] გამომირთმემთ.

ვერ გამოვართვით, რაც შენი დაედვა-თქო; და თქვენ თავს აღარ გაწყენ, ბატონს მოვახსენებ ჩემს შეწუხებასა. ღმრთის სიყვარულისათვინ ამაზე ერთი გზა[1] მამეცით, სამი წელიწადია შემოგჩივი და არა მეშველა რა. მაისის **ჱ,** ქორონიკონს **უობ.**

თავში და კიდეზე

ქ. ავთანდილ ხერხეულიძე! ჩვენ შენ როდის გწერთ, რომ თუ ელისბარს სიტყვა ჰქონდეს, ნუ გამოართმევ. ჩვენ ამას გწერთ: ახლავ გამოართვი და მოეცი, რომ ჩვენ ზედმიწევნით ვიცით, რომ უნდა მისცეს. არაფერი სიტყვა არა აქვს რა. რასაც წამს ეს წიგნი მოგივიდეს, მაშინვე გამოართვი და მოეცი. გამოურთმეულობა არ იქნება. ახლავ ეგ თეთრი უკლებლივ უნდა მოაბაროო. მაისის **ჱ,** ქორონიკონს **უობ.**

ქ. როგორც ჩვენს განაჩენში სწერია, ან ის ბიჭები უნდა მოუსხას და მოსცეს ზაალს და ან იმ ბიჭების ტოლი ბიჭები. ესეც ასე ჰქენ: ან ის ბიჭები მოუსხმევინე და ან იმ ბიჭებს ტოლი ბიჭები ელისბარს გამოართვი, ზაალს მოეცი. თუ ტატისშვილებს ერთმანეთ[თ]ან სადაო აქვსთ რამ მამულზე, ჩამოვიდნენ და სამართალი მიეცემათ; ზაალს ნუ უხუთავს, რას ემართლება.

ექვსი ბეჭედი:
1. ღთად ქაცად გესავ ქრისტესა, მწე მქმნე აბაშიძესა ნიკოლოზ.
2. მზეჭაბუკ.
3. მეფეშან ბრძენმან ესრეთ განაყო, მე ღრის თჳსა შესაჯულად მავო ბეღან.
4. თემურაზ.
5. მონა ღთისა მდივანბეგი ოტია.
6. ჯამი ესეცა წარვლის.

658. არზა მანუჩარ სულთნიშვილისა ჯიის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 14 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1358. დედანი. ქაღალდი. 12,1×10 სმ. მხედრული. გაბკუდულობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს მანუჩარ სულთნიშვილსა.

ქ. ჩემი ნასყიდი კაცი მახარეშვილი პეტრე ახალდაბას არის. ერთის ოქმის წყალობა გვიყავით ავჰყარო და თქვენგან სახელდარქმეულს ჩემს სოფელში დავაყენო, ღმერთი გაგრძარჯვებს. მაისს **ვ,** ქორონიკონს **უობ.**

თავში

ქ. ეშიკაღათბაშო თამაზ ორბელიანო, ვერე ამას იასაული მიეც. თუ სიტყვა არავის ჰქონდეს, თავის კაცი აუყაროს, მოაბაროს. და თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, სამართალში ალაპარაკოს. მაისის **იდ,** ქორონიკონს **უობ.**

ბაჭედი: ქნარს ბიცემა, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

659. არზა ლუარსაბ ონანაშვილის დედისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 14 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 14025. დედანი. ქაღალდი. 37,8×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს ლუარსაბ ონანაშვილის დედას შირინას.

მერე ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს: კარდანეხს რომ თქვენი წყალობა მამული[1] გვაქვს, ის ცოტას ხანს მეფემ მამად-ყული-ხანმა ჩამოგვართვა. მერე ადგა ჩემი მამამთილი და ერთი საყბეური, ერთი ჩამოსავლები რომ მამის ჩემისაგან ჰქონდა ნოცემლი და ამას გარდა ერთი კარგათ გაწყობილი ხმალი ჰქონდა; საყბეური და ხმალი აიღო, ბატონს მიართო, რომ ორივ ბატონის საკადრისი იყო და ჩამოსავლები გაიყიდა და კარზედ დაიხარჯა; და ეს ნამული ისევ გვებოძა. დღეს ამ მამულს ჩემი შვილი და ჩემი მაზლის წული იყოფენ.

ჩემო ხემწიფევ, ჩემს საქონელს თქვენს სამართალსა ვთხოვ. რომ ერთი უძლური დედაკაცი გახლავარ, რომ დაუმარხავი არ დავრჩე, ჩემო ხემწიფევ. საყბეური მაგათაცა ქონდათ, მაგრამ ფარსადანის ბებია ქართლში წამოვიდა და ფარსადანიც თან წამოიყვანა. და ის თავეთი საყბეური იქ გ[ა]ეყიდნათ, ჩემო ხემწიფევ. იმათ ისე მოიტმარეს და ჩვენ ასე.

ამის სამართალს ვითხოვ, რომ ჩემი სამარხი არ დამეკარგოს. მაისის **ჱ,** ქორონიკონს **უობ.**

[1] გაზა.

[1] + რომ.

თავში

ჭ. უფალნო მსაჯულნო, ამ არზით ლუარსამ ონანაშვილის დედა რომ ასე ჩივის, ესენი თქვენს სამართალში ალაპარაკეთ და ღმრთის წინაშე რასაც მიხვდეთ, ჭეშმარითი სამართალი მიეცით. მაისის **იდ,** ქორონიკონს **უობ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ ყახეთის შეფედ ცხებულს, ერეკლე.

660. არზა მანუჩარ სულთნიშვილისა ჭიხაძვილის თაოვაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1764 წ. 21 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1394. დედანი. ქაღალდი. 19,7×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაბმარია წერტილი. არზის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ჭ. ღმერთმან ბატონის დედოფლის დარეჯანის ჰირი გორელს სულთანიშვილს მანუჩარს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ: ჩემს სახლისკაცს ზალუას ჩემის წისქვილის წყალი და რუ არ დაუნებებია და წისქვილი ბათილი გაუხდია.

ამ წყალობას გევედრებით, რომ ერთი ოქმისა და იასაულის წყალობა მიყავით, რომ წყალიცა და რუც დამანებოს. და თუ სიტყვა ჰქონდეს, იასაულმა აქ თქვენს სამართალში ჩამოიყვანოს. ჩემის მტრობისა და ინადობისაგან ხელს არ იღებს.

მე თქვენგან ვიკრძალვი[1] და მერიდება[2], თორემ ღმრთით და თქვენის წყალობით ჩემის განაყოფისაგან არ მოვირევ. და ნება თქვენი ათავდეს. მაისის **კა,** ქორონიკონს **უობ.**

თავში

ჭ. დედოფალო დარეჯან გიბძანებ თაყინასშვილო ზა-[ა]ლ! მერმე ამ არზით შენი სახლისკაცი მანუჩარ რომ ასე გიჩივის, როგორც ამას მოუხსენებია, თუ ამის წისქვილის რუ და წყალი წაგირთმევია და წისქვილი მოგიცდენია, დიდათ დაგიშავებია. თუ ასე არის, ახლავ დაანებე, ნუღარ ალაპარაკებ[3], თუ ასე არ იყოს, ჭეშმარიტი სიტყვა გქონდეს რამე, ნუღარ დაიგვიანებ, ახლავ ჩამოდი და სამართალში ელაპარაკე. მაგრამ თუ სამართალში გაგამტყუნა, შენის მიზეზით რაც ამის წისქვილი მოგიცდენია, სრულობით გიანგარიშებენ და ისე გამოგართმევენ. სჯობს, როგორც ამას მოუხსენებია, თუ ასე არის, ახლავ დაანებო. მაისის კ, ქორონიკონს **უობ.**

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

[1] ვკარძალოვით. [2] მოერიდება. [3] გალაპარაკებ.

661. არზა აბაზაძეებისა მამულის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

1784 წ. 24 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sü 452. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 21×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ჭ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ძის იულონის პირი მოსცეს აბაზაძე სოლომანსა და დავითს.

მერმე ამას მოვახსენებ, რომ: შინდარას ოთხი კვამლი კვახიაშვილი სახლებულა ჩვენი, და ამ ოთხი კაცის საკვამლო ასე დაკარგულია, რომ ერთ კვამლ კაცს ველარ გავაძლებინე იმ მამულზე, იქ მოსახლენი და იმათი მეზობელი ბოლოკაძე გახლამსთ, რომ იქაური მამულები სულ წვრილათ იცის, ვისიც არის.

გევედრებით, რომ ერთი ოქმი იმათ ებოძოს, რომ ღმრთის წინაშე სადაც ჩემი მამული იყოს და ვისაც ეჭიროს, ყველა სწორეთ მოგახსენოსთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის კგ, ქორონიკონს **უობ.**

თავში

ჭ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებ ბოლოკაძეებო! მერე ამ არზით აბაზაძე რომ ასე ჩივის, ღმრთის წინაშე რაც ამისი მამული იყ[ოს] და იცოდეთ, ყველა უჩვენეთ, თავადიშვილს ეჭიროს თუ აზნაურშვილს, ხათრს ნურავის შეუნახავთ, ყველა აჩვენე. [მ]აისის **კდ,** ქორონიკონს **უობ.**

ბეჭედი: ღმრთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

662. არზა თევდორე ნარიაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 24 მაისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1967. პირი. ქაღალდი. მხედრული. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ჭ. ღმერთმან მისის უმაღლესობის ჰირი მოსცეს ქვაბთახევის მღვთისმშობლის ყმას ნარიაშვილს თევდორეს.

ორმოცი წელიწადი არის მამაჩემი ჯავახეთიდამ გადმოსულა და მღვთისმშობლისათვინ თავი შეუწირავს. ედიშერ სა-[ა]მიშვილი გუ[ე]დავ[ე]ბოდა, იმისაგანაც თავი დაგვიხსნია, ტყვეობიდამაც მოსული გახლავარ. ტყვე თქ[ე]ნგა[ნ] უფალი არის, ვისთანაც უნდა იქნება. მე ორმოცი წელიწადი იმის ყმა ვიყავ, ახლაც იმასვე ვყმობიავარ ქვათახევის მღთისმშობელს.

ახლა მანგლელი წამამდავ[ე]ბია, ოქმი გიბოძებია: ღმერთმან თქვენი რისხვა მამცეს თუ ან მაშისაგან და ან ჩვენის ნათესავისაგან მანგლელის ყმობა გამეგონოს ან ვიყო. ჩემთან საქმე არა აქვს რა. ამას წინათაც მოგართვი არზა და არ გამამთავ[ი]და. გევედრები წყალობა მებძანოს. აღიწერა მაისის **კდ**, ქორონიკონს **უობ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის, ვინც ამ კაცის მოასილნი ხართ! მერმე ამ არზის პატრონს სიტყვა ჰქონია; სანამ სამართალში ილაპარაკებდეს, მანამდე უნდა დაიცალოთ; და მერმე როგორც სამართალი გარდაუწყვეტსთ, ისრე უნდა აღასრულოთ. იენის[ის] **ჱ**, ქორონიკონს **უოგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჯმობს ძვდ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

663. არზა გუჯა ამირეჯიბისა ყმის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

1784 წ. 4 ივნისი

ცსსა, ფონდი 1448. საბ. № 1840. დედანი. ქაღალდი. 19×11.5 სმ. მხედრული გახაზეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ძის იულონის ჭირი მოსცეს სვიმონ ამირეჯიბის ქვრივს გუქას.

მერმე ამას მოვახსენებ, რომ თქვენგან შესანახავი და დასამარხავი გახლავარ; და თქვენი წყალობა ეს ერთი კვამლი კაცი მყავს — ზაზუა შვილი ოთარი. და სანამ სული მიდგა, ამისი გაცემა არ იქნება, რომ ჩემს ქვრივ-ობრობაში ის მემსახურება და მინახამს. და როდესაც თქვენის ჭირის სანაც[ვ]ლო შეეიქნები და მოვკუდები, ვისაც გენებოსთ იმას უბოძეთ.

თავში

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებ, ვინც ამ ზაზუაშვილის იასაული ხარ! ამას ამ ქვრივს ვერ გამოვართმევთ. ქელი აიღევ, სხვა კაცი მოუწახე და მოეც. თიბათვის **დ**, ქორონიკონს **უობ**.

ბეჭედი: ქ. ღმრთის მშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

664. არზა ზაალ დავითიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 6 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 446. დედანი. ქაღალდი. 22,5×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტწილად ლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ბემწიფის ჭირი დავითიშვილს ზაალს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ: ჩემს ბიძაშვილს ელიზბარს მუდამ შფოთში ვყავარ. თქვენის დოვლათით საცა შენობას მოვეკიდე, იმან ქცევა დაუწყო.

ფცას ავანთე ცეცხლი, ავაშენე; ღმერთმან იმდენი თქვენი წყალობა მომცეს, რამთენი სიცივე, შიმშილი მე იქ გავსძელი; ერთი დიდმარხვა სულ იქ ვიყავ, მე ვაშენებდი, იმას გზათაც არ გაუვლია ახლო, მუდამ სიკვდილს და ჩხუბს მექადის.

აგრევე მძივლეთს ჩემი აზნაურშვილი მოვიდა. დადგა. აგერ სამი წელიწადია ბევრს კიდეც აგინებდა ხოლმე, თორამ მოხმარებოდა. ახლა მეც მეშუღლება და იმასაცა.

ნულს დავასახლე ხუთიოდ კომლი იმერელი, რომ გზათ არ გაუვლია. ახლა მოუხდება, სცემს, აყათ ეპყრობა, მუდამ შფოთსა და ჩხუბს მაძლევს.

ჩემი ანბავიც მოგეხსენებათ, ერთი ბეწვი თქვენს პალატში ვარ გაზრდილი, რაღაც შფოთიანი ვარ და იმისიც მოგეხსენებათ.

ახლა ამას ვევედრები თქვენს მოწყალებას: ერთს მართებულს კაცს უბძანოთ ეისმე, რომ მოვიდეს და იმისის შფოთიდან დამიხსნას, ბარათები აქვს თავისი, მოატა[ნ]ინოს, მახსოვარი კაცი ვინც იყვნენ, მოაყვანინონ[1] და გაგვასწოროს. ასეთს უბძანეთ ეისმე, ღმერთი გაგიმარჯვებს, რომ მეც დამაჯეროს და იმასაც ჯარიმით და მუჩაგით. ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის **ლა**, ქორონიკონს **უობ**.

[1] მოეყვნონ.

თაღში

ქ. ჩვენ მაგიერად ამილახვარ მდივანბეგს იესეს ასე უამბეთ: ამ არზით დავითიშვილი ზაალ რომ ასე ჩივის, თქვენ მიდიხ, ესე და ამისი ბიძაშვილი ორივე ერთად ალაპარაკეთ და რაც სადაო საქმე ჰქონდესთ, ყველაზე სამართლიანის საქმით გაარიგეთ. და ერთმანეთს მოაშორეთ. თიბათვის **ვ,** ქორონიკონს **უობ.** პირობით და მუჩალგით, რომ მასუკან რომელიც გადავრდეს, გადახდეს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დაყით მიქმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

665. არზა დიმიტრი საგინაშვილისა ყმის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1784 წ. 12 ივნისი

ცსსა. ფონდი. 1450. ღაჟთარი № 30. საბუთი 61. ჰირი. ქაღალდი. მხედრული.

[46 V] ღმერთმან [47] ბედნიერის ხელმწიფის ძის გიორგის ჰირი საგინაშვილს დიმიტრის მოსცეს.

მის[ის] სიმაღლის ბატონის მამის თქვენის ოქმი მაქვს. ვეუბედრები თქვენს მოწყალებას, რომ ზიარში ალხაზისშვილს ივანეს ჩემი ყმის ქვრივი შეურთავს და ჩემის ყმის ობოლიც იმას ჰყავს. ის ჩემი ყმის ობოლი და ამისი ძმაც ერთი იყალთოს გახლავსთ, ერთი კომლი ყორელში გახლავსთ, ერთი კომლი ქაცი ვაქირში გახლავსთ.

ერთი ბეჯითი ოქმი და იასაული მიბოძეთ, რომ ეს კაცნი ამიყაროს და მომცეს. თიბათვის **თ,** ქორონიკონს **უობ.**

თავში

ბატონიშვილის გიორგის სიკეთით სახსოვარო მამუჩიშვილო ნინიავ! მერე ამ არზით დიმიტრი საგინაშვილი თავის კაცებზედ ასე რომ ჩივის, თუ სიტყვა აქვს ვისმე რამე, სამართალში უნდა მოიყვანო. და თუ სიტყვა არავის [ა]რა აქვს[1], თავისი კაცები უნდა ამ დიმიტრი საგინაშვილს [მოაბარო], რომ[2] მისის სიმაღლის ბატონის ოქმიცა აქვს ამ დიმიტრის. და ეს ასე უნდა აღასრულო და გა[ა]რიგო. ივნისის **იბ,** ქორონიკონს **უობ.**

[1] + და. [2] რომ] და ეს რომ.

ამას ჩვენ მისის სიმაღლის ბატონის ბძანებითა გწერთ, ასე იცოდე. 

666. არზა ზაალ და ელიზბარ დავითიშვილებისა მამულის თაობაზე. ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 14 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hძ 449. დედანი. ქაღალდი. 32,6×20,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი, ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი დავითიშვილს ზაალსა და ელიზბარს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას: კვლავაც მრავალჯერ გვიწყენია თავი და სატივე უსამართლოთ გვაქვს წართმეული. და ღმერთი გაგიმარჯვებს და თქვენს ხემწიფობას უჯესვსად ა[ა]მაღლებს, ერთი მოკითხული ბძანეთ; ზოგი კიდეც მოგხსენებიათ რევაზ ამილახვარისაგან და ზაზა ყორიასაულბაშისაგან. მთელმა ქართლმა გაღმა და გამოღმა სულ იციან, აღიღათი იკითხეთ და სამართალი ისე გვიბოძეთ, ჩვენს სამკვიდროს მამულს ნუ დაგვიკარგავთ[1]. თქვენის შვილების სადღეგრძელოთ ერთი ოქმი და აღიღათი გვიბოძეთ, ვინც რამ იცოდეს, ღვთის შიშ[ს] ქვეშ მოგახსენონ. თიბათვის **ია,** ქორონიკონს **უობ.**

თავში

ქ. ბატონო ამილახვარ-მდივანბეგო იესე და ერთობით ქართველნო! ამ არზით დავითიშვილები რომ ასე ჩივიან, ამ სატივის საქმისა ვინ როგორ იცოდეთ, ღმრთის წინაშე ჭეშმარიტებით მოგვახსენეთ. თიბათვის **იდ,** ქორონიკონს **უობ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. ბედნიერს ხელმწიფეს ჩვენ, ამილახვარ მდივანბეგი იესე სათვის ამისი აღიღათი ებძანა. ღმრთის წინაშე, ჩვენ ჩვენის ბიძაშვილის რევაზ ამილახვარისაგან ასე გამიგონია და ასე ვიცი: ქალანთარი მალუჯათის იასაული იყო, ქართლის

[1] დაგვიკარგამთ.

თეთრი იმას უნდა მიბარებოდა. ნეტარად ხსენებულმა ბატონმა მე თან გამომატანაო და ქართლში მოვედითო, დავითიშვილი ედიშერ დავიჭირეთო; რაც ეწერა, თეთრს თხოვნა დაუწყეთ, ილაჯი რომ ვერასით რა ქნა, ქალანთარმა უთხრა — სატივე მამე და მე გადაგიხდიო. ილაჯი რომ არა ქონდა, დაუწერა სიგელი და მისცა, ჩემი ბეჭედიც ზედ უზისო და ზაზათარხნიშვილისაც, რომ ისიც ჩვენთან იყო. და სა[ა]ვალიშვილოში მივედით და ავიღევით რაც ეწერათ, — აბაშიძესაც გამოვართვით, სურამს ჩამოვედითო, იქ ანბავი მოგვივიდა, ყე[ე]ნი მოკვდაო და არეულობა შეიქნაო, ვისიც თეთრი გვეჭირა, ყველამ თავ-თავისი თეთრი უკანვე წაიღესო და ქალანთარს ის წიგნი შერჩაო. ღმრთის წინაშე, დაჩითიშვილს იმაში არა მისცემია რაო.

ეს მოხსენებული ჩემის ბიჭიშვილის რევაზისაგან ასე გამიგონია, ღმრთის წინაშე, მრავალჯერ. თიბათვის კგ. ქორონიკონს **უობ.**

ბეჭედი: მე ამილახორ ზსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად იესე.

ქ. ჩვენს ხემწიფეს ამ არზის ა[ღ]იღათი ეკითხათ. ჩვენ ასე ვიცით: ქალანთარი მალუჯათს კრეფდა და ჩვენში გიახლათ და ზოგი მიცემული გ[ვ]ქონდა; რაც დარჩომილი იყო, ისიც მივაბარეთ ამილახვარს რევაზს და ქალანთარს და წამობძანდნენ. სურამს რომ ჩამოვიდნენ, თამასხანის სიკ[ვ]დილი მოვიდა და ბა[ა]დურ აჯიასშვილი და სა[ა]მ ჩიკვ[ა]იძე გამოვგზავნე თეთრის სათხოვნელათ; რაც მაშინ მიბარებული ქონდათ, ყველა გამოვართვით და ეროი ცხენიც მალუჯათში ქვანდათ და ცხენი მოერთმევინათ, თეთრი უკან მოეცათ და მოგვივიდა. ღმრთის წინაშე, მე, ეშიკაღაბაში პეტრე ვწერ, რომ ასე იყო.

რაც მეორე, ეს ვიცი ღმრთის წინაშე, რომ სატივეს ვიყავით დავითისშვილი ზა[ა]ლ და მე, დავითისშვილმა უთხრა: რატომ ამ ჩემს მამულს არ მაძლევ. ქალა[ნ]თარმა უთხრა: ბეჭედი დამისვიო და ნახევარს გალავანსა და სოფელსაც სითაც გინდა, იქით მოგცემო. ეს ასე იყო. ნება ხემწიფისა[ა]. დაიწერა მკათათვის ი, ქორონიკონს **უობ.** [ ]

კიდეზე

ქ. მე, აბაშიძე ქაიხოსროს, ზაზასგან გამიგონია, ბატონი რომ ივანეს აბაშიძეს აძლევდა, მუქთს თეთრს

იღებს ქალ[ან]თრის შვილი, ის სიგელი ტყ[უ]ილათ შერჩათ, არცარა გაუღია ქალ[ან]თარს. [ ]

ქ. ღმრთის წინაშე, მე მინბაში ამირეჯიბი ზაზა, ამ მოწმობას ვწერ და მოვახსენებ; ბიძის ჩემის ოტიასაგან ასე გამიგონია — სატივე დავითიშვილის სამკვიდრო არისო: აძვისის სამძღვარს ვკითხებდი, მინდორში დავდიოდით; მაშინ მითხრა და მეც ვკითხე: თუ დავითიშვილის არის, ქალანთარს რათ უჭირავს. ასე მითხრა: ასეთი დრო იყო ცოცხალს კაცებს მარხემდენო, მალუჯათისთვინ დაიჭირეს დავითიშვილებიო და უსამართლოთ წაართვესო. ღმერთი წინაშე, ეს იმისგან გამიგონია.

ორი ბეჭედი:
1. მინბაში ამირეჯიბი ზაზა*.
2. მინბაში ამირეჯიბი ზაზა.

667. არზა მანუჩარ სულთანიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1784 წ. 21 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1402. დედანი. ქაღალდი. 20,4×11,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ამზაცების ბოლოს ნახმარია ორი წერტილი ხაზით.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფე დედოფლის ჰირი მოსცეს. სულთანისშვილს მანუჩარს.

ქ. ჩემმა სახლისკაცმა ზალოამ წისქვილის რუ მომიჭრა და წისქვილი დამიყენა. თქვენ არზა მოგართვი და ოქმი მიბოძეთ. მამაჩემს გაუგზავნე. მამაჩემს ჯანდაგისშვილის ღთისავარას და თუთანას'შვილის ქელით ის ოქმი გაეგზავნა. სიტყვით ზალოა მამაჩემს ავათ მოპყრობოდა. ამბავი მომივიდა.

მერე ქელმწიფეს არზა მივართვი და ოქმი მიბოძა. წაველ დაროგორც ორთავე ქელმწიფე ოქმი იყო, ისე ჩემს წისქვილს წყალი მოუგდე. ამას კაცი მოეგზავნა, მეც ბატონის დედოფლის ოქმი მაქვსო. ორჯელ კაცი მიუგზავნე, ოქმი მიჩვენენ, როგორც უბძანებია, იმაზედ დავდგები-მეთქი, მაგრამ ოქმი არ მიჩვენა.

---

* პირველი ბეჭედი შკრალია, ლეგენდის დასაწყისი არ ირჩევა.

ქ. ერთის ოქმის წყალობა გვიყავით, ზალოა აქ დაიბარეთ, სამართალში გვალაპარაკეთ. თუ გავმტყუნდე, რაც მამულები მაქვს, ისიც ჯარიმად მომირთმევია და ნასაღიც მიყავით. და თუ ის ტყუოდეს, რაც მძლავრობით ჩემი მამული ეჭიროს, სამართლით ისიც მებოძოს. ღმერთი გადღეგრძელებს. ივნისს **გ**, ქორონიკონს **უობ**.

თავში

ქ. დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ გიბძანებ ზ ა [ა] ლ თ ა ყ ი ნ ა შ ვ ი ლ ო! მერე შენ უნდა ახლა აქ ჩამოხვიდე და ამ მანუჩარს სამართალში ელაპარაკე. მაგრამ თუ გამტყუნდები, რამთენ ხანსაც ამისი წისქვილი გაგიბათილებია, შენ უნდა უზღო. და თუ ეს გამტყუნდება, იმდენს ჯარიმას წავართმევთ. ივნის[ის] **კა**, ქორონიკონს **უობ**.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

668. არზა დავით გოგიბედაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 22 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6753. დედანი. ქაღალდი. 20×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე.

ქ. ღმერთმან ბატონის მდივანბეგების ჰირი მოსცეს გ ო გ ი ბ ე დ ა შ ვ ი ლ ს დ ა ვ ი თ ს.

ქ. ჯ ა ვ ა ხ ი ა ნ თ ჩემი სამკვიდრო ხ ა ნ დ ა გ ს მამული კაცი ჩამოატარეს და საჭირველოში დაატანეს ოცის დღის მიწა. რომელიც ჩამოატარეს, ის მეუბნებოდა: შენს მამულებს მევე გაგირჩევო, მაგრამ იმ კაცს აღარ დასცალდა, ლეკებმა მოკლეს. დარჩა ჩემი მამულები ისრე.

ე ფ თ ვ ი მ ე წინამძღვარს მოვახსენე და მიბძანა: მე მოვალ იქ და მამულებს გავარჩევო.

ქ. ერთის ოქმის წყალობას ვითხოვთ: მანამ წინამძღვარი ჯავახისშვილები და მე სამართალში გავივლიდეთ, იმ მამულებთან არც ჯავახიანთა ჰქონდესთ ქელი და არც მე. ივნისს **კა**, ქორონიკონს **უობ**.

კიდეზე

ქ. მისს მაღალ ღირსებას მსაჯულნი ვაუწყებთ: ჩვენ ვიცით, თქვენ უმსჯავროს არ ინებებთ, ეს კაცი რომ ასე ჩივის, სიმართლისა და სიდრკუისა არა ვიცით რა. თქვენის ღირსებისათვის მოგვინდვია, გამოიძიეთ. თუ ღირსის მამის მისის უწმინდესობის სანატრელის კ ა თ ა ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი ა რ ქ ი ს ვ ი ს ა რ ი ო ნ ი ს სიცოცხლეში ამათ სჭერია, რადგან მსყიდველი ის ბძანდება, ამათ ის მამული აღარც თქვენგან გამოერთმევა[1]. და თუ მონასტრისათვის დებულა და ავის დროსაგან ამათ მიუმძლავრებიათ, ან სამართალი როდის შეუნდობს და ან თქვენ მონასტერს როგორ დაუკარგავთ. უნდა გამოიძიოთ და მონასტრისათვის დასდვათ. ივლისს **კბ**, ქორონიკონს **უობ**.

ორი ბეჭედი:
1. ღ თ ა დ კ ა ც ა დ გ უ ს ა ვ ქ რ ი ს ტ ე ს ა, მწყ მ ე ქ მ ე ნ ა ბ ა შ ი ძ ე ს ა ნ ი კ ო ლ ო ზ.
2. ჟამი ცხეცა წარვლის.

669. არზა მანუჩარ მდივნისა ვალის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1784 წ. 25 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 14879. დედანი. ქაღალდი. 18.5×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი სახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის საქართველოს დედოფლის ჰირი მათს უმდაბლეს მონას მ ა ნ უ ჩ ა რ მ დ ი ვ ა ნ ს ბოსცეს.

მერე სანატრელის თქვენის შვილის ლ ე ო ნ ი ს ბძანებით და ოქმით მ ე ლ ი ქ ' მ ი ს ა ი ლ ა ს ა თ ვ ი [ს] თუთხმეტი თუმანი მასესხებინა, რომ თავისის სარგებლით იმავ მელიქ მისაილს უნდა მოეცა ჩემთვის, რომ მე თეთრის პატრონისათვის მიმებარებინა. ახლა ის თეთრი მე არც მელიქ მისაილასაგან მეძლევა და არც თქვენი შვილები ანგარიშ[შ]ი მიგდებენ ამას. ფიცით მოგახსენებ, რომ იმ თეთრის შოვნისათვის იასაული მადგა და ასე მაშოვნინეს, თუმანი სამშაურ სარგებლით ამაღებინეს და გამომართვეს; და ორსავ მხარეს ამისთანა უსამართლობაში ვარ.

ღმერთი შვილებს გიცოცხლებს, რომელიც თქვენი ნება იყოს, ერთი სამართლიანი პასუხი მებძანოს, რომ საიდამაც იყოს, თეთრი თავისის სარგებლით მამეცეს. თიბათვის **კ**, ქორონიკონს **უობ**.

მელიქ მისეილა ასე მოგახსენებს, რომ ბატონისშვილმა დახარჯაო; და მე ორისავ მხრიდამ მაკლია და სარგებელსა ვსწევ.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ, შვილო ბატონო გ ი ო რ გ ი, ი უ ლ ო ნ და ა ლ მ ა ს ხ ა ნ! მერე ამ არზით მდივანს მანუჩარს ასე

[1] გამოირთმევა.

რომ მოუხსენებია, სანატრელის ჩვენის შვილის ოქმიც ხელთ უჭირავს და იმის ანგარიშების ნახვაც ხომ თქვენზედ არის ბძანება, ახლა თქვენ უნდა ეს თხუთმეტი თუმანი საიდამც იყოს, გაურიგოთ.

ამას წინათ ამ თხუთმეტის თუმნის საქმემ ჩვენთან გაიარა, რომ მელიქ მისაელას თხუთმეტი თუმანი მირზა აფრასიობასთვის მიუცია. მანუჩარს კი თქვენ უნდა გაურიგოთ, როგორც მართებული იყოს იმ ანგარიშით. ივნისის **კე,** ქორონიკონს **უობ.**

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

670. არზა გორელებისა ტივის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 30 ივნისი

ცსსა. ბ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461. რეესტრი № 13. საბუთი № 122. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[68] ქ. ღმერთმან ყოველად მოწყალის კელმწიფის ჭირი მოსცეს გორელებს.

ხუთი ტივი გვეწერა [მ]ცხეთისათვინ. ოთხი მიბარდა და ერთი ტივი წყალმა მოიტაცა, მეტეხელებმა დაიჭირეს, აღარ გვანებებენ.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი ოქმი თუხარელზედ გვიბოძოთ, რომ თუხარელმა გამოართვას და [მ]ცხეთას მიბარდეს. თიბათვის **კმ,** ქორონიკონს **უობ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის გოგიავ თუხარელო! მერე მეტეხს ჩვენი ტივი გაურიყამს და როდესაც ეს ოქმი მოგივიდეს, მაშინვე უნდა ეგ ტივი ვისაც დაეჭიროს, იმასვე უნდა მცხეთას მოატანინო. ივნისის **ლ,** ქორონიკონს **უობ.**

ქ. და შენ მიიბაარო, მანდავ მეტეხს შეანახვინე. ერეკლე

671. არზა დავით ოქროჭედლიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1784 წ. 21 ივლისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 227. პირი. ქაღალდი. მხედრული (იქვე, საბუთები №№ 190, 221, 225).

[159 V] ღმერთმან სრულიად საქართველოს დედოფლის ჭირი ოქრომჭედლისშვილს დავითს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ. მოგეხსენებათ ჩემს მამულს ფავლენისშვილი მეტანება და წამართვა ჭალა და თითონ მუშაობს, წამართვა დათუკასშვილის ნავენახარი და ქერი უდგია შიგ. ჩემს კაცებს წა[ა]რთო საბოსტნები და თავის მიწას დაახნა. ჩემის კაცების ნასახლარს მეცილება და აღარ მანებებს, ჩემს მამა-პაპის ნასახლარს მედავება და ჭალას.

თქვენის შვილების სადღეგრძელოდ ამ უსამართლობიდამ დამიხსენით. ამდენი ძლავრობისაგან თუ ეს ან ერთი ტყუილი მამეხსენებინოს, ჯერათ მრისხავს ღმერთი, მასუკან თქვენი რისხვა მამეცეს. თქვენის ხემწიფის მზესა და თქვენის შვილების სადღეგრძელოდ ამ უსამართლობიდამ დამიხსენით. ღმერთი თქვენს ხემწიფობას უმეტესათ აღამაღლებს. მკათათვის **იბ,** ქორონიკონს **უობ.**

თავში

[159] დედოფალი დარეჯან გიბძანებ კვაჭახიძეც სამონავ დაგაბრიელ! მერმე ამ არზის პატრონს — ოქრომჭედლისშვილს დავითს რომ ასე მოუხსენებია, ამ მამულების მძლავრობით ფავლენისშვილებისაგან ჯერ ვინც როგორც იცოდეს — სამღვდელომ თუ საერომ, ქართველმა თუ სომეხმა, ყველას თავის სარწმუნოებას ვაფიცებთ და წმინდას სამებას, ვის როგორც გაეგონოსთ და ან ენახოთ, ყველამ წერილით [V] მუჯალმა გააკეთონ და მოგვართვან. ამაზედ ბეჯითათ მოიქცეოთ და სისწორით. მკათათვის **კა,** ქორონიკონს **უობ.** დედოფალი დარეჯან

672. არზა დავით თუთუნაშვილისა გამოსაღების თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

1784 წ. 29 აგვისტო

ცსსა. ფ. 1449. საბუთი №1943. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი თუთუნაშვილს დავითს მოსცეს.

ამას მოვახსენებ. დემეტრეს წილობაზე საქორწილო გიბრძანებიათ და ჩემთვინ ოთხი თუმანი დაუწერიათ. ჩემო კელმწიფევ, ჩვენ ხემწიფის სახასო ყმანი ვყოფილვართ და სვიმონ მეფეს წმინდის გიორგის გორისჯვრისათვის შეუწირივართ, აღაპი დაუდვიათ, რომ ყოველს იმის დღეობას ვაბლეც და ყოვლისფრისაგან გაუ-

თარხნებივართ, რომ არცარა ხელმწიფისა მდებია და არცარა ამილახვარიანთი.

ამისი მოკითხული ბედნიერმა ჯელმწიფემ მამათქვენმაცა ბძანა და გუჯრებიც მოატანინა, გასინჯა, რომ ასე იყო და რევაზ ამილახორსაც ჰკითხა და გორელებსაც; და ამილახორმა წერილით მოახსენა: ამას ჩვენი არა სდებია რაო და თარხანიც ყოფილაო; და გორელებმაც მოახსენეს წერილითა.

მეც ამ ხატის ყმობით გავბედე და გევედრებით, რომ უდები არ დამედვას და უსამართლო არ დამემართოს, თორემ ბატონს სამსახური უნდა. ბძანება თქვენი აღსრულდეს. მარიამობის **კზ,** ქორონიკონს **უობ.**

თავში

ბატონისშვილის ვახტანგის კეთილად სახსოვარო ამილახორიშვილო ეშიკაღასბაშო იოანე. ამ თუთუნაშვილის ნაქონი ოქმები გავსინჯეთ ბატონის ნამის ჩვენისაგან ნაბოძები, რომ წმინდის გიორგის გორისჯვრის შეწირული ყმა ყოფილა. ჩვენ მის შეწირულს ყმას საქორწილოს არა ვსთხოვთ. ამას რაც აწერია დაეხსენ, ნუ სთხოვ, გვიპატიებია. აგვისტოს **კთ,** ქორონიკონს **უობ.**

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკეთად.

673. არზა თამაზ ქეშიქჩიბაშის ნაიგიზა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 1 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 1005. დედანი. ქაღალდი. 21×16.8 სმ. მარჯვენა კიდე ალაგ-ალაგ მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ქეშიქჩი[ბაშის] ნაიბს თამაზს.

მერე ჩემო ჯელმწიფევ, ერთი ჩემი კაცი ამეყარა და ნაფარეულში გავიდა და იქ დადგა. ამას წინათ არზი მოგართვი და ოქმი მიბოძეთ, რომ უნდა ამეყარა. მოურავმა და სოფელმა არ დამანებეს. ოცდაორი წელიწადი [არის], რომ ჩემთან არის და მე ვინახავდი...* ლი ბატონის წიგნიც მაქ რომ...* მოდავე არა მყავს, რომ იმ კაცზე მე...* [ოცდა]ორი წელიწადი არის ის კაცი ჩემი ყმა არის [და] თავს ნებათ იყრება და თავ[ი]სთავს მართმევს.

* აქლია ერთი-ორი სიტყვა.

წყ[ალობ]ას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი მებოძოს, ის ჩემი კაცი არ წამერთვას. ენკენისთვის **ა,** ქორონიკონს **უობ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო ყორჩიბაშის შვილო ბეჟ[ან! შერე] ეს კაცი ახლავ აჰყარე და არქიმანდრიტს სტეფანეს მოაბარე. ამისი აუცილებლობა არ იქნება, უნდა აჰ[ყარო. ენკენისთვ]ის **ბ,** ქორონიკონს **უობ.** [და თუ] სიტყვ[ა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს. ენკენის]თვის **ა,** ქორონიკონს **უობ.** აუცილ[რ]ებლობა არ იქნე[ბა], არ იქნება და არ იქნება.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძენ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

674. არზა კაკალა სამთლიკუდაშვილის ჭვრივისა ამილახვარ-მდივანბეგს იესეს ოქმით

1784 წ. 16 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 643. დედანი. ქაღალდი. 14×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. არზას ნახევარი ტექსტი აკლია.

ქ. ღმერთმან ბატონის ამილახვარ-მდივანბეგის ჭირი მოსცეს სამთლიკუდასშვილის პაპალას ქვრივსა და ობოლს.

მერმეთ ამას მოვახსენებთ. ღმერთმან იმდენი გამარჯვება მოგცესთ...*

თავში

ქ. ამილახვარის კეთილსახსოვარო ზურაბ ავალისშვილო[1], ეს ქვრივი და ობოლი შენ გებარებოდესთ, რომ უბრალოთ არავინ შესცოდოს რა, თორემ შენგან გვეწყინება, თორემ აზნაურშვილის უსამართლობას მოიკითხვენ.

verso

ქ. ამილახვარ-მდივანბეგი იესეს იმედო, ვინცავინ ამ სამთლიკუდაშვილის მოვალენი ხართ, მერე მათის უმაღლესობის ბატონის ბძანებაც ასეა და ჩვენც ასე მოგიწერთ, რომ მანამდისინ ეს ობლები დაიზრდებიან, ამ ქვრივს ნურავინ შეაწუხებთ.

[1] + ზურაბ.

* დანარჩენი აკლია.

ქ. ლაპინაშვილო ქაიხოსრო! ამ ქვრივსა და ობოლს თავისი კაცი შენ ამსახურე თავისის შეძლებით. თუ სიტყვა რამ ქონდეს, ბატონს მოახსენოს და თავის საკადრისად ის შეაქცევს. სეკდემბერს **ივ,** ქორონიკონს **უობ.**

ბეჭედი: მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ კარ მეფის მარჯულად იესე.

675. არზა ერასტი გოსტაშაბაისშვილისა ყმის თაობაზე მდივანბეგების ოქმით

1784 წ. 22 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2340. დედანი. ქაღალდი. 16×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბატონის მდივანბეგების ჰირი მოსცეს ერასტი გოსტაშაბისშვილს.

მარაბდას ერთი კომლი კაცი გახლავსთ ცხადიასშვილი, ის კაცი ჩემი ყმა არის. ის ცხადიაშვილები ორნი ძმანი არიან. ახლა ის ომები გაყრილან; ახლა ჩემს ბიძასშვილს წამოუღია ზაზას, გასამყრელოთ ერთი ჯარი გამოურთმევია, თქვენ ჩემნი ყმანი ხართო, ერასტის თქვენთან ჭელი არა აქვსო.

ნე რომ წავსულიყავ და იმისთვის ჯარი წამერთმევინა და ერთი შფოთი მექნა, ვიცი რომ სამართალში ავად მომივიდოდა.

ახლა ამას გვევედრებით: ერთი ოქმი და იასაული მიბოძოთ. წავიდეს ის იასაული, ის ჯარი გამოართვას და ისევ იმ ცხადიასშვილებს მისცეს. ის ცხადიასშვილებიც აქ ჩამოიყვანოს და ზაზაც აქ გიახლოსთ. და მეც აქ გახლავარ; ღმრთის წინაშე სამართალში ვილაპარაკოთ, და ვისიც ყმა არის, გამოჩნდება. თუ ის გამტყუნდეს, ნება თქვენია. და თუ მე გავმტყუნდე[1], ერთს არ[ს] კიდევ სხვას მივსცემ, და თქვენც გარდამახდევინეთ, თუ ჩემი ყმა არ იყოს. ნოენბრის **კბ,** ქორონიკონს **უობ.**

თავში

ქ. საქართველოს მსაჯულთმოქკრებილება მოგიწერთ იასაული ოთარაშ! მერმე უსბაში ერასტი ასე რომ უჩივის, ეს ჯარი გამოურთვი და იმ გლეხს კაცს მიაბარე. ზაზა აქ ჩამოვიდეს და ეგ გლეხი კაციცა ცხადიაშვილი, სამართალში ილაპარაკონ. თუ სამართლით კაცი დარჩება, კაციც მაგისი იქნება და ჯარიცა. თუ სამართლით არ დარჩება, რას ემართლება, კაციც ამისი იქნება და ჯარიცა. ნოებერს **კბ,** ქორონიკონს **უობ.**

ორი ბეჭედი:
1. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მჭე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ.
2. ჟამი ესეცა წარვლის.

მინაწერი: „ცხადიაშვილის ოქმია“

[1] გავმტყუნდე.

676. არზა ზაალ საყვარელიძისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

1784 წ. 26 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 5325. დედანი. ქაღალდი. 22,6×16,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბატონიშვილის ვახტანგის ჰირი მოსცეს მათ ყმას საყვარელიძეს ზაალს.

მერმე ამას მოვახსენებთ: ფარსადან მაჩაბელმა ნასყიდი მიწა ორი დღისა ნავენახარი წამართვა. ნავენახარში ბალი ჩაყარა, თავისთვინ დაიჭირა და ნახევარი [ისე] გაუშვა, არცარას ის ნახევარი მარგია; იმისი შიშით შიგ აღარავინ გაიარა. იმისი მამის დროში მე მჭერია, სიგელი ხელში მიჭირამს, ალალი მონასყიდე ვარ, აგერ! ოთხი წელიწადია წართმეული მაქვს, იმისი გამოსავალიც სულ იმას უჭირავს ერთი წლისა ოთ[ხ]მოცი კოდი სიმინდი[2], თორმეტი კოდი ლობიო, რვა ზურგი კაკალი რომ ნახევარი მუშისა იყო და ნახევარი ჩემი, თავისის მძლავრობით წამართვა, მამულსაც მართმევს და ამ გამოსავალსაც. ეს მამული თამარაშ[ენ]ს არის.

ამას გვევედრები, თქვენს გასამარჯვებლად ამისი სამართალი გვიბძანოთ.

თავში

ქ. ბატონისშვილი ვახტანგ გიბძანებ ავთანდილ ხერხეულიძე! მერე შენ უნდა მიხვიდე ფარსადან მაჩაბელთან, თუ უსამართლოდ წაერთმევინოს რამე, მონასიბი არ არის, რომ კიდევ აჩივლოს. თუ სამართლიანი სიტყვა აქვს რამე, სამართალში ელაპარაკოს. მაგრამ თუ სამართალში გამტყუნდა. დიაღ, ნაკლებობა იქნება. გიორგობისთ[ვი]ს **კვ,** ქორონიკონს **უობ.**

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

[1] აგერი. [2] სიმინდრი.

677. არზა თევდორე ხახანაშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1784 წ. 19 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 2971. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 20×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს წმინდის ევსტატის ყმას ერთაწმინდელს ხა[ხანაშვილს თევდორეს]...*

ქ. რაც იასაული მოვა თქვენი მოსაქმე, მუდამ მაწუხებს. უმამულო კაცი ვარ, ერთი ოქმი მებოძოს პეტრე დეკანოზზე, რომ სხვანიც არიან წმინდის ევსტატის ყმანი, მეც იმათთან შემამეწერებოდეს; რაც სამსახური და სათხოვარი მოვიდეს თქვენი, შეძლებით დამაწერო[ნ], რომ დეკანოზს გარდა ჩემთან საქმე არავისა ჰქონდეს და უსამართლო[დ არა]კინ რა გამსარჯოს, ერთი ღარიბი კაცი ვა[რ]. დეკემბრის **ვ**, ქორონიკონს **უობ**.

დავთარზედაც წმინდის ევსტატის ყმაზე ვსწერივარ.
ქ. მამუკამ წამართვა აშენებული სახლკარი.
ქ. სამი ქვევრი წამართვა.
ქ. სამი მინალთუნი და ორი აბაზიც ახლა წამართვა.
ქ. ნასყიდი მამული წა[მართვა].

თაეში

ქ. ჩვენი ბძანება არის ა[მ] არზის პატრონო! მე[რ]მე ამ ორს წელიწადში რაც ბატონის შენისათვის გემსახურნოს და ან წაერთმიოს რამე, სწორე გარჩევით მოგვახსენე და პასუხს მაშინ მოგცემთ. დეკემბრის **თ**, ქორონიკონს **უობ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძვედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. ბეცია თარხნიშვილო! ეს კაცი წმინდის ევსტათის ყმათ არის დარჩომილი, სხვას ჯელი არავისა აქვს; ხარჯშიაც წმინდა ევსტათის ყმებთან უნდა იყოს და იმათთან [მსახურ]ებდეს. დეკემბრის **ით**, ქორონიკონს **უობ**.

ქ. როგორც სხვა ყმები არია[ნ] წმინდის ევსტათისა, ისე ესე უნდა იყოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძვე კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

* აკლია სამი-ოთხი სიტყვა.

678. არზა მანუჩარ ლაშქარნივიჩისა გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1785 წ. 9 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1400. დედანი. ქაღალდი. 17×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან სრულიად საქართველოს ბატონის დედოფლის ჭირი მათს მონას ლაშქარნივისს მანუჩარს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ, ჩვენ თქვენი წყალობა ბოლნის[ს] ზეით ერთი სოფელი გვაქვს რ[ომ] ბერდიკი ჰქვიან. და ის სოფელი ზამთრით საქონლის დასაყენებლათ გარდაწყვეტით მელიქ მიხითარ ელს სომხებს მივე, რომ წელიწადში საბალახეთ სამი თუმანი უნდა მოეცათ.

მასუკან მელიქ მიხეილა თავისის ელით სანატრელს თქვენს შვილს რომ ებოძა და ბოლნისს დააყენა, იმ ჟამად მელიქ მიხეილამ იმ ბერდიკის სოფლისა თხოვნა დამიწყო ამ სიტყვით: მეც ბატონის შენისა ვარო და რასაც სხვანი გაძლევენო, მე იმაზე მეტს მოგცემო, იმათს საქონელს ნუ დააყენებინებო და ჩვენი საქონელი და[ა]ყენებინეო. ბატონისშვილსაც მოახსენა და როგორღა შემეძლო უარი.

ერთი წელიწადი კიდევ მიხითარ მელიქის სომხებს ეყენათ საქონელი. იმათ კი მომცეს და მას აქეთ ოთხი-ხუთი წელიწადი არის, რომ მელიქ მიხაილამ აღარა მომცარა. ამისი მოწმე[ე]ბი მყავს.

წყალობას ვითხოვ, რომ ოსეფას ებძანოს, რომ სამართლიანის საქმით გაგვარიგოს. იანვრის **თ**, ქორონიკონს **უოგ**.

თაეში

ქ. ოსეფა ყორღანაშვილო! მანუჩარ ლაშქარნივისი ამ არზით მელ[ი]ქ მიხეილას რომ ასე უჩივის, სამართლიანის საქმით რამდენის წლისაც აკლდეს, გამოურთვი და მოაბარე. იანვრის **თ**, ქორონიკონს **უოგ**.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

679. არზა გიორგი ურუმგეხაშვილისა მაჟულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 20 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3032. დედანი. ქაღალდი. 20,5×7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს გიორგის ურუმბეხაშვილს.

ჯავახიშვილის ზა[ა]ლის ყმა გახლდი. მას უკან ვალი ავიღე, თავი დავიხსენ. ბახტრიონს თქვენს ყმათ დავსახლდი. უმამულო გახლავარ. ყვავილისაგან რომ დახიზნული ბძანდებოდით, მაშინ მოგახსენე და ოქმი მიბოძეთ კობიაშვილს ნავალზედ, რომ სახნ[ა]ვი მამული უნდა მოეცა. არაფერი არა მამცა რა; რომელიც მკვიდრი კაცი არის, ხარჯი იმათ[თ]ან დამდვა. მამულის მოცემის მაგიერ[ა]თ. კავთი[ს]ხევს რომ გ[ა]იმარჯვეთ, ცალი ფეხი მაშინ მოშტეხეს; იმიტომ გამყიდა ბატონმ[ა] ჩემ[მ]ა, ხარჯი ეღარ მიეცა.

ახლა შვილები თქვენთვის მამირთმევია, მამული უბოძეთ, რომ დარჩნენ და [ა]რც ცოტას ხანს ხარჯი გამამერთვას.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი ბინა მიბოძეთ, სალეკოსა და სარუსოს სულ მართმევენ. ხიზანი გახლავარ. თებერვ[ა]ლს **ბ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ბახტრიონის ნაცვალო კობიაშვილო! ამ არზის პატრონი რადგან ჩვენს ყმად დასახლებული[ა], ამას სახნავი მიწებიც მიეც და რადგან ახალი დასახლებული არის, გა[ა]ძლებინეთ ცოტას ხნობით. იანვრის **კ**, ქორონიკონს **უოგ**. თუ ამისი მოხსენებული ასე იყოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

680. არზა ნიკოლოზ გერმანოზიშვილის ქვრივისა ულუფის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 22 იანვარი.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10213. დედანი. ქაღალდი. 17,2×10,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი ნიკოლოზ გერმანოზისშვილის ქვრივსა და ობლებს მოსცეს

ქ. თქვენი წყალობა ულუფა გვქონდა დღეში ერთი ლიტრა პური.

ახლა მოგვეჭრა. თხუთმეტი სული გახლავართ მშიერ-მწყურველი. ღმერთი გადღეგრძელებს, ამის წყალობას ვითხოვთ, რომ რაც

ულუფა გვქონდეს, ისევ მოგვცენ, რომ თქვენი და თქვენის შვილების მლოცველი გვამყოფოთ. იანვრის[1] **კბ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. მოხელებო! ამ არზის პატრონს ულუფას ნუ მოუჭრით, ისევ უნდა მიეცემოდეს, როგორც უწინ მისცემოდეს.

ნაზირო იოანე, შენ უნდა გაურიგებდე. იანვრის[1] **კბ**, ქორონიკონს **უოგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

681. არზა მამუკა გუგულაშვილის ქვრივისა შვილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 27 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 853. ღედანი. ქაღალდი. 19,2×15,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აღგილ-აღგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი გუგულაშვილის მამუკას ქვრივსა და ოხერს მომცეს.

მერე ჩემის ქვრივ-ობრობით ერთი ყმაწვილი გავზარდე. ათის წლისა რომ შეიქნა, მუხრანბატონის აზნაურშვილმა მამტაცა და მსახურათ წაიყვან[ა].

ხომ მოგეხსენება დედაშვილობის ჯიგარი. ღმერთი უმეტესად განაძლიერებს შენს ხელმწიფობას, მიშველე რამე. მე უჩემშვილოდ ვერ[2] გავძლებ. თუ არა მეშველა რა, თავს მაინც დავკარჩობ.

თქვენის შვილების სადღეგრძელოთ, ერთი ოქმი მისწერეთ, რომ ჩემი შვილი ისევ მამცეს. გაიზარდოს და ყმურათ როგორ მართებული იყოს, ისე იმსახუროს. იანვრის **კვ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. ბატონო სალთხუცესო მუხრანის ბატონო იოვანე! ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, რადგან ყმაწვილი ყოფილა, ისევ თავის დედას მოსცეს თავისი შვილი იმ შენმა აზნაურშვილმა. გაიზარდოს და ისე იმსახუროს. ამაში უსამართლო არა მოხდეს რა. იანვრის **კზ**, ქორონიკონს **უოგ**.

უნდა და[ა]ცალოს, მანამდისინ თხუთმეტ-თექვსმეტის წლისა შეიქნას და მასუკან გამოართოს და იმსახუროს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] იანვრის. [2] თვერ.

682. არზა მეღვინეთხუცისშვილებისა გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 30 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 419. დედანი. ქაღალდი. 25×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მ ე ღ ვ ი ნ ე თ ხ უ ც ი ს შ ვ ი ლ ს თ ო მ ა ს ა და პ ა ა ტ ა ს.

ქ. ჩვენო კემწიფევ, როგორც ღმრთის შეცოდება არ გვინდა, თუ უნდა რომ მართალნიც ვიყუნეთ, თქვენს წინ წამოდგომა და თავის წყენა ჩვენგან დიდი საზარო არის. მაგრამ რა ვქნათ, ღმრთისა და თქვენის წყალობით უნდა ვიცოცხლოთ და ჩვენი მწუხარება თქვენს წინ უნდა გამოვაცხადოთ. რაც ხანი არის რომ ჩვენ წედელები გვბოძებია, დღეანდლამდინ რაც ძალა და უსამართლო დამარღებიათ, მა[ნა]მდინ იმ კაცებს თქვენგან არ ეკითხებათ, ჩვენ არას მოგახსენებთ.

ქ. გ ლ ა ხ ა ც ი ც ი შ ვ ი ლ ს რომ რუსების პურის მოასილობა ებძანა, ჩემს კაცებს რაც ეწერათ, წიგნი მივართვი გლახასა და ერთი ჩემი წედელის კაცის სახელი გამოუცხადე, რომ ჩემი მოჯელე იმასა ჰქუიან, რომ როგორც იმ კაცს მოეხსენებინა, რაც პური ეწერათ, ისე უნდა გამოერთმეინა მოასილსა და ჩემი კაცი წინ უნდა მისძღოლოდა. ჩემი სიტყვა და მოხსენება კი არ გაუგონია და არც იმ ჩემის კაცისა, და ამ ერთის კაცისათვის უტაცნია კელი: სულ შენ უნდა მომაბაროო. ეს რიგი თქვენა დროში არავის გაუგონია, რომ ერთის სოფლის გამოსაღები ერთს კაცს გამოერთვას; და ყიზილბაშობაში კი მახსოვს, რომ ასე იყო. როდესაც იმათ ჩემს კაცებზე იასა[უ]ლი ებაანებათ ხოლმე, მუდამ ამ უსამართლობაში ვყევარ.

ეს უსამართლო რომ გ ლ ა ხ ა ს უქნია, მერე ა მ ი ლ ღ ა ბ ა რ ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ‘კიდევ ერთს უბრალოს საქმეზე ჩამოსდგომია და მიკარგაენ იმ გლეხსა. თქვენს მზესა ვფიცავთ, არც თქვენი ოქმი აქვს და არც თქვენი ბძანება აქვს. და ასე უბრალოდ ჩამოსდგომია ის ამილღაბარ[ი]ცა.

რაც კი შემეწერება, მე პატიობაზე თავს არ გაწყენ და მანამდინ სული მიდგს, თქვენს სამსახურს აღვასრულებ. ეს ოროლი კაცნი რომ აქ ჩამოცვივდნენ და თითონ ხიზანში უდგანან, რაც ებძანებოდესთ, ამის მოწყალებას ვითხოვთ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. იანვრის **კთ**, ქორონიკონს **უოგ**.

ქ. ჩვენი ბძანება არის ც ი ც ი შ ვ ი ლ ო გ ლ ა ხ ა ვ! მერე ამ არზით მეღვინეთხუცისშვილი ოომა რომ ასე ჩივის, ამას რაც აწერია საქვეყნო თუ სარუსო, სადაც თავისი კაცი გაჩვენოს და მიგასწავლოს, იქ უნდა გამოართვა. რომელსაც გაუღიათ, იმას რაღას ემართლები და რაღათ აწუხებ.

ა მ ი ლ ღ ა ბ ა რ ც ი ც ი შ ვ ი ლ ო! შენ რომ ამის კაცებს ჩასდგომიხარ, ვისის ოქმითა და ვისის ბძანებით ჩასდგომიხარ, ესეც უნდა შეგვატყობინო. იანვრის **ლ**, ქორონიკონს **უოგ**.

ქ. ამათი ჩადგომა შეინანე, გაუსწორდი, თორემ იცოდე ავათ მოგეპყრობით. თუ სიტყვა გქონდეს, მოგვახსენე; და თუ სიტყვა არა გქონდეს, ნუ მოგვახსენებ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

683. არზა ქაიხოსრო მოურავისა ნისქვილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 3 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2050. დედანი. ქაღალდი. 23,3×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი თიანეთის მოურავს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ. ვ ე ფ ხ ი ს ც ი ხ ე შ ი თქვენის ბძანებით ხიზანი მივასხი და დავაყენე. მეორეს წელიწადს თქვენის ბძანებით წისქვილი დავაბრუნე. ეს თვრამეტ-ცხრამეტი წელიწადია, რომ იმაში წისქვილი მიბრუნავს.

ახლა მისულა თ ა რ ხ ა ნ ი, ჩემი წისქვილი მოუშლია და თვითონ დაუბრუნებია ჩემს გატანილს რუზედ. თუ ქ უ დ უ რ ს ზევით ამეტანოს, სიტყვა არა მექნება რა, მარამ თუ ქუდურს ქვემოდამ იყოს, რათ უნდა წამერთოს.

თქვენს მზესა ვფიცამ, რომ იმ ქვეყანაში მე იმის მეტი არა მაქვს რა. თქვენი სიმაღლე ხომ გერ მოიცლის რომ ნახოს; და წყალობას ვითხოვ, მდივანბეგებს უბძანოთ ნახონ. თუ ფ შ ა ნ ი ს ა იყოს, რა სიტყვა მაქვს და თუ ვეფხის ციხისა იყოს [ნუ] წამერთმევა.

მე თქვენს სამსახურზედ ფ შ ა ვ ს გახლდი და მისულა, ორი ჩაწისქვილო გაუმართავს. ფებერვლის **ა**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

[ქ. უფ]ალო მდივანბეგო ბ ე ჟ ა ნ, ო ტ ი ა ვ, მდივანო დ ა ე ი თ და ს ვ ი მ ო ნ! ამ არზით მოხსენებულისა სამართალი თქვენ უნდა მისცეთ. ფებერვლის **გ**, ქორონიკონს **უოგ**.

ბეჟედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

მინაწერი: „№ 22 არზი და ოქმი ვეფხის ციხეს წისქვილის თაობაზედ".

684. არზა ნაცვალ მერაბისა საწისქვილოს თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 14 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 700. ღედანი. ქაღალდი. 21×16,3 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ჭირი საყდრიონის ნაცვალს მ ე რ ა ბ ს მომცეს.

ჩემო ჯემწიფევ, პირველათ თქვენ რომ თ უ შ ე თ ს წაბძანდით, ამ ჟამში ნ ი კ ო ლ ო ზ ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ მ ა ნ იჩივლა საწისქვილოებს მამულზედ. ვისაც აზნაურსშვილებს ეჭირათ, თქვენის ოქმით გ ო გ ი ა მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი იასაული იყო, ყველას ჩამოერთო: და ჩვენ კი დაგვიმტკიცა ალავერდელმან თქვენი ნაბოძი წიგნი.

ახლა ბატონს ალავერდელს ეს ანბავი კი აღარ მოგონებია და გაუსინჯავად ი ა ს ე მღვდლის შვილისთვის უბოძებია ის საწისქვილო.

ახლა მე ხომ სამსახური არა გამომივა რა ხელიდამ, მარამ ნამსახურის კაცის შვილი ვარ და წყალობას ვითხოვ. ამას ნუ მიზამთ, ჩემო ჯემწიფევ, რომ ის საწისქვილო ხელიდამ გამამერთოს. ფებერვლის **თ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. ყოვლად სამღუდელო უფალო ალავერდელო! მერე თქვენს ნაცვალს ჩვენი წყალობის წიგნი ჰქონია, რომ ის საწისქვილო თავისის მიწით* ჩვენგან ბოძებული ყოფილა და თქვენგანაც დამტკი-

* „თავისის მიწით" ჩაწერილია სტრიქონთ შუა სხვა ხელითა და მგლნით.

ცებული ჰქონია. ახლა ამას ვეღარავინ მოუშლის და ვერც გამოართმევთ, ამისთვის გვიბოძებია. თებერვლის **იდ**, ქორონიკონს **უოგ**.

ქ. ეს თქვენ მიგიციათ და თქვენ [გაგი]რიგებიათ, თორემ ჩვენ ა რ მოვშლიდით, ჩვენ ამაში [უბ]რალონი ვართ. რადგან ახლა თქვენ გინე[ბე]ბიათ, ჩვენც იმისთ[ვის] მივეცით ახლ[ა].

ბეჟედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

თოფჩიბაშისათვისაც მოუწერია ალავერდელს, რომ შეცდომით მამივიდაო. ბატონს მოახსენე, რომ თავისი ისევ ებოძოსო. ბატონის წყალობის წიგნიცა ჰქონია.

ქ. როგორც მათს უმაღლესობას მეფეს უბრძანებია, ჩვენც დაგვიმტკიცებია. ასეა და ასე უნდა აღსრულდეს. დეკენბერს **იე**, ქორონიკონს **უპგ**.

ხ ლ რთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი.

685. არზა დიმიტრი ახმეტელაშვილისა მამულის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 20 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2002. ღედანი. ქაღალდი. 20×16 სმ. ხმედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათ სამარადისოდ მლოცველს ა ხ მ ე ტ ე ლ ა შ ვ ი ლ ს მღუდელს დ ი მ ი ტ რ ი ს.

ორსავ ხევს შუა ერთი უხმარი ალაგი შემოვლობე. დღეს თქვენს[1] მეტი იმას პატრონი არა ყავს. ამას ვევედრები თქვენს მოწყალებასა, რომე ერთი სიგელი მებოძოს თქვენგნით ჩემო ჯელმწიფევ, თქვენს წყალობაში ჩავიგდო. თებერვალს **კ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერმე ამ არზის პატრონს რომ ეს ადგილი უთხოვნია, გვიბოძებია და წყალობა გვიქნია, მამულათ გა[ა]კეთოს. თებერვალს **კ**, ქორონიკონს **უოგ**.

ქ. თუ ვისმე სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს.

ბეჟედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

[1] თქვენგ. [2] ბძანება.

686. არზა ბაბრიელ დეკანოზისა მისი მაჩაბლებისათვის მიბარების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1785 წ. 25 თებერვალი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 441. დედანი. ქაღალდი. 22,3×15,6 სმ. მხედრული. გახვეთილობის ნიშნად ასო-იჳ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყელმწიფე დედოფლის ჭირი მოსცეს თქვენს ყმას თირის მონასტერის თავდებისა მღუთისმშობლის დეკანოზს გაბრიელს.

ამას მოვახსენებთ: რადგანც თავდებისა მღუთისმშობლის დეკანოზი მქვიან, მისთვის რომ თავი არ გაწყინო, არც სულით და არც ხორცით კვთილი არა დამემართება რა. და როდესაც ამაზედ ეს შრომა დამიდვია, მრავალი მტერი ამტეხია და ახლა უმეტესად მრავალი მტერი ამიტყდა. და თუ თქვენი საფარველი და მოწყალება ასეთი არ დაგვედგა და ბოროტი შვილს მაჩაბელს ბარძიმსა და ზაზა უზბაშს არ ჩამაბარეთ, მე მონასტერში დგომა არ [შ]ემიძლია*.

და ამას გევედრებით, რომ: ასეთის ოქმით ებძანოს, რომ ჩემს მტერსა და წინააღმდეგზედ ესენი ქომაგნი და შემწენი გახლდენ, რომ ხიფათი არავისგან წამეკიდოს და იმ ეკლესიაში მლოცველად გვამყოფოთ.

მოწყალეო, ბარძიმს ერთი მეფის ოქმიც აქუს, მაგრამ არ აღასრულა; და გევედრებით ებრძანოს, რომ ყელმწიფის ბრძანებაც აღასრულოს.

მოწყალეო, და ესეც ებრძანოს მაჩაბელს ბარძიმს რომ ამ ეკლესიის სამსახურისათვის ვინც მტერობდეს, მონასტრის ყმანიც შემწენი იყუნენ. თებერვლის კ, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. მაჩაბელო ბარძიმ და უზბაშო ზაზავ! მერმე ამ არზის პატრონს თავდებისა მღთიშობლის დეკანოზს როგორც მოუხსენებია, რადგანც ესენი თაყის მონასტრის ერდგულობით თაყეთს მოდაეე[ე]ბს და წინა[ა]ღმდეგ[ე]ბს სამართალში ელაპარაკებიან და უჩივიან, ჩვენ ღმრთის მოწყალებით ამ ცოტას ხანში ამათის სამართლიასთვის მოცლას ვაპირებთ და ერთის ბინის მიცემას.

არ იქნება, რომ ამ დეკანოზს და ან ამის სახლისკაცს მტერობა და წინა[ა]ღმდეგობა არავინ დაუწყოსთ. ესენი თქვენთვის მოგვიბარებია, რომ ამათ ან თავადის შვილმა ან აზნაურშვილმა ან გლეხმა კაცმა ან უსამართლო არავინ იხმაროს, ან არაყინ არა შესცოდოს რა, თვარემ ჩვენი დიდათ საწყენი იქნება. რიგიანათ, მართებულათ ყურიც მიუგდევით და ამის ქომაგნიც იყავით. ღმრთის მადლით ამ ცოტას ხანში ამათ საქმეს სამართლით გავარიგებთ. ფებერვლის კე, ქორონიკონს **უოგ**.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

687. არზა ვახუშტი ჯავახიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 13 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4078. დედანი. ქაღალდი. 26,7×17,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ყელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონას ჯავახიშვილს ვახუშტის.

ჩვენო ყელმწიფევ, ჩემს რძალს არზა მოურთმევია და იმის ობლებს ორი სამი ქალამი ჩემგან უსაბართლო სჭ[ი]რდესთ. ჩემო ყელმწიფევ, ჩემი მოხსენება ეს არის: ქალაქის მოურავი ჩვენი სარდარი გახლავსთ და თარხნიშვილი ბეცია იმ ობლების პაპა არის და ჩვენიც მეზობელი არის. ამათ ერთი ოქმი ებოძოს და მოიკითხონ. თუ ჩემგან უსამართლო სჭირდესთ რამე, გარამკვდეს: და თუ ტყუილად თავს გაწყენდენ, იმის ნება თქუენია[1]. მარტის იგ, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად სარდალ-ქალაქის მოურავს დავითს და თარხნისშვილს იოანეს ასე უანბეთ. მერმე ამ არზის პატრონი თავის სახლისკაცის ობლებს ვახუშტის სასახლის საქმეზე რომ უჩივის, თუ თქვენ მოარიგოთ, რომელიც რიგი არის სამართლით, დიაღ, კარგი იქნება. თუ თქვენ ვერ მოარიგოთ, ჩვენთან სამართალში უნდა მოვიდენ და ილაპარაკონ. მარტის იგ, ქორონიკონს **უოგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

მინაწერი: „ჯავახიშვილის საჩივარი ობლებისა თემურაზე".

[1] თქჳენია.

* „მე ... შემიძლია" ჩაწერილია სხვა ხელით.

688. არზა შავერდა არეშიშვილისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 27 მარტი

ცხსა. ფონდი 1450. დავთარი № 52. აბუთი № 144. ბირი. ქაღალდი. მხედრული.

[**119 v**] ღმერთმან ბედნიერის [**120**] ჴელმწიფის ჭირი არე-ში შვილს შავერდას მოსცეს.

მერე ამას გევედრებით და მოგახსენებთ. ოთხნი მამა-შვილნი გახლავართ. და ერთი ჩემი შვილი თქვენს ძეს იულონს მოლარეთ ახლავს. ერთი ჩემი კაცი მკვიდრი ვარხვნელი საქუას შვილი სეხნუა, ამისი შვილები ზურაბა და იაკოფა აქ იყვნენ და მე მემსახურებოდნენ დღეს აქამდინ. ოთხმოცის წლის კაცი ვარ და ჩემთვის უმსახურნიათ. ახლა საქვეყნო გამოსაღებისაგან, რომ შესწუხდენ, თავის თავათ უდაბნოს თავი შესწირეს.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ. წყალობა მაღირსეთ, რომ ამათ ასე უსამართლო არ მიყონ. დღეს აქამდინ შემინახავს ესენი და თავის თავათ არ წამივიდნენ. ასე მოუხსენებიათ — იმისი ბიძა ვიყავითო. ჩემი ბიძისა შვილი პაპა ნუხს გახლავს სავაჭროთ, ჩემთანვე მოვა ხოლმე[1] და წავა ხოლმე[1]. და ეს ბიძაჩემი და ჩემი რძალი მე მიპატრონებს[2] და დამ[მ]არხავს. მარტის **იგ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

უფალო წინამძღვარო ევთვიმი, ამ არზის პატრონს, ასე რომ ჩივის, თუ ამისი ჴოხსენებული მართალია და თქვენ ამაში ერთი ჭეშმარიტი სიტყვა არა გაქუსთ რა, ის კაცი მოეცით. და თუ სიტყვა გაქუსთ რამე, სამართალში ელაპარაკენით. მარტის **კზ**, ქორონიკონს **უოგ**.

689. არზა თავდეგის ღმრთისმშობლის ყმათა ყმობის თაოგაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1785 წ. 11 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8744. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 22×12,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან კემწიფე დედოფლის ჭირი მოსცეს თავდებისა ღმრთისმშობლის ყმას მონასტრელებს — ქემერტელებს, დგურიselთ. ხვითსა ან ნიქოზს — ამათში ვინცავინ მონასტრის ყმანი თავდებისა ღმრთისმშობელის ყმანი გახლივართ, ყველას ერთობრივ, რომელიც თქვენს საფარველსა ქვეშე ხელდებულნი გახლივართ, რომ სადაოთ გარე გახლივართ, რომ ჩვენში სიტყვა არაფისა აჭუს.

მერეთ ამას მოვახსენებთ: მონასტერი შეგიწყალებიათ და ჩვენთვის მისი მსახურება დაგიდვიათ და უბრალოთ მგლეჯელისაგან დაგიხსნივართ სამღუდელოდამ საეროდი, დიდგან ყრმამდინ ხელგახპყრობილს გვიჩოქნია წინაშე მისსა და მას გავედრებთ, რომ მისმა მადლმა საუკუნო ყოს თქვენი ხელმწიფობა ორისა სოფლისათვის, ამინ.

და ერთს ამ მოწყალების ოქმს გევედრებით, რომ მონასტრისა და თქვენს სამსახურს გარდა ჩვენთან საბატონყმოთ და უბრალო საგლეჯელად და შესაჭმელად ჴელი არავისა ქონდესთ, რომ თქვენს უოქმოთ ვერავინ რა გვაწყინოს მოწყალეო ჴელმწიფეო. აპრილის **ჱ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. მაჩაბელო ბარ[ძიმ], მერმე ამ არზის [პა]ტრონებს რომ ასე მოუხსენებიათ, ჩვენ ღმრთის მოწყალებით სამართლით ამათის სალაპარაკოს და დავის გარიგებას ვაპირებთ, მაგრამ ჯერ მოუცლელათ ვიყავით. მარამდინ მოვიცლიდეთ, ამათ საქმეს სამართლით გავასწორებდეთ, ეს კაცნი სრულებით შენთვის მოგვიბარებია. ესენი ან არავის გა[ა]გლეჯინ[ო] ან უსამართლო არაფის და[ა]მართვინო, თვალყური მიუგდე. თუ ამათ შესცოდა ვინმე რამ, შენგან დიდათ გვეწყინება. აპრილის **ია**, ქორონიკონს **უოგ**.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

690. არზა წინამძღვარ თეოდოსისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 21 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 459. დედანი. ქაღალდი. 21×13,5 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია მძიმე და ორწერტილი.

ქ. ღმერთმან უმაღლესისა და ყოვლად [მოწყ]ალის კემწიფის ჭირი მოსცეს მათს მლოცველს წინამძღვარს თეოდოსის. ქვლივიძე გიახლათ აქა და სამართალში ვერ მოვიყვანე,

[1] ხვალმე. [2] მიპატრონებია.

გაიპარა და წავიდა. ახლა ამას [ვე]ვედრები თქვენს სიმაღლეს: იასე ნაცვალს ერთი ოქმი უბოძეთ, რომ ის კაცნი გაახლოსთ — ქცლივიძეცა და მისი მოწამეც, რომელიცა ყვანან, ისინიც თან ჩამოიყვანონ და ჰეშმარიტი მოგახსენონ, და ერთხელ გადა[სწყდეს]. და თუ იმისია, იმას ებოძოს; და თუ სიცრუვით გვედავება, იმისი სამართალი თქვენი ნება იყოს, ჩემო ჯეშწიფევ. აპრილის **კა**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის საგარეჯოს ნაცვალო იესე! მერე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ეგ ქვლივიძეცა და ვინცაენ მაგას წოწმე[ე]ბი ყვანდნენ, ისინიც ახლავ ჩვენს სამართალში გამოგზავნე. აპრი[ლის] ... ქორონიკონს **უოგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. [ამ საქ]მეში შენც გ[მო]წმობენ. [ამ საქ]მეზედ ნაცვალი შენც აქ ჩამოდი და ეგ ქვლივიძეც თავის მოწმე[ე]ბით აქ ჩამოიყვანე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

691. არზა ფირიანთ გოგიას ქვრივისა სახლისა და ადგილის თაობაზე კათალიკოზ ანტონ II-ის ოქმით

1785 წ. 7 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IIძ 14594. დედანი. ქაღალდი. 19×16,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შეძლებ ორწერტილი.

ქ. ღმერთმან მისის უწმინდესობის, ქათალიკოზ-პატრიარქის, მეფის ძის ანტონის ჭირი მათის ყმის ფირიანთ სულხანასშვილის გოგიას ქვრივს ანას მოსცეს.

თქვენს უწმინდესობას ამას წინათაც გამოუცხადე ჩემი ქრიე-ობრობა. თქვენ ბძანეთ მოხელე[ე]ბზედ, რომ ჩვენი სადგომი ქალაქში შუა-კარზედ სახლიც გაშინჯონ და გარეთუბნის ქოხების ადგილებიც გაშინჯონ და გაზომონ და თქვენ მოგახსენონ. თქვენმა მოხელე[ე]ბმა გარეთუბნის ქოხების ადგილებიც გაზომეს. ექვსასთერთმეტ ადლნახევარი გამოვიდა. რომელიც ოთხი სიგელი ხელთ გვაჭირავსთ, იმ სიგლების ძალით გაზომეს. და ქალაქში ეს ჩვენი სადგომი სახლიც გაშინჯეს, მგონი თქვენს უწმინდესობას კიდევაც მოხსენდა.

ხომ თქვენს უწმინდესობასაც მოეხსენება: ჩემი მზითვის თეთრი მჭონდა ოთხმოცდაათ თუმნამდინ, რომ სულ ჩემმა პატრონმა, თქვენმა ყმამ, გამომართო. ზოგი ისევ ამ სახლისა და ქოხების ადგილების უწინდელი ვალები იყო დარჩომილი, იმაში მისცა; და ზოგიც ახლა შამახიას თან წაიღო და წავიდა თქვენის ბრძანებითა.

ახლა ხომ იქ თქვენი ჭირის სანაცვლო შექნილა. ორი შამახიელი კაცი მოსულან, ჩვენი ოცი თუმანი ემართა გოგიასაო, უნდა მოგვცეთო. არც კელწერილი უჭირავსთ. ჩვენ ვინ მოგვცა, რომ მივსცეთ; და ან რათ იქნებოდა თქვენი ყმა მისაცემსა? როგორც ჩემი მზითვის თეთრი წაიღო, ჰალბათ რომ ერთი იმოდენა [რ]აც თითონა ჰქონდა თანა, სულ იქ ჩაღუპეს.

ჯერ პირიქით, ამ შამახიელებისგან ჩვენა გვაქვს სათხოვარი. მაგრამ პატრონი არა გვყავსთ. ერთი ერთის წლის ობოლი დამრჩა და ჩემის პატრონის მოხუცებული დედა, მეც ახალგაზრდა ქალი გახლავარ. სარჩო არსაიდამა გვაქვს და სიცოცხლე.

ღმერთი გადღეგრძელებსთ, ეს სახლი და გარეთუბნის ქოხების ადგილები რომ არის ჩემის პატრონის დარჩომილი, ჩემის მზითვის ნახევარ ფასათაც ძლივა ღირს. მზითევი არავის დაჰკარგვია.

ამის მოწყალებას გვევედრებით: ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ ეს სახლი და ქოხების ადგილები ჩემის მზითვის თეთრში მომეცეს, რომ სხვა მოვალებმა არ შემაწუხონ და არც ვისმე ამ სახლთან და ქოხების ადგილებთან ჰქონდეს საქმე რამე, რომ ჩემი მზითევი, ჩემ მშობელთაგან მოცემული ჩემს სამკვიდროთ, არ დამეკარგოს. ღმერთი გადღეგრძელებს, ამის წყალობა მიყავით. მაისის **დ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. ჩუენი ბრძანება არის, ამ არზის პატრონო! მერე, რომელიც ამ არზით მოგიხსენებია, ქალაქში შუაკარზედ სახლი და გარეთუბნის ქოხების ადგილები რომ არის, შენის მზითვის თეთრში გვიბოძებია.

თუ ჩუენს ყმას გოგიას ჰმართებს ვისიმე რამე, ის ჩუენ მოგვახსენონ. ჩუენ გამოვიძიებთ და სწორეს სამართალს მივსცემთ. ამ სახლთან და ქოხების ადგილებთან სხუას ვისმე ჯელი არა აქუს შენის მეტსა. ღმერთმან მშვიდობაში მოგახმაროს, როგორც გინდოდეს, ისე [მო]იხმარე.

და თუ შენს [ობ]ოლს გამოზრდი და შენს მოხუცებულს დედამთილსაც გააძლებინებ, სანამ ცოცხა[ლი]ა, ის შენი პატი[რ]სნება იქნება. მაისის **ზ**, ქორონიკონს **უოგ**.

ხელთვა: კათალიკოზი.

მარცხენა კიდეზე:

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოს ირაკლი, ამისის უწმინდესობის, ჩვენის ძის პარტრიარქის ანტონის ბრძანებასა ქმასა ვამტკიცებთ. მარტის **გ**, ქორონიკონს **უოვ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

692. არზა იოანე თაქთაქიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 8 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 793. დედანი. ქაღალდი 20×13 სმ. მხედრული. განკვეთილობია ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს იოანე თაქთაქისშვილსა.

ქ. ამდონის თქვენის თავის წყენისაგან დიდათ ვიშიშვი, მაგრამ რა ვქნა, მეტად საჭმე მიჰირს უყმობით. ერთი ცხენი მყავს, ჩემის ჯელით უვლი, რომ ერთი ბიჭი აღარა მყავს, რომ მოვავლებინო.

ქ. ჩემი ნასისხლი კაცი რომ ახლავს ქალაქის მოურავს, თქვენის ბძანებით თქვენს შვილს გიორგისთან და მოსამართლეებთან ვილაპარაკეთ და ჭეშმარიტის სამართლით მე დამრჩა, განაჩენიც მებოძა, უმაღლესობამაც დაამტკიცა: განაჩენი რომ მებოძა, მაშინვე გაიპარა.

ქ. შარშანაც მათ უმაღლესობის წინ ვილაპარაკეთ, მაშინაც კიდევ გაიპარა და ახლამს ჩემის ცხენითა და იარაღითა და ჩემის ჯელნაჭერის თოფით. ცხრა კომლიც სხუა მოსული კაცი ამეყარა: ამას მეუბნებიან: როგორც იმ კაცის დამორჩილება შეიძელ, ისე ჩვენი პატრონობა შეგიძლიაო.

თქვენი ჭეშმარიტი სამართალი დიდსა და მცირეზედ სწორეა. ერთის ოქმისა და იასაულის წყალობა გვიყავით. ჩემი კაცი მომეცეს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. მაისს **გ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ამ არზის პატრონო მერე ამ არზით ვისაც ეძავები, საქვეყნოს საქმეზედ ჩვენ იმას ახლა სხვაგან ვისტუმრებთ. ღმრთით როდესაც იქიდამ მშვიდობით მობრუნდება, მაშინ ელაპარაკე და შენი კაცი ვისთანაც უნდა იყოს, თუ სამართალი მოგცემს, იცოდე შენი კაცი შენვე დაგნებდება. მაისის **ჱ**, ქორონიკონს **უოგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

693. არზა არღუთაშვილის ჰვრივისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 10 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 453. დედანი. ქაღალდი. 21,5×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს არღუთაშვილ[ი]ს პაპას ქურივს.

ჩვენო მოწყალევ, პატრონი მამიკუდა და მე დავრჩი მწარედ შეწუხებული. რვა თუმანი ვალი გვაქვს და ქალი გასათხოვარი, არა მაბადია რა ერთი კომლი ყმის მეტი. ორნი ძმანი გახლავან ცოლშვილიანი და მუხრანს სახლობენ.

ამას წინად ჩემი შეწუხება თქვენს სახლთხუცესს მუხრანის ბატონს შევატყობინე[1] და ასე მითხრა: ჯელმწიფისაგან ოქმი აიღე და იმ ყმებზე გულს შეგაჯერებო.

ქურივისა და ობოლის მოწყალევ, თქვენის შვილების სადღეგრძელოდ ერთი ოქმის წყალობა მოიღვაწეთ, ის ყმა გავყიდო, ვალსაც მოვრჩე და ობოლიც გავათხოვო და მარადის ჟამ თქვენი მლოცავი ვიყო. მარტის **კვ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ამ არზით რომ ეს ერთი კომლი კაცი მოგიხსენებია, დასტური მოგვიცია, ეს კაცი ვისაც გინდოდეს, მიჰყიდე. მაისის **ი**, ქორონიკონს **უოგ**.

ქ. თუ იმ კაცმა იყაბულოს უმამულოდ გასყიდვა, გაყიდოს. და

[1] შევატყობინა.

თუ არ იყაბულოს უმამულოდ გასყიდვა, ნუ გაჰყიდის; იქიდამ აჰყაროს და წამოიყვანოს. ჩვენ კარგა ხანია ჭელი აგვილია, რომ უმამულოდ კაცი აღარავის გავასყიდვინოთ, თუ ის კაცი თითონ რაზი არ იქნება.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

694. არზა იოანე ჯავახიშვილის დედისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 17 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 14056. დედანი. ქაღალდი. 29,6×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია ერთი ან ორი მძიმე, ან ორწერტილი ხაზით (:—).

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჭელმწიფის ჭირი მოსცეს წუთის სოფელს აბეზარქმნილს საწყალობელს ჯავახიშვილის იოანეს დამწვარს დედას.

ქ. ჩემი ქმარ-მაზლნი რომ გაიყარნენ, ციხეც გაიყვეს და რომელიც მხარე ჩვენ გვერგო, იმაზედ ჩემმა მაზლმა ვახუშტიმ კაცი შემოგვიყენა და შემოგვეხვეწა: ეს ჩემი ნარგები ადგილი თქვენ დაიჭირეთ და ეგ თქვენი ნარგები მე მამეცით. ძმას სიყუარულობისათვის დაუთმეთ და შეუცვალეთ. იმან ის ჩვენგან შეცვლილი ალაგი შიგნიდამ და გარედა[მ] კარგად ააშენა და ჩვენი გდია აუშენებელი.

ახლა ჩემმა მაზლმა ვახუშტიმ დრო დაიცო, ასე გაფუჭებული გენახა და ჩვენს წილშიაც აპირობს აშენებას და ჩემს საწყალს ობლებს ართმევს მამულს, ნახეთ იმის უწყალობა.

ქ. ამას გარდა ორის დღის ნაენახობს უწილოდ ისი სჭამს და ჩემს ობლებს წილს არ უდებს.

ჩემო ჭელმწიფევ, საბრალო ცოლ-ქმარნი მწუხარებისაგან ჭკუაშეცდარს ვემჯავსებით, საბრალო ობლები ვებრალებოდეთ. ვეედრებით, ბეცია თარხნისშვილი იყოს თუ სხვა ვინმე, გვიბოძეთ; ჩვენსავ სიცოცხლეში მამულების საქმე გაგვირჩიოს. და რაც ციხესა და კოშკში გასაყოფი მამული და წყალი დაგვრჩომოდეს, იმაზედ დაგვაშველონ და დაგვყონ. აპრილის **ივ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ლაშქარნივისო მანუჩარ! მერე ამ არზის პატრონი და ამის სახლის კაცები მამულებზედ რომ ლაპარაკობენ,

რაც ერთმანერთში სალაპარაკო და სადაო ჰქონდესთ, შენ უნდა იქ მიხვიდე, სამართლიანის საქმით მამულები უნდა გაუყო და ერთმანერთს უნდა მოაშორო და ორსავე მოდავეთ ერთმანერთისათვის გარდაწყვეტილობის წიგნები უნდა მიაცემინო. მაისის **იზ**, ქორონიკონს **უოგ**.

ქ. მარამ თუ ამაში სიმრუდე იხმარე რამე, იცოდე დიდად გიწყენთ და გარდაგახდევინებთ. და შენს გარდა კიდევ ერთი კაცი ცავადის შვილი ამან მოიყვანოს, რომელიც ამას უნდოდეს; და ერთი კაციც თავადისშვილი ამისმა მოდავემ მოიყვანოს თავის მონდომილი. და ეს საქმე თქვენ სამთ გაარიგეთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

695. არზა დოლენჯიშვილებისა უმოგის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

1785 წ. 20 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 25. საბუთი № 88. პირი. ქაღალდი. მხედრული. არზის თარიღი მცდარი უნდა იყოს, რადგან ოქმზე ვიცით, ცხადია, არზა ვერ დაიწერებოდა.

[**98 V**] ღმერთმან ბედნიერის ჭელმწიფის ძის იულონის ჭირი მოსცეს დოლენჯისშვილის იოან'ეს ბიჭებს გაბრიელასა და მის ძმას რევაზას.

მერმე ამას მოვახსენებთ, რომ ბატონის ჩვენის ყმები დაიფანტნენ და ყოველთ თითო ბატონი გაიჩინეს, სულ ასე გავიდნენ, ერთი კომლი კაცი დარჩენილა გაუცემელი და ჩვენ დავრჩომილვართ. გვეედრებით, რომ თქვენი ყმობა გვაღირსოთ, გვიშველეთ რამე და ნურავის მიგვცემთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის **კგ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ბატონიშვილი იულონ გიბძანებ გურგენავ! მერე ამ არზის პატრონს ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ეს დრომდ[ე] შენ გებარებოდეს. მაისის **კ**, ქორონიკონს **უოგ**.

696. არზა იოვანე მამუჩიშვილისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1785 წ. 8 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 53. საბუთი № 4. ბირი. ქაღალდი. მხედრული. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს. (იქვე, საბუთები №№1 და 11).

[2] ღმერთმან ყოვლად [მოწყალის] ჯემწიფის დედოფლის[V] ჰირი მოსცეს მათ ყულუხჩს მ ა მ უ ჩ ი შ ვ ი ლ ს ი ო ვ ა ნ ე ს.

მერე ამას მოგახსენებ ჩემო მოწყალევ. თქვენგან ორი ობოლი ბიჭი მებოძა. ამ ზამთარ რომ აქ გახლდით, მაშინ ორნივ ძმანი გაქცეულიყვნენ და ალავერდს მისულიყვნენ. ორჯელ გიახელ ალავერდსა და არ დამანებეს. თქვენგან ბოძებული ოქმიც გაუგზავნე, მაინც არ დამანებეს[1]. ამ მოწყალებას ვითხოვ, ერთი ოქმის მოწყალება დამემართოს, რომ ის ბიჭები დამანებონ. მთიბათვის **გ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

უფალო არქიმანდრიტო ი ო ვ ა ნ ე! მერე ნინია მამუჩიშვილს ასე რომ მოუხსენებია, და ერთი სხვა ოქმიცა აქვს ჩვენგან მიცემული, და რა აგრე მრავალის ყმის პატრონი არის, რომ მაგ ორს ბიჭს უჭერ და არ ანებებ. ახლავ თავისი კაცნი მოაბარე. და თუ ჭეშმარიტი სიტყვა გქონდეს რამე, ის კი მოგვახსენე. დედოფალი დარეჯან

ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ო გ ი ო, ბ ა ხ უ ტ ა შ ვ ი ლ ო[2] ი ო ს ე ბ! ეს ბიჭები სადაც იყვნენ, აჰყარე, და მოაბარე. აპრილის **იზ**, ქორონიკონს **უოზ**.

697. არზა შანშე მილახორისა მამულის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით

1785 წ. 12 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1774. დედანი. ქაღალდი. 20×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობია ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან საქართველოს მსაჯულთ ჰირი შ ა ნ შ ე მ ი ლ ა ხ ო რ ს მოსცეს.

[1] დაგანებებს. [2] ბახუტაშვილი.

მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ს მამული გაუყიდნია და ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ი რ ო ს ტ ო მ მედავება იმ [მ]ამულსა. ის მაჭავარიანი მოსული კაცია, ის მამულს როგორ გაჰყიდის, ის მამული ჩემი გირაოა, ა ბ ა შ ი ძ ი ს ა გ ა ნ დავიხსენ, მამსყიდველიც ცოცხალია; აიყარა, წავიდა, მამულს თან ხო[მ] ვერ გავატანთ. ერთ[ი]ც ეს მოგხსენდეს, რაც რომ ჩემი ნასყიდობა არის, იმისი ღალა კ ო კ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა ბ ე რ მ ა აიღოს და ი რ ე მ ა შ ვ ი ლ მ ა ა დ ა მ ა მ. იმათ კარგათ იციან ის მამულები.

ერთიც კიდევ ესე: ჭ ა ი ხ ო ს რ ო ა მ ი რ ე ჯ ი ბ შ ი კ ო შ კ ა ძ ი ს მამული დამიგირავა. იმ მამულის ღალაც ამ ორმა კაცმა ამართვას.

ერთი ოქმი მებოძოს ნ ი ნ ი ა ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ს ა და ე რ ე კ ლ ე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ზ ე, რომ ეს ასე აღმისრულონ. ივლისის **იბ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. საქართველოს მსაჯულთშეკრებილება მოგიწერთ ფ ა ლ ვ ე ნ ი ს შ ვ ი ლ ო ნ ი ნ ი ა ვ და ერეკლე ფალევანდისშვილო! მერე თუ ასეა, აყრილის კაცის რ ა მ ი ნ ი ს მამული გაუყიდია, ეს უჯეროა საქმეა; და არც სამართალი შეიწყნარებს, რომ აყრილმა კაცმა თავის მებატონეს მამული გაუყიდოს. ეგ მამული და მაგ მამულის ღალა შ ა ნ შ ე მ ი ლ ა ხ ვ ა რ ს მოაბარე. და თუ მაგის მოდავეს ჭეშმარიტი სიტყვა აქვს, სამართალში მოვიდეს, ილაპარაკოს და სამართალი მიიღოს. კათათვის **იბ**, ქორონიკონს **უოგ**.

ქ. მეორე ეს რომ, ფირცხულის ღალაზე რომ ჩივის, ბერო კოკოლაშვილმა და ირემაშვილმა ადამამ იცისო, ისინი მი[ი]ყვანე საცა ამისი მამული იცოდნენ, იმისი ღალაც ააღებინეთ და ამას მოეცით.

ოთხი ბეჭედი:

1. მეფემ მყო ერთა მსაჯული, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარჯული ჭ ა ი ხ ო ს რ ო.
2. მ ზ ე ჭ ა ბ ო ჯ.
3. თ ე მ უ რ ა ზ.
4. ჟამი ესეცა წარვლის.

698. არზა პაპა ელიარაშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1785 წ. 12 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5591. დედანი. ქაღალდი. 25,7×15,3 სმ. მხედრული. ვაწყვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი. ბოლო აკლია.

ქ. ღმერთმან ბედნიერი ყელმწიფის დედოფლის ჰირი ელიარაშვილი პაპას მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალესა, რომე იმ დღესაც არზა მოგართვით ჩემი ნაცვენახარის ბაროზედ. ასე გვიბძანეთ: წიგნები გაქვსო, რომ შენი იყოსო?

ჩენო მოწყალევ! სომხეთში მრავალ კაცს წიგნები არ აქვსთ. ზოგი ოსმალოსაგან წამხდარა და ზოგი ლეკისაგან და წიგნები დაკარგულა. მე ჩემ მოსწრებაში იმ ვენახიდამ დაგვიწურამს. ამასაც მოგახსენებთ, ის მამული სახასო არ ყოფილა, დარბაზის მამული ყოფილა, დარბაზელებისაგან ნასყიდია; ჩემი მემიჯნავეც გახლავსთ და სხვა მოწმე[ე]ბიცა.

ერთი ოქმის წყალობა გვიყავით, თუ საბუთი და მოწმე[ე]ბი ვერ მოვასხა, ჩემი სახლე...* [თქვენი ყმა გა]ხლავარ, ტყვილს როგორ მოგახსენებთ? ჩემი მამულიც თქვენია და ჩემი თავიცა.

ღმერთი მეფე ერეკლეს მიცოცხლებს, სამართალი გვაღირ[სეთ. აღ]იწერა [მკათათვის... ქორონიკონს **უოგ**]*.

მარცხენა კიდეზე:

ქ. დედოფალი დარეჯან გიბძანებთ, ვინცავინ ამ მამულის მოწმობა იცოდეთ, ან გენახოსთ, ან გაგეგონოსთ ამისი ნასყიდობა, წერილით ღვთის წინაშე მოგვახსენეთ. მკათათვის **დ**, ქორონიკონს **უოგ**.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

verso

მოწამე ვარ ელიარაშვილს იასეს ბოლნის[ს] ჭული დარბაზის მამულში თუმანიშვილის ყმისაგან ჰქონდა ვენახი, რომ ჩემს მოსწრებაში იასეს ეჭირა და ვენახათ მუშაობდა. მკათათვის **ზ**, ქორონიკონს **უოგ**. †

* ბოლო მოხეულია, აკლია ხუთი-ექვსი სიტყვა.

** თვე და ქორონიკონი მოხეულია.

ქ. ღვთის წინაშე მე, გოგია მოლარე შანაშას შ[ვი]ლი, ამა ზემოთ ნაწერი შაბურიშვილის ნაწერის მოწამე ვარ. რომ ეს მ[ამ]ული ელიარასშ[ვი]ლის ყოფილა. შუა ბოლნისის მამული არ არის და დარბაზისა არის, თუმანიანთ ყმისაგან ნასყიდი არის.

ქ. ღვთის წინაშე მე, იაგულაშვილი ზაალ. ამის მოწამე ვარ, რომ ბოლნისს[1] ჭული დარბაზის მიწაში ერთი ვენახი ქონდა იასე ელიარაშვილს, თუმანიან[თ] ყმისაგან ქონდა ნასყიდი. ამითი ვიცი, რომ იმ ვენახის გვერდით მეც მაქვს ნასყიდათ. მკათათვის **ზ**, ქორონიკონს **უოგ**. ზაალ

ქ. ღვთის წინაშე მე, შანშიაშვილ სიმონ, ამის მოწამე ვარ, ელიარაშვილს იასეს ბოლნის[ს] ჭული დარბაზის მამულში თუმანიშვილის ყმისაგან ვენახი ჰქონდა, რომ ჩემს მოსწრებაში იასეს ეჭირა, ვენახათ მუშაობდა. [მ]კათათვის **თ**, ქორონიკონს **უოგ**. †

თავში

ქ. რადგანც ეს მოწმე[ე]ბი ამ გვარად მოწმობენ, ეს მამული ელიარასშვილის ნასყიდი ყოფილა და ნასყიდობის წიგნი დაჰკარგვია. ჩვენ ისევ ელიარასშვილის პაპა ყაფიჩისთვის გვიბოძებია თავის ნასყიდი მამული.

მელიქ მიხეილ! მაგასთან შენ საქმე ნურა გაქვს რა, ამ პაპას და[ა]ნებე. თავის მამულის ღალაც ამან უნდა აიღოს. მკათათვის **ი**, ქორონიკონს **უოგ**.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

699. არზა რუსიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 27 ივლისი

ცსსა. ფ. 1449. საბუთი № 1280. ბარი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მოსცეს მორდალს გიორგის რუსიშვილს ქაიხოსროს და ბარამას. მერე ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას. მრავალჯერ თავი

[1] ბოლნას.

გვიწყენია და მოგვიხსენებია, რომ შ ი ლ დ ა რ ე ვ ა ზ ი ს შ ვ ი ლ ს და რუსისშვილს საეროთ სანახევრო მისცემიათ; და ამაზედ მ ე ფ ი ს მ ა მ ა დ-ყ უ ლ ი-ხ ა ნ ი ს განაჩენიც გვაქვს, რომ შილდას მთა-ბარი და საღალო მამული საერთოდ რევაზიშვილს და რუსისშვილს სანახევროთ მისცემიათ, სხვას საქმე არავისა აქვსო. და ეს განაჩენი თქვენის უმაღლესობისაგანაც დამტკიცებული არის.

მაგრამ მოგეხსენებათ, ავის დროს მიზეზით რომ დავნან. ზოგნი ნასყიდობით ტყუილად ეჭიდებიან და ზოგთ ცო[ტ]-ცოტა ნასყიდები აქვსთ და ცო[ტ]-ცოტასათვის ბევრს იჭერენ. და ამას გარდა კიდევ თითონ ის ჩვენი მოდავენი ამბობენ, რომ ამაში ჩვენ საქმე არა გვაქვს რაო, თქვენი მამული არისო და ჩვენ გაგვიტეხნიაო, უჭირავსთ და სარგებლობენ და ხვნენ და ჩვენ კი აღარ გვანებებენ, ღალას მოგცემთო და ასში ერთს არ გვაძლევენ.

თუ თქვენი ნება იყოს, მეზობლობით ამას უზამთ ჩვენ მეზობლებს: ვინც ჩვენი მამული მოხნას, დღიურზედ ერთი კოდი ღალა მოგვცენ და კაის მეზობლობით მოვახნევინებთ. და თუ არადა; ჩვენს მამულზედ ხელი აიღონ სახნავათაც და საძოვრათაც, თავიანთ მამული აქვსთ და იმას დასჯერდნენ. [მ]კათათვის **კბ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ჩვენი ბრძანება არის იასაულო გ ო გ ნ ი ა შ ვ ი ლ ო გ ი ო რ გ ი! მერე შილდის მთა-ბარი და საღალო მინდორი რუსისშვილს და რევაზისშვილს რომ მისცემიათ სანახევროთ, რომ მ ე ფ ი ს ი მ ა ნ-ყ უ ლ ი-ხ ა ნ ი ს განაჩენიც ესე აქვსთ, მასუკან მრავალს ვისმე შილდის მამულში ჭიდება დაუწყიათ, მაგრამ სოფლის გარეთაც რაც მინდვრები არის, თუ ნასყიდი არა აქვსთ, გატეხილობით ნურც ნეკრესლის ყმა მოხნავს და ნურც ვეძისხველნი კაცნი.

თუ მორდალმა და რუსისშვილებმა მეზობლობით მოახვნი[ვ]ინ[ონ], დღიურზედ ერთი კოდი ღალა უნდა მოსცენ. ჩვენ ეს ერთი კოდი ღალა დღიურზედ კიდეც გვეცოტავება, მაგრამ მორდალმა და რუსისშვილებმა იყაბულეს და მეზობლობის გულისათვის დასჯერდნენ, ჩვენც ყაბული ვქენით და ამ თითო კოდს ღალას დღიურზედ უნდა მისცემდნენ.

და თუ ნებით არ მოსცენ, შენთვის იას[ა]ულობა გვიბოძებია, უნდა უკლებლივ გამოართმევდე, მორდალს და რუსისშვილს უნდა მოაბარებდე უკლებლად. ნეკრესლის ყმას თავიანთ მამული ნეკრესში აქვსთ და ვეძი[ს]ხველთ ვ ე ძ ი ს ხ ე ვ ე ბ ი აქვსთ. თუ ამათი

ნება არ არის თავიანთ მამულს არავის მოახვნე[ვ]ინებენ, ეს ასე იცოდნენ ყველამ. ივლისის **კზ**, ქორონიკონს **უოგ**.

თუ ნასყიდი მიწა აქვს ვისმე, იმას უღალოთ მოხვნენ, თუ სწორე ნასყიდობა აქვს ვისმე, ალბათ. ერეკლე

700. არზა თუშანიშვილებისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 8 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 158. დედანი. ქაღალდი. 23×19,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შეკდეგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს მათს ციწას თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ს.

როდესაც თქვენი წყალობა ა ხ ა ლ დ ა ბ ა მოგვცემია, დიაღ, დიდი ხნის ამბავია. ახლა გ ა რ ს ე ვ ა ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ქურდულათ და ყაზახურათ მოგვპარვენ და მოგვტაცებენ ხოლმე; არც პატრონებს შეატყობინებენ, ვინც მოხნავს.

საქართველოს ღალის აღება ასე არის: უნდა პატრონი მოიყვანოს, დაუთვალოს და ღალა ისე აიღოს. გარსევანაშვილი უპატრონოთ, როდესაც ან კვირა, ან უქმე იქნება, მოვა და მოიტაცებს. მთლათ სოფელი ჩივის, ზოგისა მესამედი მოუტაცნია, ზოგისა მეოთხედი, ორი წელიწადია იტაცებს. გვატყუა, სიგელი მაქვსო. რაც სიგელში უწერია, არც ჩვენ ვეცილებით; ახალი სიგელიც არის და იმისი ყაბულიცა გვაქვს. გამოიტანოს, გვიჩვენოს, სადამდინაც ეწეროს, იმისი იყოს. დიაღ, ბევრი კაცი არის მცოდნე, ან იმან მოიყვანოს, ან ჩვენ მოვიყვანთ.

ერთი არზა ქალაქს მოგართვით, კაცი დავიქირავეთ და ახლა ეს მოგვირთმევია. ორასი კოდი პური მეტი მოგვტაცა შარშან და წლეულ.

ერთი ბე[ე]საბი არის ს ვ ი მ ო ნ ა, გლეხს კაცებს ზოგს თოფი წა[ა]რთო, ზოგს საჯინიბო, რომ დღესაც გაყიდული აქვს. მოგეხსენებათ, ჩვენ, დიაღ, ბეესაბისა და ჩხუბის მორიდალნი გახლავართ.

ერთის იასაულის წყალობა გვაღირსეთ, ჩვენი მოგვცეს და სამართალში გველაპარაკოს, ღმერთი გაგიმარჯვებსთ. ამილახვართან ვიჩივლეთ, ასე გვიბძანა: მე იმათზე სამართალს ვერ გიზამო.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, იასაულო ა მ ი ლ ა ხ ო რ ი შ ვ ი ლ ო ე რ ა ს ტ ი!

მერე ამ თუმანიანთ მამულის ღალა გარსევანიშვილებს რომ მოუტაცნიათ, თუნდა ის მამული საცილებელი ყოფილიყოს, სამაოთალში უნდა ელაპარაკნათ და სამართლით გაეტანათ. რაც ღალა წაეღოსთ, ის გამოურთვი და ამათ მოეც. თუ გარსევანიშვილებს სიტყვა აქვსთ რამე, მასუკან სამართალში ელაპარაკნენ და სამართლით გაიტანონ. აღიწერა აგვისტოს **გ**, ქორონიკონს **უოგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

701. არზა გიორგი კოშორიძისა უმოგძს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 6 აგვისტო

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1942. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი ახალოჯვრის დეკანოზს კოშორიძე გიორგის მოსცეს.

ამას მოვახსენებ: ჩვენ ახალოჯვრის შეწირული ყმა გახლავართ და თქვენს შვილს საკაძის ყმობით თელეთის სანაცვლოდ თემურაზ მდივანბეგისათვის ვებოძებინეთ. მერმე თქვენს შვილს ვეახელ, როსტომ მეფისა, ანა დედოფლისა და ლუარსაბ მეფის წიგნები მივართვი. და თქვენმა შვილმა ის წიგნები რომ ნახა, აღარ მიგვცა.

ეს მდივანბეგმა იწყინა და ფიცი შემომიკვეთა, შენ ხატის ყმა არა ხარო; თქვენმა შვილმა ოქმი მიბოძა, ამ ფიცში ჩვენ არ ვრეევართო; და თუ შენ დააფიცებ, თუ შემოგფიცეს, ხომ ხატს დარჩება და თუ კერ დაიფიცა, შენ დაგრჩებაო. მე საფიცრად მი[ვ]ყევ.

ის თქვენი შვილის ოქმიც წამართვა და არც დამაფიცა. და კიდევ თქვენის შვილის ოქმი აეღო: ვინემდის ამათ სამაგიეროს მოვცემდეთ, ცოტას ხანს ისევ გეჭიროსო. ახლა აყრას გვიპირობს და ხანდაკს მივჰყავართ.

ამას გეუედრები: ის ჩვენი ძველი წიგნებიც მიირთვათ და მოკითხული ბძანოთ. ქვეყნის მუჯალამაც გვაქვს, ისიც მოიხსენოთ და თუ ძველათვე ხატის შეწირული გახლდეთ, არც თქვენ გამოგვწიროთ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. აგვისტოს **ე**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მდივანბეგ-ეშიკაღათბაშო თემურაზ! შერე ამ არზით კოშორიძე დეკანოზს გიორგის ასე რომ მოუხსენებია,

როგორც მოუხსენებია, თუ ეს ასე არის, ესენი ხატის შეწირულნი არიან და ამათი აყრა არ იქნება, ამათ დაეხსენ.

თუ ამის წიგნების დასარღვევს საბუთს წამოაყენებს ვინმე, სამართალში ელაპარაკოს. თუ ჰეშმარიტს საბუთს ვერავინ წამოუყენებს, ამათთან საქმე არავის აქვს, ხატის ყმანი არიან. ეს ოქმი ამავ დეკანოზს უნდა ჰქონდეს; აგვისტოს **ვ**, ქორონიკონს **უოგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

702. არზა ელენე ქვრივისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 18 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4247. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს საცოდავათ ქვეყანაზედ დარჩენილს ქვრივ-ოხერს თქვენს მლოცველს ელენეს.

ამას მოგახსენებთ: თქვენი ზეგარდმო მოწყალება მრავალს ქვრივ-ოხერს ინახამს. და ამას გეუედრებით ერთი ჩემზედაც მო[ი]ხედოთ: ოთხი საკუთარ მიწა გომისა ჩემი დახსნილი გახლიან. თუ რამ შეცოდება მჭონდეს, ღმერთს მიმადლეთ, და ჩემა ნასყიდის მიწის ღალის წყალობა დამმართოთ ყოვლის სიგლახაკისაგან საქმე გაჭირებულს, მოწყალეო. აგვისტოს **ზ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

მუხრან-ბატონო სალთხუცესო იოანე! ამ არზის პატრონს ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, თუ ეს მოხსენება ჰეშმარიტი იყოს, ამ კაცს ნუღარასა ჰსთხოვ ღალას, რაც ამ არზით მოეხსენებინოს. აგვისტოს **იგ**-ს, ქორონიკონს **უოგ**.

ქ. ამ ოთხის ჯომლის კაცის ღალა ამისთვის გვიბოძებია; ამისი ღალა ჩემს ჯამში მე არ გამომირთმევია. სალთხუცესი ხარ და მუხრანის ბატონი; ვისაც ამისი ღალა აეღოს, მოუნახვინე და მოეც; და წლევანდელი რაც უპოვნო, მიაცემინე. და ამის იქითაც მიაცემინებდე ამათს ღალასა. ერეკლე

703. არზა პაატა მეითარის შვილის ქვრივ-ოგლისა სახლის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1785 წ. 24 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14597. დედანი. ქაღალდი. 30,5×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ღმერთმან უმაღლესის საქართველოს ჯელმწიფე დედოფლის ჭირი მოგვცეს მათს მონათ და მლოცველთ მეითრის შვილის პაატას ქვრივსა და ობლებს.

ამას მოვაჯსენებთ მათს სიმაღლეს: მოურავის ჯალაბი ხორეშან რომ სახლში დგას, ის სახლები, და იმასთან კიდევ დუქნები არის, ჩვენი ნასყიდი არის. ეს ნასყიდობის წიგნი, ძველი, და ეს კიდევ ჩვენის ჯელმწიფის ოქმი თქვენმა ყმამ ბატონს მოაჯსენა, როგორც არზა აცხადებს. ბატონმა ეს ოქმი უბოძა და სიტყვით ასე უბძანა: ჩემის ხათრისათვის მანამ ხორეშან ცოცხალი იყოს, იდგესო, თავად ქირასაც მოგცემო, თორემ საბოლოოდ როგორ დაგიკარგაო[1]. ხორეშან აყრილა, შვილებთან წაბძანებულა და სიტყვა დაუგდია, ეს სახლი დააგირავეთო.

ჩემო ჯელმწიფევ, თქვენს სიმაღლეს ამას ვევედრები: იმას ნათხოვრად უჭირავს, დასაგირავებლად საქმე არა აქვს, თუ შენობაზედ ხარჯი აქვსთ რამე, ის ხომ მიერთმევა ჩვენგან და ჩვენი ნასყიდობა ჩვენ უნდა დაგვანებოს. ერთის ოქმის წყალობა მოიღევით, რომ არ დააგირაონ ან ბატონის მობძანებამდინ მოიცადონ. ჩემს ჯელმწიფეს კიდევ მოვაჯსენებთ და ნება მათის სიმაღლისა იყოს. აგვისტოს **კგ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. პა[ა]ტას შვილები რადგან ასე ჩივიან, ამათ ეს სახლები ნასყიდი ჰქონებიათ, რომ წიგნიც ხელთ უჭირაესთ და ბატონის ოქმიც. ამ სახლებს ბატონის მობძანებამდინ ვერა კაცი ვერ დაიგირავებს. ღმრთით ბატონი რომ მობძანდება, იმის ნება არის. აგვისტოს **კდ**, ქორონიკონს **უოგ**.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

[1] დაგირაებაო.

704. არზა წინამძღვარ თეოდოსისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 4 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1233. დედანი. ქაღალდი. 20,7×18 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან უმაღლესისა და ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოგვცეს მათს მლოცველს დავით-გარეჯის წინამძღვარს თ ე ო დ ო ს ი ს და მათთვის ჯელ-აღპყრობით მვედრებელთ დავით-გარეჯის კრებულს.

თქვენის უმაღლესობისაგან ბოძებული წიგნი გვიახლებია, რომლითაც წყალობა გიქმნიათ ამ მონასტრის ყმათ სათქვენოს ხარჯისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლებისა.

ახლა სურსათს სთხოვენ. ორგნითვე სამსახური ხომ არ შეუძლიანთ. და თუ საქვეყნო ხარჯი გამოერთმევათ, მონასტერს აღარას დასდევენ და ეს მონასტერი დიდს იწროებაში მიიწევა.

ვევედრებით და ვლოცავთ თქვენს უმაღლესობას, ამ სურსათის თხოვისაგან განთავისუფლეთ თქვენს სადღეგრძელოთ და გასამარჯვებლად. ოკდომბერს **დ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ვინც ამათი მოასილნი ხართ! მერმე ასრე უნდა იცოდეთ, რომ ამათ ჩვენს დროში სურსათი არცა სთხოვიათ და არცა ვთხოვთ.

ახლავ ჯელი აიღევით, თორემ იცოდეთ დიდათ გიწყენთ და კიდეც გარდაგახდევინებთ. ოკდომბერს **დ**, ქორონიკონს **უოგ**.

ქ. თუ გამოგერთმიოსთ, ისევ უნდა მისცეთ.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჯმობს ბედ კახეთის მეფად ცხებულს. ე რ ე კ ლ ე.

705. არზა ლელუაშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 22 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448, საბ. № 483. დედანი. ქაღალდი. 20,5×16,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი გარეჯვრელს ლ ე ლ უ ა შ ვ ი ლ ს მოსცეს.

ღმერთმან ასე თქვენი ორგული შეაწუხოს, როგორც მე ვარ. ცალი კელი აღარა მაქვს, წვრილი შვილები და შესანახავი ათი სულნი თავს მახვევიან. ჩემისთანა გლახაკი და მოვალის პატრონი ქართლში არაეინ არის. ოცდათორმეტი თუმანი ვალი მმართებს, ვაძლივე სარგებელი თუმანზედ ზოგს ექვსი კოდი, ზოგს ხუთი. რამდენჯერ თქვენი სამსახური მოვიდა, ისიც თავი ხარჯი ვაძლივე, გ[ა]ვტყდი, აღარ შემიძლიან რა. რუსებმა რომ მეორეთ გაიმარჯვეს, ცალი კელი იქ გამაგდებინეს. ორი თუმანიც საექიმო გამოვიდა, მაგრამ მაინც ამ კელმა აღარა მარგო რა.

მაგრა თქვენის შვილების სადღეგძელოდ ამდენი თქვენი მოწყალება იყოს, ერთი ოქმი მიბოძოთ, ვისიც რომ მმართებს, თავს დამჯერდენ, რაც თაობით მოეცესთ. ამდენ-ამდენი სარგებლები კელთ უჭირავსთ, რომ ეს [სია] გამომირთმევია. ახლა კიდევ სხვა და სხვა იას[ა]ული მადგა. ვითამც ლეკის კელიდამ დაგიხსნიყავართ ათი სულნი, რომ ასე მებოდოს ოქმი – ვისიც პირველი თავნი იყოს, ის მივსცე; ან შვილს გავყიდი ან თავსა და მოვრჩები. ამ დღით იასაული შინ მიდგას სხვა და სხვა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! ამ არზის პატრონს ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ეს მტრისაგან დაშავებული არის და ღარიბიც სამძე არის. და ვინც ამისი მოვალენი იყვნეთ, ამის თავს დასჯერდით. გიორგობისთვის **კბ**, ქორონიკონს **უოგ**.

ქ. თუ სიტყვა გქონდესთ რანე, ჩვენ მოგვახსენეთ, ალბათ.

ბეშენდი: ქნარს მიცემს, ღაეთ მოქმობს ძუღ კახეთის მეფედ ცხებულს. ერეკლე.

706. არზა ბერუა ჯუარდაძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 28 ნოემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 34. საბუთი № 150. პირი. ქაღალდი. მხედრული. ოქმის ქორონიკონი მცდარი უნდა იყოს.

[117 v] ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მომცეს თქვენს მონას მაჭავარიანის ქაცს ბერუა ჭურდაძეს.

ამას მოვახსენებ ბედნიერს კელმწიფეს. ჩემო კელმწიფევ, მე ბერი მაჭავარიანის ნასყიდი კაცი ვიყავი, — ერთი შვილი მიუციათ თაოვართათვის ჩემის მამისა და ბიძის გამოსახსნელათ.

მანამ საჩხეიძოში შენობა იყო, ის მაჭავარიანიც იქ ესახლა და მეც იმას ვემსახურებოდი. როდესაც აირია ქვეყანა, მაჭავარიანი იმერეთს წავიდა. მე სურამს დავრჩი და ჩხეიძე[ე]ბი მიმსახურებდნენ, რაც შემეძლო.

ამიღეს და ხიდირბეგისშვილზედ დამაგირავეს. იმას ექვსი წელიწადი ვემსახურე. იმათ ხომ ველარ დამიხსნეს, ავიღე ურიის ვალი და ჩემი თავი მე დავიხსენ. ახლა მეორეთ კიდევ ამიღეს და, რაც ჩემი ნასყიდი და უსყიდი მამული მქონდა, ოცდაათ თუმნათ აბაშიძე გოგიაზედ დამიგირავეს მამული.

შარშან რომ ვახანს ჯარი შემოადგა, თქვენი ბძანებაც იყო, დავიხიზნენით. მე [118] ქართლში ჩამოველ. იმათ ორმოცი კოდი პური წამართვეს, იქ დამრჩა და შეჭამეს, თორმეტი კოკა ღვინო წამართვეს და ცხრა კოდი ქერი. მე ცოლი და შვილი მშიერი ქართლში მიყრია და მამულს ასე უყვებს. და რაც რამ მქონდა, წამართვეს სულადი. რა ვქნა, შენი ქვეყანა ეს არის, ან ქართლში უნდა ვიყო ან კახეთში, მაშ სად წავიდე?

ღმერთი გაგიმარჯვებს, ნასყიდი მამული მაქვს. არავის დაჰკარგვია ნასყიდობა, ნურც მე დამეკარგება. სამართალი მაღირსეთ, ბედნიერო კელმწიფევ. ნოემბრის **კგ**, წელსა **ჩღპე**.

თავში

ჩვენო ღვთის წყალობავ შვილო ბატონო ალმასხან! მსაჯულნიც შენთან დაისწარ, [ა]მ არზის პატრონი ამ არზით რომ ჩივის, ამას სამართალი უსაჯეთ. აღიწერა ნოემბერს **კდ**, ქორონიკონს **უოდ**.



707. არზა თარხანა ყორღანაშვილისა ყმის დახსნის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 30 ნოემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 47. საბუთი № 136. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[100 v] ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი თქვენს მეგობრე ყორღანაშვილს თარხანას მოსცეს.

ჩემო კელმწიფევ, ლისის შინდორში ორი ჩემი მეცხვარეები დაიკარგნენ, ლეკებმა წა[ა]სხეს; და ახლა ერთი მეცხვარე ბიჭი კი დაუხსნიათ, ოც თუმანს მთხოვენ.

ამ მოწყალებას ვითხოვ, ამის სახსარში ი ს ა ვ ლ ა შ ვ ი ლ ი[1] რომ დაჭერილი გახლავსთ, ის მიბოძოთ, რომ ამას დავაჯერებ. იმ ჩემი მეცხვრის პატრონს დახსნა არ შეუძლიან და დიდათ მაწუხებენ, ცოდვით მავსებენ. მეც ამდენ თეთრს ახლა საიდამ უშოვნი, თუ თვენი მოწყალება არ [101] დამემართება. ნოემბერს კვ, ქორონიკონს უოგ.

თავში

შ ი ო შ მოლარეთხუცესო! ამ ჩვენს ყორღანაშვილს მეგობრეს თარხანას თავის მეცხვრების სახსრად ისავლაშვილო რომ დაჭერილი არის, ის მოეც. ნოემბრის ლ, ქორონიკონს უოგ.

708. არზა სიხარულ მჭედლისშვილისა გამოსალეგის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1785 წ. 8 დეკემბერი

საქართველოს სიძველენი ტ. II, ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, 1909 წ. საბუთი № 416.

ქ. ლმერთმან ბედნიერის კელმწიფის ძის გ ი ო რ გ ი ს ჭირი ა რ ჯ ე ვ ა ნ ი ს ყმას, ლამისყანელს მ ჭ ე დ ლ ი ს შ ვ ი ლ ს სი ხ ა რ უ ლ ს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებთ თქვენს სიმაღლეს, რომ წრეული (sic) თიბათვეში ერთ[ი] ხარი გამამიშვა [ა რ ჯ ე ვ ა ნ მ ა]* გუთნიდამა და გუთანიც ჩამიშალა, და არცა რა მახვნევინა. და ექვსი კოდი პური კიდევ ჩემის ხელით მიმირთმევია. და ახლა კიდევ ს ა ა მ ფ ი ც ხ ლ ა უ რ ი დამაყენ[ა] იასაულათა. ოცდაერთს კოდს ახლა მთხოვს და იასაული შინ მიდგას. მე დანაშაული არა მაქვს. რა.

ამას გეედრებით, რომ შეძლებით მამსახუროს. ღმერთი გაგიმარჯვებთ. ერთი უმამულო კაცი გახლავარ, ღმერთი შვილებს გიდღეგრძელებთ, ამის წყალობა მაღირსეთ.

თავში

ქ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი გიბძანებ ა რ ჯ ე ვ ან! ამ არზით ეს კაცი რომ ასე გიჩივის, კვლავაც მრავალჯერ უჩივლია,

[1] ისაყიდაშვილი.
* აღდგენა ჩვენია.

რათ ვერ დააჯერე გული, რომე, თუ შენთვის არა გედომებოდა მოსაცემლად, არ მოგცემდით. და რადგან მოგეცათ ეს კაცნი (sic), შაღავათით მოექეც და რიგიანათ, რომ აღარ იჩივლოს, შენც გამოგადგეს და შენს შვილსაც. შეძლებისაებრ იმსახურე. დეკემბრის ი, ქორონიკონს უოგ.

შენის შვილებისათვის რომ ზრუნავ ხოლმე, თუ კი გაუცრცვი და აღარა დარჩებათ რა. ასე მოიქეც. შენც გამოგადგეს და იმათაცა.

გიორგი

709. არზა იულიოს ნიქოზელისა წიგნებისა და ამის თაობაზე დიპასტერიისადმი ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 11 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 759. დედანი. ქაღალდი. 34,5×12,5 სმ. მხედრული. გახვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე და წერტილი.

ქ. მისის უწმინდესობის დეკასტირიას ნ ი ქ ო ზ ე ლ ი ი უ ლ ი ო ს უმდაბლესად მოვახსენებ.

ნიქოზელი რომ მიცვლილიყო, მათის უწმიდესობის ბრძანება ჰქონდა ურბნელს მიცვალებულის დამარხვისა. დაჰმარხა, და რაც ეკლესიის წიგნები ჰქონდა, ყველა ერთს ხანდუხჩაში ჩაეწყო, დაებეჭდა და იმის ოთახში შაენახა. მეორეს კვირას მოსრულიყო ფ ა ვ ლ ე ნ ი ს შ ვ ი ლ ი თ ე ი მ უ რ ა ზ და ის სახლი გაეტეხა და ხანდუხჩა წიგნებით წაეღო.

მათს სიმაღლეს და მათს უწმინდესობას ჩემს პირველს ეპისკოპოსობაში ჯერ იქ არ მივსრულვიყავ, თავი ვაწყინე და ოქმები მიბოძეს ამისი, რომ: ფავლენიანნო და ანუ სხვანო, რაც ნიქოზლის წიგნები და ან სავა რამე წაგეღოსთ, სრულ ყველაყა უკლებრივ მიაბარეთო. ვსთხოვე და არ მომცეს.

შარშანსწინ ვიახელ აქ მათს უმაღლესობას მოსახსენებლათ და ის წიგნების ხანდუხჩაც აქ ვაახელი. კიდევ მომატყუე, რომ მოგცემთო, და არც მაშინ მომცეს.

ამას გარდა, ნიქოზლისაგან მამულების განაჩენები დამხუდა. ბატონს არზა მივართვი და იასაულად ამილახვარი მიბოძა, რომ: ჯელი აუმართე. და ეკლესიას თავის მამულები მიაბარეო. აღასრულა ეს ბრძანება ამილახორმა და ის მამულები მომაბარა. როდესაც სთველის დრო მოვიდა, გამოვიდა რ ე ვ ა ზ ფ ა ვ ლ ე ნ ი ს შ ვ ი ლ ი

და მოსაკრეფი ვენახი წამართვა და მეც ავად მომეპყრა; იმისმა ბსახურმა კინაღამ შიგ კმლით დამკაფა და კელიდამ სისხლი მადინა.

მეორეს კვირას იასე ფავლენისშვილი გამოვიდა და ჩემი დეკანოზი მომიგზავნა, რომ ჩემი ყმა და მამული არისო და უბრალოდ ნურეის აწუხებო. ამაზედ ლაპარაკი მოგვივიდა და ი[ა]სე წარვიდა.

მერმე, ნოემბერში, თეიმურაზ ფავლენისშვილი მომისდა შინ უშვერისა და სხვას რიგით ლანძღვით; ავად მომეპყრა ამანაც. კიდევ ეკლესიის მამულისათვის, რომლისა განაჩენი კელში მიპყრია.

ჩემის კაცისაგან ერთი ცხენი ვიყიდე ცამეტ მინალთუნათ. ერთი წელიწადი შინ მყვანდა. ის ჩემი კაცი ფავლენისშვილის კაცებმა შეაგულიანეს, შინ ღამე შემომიხდუნეს, მოაპარვინეს და კახეთში გააქციეს.

მას უკან ის ჩემი კაცი ისევ მოვიდა. დეკანოზი და ეროი სხვა კაცი მიუგზავნე, ჩემი ცხენი ვსთხოვე. არც ცხენი მომცა და არც თეთრი და წინააღმდეგი სიტყვებიც შემოეთვალა. მ[ე]ც სამართლამდინ დავეხსენ. ამ ჩემის კაცის მიწა მოვახუნევინე სანახევროთ; და არც ეს დამანება, წაეყვანა შუაღამისას ფავლენისშვილის კაცი და დაეთესა.

შევიტყე, ჩემი ბიჭი გაუგზავნე და ავად მოჰპყრობოდა. შევიტყე ბიჭის ავად მოპყრობა, შეც გავედ და მშვიდობიანის სიტყვით ველაპარაკე. არც ისმინა და უშვერის სიტყვითაც გამლანძღა. ორიოდ ჯოხი შემოვკარ, გამომეცალე-მეთქი, არც გამომეცალა, ქელი მკრა და კიდეც დამჩეხა.

ახლა ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ სამართალში გაგვალაპარაკოთ, ან ფავლენიანი რას შემართლებოდნენ და ან ის ჩემი კაცი, ჩემი დანაშაულიც მოიკითხეთ და იმათიც. და თუ ამისი მოწყალება არ დამემართება, ჩემი იქ გაძლება არას გზით არ შეიძლება. ნოემბერს **28**, წელსა **ჩლპე**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ბერძნიშვილო ნინიავ! მერე ამ არზით ნიქოზელი ფანველიშვილებს და იმათ კაცს და ერთს თავის ყმას ამ არზით ასე რომ უჩივის, ეგენი აქ კარზე სამართალში უნდა მოიყვანო და რაც დავით ნიქოზლის დანარჩომი წივნები ფანველიშვილს წაეღოს, ეგ უკლებლად აქ ჩამოატაინე. ამას ნუ დააგვიანებ ეს ასე აღასრულე. დეკემბერს **ია**, ქორონიკონს **უოგ**.

დღესასწაულებს წინ უნდა ჩამოიყვანო.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს. ერეკლე.

710. არზა აბრამისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1785 წ. 19 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 484. დღდანი. ჭაღალდი. 20×16,5 სმ. მხედრული. გაბუკეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი ვართაშენში მყოფს იოსებ მღუდლის ძმას აბრამს მომცეს.

ყოვლად მოწყალე კელმწიფევ, ამას წინათ მოვალეებმა შემაწუხეს და თქვენს უმაღლესობას მოვმართე. თქვენის უმაღლესობისაგან ოქმი მებოძა, რომ სანამდინ [ძმა] მოუვიდოდეს, ნურავინ რასა სთხოვთო და დააცადეთო. ახლა ჩემმა მოვალეებმა იასაული დამაყენეს და თეთრსა მთხოვენ. თქვენის უმაღლესობისაგან ჩემის ძმის ჯამაგირის ბარათი მებოძა და იქიდამაც არა მებოძა რა, ის ბარათიც ისევა მაქვს.

აძ მოწყალებას ვითხოვ თქვენის უმაღლესობისაგან, რომ ერთის მტკიცე ოქმის წყალობა მიყოთ, რომ სანამ ჩემი ძმა აქ გიახლებოდესთ და ან მე შევძლებდე მიცემასა, დამაცალონ. ღმერთსა ვფიცავ და თქვენს მზესა, რომ დიდად ნაილაჯი გახლავარ, თორემ არც იმათ ვალაპარაკებ და არც[1] თქვენ გაწყენ თავსა. დეკემბერს **იგ**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ვინც ამისი მოვალენი ხართ ვინმე, მერმე ამას ასრე რომ აწუხებთ და სთხოვთ, თუ იცით. რომ აქვს რამე და თქვენის ვალის გარდახდა შეუძლიან, ის სახელდობრივ ჩვენ მოგვახსენეთ და პასუხს ჩვენ მოვაცემინებთ. და თუ არა აქვს რა, მაშ რას უზამთ, რომ არ და[ა]ც[ა]ლოთ. სანამ ამისი ძმა მოვიდოდეს, მანამდინ უნდა დააცალოთ. ამას ერთი ამგვარი სხვა ოქმიცა აქვს ჩვენგან ბოძებული. ნურავინ აწუხებთ, თორემ თუ კიდევ მოგვხსენდა, იცოდეთ დიდად გიწყენთ.

ვინცავინ მოვალე[ე]ბი ხართ, ყველამ უნდა და[ა]ცალოთ, სანამ ძმა მოვიდოდეს. დეკემბერს **ით**, ქორონიკონს **უოგ**.

თუ შეეძლოს, მოდით ჩვენთან, გამოაცხადეთ და მაშინ ჩვენ მოვაცემინებთ; თუ არადა, ნუღარავინ შეაწუხებთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] + და არც.

711. არზა გოგიბედაშვილებისა გამოსახლების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 22 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 837. დედანი. ქაღალდი. 21×10,4 სმ. მხედრული. განკვეთილობას ნიშნად ხახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ყელმწიფის ჭირი მოსცეს გოგიბედაშვილს ნიკოლოზს და დავითს.

მოგეხსენებათ, თუ აზნაურშვილს ყმა არა ჰყავს, იმას გლეხის კაცის სათხოვარი არ ეთხოება; უყმო კაცნი გახლავართ და გლეხის კაცის გასაღებსა და ბეგარაში გვრევდნენ. უმაღლესობას მოვახსენეთ და ოქმი გვებოძა: ესენი გლეხკაცებთან სათხოვარსა და ბეგარაში არ გაერევიანო.

ახლა მამუკა თარხნისშვილმა და ჯავახისშვილის ყმებმა რუსები ჩამოგვიყენეს. ხახდაკელთ ჯავახისშვილის ყმებს სამი ურემი აწერიათ, სამი ურემი თივა უნდა ჩამოიტანონ მცხეთას, და ერთს ურემს ჩვენა გვთხოვენ.

ჩემო ხელმწიფევ, თუ ერთი ჩვენი ამხანაგი უყმო აზნაურშვილი სწევს ბეგარასა, ჩვენი თავიც თქვენის ჭირის სანაცვლო იქმნას. თუ არადა, წყალობას ვითხოვთ, არც ჩვენ გაგვრიონ ბეგარაში. ღმერთი გაგიმარჯვებს. დეკემბერს კ, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის თარხნიშვილო მამუკავ! მერე ამ გოგიბედაშვილებს ჩვენი ოქმი აქვსთ. ის ოქმი გაუშინჯეთ და, როგორც იმაში ეწეროს, ისე უნდა აღასრულოთ. თუ ყმა არა ჰყავს, უყმოს აზნაურს ხარჯი არ გამოერთმევა. დეკემბერს **კბ**, ქორონიკონს **უოგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჯოგეს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

712. არზა პაპუა საგინაშვილისა ყმა-მამულის გასყიდვის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 2 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8434. პირი ქაღალდი. მხედრული. საბუთის მეორე პირი დაცულია ამავე ფონდში 8432 ნომრით; ავრეთვე, ცსსა. ფონდი 1450. დავთ. № 12. საბუთი № 90.

ღმერთმან ბედნიერის ყემწიფის ჭირი მათს მიწა-მტევრს საგინაშვილს ბოქოულთხუცეს პაპუას მოსცეს.

დოლენჯიშვილი იოანე თქვენი ჭირის სანაცვლო რომ შეიქნა, რაც ყმა და მამული დარჩა, ან თქვენი წყალობა ან თავისი სამკვიდრო, სრულობით თქვენ მოგართვათ. ორმოცდაათი ოთუმანი ვალი დარჩა და ორი ქალი, ერთი ამილახორის შვილის ნათხოვნია და ჯერ უქორწინოა და მეორე ძიძაძას ჰყავს. ამ ვალისა და ობლებისათვის იმისი ყმა და მამული ნე მომაბარეთ ოქმითა. თქვენი ბძანება მაქვს: ყმა და მამული უნდა გავყიდო, იმის ვალსა და ობლებს გზა მივცე.

ერთი თავისი ნასყიდის ყმის გასყიდვა მოვინდომე, კობიაშვილი ნინია წამომეჯიდა, იმისის პიზეზით არავინ იყიდა; ერთი კომლი იმისი სამკვიდრო ეფთვიმე წინამძღვარს მივყიდე მარაქაშვილი, გლახა ციციშვილის სახლობამ თავისი სიძე ამილღაბარ ციცი'შვილი წამომადავა, ამისი გვარი ჩემი ნასყიდიაო.

მანამდის იოანე ცოცხალი გახლდათ, არავინ ედავა და ვერცა ვის რა გაუტანია. ახლა ბკვდარმა რა პასუხი გასცეს და ან მე რა ვიცი იმისი ყმისა და მამულისა. მიცვალებულნიც დაუმარხავნი არიან და ობლებიც ისე გახლავან.

წყალობას ვითხოვთ, როგორც გიბძანებიათ, ისე აღუსრულდეს. ვალიც ცალკე აწუხებსთ. დეკემბერს **ლა**, ქორონიკონს **უოგ**.

თავში

ჩუენი ბძანება არის ბოქოულთხუცესო პაპუავ. მერმე კურთხეულის დოლენჯიშვილის იოანეს ყმა და მამული, რაც დარჩა, იმაზე სიტყვა არავისა აქვს და ვერც არავინ ხმას ამოიღებს. თუ სიტყვა ჰქონდა ვისმე, იმის სიცოცხლეში უნდა ედავნათ. ახლა მიცვალებულს ვეღარავინ ედავება.

გლახა ციციშვილი ვის ჰქვიან და ან ვინ არის? თუ მართლა იმისია, მაინც ჩემი იქნება; თუ იოანესია და მაინც იმისი ვარისი მე ვარ. მე შენთვის ნება და ბძანება მომიცია, რომ, როგორც ამას წინათ გვებძანებინოს და ჩვენი ოქმი გეჭიროს, ისე უნდა აღსრულდეს.

ვისაც უნდოდეს იმისი ყმა და მამული, იყიდოს; ხათრიჯამნი იყვნენ, რომ იმათი მოდავე არავინ იქნება. ილაყბებს, ვინც იმაზე ხმას ამოიღებს, შენთვის იმისი ვარისობა გვიბოძებია; შენ, იმისი ყმა და მამული ვინც მოინდომოს, მიჰყიდე და იმის ვალსა და ობლებს გზა მიეც.

და ვისაც სიტყვა და სადაო ჰქონდეს, ჩვენ გველაპარაკნენ და პასუხს ჩვენ მივსცემთ. იანვრის **ბ**, ქორონიკონს **უოდ**. ალბათ, რომ ეს ასე უნდა იქნას.

713. არზა გიორგი წითორიაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 1 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14242. დედანი. ქაღალდი. 34,3×15,5 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი რევაზ მოურავის ყმას წითორიაშვილს გიორგის მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ: პირველათ რომ სოღალუღს აშენებდით, მაშინ სასახლე სხვას კაცზედ[1] მჭონდა გაცლილი. ქაიხოსრო მდივანბეგის ყმა მოვიდა, იმ კაც[ს] შამძალა, რაც იმას მიწა მოეცა, იმდონი მიწა მომცა და ქეევრი კიდე სართათ. ქვევრს დავხარბდი, სასახლე გამოვართვი და მივეც. ეს ექვსი წელიწადი არის ვენახათ ვაშენებ. ოთხი ძმა ცოლშვილით შიგ ჩავიხოცენით. ოროღი მოჯამაგირე არ გამომილევია, რაც რამ მებადა, მოჯამაგირეს ვაძლევე.

ახლა მოსულა და თქვენთვის მოუხსენებია, ობლობით მბრიყობსო და მამულს მართმევსო; ოქმი აუღია და მამულზედ ხელი ამიმარღვს[2]. სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. თებერვლის **კ**, ქორონიკონს **უოდ**.

თავში

ქ. უფალნო მსაჯულნო ამ არზის პატრონი ამ არზით ასე რომ ჩივის, ღმრთის წინაშე სწორე სამართალი მიეცით, რომ უსამართლობა არა მოხდეს რა. მარტის **ა**, ქორონიკონს **უოდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჭობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

714. არზა შანშე მილახვრისა ჯამაგირის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 4 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2093. დედანი. ქაღალდი. 19,3×13,8 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს მილახორს შანშეს.

[1] კაცზედ დ. [2] ხამა.

ქ. მოგეხსენებათ, როცა თქვენი მოწყალება არ დამემართებ[ა], ის დღე ჩემთვის დღე არ არის. ცოლ-შვილი შესანახავი მყავს, შიშველ-ტიტველი გახლავარ, გევედრები, როცა ჩემს ამხანაგებს თქვენი მოწყალება დაემართოს, მეც მოწყალება დამემართოს; თუ რომ ჩემს ამხანაგებს არ მიეცემა ჯამაგირი, არც მე გაწყენ თავს. მარტის **დ**, ქორონიკონს **უოდ**.

როცა იქნება, მეც მებოძოს, და [ა]ნ ჩემს ამხანაგს მიეცეს.

თავში

ქ. ჩვენი კარის მოხელენო! ამ შანშე მილახვარს წელიწადში ჯამაგირათ თხუთმეტი თუმნისა გაუჩინეთ. ამას ყოველწლივ გაურიგებდეთ და მოსცემდეთ. აღიწერა მარტის **იზ**, ქორონიკონს **უოდ**.

ამის ნახევარი იქნება **ზ ჭ** (შვიდი თუმანი და ხუთი მინალთუნი), ამას ყოველთვის თქვენ მოსცემდეთ. ჯინსი და ნაღდი მიგვიცია ნახევრის და ნახევარი ისი.

ბეჭედი: ქნარს მიცემს. დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

715. არზა დავით-გარეჯის ჭინამძღვარ თეოდოსიისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 13 მარტი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2214. ჰარი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან უმაღლესისა და ყოვლად მოწყალის კელმწიფის ჭირი მომცეს დავით-გარეჯის წინამძღვარს თეოდოსის.

ვანთას რაც მონასტრის შეწირულობა გახლავსთ, ან ძველთ მეფეთაგან და ან ახალი განაჩენები არის, აქა მაქვს. ამ წყალობასა და ოქმს ვითხოვ თქვენის უმაღლესობისაგან, ისინი დამნებდეს, რომ კაცნი მყვანან მომზადებულნი, რომ იქ დავასახლო. ოქმი ლუარსაბ თარხანზედ მიბოძეთ. მარტის **იბ**, ქორონიკონს **უოდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ლუარსაბ თარხანო! მერე რაც ვანთას დავითგარეჯის მონასტრის შეწირული მამულები იყოს, ყველა გაურჩიე და მოაბარე, კაცნი ჰყავს დასასახლებელი. აღიწერა მარტის **იგ**, ქორონიკონს **უოდ**. ღრუჯლე

716. არზა მელვინეთხუცისშვილეგისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 17 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6693. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 22,6×15 სმ. მხედრული. აქა-იქ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მ ე ღ ვ ი ნ ე თ ხ უ ც ი ს შ ვ ი ლ ს თომასა და პ ა ა ტ ა ს.

[ჩვე]ნს მოწყა[ლე] ჯელმწიფეს ამას მოვახსენებთ:

ქ. თქვენგან რო[მ] ყმისა და მამულის წყალობა დაგვემართა, ჩვენი თანგამოყოლილის კაცებისაც ასე წყალობის იმედი გვებძანა: თქვენ იქავ წ ე დ ი ს გარშემო [ბეი]თალმანი მამული მოძებნეთო და იმათთვისაც წყალობა დაგემართებათო.

ჩვენ ეს მოხსენება იმან გაგვაბედვინა, რომელიც ერთი-ორი თანგამოყოლილი კაცნი გვყავს, თავის შესაფარებელი ადგილი არა აქვსთ და ამისთვის ქვეყნის სამსახურსაც აკლიან და ჩვენიც ურგებელნი არიან.

ჰ ი დ ი ს თ ა ვ ი ს [გ]არეშემო თქვენი [სა]ხასო ბეითალმანი მამულები არის, [რ]ომ იქაურის მემკვიდრეს მოთაბარისა კაცისაგან ვიცით.

ამას გეედრებით, რომ იმ გამოყოლილის კაცებისათვინაც ერთი საკომლო მამულის წყალობა დაგვემართოს და ბინა მიეცესთ, რომ ან თქვენს საქვეყნოს ხარჯში არ გამოაკლდენ და ჩვენც გვარგონ რამე.

წედელებიც ხომ თავეთს მამულს ველარ უდგებიან, და ამ დროებში ისინიც იმათ შემოვახვიოთ, რომ არსად დაგვეფანტნენ.

ამ მოწყალებას ვითხოვთ. ფებერელის **კა**, ქორონიკონს **უოდ**.

თავში

[ხიდის]თავს ჩვენის ყმების [ეგ] ერთი მთელი საკომლო მი-წ[ა რომ უპ]ოვნია, ჩვენ ეს მოხსენება გაუგონეთ [და] ერთის მთელის საკომლოს ბეითალმანის მიწის წყალობა [გვიბრძანებია]... რაც ხიდისთავს ჩვენის ყმების ატენელების ბეითალმანი მიწები არ[ი]ს, ხიდისთაეის მამასახ[ლისო] .:. მთელი ზომით გაურჩიეთ და მოაბარეთ.

ეს ასე აღასრულეთ, როგორც გვიბძანებია. აღიწერა მარტის **იზ**, ქორონიკონს **უოდ**.

ორმოცდაათი დღიური უნდა მოუზომოთ და ზომით მისცეთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯნობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

717. არზა ბებურ ბებურიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 18 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2722. დედანი. ქაღალდი. 21×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მ ე ფ ი ს ძ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ჰირი მოსცეს მათს ყმას ბ ე ბ უ რ ი შ ვ ი ლ ს ბ ე ბ უ რ ს.

ქ. ამას მოვახსენებ მათ სიმაღლეს: ერთი პატარა ბიჭი გავზარდე, ორმოცი წელიწადი არის ჩემთან არის. თუ გახსოვთ, ა ნ ა გ ა ს თქვენთან ა ვ თ ა ნ დ ი ლ მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი მედავა. თქვენ გვიბძანეთ: ნუ სდაობთ, კაცი ჩემიაო.

მე მოგახსენე: რადგან თქვენ გეპრიანებათ და თქვენი ყმა ყოფილა, თუნდა ასი წელიწადი ჩემთან ყოფილიყოს, მეც ქვენი ყმა ვარ-მეთქი, თქვენ დაგითმევით.

მერე ოქმი მიბოძეთ: ეს კაცი შენ გებარებოდეს, ამ კაცს ნურავის დაანებებთო. ახლა იასაული დაგიყენებიათ, აჰყარეთ, ახლავ ავთანდილს მიაბარეთო. ავთანდილს საქმე არა აქვს რა.

ოქმის წყალობას ვიოხოვ: იასაული დაგვეხსნას და მე და ავთანდილი გვადავეთ. მარტის **იზ**, ქორონიკონს **უოდ**.

თავში

ქ. ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებ ამ არზის პატრონო! მერე ამ ავთანდილ მიმბაშს ამ კაცზე ჩვენ აღარას ვედავებით. და თუ შენ სიტყვა გაქვს რამე, მის უმაღლესობას ბატონს მამაჩვენს მოახსენე. მარტის **იზ**, ქორონიკონს **უოდ**.

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

718. არზა ელენე ბებურიშვილისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1780 წ. 24 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1395. დედანი. ქაღალდი. 21,9×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჯელმწიფევ დედოფლის ჰირი მოსცეს საცოდავათ სულდგმულს ო მ ა ნ ბ ე ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი ს ქ ვ რ ი ვ ს ე ლ ე ნ ე ს.

ჩემო ჯელმწიფევ! ჩემი დამბობა და დაქცევა თქვენც მოგხსენდათ. ასემც დაიქცევა თქვენი ორგული, როგორათაცა ჩემი ორი უფროსი შვილი დაიღუპა.

თ ე ი მ ურაზ მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ს უჩივლია თქვენთან. ოქმი და იასაული გიბოძებიათ, კაცი აუყარეო. აქამდინ სად იყო, რომ არ მოგახსენათ, ოცდათვრამეტი წელიწადია აქა გხლებიათ, მაგ თეიმურაზ მდივანბეგს რომ ამ ჩემის მაზლის ბ ე ბ უ რ ი ს ა თ ვ ი ს ყმა მიუყიდნია, ესეც მაშინ აყრილა და აქ თავის განაყოფებთან ჩამოსულა. მას აქეთ აქ არის ეს კაცი.

ჩემო ჯელმწიფევ, მასუკან კიდეც გაიყარნენ ეს ჩემი მაზლი და ამისი ძმა. ეს კაცი ჩვენ გვერგო. შენს მზესა ვფიცავ და შენს შვილებს, რომ თექვსმეტი წელიწადია ჩვენი გაყრა; და ოცდათვრამეტი წელიწადია აქ მოსულა ეს კაცი.

ახლა, დროს შემოგდებით, უდავნია და მოუხსენებია. აქამდინ რატომ არ ედავათ იმ თქვენს ყმას ან ამ საცოდავს ჩემს შვილებს; სამს იანვარს დაიღუპნენ, აქამდინ რას ელოდა.

ეს ერთი ობოლი დამრჩომია, ამასაც რომ ამისთანას დროს აუტყდეს რამ, რაღა ვქნა. ერთი ხომ ცოცხალი გახლავსთ, ეგება' თქვენის დოვლათით ქრისტიანობა ეღირსოს, დააცალეთ, რას მოგახსენებსთ ის ყმარწვილი.

გევედრები, უსამართლოთ არ წამერთოს. მარტის **იბ, ქორონიკონს უოდ.**

თავში

ქ. დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ გიბძანებ. მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ვინც ამისი იასაული იყოთ, ამას სამართლამდინ უნდა დააცალოთ და სამართალში როცა ილაპარაკებენ, ჭეშმარიტებით სამართალში რომლისაც შეიქნება, იმას დარჩება. მარტის **კდ, ქორონიკონს უოდ.**

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

719. არზა დავით-გარეჯის წინამძღვარ თეოდოსისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 27 მარტი

ცსსა. ფ. 1449. საბუთი № 2491. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ჩვენი ჯემწიფის მეფის ჭირი მოსცეს მათს მარადის მლოცველს დავით-გარესჯის წინამძღვარს თ ე ო დ ო ს ი ს.

[1] აგება.

ზ ი ა რ ს ერთი საკომლო რ ა მ ა ზ მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ მ ა შემოსწირა მონასტერს და იმაზედ ერთი კაცი გვისახლობს; და როსაცა ბერები პურის სათხოვნელად ჩავლენ, რაც შეუძლიან, მსახურებთ. ახლა ზ ა [ა] ლ ზ უ რ ა ბ ი ს შ ვ ი ლ ი ართმევს, რაც გამოსაღები იქნება, — ან საროსოა და ან სალეკო, ჩემს დავთარზედ სწერიხარო.

ჩემო ჯემწიფევ, ოტიას და რამაზს სხვა ყმაცა ყავს იქა. თუ ისიც იმის დავთარზედ სწერია, თქვენის ჭირის სანაცლო იყოს. თუ არადა, რას ემართლება, ისინი კი არასა თხოვენ, მაგას რა საქმე აქვს, რომ აწუხებს. ღმერთი გადღეგრძელებს, ერთი ოქმი უბოძეთ, რომ ის კაცი არ დაგვეკარგოს. მარტს **კზ, ქორონიკონს უოდ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ზა[ა]ლ ზურაბისშვილო! მერმე ამის მაღალ ღირსებას წინამძღვარს რომ არზით მოუხსენებია, რადგან ეს კაცი ამათი მონასტრის ყმა [ა]რის, შენს ყმასთან ამას ხარჯი რათ უნდა გამოართო, თავის ყმას ამათ უნდა გამოართონ. შენ ამათ ყმასთან საქმე არა გაქვს. არც დავთარზედ ჩვენი მოხელენი შენს ყმასთან გარევენ, ასე იცოდე. თუ რომ ამაში რამ სიტყვა გაქვს, მოგვახსენე. თუ სიტყვა არა გაქვს რა, ნუ ილაპარაკებ. მარტის **კზ, ქორონიკონს უოდ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჯმობს ძელ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

720. არზა ოთიაშვილებისა ყმოგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 4 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დაცთარი № 49. საბუთი № 88. პირი. ქაღალდი. მხედრული. ოქმის ქორონიკონი მცდარი უნდა იყოს.

[57] ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბედნიერის ხელმწიფის ძის გ ი ო რ გ ი ს ჭირი მოსცეს ო თ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ს ბ ე რ ს ა და პ ე ტ რ ე ს ა.

ჩემი ძმები თქვენის ჭირის სანაცლო შეიქნენ. მე ჩემის უთაურობითა, უღონოებითა ვერ გიახელ, ჩემი საჩივარი ვერ მოგახსენე. თ ი ა ნ ე თ ს რომ გახლდით, მ ა მ უ კ ა თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ მ ა ჭიანეთის მოურავზე მიგვყიდა. ახლა საცოდავმა ჩემ[მ]ა ძმებმა რომ შეიტყვეს ჩვენი გაყიდვა, მეფე[ე]ბის წიგნი ჭონდათ წყალო-

ბისა, თქვენ წინაშე მოგართვესთ; რომ გაშინჯეთ, შენი ჭირიმე, თქვენ წყალობა გვიყავით, ხელი ა[ა]ღებინეთ. ოქმი გვიბოძეთ, თქვენ მეტსა ხელი არავის ქონდა ჩვენთან.

ამის მიზეზისათვის თიანეთის მოურავმაც აგვიჩემა, რატომ ჩემი [V] ყმანი არ შეიქენითო, აღარც მოურავმა თიანეთს აღარ დაგვაყენა, იქიდამ ავიყარენით, ჩვენს მამულზედ გიახელით, მაგრამ ჩვენს[1] მამულზედ ვეღარ დავდეგით, რომ ვერანა იყო; ეკლესი[ი]ს მამულზედ მიევედით, კ ა ვ თ ი ს ხ ე ვ ს ხიზნათ დავდეგით.

ახლა ძმები რომ გაყრილან, მ ა[მ] უ კ ა და ზ უ რ ა ბ ა რომ გაყრილან, ჩვენც გაუყრივართ[2]. ჩვენ ზურაბას ვრგებივართ. კიდეც დაუგირავებივართ[3] თ ა რ ხ ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ა თ ვ ი ს თოთხმეტ თუმნათ.

ამის სამართალი დაგვმართეთ. ერთის ოქმის მოწყალება გვიყავით, რომ ჩემთან საქმე არა ქონდესთ რა. ერთს კაცს მიგვაბარეთ, რომ იმათ ძალა აღარ დაგვატანონ, რაც შეგვეძლოს, თქვენ გემსახურნეთ. მარტის **კი**, ქორონიკონს **უოდ**.

თავში

უფალო არხიმანდრიტო ა თ ა ნ ა ს ე! მერე ეს კაცი შენთვის მოგვიბარებია. შენ კარგათ თვალყურები უნდა მიუგდო. და მამუკ[ა]ს, ზურაბს თარხნიშვილს თუ რამ სიტყვა აქვს, სამართალში ილაპარაკონ. თუ არადა, ამ კაც[ს] ნუ აწუხებენ, დაეხსნას. აპრილის **დ**, ქორონიკონს **უოე**. გიორგი

721. არზა იოანე მუხრანბატონის შვილისა სახლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 14 აპრილი

ცსსა. პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს პირადი ფონდი. 1461. რვეული № 3. საბუთი № 48. ბირი. ქაღალდი. მხედრული.

[30] ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მათს მონას მ უ ხ რ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ს ი ო ა ნ ე ს მოსცეს.

მათს უმაღლესობას ამას მოვახსენებ. თუმცა ჩემი საჩივარი და ჩემის ცხოვრების წარსამართებელნი საქმენი და საჩივარი ბევრი მჭონან, მაგრა თავის წყენას ვინ გაბედავს. მარტო ამაზე გეგედრებით, რომ ეს საჩივარი მოიხსენოთ და ჩემი წილი ქოხი სამართლით

[1] ჩვენზედ. [2]+ ბე. [3] დაუვირავე ებიკანთ.

მე მიბოძეთ და მაგას — თავისი. ბარგი კარში მიყრია. ნება გაქვსთ, იასაულზე ბძანეთ, კალატოზი და ქეთხუდა, რომელიც გენებოსთ, მიიყვანონ და გაგვიყონ.

და თუ ერთმანეთში სიტყვა გვაქვს ან ხარჯი და ქირა, იმას თქვენი ნაბოძები შუაკაცნი გვიანგარიშებენ. მე რომ ბარგი გამომიყარა და კლიტე[ე]ბი დამიმტვრია და თავისი ბარგი შიგ შეიტანა და ჩემი ბარგი გამოყარა, იმას აღარ უჩივი. ჩემს წილ სახლებს ვთხოვ, თუ მიბოძებთ. მე ამისთანა ზაბუთასთან (sic) ვერ დავდგები, რომ, როცა ხუმ (sic) მო[უ]აროს, ბარგი[1] ქარში გამიყაროს. ცოლისა და შვილის რა საძაგელის სიტყვით ლანძღვას კი არ უჩივი და არც ჩემ აქა-იქ მიმოსვლაში მოყი[ვ]ნებასა, ამიტომ რომ დავიდუმებ, იმან ის უნდა ქნას და მე ასე.

ბოლოს ეს არის ჩემი მოხსენება: მე ჩემი წილი მიბოძე და იმას თავისი, თორემ შფოთი არ გამოგველევა და მოსამართლე მოვალე შეიქნება. ახლა ნება სამართლისა აღსრულდეს. მარტის **კზ**, ქორონიკონს **უოდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ეშიკაღათ თ ა მ ა ზ. მერე ამაზედ ერთი იასაული მიეც და ქალატოზების უსტაბაში და რამდენიმე ქეთხუდა, რომელმაც სახლის დაფასება და ან გაყოფა იცოდეს, ისინი მიიყვანოს და ამათ სახლები გაუყონ. იმას თავისი წილი დაანებონ და იმას თავისი. ეს ასე გაარიგოს. აპრილის **იდ**, ქორონიკონს **უოდ**. ერეკლე

722. არზა იახე სავაჭრელიძისა მიცვალებულთა წირვის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 18 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hქ 5282. ღედანი. ქაღალდი. 22,2×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალავ-ალავ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს თქვენის ნეკის ნასისხლს ს ა ყ უ ა რ ე ლ ი ძ ე ს ი ა ს ე ს.

ამას მოვახსენებთ: ჩემი საწყალი ძმანი მანამ ცოცხალნი გახლდენ, ცხენის ზურგზედ ეკრნენ და თქვენს სამსახურს სწევდნენ; და რაც დემეტრესაგან მამულები გუქონდა მოცემული, ისინიც ჩამო-

[1] ბაგირი.

გვართვეს; და აქ თქვენს სამსახურში ხუთმეტი თუმანი ვალი გუაქუს დადებული, თავს გუაძეს. ახლა ორნი ჩემნი უფროსნი ძმანი, თქვენი მოსამსახურენი, თქვენის ჭირის სანაცლონი გამიხდენ... შ ი ო შ და მ ა ლ ხ ა ზ [1]ერთს კვირაზედ; ერთი, მეცამე, თქვენს კარზედ დამისნეულდა, მკუდარი გახლიათ ეგეცა. დავრჩი ერთი, ვალისაგან გავსილი, ამოწყვეტისავან დავსილი. და ურბნელმა მღუდელი დამიჭირა: თუ ამთენს ნიშანსა და წასახურავს არ მამართმევს, ნუ უწირავო.

ღმერთი ჩემს თავსაც ჭირის სანაცლო გაგიხდის. ებრძანოს ურბნელს, რომ მღუდელი დამანებოს. და მრავალი მკუდარი დაგიმარხავთ, ამთენი ნოწყალება აღირსოთ იმ მკუდრებსა, რომ ერთი წირვა უყოთ. თქვენს დღეგრძელობას შეემატოს იმათი სულის მოხსენება და ჩემისთანა შეუწევნელის შეწევნა, მოწყალეო ჯ ე ლ მ წ ი ფ ე ვ. ორნივე დაუმარხავნი გახლიან, ზეზედ მიყრიან, თუ თქვენი ბრძანება და მოწყალება არ შეგვეწევა. აპრილის **ზ**, ქორონიკონს **უოდ**.

თავში

ქ. ყოვლად სამღვდელო უფალო უ რ ბ ნ ე ლ ო ი უ ს ტ ი ნ ე, ამ არზის პატრონი ასრე რომ ჩივის, ხომ იცი, რომ ეს ერთი საწყალი და ხიზანი კაცი არის. მას რაც შეეძლოს, თავისის შეძლებით იმსახურე, მეტათ ნუღარ შეაწუხებ. და იმ მღვდელს ნება მიეც[1], რომ უწიროს ამის მიცვალებულებს. საბრალო კაცი არის, შენც ხომ კ[ა]რგათ იცი ამისი შეძლება. აპრილის **იწ**, ქორონიკონა **უოდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

723. არზა მოხუცისი და ხოსროსი სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 27 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qძ 8693. დედანი. ქაღალდი. 33,7×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია მძიმე, ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯილმწიფის ჭირი მოსცეს ლ ი ლ ო ზ ე მსახლობელს თქვენს ნათლულებს მ ო ხ ე ს და ხ ო ს რ ო ს.

მერე ამას მოვახსენებთ: ო ს ე თ შ ი ჩვენ ბიძაშვილები გვყავს და ჯ ა ჭ ი შ ვ ი ლ მ ა ე ლ ი ზ ბ ა რ მ ა ამოგვიწყვიტა, — შვიდი მოკლა და ოთხი დაატყვევა; და ჩვენი ციხეც კ ე ლ თ უჭირავს.

ქ. ამ დავაზე ჩვენ და ჩემი სახლის კაცნი მიუხედით იმათ, ერთი კაცი მოუკალით და ერთი სხვა ციხე წავართვით და ის იმათი ციხე ჩვენ გვიჭირავს და ჩვენი ოთხმოცი კაცი დღეს შიგ არიან. მარტო ჩვენ კი არ გახლავართ, ჩვენი გვარის კაცნი ოთხმოცი კომლნი არიან.

ქ. ამაზე ჯაჭიშვილი ელიზბარ ამილახვარს შეხვეწნოდა და ამილახვარს თქვენთვის წიგნი ეახლებინა და თქვენ გვიბძანეთ, ჯაჭიშვილი ასე გიჩივისთო. ჩვენც არზა მოგართვით და ამილახვარზე ოქმი გვიბოძეთ: ამილახვარო, სამართალი შენ უყავო; და თუ მანდ ვერ გაარიგო, ჩვენს სამართალში გამოგზავნეო; ან არა, იმ ხეობის კაცნი დაისხან და იმათს სამართალს დასჯერდენო. არც ერთს სამართალში არ მოგვყვა და ჩვენ კი ყველას სამართლის ყაბული გვაქვს.

ქ. ახლა ჯაჭიშვილს კიდევ თქვენთვის არზა უახლებია.

ჩვენი მოხსენება ეს არის: ბ ო რ ტ ი შ ვ ი ლ ი იმისი ბატონია, იმან სამართალი გვიყოს და გადაგვიწყვიტოს, ჩვენ ყაბული გვაქვს. თუნდა იმა ხეობაში ვისს სამაროალში გაგვიწ[ვ]ევს, მივყვებით და იმათს სამართალს დავჯერდებით; თუნდა თქვენსა და ამილახვრის სამართალში მოგვყვეს.

ქ. შოუხსენებია, ქ ც ხ ი ლ ვ ა ნ შ ი გვმტრობსო. ჩვენ კ ე ხ ვ ს ქვეით არცარა გვიმტერებია და არცარას უმტერებთ. ახლა თუ სამართალი არა მოგვცა რა, კეხვს ზეით კიდეც უმტერებთ და არც მოვეშვებით; ან იმათ ამოვწყვეტთ და ან ჩვენ ამოვწყდებით. ოთხმოცი კომლი ჩვენი სახლის კაცნი იქ ახლოს დგანან, ამ სისხლს როდის შეარჩენენ. მაისის **კე**, ქორონიკონს **უოდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მ ა ჩ ა ბ ე ლ ო ბ ა რ ძ ი მ და ხუთასისთაო ზ ა ზ ა ვ! მერე ამ არზით ხოსროს ასე რომ მოუხსენებია, ეს რიგიანი მოხსენება არის. რომელსაც სამართალში ელიზბარას უნდოდეს, იმ სამართალში მიჰყვეს და ელაპარაკოს. და თუ სამართალში არ გაუსწორდება მოსესა და ხოსროს, ჩვენ ამათ[თ]ვის ყადაღა გვიქნია, კეხვის ქვეით ესენი ელიზბარას ვერას უმტერებენ. და კეხვს ზეით თუ მტერობა უნდათ, უმტერონ. მაისის **კზ**, ქორონიკონს **უოდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

[1] მიუცი.

724. არზა სოლომონ ფანიაშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 15 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 500. დედანი. ქაღალდი. 24,2×11,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს რუისელს ფანიაშვილს სოლომან დიაკვანს.

მერმე ამას გეუბედრები: დიაღ, მრავალჯერ მომიხსენებია ჩემის მოვალისაგან უსამართლობა, მეც ამიკლო, ჩემო ჯელმწიფევ, ჩემმა მოვალემ. უღელი კამბეჩი და ორი ძროხა, თორმეტი კოკა ღვინო, ერთი ჯმალი, ერთი ვერცხლის ქამარი და ექვსი მინალთუნი იასაულებმა წამართვეს ხარჯათ; ესენი სულ მე წამართვეს, ამას გარდა ჩემს[1] კაცს საიასაულოში წაართვეს უღელი ხარი და ორი ძროხა, და [ა]ხლა ჩემ[მ]ა კაცმა იასაული დამაყენა და დიდათ მაწუხებს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, საუსჯულუოეთ ნუ გამხდი, ამ იასაულის ჯელდამ დამიხსენ და ჩემის ძმის ტარიელის ქვრივი და ობოლი გამა[ზ]რდევინე; ღმერთი განგაძლიერებსთ და ღმერთი დარეჯან დედოფალს გიცოცხლებსთ, და თქვენის შვილების სამლოცველოთ. მეტათ უსამართლოთ ვიწვი და სამართალი მაღირსეთ და მარადის თქვენი მლოცველნი გახლავართ და ვიქნებით. ივნისს **იდ,** ქორონიკონს **უოდ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამილახვრის შვილო მინბაში ოთარ! შერე ამ არზით ფანიაშვილი ასე რომ ჩივის, ბასილა-შვილს იოსებს ამისის კაცისათვის უღელი ხარი და ორი ძროხა რომ წაურთმევია, შენ უნდა ახლავე გამოურთვა და ამას კაცს მოაბარო. ამაზედ ამას ჩვენთან ნუღარ აჩივლებს. ეს ასე გა[ა]რიგე. მთიბათვის **იე,** ქორონიკონს **უოდ.**

ამგვარი მოუკითხავ[ი] ოქმი ამ ქვრივს რატომღაც მოხდა, ის მე ვიცი, მაგრამ თუ ეს ქვრივი გამტყუნდა, გარდახდება.

ბეჭედი: ქნარა მიცემს, დავით მიქმობს ძიდ კახეთის მეფეც ცხებულს, ერეკლე.

[1] ჩემემს.

725. არზა ნინია ვაშაქაშვილისა გამოსახლების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 16 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 52. საბუთი № 54. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[40] ღმერთმან ბედნიერი ხელმწიფის ჭირი მოსცეს თელაველს ყორჩიბაშის შვილის დავითის ყმას ვაშაქაშვილს ნინიას.

მამული ბეჟანმა გამომართო ოცი წელიწადია და ზვარს დადო. და მას აქეთ ხიზნობით ვემსახურებოდით. ახლა ბეჟან და დავით რომ იყრებოდნენ, ბეჟანმა თავის საუფროსოს გულისათვის მეკომურებთან ჩამაგდო, მე უმამულოდ დავითს მიმცა **[V]** და ჩემი მაგიერი მამულიანი იმან აიღო და ახლა მეკომურებთან გასაღებს მაწევინებენ.

ჩემო ხემწიფევ, ან როგორც მამულიანი ჩემს ბადლად ბეჟანს აუღია, მეც იმისთანა მამული მამცენ და მიმსახურონ; თუ მამულს არ მამცემენ, გასაღებიდამ ამომიშვით. ღმერთი გაგიმარჯვებს. ივნისს **ივ,** ქორონიკონს **უოდ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის. მერმე ამ არზით რომ მოუხსენებიათ, რადგან ესენი უმამულონი არიან, რაც კახეთში სხვათ მემკვიდრე ბოგანოს ვთხოვებოდეს, ამათაც ისე უნდა უთხო[ო]ს. მამულიანს კაცთან ამათ ხარჯი არ გამოერთმევათ. ვინც ჩვენი მოხელენი იყვნეთ, ასე იცოდეთ. მთიბათვის **იე,** ქორონიკონს **უოდ.** ვრეკლე

ბატონის ბძანება ასე არის. მე, დავით მდივანი, ვწერ. უმამულონი არიან, ამათ ხარჯი არ ეთხოებათ მამულიანს კაცთანა.

დავით

726. არზა იასე ფავლენიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1788 წ. 17 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი. № 187. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[124] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფე დედოფალთ-დედოფლის ჭირი მოსცეს ფავლენიშვილს იასეს და იმის ძმისწულებს.

მოგეხსენებათ დვანი რამდენი ხანია ვერანათ იყო. ვერანობას გარდა დვანის მამულებზედ ბევრნი გველაპარაკებოდნენ. ამ

ორის არზის მიზეზით თითქმის ხელაღებულსავით ვიყავით. ერისთვის ყმამა ტრანკაშვილმა ჩვენი ნაზვრევიც დაიჭირა და სხვაც მიწებია. ჩვენ ვეუბნებით: შენ ქრცხინვალელი კაცი ხარ და დვანში ჩვენი მამული რათ გიჭირავსო. ამ პასუხს გვეუბნება, ნაყიდი მაქვსო. არც მომსყიდველი ჩანს და არც წიგნი გვაჩვენა ვინ მიჰყიდა.

ამ წყალობას ვითხოვთ, ერთი ბეჯითი ოქმი და იასაული გვებოძოს, რომელსაც ჰეშმარიტი შესაწყნარებელი ნასყიდობის წიგნი ჰქონდეს, ის ღმერთმან მოახმაროს. და რომელიც ჩვენი მამული ნაპარავათა და ძალით ეჭიროს, თქვენის ოქმით და იასაულის ძალით ის ჩვენი მამული დაგვანებოს. და ან სხვანი ვინც გვედავებიან ნასყიდობითა [V] თუ ისე, იმათაც ასე აღგვისრულონ ან ნასყიდობის წიგნი მოიტანონ და ან მომსყიდველი[1] აღმოაჩინონ. თიბათვის **იდ**, ქორონიკონს **უოდ**.

თავში

მდივანბეგ-ეშიკაღადბაშო თეიმურაზ! ამ არზის პატრონებს ფავლენიშვილებს ასე რომ მოუხსენებიათ, ამას ერთი კარგი იასაული უჩინე, ვისაც ამათ დვანში მამული ეჭიროსთ, ან მომსყიდველი გამოაცხადონ, ან მოთაბარ ნასყიდობის წიგნი, მამული ისე დაიჭირონ. თუ ვერც მომსყიდველს იპოვნიან, ვერც ნასყიდობის წიგნს გამოაჩენენ, იმისთანა მამულები ძირს და[ა]დებინონ. მასუკან თუ ჰეშმარიტი სიტყვა ჰქონდესთ, ჩვენ მოგვახსენონ. თიბათვის **იზ**, ქორონიკონს **უოდ**.

მდივანბეგ-ეშიკაღადბაშო თეიმურაზ მოგახსენებ ძმაო ბატონო ავალიშვილო ზურაბ; როგორც მის სიმაღლეს ჩემს ხელმწიფეს ამ ოქმით უბძანებია, სწორეთ ასე აღასრულე. თიბათვის **იზ**, ქორონიკონს **უოდ**.

727. არზა მარღიშვილებისა გაყრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 6 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 37. საბუთი № 81. პირი. ქაღალდი. მხედრული. საბუთის პირი დაცულია ავრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტში (Hd 8427).

[50] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი თუმანისშვილის ზურაბის ყმას მარღიშვილს ივანესა და ძმებრს მოსცეს.

[1] გამომსყიდველი.

მერე ჩვენი ძმა იასე მისირში ტყვედ გახლდათ. და იქიდამ მოვიდა ეს მეოცე წელიწადი არის. და ჩვენი ძმა გოგია რომ გაგვეყარა, მაშინ ეს იასეც ჩვენგან გავიდა, რომ არაფერი ინდომა რა, და არცა წილი აიღო. ეს ჩვენი უფროსი ძმა გოგია რომ მოგ[3]შორდა, მასუკან ერთ თვეს უკან ჩვენის ნებით ეს ჩვენი ძმა იასე ჩვენვე შეგვეყარა. ეს მეოცე წელიწადი არის ერთად გახლავართ.

დღეს ეს იესე გვეყრება ამ ორთავ ძმათა. რაც ჩვენ მოგვიგია, იმაში კი წილს იდებს და შუა გვიყოფს და თავის მოტანილში წილს არ გვიდებს. პირველადვე რომ გაგვეყარა იესე, რომელიც მამეული დარჩომილი პირუტყვი გვყვანდა, მაშინ წილი არ აიღო და ახლა წილს იღებს. თუ ის თავის მოტანილში წილს არ დაგვიდებს, არც ჩვენს მამა-პაპისა და ჩვენს მონაგარში წილს დაუდებთ. ჩვენ ორნივ ძმანი უცოლშვილოები გახლავართ. წელს სამას-ოთხასი კოდი პური მოგვდის და იმაში პირზედ ჯელს გვაფარებს.

ამ მოწყალებას ვითხოვთ, ერთი ოქმი გვებოძოს ბატონს ჩვენს ზურაბზედა, რომ ჩვენმა ბატონმა გაგვყაროს, როგორც რიგია.

თავში

[49 V] ჩვენი ბძანება არის თუმანიშვილო ზურაბ! მერე ეს შენი ყმები მარღიშვილები რომ იყრებიან, როგორც მართებული იყოს გაყრისა და ან ამ არზით ეთხოვნოს, ისე უნდა გაჰყარო. რადგანც ძმანი არიან, რაც აქვსთ იასესა და ან ამ ორთავ ძმათ, ყველა უნდა გაუყო. მარიამობის **ჳ**, ქორონიკონს **უოდ**.

თუ იასე ამათ წილსა სთხოვს, ესენიც მას თავის მონაგარში წილსა სთხოვენ. თუ ის არ დაუდებს წილსა, არც ესენი დაუდებენ, რომელიც მაგის დაკარგვის შემდგომათ მოუგიათ ამ ძმებსა.

728. არზა მათე მღვდლისა მალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 14 აგვისტო

ცსსა. ფ. 1448. სა. № 1353. დედანი. ქაღალდი. 16,5×10,9 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ჭ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჰირი მოსცეს მათე მღუდელს.

მერმე ამას მოვახსენებთ. თქვენც მოგეხსენებათ, მე ლეკისაგან კაცი დავიხსენ, რომ მინდოდა ჩემს შვილს გამოსდგომოდა. რადგან აღარ ინება ჩემთან ყოფნა, მეც ნება დავრთე, თამასუქი მომცა, რაც ჩემი ვალი დაედო.

ამ წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი მებოძოს, ჩემი მომცეს, რაც თამასუქში ეწეროს. თუ არა, მოხსენებისათვის ნუ გაგვიწყრებით. მარიამობის **იდ,** ქორონიკონს **უოდ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო ხიმშიაშვილო დავით! მერმე ვისაც ამისი ვალი ემართოს თამასუქით, თუ სიტყვა ქონდეს, სამართალში მოიყვანე. თუ სიტყვა არა ჰქონდეს რა, თავისი თეთრი გამოურთვი და მოეც. მარიამობისთვის **იდ,** ქორონიკონს **უოდ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

729. არზა ნინია ციციშვილის ქვრივისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 30 აგვისტო

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 429. დედანი. ქაღალდი. 18×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის უმაღლესობის ყოვლად მოწყალის საქართველოს მეფის ჰირი მოსცეს ომან კალაურის მოურავის დას, ციციშვილის ნინიას ქვრივს.

აწე ამას მოვახსენებ მათ უმაღლესობას: თქვენის მოწყალებით ერთი კომლი გაგ[უნა]შვილები აქ თელავს მებოძა, თქვენი წყალობა ოქმიც მქონდა; ის გლეხი სვიმონ მდივანმა არ დამანება, ბატონისშვილმა მომაბარაო. იმ კაცს სვიმონ მდივანიც ეჭიდება. ახლა გოგნიაშვილს უთქომს, ბატონისშვილმა მე მიბოძაო.

ჩემი ჯემწიფევ, მე რით ვიცხოვრო. მიცვალებულიც დაუმარხავია, მეც შეუნახავი ვარ, არც ილაჯი მაქვს ჩემის თავის შენახვისა. ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ის კაცი მებოძოს, ცეცხლი მაინც ამინთოს ან წყალი მოვატანინო. მრავალი ჩემებრივი ქვრივი იზდება თქვენის მოწყალებით. ჩემზედაც მოწყალება მოიღვაწეთ, ის კაცი მებოძოს. **აგვისტოს კდ, ქორონიკონს უოდ.**

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ, შვილო ბატონო იულონ! ამ არზის მომრთმევს ჩვენი ოქმიც აქვს, რომ ეს კაცი უნდა მიეცეს. ამგვარი ქვრივი და ობოლი რომ დარჩება, თავის ყმიდამა და მამულიდამ წილი უნდა მიეცეს, რომ იცხოვროს. შენთვისაც გვითქვამს, ეს კაცი ამ ქვრივისა და ობლისათვის უნდა მიგეცა; არ მისცემია, ახლა უნდა მოსცე. მარიამობის თვის **ლ,** ქორონიკონს **უოდ.**

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

ქ. ჩვენ მეფის ძეს იულონს ეს გაგუნაშვილები გვიბოძებია. იანვრის **ზ,** ქორონიკონს **უოე.**

ბეჭედი: ქ. ღვთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

730. არზა შარვაზან ჴენაგდიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1786 წ. 4 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4260. დედანი. ქაღალდი. 17,5×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერი ჯემწიფე, ორსავ საქართველ[ოს] დედოფლის ჰირი მოსცეს ველისციხელს თქვენს ყმას შარმაზანს მენაბდიშვილს.

მერმე ამას მოვახსენებ: თქვენ რომ დამასახლეთ, მემკვიდრეებთან დავიწვრე; ცოტაოდენი მიწა მიბოძეთ, მე ის მამულათ გავაკეთე, ვაზი ჩავყარე. რადგან მოყალნეებთან ყალანსა ვწევ, სახნავი მიწა არა მაქვს. უხნავი კაცი რას ვარგა. გევედრებით, ბეითალმანი მამულები არის, ამდენი თქვენი წყალობა დამემართოს, რომ სახნავი მიწა მიწყალობოთ, რომ მეც უხნავი არ დავრჩე. ჩემს ამხანაგებს არ გამოვერჩიო. ღმერთი გადღეგრძელებსთ, უხნავი ვერ დავრჩები. გლეხის კაცისა ხვნა არის. ენკენისთვის **ბ,** ქორონიკონს **უოდ.**

თავში

ქ. დედოფალი დარეჯან გიბძანებ ველისციხის მოურაო სვიმონ! მერე, ვისაც ველისციხეში ნამეტნაობით მამული უჭირავსთ, იმაზედ ჩვენ თავადიშვილები განგვიწესებია, რომ ჯელს ამართავენ; და იმ მამულებიდამ ამ არზის პატრონს ერთი საკვამ-

ლო სახნავი მიწა მოეც მამულათ. სექდემბერს დ, ქორონიკონს **უოდ.**

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

731. არზა ადამ უარაგოზისშვილის ქვრივ-ობლებისა გამოსაღების თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

1786 წ. 6 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3019. დედანი. ქაღალდი. 23,8×20,2 სმ. ზხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მ ე ფ ი ს ძ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ჭირი მოსცეს ა დ ა მ ი ს დედასა, ქვრივსა და ობლებს.

ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ჯემწიფეს და ვევედრებით: ერთი ოქმის წყალობა გვიყოთ ჩვენს ყმაზე, საკელოსა და ხიზანზე, რომ, რაგვარათაც აქამდის გვემსახურებოდენ თქვენის ბრძანებით, ისევ იმ გვარათ ემსახ[უ]რნენ იმის პატარა ობლებს, რომ თქვენის წყალობით ესენი დავზარდოთ და ის კი დავმარხოთ, თქვენს უბრძანებლივ არავინ შეგვაწუხოს და არცავინ ყმა შეგვიწუხოს.

და ერთსაც ამას ვევედრებით თქვენს ჩვენზე მოწყალებას, რომ წლეობით საქვეყნოს ხარჯი გვაპატიოთ, რომ მკდარი დავმარხოთ თქვენის წყალობით, ჩვენო მოწყალევ და პატრონო, თქვენს სადღეგრძელოდ. სექდემბრის ე, ქორონიკონს **უოდ.**

თავში

ქ. მეფის ძე ვახტანგ გიბძანებთ, ვინცავინ ადამის ან ყმა, ან საბელო და ან ხიზანი ხართ! მერე როგორც ბატონყმობისა და საბელოს გირიგია და ან აქამდის ადამისათვის გიმსახურიათ, ოუ ამას იქითაც იმის დედასა, ქვრივსა და ობოლს ისე არა მსახურეთ და ერთი ნაკლებობა რამ იკმარეთ, იცოდეთ დიდათ გიწყენთ და ავად მოპყრობით გადაგახდევინებთ.

და რომელიც ამ წლის სარუსოს იასაული იყუნეთ, ამ ადამის ყმებსა და საბელოს დაეხსენით, მანამ მე მისს სიმაღლეს მოვახსენებდე, ნუ გამოართმევთ, მანამ ჩემი მეორედ ოქმი არ მოგვიდესთ გამორთმევისა. სექდენბერს ვ, ქორონიკონს **უოდ.**

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად ვ ა ხ ტ ა ნ გ ირაკლის ნაკვეთად.

732. არზა ავეტიქა შაქარაშვილის ხიზნისა მორიგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 11 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3012. დედანი. ქაღალდი. 18,5×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მექვაბე შ ა ქ ა რ ა ს შ ვ ი ლ ი ს ა ვ ე ტ ი ქ ა ს ხ ი ზ ა ნ ს.

ამას მოვახსენებთ: თქვენი ყმა თქვენის ბძანებით იანარალთან გიახლათ, ახლაც იქავ გახლამსთ.

ქ. მოვეხსენება, მე უპატრონოთ, მშიერ-მწყურვალი გახლავარ. ახლა იმის მორიგეს მაწუხებენ. ბად[ა]ლი რით დავიჭირო. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამაზედ მიშველეთ რამე, რომ არ დამაწიოკონ. მრავლის მოწყალე ბძანდები, თქვენი შვილების სადღეგრძელოთა. სექდემბერს **ია,** ქორონიკონს **უოდ.**

თავში

ქ. ლაშქარნივისებო და უზბაშო! მერე ამ არზის პატრონის პატრონი რადგანც აქ არ არის და რ უ ს ე თ ს არის, ამას მორიგეს ნუ სთხოვთ, ხელი აღეგით. სექტემბერს **ია,** ქორონიკონს **უოდ.**

ბეჭედი: კნარს მიცემს, დავით მიკმობს ძედ კახეთის მფეტდ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

733. არზა ზურაბ თუმანიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 19 სექტემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 37. საბუთი № 82. პირი. ქაღალდი. მხედრული. შდრ. 1786 წ. 6 აგვისტოს არზა-ოქმს.

[50 v] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს გ ი ო რ გ ი ს ობოლს ზ უ რ ა ბ ს.

მოწყალეო ჯელმწიფევ, მ ა რ ღ ი შ ვ ი ლ ე ბ ი გახლავან ჩვენი ყმანი და ამათგანე ერთი ძმა ტყვეთ დაკარგულიყო და ტყვეობიდამ ჩიახლათ, ისევ თავი დამიკვრა და ჩვენი ყმობა აღიარა, რომ ამისი უა[51]რის თქმა არ შეუძლია. შემდგომად უფროს ძმას გაეყარა და უმცროს ძმებს შეეყარა. ეს ოცი წელიწადი არის რაც ტყვეობიდამ ჩხლებია, ჩემს მამულზე დგომილა და ყმათ ყოფილა.

ახლა თავი ავკაცობაზე დაუდვია, ხან თქვენ გაწყენს თავს, ხან ბედნიერს დედოფალს და ხან თქვენ შვილებს, ცდილობს რომ ჩემის ყმობიდამ თავი მოისხლიტოს.

ობლის მწყალობელი და ჭეშმარიტი მოსამართლე ბრძანდებით, მუხლთ გეხვევი და გევედრები, ჩემს სამკვიდრო, მამა-პაპის ნამსახურს ყმას ნუ მამიშლით, ღმერთი გაგიმარჯვებს. მე ღმერთსა და თქვენს სამართალს მომიმართავს თავი და ის[1] თეთრის მძლავრობით ჩემს ყმობას უარყოფს, თქვენ თავს მაწყენს და მე უბრალოთ მაღონებს. ის რომ თავისის ძმების შურით მაწუხებდეს, მე ამაში უბრალო არა ვარ? ღმერთი გადღეგრძელებს, გამიკითხეთ. სეკტემბრის **ი**, ქორონიკონს **უოდ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის. მერე ჩვენგან ასე არის განწესება, ტყვე რომ მოვა, ერთი თვე და ანუ ორი თვე ვისთანაც [მივა] და ეყმობა, იმას ყმობიდამ ვერ წაუვა. ეს ამდენი წელიწადი ამ თავის მებატონესთან ყოფილა და ჰყმობია. ამის ყმაც რომ არ ყოფილიყო, მაინც ვერ წაუა ყმობიდამე, რადგანც ამდენი ხანი ამისი ყმათ ყოფილა. სეკდემბრის **ით,** ქორონიკონს **უოდ.**

და თუ იმ კაცს სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს, მაგრამ თუ გამტყუნდა, დიაღ, ძალიან გადავახდევინებთ.

734. არზა პაისიოს სამთავნელისა ყმის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 5 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2165. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან უმაღლესის კელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მლოცველს სამთავნელს პაისიოს[ს].

ამას მოვახსენებთ ჩვენს კელმწიფეს. ერთი ქ[ვ]ახერელი ეკლესიის ყმა მკვიდრი ხითარაშვილს ზურაბასა ჰყავს, თორმეტ მინალთუნათ გირაოდ ყოფილა ქ[ვ]ახერელელი არღუთაშვილი და ამდენი ხანია ყმათა ჰყავს, თავს არ ანებებს, რომ თავის მამულზედ დასახლდეს ეს ქ[ვ]ახერელელის მუჯალამა[ა], რომ საქმე არა აქვს რა ხითარაშვილსა.

[1] ის] იმან.

წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი გვიბოძოთ მორდალს იესეთან; თუ საბუთი არა ჰქონდეს რა, ეკლესიას თავის ყმა აუყაროს და მისცეს, ჩემო კელმწიფევ. სეკდემბერს ე, ქორონიკონს **უოდ.**

თავში

ჩვენი ბრძანება არის დიასამიძე იესე! სამთავნელს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ხითარაშვილს ზურაბას თუ ერთი ჭეშმარიტი სიტყვა არა ჰქონდეს, ამას თავისი ყმა ახლავ აუყარე და სამთავნელს მოაბარე. ეკლესიის ყმა არავისგ[ან] არ გაიყიდება და არც დაგირავდება. თუ სიტყვა აქვს, სამართალში ელაპარაკოს. ოკდონბრის ე, ქორონიკონს **უოდ**[1].

735. არზა ენისელთ მოურავის დიმიტრისა საკირეს თაობაზე
იულონ გაბონიშვილის ოქმით

1786 წ. 5 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 536. დედანი. ქაღალდი. 14×9,5 სმ. მხედრული, განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მეფის ძის იულონის ჰირი მოსცეს ენისელთ მოურავს დიმიტრის.

ქ. გრემელთ ჩემგან საკირე ისესხეს. ახლა წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი გვებოძოს, რომ საკირე დამიწვან. ოკდომბერს ე, ქორონიკონს **უოდ.**

თავში

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებ იასაულო! მერმე ენისელთ რომ ამისი საკირე დაუხარჯავს, ის საკირე ისევ ენის[ელთ] დაუწვევინე. და სიტყვა თუ ქონდეს, ჩვენ მოგვახსენონ. ოკდომბრის ე, ქორონიკონს **უოდ.**

ბეჭედი: ქ. ღთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

736. არზა გურჯიძეებისა მამულის თაობაზე
გიორგი გაბონიშვილის ოქმით

1786 წ. 10 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10188. დედანი. ქაღალდი. 15,5×10 სმ. მხედრული, განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ძის გიორგის ჰირი მოსცეს სამთავ ძმათ გ[ლ]ურჯიძებს.

[1] უოდ] ოუდ.

მერე ამას მოგახსენებს: ჩვენი ვენახი იოსებს გლურჯიძეს უჭირავს. ერთის ოქმის წყალობას გევედრები, რომ სამართალში მელაპარაკოს, თუ რამ სიტყვა ქონდეს[1]. ოქტომბრის თ. ქორონიკონს **უოდ.**

თავში

ქ. ბატონისშვილი გიბძანებს ბექანისშვილო იოსებ! მერე ეს გლურჯიძე[2] რომ ასრე ჩივის, ამისი მოდავე სამართალში მოიყვანე ჩვენთან და ალაპარაკე. ოქტომბრის **ი,** ქორონიკონს **უოდ.**

გიორგი

737. არზა როსტომ ერისთვისშვილისა ჯმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 22 ოქტომბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 37. საბუთი № 62. პირი. ქაღალდი. მხედრული. ამავე საქმეზე იქვე დაცულია 1786 წ. 17 სექტემბრის არზა-ოქმი (საბ. № 61). შდრ. აგრეთვე 1787 წლის 24 ივლისის არზა-ოქმს.

[33 V] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს შონას ერისთვის შვილს როსტომს.

ამთონის თავის წყენისათვის კიდეც მეშინიან და კიდეც მრცხვენიან. მაგრამ რა ვქნა, მე ილაჯი არა მაქვს. ეხლა რომ ახალციხეს გახლდი, იოსებ თულაშვილი თან მყვანდა. და ჩემს იქ ყოფნაში [ჩემს ბიძაშვილს შანშეს] ესე[ე]ბი წაურთმევია – ოცდაათი კოდი წმინდა პური, ხუთი უღელი ხარი; გიორგი მეფისაგან და მარიამ ბატონიშვილისაგან ბოძებული დონგურაშვილები ყვანდნენ სახელოთ, ის წაურთმევია და სამოურავო თვითონ აუღია; პაპის ჩემის [34] დავით ერისთავისაგან მიცემული მერთლობა ქონდა, წაურთმევია და თითონ აუღია; რაც რეხის ხნულები ქონდა, იმას დაუფარცხავს. ეს საკვირველი უსამართლობა უქნია.

გევედრები, ერთი ოქმი და იასაული უბოძეთ, რაც წაერთმიოს, ისევ მოსცეს. ღმერთი გადღეგრძელებსთ, ამ ბერიკაცის ცოდვას მომარჩინეთ, ესე[ე]ბი აბოძებინეთ. და თუ ამას დანაშაული რამ აქვს, სამართალში მოგახსენოსთ და თქვენის სამართლით გარდახდეს, ჩემო ჯელმწიფე. ღვინობისთვის **ით,** ქორონიკონს **უოდ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის გლურჯიძე იოვანე! მერე ამ არზით ერისთვის შვილს როსტომს რომ ასე მოუხსენებია, შენ მიდი და რაც ერისთვი[ს] შვილს შანშეს თულაშვილისათვის წ[ა]ერთმიოს, ან ყმა ან მამული და ან სხვა რამ ფერი, ყველა უკლებლად უნდა გამოართვა და თულაშვილს იოსებს მიაბარო.

ამისი გაურიგებლობა არ იქნება, ამიტომ რომ, თულაშვილს იოსებს რომ მთაში მამული გამოერთვა, რეხა ჩვენის ბძანებით იმის სამაგიეროთ მიეცა და ის წიგნი ჩვენგანც დამტკიცებული არის და იმ მამულს ვეღარ ჩამოართმევენ.

და ან რაც სახელოები ჰქონია, ვერც ერისა უსამართლოთ ვერ გაძმოართმევს. თავისი ყველა უკლებლად მიაბარებინე. ღვინობისთვის კბ, ქორონიკონს **უოდ.**

რახანც გაიყრებიან, თუ სიტყვა რამ ექნება, მაშინ ელაპარაკოს. ახლა სახლი ერთი აქვსთ და ამის არ მოეშლება რა.

738. არზა ბერუაში და გოგიასი გამოსალეხის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1766 წ. 6 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3033. დედანი. ქაღალდი. 20,2×10,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. 3-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს ცხინვალს მსახლობელს შედანაშვილის კაციას ნასყიდს ბერუას და ძმის ნასყიდს გოგიას.

შარშანწინ ცხინვალელები გხლებოდნენ, ოცდაერთი კვამლი თარხანი აეწერათ, ჩვენი ბატონები მოყალნეთ დაეწერათ და ჩვენ თარხნათა.

ჩემო ხემწიფევ, ჩვენ ან ვისი თარხანი ვართ და ან ვისი სიგელი გვაქ. სალეკოს, სარუსოს, ლაშქარს და, რომელიც თქვენი ბძანება სათხოვარი მოვა, რაც შეგვიძლია, უმეტესად უსამართლობას გვიშვრებიან და გვახდევინებენ; ჩვენი ბატონები ხომ ცალკე გვიმსახურებენ.

[1] აქონდეს. [2] გრუჯიძე.

ამ წყალობას გევედრებით: სარუსო და სამორიგე რომ გადაეხადოთ, იმისი შეძლებაც ძლივს შეგვიძლია. თითო მარტოხელა კაცნი გახლავართ, ნაილაჯი. ღმერთი გაგიმარჯვებს, შებრალება გვაღირსეთ, სარუსო და მორიგის მეტში არაფერშიდ არ გაგვრიონ. გიორგობის **დ**, ქორონიკონს **უოდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, მერე ამ არზის პატრონებს ამ არზით ასე რომ მოუხსენებიათ, რადგან ამათი ბატონები ხარჯს სწევენ, ამათ ხარჯი აღარ გამოერთმევათ. სარუსო და მორიგე რომ გარდაიხადონ, სხვას ხარჯს ამათ ნურავინ გამოართმევს.

ცხინვალის მოურაო და მამასახლისო, ამათ ჯაბრი არავინ უყოს. ბართებულათ ყური მიუგდევით. აღიწერა ნოემბერს **ვ**, ქორონიკონს **უოდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

739. არზა ოთარ ამილახვრიშვილისა მორიგის გამოყვანის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 7 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 443. დედანი. ქაღალდი. 32,8×12,5 სმ. მხედრული. გარკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხემწიფის ჭირი მოსცეს მათს მონას ამილახვრიშვილს ოთარს და ავალიშვილს ეშიკაღაბაშს პეტრეს და დავითიშვილს ზაალს.

მერმე ამას მოვახსენებთ უმაღლესობას: თქვენი ბძანება არის კვამლის კაცი აზნაურშვილი, გლეხი და საბატიოს კაციშვილი ლიახვის გამოლმართი უნდა შეგვეყარა და ბრეთსა და არადეთში ვიდგეთ.

ახლა, ჩემო ხემწიფევ. დავიარეთ, ვინც შემოგვეყარნენ, აქ ბრეთს გახლავართ, მუდამ გავდიცართ, სატივეს ქვით ვჩხრეკთ, ფონებზე ყარაულები გვიყენია. წინაზე ცოტა რამ კაცის კვალი ენახათ ფცის წყალზედა, წაეედით, ისევ წასულიყვნენ, გადაევლოთ.

აქეთ ჯერ მშვიდობის მეტი ანბავი არა არის რა თქვენის დოვლათითა. ზოგიერთი თავადიშვილი და აზნაურშვილი არავინ გამოეიდა. ცოტა კაცზე მცირეთ გახლავართ და ნება თქვენი აღსრულდეს. ბძანების მაყურებელი გახლავართ, როგორც გვებძანება, ისე

ეიმოქმედებ, წყალობის მოაჯენი გახლავართ. პასუხი მალე გვებძანოს. ნოენბერს **ჱ**, ქორონიკონს **უოდ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ამილახვრიშვილს ოთარს მოკითხვა ეუწყოს. მერმე ამ არზით ეს რაც ოგიწერია, დიაღ, კარგად და მართებულად მდგარხართ; დიაღ, დაგიმადლეთ. ახლა ეს ჩვენი ოქმი რომ მოგვიდესთ, მაშინვე საჩქაროდ სანი ნახეთ და შეგვატყობინეთ. ან თავადიშვილი ვინ არის მანდ თქვენთან, ან აზნაური და ან გლეხი. და რაც კაცი გყვანდესთ, საჩქაროდ შეგვატყობინეთ. და სანი რომ ნახოთ, რაც ამილახვარს კაცი მოუწერია, ის შენთან შეინახე და სხვა კი დაითხოვე. ნოენბერს **ზ**, ქორონიკონს **უოდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

740. არზა პაატა თოფჩიბაშისა ვალიხ თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1780 წ. 19 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 233. დედანი. ქაღალდი. 20×15 სმ. მხედრული. მარჯვენა ზემო კიდე მოხეულია. გარკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი თოფჩიბაშ პა[ა]ტას მოსცეს, ამას მოვახსენებ: თქვენგან მამულის წყალობა დაგვემართა მე და ჩემ სახლისკაცებს. თორმეტი თუმანი დავხარჯე. ერთი ოქმის წყალობა მიყავით, რომ ჩემი თეთრი მომცენ. ნოემბერს **იზ**, ქორონიკონს **უოდ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ქისიყის მოურავს ზაქარიას და მისს ბიძაშვილებს ასე უამბეთ. მერე პაატა თოფჩიბაში რომ ამ არზით ასე გიჩივისთ, რას ემართლებით რომ [აჩივ]ლებთ, საერთოთ თეთრი და[უხარჯავს], რაც ამისი წილი იყოს, [ამას უ]ანგარიშეთ, და რაც თქვენ წილად შემოგხვდესთ, ის კი [მო]ეცით. თუ ჭეშმარიტი სიტყვა არა გქონდესთ რა, უმართებულოს საქმეს ნუ იქთ, რომ ამ მცირეს საქმეზედ უბრალო ლაპარაკი მოახდინოთ და არ გაუსწორდეთ. და თუ სამართალში შემოსატანი სიტყვა გაქვსთ რამე, იმას არ დაგიშლით, მოგვახსენეთ. გიორგობის **ით**, ქორონიკონს **უოდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

741. არზა შიხინაანთ გაბრიელასი და გრიგორასი ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 20 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № :385. დედანი. ქაღალდი. 21,5×16,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ხახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერი ქელმწიფის ჭირი შ ი ხ ი ნ ა [ა] ნ თ გი'ო რ გ ი ს შვილებს გ ა ბ რ ი ე ლ ა ს და გ რ ი გ ო რ ა ს მოსცეს.

ახლა ამას ვეხვეწებით ჩვენს მოწყალესა, რომ ქ ა რ უ მ ი ძ ი ს შვილებსა შვიდი თუმანი მართებს თამასუქითა, და ვენახი გირავთა გვიჭირავს, და არც ვენახის მოსავალი გვეძლევა, თითონა სჭამს, და არც ფულს გვაძლევს.

ღმერთიმც გადღეგრძელებსთ[1], ერთი ოქმის წყალობა გვიყავი ო თ ა რ მიმბაშზედა, რომ ჩვენი ფული გამოგვირთოს, რადგან ჩვენც სხვის მოვალეთ გახლავართ და დიდათ გვაწუხებენ. შენის შვილების სადღეგ[რ]ძელოთა, ოქმის წყალობა გვიყოთ, რომ მიმბაშმა ეს თეთრი გამოგვირთოს და ჩვენც მოვალე[ე]ბს მოვრჩეთ. აღიწერა გიორგობის **ით,** ქორონიკონს **უოდ.**

თავში

ქ. ა მ ი ლ ა ხ ე ვ ა რ ი ს შ ვ ი ლ ო ო თ ა რ!' ამ არზის პატრონის მოვალეს თუ ერთი ჭეშმარიტი სიტყვა არა ჰქონდეს რა, ამას თავისი ჰაყი გამოურთვი და მოაბარე და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, სამართალში ალაპარაკე. ნოენბერს **კ,** ქორონიკონს **უოდ.**

ქ. თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, ნ ი კ ო ლ ა ო ზ მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი არის მანდა, შენა ხარ და რამდენიმე კიდევ გორელი მოქალაქე დაისწარით და სამართალი მიეცით. თუ თქვენ ვერ შეიყარენით, როდესაც ამილახორი მანდ მოვიდეს, მაშინ ამან და ნიკოლოზ მდივანბეგმა უყონ სამართალი.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

742. არზა გოგია ნასახჩიბაშისა ხაფულისპიროს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 24 ნოემბერი

ცსსა. ფონდი. 1450. დავთარი № 36. საბუთი № 256. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[167] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ნასახჩიბაშს გ ო გ ი ა ს.

[1] გადღეგძელოსთ.

მერე ამას მოგახსენებთ. ა ბ ა შ ი ძ ი ს კაცნი ჩამოვლენ[1] ხოლმე და ჩემს მამულში საწყლისპიროს აკეთებენ. ერთის ოქმის წყალობა მიყავით[2] მაჩაბელზედ, რომ იმათ ყადაღა უყოს, რომ ჩემს მამულში ნურც სხვას გაუმახანაგდებიან და ნურც თითონ გააკეთებენ. ნოემბრის **ით,** ქორონიკონს **უოდ.**

თავში

ჩემი ბძანება არის ხუთასის[თავო] მ ა ჩ ა ბ ე ლ ო ზ ა ზ ა ვ! მერე ამ არზით ნასაღჩიბაშის ნაიბი[3] გოგია[4] რომ ასე ჩივის, შენ უნდა აბაში[ძი]ს კაცებს ყადაღა უყო, რომ ამის მამულში და ამის საწყლისპიროში ნურცარას გაა[კე]თებენ და ნურცავის გაუმახანაგდებიან, თორემ დიდად ავათ მოვეპყრობით. **ამაზე** ძალია[ნ] ყადაღა უნდა უყო. ნოენბრის **კდ,** ქორონიკონს **უოდ.**

და თუ სიტყვა ჰქონდესთ, ჩვენ მოგვახსენოთ. მანამ ჩვენთან არ ალაპარაკონ, დაეხსნან.

743. არზა თევდორე ხახანაშვილისა ბანაჩენის აღსრულებაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 24 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. H-d 2972. დედანი. ქაღალდი. 22,5×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ა ჯ ა რ ხახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ჭირი მოსცეს ერთაწმიდელს წმიდის ევსტათის ყმას ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს თ ე ვ დ ო რ ე ს.

ათი წელიწადია თავს გაწყენთ და ვჩივით, თ ა რ ხ ნ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ს უჩივით. ჩვენი სამართალი თქვენგან, თქვენის შვილის გ ი ო რ გ ი ს გ ა ნ და მსაჯულთაგან გასამართლებულია, განაჩენი ქელთ გვიჭირავს, მაგრამ ერთხელ ასეთი იასაული არ გვებოძა, რომ იმათი კერძი კაცი არ ყოფილიყო და ეს საქმე გაერიგებინა.

ახლა ეს არის ჩვენი ვედრება: ერთი ასეთი იასაული გვებოძოთ, რომ იმ მხრის კაცი არ იყოს, იმ ეკლესიისათვისაც იზრუნოს და ჭეშმარიტების მიმხედველიც იყოს და ამ განაჩენში ბრძანებული აღასრულოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. ნოენბერს **კგ,** ქორონიკონს **უოდ.**

[1] ჩემოველენ. [2] მიეცით. [3] ნაიბს. [4]+ამ არზით.

თავში

ჩვენი ბრძანება არის ეშიკაღასბაშო ორბელიანო თამაზ! მერმე ამ არზის პატრონი ასრე რომ ჩიევის, შენ უნდა მიხვიდე და როგორც ამათ გარდაწყვეტილობისა და გასამართლებულს განაჩენებში ეწეროს, ისრე უნდა აღასრულო. ამისი დაგდება აღარ იქნება და ნურც დააგდებ, თორემ იცოდე დიდათ ვიწყენთ.

ის სამართალი ხომ ჩვენის შვილის გიორგისა და მსაჯულთაგან გარდაწყვეტილი არის და ჩვენგანაც დამტკიცებული; და როგორც ის განაჩენი უცხადებდეს, სწორედ ისრე უნდა აღასრულო. ნოენბერს **კდ**, ქორონიკონს **უოდ**.

ქ. ეს ჩვენს შვილს გიორგისთან უნდა მიიყვანო და როგორც იმას გაერიგებინოს და გითხრას, ისრე უნდა აღასრულო.

ბეჭედი: კნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

744. არზა ზუა საგინაშვილისა საბალახის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1786 წ. 30 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 475. დედანი. ქაღალდი. 40×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოველად მოწყალე დედოფლის ჭირი მათ მიწაშტევრს საგინაშვილს ზუას მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებთ. ეჭვათ შევიტყე, რომ ხოდაშნელთა'თვის ოქმი გიბოძებიათ; სწორეც არ ვიცი, გიბოძებიათ თუ არა, არც ოქმი მინახავს. მოგეხსენებათ, რაც ჩემს მამულზედ რა ჯაფა გამომძიებია. მათის უმაღლესობის მეფისაგან, თქვენგან და თქვენის შვილებისაგა[ნ] და მსაჯულთაგან სიგელი მებოძა. იმ თქვენს ნაბოძებს სიგელში ერთიც არის, რომ ლექსი მოიშალა, სულ თითო-თითო დაიშლება. მე თქვენი გაზდილი ძაღლი გახლავარ, რომ ამდონს თავს გაწყენთ. ესეც ხომ მოგეხსენებათ, რომ ოთხჯერ დამიფიცნია ამ საბალახეზედ. ოთხისავ დაფიცების ნიშნებს მოგართმევთ. ამისი მალიათი ხომ არა არის რა, რომ თქვენის ყმისათვის[1] საბალახე არ გამამართმევინოთ. მაგრამ ამასა ეწუხვარ; ამ თქვენს ნაბოძებს სიგელში რომ ერთი ლექსი მომეშალოს, მე სულ ძირს გავიელი; თქვენს ნაბოძებს წყალობის წიგნში თუ საბალახეს აცხადებდეს. ხომ გვიბოძეთ, თუ არა ჩემი მამულიც და ჩემი თავიც თქვენის ჭირის სანაცვლო იყოს. მოგეხსენებათ, რაც ცხოვრება გვჭირდა და ახლა ამ მამულის თაობაზედ უფრო გავგლახავდით.

ღმერთი თქვენს კელმწიფეს უმეტესათ აღამაღლებს და თქვენის ბრწყინვალეს შვილებს გიდღეგძელებსთ, თქვენს მეტი პატრონი და მოწყალე არვინა გვყავს. ნუ დაგვკარგამთ, სამართალს გვეედრებით. თუ ეს დაგვემართა, ჩვენ ამ ქვეყანაში დგომა აღარ შეგვიძლია. ნება თქვენის უმაღლესობისა აღსრულდეს. გიორგობის **კგ**, ქორონიკონს **უოდ**.

ქ. ჩემო კელმწიფევ, მომიჯნავე მომიჯნავსა, მოგხსენებიათ, რომ საბალახეს ვერ გამოართმევსო. ეგენი ჩემი მემიჯნავენი არ არიან. ჯერ გახლავს ქ. ახალდაბა, ქ. ხველიანდო, ქ. იალდო, ქ. საკევრე, ქ. ვაშლოვანი, ქ. აშროშანი, ქ. ნაფეტვარა — ეს სოფლები ჩვენსა და ხოდაშენს შუა არის.

და რამთენიმე სოფელი არის, რომ დასავლეთის კერძო იქით ძევს: ქ. ნაშალთველი, ქ. პატარა ტყემლიან[ა], დიდი ტყემლიან[ა], ქ. ნასახლარი, ქ. ახაშანი: ქ. ივალა, ქ. ბადანი, ქ. ხაჩირი, ქ. ბაკან[ი], ქ. დიდსახადში ნასოფლარი ჩრდილშ, ქ. მეკვდური, ქ. ფახანი, ქ. შუბლ[ა].

თავში

ქ. მდივანო დავით! ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, თუ ამისი მოხსენებული ჰეშმარიტი არის და ამ სიით ეს სოფლები რომ დაუწერია, ამათს მამულსა და ხოდაშენს შუა არის, როგორიღა მემიჯნავენი იქნებიან ხოდაშნელნი ამათი. და თუ ასე არ იყოს და სხუა რიგად იყოს როგორმე, ის მოგვახსენე და გვაცოდინე. ნოემბერს **ლ**, ქორონიკონს **უოდ**.

ქ. და თუ ამისი მოხსენებული ჰეშმარიტი არის, როგორც განწესება არის, ისე უნდა მისცენ საბალახე.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

მინაწერი: „ზურაბ საგინაშვილის საბალახის წყალობისა და აღების ოქმია".

[1] + რომ.

745. არზა ქაიხოსროთ სალთხუცესისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 1 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1249. დედანი. ქაღალდი. 20,2×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათს მონას სალთხუცეს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს.

მე[რ]მე ამას მოვახსენებ ჩემს ხემწიფეს: არას დროში ს ა ჯ ი მ შ ი ტ ა ნ ო მთის მოცილე არ ყოფილა და დღეს თ ი ა ნ ე თ ის მოურავი[1] მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ და ნაცვალი მართმევენ. მე მუჩალგას მოგართმევ, რომ ეს მთა ჩემი ყოფილიყოს.

ამდენი წყალობა მიყავით, რომ საბალახე მე გამოვართო. მასუკან თქვენთან გვალაპარაკეთ, თუ იმაში გავმტყუნდე, ერთიორათ მიმაცემინეთ; თუ არა, სამართლამდინ როგორც მე ამიღია, ისევ მევე ავიღო. და მასუკან სამართალში რომ ვილაპარაკებთ, სიტყვა აღარ მექნება; თუ სამართლით დამედება, ერთიორათ მივცემ, და თუ ახლა ეს გამამერთო, საუკუნოთ დამეკარგება. ქრისტიშობისთვის **ა,** ქორონიკონს **უოდ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ამ არზით სალთხუცესი ქაიხოსრო რომ ასე ჩივის, რადგან აქამდის საბალახე ამას უღია, წელსაც ამანვე უნდა აიღოს. ეს მუჩალგასა სდებს. თუ სიტყვა აქვს ვისმე, სამართალში ელაპარაკნენ. თუ სამართალში გაამტყუნებთ, ერთიორად წავართმევთ და მოგცემთ. ქრისტიშობისთვის **ა,** ქორონიკონს **უოდ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დაეთ მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

746. არზა ზერიასი მორიგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 2 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1334. დედანი. ქაღალდი. 25,3×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს პ ა პ ა მ უ შ რ ი ბ ი ს ყმის ცოლს ზ ე რ ი ა ს.

[1] მოურავი.

ჩემი პატრონი ეს ოთხი წელიწადი იყო, რომ მოვალე[ე]ბისაგან გაქცეულიყო და მე ჩემის დედაკაცობით იმის მორიგეს ვაძლევდი. ორს წელიწადს უკან თავის მოვალეებს ეპოვნათ და მოიყვანეს. ორი თვე აქ გახლდა და მოვალეებმა რომ ნახეს არა ჰქონდა რა, ჯელი აიღეს და ისევ წავიდა.

თქვენს მზესა ვფიცავ, რომ იმისი ამბავი ე რ ე ვ ნ ი დ ა მ მომდის და სწორეთ არ ვიცი, იმას გასცილებია თუ არა, და თუ ან სად არის, თუ ან იმისგან რომ მომდიოდეს, თქვენს შემცოდეთ მომიკითხეთ. მე ჩემს ოთხს ობოლს მშრალის პურით ვინახავ, ახლა მორიგისთვის სხვისაგან ნათხოვარი სპილენძეული გირაოდ გაიტანეს.

ბოველ, თქვენს შვილს [ი] უ ლ ო ნ ს არზი მოვართვი და ოქნი მიბოძა და არც იმ ოქმით მეშველა. თქვენს უმაღლესობასაც მოვახსენე და ასე გვიბძანეთ: თუ აქ არ არის, ნუ გამოართმევთ მორიგესაო; და არცარა იმით მეშველა.

ღმერთი გადღეგრძელებსთ, თუ გიბძანებიათ, რომ დედაკაცი მორიგეთ წავიდეს, მეც წავალ. თუ არადა, მე ქმარი აქ არა მყავს. ღმერთი ყოვლის განსაცდელისაგან დაგიხსნისთ, ამის პასუხი მალე მიბოძეთ. ვნქენისთვის **ოვ,** ქორონიკონს **უოდ.**

თაკში

ქ. მელიქო ა ვ ე ტ ი ქ! მერე ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, თუ მართლა აქ არ არის ამის ქმარი, ამ დედაკაცს მორიგეს ნუ სთხოვენ. თუ ქალაქში იქნება, უნდა მისცეს მორიგე; და თუ ქალაქში არ იქნება არ გამოერთმევა. და ეს გირაოებიც რომ წაურთმევიათ ამ დედაკაცისათვის, რადგანც ქმარი ამდენის ხნის წასული ჰყოლია, ეს გირაოები ისევ უნდა მიაცემინო. ქრისტიშობისთვის **ბ,** ქორონიკონს **უოდ.**

ქ. შენ უნდა სწორეთ ჰეშმარიტი შეიტყო და სამართლიანათ მოიქცე. ეგების ამ არზის პატრონი ჩვენ გვატყუებდეს, ჰალბათ გაშინჯეთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მათ მონა ავეტიქას მოსცეს. ამ არზის პატრონს რაც მოუხსენებია, მართ[ალი არის], პატრონი აქ არ გახლავს. ორი წლის მეტი წასული არის. ქრისტიშობის **იე,** ქორონიკონს **უოდ.**

ქ. მიკირტუმ! ამის გირაო ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს თავის სამინბაშოში მისცემია. ამის მაგიერად ერთი მორიგე შენ მოეც, რომ როგორც ბატონს უბძანებია, ამას თავის გირაოები მიეცეს. თებერვალს კგ, ქორონიკონს **უოე**.

747. არზა დეკანოზ ტერ-არაქელასი ეკლესიის გალავანში ნეხვის ჩაყრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 5 დეკემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 52. საბუთი № 96. პირი. ქაღალდი. მხედრული. (იქვე. საბუთი №92).

[80] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს ყმას და მლოცველს ციხის დიდის ეკლესიის დეკანოზს ტ ე რ-ა რ ა ქ ე ლ ა ს მოსცეს.

მოწყალე ჯელმწიფევ, კარგათ მოგეხსენებათ, დიდის სანეხვესაგან[1] ეს ეკლესია რარიგათ იყო შეწუხებული. ღვთითა და თქვენის ბედნიერის დოვლათით დიდი ჯაფა და ჭირნახულობა გავწიეთ; ვალით იყო თუ ვახშით, ეს სანეხვე[2] ავიღეთ და სახლები დავდგით, რომ ნეხვი აღარავინ დაჰყაროს და ეს თქვენი დასხნილი ეკლესია უპატიურობისაგან მორჩეს და ჩემს სახლებსაც ზიანი არ მიეცეს.

ახლა კიდევ ზოგიერთი ურცხვი და ბეჰესაბი ვინმე ბეჰესაბობას არ იშლიან ღამით იქნება თუ დღისით, კიდევ მოაქვთ და ჰყრიან. საყდრის გალავანიც ივსება და გზებსაც აფუჭებენ. ვიცით, რომ ამ თქვენს დასხნილს ეკლესიაზე შებრალება გაქვსთ.

დიდის ვედრებით გევედრებით თქვენს გასამარჯვებლად და სადღეგრძელოთ საშინელის ოქმით ერთს თქვენს კარის კაცს უბძანეთ: ვინცავინ ამ ეკლესი[ი]ს სიახლოთ გარეშემოში დგანან, ყველას თქვენი ბიანება გამოაცხადოს და მუჩალგა გამოართვას, რომ ნეხვი აღარავინ დაყაროს.

ეს ეკლესია უპატიურობას მორჩეს თქვენის უმაღლესობის სახელის სადიდებლად და მადლი ამ წმიდის ეკლესიისა იყოს თქვენი შემწე და მფარველი. ნოემბერს **იზ**, ქორონიკონს **უოდ**.

თავში

[179 V] ჩვენ მაგიერად მ ე ლ ი ქ ს ა ვ ე ტ ი ქ ა ს ასე უანბეთ. მერე ვინცავინ ამ ეკლესიაზედ მახლობლად სახლობენ, ყველანი შენთან მოაყვანინე და ყველას მძიმე ყადაღა უყავ, რომ დღეის იქით საყდრის გალავანში ნეხვი აღარავინ ჩაყაროს, თორემ იცოდნენ, რომელსაც შევამჩნევთ საყდრის გალავანში, გზაზედა ნეხვის დაყრას, ვინც უნდა იყოს, თავის დაყრილს ნეხვსა იმასვე გავატანინებთ და მძიმეს ჯარიმითაც გარდავახდევინებთ.

ამაზედ ყ ო რ ღ ა ნ ა ა ნ თ შვილი ა დ ი ბ ე გ ა იასაულად გვიჩენია. ვინც საყდრის გალავანში დღეის იქით ნეხვი ჩაყაროს, იმ ეკლესიის დეკანოზმა და კრებულთ ის ჩამყრელი ადიბეგას უჩვენონ, ადიბეგამ ავად მოპყრობით გა[ა]წმენდინოს, ვინც იყოს; და მასუკან ჩვენთან გამოაცხადოს და რაერთიც ჯარიმა განვაჩინოთ, ის გარდა[ა]ხდევინოს. დეკემბრის ე, ქორონიკონს **უოდ**.

რამდენჯერაც იმ ეკლესი[ი]ს გალავანში და გზაზედ ნეხვი დაყაროს, იმდენჯერ იმ უბანს კომლზედ თითო აბაზი ადიბეგამ წა-

[ა]რთოს ჯარიმად. ერეკლე

748. არზა თათარაშვილის ჯალაბისა გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1786 წ. 11 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. სა. № 1386. დედანი. ქაღალდი. 25,5×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოველად მოწყალის საქართველოს დედოფლის ჭირი მოსცეს თქვენს ყმას ველისციხელს თ ა თ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს ჯალაბს.

მერმე ამას მოვახსენებ: თქვენი ყმა რომ დამეკარგა წინაზედაც მოგახსენეთ და ახლა ღმრთითა და თქვენის წყალობით ლეკი მყავს გაგზავნილი თქვენის ყმის დასახსნელათ. და ახლა გევედრებით, მანამ სახსარს შავასრულებდე და დავიხსნიდე, მანამ თქვენი წყალობა დამემართოს, რომ გასაღები როდესაც გიახლოს, იმან თავისი გასაღები გადიხადოს. მე გასაღებსა მთხოვენ კოდის პურსა და აგურის ფულსა.

მოწყალება მაღირსეთ, მეტად შეუძლებელი გახლავარ, ტყვის პატრონი და სახსრის შოვნისათვისაც კარდაკარ სასესხებლად დავდივარ. ჩემს კარზე ერთი ოთხფეხი პირუტყვი არა ბღავის.

ღმერთი გადღეგრძელებსთ და თქვენის ბრწყინვალე შვილების მზესა მოწყალება მაღირსეთ. ქრისტიშობის **იბ**, ქორონიკონს **უოდ**.

[1] სანახევისაგან. [2] სანახევე.

თაეში

ქ. ვ ე ლ ი ს ც ი ხ ი ს მ ო უ რ ა ო ს ვ ი მ ო ნ! წელს ამ არზის პატრონისათვის რაც კოდის პური შეგვიწერია, ისიც გვიპატივებია და შარშანდელი დარჩომილიც გვიპატივებია. რადგან ტყვის პატრონი არის, ამისთვის ვაპატიეთ. დეკემბრის **ია,** ქორონიკონს **უოდ.**

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

749. არზა ქვათახევის წინამძღვრის ანტონიხა სახლების თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

1786 წ. 15 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბუთი № 1946. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან მის უმაღლესობის საქართველოს მ ე ფ ი ს ძ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ჭირი ქვათახევის ა რ ქ ი მ ა ნ დ რ ი ტ ს ა ნ ტ ო ნ ი ს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ: ბატონის ოქმითა და ბძანებით მსაჯულთ[1] [თ]ანადასწრებით სახლების სამართალი რომ მაღირსეთ და განაჩენი მიბოძეთ, ეს განაჩენი ბატონმაც დაამტკიცა, დედოფალმაც და თქვენმა ძმებმაც. მაგრამ რომელმაღაც ღვთის მტერმა ტყუილათ მოახსენა ბატონს დედოფალს და ის განაჩენი დააყენა.

ღმერთი გადღეგრძელებსთ, ან თქვენი ნაბოძები განაჩენი დახიეთ და ან ჭეშმარიტებით გაამართლეთ, რომ სწორე სამართალი დამმართოდეს. და იმ ჩემ[მ]ა ხელმწიფე დედოფალმაც წყალობა მაღირსოს და სამართალი მიბოძოს. მისმა უმაღლესობამ ხომ არ ინება ამ სამართალში გარევა. თქვენც ამას გევედრებით და მსაჯულთაც[2] ამას მოვახსენებ, რომ სწორეთ გამოაცხადოთ თქვენი სამართალი. ნოენბრის **ით,** ქორონიკონს **უოდ.**

კიდეზე

ქ. საქართველოს მსაჯულთშეკრებილება შენს მაღალს ღირსებას ამას განუცხადებთ, რომ ჩუენ რომელიც თანამდებობა ვვქონდა, მისის უგანათლებულესობის მ ე ფ ი ს ძ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს თანკლებით, წიგნების გაშინჯ[ვ]ით, მეზობლების გამოკითხვით გავსინჯეთ და ქვათაჯევის ღმრთისმშობელს ის სახლები სამართლით მივართვით: რომ თვით ბატონისშვილმა სოლომონ ბრძნისაებრ გამოიძია და განსაჯა. თუმცა მოჩივარი კი დაუწყნარებლად ჩიოდა და ვითარ ფარშევანგი შვენიერის ჴმითა კიოდა.

[1] სასჯულთ. [2] სასჯულთაც.

ჩუენ ჩუენის განაჩენის მოშლა არ შეგვიძლიან და ღმერთმან ნურც გაგვაბედინოს. ეკლესიის მამულის წართმევა და ნება მაღლის განსჯისა იყოს. ჩუენ ჩუენის ნაკლების გასინჯვით, ასე ვხედავთ და როგორც კლდე, ისე შეურყეველად ვართ. ახლა შენ იცი ბატონო წინამძღვარო. ნოენბერს **ლ,** ქორონიკონს **უოდ.** მდივან ბეგი | თუმურაზ

თაეში

ქ. ბატონო არქიმანდრიტო ა ნ ტ ო ნ ი, მერე როგორც საქართველოს მსაჯულშეკრებილებამ გაშინჯა, ჩვენმა მოკლე გონებამაც ასე გაშინჯა და ამ გაშინჯვაში ჩვენც მსაჯულთ თანამოწამე ვართ. ნება ამ საქმის და უმჯობესად გაშინჯვა მისის უმაღლესობისა არის. ჯიორგობის **ლ,** ქორონიკონს **უოდ.**

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად ე ა ხ ტ ა ნ გ ი რაკლის ნაკვეთად.

ქ. ჩვენ, საქართველოს დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ ასე ვამტკიცებთ და ჩვენც მოგვირთმევია ეკლესიისათვის. დეკემბერს **ი,** ქორონიკონს **უოდ.**

ქ. მ ე ფ ი ს ძ ე ვ ა ხ ტ ა ნ გ გიბძანებ მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ო გ ო გ ი ა ვ! მერე როგორც ამ წინამძღუარს ამ ეკლესიის სახლების განაჩენში უცხადებდეს და მისის სიმაღლის ბატონის დედოფლისაგანაც დამტკიცებულია და ჩვენგანაც, ეს ახლავ ასე აღუსრულე და ეკლესიის სახლები ამ წინამძღარს მოაბარე და ჯელი აუმართე. ბატონმა დედოფალმა ზედმიწევნით გამოიძია, რომ ეკლესიისა იყო ის სახლები, და დაუმტკიცა. დეკემბერს **იე,** ქორონიკონს **უოდ.**

და იმ დედაკაცს, ი ა გ უ ნ დ ა ს, თავისი გამოურთვი და მიაბარე.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგალ-ლომად ვით ის, ვ ა ხ ტ ა ნ გ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

750. არზა იოანე ალავერდელისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1786 წ. 15 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2614. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან მათის სიმაღლის საქართველოს დედოფლის ჭირი მათს მლოცველს არხიმანდრიტს ი ო ა ნ ე ს მოსცეს.

ჩემო ჯელმწიფევ, გუჯარი აქვს, წმიდის გიორგის მამული ჰქო-

ნია უტოს, ბულალაურისა; ის მამული კობისშვილებს უჭირავსთ.

წყალობას ვითხოვთ, ის მამული არ დაეკარგოს ეკლესიას. თქვენის წყალობით ერთი ოქმი გვებოძოს. სამართალში რაც სიტყვა აქვსთ, მოგახსენონ. დეკენბერს **იე**, ქორონიკონს **უოდ**.

თავში

ქ. მდივანბეგო ბეჟან! ბულალაშვილის მამული რომ წმინდის გიორგის შეწირული ყოფილა, უტოს ორ საკომლოდ ყოფილა, ორი ვენახი თავისის სახნავითა. ეს ახმეტას მახსოვართაგან უნდა მოიკითხო და ჰეშმარიტებით შეიტყო და წერილით მოგვახსენო, რომ ეს მამული არ დაეკარგოს. დეკემბრის **იე**, ქორონიკონს **უოდ**. დედოფალი დარეჯან

751. არზა მოძღვართმოძღვრის ნიკოლოზისა გაჭის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1786 წ. 21 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 440. დედანი. ბოლო მობეჭდილია. ქაღალდი. 22,2×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი და მძიმე.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ორისავ საქართველოს დედოფლის ჭირი მოსცეს მათს სამარადისოდ მლოცველს მოძღვართმოძღვარს ნიკოლაოზს.

მერმე ამას მოვახსენებ ჩვენს მოწყალეს კელმწიფე დედოფალს. ეკლესიის ვალშიაც ვაბივარ და თქვენის უმსახურობის ვალშიაც, ბევრი შფოთი მაქვს და სარგებელი კი არა მაქვს რა; თელავის ვაჭართ ხან მე უშვრები უსამართლოს და ხან ისინი მიშვრებიან უსამართლოს.

ან ასეთი მოწყალება მიყავით, თუ ინებებთ: ეს წიგნები დადგეს, რომ შფოთისაგან მოვისვენო. მისის უმაღლესობის ოქმიცა აქვთ ბაზრელებს, რომ იმ ბაჟის მოშლა არ იქნებაო; ებრძანოს, რაც იმათ ეს განწ[ესებული ბაჟი მართებოდეს], ის[ე გამოიღებდნენ]...

თავში

ქ. ბატონო კახეთის მოსამართლე[ე]ბო და სალთხუცესო და მდივნებო! მოძღვართმოძღვარი ნიკოლოზ ასე რომ ჩივის, ეს ზედმიწევნით თქვენ გამოიძიეთ და მოიკითხეთ და რასაც მიხვდეთ დალმერთმან გაგონოსთ, ჰეშმარიტებით სამართალი მოეცით და გაარჩიეთ. დეკემბერს **კა**, ქორონიკონს **უოდ**.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

752. არზა მზეჭაბუკ მდივანბეგისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 27 დეკემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 18. საბუთი № 48. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[56] ღმერთმან ყოვლად მოწყალის კელმწიფის ჭირი მათ ფერხთა მიწას მზეჭაბუკ მდივანბეგს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ მათ სიმაღლეს, რომ ერთი ჩემი კაცი უკლოშვილო ბიჭი თარქამა ამ აშლილობაში იქით მხარეს დარჩა და, რასაკვირველია, რომ ამ ქვეყანაზე დანაშაული ექნება და შიშით ვერ მოსულა, და კიდეც მართებს შიში. თუცა თქვენის შვილის გიორგის ოქმი იყო და ბევრნიც მოვიდნენ იმ ოქმით, მაგრამ ის ვერ მიენდო იმ ოქმს და ასე შემოუთვლია: თუ ბატონის ოქმი მომივა, მოვალთო; თუ არადა, არაო.

ვითხოვ წყალობასა, თუ უჯერთ თხოვა არ იყოს, ერთი ოქმის წყალობა მიყავით, რომ ფიქრი[1] არავისი ჰქონდეს, ყარაგოზალია ჰქვიან. ნება სიმაღლისა [ა]სრულებდინ და ნუ მონისა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ყარაგოზოღლი ალიაგ! მერე როგორც ამ არზით ბატონს შენს მდივანბეგს [V] მზეჭაბუკს მოუხსენებია, შენ აქ მოდი, ნურავისი ფიქრი ნურა გაქვს რა და ნურც გეშინიან. როგორც მართებულია, ჩვენ გზას მოგცემთ. დეკემბერს **კზ**, ქორონიკონს **უოდ**.

753. არზა თაბაზა თურქისტანიშვილის ქვრივოგლისა მამულის თაობაზე. ერეკლე II-ის ოქმით

1786 წ. 28 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 1464. დედანი. ქაღალდი. 27,8×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს თამაზა თურქისტანიშვილის ქვრივსა და ობლებს.

[1] ფიქარი.

ოთხი ხუთი თაობა მეტი არის ჩვენი პაპის პაპები აყრილან, არცარა მამის ჩვენისათვის უთქვამსთ ამ ჩემს სახლის კაცებსა. ახლა მე მძლავრებით მერევიან, ნახევარი ა ხ ა ლ დ ა ბ ა ჩემია და იმას მეცილებიან.

რადგან არ მეშვებიან, მოგეხსენებათ ობლის პატრონიც თქვენა ხართ, ჩემი სამართალი თქვენგან გაისინჯოს; სანამ ღმრთით თქვენ გასინჯვედეთ ჩვენს სამართალს, ოქმი გვეპოძოს, შფოთს დამეხსნენ დ[ა] ნახევარი ჩვენვე ავიღოთ.

ოთხნი ძმანი არიან, ზოგი სიკვდილს მექადის, ზოგი ხეზე მიკვრასა და გალახვას, და ასე მძლავრობენ, ჩემო ხემწიფევ. დეკემბერს **კზ**, ქორონიკონს **უოდ**.

თაეში

ქ. ჩვენი ბძანება არის, რომელნიც ამ არზის პატრონის მოდავენი ხართ, მერმე როგორც ამ არზის პატრონს ნახევარი აუღია ჩვენს სამართლამდინ, ნახევარი ისევ ამან აიღოს. და ღითი ჩვენ რომ ჩამოვალთ, ჩვენთან იჩივლეთ და სამართალი მოგეცემათ. ქრისტიშობის **კზ**, ქორონიკონს **უოდ**.

ქ. თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მოგვახსენოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

754. არზა იოთამ ტატიშვილისა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 19 თებერვალი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 46. საბუთი № 6. პირი. ჭაღალდი. მხედრული.

[3 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ტ ა ტ იშ ვ ი ლ ს ი ო თ ა მ ს.

ეს ცხრა წელიწადი არი[ს], რომ ჩემს მამულზედ ზემო ტატიშვილი მივიდა და იქა დგას. ზ ა ა ლ დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ი ს კაცი არის. არც გამატარა იმ მამულშია და არცარას მანებებს[1].

ამ წყალობას ვითხოვ, რომ ამისი სამართალი მაღირსოთ, ჩემი მამული დამანებოთ და ღალაც მამეცეს, რაც მას აქეთ მაკლია. გაურჩევლათ ხდიან და ამისთვინ ეჭიდებიან[2]. მონახსოვრები გახლავან და იმათ ებძანოს გაგეირჩიონ. ღმერთი გაგიმარჯვებს, ოთხი თვე არი[ს] მშიერ-მწყურვალი იქ გახლავართ. თებერვალს **იზ**, ქორონიკონს **უოე***.

თაეში

ბატონო ამილახორ-მდივანბეგო ი ე ს ე! მერე შენ რომ მაგ ქვეყნის სარდალი ხარ, ამგვარს საქმეს შენვე უნდა გაასამართლევდე და ჩუენთან აღარ უნდა აჩივლებდე. ახლა ამ არზით ეს ტატიშვილი იოთამ რომ ზემო ტატიშვილს მამულის წართმევას უჩივის, ესენი თქვენთან მიაყვანინე, ალაპარაკე და, ვინცავინ მახსოვარნი კაცნი იყენენ, იმათგანაც კარგათ გამოიძიე და ღვთის წინაშე ჭეშმარიტი სამართალი უსაჯე.

და თუ ის მამული ამას დარჩეს და აქამდის მძლავრობით იმათ უჭამიათ, რაც იმისი ღალა იყოს, ისიც გამოურთვი და მოეც ჰალბათ. ამას გაურიგებელს ნუ დააგდებ. და ამას ჩვენთან ნუღარ აჩივლებ. თებერვლის **ით**, ქორონიკონს **უოე**. ჭ. ჰალბათ.

755. არზა ნიკოლოზ მირზაშვილისა სამართლის მიცემაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1787(?)წ. 20 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 830. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 23,5×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. დათარიღება სათუოა.

ქ. ღმერთმან უმაღლესის ბედნიერის ჯელმწი[ფის] ჭირი მათის სიმაღლის მონას და [მლო]ცველს მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ს მღუდელს ნ ი კ ო ლ ა [ო ზ ს] მოსცეს.

ჩემის სახლის კაცისაგან მრავა[ლ]ჯერ საჩივარი მომიხსენებია და თავი მიწყე[ნია] თქვენის სიმაღლისათვისაც და სანატრელის თ[ქვენის] შვილისათვისაც, ოქმებიც მბოძებია, მაგ[რამ არა] გამრიგებია რა. სიკვდილის შვილნი ვართ, [სანამ] ცოცხალი ვარ, მინდა რომ თქვენის სამარ[თლი]თ გავშველდე, რომ საბოლო[ო]თ ჩემს შვილსა [და] იმათ ერთმანერთში დაეა აღარა ჰქონდეს რ[ა]. რამდენიმე კალამი მოხსენება არის, რომ [მართა]ლია და გაუყოფარი არის და იმათ უჭირავს[თ].

[1] მანებეფს. [2] ეჭირებიან.

* არზის ტექსტი, „... მარჯვებს ... უოე“, გადამწერს შეცდომით გადაუდგილებია და ოქმში ჩაურთავს სიტყვების „ტატიშვილს მამულის“ შემდეგ.

[წყალო]ბას ვითხოვ: ამილახვარ-მდივანბეგს ებძან[ოს, რა]მდენიმე გორელი ქეთხუდაც იახლოს და, რაც გასაყო[ფარი] გვ[აქვს], ის გაგვიყოს. ჩემო კელმწი[ფევ]...* [გა]უყოფელი არის...*

ქ. ერთი კარი უჭირავს, ამაზედ იასაულ[ი მი]ვიყვანე, მაგრამ არა გამირიგდა რა...**

თავში

ქ. ბატონო ამილახვარ-მდივანბეგო იესე, ამ არზის პატრონს ასრე რომ მოუხსენებ[ია], ოთხიოდ გორელი ქე[თხ]უდა კაციც თქვენთან დაისწარით, [ესენიც მ]იაყვანინეთ და ასე მოხსენებულისა სამართა[ლი მიეც]ით. და რაც სამართალი მიეცესთ, განაჩე[ნში] დაუწერინეთ და ისრე გარდუწ[ყვიტეთ]. ფებერვლის კ, ქორონიკონს **[უო?]ე.**

ამ ს[აქმეზე ბეჯი]თი იყავით და გაურიგებელს ნუ დააგდე[ბთ].

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

756. არზა კალატოზებისა ხელფასის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

1787 წ. 22 თებერვალი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1852. დედანი. ქაღალდი. 16,8×10,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამი წერტილი. ა-მეტი.

ქ. თქვენ, ბატონიშვილს იულონს, ესე მუჩალგა მოგვართვით ჩვენ კალატოზებმა ბეჟანმა და გოგიამ, გლახამა, ასე რომ თქვენის ბძანებით წავედით სა[მ]შვილდეს, იქ თვრამეტი დღე ვიმუშავეთ. ჩვენი სამუშაო სამი ოსტატის და სამი შაგირდის ოცდაოთხი მინალთუნი და ექვსი შაური.

verso

ქ. მელიქ სარქის, ამ სამს კალატოზს რომ უმუშავნიათ და სამუშაო არ მისცემიათ, ამათ ოცდაოთხი მინალთუნი და ექვსი შაური მოეცით და თქვენს მახთაში ჩავიგდებთ. ამ ბარათის დაგვიანება არ იქნება, მალე მიეცით, სამუშაოა და დიდი ხანია რომ არ მისცემიათ. თებერვლის კბ, ქორონიკონს უოე. იულონ

* აკლია ერთი-ორი სიტყვა.
** დანარჩენი აკლია.

757. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 19 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 441. დედანი. ქაღალდი. 14,8×10,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი დავითიშვილს ზაალს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ უმაღლესობასა: აწყურს ჩემის აზნაურშვილის ყმა გახლამსთ. შარშან ის ჩემი აზნაურშვილი ჩამოვიდა იმ თავის ყმასთანა. ის ჭირის სანაცლო გამ[ხ]დარა. მამულის წიგნები ქონდა, ცხენი და იარაღი იმ თავის ყმასთან დარჩა.

წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი და იას[ა]ული მებოძოს, ის კაციცა და იმ აზნაურშვილისა რაც დარჩომოდეს, მებოძოს. თუ სიტყვა ქონდეს რამე, სამართალში მელაპარაკოს. მარტის ი, ქორონიკონს უოე.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის საგინაშვილო ზურაბ! ბერე ამ არზით დავითის-შვილი ზა[ა]ლ თავის აზნაურშვილის ყმას რომ უჩივის, რაც ამისის აზნაურშვილისა დარჩომია, ისიც უკლებრად გამოურთვი და მოაბარე და ის კაციცა. და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს, სამართალში ელაპარაკოს. მარტის ი, ქორონიკონს უოე. ახლავ ასე გა[ა]რიგე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

verso-ზე „მარტის ი, ქკ'ს უოე. მეფის ოქმი".

758. არზა მთავარეპისკოპოს იოსაფისა ყმათა სამსახურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 11 აპრილი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2133. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ჩემის მოწყალის კელმწიფის უმაღლესიის მეფის ჭირი თქვენს სამარადისოდ მლოცველს მთავარეპისკოპოსს იოსაფს მოსცეს.

ოთხი წელიწადი არის, რომ თქვენის სიმაღლისაგან მთავარეპისკოპოსობა მებოძა. ამ ოთხს წელიწადში გორელი ტატინაშვილები არც ერთხელ არ მოსულან და თავიანთ თავი ჩემთვის ყმათ

არ გამოუცხადებიათ. მე სულხან მდივნის სათნო ყოფისათვის ვითმენდი, რომ იმისი მოყვრები არიან და ჩემგან არა სწყენოდა რა, ამისთვის არ შევაწუხე.

ახლა დიდათ თურმე ცდილობენ, რომ ეკლესიის ყმობიდამ თავი განითავისუფლონ. ამას მოველი თქვენის სიმაღლისაგან, რომ ეკლესიას ყმა არ დაეკარგოს. და თუ სიტყვა რამ აქვსთ, მოგახსენონ; თუ არადა, როგორც მართებული არის, ისე მსახურონ ეკლესიას და ეკლესიის განმგეს. აღიწერა აპრილს **დ**, წელსა **ჩლპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის გორელო ტატინაშვილებო! მერე თქვენ მთავარეპისკოპოზის ყმანი ხართ. და ეს თქვენი პატონი რომ ასე გიჩივლით, თუ მართალი არის, დიაღ, ავათ გიქნიათ. რაც ეკლესიის დებულობა გქონდესთ, უკლებლად ემსახურენით ამას, ჩვენთან ნუღარ აჩივლებთ, თორემ იცოდეთ ძალიან გადაგახდევინებთ. აპრილის **ია**, ქორონიკონს **უოე**.

ქ. თუ სიტყვა გქონდეს, მოგვახსენეთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

759. არზა ეგნატი თუმანიშვილისა ყმა-ბაღულის წილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 16 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3239. დედანი. ქაღალდი. 11,8×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ჭირი თუმანიშვილს ეგნატის მომცეს.

ამას წინათაც თავი მიწყენია ბიძის ჩემის პაპუას ბარობაზედა. თუმცა ჩემი საჩივარი თქვენის უმაღლესობისათვის მოსახსენებია, მაგრამ მგონია, რომ აღარც კი გახსოვდესთ.

პირველი მოხსენება ეს არის: ჩვენის სახლის კაცების ბეითალმანი ყმა და მამული ცხებულისა და ნეტარად ხსენებულის პატონისაგან ნაბოძები გვაქვს და თქვენგანცა, რომ იმ წყალობის წიგნში ორნივ ვსწერივართ და მე უწილოთ გამომიყვანა. მრავალჯერ გიბძანებიათ, რომელიც წიგნში არა სწერია, იმას წილი არ მიეცემაო. მე კი ვსწერივარ და წილი არ მამეცა.

მეორე ეს არის, რომ თქვენც კარგად მოგეხსენებათ და ქვეყანამაც იცის, რისაც შემძლებელი იყო და ან ახლა არის, რომ იქიდამ ერთი ფული არ მოუცია.

ღმერთმან განაძლიეროს თქვენი მეფობა. ორმოცდახუთი წელიწადი არის, რაც ჩვენს პატრონათა ბძანდებით, ყოველთვის ლაშქარში მამაჩემი გახლდათ. და როდესაც ის ჭირის სანაცვლოთ იქნა, ძმა მყვანდა, ის გახლდათ, რომ შუშას ლაშქარში მოკლეს. და მეც ისევ ბიჭი გახლდი, მუდამ მე გხლებივარ, რომ თქვენს ბედნიერს თვალს ბევრჯერ უნახავარ.

ეგ სახლის ბატონათა მყვანდა და მუდამ ლაშქარში მე გახლდი. თუ რომ იმის ქონებაში ძმა არა ვარ, და ან არ ვიყავი, ყოველთვის მე რათ წამოვიდოდი; ერთხელ რომ მე გხლებოდი, მეორეზედ ის უნდა გხლებოდა.

ეგ თავის აღებ-მიცემასა და მოგებაზედ იყო სხვას ჭვეყანასა თუ აჭა, და მე ლაშქარსა და თქვენს სამსახურში ვიყავ.

გრძლად მოგხსენდებოდათ არზითა; და როდესაც გვალაპარაკებთ, მაშინ საბუთს უზამ, და ან საიდამაცა აქვს შეკრებილი თეთრი, იმასაც გამოვაჩენ.

ჩემო ქელმწიფევ, ბიძის ჩემისაგან ეს უსამართლო მჭირს. უფროსი ძმა მე გახლდე და მე ოთხი კომლი კაცი მყავს და იმას თორმეტი, აგრეთვე მამული.

წყალობას ვითხოვ, ეს მოხსენებული გასინჯოთ, თუ სალაპარაკო მქონდეს, ველაპარაკო. და თუ თქვენი წინააღმდეგი და ან საწყენი იქნება, მე ხმას არ ამოვიღებ. თუ არადა, სამართალს ვითხოვ. აპრილის **იდ**, ქორონიკონს **უოე**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მინბაშო დიასამიძევ ტეტიავ! მერე ამ არზით ეგნატი მდივანი თავის ბიძას პაპუას ასე რომ უჩივის, ეგეც აქ კარზე სამართალში გამოგზავნე და, რაც სასახლისკაცო წიგნები ჰქონდეს, ყველა თან წამოიღოს და აქ სამართალში ილაპარაკონ. აღიწერა აპრილის **ივ**, ქორონიკონს **უოე**.

ქ. დიახ, ბეჯითათ უჩივის.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

760. არზა ორუჯასი და უხუშასი ცხენის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

1787 წ. 18 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 580. დედანი. ქაღალდი. 18,7×10,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ძის იულონის ჭირი მოსცეს ქაფანაქჩის ორუჯას და უსუფას.

შემოდგომაზედ ყარაიაზ[ზ]ედ სამი ცხენი მოგვპარეს, ერთი ცხენი თუშის კელში ვიცანით. ერთის ოქმის წყალობა გვიყავით თუშ მოურავზედ, ჩვენი ცხენები გამოგვირთოს ან ჩვენი ქურდი აპოვნინოს და კელში მოგვცეს. ღმერთი გაგიმარჯვებს. აპრილის **იზ**, ჭრონიკონს **უოე**.

თავში

ქ. ბატონიშვილის იულონის კეთილად სახსოვარო თუშ მოურაო დურმიშხან. მერე ამ არზის პატრონ[ს] რომ ამ არზით ასე მოუხსენებია, ა[ნ] ეს ცხენი ახლავ უნდა გამოურთვა და მოსცე და ან ეგ თუში აქ ჩვენთან უნდა გამოატანო. და თუ სიტყვა აქვს, ჩვენ მოგვახსენოს. ამისი გაურიგებლობა არ იქნება. აპრილის **იზ**, ქრონიკონს **უოე**.

ქ. ან თავი ქურდი უპოვნოს.

ბეჭედი: ღმრთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

761. არზა ალადათაფვილებისა ყმოგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 26 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 2998. ბინი. ქაღალდი. მხედრული. მარჯვენა ზემო კიდე მოხეულია. საბუთის მეორე ბინი დაცულია იქვე Sd 2993 ნომრით, რომლის მიხედვით აღდგენილია ჩვენი საბუთის ზოგიერთი ხარვეზი. საბუთის მესამე ბინი დაცულია. ცსსა. ფონდი 1449. საბ. № 272.

[922] ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს გორელს მათს სახასოს [ალა]დათაშვილებს, ბაბახანის ძმებს იოანეს, სტეფანეს და როსტევანს.

მთავარეპისკოპოსს იოასაბს ჩვენთვის ყმობით უჩივლია, რომ ჩემნი ყმა[ნი] არიანო. თქვენ მდივანბეგებზედ ოქმი გიბოძებიათ, სამართალი უყა[ვითო]. ჩვენ არასდროს მთავარეპისკოპოსის ყმანი არა ვყოფილვართ, და თუ [ახლა] ინებებთ და ჩვენს თავს უბოძებთ, ბრძანება თქვენი აღსრულდეს. ეს სულ მართელმა გორმა იცის, ჩვენ სახასონი თქვენი ყმანი გახ[ლა]ვართ და თქვენი ხარჯის მძლეველნი.

მართალია, ოქონის ხატისა ნახე[ვარი] ლიტრა სანთელი გვაძეს, ის ყოველწლივ ოქონის ხატისათვის მიგვირთმევია და არც დავაკლებთ. ამ მიზეზით მთავარეპისკოპოსნი ჩვენ [ყმ]ად გვეჭიდებიან. ღმერთმან იმდონი თქვენი წყალობა მოგვცეს, რამდო[ნს] თქვენს სახასო ყმას სანთელიც ეღვას, აღაპის გარდახდაც ეღვას, ზოგს ზედაშეც ეღვას, იმას კი ხატს ემსახურებოდეს და ის კაცნი კი ის[ევ] თქვენი სახასონი იყვნენ და ეპისკოპოსნი იმათ ყმობით ვერ ი[ჭერ]დნენ.

თუ რომ მთავარეპისკოპოსის ყმანი გახლავართ, გუჯარი აქუს, ის გამოატანინეთ, თუ იმის ყმა ეყოფილიყოთ, თქვენის თავის წყენისათვის კიდეც დაგვსჯეთ.

და თუ ჩვენგნით მოწამეს მიირთმევთ, დღეს აქ გახლავან: გარსევანიშვილები, სამთავნელი, ტეტია მგალობელი, გორის მამასახლისი ზურაბა, ამირაღაშვილი ღვთისავარა, ბაბალაშვილი ავთანდილა, მდივანიშვილი პეტრე. ამათ ღმერთი და თქვენი მზე აფიცეთ და სწორეს მოგახსენებენ.

და თუ გორში მოკითხვას ბრძანებთ, სულ გორელებმა იციან, რომ სახასონი გახლავართ. მამაჩვენი გორის პირველს ხარჯს აძლევდა და ჩვენ რაც შეგვიძლია, თქვენს სამსახურში გახლავართ.

ნეტარად ხსენებულის კელმწიფე მამის თქვენის მეფობაში კირილე მთავარეპისკოპოსმა მამაჩვენი დაიჭირა, ჩემნი ყმანი ხართო. იმ ჟამად ნეტარხსენებული კელმწიფე ქართლს ბრძანდებოდა და ანახანუმ დედოფალს მოხსენდა. მაშინვე ძამიაშვილი მურადა გაეგზავნა: ახლავ აუშვი, ეგ კაცი სახასო არის, თუ სიტყვა გაქვს, კელმწიფესთან ელაპარაკეო. მაშინ გამოუშვა და აღარ ელაპარაკნა.

თქვენ რომ ასპინძას წაბრძანდით, მაშინ ბესარიონ მთავარეპისკოპოსმა მიგვიყუანა, ჯერ ნებით გვითხრა: ჩემი ყმობა თქვითო, კარგად გაგაძლებინებო. ჩვენ, დიაღ, შორს დაუჭირეთ. მასუკან დაგვიჭირა, მაგრამ მაშინაც ვერ გვათქმევინა და მერმე გაგვიშვა.

ღმრთის მადლით თქვენ რომ ასპინძიდან გამარჯვებული მობრძანდით, არზა მოგვართვით და ჩვენი საჩივარი მოგახსენეთ. თქვენ ოქმი გვიბოძეთ მთავარეპისკოპოსზედ: რას ემართლები, რომ აწუ-

ხებო; თუ სიტყვა გაქვს, ჩვენს სამართალში გორელებს ელაპარაკეო. არც ილაპარაკა და არცარა საქმე ჰქონდა ჩვენთან.

ერთი ჩვენი განაყოფი გახლავსთ საბრალო კაცი, იმას ჯელს უმართევდა და მძლავრობით თავის ყმას [ეძახ]და; არცარას ის ჩვენი განაყოფი ნაღვლობდა და მთავარეპისკოპოსის [v] ბესარიონის მორიდებით არცაინ გორელები დასდევდენ, თვარემ საბატონყმოდ [არა]ფერი საქმე და საბუთი არცარა იმასთანა აქვს ამის მეტი, ოქონის ხატისა ნახევარი ლიტრა სანთელი გვდებია.

და ერთს საბუთად ამაა გვიდებს, რ ე ვ ა ზ ა მ ი ლ ა ხ ო რ ი ს დროს ი ო ს ებ მუშრიბი გორის ასაწერად რომ მისულა, მთავარეპისკოპოსს ის ჩვენი განაყოფი თავის ყმად დაუწერინებია; და ჩვენ აქ ქალაქს გახლდით და ჩვენ გორის დავთარში თავისზედ დავუწერინებივართ. სხვა არცარა სამსახური უთხოვნია და არც გვ[ლა]პარაკებია.

ღმერთი გაგიმარჯვებს, თქვენს წინ გვალაპარაკეთ, მოკითხული ბრძანეთ და თქვენს ყმას უბრალოდ ნუ დაგვკარგავთ. აპრილის კვ, ქორონიკონს **უოე**.

კიდეზე

ქ. ჩვენი ბრძანება არის. ამ არზის პატრონს რომელნიც ამ არზაში დაუწერიხართ, ყოვლად სამღუდელონი, თუ საერონი, ღმერთს გაფიცებთ და ცხოველმყოფელსა ჯუარსა, რომ ამისი აღილათი რაც იცოდეთ, ჭეშმარიტებით მოგვახსენეთ, ესენი მთავარეპისკოპოზის ყმანი არიან, თუ არა. რაც იცოდეთ, ღმრთის წინაშე ჭეშმარიტებით მოგვახსენეთ. აპრილის კვ, ქორონიკონს **უოე**.

ბეჭედი: ქრისტეს მიცემს, დავით მეფეს ძეს ქახეთის მეფედ ცხებელს, ე რ ე კ ლ ე.

[მოწმობა]

ქ. მე, გორის მამასახლისი ზ უ რ ა ბ, ღმერთსა ვფიცავ, ეს ტ ა ტ ი ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ჯელმწიფის სახასო ყმა[ა]და ოქონის ეკლესიას ნახევარ ლიტრა სანთელს აძლევს. ჩვენი მამა-პაპისაგანაც ასე გაგვიგონია. და ნება ჯელმწიფისა ათავდეს. ხელრთვა: ზ უ რ ა ბ.

ქ. მე, ბ ა ბ ა ლ ა ს შ ვ ი ლ ი ა ვ თ ა ნ დ ი ლ, ღმერთს წინაშენ, მამის ჩვენისაგანაც ასე გამიგონია, ეს ტატინაშვილები ბედნიერის ჯელმწიფის ყმანი არიანო, და მეც ასე ვიცი, რაც სახელმწიფო ხარჯი მოსულა, სახელმწიფო დავთარში გორის ხარჯი უძლევია. მთავარებისეპისკოპოსისათვის[1] არ უმსახურებია. ნახევარ ლიტრა სანთელი ოქონის ხატის ბეგარა აძევს. ხელრთვა: ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა.

ქ. მე, მ დ ი ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი პ ე ტ რ ე, სამოცდათხუთმეტის წლის კაცი ვარ, ეს ტატინაშვილები ამ ჩემის დროში სულ ბედნიერის ჯელმწიფის დავთარში ხარჯი უძლევიათ გორში, მთავარეპისკოპოსისათვის არაფერი უმსახურიათ, ოქონის ხატისა ნახევარ ლიტრა სანთელი აძევსთ. ღმრთის წინაშენ, მამაჩემისაგანაც ასე გამიგონია. ხელრთვა: პ ე ტ რ ე.

ქ. მე, ა მ ი რ ა ღ ა შ ვ ი ლ მ ა ღ თ ი ს ა ვ არ, ასე გამიგონია, ეს ტატინაშვილები საჯელმწიფო ყოფილან, ხარჯი[2] სახასოში უძლევიათ.

762. არზა სამთავნელ პაისიოსისა ყმის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 12 მაისი

ცსსა. ფ. 1249. საბ. № 3163. პირი. ქალალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან უმაღლესის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მლოცველს ს ა მ თ ა ვ ნ ე ლ ს პ ა ი ს ი ო ს.

ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას. ჭკახერელელივ კაცი, ეკლესიის ყმა, ხ ი თ ა რ ა ს შ ვ ი ლ ს ზ უ რ ა ბ ა ს ა ჰყვანდა უსამართლოდ. თქვენს უმაღლესობას არზა მოვართვი. ოქმი გებოძა მორდალს ი ე ს ე ს ზ ე; გამოიკითხე და ხელი ამართეო. ჭეშმარიტი შეიტყო და ხელი ამართა იმ კაცზე.

მაგრამ სამართალში კიდევ უნდა გველაპარაკნა, მამატყუა წამოვალო. ორჯელ აქ გიახელ და ხითარასშვილი არ ჩამოვიდა. ერთი სნეული კაცი გახლავარ. აქ დგომა არ შემიძლია.

წყალობას ვითხოვთ, ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ს გ ი ო რ გ ი ს ზ ე გვიბოძოთ ოქმი, მაინც ზეით მობძანდება, ბატონისშვილმა გვიყოს სამართალი, ჩემო ჯელმწიფევ. მაის[ის] **ზ**, ქორონიკონს **უოე**.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო გიორგი! მერე ყოვლად სამღვდელო სამთავნელი ამ არზით ასე რომ ჩიოის, ესენი შენ-

[1] მთავარებისეპისკოპოსისათვინა. [2] ხარჯსა. [3] ქახერელელი.

თან ალაპარაკე და ამის სამართალი უსაჯე. აღიწერა მაისის **იბ**, ქორონიკონს **უოვ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

763. არზა როსტომ ჩარუხაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 21 მაისი

ცსსა, ფ. 1448. საბ. № 1415. დედანი. ქაღალდი. 18×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აღგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ჭირი მოსცეს სულხან მდივნის ყმას ჩარუხაშვილს როსტომს.

ოცდაათი წლის ბნედიანი და დამბლადაცემული ბიძის ქალი მყვანდა, ქალწული; ანესაშვილმა შერმაზანამ დაიორსულა და დედა-შვილის გაყრის დროს ბნედა[მ] დაუჭირა, თითონაც მოკუდა და ყმარწვილიცა.

ქრისტ[ი]ანი ქელმწიფე ბძანდებით და ამისთანა საცოდაობის საქმე თქვენს დროში არავის დამარჩენია.

სამართალს გეუედრები, ღმერთი გადღეგრძელებს. მაისის **ით**, ქორონიკონს **უოე**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო თომა ჩიკოტიძე, მერმე ვისაც ამ არზით უჩიოდეს, ჩვენ სამართალში მოიყვანე. მაისის **კა**, ქორონიკონს **უოე**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

764. არზა აბრამა ზანდარაშვილისა მამულის თაობაზე აბტონ I-ის ოქმით

1787 წ. 27 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 978. დედანი. ქაღალდი. 21,5×17,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან უწმიდესის პატრიაქის ნეფის ძის ჭირი მოსცეს თქ[ვ]ე[ნ]ს ყმას ზანდარაშვილს აბრამას, დიმელს.

მემრე ამას მოვახსენებთ თქ[ვ]ე[ნ]ს უწმიდესობას, რომე შარშან რომე დიღომი აიყარა, იმ ხანაში თეთრაძის მამასახლისის დავითის შვილი სოსება მამულს ყიდ[დ]ა, სხ[უ]აზე ყიდ[დ]ა, არც მეზობელი იყო, არც იმ ქვეყანისა იყო.

ხალხმა მირჩია, რომე შენ იყიდეო, ავდექ და მე ვიყიდე. სამის დღის მიწ[ა] და ერთის სასახლის ალაგი ვიყიდე; მეზობელი იყო, სხუაზე[1] გაყიდვას, ჩემი უფრო მართებული არის.

ახლა ის ჩემი ნასყიდი მამული ბატონისშვილს სხ[ვ]ისთვის უბოძებია, რომე ჩვე[ნ]ს მამულს პატრიაქის ყმა ვერ იყიდისო.

იმთენი ღმერთმან დღ[ე]გ[რ]ძელობა მოგვცესთ, რამთენი თქ[უ]ენის ყმის მამული მათ ქო[ნ]დეს ნასყიდი, მარტო ჩემიც ქო[ნ]დეს, ზედ კარზედა, იმათ ქო[ნ]დეს. მაგრამ ბატონისშვილისათვის ავათ შ[ე]უსმენიათ. ახლა ნება თქუენიც ათ[ა]ვდეს, იმისიც, ჩემო ხემწიფევ. მაისის **კზ**, ქორონიკონს **უოე**;

თავში

ქ. დიღმის მამასახლისო გაბრიელ, ფარეშო რამაზაე და გილაურო პეტრე! მერმე ამ ჩვენს ყმას ზანდარაშვილს ასე რომ მოუხსენებია, არას ოქმით არ იქნება ამისი სამართალი; მანამდინ ჩვენი ძმისწული ბატონიშვილი იულონ არ მობძანდება, ხელი უნდა აიღოთ, მანამდინ მობძანდებოდეს. მაისის **კზ**, წელსა **ჩღკზ**.

ხელრთვა: კათალიკოზი.

765. არზა გეჟან რატიშვილისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 28 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2611. დედანი. ქაღალდი. 28,3×20,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქემწიფის ჭირი მოსცეს რატიშვილს გეჟანს.

მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს: ჩემის განაყოფის წალვასაგან ყმიდამ და მამულიდამ გამოგდებული ვარ, რომ ჩემის სამკვიდროდამ დაკარგული ვარ. ამდენი ოქმი მბოძებია თქვენის სიმაღლისაგან და არ შემეპოვა და არც ჩემი სამკვიდრო დამანება.

[1] სახზე.

ძმობის პირობის მოცემით ჩემ [მ]აგიერ ეროი წიგნი დაეწერათ და მე რომ ავათ ვიყავ, ჩემთვისაც დაებეჭდვინებინათ. მასუკან თქვენის სიმაღლისათვის მოერთმევათ ის წიგნი ჩემ [მა]გიერ და თქვენც დაგემტკიცებინათ. ჩაველო მასუკან იმ წიგნს ჯელი და ჩემის სამკვიდროდამ სულ მკარგავს, რომელიც ნეტარად ხსენებულის მ ე ფ ი ს თ ე ი მ ურ ა ზ ი ს ა გ ა ნ დამტკიცებით საჯილდაოდ მბოძებია. და რამდენჯერაც სამართალში ვილაპარაკეთ, თქვენი ბეჭედი რომ იჯდა იმ წიგნზე, ჯელი ვერ შეახეს.

თქვენგან ამ მოწყალებას ვითხოვ: ის თქვენი ბეჭედი რომ უზის, ის ბეჭედი დააყენოთ და ის წიგნი გამომირთვათ. და თუ რამ სხვა სიტყვა ჰქონდეს, მასუკან მელაპარაკოს. მე ხომ ჩემის შეტყობით არ მიმიცია ის წიგნი: და თუ მიეცა, ძმობისათვინ მივცემდი. და ძმობის მაგიერ იმან ეს ციყო, ჩემის მამულიდამ მკარგავს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, მომარჩინეთ. მაისის **ია,** ქორონიკონს **უოე.**

თავში

ჩვენო ღმრთის წყალობავ, შვილო ბატონო გიორგი! მერე ამ არზით ბეჟან რატიშვილი ასე რომ ჩივის, რადგან ბეჟანს და შალვას ძმობა აღარ მოუხდათ, რომელიც ჩვენგან ბეჟანს საჯილდაოდ მამული აქვს ნაბოძები, იმაში შალვას რა საქმე აქვს.

ბეჟანისაგან შალვას წიგნი რომ აქვს მიცემული ძმობისათვის იმ მამულში წილის დადებისა, რადგან ძმობა აღარ მოხდომიათ და ნიადაგ შფოთში არიან, ის წიგნი შალვას გამოართვი და ბეჟანს მიეც. ის წიგნი ჩვენგანც დამტკიცებულია, მაგრამ ამ წიგნით ის ჩვენი ბეჭედი დაგვიყენებია. ამის საჯილდაოთ ნაშოვნს მამულთან მაგას საქმე არა აქვს.

და თუ მუხრანის ბატონს სახლთხუცესს ი ო ა ნ ე ს ბეჟანთან სიტყვა აქვს რამე, ჩვენთან ელაპარაკოს. რაც ჩვენი წყალობა ბეჟანს საჯილდაოთ ჰბოძებია, ის ბეჟანს მიაბარე. აღიწერა მაისის **კზ,** ქორონიკონს **უოე.**

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ე რ ე კ ლ ე.

verso-ზე: „მეფის ირაკლის ოქმი ზურაბის მამულზე".

766. არზა შაბურიშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 4 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დაეთარი № 30. საბუთი № 192. პირი. ქაღალდი. მზგდრული.

[147 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონას შ ა ბ ურ ი ს შ ვ ი ლ ს ფ ი რ ა ნ ს და ქ ა ი ხ ო ს რ ო ს.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს ხელმწიფეს: ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ს რომ ჯ ა ნ ი ბ ე გ ა შ ვ ი ლ ი სახლობის, ჩემი ყმა, იმას მოუხსენებია თქვენის სიმაღლისათვის, რომ მე შაბურიშვილის ყმა არა ვარო, თავდახსნილი ვარო.

ჩემო ხელმწიფევ, რომელსაც მე არზით მოგახსენებ, თუ ამაში ერთი სიცრუე ერიოს, ღმერთმან თქვენი რისხვა მოგვცეს. ეგ კაცნი გ ლ უ რ ჯ ი ძ ე მოლარეთხუცამდის ჩვენს მამულში იდგა და ჩვენი ყმა იყო. მერმე როდესაც გლურჯიძე[1] დასვით იქა, რამდენსამე ხანს უკან მაგ ბიჭის დედამ თავ[ი]ს სამშობლოში სალოცავად წასვლა მოინდომა, იქავ ბახტრიონს, და ძმების ნახვა. [148] როგორ დაუშლიდით, არაგვზედ ჩვენის ცხენებით გავიყვანეო, თვითან ეგ ბიჭი რომ ჩემი მონათლული გახლავსთ, იყვნენ იქა.

ეგ თხუთმეტს წელიწადს წინ არზი მოგართვით, თ ე ლ ა ვ ს ბძანდებოდით, ოქმი მიბოძეთ გ ა რ ს ე ვ ა ნ ზ ე დ, იქავ ხელშეკრული მომცა ხელში იასაულმა თქვენის სასახლის კარზედ. მიველ იმის სახლში, მომიდიოდა ცოლ-შვილით; ნაცვალი თავდებათ დამიდგა, რომ შემოდგომაზედ უნდა წამოსულიყო. ის ნაცვალიც თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა. დარჩა კიდევ, კიდევ მეორე ოქმი მებოძა თქვენგან, უპირებდი აყრას. მერმე თქვენი შვილი ბძანდებოდა თ ე ლ ა ვ ს, ჩემს შვილს თქვენი ოქმები ეჩვენებინა ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა თ ვ ი ს და ვყრიდით.

ჩვენი მოხსენება ეს არის და ნება გაქვს, ჩემო ხელმწიფევ. ერთი მოხუცებული კაცი გახლავარ და ჩემ მოსწრებაში სულ ჩვენ გვესახლა და ამის მეტად მაგისი თავდახსნილობა არ გამიგონია და ნება თქვენია; რომელნიც გვყვანან, ისიც თქვენის ჭირის სანაცვლო იყოს. თქვენგან სხვას მოწყალების იმედიცა გვაქვს, რომ გვებოდოს. იმას თქვენის დოვლათით ჩემზედ მეტი სამსახური და ერთგულება, ღმრთის მოწყალებით, არ შეუძლიან, ნება თქვენია, ჩვენო ხელმწიფევ. ან წერილი აქვს ვისმე ან მოწმობა, რომ ჩემი ყმა არ იყოს და ან თავდახსნილი იყოს, რაღა სიტყვა გვექნება. მაისის **ით,** ქორონიკონს **უოე.**

თავში

ჩვენი ბძანება არის. მერმე ეს შ ა ბ ურ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ფ ი რ ა ნ და ქ ა ი ხ ო ს რ ო ჯ ა ნ ი ბ ე გ ა შ ვ ი ლ ს ზ ა ზ ა ს ყმობით რომ ედავებოდნენ, ამ შაბურიშვილებს ჩვენგან ბოძებული სხვა ოქმებიცა ჰქონდათ, რომ ამათ ყმათ გამოცხადებულ იყვნენ და იმიჭი აყრაც გვებრძანებინა, მაგრამ რადგან ის ჯანიბეგაშვილი კიდევ

[1] გლურჯიძემ.

ლაპარაკობდა და უარს ამბობდა, კიდევაც სამართალში მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ და სამართალმა კიდევაც ამ შაბურიშვილებს ის ჯანიბეგაშვილი ყმათ მოსცა და ჩვენც დაუმტკიცეთ და წყალობა უყავით იმ ჯანიბეგაშვილისა.

იასაულო ზანდუკელო ბეჭან! ახლავ უნდა აუყარო და ამათ მოაბარო. ივნის[ის] **დ**, ქორონიკონს **უოე**.

თუ უნდოდეს, თავი და[ა]ხსნევინოს. თუ არადა, თავის ყმა არის და [ა]ჰყაროს.

767. არზა ნინია ჯავახიშვილის ძვრივისა ყმის გაყოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 6 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 1668. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს ჯავახიშვილის ნინიას ქვრივსა და ობლებს.

ამას მოვახსენებ: ყორჩიშვილის კაცი დაყარგულიყო და ახალქალაქელს ონანას დაეხსნა. მასუკა[ნ] ონანამ იასაული დააყენა და სახსარსა სთხოვდა. იასაულს გაექცა ის ბიჭი და თქვენის ყმის საფლავზედ დაჯდა და ცოდვით ამავსო. მე იმის დახსნა[1] სად შემეძლო; ჩემ ობლებს ორმოცი თუმანი ვალი მართებსთ, მაგრა, რაც მამის ჩემისაგან მოცემული მზითევი მქონდა. სულ გაეყიდე და დავიხსენ და შინ ვიმსახურებ.

ახლა იმ ბიჭს ნიადაგ ხარჯსა სთხოვენ. მე რომ არ დამეხსნა, იმის ხარჯს ვის გამოართმევდნენ.

ღმერთი[2] გაგიმარჯვებს, ერთის ოქმის წყალობა მაღირსეთ, რომ მოხელე[ე]ბმა იმ ბიჭზედ კელი აიღონ. ის ბიჭი უმამულო არის და უცოლშვილო. მაისის **კთ**, ქორონიკონს **უოე**.

თავში

ჩვენი ბძანება არის მოხელე[ე]ბო! მერმე ეს ბიჭი დატყვევებულა და უმამულოთ თავი გაუყიდნია; უცოლშვილო და უმამულო, უსახლკარო არის. ამას ნურაფერს სათხოვარს და სარუსოს სთხოვთ. ვისაც ამ ბიჭის მამული დარჩომია, იმას გამოართვით. თიბათვის **ვ**, ქორონიკონს **უოე**. ერეკლე

[1] დასხნა. [2] ღმერთი] იმეთ.

768. არზა ახურელთა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 28 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1463. დედანი. ქაღალდი. 30,2×19,8 სმ. ხმედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჰირი მოსცეთ ერთობლივ ახურელთა.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს კემწიფესა: ჯანდიერიანთაგან ასე შეწუხებულნი გახლავართ, რომ ნიადაგ დღე ჩვენს ამოწყვეტასა ცდილობენ. ლეკნი არ გვიშვრებიან ამ საქმესა, რომ ეგენი გვიშვრებიან. რა თქვენთანა ვჩივით, მასუკან თვრამეტი კაცნი, მღუდელი და ერისკაცნი, ასე გახადეს, რომ სიკვდილის ბაროზედ გაუშვეს და ჩვენ თქვენს მზესა ვფიცავთ, რომ, რა თქვენთანა ვჩივით, მასუკან იმათთვინ აღარა გვიწყენია რა.

თოთხმეტის დღის მოსამკალი ფეტკი შარშან წაგვიხდინეს. წელს შეყრილიყვნენ ამ თვის ათსა მთელი ჯანდიერიანი, თავიანთის საყმოთი და თავიანთის ნახირითა ჩადგნენ ყანებში და ფეტვებში, ასე გაგვიოხრეს, რომ გამორჩომის იმედიც აღარა გვაქვს. ნახირს რომ ვერ გაეტეხა ყანები, ცხენებით გატეხეს და ისე შერეკეს ნახირი და შიგ ატრიალეს და ისე გაგვიფუჭეს.

ვანთის ბოლოდამ ნავი მოგვქონდა. იქ და დაგვეცნენ ერთიანათა ამოსაწყვეტლათ; და ნახირისთვინ ყანებში დაეყენებინათ თავი და იქ ისრე მოგვიხდნენ, კაცები კი გადაურჩით და ოცუღელა ხარისა ჯანბარა, აპეური და საყაური უღლები სულ დაეუწეს ერთიანათ, ოცის უღლისა; ორი კაცი ჩაიგდეს ხელშია. ასე გახადეს, რომ სიკუდილის პირობაზედ მიაგდეს.

ეს რაც მოგახსენეთ, სულ ერთს დღეს გვიყვეს. ჩვენ კი ხმა ვერ გაგვიცია, თქვენს სამართალს ველით და ისინი ასე გვაფუჭებენ.

ღმერთი გაგიმარჯვებს და თქვენის შვილების სადღეგრძელოთა, სამართალი გვაღირსეთ, რომ მუდამ შფოთში გახლავართ.

მოგეხსენებათ ახლა რა დრო არის. ერთიანათ სოფელი გახლავართ. თუ ჩვენი დგომა იქ არ იქნებოდეს, დასტურო დაგვეცით. მტერი მოსავალს არ ახდენს და ისინი კი ასე აფუჭებენ. ნეტავი ისევ ჩვენ ამოვეწყვიტეთ და მოსავალი ისე არ გაეფუჭებინათ.

ჩვენო კემწიფევ, ისე მწარეთ რომ გაგვიფუჭეს, ან თქვენ რიღათი გემსახუროთ და ან მონასტერსა და ან ჩვენი თავი რიღათი გამოვზარდოთ. სამართალს გევედრებით, სამართალი გვაღირსოთ. ივნისს **კგ**, ქორონიკონს **უოე**.

ქ. ჩვენ მაგიერად მდივანბეგს ბ ე ჟ ა ნ ს, მდივანბეგს ოტიას, მდივანს ს ვ ი მ ო ნ ს, მდივანს ნ ი ნ ი ა ს და ქ ე ლ ა შ ვ ი ლ ს კანდელაკს ი ო ს ე ბ ს ასე უამბეთ. მერე ამ არზით ახურელნი ჯანდიერიანთ რომ ასე უჩივიან, თქვენ უნდა მიხვიდეთ და ღმრთის წინაშე გასინჯოთ და სწორეთ შეიტყოთ, რაც ჯანდიერიანთ ამათი მოსავალი წაეხდინოსთ.

და ორის კაცის გალახვას რომ ჩივიან, ისიც უნდა წვლილად გამოიცოთ, როგორ არიან გალახულნი.

აპეურებისა და ჯარის ულღების დაჭრას რომ ჩივიან, ესეც უნდა შეიტყოთ, რამდენი აპეური და რამდენი ულელი დაუჭრიათ.

რაც ჯანდიერიანთ ამათ[თ]ეის ზიანი მიეცესთ, ყველა კაის ფთხილის გამოძიებით და ფიცით გამოიკითხეთ და, რაც ან წანახედი ნახოთ და ან ამათს საქმის ვითარებას გაეცნოს, ყველა თვითოეულად წერილით გვაცნობეთ, რომ ამათი სამართალი ჩვენთან უნდა მოხდეს.

სამართალი თქვენს გამოგზავნილს წერილზედ მოხდება და სიფთხილით მოიქეცით, ბრალქვეშ არ შეხვიდეთ. აღიწერა მთიბათვის **კგ,** ქორონიკონს **უოე.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

769. არზა მეჯინიგე იორდანეს დედისა გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1787 წ. 27 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2254. დედანი. ქაღალდი. 21,7×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი ხაზით (:—).

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფე-დედოფლის ჭირი მოსცეს მათის მონის მ ე ჯ ი ნ ი გ ე ი ო რ დ ა ნ ე ს დ ე დ ა ს.

შეწუხებულთ მოწყალეც, ჩემი საწყალობელი შვილი აქ თქვენს მონაობაში თქვენის ჭირის სანაცვლოდ ქმნილა.

მშობელთ გულის ამბავი მოგეხსენებათ, როდესაც გავიგონე, გულთ ცეცხლმოკიდებული გიახელ ფეხშიშველა აქა.

თვალცრემლიანათ გევედრები და მუხლთ გეხვევი, ბედნიერის ქელმწიფის მწარე, ღარიბი და ნაილაჯი გახლავარ, მოწყალებით ქელი აგვიპყარით და მარადის ჟამ თქვენად მლოცველად გვაჰყოფეთ. ივნისის **კვ,** ქორონიკონს **უოე.**

ქ. დედოფალის დარეჯან[ის] სიკეთით სახსოვარო მ ა ყ ა შ ვ ი ლ ო დ ა ვ ი თ! მერე ამ არზის პატრონს რადგანც ამგვარი განსაცდელი მისდგომია, ამათ ორი წელიწადი არაფერი არ უნდა ეთხოვებოდეს რა, და ნურცარას გამოართმევთ. მთიბათვის **კზ,** ქორონიკონს **უოე.**

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

770. არზა თეიმურაზ ფავლენიშვილისა ძმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 7 ივლისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 158. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[**105 V**] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ს თ ე ი მ უ რ ა ზ ს და იმის ძმისწულებსა.

ჩვენმა სახლისკაცმა ბ ი ძ ი ნ ა ს მამამ, კ ი კ ვ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ორნივ და-ძმანი ა ხ ა ლ ც ი ხ ე ს ბარბარ თათარს მიყიდა. და კი გაეყიდნა იმ თათარსა და ძმა შინ შეენახა, თათრათ გაეზარდა და ცოლი შეერთო.

ოსმალოს რომ ქართლი ეჭირა, მაშინ კიკვილაშვილი თავის აღას აქა ჰყოლოდა, გ ო რ ი ს ციხიდამ ყიზილბაშებს ოსმალოები რომ გაერეკა, ის კიკვილაშვილი ავათმყოფი გ ო რ ს დარჩენილიყო, მამაჩემს ი ო რ ა მ ს ენახა, შინ მოეყვანა და ავათმყოფი მოერჩინა. რომ მორჩენილიყო, მამიჩემისათვინ ეთქვა: ცოლ-შვილი ახალციხესა მყავ, იმათი სახსარი მომეც, რომ დავიხსნა და ჩამოვიყვანოვო.

მამაჩემს სახსარი მიეცა და გაესტუმრებინა. ცოლი კი დაეხსნა და შვილები არ დაენებებინათ. ეს ეცოდინებინა მამიჩემისათვინა, რომ ცოლი დავიხსენ და შვილები არ დამანებესო. კაცები გაგზავნა და ცოლ-შვილით დაიპარეს და აქ ჩამო[**106**]ასხეს. თათრები იყვნენ და სულ ცოლ-შვილით დავნათლეთ. ეს თქვენს სიმაღლეს მოეხსენება.

იქიდამ მოკიდებული აქამდინ რამდენი წელიწადი არის, მას დღეს აქათ ჩვენი ყმა არის და სულ ჩვენს მამულზედა დგას. მამათგან გაყიდული თათარზედ ჩვენ გამოგვიხსნია ურჯულოდამ და ქრისტიანეთ გაგვიხდია.

და ღღეს ჩემი სახლისკაცი ბიძინა გვედავება, რომ უწინდელი კიკვილაშვილის ბარათი მაქვსო. ბარათის ყმა ყოფილა მაგისი თუ სხვა, მე რას დავდემ, მაგათ გაუყიდნია ქრისტიანი ურჯულოზედა, მე გამომიხსნია და დაგვიქრისტიანებია. ამდენი ხანი არის ჩვენი დახსნილი ჩვენი ყმანი არიან. რომლებიც თათრებიდამ დავიხსენით, ისინი სულ გადიცვალნენ; და რომელიც აქ დაიბადნენ ჩვენს ხელში და ჩვენს მამულში, იმას გვედავებიან.

შენი რისხვა გვჭონდეს, თუ ამაში ერთი ტყუვილი მოგვეხსენებინოს. ამ საბუთით თუ ეს კაცი დამემტკიცებოდეს და ვერას შემომივიდოდეს, ოქმი გვებოძოს. და თუ ამის წინააღმდეგი სიტყვა ჰქონდეს, სამართალში გველაპარაკოს. მკათათვის ა, ქორონიკონს **უოე**.

თავში

ჩვენი ბრძანება არის, ვინცავინ ამის მოადნი იმყოფებით. მერე რომელიც ამათ არზით მოუხსენებიათ, თუ ამათი მოხსენებული ჭეშმარიტი არის, ამათ ვერას შეუხვალთ. და თუ ამათის მოხსენებულის დამარღვეველს საბუთს მოიტანთ რასმე, მერე სამართალში ელაპარაკენით. და თუ ტყუილათ თავი გვაწყინეთ და სამართალში გამტყუნდით, იცოდეთ, რომ გარდაგხდებათ. ივლისის **ზ**, ქორონიკონს **უოე**.

და თუ ესენი გამტყუნდებიან, ამათ გარდახდებათ. ალბათ.

771. არზა მთაწმინდის იოაკიმისა ვალის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 9 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 623. დედანი. ქაღალდი. 18×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს მთაწმინდის იოაკიმს.

ამას მოვახსენებთ მოწყალეს: კოზმა ბერმა თავის სიცოცხლეში ჩვენგან ერთი თუმანი ვალად აიღო და თამასუქი მამცა და თავისი ყმანი მოწამედ მიწერია და იციან.

ამას გვევედრებით: ერთი ოქმი და იასაული მიბოძოთ, რომ ვისაც მისი მამული და მოადგილობა ქონდეს და ებაროს, რომ ეს მისი აღებული თეთრი გამოგვირთვას და მოგვცეს. იელისის **ე**, ქორონიკონს **უოე**.

თავში:

ქ. უფალო წინამძღვარო ეფთვიმი, იმისი მოადგილე[1] ხომ თქვენა ბრძანდები და ამისი პასუხი თქვენ უნდა გასცეთ. კათათვის **თ**, ქორონიკონს **უოე**.

ქ. ალბათ, ალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძეც კახეთის შეფედ ცხებულს, ერეკლე.

772. არზა თევდორე ხახანაშვილისა თავისთავის მიბარების შესახებ

ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 10 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2977. დედანი. 20,5×12 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს ერთაწმიდელს წმიდის ევსტათის ყმას ხახანაშვილს თევდორეს.

ამდონი ხანი თარხნიშვილმა მამუკამ მაცოდვილა, სულ კარგად მოგეხსენებათ, თქვენის სამართლითა, თქვენის შვილის გიორგის სამართლით და მდივანბეგების სამართლით მამუკა გამტყუნდა.

ჩემო კელმწიფევ, ჩვენი შეწირულობის წიგნი, ბ[დ]ივანბეგების განაჩენი და თქვენი ოქმი წომირთმევია. გეევედრებით, მდივანბეგების განაჩენი დაგვიმტკიცოთ და ასეთს კაცს მიმაბაროთ, ძალი და უსამართლო აღარვინ მიყოს და ჩემი მამულიც შეიმაგროს. ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის **იდ**, ქორონიკონს **უოე**.

თავში.

ჩვენ მაგიერათ თარხან მინბაშს გიორგის ასე უამბეთ. მერე წმინდის ესტატის ყმას ხახანაშვილს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ეს შენ გებარებოდეს. თვალყური მიუგდე, რომ ამას უსამართლო არავინ რა უყოს, ან მამული არავინ წაართვას, ან ეს არავინ რაზე გასარჯოს. იმ წმიდის ეკლესიის სამსახური როგორც აძეს, ისე მსახუროს, სხვა ნურავინ რაზე გარჯის. თუ სიტყვა ვისმე აქვს, ჩვენ მოგვახსენოს. იელისის **ი**, ქორონიკონს **უოე**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძეც კახეთის შეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] მოადგილი.

ქ. რაც ამის მამული ეჭიროს ვისმე, ისიც გამოურთვი და მოეც, როგორც მსაჯულთ განაჩენი ჰქონდეს ჩვენგან დამტკიცებული და სარწმუნო მოწმეები უცხადებდეს. ზეითაც დაგვიწერია, თუ სიტყვა აქვს ვისმე, სამართალში მოვიდეს. მაგრამ თუ ტყუილათ ილაპარაკებს ვინმე, იცოდეს დიდათ გარდახდება, ალბათ.

ბეჭედი: ქნარს ჰიცემს, დავით მიჴმობს ძედ ქახეთის მეფეც ცხებულს, ერეკლე.

773. არზა იოსებ თულაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 21 ივლისი

ცსსა. ფონდი 1453. დავთარი № 37. საბუთი № 51. პირი. ქაღალდი. ნახდარული.

[25 V] ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მომცეს მათ ფეხთა მიწას იოსებ თულაშვილს.

ღმერთი მრავალჯერ გაგიმარჯვებსთ და თქვენს კემწიფობას უმეტესად აღამაღლებს. ჩემს მოხსენებას მოხედეთ. სამსახურისა და ერთგულობისათვის რომელი კაცი წაუბდენია თავის ბატონს, რომ მე ეს ბატონის ჩემის ძმისწული შანშე მაბდენს და არა მეშველა რა. და ეს მესამე წელიწადია, ჩენს პაწაწა შვილებს საზრდოს პურს ართმევს და მე წაწყმენდას მაძლევს.

შარშა[ნ]წინ მიბოძეთ ოქმი და არ შეიწყნარა და არც იოქმა და უფრო ავად მოპყრობით წანართო ჩემის მამულიდამ მოსავალი. შარშან მიბოძეთ ოქმი და იასა[26]ული, მამულზე კელი ამართა და მამცა. მოვიდა, თქვენი კელიც მამიგლიჯა და გადააგდო და მოსავალიც წამართო.

მოგახსენეთ და ოქმი მიბოძეთ მესამე: თულაშვილს იოსებს რაც მამული თავისის მამულის სამაგიეროდ მიგიციათ და ჩვენგანაც დამტკიცებული არის, ის მამულები იოსებს არ გამოერთმევაო. ამას უნდა ჰქონდესო, გაიყრებით მით და არ გაიყრებით მით თულაშვილს მამული არ ჩამოერთმევაო.

ჩემო კელმწიფევ, არც ის იოქმა და წრევანდელს იმ მამულის გამოსავალსაც თავის კლმით მართმევს. მანდ თქვენთან ველარ მოვაწიე, ცხენმა ფეხი მომტეხა, თორემ რაც მიპასუხა, მოგახსენებდი. თქვენი მორდალიც აქ იყო, რაც პასუხი მამცა.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ და თქვენს უცხო შვილებს გიცოცხლებსთ. შემიბრალეთ, ერთი ოქმი უბოძეთ მორადლს — ჩემი მამულის გამოსავალი დამანებოს. შვილებს უსარჩოოთ ნუ დამიგდებს, კელი ამართოს მორდალმა, ჩემი მამული მამაბაროს.

თქვენს სამართალში თუ მოვაწიე, მერე თქვენმა უმაღლესობამ რაც სამართალი დამმართოს, იმას დავჯერდები. ქრისტეს გულისათვის შემიბრალეთ და სამართალი მაღირსეთ თქვენს გასამარჯვებლად. მკათათვის კდ, ქორონიკონს უოე.

თავში

ჩვენი ბძანება არის დიასამიძე მორდალო იესე. მერე ამ არზით თულაშვილს იოსებს რომ ასე მოუხსენებია, ამას მთაში რომ თავისი სამკვიდრო მამული გამოერთვა, რეხა იმის სამაგიეროდ მიეცა ჩვენის ბძანებით. ამაზედ ორჯელ-სამჯერ კიდეც ელაპარაკა შანშე თულაშვილს, მაგრამ სამართალმა არ გამოართვა თულაშვილსა.

და ჩვენი ოქმები და ბძანება აქვს თულაშვილსა. და როგორც მაგ ოქმებში უწერია, გასინჯე და თულაშვილს მიაბარე; დაებსნას შანშე, მამულიც დაანებოს, მანამ თავისის მამულს მოკიდებდეს კელს, ნუ შფოთვენ. ქორონიკონს უოე.

თუ სიტყვა აქვს რამე შანშეს, ელაპარაკოს, გაყრამდინ კი ნურას ელაპარაკება, დაანებოს. ახლა კი გაყრისათვის არავის სცალიან.

774. არზა ავირეჯიბის უმეზისა წყლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 25 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1106. დედანი. ქაღალდი. 20,8×15,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი ამირეჯიბს ზაზასა და დავითის ყმებს საღოლაშნელებს მოსცეს.

თქვენც მოგეხსენებათ, ჩვენ წყალი ყაიბულას რუდამ მოგვცემია: სამი წილი წყალი ბრეთელებისა ყოფილა იმ რუდამა და ორი წილი ჩვენი; ორი მერუე იმათი ყოფილა და ერთი ჩვენი. ამ რიგითა და განწესებით ვცხოვრებულვართ და ვრჩომილვართ. იმ სოფელში ახლა რაც აკალიანი არიან, სულ ბრეთში მოიყარეს თავი და ჩვენ წყალი აღარ დაგვნებდა.

ღმერთს ვფიცავთ, რომ სალოლაშენში ფეტვი და სიმინდი ერთის დღისა არ იყოს წყლის მიზეზით. სულ სარუისოში ვხნავთ, ჩვენს ცოლ-შვილსაც იქიდამ ვარჩენთ და თქვენ სამსახურსაც იქიდამ ვსწყვეტთ.

ამ წყალობას ვითხოვ: ერთი ოქმი გვებოძოს, როგორც[1] მერუე ყოფილა, ისე დაგვაყენებინონ; რუც ერთათ გავაკეთოთ. რომელმაც ამაში უარშიობა ქნას და წყალი მოიპაროს — ერთი ხარი ძველათგანვე თქვენი ყოფილა და ხუთი აბაზი იასაულისა.

ეს ასე აღგვისრულეთ და ერთი მართებული იასაული გვიბოძეთ, რომ ამ წესით მოიქცეს, რომ ეგების თქვენის დოვლათით გავსძლოთ. ცალკე მტერი არ გვაყენებს, ცალკე უწყლობა. თქვენის შვილების სადღეგრძელოთ ეს წყალობა გვიყავით. ივლისის **ით, ქორონიკონს უოე.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამილახვარიშვილო გიო! მერე ეს ამირეჯიბის ყმები საღოლაშენელნი ასე რომ ჩივიან, ეს უნდა მოიკითხო ბრეთში, საღოლაშენში და იმის გარეშემო სოფლებში; როგორც ძველათ ჰქონიათ იმ რუდამ წყალი გაყოფილი, ახლაც ისე უნდა გაიყონ. ერთმანერთზე ძალას და უსამართლოს ნურც ერთი ნუ მოინდომებს, თვარემ დიდათ უწყენთ. მერუე[ე]ბიც როგორც ძველათ ჰყენებოდესთ, ახლაც ისე დააყენონ და რუც ერთათ აკეთონ.

თუ წყალი ერთმანერთს მოჰპარონ, როგორც ძველათ საჩვენო ჯარიმა ზდებოდეთ, ისე უნდა გამოართმევდე. თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენონ. ივლისის **კე, ქორონიკონს უოე.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძღ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

775. არზა ჯავარა მახვილაძისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 5 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 38.[1] საბუთი № 106. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[75 V] ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი საცოდავს ზა[ა]ლ მახვილაძის ქვრივს ჯავარას მოსცეს.

ამას მოვახსენებ. სამი კვამლი ჩემნი კაცი მყვანდა, ჩემს ნასყიდ მიწაზე მეყენა. შანშე მილახვარმა რამინ ამირეჯიბის კაცები და თავისი შეუსივა, სახლებს ცეცხლი შემოაყარა, თავზე დააქცევეს, ამოყარა და გარეკა. ერთი მუახლის შვილები — კვირია და იმისი ძმები ამილახვართან მივიდნენ და ავნევს დადგნენ; მეორე მოახლე[1] თავისის ქმრითა[2] და შვილებითა ხარაზისშვილი ბერი ავლევს დადგა. ორი კვამლი ხიზანი კაცი მყვანდა — ხარაზისშვილი დათუა და ბარბაჭაძე ბერი; რაც ჩემგან შეიძლებოდა, დიდი ამაგი უყავით და დიდი ხანიც არის ჩემთანა არიან, ვეხვეწები და აღარ მოდიან.

ერთის ოქმის მოწყალებას ვითხოვ, ამილახვარს უბძანო — ის კაცნი აყაროს, იქავ ჩამოიყვანოს და დააყენოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის **თ,**

თავში

[75] ბრწყინვალეო თავადო ბატონო ამილახორ-მდივანბეგო იესე, მერე ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, რომელს სოფლებშიაც ამისნი კაცნი იდგნენ, უნდა აუყრევინო და საცა ამას უწდომდეს, იქ უნდა დასახლდნენ. აგვისტოს **ე, ქორონიკონს უოე.**

ქ. თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს, მოგვახსენოს. □

776. არზა ოფრეთელი არუთენასი მორიგის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1787 წ. 10 აგვისტო

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1392. დედანი. 16,7×10,1 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფე დედოფლის ჭირი მოსცეს ოფრეთელს თქვენს ყმას არუთენას.

სამი თვე თქვენის ბძანებით ნახიდურს ყარაულად გახლდი. იქიდამ გიახელ. ახლა მორიგესა მთხოვენ.

თქვენი ოქმი გვიჭირავს, რომ მორიგე არ გვეთხო[ვ]ებოდეს. უზბაშიმ არ იოქმა, ახალი ოქმი მამიტანეო.

ღმერთი გადღეგრძელებს, ოქმის წყალობა გვიყავით, რომ ჴელი აიღონ და არ შემაწუხონ. აგვისტოს **თ,** ქორონიკონს **უოე.**

[1] რამარც.

[1] მოახლეს. [2] კრმითა.

თავში

ქ. დედოფალი დარეჯან გიბძანებთ, რომელიც უზბაში ამ ოფრეთელს მორიგესა სთხოვ, ამათ მორიგე არ ეთხოებათ. მუდამ ყარაულში არის. დაეხსენ, ჯელი აიღევ. აგვისტოს **ი,** ქორონიკონს **უოე.**

სამოცი კომლი ქრისტიანე გვიდგას ქოლათგირშია და იმათი ყარაულია მუდამათა. ისინი ხომ მთაზედ ვერ წავლენ; მუდამათ ზამთარ-ზაფხულს იმათი ყარაული არის. ეს მიზეზი აქვს, ამდენს სულს ქრისტიანეს ყარაულობით უვლის და ამაზედ ჯელი აიღეე.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

777. არზა პაპა მუშრიბის დედიცა ეკლესია-მამულის თარგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 11 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 5. საბუთი № 118. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[110] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს საბრალოს პაპა მუშრიბის დედას.

მოწყალეს ჯელმწიფეს ამას მოვახსენებ. საწყალობელს ჩემს შვილს პაპას ეს განზრახვა ჰქონდა, რასაც თქვენს წყალობას იშოვიდა, ათისთავს [V] ღმრთის სამსახურისათვის გარდასდებდა, რომ ეგების ღმერთმან ერთის პატარის ეკლესიის აშენება შემაძლებინოსო. და რადგანაც ის ამ განზრახვაში გახლდათ, გარეთუბანს ერთი ჩემის პაპის ნაჭირნახულევი ხარაბა ეკლესი[ი]ს ადგილი იყო დაქცეული, რომ ხალხს სანებვეთა[1] ჰქონდათ. მე უთხარ ჩემს შვილს: რადგანც გნებავს, ის რომ მამული ჩემი პაპეული არის და ნასაყდრალიც არის, რატომ იმას არ გა[ა]ხლებ და არ ა[ა]შენებ-მეთქი.

ჩემო ჯელმწიფევ, დამიჯერა, ის საყდარიც ა[ა]შენა და გერეშემო კლდე იყო, ისიც გა[ა]კაფინა და გალავანი შემოავლო და გალავანში სახლები გა[ა]კეთებინა, როდესაც ვინიცობა არის. ხიზნობა რომ იყოს, იქ დავდგეთო და იქ ჩვენი ყმა და[ა]ყენა. იმის სიცოცხლეში ერთხელ წამოედავნენ ის ჩემი სამშობლონი, რომელსაცა სასაფლაო ყოფილიყო ძველადგან, მარამ რადგანაც დაქცეული იყო, თითონ ყური აღარა მიეგდო რა და მერმე იმ ჩემ[მ]ა შვილმა ა[ა]შე-

[1] სანახვეთა.

ნა და ბევრიც შეუმატა, სამართალში ისინიც ველარას შემოუვიდნენ და ჩვენი შეიქნა, იმათაც ჯელი აიღეს. და ამაში ვანქს შესწირა, რომ ვანქის თემი შეიქნა, ის ეკლესია, როგორც სხვა ეკლესიები არის.

ახლა რომ აღალო აქ არ გახლავსთ, იოსებს კი არაფრათ ახსენებს და არას ეპუება ტერ-ყაზარა და იმ საყდრის კედლის დაქცევას და მომატებ[ა]ს აპირობს: ან ახლავ თქვენვე [111] ა[ა]შენეთო და ან არა, მე ხალხში თეთრს მოვკრეფ და ავაშენებო.

მოგეხსენებათ, რომ ამ ჩემს შვილებს ახლა შეძლება არა აქვსთ აშენებისა და ან მომატებისა. ღმერთი გადღეგრძელებსთ, ამ ობლებს ნუ და[ა]ჩაგვრინებთ და თავეთის მამის ჰირნახულს ნუ დაუკარგამთ. თუ ღმერთი შეძლებას მისცემსთ, ჰ[ა]ლბათ თუ რომ მომატება უნდა, ესენიც მოუმატებენ. აგვისტოს **იბ,** ქორონიკონს **უოე.**

უმოწყალესო ჯელმწიფევ, ის კლდე ხალხის გზა იყო, თქვენს სიმაღლეს სთხოვა, წყალობა უყავით და თქვენის ოქმებით გა[ა]სწორებინა და შიგ სახლები ა[ა]შენა.

თავში

ჩვენი ბძანება არის. მერმე ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ეს ეკლესია ამის შვილისაგან არის აშენებული და მამული ამისი არის. ამათს მამულთან და ეკლესიასთან სხვას კაცს ან ასაშენებლად რა საქმე აქვს და ან დასაქცევათ.

ტერ-ყაზარმაც ასე იცოდეს და სხვათაც, რომ უსამართლოთ ამას არ დავაჩაგვრინებთ და არც მოვრევთ. ახლა ხომ ამათ შეძლება არა აქვსთ, რო[მ] შეუმატონ რამე. და როდესაც შეიძლებენ იმ ამათს ეკლესიას აშენება და მომატება ენდომება რამე და ესენი არას ყურს მიუგდებენ, ტერ-ყაზარამ მაშინ ჩვენ მოგვახსენოს და ჩვენ ამათვე ავაშენებინებთ, თუ არა ამათს ეკლესიას ამათს გარდა ნურავინ ნურც და[ა]ქცევთ და ნურც აშენებთ, ჯელს ნუ შეახებთ, თორემ იცოდეს, სამართალი მოჰკითხავს. აგვისტოს **იბ,** ქორონიკონს **უოე.**

აქამდინის ეს პატრო[ნობდა. სამართალსაც ასე] გაურიგებია. შენ საქმე არა გაქვს რა ამაში. ახლა ჩვენ ამას ვწერთ: თუ ვისმე წაურთმევია რამე, [V] და[ა]ნებონ, ნუღარ ალაპარაკებენ. თუ საბუთიანი სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ რომ ღვთით მოვბრუნდებით, მაშინ ილაპარაკოს, თუ არადა, უსამართლო არავინ უყოს ამასა.

778. არზა ზაალ უაფლანისშვილისა განაჩენის გაასაჩივრებაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 4 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1849. დედანი. ქაღალდი. 27,8×15,6 სმ. მხედრული. გახკეთილობის ნიშნად ქვეული სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი ყაფლანისშვილს ზ ა [ა] ლ ს მოსცეს.

ამას მოვახსენებ ჩემს ყოვლად მოწყალეს ჯელმწიფეს: ამ ზამთარ ჩემი სასახლისა მოგახსენე. ღმერთმან თქვენი მეფობა უმეტესად აღამაღლოს და განაძლიეროს, მ ზ ე ჭ ა ბ უ კ მდივანბეგს და ს ო ლ ო მ ო ნ მსაჯულს უბძანეთ, რომ ჩვენი სამართალი გაეშინჯათ და გარდეწყვიტათ. იმათ დიდათ გაშინჯეს და სამზღვრით და სიგლით გამოიძიეს; ჩემ სასახლესა და იმათ მამულს შუა სხვის მამული გამოცხადდა. კარგა გაშინჯეს და სარწმუნო შეიქნენ. იმას ჩემთან სადაო არა ჰქონდა. იმათი სათნოებისათვის ამასაც არ დასჯერდნენ და იმათ კიდე ფიცი დაადევს, რომ ფიცით გაეტანა. დაწერეს განაჩენი და თქვენმა სიმაღლემაც და[ა]მტკიცა ის განაჩენი. მისცეს იას[ა]ულსა, იას[ა]ულმა მიუტანა ამ ჩემს მოდავე[ე]ბს: ან დაიფიცე და ან მამულზე ჯელი აიღეო. ისინი ტყუოდენ, ვერ დაიფიცეს და ხელი აიღეს. იას[ა]ულმა ხელი მოაწერა, რომ ვერ დაიფიცეს, გამტყუნდენ და მამული ზა[ა]ლს დარჩაო. მდივანბეგებმაც ხელი მოაწერეს, რომ ვერ დაიფიცა და გამტყუნდა. ის განაჩენი არ გვაქვს[1].

ამ წყალობას ვითხოვ და თქვენს უამხანაგოთ მშობელთ მზეს გაფიცებ: ერთი ოქმის წყალობა[2] მიყოთ მზეჭაბუკ მდივანბეგზე და სოლომონ მსაჯულზე, წინაშე ღვთისა როგორც განაჩენი მოეცესთ, ის განაჩენი გამიახლონ და მომცენ რომ ჩემი სამკვიდრო მამული არ დამეკარგოს. ღმერთი უმეტესად აღგამაღლებს და განგაძლიერებს ყოვლად მოწყალეე ჯელმწიფევ. სექდემბრის **კზ,** ქორონიკონს **უოე.**

თავში

ქ. უფალო მდივანბეგო მ ზ ე ჭ ა ბ უ კ და მსაჯულო ს ო ლ ო მ ო ნ. მერე ამის სამართალი როგორც გაგეჩინოსთ, განაჩენი დას-

[1] გაქვს. [2] წყალობაა.

წერეთ, დაბეჭდეთ და ჩვენ წინ გამოაცხადეთ. აღიწერა ოქდომბერს **დ,** ქორონიკონს **უოვ.**

ქ. თქვენის განაჩენის პირი.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

779. არზა გიორგი თუმანიშვილისა ყმის თაოვაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 11 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 247. დედანი. ქაღალდი. 20,7×13,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აბა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს გ ი ო რ გ ი ს მოსცეს.

მერე თქვენის სიმაღლისაგან ბძანება გამოვიდა, რომ რაც იმერელი, რაჭველი ქართლში გადმოსულიყოს და მისვლოდეს ვისმე ან მამულზედ არ იდგეს და ახალი მისული იყოს, იმის აყრა გებძანათ და რაჭის ერისთვის შვილისათვის ბოძება.

ჩემო ჯელმწიფევ, თვრამეტი წელიწადი არის ერთი კაცი მყავს მოსული თავის რაზით, რომ თავის ბატონისაგანაც დაგირავებული ყოფილა და თავი დაუხსნია. ჩემო ჯელმწიფევ, ის კაცი თავის ნებაყოფლობით წყალობის ყმათ მოვიდა და მეც რაც გლეხს კაცს ეფერებოდა — მამული, ხარი, კამბეჩი, ვენახი და ნაფუზარი მიეცი; ცოლი შეირთო და დავასახლე. როგორც ერთი სხვა გლეხი კაცი გახლავს ჩემი სარჩოთი თუ მამულით, ის კაციც იმგვარად გახლავს. ამას გარდა სულადიც მიმიცია იმისთვის სამოცი კოდი და სხვაც ბევრი წვრილად მაქვს იმაზედ დანახარჯი.

წყალობას ვითხოვ, თქვენის ხელმწიფობის გასაძლიერებლად ჩემი ამდენი დანახარჯი და ამაგი არ გამიფუჭდეს და თვრამეტი წლის მოსული კაცი არ გამამერთვას. ღმერთი გაგიმარჯვებს. ღვინობისთვის **ვ,** ქორონიკონს **უოე.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ვინც ამაზე მოასიღი იყოთ! მერე ამ არზით თუმანიშვილს გიორგის ასე რომ მოუხსენებია, თუ ეს მართლა ასე არის ამდენის ხნის მოსული და მამულზე დასახლებული კაცი, ამას არ აეყრება და ნურც აუყრით. თუ სიტყვა აქვს ვისმე ჩვენ მოგვახსენოს. და თუ ასე არის როგორც მოუხსენებია, ამაზე ლაპარაკი აღარ უნდა. აღიწერა ოქდომბერს **ია,** ქორონიკონს **უოე.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

780. არზა ფარსადან ესიტაშვილისა ყმის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

1787 წ. 10 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13831. დედანი. ქაღალდი. 18,5×13,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან მათის სიმაღლის მეფის ძის ჰირი მოსცეს ფ ა რ ს ა დ ა ნ ე ს ი ტ ა შ ვ ი ლს.

ამდენი ხანია თავს გაწყენ. ჩემი კაცი კონდოლიდამ აიყარა და თქვენს სოფელს ტ ო ღ ნ ი ა ნ შ ი დადგა, ოქმიც მებოძა, მაგრამ ვერ ავყარე, სხვა ოქმი იმისთვის მიგეცათ. იმ ბიჭების მამა დედის ჩემისაგან ნასყიდია და ზითევიც არის და ან როგორც მიშოვნია, სარწმუნო დიდის კაცების მოწმობით სიგელი მაქვს, მოიკითხეთ. ეს სამოცი წელიწადია ჩემი ყმა არის. თუ წამომდაევებია ვინმე სიტყვა არა მაქვს. თუ არა, ჩემის კაცის წყალობას ვითხოვ. სხვარიგათაც მოწყალების იმედი მაქვს, თორემ ჩემი წამერთოს უსამართლოთ? ლ ო ლ ა ძ ე ყრუ ა დ ა მ ა ს შვილები არიან ეს მოხსენებულ[ნ]ი. ოქტონბერს **ვ,** ქორონიკონა **უოე.**

თავში

ქ. ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ გიბძანეფ ესიტაშვილო ფარსადან! მერე ამ არზით რომ ასე მოგიხსენებია, ჩვენ **იმ** ბიჭებს არა გედავებით, ვიცით რომ შენი ყმა არის ის, როდისაც გინდა აყარე, ვერავინ დაგიჭერს.

მოურაო ფარსადან და ნაცვალო! როგორც ბატონყმობის რიგია, ესენი ისე შეარიგე. თუ არა ხელშეკრული მოეც, თორემ უნასალოთ ვერ მოგვრჩება იცოდე. ოქდონბერს **ი,** ქორონიკონს **უოე.**

ბეჭედი: რტოდ ვარ დაეითის, მგელ-ლომად ეით ის, ვ ა ხ ტ ა ნ გ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

781. არზა სულხან ციმშიაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 12 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6750. დედანი. ქაღალდი. 19,6×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერი ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ხ ი მ შ ი ა შ ვ ი ლს ს უ ლ ხ ა ნ ს.

მერე ამას მოვახსენებ: რაც მძლავრობით მამული წართმეული

მჭონდა და ახლა თქვენგან წყალობა დამემართა და ის მძლავრებით წართმეული მამული ისევ თქვენის წყალობით სიგლით მებოძა.

ახლა ამ წყალობას გევედრებით: ერთი ოქმი და იასაული მებოძოს თქვენი წყალობა, რომ რაც იმ თქვენს წყალობას ნაბოძებს სიგელში მამულ-ალაგი მომეცემოდეს, ისიები თქვენი წყალობა ოქმითა და იასაულით მომბარდეს. ამ წყალობას გევედრები ჩემო ჯელმწიფევ. ღმერთი გაგიმარჯვებს. გიორგობის **იბ,** ქორონიკონს **უოე.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის შ ა ბ უ რ ი შ ვ ი ლ ო ფ ი რ ა ნ! მერე ამ არზის პატრონს, რაც ჩვენგან დამტკიცებული სანატრელის პაპის ჩვენისაგან ნაბოძები მამულები ეწეროსთ სიგლებში, ის მამულები ახლავ ჯელი აუმართე და მოაბარე. ნოემბრის **იბ,** ქორონიკონს **უოე.**

ბეჭედი: ქნარს ვიცემს, დავით მიკმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

782. არზა ეგნატი თუმანიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 15 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13906. დედანი. ქაღალდი. 32,7×18,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი მძიმეთი. იხ. № 784 საბუთის შენიშვნა სქოლიოში.

ქ. ბედნიერს დედოფალს და საქართველოს მსაჯულთშეკრებილებას თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ე გ ნ ა ტ ი ამას მოვახსენებ და ღმრთის წინაშე სამართალს ვითხოვ.

პ ი რ ვ ე ლ ა დ, ნეტარად ხსენებულმა ბატონმა მამული და ყმა ორთავ რომ გვიბოძა, მასუკან ამ ბიძაჩემმა პ ა პ უ ა მ თავისის უსვინდისობით ჩემი წილი თეთრი დახარჯა და ის ყმა და მამული იშოვნა; ჩემის წილის თეთრის სამართალს ვითხოვ.

მ ე ო რ ე ეს მოგახსენდესთ: ორასი თუმანი თავის ვექილს და შვილს გა[ა]ტანა, ამისი სევდაგრებიდამ მოიკითხეთ. გაყრილს ძმებსა თუ ამხანაგებსა თეთრი რომ ჰქონდესთ გასაყოფი, ერთმა ძმამ თუ ამხანაგმა მეორეს ძმისა თუ ამხანაგისა უკითხავად გასაყოფარი თეთრი გაგზავნოს სადმე და იმ თეთრს ჯუქამი და ზარალი მოუვიდეს, რომ მეორეს ძმისა და ამხანაგისათვის არ უკითხავს და არც ნება ყოფილა, იმ ზიანსა და ჯუქამში მიუყენებენ თუ არა, ეს თქვენმა წრფელმა გონებამ გასინჯოს და სამართალი მიბოძოს.

მ ე ს ა მ ე ეს მოგხსენდესთ: ეს მეთხუთმეტე წელიწადი არის, ამ ბიძაჩემმა მე რომ მძლავრობით გამომაგდო და ამას ორ ადგილას ქალაქსა და სოფელში სახლის ხარჯი ჰქონდა და მე ბატონის წყალობას გარდა ვალი მიღია და ისე მიცხოვრია, რომ დღეს ას სამოცდათხუთმეტი თუმანი მმართებს. ამის სამართალს ვითხოვ.

მ ე ო თ ხ ე ეს მოგხსენდესთ: რაც ყმა და ან მამული თეთრით უყიდნია და გაუკეთებია და ან გირაოთა სჭერია, ეს თხუთმეტი წელიწადი არის, ამაების გამოსავალს ესა ხმარობს. ამის სამართალს ვითხოვ.

მ ე ხ უ თ ე ეს მოგხსენდესთ: განაჩენი რომელსაც აცხადებს და ან რაც ამ ბიძაჩემმა სია მამცა თავისის ქონებისა და ჯელი მოაწერა, რაც ამ სიას გარდა დამალა და ახლა საბუთი მიქნია, ის გამომირთვათ და მიბოძოთ.

მ ე ე ქ ვ ს ე[1] ეს, რომ: ეს მეთხუთმეტე წელიწადი არის მამულის გამოსავალი სულ ბიძაჩემს აქვს და ჩემი წილი მოაკემინეთ.

ამაების სამართალს ვითხოვ. ღმერთი გადღეგძელებსთ და მისის უმაღლესობის მეფის გასამარჯვებლათ ეს ჩემი მოხსენებული გასინჯეთ და სამართალი ღმრთის წინაშე მიბოძეთ. ღვინობისთვის **თ,** ქორონიკონს **უოე.**

თავში

ქ. მსაჯულნი ბატონს დედუფალს იახლნენ და ამ მოხსენებულის სამართალი საჯონ. გიორგობის **იე,** ქორონიკონს **უოე.**

ქ. შანშე მილახვარო! ესენი სამართალში შენ ალაპარაკე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

783. არზა კაცია სხირტლაძისა სახელმწ გოძებაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 30 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 7292. დედანი. ქაღალდი. 33,4×20,5 სმ. მხედრული. აქა-იქ წერტილი. დაზიანებული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ზ ე გ ა მ შ ი[2] მოსახლეს კ ა ც ი ა ს ხ [ი რ] ტ ლ ა ძ ე ს.

ქ. მე რომ იმერეთიდამ გიახელ, თქვენგან მებძანა: სამს საკ-

[1] მეხუთე. [2] ზედახში.

ვამლოს გიბოძებ გამორჩეულსა და ყმასაო, დამპირდით, მაგრამ ერთი საკომლოს მეტი არ მებოძა და ის ერთი საკომლოც შუა გამეყო და ს ი რ ბ ი ლ ა ძ ე ს მიეცა.

ახლა გევედრები, ღმერთი გაგიმარჯვებს, იმ სოფლის ნაცვლობა მაინც მებოძოს, რომ თქვენი საფარველი მედვას. ნოემბერს **კზ,** ქორონიკონს **უოე.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ო ზ ა [ა] ლ! მერმე ამ ჩვენის აზნაურშვილის კაცია სხირტლაძისათვის ზეგამის ნაცვლობა წყალობათ გვიბოძებია. და შენც ამაზე თვალყური უნდა გეჭიროს და იმ სოფლის კაცთაც ყადაღა უნდა უყო, რომ როგორც მართებული იყოს, ამას ისე დამორჩილდენ.

და ზეგმელებო, თქვენც ასე იცოდეთ, რომ ამისთვის თქვენი ნაცვლობა მიგვიცია და უნდა რომ დამორჩილდეთ, როგორც მართებული იყოს. თუ ეს თქვენი მოჩივარი მოვიდა ჩვენთან, იცოდეთ, რომ ავად მოპყრობით და ჯარიმით გარდაგახდევინებთ. გიორგობისთვის **ლ,** ქორონიკონს **უოე.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა დ ე დ ო ფ ა ლ ი პატრონი დ ა რ ე ჯ ა ნ, ამ მისის უმაღლესობისაგან ნაბოძებს წყალობას ვამტკიცებთ. დეკემბრის **ე,** ქორონიკონს **უოე.**

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი, მისის სიმაღლის ბატონის ბრძანების თანამოწმე ვართ. დეკემბრის **გ,** ქორონიკონს **უოე.** გიორგი

ქ. ჩვე[ნ], სრულიად საქართველოს მეფის ირაკლის ძე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ი უ ლ ო ნ, მისის უმაღლესობის ბატონის წყალობის თანამოწმე ვართ. დეკემბრის **გ,** ქორონიკონს **უოე.**

ბეჭედი: ქ. ღრისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ირაკლის ძე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ, მისის უმაღლესობის ბატონის წყალობის თანამოწმე ვართ. ქრისტეს შობისთვის **გ,** ქორონიკონს **უოე.**

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად კოთ ის, ვ ა ხ ტ ა ნ გ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

784. არზა ეგნატი თუმანიშვილისა ქოქების გაყოფაზე ერეკლე II-ის ოქმით

1787 წ. 9 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13036. დედანი. ქაღალდი. 17,5×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ე გ ნ ა ტ ი ს მომცეს.

მერე თქვენის ბძანებით მოქალაქეთ ჩვენი თეთრის ანგარიში და სამართალი გადასწყვიტეს და შუა გაგვყვეს, რომ ბიძაჩემიცა და მეც ორნივ ყაბულს გავხდით. და რაც თეთრით ნასყიდობა არის და ან სახლის აეჯულობა, ესენი გასაყოფი დარჩა*.

ამ წყალობას ვითხოვ, ოქმით ბძანოთ: ან ისევ ამავ მოქალაქეთ გაგვყონ და ან მდივანბეგებს ებძანოს, რომ ესეც გაგვყონ. ქრისტიშობის **ა**, ქორონიკონს **უოე**.

თაეწი

ქ. ბატონო მდივანბეგებო, ამ არზის პატრონი რომელზედაც ჩივის, თქვენ გამოიძიეთ და სამართლით გაურჩიეთ.

შ ა ნ შ ე მილახვარო, ესენი მოსამართლეებთან შენ მიიყვანე და სამართალში ალაპარაკე. დეკემბერს **ბ**, ქორონიკონს **უოე**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მოკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

785. არზა ჰიკაანელთა გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1787 წ. 13 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2952. დედანი. ქაღალდი. 21,3×10,3 სმ. დაზიანებული. მარცხენა ქვემო კუთხე მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის დედოფლის ჰირი მოსცეს მათ ყმათ ჰიკაანელთ ერთობით.

ჩვენს ჯელმწიფეს მერე ამას მოვახსენებთ: ღმერთსა ვფიცავთ და თქვენს მზესა, რომ დიდად შეწუხებულნი გახლავართ მტრისგა-

*შდრ. 1787 წ. 27 ნოემბრისა და 1794 წ. 1 ივნისის განჩინებებს ეგნატი და პაპუა თუმანიშვილების გაყრის საქმეზე (ქართ. სამართ. ძეგლები V, №№ 232 და 370).

ნა. წლეულ ძალ[ი]ან სეტყვისაგანა არა მოგვიყიდა რა. რაც მოგვიყიდა, ისიც ორმოში წყალი გამოვიდა და წაგვიხდა და რაც მოვარჩინეთ, ისიც თითო-ოროლი დღისა დავთეს[ეთ]. თქვენს მზესა ვფიცავთ და ბედნიერის ჯელმწიფისას, რომ აღარაფერი სარჩო ჩვენ არა დაგვრ[ჩომი]ა რა. მტრისაგან ვა[რ]თ შეწუხ[ებულნი]...* არა შეგვიძლიან სხვას სოფელთან. მოგეხსენებათ, მტრის პირში გახლავართ და მუდამ გვახდენენ. ეხლაც ჩვენ სულ აქ გახლავართ და იქ ვინ იცის, ჩვენი ცოლ-შვილი დაგუხდება თუ არა მშვიდობითა. ასე დიდად შეწუხებულნი გახლავართ.

და გევედრებით თქვენის შვილების სადღეგძელოთ და ბედნიერის ჯელმწიფის სადღეგძელოთ, კოდისპური გვაპატივოთ და არ დაგვკარგოთ. არ შეგვიძლიან, თორემ თქვენს სამსახურს უარს არც ვიტყვით და არც გვითქომს, მაგრამ ახ[ლა] დიდად შეწუხებული გახლავართ და გე[ვ]ედრებით, ამისი მოწყალება მოიღოთ. ღმერთი გადღეგძელებს. დეკენბრის **ია**, ქორონიკონს **[უოე]**.

თაეწი

ქ. გავაზის მოურაო რ ე ვ ა ზ! ჰიკაანელთ ამ არზით ასე რომ მოუხსენებიათ, ამაზედ ჯერ ღმერთს გაფიცებთ და მერე შენის ჯემწიფის მზესა, რომ შენ გეცოდინება სწორედ, თუ ამათი მოხსენებული ჰეშმარიტი არის და წლეულ ჰირნახული დასეტყვიათ, წრეულობით ამათთვის კოდის პური გვიპატივებია. და თუ არ დასეტყვილ იყვნენ და ამათი მოხსენებული ჰეშმარიტი არ იყოს, უბრალოთ ნუ გვაპატიებინებ. დეკემბერს **იგ**, ქორონიკონს **უოე**.

და ეგების ერთს-ორს კაცს დასეტყოდეს და სხვათ კი არა და ესენი ერთობით დ[ასეტყვას ამბობენ]. თუ მართალი იყოს, გვიპა-ტ[ივებია კოდის პ]ური.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

786. არზა ნინია ბებურიშვილისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1787 წ. 15 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2723. დედანი. ქაღალდი. 21×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მოწყალე ჯემწიფა დედუფლის ჰირი ბ ე ბ უ რ ი შ ვ ი ლ ს ნ ი ნ ი ა ს მოსცეს.

* აკლია ორი-სამი სიტყვა.

ავთანდილ მელიქისშვილი ერთ კომლს კაცს მედავება ოცდათხუთმეტის წლის ჩამოსულს.

ოქმი აეღო და მიყრიდა. უსამართლოდ არ დავანებე. თქვენი ბრძანება იყო: სამართალში უნდა გველაპარაკნა. შარშან მამაჩემი გიახლათ. ორთავე აქ გახლდათ, სამართალში არ მიჰყვა.

წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი მებოძოს: სამართლამდინ დაეხსნას ამ კაცსა. და რაც სამართალმა გვიბრძანოს, იმას დავჯერდეთ. დეკემბერს **იე,** [ქორონიკონს] **უოე.**

თავში

ქ. ავთანდილ მელიქისშვილო! მარამდინ შენ და ბებურმა ამ კაცზე სამართალში არ გაიაროთ, ამ კაცთან შენ საქმე ნურა გაქვს. სამართალში შენ და ბებურმა რომ ილაპარაკოთ, თუ სამართალში შენ დაგრჩება, მაშინ შენს კაცს ვერავინ დაგიჭერს. დეკემბერს **იე,** ქორონიკონს **უოე.**

ქ. აღდგომამდინ დააცალე. თუ სააღდგომოთ მოვიდეს და სამართალში გელაპარაკოს, ის არის: თუ არა მასუკან შენს კაცს ჯელი მოჰკიდე და წამოიყვანე.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

787. არზა შიო ჯოგინაშვილისა ცხენის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 3 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1124. დედანი. ქაღალდი. 21,5×12,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქ-იქ ნახმარია მძიმე ან წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ჯობინაშვილს იესეს ობოლს შიოს.

ფალვენისშვილის იესეს ყმამ ბროწლელმა კიკვილაშვილმა ტეტიამ ცხენი მომტაცა, იმერეთს წაიყუანა, კლდეზედ გადაჩეხა და მომიკლა; მეორე ცხენიც ჩემს დაუკითხავათ წაიყუანა და მომიკლა; მესამე ცხენიც მთხოვა, ქალაქს ჩამოიყუანა, თავისმა ბატონმა წაართო და გაყიდა. სამი ცხენი მართებს ჩემი.

თქვენის შვილის ვახტანგის ოქმიც მოუტანე. მაგრამ არას შემეპუა. ობლობითა მგრიყობს. ერთის ოქმისა და იასაულის წყალობა გვიყავით. ჩემი ცხენები გამომირთოს. და თუ სიტყუა ჰქონდეს, აქ ჩამოვიდეს და სამართალში მელაპარაკოს. იანვრის **ბ,** ქორონიკონს **უოვ.**

თავში:

ქ. ჩვენი ბძანება არის: მერმე ამ არზით ეს ჯობინაშვილი კიკვილაშვილს ასე რომ უჩივის, თუ ერთი ჭეშმარიტი სიტყვა არა ჰქონდეს რა, ახლავ გამოურთვი რასაც ედავება სამართლიანის საქმით და მოეც. და თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, სამართალში გამოატანე. მაგრამ ესეც უნდა იცოდეს, თუ სამართალში გამტყუნდება, უფრო ავათაც გარდახდება. იანვრის **გ,** ქორონიკონს **უოვ.**

ქ. ეშიკაღაბაშო თამაზ, ამაზე იასაული შენ გაგზავნე.

ბეჭედი: ქნარს ბიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

788. არზა კეტრე კაკოზასშვილისა გამოსალებლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 20 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2828. დედანი. ქაღალდი. 21,5×11,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ყორჩიშვილის ნაყმევს კაკოზასშვილს პეტრეს.

თრიალეთზედ რომ ჩვენი კაცი დამარცხდა, მაშინ იქ დავიკარგე ლეკებისაგან. ონანამ დამიხსნა, თქვენი იასაული დამაყენა. სხვა ილაჯი კი არა მქონდა რა. ისევ უკან მივყვანდი. მაღლი-სათვის ჯავახისშვილის ივანეს ქვრივმა მიყიდა და ჩემი მამული ბატონს ჩემს ყორჩისშვილს დარჩა; და მე ვინც მიყიდა იმასა ვმსახურებ. ერთი უცოლშვილო კაცი გახლავარ.

ახლა იასაული მოსულა და სარუსოსა მთხოვს და ხარჯსა. მოგეხსენებათ, ვისაც მამული უჭირავს, იმასა სთხოვენ; ვისაც ჩემი მამული უჭირავს, იმასა სთხოვონ. ჩემთან საქმე არა აქვსთ. ერთი კაცი გახლავარ, ვინც დამიჯსნა, ის მიმსახურებს შინა.

გევედრები, მოწყალება მოიღოთ, იასაულებმა ჩემზედ ჯელი აიღონ იანვრის **იდ,** ქორონიკონს **უოვ.**

თავში:

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო! მერე ამ კაცს ნურასა სთხოვთ, დაეხსენ. უმამულოდ გასყიდულა და უცოლშვილო ტლუ კაცია, ამისი ხარჯის და მორიგეში გამოყვანა არ იქნება. ამისი მაგიერი ხარჯი ვისაც ამისი მამული დარჩომია, იმას უნდა გამოერთოს. იანვრის **კ,** ქორონიკონს **უოვ.**

ქ. იმ მამულში უნდა მისცეს ხარჯი.

ბეჭედი: ქნარა მიცემს, დავით მიჯმობა ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

789. არზა დავით გერმანოზიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 24 იანვარი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 13. საბუთი № 79. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[64] ღმერთმან ბედნიარის ბატონიშვილის ვახტანგის ჰირი მოსცეს თქვენს მონას დავით გერმანოზიშვილს.

მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს დიდად მოწყალეს: ჩვენი ერთი კომლი[1] კაცი მამის ჩვენისაგან და ჩვენგანაც მიბარებული ჰყავს თამაზას ზანდუკელს ავის დროს მიზეზით. და ამ ძოწყალებას გევედრებით, ერთი ოქმის წყალობა დამრთოთ[2], როგორც კვლავ უმსახურნია, ისრევე ამავ თამაზამ გვმსახუროს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. იანვრის **კბ,** ქორონიკონს **უოვ.**

თავში

ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებ ზანდუკელო თამაზავ! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, თუ ამისი მოხსენებული მართალი იყოს, როგორც ამის ყმას კვლავ ემსახუროს, ახლა ამასაც უნდა ამსახუროს. იანვრის **კდ,** ქორონიკონს **უოვ.**

790. არზა იოსებ მაღალაშვილისა ყმის თაობაზე ანტონ I-ის ოქმით

1788 წ. 28 იანვარი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 125. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან უწმინდესის პატრიარხის მეფის ძის ჰირი მოსცეს თქვენს მონას მაღალაშვილს იოსებს.

მერე ამას მოვახსენებ ჩვენს კელმწიფეს. თქვენი წყალობა ერთი კომლი კაცი მყავს ფაშაანში გოგნიაშვილი--ორი ძმანი--წესიერა და თევდორე.

გევედრები ჩემო კელმწიფევ, ერთი ოქმის წყალობა მიყავით ფაშაანის მოურავს თარხანზედ, რომ რომელიც ბატონყმობის რიგი იყოს, ისრე მემსახუროს. ღმერთი გადღეგრძელებს.

იანვრის **იბ,** წელსა **ჩლპზ.**

[1] კობლი. [2] დაგმრთოთ.

თავში

ბატონო თარხანო ლუარსაბ! ეს იოსებ მაღალაშვილი ამ არზით რომ ასე ჩივის, ან თავისი კაცი აუყარე გოგნიაშვილები, და ან როგორც ბატონყმობის რიგი იყოს, ისე ამსახურე. იანვრის **იზ,** წელსა **ჩლპზ.**

ხელრთვა: კათალიკოზი.

791. არზა ღვთისავარაკი ყმობის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1788 წ. 16 თებერვალი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1999. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ძის ჰირი მოსცეს პატარძეულს ხიზნათ მოსახლესა ღვთისავარსა.

მერე ამას მოვახსენებთ. მე ერთი უბატონო კაცი ვარ, რომ ჩემი მოდავე[1] არავინ არის. ერთი შვილი მყავს. ის ავათ გამიხდა. მეც აღთქმა დაუდე ღმერთსა და წმინდის დავითის საფლავს შევეხვეწე: შვილი მამირჩინე და მეცა და ჩემს შვილსაცა შენს მონასტერს შევწირავ-მეთქი. ინება ღმერთმან და იმ წმინდის დავითგარეჯის მადლმა შვილი მომირჩინა. ჩემი თავიცა და შვილიც იმ მონასტრისათვის შემიწირავს.

თქვენგანაც წყალობას ვითხოვ: ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ მონასტრ[ი]სა ვიყო. და თუ მოდავე ვინმე გამოჩნდეს, თქვენთან სამართალში მელაპარაკოს. მე ხომ მოდავე არავინ მყავს, მაგრამ მე კიდევ ეს მომიხსენებია. ფებერ[ვლი]ს **იდ,** ქორონიკონს **უოვ.**

თავში:

ქ. უფალო წინამძღვარო თომავ! მერე ამ არზით ამ არზის პატრონს ეს ასე რომ მოუხსენებია და თავისი თავი წმინდის მონასტრისათვის შეუწირავს, ეს კაცი შენ გებარებოდეს, უბრალოთა და უსამართლოთა ნურავის შეაწუხებინებ. თუ ამასთან საბატონყმოთ სიტყვა ქონდეს ვისმე, მოვიდეს ჩვენთანა, მოგვახსენოს და სამართალს უზამთ, ასე იცოდეს. ფებრ[ვლი]ს **ივ,** ქორონიკონს **უოვ.**

გიორგი

[1] მომდავე.

792. არზა თეიმურაზ ჯავახიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 29 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10179. დედანი. ქაღალდი. 19,5×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს ჯავახიშვილს თეიმურაზს.

ჩვენ ძმებში სალაპარაკო გვაქვს. ამას წინათ არზა მოგართვით, მანუჩარ ლაშქარნივისზედ ოქმი გვიბოძეთ: შენ უნდა წახვიდეო, ორი თავადისშვილი, ამათ მონდომებული, მიასხიო და ესენი ერთმანერთს მოაშორეო. ეს ორი წელიწადია ვეხვეწები ჩემს ძმას ეახუშტის და სამართალში არ მოგვდევს.

გევედრებით: ერთი ასეთი ბეჭითი იასაული გვიბოძეთ, როგორც თქვენი ბძანება არის, მანუჩარ წამოიყუანოს, ერთი თავადისშვილი იმან მოიყუანოს, ერთს მე მივიყვან და ერთმანერთი სამართლიანად დაგვაშოროს. თუ არა, იასაულმა ან აქ, ან თქვენთან გვალაპარაკოს და ან თქვენს შვილებთან ან მდივანბეგებთან, მშვიდობიანად ერთმანერთს მოვრჩეთ, სისხლი არ მოგვიხდეს. ღმერთი გაგიმარჯვებს. დეკემბერს **ბ**, ქორონიკონს **უოე**.

ამას გევედრებით, იასაულს ერთი რამ ვადა დაუდევით, რომ იმ ვადაზედ ჩვენი საქმე გაურიგებელი არ გაუშოს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო ლუარსაბ თარხნისშვილო. მერე ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია ჩვენთვის, უნდა ერთი თავადისშვილი, რომელიც თეიმურაზმა მოინდომოს, ის დაუსო სამართალში და ერთი თავადისშვილი, რომელიც ვახუშტიმ მოინდომოს, ის უნდა დაუსო და ამ ორთ ღმრთის წინაშე ამათ სამართლიანის საქმი[თ] ერთმანერთი მოაშოროს. და თუ მანდ ვერ მორიგდნენ, აქ მდივანბეგების სამართალში უნდა ჩამოასხა ორნივ და აქ გაშველდნენ. ფებერვლის **კთ**, ქორონიკონს **უოვ**.

ქ. მზეჭაბუკმაც უნდა ილაპარაკოს სამართალში.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძღდ კახეთის მეფედ ცხებულა, ერეკლე.

793. არზა თამაზა ამირაღაშვილისა დუქნის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1788 წ. 11 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd 161. დედანი. ქაღალდი. 21,5×11 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ერთი ან ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერ[ი]ს ხემწიფე დედოფალის ჭირი მოსცეს ამირაღაშვილს თამაზასა. ჩემს მამა-პაპისაგან ნასყიდი დუქანი ხეჩუაშვილს ტერ-ყაზარას უჭირავს და სჭამს ეს ექვსი წელიწადია.

წყალობას ვითხოვ ერთი ოქმისასა ოთარ ამილახორზედა, სამღვდელო და საერო შეჰყაროს და გვალაპარაკოს. თუ ჩემი სიგლის გასამტყუნებელი წიგნი ჰქონდეს, ხომ უჭირავს და ჰქონდეს. თუ არადა, ჩემი დუქანიც დამნებდეს და რაც ხანი ჩემი დუქანი ეჭამოს ისიცა. მარტის **ც**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

ქ. ბატონო ამილახვარო ოთარ! ამ არზით თამაზა ამირაღაშვილს ასე რომ მოუხსენებია, როგორც უთხოვნია, გორელნი საღმთო კაცნი და მოჰთაბარნი საერთო კაცნი დაუსხი; და რომელსაც დუქანზედ ეს ჩივის, იმ დუქნის საქმე კარგად ზედმიწევნით გამოიძიონ, და ჭეშმარიტებით სამართალი მისცენ და გადაუწყვიტონ, და ნულარ აჩიველებენ. მარტის **იგ**, ქორონიკონს **უოვ**.

და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

794. არზა შიო გეგიაშვილისა გამოსალების თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

1788 წ. 11 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10545. დედანი. ქაღალდი. 17×10,3 სმ. მსხვრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის იულონის ჭირი მოსცეს ტატიშვილ ირთამის ყმას ბეგიაშვილს შიოს.

მერე ამას მოვახსენებ ჩემს ნოწყალეს: ერთი შვილი მყვანდა, ოსებმა მამიკლეს, მე დავბრმავდი. სამი ობოლი შესანახავი დამრჩა. ხარჯში ძალას მატანებენ. მე ასე ღმერთი გამიწყრა, უსინათლო შევიქენ, ობლებიც ოხრათ დამრჩა, აღარც სათხოვარიდამ მეშვებიან.

ღმერთი გაგიმარჯვებს, მანამ ობლები დ[ა]იზდებოდნენ, ხარჯიდამ ამიშვან. როდესაც ობლები გ[ა]იზარდოს, ხარჯი იმათ აძლიონ. მარტის **ც**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებთ: ამ არზის პატრონი ჩვენა ვნახეთ, უძლური და შეუძლებელი არის და არცავინ შინ ვინმე ჰყავს გამრჯელი და ამას სანამდინ ობლები დაეზრდებოდეს, ნურას ხარჯსა და გამოსაღებში ნუ გარევთ. მარტის **იბ**, ქორონიკონს **უოვ**.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

795. არზა იასე ბარათაშვილის ოგლეგისა ღალის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

1788 წ. 18 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 26. საბუთი № 35. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[84 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის იულონის ჭირი მოსცეს იასე მდივნის ობლებს.

მერე ამას მოგახსენებთ[1], ჩვენო ხელმწიფევ, ხომ მოგეხსენებათ ბატონმა დიღომს ოციოდ დღის მიწა გვიბოძა. მანამდისინ ბატონი დიღომს გიბოძებდათ, ვინცავინ იმ ჩვენს მიწებს მოხნამდნენ, ღალას ვართმევდით და ახლა რომ თქვენ გაქვსთ, უთქვენოთ ვერავისთვის გამოგვირთმევია.

ამ წყალობას ვითხოვთ, რომ ერთი ოქმი გვებოძოს, რომ ვინცავინ ის მიწები მოხნან, ღალა მოგვცენ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. და თუ არადა, ნება თქვენი აღსრულდეს. მარტის **ივ**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

[84] ბატონიშვილი იულონ გიბძანებთ. მერმე ამ არზით რომ ასე მოუხსენებიათ, ვინცავინ ამათს მიწას მოხნამდეთ, ამას უკლებლივ თავის ღალას მოსცემდეთ. და თუ ვისმე ამაში პიტყვა ჰქონდესთ, მოდით და ჩვენ მოგვახსენეთ. მარტის **ით**, ქორონიკონს **უოვ**. [ ]

[1] მოვახსენებთ.

796. არზა დათუნა ოთარაშვილისა ოქმის გოჩაებაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1788 წ. 29 მარტი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2001. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს ოთარაშვილს დათუნას.

ჩვენ პირველად ჯავახეთიდამ გახლავართ და მე ქალაქს ვარ დაბადებული. სიღარიბემ რო[მ] შემაწუხა, მიველ პატარძეულს და ხიზნათ ვდგევარ. არც მამული მაქვს და არც დედული.

ჩემმა ძმამ თავის თავი წმიდის დავითგარეჯის მონასტერს შესწირა. და მეც ჩემი თავი იმ მონასტრისათვის შემიწირავს. ჩემთან სადავოთ და სალაპარაკოთ საქმე არავის არა აქუს.

მაგრამ ამ წყალობას ვითხოვ: ვინიცობა არის, თუ უბრალოთ მოდავეთ გამოგვიჩნდეს ვინმე, ოქმი მებოძოს, რომ თქვენს სამართალში გველაპარაკოს. ღმერთი გადღეგრძელებს და იმ წმიდის მონასტრის მადლი იყოს შემწე თქვენი. მარტის **კდ**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

ქ. ბატონიშვილი გიორგი გიბძანებთ ამ არზის პატრონს. მერე ამ არზით ეს ასე რომ მოგეხსენებია და შენი თავი წმინდის დავითგარეჯის მონასტრისათვის შეგიწირავს, ჩვენც ნება მოგვეცია იმისი შეწირვისა. და თუ ვისმე შენთან საბატონყმოთ სიტყვა ქონდეს[1], ჩვენ მოგვახსენოს და სამართალს უზამთ. მარტის **კთ**, ქორონიკონს **უოვ**. [გიორგი]

797. არზა თეიმურაზ ჯავახიშვილისა ჯვის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით

1788 წ. 18 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 611. დედანი. ქაღალდი. 16,5×12,5 სმ. მხედრული. ტექსტი ალაგ-ალაგ წარეცხილია. განკვეთილობის ნიშნად აქაიქ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ჯავახიშვილს თეიმურაზს.

[1] + ვისმე.

ბატონს მსაჯულთ ამას მოვახსენებ: ჩემს სიდედრს სიმონ მღუდლის თეთრი ემართა და სვიმონ რომ კუდებოდა, ჩემმა სიდედრმა მითხრა, მიდი, შეეხვეწე სარგებელი მაპატიოსო. მიველ, შევეხვეწე სარგებლის პატიება, მითხრა — შენ ჩაბძანდიო და მაგ საქმეს მე გავარიგებო. ანდერძი დაეწერა: ამის ფულის სარგებელით ერთი ტყვე დაიხსენითო.

მე ერთი ნასყიდი კაცი მყუანდა, ის კაცი დაიკარგა, შვიდ თუმნად თავი დაეხსნა, მოვიდა, გვითხრა: ეს შვიდი თუმანი ვალი [მას] მიეცითო. ორი თუმანი ჩემმა სახლობამ მისცა, მეც გან[ძი?] გაუგზავნე ჩემს მაგიერად, კარგა თეთრი ვაშოუნინე. და სვიმონ მღუდელს სარგებლით ტყვის დახსნა რომ ეთქვა, მივიყუანე ის კაცი ბეუან ჯღერიაშვილთან, სარგებლით ტყვის დახსნა რომ უბძანებია, ტყვე ეს არის-მეთქი, მივიყვანეთ სვიმონის საფლავზედ და შენდობა ვათქმეინეთ და მერე ჩემმა სიდედრმაც იმ კაცს ორი თუმანი აჩუქა.

ახლა მესმის, რომ იმ [დროს?] ბეჟან ჯღერიაშვილს იმ კაცისთვის წიგნი მიუცია და უნდა, რომ ჟამზედ იმ წიგნით ჩემი ყმობიდამ გავიდეს.

ერთი ოქმი გვიბოძეთ, თუ სიტყვა აქვს, სამართალში მელაპარაკოს. და თუ სამართალში არ მომყვება, თუ რამ წიგნი აქვს, ბათილი იყოს და ვერც ყმობიდამ წამივიდეს. აპრილს **იგ**, ქორონიკონა **უოვ**.

თავში

ქ. საქართველოს მსაჯულთშეკრებილება მოგიწერთ ხუთასისთაო თარხნისშვილო ლუარსაბ. თეიმურაზ ასე რომ ჩივის, ოუ მაგ გლეხს კაცს ან წერილი აქვს ვისგანმე მიცემული, რომ იმ წერილით სადაოს უპირებდეს ამ თეიმურაზს და ან სხვა საბუთი აქვს რამ, ახლავ სამართალში გამოგზავნე, ედაოს და სამართალი მიეცემა.

და თუ ახლა სამართალში არ ჩამოვა, ასე იცოდეს, რომ მერე უეღარას ედავება; და თუ რომლისგანმე მიცემული წერილი აქვს, ბათილი იქნება. თუ ჩივილი უნდა, ამ ოცს დღეზე უნდა სამართალში ჩამოვიდეს და ელაპარაკოს. და თუ ამ ოც დღეზე არ ჩამოვა, ასე იცოდეს, მერე ველარ იდავებს. მაგრამ ეს წიგნი უნდა აჩვენოს მაგ გლეხკაცს. თუ ჩივილი უნდა ჩამოვა; და თუ ჩივილი არ უნდა, არ ჩამოვა. თუ არ აჩვენე, არ იქნება და ჯელი არ მოაწერინე. რომ ეს ოქმი ვნახე. აპრილის **იზ**, ქორონიკონს **უოვ**.

სამი ბეჭედი:

1. ღთად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ.
2. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვეედრებ ვიქმნა მარჯულად ქაიხოსრო.
3. იწამეთ ოდეს სახიერისთვის, ძალი გამოჩნდა დასჯად მტერისთვის.

ხელრთვა: სოლომონ.

798. არზა გლახა თარხნიშვილისა ყმის თამაზაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 22 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 23. საბუთი № 111. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[112] ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჭირი მოსცეს მათს მიწა ფერხთა მტვერს თარხნიშვილს გლახას.

მერე ამას მოვახსენებ მისს სიმაღლეს. მე იმერეთს გახლდი სამსახურზედ. რომელიც პირველი გლეხიკაცი მყვანდა, ორნი ძმანი ცოლ-შვილით აყრილიყვნენ და მეტეხელ კაცთან ჩასულიყვნენ. ორი დღე იქ შეენახათ და მესამეს დღეს ტივი შეეკრათ და იმაზე შეესვათ. ამ დროს ჩემი ბიძაშვილი ბეციას კაცი მისწრებოდა — ეგ კაცი აყრილა, ნუ მიგყავსო. და იმათ არაფერი პასუხი მიეცათ. კასპის ბოლოს გაეყვანათ და გაეშვათ.

ჩემო კემწიფე! რათ უნდა ჩემი მეზობელი ასე შემამდგეს და კომლეული კაცი მომპაროს. მოგახსენებენ, რომ ოელავს ჩასულიყოს. ამ წყალობას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი მებოძოს, რომ ის კაცები ისევ მოვიყვანო, თქვენი სამსახურიც აღასრულონ და თავის მეზობლებსაც შეეფარნენ, ჩემო კემწიფევ. აპრილის **კბ**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

[111 V] ჩვენი ბძანება არის ციციშვილო ზაზავ! მერმე შენ უნდა წახვიდე და ამ არზით ეს გლახა ასე რომ ჩივის, თუ ეს მოხსენება მართალია, ის ამისი კაცი საცა მისულიყოს, ახლავ აუყარე და ამას მოაბარე. აპრილის **კბ**, ქორონიკონს **უოვ**.

ჰალბათ, აუყრელობა არ იქნება, ახლავ უნდა აუყარო და მოსცე.

799. არზა მარიამისა გამოსალეგის თაოგაზე ოთარ ამილახვრის ოქმით

1788 წ. 30 აპრილი

ცსსა. ფ. 1448. საბ № 5259. დედანი. ქაღალდი. 21,3×16,4 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალე ბატონი ამილახვარი [ოთარის] ჭირი მოსცეს ატოცის წმინდის გიორგის ყმის ქ[ვ]რიესა დაობოლს მარიამს.

მერმეთ ჩვენი მოახსენება ეს არის. ცათა სწორე ხემწიფის ოქმები მაქ[ვ]ს წყალობისა და თქვენგანაც მოწყალება დამემართოს, თქვენი ძე რევაზის სადღეგრძელოთ. ერთი, რომელიც დამრჩნენ და შემნახავი უფროსი შვილი მყავდა, ის უფროსი შვილი გახანს გახლდათ თავათ და სხეას ვალით და ვახჩით. ვახანი რომ წახდა, ჩემი დამარჩენი შვილი[1] იქ ცხენში თქვენის ჭირის სანაც[ვ]ლო შეიქნა. და მე ასე თვალი დამიდგა, ორი წ[ვ]რილი თავს გადუვალი ობლები დამრჩნენ და ცხინვალელები და ცხინვალის მოხელე[ე]ბი ამ საცოდავს ობლებს ხარჯსა და მდევარში მირევს.

და თქვენათ გასამარჯვებლათ და თქვენი ერთი ძე რევაზის სადღეგრძელოთ, ერთი ოქმის და წყალობის იმედი დამემართოს, რომ ეს ობლები ხარჯსა და მდევარში აღარ გამირიონ და არსად გადამიცვივდნენ, რომ დაუმარხავი არ დავრჩე და სანამ ცოცხალი გახლდე, თქვენი და თქვენის ძის მლოცველი ვიყო, თქვენათ გასამარჯვებლათ. აღიწერა აპრილის გასულს **კთ**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

ქ. ოთარ ამილახვარის კეთილად სახსოვარო, ვინცავინ ჩვენი მოასილნი მიხვიდოდეთ მდევრის დასაძახებლათ, ამ არზის პატრონს დაეხსენით ერთი-ორი წელიწადი, მანამ ჯარში გამოსვლა შეიძლებოდეს. როდესაც ჯარში გამოსვლას შეიძლებს, მერე თითონ გამოვა. აპრილის **ლ**, ქორონიკონს **უოვ**.

როდესაც ღმერთი შეაძლებინებს, დაკლება აღარ იქნება.

ბეჭედი: მონა ღვთისა ამილახვარი ოთარ.

[1] ჩემი დამარჩენი შვილი] ჩემმა დამარჩენმა შვილმა.

800. არზა იოაკიმისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 4 მაისი

ცსსა. ფონდი 450. დავთარი № 23. საბუთი № 75. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[78 V] ღმერთმან ჩემის მოწყალის ბედნიერის ხემწიფის დედოფლის ჭირი მოსცეს მოზდოგის ეკლესიის მღვდლის შვილს იოაკიმს.

მერე ამას მოგახსენებთ: მამაჩემმა[1] ერთი ბიჭი დაიხსნა ჩერქეზებისაგან და რამდენიმე წელიწადი ჩვენთან გახლდათ. წინია გაბაშვილი რომ ჩერქეზში გახლდათ და მოსდოგს გიახლათ, ერთი ბიჭი ახლდა თანა. იმ წინიას ბიჭმა ამ ჩემ დახსნილს კაცს ძმობა გამოუცხადა, რომ შენი ძმა ვარო, ამანაც წამოსვლა მოინდომა და წიგნი მომცა, რომ მაგის ხელითწერილი მე მიჭირავს, პირობა დამიდევა: ხომ გადავალ საქართველოში, ჩემს ნათესავებს ვნახაო, თუ იქ დგომა მომიხდ[ა]ო, შენი თეთრის პასუხი უნდა მაგცე, რაც ჩემზე დაგიხარჯავსო; თუ რომ იქ ვერ დავდეგ, ისევ შენთან გადმოვალო და შენ გემსახურებიო.

რადგანც ფიცით ეს წიგნი მომცა, ექვსი თუმანიც გზის ხარჯათ მიეცა და გამოვისტუმრე. აქ რომ გხლებიათ, გაბაშვილებს [79] ყმათ დაუჭერიათ. თქვენთვისაც არზი მ[ო]ურთმევია და თქვენი ყმობა მონდომებია და თქვენც ოქმი გებოძებინათ. მერე კიდევ ზაზა გაბაშვილს ეჩივლა და იმისთვის ყმათ მიგეცათ.

მე ამას ვითხოვ თქვენის მოწყალებისაგან, რომ ერთი ოქმი მიბოძოთ: ან ჩემი ნასყიდი კაცი დამანებოს და ან რაც დამიხარჯავს, ჩემის თეთრის პასუხი გამცეს. როდესაც კაცი მებოძება, მე ხომ კომლეურის კაცის გადაყვანა არ შემიძლიან, იქნება რომ ის კაცი თქვენს უმაღლესობას [მიებაროს?]. გევედრები, რომ ამის სამართალი მაღირსოთ.

თავში

გაბაშვილო ზაზავ! ამ არზის პატრონი რომ ასე გიჩივის, თუ გასამტყუნებელი და ჭეშმარიტი სიტყვა არა გქონდეს რა, უცხო ქვეყნის კაცია, ნუ შეაწუხებ, თავის ნასყიდი კაცი დაანებე, როგორც უნდა მოიხმაროს. თუ ჭეშმარიტი სიტყვა გქონდეს რამე, წამოდექ და სამართალში ელაპარაკე. მაისის **დ**, ქორონიკონს **უოვ**.

[1] მამაჩემი.

801. არზა ავალიშვილებისა ყმის მიბარების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1788 წ. 12 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10662. დედანი. ქაღალდი. 20×13,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ვერტიკალური ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის დედოფლის ჭირი ავალიშვილს როსტომს და ანტონის მოსცეს.

ჩემო ჯელმწიფევ, მოგეხსენება როგორ ჩვენის მალვით ჩვენს სახლიკაცს თავდახსნილობის წიგნი მიეცა ჩვენი კაცისათვის. თქვენმა სიმაღლემ გასინჯა ის წიგნი როგორც მიეცა. უწინაც ლუარსაბ ონანაშვილს ებარა ის კაცი და იმისი ჯელწერილიცა გვაქვს.

ახლა ჩვენო ჯელმწიფევ, ამ წყალობას ვითხოვთ, რომ ერთი ოქმი გვებოძოს თქვენგან ლუარსაბ ონანაშვილზედ, რომ იმას ებარებოდეს, ვინემდინ ჩვენ კაცს მოვიკითხავდეთ. ღმერთი გადიგრძელებსთ, მოხსენებისთვის ნუ გაგვიწყრებით. მაისის **ია,** ქორონიკონს **უოვ.**

თავში

ქ. ლუარსაბ ონანაშვილო! როგორც ამ არზით ამ არზის პატრონებს უთხოვნიათ, ყამამდინ ამათი კაცი იმედა და პეტრე შენ გებარებოდეს. და ყამზედ როდესაც თავიანთი ყმა მოიკითხონ, ამათ უნდა მოაბარო. მაისის **იბ,** ქორონიკონს **უოვ.**

ბქდი: დედოფალი დარეჯან.

802. არზა ლევან აბაზაძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 16 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 462. დედანი. ქაღალდი. 33×13,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია მძიმე ან წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს ფეხთა მიწაზე ტვერს აბაზაძე ლევანს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ: ჩვენ და ჩვენი განაყოფი ყმასა და მამულზედ რომ ვდაობდით, ღმრთითა და თქვენის სამართლით ჩვენ დაგვრჩა და განაჩენი გვებოძა; თქვენგან გვებძანა: ფიცი აღარ გეჭირებათო, მაგრამ სიმართლისათვის შეჰფიცეთო. იასაულმა წაგვიყვანა, ხუთს მამა-შვილს უნდა დაგვეფიცნა, მაგრამ პირი რომ ემტყუვნებოდა, ვერ დაგვაფიცა, იასაულმა ჯელი მოგვიწერა — ამათ დარჩაო და თქვენც დაგვიმტკიცეთ, ეს ათი წელიწადია მას აქეთ.

ახლა მის უწმინდესობას კათალიკოზს მოწმობის წიგნი ებოძებინა: სურამს რომ ვიყავ, მაშინ ერთმანერთში ლაპარაკი არა იყო რაო. ჩემო ჯელმწიფევ, ჩვენს ოჯახში არავინ გხლებიათ, ჩვენ და თავისი მამული სულ ჩვენს განაყოფსა სჭერია. ახლა, ჩემო ხემწიფევ, აქ არც მამაჩემი გახლავსთ, არც ბიძაჩემი და არც ჩემი უფროსი ძმა. მე ხომ აქ გახლავარ. ეს უსამართლო მგონია, რომ ერთი მხარე ჩიოდეს და მეორე მხარე არ იყოს და ისე განაჩენი ეძლეოდეს. მე გავიგონე, ოქმი და იასაული გიბოძებიათ: ჯელი აუმართე და ამას მოაბარეო, მე არ დავიჯერე, ჩემი ხემწიფე მოუკითხავათ და ულაპარაკოთ, უსამართლოთ მამულს არ წამართმევს-მეთქი.

ჩემო ჯემწიფევ, თქვენი მაჭა-პაპათ ბოძებული წიგნები აქ გახლავსთ. თუ თქვენი ნება იყოს, მოიხსენეთ და სამართალი მიბოძეთ. მე როდესაც მითხოვნია, თქვენგან ჩემი სამკვიდრო მამული მბოძებია, იმას როდესაც უთხოვნია, ჩემი მამული უშოვნია. ქართველ ბატონისაგან მაშინაც მე ვყოფილვარ მამულწართმეული და წამხდარი და ახლაც თუ ულაპარაკოთ წამერთმევა, ნება და ბძანება თქვენის სიმაღლისა არის. თუ საბუთები არა მქონდეს, ხმას არ ამოვიღებდი. კათალიკოზის მოწმობის პასუხი ჩვენცა გვაქვს მოსახსენებელი, თუ მოიხსენებთ.

ჩემო ჯემწიფევ, უსამართლოთ და ულაპარაკოდ იმ მამულზედ ჯელი ნუ აგვემართება. თუ საბუთები ვერ მოგართვათ, რომ ტყუილად გვედაებოდეს, გარდაგვახდევინეთ.

წყალობას ვითხოვ: მანამ მე და ეგ ჩემი განაყოფი სამართალში ვილაპარაკებდეთ, თქვენი ოქმი და იასაული დააყენოთ. და სამართალში რომელსაც ერგოს, ღმერთმან მოახმაროს თქვენს ერთგულობაში. ერთი ოქმი მიბოძეთ ამავ არზაზედ, რომ სამართლამდინ ჩემთან ჯელი არა ჰქონდეს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. მაისის **ივ,** ქორონიკონს **უოვ***.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო იულონ. აქ არზით ეს აბაზაძე ლევან რომ ასე ჩივის, ივანე აბაზაძი [ს]

* აქ უზის ერეკლეს იგივე ბეჭედი, რომელიც ოქმის ბოლოშია.

შვილმა დავითმა ოქმი წამოიღო, რომ ამათთვის მამულზე ჯელი უნდა აემართათ, ჩვენ ამ ლეკანმა თავისი წიგნები მოგვიტანა და გაგვაშინჯა და ეგ ჩვენი ოქმი, რომელიც დავით აბაზაძე ივანეს შვილმა წამოიღო ჯელის ასამართავად, ეგ ოქმი ისევ დაგვიყენებია; და ეგ სადაო მამული სამართლამდინ ისევ სოლომონსა, დავითსა და იმის ძმას უნდა ეჭიროს. და სამართალში როდესაც ვალაპარაკებთ, მაშინ ვისაც სამართლით დარჩეს, იმან დაიჭიროს. მაისის **ივ**, ქორონიკონს **უოვ**.

ბეჭედი: კნარს მიცემს, დავით ნიქომბს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

803. არზა პაატა მამაცაშვილისა ჯოის სამსახურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 20 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 46. საბუთი № 102. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[70 V] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი პა[ა]ტა მამაცაშვილს მოსცეს.

ერთმა ჩემ[მ]ა კაცმა მიჩივლა და დიანბეგეპზე სამართალი ბძანე. მდივანბეგებმა მამცეს და თითონ იმ კაცებმაც წიგნი მამცა: თქვენს შემცოდობაზე რომ რიგიანათ გემსახურო და აღარა გიჩივლოო.

წყალობას ვითხოვ, ერთი მაგარი ოქმი და იასაული [მომცეთ]. ერთი დაშავებული კაც[ი] გახლავარ და არას მეპუება, ავათაც მოეპყრას და შეძლებისაებრ რიგიანათაც მამსახუროს. ღმერთი გაგიმარჯვებს. თუ არ დაიტუქსა, მე ის არას შემეპუება. ღმერთი შენს ხემწიფობას აღამაღლებს; ნიადაგ შენი წყენა არ შემიძლიან, ერთი დაშავებული კაცი გახლავარ. მაისის **წ**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

[70] ჩვენი ბძანება არის, ამ არზის პატრონის ყმა რომელიცა ხარ. მერმე ეს შენი ბატონი ასრე რომ გიჩივის, ასრე უნდა იცოდე: თუ ამისი ან დებულობა რომ გაქვს და ან რისაც შემძლებელი ხარ, შენის შეძლებით ამას არ მსახურებ და კიდევ აჩივლებ, იცოდე დიდათ გარდაგიხდევინებთ და კიდეც გაგახეიბრებთ. როგორც ბატონყმობის რიგია, ისრე ერთგულობით და შენის შეძლებით სამსახურით მორჩილებაში უნდა იყო და აღარ აჩივლო, თორემ თუ კიდევ შემოგვჩივლა, იცოდე ასრე გარდაგახდევინებთ, როგორც გვიბძანებია. მაისის **კ**, ქორონიკონს **უოვ**.

დავითის შვილო დავით, ესენი ჩვენს შვილთან შენ მი[ი]ყვანე. ყაცმა თუ კიდევ უარშიობა რამ იხმაროს და თავის შეძლებით არა მსახუროს, შენ ავათ უნდა მოეპყრა და ისრე ამსახურო.

მაგრამ ძალა და უსამართლობა არც ამისმა ბატონმა უნდა მოიდომოს, თავის შეძლებით უნდა ამსახურო. თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მოგვახსენოს. [redacted]

შენ უნდა მიხვიდე, როგორც ამ ოქმით გვიბძანებია, თავისის შეძლებით ისე ამსახურე. აგვისტოს **კგ**, ქორონიკონს **უოზ**.

ჩვენო ღვთის წყალობავ, შვილო ბატონო იულონ. შენ უნდა სამართლიანის საქმით გა[ა]რიგო. როგორც ამ ოქმში სწერია, ისე გაურიგე. აგვისტოს **კგ**, ქორონიკონს **უოზ**. [redacted]

804. არზა შედანაშვილებისა ჯოზეის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 26 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 23. საბუთი № 131. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[128 V] ღმერთმან ბედნიერის დედოფლის ჭირი შედანაშვილს ნონეს და გაგიას ძმისწულს მარდახს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ: თქვენსგან წყალობა დაგვემართა, ოქმი გვებოძა, ორი ბიჭი გვყავს, ამათ ჯარ[ი]სად მადევარში ნუ გაიყვანთო, მორიგეს გარდა ნურასფერს ნუ სთხოვეთო. ამას წინად შეწყრილი ჯარის იასაულათ ხერხეულიძე დავით გახლდათ. ჩვენმა მეზობლებმა ჩვენის ინადობით და ჯაბრითა თარხნებმა თავიანთთან[1] ჩამაგდეს, თქვენი ბძანებაც ვერ დავაჯერეთ, ასე ჯაბრში გვიდგანან[2] და იასაულს დაარბევინეს. არზი მოგართვი და ოქმი გებოძებინათ: თავიანთი ნარბევი ისევ მიეცით; არ მოგვცა. ნარბევი იასაულს აქვს. ოქმშიც გამოცხადებული იყო — როგორც პირვანდელი ბძანება აქვთ, იმას ნუ მოუშლითო, მაგრამ მინა არა გაგვეწყო რა.

[1] თავიანათან. [2] გვიდნანან.

[129] ახლა ამ წყალობას გვეუდრებით: ერთი ოქმი გვებოძოს, ნარბევი ისევ მოგვეცეს და არც თქვენი წყალობა მოგვეშალოს. კაცები არსად გაგვეკარგნენ. და ნება თქვენის უმაღლესობის აღსრულდეს. მაისის **კბ**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

დედოფალი დარეჯან გიბძანებთ დავით ხერხეულიძევ! შერე ამ არზის პატრონები ამ არზით ასე რომ ჩივიან, როგორც ან პირვანდელს ოქმში ეწეროს, ისიც გასინჯე. და ამასაცა გწერთ, რომ როგორც იმ ოქმში ეწეროს, ისე აღესრულე. და რაც ნარბევი წაერთმიოს ამათის კაცებისათვის, ისიც უკანვე მოეც და ამათს მეზობლებსაც ასე გამოუცხადე, როგორც ჩვენი პირვანდელი ოქმი ჰქონდესთ, იმას ნურავინ მოუშლის. მაისის **კვ**, ქორონიკონს **უოვ**.

805. არზა თევდორე ხახანაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 3 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 2970. დედანი. ქაღალდი. 19×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ერთაწმიდელს წმიდის ევსტათის ყმას ხახანაშვილს თევდორეს.

ამდენის თქვენის არზის მორთმევით და თქვენის შეწუხებით დიდათ გვეშინიან და გვრცხვენიან; მაგრამ რა ვქნა, თარხნიშვილმა მამუკამ და იმისმა ძმამ ზურაბმა ამდენი ოქმი და გაჩენი არ შეიწყნარეს. და არაფერი გვეშველა.

ღმერთი თქვენს ჯელმწიფობას განაძლიერებს, ერთი მოწყალება და სამართალი რამ დაგვმართეთ. და თუ თქვენ ვერ მოიცლიდეთ, ბატონისშვილს გიორგის უბძანეთ ბეჯითის ოქმით, თარხანიც დაისწრას, აფიცოს თქვენი მზე და ჩვენი საქმე გარდასწყვიტოს, რომ თქვენ თავი აღარ გაწყინოთ და ჩვენც ამ მწუხარებას მოგვარჩინოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის **ა**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

ქ. ჩვენო ღვთის წყალობავ, შვილო ბატონო გიორგი. ამ არზის პატრონი ასე რომ ჩივის, ამათ საქმეს შენთანაც ხომ გაუგლია და

ჩვენც ამთონი ხანია რომ გვაწუხებს. ჩვენგან ოქმები და განაჩენი აქვს, მაგრამ მაშინც ამათ საქმეს დასასრული არა მიეცათ რა.

ახლა თუ ჩვენი მამაშვილობა გინდა, ის ამისი მოადიც მიაყვანინე, რაც განაჩენი და წიგნები აქვს, ისიც მიატანინე. მდივანბეგებიცა და თარხანი მინბაში გიორგიც შენთან დაისწარ, ამათი საქმე კარგათ გაჩხრიკე, წიგნებიც გაუსინჯე და ასრე გარდუწყვიტე, რომ სალაპარაკო აღარა დარჩესთ რა და ველარც ილაპარაკონ ივნისის **გ**, ქორონიკონს **უოვ**.

ბეჭედი: ენარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლეს.

806. არზა თუმანიშვილებისა ეკლესიის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1788 წ. 29 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 13080. დედანი. ქაღალდი. 34×18,3 სმ მხედრული. განკვეთილობის ნიშნად მხოლოდ ორ ადგილას ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. ღმერთმან სრულიად საქართველოს ჯელმწიფე დედოფლის ჰირი მათ მონათ ერთობით თუმანისშვილებს მოსცეს.

შერე ძველად მეპატრონეთაგან და თქვენი წყალობა გორს ეკლესია და მამულები გვქონია და გვაქვს. და ასრეთვე იქაკ გორს მემკუიდრე ქეთხუდა ყმები გვყოლია და გვყავს. გორს რომ პატარა ყოვლად წმიდის ეკლესია არის, ის ეკლესია ერთობ ჩვენ თუმანიანთი არის, რომ თუმანიანთ იმ ეკლესიისათვის კაი მამულები შეუწირავსთ, რომ დღეს იმათი შეწირულობა ჩვენს ეკლესიაზე ცხადად ჩანს. რომელსაც გორელს თავის სულის გულისათვის იმ ეკლესიის სამსახური მოუნდომებია გაკეთებით და გაახლებით, პირველად თუმანიანთ შეჰკითხვიან, იმათგან ნება აუღიათ და მერე გაუკეთებიათ. რომ ამის მტკიცე საბუთები გახლავსთ.

ახლა პატარა ტერ-საჰკამ ჩვენზედ შური იბრა, ის ეკლესია ლოცვიდამ და წირვიდამ დააყენა, ორი წელიწადი იქნება, რომ იმ ჩვენს ეკლესიაში არც უწირვინებია და არც ულოცვინებია. ჩვენის კეთილის მყოფლობით გარეთ იმისავ გალავანში ერთი ფიცრის ამბარი დადგა, იმაში ილოცავს და სწირავს. და ჩვენ ეს ვერ გაგვირჩევია, რომ თუმანისშვილებს ასეთი რა დანაშაული გვაქვს და ან ჩვენს ეკლესიას ასეთი რა მიზეზი მოსცემია, რომ წირვიდამ და ლოცვიდამ თავისთავად ჩვენი ეკლესია დააყენა.


ახლა ჩვენის შურით ახალს ეკლესიას აშენებს. ეს მოკითხული ბძანეთ, თუ რომელს სარწმუნოებაში არის რიგი და წესი, რომ შურით ეკლესია ერთი მეორესთან ისე ახლო აშენდეს. ჩვენს ეკლესი[ა]სა, ახლა რომ ეკლესიას აშენებს, იმას შუა შვიდი ადლი ალაგი უძეს. ასეა რიგი და წესი: იმისთანა ეკლესიის აშენებას ვინც გაბნიზრახავს, პირველად სამწყსოს და სამრეველოს მოუნახავს და მერე ეკლესიის აშენებას კელს მიჰყოფს. ექვსას-შვიდასი წელიწადი მეტია, რომ ის ეკლესია ჩვენია და მოდავე და მცილე არავინ გვყოლია და თავისის სამწყსოთი და სამრეველო სამკაულით შეურყეველი ყოფილა.

ახლა იმისი საწადელი და ნდომა ეს არის, რომ ის ეკლესია ყოვლის თავისის სამწყსოთი, სამრეველოთი და სამკაულით შემუსროს და დააქციოს და თავისის შურისძიებით მოგონებული ეკლესია აღაშენოს და გააპატიოსნოს.

მოგეხსენებათ, რომ ამისთანას საქმეს ქრისტიანეთ რჯულიერი კანონი არ შეიწყნარებს და არც ჩვენ შეგვიძლიან ამის მოთმენა, რომ იმთენის ხნის გაპატიოსნებული ეკლესია სამწყსოთი, სამრეველოთი, სამკაულით შემკული ქრისტიანეთ სჯულიერის კანონის წინააღმდეგობით და უსამართლოთ ჩვენი ძველთაგან სამკუიდრო ეკლესია შევამუსვრიონოთ და დავაქცევინოთ.

ამისთვის თქვენს ღმრთისმოყვარებას ჩვენს საჩივარს მოვახსენებთ და სამართლის ბოძებას ვითხოვთ. გენებებათ ორსავ წინამძღვარს — ეჩმიაძინისა და ჰახპატისას ებძანოს, სამღთო და საერო თავიანთთან შემოჰყარონ და ეს ჩვენი საჩივარი გაშინჯონ და რჯულიერის კანონით იმ ჩვენის ეკლესიისა შემუსვრა და დაქცევა ჯეროვნად დაგვანახონ. მერე ის ეკლესია შეამუსვრინონ, თორემ ამისთანას გაუკითხავათ უსამართლოს შურს დიდი შფოთი და განსაცდელი სდევს. და გვეედრებით, რომ სამართლიანის საქმით ის მეშფოთე გვამი ჩვენ და ჩვენს ეკლესიას ჩამოხსნათ. ივნისს **იგ, ქორონიკონს უოვ.**

ხელრთვა: ი ო ს ებ. Verso-ზე ბეჭედი: მონა ღთისა ი ო ს ე ბ. ხელრთვა: მ ა ნ უ ჩ ა რ,

მონა ღთისა ი ო ს ე ბ. ხ ლრთვა: მ ა ნ უ ჩ ა რ, 

თავში

ქ. მათს ყოვლად სამღუდელოებას ქალაქის წინაძძღუარს მ ა რ ტ ი რ ო ზ ვართაპეტს ჩვენ მიერ ასე ეუწყოსთ: ამ არზით ერთობით თუმანიანთ ასე რომ მოუხსენებიათ, ამათი საქმე თქვენგან გამოსაძიებელი არის. რადგან ეკლესიაზედა აქუსთ დავა და ლაპარაკი, ქალაქის ეკლესიის დეკანოზებიც თქვენთან დაისწარით და ვითარ კანონი იყოს გამოძიებისა, მოიკითხეთ, გამოიძიეთ და რომელსაც ეკლესიაზედ ლაპარაკი აქუსთ, სამართლიანის საქმითა კანონისაებრ სამართალი საჯეთ და კანონისაებრ დაადგინეთ. ივნისის კ, ქორონიკონს **უოვ.**

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

807. არზა კეტრე მოლარისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 27 ივნისი

ცსსა. ფ. 1449. საბუთი № 2299. ბირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან უმაღლესის კელმწიფის ჭირი მოსცეს თქვენის ძმის მოლარეს პ ე ტ რ ე ს.

მერმე ამას მოვახსენებ ჩემს კელმწიფეს. კ უ კ [ი] ას და ა ვ ლ ა ბ ა რ შ ი ოთხიოდ-ხუთი კვამლი კაცი გახლავან, რომ ხუნა და თესვა აქვსთ; და თუ რამ მოსავალი მოუვათ ხოლმე, იმისს ღალას მე ავიღებდი ხოლმე თქვენის ძმის ბძანებით და ქარხანაში მივაბარებდი.

ახლაც ამ მოწყალებას ვითხოვ: რადგან ეკლესიის პატრონიც თქვენ ბძანდებით და ჩვენიცა, ისევ მევე მიბძანოთ, რომ ეკლესიას ხარ დაეკარგოს. და როგორც ჩვეულება, ისევ (ა[ვ]იღო და მივაბ[ა]რო, ვისაც შემოსავალი აბარია. ივნისს **იდ, ქორონიკონს უოვ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე პეტრე მოლარეს როგორც ნეტარხსენებულის ჩვენის ძმის კათალიკოზის წიგნი აქვს ნაბოძები ამ ღალის აღებისა, ჩვენც ამისთვის გვიბძანებია, ამან აიღოს და საცა ალაგას მისაბარებელი[ა], იქ მიაბაროს. ივნისის **კზ, ქორონიკონს უოვ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

808. არზა ეგნატი თუმანიშვილისა ღალის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით

1788 წ. 1 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10382. დედანი. ორად გაკეცილი ქაღალდი. 34×20 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია მძიმე, წერტილი ან ორწერტილი.

ქ. საქართველოს შეკრებულებას მოვახსენებ მე, თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი მდივანი ე გ ნ ა ტ ი.

მერე ბიძა ჩემს პაპუას ამ თექვსმეტს წელიწადს რომ ჩემი წილი ყმა და მამული ეჭირა და ამ მამულების ღალა და ვენახების გამოსავალი აუღია; და მისის უმაღლესობას მეფეს რომ მოვახსენე და ოქმი მიბოძა თქვენზედა, რომ ჩემი წილის გამოსავლის სამართალი უნდა მიბოძოთ.

მე ამ წყალობას ვითხოვე, რომ ამაზედ მოაწეროთ, რომ ქართლში მივიტანო და ვინც იცოდეს, ან რაც მოსულიყოს წელიწადში და ან როგორც გაეყიდნოს, ღმრთის წინაშე ამაზედ მოაწეროს და თქვენს წინაშე ისე გამოცხადდეს; და სამართალი ასე მიბოძოთ. ივნისის **ლ**, ქორონიკონს **უოვ**.

კიდეზე

ქ. საქართველოჲს მსაჯულთშეკრებილება მოგიწერთ: თქუენს სარწმუნოებას გაფიცებთ და მეფის ირაკლის მზეს, რომელთაც ჭეშმარიტებით იცოდეთ პაპუას რომ მამული ეჭირა, იმას რაც გამოსავალი [ꙋ] პურიდამ, ღვინიდამ თუ სხვა ნივთებიდამ რაც შესავალი ქონდა, და ან ის შესავალი პური და ღვინო იმ ჟამად როგორ ყიდდა, და ან ამ ეგნატე მდივანს რაც მამული ეჭირა, და ან რა გამოსავალი ქონდა და წელიწადში რაერთს ან პურს იღებდა ან ღვინოს და ან სხვა გამოსავალს, ორისავე თვითეულად გარჩევით დაწერეთ და სამართალს გამოუცხადეთ. იულისს **ა**, ქორონიკონს **უოვ**.

ოთხი ბეჭედი

1. ღმრთ ცაცად გესავ ქრისტესა. მწუ მექმენ ა ბ ა შ ი ძ ე ს ა ნ ი კ ო ლ ო ზ.
2. მ ე თ ო დ ი.
3. დივანბეგი.
4. მსაჯული სანეფოთ ზედა და მდივანი მეფისა ს ო ლ ო მ ო ნ.

ქ. ღმრთის წინაშე მე, ნ ი კ ო ლ ო ზ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ღმერთს ვფიცავ, როდესაც მე და ჩემი ძმა გ ი ო რ გ ი ღალას დავსწერდით, პაპუაც დასწერდა ხოლმე. ბევრი და ცოტა არ ვიცი ღმრთის წინაშე.

ხელრთვა: ნ ი კ ო ლ ო ზ.

ქ. ღმრთის წინაშე მე, ნ[ა]ოსარი გ ი ო რ გ ი, ღმერთს ვიფიცავ, ეგნატეს წილი პარტახტი რომ მამეცა ოთხის წლობით. პირველს წელიწადს ცხრა თუნგი ტკბილი გამოვიდა. ასე მჭონდა პირობით მოცემული: რაც ოთხს წელიწადს მოსულიყო, ჩემი იყო: ავაშენე. მას აქეთ ქორონიკონს **უოგ** — ამ წელს გამოვიდა კოკა **იბ**, სულ ჩემიც და ეგნატესიცა; ქორონიკონს **უოდ** — ამ წელს გამოვიდა კოკა **იდ**, სულ ეს გამოვიდა; ქორონიკონს **უოე** — ამ წელს გამოვიდა კოკა **იე**, სულ ეს გამოვიდა.

ღმრთის წინაშე მე, ნიკოლოზ თუმანისშვილი ამ ნაოსარის გიორგის სიტყვით ვსწერ.

ქ. რ ე ვ ა ზ ა ს სიტყვით დავწერე მე, ე ვ ს ტ ა თ ი მღდელმა. ეს რევაზა პაპუას მეზ[ვ]რე იყო სამს წელიწადს: ქორონიკონს **უოგ** — ამ წელს რგებოდა მეოთხედი კოკა ათი; ქორონიკონს **უოდ** — ამ წელს რგებოდა მეოთხედი ოცდაორი კოკა; ქორონიკონს **უოე** — ამ წელს რგებოდა რვა კოკა მეოთხედი. ზეითის ვენახის მეზ[ვ]რე ვიყავ, ეს იმ ვენახიდამ მერგო მე, რევაზასა, ღმრთის წინაშე.

ქ. მე, ო თ ი ა, მეზ[ვ]რე პაპუას ქვეითი ვენახისა ქორონიკონს **უოდ** — ამ წელს მერგო მეოთხედი ოცდახუთი კოკა; ქორონიკონს **უოე** — ამ წელს მერგო მეოთხედი ექვსი კოკა; მე, ხელთუბნის მღდელი ევსტათი, ღმრთის წინაშე ოთიას სიტყვითა ვწერ.

ქ. მე, ხელთუბნელი ჯ ი კ ა რ ტ ა შ ვ ი ლ ი ს ო თ ა რ ა ს შვილი მ ო ს ი ა: მამაჩემი ოთარა ქვეითს ვენახის მეზ[ვ]რე იყო, ერთს წელიწადს გვერგო პაპუასა და ეგნატეს წილიდამა მეოთხედი ორმოცდაათი კოკა. მე, ევსტათი მღდელი, მოსიას სიტყვითა ვწერ ღმრთის წინაშე.

მე-4 გვერდზე მინაწერი: „ამაში არის სხვადასხვა მამულების წიგნები".

809. არზა ზაალ დავითიშვილისა ჟმის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 11 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hქ 433. დედანი. ქაღალდი. 21,3×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მცტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მათს მონას დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ს ზ ა ა ლ ს მოსცეს.

ჩემო ხემწიფევ, ა ბ დ უ შ ე რ ი შ ვ ი ლ ს ბ უ ჯ უ ა ს იანვარში არზი მოურთმევია — ზაალს ჩემი კაცი ყამსო; ამილახვარზე ოქმი გებძანა: ან მანდა მოარიგეო, ან ჩვენს სამართალში ორნივ გამოგზავნეო. შენი მუხანათი ვიყო, თქვენმა პურ-ეარილმა მკითხოს, თქვენის მეფობის მადლით შეჩვენებული ვიყო, თუ ამის მეტათ ის ოქმი მენახოს ან გამეგონოს, თორამ რა ჯანი მჭონდა, პასუხს არ მივცემდი.

ახლა ის ოქმი თქვენთვის მოურთმევია, პასუხი არა გამცა რაო. გწყენიათ, თქვენის შვილის ი ვ ლ ო ნ ი ს ა თ ვ ი ს იმავ ოქმზე გებძანებიათ: ან თეთრი მიაცემინეო ან კაცით. იასაულები დაგეყენა

ავათმყოფს კაცს; ან თეთრის მიცემა რით შემეძლო ან კაცისა. ათი დღე მულათი მიბოძა თქვენს მოხსენებამდინ.

ჩემო ხემწიფევ, კიკნაძეებმა ქართლი გა[ა]ოხრეს, მოგეხსენებათ, ტყვე მომტაცეს, გამიყიდეს, გამოიპარა და ჩემთან მოვიდა. იმდენი გამარჯვება გაქვს, რამდენი ტყვე გამოპარულიყოს და მოსულიყოს, მსყიდველი ვერც მოყოლოდეს, ვერც ეთხოვნოს.

მეორე ეს მოუხსენებია — დედ-მამამ მამყიდაო. ეს კაცი მანდა გხლებია, ამისი საჩივარი მოიხსენეთ, გაიკითხეთ; რაც სამართალი დაედვას, ებძანოს, გაწიოს და გადაიხადოს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამის უსამართლობას ნუ მიზამთ. მრავალი ტყვე მოდის, არავის წართმევია, ნურც მე წამერთმევა, თქვენგინ სამნივ ერთათ გვალაპარაკეთ და ისე გაგვირჩეთ. მკათათვის **გ,** ქორონიკონს **უოვ.**

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ, შვილო ბატონო იულონ. მერე ამ არზით ზაალ დავითიშვილს ასე რომ მოუხსენებია, ეს მოიკითხე და სწორე შეიტყე. თუ მართლა კიკნაძეებს მოუტაცნია და იმათ გაუყიდნიათ, ამასთან აბდუშერიშვილს საქმე არა ექნება რა. რომელსაც კიკნაძეს იმისთვის მიუყიდნია, თავისი თეთრი იმასა სთხოვოს. და თუ კიკნაძეებს არ წაუყვანიათ და ამის დედ-მამას აბდუშერიშვილისთვის მიუყიდნია, მაშინ თავისთავის სახსარის პასუხი უნდა აბდუშერიშვილს გასცეს. აღიწერა ივლისის **თ,** ქორონიკონს **უოვ.**

თუ ამ გზით შეუვიდეს პასუხი გააცემინე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

810. არზა მელვინეთხუციშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 10 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 443. დედანი. ქაღალდი. 28×13,5 სმ. მკედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჰელმწიფის ჭირი მოსცეს მელვინეთხუციშვილს თომასა და პაატას.

ქ. შარშან მარტში თქვენი წყალობა ოქმი გვებოძა და ხიდისთავის გარეშემო ორმოცდაათის დღის ბეითალმანის მიწის წყალობა დაგვემართა სამამულეთა, ჩვიდმეტ-თვრამეტის დღის მიწა მოგვეცა. და დანარჩომისა, ვიზედაც, ბძანება გვქონდა, ეს გვიპასუხეს იმ სოფლის კაცთა: ნიკოლაოზ მოლარეთხუცესი მოვიდეს და შეგისრულებთო.

მეორეთ მოგახსენეთ და კიდემ ოქმის წყალობა დაგვემართა: ნიკოლოზ მოლარეთხუცესიც დაისწარით და რაც წყალობა გვიბოძებია, უნდა შეუსრულოთო. იმ თარიღში მოლარეთხუცესი იქ არ გახლდათ და იმისი ძმა ნინია დაგვესწრა; დაგვინუსხეს და მოგვცეს. მაგრამ ჩვიდმეტ-თვრამეტის დღის მიწა არევით მოგვცეს.

ამ მოწყალებას გევედრებით: ერთი ბეჯითი ოქმი კიდევ გვებოძოს იქაურს თქვენს სახასოს დონდარაშვილზედ და ტლაშაძე იოანე ღვდელზედ. როგორც თქვენი ნაბოძები ოქმები აცხადებდეს, ისე გვებოძოს, სიმართლით მოიქცნენ და ნიკოლაოზ მოლარეთხუცესიც იქ დაგვესწრას.

ქ. რამდენის დღის ბეითალმანი მიწა იქ დარჩეს და ან საგანაყოფო, რაც ჩვენ გვებოძება იმას გარდა, ღმერთმან იმდენი თქვენი წყალობა ჩვენ მოგვცეს. იქაურს კაცთ ჩვენის კაცების მოშორება კი არ უნდათ, და თქვენი წყალობა თითო-ოროლის დღის მიწა რომ არ უნდათ, და თქვენი წყალობა თითო-ოროლის დღის მიწა რომ მოჭნან და დაიჭირონ, ის კი არ ემეტებათ; ისინიც თქვენს სამსახურში გახლავან.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის თარხნიშვილო ბეციავ, მოლარეთხუცეს ნიკოლოზ, ტლაშაძე ღვდელო იოვანე და დონდარაშვილო. მერე ამ არზის პატრონებს ასე რომ მოუხსენებიათ, რა მოხდა, რომ ჩვენი ნაბოძები მამული ვერ მიეცით.

რას წამს ეს ჩვენი ოქმი მოგვივიდესთ, მაშინვე როგორადაც ჩვენს ნაბოძებს ოქმებში ეწეროსთ, იმ გზით დაანებეთ და იმოდ[ე]ნათ შეუსრულეთ. ამათ ჩვენთან ნულარ აჩივლებთ, თორემ ჩვენი საწყენი იქნება. თიბათვის **ივ,** ქორონიკონს **უოვ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. თარხნიშვილო ბეციავ, ეს საქმე საკუთრათ შენთვის დაგვიდეია. როგორც ამ ჩვენგან ნაბოძებს ოქმში უწერია, ის ახლავ შეუსრულე და მოეც. ამას გაურიგებელს ნულარ დააგდებ. ივლისის **ი[ვ],** ქორონიკონს **უოვ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

811. არზა გელან ფალვენიშვილისა ქმის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

1788 წ. 29 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1445. დედანი. ქაღალდი. 16,6×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან უმაღლესის მეფის ძის იულონის ჰირი მოსცეს აბაშიძის გოგიას ყმას ფალვენიშვილს ბეჟანს.

მერე ჩემ ბიძაშვილს ნინიას დედიჩემის ნაზითივი ერთი გოგო და ერთი ბიჭი ჰყავს. ვთხოვ და არ მაძლევს.

ერთის იასაულის წყალობას ვითხოვ, რომ ჩემი გამომირთოს; თუ სიტყვა ჰქონდეს, სამართალში მელაპარაკოს. მკათათვის **კე**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებს მურვანიშვილო ლუარსამ! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, თუ ნინიას სიტყვა არა ჰქონდეს რა, თავისი გოგო და ბიჭი აწლავ გამოურთვი და მოეც. და თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, ჩვენს სამართალში ელაპარაკოს. [მ]კათათვის **კთ**, ქორონიკონს **უოვ**.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

812. არზა გოსტაშაბიშვილებისა წისქვილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 31 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3011. დედანი. ქაღალდი. 28,5×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს გოსტაშაბიშვილს ერასტისა და კიკოლას.

ამას მოვახსენებთ: ზაალ ყაფლანიშვილისათვის ოქმი გიბოძებიათ წისქვილზედ ხელის ამართვისა. ღოლოვნა რომ იმას უჭირავს, მე — კიკოლას ხომ განაჩენი მაქვს და მე — ერასტ[ი]ს ჩემი განაჩენი, თქვენი გახლავ სამართლითა და, იმ განაჩენის ძალით, ის ღოლოვნაც ჩვენია. იმას კი გვავიწყებს და ქოთიშს წისქვილს გვართმევს, და თავისის ცბიერობით თავსაც გაწყენს ამ ქოთიშისა და ღოლოვნის მიჯნაზედ. ექვსი მოთაბარი მოწმის მუჯალმა გვაქვს[1], რომ ის წისქვილი ქოთიშისა არის და მიჯნა წისქვილის ქვეით არის.

ღმერთი გაგიმარჯვებს, უსამართლოს ნუ გვიზამ, ერთი ოქმი გვიბოძე, ის ოქმი ისევ და[ა]ყენეთ, სამართალში გვალაპარაკეთ. თუ გაგვიმტყუნოს, იმდენი მამული სხვა კიდევ ჩვენიდამ უბოძეთ: იმისი სიმტყუნისა თქვენი ნებაა, რადგან რომ ამდენი ნავსახური მ[ი]უძღვის თქვენზედა, რომ ბოლოსაც ასე და[ა]მტკიცა. ყმათაც ვერგებით. აგვისტოს **კე**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის ეშიკაღაბაშო თამაზ! მერე ამ არზით გოსტაშაბიშვილები ასე რომ ჩივიან, ამაზედ ერთი კაცი უნდა აჩინო და ესენი და ამისი მოდავე ჩვენს სამართალში მოიყვანოს და ალაპარაკოს.

და, რომელიც ოქმი ზალ ყაფლანიშვილისათვის მიგვიცია, ის ოქმი დაგვიყენებია, მადამდისინ სამართალი გადაწყდება. როგორც სამართალი გადაწყდება, მაშინ ორნივ დასჯერდნენ. მარიამობის **ლა**, ქორონიკონს **უოვ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

813. არზა აღაიანელებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 18 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 444. დედანი. ქაღალდი. 21,2×15,3 სმ. ჰიედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს ერთობით აღაიანელებს.

მერე[2] თქვენის ბრძანებითა და ნეტარად ხსენებულის თქვენის ძმის ბრძანებითა აღაიანში მიგვეყვანეს და დაგვასახლეს. მამული სახასო გვეგონა და აზნაურშვილები გვეჭიდებიან; და ისინი გვართმევენ მამულებსა და ჩვენ კი ალარა გვრჩება რა. ამ მამულის მახსოვარნი კაცნი ერთი ტატუაშვილია მცხეთელი და მეორე ზურაბა მაჩხანელი.

ერთი ოქმისა და იასაულის წყალობა გვიყავით, რომ ამათ გაგვირჩიონ ღმრთის სახელის ხსენებით; რაც აზნაურშვილისა იყოს,

[1] ქვაქვს. [2] + თქვენ.

ის გა[ა]რჩიონ, რამდენის[1] დღისა ჰქონია და ან სახასო რაც დარჩება. თუ ეს ასე არ გაირჩა, არც მამულს გვანებებენ და არც ჩვენი ცხოვრება იქნება. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი მოწყალება მოიღვაწეთ. ენკენისთვის **იე,** ქორონიკონს **უოვ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო მცხეთის მოურაო დავით მაღალაშვილო! მერე ამ არზის პატრონებს რომ ასე მოუხსენებიათ, რადგან მისის უწმიდესობის ოქმით დასახლებულან ესენი, რომ ის ოქმი ჩვენ ვნახეთ, რომ იმ ოქმის ძალით გედეონისშვილებს ხომ სიტყვა არა აქვსთ რა, თუ სხვა წინააღმდეგი ოქმი არა უჭირავსთ.

და სხვა რომელიც აზნაურშვილები ედავებიან, ტატუაშვილი და ზურაბა მაჩხანელი — ეს ორნი მახსოვარნი უნდა მიიყვანო და ფიცით გაარჩევინო აზნაურშვილის და ამათი მამული და ისე დაანებო. სექტემბერს **იჱ,** ქორონიკონს **უოვ.**

ქ. თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

814. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

1788 წ. 11 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 451. დედანი. ქაღალდი. 21,7×11,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩემის ხემწიფის ძის ივლონის ჰირი მოსცეს დავით შვილს ზაალს.

მერმე ამას მოვახსენებ: ზარდიაშვილს ყალტათ(?) მოუხსენებია: ერთი ჩემი კაცი ქორთს არისო, არას მეპოებაო. ოქმი გიბოძებიათ; იასაულები მივიდნენ, აყარეს და ა[ა]წიოკეს, არც ბძანება გვაჩვენეს, არც გამიკითხეს, ჩემი კაცი აყარა.

ამ წყალობას ვითხოვ: ის კაცი ისევ თავის სახლში გამოვიდეს თაუსის საქონლით. ზარდიაშვილი აქ სამართალში გიახლოს, მეც აქ გახლავარ. თუ სამართალში შემამივიდეს, ერთიორათ მოგვართვა. ღმერთი გაგიმარჯვებს. ამის სამართალი მაღირსეთ. ღვინობისთვის **იჱ,** ქორონიკონს **უოვ.**

[1] რამდენის.

თავში

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებ ნახუცრიშვილო ზაალ! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, ეგ კაცი საიდამაც აგიყრია, იქავ მიიყვანე. და თავის ალაგზე დააყენე. და მასუკან ორნივ სამართალში მოიყვანე და ალაპარაკე და რომელსაც დარჩეს[1], იმას მიაბარე. ღვინობისთვის **იჱ,** ქორონიკონს **უოვ.**

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ხაკლისავან იულონ ირაკლისაგან.

815. არზა გელაქ მინგაშისა თავასუჯის თაობაზე ოთარ ამილახვარის ოქმით

1788 წ. 14 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1115. დედანი. ქაღალდი. 33×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. მარიამის დამოწმების ტექსტი ა-ნაკლულია.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ძის იულონის ჰირი მათ მიწას ბეჟან მინბაშს მოსცეს.

ბატონი გორს ბძანდებოდა. მე მესურსათე გახლდით. მიანგარიშეს, ოცდახუთი ხარვარი დამადევს. იასაული დამაყენეს შუალამისას, თეთრსა მთხოვდენ. ამილახვარი რევაზ ღამით ჩამოვიდა და მითხრა: შენი წილი სოღანლუღი[2] დამიგირავე, თეთრს მე გიშოვიო. თამასუქი დაუწერე, თეთრი უნდა მოეცა.

მერე გორელები მოვიდნენ, მითხრეს: ბატონს ჩვენი პური დაუხარჯავსო; შენ თუ ჩვენ მოგვცემ ბარათს, გამოგიტანთო. ბარათი გამომიტანეს და მე გორელებს მივეცი.

ის ჩემი თამასუქი ამილახვართან დარჩა; მას აქეთ სულ ვთხოვ და მეუბნებიან: ვიპოვით და მოგცემთო.

ამას გევედრებით, უბძანოთ: ან ჩემი თამასუქი მამცენ და ერთი ბათილამა დამიწერონ, რომ ჩემთან სადავო არა ჰქონდესთ. ოკდონბერს **იგ,** ქორონიკონს **უოვ.**

verso

ქ. ბის სიმაღლეს ბატონს ბატონიშვილს იულონს მათი უღირსი სიდედრი მარიამ, ჩემთვის ეშიკაღაბაში ებოძათ შალხაზ, გე[ე]ფიცებინათ, როგორც იცოდეთ[ო].

მე ასე ვიცი ჩე[მ]ა სულმან, ბეჟან მინბაშს და ომანს

[1] + და. [2] სონდალული.

ბატონი უწყრებოდათ სურსათის მიზეზზე. ჩემის დედ-მამის მოცემულს იარაღსაც აღარ ვზოგავდი, რომ მეტათ საქმე უჭირდათ.

მერე ადგნენ; ბატონს ამილახვარს რევაზს თავის წილი სოლანლუღის[1] თამასუქი მოართვეს. ჩვენ ამ ჟამში ქალაქს წავედით. ჩვენის სახლის რაც წიგნები იყო, სულ მამასახლის ზურაბს მივაბარეთ. ღმერთი გამიწყრა, ამილახვარი მიიცვალა. ამილახვარმან რომ ვერ გარდაწყვიტა, თითონ ომანმან და ბეჟანმა გარდაწყვიტეს. ჩემ[მ]ან სულმან, ორის შაურის ამათ ამ საქმისა არა ემაროათ[2]. თამასუქი ომანს და ბეჟანს აღარ მისცემიათ. იმ[ის] ბათილამა ეს არღს; საცა ის თამასუქი გამოჩნდეს, ამან გაბათილოს. ღვინობისთვის **კდ,** ქორონიკონს **უოვ.** მარიამ

ქ. მე, მოლარეთხუცესი დავით, ამ ბათილამის გამრიგე და მოწამე ვარ.

ბეჭედი: მოლარეთხუცესი დავით.

ქ. ეს საქმე ჭირვობის წელიწად იყო, მეფე-დედოფალიც რომ აქ ბძანდებოდენ. ამისი მოწამე არის თომა ფეშანგისშვილი.

მარცხენა კიდეზე

ქ. რომელიც ჩემის ხელწიფის შვილისათვინ ბეჟანს მოუხსენებია ამ არზით, თამასუქი უთხოვნია, თუ ის თამასუქი მქონდეს, ბათილ იყოს. ენკენისთვის **კთ,** ქორონიკონს **უოზ.**

ჩვენ, ამილახვარი ოთარ, ვამტკიცებთ ამ წიგნსა; რომ თუ ის შენგან მოცემული თამასუქი გამოჩნდეს სადმე, ბათილია, როწელსაც თამასუქზე დედაჩემი გემოწმება.

ბეჭედი: მოხა ღთისა ამილახვარი ოთარ.

816. არზა ლუარსაგ ონანაშვილისა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 14 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1412. დედანი. ქაღალდი. 20,8×13,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან მისს სიმაღლის ჯემწიფის ჭირი ონანაშვილს ლუარსაბს მოსცეს.

მე და ჩემს სახლისკაცს, საუფროსო საუმცროსოზედ ვლაპარაკობთ, და სხვა მამულებიცა გვაქვს გაუყოფარი და გაურჩეველი.

[1] სოლლუღის. [2] ემართოთ.

გვეედრებით, კახეთის მოსამართლეებს ებძანოს. ჩამოვიდნენ და ერთმანეთს მოგვაშორონ.

დავით ერასტისშვილი იმისი სიმამრი არის, იმასაც ებძანოს ამ მოსამართლე[ე]ბთან დაესწროს და ჩვენი სამართალი რიგიანის გზით განსაჯონ. ღვინობისთვის **იგ,** ქორონიკონს **უოვ.**

თაუში

ქ. ბატონო კახეთის მოსამართლე[ე]ბო და მდივნებო, ყორიასაულბაშს ლუარსაბს თავის სახლის კაცს ზაქარიასთან მამულის სალაპარაკო საქმე[ე]ბი აქვთ. თქვენ უნდა ჩახვიდეთ და რაც ერთმანეთში სადაო და სალაპარაკოები ჰქონდესთ, რიგიანად უნდა ერთმანეთს მოაშოროთ, რომ კიდევ სადაო და გაუყოფარი აღარა და[ა]გდოთ რა. ახლავ სამართლიანის საქმით მოაშორეთ ერთმანეთს. დავით ერასტისშვილიც ამათ სამართალში თქვენთან უნდა დაისწრათ და სამართალი ისე გარდაუწყვიტოთ. ღვინობისთ[ვი]ს **იდ,** ქორონიკონს **უოვ.**

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულსა ერეკლეს.

817. არზა მთავარეპისკოპოს კახიოსისა ღალის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 16 ოქტომბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 2190. დედანი. ქაღალდი. 21×13,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან უმაღლესის ჯემწიფის ჭირი მოსცეს მათს მლოცველს მთავარეპისკოპოსს პაისიოსს.

რადგან თქვენის დოვლათით სამთავროს შენობა გაჩნდა, თავისი მამული თითონვე ეკლესიას მოუნდება.

უმაღლესო ჯემწიფევ, მცხეთელები ეკლესიას მამულს ართმევენ, ხვნენ და ღალას არ გვაიღებენ ჩვენის მიწისას. და იმ ეკლესიის გარეშემოს სანახევროთ მიხვნენ და სოფელი ჯანყს უშვრებიან, ნურავინ მოხნავთო. მოედნათ მოგვინდებაო. და ვინც სამთავროს კაცნი გვყვანან, იმათაც ავად ეპყრობიან და სცემენ.

მოგეხსენებათ, ახალი მოგონილი არ არის, მცხეთის მამული და სამთავროს მამული დიდი ხნის განსაზღვრული არის; არას გვემართლებიან, შეცოდება არა გვაქვს რა.

წყალობას ვითხოვთ, ოქმი გვიბოძოთ, ჩვენის მამულის ღალა-

მოგვცენ და ჩვენის მამულის ქვნას, ვისაც მოეახნევინოთ, ნუ დაუშლიან და იქ მდგომს კაცთაც დაეხსნენ. ოქტომბრის **იბ**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მცხეთის მოურავო დავით და ერთობით მცხეთელებო! მერე მთავარეპისკოპოზი რომ ასე ჩივის, რას ემართლებით, რომ ასე აჩიელებთ და თავისის მიწის ღალას არ აძლევთ. თქვენი და ამათი მამული ხომ დიდის ხნის გარჩეული არის და რაღა სადაო გაქვსთ ამასთან.

ჩვენ ამას გწერთ, რომ როდესაც სამთავროს მამულში მოხნათ, თავისი ათისთავი მოართვით ეკლესიას. და როდესაც ამის საწყლისპიროში კონი ჩასდგას ვინმე, იმისი როგორც განწესება იყოს ან სანატრელის ჩვენის ძმის ქათალიკოზის ანტონისაგან და ან სხვათაგან და წიგნები ჰქონდეს მთავარეპისკოპოს, იმ განწესებისამებრ უნდა მიართოთ ხოლმე თავისი სარგო მთავარეპისკოპოზს.

და ამას გარდა მაგ სამთავროში მყოფთ ნურაზე აწუხებთ, ერთმანეთის მეზობლობით და სიყვარულით მოიქეცით, თორემ მაგათს წუხებასა და ავადმოპყრობას ხათრიჯამად იცოდეთ რომ არ შეგარჩენთ.

ეს როგორც მოგვიწერია, ასე აღასრულეთ სამართლიანი საქმით, თორემ თუ კიდევ მთავარეპისკოპოსისაგან თქვენი საჩივარი მოვხსენდა, სარწმუნო იყავით, რომ ჯარიმითა და ავად მოპყრობით გარდაგახდევინებთ. ოქტომბრის **ივ**, ქორონიკონს **უოვ**.

ქ. და ამათ თავიანთი მამული ვისაც უნდა მოახვნევინონ. ვერც ამას დაუშლით; ამაში თუ სიტყვა გქონდესთ, მოგვახსენეთ.

ბეჭედი: ქნარს მიცქმს, დავით მიჴმობს ძედ ყახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

818. არზა ზურაბ ხითარიშვილისა ამის თაობაზე მარეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 25 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2164. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჰირი მათ შონა ხითარას შვილს ზურაბს მოსცეს.

ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალეს. ქვახრელელს ვარდუას შვილს ოჰანეზს არზი მი[უ]რთმ[ევ]ია მეფისათვინ: ხითარისშვილის ყმა არა ვარო, ქვახრელელ[ი] ვარო. მეფეს ოქმი თქვენზე ებძანა[1]. ჩვენი და ჩვენი ყმის სამართალი მოგახსენეთ ახალგორს, ოქმი გ[ვ]ებოძა: აქა ჩემს სამართალში მოდითო. თქვენთან სამართალში არ მამყვნენ, ქვახრელ გავიდნენ, ახლა ხუთი-ექვსი თვე არის თავკაცათ სამნი მამა-შვილი ადგნენ, ხინნი გორს გაუშვეს და თელავს ჩავიდნენ. ერთი შვილი მენაბდე გახლამს, ორნივე მამაშვილი ფეიქარნი არ[ია]ნ.

წყალობას ვითხოვ: ერთი ოქმი მიბოძე დავით მდივანბეგზე, რომ ისინი სამნი მამა-შვილი თქვენს სამართალში ჩამოასხას და ჩვენი სამართალი გაშინჯვინოთ, რა მიზეზით ჩემს ყმობას ამას არიან. თუმც საქართველოს ბეკრი მიზეზი მიეც[ა], მაგრამ ბატონყმობას ძიზეზი არა აქვს, თუ საბუთი ალ აქს რა. ღვინობისთვის **კე**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

ქ. ბატონიშვილის გიორგის ჟამყოველ პატივ-სიკეთით სახსოვარო მდივანო დავით! მერე ხითარიშვილს ზურაბს ამ არზით ის რომ მოხსენებია, ამის სამართალი მისის უმაღლესობისაგან ჩვენ გვებრძანა. და ამაზედ ჩვენი მსახური ბეჟანიშვილი იოსებ გამოგვიგზავნია და ეგ კაცები სამივ მამა-შვილნი მანდ თელავს არიან და ეგენი ამ იოსებს უნდა მოაბარო ახლავ და აქ ჩვენს სამართალში უნდა მოიყვანოს, რომ ამისი უარი და გაშოე[გ]ზავნლობა და დაგვიანება არ იქნება. ოქტომბრის **კე**, ქორონიკონს **უოვ**. გიორგი

819. არზა სოლომონ აბაზაძისა სამართლის ვიცემაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

1788 წ. 7 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. H-I 9544. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 20,4×16,4 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის იულონის ჰირი მოსცეს სოლომონ აბაზაძეს.

[1] ებაძნა.

მერმე თქვენს წყალობას ახალსოფელს ვიდექ. მომიხდა გვერდწითელი დათუა გუთანზე, გაკრა დამბაჩას ჯელი, გუთნის დედა და მეხრები კი დაქცეოდენ; სახნისი წამიყარა და წ[ა]იღო, მე ჯაშიტაშვილისა მჭონდა. მოველ და თქვენ მოგახსენეთ. იასე ამილახორზე ოქმი მიბოძეთ; იმან არ მოაყვანინა და არც სამართალი მიყო. თუ ვეტყო[დ]ი რასმე, ასე მეტყოდა: რას შეგეპოებიო, ბატონი შენი უფლისწულია და ბატონი ჩემი პირველი თავადიაო.

ჯაშიტაშვილი მე მთხოვს თავისის მართე[ბულო]ბითა. მოწყალებას ვითხოვ: გვერდწითელიც აქ გახლავთ და მეც აქ გახლავარ. სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯ[ვებს]. ხუთი წელიწადია სახნისი მაკლ[ია].

თავში

ქ. უფალნო მსაჯულნო, ამ არზით აბზაძე სოლომო[ნ] რომ ასე ჩიევის, გვერდწითელი დათუაც აქ არის, ორნივ თქვენთან მიაყვანინეთ და ალაპარაკეთ. მიხდომისა და ჩხუბის სამართალი თქვენ უყავით; და მამულზე ჩემთან უნდა ილაპარაკონ. ნოენბერს **ზ**, ქორონიკონს **უოვ**.

ქ. ეშიკაღაბაშო მელქისადეგ! ამას ერთი იასაული მიეც, სამართალში მიიყვანოს ორნივე და ალაპარაკოს.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

820. არზა გოგია თუმანიშვილისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

1788 წ. 10 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hძ 163. დედანი. ქაღალდი. 21×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ქელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი მათს ყულუხჩს თუმანიშვილს გოგიას მოსცეს.

მერე ამას მოგახსენებთ: ჩემა განაყოფმა კაციამ ახალდაბას მიწები წამართვა და თქვენ არზა მოგართვით და ახალდაბელებზედ ოქმი მიბოძეთ და აღიღათი იკითხეთ: ეს გოგია თავის განაყოფს რომ უჩივის მანდაურს დათას მიწაზედაო, ეგ მიწა ამ თუმანიშვილი გოგიასი არისო თუ კაციასიო.

და ახალდაბელების მუჯალამაც ხომ თქუენ მოგართვით, რომ ასე მოგახსენეს, რომ: ოსმალობას აქეთ სულ ამ გოგიას პაპას და მამას უჭირამსო და ამის ყმა შჯამდაო და არც არავისგან მოდავობა გვინახამსო, დიდის ფიცით მოგახსენეს.

და ახლა მე ამას გევედრებით, რომ ერთი ოქმი და იასაული გვიბოძეთ, რომ რაც ამ ჩემს განაყოფს კაციას ჩემთვის მიწები წ[ა]ერთმიოს, ხელი აუმართოს და ჩემი მიწები და ან რაც ღალა ეღოს ჩემს მამულშია, ისიც გამამირთვას და მე მამებაროს, ღმერთი გაგიმარჯვებთ. გიორგობის **ჱ**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

ქ. ბატონიშვილის ვახტანგის კეთილად სახსოვარო მიმბაშო ოთარ. მერ[ე] ამ არზის პატრონი და მის[ი] მოდავე ორივ შენ მი[ი]ყვანე და ამათი დაობა გაშინჯე და ჭეშმარიტათ ღვთის წინაშე უსამართლე და ერთმანერთისაგა[ნ] ასე განაშორე, რომ ამ მოხსენებულთან სადავოთ საქმე აღარ ჰქონდეთ. ნ[ო]ემბრის **ი**, ქორონიკონს **უოვ**.

ბეჭედი: ლომაღ იუდას ბაკეთად, ვახტანგ ირაკლის ნაკეთად.

821. არზა ზაზა ციციშვილისა ყმის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

1788 წ. 25 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hძ 2941. დედანი. 20×16 სმ. ქაღალდი. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან მისი უწმინდესობის, საქართველოს პატრიარხის ჭირი მოსცეს მათს მონას ციციშვილს ზაზას.

ამას მოვახსენებთ: რომ ერთი კომბლი კაცი მყვანდა, წაეკისიდამ ამეყარა, ხაშმზედა ჩავიდა, აგერ ერთი კვირეა ჩავედი მე, ხაშმელებმა ხიზანი საყდარში შეიყვანეს და კაცები იარალით წვერზედ აგზავნეს, იქაური ღვდლები ქომაგათ ყავსთ იმ ჩემს კაცებს.

თუ სულიერათ დანაშაული მაქვს რამე, თქვენთან სამართალში

მამყვნენ; და თუ ხორციელი დანაშაული მაქვს რამე, ბედნიერს ჯელმწიფესთან მამყვნენ. თუ არადა, ჩემს ყმას ხაშმელები რა საბუთით მართმევენ. ვინც საყდრის კარი გაუღო და ჩემი ყმა შეასხა, მე იმათ უჩივი.

ერთის ოქმის წყალობა მიბოძეთ, იქაური[1] ღვდლებიცა და სოფლის მოხელეცა აქ გიახლენ და ის ჩემი კაციც აქ ჩამოიყვანონ, რაც სიტყვა აქვსთ, მოგახსენონ. ნება მათის უწმინდესობის არის. გიორგობის **კდ**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

ქ. ყოვლისა საქართველოს პატრიარხი მეფის ირაკლის ძე ანტონი გიბრძანებ ხაშმზე მცხოვრებნო მღუდლებო და მაგ სოფლის მოჯელენო.

მერე ამ ზაზა ციციშვილის კაცი თავისის ხიზნით ეკლესიაში რომ შესულან, ახლავ გამოიყვანეთ, აქ ჩამოასხით და თქვენც თან ჩამოჰყევით და ჩვენს სამართალში ელაპარაკეთ, რომ რის მიზეზით ართმევთ მაგ ერთს კომლს კაცსა; ან თავიანთ თავით შეწირვა როგორ შეუძლიათ, თუ თავისის მებატონის ნება არ არის.

ახლავ აქ ჩამოასხით. და თუ სიტყვა გაქვსთ რამე, ან თქვენ და ან მაგ კაცს, ჩვენ წინ ელაპარაკეთ, თორე ჩვენის იასაულებით ჩამოგიყვანთ. ნოემბრის **კე**, ქორონიკონს **უოვ**.

ხელრთვა: კათალიკოზი.

822. არზა შუამთის მოძღვართმოძღვრის ნიკოლოზისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1788 წ. 27 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2123. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის საქართველოს დედოფლის ჭირი მოსცეს მათს სამარადისოთ მლოცველს მოძღვართ-მოძღვარს ნიკოლოზს და სულ ერთობით გულგულელთა.

ქორონიკონს **უიგ**, ამ ქორონიკონში ჩვენს ჯელმწიფეს მგალობლისშვილებისათვის ოქმი ებოძა: საცა ამჯობინოთ, ფაცერი ჩადგითო. იმ ჟამად მოძღვართმოძღვარი იმერეთს გახლდათ. მოიტანეს ფაცერი მგალობლის შვილებმა და ეკლესი[ი]ს მამულში ჩადგეს

[1] იქაურს.

ჩვენშია. ჩვენ გუჯრისა არა ვიცოდით რა. გაიარა იმ წელსა. მეორეს წელიწადს უფრო ჩვენში ჩადგეს.

მაგათს უმაღლესობას მოვახსენეთ, ოქმი ებოძა მდივანბეგზედა, ის ოქმიც მანდ გვიახლებია იმ წაარხრელის თარიღიდამ აქამდინა. სამართალში არ მოგვყვნენ ის კაცნი. რადგან მდივანბეგებზედ ბრძანება იყო, მდივანბეგებიც დაიღალნენ და მრავალი კაციც დაღალეს და სამართალში არ მოგვყვნენ ის კაცნი. რადგან ის კაცნი სამართალში არ მოგვყვნენ, მდივანბეგებმა განაჩენი მოგვცეს, ეს განაჩენიც მანდ გვიახლებია.

ახლა წელს კიდევ თქვენის შვილის ბრძანება მოუვიდა. ახლაც მოიტანეს და იქაც ჩადგეს. და ახლა ამას გვეპასუხებიან: ახლა ელაპარაკენით მეფის ერეკლეს შვილსაო. ღმერთმან დაამჯოს მეფის ირაკლისა და იმის შვილების წინააღმდგომი და მბრძოლნი და ალიჯოცს წიგნისა მისგან ცხოველთასა.

განა თუ თევზის სანადიროზედ არის ეს დავა, იმას შემოსწვრივ მამულს გვართმევენ და კიდეც წაგვართვეს, რომ ტახტის სოფელს ნადგომს თათრებს, ახლა რომ ახატელში დგანან, იმათ საღალეთ მისცეს, რომ პურის მაგიერად თეთრს ართმევენ.

ჩვენ ჩვენის გუჯრის ძალით გაწყენთ თავსა. რადგან გლეხი კაცნი გახლავართ, მიწა-წყლის მქონებელნი უნდა ვიყვნეთ, რომ თქვენც გემსახურნეთ და ეკლესიასაცა. და ესეც მოგებსენებათ, რომ არც წყალი გვაქვს, წელიწადში ორს თვეს ან გვაქვს წყალი და ან არა; და თუ მიწაც წაგვერთმევა, ვეღარც ბატონს ვემსახურებით და ვეღარც ეკლესიასა.

ჩვენს ჯელმწიფის შვილის რიგიანსა და სამაროლიანს ხომ არას მოახსენებდენ. ჩვენ ფაცერს არ ვდაობთ, თქვენის [თ]ავის მზემან ოღონც მამულს ნუ წაგვართმევთ. ის ფაცრის და ძმა გვართმევს მამულს. გულგულის ფაცერი მიირთვით გამართულ სამართლამდინ; და ახატლელთ ჩადგმული ფაცერი დააყენეთ სამართლამდინ და ჩვენი ფაცერი იმსახურეთ.

და თუ სამართალში გავმტყუნდით, იმ ახატლელს ფაცერს რომ უძახიან, იმისი ჯარიმაც თავს დაგვიდვ[ი]ა. ან თავები დაგვაყრევინეთ და ან შფოთისაგან[1] დაგვიხსენით. ახატლელთ ესეც ეყოფათ, რაც მღვთისმშობლის მამული არტვაზნის ბოლოს რომ სჭამენ, რომ წაერთმევიათ. ნოენბერს **იე**, ქორონიკონს **უოვ**.

[1] შთოფისაგან.

თაეში

ქ. უფალნო კახეთის მსაჯულნო! ამ არზით მისი მაღალღირსება მოძღაურთ-მოძღაური ნიკოლოზ ასე რომ ჩივის, ამას წინათ ამ საქმეზედ კიდევაც უჩიველია მის უმაღლესობასთან და იმის უმაღლესობას თქვენზედ მოუწერია: საყდრიონელნი აზნაურშვილნი უნდა დაიბაროთო და წმინდის გიორგის გუჯარიც დაიბაროთ და მოატანინოთ და მოძღუართ-მოძღუარს ნიკოლოზსაც ხახულისა მღთისმშობლის გუჯარი და ან წმინდის გიორგის გუჯარი აცხადებსო გარჩევით, სამძღუარსა დანიშნით აღმოაჩენს, თავ-თავიანთ მამულები სამართლით იმ სახით მიეცემათო.

და თქვენ საყდრიონის აზნაურშვილნი მის მაღალღირსება არქიმანდრიტი იოვანე ამ საქმეზედ სამართალში მოგიწვევიათ მრავალჯერ, მაგრამ არ მოსულან და რომელიც განაჩენი დაგიწერიათ, ის განაჩენიც ვნახეთ.

ამჟამად მისი უმაღლესობა მრავალს საქმეში ბრძანდებოდა და მოცლა არა ჰქონდა. და მისმა უმაღლესობამ ჩვენ გვიბძანა მოწერა: ვითარ უწინარეს მისის უმაღლესობის ოქმში აცხადებდეს, იმ სახით ორისავე მხრიდამ გუჯრები მოატანინეთ და კარგად გამოიძიეთ, გუჯრები გაშინჯეთ და რომელიც სამძღუარი გუჯრებმა აღმოაჩინოს, იმ სამართლით დარჩებათ.

ამ საქმეს გაურიგებელს ნუღარ დააგდებთ და სამართლით გაურჩიეთ, რომ ერთმანერთთან სალაპარაკო აღარა ჰქონდესთ რა, ნოემბერს **კზ,** ქორონიკონს **უოვ.** დ დოფალი დარეჯან

ქ. უფალო არქიმანდრიტო ალავერდლის სალთხუცესო და მდივანო. ეს მისის უმაღლესობის ბატონის დედოფლის ოქმი გამოგვიგზავნია; ნახეთ, როგორც ამაში ეწეროს, ისე გუჯარი მოიტანეთ ახატელში სამშაბათ-ოთხშაბათს და ჩვენც ჩამოვალთ და გავარიგოთ, როგორც ბრძანება არის.

მუშრიბის შვილო ზურაბ, შენ იახელ არქიმანდრიტს და ეს ბატონის ბძანება გამოუცხადე, რომ ამოვიდნენ. ოქტობერს **ბ,** ქორონიკონს **უოვ.**

თუ თქვენ არ შეგეძლოსთ, აზნაურშვილები გამოისტუმრეთ და გუჯარი გამოატანეთ. [ ] დავით მონა ღთისა მდივანი სვიმონ

823. არზა ტერ-მელქისადეგისა გამოსავალის თაობაზე გიორგი გატონიშვილის ოქმით

1788 წ. 27 ნოემბერი

საქ. ლიტერატურული მუზეუმი. საბ. № 19568. დედანი. ქაღალდი. 34×11,3 სმ. დახიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი, აქა-იქ ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის გიორგის ჭირი მათ მლოცველს ცხილვანელ ტერ-მელქისადეგს მოსცეს.

ჩვენს მოწყალეს მოვახსენებთ. ჯვრის მამამ ანტონმა წელიწადშიდ თორმეტ თუმნად დირბის გამოსავალი მომცა. ღმერთმან ჩვენის ცოდვისა მკითხა და არც შარშან მოვიდა ტკბილის მოსავალი და არც წრეულ. ჩემო ხემწიფევ, თუ რამ გამოვიდოდა ფული, ტკბილის მოსავლით ამენდებოდა და ხომ არ მოვიდა, წელიწადშიდ ოთხი თუმანი ზარალი მაქვს, მე ამ ზარალის წევა არ შემიძლიან. თქვენს სიმაღლეს პურის ნოღალობა კიდევ ჯვრის მამას კაცისათვის გებოძებინა. რადგან სოფელი მე იჯარით მეჭირა, მეღალე სხვა რათ უნდა ყოფილიყო; მეღალე მე გახლავარ, მე სხვა მოღალე რათ მინ[დ]ა.

თქვენს მოწყალებას ამას ვევედრები, რომ ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ თუ რამე ჩემი ღალა დარჩომილიყოს ვიზედმე და ან გუთნებზედ დამეხარჯოს, ან თესლი დამეთესოს, ყველა მომეცეს, რომ ამისგან უფრო ზარალი აღარ გავსწიო: რაც ზარალი გავსწიე, ის მეყოფა; ჩემი განწესება რაც რამ იყოს ჯვარის მამისა ან საკვამლოს დებულობა და ან სხვა რამე, ნურას დამაკლებენ, ეგება თქვენის მოწყალებით ზარალი ცოტაც არის შევიმსუბუქო. ეს ოქმი მოურავსა და მამასახლისზედ მიბოძეთ, რომ სამართლიანის საქმით ყველა გამოართვან[1] და მომცენ. მერმე მე დაჭერა აღარ შემიძლიან, თავისი სოფელი იმათა ქონდეს.

აღიწერა ნოვენბერს **კზ,** ქორონიკონს **უოვ.**

თავში

ქ. ბატონიშვილი გიორ[გი გი]ბძანებთ დირბის მოურაო და მამასახლისო! მერმე ჩვენ ჯვარის მამის ანტონისაგან მიცემული წიგნი ვნახეთ, რომ ყოველი ფერი დირბის გამოსავალი წმინდის საფლავის მამულისა იჯარით ამ ტერ-მელქისადეგისათვის მიუცია და ამას გარ-

[1] გამომართვან.

და სხვა არცავინ მეღალე ვინმე იქნება, არც მეკულუხე და არც სხვას რასმეში; ყველა ამან უნდა აიღოს და ამას უნდა მიბარდეს. და რაც ამ არზით თითვეულად მოუხსენებია, ყველა ასე უკლებრივ უნდა აუკრიფოთ ვიზედაც რამ იყოს და უნდა ამას მოსცეთ უნაკლულოდ.

და მას უკან ეს ტერტერა ჩვენთან მოვიდეს; და თუ რომ შესჯერდება და ისევ ეს აიღებს მაგ იჯარას, ხომ ის არის; თუ რომ არადა, როგორც ჩვენი ოქმი მოგვიდესთ მასუკან, ისე უნდა ქნათ.

ნოენბრის **კზ**, ქორონიკონს **უოვ**. გიორგი

824. არზა დავით მგალობლიშვილისა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 10 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5324. დედანი. ქაღალდი. 22,7×13,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფე დედოფლის ჰირი მოსცეს ახატლელს დავით [მ]გალობლიშვილს.

შეწუხებულთ მოწყალევ. მგონია, რომ თქვენს ჯელმწიფობაში ამისთანა უსამართლო არვის დამართოდეს, რო მე მემართება. გამიკითხეთ და სამართალი მაღირსეთ, ღმერთი ჯელმწიფეს გიცოცხლებს.

ამა მამიკუდა, ქვრივი და ობოლი ქალი დარჩა. თერამეტი წელიწადი კაის პატივით, რაც შემეძლო, ჩემი რძალიც შავიხახე და ობოლიცა.

შარშან შამამწყრა ჩემი რძალი და გაყრა მაინდომა და მოსაჭართლეებმა გაგვყარეს. რაც ქვემოთ მამიხსენებია ეს იმათ არგუნეს.

ახლა კიდევ სხვა განაჩენი დაუწერიათ და ჩემი წილი იმისთვის მიუციათ. გხლებივარ და სამართალს გევედრები, ბედნიერის ჯელმწიფის სადღეგრძელოთა სამართალი მაღირსეთ და თქვენად მლოცველად გვამყოფეთ. დეკემბერს **ზ**, ქორონიკონს **უოვ**.

ჩემს რძალს ერგო მამული: ქ. ფეიქრიშვილის ვენახი; ქ. პაპუნაშვილის ვენახი; ქ. დათუნიკაშვილის ვენახი;

ყმათ: ქ. ფიცხელაური თადო მემკვიდრე: ქ. მოსია. ხიზანი მამულითა; ქ. ნარუსალი ხიზანი მამულითა.

მოსავლად: ქ. წლევანდელი ღვინის მესამედი; ქ. პურის წილი სულზედ; ქ. ნიგოზი და სამარხო მარილი სულზედ; ქ. წისქვილის მეოთხედი; ქ. ა უღელი ჯარი; ქ. ფურკამბეჩი ზაქით; ქ. ა ცხენი; ქ. ა ხალიჩა; ქ. ა ქვაბი ლიტრიანი; ქ. ე დღის ნაფუზარი სოფლის გარეშემო; ქ. ე დღის სახნავი სამუალ მინდორში; ქ. ხუთის დღის სახნავიც ბოლოს.

თავში

ქ. მდივანო დავით და მდივანო სვიმონ! მერმე ბეჟან მდივანბეგს ხომ არ შეუძლიან და ოტია მდივანბეგს თქვენ ასე უნდა გამოუცხადოთ და თქვენც უნდა ამ მგალობლისშვილის სამართალში უნდა დაესწრათ. რომელიც ამის ქვრივს რძალს მამულის მესამედი სამართალს გაუჩენია, რომ ამ სიაში სწერია სახელდობრივ კაციცა და მამულიც, იმისი გამოცვლა აღარ იქნება; სწორეთ ამასვე უნდა და[ა]ჯეროთ და მისცეთ. საქონელიც გაუჩენიათ. ამაში ამ მგალობლისშვილს უსამართლო დამართებია; ცხენი და ზაქიანი ფურკანბეჩი ამასვე უნდა მიეცეს და უღელი ხარი, ქვაბი და ხალიჩა. და ეს პირველ გაჩენილი მამული კი ქვრივს უნდა მიეცეს. არას გზით მამულების შეცვლა აღარ იქნება. რომელიც ამ სიაში ყმა და მამული სწერია, ქვრივს ესენი უნდა მიეცეს.

ამ გარიგებისა ორი განაჩენი დასწერეთ, ორივ ერთპირზედ და ჩვენ უნდა მოგვერთვას, რომ ის თქვენგან დაწერილი განაჩენები ორივ ჩვენ უნდა დავამტკიცოთ. ერთი ამ დავითს უნდა ჰქონდეს და ერთი ამის ქვრივ რძალს, ობლის გათხოვებამდ[ე] ამგვარად უნდა ეგნენ. ჭალს რომ გაისტუმრებს, მასუკან სხვარიგათ განეგება ამათი საქმე. ეს როგორც მოგვიწერია, სწორეთ ასე იმოქმედეთ. მეტ-ნაკლებობა არ იქნება. დეკემბერს **ი**, ქორონიკონს **უოვ**.

ქ. ეს ხომ მაგათგან ყოფილა გარიგებული და რაღათ შეუცვლიათ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

825. არზა კეტრე ამირანაშვილისა ვალის თაობაზე

გიორგი ბატონიშვილის ოქმითა და მდივანბეგთა განჩინებით

1788 წ. 12 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3860. დედანი. ქაღალდი. 21×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის მეფის ძის გიორგის ჰირი მოსცეს მათ ყმას ამირანაშვილს პეტრეს.

ეს არის ჩემი ვედრებით მოხსენება: ბიძის ჩვენისა ვალი გამოგვიჩნდა. სამოცი თუმანი თეთრი გამოგვართვეს და ამ მიზეზით ორნივე ძმანი რუსეთისაკენ გადავცვივდით. მე თქუენის ბძანებითა და ნუგეშის წიგნით აქავე გიახელ და ის ჩემი ძმა იქავ რუსეთს გახლავთ.

ახლა იმ ჩემი ძმისაგან წიგნი მამივიდა, ასე მოეწერა: ამ ოთხსაოდ თვეზედ მანდ მოვალო. იქი-აქა ცოტაოდენი ვალი გვაქვს ჩემი თუ ჩემის ძმისა; და იმ ვალებს გვაწუხებენ.

ამ წყალობას გეკედრებით: თქუენის შვილების სადღეგრძელოდ ერთი ოქმი მებოძოს, რომ მოვალებმა იმ ჩემის ძმის მოსვლამდინ დამაცალონ. დეკემბრის[1] **ია**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

ქ. ბატონისშვილი გიორგი გიბძანებთ რომელნიც ამ არზის პატრონის მოვალენი ხართ! მერე სანამდისინ ამის ძმა მოვიდოდეს, მანამდის[ი]ნ უნდა და[ა]ცალოთ და ნურცა სთხოვთ თავის ძმის მოსვლამდის. დეკემბრის **იბ**, ქორონიკონს **უოვ**. გიორგი

verso

ქ. მისს უგანათლებულესობას ასე რომ უბძანებია, ჩვენ მსაჯულნიც ამას განვაჩენთ: რადგან შეუძლებელია, ნახევარი წელიწადი დააცალოს, თუ ნახევარ წლამდინ ამას ძმა მოუვიდა, უნდა ამისმა ძმამ მოსცეს. და თუ ამ ვადამდინ ვერ მოვიდა, უნდა ამან მოსცეს. მანამდინ ვეღარასა სთხოვენ ამას. ქრისტიშობის კ, ქორონიკონს **უოვ**.

ორი ბეჭედი:
1. ღმერთ კაცად გესავ ქრისტესა, მწყ მექმენ ა ბ ა შ ი ძ ე ს ა ნ ი კ ო ლ ო ზ.
2. გ ე თ ო დ ი.

826. არზა გიორგი ფისაძისა მამულის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

1788 წ. 18 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 2211. დედანი. ქაღალდი. 34.5×21.3 სმ. მხედრული. განკუთვილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩემის მოწყალის ქელმწიფის შვილის და ჩემის ქელმწიფის ბატონისშვილის იულონის ჰირი მათს

[1] დეკტემბრის.

მონასა და ყმასა, ოდესმე სახლისა და მამულის და ოჯახის მჭონებელსა აწ გლახაკსა და კარისკარ მთხოველს ფისაძეს გიორგის [მოსცეს].

ღმერთმან უმეტესად განაძლიეროს და აღამაღლოს თქვენი სახელი და თქვენი ერთი დღე ათასადა ჰყოს. ვინ მოსთვლის ჩემო ქელმწიფევ, დავით ერისთვის უკან რა შრომა და ჭირი გამომივლია გლახაკს კაცს ჩემს მკვიდრს მამა-პაპის ნასყიდს ცოტას ვენახზედ და რამდენჯერ უმსჯავროდ რთმევის მიზეზით რამდენი ქრთამი დამიხარჯავს, აღურაცხველია, რომ ათი იმისთანა ვენახი მოვიდოდა, ამ მიზეზით, რომ მამა-პაპის ნასყიდი შვილს არ დაუკარგო-მეთქი, ჩემის მამულისა და ოჯახის ნაცვლად ისღა მჭონდა ჩემად საიმედოდ და გამოსაყენებლად.

მოხსენებულ გაქვსთ, როგორ იძულებულ შევიქენ და ლონისაგან მიხდილმა გასასყიდლად დავდევ და გედევანისშვილს პეტრეს შვილს ბეციას მივყიდე. ზოგი მამცა რომ ვალებს არ ეყო იმავე ვენახის მიზეზით ქრთამებში გაღებულს ვალებსა და ცოტა რამ კიდევ დარჩა.

ახლა გედევანიშვილი სარდალი შოშია დაობს, რომ მე უნდა მამყიდოო.

ჩემო ხემწიფევ, ამდენი ხნის დაკარგული ვენახი თქვენის წყალობით ქელში ჩავიგდე და მოვალეებს გადამკიდე გავყიდე. ერთი გლახაკი კაცი გახლავარ თქვენის მონების უღირსი. ვინც მეტს მამცემს, იმისი მირჩევნია.

ამ წყალობას ვითხოვ: ერთის ბეჭითის ოქმის წყალობა მიყოთ. რომ ვისაც[1] მე მინდოდეს, ჩემი ვენახი იმას მივყიდო. თქვენს განსაძლიერებლად და თქვენის შვილის სამლოცველოდ, რომ თქვენის ოქმის ძალით და მიზეზით პასუხი გავსცე იმათა, თორემ მე არ შემიძლია იმათთან ჭმა ამოვიღო. დეკემბერს **ჱ**, ქორონიკონს **უოვ**.

თავში

ბატონიშვილი იულონ გიბძანებ ამ არზის პატრონო! შენი მამული არის და ვისაც გინდა მიჰყიდე. დეკემბერს **იგ**, ქორონიკონს **უოვ**.

ბეჭედი: ტომ-სჭესით არ ნაკლისაგან ი უ ლ ო ნ ირაკლისაგან.
verso-ზე: „ოქმი ფისაძის ვენახის".

[1] ვისც.

827. არზა იესე გარათაშვილის ოგლებისა ვალის თაოგაზე მდივანბეგთა განჩინებით

1789 წ. 18 დეკემბერი

ქსსა. ფონდი 1450, დავთარი № 26. საბუთი № 62. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[არზა]

[62] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს იესე მსაჯული[ს] შვილებს.

ამას მოვახსენებთ: ზაალ ყაფლანიშვილს მანუჩარ ქდივანის თეთრი მართებიყო და სამი კომლი კაცი გირაოთ სწერებოდა ამ პირობით, რომ: ვადაზედ თუ გადაცილებულიყო, კაცებზედ ხელი უნდა აეღო. იასაული ადგა, აწუხებდნენ, თეთრს სთხოვდნენ; მოვიდა, მამა ჩემს შემოეხვეწა, შენ ხომ თეთრი არა გაქვსო. მაგრამ შენ უფრო გენდობიანო, შენ აიღე ვალად, მე მომეცი და ეს კაცნ[ი] შენ გყვანდეს გირაოთაო.

მამა ჩემმა ასე შეწუხებული კაცი შეიწყალა, ფრანგი სტეფანესაგან თეთრი აიღო, ბაღი გირაოთ დაეწერა, [V] სიგელი მისცა და სარგებლით დაიწერა და ზაალს მისცა.

ზა[ა]ლმა მამა ჩემს თამასუქი მოსცა — თვრამეტი თუმანი ავიღეო სამის წლის ვადით, სამს წელიწადზედ ოცდაექვსი თუმანი მოქცეო და ას ხუთ კომლი კაცი გირაოდ დაუწერა. და თუ სამს წელიწადს ვერ მოგცეო, შენს თეთრში, თავნსა და სარგებელში ეს გირაო კაცნი შენ დაგრჩესო.

წელიწადი შარშან თიბათვეში დასრულდა. თავის თამასუქის ძალით ზაალს შარშანვე ან თეთრი უნდა მოეცა სარგებლით, ან კაცნი დაენებებინა. სტეფანემ შარშანვე თხოვა დაგვიწყო, ზაალს ვთხოვთ და უარს არ გვიგებს. სტეფანეს უჩიელია — იასაული გვადგ[ა]ს ტუსი შვილი ქა'იხოსროვ და თურქისტანის შვილი.

ჩვენი საქმე ასე არას. ვადაზე წელიწადნახევარი მეტი გასულა, სამართალს ვითხოვთ, ობლების ქველის მოქმედებისათვის ასე ვიტანჯებით. ჩვენო ხელმწიფევ, ჩვენი განსაცდელი და მწუხარება თქვენც მოგეხსენებათ. ჩვენი საკუთარი ვალი ძველი და ახალი მრავალი სხვა გვაწუხებს, რომ სტეფანემ იცის, სხვის[ი] ვალი[ს] მიცემა როგორ შეგვიძლიან.

სამართალს ვითხოვთ: ან თეთრი მისცეს ზაალმა ან კაცნი დაანებოს თეთრის პატრონს. გენებოს თქვენ გვისაჯეთ და თუ არ გენებოსთ, მსაჯულთ ებძანოსთ ოქმით. მამულს ხელს გვიმართვენ იასაულები. [63] ჩვენო მოწყალევ, მოგვხედენ. ქრისტიშობის თ, ქორონიკონს **უოვ**.

თუ მამაჩვენს თეთრი არ მიეცა, ახლა კაცებ[ი] მანუჩარს ეყოლებოდა.

თავში

უფალნო მსაჯულნო, ამ არზის პატრონები რომ ასე ჩივიან, ესენი ორნივ თქვენთან ალაპარაკეთ და ღვთის წინაშე სამართალი მოეცით. ესენიც ვალის პატრონები არიან და იასაული ადგას და აწუხებენ და სამართლიანის საქმით მაგანაც თავისის პაყის პასუხი მისცეს. დეკემბრის **ზ**, ქორონიკონს **უოვ**.

[განჩინება]

მის უმაღლესობას ჩვენ, საქართველოს მსაჯულთშეკრებილთათვის, რომ ამ ოქმით ასე ებრძანებინა სამართლის მიცემა, ჩვენ მათის ბრძანებისაებრ იესეს ობლები და ყაფლანიშვილი ზაალ ვალაპარაკეთ და შევიტყევით მათი ჩივილის ვიათობა.

ზაალს სხვისა მართებოდა და კაცნი გირაოდ ყოლოდა. იმ სხვას მოვალეს ზაალისათვის თეთრი ეთხოვა და დიდათ შეეწუხებინა. ზაალ იესეს შეხვეწნოდა და წერილი მოეცა: ეს ვალი შენ სხვაგან აიღე ვალათაო და ამ ჩემს მოვალეს მიეცო ვადით; ეს ჩემი კაცნი შენთვის გირაოთ დამიცს ამ ვადამდინაო; თუ ამ ვადაზე ეს თეთრი მოგეციო, ჩემი კაცნი ისევ მევე დამრჩებაო; და თუ ამ ვადაზე შენი თავნი, სარგებელი ვერ მოგცეო, ეს კაცი შენთვის ნასყიდათ დამიცსო და მე საქმე აღარა მექნება რა ამ კაცებთანაო.

ვადა გავიდა, არც თეთრი მომცა, რომ მოვალისთვის მიგვეცაო და არც კაცნიო. ამ ხანში მოგცემო, ის ხანიც გასულა, წელიწადნახევარი მეტი გასულა.

ახლა კიდევ ათი დღე ვადა დაგვიდ[ვ]ია. ამ ათს დღეზე ან თეთრი მისცეს ზაალმან, ან ის მოვალე [V] მოაშოროს ამ ობლებს. და თუ ამ ვადაზე არც თეთრი მისცა და არც ის მოვალე მოაშორა, ის კაცნი ზაალის ხელწერილისაებრ ამ ობლებს ნასყიდათ დარჩებიან. და ამ ობლებმან თავეთს მოვალეს პასუხი გასცენ.

რომელიც ამათის მოასილნი ხართ, ეს ასე აღასრულეთ. დეკემბრის **იშ**, ქორონიკონს **უოვ**.

828. არზა იაკოფ ვარდუაშვილისა ყმობის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1788 წ. 20 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 1971. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან მისის სიმაღლის ჯელმწიფე-დედოფლის ჰირი შიოღვმვეის ეკლესიის ყმას ვარდუაშვილის ბერუას შვილს იაკოფს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებთ მათს სიმაღლეს. მამაჩემი ლეკებში დაკარგულა და ახალქალაქელს კაცს ხუთს თუმნათ დაუხსნია. და რამოდენიმე ხანი გამოსულა. მასუკან იასაული დაუყენებია იმ ახალქალაქელს კაცს და თავისი თეთრი უთხოვნია. ამდგარა, სამი თუმანი და რვა მინალთუნი მიუცია და თორმეტი მინალთუნი დარჩომილა.

იმ დროს დავით ხითარაშვილი დასწრებია იქა და იმას შეხვეწია: ეს თორმეტი მინალთუნი გადამიწყვიტეო და ერთს წელიწადს გემსახურებიო. იმასაც თორმეტი მინალთუნი მიუცია და ის ნასყიდობის სიგელი გამოურთმევია და გირაოთ მიუცია; და დარჩომილა რამდენიმე ხანი მამაჩემი იმასთან და შაღაათით ყოფილა და უცხოვრია. და ახლა ყმობით დაგვიწყო დავა და ჯანდაგისშვილის ქალის ნიშანში აძლევს ჩემს თავს.

მისს უმაღლესობას ბატონს არზი მივართვით ჩვენი საჩივარი მოვახსენეთ. ბატონმა ოქმი გვიბოძა, მორდალი იასე — იას[ა]ულათ, ხელი აუმართეს ჩვენზედ და ეკლესიას მიგვცეს. და თუ სიტყვა ჰქონდა რამე, სამართალში უნდა გამყოლოდა. არც ბატონთან მოსულა სამართალში.

მერე თავი ვაწყინე ბატონს; თქვენს შვილს გიორგიზე ოქმი მიბოძა; ახალგორს ბძანდებოდა. თქვენმა შვილმა გიორგიმ იმაზედ ოქმი მიბოძა: მანდ შენთან ალაპარაკე და ჰეშმარიტი სამართალი მიეცო. არც იმის სამართალში რომ ველარ ნოვრჩი, ავიყარე და თელავს წაველ და იქიდამ ვემსახურებოდი ეკლესიას.

ახლა ხანი რომ გამოვიდა, კიდევ ეჩივლა თქვენს შვილს გიორგისთან. იას[ა]ული აეყვანა, მოვიდა და ჩამომიყვანა აქ. ლაპარაკი რომ დავაპირეთ, თქვენმა შვილმა მოწმობა მომთხოვა, იმის ჩამოსატანათ იას[ა]ულს გავყევ, მოწმობა მოვიტანე.

ახლა კიდევ თქვენს სიმაღლესთან უჩივლია და ოქმი გიბოძებიათ: სამართალს ჩვენ გიზამთო, ჩვენთან ილაპარაკეთო. სამი წელიწადია რომ მტანჯავს; არც სამართალში მამდევს და არც ჯელს იღებს. ახლა კიდე შინ წასულა. ჩე სამართალს არ ვექცევი, უსამართლობას ვექცევი.

ღმერთი პატიოსანს შვილებს გიცოცხლებთ, დამაქცივა, უსამართლოთ მეჭიდება. ოქმებიც მამირთმევია და მოწმობაც, სამართალი მალირსეთ. მარტო იას[ა]ულის სვლით დამაქცივა. დეკემბრის **იზ,** ქორონიკონს **უოვ.**

თავში

ქ. ბოქოულთხუცესო პაპუავ! ამ არზის პატრონს ასე რომ მიუხსენებია, ამათს სამართალში ჩვენთან უნდა დაესწრონენ: მისი უწმინდესობა ჩვენი შვილი კათალიკოზი, ჩვენი შვილი გიორგი და მდივანბეგები. უნდა ჟამზედ ესენი ჩვენთან შეიყარონენ და ამათის ჩვენთან დასწრებით უნდა ამათი სამართალი ჩვენთან გარდასწყდეს. დეკემბერს **კ,** ქორონიკონს **უოვ.**

ქ. ეს უნდა ორთავ შეატყო[ბი]ნო, რომ სამართლამდის არსად წავიდნენ, აქ იყვნენ; თორემ რომელიც წავა, სიმტყუენე თავს დაედება.

დედოფალი დარეჯან

829. არზა ოთარ ამილახვრისა გამოსაღების თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 4 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1342. დედანი. ქაღალდი. 29,6×14,4 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ოქმის ქორონიკონი მცდარი უნდა იყოს.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ამილახვარს ოთარს და ერასტის.

მერმე ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს. ტირიფონაში ერთი საკუთარი სოფელი გვაქვს, სახელად ორჭოშენი ეწოდება. იმას აშენებას უპირებთ თქვენის დოვლათითა, კოშკი მზა არის, და სხვა რაც აკლია, თქვენის ბედნიერობით იმასაც გავაკეთებთ.

ამას გევედრებით, რომ ვინც იქ დადგეს, პატარა ხანს შეღავათი და მოწყალება დაემართოს. მგონია, რომ მგზავრისა და ქვეყნისაც შესამატი იყოს; და ნება თქვენი აღსრულდეს. იანვარს **დ,** ქორონიკონს **უოზ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ამ არზით ამილახვარს ოთარს და ამილახვრიშვილს ერასტის, რომ ასე მოუხსენებიათ, ვინც ორჭოშანში მიხვალთ და დასდგებით, ამ ორს წელიწადს თქვენთვის სითარხნე

შოგვიცია, რომ თქვენ არაფერი არა გეთხოვებათ რა. იანვრის **თ,** ქორონიკონს **უოჱ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

830. არზა ბეჟან რატიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 10 იანვარი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 170. ბირი. ქალაღდი. მხედრული.

[117] ღმერთმან უკეთილმსახურესის და უმაღლესის მეფის ჭირი მოსცეს მათს მონას ბეჟანს რატიშვილს.

მერე ამას მოვახსენებ მათს უმაღლესობას. მერე ჩემს განაყოფს ჩემი ყმა და მამული ისევ ამას უჭირავს. ორი ოქმი გიბოძებია და იასაული მოვიდა და ჯელი ამიმართა და მომაბარა. ჩემ[მ]ა განაყოფმა ისევ წამართო, ჩემი კაცები — ტატუნაშვილები იმას ჯელში უჭირავს, ჩემი სამკვიდრო სასახლე უჭირავს და კიდეც ნასყიდი სასახლე და ბაღი და გარეშემო ჯელში და მამულები უჭირავს და არას მაძლევს.

მე კი თავი ვერ მიწყენია თქვენთვინ, ამის გულისთვინ რომ მუდამ მოუცლელი ბძანდებით და მის გულისათვინ დავრჩი. რაც რომ მე იმისგნით ჭირი მჭირს, არა ქვრივს დედაკაცს არ დაემართება ის ამბავი, მე კი მრცხვენიან და თქვენთვინ ვერ მომიხსენებია.

და თუ თქვენ[ი] უმაღლესობის ნება იქნება, მუხრანბატონს რომ ებძანოს ჩვენი სამართალი, კარგი იქნება. ჩემზე თვალი და ყურიც უჭირავს. თუ ერთს ტყუვილს მოგახსენებდე, სულ მტყუანი ეყოფილვარ. [V] იანვრის **დ,** ქორონიკონს **უოჱ.**

თავში

[116 V] ბატონო სალთხუცესო მუხრანის ბატონო იოანე! ეს რატიშვილი ბეჟან, რომ ამ არზით[1] თავის განაყოფს ასე უჩივის, ამათი სამართალი თქვენთვის დაგვიდვია, თქვენ უყავით სამართალი. რომელიც თავისის ბიძის ზურაბის მამული ბატონის მამის ჩვენისაგან და ჩვენგან წყალობათა სჭირს და ამის განაყოფს შალვას უჭირავს, კაცებზე ჩივის და ან ნასყიდობა ჰქონდეს — სასახლე ნასყიდი თუ სამკვიდრო — სამართლიანის გზით ამ ბეჟანს უბოძე.

[1] + რომ.

და სხვას რასაც დაობდენ, სამართალი უყავ იმაზედ, ამ ბეჟანს ნუღარ აჩიელებ, გაურიგე სამართლიანის საქმით. ჩვენს წყალობასთან და ამის ბიძის მამულთან შალვას რა საქმე აქვს. რომელიც ტყუოდეს, ავად მოეპყარ და ისე გააშველე. ეგ შალვა მუდამ ამას ნუ აწუხებს. იანვრის **ი,** ქორონიკონს **უოჱ.**

თუ აღარ იქნას, ჩვენს სამართალში მოვიდნენ, მაგრამ რომელიც გამტყუნდება, გარდავახდევინებთ. [ ]

831. წიგნი გაბრიელ ყაზიბეგიშვილისა თაგაურების არზის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 12 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4021. დედანი. ქალაღდი. 23,5×20,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორ წერტილ. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი ყაზიბეგისშვილს გაბრიელს მოსცეს.

თქვენის ბძანებით თაგაურებში გახლდით და თქვენი ბძანება მიუტანე და ქარავნის[1] გამ[ვ]ება უთხარ. და არზა გა[ა]ხლესთ; და რაც ამათი საჩივარი იყო, არზით მოგახსენესთ. და ეს თავისი კაცი გა[ა]ხლესთ და ამის პასუხს მოელიან; მანამდი ქარავნებს არ უმ-ვებენ. იანვრის **ზ,** ქორონიკონს **უოჱ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ყაზიბეგისშვილო გაბრიელ! მერმე თაგაურებს ჩვენთვის არზი მოეწერათ, მოგვივიდა. ჯანალდის ტყვის თეთრს[2], თექვსმეტი თუმანი, ყალუაშვილი გოგია მოგიტანს და მიეცით.

მოხელის ცხენის აყვანისა რომ მოუწერიათ, ჩვენ ხომ არ ვიცით, შაგათი გზა ჩვენთან ყოველთვის ხსნილი არის. როდესაც მთა გაიხსნას, ჯანალდის შვილი ჩვენთან მოვიდეს, ედაოს და ჩვენ სამართალს მივცემთ

ეგ ქარვანები, აქედამაც წამსვლელი და იქიდამაც მამსვლელი, არ დასძრა, მანამდისინ შენ ხათრიჯამი არ შეიქნა და მძევლები არ გამოართვა. ამაზე დიდად ბეჯითად უნდა მოიქცე. იანვრის **იბ,** ქორონიკონს **უოჱ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] ქარვანის. [2] თეთრი.

832. არზა დემეტრე ველაძისა გამოსალეხის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1789 წ. 24 იანვარი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1391. დედანი. ქაღალდი. 26,1×12,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფე-დედოფლის ჭირი მოსცეს ველისციხელს ვ ე ლ ა ძ ე დ ე მ ე ტ რ ე ს ა.

ჩემო მოწყალევ, ს ა ნ ა ვ ა რ დ ო ს რომ აშენებდით, იმ ჟამში ტყეში გახლდი და ხესა ვჭრიდი. ერთი ხე ფეხზედ დამეცა. მას აქათა სამი წელიწადია დედამიწის ტყვეთ გახლავარ.

სოფლის საცოდავი შევიქენ. მეზობლები სამადლოთ მინახავენ. ასე თქვენი მტერი დაღონდეს, როგორათაც მე დაღონებული გახლავარ, მარტოხელი, უსაქონლო და უქმაგო. ერთი უძლური და დაშავებული ქაცი გახლავარ.

ახლა ნაცვალი მამდგომია, კულუხსა და კოდისპურსა მთხოვს და შარშანწინანდელს კულუხსაც მედავება და ორ [ა]ბაზსაც სა-[ქ]ომლოსაც მთხოვს. მე ამე[ე]ბის შეძლება არა მაქვს. ვედრებით მოგახსენებთ, რომ ამ სათხოვარს მამარჩინოთ.

ღმერთი გადღეგ[რ]ძელებს. და თუ ბძანებთ, თქვენცა მნახეთ თუ დაშავებული არ გახლდე. იანვრის **კდ**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ქ. ვ ე ლ ი ს ც ი ხ ი ს მ ო უ რ ა ო ს ვ ი მ ო ნ და ნაცვალო! მერმე ამ არზის პატრონი ჩვენის თვალით ვნახეთ, რომ ფეხი მოტეხილი აქვს და მაშინდელს აქეთ დაშავებულიც არის. რაც ამაზედ გავლილის წლისა კულუხი და კოდისპური არის დარჩომილი, ისიც გვიპატივებია. და წრევანდელი კულუხი, კოდისპური და საკლავის ფასიც გვიპატივებია, ნუ გამოარმევთ.

ამ ოქმს ჩვენი მოხელენი ანგარიშ[შ]ი ჩაგიგდებენ. იანვრის **კდ**, ქორონიკონს **უოზ**.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

833. არზა წინამძღვარ თეოდოსისა სამართლის მიცემაზე დარეჯან II-ის ოქმით

1789 წ. 28 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 440. დედანი. ქაღალდი. 25,3×15,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე. ოქმის ქორონიკონი მცდარი უნდა იყოს.

ქ. ღმერთმან მისის უმაღლესობის ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მომცეს დავითგარესჯის წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ს თ ე ო დ ო ს ი ს.

ამდენი ხანია აქ გახლავარ და თქვენს მოწყალებას უყურებ ჩ ო ბ ა ხ უ რ ი ს საქმეზედ. ტფილელის პირით გებძანათ ჩემთვის: მოიცადე, დ ა ვ ი თ მდივანიც ჩამოვა და ილაპარაკეთო. დავით მდივანიც აქ გახლავსთ, მაგრამ თქვენი სიმაღლე მოუცლელად ბძანდება. მე იმ მონასტერს ვაკლივარ. თუ რომ მოცლა იქნებოდეს, გა-[ა]ხლდები და ვილაპარაკებ. და თუ ახლა მოუცლელად ბძანდებით, დამითხოვეთ, მონასტერს მივეშველები; და როდესაც მიბძანებთ, მაშინ გიახლები. იანვარს **კბ**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ქ. უფალო წინამძღვარო თ ო მ ა ე! ამ თქვენის მოხსენების სამართალი, ღმრთის მოწყალებით, როდესაც რომ მოვიცლით, უნდა რომ გარდავწყვიტოთ. იანვრის **კბ**, ქორონიკონს **უოვ**.

ქ. ამაზე გულდაჯერებით ბძანდებოდე, რომ გარდუწყვეტელს არ დავაგდებთ, ღმრთის მოწყალებით.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მაკმობს ძენ კახეთის მეფენ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

834. არზა მეჯუარხლე გოგიასი გამოსალეხის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1789 წ. 30 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 443. დედანი. ქაღალდი. 20,3×16,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის დედოფლის ჭირი მოსცეს თქვენი მოსამს[ა]ხურეს მ ე ჯ უ რ ჯ ლ ე გ ო გ ი ა ს.

თქვენს სიმაღლეს ამას მოვახსენებ: ათის წლისა ჩინურ[ი] მოგრთმევიათ ოცდათორმეტი თუმნისა და ერთი ფული არ მომცემია. ვაკეთებ და თქვენსა და თქვენი შვილების ქარხ[ა]ნ[ა]ში მოტან[ა]ს ანგარიში არ[ა] აქვს. ვალს ვიღებ, წ[ა]მალს ვყიდულობ და წ[ა]მლის ფასიც არ მეძლევა. სამოცი თუმანი ვალი დამედო, შე ერთი ფული არ მამცემია. ეხლაც თქვენმა შვილმა ს[ა]მის თუმნისა წ[ა]იღო; თქვენი შვილები ც[ა]ლ-ც[ა]ლკე მართმევენ. ამას წინ[ა]თ კიდევ ხუთი კოდი პური გამამართვეს, ახლაც კიდევ მთხოვენ.

ღმერთი მ ე ფ ე ს ე რ ე კ ლ ე ს გიცოცხლებს და შვილებსა, ნუ დამკარგავ, შემაძლებინე თქვენი ს[ა]მს[ა]ხურიცა და ვალის პასუხის მიცემაცა. და თუ თქვენგან შებრალება არ მეღირსა, დაკარგვის მეტი [ილ]აჯი არა მაქვს და ნება თქვენის უმაღლესობისა იყოს.

თავში

ქ. დედოფალი დარეჯან გიბრძანებთ, რომელიც ახლა შეწერილის სურსათის იასაულნი ხართ! ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, თუ ამისი მოხსენებული ჭეშმარიტი არის და ბატონის სარჭაროში ამდენი ჰურჭელი დაუბარჯავთ და ფასი არ მისცემია, მდივანს იოსებს ჰკითხეთ, იმას კარგად ეცოდინება. თუ სარჭაროში მართლა ამდენი დანახარჯი აქვს და ვალის პატრონიც არის, ამას არ ეთხოება, კელი აიღევით ხუთ კოდს პურზედ, ნუ სთხოვთ[1]. იანვრის **ლ,** ქორონიკონს **უოზ.**

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

835. არზა ზაქარია ქალმახელიძისა და შოშია მჩითავისა ვალის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1780 წ. 12 მარტი

ცსსა. ფონდი. 1450. დავთარი № 38. საბუთი № 225. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[167] ღმერთმან მეფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს დირბელს ქრისტეს საფლავის ყმას ქალმახელიძე ზაქარიას და სარდლის ყმას შოშია მჩითავს.

მერე ამას გევედრებით, რომ ლუა მაჩაბლის ურიას საქონელი მივყიდეთ, ოცდაოთხი მინალთუნი თავნი არის და თორმეტი მინალთუნი სარგებელი არის. და ახლა აღარას გვაძლევენ. ფარსადანის კაცი ლუას კაცზედ მიშვერს ხელს და ლუას კაცი ფარსადანზედ მიშვერს ხელსა.

ამდენი თქვენი წყალობა იყოს, რომ მაჩაბელს ფარსადანზედ და ლუაზედ ერთი ოქმი გვიბოძოთ, რომ ჩვენი საქონელი არ დაგვეწვას, გაგვისამართლონ და მოგვცენ. მარტის **იბ,** ქორონიკონს **უოზ.**

თავში

ბატონიშვილის გიორგის სიკეთით სახსოვარო მაჩაბელო ფარსადან და მაჩაბელო ლუარსაბ, მერე ამ არზის პატრონნი ასე რომ ჩვიან, თქვენს კაცებს რაც ამათი ემართოსთ, თავნი და სარგებელი უკლებრივ გაურიგეთ, გამოურთვით და მიეცით, რომ ამათ ჩვენთან ნუღარ აჩივლებთ. მარტის **იბ,** ქორონიკონს **უოზ.**

[1] სთხოვსთ.

836. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1780 წ. 19 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 443. დედანი. ქაღალდი. 22×10,5 სმ. მხედრული. განცვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩემის ხემწიფის დედოფლის ჭირი მოსცეს დავითიშვილს ზაალს.

მერმე ამას მოვახსენებ: აწყუარს ჩემი კაცი გახლამსთ ხუციშვილი გიორგი, იქ ბიძა გიორგის ეძახიან. მის უმაღლესობას მოვახსენე, ოქმი მიბოძა ზუა საგინაშვილზე: თუ სიტყვა არა აქვს რა, აუყარე და მოაბარეო. ის კაცი აქ სამართალში გამოეგზავნა. თქვენთანაც ვილაპარაკეთ, სამართალში გახლდით; მე ავათ გავხდი, ამდენი ხანი ავათ ვიყავ, ის კაცი შინ წავიდა.

ახლა ამას ვევედრები თქვენს მოწყალებას: ერთი ოქმი ზუა საგინაშვილზე მიბოძეთ, თუ სიტყვა აქვს რამე, ჩამოვიდეს, მელაპარაკოს; თუ არა, ამიყაროს ჩემი კაცი, მამცეს, მისის უმაღლესობის ოქმიც ასე მქონდა. ღმერთი გადღეგრძელებს, ამისი წყალობა მიყაენით. მარტის **იწ,** ქორონიკონს **უოზ.**

თავში

ქ. დედოფალი დარეჯან გიბძანებთ ზუა საგინაშვილო! რადგან ამ ზაალ დავითისშვილის კაცის აყრის ოქმი მისის უმაღლესობის ბატონისაგან შენზედ ყოფილა ბძანება, როგორც იმ ოქმში უცხადებდეს, ეგ კაცი აუყარე და მოაბარე. და თუ ერთი რამ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, ახლავ აქ ჩამოვიდეს და სამართალში ელაპარაკოს; აუყარე და მოაბარე. თუ სიტყვა აქვს, მასუკან სამართალში ელაპარაკოს. მარტის **ით,** ქორონიკონს **უოზ.**

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

837. არზა გეჟან ზანდუკელისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 27 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 29. საბუთი № 65. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[85] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ზანდუკელს ბეჟანს.

მერე ამას მოვახსენებ ჩვენს მოწყალეს. ჩემს ყმას თქვენთან

უჩიელია, ის კაცი მკვიდრი ჩემი ყმა იყო, მერე დაიკარგა და ისრევ ჩემთან [V] მოვიდა. ეს თორმეტი წელიწადია რომ ჩემთან გახლამთ. ახლა თქვენთვის მოუხსენებია — იმისი ყმა არა ვარ. თქვენს შვილს ვახტანგთანაც მიჩივლა, მაგრამ სამართლით მე დამრჩა. განაჩენიც მაქვს. ვინც ის დაიხსნ[ა], ისიც ჩემი ყმა გახლამთ, სიტყვ[ა] არა აქვს რა, ჩემი ალალი ყმა გახლამთ. მარტის **კზ**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! მერმე რადგანც ის კაცი უწინაც შენი მკვიდრი ყმა ყოფილა და ტყეობიდამ რომ მოსულა, მაშინც შენთან მოსულა და გყმობია, რომ თვითან აღიარა თავისის პირით, ჩვენთან — ტყეობიდამ მოსული ექვსი წელიწადი ამას მოუველო, სამართალი შენ იმას ველარ წაგართმევდა.

და რადგანც ამ სამართლით ჩვენს შვილს ალმასხანს შენთვისვე დაენებებინა, ის კაცი ჩვენის სამართლითაც შენ დაგრჩა და შენთვისვე გვიბოძებია, მაგრამ შენ რომ ჩვენთან ოთხის დღის მიწა და ერთი კვალი ვენახი აღუთქვი, ის კი უნდა მისცე და რიგიანის ბატონყმობით იმსახურო. მარტს **კზ**, ქორონიკონს **უოზ**.

უსამართლო არა უყო რა. [ ]

838. არზა სულხან ხიმშიაშვილისა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმიდ

1789 წ. 18 აპრილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6754. დედანი. ქაღალდი. 21,6×17,2 სმ. მხედრული. განკეთილობის ბიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი მოსცეს სულხან ხიმშიაშვილს.

მერე ჩემო მოწყალეო, ამდენი ხანია მე ჩემი შვილებით მუდამ თავს გაწყენ, მაგრამ მე და ჩემი სახლისკაცნი ვერ მოვრიგდით. ამდენი თქვენი მოწყალება დამემართოს, რომა როგორც თქვენს ნაბოძარს ოქმებში და განაჩე[ნ]ში გებძანებინოსთ, რომ ბულაჩაურის მამულის მაგიერი მამული გვიჩვენონ და ისე უნდა შემოეფიცნათ თომას, რომა თქვენი ბძანება ჰქონდა და იქ გიახლათ. თუ რომა იმ ბულაჩაურის მაგიერი მამული მეუჭირა, მაშ ბარათები რათ ჩაყარეს და ხელმეორეთ რაღათ ყოფდენ.

ახლა ასე მოგახსენებენ: ამ ბულაჩაურის[1] მაგიერს მამულს ვერ გიჩვენებთო და ასე შემოგფიცავთო, რომა მამაჩვენისა სჯერიაო და იმას დავიფიცავთო, იმის მამას მძლავრობით სჭერია. და ჩემო მოწყალეო, იმითი მამას რომა მძლავრობით სჭეროდეს, იმისთვის თქვენის მამა-პაპის ნაწყალობევი სიგელი რათ უნდა გატყდეს.

მარტო ამისთვის არ მოგახსენებ, თუ რომა ამაზე ეს წყალობის წიგნი გამიტყდა, სხვა მამული და ყმაც დამეკარგება. ამდენი თქვენი მოწყალება დამემართოს, რომ ასეთი ოქმი და იასაული მებოძოს, რომ არც იმისკენ იყოს მიწეული და არც ჩვენკენ. როგორც თქვენი ბძანება იყოს, ის[ე] მოგვარიგოს თქვენად სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად. აპრილის **ი**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ეშიკაღასბაშო გარსევან! ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, ამაზე ერთი ბეჯითი იასაული უნდა აჩინო, რომ ამისმა სახლისკაცებმა ჯერ ბულაჩაურის სამაგიერო მამული აჩვენონ, რომ ამ სულხანს ეჭიროს.

მაგრამ ორი-სამი მუხტაბარი მამულის მცოდნე კაცი უნდა დაისწრან, რომ იმ ბულაჩაურის ზომა მამული ამ სულხანს ეჭიროს. მაგრამ ის დამსწრე კაცნი ამათი არც ერთის ყმანი არ უნდა იყვნენ, ან საკათალიკოზო უნდა იყოს და ან მიწობლი ძისა. და ისე გული აჯერონ, რომ რაც იმათ ბულაჩაურში ეჭიროს, იმოდენი ამათა ჰქონდესთ. და მასუკან როგორადაც ჩვენს განაჩენში უცხადებდეს, ისე შემოუაროონ და შემოჰფიცონ.

ამაზე ბეჯითი იასაული უნდა მისცე, რომ ეს ასე აღასრულოს. და რომელიც ამას ასე არ დასჯერდება, მტყუანი ის იქნება. თუ ასე არ ა[ა]თავეს ღონენამა, დავითმა და ბერუკამ, მტყუანნი ისინი იქნებიან. და თუ საფარდოც უჩვენეს და კიდეც შემოჰფიცეს, მაშინ მართალნი იქნებიან. აპრილის **იგ**, ქორონიკონს **უოზ**.

ქ. როგორც ჩვენს განაჩენში სწერია, იმაზედ ერთი ბეწვი მეტი და ნაკლები არ უნდა იყოს. ეს განაჩენთ არ არის, ოქმი არის, რაც ძალი იმ განაჩენში ძევს, ისე უნდა მოხდეს, მეტ-ნაკლებობა არ იქნება.

ბუჯედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] ბულაშაურის.

839. არზა იოსებ ციხისთვისშვილისა ვალის თაობაზე ალექსანდრე ბატონიშვილის ოქმით

1789 წ. 8 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11065. დედანი. ქაღალდი. 22,3×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის ალექსანდრეს ჰირი მოსცეს თქვენს ყმას ფშაველს ციხისთვის შვილს იოსებს.

მე და ჩემი მამინაცვალი შევიყარენით, როიცა თავს მოვესწარ და მამულის გაკეთება შევიძელ, გავიყარენით. ვალი დარჩა ჩვენი გასაყოფი ოცდათექვსმეტი თუმანი. არცკი ვიცოდი, იმ ჩემს მამინაცვალს როგორ აეღო და რაზედ დაეხარჯა.

ჯარდან ემ[ი]კალაბაშთანა და სოფლის მეცნიერ კაცთან ვილაპარაკეთ. ოცი თუმანი ჩემს მამინაცვალს დარჩა და თექვსმეტი თუმანი მე გადმიწყვეტია და ოცი თუმანი ჩემს მამინაცვალს უნდა გადაეწყვიტა. მე იმის ვალთან საქმე აღარა მაქვს რა. ის თქვენის ჰირის სანაცვლო შეიქნა.

და ახლა მამდგომია ქავთარა თუში და მე მთხოვს. მე ლაშქარ გახლდი, ჩემი დედა მოეკლა ცემითა; ჩემის სახლობისათვისაც მრავალი ეგრინებინა და სარის ნამტვრებიც ბევრი ესროლა და ეწვია. ჩემს თამასუქში შენი შვილიც ეწერაო. ის თამასუქი ოტია მდივანბეგს ქონდა, დაიკარგა. იქ ჯარდანის ცოლს აწუხებს, მე ეს მიყო და ახლა კიდევ ჩემს სახლისკაცს ციხისთვის შვილს ოთხის თუმნის ცხენი მოსტაცა და წაიყვანა.

მართალია, ერთათ რომ ვიყავით, რაც ვალი გვემართა თამასუქში ერთად ვეწერენით და როიცა გავიყარენით, თამასუქები გავყავით და ვალი, და ერთმანეთის თამასუქებში ორნივ ვეწერენით. მასუკან ამგვარი მოვალე ბევრი მედავა, მაგრამ ჯელმწიფე მამათქვენმა ოქმი მიბოძა, რომ ჩემთან ჯელი არავისა აქვს. გაყრილობის წიგნიც აქ გახლავს და ბატონის ოქმიცა.

გევედრები, თუშ მოურავზედ ერთი ბეჯითი ოქმი მიბოძოთ, რომ ის ცხენი არ დაეკარგოს, უსამართლოთ ჩვენ დავისჯებით. ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის **ც**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ქ. ბატონო თუშთ მოურაო! ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ამას სამართალი თქვენ უყავით. თუ მანდ ვერ გა[ა]რიგო, აქ ჩვენს სამართალში გამოგზავნე. მაისის **ც**, ქორონიკონს **უოზ**. ალექს ანდრე

ქ. რადგან ესე და ამის მამა გაყრილნი ყოფილა და ამას იმის ვალი[ს] საქმე არა ქონია რა, რომ ბატონის განაჩენები და ოქმები აქვს და გაყრის წიგნიც ხელთ აქვს, ამას რას ემართლება, რომ სთხოვს, მოაშორეთ ეგ თუში. ალექს ანდრე

თუ სიტყვა არა ქონდეს რა, ახლავ გამოურთვიით. ალექს ანდრე

840. არზა მეტეხში მსახლობელთა ციხის კედლის აგების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 11 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 222. დედანი. ქაღალდი. 22×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათ მონათ ქურივთა და ობერთ მეტეხში მსახლობელთ.

მემრეთ ამას მოვახსენებთ ჩვენს ჯელმწიფეს: მოგებსენებათ ჩუენი ცხოვრება, რომ თუ არ დიდი დაჭირება, თორემ აქ მართებული კაცი ვინ დადგება და ან ვინა დგას, თითო საქათმებსა გავს ქოჯებში ვყრიკართ, დღიურათ ვრჩებით, მწარეთ უილაჯონი და გლახები.

ახლა ოქმი გიბძანებია, რომ მეტეხის ციხის კარს ზეით კედელია გადაქცეული, მეტეხელებმა უნდა ა[ა]გონო. ჩემო ჯელმწიფე, იმას ორმოც-სამოცი თუმანი ვერ ა[ა]გებს და ჩუენ სულ დავიყიდნეთ, ორმოც თუმანს არავინ პოგუცემს, წყალში თუ ჩავცუივით[1], თორემ ამისი შეძლება ვისა გუაქუს.

ღმერთი გაგიმარჯვებს და გაცოცხლებს, ამის უსამართლოს ნუ გუიზამთ, ჩუენი ცხოვრება მოიხსენე და ისე გუ[ი]ბძანე, ღმერთი შუილებს გიცოცხლებსთ. აპრილის **კვ**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ქ. მელიქო ავეტიქ! შენ უნდა გახვიდე მეტეხში, კალატოზებიც უნდა გაასხა, იმ დაქცეულს ბურჯს რაც ხარჯი მოუნდება, სწორე უნდა შეიტყო და მოგვახსენო. მაისის **ია**, ქორონიკონს **უოზ**.

შენ არა გცალიან, მიშკარბაში იოსებ წავიდეს, კალატოზები წაასხამს, სწორე შეიტყოს და მოგვახსენოს, ალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] ჩავცუთვით.

841. არზა დავით გოდგელისა ფისქვილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 18 მაისი

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 2558. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან მათის სიმაღლის ყოვლის საქართუელოს მეფის ჰირი მოსცეს მათს მარად მლოცველს ყოელად სამღუდელოს ბოდბელს დავითს.

ჩემო კელმწიფევ, ბოდბეს ცოტა რამ ადგილი ეკლესიისათვის ჰყოფილა დადებული, იმაში სომხები სახლებულან და ეკლესიისათვის უმსახურნიათ. წყეულს შაჰაბაზს რომ კახეთი წაუხდენია, ისინიც წამხდარან. იმ დღის დაწყებით ამ ადგილზე ხელი ვერვის დაუდგია, რომ ეკლესიისათვის ყოფილა დადებული. ამ ადგილში მცირე წყალი მისდენიათ იქ მოსახლეთა. და მე ამ წყლის მიზეზითა ამ ზამთარ ვიმუშავე და მცირე წისქვილი ავაბრუნე.

მივიდნენ ერთობით ხუნაანი და ქოქიანები. და ის წყალი გადაუგდეს და თავიანთ წისქვილზე მიუგდეს, რომ ის ადგილიც მიმძლავრებული აქუსთ. ბეითალმანი ყოფილა და თქუენ რომ უსუფა გხლებიათ სისტანს, ბაშინ ნეტარხსენებულს ბატონს დედოფალს დედა თქუენს უბოძებია და შემდგომ თქუენს სიმაღლესა და ონოფრი ბოდბელსაც.

და აწ თქუენის სიმაღლისაგან სამართალს ვითხოვ. თუ მე უსამართლოდ ვმძლავრე, რასათვის თქუენის სიმაღლის წინ არ გამოაცხადებს და სამართალი არ მიიღეს; მივიდნენ და თავისთავს სამართალი უყვეს. ამ ადგილზე და ამ წყალზე მოვრავმა ზაქარიამ ბეჯითად გამოიძია, სულ ბოდბე და ბოდ[ბ]ის კევი შეყარა და ჰკითხა და მათ ერთის კმით დაამტკიცეს, რომ ეს ადგილი ამ წყლითა ამ ეკლესიისთვის ყოფილა დადებულიო. განაჩენი დასწერა მოვრავმა, იმით მოიხსენეთ.

ამ წყალობას ვითხოვ: ის წყალი ისევ იმ ადგილში მივიდეს; თქუენის სიმაღლისაგან მოურავს ებძანოს; ჩუენ აქ გახლავართ და ისინიც გიახლნენ და რაც სიტყუა აქუსთ, თქუენის სიმაღლის წინ გამოაცხადონ. მაისის **ია**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ქ. ბატონო ქისიყის მოურაო ზაქარიავ, ამ არზით ყოვლად სამღვდელო ბოდბელი რომ ასე ჩივის. შენ უნდა მიხვიდე, წყალი როგორც დენილა, ისევ ისე მიაგდებინე და წისქვილი დააბრუნებინე.

და ხუნაშვილები და ქოქიანნი აქ ჩვენს სამართალში ჩამოვიდნენ და აქ ილაპარაკონ. პატარა მჭედელსაც იმ ადგილის წიგნები სადმე აქვს მიცემული და ის წიგნებიც უნდა ჩამოიტანოს, ან თითონ ჩამოიტანოს და ან იმისმა შვილმა. ეს საქმე ახლავ ასე გაარიგე. მაისის **იგ**, ქორონიკონს **უოზ**.

ბუჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

842. არზა დავით გოგიბედაშვილისა ღალის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1789 წ. 25 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8756. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 22×16,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია ერთი ან ორი ჭერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ძის გიორგის ჰირი მოსცეს გოგიბედაშვილს ყაფიჩს დავითს.

ამას მოვახსენებთ მოწყალეს: ჩვენის პაპის პაპათ დაგდებული სამკვიდრო მამული გუაჭუს ხანდაკს, ჩვენის ვენახის თავზედ გუქონებია კალო-საბზელი, გომი, საწნახელი, მისადექი და მოსადექი და ბაკი. ამ რუა-ცხრა წლამდინ არა მაგათი ჩამომავალი ჩვენს ჩამომავალთ არ ზდა[ვ]ებიან. ჯავახიანდგან პირველ ჩამოსულნი და მემკვიდრეც გახლავართ და რა სადაო ექნებოდათ ვისმე ან ჯავახიანთა და ან მაღალაანთა.

ახლა ჯავახიანდგან მაღალაშვილს სახლთხუცეს[ს] მიწა უყიდნია ჩემის მიწის სიახლოეს და ეს შენი მიწ[ა]ც ჩემი იქნებაო, ამ მიწის სიახლოეს არისო.

მოგეხსენებათ, ქვეყანა, მიწა მიწას აკრამს, მაგრამ სხუადასხუა მემკვიდრე და პატრონი ყავს. მე რომ ერთი უენო კაცი მნახეს, ერთად პირი მისცეს ორთავე ამის თაობაზედ, რომ მართმევდენ. შვილი წამოვიდა თქვენს სამართალში, დამეკარგა.

ჩემს მამულში თქვენი იასაული მეწყალობა— დავით ჯანდიერიშვილი, ახლავე ღალა აართვიო. ძნა აეღო, ჩაეტანინებინა, გაელეწა. მოხდომოდა მაღალაშვილი, თავისის ძალით გალეწილი წაერთმია. ამის მეტი საქმე არც ჯავახიშვილსა აქუს, არც მაღალაშვილსა, უენო კაცი არისო, ბატონი არას დაგდევსო, თითონ თავი არა აქუსო და რასაც უზამთ შეგრჩებაო.

თუ რომ[1] ამ ათს-თორმეტს თაობაზედ რომელიც ჯავახიშვილი სდავებია[2] რასმე მაგისი პაპის-პაპანი ჩემსა, მაგისი და[ვ]ებაც მართალი იქნება; თუ არადა, გეუდრებით ამთენის თქვენის ოქმების ბრძანებანი მამახმაროთ, რომ ერთი ასეთი იასაული მიწყალობოთ, რომ ამ ჩემ[ი]ს მამულის დაობაზედ დამხსნათ და ხელმეორეთაც არ დამკარგონ ამის დაობაზედ და დაუმარხავი და მიწამიუყრელი არ დავრჩეთ ორნი მოხუცებულნი, მოწყალეო. მაისს კე, ქორონიკონს **უოზ.**

თავში

ქ. ბატონისშვილი გიორგი გიბძანებთ ჯანდიერისშვილო დავით! მერე ეს ყაფიჩი გოგიბედაშვილი თავის მამულის ღალის წართმეას ასე რომ ჩივის, ეს თავისის მამულის ღალა შენ უნდა უკანვე გამოურთვა და მოსცე. და თუ ჰეშმარიტი სიტყვა მაღალაშვილს დავი[თთან] ჰქონდეს რამე, სამართა[ლში] მოვიდეს და ელაპარაკოს და სამართლით გასწორდნენ. მაისის კზ, ქორონიკონს **უოთ.** გიორგი

843. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

1780 წ. 9 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2900. დედანი. ქაღალდი. 22×16 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის უწმინდესობის მეფის ძის პატრიარქის ჰირი დავითიშვილს ზაალს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ მათს უწმინდესობას. ერთი ჩემი კაცი ხუციშვილი გიორგი ოქიოს გახლდათ, იქ ბიძა გიორგის ეძახიან, შარშან მისის სიმაღლისაგან ოქმი მებოძა საგინაშვილს ზუაზე: აუყარე და მოეცო; და თუ სიტყვა ქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენოს. აქ სამართალში გიახლათ ბატონთან, გავამტყუნე. მასუკან ბატონის დედოფლისათვინ არზა მიერთმია. ვერცა რა პასუხი იქიდან გამოიტა[ნა], რომ ტყუოდა. მე იმ ჟამათ ავათ გავხდი, გამეპარა.

ახლა ბატონს დედოფალს მოვახსენე, ოქმი მიბოძა ამავ საგინაშვილზე, და ის ჩემი კაცი ალავერდს ჩასულა, თავს შევსწირამო. იასაულს თქვენის მორიდებით იქ ხელი ვეღარ შეუხია. მოგებსენებათ, თავის თავათ კაცი თავს ვერ შესწირამს ეკლესიასა.

ამ წყალობას მოველით თქვენის უწმინდესობისაგან, ერთი ოქმი მებოძოს ამავ საგინაშვილს ზუაზე, როგორც ბატონის დედოფლის ოქმი აცხადებდეს, ის კაცი ამიყაროს, მომაბაროს. და თუ სიტყვა აქვს რამე, ჩამოვიდეს და სამართალში მელაპარაკოს. ღმერთი გადღეგრძელებსთ, ოქმის წყალობა მიყავით. თიბათვის ა, ქორონიკონს **უოზ.**

თავში

ქ. ყოვლისა საქართველოს პატრიარხი და ალავერდელ მიტრაპოლიტი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი გიბრძანებ საგინაშვილო ზუავ! მერმე ზაალ დავითიშვილს ერთი კომლი კაცი აყრია და ალავერდს ჩასულა. როგორც იმისის უმაღლესობის ბატონის დედოფლის ოქმი გიცხადებდეს, ეხლავ აყარე ეგ კაცი და პატრონს მოგვარე, ამიტომ რომ თავის თავათ ეკლესიას თავს ვერ შესწირავს, თუ პატრონმა არ შესწირა. ახლავე უნდა აუყაროთ და მოაბაროთ. თუ სიტყვა აქვს რამე, ჩვენ მოგვახსენოს. თიბათვის ბ, ქორონიკონს **უოზ.**

ხელრთვა: კათალიკოზი.

844. არზა ზურაბ ფალავანდიშვილისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1780 წ. 9 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 657. დედანი. ქაღალდი. 21,7×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბატონის დედოფლის ჰირი მოსცეს ფალავანდიშვილს ზურაბს.

მერმე ამას მოგახსენებ ჩემო ხემწიფევ, ღრაფი რომ გადმოვიდა პირველათ ერთი[1] ფალავანდიშვილის გიორგის გაყიდული კაცი იმათ გადმოყვა, დიცს დადგა: თქვენ რომ ქართლი ააწერინეთ, პირველ მორიგობაში არცარა შემიტყვია, არცარა მითქვამს, რომ შენ ჩემი ყმა იყავ. იასაულებს ეკითხა: ვისი ყმა ხართო. იმას ასე ეთქვა, ზურაბ ფალავანდიშვილის ყმა ვარ, ჩემ ყმათ დაეწერინებინა თავი. მას დღეს უკან თავისი ლაშქარი და თავისი

[1] თუარემ. [2] მდაებია.

[1+ფალავანდი.

ხარჯი თავს დამადევა და მაწყვეტინებს. თქვენს თავსა ვფიცამ, ხან მე ვაძლევდი იმის ხარჯსა, ხან ჩემს კაცებს ვაღებინებდი იმ წლიდამ მოკიდებული დღესაცა; ამისთვის, რომ ჩემი და იმისი ბატონყმობის წიგნი ჯელში უჭირავს, ძაღინას რომ მიველ[1], იქ მოვიდა ის კაცი, რაც შემეძლო საქონლიდამაც ჯელი აუპყარ, ამისთვის[2] რომ ხარჯსაც არ ვაძლევინებდი, რომ ან მე და ან ჩემს შვილს გამოსდეგიყო. თქვენის თავის მზემა, რასამ წამ ძაღინას მიველ მაგის გულისათვის, ქაიხოსრო ამომყვა(?), გუთნიდამ ხარი გამოუშვი და წამოიყვანა, ჩემი ნებით მივეც, რა დავთარი[3] დაიწერა, მე და ჩემი კაცები ვაძლევთ ამ კაცის ხარჯსა.

ეხლა ბატონი რომ წაბძანდა ასანსურზე, მე აქ დავიბარე, თან უნდა წამოყოლოდა, ამის მეტათ არ გამომიყვანია, მე უწყვეტდი იმის ჯარსა. თქვენთვის მოუხსენებია — მაწუხებსო. ღმერთმა თქვენის რისხვით ამო[მ]წყვიტოს, თუ მე იმისთვის ერთის ფულისა გამომერომიოს რამე, ან კაცი გამეგზავნოს, მამე რამე-თქო.

თქვენ ოქმი გიბოძებიათ, ის ოქმი არ მიჩვენა, წყალობას კითხოვ, რომ დაიბაროთ და გვალაპარაკოთ. მე რომ წამოველ, უთხარ და [ა]რ წამოვიდა. ღმერთი გადღეგრძელებსთ, დაიბარეთ და გვალაპარაკეთ. თუ ერთი საბუთი მიპოვნოს რამე, ჩემის ჯემწიფის მუხანათათ მკითხეთ. იმ ოქმს რომ ინახამს, ჩემს შვილს გაჯავრებს. ღმერთი გადღეგრძელებს, ახლავ გადამიწყვიტე ჩემო ჯემწიფე. მაისის **იდ**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ქ. ფალავანდიშვილო ზურაბ, ამ არზით შენს კაცს ასე რომ უჩივი, ღმრთით თუ ჩვენ ქართლში წამოვალთ, თქვენს სამართლის იქ გარდავსწყვედთ. და თუ ქართლში ვერ წამოვედით, როცა ჟამს დავახელებთ, აქ დაიბაარებთ იმ კაცს და სამართალს მოგცემთ. მთიბათვის **გ**, ქორონიკონს **უოზ**.

ქ. თუ შენი მოხსენებული ჭეშმარიტია და სამართალში ჭეშმარიტათ აღმოსჩნდება, ამის სამართალი მოგეცემა.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

[1] იმელ [2] აქა: ქ.თვაე [3] დათთარი.

845. არზა გიორგი პარაკაძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 7 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8285. დედანი. ქაღალდი. 33,2×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს თქვენ მარად მლოცველს პარკაძე გიორგი მღვდელს.

ამას მოვახსენებ ბედნიერს ხემწიფეს და ვეკედრები, რათა მოწყალების თვალით მომხედოთ და ჩემი ვედრება შეიწყნაროთ, თქვენის უცხოს შვილების სადღეგრძელოდ.

მე მოხუცებული ხუცესი გახლავარ და უხმარი მონა. ამისთვის ჩემს ღმასა და მამულს ნუ დაჰკარგავთ. ბედნიერო ხემწიფევ, ჩემი მამული უბრალოდ დასაკარგი არ არის. ძვირფასი გახლავართ. ღმერთი გადიდებს მიპატრონეთ და მომხედეთ.

ამილახორი ოთარ მამულებს მართმევს. შაშვებს რვა საკომლო წამართვა და ორი წელიწადია ღალა იმას მიაქვს. ორის დღის მიწა თავის მსახურს იჩქითს წაართმევინა ჰალას.

ღმერთი გაგიმარჯვებს, როდესაც დემეტრეს წილად გერგვით, სრულიად ჩემის მამა-პაპისა, რაც ყმა ან მამული მქონდა და რისაც მქონებელი გახლდი, ისე სრულებით მოგვართოთ ჩემი თავი.

ღმერთი გაგაძლიერებს, თქვენს დროში ნურავისაგან მძლავრებით ჩემი მამული მიმეღება, შენის მეფობის სამლოცველოდ მომხედე და მიპატრონე, თორემ საცა გახლავარ, იქ დგომაც აღარ შემიძლიან. თუ მამულები წამერთვა ან თქვენს სიმაღლეს რით ვმსახურო და ან ჩემი შვილები რით გამოვზარდო.

ღმერთი გაგიმარჯვებს და ღმერთი შენს ბედნიერს მეფობას მრავალჟამიერ ჰყოფს, ერთის ოქმით შემიწყალეთ, რომ ჩემი მამული დამანებოს; არც ჩემს დროში მაქვს ეს მამულები ნაშოვნი და არც იმის ამილახორობაში და ნურც მართმევს. მაისის **კდ**, ქორონიკონს **უოზ**.

ამილახორის იასესაგან ოქმი მაქვს ქაიხოსროზე: გაურჩიე თავის მამული დავთრიდამ და დაანებეო. და ქაიხოსრო ამილახორიშვილმა, რისაც მქონებელი შაშვებს მამულისა ვიყავ, დავთრიდამ მომინუსხა და მომცა. და ახლა რის სამართლით მერთმევა.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ჩემი მამული თქვენი სისხლის ფასია და

ჭუ დაჰკარგავთ უბრალოდ. მე მომიხსენებია და ნება თქვენია. მაისის **კდ**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ქ. ბატონო ამილახვარო ოთარ! ეს პარკაძე გიორგი მღვდელი რომ ასე ჩივის, ეს ხომ შენ იცი, როგორც არის აყვანილი და ან როგორც ღვთის სამართლით არის ჩვენი ნარგები და ჩვენს წილათა დგას.

ამას თავისის მამისა და პაპის მამული იესე ამილახვარის დროს არ ჩამორთმევია და იმას უწინ. და ახლა შენ თურმე ართმევ და შენი კაცი იჩქითიც თურმე ართმევს მამულსა; და ეს მართებული არ არის. ამას თავისი მამული უნდა ახლავ დაანებო. და თუ სამართლიანი სიტყვა აქვს რამე, ჩვენ მოგვახსენე და ჩვენის სამართლით დაანებიე. თუ არადა, უსამართლოდ რას ემართლები, რომ ართმევ მამულსა. ამას სიაც ხელში უჭირავს, რომ თავისი მამული გაუჩხრეკიათ ამილახვარის იესეს სიტყვით და დაუნებებიათ. და ახლა რაღა მიზეზია, რომ ართმევენ. იენისის **ზ**, ქორონიკონს **უოზ**.

ეს შეგვატყობინე და ახლავ დაანებე თავისი მამული.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

846. არზა ავთანდილ ბაბალაშვილისა ძმის თაობაზე
ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 16 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 137. ბირი. ქაღალდი. მხედრული.

[91 V] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი ბაბალაშვილს ავთანდილას მოსცეს.

ამას მოვახსენებ. ვახანელი კახიშვილი ივანე თავის ცოლითა და შვილით ლეკს წაეყვანა, სტამბოლში გაეყიდნათ. იქ ერთი თავის ოთხის წლის შვილი ხელში ჩაეგდო და ყირიმზედ გამოსულიყო, რუსეთში ჩემს ძმას დავითისთან მოსულიყო, ავათმყოფები იქ ჩემს ძმას მოევლო აქიმითა თუ სმითა და ჭამით; ვალიც მოჰყოლოდა, ისიც გარდაეწყვიტა ჩემს ძმასა და იქავ ჩემის ძმისათვის ბატონყმობის წიგნი მიეცა. ცხენი და იარაღი, გზის ხარჯი და ოსების ხარჯი ჩემს ძმას მიეცა, თავის კაცი გამოეტანებინა და აქ შინ მამგვარა და მყვანდნენ.

მერე ეს ივანე ავათ გახდა ქარისაგან. ერთი წელიწადი ასე ავად იყო, რომ ხელით ვაბრუნებდით, მრავალი წამალი მივიღე. გავისარჯე და ღმერთმან მოარჩინა, ცოლი შევრთევ. საქორწილო მივეც, საქვრივო გარდუხადე, სარჩოც მივეც და ყმათ მისა[92]ხლობს.

ახლა ქაიხოსრო აბაშიძეს[1] მდივანბეგებთან უჩივლია, ოქმი ებოძათ — სამართალში მოჰყეო. თქვენი განჩინება არის: ტყვე თავისუფალია. თოთხმეტი წელიწადია მე მყავს და ამდენი ჯაფა და ხარჯიც[2] გამიწევია. მაგრამ რადგანც არ იშლის, მდივანბეგებთან კი ვერ ველაპარაკები, დიდი კაცია და არამც ხათრი შეუნახონ.

წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი გვებოძოს, თქვენს სამართალში მელაპარაკოს, თუ სიტყვა ჰქონდეს რამე. ივნისის **ი**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის მორდალო იესევ! მერე ამ არზით ბაბალაშვილი ავთანდილ ასე რომ ჩივის, ესეცა და ამის მოდავეც ჩვენს სამართალში უნდა გამოგზავნო, სამართალი[3] ჩვენგან მიეცემა. თიბათვის **ივ**, ქორონიკონს **უოზ**.

847. არზა იუსტინე ურბნელისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1789 წ 23 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 628. დედანი. ქაღალდი. 16,5×11,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენის ყოვლად მოწყალის ხელმწიფის დედოფლის ჭირი მოსცეს მათს მარადის მლოცველს ურბნელს იუსტინეს.

რუის[ს] ერთი კომლი კაცი რევაზა თავის ნასყიდის მამულებით ჩემის ეკლესიის შეწირული ყოფილა. ის კაცი ამოწყვეტილა და ფილიპე გურამიშვილს ის ვენახი და სახლკარი გაუყიდნია, თორმეტ მინალთუნათ ბალიაშვილისათვის მიუყიდნია. თქვენმა სიმაღლემაც კარგათ იცის ეპისკოპოზს ეკლესიის მამული არ გაეყიდება.

ამ წყალობას ვითხოვ. თავის თეთრი მიმაცემინოთ და ეკლესიას

1+და. 2 ჯარჯიც. 3 სამართალში.

თავისი მამული დანებდეს. ოცი წელიწადი არის იმ მამულზე ველაპარაკები და არაფერს პასუხს მაძლევს; ხან ძალით წავართვი კულუხი და ხან კი აღარა მომცა რა. გევედრები იასაული მიბოძოთ ან დამახსნევინოს, ან კულუხი აძლიოს საყდარსა, ჩემო ხელმწიფევ. ივნისის **იბ,** ქორონიკონს **უოზ.**

მეორეს ამას მოვახსენებ თქვენს სიმაღლეს: იქავ რუისში მ ა ხ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს მამულები ჩემის ეკლესი[ი]ს საღალოებია და ა მ ი რ ა ღ ა შ ვ ი ლ მ ა იყიდა. იმის წყალობასაც ვითხოვ, მისი ღალაც ებოძოს ეკლესიას, ჩემო ხელმწიფევ.

თავში

ქ. დედოფალი დარეჯან გიბძანებს მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ო ი ო ს ე ბ ს! მერე მისი ყოვლად სამღდელოება ურბნელი ასე რომ ჩივის, შენ უნდა რუისიდამაცა და ურბნისიდამაც, რომელმანც კარგად იცოდეს ამისი საქმე, მოხუცებული კაცნიც არიან, ისინიც სულ ერთად შემოჰყარე და ურბნელთან უნდა მი[ი]ყვანო.

ესენი ალაპარაკე, კარგათ გაიკითხე. თუ რომ, როგორც ეს არზა აცხადებდეს, ასე იყოს, ვისაც ამ ეკლესი[ი]ს მამული უყიდნიათ, როგორც ეყიდოსთ, ისე და[ა]სხნევინე. თუ არადა, როგორც მაგ მამულის განწესება იყოს, ისე კულუხი მიაცემინე.

ამირალაშვილსაც რომ ასე უჩივის, იმასაც თუ ჰეშმარიტი სიტყვა არა ჰქონდეს რა, იმანაც ასე ღალა უნდა აძლიოს. და თუ ამ ორთ კაცთ ჰეშმარიტი სიტყვა ჰქონდესთ, აქ ჩვენს სამართალში ილაპარაკონ. თიბათვის **კგ,** ქორონიკონს **უოზ.**

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

848. არზა გორელებისა გამოსაღების თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 27 ივნისი

ცსსა. ბ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს პირადი ფონდი. № 1461. რველი № 14. საბუთი № 88. პირი.

[59 v] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი გორის ეამა-სახლის[ს] და გორელებს მოსცეს.

ჩვენო ჯემწიფევ, მრავალჯერ მოგვიხსენებია ჩვენი შეწუხება ამილახვარიანდგან, მაგრამ თქვენის მოუცლელობით ჩვენს საქმეს ბინა არ მიეცა.

ქ. ჩვენ და ი ე ს ე ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი ს საჩივარში სამართალიც გვებოძა და გაბაჩენიც, მაგრამ ამილახვარიანთ იქ დგომით ვერ გავიყვანედ.

ქ. ღმერთმან იმდენი თქვენი მეფობა განაძრიელოს, რამთონი მეფენი თქვენს წინ ქ ა რ თ ლ შ ი ბძანებულიყვნენ, მაგრამ არას დროს ამილახვარიანი გ ო რ შ ი არ მდგარიყვნენ და არც სასახლე ჰქონიყოთ. რამთენიმე ამილახვარი ბძანებულან, მაგრამ ეს ქვეყანა უბატონოთ ასე უსამართლოებით არ გაებეგროთ. რაც ამას ქვეით მოგვიხსენებია, ეს უდებები, თავიანთ სარგოს გარდა, გორში დგომით დაგვემართა.

ქ. პ ი რ ვ ე ლ ი, სასახლის აშენება.
ქ. მ ე ო რ ე, ახალწლის შაქარი კომლზე.
ქ. მ ე ს ა მ ე, საჩექმე შენს სახასოზე.
ქ. მ ე ო თ ხ ე, მგზავრის მოსვლა და ფეშქაშის მირთმევა.
ქ. მ ე ხ უ თ ე, კომლზე ერთი ურემი შეშის მიტანა.
ქ. მ ე ე ქ ვ ს ე, ტ ი ნ ი ს ხ ი დ ს ჩვენი გუთნის გატანა და ხვნა.
ქ. მ ე შ ვ ი დ ე, ტინისხიდს მკა, კომლზე კაცის გაყვანა.
ქ. მ ე რ ვ ე, ტინისხიდს ზვრის ბარვა კომლზე.
ქ. მ ე ც ხ რ ე, გასამყრელოს აღება თეთრისა.
ქ. მ ე ა თ ე, მესამთლების სამთლის აღება ლიტრობითა.
ქ. მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე, ქორწილის ძღვენი.
ქ. მ ე თ ო რ მ ე ტ ე, [მ]კვდრის ძღვენი.
ქ. მ ე ც ა მ ე ტ ე, ღვინის ბაჟი.
ქ. მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე, ნიგვზისა და ხილის ბაჟი.
ქ. **იე,** მოედნის მოხვნა.
ქ. **ივ,** გორელ კაცების მამულის წართმევა.
ქ. **იზ,** ჰურჭელზე ბაჟის აღება.
ქ. **იჱ,** წისქვილებიდამ ფქვილის წართმევა ქვრივისა და ობლისა.
ქ. **ით,** მუდამ ჩვენი ვენახებში და ბაღებში თარეში ამის კაცებისაგან.
ქ. **კ,** მ ე ო ც ე, მუდამ ცხენების ტაცება.
ქ. **კა,** უსამართლოებით ჯარიმის წართმევა; თუმნობით ჯარიმა თქვენია და ათისთავი იმისი, მაგრამ სრულ ეს იღებს.
ქ. **კბ,** სახასო კაცების სიგლეხის გამორთმევა და ყმათ დაჭერა.
ქ. **კგ,** ქეთხუდის ფინთის ჩადება.
ქ. **კდ,** უსამართლობით ქეთხუდის და ფარეშის ჯოხის დაკვრა.
ქ. რაც კარიდამ იასაული წამოვა, ჩვენ ჩამოგვიყენებს, საამილახვარო სოფლებს ჩვენიდამ არიგებს, ამისმა ხარჯმა ძალა გვიყო.

ქ. დემეტრეს ნახლები კაცი, ან გოგიასი, ან იესესი, საცა შესაბამი კაცი იყო, ესენი იახლა, თავისნი ხომ ახლდნენ, ამათგან მუდამ თარეში და [ა]ყალმაყალია.

ქ. ჩვენო ჯემწიფევ, რაც ამას ზეით მოგვიხსენებია, თუ ეს ზემო უდებები რომელმან მეპატრონემ მისცა, წერილიც ექნებათ, თავისთვინ რაღა გვიმსახურა.

ქ. ჩვენო მოწყალევ, ესენი რომ არა მეპატრონის დროს და არა ამილახვრის დროს არ გვდებოდეს, ამათი გორში დგომით დაგვმართებოდეს, ვალი არ გაძესთ ჩვენი სამართლისა, რომ სამართალი გვიბოძოთ?

ქ. ჩვენო ჯემწიფევ, ჩვენ ამ ორის საქმისა მოჩივარნი გახლავართ — ერთი იქ დგომისა, ერთი [60] უდებების დადებისა. თუმც თეთრები მოტაცებულ უსამართლოთ აქვს, ჯერ იმას არ ვჩივით; რომლითაც მიზეზებით ესენი დაგვმართია და გვემართება, იმაზე ვჩივით.

ქ. ორი წელიწადია თქვენის კარიდამ ქათამი და კვერცხი გვეთხოა, თქვენს სიმაღლეს მოვახსენეთ, ღმერთმან განაძლიეროს თქვენი ხემწიფობა, ოქმი გვებოძა — ჩვენ უდებს არ დაგდებთო, ხელი აგვილიაო.

ქ. ჩვენო მოწყალევ, ამთონი კალმი ზემოთი მოხსენებული უდებები ვისის ბძანებით დაგვიდევს, წერილი მოგვართვასთ, თუ დაგვდებია.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. ამ არზით გორელებს რომ ასე მოუხსენებიათ, რადგანც ეს უდებები ამილახვარის დგომით გორელებს დამართებიათ, ამილახვარის გორიდამ აუყრელობა არ იქნება. ეს მკა და კალო რომ გათავდეს, უნდა აიყაროს და გორიდამ გამოვიდეს, ჭალას ჩავიდეს და იქ თავის სამკვიდროს სასახლეში დადგეს.

ბატონო ამილახვარო ოთარ, ეს მეორეთ მოგვიწერია, ამაზე თავს ნუღარ შეიწყენ. ეს მკა და კალო რომ გათავდეს, აიყარე გორიდამ და ჭალას თქვენს სამკვიდროს სასახლეში დადექ. და გორს რაც ამილახვრების სამოურაო სდებიათ, ის ყოველთვინ უკლებლად მოგერთმევათ. და თქვენი გორიდამ აუყრელობა კი არ იქნება. თიბათვის **კზ**, ქორონიკონს **უოზ**.

ქ. ძველთაგან არა ყოფილა და რომელიც უქნელი საქმე არის, ყველა ჩემს დროში როგორ უნდა შემოვიდეს? ამაზე ლაპარაკი აღარ უნდა. ეს არც შენი სიმძულვარე არის, არც წყრომა, სიყვარულიც არის და წყალობაცა, ამგვარს შფოთებს მოგარჩინოთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჴმობს ძედ ჯახეთის მჴედ ცხებულს, ირეკლე.

849. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1764 წ. 28 ივნისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 540. დედანი. ქაღალდი. 20,6×15,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი დავითიშვილს ზაალს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ: გორს ორი კაცი მყამს ხიზანი; მოგეხსენება ბინა არსადა მაქვს, რომ მოვიყვანო, რაღაც ორიოდ კვამლი კაცი მყამს თქვენი წყალობა, იქაური სოფლებში არიან, რაც თქვენი ბძანება ჩემზე ხარჯი დაიწერება, იქიდამ იმსახურებიან. გორ[ი]ს მამასახლისი ართმევს ხარკსა, აქა დგანანო, ჩემი კაცი ჩემზე სწერია. შანქორზე რომ ბძანდებოდით, მაშინ თეთრი გამოურთმევია, ჯარში აღარ გაგზავნიო. ახლა კიდევ თითოოროლი კაცი რომ ბძანეთ ორმოცის დღის ხარჯით, იმისიც იმას გაეოურთმევია; ახლა ეს ჩემი კაცი ნარბევში არის, სამართლით რომ აკლია. და გორის მამასახლი[ს]ზე სამართალს ვითხოვ, ეს ჩემი კაცი რათ და[ა]ბრუნა, თეთრი რათ გამოართვა ან ახლა კიდევ რათ გამოართვა, მ[ე]ც გამოვართვა, იმანც ართვას[1], ხიზანმა კაცმა როგორ შესძლოს?

წყალობას ვითხოვ: ერთი ოქმი მებოძოს, სანამდი ერთს ბინას გავიჩენდე თქვენის დოვლათით, მანამდი გორელები და მამასახლისი ჩემს კაცს ხარჯში ნუ გარევენ. გორი თქვენია, იმათი ხომ არა არის, მა სადა მოვიყვანო ჩემი კაცი, რომ თქვენს ალაგში ვერ დავხიზნო, მე ხომ ბინა და ალაგი არსადა მაქვს. ღმერთი გაგიმარჯვებს. ამისი წყალობა მიყავით. ივნისის **კვ**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის გორის მამასახლისო და გორელებო! მერმე ამ არზით ეს ზაალი ასე რომ ჩივის, ამის კაცთან თქვენ რა საქმე გაქვსთ, რომ ან ხარჯში რევთ და ან ბეგარაში. ის კაცნი ამაზედ სწერიან და თუ რამ გამოსაღები შეეწერება[2], თავეთ ბატონის ყმებთან გამოიღებენ. ივნის[ს] **კთ**, ქორონიკონს **უოზ**.

ქ. მამასახლისო! ლაშქრიდამ რომ ის ამისი კაცი[3] დაგიბრუნებია და ხარჯი გამოგირთმევია და ახლა კი ირბევა, ამისი სამართალი **შენ** უნდა მოსცე.

---

[1] +ვ ცა. [2] +რამე. [3] +კაცი.

პეტრე ხალვათხანის ეშიკასბაშო! ესენი სამართალში შენ მიიასხი და რაც სამართალმა განუჩინოსთ, ისრე აღასრულე.

მამასახლისო, ამაში თუ სიტყვა გქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენე. მაგრამ თუ უბრალოდ ლაპარაკი დაიწყევ და გამტყუნდი, შენ გადაგხდება.

ბეჭედი: ქნარა მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

850. არზა წინამძღვარ თეოდოსისა ცხენის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1788 წ. 30 ივნისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1454. დედანი. ქაღალდი. 16,3×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ხახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის კემწიფის ჰირი მო[ს]ცეს მათს მლოცველს წინამღვარს თ ე ო დ ო ს ი ს.

ამას მოვახსენებ თქვენს სიმაღლეს, ერთი კვიცი ვიყიდე ჩემის კონდაკით მოგებულის თეთრით.

ვითხოვ თქვენის მოწყალებისაგან: ერთი ოქმი მიბოძო ნინოწმიდელზედ რომ მომცეს, ბოდბელს მივაბარო; მანამ ჩვენი საქმე გადასწყდებოდეს, ის შემინახავს.

ერთი ბერიკაცი გახლავარ, სულ ხომ აქ ვერ გახლდები. ან იქით წავალთ სადმე, ან აქეთ. ქვეითს ხომ არ შემიძლია სიარული. ღმერთსა ვფიცავ და თქვენს თავსა, ჩემის თეთრით მიყიდია.

ახლავ მიბოძეთ ოქმი, რომ ბოდბელი მივა, ამას გავატანო. ნუ უზამთ ჩემს სიბერესა, რომ არ მიბოძოთ. ჩემო მოწყალევ კემწიფევ. ივნის[ის] **ლ, [ქორონიკონს] უოზ.**

მონასტრისათვის ცხენებიც არის და ჯორიც. ის მოიჯმარონ.

თაეში

ქ. ყოვლად სამ[ღ]ვდელოვ, უფალო ნ ი ნ ო წ მ ი დ ე ლ ო ი ო ა ნ ე, ამ არზით წინამძღვარს თეოდოს[1] რომ ასე მოუხსენებია, ვინც ამისი კაცი მოვიდეს, ეგ თავისი ცხენი მოეცით. თიბათვის **ლ, ქორონიკონს უოზ.**

ახლა მოეცით. და თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს, მასუკან ელაპარაკოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

[1] თადეოს.

ქ. მოგვებარა ჩვენ, ბ ო დ ბ ე ლ ს დ ა ვ ი [თ] ს თომა წინამძღვრისა ცხენი, მისის ყოვლად სამღვდე[ლ]ოს ნინოწმიდლის ი[ოა]ნესგან, თავისის აკაზმულობითა და ჩულითა. ივლისს თ, ქორონიკონს **უოზ.**

ხელრთვა: დ ა ვ ი თ.

851. არზა გოგია ნასახჩიბაშის ნაიბისა ეძის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 2 ივლისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 36. საბუთი № 271. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[176 V] ღმერთმან მისის სიმაღლის ბედნიერის კელმწიფის ჰირი მომცეს მათს მონას გ ო გ ი ა ნასალჩიბაშის ნაიბს.

კურთხეულს დედოფალს ა ნ ა ხ ა ნ უ მ ს ერთი ოსიაურელი კაცი ახლდა ს ა დ ა ღ ა შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ ა და თქვენ ოქმი გიბოძებიათ, რომ ამას ხარჯში ნუ გარევთო. აქამდინ, რადგან თქვენს დიდებულს კარზედ მსახურად იყო, არც მე მქონდა სიტყვა და არც იმის მეზობელთა.

ახლა რადგან არც თვით კელმწიფე ხართ თარხნობაში და არცავინ სხვანი თქვენნი მონანი, ოქმის წყალობას ვითხოვ, რომ ახლა თავის მეზობელთან და თავის ქვეყნის კაცთან ისიც გაისარჯოს ქვეყნის სამსახურში. ის კაცი წმინ[დ]ის დავითის ყმა არის. ღმერთს შემდგომად სიცოცხლეც თქვენი წყალობა მაქვს — ის ეკლესიაც და ის მამულიცა. აპრილის **ივ, ქორონიკონს უოზ.**

თაეში

[176] ჩვენი ბძანება არის ნასალჩიბაშის ნაიბო გ ი ო რ გ ი! მერე ამ არზით რომ ასე მოგიხსენებია, ო ს ი ა უ რ ი სოფელი შენი არის, ჩემგან წყალობად ბოძებული. და იქიდამ ერთი კაცი — სადაღაშვილი დავითა ბატონს ანახანუმს დედოფალს ახლდა და ამისის მიზეზით ის სადაღაშვილი დავითა ჩვენგან სოფლის ხარჯიდამ გათარხნებული იყო. და ახლა ბატონი დედოფალი ანახანუმც მიიცვალა. და ის სადაღაშვილი დავითა შენი ყმა არის და თავის მეზობლებთან ხარჯსა და ბეგარაში ყველაში უნდა გაერიოს თავისის შეძლებითა. [მ]კათათვის **ბ, ქორონიკონს უოზ.**

ქ. თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, მოგახსენებს. მაგრამ თუ სიტყვა

არა ჰქონდეს რა, ნუ ილაპარაკებს და ნუ ალაპარაკებს და ნუ ილაპარაკებ. 

ქ. ეს სადაღაშვილი, ჯიმშერიშვილო იოანე, ამ გოგია ნასახჩიბაშის ნაიბს მოაბარე, ამისი ყმა არის, და ამას უნდა რიგიანად ბატონყმურად მსახუროს. ქრისტიშობის იე, ქორონიკონს **უოზ.** 

852. არზა დავით გოგიბაშვილისა ყმის თაობაზე დავით გაბონიშვილის ოქმით

1781 წ. 3 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 656. დედანი. ქაღალდი. 20,6×12,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბატონიშვილის დავითის ჰირი გოგიბაშვილს დავითს მოსცეს.

მერე ჩემი მოხსენება ეს არის: მამა და დედა რომ მომიკვდენ და თქვენის ჰირის სანაცვლო გახდნენ, მე მაშინ პატარა ობოლი დავრჩი. ღვთითა[1] და თქვენის დოლათით თქვენს საფარველს ქვეშ გამოვიზარდე. ჩემის მამა-პაპის ნასყიდი კაცი დღეს აქნამდის დაკარგული მყვანდა ვეძებე და ახლა ვიპოვნე.

და წყალობას კითხომ: ის ჩემი ნასყიდი კაცი მამა-პაპის მე მებოძოს. და თუ სიტყვა ვისმე ქონდეს, თქვენ[ს] სამართალში მელაპარაკოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. მთიბათვის **ლ,** ქორონიკონს **უოზ.**

თავში

ქ. ბრწყინვალენო უფალნო, საქართველოს მსაჯულთმეკრებიხებანო! ამ არზის პატრონს და ვისაც ედავება იმას, თქვენ უსაჯეთ სამართალი. მკათათვის **გ,** ქორონიკონს **უოზ.**

ბეჭედი. ერთს ღმერთსა ვესავ საბოლით დაეით ღთის მამის ჯომობითა.

853. არზა მეთოდი მდივანბეგისა მამულის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 8 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1345. დედანი. ქაღალდი. 25,6×15,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოველად მოწყალის ხე[ლ]მწიფის ჰირი მოსცეს მათს მონას მეთოდი მდივანბეგს.

[1] მხეთითა.

მერე ამას მოვახსენებ მათს უმაღლესობას: ერთი წელიწადი არის, რომ თქვენი წყალობა ხოდაბუნი წამართვა ვარიანს მაჩაბელმა ფარსადან. თქვენს მოწყალებას შემოვევედრე და თქვენგან გვებძანა, რომ ყანას ჩვენთვის მოვამკევინებო და მიწას შენ გიბოძებო.

ახლა კიდევ გეევედრებით: ერთი ოქმი გვებოძოს ამილახვარზედ, რომ ის ყანა თქვენთვის მოიმკოს და ყანა ჩვენ გვებოძოს. და მასუკან მაჩაბელს თუ სიტყვა აქვს რამე, თქვენს სამართალში მოგახსენოსთ. რაღაც რამ სამიოდ მოსული ჯავახები არიან, თუ ის მამული იმათ არ დაუყევ, უმამულობით ისინიც დაიფანტვიან.

ერთი კომლი კაცი ჩემი სართისჯალას ჩავიდა და გივმა ფარეშთხუცესმა არ დამანება არამც, ესენიც უმამულობით იყარონ. იმისთვის უფრო თავს გაწყენ, ჩემო ხემწიფევ. ივლისის **გ,** ქორონიკონს **უოზ.**

თავში

ქ. ბატონო ამილახვარო ოთარ, სოლომონ მგალობელს, რომ ვარიანში დემეტრე ამილახვარიშვილის წილი მამული ეჭირა, ჩვენ ის ხოდაბუნიცა და კაცნიც მეთოდის მივეცით. და ახლა რომ ეგ ხოდაბუნი მაჩაბელს მოუბნავს, მაგისი ღალა შენ უნდა გამოართო და შეინახო.

და ის ხოდაბუნი თუ დემეტრე ამილახვარიშვილისა ან ნასყიდია ან ნამზითვია და ან მამა-პაპისა არის, ხომ სიტყვა არა ექნება რა მაჩაბელს. და თუ არც ერთი არ არის, ჩამოვიდეს მაჩაბელი, სამართალში ელაპარაკოს და ისე დაინებიოს. სამართლამდის კი ნურც ერთნი ხუ მოხვნენ. და წლევანდელი ღალაც შენ უნდა გამოართო და შეინახო. ივლისის **გ,** ქორონიკონს **უოზ.**

ქ. თუ მაჩაბელმა დაიგვიანა და ახლავ არ ჩამოვიდა და სამართლით არ გაუსწორდა, ისინი მოხვნენ იმ მიწასა, ასე იცოდეს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

854. არზა ზაზა ამირეჯიბისა ყმის თაობაზე

ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 7 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 10540. დედანი. ქაღალდი. 21,3×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერი ქელმწიფის ჰირი მოსცეს ამირეჯიბს ზაზას.

მერმე ამას მოვახსენებ თქვენს სიმაღლეს. ამას წინათ თ ი ღ ვ ი დ ა მ საჭირნახულოთ ერთი კვამლი კაცი მიბოძეთ ბ ა ს ა ნ ი ძ ე ახლა თქვენთვის გაუში[ნ]ჯებიათ ჩემს ძმას, რომ ბარათში ნარგებიაო.

ღმერთსა ვფიცამ და თქვენს თავს, რომ ის კაცი ბარათში ნარგები არ იყოს, რაც ტყუილათ არ გაუშინჯებია. საერისთოდამ ამიყრია და გამომიყვანია. თუ ის კაცი ბარათში ნარგები იყოს, ერთისთვის ორი მივცე.

თქვენც მოგეხსენებათ, რაღაც ჭირნახული მაქვს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ეს კაცი არ დამეკარგოს, ერთი ოქმი მიბოძეთ. მთიბათვის **ი**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! ღმრთით ჩვენ ქართლში მომსვლელნი ვართ და ამ კაცის სამართალს მაშინ გიბოძებთ. მანამდის სამართალს გარდავწყვეტდეთ, ამ მოხსენებულს კაცს ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი დ ა ვ ი თ ძალას ნურას დაატანს და ნურცა რას წაართმევს, თორემ დიდად უწყენთ. ივლისის **ზ**, ქორონიკონს **უოზ**.

ქ. ჩვენო ღთის წყალობავ შვილო ბატონო დ ა ვ ი თ, ორნივ შენთან მიაყვანინე, ალაპარაკე. და ეს კაცი, რომელიც ზაზას მოუხსენებია, თიღვის საჭირნახულოდ მოცემული მყავსო, გასინჯე და რომელსაც სამართლით ერგებოდეს, იმას დაანებე, ალბათ. ამის სამართალს მე ნუ მომიცდი, შენ გაარიგე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

ქ. ა მ ი რ ე ჯ ი ბ ო დ ა ვ ი თ! როგორც მისის სიმაღლის ბძანება[ა], ამ კაცს სამართლამდის ნურც შენ გაუვლი კარზედ და ნურც [მ]ინბაში. ივლისის **ი**, ქორონიკონს **უოზ**.

855. არზა პაატა მეითრიშვილის ქვრივ-ობლებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 10 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14354. დედანი. ქაღალდი. 26,6×15,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი პ ა ა ტ ა მეითრის შვილის ქვრივსა და ობლებს მოსცეს.

ჩვენო ჯელმწიფევ, მანამდის მამაჩვენი ცოცხალი იყო, მოგეხსენებათ თქვენგან აქა-იქ გზავნით თექვსმეტს სულს ასე გვინახევდა. თქვენს სიმაღლეს კარგათ მოეხსენება, ჩვენ ნ ა ვ თ ლ უ ღ ი ს მეტი მამული არა გვაქვს. სამი წელიწადი არის ჩვენს მამულში ერთი დღისა არავის მოუხნავს.

ოთხნი ძმანი გახლავართ. თქვენს სიმაღლეს ამ მოწყალებასა ვჰსთხოვთ, რომ ჩვენის მამულის ღალა ჩვენ გვებოძოს; და რომელიც თქვენი სოფელი არის, იმაში ხომ ჩვენ საქმე არა გვაქვს; რომელთაც ჩვენს მიწაში მოხნან, ჩვენ წყალობა დაგვემართოს. სხვანი უსარჩო კაცნი მრავალ რიგათ თავს გაწყენენ და ჩვენ ჩვენის მამულის ღალის წყალობას გევედრებით, რომ ოთხნი ძმანი გახლავართ. თქვენის მოწყალებით ჩვენც ვიცხოვროთ და მარადის თქვენს სამსახურში ვიყვნეთ და ჩვენის სარჩოსათვის სხვა ზრუნვა არა გვქონდეს და თავს აღარ გაწყენდეთ. ივნისის **კვ**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ქ. ჩვენის ციხის მოურაო მსაჯულ-მდივანო ს ო ლ ო მ ო ნ და ჩვენის ციხის ნაცვალო გ ო გ ი ა ვ! ამ არზით მეითრიშვილის პაატას ქვრივსა და ობლებს რომ ასე მოუხსენებიათ, ნავთლუღს ზემოთ ა რ ა მ ე ნ დ ა სოფელი რომ ყოფილა, ის სოფელი ამ მეითრიშვილებისა არის.

იმ სოფლის სამზღვარი არის: აღმოსავლეთის მკრისაკენ საყდარი რომ არის, დასავლეთის მკრისაკენ ღომელაურის ჯევი არის და ჩრდილოეთის მკრისაკენ საკახეთო დიდი შარა არის. ამ სამზღვრების შიგნითი რაც მიწა არის, ეს საკუთრად ამ მეითრიშვილებისა არის.

და ამაში თუ ჩვენმა სახასო კაცმა მოხნას — ჩვენს ციხეში მდგომმა, იმისი ღალა რაც ადგენს, ნახევარი ჩვენთვინ უნდა აიღოთ და ნახევარი ამ მეითრიშვილებისა არის.

და თუ სხვა გარეშე კაცებმა მოჯნას ვინმე და ან სხვის ყმამა, იმისი ღალა საკუთრად ამ მეითრიშვილებისა არის. ეს ასე გაგვირიგებია და ასე აღასრულეთ. კათათვის **ი**, ქორონიკონს **უოზ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

856. არზა დარჩიას ოგლის დანელასი მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1789 წ. 20 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. H-7247. დედანი. ქაღალდი. 21×13 სმ. მხედრული. განკუთვნილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს თქვენს ყმას მკერვალი დარჩიას ობოლს დანელასა.

ჩემო მოწყალევ, ობოლი და მარტოხელი გახლავარ; გამოიკითხეთ, სა[წყალ]ობელი მამისა და პაპისა ჩვენისაგან გარეთუბანში ნასყიდი და უსყიდი სასახლის ალაგი მაქვს. წიგნებიც ხელთ მიჭირავს და ჩემი იყო. იმ მიწას ამ წინა ხანებშიც ვინც ხნევდა, ღალასაც მე ვიღებდი.

ახლა სხვა ხნავს და იმის ღალას [მ]ზეჭაბუკ მდივანბეგი იღებს. ეს მესამე წელიწადია მე არ მამცემია რა, და ორის წლის ღალასაც ეს იღებს და ახლა მამულსაც მეცილება და მართმევს. შენი ყმის ობოლი გახლავარ, სამართალი მაღირსე. ღმერთი გადღეგრძელებს. თუ სიტყვა ქონდეს, თქვენს სამართალში მელაპარაკოს. ივლისის **ით,** ქორონიკონს **უოზ.**

თავში

ქ ბატონისშვილი გიორგი გიბრძანებთ ამილღაბარ ციციშვილო! მერმე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია და ჩივის, შენ უნდა ამას თავის ნასყიდობის წიგნები რაცა აქუს, სამართალში მიატანინო დიამბეგებთანა და ჭეშმარიტი სამართალი უსაჯონ. და რომელიც სამართლით ამას მამული დარჩეს, შენ უნდა ამას მოაბარო. [ი]ულ[ი]სის **კ,** ქორონიკონს **უოზ.** გიორგი

857. არზა მაყაშვილებისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 22 ივლისი

ცსსა. ფონდი 1450. ღვთარი № 48. საბუთი № 112. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[81v] ღმერთმან საქართველოს ჯემწიფის ჭირი მათს [82] ერთობლივ მაყაშვილებს მომცეს.

მერე ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას, რომელიც რომ

თქვენი წყალობა მამული გვაქვს მარიამჯვარი. იმისი მიჯნები და სამძღვრები ჩვენმა მამათ და პაპათ იცოდნენ და ჩერქეზიანთაც სცოდნიათ, ისინი თავეთს მიჯნას არ გადმოსცილებულან და ჩვენ ჩვენს მიჯნას და სამძღვარს არ გადავსულვართ, არც ჩვენის მამების დროს ამოუღიათ ხმა და როდეს ულაპარაკნიათ, გადუწყვეტიათ.

ახლა ჩვენი მამები დაიხოცნენ და ჩვენ თქვენს წყალობას მამულს გვართმევენ ჩერქეზიანი. თუ ვეტყვით რასმე, ჩხუბზედ დგანან: თუ არადა, მამული წართმეული გვაქვს იმათგან. ჩვენ ღვთისაც გვეშინიან და თქვენგანაც და ამისთვის მორიდებული ვართ იმათის შფოთის: და ესენი კი მგონია არცერთს მორიდებულნი არ იყ[ვ]ნენ.

ამას ვეედრებით თქვენს სიმაღლეს, არიან მცოდნე კაცნი სა გარეჯოში და გიორგიწმინდაში, ერთი ოქმი და იასაული გვიბოძეთ, რომ სადამდინაც ჩვენს მამებს ულიათ, იქამდის ჩვენის მამულის ღალა ჩვენ მოგ[ვ]ცეს იმ[ის] იასაულმა და იმათი იმათ მისცეს.

თუ იმათ ამისი წინააღმდეგი სიტყვა აქვთ რამე, თქვენ მოვაჩვენონ და სამართლით ჩვენი საქმე გარდასწყდეს, რომელიც ჩვენი არის, ჩვენ გვებოძოს და რომე[ლი]ც იმათი არის, იმათ ებოძოს.

ღმერთი გაგიმარჯვებთ, იმათს შფოთს დაგვარიდეთ და თქვენს წინ სამართალი მიბოძეთ. ამ ღალის გარდა თქვენს სიმაღლეს ამას მოვახსენებთ, რომ ამ ჟამათ ოქმი და იასაული მებოძოს, რომ ეს ღალა მომეცეს და მერმე სამართალში გიახლოთ ჩვენც. ისინიც. ივლისის **ვ,** ქორონიკონს **უოზ.**

თავში

ჩვენ მაგიერათ საგარეჯოს მოურავს ჯამასპის ასე უამბეთ. მერმე ამ არზის პატრონები რომ ასე ჩივიან, შენ უნდა მოიკითხო თვალზედ და გიორგიწმინდელთში ფიცით სარწმუნოს კაცთაგან. რომელიც მარიამჯვრის მამული იყოს და ამათს მამათ და პაპათ ღალა ელოსთ, ახლაც გამოართვი და მოეც ამათ. და რომელიც ამათი მამული არ იყოს, იმას კი ხელს ნუ შეახებ.

და თუ წინააღმდეგი სიტყვა ქონდესთ რამე ჩერქეზიანთ, ჩვენ მოგვახსენონ. მაგრამ თუ გამტყუნდნენ, ნაკლებობა იქნება და კიდეც გარდახდებათ იცოდნენ. მკათათვის **კბ,** ქორონიკონს **უოზ.**

რომელსაც მხარეს ნაკლულევანება იქნება იმათ გარდახდებათ.

მის სიმაღლეს ჩვენს ჯემწიფეს ამ ოქმით ჩვენ, მათ მონის საგარეჯოს მოურავის ჯამასპისათვის, [v] ეს სამსახური ებძანა მაყა[ა]ნთ და ჩერქეზიანთ მამულების დავის საქმეზედ. გარდავედით და საგარეჯოს და გიორგიწმინდის უფროს-უფროსნი კაცნი შევყარეთ: ნაცვალი ი[ა]სე, ყანდარელი ზაზა, ნაცვლისშვილი დავით, ქურუხული[1] დავით, მეზ[ვ]რისშვილი საბა, კოხტაშვილი იორამ, დარბაისლის შვილი პეტრე, ილაური აბრამ, ხუცისშვილი გიორგი.

ამათ ასე იმოწმეს: ქალბის წისქვილს ქვემოთ და გაწყვეტილის ჩიხის თავამდინ დათეფას ზემოთ ამ მაყა[ა]ნთ უღიათ ღალა და იმას ქვემოთ — ჩერქეზიანთ. მაყა[ა]ნთათვის ნაცვლისშვილს დავითს და ქურუხულს დავითს[2] უღიათ ღალა და ჩერქეზიანთათვის — ყანდაურელს ზაზას.

და ამათაც ასე იმოწმეს ღვთის წინაშე: ჩვენ, ნაცვლისშვილი დავით და ქურუხული დავით, მაყაშვილის მოდალენი ღმერთსა ეფიცავთ და ჯემწიფის თავსა, რომ მაყა[ა]ნთათვის რომელიც ამ ზემო წერილში აცხადებს, იქამდისინ მიღია ღალა, და ზაზა ყანდარელი ეფიცავ ღმერთსა და ჯემწიფის თავსა, რომ ჩერქეზიანთათვის იმას ქვემოთ მე მიღია ღალა, იმას ზემოთ არ წავსულვარ. და ახლა ნებაჲ მისი სიმაღლისა აღსრულდეს.

მე, მღუდელს ანტონის, დამიწერია ამათის სიტყვით და მოწამეცა ვარ. ივლისის თვის **კე**, ქორონიკონს **უოზ**.

858. არზა იოსებ მგლიშვილისა გამოსაღების თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

1789 წ. 25 ივლისი

საქ. ლიტერატურული მუზეუმი. საბ. № 16567. დედანი. ქაღალდი. 18×11,3 სმ. მხედრული. გარჩეულობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან მეფის ძის ვახტანგის ჭირი მოსცეს მგლიშვილს იოსებს და გოგიას.

მერმე ამას მოვახსენებ ჩვენს მოწყალეს: აღდგომას დღეს უნდა მივართვა ეკლესიას ორი კოკა ღვინო და ერთი ცხვარი და იმისი პური. ახლა კიდევ სამს ც[ხ]ვარს სათარხნოს მთხოვენ.

წყალობას ვითხოვ[3], ან თქვენ მიმსახუროთ და ან ეკლესიას მამსახუროთ. ღმერთი გაგიმარჯვებთ. ივლის **კე**, ქორონიკონს. **უოზ**.

[1] მქურეხული. [2] თაეთს. [3] ვითხოვს.

რომელიც ამას სამს ცხვარსა სთხოვთ, ამისთვის ერთი ცხვარი გვიპატივებია და ორი კი გამოართვით. ივლისის **კე**, ქორონიკონს

უოზ. ვახტანგ

859. არზა ყაფიჩისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1789 წ. 28 ივლისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8755. დედანი. ქაღალდი. 21,5×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. შდრ. 1784 წ. 21 ივნისისა და 1789 წ. 25 მაისის არზებს.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს მათს მონას ყაფიჩს.

ამას მოვახსენებთ: ხანდაკს ჩემის ვენახის თავს მამისა და პაპის მამულს ჯავახიშვილები მართმევენ ძალით და უსამართლობით. ჩვენი საქონლის ალაგი და ფარეხი ის ყოფილა, ძალას მატანენ და უსამართლოთ მართმევენ.

გვეედრებით ამისი სამართალი მაღირსოთ და ერთი ოქმი და იასაული მიბოძოთ, რომ ჩემი მამული დამანებონ. და რაც ღალა მკლებია, ისიც მამცენ. თუ სიტყვა აქვთ რამე, თქვენს სამართალში მელაპარაკენ. ღმერთი გაგიმარჯვებს. ივლისის **კზ**, ქორონიკონს **უოზ**.

ქ. ბატონისშვილი გიორგი გიბძანებთ ჯანდიერისშვილო დავით! მერე ამ არზით ყაფიჩი ასე რომ ჩივის, ეს თავისი მამული ახლავ უნდა გამოურთვა და ამას და[ა]ნებო და ჯავახიანთ თუ რამ სიტყვა აქვსთ, სამართალში მოყვნენ. ივლისის **კზ**, ქორონიკონს

უოზ. გიორგი

860. არზა გოგია თუმანიშვილისა მამულების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 20 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9037. საბუთი № რამ. კრებული. პირი. ქაღალდი. მხედრული. არზა-ოქმს დართული აქვს მამულების ნუსხა.

ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს მოწყალების ქვეშ ობლობით გამოზდილს თუმანიშვილს გოგიას მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ: მე არც მამაჩემი მახსომს და არც არავინ ასეთი მყვანდა, რომ სადაც თითო-ოროლი დღის მიწა და მამული მაქვს თქვენი წყალობა, ისინი ეჩვენებინა და მაჩვენონ.

ახლა აქა-იქ კითხვით და წერილებით ზოგიერთს ალაგს ჩემი სამკვიდრო მამულები გლეხის კაცების ცოდნით და მახსოვრობით ვიპოვნე და ჩენთვისაც უჩვენებიათ.

მაგრამ ზოგიერთს ვისაც მძლავრობით და მოპარვით რომ უჭირავსთ, იმათის მორიდებით მცოდნე გლეხნი ვერ გამოჩენილან. რადგანც მე ობოლი თქვენის მოწყალებით გამოვიზარდე, ობლის მოწყალე და პატრონი თქვენ ბძანდებით.

სამართლიანის საქმით ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ამილაჯვარს ოთარზედ ერთი ოქმი მიბოძოთ: რომელიც მამის ჩემის გაშვებულს წიგნებში და ნუსხაში[1] მამული და მიწები მეწეროს, ვისაც საბუთიანი წიგნი ან ნასყიდობის სიგელი და ან გირაობის წიგნი არა ქონდესთ, ხელი ამართოს და ჩემი მამული მე დამაბრუნებოს.

და რაც იმ მამულების გამოსავალი იყოს, ისიც ჩემთვის მოაცემინოს. და თუ კიდევ ჭეშმარიტი სიტყვა ქონდეს ვისმე, სამართალში მელაპარაკოს. აგვისტოს **იზ** დღე[ს], ქორონიკონს **უოზ, ჩლპთ** წელს.

თაეში

ბატონო ამილახვარო ოთარ, მერმე ამ არზით თუმანიშვილი გოგია ასე რომ ჩივის, როგორც მოუხსენებია და თავის მამის სიით მამულები გიჩვენოს, ვისაც ეჭიროს, უნდა გამოართვა და მოაბარო თავისის ღალითა.

და თუ ჭეშმარიტი სიტყვა და ან საბუთიანი წერილი აქვს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს. მასუკან ვისაც სამართალი მისცემს, იმას დანებდება. აგვისტოს **კ** დღე, ქორონიკონს **უოზ, ჩლპთ** წელს. ერეკლე

861. არზა გორელებისა ღვინის გამოსაღების თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

1789 წ. 27 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 450. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 19,7×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბატონიშვილი იულონის ჰირი [გო]რელებს მოსცეს. ასე ღმერთმა თ[ქვე]ნი მტერი შეაწუხო[ს], რო-

[1] ნუხსაში.

გორც ჩვენ შეწუხებაში გახლავართ. მაგრამ თუ გვაბადია [რამ] კიდევ, ჩვენი თავი თქვენის ჰირის სანაცლო ამყოფოს.

ჩვენზე ღვინო გიბძანებიათ. არ გვეშოება.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ამაზე ნუ შეგვაწუხებთ. თუ რომ იშოებოდეს, ამაზედაც თ[ავს] არ გაწყენთ. თემობით ათ კოკა ღვინოსა... იქნება ვიშოვით და მოგართვამ[თ]. [ღმერთი გაგიმა]რჯვებს, ამას დაგვაჯერე. მარ[იამობის თვის ...], ქორონიკონს **უოზ.**

ამ წელს ბატონის შვილი[ს და] ბატონის შვილისშვილის და ერთის ხარჯი.

თაეში

ქ. გორის მამასახლისო! გორელებს რომ ასე მოუხსენებიათ, ამ ათ კოკა ღვინოს დავჯერდით, სხვა გვიპატივებია. და ამაში სულ უველანი უნდა მიუდგნენ გორელები ერთმანეთს. აგვისტოს **კზ,** ქორონიკონს **უოზ.**

ბეჭედი: ტომ-სქესით არნაკლისაგან იულონ ერაკლისაგან.

კიდეზე

ქ. ეს ღვინო დათიკას მიბარდა—დათიკა დალაქს.

862. არზა მანუჩარ ლაშქარნივისისა აურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 29 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. IId 165. დედანი. ქაღალდი. 21,5×13,5 სმ. მხედრული. აქა-იქ თითო წერტილი. შდრ. მომდევნო საბუთს.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მდივან*-ლაშქარნივისს მანუჩარს მამცეს.

მერე ჩემის ბიძაშვილის ნიკოლოზისაგან რაც უსამართლობა მჰირს, ის სხვა არზით მოგახსენებათ. რაც თქვენი წყალობა ორიოთ კომლი კაცი გახლავთ და ან მამული გვაქვს, ის ხომ თქვენს სამაღლეს მოეხსენება, რომ ამას წინათ ხელთუბანი და ახალდაბა როგორ წახდა და დატყვევდა მტრისაგან; და რაც გარდარჩნენ, იმათ ხომ ნიკოლოზისაგან მოსვენება არა აქვსთ, რომ მტერზე უარესათ ეპყრობა და სულ აქა-იქ დაგვიფანტა, რომ ზოგისა არც კი ვიცი სად წავიდნენ; საქონელი და იარაღი არავის შეარჩინა, რომ არ წა[ა]რთვა. ამას წინათ სამს კომლს კაცს ჭურდულებ ხუთი ურემი პური ამოუყარა და გაუყიდა.

* ეს სიტყვა დაწერილია სტრიქონს ზემოთ სხვა ხელით.

თუ ბატონობით წა[ა]რთვა, უფროსი ერთი ჩემი იყო, ჩემთვის უნდა მოეცა; და თუ დაუნაშაებლივ წა[ა]რთვა, ჩემს გლეხთ იმას როდის დავაკარგვინებ.

წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ ის ხუთი ურემი პური იასაულმა ნიკოლოზს გამოართვას თავისის მოსავლიდამ. და თუ სიტყვა ჰქონდეს, სამართალში მელაპარაკოს. მარიამობის **კთ,** ქორონიკონს **უოზ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ეშიკაღაბაშო ავალიშვილო პეტრე! მერე ამ არზით მანუჩარ ლაშქარნივისი ასე რომ ჩივის, ამის ბიძაშვილს ნიკოლოზს გლეხი კაცებისათვის რომ პური წაურთმევია, ის პური ნიკოლოზს ახლავ თავის მოსავლიდამ უნდა გამოართვა და მანუჩარს მოაბარო. ხუთი ურემი პური ყოფილა და ხუთი ურემი უნდა გამოართვა. და თუ ნიკოლოზს სიტყვა ჰქონდეს, ჩამოვიდეს და აქ ჩვენს სამართალში ელაპარაკოს. აგვისტოს **კთ,** ქორონიკონს **უოზ.**

ქ. ამისი ძმა სამსახურზედ არის წასული და ამის შეუტყობრად და უამისოთ ამისი კაცები რათ უნდა არბიოს?

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

863. არზა მანუჩარ ლაშქარნივისისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 29 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hძ 166. ფიდანი. ქაღალდი. 21,5×13,5 სმ. მხედრული. აქა-იქ თითო წერტილი. შდრ. წინა საბუთს.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი ლაშქარნივისს მანუჩარს მამცეს.

მერე თქვენი წყალობა ოქმი გვაქვს ბოძებული ამას წინათ ამილახვარს რევაზზე, რომ საერთოს მამულიდამ ჩვენი ბიძაშვილები მამულს ვერ გაგვიყიდიან და ვერც არავინ იყიდის და, ვისაც ნაყიდობა ექნებათ უცოდინარობით, ისიც ძირს უნდა დასდვან.

ჩემი ბიძაშვილის ნიკოლოზისაგან რაც უსამართლობა მჭირს, ის სხვა არზით მოგხსენდებათ. ახლა რომ ჩემი უფროსი ძმა გაიგუდა და მე დამიმარტოხელა, ახლა მამულს სყიდვა დაუწყო. ზოგიერთი ასეთი მამულები გვაქვს, რომ იმაში სამართლით არც სულ ხელი არა აქვს. და რაც მამულები გვაქვს თქვენი წყალობა, იმისი ზოგიერთისა მეოთხედი და ზოგიერთისა მერვედი ერგება; და ის საუკეთესო მამულებს გვიყიდის.

ახლა ერთი ვენახი გაუყიდნია რუისს და გორელს ტერტერაშვილს ზურაბას უყიდნია, რომ იმან ჩემგან იცოდა, რომ ჩვენს მამულს ახლო არ უნდა მისდგომოდა.

წყალობას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი მებოძოს, ის ნასყიდობა დადგეს და ის ზურაბა თავისის ნასყიდობის წიგნებით აქ სამართალში გიახლოს და მელაპარაკოს. მარიამობის **კთ,** ქორონიკონს **უოზ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ავალიშვილო ეშიკაღაბაშო პეტრე! მერე ამ საქმეზედ ჩვენი ძველი ოქმიც არის, რომ ამათ თავეთი სახლის კაცები მამულს ვერ გაუყიდიან და თუ ვინმე იყიდის, ის ნასყიდობაც დაყენებული იქნება.

ტერტერაშვილს ზურაბას ამისი ბიძაშვილის ნიკოლოზისაგან რუისს ვენახი რომ უყიდნია, თვითონ ამ მანუჩარისაგან ზურაბს ნათქომი ჰქონია, რომ არ უნდა ეყიდნა და რომ უყიდნია დაუშავებია.

ახლა იმ მაგისაგან ნასყიდს ვენახზედ ჯელის ამართვის ოქმი სხვა გვიბოძებია; მაგას ის ნასყიდობის სიგლები ჩამოართვი, დაბეჭდე და აქ გამოგვიგზავნე. და თუ ზურაბს სამართალში ლაპარაკი უნდოდეს, ჩამოვიდეს და აქ სამართალში ელაპარაკოს. აღიწერა აგვისტოს **კთ,** ქორონიკონს **უოზ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

სარჩევი

წინასიტყვაობა . . . . . V—X

1. არზა კორკოტიშვილებისა მამულის თაობაზე ვახტანგ VI-ის ოქმით 1717—1719 წწ. 13
2. არზა თამაზ გერმანოზიშვილისა სახელოს თაობაზე ვახტანგ VI-ის ოქმით 1717– 1719 წწ. 13
3. არზა ნიკოლოზ ურბნელისა მამულის თაობაზე ხანის ოქმით 1738 წ. 4. IV 14
4. არზა ნიკოლოზ ურბნელისა ღალა-კულუხის თაობაზე საქართველოს ვალის ოქმით 1738 წ. 14. VII 15
5. არზა თევდორე ოსმანაშვილისა ყმობის თაობაზე არჩილ (?) მეფის ოქმით 1738 წ. 8. VIII 15
6. არზა ლილოელ დავითასი და ბეჟანასი გამოსაღების თაობაზე ვექილ ალიყულიბეგის ოქმით 1735—1738 წწ. 16
7. არზა დომენტი კათალიკოზისა ტყვეების დახსნის თაობაზე ბეგლარბეგის ოქმით 1739—1740 წწ. 17
8. არზა ყარდაშა თუმანიშვილისა მოსავლის წილის თაობაზე არჩილ მეფის ოქმით 1736—1742 წწ. 18
9. არზა ბეჟან თუმანიშვილისა ყმების თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1742 წ. 12. VI 18
10. არზა ყარლაანისა სახლების თაობაზე ნადირშაჰის ოქმით 1742 წ. 19
11. არზა საამ უზბაშისა გამოსაღების თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1744 წ. 20
12. არზა ეღიშერისა ყმის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1744 წ. ახლო 21
13. არზა გორჯასპი მდივნისა გამოსაღების თაობაზე ხანის ოქმით 1735—1744 წწ. 22
14. არზა ზაზა თარხნიშვილისა მამულის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1746. 12. I 22
15. არზა სულხან ყაფლანიშვილისა დუქნების თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1746 წ. 30. VII 24
16. არზა ერასტისა ყმის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1746 წ. 9. IX 25
17. არზა ოთარ გერმანოზიშვილისა მამულის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1747 წ. 8. V 26
18. არზა თამაზა თურქისტანიშვილისა მამულის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1749 წ. 16. II 26

19. არზა ბეჟან თუმანიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1750 წ. 12. VI 27
20. არზა ივანე ხახანაშვილისა საწისქვილოს თაობაზე იოვანე მდივანბეგის ოქმით 1751 წ. აპრილი 28
21. არზა მარდახასი ვალის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1751 წ. 6. VII 29
22. არზა ალელი ბეჟანასი პურის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1751 წ. 20. XI 30
23. არზა ზურაბ გოსტაშაბიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1752 წ. 11. XII 30
24. არზა მოქალაქე ბეჟანასი სესხის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1753 წ. 8. XI 31
25. არზა ზიარელი სვიმონისა ცხენის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1753 წ. 24. XI 31
26. არზა გოგილა თავქალაშვილისა ყმის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1754 წ. 5. III 32
27. არზა ტერ-მელიქისეთასი მოახლის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1756 წ. 5. VI. 33
28. არზა მზეჭაბუკ ჯავახიშვილისა ვალის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1756 წ. 7. X 34
29. არზა მგელია სომხიშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1756 წ. XII. 34
30. არზა ავთანდილ ჯავახიშვილისა მამულის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1757 წ. 31. V. 35
31. არზა ბეთანიის დეკანოზის დავითისა ღალის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1757 წ. 14. VI 36
32. არზა დათებასი სამართლის მიცემაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1757 წ. 10. VIII 37
33. არზა ივანე დაღვიაშვილისა წყლის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1757 წ. 5. IX 37
34. არზა თეიმურაზ ფალავანდიშვილისა მამულის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1757 წ. 27. VI 38
35. არზა ჰუსეინ-ბეგისა ბაღის გამოსავლის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1758 წ. მაისი 39
36. არზა აღა მიშკარბაშისა მამულის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1759 წ. 30. XI 40
37. არზა წინამძღვარ იოანიკოსისა გუჯრის განახლების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1759 წ. 17 XII 40
38. არზა იოსებ გლურჯიძისა ყმის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1760 წ. 20. I 41
39. არზა იესე ბარათაშვილისა ყმის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1760 წ. 21. VII 42
40. არზა ზაალ დავითაშვილისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1761 წ. 19. II 43

41. არზა შიოშ საყვარელიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1761 წ. 21. IV 44
42. არზა პაატასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1761 წ. 19. V 45
43. არზა ბეჟან თუმანიშვილისა დედის ულუფის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1761 წ. 30. VI 46
44. არზა ამსარქისაშვილის ქვრივისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1761 წ. 23. VIII 47
45. არზა ელიზბარ ხერხეულიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1761 წ. 7. IX 48
46. არზა როსტომ საგინაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1761 წ. 21. XII 49
47. არზა მურალიბეგ ციციშვილისა ერეკლე II-ისადმი სამართლის მიცემაზე 1747—1749 წწ. 50
48. არზა გლახა ბერიკაშვილისა სამდიანბეგოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1762 წ. 10. I 59
49. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1762 წ. 11. II 60
50. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმისა და ქონების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1762 წ. 26. II 62
51. არზა გიუა მჭედლიშვილისა სამსახურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1762 წ. 30. V 63
52. არზა ზეიდალაი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1762 წ. 5. VII 63
53. არზა ბეჟან თუმანიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1762 წ. 14. VIII 64
54. არზა გორჯასპი მდივნისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1762 წ. 11. IX 65
55. არზა თემურ თაყაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1762 წ. 1. XI 66
56. არზა სტეფანე ფირადაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1763 წ. 1. I 66
57. არზა ადიბეგა ყორღანაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1763 წ. 9. აგვისტო 67
58. არზა ნიკოლოზ აბაშიძისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1763 წ. 13. VIII 68
59. არზა ელისბარ თაქთაქიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1763 წ. 16. VIII 68
60. არზა ბერი დავითისშვილის ქვრივისა ერეკლე II-ის ოქმით 1763 წ. 16. VIII 69
61. არზა ნიკოლოზ დეკანოზისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1763 წ. 18. VIII 70
62. არზა როსტომ ფარემუზიშვილისა საქვრივოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1763 წ. 4. XII 70
63. არზა იესე ბარათაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1764 წ. 1. III 71

64. არზა ელისბარ თაქთაქიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1764 წ. 7. III 72
65. არზა იოანე მღვდლისა მამულის საქმეზე ერეკლე II-ის ოქმით 1764 წ. 11. III 73
66. არზა გიორგი კალატოზიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1764 წ. 12. III 74
67. არზა იოანე წინამძღვრისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1764 წ. 12. III 74
68. არზა თამაზა თურქისტანიშვილისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1764. 17. IV 75
69. არზა ზაალ ნაცვლიშვილისა სითარხნის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1764 წ. 3. V 76
70. არზა ივანე დავითიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1764 წ. 25. VII 77
71. არზა გრიგოლ მღვდლისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1764 წ. 16. VIII 78
72. არზა სანდრო ლამაზისახარისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1764 წ. 4. IX 78
73. არზა ომან ბებურიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1764 წ. 15. IX 79
74. არზა ნათლისმცემლის წინამძღვარ სვიმონისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1764 წ. 5. XI 80
75. არზა ბერი თარხნიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1764 წ. 18. XI 80
76. არზა ნიკოლოზ დეკანოზისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1764 წ. 24. XI 81
77. არზა დიმიტრი ნაზირისა მორიგისა და გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1764 წ. 24. XI 83
78. არზა ჯიმითელებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1764 წ. 23 XII 84
79. არზა ლუარსაბ ყარაბუდახიშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 10. I 85
80. არზა უშკაანთ ოსეფას ცოლ-შვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 22. I 86
81. არზა სარიდან მდიანბეგისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 8. II 87
82. არზა ასლანბეგანთ გიორგის ქვრივისა სახლების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 15. II 88
83. არზა გოგია თუხარელისა მამულის თაობაზე თეიმურაზ II-ის ოქმით 1765 წ. 8. III 89
84. არზა ბერი იმნაძისა ყმობის საქმეზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 13. IV 90
85. არზა ქაიხოსრო ფავნელიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 22. IV 91
86. არზა ოტია ამირეჯიბისა რუს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 3. V 91

87. არზა ოტია ამირეჯიბისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 3. V 92
88. არზა გოგია მურადაშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 5. V 93
89. არზა ლუარსაბ ყარაბუდახიშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 15. VII 94
90. არზა ზაქარიასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 21. IX 95
91. არზა არღუთაშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 22. IX 95
92. არზა ალიხანა არღუთაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 2. X 96
93. არზა ვეძისხეველებისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 10. X 97
94. არზა პაპუნა ზაზიაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 8. XI 98
95. არზა ზაზა მაჩაბლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 6. XII 99
96. არზა რევაზ ამილახორისა ბაჟის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1765 წ. 31. XII 100
97. არზა სამნა მკერვალიშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1766 წ. 10. I 100
98. არზა რამაზ შაღუბათასშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1766 წ. 6. II 102
99. არზა სვიმონ ამირეჯიბისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1766 წ. 30. III 103
100. არზა ბეჟანა და ლომი გვარამაძეებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1766 წ. 3. IV 104
101. არზა ხოვლელებისა სამსახურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1766 წ. 11. V 106
102. არზა ვაჩნაძიანთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1766 წ. 17. V 107
103. არზა პაატა მეითრის შვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1766 წ. 5. V 108
104. არზა ზირკინაშვილის ჯალაბისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 6. VII 108
105. არზა შიოშ საყვარელიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1766 წ. 19. VII 109
106. არზა ბეჟან ამილახორისშვილისა მიწის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1766 წ. 31. VII 110
107. არზა როჭიაშვილის ქვრივ-ობლისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით 1766 წ. 28. VIII 111
108. არზა ედიასი სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1766 წ. 8. IX 113
109. მოხსენება რევაზ ამილახორისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1767 წ. 15. I 114

110. არზა იოვანე თაქთაქისშვილისა სისხლის მიცემის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1767 წ. 18. II 115
111. არზა ედიშერ ნაზირისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1767 წ. 22. II 115
112. არზა საბა ნინოწმიდელისა ბაჟის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1767 წ. 20. II 116
113. არზა ქაიხოსრო მამაცაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1767 წ. 28. III 117
114. არზა ბეჟან მურადაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1767 წ. 18. IV 118
115. არზა პავლე ნინიაშვილისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1767 წ. 3. V 120
116. არზა პაატა მეითრის შვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1767 წ. 11. VI 120
117. არზა ყაიყულელებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1767 წ. 12. VI 121
118. არზა ზურაბ მამუჩიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1767 წ. 12. VI 123
119. არზა ელიზბარ დავითიშვილისა ერეკლე II-ის ოქმით 1767 წ. VII . 123
120. არზა ანახანუმისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1767 წ. 19. IX 124
121. არზა მარგველაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1767 წ. 20. X 125
122. არზა ზაალ ყაფლანისშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1767 წ. 20. XI 126
123. არზა ზედგინ აბაზაძისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1767 წ. 27. XI 127
124. არზა საბა ნინოწმიდელისა სამაროლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1768. წ. 17. I 127
125. არზა ზურაბ საგინაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1768 წ. 4. III 128
126. არზა უმიკანთ ოსეფას ჯალაბისა მდგმურების გამოსახლების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1768 წ. 10. III 129
127. არზა სოლომონ აბაზაძისა ნაპარეისა და საქვრივოს გადახდევინების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1768 წ. 12. III 130
128. არზა ჩალაუბნელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1768 წ. 26. IV 130
129. არზა იოანე მამაცაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1768 წ. 12. V 131
130. არზა შიოშ საყვარელიძისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1768 წ. 14. V 132
131. არზა ბარბარესი ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1768 წ. 10. VI 133
132. არზა პაპალა სანთლიკუდაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმითა და მდივანბეგთა განჩინებით 1768 წ. 16. VI 134

133. არზა ალექსანდრე სარდლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1768 წ. 17. VI 136
134. არზა სვიმონ დეკანოზისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1768 წ. 24. VI 137
135. არზა დავით ჯავახაშვილისა სარგოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1768 წ. 24. VII 138
136. არზა გლახა გედევანიშვილისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1768 წ. 10. VIII 139
137. არზა პაპუნა ფაველენიშვილისა ბაჟის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1768 წ. 18. VIII 140
138. არზა დათუნა ნასრანიშვილისა ყმობის თაობაზე მდივანბეგის ოქმით 1768 წ. 26. XI 141
139. არზა გიორგი გონგლიაშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1768 წ. 3. XII 141
140. არზა იოანე მუხრანბატონის შვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1768 წ. 21. XII 142
141. არზა ნიკოლოზ ციციშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1769 წ. 8. I 143
142. არზა გორჯასპი მდივნისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1769. წ. 28. II 144
143. არზა ალექსანდრე სარდლისა ტყის მოჭრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1769 წ. 3. III 145
144. არზა შელაძეებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1769 წ. 19. III 146
145. არზა ედია აქალიშვილისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით 1769 წ. 20. III 147
146. არზა ოთარ აფხაზიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1769 წ. 4. V 148
147. არზა ტერყაზარას შვილის გიორგისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1769 წ. 21. V 149
148. არზა დავითისშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1769. წ. 3. VI 149
149. არზა გიორგი საყვარელიძისა მოახლის თაობაზე მდივანბეგების ოქმით 1769 წ. 23. VI 150
150. არზა თარხანა ყორღანაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1769 წ. 11. VII 151
151. მოხსენება მელიქ ავეტიქსი გორჯასპი და გოჭარ მდივნების სახლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1769 წ. 15. VIII . . . 152
152. არზა აბაშიძის ქვრივისა გაყოფის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1769. წ. 27. VIII 155
153. არზა პაატა ციციშვილისა სამღებროს იჯარის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1769 წ. 10. XI 157
154. არზა ვაჩნაძიანთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1770 წ. 10. I 157

155. არზა იასე პეტრიაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1770 წ. 17. I 158
156. არზა საამ ხმალაძისა წისქვილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1770 წ. 27. I 159
157. არზა მარაბდას მოსახლეთა რუს გამოტანის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1770 წ. 12. II 160
158. არზა გიორგი გერმანოზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1770 წ. 12. II 160
159. არზა ზაალ ზურაბიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1770 წ. 20. IV 161
160. არზა გრიგოლ სალთხუცისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1770 წ. 19. VIII 162
161. არზა ბალთარ ტატიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1770 წ. 31. VIII 163
162. არზა იოსებ მამაცაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1770 წ. 2. IX 164
163. არზა ბოდბელისა ელისკაცთა თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1770 წ. 27. X 164
164. არზა ჩალაუბნელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1770 წ. 1. XI 165
165. არზა ყარაგოზიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1770 წ. 10. XII 166
166. არზა პაპალა სანთლიკუდაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1770 წ. 20. XII 167
167. არზა ეფემიასი გირაოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 2. I 168
168. არზა ზურაბა თაყინაშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 10. I 169
169. არზა ლაზარე თედისეშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 18. I 170
170. არზა იოანე დაფქვიაშვილისა მუშის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 28. II 171
171. არზა სოლომონ აბაზაძისა სამართლის მიცემაზე მდივანბეგთა ოქმით 1771 წ. 6. III 172
172. არზა ზედგინ აბაზაძისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 11. III 172
173. არზა პაატა ციციშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 12. III 173
174. არზა ქაიხოსრო საყაძისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 13. III 174
175. არზა ედია ავალიშვილსა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 14. III 175
176. არზა შულავერელებისა სახნავი მიწის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 18. III 176

177. არზა სოლომონ აბაზაძისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 28. III 177
178. არზა დავით ერისთავისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 29. III 178
179. არზა სოლომონ აბაზაძისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 4. IV 179
180. არზა მარიამ ჯავახიშვილისა მოწყალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 7. IV 180
181. არზა დავითიშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 8. IV 180
182. არზა ქაიხოსრო საყაძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 3. V 182
183. არზა გრიგოლ ჩოლოყაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 8. V 183
184. არზა კოზმან ბერისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 28. V 184
185. არზა ნაზარა ჩითახაშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 28. V 185
186. არზა იოანე ბარამისშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 12. VII 186
187. არზა იოსებ გლურჯიძისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 11. VIII 187
188. არზა ნიკოლოზ თუმანიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 5. IX 188
189. არზა იუსტინე ურბნელისა წყლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 8. IX 188
190. არზა ალექსანდრე სარდლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 16. IX 189
191. არზა ჰალავარელი ხალილასი სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 23. IX 190
192. არზა დავით ერისთავისა ყმათა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 7. X 191
193. არზა ამირალაანთ თამახასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 12. XI 193
194. არზა გრიგოლ სახლთხუცესისა ყმის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1771 წ. 13. IX 194
195. არზა პაპუა მოურავისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1771 წ. 6. XII 195
196. არზა ზაალ გურამიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 30. I 196
197. არზა ქიტესა ჯაბიაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 30. I 197
198. არზა ბარათაშვილებისა რუს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 18. II 198
199. არზა უმეკანთ ოსეფასი ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1772 წ. 23. III 199

200. არზა გიორგი სარუხანაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 26 II 200
201. არზა დემეტრე აბდრისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 2. III 200
202. არზა ომან ბებურიშვილისა სასისხლო საქმეზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 3. III 201
203. არზა ზურაბ გოსტაშაბისშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 22. III 203
204. არზა ზურაბ მამუჩიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 26. III 204
205. არზა ბერი გოდერძაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 27. III 206
206. არზა დიმიტრისა წისქვილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 27. III 207
207. არზა რუსიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 1. IV 208
208. არზა ქაიხოსრო მაჭავარიანისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 8. V 208
209. არზა ნოდარიშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 21. V 209
210. არზა ომან ბებურიშვილისა სასისხლო საქმეზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 3. VI 210
211. არზა შერმაზან ოქრომწყდლიშვილისა ყმა-მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1772 წ. 17. VI 211
212. არზა გლახა შალულაძისა მამულის თაობაზე მდივანბეგის ოქმით 1772 წ. 20. VI 212
213. არზა ფარსადანა მიღელაშვილის ქვრივ-ობლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 30. VI 213
214. არზა არაშენდელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 15. VIII 214
215. არზა ელიზბარ დავითიშვილისა მამულის თაობაზე მდივანბეგთა ოქმითა და განჩინებით 1772 წ. 17. VIII . . 215
216. არზა გიორგი მეუნაგრიშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 22. VIII 216
217. არზა ბაღათარ ტატიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 22. VIII 217
218. არზა დათუნა ბეციაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 27. VIII 217
219. არზა რევაზ ამილახვარისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 28. VIII 218
220. არზა განგუასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 7. IX 219
221. არზა პატარა ყობიას ჭალისა წილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 177 წ. 9. X 220
222. არზა დარჩიას ქვრივისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 9. X 220

223. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 20. X 221
224. არზა ასლან ბებურიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 20. X 222
225. არზა კალაურის მოურავის დედისა მსახურისა და სარგოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 20. X 223
226. არზა ამილახვარიანთა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 15. XI 224
227. არზა ბერი პაპუნაშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 16. XI 225
228. არზა ზურაბ ციმაკურიძისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1772 წ. 17. XI 226
229. არზა გიორგი თუმანიშვილის ქვრივ-ობლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმითა და რევაზ ამილახვრის განჩინებით 1772 წ. 30. XI 227
230. არზა გრიგოლ სახლთხუცისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1773 წ. 21. I 228
231. არზა იოსებ გლურჯიძისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1773 წ. 5. III 229
232. არზა ბერა თოთაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1773 წ. 2. IV 230
233. არზა ჩრდილელისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1773 წ. 25. IV 231
234. არზა შიოშ საყვარელიძისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1773 წ. 1. V 232
235. არზა ზაალ გურამიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1773 წ. 6. V 232
236. არზა რუსთველისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1773 წ. 17. V 233
237. არზა ოთარ აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 20. V 234
238. არზა ადამ ყარაგოზიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1773 წ. 22 V 235
239. არზა კალაურის მოურავის დიმიტრისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1773 წ. 23. V 236
240. არზა შიოშ საყვარელიძისა ხარის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1773 წ. 29. V 237
241. არზა გერმანე წინამძღვრისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1773 წ. 2. VII 238
242. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1773 წ. 7. VIII 238
243. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის 1773 წ. 19. VIII 239
244. არზა ზურაბა ხუდადაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1773 წ. 2. X 240

245. არზა იასე ფალვენისშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1773 წ. 4. XI 241
246. არზა შიო ბუაჩიძისა და დუჩიძის ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1773 წ. 22. XI 242
247. არზა გოგია თუმანიშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1773 წ. 7. XII 242
248. არზა ბარალეთელი გლეხებისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 23. I 243
249. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 28. I 244
250. არზა სეიმონ დეკანოზისა გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1774 წ. 1. II 245
251. არზა ჯაყახიშვილების ყმებისა სამსახურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 22. III 246
252. არზა დიმიტრი ყაფლანიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 30. III 247
253. არზა აივაზალუს მსახლობელთა რუს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 2. IV 247
254. არზა პაატა მეითრის შვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 4. IV 248
255. არზა აბრამასი შვილის დახსნის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 7. IV 249
256. არზა ზაზა მაჩაბლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 13. IV 250
257. არზა იოანე ხერხეულიძისა წყლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 13. IV 251
258. არზა ავთანდილ ლომინაშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 14. IV 251
259. არზა ათანა ბიძინაშვილისა გამოსაღების თაობაზე ოქმით 1774 წ. 29. IV 252
260. არზა ფარსადან ნაბიჭვრისშვილის ქვრივისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 7. V 253
261. არზა ქრისტესია ჰერაპიტაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 26. V 254
262. არზა შალაურელებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 11. VII 255
263. არზა დუდაურის ქვრივისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 10. VIII 257
264. არზა თომა ჯობაძისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 14. VIII 258
265. არზა კბილაძის, მზექალაშვილის და ხუციშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 18. VIII 259
266. არზა ალექსანდრე სარდლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 22. VIII 260

267. არზა თამაზა თურქისტანიშვილისა ძმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 3. X 261
268. არზა დიმიტრი თანიაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 2. XI 262
269. არზა შოშია საყვარელიძისა ყმის თაობაზე რეჯამ ამილახვრის ოქმით 1774 წ. 8. XI 262
270. არზა ელიზბარისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 10. XI 263
271. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 17. XI 265
272. არზა ივანე ოდიშელისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 18. XI 266
273. არზა ნიკოლოზ ამილახორიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 28. XI 267
274. არზა იოსებ სიმანგულაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 29. XI 268
275. არზა ბერძენა ჯოჯუაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ისა და მდივანბეგების ოქმებით 1774 წ. 30. XI 269
276. არზა ქაიხოსრო ხერხეულიძისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1774 წ. 2. XII 270
277. არზა ეესე მდივნისა სამდივნო შემოსაელის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 7. I 271
278. არზა ნინია ზაალიშვილისა ძმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 8. I 271
279. არზა ავთანდილ ამილახვრიშვილისა სასისხლო საქმეზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 11. I 272
280. არზა ზაალ დავითიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 12. I 273
281. არზა გიორგი გრძელაშვილისა წისქვილის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1775 წ. 16. I 275
282. არზა მამუკა ხაჩიურისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 6. II 276
283. არზა სვიმონ ამირეჯიბისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 10. II 277
284. არზა სულხან თუმანიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 16. II 277
285. არზა გოგია გერმანოზისშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 4. III 278
286. არზა გიორგი მინბაშისა სამღებროს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 6. III 279
287. არზა სოლომონ და დავით აბაზაძეებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 6. III 280
288. არზა იოთამ შაბურისშვილისა სახელოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 12. III 281
289. არზა დარჩიაშვილის ქვრივისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 21. III 281

290. არზა გლახა თარხნიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 21. III 282
291. არზა რევაზ ამილახვარისა მამულის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით 1775 წ. 3. IV 283
292. არზა გაბაშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 20. IV 284
293. არზა ერასტი ამილახორისშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 29. IV 285
274. მოწმეთა მოწმობა ივანე რამაზაშვილის ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 30 IV 286
295. არზა ადამ ყარაგოზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 8. V 287
296. არზა ზაალისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 17. V 288
297. არზა ვაჩნაძიანთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 22. V 288
298. არზა ივანე რამაზაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 26. V 290
299. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 29. V 290
300. არზა იოსებ თუმანიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 31. V 291
301. არზა ტეტია გაბაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 31. V 292
302. არზა ოსიაურელი მახარასი დახსნის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 31. V 293
303. არზა რევაზ ფავლენიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ოქმებით 1775 წ. 12. VI 294
304. არზა იოანე მუხრანბატონიშვილისა წისქვილის ქვის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 13. VI 295
305. არზა ფარსადან თავილდარისა დუქნის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 20. VI 295
306. არზა ალიხანასი ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 9. VII 296
307. არზა ჯავახიშვილებისა მამულის გასყიდვის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 13. VII 297
308. არზა რევაზ რატიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 13. VII 298
309. არზა შოშია საყვარელიძისა მამულის თაობაზე გიორგი და ლევან ბატონიშვილების ოქმით 1775 წ. 22. VII 299
310. არზა ზაზა ამირეჯიბისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 28. VII 300
311. არზა პაატა მეითრიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 28. VII 301
312. არზა გიორგი ბუზიაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 28. VII 302
313. არზა დავით მირზაშვილისა წყლის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1775 წ. 30. VII 303
314. არზა მანუჩარ თაყაიშვილისა ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 30. VII 304

315. არზა კაცია სხირტლაძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 2. IX 304
316. არზა მეჩითე თამაზასი ჯარიმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 3. IX 305
317. არზა სტეფანე ალპაიძისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 22. IX. 306
318. არზა ადამ ყარანგოზიშვილისა ყმა-მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1775 წ. 22. IX 307
319. არზა იასე თაქთაქიშვილისა მამულის თაობაზე ამილახვრისა და მდივანბეგების ოქმით 1775 წ. 25. IX 308
320. არზა შიოშ საყუარელიძისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1775 წ. 27. IX 309
321. არზა ფილიპე მღვდლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 6. X 309
322. არზა ციხისთავის შვილის იოსებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 18. XI 311
323. არზა მიქელის დედისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 24. XI 312
224. არზა თამარისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 1. XII 313
325. არზა ციხისთავისშვილის იოსებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 1. XII 314
326. არზა ზაალ ეშიკაღასბაშისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 2. XII 315
327. არზა ჩოლაყაშვილებისა მიწა-წყლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 3. XII 315
328. არზა მამაჯანა სულხანაშვილისა ყმობის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1775 წ. 3. XII 317
329. არზა მანუჩარ მდივნისშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 3. XII 318
330. არზა ხოდაშნელთა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 8. XII 319
331. არზა ტურა ფორაქაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 28. XII 320
322. არზა ბერი ნინიაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. 29. XII 320
333. არზა დავით დიაკვნისა სარგოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 7. I 321
334. არზა დავით აფხაზისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 9. I 322
335. არზა აიდემურ და იოვანე ბებურიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 11. I 323
336. არზა სოლომონ აბაზაძისა ყმის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1776 წ. 12. I 324
337. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 16. I 325
338. არზა შელიქ აჳეტიქასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 6. II 325

339. არზა შულავრელებისა წყლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 23. II 326
340. არზა გოგჩარ მდივნისა სახლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 27. II 327
341. არზა გოგია ელიოზიშვილისა მამულის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით 1776 წ. 2. III 328
342. არზა შიოშ საყუარელიძისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1776 წ. 11. III 329
343. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1776 წ. 15. III 330
344. არზა ლაზარე ფოცხვერაშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 18. III 331
345. არზა ჩიკორიძეებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 18. III 332
346. არზა ზაალ ქარუმიძისა სითარხნის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1776 წ. 22. III 333
347. არზა ეფთვიმი წინამძღვრისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1776 წ. 4. IV 334
348. არზა ვაჭრელთა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 11. IV 335
349. არზა ოთარ ამირახორიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 15. IV 336
350. არზა გიორგი პანპალასშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 23. IV 337
351. არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 23. IV 338
352. არზა გიორგი აგაქაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 29. IV 339
353. არზა ეგზარხოს არსენიოსისა მამულის განკარგვის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 3. V 340
354. არზა ცხაოტელთა მამულის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1776 წ. 5. V 341
355. არზა იოანე აბაშიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 18. V 341
356. არზა სამების ეკლესიის ყმებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 23. V 342
357. არზა ფალავანდიშვილებისა მამულის თაობაზე მდივანბეგ იესე ამილახვრის ოქმით 1776 წ. 26. V 343
358. არზა ზურაბა მამუჩიშვილისა გზის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 28. V 344
359. არზა გიორგი ხმიადაშვილისა სითარხნის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1776 წ. 3. VI 345
360. არზა ოთარ ამირახორისშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 19. VI 346
361. არზა იოანე თაქთაქისშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 26. VI 347

362. არზა ზურაბ ქვარიანისა გამოსაღების თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1776 წ. 26. VI 347
363. არზა დიდებაანთა ყმობის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1776 წ. 17. VII 348
364. არზა ბინია ურიასი მამულის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1776 წ. 21. VII 349
365. არზა პაატა ქარუმიძისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 25. VII 350
366. არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 10. IX 351
367. არზა ადამ ყარაგოზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 17. IX 352
368. არზა აღასია მამასახლისისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 12. X 353
369. არზა შიოშ საყვარელიძისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 13. X 354
370. არზა გივი ყანდუაშვილისა წისქვილის თაობაზე მდივანბეგთა წერილთა და ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 14. X 355
371. არზა აბაზაძეებისა ყმის თაობაზე იულონ და ვახტანგ ბატონიშვილების ოქმებით 1776 წ. 2. XI 356
372. არზა ეფთვიმი ბერისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 30. X 357
373. არზა ადამ ყარაგოზიშვილისა მამულის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1776 წ. 1. XII 358
374. არზა თეიმურაზ ჩხეიძისა სამართლის მიცემაზე იულონ და ვახტანგ ბატონიშვილების ოქმით 1776 წ. 20. XII 359
375. არზა შოშია საყვარელიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 20. XII 360
376. არზა გრიგოლ სალთხუცესისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 30. XII 361
377. არზა გრიგოლ სალთხუცესისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1776 წ. 24. XI 362
378. არზა ხუციშვილებისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 3. I 363
379. არზა პაატა ქარუმიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 30. I 364
380. არზა ლუარსაბ ონანიშვილისა და ქაიხოსრო ბებურიშვილისა მამულის გაყოფის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 31. I . 365
381. არზა ოთარ ელბაქიძისა კუდიანთა დასჯის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 13. II 366
382. არზა ციციშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 14. II 367
383. არზა ზაზა დეკანოზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 16. II 368

384. არზა ოიანე პენტელაშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 10. III 368
385. არზა შერმაზან ბასილიშვილისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 19. IV 369
386. არზა პაატა ციციშვილისა სამღებროს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 8. V 370
387. არზა ადამ ყარაგოზაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 12. V 371
388. არზა გიორგი ჯილავდარისა სარგოს თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1777 წ. 14. V 372
389. არზა დიმიტრი ბაზიერთხუცისა მამულის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1777 წ. 2. VI 373
390. არზა დავით ნიქოზელისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 3. VI 374
391. არზა ზაზა ამირეჯიბისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 3. VI 375
392. არზა დავით კურდღელაშვილისა ბაჟის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 13. VI 376
393. არზა კალაურის მოურავის დიმიტრისა და ომანისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 30. VI 377
394. არზა ქაიხოსროსი და დიმიტრისა მამულის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1777 წ. 1. VII 378
395. არზა ზაალ საყვარელიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 18. VI 379
396. არზა იასე თაქთაქიშვილისა ღალის თაობაზე იესე მდივანბეგის ოქმით 1777 წ. 4. VIII 379
397. არზა მზეჭაბუკ ყაფლანიშვილის ყმებისა ბეგრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 14. VIII 380
398. არზა ციხისთვის შვილის იოსებისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1777 წ. 29. VIII 381
399. არზა ციხისთვის შვილის ობლის იოსებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 10. IX 381
400. არზა ქესანაშვილებისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1777 წ. 20. X 382
401. არზა ნინია ბებურიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 14. XI 383
402. არზა იოანე მუხრანბატონიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1777 წ. 21. XI 384
403. არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 4. I 385
404. არზა იოსებ გლურჯიძისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 9. I 386
405. არზა ნიკოლოზ ამილახვრიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 28. I 387

406. არზა ცხინვალელი ავეტიქასი გამოსაღების თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1778 წ. II 388
407. არზა ფალავანდიშვილებისა ყმა-მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1778 წ. 9. II 388
408. არზა ზურაბა ბატონიშვილისა სახლის თაობაზე ანტონ I-ის ოქმით 1778 წ. 16. II 389
409. არზა აბაზაძეებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 16. II 390
410. არზა ზაალ დაითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 18. II 391
411. არზა გიორგი ციციშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 27. II 392
412. არზა ხახანაშვილის ქვრივისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 28. II 393
413. არზა ჯაჯანიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 16. III 394
414. არზა ნიკოლოზ ამილახორიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 17. III 394
415. არზა აღათანგ ხერხეულიძისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 20. III 395
416. არზა პაპუნა როინაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 23. III 396
417. არზა თევდორე ვარძელაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 27. III 397
418. არზა ადამ ყარაგოზიშვილისა ყმის და საბელოს თაობაზე ლევან ბატონიშვილის ოქმით 1778 წ. 4. IV 398
419. არზა ტეტია ტატიშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 4. IV 399
420. არზა გლახა ფალავანდიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 4. IV 399
421. არზა დავით ენდრონიკაშვილისა გაყრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 12. IV 402
422. არზა იოანე მღვდნისა დუქნების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 17. IV 402
423. არზა იოთამაშვილებისა და ქაქთარიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 17. IV 404
424. არზა ბეჟან რატიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 18. IV 405
425. არზა მელიქი შაქროასი ყმის გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 20. IV 406
426. არზა რიქა მაჰმადასი მორიგობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 5. V 407
427. არზა მაია თარხნიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 22. V 407

428. არზა იოსებ გლურჯიძისა სამართლის მიცემის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 28. V 408
429. არზა ნინოწმიდელისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 1. VI 409
430. არზა ფირან შაბურიშვილისა მამულის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1778 წ. 10. VI 410
431. არზა მთიულთ მოხელეებისა ოქმის ბოძებაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1778 წ. 14. VI 411
432. არზა დავით აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 18. VI 412
433. არზა პაატა იმერელისა ყმობის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1778 წ. 2. VIII 413
434. არზა დავით ამირეჯიბისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 12. VIII 413
435. არზა თარხანა ყორღანაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 22. VIII 414
436. არზა ოქრომჭედლიშვილის ჯალაბისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 23. VIII 415
437. არზა იოსებ მამაცაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 24. VIII 416
438. არზა გიორგი ჯილავდრისა ჯამაგირის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1778 წ. 17. IX 417
439. არზა ბაბაში სულთნისშვილისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 3. XI 418
440. არზა გოგია ლალაშვილისა გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1778 წ. 9. XI 419
441. არზა შოშია საყვარელიძისა ღალის თაობაზე იესე მდივანბეგის ოქმით 1778 წ. 28. XI 420
442. არზა ამილბარ სალთხუცესისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 5. XII 421
443. არზა ბეცია გედეონაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 9. XII 421
444. არზა გორელი სარქისასი სახლის ადგილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 7. I 422
445. არზა შიო ხახანაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 8. I 423
446. არზა თამაზ ბებურიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 9. I 423
447. არზა გლახა ფავლენიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 14. I 424
448. არზა თამაზა ჭურაძისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 15. I 425
449. არზა ბეჟან დორათაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 24. I 426

450. არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა ხარების თაობაზე იესე მდივან-ბეგის ოქმით 1779 წ. 4. III 427
451. არზა იოანე მუხრანბატონიშვილისა წისქვილის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1779 წ. 6. III 427
452. არზა ერასტი გოშტაშაბიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 12. III 428
453. არზა გაბაშვილებისა წყლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 11. IV 429
454. არზა ზაალ გურამიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 17. IV 430
455. არზა მელიქ შაქროასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 19. IV 431
456. არზა ჯავახიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 25. IV 432
457. არზა იესე მსაჯულისა სახლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 13. V 432
458. არზა დავით კალატოზიშვილისა წილის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1779 წ. 20. V 434
459. არზა დავით მალალაშვილისა ყმის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1779 წ. 21. V 435
460. არზა საკასი ბეგრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 27. V 435
461. არზა ზაალ გურამიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 4. VI 436
462. არზა ბერო გვილიაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 6. VI 437
463. არზა რევაზ გედევანიშვილის ქვრივის თინათინისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 7. VI 438
464. არზა ბარძიმ მაჩაბლისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 8. VI 440
465. არზა იორამ თარხნიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 12. VI 441
466. არზა პაატა თოფჩიბაშისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1779 წ. 20. VI 442
467. არზა აბრამ მღედლისა გამოსაღების თაობაზე ანტონ I-ის ოქმით 1779 წ. 26. VI 443
468. არზა იესე მსაჯულისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 1.VII 444
469. არზა სართიჭალის მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 1. VII 445
470. არზა თალალასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 9. VII 446
471. არზა ფალავანდიშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 12. VII 447
472. არზა ზაალ საყვარელიძისა მამულის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1779 წ. 13. VII 447

473. არზა ქაიხოსრო გიქიმყრელისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 19. VII 448
474. არზა ერასტი გოსტაშაბიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 19. VII 449
475. არზა რევაზ გიქიმყრელისა გაყრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 3. VIII 450
476. არზა ზაალ ჯავახიშვილისა ღალის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1779 წ. 14. VIII 451
477. არზა პავლე მარკოზაშვილისა ჯამაგირის განწესებაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 25. VIII 452
478. არზა შიოშ საყვარელიძისა ღალის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1779 წ. 4. IX 452
479. არზა თევდორე შაყულაშვილისა ყმობის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1779 წ. 26. IX. 453
480. არზა იესე ბარათაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 8. XII 454
481. არზა ბეინვალელთა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 12. XII 455
482. არზა იესე მეფურიშვილის ქვრივისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 18. XII 456
483. არზა მოძღვართ-მოძღვარ ნიკოლოზისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1779 წ. 20. XII 457
484. არზა გაბაშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 4. I 458
485. არზა გრიგოლ ხუციშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 4. I 459
486. არზა იესე მსაჯულისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1780 წ. 9. I 460
487. არზა ალექსანდრე ეჩმისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 10. I 460
488. არზა ზაალ გურამიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 27. I 461
489. არზა ყავარდლის ქვრივისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 13. II 462
490. არზა გლახა თარხნიშვილისა ხარის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით 1780 წ. 4. III 463
491. არზა შოშია საყვარელიძისა მამულის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1780 წ. 5. III 464
492. არზა მახარებელ ელისაბედაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 23. III 465
493. არზა საყვარელიძეებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 28. III 466
494. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმა-მამულის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1780 წ. 29. III 467

495. არზა დავით გოგიბედაშვილისა გამოსაღების თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1780 წ. 2. IV 468
496. არზა ფარსადან ესიტაშვილისა სისხლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 2. IV 469
497. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 6. IV 470
498. არზა პაისიოს სამთავნელისა გამოსაღების თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1780 წ. 6. IV 470
499. არზა სესიკასი ყმის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1780 წ. 6. IV 471
500. არზა ზაზა მაღალაშვილისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 7. IV 472
501. არზა მანგლელისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 13. IV 473
502. არზა შუამთის მოძღვართ-მოძღვრის ნიკოლოზისა შეყრილობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 26. IV 474
503. არზა პაატა ციციშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 14. V 475
504. არზა ნოდარიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 26. V 476
505. არზა თევდორე ხახანაშვილისა ყმობის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით 1780 წ. 26. V 477
506. არზა საყვარელიძეებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 30. V 479
507. არზა გოგია მკერვალის მეუღლისა მორიგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 31. V 480
508. არზა ზაზა თარხნიშვილისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით 1780 წ. 4. VI 480
509. არზა შიოშ საყვარელიძისა ძმის მკურნალობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 6. VI 481
510. არზა ლუარსაბ ქარუმიძისა სახელოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 13. VI 482
511. არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 25. VI 483
512. არზა იოანესი და ნიკოლაოზისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 30. VI 484
513. არზა აქიმ მუქასი მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 21. VII 485
514. არზა პაატასი და ზაქარიასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 31. VII 485
515. არზა პაატა თოფჩიბაშისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 22. VIII 486
516. არზა ზურაბ ნახუცრიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 31. VIII 488

517. არზა ენისელთ მოურავისშვილებისა და ნოდარიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 3. IX 488
518. არზა ელიზბარ დავითიშვილისა მამულის თაობაზე ლევან ბატონიშვილის ოქმით 1780 წ. 26. IX 490
519. არზა გიორგი ხუზაურისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 12. X 490
520. არზა ეივაზალუელებისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1780 წ. 15. X 491
521. არზა ქაიხოსრო გოეყრელისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 17. X 492
522. არზა თევდორე ხახანაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 6. XII 493
523. არზა ქალაქის მოურავის დავითისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 16. XII 494
524. არზა გოგია გიგოლაშვილისა მამულის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით 1780 წ. 20. XII 494
525. არზა ადამ ყარაგოზისშვილისა განაჩენის აღსრულების თაობაზე მდივანბეგთა ოქმით 1781 წ. 13. I 496
526. არზა ოჰანა ბეგიჯანაშვილისა ყმობის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1781 წ. 30. I 497
527. არზა იოანე ბერძენისა ოთახის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 26. II 498
528. არზა თეიმურაზ ფავლენიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1781 წ. 3. III 498
529. არზა იოანე მდივნისა ვალის თაობაზე მოწმეთა მოწმობით 1781 წ. 4. III 499
530. არზა არჯევან ფიცხელაურისა სამართლის მიცემაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1781 წ. 10. III 502
531. არზა რევაზ თაყაშვილისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 20. III 502
532. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით 1781 წ. 19. IV 503
533. არზა მარტყოფელი მღვდლის ცოფიკასშვილისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1781 წ. 26. IV 505
534. არზა იოანე ჯავახიშვილისა ყმის თაობაზე იესე მდივანბეგის ოქმით 1781 წ. 30. IV 506
535. არზა ზაალ დავითიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1781 წ. 15. V 507
536. არზა ივანესი ყმობის თაობაზე ანტონ კათალიკოსის ოქმით 1781 წ. 6. V 507
537. არზა ზაალ გურამიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1781 წ. 7. V 508
538. არზა დიმიტრი ეშიკაღასბაშისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 8. V 509

539. არზა იაკობ და ბერი ფალავანდიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 25. V 511
540. არზა ოქრომჭედლიშვილის ქვრივისა ღალის თაობაზე ამილახვარ-მდივანბეგის იესეს ოქმით 1781 წ. 10. VI 511
541. არზა ავთანდილ ბაბალაშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 29. VI 512
542. არზა გორელებისა საძოვრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 4. VII 513
543. არზა იესე ბარათაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 4. VII 515
544. არზა ელიზბარ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 11. VII 515
545. არზა კოზმან ბერძნისა ეკლესიის მამულის მიბარების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 7. VIII 517
546. არზა ბოდბელისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 20. VIII 517
547. არზა მურსაყული აღასი გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 31. VIII 518
548. არზა ივანე მაღალაშვილისა გამოსაღების თაობაზე ანტონ კათალიკოზის ოქმით 1781 წ. 5. IX 519
549. არზა ადამ ყარაგოზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 6. IX 520
550. არზა დავით-გარეჯის წინამძღვრისა პურის შესახებ ქუშიკჩიბაშ იოანე აბაშიძის ოქმით 1781 წ. 26. IX 521
551. არზა შიომ საყვარელიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 28. IX 521
552. არზა ზაალ ყაფლანიშვილისა განაჩენის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 15. X 523
553. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 17. X 524
554. არზა ზაალ გურამიშვილისა ყმების შევიწროების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 27. X 525
555. არზა ზაალ ტერიშვილისა გრემისხევის ამენების თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1781 წ. 27. XI 525
556. არზა თუმანიშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 1. XII 526
557. არზა ელიზბარ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1781 წ. 20. XII 527
558. არზა დათუა ოქრომჭედლიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1781 წ. 21. XII 527
559. არზა იოვანე მამუჩიშვილისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1782 წ. 29. I 528
560. არზა ქვისმჭრელებისა ხელუასის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 11. II 529
561. არზა პაატა ციციშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 21. II 530
562. არზა იაგულაანთ ისაიასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 6. III 531
563. არზა ღთისია თათრიშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 7. III 532
564. არზა ღვთისია თათრიშვილისა ყმობის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1782 წ. 10. III 533
565. არზა პაპა უძილაურისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1782 წ. 13. III 534
566. არზა პაატა ციციშვილისა სამღებროს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 19. III 535
567. არზა ეფთვიმე მღვდლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 20. III 536
568. არზა თეიმურაზ ფავლენიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 21. III 537
569. არზა ნიკოლოზ მირზაშვილისა სახელოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 24. III 537
570. არზა ნიკოლოზ ასატურაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 15. IV 538
571. არზა თამაზა ოთანაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 23. IV 540
572. არზა იესე მსაჯულისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 3. V 541
573. არზა გიორგი დათუნაშვილისა დექნისა და სახლის ალაგის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1782 წ. 11. V 542
574. არზა ოქრომჭედლიშვილის ქვრივისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1782 წ. 18. V 543
575. არზა ერასტი გოსტაშაბიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 25. V 544
576. არზა შოშია საყვარელიძისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1782 წ. 27. V 545
577. არზა შარმაზანას დედისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმითა და მსაჯულთა მოწმობით 1782 წ. 31. V 546
578. არზა რჩეულაშვილის ქვრივისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 7. VI 548
579. არზა შოშია საყვარელიძისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1782 წ. 7. VI 549
580. არზა ბიჭიკაშვილებისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 11. VI 550
581. არზა ელიზბარ დავითიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 11. VI 552
582. არზა დათუა ბაღრიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 13. VI 552
583. არზა ნათლულ იოსებისა მორიგედან განთავისუფლების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 14. VI 553

584. არზა არჯევან ფიცხელაურისა გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1782 წ. 21. VI. 554
585. არზა დავით მეფურიშვილისა სახლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 24. VI 555
586. არზა გოდერძი ციგრუაშვილისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1782 წ. 28. VI 555
587. არზა ონოფრე მღვდლისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 29. VI 556
558. არზა ნიკოლოზ მანგლელისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ოქმებით 1782 წ. 18. VII 557
589. არზა ფალავანდიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 20. VII 558
590. არზა დათუა მაჩაბლისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 29. VII 559
591. არზა ზურაბ ფეშანგიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 4. VIII 560
592. არზა გოგია ზუმბულიძისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 20. VIII 561
593. არზა გიორგი ციციშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 29. VIII 562
594. არზა დათუა ოქრომჭედლიშვილისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1782 წ. 5. IX 562
595. არზა გოგია ალადაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 5. IX 563
596. არზა ელიზბარ დავითიშვილის დედისა ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 9. IX. 564
597. არზა ასლამაზ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 10. IX 564
598. არზა დათუა მაჩაბლისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 10. IX 565
599. არზა შიოშ საყვარელიძისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1782 წ. 11. XI 566
600. არზა შიოშ საყვარელიძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 12. XI 567
601. არზა ჯანდიერიანთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 18. IX 568
602. არზა მელეინეთხუცეშვილებისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 23. IX 568
603. არზა თეიმურაზ ჯავახიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 3. X 570
604. არზა აბაზაძეებისა ყმის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1782 წ. 31. X 570
605. არზა ზაალ ყაფლანიშვილისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 11. XI 571

606. არზა ფალავანდიშვილებისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 20. XII 572
607. არზა იოსებ გედევანიშვილის დედისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 20. XII 573
608. არზა ბეცია გედეონისშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 29. XII 574
609. არზა ბეჟან მჭედლისა თეთრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1782 წ. 31. XII 575
610. არზა ნიკოლოზ მოლარეთხუცისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 18. I 577
611. არზა მურვანიშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 20. I 577
612. არზა თადია ნაცვალისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 8. II 578
613. არზა ფარემუზა ბუშის შვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 12. II 579
614. არზა იესე მსაჯულისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 18. II 580
615. არზა ფალავანდიშვილებისა გაყრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 23. III 583
616. არზა შოშია საყვარელიძისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1783 წ. 27. III 583
617. არზა პაატა ციციშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 27. III 585
618. არზა გიორგი თუმანიშვილისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1783 წ. 7. IV 586
619. არზა ასლამაზ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 8. IV 587
620. არზა პაატა ციციშვილისა სამღებროს თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1783 წ. 19. IV 587
621. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 26. IV 588
622. არზა მურვანიშვილებისა მამულის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1783 წ. 16. V 589
623. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით 1783 წ. 15. VI 590
624. არზა იულიოს ნიქოზელისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 17. V 591
625. არზა გოსტაშაბისშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 19. VI 592
626. არზა იასე ფაცელიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 2. VII 593
627. არზა თამაზა ლომაურიძისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 2. VII 594

628. არზა იოანე გედეონიშვილისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 29. VII 594
629. არზა ლავრენტი ბერძნისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 5. VIII 595
630. არზა იგრიაშვილის ქვრივისა გზის თაობაზე ანტონ I-ის ოქმით 1783 წ. 18. VIII 596
631. არზა თუმანიანთა ეკლესიის აშენების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 29. VIII 597
632. არზა გიორგისა და ოქრაშვილებისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 8. IX 599
633. არზა ფრიდონაშვილის ქვრივისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 9. IX 599
634. არზა კალაურის მოურავის დედის მაიასი ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 14. IX 600
635. არზა დავით აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 14. IX 601
636. არზა სულხან ბეგთაბეგისძისა მამულის თაობაზე მდივან-ბეგთა განჩინებით 1783 წ. 14. X 602
637. არზა ბექან ზანდუკელისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1783 წ. 24. XI 604
638. არზა ოსეფა ნაზარბეგის შვილისა სახლის მიცემის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 4. I 605
639. არზა შიო ბუნაძისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1784 წ. 13. I 607
640. არზა ზაალ ყაფლანიშვილისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 10. II 607
641. არზა იოსებ მამაცაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 20. II 609
642. არზა ერასტი გოსტაშაბიშვილისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1784 წ. 23. II 610
643. არზა ერასტი ნამორაძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 1. III 611
644. არზა იულიოზ ნიქოზელისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 3. III 612
645. არზა იულიოს ნიქოზელისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 4. III 613
646. არზა ნიკოლოზ ალავერდელისა სამწყსოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 9. III 614
647. არზა ბერი აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 20. III 615
648. არზა დათუა ოქრომჭედლიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1784 წ. 23. III 615
649. არზა რუისის ღმრთაების კრებულისა სახლის ქირის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 24. III 616

650. არზა იოვანე ჯავახიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 30. III 617
651. არზა პეტრე თაყინაშვილისა ყმობის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1784 წ. 2. IV 618
652. არზა ოსიაურელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით მით 1784 წ. 3. IV 619
653. არზა ერასტი გოსტაშაბიშვილისა სამართლის მიცემაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1784 წ. 16. IV 620
654. არზა ლუარსაბ მაყაშვილისა გზის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 18. IV 621
655. არზა ბეჟანისშვილის ჯალაბისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 19. IV 621
656. არზა ყორღანაშვილებისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 30. IV 622
657. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმების თაობაზე მსაჯულთა ოქმით 1784 წ. 8. V 623
658. არზა მანუჩარ სულთნიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 14. V 624
659. არზა ლუარსაბ ონანაშვილის დედისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 14. V 625
660. არზა მანუჩარ სულთნიშვილისა წისქვილის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1784 წ. 21. V 626
661. არზა აბაზაძეებისა მამულის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1784 წ. 24. V 267
662. არზა თევდორე ნარიაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1780 წ. 24. V 627
663. არზა გუჩა ამირეჯიბისა ყმის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1784 წ. 4. VI 628
664. არზა ზაალ დავითიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 6. VI 629
665. არზა დიმიტრი საგინაშვილისა ყმის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1784 წ. 12. VI 630
666. არზა ზაალ და ელიზბარ დავითიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 14. VI 631
667. არზა მანუჩარ სულთნიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1784 წ. 21. VI 633
668. არზა დავით გოგიბედაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 22. VI 634
669. არზა მანუჩარ მდივნისა ვალის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1784 წ. 25. VI 635
670. არზა გორელებისა ტრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 30. VI 636
671. არზა დავით ოქრომჭედლიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1784 წ. 21. VII 636

672. არზა დავით თუთუნაშვილისა გამოსაღების თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1784 წ. 29. VIII . . . 637
673. არზა თამაზ ქეშიქჩიბაშის ნაიბისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 1. IX . . . 638
674. არზა პაპალა სამთლიკუდაშვილის ქვრივისა ამილახვარ-მდივანბეგ იესეს ოქმით 1784 წ. 16. IX . . . 639
675. არზა ერასტი გოსტაშაბისშვილისა ყმის თაობაზე მდივანბეგების ოქმით 1784 წ. 22. XI . . . 640
676. არზა ზაალ საყვარელიძისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1784 წ. 26. XI . . . 641
677. არზა თევდორე ხახანაშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1784 წ. 19. XII . . . 642
678. არზა მანუჩარ ლაშქარნივისა გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1785 წ. 9. I . . . 643
679. არზა გიორგი ურუმბეხაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 20. I . . . 643
680. არზა ნიკოლოზ გერმანოზიშვილის ქვრივისა ულუფის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 22. I . . . 644
681. არზა მამუკა გუგულაშვილის ქვრივის შვილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 27. I . . . 645
682. არზა მელიონთხუცესშვილებისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 30. I . . . 646
683. არზა ქაიხოსრო მოურავისა წისქვილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 3. II . . . 647
684. არზა ნაცვალ მერაბისა საწისქვილოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 14. II . . . 648
685. არზა დიმიტრი ახმეტელაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 20. II . . . 649
686. არზა გაბრიელ დეკანოზისა მისი მაჩაბლებისათვის მიბარების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1785 წ. 25. II. . . . 650
687. არზა ვახუშტი ჯავახიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 13. III . . . 651
688. არზა შავერდა არეშიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 27. III . . . 653
689. არზა თავდების ღმრთისმშობლის ყმათა ყმობის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1785 წ. 11. IV . . . 653
690. არზა წინამძღვარ თეოდოსისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 21. IV . . . 653
691. არზა ფირიანთ გოგიას ქვრივისა სახლის ადგილის თაობაზე კათალიკოზ ანტონ II-ის ოქმით 1785 წ. 7. V. . . . 654
692. არზა იოანე თაქთაქიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 8. V . . . 656
693. არზა არღუთაშვილის ქვრივისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 10. V . . . 657

694. არზა იოანე ჯავახიშვილის დედისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 17. V . . . 658
695. არზა დოლენჯიშვილებისა ყმობის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1785 წ. 20. V . . . 659
696. არზა იოვანე მამუჩიშვილისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1785 წ. 3. VI . . . 660
697. არზა შანშე მილახორისა მამულის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით 1785 წ. 12. VII . . . 660
698. არზა პაპა ელიაშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1785 წ. 12. VII . . . 662
699. არზა რუსისშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 27. VII . . . 663
700. არზა თუმანიშვილებისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1783 წ. 3. VIII . . . 665
701. არზა გიორგი კოშორიძისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 6. VIII . . . 666
702. არზა ელენე ქვრივისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 13. VIII . . . 667
703. არზა პაატა მეითარის შვილის ქვრივ-ობლისა სახლის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1785 წ. 24. VIII . . . 668
704. არზა წინამძღვარ თეოდოსისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 4. X . . . 669
705. არზა ლელუაშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 22. XI . . . 669
706. არზა ბერუა ქურდაძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785. წ. 23. XI . . . 670
707. არზა თარხანა ყორღანაშვილისა ყორღანაშვილისა ყმის დახსნის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 30. XI . . . 671
708. არზა სიხარულ მჭედლისშვილისა გამოსაღების თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1785 წ. 8. XII . . . 672
709. არზა იულიოს ნიქოზელისა წიგნებისა და ყმის თაობაზე დიკასტერიისადმი ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 11. XII . . . 673
710. არზა აბრამისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 19. XII . . . 675
711. არზა გოგიბედაშვილებისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 22. XII . . . 676
712. არზა პაპუა საგინაშვილისა ყმა-მამულის გასყიდვის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 2. I . . . 676
713. არზა გიორგი წნორიაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 1. III . . . 678
714. არზა შანშე მილახვრისა ჯამაგირის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 4. III . . . 678
715. არზა დავით-გარეჯის წინამძღვარ თეოდოსისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 13. III . . . 679

716. არზა მეღვინეთხუცესშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 17. III 680
717. არზა ბებურ ბებურიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786. წ. 18. III 681
718. არზა ელენე ბებურიშვილისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1786 წ. 24. III 681
719. არზა დაით-გარეჯის წინამძღვარ თეოდოსისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 27. III 683
720. არზა ოთიაშვილებისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 14. IV 683
721. არზა იოანე მუხრანბატონის შვილისა სახლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 14. IV 684
722. არზა იასე საყვარელიძისა მიცვალებულთა წირვის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 18. IV 685
723. არზა მოსესი და ხოსროსი სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 27. V 686
724. არზა სოლომონ ფანიაშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 15. V. 688
725. არზა ნინია ვაშაქაშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 16. VI 689
726. არზა იასე ფავლენიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1786 წ. 17. VI 689
727. არზა მარღიშვილებისა გაყრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 6. VIII 690
728. არზა მათე მღვდლისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 14. VIII 691
729. არზა ნინია ციცოშვილის ქვრივისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 30. VIII 692
730. არზა შარმაზან ბენაბდიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1786 წ. 4. IX 693
731. არზა ადამ ყარაგოზისშვილის ქვრივ-ობლებისა გამოსაღების თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1786 წ. 6. IX. 694
732. არზა ავეტიქა შაქარაშვილის ხიზნისა მორიგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 11. IX 695
733. არზა ზურაბ თუმანიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 19. IX 695
734. არზა პაისიოს სამთავნელისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 5. X 696
735. არზა ენისელთ მოურავის დიმიტრისა საკირეს თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1786 წ. 5. X 697
736. არზა გურჯიძეებისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1786 წ. 10. X 697
737. არზა როსტომ ერისთავისშვილისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 22. X 698

738. არზა ბერუასი და გოგიასი გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1785 წ. 6. XI 699
739. არზა ოთარ ამილახვრიშვილისა მორიგის გამოყვანის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 7. XI 700
740. არზა პაატა თოფჩიბაშისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 19. XI 701
741. არზა შიხინაანთ გაბრიელასი და გრიგორასი ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 26. XI 702
742. არზა გოგია ნასახჩიბაშისა საწყლისპიროს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 24. XI 702
743. არზა თევდორე ხახანაშვილისა განაჩენის აღსრულებაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 24. XI 703
744. არზა ზუა საგინაშვილისა საბალახის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1786 წ. 30. XI 704
745. არზა ქაიხოსრო სალთხუცესისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 1. XII 706
746. არზა ფერიასი მორიგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 2. XII 706
747. არზა დეკანოზ ტერ-არაქელასი ეკლესიის გალავანში ნახვის ჩაყრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 5. XII 708
748. არზა თათარაშვილის ჯალაბისა გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1786 წ. 11. XII 709
749. არზა ქვათახევის წინამძღვრის ანტონისა სახლების თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1786 წ. 15. XII 710
750. არზა იოანე ალავერდელისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1786 წ. 15. XII 711
751. არზა მოძღვართ-მოძღვრის ნიკოლოზისა ბაღის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1786 წ. 21. XII 712
752. არზა მზეჭაბუკ მდივანბეგისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 27. XII 713
753. არზა თამაზა თურქისტანიშვილის ქვრივ-ობლისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1786 წ. 28. XII 713
754. არზა იოთამ ტატიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 19. II 714
755. არზა ნიკოლოზ მირზაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 (?) წ. 20. II 715
756. არზა კალატოზებისა ხელფასის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1787 წ. 22. II 716
757. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 19. III 717
758. არზა მთავარეპისკოპოს იოსების ყმათა სამსახურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 11. IV 717

759. არზა ეგნატი თუმანიშვილისა ყმა-მამულის წილის თაობაზე ერეკლე II-ს ოქმით 1787 წ. 16. IV 718
760. არზა ორუჯასი და უსუფასი ცხენის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1787 წ. 18. IV 720
761. არზა აღადათაშვილებისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 26. IV 720
762. არზა სამთავნელ პაისიოსისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 12. V 723
763. არზა როსტომ ჩარხუაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 21. V 724
764. არზა აბრამა ზანდარაშვილისა მამულის თაობაზე ანტონ I-ის ოქმით 1787 წ. 27 V 724
765. არზა ბეჟან რატიშვილისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 28. V 725
766. არზა შაბურიშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 4. VI 726
767. არზა ნინია ჯავახიშვილის ქერიესა ყმის გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 6. VI 728
768. არზა ახურელთა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 28. VI 729
769. არზა მეჯინიბე იორდანეს დედისა გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1787 წ. 27. VI 730
770. არზა თეიმურაზ ფავლენიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 7. VII 731
771. არზა მთაწმინდის იოაკიმისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 9. VII 732
772. არზა თევდორე ხახანაშვილისა თავისთავის მიბარების შესახებ ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 10 ივლისი 733
773. არზა იოსებ თულაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 24. VII 734
774. არზა ამირეჯიბის ყმებისა წყლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 25. VII 735
775. არზა ჯავარა მახვილაძისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 5. VIII 736
776. არზა ოფრეთელი არუთინასი მორიგის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1787 წ. 10. VIII. 737
777. არზა პაპა მუშრიბის დედისა ეკლესია-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 11. VIII 738
778. არზა ზაალ ყაფლანისშვილისა განაჩენის გაახლებაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 4. X 740

779. არზა გიორგი თუმანიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 11. X 741
780. არზა ფარსადან ესიტაშვილისა ყმის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1787 წ. 10. X 742
781. არზა სულხან ხიმშიაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 12. XI 742
782. არზა ეგნატი თუმანიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 15. XI 743
783. არზა კაცია სხირტლაძისა სახელოს ბოძებაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 30. XI 744
784. არზა ეგნატი თუმანიშვილისა ქონების გაყოფაზე ერეკლე II-ის ოქმით 1787 წ. 2. XII 746
785. არზა ჭიკაანელთა გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1787 წ. 13. XII 746
786. არზა ნინია ბებურიშვილისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1787 წ. 15. XII 747
787. არზა შიო ჯობინაშვილისა ცხენის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 8. I 748
788. არზა პეტრე კაკოზასშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 20. I 749
789. არზა დავით გერმანოზისშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 24. I 750
790. არზა იოსებ მაღალაშვილისა ყმის თაობაზე ანტონ I-ის ოქმით 1788 წ. 28. I 750
791. არზა ღვთისავარასი ყმობის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1788 წ. 16. II 751
792. არზა თეიმურაზ ჯავახიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1778 წ. 29. II 752
793. არზა თამაზა ამირაღაშვილისა დუქნის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1788 წ. 11. III 753
794. არზა შიო ბეგიაშვილისა გამოსაღების თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1788 წ. 11. III 753
795. არზა იესე ბარათაშვილის ობლებისა ღალის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1788 წ. 19. III 754
796. არზა დათუნა ოთარაშვილისა ოქმის ბოძებაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1788 წ. 29. III 755
797. არზა თეიმურაზ ჯავახიშვილისა ყმის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით 1788 წ. 18. IV 755
798. არზა გლახა თარხნიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 22. IV 757

799. არზა მარიამისა გამოსაღების თაობაზე ოთარ ამილახვრის ოქმით 1788 წ. 30. IV 758
800. არზა იოაკიმისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 4. V 759
801. არზა ავალიშვილებისა ყმის მიბარების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1788 წ. 12. V 760
802. არზა ლევან აბაზაძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 16. V 760
803. არზა პაატა მამაცაშვილისა ყმის სამსახურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 20. V 762
804. არზა შედანაშვილებისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 26. V 763
805. არზა თევდორე ხახანაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 3. VI 764
806. არზა თუმანიშვილებისა ეკლესიის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1788 წ. 20. VI 765
807. არზა პეტრე მოლარისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 27. VI 767
808. არზა ეგნატი თუმანიშვილისა ღალის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით 1788 წ. 1. VII 767
809. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 9. VII 769
810. არზა მელვინეთხუცესშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 16. VII 770
811. არზა ბეჟან ფალავანიშვილისა ყმის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1788 წ. 29. VII 772
812. არზა გოსტაშაბისშვილებისა წისქვილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 31. VIII 772
813. არზა აღაიანელებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 18. IX 773
814. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1788 წ. 11. X 774
815. არზა ბეჟან მინბაშისა თამასუქის თაობაზე ოთარ ამილახვარის ოქმით 1788 წ. 13. 775
816. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 14. X 776
817. არზა მთაწმინდელ მამასახლისისა ბაისიოსისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 16. X 777

818. არზა ზურაბ ხითარიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 25. X 778
819. არზა სოლომონ აბაზაძისა სამართლის მიცემაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1788 წ. 7. XI 779
820. არზა გოგია თუმანიშვილისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1788 წ. 10. XI 780
821. არზა ზაზა ციციშვილისა ყმის თაობაზე კათალიკოს ანტონ II-ის ოქმით 1788 წ. 25. XI 781
822. არზა შუამთის მოძღვართ-მოძღვრის ნიკოლოზისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1788 წ. 27. XI 782
823. არზა ტერ-მელქისადეგისა გამოსაყვალის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1788 წ. 27. XI 785
824. არზა დავით მგალობლიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1788 წ. 10. XII 786
825. არზა პეტრე ამირანაშვილისა ვალის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმითა და მდივანბეგთა განჩინებით 1788 წ. 12 დეკემბერი 787
826. არზა გიორგი ფისაძისა მამულის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1788 წ. 18. XII 788
827. არზა იესე ბარათაშვილის ობლებისა ვალის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით 1788 წ. 18. XII 790
828. არზა იაკოფ ვარდუაშვილისა ყმობის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1788 წ. 20. XII 792
829. არზა ოთარ ამილახვრისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 4. I 793
830. არზა ბეჟან რატიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 10. I 794
831. წიგნი გაბრიელ ყაზიბეგიშვილისა თაგაურების არზის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 12. I 795
832. არზა დემეტრე ვეკუაძისა გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1789 წ. 24. I 796
833. არზა წინამძღვარ თეოდოსისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 28. I 796
834. არზა მეპურულე გოგიასი გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1789 წ. 30. I 797
835. არზა ზაქარია კალმახელიძისა და შოშია მჩითავისა ვალის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1789 წ. 12. III 798
836. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1789 წ. 19. III 799

837. არზა ბეჟან ზანდუკელისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 27. III 799
838. არზა სულხან ხიმშიაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 13. IV 800
839. არზა იოსებ ციხისთავისშვილისა ვალის თაობაზე ალექსანდრე ბატონიშვილის ოქმით 1789 წ. 8. V 802
840. არზა მეტეხში მსახლობელთა ციხის კედლის აგების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 11. V 803
841. არზა დავით ბოდბელისა წისქვილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 13. V 804
842. არზა დავით გოგიბეგდაშვილისა ღალის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1789 წ. 25. V 805
843. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით 1789 წ. 2. VI 806
844. არზა ზურაბ ფალავანდიშვილისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1789 წ. 3. VI 807
845. არზა გიორგი პარკაძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 7. VI 809
846. არზა ავთანდილ ბაბალაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 16. VI 810
847. არზა იუსტინე ურბნელისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით 1789 წ. 23. VI 811
848. არზა გორელებისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 27. VI 812
849. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 29. VI 815
850. არზა წინამძღვარ თეოდოსისა ცხუნის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 30. VI 816
851. არზა გოგია ნასახჩიბაშის ნაიბისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 2. VII 817
852. არზა დავით გოგიბაშვილისა ყმის თაობაზე დავით ბატონიშვილის ოქმით 1789 წ. 3. VII 818
853. არზა მეთოდი მდივანბეგისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 3. VII 818
854. არზა ზაზა ამირეჯიბისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 7. VII 819
855. არზა პაატა მეითრისშვილის ქვრივ-ობლებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 10. VII 820
856. არზა დარჩიას ობლის დანელასი მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1789 წ. 20. VII 822
857. არზა მაყაშვილებისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 22. VII 822
858. არზა იოსებ მგლიშვილისა გამოსაღების თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით 1789 წ. 25. VII 824
859. არზა ყაფიჩისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით 1789 წ. 28. VII 825
860. არზა გოგია თუმანიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 20. VIII 825
861. არზა გორელებისა ღვინის გამოსაღების თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით 1789 წ. 27. VIII 826
862. არზა მანუჩარ ლაშქარნივისისა პურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 29. VIII 827
863. არზა მანუჩარ ლაშქარნივისისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1789 წ. 29. VIII 828

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

Иб 1673

*

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
კორექტორი ე. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 14.9.1979; ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.6.1981;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 54.8;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 41.4;

უე 01116; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 3162;

ფასი 5 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ПАМЯТНИКИ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

VII

(на грузинском языке)

გამომცემლობა „მეცნიერება“ უახლოეს მომავალში გამოსცემს:

ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, მასალები XVIII ს. I მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის.

ე. მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ა შ ვ ი ლ ი, XV საუკუნის იტალიელთა ცნობები საქართველოს შესახებ